

Batumi Rustaveli State University

Shushana Putkaradze

The Georgian Language of "Chveneburebi" in Turkey

Book One

The book is published by Aslan Abashidze fund

Батумский Университет Имени Шота Руставели

Шушана Путкарадзе

Грузинская речь "чвенебуреби" ("своих") в Турции

Книга первая

Книга издана Фондом Аслана Абашидзе

Batumi
Батуми
1993

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შუშანა ფუტყარაძე

ჩვენებურების ქართული

წიგნი პირველი

წიგნი გამოსცა ასლან აბაშიძის ფონდმა



აჭარის უკრნალ-გაზეთების გამომცემლობა

ბათუმი

1993

წინამდებარე წიგნი მოიცავს თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების (ჩვენებურების) მეტყველების ნიმუშებს, ლექსიკონსა და შესავალ წერილებს.

სასაუბრო ტექსტებს გარდა, მასში წარმოდგენილია ზღაპრები, ანექლოტები, ლექს-სიმღერები, ლეგენდები, თქმულებები თამარ მეფის, ლაშა-გიორგის, გიორგი სააკაძისა და სხვათა შესახებ. ჩანაწერების ერთი ნაწილი ასახავს მეურნალობის ხალხურ სამუალებებს, ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობას (ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა...), სამეურნეო საქმიანობას, საწესჩვეულებო რიტუალებს (ქორწილი, ტირილი, აშურა, ბაირამობა, ქაშატობა, ლაზარობა, ჰიდირელიასი, ნავროზობა, კვირკობა, შუამთობა, მარიამობა, მემხლიანობა...). ინტერესს აღძრავს ყურანის ქადაგების – ე. წ. „ქართული ეიზის“ ნიმუშები. ლექსიკონში შევსებდებით საკვლევ რეგიონში დღესაც ცოცხალ ბევრ ისეთ ძირძველ ქართულ სიტყვას, რომლებიც სალიტერატურო ენაში აღარ გამოიყენება.

წიგნს დართული აქვს გეოგრაფიულ სახელთა, პირთა და თემატური საძიებლები, ბოლოსიტყვაობა თურქულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

წიგნი გადაგვიშლის ჩვენებურების სულიერი და მატერიალური ცხოვრების მრავალყეროვან სურათს. იგი უსათუოდ მიიზიდავს საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

Bu kitap giriş makalesiyle beraber Türkiye Cumhuriyetinde yaşayan Gürcülerin (Çveneburebi'nin) konuşma dilinin örneklerinden ve sözlüğünden oluşmuştur.

Konuşma metinlerin yanısıra masallar, fıkralar, şiir ve türküler, efsaneler, Kraliçe Tamara, Laşa Giorgi, Giorgi Saakadze ve diğer şahıslar hakkında menkibelere yer verilmiştir. Metinlerin bir kısmında halk tedavi vasıtaları, yemek, içmek, giyim, kuşam gibi her günkü yaşayış tarzları; düğün, ölüye ağlayış, aşure günü, bayramlar, Kaşatoba, Lazaroba, Hıdır İlyas, Nevruz, Kvirikoba, Şuamtoba, Memhlianoba, Mariamoba gibi örf ve adetler ve iktisadi faaliyetler anlatılmıştır.

Gürcü diliyle verilen vaiz örnekleri ilginçtir.

Sözlük bölümünde; araştırma yaptığımız bölgelerde hala kullanılmakta olan fakat çağdaş edebi dilimizde yaşamayan bir çok eski gürcü kökenli sözcükler vardır.

Kitabın sonuna; yer ve kişi adlarıyla beraber terimlerden oluşan bir dizi ile Türkçe, İngilizce ve Rusça son söz bölümü eklenmiştir.

Bu kitapta Çveneburebi'nin maddi ve manevi yaşantısının renkli tabloları verilmeye çalışılmıştır. Gürcistan tarihi, etnografyası, folkloru ve dilbilgisi gibi konulara ilgi gösteren okurlarımızın dikkatini mutlaka çekecektir kanısındayım.

This book comprises the speech patterns, vocabulary and introductory articles of "Chveneburebi" - Georgian people living in the Turkish Republic.

Besides the conversational speech-texts - tales, anecdotes, song-poems, legends and stories about Queen Tamar, Lasha-Giorgi, Giorgi Saakadze and others are also represented in the book. A Part of recordings describes folk remedies, everyday relationships (meals, garments...), economic activity, ritual rites (wedding, funeral, Ashura, Bayram, Kashatoba, Lazaroba, Hidireliasi, Navrozoba, Kvirkoba, Shuamtoba, Memkhlianoba, Mariamoba...). The popular (folk) variants of Koran - the samples of so called "Georgian Vaizi" is of great interest as well.

The book is supplied with the index of Geographical names, personal and thematic indexes, as well as the afterwords in English, Russian and Turkish languages.

The book represents the vast picture of Chveneburebi's spiritual and material lives. It will undoubtedly attract all the readers interested in Georgian history, ethnography, folk-lore and linguistics.

Данная книга содержит образцы речи проживающих в Турецкой Республике грузин ("чвенсбуреби"), словарь и вводные статьи.

Кроме разговорных текстов в ней представлены сказки, анекдоты, стихотворения, песни, легенды, сказания о Царице Тамар, Лаше-Георгии, Георгии Саакадзе и других. Часть записей рассказывает о народных средствах лечения, отражает повседневные бытовые отношения (прием пищи, одежда, обувь...), хозяйственную деятельность, обрядовые ритуалы (свадьбы, похороны, ашура, байрам, кашатоба, хидирелиас, наврозоба, квиркоба, шуамтоба, мемхлианоба, мариамоба...). Вызывают интерес народные варианты Корана - образцы так называемого "грузинского Ваиза". Часть слов, представленных в словаре, не употребляется в современном грузинском литературном языке, не смотря на то, что большинство из них исконно грузинского происхождения.

В книге приводятся указатель географических названий, имен, тематический указатель, послесловия на турецком, английском и русском языках.

Книга раскрывает перед нами разнообразную картину духовной и материальной жизни "чвенебуреби". Она непременно привлечет внимание читателя, интересующегося вопросами истории Грузии, этнографии, фольклора, языкознания.

ქართული ანბანი
Gürcü Alfabeti

თურქული ანბანი
Türkçe Alfabeti

ა	A	ტ	T
ბ	B	უ	U
გ	G	ფ	P
დ	D	ქ	K
ე	E	რ	Ğ
ვ	V	ც	Ɔ
ზ	Z	შ	Ş
თ	T	ჩ	Ç
ი	İ	ც	Ts
კ	K	ძ	Dz
ლ	L	წ	Ts
მ	M	ჭ	Ç
ნ	N	ხ	H
ო	O	ჯ	C
პ	P	ჭ	H
ჟ	J	ღ	Y
რ	R	ყ	Ĥ
ს	S		

Aa	ა	Mm	მ
Bb	ბ	Nn	ნ
Cc	ჯ	Oo	ო
Çç	ჩ	Öö	ჭ
Dd	დ	Pp	პ
Ee	ე	Rr	რ
Ff	ფ	Ss	ს
Gg	გ	Şş	შ
Ğğ	ღ	Tt	ტ
Hh	ჰ	Uu	უ
Iı	ი	Üü	ქ
İi	ი	Vv	ვ
Jj	ჟ	Yy	ღ
Kk	კ	Zz	ზ
Ll	ლ		

წინათქმა

„ჩვენებურების ქართული“ (ნიგნი პირველი) იქმნებოდა ხუთი წლის მანძილზე. მასში მოცემულია თურქეთის რესპუბლიკაში მოსახლე ჩვენებურების მეტყველების ნიმუშები, ლექსიკონი და შესავალი წერილები.

თურქეთში მცხოვრები ქართველების (ჩვენებურების) ენაზე დაკვირვება დაიწყო 1989 წლიდან, როცა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძისა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ბესარიონ ჯორბენაძის ინიციატივითა და მხარდაჭერით გადამყდა დამწყო ჩვენებურების (ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და უმუჟაღირი ქართველების) მეტყველების შესწავლა. ამ კეთილშობილური საქმის განხორციელებისათვის ზრუნვა კი შთამაგონეს პროფესორებმა ივანე ქავთარაძემ და ალექსანდრე ღლონტმა.

ბევრ ქალაქსა თუ სოფელში შევხვდი ჩვენებურებს, გავეცანი სხვადასხვა ასაკის, სოციალური მდგომარეობის, რელიგიური შეხედულებისა და განათლების მქონე პირებს. მათგან ჩაინერე ფოლკლორული, ისტორიული, ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დაილექტოლოგიური ტექსტებია. ჩანერისას (ვიწერდი როგორც უმუჟაღოდ ხელით, ისე მაგნიტო და ვიდეოკასეტებზე) ზედმიწევნითაა დაცული მეტყველების ნიუანსები, ამიტომაც, ვფიქრობთ, დიდა მისი ენათმეცნიერული ღირებულება. აქაურთა მეტყველებაში დაცულია ქართული ენის არქაული ვითარება, შენარჩუნებულია ჩვენი ენის განვლილი საფეხურების ცოცხალი სურათი. ამასთანავე, იგი მდიდარ მასალას იძლევა ენათა კონტაქტების, კერძოდ, ქართული და თურქული ენების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის საფუძველზე წარმოჩენილი საკითხების მეცნიერული კვლევისათვის.

დღემდე ვიცნობდი მხოლოდ იმერხელ მეტყველებას ნიკო მარის ჩანაწერებით, რომელიც მეცნიერმა აქ შეაგროვა 1904 წლის ზაფხულში მოგზაურობის დროს. ნიკო მარის შემდეგ იმერხეში (საერთოდ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში) ქართველ ენათმეცნიერს ფეხი აღარ დაუდგამს. ისტორიული ლივანის, ტაოსა და ზედა მაჭახლის (მიჭხიანის) ქართულის შესახებ კი აქამდე არაფერი ვიცოდით. ისტორიკოს, არქეოლოგ მკვლევარებსა და მოგზაურებს (გიორგი ყაზბეგი, პრასკოვია უვაროვა, ექვთიმე თაყაიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე...) მეტყველების ნიმუშები არ ჩაუწერიათ. „ჩვენებურების ქართული“ ამ მხარის ხალხური მეტყველების ნიმუშებს პირველად სთავაზობს ქართველ მიკითხველს.

ჩვენებურების ქართულის ნიმუშების შეგროვების რთულ საქმეში უანგარო დახმარებისათვის გულითად მადლობას ვუხდით თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს, ჩემს ნათესაებებსა და ახლობლებს — მეჰმედ, შემსედი, აჰმედ ოზბეგებს (თავდგირიძეებს), ჯემალ არიქს (ცეცხლაძეს), დურსუნ ოზდილს (გოგოტიძეს), ნეზამეთინ ბაირახტარს (ფუტყარაძეს), ოსმან ახისხალოღლუს (გოჩიტაძეს), მეჰმედ-ემინ ქაიას (მაკარაძეს), საბაეთინ, მეჰმედ, ნური ბამთურქებს (ვახტანგიძეებს), აჰმედ შენს (აბულაძეს), პუსენი თურხას (შარაშიძეს), სიმონ ზაზას (ზაზაძეს), ბასრი იაგუს (ფუტყარაძეს), მეჰმედ-ალი ქაიას (ფუტყარაძეს), ქემალ შაჰინს (მესხაძეს), დურსუნ იენილმაზს (ხევრაძეს), ოსმან ეროლს (ხევრაძეს), ისმაილ ქარას (შავიშვილს), შაირი შაირიოღლუს (ვახტანგ მალაყაძეს), რაფეთ აიდოლანს (ბასილაძეს), ხასან და მეჰმედ ბაირამოღლუს (ფუტყარაძეებს), რამაზან ქერჩიჯის, მეველუდ აიდინს (ღაღანიძეს), მუსტაფა იენიდუნის, სინან დურმაზს, ნურეთინ იშლის...

ჩვენი საქმიანობისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებისა და უანგარო

დახმარებისათვის მადლობას მოვასხენებთ აგრეთვე პროფესორ გურამ შარაძეს, ვისთან ერთადაც სამჯერ ვიმოგზაურეთ ჩვენებურებით დასახლებულ რეგიონებში.

დიდად მადლობელი ვართ თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა, რომელთა მხარდაჭერითა და ნდობით შესაძლებელი გახდა ჩვენებურებით დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში შესვლა და მათთან მეცნიერული მუშაობა.

მოგზაურობისას და ხალხური მასალების შეგროვებისას თანმხლები სიძნელების დაძლევაში სულის სიმტკიცესა და მხნეობას: მანიჭებდნენ ჩვენი დიდი წინაპრების — გრიგოლ ხანძთელის, მტბევაერების, ოპიზარების, იშხნელების, ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილის... ნათელი აჩრდილები. მათ ნაკვალევზე სიარული ბევრს მავალედა...

ხუთი წლის მანძილზე სათუთად ნაგროვები ხალხური მარგალიტები, ოპიზარებისა და ოშკელების შთამომავალთა ბაგებზე დაკრული ქართული სიტყვები დღეს მზის სინათლეზე გამოდის, დედასამშობლოში თვალს ახელს პირველად. ამ წინაპრ ოცნებას ცის კარი გაუღო, ფრთები შეასხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, პირადად მისმა მეთაურმა ბატონმა ასლან აბაშიძემ, რომლის მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით გამოიცა ეს წიგნი. უღრმესი მადლობა მას ამ დიდი მამულიშვილური საქმისათვის.

წიგნზე მუშაობის დროს ყოველდღიურ მზრუნველობასა და დახმარებას არ გვაკლებდა ბათუმის უნივერსიტეტის რექტორატი, უშუალოდ კი რექტორი ბატონი აზიზ ახვლედიანი, რომელმაც ყურადღებით ნაიკითხა მთელი ტექსტი და წიგნის რედაქტორობა ითავა. მისი რჩევა და საგულისხმო შენიშვნები სწორ მიმართულებას აძლევდა ჩვენს მუშაობას, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

ძველი ქართული ანდაზა ამბობს: „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“. თურქეთი და საქართველო კარის მეზობლები არიან. საუკუნეთა განმავლობაში ახლო მეზობლური თანაცხოვრების საფუძველზე — პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირთა თვითობების შედეგად — ეს ორი ქვეყანა საკმაოდ დაუახლოვდა ერთმანეთს. ამას დავმატა ახლო წარსულში მოსახლეობის მიგრაცია, განსაკუთრებით, ე. წ. მუჰაჯირობის დროს, რამაც ნათესაური ურთიერთობის ძაფები გააბა ამ ქვეყნების ხალხთა შორის. დღესდღეობით თურქეთის მილიონობით მოქალაქეს, წარმომოებით ქართველს, ღვიძლი ნათესავი ჰყავს ჩვენს სამშობლოში. ეს კეთილმეზობლური დამოკიდებულება და ნათესაობა კიდევ უფრო გააცხოველა სარფის კარის გახსნამ. ამიტომაც, მართლაც, თვალის სინათლესავით აუცილებელია საქართველოსა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობა. „ჩვენებურების ქართული“ ძველი ქართული ანდაზის სიბრძნეს მისდევს, ამ ორ ქვეყანას შორის ჭეშმარიტი მეგობრობის განმტკიცებას ემსახურება.

„ჩვენებურების ქართული“ დანერილია წიგნში წარმოდგენილი მხარეებისა და იქ მოსასლუ ადამიანების ჭეშმარიტი სიყვარულით. სიყვარული კი მძლეთამძლეა. გვეყრა, იგი თავის მიზანს მიაღწევს, მკითხველის გულს დაისაკუთრებს.

აპტოკრი
7 ოქტომბერი, 1993 წელი, ბათუმი



მუჰაჯირი ქართველები (ჩვენებურები)

სიტყვა „მუჰაჯირი“ (არ. muhajir) არაბულია და ქართულად ნიშნავს ემიგრანტს, გადახვეწილს, სამშობლოდან წასულს. გამოთქმა „მუჰაჯირი ქართველი“ ჩვენს ენაში მკვიდრდება მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოდან თურქეთში საცხოვრებლად გადასახლებული ქართველების აღსანიშნავად. თვით მუჰაჯირი ქართველები კი თავისიანებს „ჩვენებურებს“ ეძახიან. თურქეთში ერთხანს ჟურნალიც უკამოდიოდა ასეთი სახელწოდებით (იხ. ჟურნალი „ჩვენებური“. 1977-79 წლებში დაიბეჭდა რამდენიმე ნომერი თურქულ ენაზე. ახლახან განახლდა მისი გამოცემა).

მუჰაჯირობას საკმაოდ რთული ისტორია აქვს. პირველად იგი დაიწყო მესხეთში 1828--29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, როცა მესხეთი დაუბრუნდა საქართველოს. მუჰაჯირობამ ფართო ხასიათი მიიღო 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მომდევნო წლებში. როგორც ცნობილია, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ადრე ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მყოფ გამუსლიმანებულ მოსახლეობას მიეცა არჩევანის უფლება -- შეეძლო მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა, შეეძლო ოსმალეთში გადასახლებულიყო. რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1879 წლის 27 იანვარს სტამბულში დადებული ტრაქტატის თანახმად მუჰაჯირობის ოფიციალური ვადაც კი იქნა დაწესებული -- 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე, თუმცა გადასახლების დრო შემდეგ 1884 წლამდე იქნა გაგრძელებული (10,41). ეს პროცესი მომდევნო წლებშიც არ შეწყვეტილა. ფაქტიურად იგი სპონტანურად ხდებოდა 1921 წლამდე.

მუჰაჯირობა ქართველი ხალხის ისტორიაში იყო ერთ-ერთი უძველესი ტრაგედია. არც ერთ შემოსევას, არც ერთ ბარბაროს დამპყრობელს არ მიუყენებია იმოდენა ზარალი ისტორიული ზემო ქართლის (სამცხე-საათაბაგოს) კუთხეებისათვის, რაც მუჰაჯირობამ მოუტანა. ძირძველი ქართული მინა დაიცალა მოსახლეობისაგან. თითქმის დაცარიელდა კოლა, არტანუჯი, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა, მურღული, მაჭახელი, ტაო, აჭარა, ქობულეთი. დაცარიელებულ სოფლებში გაჩანავდა მეურნეობა, ბევრი სოფლის სახსენებელი სამუდამოდ წაიშალა. საარქივო ცნობები გვატყობინებენ, რომ 1879 წლის გასახლების შემდეგ ქობულეთში ორი ათასი მცხოვრებიდან ხუთასამდე დარჩა, ხოლო მახლობელი სოფლები სრულიად გავერანდა და გაპარტახდა (10,48). იყო სოფლები, სადაც არც ერთი სული აღარ დარჩენილიყო. მაგ. კვირიკე ქობულეთში, არსენაული ქედამი, ერეგუნა -- მურღულში...

მუჰაჯირობის შედეგად გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობები არ არის შემონახული. 1891-1893 წლებში ამ დაზარალებულ მხარეებში მოგზაურობის დროს სამშობლოდან გადახვეწილთა რაოდენობის შესახებ ცნობებს აკრებდა ცნობილი მახოვადო მოლვანე ზ. ჭიჭინაძე. ამ ცნობების მიხედვით არ არის სოფელი, საიდანაც წასული არ იყოს 5-10 კომლი მაინც, მოზრდილი სოფლებიდან კი 40-50-100 კომლი, მაგ. აღამბრიდან წასულა ასი კომლი, ხუცუბნიდან და წყაეროკიდან -- ორმოცდაათ-ორმოცდაათი კომლი, დაბა ჩაქვიდან -- ორმოცი კომლი. საერთოდ ქობულეთიდან გადასახლებულთა შვიდიასა კომლზე მეტი. მერისის თემში შვიდასი კომლი ყოფილა, აქედან ექვსასი კომლი გადასახლებულა და მხოლოდ ასი კომლი დარჩენილა. ზედა და ქვედა აჭარას ამ წლებში დასუკარგავს ოთხი ათას კომლზე მეტი. ზ. ჭიჭინაძეს გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ ცნობები მიუღია აგრეთვე ბათუმის მუფთის პახან ეფენდი გვერდამისაგან, რომლის მიხედვით ოსმალეთში წასულთა საერთო

რაოდენობა მილიონამდე ყოფილა.

საქართველოდან ოსმალეთში გადახვენილ ქართველთა შესახებ 1920 წელს გარკვეულ ცნობებს გვანდის იტალიელი ევგენი დალეჯიო დალესიო თავის წიგნში „ქართველები კონსტანტინეპოლში“, სადაც ვკითხულობთ: „დიდძალი ქართველი მუსულმანები სცხოვრობენ ოსმალეთში. ოსმალეთის ქართველი მუსულმანების უმრავლესობა 1877-1878 წ. ომის დროს გადმოიხვნა ბათომის და მის მოსაზღვრე ოლქებიდან, რომელთა რიცხვს მიემატა ელანდელ დიდი ომის დროის ლტოლვილებიც.“

ტრაპიზონის ბერძენთა კომიტეტის აღწერილობით პონტის ფარგლებში სულ უკანასკნელი 53.380 ქართველი იქნება. სხვა აღწერილობით კი, სამსუნის და თოქათის მაზრებითურთ, ქართველებს მოშენებული აქვთ 64 ქალაქი თუ სოფელი. ვარაუდით ქართველების რიცხვი აყავათ 140.000-მდე, რასაკვირველია, აქ არ გულისხმობენ ჭანებს (მეგბრელებს). ამის გარდა, ერთი მოზრდილი ნაწილი ქართველ მუსულმანებისა ცხოვრობენ კონსტანტინეპოლში და ამის ახლოს, აღმოსავლეთ-სამხრეთით, მარმარას ზღვაზე, იზმიითის და ადაფაზარის ოლქებში, სამხრეთით — ბურსაში. ქართველთა სოფლებს კილიკიაში პალეპის გზაზედაც შეხვდებით.

ამათი რიცხვი რომ მიეუმართო შავი ზღვის ნაპირა მაზრებში მცხოვრებ ქართველ მაჰმადანთა რიცხვს, სამასიდან ოთხას ათასამდე ავა. ბერძენ-ქემალისტების დღევანდელ ომის დროს, იზმიითის და ადაფაზარის ოლქებიდან, მოზრდილიზაციით განეუულთ გარდა, 7.000 თავისუფალი ქართველი მეომარია გამოსული“ (4, 12).

სამშობლოდან გადახვენილთა რიცხვი უფრო დიდი იქნებოდა, მაგრამ წასასვლელად გამზადებულ მოსახლეობაზე დადებითი ზეგავლენა მოუხდენიათ აქაურ პროგრესულად მოაზროვნე სასულიერო პირებსა და ბეგებს. მათ შორის აღსანიშნავია: ქედის მუფთი ახმედ-ეფენდი ხალიფაშვილი, დაბა ხულოს ყადი-ნური ეფენდი ბერიძე, მუფთი ლომან-ეფენდი ქარცივაძე (სტამბულიში ფადიშაჰის კარის მასწავლებელი), ზუსეინ-ბეგ აბაშიძე, ნური-ბეგ ხიმშიაშვილი, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, თეფფიყ-ბეგ ათაბაგი, ღურსუნ-ბეგ თავდგირიძე, თუფან-ბეგ შერვაშიძე, ახმედ-ეფენდი ხალვაში (მარადიდიდან)..

მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში აჭარის მოსახლეობას ჭეშმარიტ წინამძღოლად და ერთგულ ქომაგად მოეცილინა მემედ-ბეგ აბაშიძე. მან თავისი მამულიშვილური საქმიანობითა და დაუღალავი კალმით შექმო რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის ტყვეობაში მოქცეული თანამოძმეების სწორ სამომავლო გზაზე გაყვანა, მათში ეროვნული თვითმეგნების გაღვივება. განუზომელია მემედ-ბეგ აბაშიძის როლი პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში აჭარიდან თურქეთის შიდა პროვინციებში გადასახლებლად განწყობილი მოსახლეობის დაწყენარების, მშობლიურ მიწაზე სამუდამოდ დამკვიდრების საქმეში. მას დიდება და კარიერა, სხვა გვარის დიდებულებისაგან განსხვავებით, უნებ ქვეყნებში არ უქებნია, თავის ხალხში ტრიალებდა და მშობელი მინის სიყვარულში ხედავდა ნამდვილ ბედნიერებას.

მამინდელი ცხოვრების მძიმე პირობებით სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი აჭარის მოსახლეობა, უმწეო ცხვრის ფარას დამსგავსებული (იხ. საბათეტინ ბაშთურქის მონათხრობი), თავის წინამძღოლს კვალში მიჰყვებოდა. ამ წინამძღოლს კი აჭარა დედის კალთიდან „საუკუნოებით მონყვეტილ ყვავილად“ ესახებოდა და სჯეროდა, რომ ამ ყვავილას, მხოლოდ დედისაქართველოს მეკრძზე მჭიდროდ მიკრულს, შეეძლო სიცოცხლე და დაფესვიანება (1, 14).

ამ კეთილშობილურ საქმიანობაში მემედ-ბეგ აბაშიძეს ჰყავდა შესანიშნავი წინამორბედები და თანამოაზრეები. კერძოდ: გაზეთ „დროებაში“ (1879 წ. 11 ოქტომბერი) დაბეჭდილია ანონიმი ავტორის „ნერილი აჭარიდამ“, რომელიც მოგვითხრობს ლომან ეფენდი ქარცივაძის დიდ მამულიშვილურ საქმიანობაზე: „ზემო აჭარაში გამოჩინებულ პირთა რიცხვში ითვლება ლომან ეფენდი, დიდი ჭკვიანი, ნასწავლი კაცი და დიდი

გავლენისა ხალხში. აჭარლებმა რომ გაგზავნეს ოსმალეთში აღმორჩეულნი პირნი დასაზვერავათ მათთვის ადგილებისა, ეს ლომან ეფენდი აღმორჩეულთ პირთ რიცხვში გახლდათ. დაბრუნდა რა მოგზაურობიდან, აი, რა სიტყვები წარმოსთქვა თურმე ყრილობაში (ყრილობა გამართულა ქედაში, რომელსაც დასწრებია მთელი აჭარის წარმომადგენლობა): „ბევრი ადგილი დავიარე, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთანა (აჭარისთანა) შემკობილი და საჩვენო ვერსად ვერა ვნახე-რა. ამას გარდა, ნამდვილი მაჰმადიანობა ჩვენში დარჩენილა, რჯული ჩვენისთანათ სუფთათ და წმინდათ არავის უჭირავს სახონთქრეში... ამის გამო არ გირჩევთ გადასახლებას“. ლომან ეფენდის სიტყვებს ჩაუფიქრებია ხალხი და ბევრი მათგანი, ნასასულელად გამზადებული, თავის სახლ-კარს აღარ მომორებია.

გულგატეხილ მოსახლეობას ანუგეშებდნენ, მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ აგრეთვე ქართველი ხალხის მონინავე შეილები — ი. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, გრ. გურიელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, თ. სახოკია, ნ. მეფისაშვილი (ზემო აჭარის მავზრის უფროსი) და სხვ.

საეკონომიკურ ლიტერატურაში კარგად არის შეფასებული მუჰაჯირობის ისტორია, მისი გამომწვევი მიზეზები, რომელთა შორის უმთავრესად მიჩნეულია: 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ამ მხარის მოსახლეობისათვის შექმნილი უმძიმესი ეკონომიური და სოციალური პირობები, ახლადმყოფრთებულ მხარეში რუს ხელისუფალთა მმართველობის ბარბაროსული ფორმები და გამუსლიმანებული მოსახლეობის რელიგიური ფანატიზმი (10, 2). მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ ამ საკითხის ზოგიერთ მხარეზე.

მკვლევართა ერთი ნაწილი რელიგიური ფანატიზმის როლს აზვიადებს მუჰაჯირობის დაწყებაში. მაგრამ ილ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი მუჰაჯირობის ძირითად მიზეზად სამართლიანად მიიჩნევენ ცხოვრების აუტანელ პირობებს, მმართველი წრეების ბარბაროსულ დამოკიდებულებას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. მათი აზრით, ამ საქმეში რელიგიური ფანატიზმი შედარებით ნაკლებ როლს თამაშობდა. ამ მხრივ საინტერესოა გრ. ორბელიანის წერილი სვიატოპოლსკ-მირსკისადმი, რომელიც იყო კავკასიის არმიის მთავარსარდლის უფროსის მოადგილე: „აჭარიდან და ყარსიდან გრძელდება ოსმალეთში გადასახლება. რას მივანეროთ ეს მოვლენა — სხვა მორწმუნეთა გაქცევა რუსეთის თვითმპყრობელობისაგან. ყირიში დაცარიელდა, ჩერქეზები ორასი ათასზე მეტი გადასახლდნენ ყუბანიდან, აფხაზეთი დარჩა მოსახლეობის გარეშე. ახლა ყარსისა და აჭარის მოსახლეობა გარისს ჩვენგან, როგორც ჭირისაგან. ნუთუ ყოველივე ეს ფანატიზმით აიხსნება?... ადამიანი რა რელიგიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, უპირველეს ყოვლისა, ეძებს დამშვიდებულ, წყნარ ცხოვრებას... და ემორჩილება სამართლიან კანონებს, რა ენახეც არ უნდა იყოს დაწერილი იგი“ (10, 79). მართლაც, მოსახლეობას კარგი პირობები რომ ჰქონოდა რუსეთის მმართველობის დამკვიდრების პირველივე დღეებიდანვე, ვერავინ შეძლებდა მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლებას. მაგრამ, საუბედუროდ, მმართველი წრეები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მოსახლეობის გადასახლებას. ასეთ საქმიანობას შორსგამიზნული პოლიტიკა ედო საფუძვლად. ეს კარგად ჩანს ბათუმის სამხედრო გუბერნატორისადმი სვიატოპოლსკ-მირსკის მიმართვიდან, სადაც ვკითხულობთ: „ბათუმის ოლქის მიღებით რუსეთმა მიიღო ბუნებრივი სიმაგრე კავკასიის საზღვრების ყველაზე უფრო საშიშ კუთხეში, რომელსაც ჰყავს მებრძოლი და ნახევრად დაუმორჩილებელი მოსახლეობა, ხალხი, რომელიც თურქეთთანაა დაკავშირებული რელიგიით, ამიტომ იგი საშიშ ელემენტს წარმოადგენს ციხის შიგნით და მისი იქ ყოფნა შეუძლებელია... ადგილობრივი მოსახლეობა უნდა მოვიცილოთ“ (10, 30). იგი აშკარად მოითხოვდა ამ ხალხის ასიმილაციას ან გასახლებას. მაგრამ ასეთი მიდგომა ბევრი, უფრო

პროგრესულად მოაზროვნე, რუსი მოხელის გაკვირვებას იწვევდა, რადგან გასახლების შემთხვევაში „რუსეთი დაქარგავდა ოც-ოცდაათ ათას ადამიანს, ხოლო ეს ბრძოლებში გამოცდილი ხალხი ადგილზე თუ დარჩებოდა, სამედო დასაყრდენი იქნებოდა რუსეთის საზღვრებზე, რომელსაც ისინი დაცვავენ, როგორც თავის მშობლიურ მიწას“ (8, 131). გარდა ამისა, მუჰაჯირობას ხელს უწყობდნენ, მოსახლეობას აქეზებდნენ და აბნერებდნენ სხვებიც, კერძოდ: ბათუმის სამხედრო გუბერნატორი გენერალი კომაროვი, გენერალი სტეფანოვი და მრავალი სხვა.

ახლადშემოერთებულ რაიონებში მეფის მთავრობამ მამინვე შემოიღო ახალი გადასახადები და საჩქაროდ დაიწყო მისი აკრეფა. ნ. ნიკოლაძე ხალხის აღშფოთების ერთ-ერთ მიზეზად ამას თვლის: „ხალხმა ვერც კი მოასწრო ომის უბედურებისა და დარბევისაგან თავის დაღწევა, რომ მათგან გადასახადი აიღეს ექვსიდან ათ მანეთამდე და ამავე დროს მისი აკრეფისათვის ყველაზე უხემ მეთოდებს იყენებდნენ...“ (5).

ილ. ჭავჭავაძე წერს: „შინაური მიმობილა“ გვიხატავს აჭარისა და ქობულეთის სიდუხჭირის რეალურ სურათს: „აქარა და ქობულეთი... ომის მოედნად ქანდა ბდმა. აქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალოსი. ჯარების დგომა, ნამეტნავად ერთი ერთმანეთზედ სამტროდ გალაშქრებულებისა, რასაკვირველია, კვილის არ დააყრიდა ხალხს საზოგადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთრივ, რომლის მამულშიაც ჯარები იდგა და რომლის ბედი წინადადე არევი იყოდა, ვის ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტომაც აშკარაა, რომ არც რუსი გაუფრთხილებოდა ხალხის სიკეთესა და არც ოსმალო, არც რუსი მოიქცეოდა გულმტყინეულად და არც თათარი... საცოდობა მიადგა აქარასა და ქობულეთის ომის გამო. აოსნება ტყეებისა და მინდვრებისა, წვა და ბუგვა სოფლებისა, დანოიკება ხალხისა, გადახვეწა ზარ-დაცემულთა მცხოვრებთა, ამის გამო წარამარად დაღუპვა ხალხის ქონებისა, რომლის წაღებაც თან არ შეიძლებოდა, უხველ-უთესავად დარჩობა, ბოლოს სიკვდილი და სისხლის ღვრა-სისენი სულ იმისთანა თვისების უბედურებაა, რომელიც დიდხანს გასწევს და დიდხანს იქნება საგრძნობელი“ (15, 467). ამ ამბით შეწუხებული ილია მოუწოდებდა მთავრობასა და ქართველ ხალხს, დახმარების ხელი გაეწოდებინათ უნუგემო მდგომარეობაში ჩავარდნილი მოძმეებისათვის: „ქართველობაც... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთინ დაქარგული იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ. შევენიგეთ, რითაც შეგვიტლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით... ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ერთმანეთის შველა და გატანა — უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის... რომ ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს... ღარიბნი ვართო, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მართო ღარიბმა იცის, რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირებაში“ (15, 462). საუბედუროდ, ამაო იყო დიდი ილიას მონოღება. საქართველო მამინ ჯერ კიდევ არ იყო სულიერად და ფიზიკურად ისე მოძღვარებული, რომ ერისკაცის ამ მონოღებისათვის ჯეროვნად მოესმინა და გულთან მიეტანა, ლუკმა გაეყო მოძმისათვის. ცხადია, გროვდებოდა შემონირულობანი პროდუქტისა და ფულის სახით, მაგრამ, ჯერ ერთი, ზღვაში წვეთის ტოლა იყო. „იგი არ იყო იმდენად საგრძნობი, რომ ხალხის ნაწილს ხელი აეღო თავის გადაწყვეტილებაზე და უარი ეთქვა გადასახლებაზე“ (10, 75). მეორეც, ხშირად დროულად და უდანაქარგოდ ვერ აღწევდა და დახმარება მოსახლეობამდე. ახლადშემოერთებულ ხალხს უფრო მეტი სითბო და სიყვარული სჭირდებოდა დედასაქართველოსაგან, უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვდა უმწურო მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი, თვითგამორკვევის უნარს მოკლებული, ათასი ჯურის მტრის ქადაგებით გონებადაბნეული.

სამართლიანად წერდა ს. მესხი ქართველთა გულგრილობის შესახებ: „ყველას ახსოვს ის ალტაცება, ის სიხარული და კმაყოფილება, რომელიც ამ დაქარგული ძმების პოვნამ აღძრა ჩვენში... გავიდა ხანი, ბევრი გაჭირება, შიმშილი, წყურვილი, სიტყვილე, სიცივე

გამოცადეს ჩვენმა მოძეგებმა. ბევრმა მათგანმა მიატოვა თავისი მამა-პაპეული ადგილი, მამული... ბევრიც გადაიხვეწნენ ოსმალეთში. ჩვენ ამ დროს კი ვერ დავეხმარეთ, როგორც საჭირო იყო... პირველი ალტაცების შემდეგ ჩვენ დაგვაინყდა... კაცობრიული მოვალეობა ჩვენი მოძეგების მიხედვით, რომ ამ ნაპოვნი ძმას მოვლა-პატრონობა, გზის ჩვენება, ჩვენი თავის გაცნობა და შეყვარება უნდა... თითქმის არც ერთი ფაქტით, არცერთის სახსრით და ჩვენი მოქმედებით ჯერ არ დაგვიმტკიცებია ამ ხალხისათვის, რომ ჩვენ ამათთვის ბედნიერება და სიკეთე გვსურს, რომ ჩვენ ნამდვილ ძმებათ მიგვაჩნია იგინი და ვზრუნავთ მათთვის... ამის შემდეგ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ისინი მიდიან ოსმალეთში, სადაც საქმით თუ ვერ უსრულდებიან, სიტყვით მაინც პპირდებიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ხელის გამართვას და დახმარებასა. ამაზე ყველა ქართველმა უნდა იფიქროს, რომ ნაპოვნი ძმა ხელახლა არ დაგვეკარგოს" (6).

მართალია, „დროება“, „ივერია“ ხშირად წერდა დაბრუნებული ძმების გასაჭირზე, მაგრამ ეს ბევრს ვერაფერს შველოდა საქმეს, რადგან მოსახლეობამდე ნაკლებად აღწევდა ამ გაზოტებში გამოტყეული აზრი. ჯერ ერთი, ქართული წერა-კითხვის მცოდნე აქაურ სოფლებში სანთლით საძებარი იყო და მეორეც, მოსახლეობისათვის თითქმის მიუწვდომელი იყო მაშინდელი პრესა.

ახლადშემოერთებული ხალხი თანამოძეგებისაგან უფრო მეტ ყურადღებასა და სითბოს საჭიროებდა. ამ მძიმე ჟამს არც ერთ საზოგადო მოღვაწეს ფეხი არ შეუდგამს აქაურ სოფლებში და სანუგეშო სიტყვა არ უთქვამს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხალხისათვის. სამართლიანად შენიშნავდა ექვთ. თაყაიშვილი ამ დროის მონინავე ადამიანების საქმიანობის ერთ მთავარ ნაკლებზე: „არაგინ დამოგზაურობდა და არც იცოდნენ, თუ რა ვითარება იყო საქართველოს სამხრეთ მხარეებში, ნახარზე რომ ათასი ჯურის გადამთიელი სახლდებოდა... რომ გვეკითხათ, ყველა გეტყოდათ, დიდი პატრიოტები ვართო, მაგრამ გოლოვინის პროსპექტსა (ახლანდელი რუსთაველის გამზირი) და ქუთაისის ბულვარს იქით ფეხს არ გადაადგამდნენ. ხალხს კი მოვლა უნდოდა. ამისთანებში სომხები გვეჯობიანდნენ, პატრიოტობში მათ ყოველთვის პრაქტიკულ საქმიანობაში უპირატესი უნდა გამოხატულიყო და ბევრ რამესაც მიადნის" (7, 436. 11).

მართლაც, ისტორიული ტაო-კლარჯეთი თითქმის ორმოც წელზე მეტ ხანს (1878-1921) საქართველოს ფარგლებში იყო დაბრუნებული და ამ დროის განმავლობაში თითქმის არც ერთ დიდ მწერალსა თუ პოეტს არ მოუწადინებია სტუმრებოდა ძირძველ ქართულ მიწას, გაველო ხანძთელის ნაევალებზე, სანუგეშო სიტყვა ეთქვა ათასჭირვარამ გამოვლილი ქართველებისათვის და როგორც ვხვრუნა აქ ქართული სულის აღორძინებისათვის, ქართული სკოლების გახსნისათვის.

ამ მხარეში სტუმრად ყოფილა დიდი მგოსანი ვეა-ფეშაველა. იგი წერდა: „პირადად დამივილია აჭარა, ქობულეთი, კლარჯეთი, ტაო — დიდებული მესხეთი, ჩვენი დღევანდელი ძვირფასი სამუსლიმანო საქართველო" (14). აქ იგი ჩასულა თუმცა და ხევსურ მეცხვარეებს შორის ნამოყრელი სადგომი საკითხების მოგვარების მიზნით. აღსანიშნავია ისიც, რომ თუმცა-ფეშაველა-ხევსურ მეცხვარეებს საუკუნეთა განმავლობაში აქაურ საძოვრებზე დაჰყავდათ ფარა. კლარჯეთში, კერძოდ, შავშეთში, ერთ დასახლებულ პუნქტს დღესაც ჰქვია ხანთუმეთი — თუმების სამყოფი, ქარვასლა.

წერი-ბეგ ხიმშიაშვილი კი არაერთგზის წერდა წერილებს (1883 წ.) ილია ჭავჭავაძეს და მოითხოვდა შვეშეთში წერა-კითხვის საზოგადოების ხაზით სკოლის გახსნას, რომ „იქა მცხოვრებთა მიხედვით საშუალება აღზარდონ შვილები და ასწავლონ მათ ჩვენი დედა-ენა... რაც შეეხება სახლსა სკოლისათვის და მასწავლებლისათვის, მე მივცემ მუქტათ სადგომს და მის მონყობილობას და ვალად ვიდებ შევეკრიბო ყმანელები რიცხვით 60-80... მათ შორის ღარიბებს და ობლებს მე თვითონ მივცემ სარჩოს" (9, 152). ამასვე ითხოვდა ართვინიდან მაზრის უფროსი ნიკო ერისთავი 1907 წელს (17).

მაგრამ თხოვნა თხოვნად დარჩა.

ჯერ კიდევ 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე, ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და აჭარის დაბრუნებამდე, ილია ჭავჭავაძე ნერილში „ოსმალოს საქართველო“ წერდა: „არ გვაშინებს ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მამამდიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევეუერთდეთ, ერთმანეთი ვიმოთ და ქართველი, ჩვენდა სასიქადლოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თავის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი... და თუ ამისთვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა“ (14, 20).

დაკარგული ძმების დასაბრუნებლად სისხლი მართლაც დაიღვარა მალე, მართლაც მოვიდა ის ბედნიერი დღე, რომელმაც ძმა ძმას შეაერთა, დედასაქართველოს დაუბრუნა თავისი ღვიძლი შვილი; დაუბრუნა ის მიწა, რომელსაც დიდი ილია ასე ახასიათებდა: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უქექუნია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ ალუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამებებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთს დროსა“ (14, 9).

დაბრუნებულ მიწა-წყალზე ცხოვრება ისე არ წარიმართა, როგორც ამაზე დიდი ილია ოცნობობდა. ქართველი ხალხი მთლიანად როდი იყო ამაღლებული ამ ერისკაცამდე. ქართველებს შორისაც იყვნენ ვინორ ეროვნულ ნაჭურჭში გამოშწყვედილი კაცუნები. მათ აღმოცენდა დაუნყეს ცქერა მუსლიმან ძმებს. „თათარი“ დაუძახეს იმ ქართველს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში ცხოვრობდა, მაგრამ ყოველთვის „გურჯი“ ერქვა, „თათარი“ ოსმალებსაც კი არ შეურქმევიათ. ამ ხნის განმავლობაში ქართული იყო მისი „ნენეს ენა“... რუს მოხელეებსაც ეს უნდოდათ. გააჩაღეს აგიტაცია-პროპაგანდა: — „თქვენ თათრები ხართ და სათათრეში გადასახლდეთ გორჩევიართო“. ამასვე აკეთებდნენ ოსმალეთის იმპერიის ემისრებიც. ასეთ საქმიანობას მორსგამოიზნული პოლიტიკა ჰკვებავდა. მტერი ცდილობდა საქართველოს დასუსტებას. მათი მთავარი მიზანი იყო ქობულეთ-ბათუმის სანაპიროების დასაკუთრება, აქ პოლიტიკური დასაყრდენის შექმნა. მტერმა თავის სანადელს ამ რეგიონში სულ მალე მიაღწია. ჯერ კიდევ პირველი მუშაჯირობის დროს, 1879 წლისათვის, ქობულეთ-ჩაქვი და ბათუმის გარეუბნები თითქმის დაცალა ძირძველი მოსახლეობისაგან. დაცარიელებულ მიწებზე შემდგომი რუსები, სომხები, ბერძნები დასახლეს, ხოლო საიმპერატორო კარის წარმომადგენლებმა და სახელმწიფო მმართველობის მაღალი ჩინის მოხელეებმა ბრწყინვალე აგარაკები გააჩინეს. აქედან გადახვენილი მკვიდრი მოსახლეობა კი ოსმალეთში ტყეებს ჩეხავდა დაუსახლებელ ადგილებში და ახალ სოფლებს უყრიდა საფუძველს, ანდა იქიდან გადახვენილი რომაელების, ბერძნებისა და სომხების ნასახლარზე ქართულ კერას აჩაღებდა.

ამ ეროვნული ტრაგედიით შექმნილებული ილია ჭავჭავაძე მწარედ კითხულობდა: „ნუთუ ხალხი ჰტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია, მამულს, დედულს, სახლ-კარს, ადგილს, სადაც დაიბადა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა და მიდის სად? ოსმალეთში... ეს დაუჯერებელი ტვინის შემარყევი ამბავი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან: ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო... რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულებამდე, ამ სასონარკვეთილებამდე?... რამ და იმანაო, ამბობენ ყველგან, რომ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია

თურმე ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმადლარი წერილი ჩინოვნეობა... საცა სამსახურიდამ გამოგდებული კაცი იყო, საცა გამოუსადეგი, უხერო, თავზებულალებული იყო, ამ ახალ ქვეყანაში მონებლობა მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხსა? აბა რა მხრით. დანახებენ ისინი რუსის მთავრობასა, რუსის მმართველობასა?... მთავრობა მთავრობა კი არ არის, ნენვა-გლეჯაა, ზედ მისევაა, თავზარია ხალხისათვის. ამის შემდეგ ნულარ პუკრობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-მამეული ბინილამ აყრისა და გარდახვენისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგ ისტორიკოსი განციფრდეს, ჩვენ კი ეს გულისტყვილით შევნიშნო (15, 470).

აჭარის მცხოვრებთა ერთი ნაწილის უცხოეთში გახიზნვა იძულებით ხდებოდა. მეფის მთავრობის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები მმართველობის ბარბაროსული ფორმებით სარგებლობდნენ, რასაც ვერ ეგუებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. ასე გრძელდებოდა წლობით... ომებით, არეულობით, შიმშილით განანამები მოსახლეობა სიცოცხლის გადასარჩენად იძულებული იყო უცხოეთის გზას გასდგომოდა. მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა პირველი იმპერიალისტური ომის დროს. აი, რას წერს მემედ-ბეგ აბაშიძე: „დიდი ტანჯვა-ვაება უცდია ჩვენს ხალხს. დიდხანს უბატონებიათ ჩვენზე უცხოელებს. დიდი შეურაცხყოფა, დიდი წვალება მოუყენებიათ მათ ჩვენთვის... 1915 წელს ლიახოვები და გუბსკები ცეცხლითა და მახვილით შემოგვესიენ, ჩვენი ქვეყნიდან გადაგვრეკეს, ჩვენი ძმები ზოგი ჩამოახრჩვეს და ზოგსაც უცხოეთში აღმოხდა სული.“

თვითმყრობელობას გადაწყვეტილი ჰქონდა საესებით გავენადგურებინეთ, საესებით ავეყარეთ ჩვენი საყვარელი მინა-წყლიდან და ჩვენს სამოსახლოზე კაზაკები ჩამოესახლებინა“ (1, 34).

აჭარის მოსახლეობას ამ პერიოდში უაღრესად მძიმე პირობებში უხდებოდა სიცოცხლის შენარჩუნება. მემედ-ბეგ აბაშიძის წერილებში ვკითხულობთ: „შემოგვესიენ დენიკინელები, ფაშების აგენტები და არავითარ სამუალებას არ ზოგავენ, რომ ხალხში არე-დარევა შეიტანონ, ცხოვრება აგვიფორიაქონ, შავბნელი დღეები გაგვიმეორონ... ცეცხლსა და მახვილს მისცეს ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ხალხი იძულებული იყო აყრილიყო, მიეტოვებინა თავისი სახლ-კარი, ნამოეკიდა ზურგზე თავისი ბარგი და საშინელ ზამთარში თავისი ცოლ-შვილით უცხოეთში გადახვენილიყო. ბევრს გზაში ამოხდა სული, ბევრი განყდა სიცოცხისა და შიმშილისაგან... უცხო მხარეში გაიჭრა მათი სამარე... ბევრია ასეთი საფლავი ჩვენი განამებული მოძმეების ოსმალებში“ (1, 38).

აჭარის მოსახლეობას მემედ-ბეგ აბაშიძე „ჭირსა შიგან გამაგრება“-ს, მშობელ მინაზე დარჩენას ურჩევდა და მომავალი ნათელი ცხოვრების გზას უჩვენებდა. აი, რას წერდა იგი 1919 წელს: „ჩვენი სამშობლო (აჭარა) ომის შემდეგ კუნძულს წარმოადგენს, რომელსაც ყველა ეპოტინება და მის ჩაყლაპვას ლამობს. ასეთ გაჭირვებულ დროში არავის ვხედავთ მშველელს, გარდა საქართველოსი, რომელიც, როგორც ყოველთვის, უანგაროდ და თავგანწირულად ცდილობს ჩვენი დაღუპვისაგან გადარჩენას... ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა. ჩვენ მტკიცე მუსლიმანები ვართ, მაგრამ მასთან ერთად, ჩვენ ქართველები ვართ, საქართველოს ლეიძლი შვილები. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ გარდა საქართველოსი, ჩვენი ხსნა არ არის. მოიგონეთ, რომ როცა ჩვენ ძმროდით ცეცხლისა და მახვილის ქვეშ, ჩვენი მშველელი იყვნენ მხოლოდ ჩვენი ძმები — ქართველი ქრისტიანები. დაუკვირდით ყველაფერს კარგად და თქვენი გადაწყვეტილება ჩვენი მომავალი ცხოვრების შესახებ ისე გამოიტანეთ. გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ პასუხისმგებელი ისტორიისა და შთამომავლობის წინაშე“ (1, 30).

ქართველი ხალხის მატინანეში ცრემლითა და ოხვრით ჩანერილი მუჰაჯირობის ისტორია დღესაც გულს უკლავს მკითხველს და მწარედ ჩააფიქრებს ჩვენი ქვეყნისათვის

სამუდამოდ დაკარგულ იმ ასეულ ათასობით ქართველის ბედზე (რომელთა რაოდენობა მიახლოებით მაინც, ჩვენდა საუბრალოდ, არავის აღურიცხავს საქართველოში), რომლებიც თვალცრემლიანი განშორდნენ მამულს და აღარ ელირსათ მშობლიური ცის ხილვა.

მაშინდელი ქართული პრესა სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს მუჰაჯირობის შესახებ. განსაკუთრებით ბევრი იბეჭდებოდა „კავკაზ“-ში, „გოლოს“-ში, „დროება“-სა და „ივერია“-ში. ამ გაზეთების ფურცლები მოგვითხრობენ, თუ როგორ მძიმე პირობებში უხდებოდათ მუჰაჯირებს თავიანთი სახლ-კარის დატოვება და უცხოეთში გამგზავრება. თითქმის ჩალის ფასად იყიდებოდა მათი ქონება და მამული; ძნელი საშოვარი იყო ტრანსპორტი. ოსმალეთში გასამგზავრებლად გემს თევობით უტყდიდნენ ბათუმში. ამ ლოდინში ზოგს ფული უთავდებოდა, უკან მიბრუნებაც აღარ შეეძლოთ, სახლ-კარი გაყიდული ჰქონდათ და უმწურო მდგომარეობაში ვარდებოდნენ, მშვიერ-მწყურვალი რჩებოდნენ... ასეთ ვითარებაში თვალცრემლიანი ემშვიდობებოდნენ მუჰაჯირები თავისიანებს, მშობლიურ მინა-წყალს და მიდიოდნენ იქ, სადაც უკეთესი ცხოვრება ეტყლებოდათ. მუჰაჯირთა შთამომავლებში დღესაც ცოცხალია იმ მწარე დღეებში შექმნილი ერთსტროფიანი ლექსი:

**აივღეთ, წიქელი მუჰაჯირათ,
რა ლაქაზი დარაიო,
ჩვენ რომ გემში ჩავეღებოთ,
ჩვენი გული კლარაიო“.**

ოსმალეთის მთავრობამ საქართველოდან (ბათუმისა და ყარსის ოლქები) ლტოლვილი ნახევარ მილიონამდე (სულ მცირე) ქართველი მიიღო. 1879 წლის ბოლოს რუსეთის მთავრობამ, პროგრესული ძალების ზემოქმედებით, გამოსცა ბრძანება მუჰაჯირთა უკან დაბრუნების შესახებ. მობრუნება წლების განმავლობაში ხდებოდა, მაგრამ თითო-ორიოლა თუ ახერხებდა ამას. უსახსრობის გამო ბევრი მსურველი ადგილზევე რჩებოდა. ოფიციალური ცნობით, დაბრუნებულა 15 ათასი აფხაზი. დაბრუნებული ქართველების რაოდენობის შესახებ კი ასეთი ცნობა არ მოგვეპოვება.

თავდაპირველად, ცხადია, დიდ სიდუხჭირეში უხდებოდათ ახალი ცხოვრების დაწყება. „ჩვენ თავზე ნისქეილის ქვა არ დაბრუნებულა მარტო, სხვა ყველაძმერი გადაგვხდა, მუჰაჯირობაში დიდი რეზაბი გავნიეთ, გაჭირვებისგან დღრდით გველენეთ, თვალებზე ცრემლი და ზრუგში ოფლი არ შეგვმრობია ცხოვრებაშიო“, — იგონებენ ღრმად მოხუცი მუჰაჯირები. პირველად გასჭირვებით უცხო ბუნებრივ პირობებთან შეგუება. სშირი ყოფილა ავადმყოფობა და სიკვდილიანობა. ბევრიც გზაშივე დაღუპულა გემით მოგზაურობისას, ზოგიც კატასტროფაში მოჰყოლია ზღვის ლეღვის დროს... პირველ ხანებში ძლიერ ნოსტალგიას შეუჰყრია სამშობლოდან გადახვენილები. ზოგს დედ—მამა დარჩა საქართველოში, ზოგს, ძმა — შვილი, ძმა და ახლო ნათესავ-მეგობარი, ზოგსაც — სატროო. ენატრებოდათ თავისიანების ნახვა, თავიანთ კარ-მიდამოზე თვალის შეველება. მაგრამ მონახულებას ვეღარ ახერხებდნენ ჯერ უსახსრობის გამო, შემდეგ კი თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის განმტკიცების შედეგად. სამშობლოს მხოლოდ სიზმრად ხედავდნენ და ეს იყო მათი ნუგეში. „დღეში რამითიგზობ ჰულიემი ნავალ, მემღექეთმი გადავალ, მევიარ იქავრობასა. ბერჯელ სიზმარმიც ენახულობ... ესეც რომ არ იყოს, რა ეველებდა ინსანსა“, — ამბობენ მუჰაჯირები.

მუჰაჯირ ქართველებს, ჩვენებურებს, დღემდე შეუნახავთ ძველი ქართული ადათ—ნესები, ხალხური სიმღერები, ცეკვები, ზღაპრები და თქმულებები. ამავე დროს შეუქმნიათ ახალიც. ერთ-ერთი ასეთია „ლაღ“:

„ბათუმი და ქედა, რომ დიმიჩა დედა, ლალე...
წვევე, გაესდი ფირალი, დედა დაეტიე ტირალი, ლალე...
მემლექეთის ტრედი, გოგო დამჩა ერთი, ლალეე...
იმიტეხა დერდი, შიმიბრალეფს ღმერთი, ლალეე...
საყვარელი ველარ ენახე, დიმიფინეს ფეხქეეშ მახე,
ლოცვით თები გადავლახე, გამჩენელო, შიმიჩახე“...

ერთ-ერთ ლექს-სიმღერაში ჩვენებურები თავიანთ თავს ადარებენ „შეფრენილ ფუტკარს“. სკა რომ გამრავლდება და ახალი ოჯახი გამოიყოფა, იმაზე იტყვიან, „სკამ მართვე გამოუშვაო“. მართვე (ფუტკრის ახალი ოჯახი) ზოგჯერ წინასწარ გამზადებულ ახალ სკაში არ შედის და სადმე სხვაგან დაიბუდებს, სხვაგან შეფრინდება. აი, ასეთ დედა სკიდან გამოსულ მართვეს (ფუტკარს) ადარებენ თავიანთ თავს, იმ მართვეს (ფუტკარს), რომელსაც გზა დაებნა და სხვა ქვეყანაში შეფრინდა, სხვაგან დაიდო ბინა. ქ. ინეგოლის მცხოვრებმა ქაზიმ უჩარმა (დავითაძემ) ასე მოთხრა: „შეფრენილი ფუტკარი, აჭარიდან გამოქცეული მართვე, ჩვენა ვართ იანი. მოვსულვართ აქა და შამოფრენილვართ, აქ გიგვიკეთებია ბუდიები, აქ მოვფუფულებულვართ, გამოვმცხოვრებულვართ. ჩვენ ძველებსაც ამაზე სიმღერა მუუგონებიან „შეფრენილო ფუტკარო“ (სიმღერა ჩანერილია მაგნიტოკასეტაზე):

„შეფრენილო ფუტკარო, წადი, მაეანს უთხარო:
— შენ ქართველი შეილი ხარ, შეილო, მოდი ჩემთანა...
ერთიც ამდონი ხანია, სულაც არ გიმიხარია...
ჩემი დერდები მგონე, სიმღერები მეგგონე...
შორ დიგვიჩა მემლექეთი, ღმერთო, მეგვე ბერქეთი...
შეფრენილო ფუტკარო, წადი, მაეანს უთხარო:
— შენ ქართველი შეილი ხარ, შეილო, მოდი ჩემთანა...“

საინტერესოა აგრეთვე სიმღერა „თეთრო მამალო“. სიმღერის ტექსტი ალეგორიულია. ჩვენებურები ლექსის შინაარსს ასე ხსნიან: „თეთრი მამალი“ არის სამშობლოზე ფიქრისა და ოცნების ალეგორიული სახე. „ლამაზი ქალი“ კი მუჰაჯირთა შთამომავლების სიმბოლოა... დრო გასულა სამშობლოდან გადმოხვეწის შემდეგ, ჩვენებურები შეგუებიან ბედის ტრიალს, აღარ ფიქრობენ მემლექეთში დაბრუნებაზე, ამიტომაც აღარ ყვივის თეთრი მამალი. ადრე თუ მუჰაჯირი ქალები, თვალბში ცრემლებჩამდგარი, იგონებდნენ გურჯისტანს, ახლანდელი ქალები აღარ ტირიან, ახალ სამშობლოში გაუჩენიათ კერა და დღენიდაგ მას ევლებიან თავს. ღელე გაღმაში — მიტოვებულ სამშობლოშიც — ბევრი რამ შეცვლილა, ძველები წასულან წუთისოფლიდან, ახალგაზრდები მოსულან მათ ადგილას. ე. ი. ლექსში სამი ალეგორიული სახეა: თეთრი მამალი, ლამაზი ქალი და ღელე გაღმა (თეთრი მამალი — სამშობლოზე ფიქრისა და ოცნების ალეგორიული სახე; ლამაზი ქალი — მუჰაჯირთა შთამომავლობა, ღელე გაღმა — მიტოვებული სამშობლო). აი, ეს სიმღერაც:

„თეთრო მამალო, რატომ არ ყვივ,
ლამაზო ქალო, რატომ არ ტირი?
შენი ჭირიძე, შენ გენაცვალე,
შენი თვალ-წარბი მე შემიცვალე...
ღელე გაღმაში ჩვენი სახლები,
მოკდენ ძველები, დარჩენ ახლები...“

შენი ჭირიმე შენ გენაცვალე,
შენი თვალ-წარბი მე შემიცვალე“...

აჭარის მოსახლეობის ზეპირსიტყვიერებაშიც კპოვა ასახვა მუჰაჯირობამ. შეიქმნა შესაბამისი შინაარსის ლექს-სიმღერები (იხ. 2, 108-152).

მუჰაჯირთა მონათხრობიდან (ღრმად მოხუც მუჰაჯირებს შევხვდი რამდენიმე სოფელში) ჩანს, რომ საქართველოდან წასვლისას არავინ ფიქრობდა საზღვრის ჩაყვებაზე, გადასვლა-გადმოსვლის აკრძალვაზე. ეგონათ, რომ წინანდებურად თავისუფალი მიმოსვლა იქნებოდა საქართველოსა და თურქეთს შორის. ამიტომ წასვლისას საბოლოოდ არ ეთხოვებოდნენ მამა-პაპათა საფლავებს, ხანდახან მონახულების იმედით მიდიოდნენ აქედან. მაგრამ შემდგომი ცხოვრება სულ სხვანაირად წარიმართა. მოვუსმინოთ მათ: „თურქეთში, ოსმანლიში, წამოსულ ხალხსა ეგონენ ქი, კიდო გადმულათ საქართველოშიო. ამა რუსებმა კარები დააყაფანეს, კინის ფერდე ააფარეს. ჩიტმა ვეღარ გადმოუფრინდა ბილა აქეთ. მე ბაღვი ვიყავ, თქვენიდან გადმოსულები რომე იტირებდენ ბათუმის მოგონებაზე, პალადვენ მახსოვს. სულ ტიროდენ: — ეი, კიდი, მემლექეთო, შორედან ვიციცქირებით, ვეღარ გნახეთო. ჩემი ნენეი იტყოდა: — მემენატრა სულ ყველაი... სამოცი ნელნადი გახდა, ვუცდი, ქი გეისნას პუდუდიო... საზღვარი ენსონ გერჩქე გეიხსნა, ამა ნენეს აღარ მეესტრა. მისი ბადიში ძვილაი გადმოიდა მემლექეთში“ (იხ. სტამბოლის ჩანაწერები).

მუჰაჯირ ქართველებს თურქეთში საცხოვრებლად ისეთი ადგილები აურჩევიათ, რომლებიც პაერთა და წყლით ჩამოპკავდა მამა-პაპათა სამკვიდროს. აჭარის მთიანეთიდან წასულებს ტყითა და ცივი წყაროებით მდიდარი ადგილები შეურჩევიათ საცხოვრებლად (მაგ. ბურსის ვილაეთის ინეგოლის რაიონის სოფლები: ბახჩაყია, ფახარლანი, პილბიე, მეზითი, გუნეჭესტანა, თუფექქი ქონაქი, ყეზელი, პაირიე... ადაფაზარის ვილაეთის აქიაზის რაიონის სოფლები — აშმედიე, გავრხარმანი, ქიუჩუჯექი და სხვა). ქობულეთ-ჩაქვიდან წასულები კი უფრო ზღვის სანაპიროებზე, დაბლობ ადგილებში დასახლებულან (მაგ. ფათისის, სამსუნის, სინოპის, იზმირის, ადანის რაიონების სოფლებში; ინეგოლის რაიონში სოფელი „ხასან ფაშა“ და სხვა).

მუჰაჯირი ქართველების შვილები და შვილიშვილები, ჩვენებურები, თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და სოფელში ცხოვრობენ. მათ შორის დავასახელებთ შემდეგ მხარეებსა და რაიონებს: ტრაპიზონი, გირესუნი, სამსუნი, სინოპი, ზონგულდაქი, იზმითი, იზნიქი, იზმირი, ქუთაია, ბალიქესირი, ადანა, ქონია, ესქიშეპირი, ადაფაზარი, ბოლუ, ჩორუმი, ამასია, თოქათი, ორდუ, უნია, ბურსა, ინეგოლი, დუზჯე, იალოვა, გემლიქი, მეზიფორი, ფათისა, გონენი, ჩუმრა, გუულბაში... ჩვენებურებს მრავლად შეხვდებით აგრეთვე ანკარასა და სტამბოლში. დასახლებულ ადგილებში უმთავრესად ცხოვრობენ აჭარა-ქობულეთიდან და ტაო-კლარჯეთიდან გადასახლებული ჩვენებურები. ძალიან იშვიათად ვხვდებით გურიიდან, სამეგრელოდან და ქართლიდან გადასახლებულთა შთამომავლებსაც. მაგ. თოქათის რაიონში დღესაც ცხოვრობენ გიორგი სააკაძის ამაღაში მყოფი ქართველების შვილთაშვილები.

თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ გარკვეული ინტერესი გამოუჩენიათ უცხოეთი მკვლევარებს. მათ შორის აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების ინდიანას უნივერსიტეტის მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები. კერძოდ, ბურსის ვილაეთის ინეგოლის რაიონის სოფელ პაირიეს ისტორიას, ეთნოგრაფიას და მუსიკალურ ფოლკლორს სწავლობდა ინდიანას უნივერსიტეტის სამეცნიერო ექსპედიცია. 1979 წელს პულ მაგნარულამ გამოაქვეყნა ნაშრომი „The Peasant Venture“. მასში აღწერილია ერთი ქართული სოფლის — პაირიეს ისტორია, ეთნოგრაფია, ეკონომიკა. ამავე წელს გამოქვეყნდა ამავე სოფლის მცხოვრებთა მუსიკალური ფოლკლორის

კატალოგი, რომელიც შეადგინეს ამავე უნივერსიტეტის თანამშრომლებმა პეტერ გოლდმა და ფრანკ გილისმა ასეთი სახელწოდებით — „GEORGIAN FOLK MUSIC FROM TURKEY“.

ქართველ მკვლევართაგან კი დღემდე არავინ შეგებია აღნიშნულ საკითხს.

ჩვენებურების მეტყველების შესწავლა დაიწყო 1989 წლიდან. ამ მიზნით თურქეთის რესპუბლიკაში ვიმოგზაურე ხუთჯერ. პირველად 1989 წლის მარტში ჩავედი ბურსის ვილაეთის ქ. ინეგოლში. აქ სამი თვის განმავლობაში ეცხოვრობდი უახლოს ნათესაებთან. ჩემმა მასპინძელმა მემედ ოზბეგმა (თაედგორიძემ) დიდი სამსახური გამინია. შემახვედრა ბევრ სოფელსა და ქალაქში მცხოვრებ ქართველს. ჩვენებურების ქართულ ვსწავლობდი ბურსის, ინეგოლის, ადაფაზარის, ანკარის, სტამბოლის, ფათისის, ქალაქებსა და სოფლებში. ამ ხნის განმავლობაში შევხვდი როგორც მუჰაჯირებს (ღრმად მოხუცებს), ასევე მათ შვილებსა და შვილიშვილებს. ჩავინერე მეტყველების ნიმუშები, რომლებიც საინტერესოა არა მარტო ენათმეცნიერული თვალსაზრისით, არამედ იგი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ფოლკლორის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველსაც.

ჩემი ინფორმატორები იყვნენ სხვადასხვა ასაკის, განათლების, პროფესიისა და სოციალური მდგომარეობის მქონე ჩვენებურები. მათგან ჩავინერე როგორც ცოცხალი ხალხური მეტყველების ნიმუშები, ასევე სიმღერები და მუსიკალური (საცეკვაო) მელოდიები. მასალის დიდი ნაწილი ჩანერილი მაქვს მაგნიტო და ვიდეოკასეტებზე.

საუკუნეზე მეტი გავიდა იმ ავადმოსახსენებელი მუჰაჯირობიდან. ბევრი რამ შეიცვალა ამქვეყნად... ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული დემოკრატიული გარდაქმნების წყალობით გაიხსნა საზღვის კარი. მოძმემ მოძმე მონახა, სისხლმა სისხლს მოძებნა. ათმაგად გავიხარეთ მას შემდეგ, როცა გავიგეთ, რომ საქართველოდან გადახვენილ მუჰაჯირთა შვილებსა და შვილიშვილებს ჯერ კიდევ არ გაუწყვეტიათ სულიერი კავშირი მამა-პაპათა სათაყვანებელ მემლექეთთან, რომ დღესაც სიყვარულით იხსენებენ წინაპრების ნატრულ მინა-წყალს და თარჯიმნის გარეშე, სუფთა ქართულით გვესაუბრებიან. მაღლიერების გრძნობით ვივსებით სახელოვანი ქართველი დედების მიმართ, რომლებმაც უბეში შეინახეს ჩვენი დედაენა და შთამომავლობას გადასცეს უძვირფასეს იადგრად. ამიერიდან ჩვენ ერთმანეთს აღარ დაგვარგავთ, რადგან ვიცით, რომ ერთი ხის სხვადასხვა ტოტზე ამოყრილი ყლორტები ვართ, ძმები ვართ და სულიერად გვაერთიანებს მამა-პაპათა საფლავების, მათი დედულ-მამულის სიყვარული. აი, რას ამბობს შუახევის რაიონის სოფელ გოგინაურიდან მუჰაჯირად წასული ქართველის შვილი დურსუნ ოზილი (გოგატიძე): „საქართველო ჩვენი დედა-მინა არი... აჭარაში გამბრავლებულან ჩვენი ხალხი. ხუთი ძმა, ექვსი ძმა ყოფილან. ექვს ძმიდან ერთი მაქ დარჩენილა, ხუთი თურქიემი წასულა... წასულა ჩვენითანაი რამდენი?... ბევრი ძალიან... თლათ თურქიემი მოდენილან, ამსილან. გურჯი სოფლები გუფხსნიან, ერთათ დამყდარან ბევრი... იმ ხალხს გუუმარჯოს, რომ დედის ენა ყველთინ ულაპარიკინან, ენიდან არ მუუცილდებიან და დღემდე აცოცხლებენ ქართულსა, ახლაც იციან აჭარის ღეერ-ღურდანი. არ დავინყებინ და დღესაც იხსენებენ, დღესაც ენატრებიან აქავრობა... დარჩენილ ჩვენ სისხლსა და ხორცსაც გუუმარჯოს. ამათაც არ დავინყებინ იქ წასულები და ენატრებიან მათი დანახვა. აქავრებსაც გუუმარჯოს და იქავრებსაც... ღმერთმა ჩვენ ჰუუქმათებსა იმფერი ჭკუა მიცეს, რომ გააყოლაგონ წასლა-მოსლა, ხისიმი ხისიმის ნატრული არ დატიონ.“

ჩვენა გურჯისტანის კარგობა, მისი დიდობა გვინდა, ის გვახარებს. გვინდა, რომე გურჯისტანმა მისი ჰუუქმათი გაანყოს, მისი თავიდი გეიყვანოს თავარბაშათ, მისი ბიირალი ქონდეს... ცალი ყური სულ მაქეთ გვაქ, მაქავრი დერდი გვანუხებს. თქვენნი კარგობით ჩვენ გევხარებთ, ჩვენი კარგობით თქვენნა გეიხაროთ... გურჯისტანი და

თურქიე ახლო მეზობლებია. ძმები უნდა ვიყოთ ერთმანეთისა...ჩვენი ძველები იტყოდენ: — „მეზობელი კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“. ჩვენაც ერთმანეთითინ დასტურ სინათლე უნდა ვიყოთ“...

დურსუნ ოზდილის (გოგიტიძის) სიტყვები ეხმაურება დიდი ილიას სულიერი შვილის, მგზნებარე პატრიოტისა და ჭეშმარიტი ერისკაცის მემედ-ბეგ აბაშიძის ერთ პატარა წერილს — „მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების სულიერი ერთობა“, სადაც ვკითხულობთ: „სამშობლოს სახელით შეერთებულნი, სხვადასხვა კუთხისა და სარწმუნოების შვილები ჩვენს ეროვნულ საღაროს მრავალს სიმდიდრეს შეჰმატებენ და დეე, გამოვიყენოთ ეს ერთობა ჩვენდა სანუგეშოდ, მამულის საბედნიეროდ“ (1, 24).

ჩემო მკითხველო, ვისურვოთ, რომ ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ეს სულიერი ერთობა, ჩვენი მამა-პაპების მიწის სიყვარულით შეკრული, მართლაც გადაქვეუღიყოს საქართველოსა და თურქეთს შორის ძმობისა და მეგობრობის მტკიცე ხიდად.

ლიტერატურა:

1. აბაშიძე შ., რჩული ნაწერები, ბათ. 1973 წ.
2. ახვლედიანი აზ., აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათ., 1968 წ.
3. ახვლედიანი ხ., ნარკვევები აჭარის ისტორიიდან, ბათ., 1944 წ.
4. დალეჯიო დელსიო ევ., ქართველები კონსტანტინეპოლში, იხ. წიგნი „ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში“, გ. შარაძის გამოცემა, თბ., 1990 წ.
5. დროება, 1879 წ. № 14.
6. დროება, 1880 წ. № 4.
7. თაყაიშვილი ექეთ., ილია ჭავჭავაძე, იხ. ემიგრანტული ლიტერატურა, „დაბრუნება“, ტ. 1, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991 წ.
8. ივერია, 1879 წ. № 2.
9. იყო და მარად იქნება, შეადგინა მ. ვარშანიძემ, ბათ., 1978 წ.
10. მეგრულიძე შ., აჭარის წარსულიდან, თბ., 1964 წ.
11. უმიკაშვილი პ., გურჯები (ქართველები) ოსმალეთში, ივერია, 1888 წ. № 21.
12. ფუტყარაძე ო., ჩვენებურთა სიმღერა, ბათ., 1991
13. ფუტყარაძე შ., დედის უბეში შენახული სიმღერა, იხ. „მამულიშვილი“ (სრულიად საქართველოს მ. აბაშიძის საზოგადოების გაზეთი) № 1, 1992 წ.
14. ალმანახი „მური სიტყვა“, №1, 1915 წლის 26 ივლისი
15. ჭავჭავაძე ილ., ოსმალის საქართველო, ტ. 4, თბ., 1987 წ.
16. ჭავჭავაძე ილ., საქართველოს მატთანე (შინაური მიმოხილვა), 1879 წ. (თებერვალი), თბზულებანი, თბ., 1957 წ.
17. ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში (მუჰაჯირი), თფ., 1912 წ.
18. ჭიჭინაძე ზ., ფონდი 5288—6 (ნიკო ერისთავის წერილი ართვინიდან).
19. ფრენკელი ა., ოჩერკი ჩურუკ-სუ ი ბატუმა, ტიფ., 1879 წ. (რუსულ ენაზე).



მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა მეტყველების ნიმუშები ბურსის ვილაიეთი

ინეგოლი

* * *

— თები აქაც გუაქ. ულუდალიდან ნამუა ჩუენი თები — ყოჯაიალა, ბოლოზოვა იაილა, ქაზმითი იაილა. ეს ბითევათ სერია. გადაღმა-გადმულმა კორდები, ცივი წყლები. ხელ ვერ ჩაყოფ, იმფერი ცივია... ქალებმა ზაფხულში თაზე ყოფნა დააჯობინეს.

— საქმელები თულითული ვიცით. თარჰანა შორვა მაიხოში საქმელია. თარჰანა ჟადე დოთ, გადა მანით გაკეთებულია. ჟავე მანონში მოზილენ პური ფქვილსა, იმაში ურთვე ბიბერს, ზოგი ტკობილ სურუნჯს ურთავს, ზოგიც — ნარეს, ჭადზე თხლათ მოზილავ. ამუა ცომი, ორ დღეს იქნება. გადმოდენას რომ დეინყეფს, ამელიეფ, დანეკავე პანჰანათ, ცხრილზე დაანყოფ, გაახმოფ. გამხმარსა მოხრეს, გახდება ფქვილივით. თენჯერაში დალი და ხახვი მოხრაკე, ზედან წყალი დაასხი, ისიც ჩააყარე, გამუურიე კოვით; მიხდები ქი ადულდა, ადულე კარქა, მარილი ურთე, წუნანე ხახვი ჩააჭარ. გახდება თარჰანა შორვა. ჯოხი უნდანან ჩუენ ქალებ, ქეიფობენ, არ საქმობენ ბევრსა... ახლა ჩორბები გაპაზირებული იყიდება ფაქეთებში. თევზის, ქათმის, საქონლის ხორცი დაფქვევლი არი. იმით კეთდება ჩორბები.

— ქისართმასაც გავაკეთებთ. ყართოფას მოხრაკენ დღში, ხახვ დააჭრიან. ყველი ვიცით გადამუშვილიც და ხასიც. ვიცით ყიომა — დაფქვევლი ხორცი. იმა და ფხალის ფევრში, დადა ყურძნისაში გაახვევ, გახდება სარმა. ქუშმაში შემწუარი ხორცია. ყაურმაც არი, ძელიანი ხორციც. წუანილები ვიცით რეჰანი, ქინძი, მაიდანოზი, მაკიდო, პრასა, ჭლაკვაი, ბოლოკი. ბოლოკი ორი თულაია — შავი და თეთრი. ყირმიზია ერთიც, შხამი ქვია.

— რენგის სახელები გითხრა? — წუნანე, მავი, აჩექმავი, ბითევათ ყირმიზი, ტიალი ყირმიზი, ფემბე, ყაპვერენგი, მოჭირებულიც იქნება და აწულიც, მორი, ბრეში, საყიზრენგი. „საქიზ“ — კეესა ქვია. საქიზრენგი — კევიფერაი. სარი რენგი ყვითელივით არი.

თეთრო მამლო, რატომ არ ყვივი, ლამაზო ქალო, რატომ არ ტირი?
შენი ჭირიმი, შენ გენაცვალე, შენი თულ-წარბი მე შემიცვალე.
ღელე გაღმაში ჩუენი სახლები, მოკლენ ბერები, დარჩენ ახლები.

შენი ჭირიძე, შენ გენაცვალე, შენი თუალ-წარბი მე შემიცუალე...
 სათამაშო ვაშლი მქონდა, შენთვის გადმომივარდა,
 ჩემი თავი თუ არ გიყუარს, ნესლიც ამოგივარდა.
 გაღმა სერზე ხარაია, ერთი გეგვლეთ, რაგაია,
 შით ფადიძეი ფუნდრუკოფს, საკოცნელათ რაგაია...
 მაღლა სერზე წამომდგარა თუალჭუჭუნაი თეთრი ქალს,
 ხელსაც მიქივებს, აქ ამოდი, შინ არ არი ჩემი ქმარი.
 ღმერთმაც რომ ამართვას ქმარი, ყურბნათ დაეკლა სამი ხარი...
 ღელე ღელე შევიარე, ღელეღე ბალახანი,
 მე რომ ფაციაი დავაპირე, წელმალალი, თმიანი.
 თუალები გაქ გიშრისაო, აქ ჩამოდი, წყლისპირსაო,
 წყალი მასვი კოკითაო, გამაძღვევი კოცნითაო...
 შამევიარე მემღეკეთი, ღმერთო მემე ბერეკეთი.

ახლა სიმღერა „შეფრენილო ფუტკარო“. ეს რატომ არი გამოთქმული იცი?!
 შეფრენილი ფუტკარი, აჭარიდან გამოქცეული მართვე, ჩუენა ვართ დანი. მოვსულვართ
 და აქ შამოფრენილვართ, აქ გიგვიკეთებია ბუღიები, აქ მოვფუფულებულვართ. ჩუენ
 ძუელეხსაც ამაზე სიმღერა მუუგონებთან „შეფრენილო ფუტკარო“.

„შეფრენილო ფუტკარო, წადი მავანს უთხარო:

– შენ ქართუელი შვილი ხარ, შვილო, მოდი ჩემთანა.

– ეოსა, ეორერა, ეოსა, შვილო, მოდი ჩემთანა.

ოზრუქეთო, მერიაო, თქუენში ბეკრი მტერიაო,

ერთიც ამღონი ხანია, ჯერაც არ გამიხარია.

ეოსა, ეოდელა, ეოსა, ჯერაც არ გამიხარია...

ჩემი ღერღების მგონე, სიმღერები მეგვონე,

ეოსა, ეოდელა, ეოსა, სიმღერები მეგვონე...

შაეი ზღუის პირზე თოვლი მოხულა, შენი ფუტკარი სხუახთან წახულა,

შაეი ზღუის პირზე მასკლავი ბწყინავს, შენი ფუტკარი

ღღეს სხუაგან ფრინავს,

ბახმაროს თებზე დაუთოვლია, შენი ფუტკარი სხუას უპოენია,

პარი, პარალე, პარალე, პარი პარალე, შენი ფუტკარი სხუას უპოენია...

ჩემი ღერღების მგონე, სიმღერები მეგვონე...

შეფრენილო ფუტკარო, წადი, მავანს უთხარო;

– შენ ქართუელი შვილი ხარ, შვილო, მოდი ჩემთანა!..

ეოსა, ეოდელა, ეოსა, შვილო, მოდი ჩემთანა!

შაეი ზღუის პირზე თოვლი მოხულა,

შეყუარებულის ჭირიძე, ვისთან წახულა.

შაეი ზღუის პირზე მასკლავი ბწყინავს,

შეყუარებულის ჭირიძე, ვის კლავზე ძინავს...

ეს სიმღერაც გარიგდება, გოგო-ბიჭი შერიგდება...

ოზრუქეთი, მერიაო, ჩუენში ბეკრი ყველიაო...

ოზრუქეთი, მერიაო, ლექსიც შამომელიაო...

ესენი ზოგი სიმღერებშია სათქმელი, ზოგი „დოდოფლის სიმღერაში“, ზოგი „ეოსაში“,
 ზოგიც „თეთრო მამალოში“.

წუხელი სიზმარში გნახე, წარბი აღმა ეგეყარა,
აქოშკაზე მომდგარიყავ, ნამწენიც გაღმეგეყარა...
წიფლი ფურცელ ნუსხას დაეწერ დამწიფული მოცკითაო,
ფაციაჲ, ერთი მაკოცნისე, გეკიარ, წაგალ ლოცვითაო.
წიფე სხალის ჭმა მინდა, კიბილების კრაქუნება,
ფაციაჲ, შენთან წოლაჲ მინდა, ხელებისაც ფათუნება.
ჰაბუ ლალები, ლალები, მაყუალ გიგავს თუალები...
საყუარელო, რა გაწყინე, ერთი შენთან დამაწყინე...
ამქლამდელი დამქო, ნუ გათენდები მალეო...

— ღმერთმა კარგათ გამყოფნონ და კიდევნ ნასიბი გიგვიხადოს ერთმანების ნახვა.
გადასლა-გადმოსლა.

მთქმელი ქაზიმ უჩარი (დავითაძე).

* * *

— ოთხმოცი წლის ვარ. ძალიან მიყუარან ჩემი სიმსილა. ჩემ ხელიდან რომენ შემეძლოს, ფეხით,
ხოსვა-ხოსვით იქ გადმუხატები. ღმერთმა კარგათ გამყოფნონ. ღმერთმა ერთმანები
დაგვანახვოს. ინშალაჲ, ერთმანები მალენა დვენახოთ.

ჩემი ბაბოი — მემედ ეფენდი გულობადიხტაროლი გოგნიაერიდან გამოსულა,
ისტანბოლში კითხულობდა მექთებში. გზები რომე დეეძრა, სინორი რომე ჩეიკლიტა,
აქ დარჩენილა. ჩემ ბაბოსა ორი შვილი ყავდა — მე და ჩემი და — მერიემაი. ჩემ
დედესა ქმებია ალიაი. იმასა ყოლია შვილები — ლომანაი, ოსმანაი, მოლა ალი, მემედ
ეფენდი და სალიეი. აქ წამოსულან მემედ ეფენდი და სალიეი. გოგნიაერზე გეყოლია
ბევრი ხისიმები, ჩემი ემიების — ლომანასი, ოსმანასი, მოლა ალის თორუნები. ძალუან
გუენატრებიან...

სიმღერას ვიტყოდით დოდოფლის მოყუანისან. ყივანს ვიტყოდით, ბანს მოქცემდენ.
ყივანსა მე ვიტყოდი.

— ქამარ დოდოფალი ყოფილა ზამანუნდა. ხალხსა ძალუან ყუარებიან, გაჭირვებუ-
ლსა, დეთიმსა, ქრივსა, ავატყოფსა ეხმარებოდა მეგემ და იმი გულობაი. მისი გაკეთებული
ქემერქოფრები ბევრია შავშეთ, აჭარას, ახისხას. ასე იტყოდა ჩემი ბაბოი, მემედ ეფენდი
გულობადიხტაროლი, გოგნიაერიდან გამოსული. ზოგი ლექსები მახსოვს, ზოვლი
ვიმღერებდით.

ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ,
ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ...
ზითვალ გიგავს პირიო, მე შენთუინა და კტირიო,
რას დაგვაკლებს მტერიო, მეც იმაზე ვმღერაო.
ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ...
ჩუენო დიდი დედაო, ეს რა დეგეებდაო.
ჩუენო დიდი ანაო, აქ რამ და მოგეყუანაო,
ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ...
შორ დიგვირჩა მემლექეთი, ღმერთო, მეგევე ბერექეთი,
ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ,
ვორირავ და ქამარავ, რეროვ, რერავ და ქამარავ!

— მე კიახიძეებიდან ვარ. ჩემ ბაბოს ისუფაი ქვიოდა. კიახეთ შეიდაი, გოჩიოლი

ჩემი ემია იყო, ბაბოსი ძმა, აასლი ემიაი. ძუელათ ვუკრეველი მუზიკას. ყედეები ვიცოდო: ყოლსამა, ცეკვაი, ხორუმი, ყარაბალი, ნარდანიანიც ვიცოდი, მარა ის ყედი ჩუენი არ იყო, ქუედა აჭარლებისა იყო. ჩუენებურა ვისამებდით, ვისერიებდით. მე ერთი შვილი მყავს, ის არ უკრავს. გულში არ აქ ქი მუზიკას სიყუარული, ვერ დუუკრავს. ტანში, ნამსხმანშინა ქქონდეს ყეიდეები, რომ კარქა დუუკრა. კიახიდეები აქ არიან ორი მოსახლე. მე თქუენი კარქობა მინდა, მენატრებით ძალიან. ჩუენი ერთი იეგანი ბაღრამაი ბათუმ არი ჩაბარგული. ის ქყუაბს დაპაიჯილი. ჩემ იეგანმა ადემამ დაპაიჯა. პილმიეს ვართ, მარა მე ინეგლო ვარ ჩამბარგული. ჩემი ბაბოი მემლექეთსა დააქელებდა ზოგლი. კიახეთ ჩუენ სახლის წინედან ბარაქაი სხალი იყოო, იტყოდა მამაჩემი... ჰელბეთ მინდა დანახვა იმათი, ჩემიანებისა, მემლექეთისა. ჩუენ ღმერთმა ასე დიგვინერა, შორ ნამოგეყუანა, მიმოგვაჩეჩა. ღმერთმა სულ კაი გამყოფნონ...

საუბრობდენ ხასან ჩიბუქი (გოგიტიძე) და მერჯან ნაარინი (ფუტყარაძე).

* * *

— მე გოგნიაერზე ხსიმ-ახრება მყავს. ლევან ბიძაი ყოფილა, ანზორი ძიაი ყოფილა გოგიტიძეები, კიდვენ ბევრი ყოფილან. ვეხუენები იმათა, ყუელასა, გეაცნობიონ მათი თავი, გადმოვდენ. დეგვენახვონ.

— ჩემო ბიძიკო, შენი თუალების ქირიმოს, შენ ხელების მოკითხვასა, შენი ერთი დანახვა თელ დუნისა გვორჩეენია, აჯაბ როის დიგვინახავთ, როის ვნახავთ შენ ბითუმ ოლლუშალსა. ბითუმ ჩემ დედეს ნავალის ლელიებში, ტყეებში, ლელე-ღურდნებში, იმ იერებისა, ქირიმე. თქუენ ოლლუშალთან, ერთამეთთან როისნა მოქეყაროს ღმერთმა. ღმერთმა ნეიანი გიგვიხადოს, ერთამეთთან მოქეყაროს... ორი გოგო, სამი ბიჭი მყავს. ჩემ ერთ გოგომ გადმოვდა მაქა. თურისთ გადმოვდა აღმანიედან, თაბი. მარა ჩუენ არ ვიცოდით ქი, ჩუენი ახლო ხსიმები ქყუავსო. მაჭიხლელებში მლასა, ერთი ჩემ დედეს ოჯალებიც მეველო ჩემ გოგოსა, რა იქნებოდა? ახლა დევსტავლეთ. ერთი კიდო რომ გადმუა, თეელინა მოგვიაროს. ღმერთმა მალე მოქეყაროს ერთათ... მაჭიხლეი სიძეი მყავს. მის ხსიმებში მიიყუნა ჩემი გოგო. ერთ თუეს იმათიებუ იარეს. ჩემ გოგომ მითხრა:

— ანავო, თიფლისში შენ დედესი სახლები, ჯილა, ულელი, კოლოფი, გუარდაი, ყულამფერი დენახეითო, აჩი მუზეში იყოო. შავი პრასა, ქინძი, მაკიდო, ტარხუნა, შავი ადესაი ყურძენი, ანეო, დვენახევიო. ჩუენი ყურძენია, დეაო, შვეახტი, მოვწყვიტე, კილამ დევმტერო. იქაერ შენ დედესი მინა ვნახე, ვაკოცეო... ძალიან შეყუარებოდა ჩემ გოგოსა მემლექეთურები.

— ახლა მე მინდა მევეითხო ჩემი ბიძიკოი. მე რაც დევაბადე, ვიცი, რომ იქა, მემლექეთში, ბიძიკოები მყავს, ჩემ დედესი ნათესავები. ძალიან მიყუარან. იმათი ნანერავი გადმოიდა და იმა ვეხაფიფები რამდესანია. თვითან როისნა გადმოიდენ, არ ვიცი. მექარება მათი გამოსლა.

— ჩემო ბიძიკოვ, თუალებში კონიტი გიკითხავ, რას საფიროფ, რავარ ხარ? შენი შვილი, ძირი, რაც რომ გოგნიაერის ხალხია, თელი მიყუარან. ვიცით, შვახევი ჩუენი რაიონია. ჩემი ბაბოი, ჩემი დედეი იტყოდა მაქაერ ამბავსა. ღმერთმა ძალიან ადრე ერთამეთსა შავახდინოს. ინშალაჰ, გადმობუალთ, ჩუენც გადმუალთ. ვინც ხართ, მოქენერეთ მექთუბი, ყულაი გამოით მეიდანზე, გეაცნობით თქუენი თავი. დვენახოთ ყულაი ღმერთით... ჩუენც გვინდა თქუენთან გადმოსლა. ღმერთმა ორ სახელმწიფოს მიცეს კარქობა, სიცოცხლე, რომ ჩუენ მოქეყაროს ერთათ... სელამი შენ ბითეე შვილებსა, ძირხასა, თუაღეში კკონით! ძალიან გვენატრებით. აჯავ თქუენ გენატრებით ასე?

— ჩემო გოგნიაერის ხალხი! ჩუენ გურჯობა, ქართულობა არ დიგვიკარგებს... ქორნილ რომ ვიქთ, სულ გურჯულა, ქართულა არი ყულამფერი, სიმღერა, ლაპარაკი,

ადეთები... მე ძალიან მომღერალი ვარ... ორმოზდაშუიდი წლისა გაეხდი, ცხრა შვილის ბატონი ვარ, სიმღერა ახლა მცხუნენია, მარა თქუენისთინნა ვიძღერო პანაი, ამ მობძანებულ დიდ მსტავლობელ ხანუმსა ხათრინა უუშენო. ამან თქუენთანნა გადმეტიხოს ჩუენი ნათქუამები, თეფი მონყობიდი აქ, ბანთშინა ეილოს ჩუენი ხმა. ხმის ალება ცოდეა არიო, იტყვიან, მარა ღმერთ შეეთხოვ ცოდეაში არ ჩიმიწეროს, მემლექეთში ვატან ჩემ ხმასა:

„ღელე-ღელე შეეიარევი, ვერ ავახე გუგუმიო.
ჩემ ნიშანლის ვენაცვალე, თეთრი აცვია ზუბუნო.
არსაში მაქ ლობიაიო, ვერ დუუსევი ხაშარიო,
გამახელა დედამთილმა, არ ვაჭაპე ვახშაიო.
გალმა სერზე თეთრი ხარი, შავთუალწარბის თეთრი ქალი,
აქ ამოდი, საყუარელო, შინ არ არი ჩემი ქმარი;
ბახჩაში მაქ ჭანჭურო, კონწოლ-ძონწოლ კიდაიო,
მე ის ბიჭი არ მინდოდა, რაღა ჩამომკიდაიო“...

— სხუა ლექსი არ მახსოვს, შემცხუა და ჩიმიციენდა სულ.

— შუანთობა ადრე იყო, მემრე-მემრე გადავარდა. შუანთობაზე იტყოდენ გურჯულ სიმღერებს. თენზილასი ანაი იმღერებდა გურჯულ სიმღერებს. შამუყუყვირებდა იმფერ ვორიამას, რომე ტანში გაგაკანკალებდა.

— მონატრებული სელამი უთხარ ყუელასა, თა-ბარსა, ღელე-ღურდნებსა...

საუბრობდნენ ემინე და მუქქერემ ჩიბუქები (გოგითიყები).

* * *

— ისტამბულის მოლლა მექთებში სწავლობდა მეგომ ჩემი დიდი დედეი მოლლა შაქირაი. ბათუმ რომ გადასულა, ბათუმი რუსებსა უუღიან. მემრე რუსი და ოსმანლი შერიგებულან; ერთმანებისთინ უთქმან, რომე ვინცხას გინდარან თურქიეში გადაით, იქ იმცხოვრევით, ვინცხას გინდარან აქ დარჩით, იმცხოვრევით აქაო. სამი დედეი ყოფილან ჩემი. ერთი დედეი იქ დარჩენილა. ორი დედეი აქ წამოსულან: ერთი, მოლლა შაქირა დედეი, ერთიც მერჯანა დედეი. იგირიმ ორიდან გამბრავლებული ვართ აფერაქა. მე მოლლა შაქირა დედეს აჰმედა შვილიდან ვარ. აჰმედას — მამაჩემს ექესი შვილი ყავს, თლათ ბიჭები. მე მეოთხე შვილი ვარ, ნეზამეთინ ბაღრახტარი. მემლექეთში ოსმანლი ზამანის გუარი ჩუენი ყოფილა ბაღრახტაროლი. ჩუენ არ შიგვიცლია გუარი, ისეენ ბაღრახტარები ვართ. და არ ქყუავს. ბაბოი ოცი წელწადაი მოკდა. ანაი ცოცხალ მყავს, სამოზადრუიდმეტი წლისა გახდა, ფეფიჯა რაშლია. ჩემი ანაი თათაროლებიდან არი, დიასმიძიებიდან. იქმიდან მექოუები, ნანერავი, ნანერავით ვიცანიდი ჩუენი ბინალი ეშიაი, დღვანის მელივრი მეჰელედან. იმის დაპაიჯნა, დანახვა გვინდოდა, იმით გაძლომა გვინდოდა, იქავრობის მოყაყირება. იმას სამსახურობა ქონია. ნანერავით გვითხრა, რომ ემექლიზე გავალ, ცარიელი ვიქნები და გესტუმრებო. სამსახურობა დეემთავრებინა და გადმოსულიყო. ნანერავი დიგვინერა და დევსტავლებით. იმას ყოლია სამი შვილი: იმთ ერთ ქვებია ნადიაი, ერთსა ქვებია ლევანი, ერთსა ქვებია აკაკი. ორი და ყოლია — ლილმოი და ნესიბეი. ნესიბეი გოგო ლილმოი აქ გადმოიდა თენგიზა სიძეთ, ძალიან შიგვიყუარდენ, კაი ინსნები იყვენ, გვენატრებინან. დევსტავლებით ია, იმისთინ გვენატრებინან. ღმერთმა ბევრი გაგახაროს, რომე გადმოხუულ და გვაცნობიე თავი, იქავრობა მოგვაყაყირებიე. ღმერთმა ბთიევი კარგათ გამყოფინონ. ქალსა წამოსლა მუუნდა, შენ დაპაიჯე რა? ჩემი თავიც მოყავს. ამა მეჰაც ვებნევი, რომ წინწინ იმათთან გადმოსლა მომინდება, მელივრზე. მე იქა ეშიაშვილები მყავს. ჯერ იმათ დაპაიჯონ.

წინინ იმათანა გადმოიდე, შენ რაზენა დაგაზაპმეთო?

— შევეჩვევით, თუ შიგვიყურადება ერთმანები, გადავალთ-გადმუალთ. თუ არ შიგვიყურად ერთმანები, აღარ გადავალთ, აღარ გადმუალთ. ამა ჩუენი სისხლი რომე აქუან, იმფო ზოვლი ერთმანებ შევეყურეფთ.

— ჩუენი ხალხი ცოტა აგერაქა ჰემ მარჯუე, ჰემ ინათიანი ხალხი არიან. ქალებ უკინდან მაიღამი არ წაყუებიან... თუ გიგვიხდა ნასიბი წამოსლა, წამუალთ. მე სამსახურობაში ვარ. აქა ჩუენ გვეხვევინა, რომე ორმოზდათ ნელწადამდენა ისაქმითო, იმდენი წლის გახდენდამდინო. სამსახურობაში ოზდახუთი ნელწადის ათაეებას ოთხი ნელწადი მიკლია. ოთხ წელს უკან სამსახურობანა მეეთაო. ფული ბითევიწა ევლო. უაღებუღი გარიგება მე არ მინდა. იმის მეგრე ჩემ ფულით ჩემით სხუა საქმენა გავანყო...

— აქ ვინცხაი გადმოიდენ, შიმიყურადა, ყუელია შიმიყურადით...

— ბძანება თქუენია, იქნება, აბა, არ იქნება?

— ჩუენ გვინდა შეტყობა: იგირიქ რომ დარჩენილა ერთი ძმა ჩემ მოლლა შაქირა დედესი, იგირიბ ძმიდან გაშენებული ვინ არიან. რაბით გობეგზე ერთმანებზე ვართ, ესენი დასწავლა მინდა, იმითი თავის დაპაიჯეა, აქ გადმოყუანა გვინდა. იმითი დანახეა გვინდა. ახლა გზა რომ დაახლოვდა, ამას იქით თქუენაც იმფო გადმოხუალთ, ამას იქითაი იმფო კაინა დარჩეს. ჩუენ ერთმანების დანახეა გვენატრება, ერთმანების დასწავლა გვინდა, სხუა რამე არ გვინდა. ჩუენ აგერაქა კარგათ ვართ. ეტყობილობთ, თქუენც კარგა ხართ.

— მე ახლა მინდა, რომე ჩემ ხსიმიგბსა ბითევსა ჩემიდან ბეერი სელამი უთხრა. იმათა ჩუენ ჩიგვიწერონ. თუ გვეღირსება, ერთმანებინა დვენახთო.

— მე თუფექჩიონალ ვიყავ. ესა ჰემ ბაბოსი, ჰემ კაცის სოფელია. ორსწავე იქავერი ვართ. თუფექჩიონალ გვეზარდე, გვეთხუე: ოთხ წელწად დავრჩი. იმა უკან ეს სამსახური გახდა, ჩემი ეფენდი. წამუელით ყასაბაში. ოცი წელწადია აქ ვართ. სოფელში არსები ქქვონდა ბეერი. ვეთსევედით სიმიწდ, პურ, ლობიას. ლობიაი თულლითულლი არი: ბარბუნიაი, თეთრი ოთურალი, ჯერაპი ლობიაი, სუფასულია ლობიაი — წყლის ლობიაი, ბონწაყურაი ლობიაი. ლობიასა მოვხარშავთ შორვასავეთ, ხახუთ და იალით გავაკეთებთ, მაღახტოს, ფხალობიას გავაკეთებთ. წუანლიები — რეჰანი, პიტნა, მაიდანოზი, ქინძი, პრასა — ვიცით. საქონელ ვინახევედით სოფელში ყოფნაში. ძროხებიც ქყუავდა, ცხერებიც ქყუავდა. მოწუნეღევედით. ვარიას მოვრეკევედით. არ გავეყიდევედით ნანუელსა. ჩუენ ვჭამდით, მეზობლებ მიცემდით. ეწჷლი არ ყავდენ მეზობლებ მენუელი საქონელი. წინინ ადეთი იყო მეზობლებზე მიტანა. კარდალაში ჩავასხემდით შერევილ დოსა, ძესა. დუურიგებდით მეზობლებსა. ახლა ყიდიან ნანუელსა. სოფელში საქონელი ახლა ჰამანქი ყუელას ყავს.

— სოფლიდან ჩუენა ჰირ ააფერი მოგუაქ. სოფლის სახლი, არსები არ გიგვირიგებია. ყუელია ჩუენათ წამუელით სამსახურაზე. ყუელია აქ ჰაზირ ვჭამთ, მინაზე არ ვსაქმობთ, სამსახურაზე ჰემ ვსაქმობთ, ჰემ ვიღებთ ჰაზირსა და ვჭამთ.

— ხელაქმარი კარგა მიყურარს. ყენეწას გავაკეთებ, დანთელ მოვექსოვ, ფათიკებ მოვექსოვ, ყახალ, დეღეგ მოვექსოვ, ჩაიფეჩეთებ მოვექსოვ, ოღებ მოვექსოვ. ჭრელები ბეერი ვიცით: მარწყვის ორნეგი, ვაშლის ორნეგი, ბლის ორნეგი, ყურძნის ორნეგი. თავზე გვახურია ჩუენი აჭეჭლებული. დიდი თეთრი დოღბენდი გუაქ; თეთრინა იყოს დოღბენდი. პანწანუანები დაზმებია. სახლში ყოფნაში დაზმას გედვეჭირეფთ, ისე ვიართ. გარში რომ გავალთ, ოზიებში დოღბენდ დეებურავთ. ჰაცხან თუ ნეველით, მანთოს ჩეცუამთ, კაბითაი არ წავალთ. შარფას დეებურავთ თავზე.

— ყენეწას დავაყერებთ დაზმაზე. შესაბიშ გავაკეთებთ, უყენეწოთ.

— ამურას გავაკეთებდით. ამურა ბაღრამის ფარძიო, იტყვიან. კორკოტ ვეტყვიო

დანაყილ პურსა. იმასა ლამით დავალობთ. დილაზე გავრეცხავთ, ჩაცვრით თენჯერაში, ჩაცვრით იქში ფუნდუქ, ფისთიქ, ინჯირ, ლუხუდ, ეუზუმ, ლობიას, სიმინდ. შექერ ჩავყვრით, ბაპარ ჩავყვრით. ჩუენი წინწინდელი წენიები ძიან ამურას აკეთებდენ. ახლა ენწული შექერიან გავაკეთებთ.

— ამურა ნუხ ფეღლაბბრიდან დარჩენილა. დუნია რომ წყალმა დეიკავა, ნუხ ფეღლაბბერის გემი წყალში ცურევდა. გემში ყველა სურიელი იყო შეყვანილი დედალ-მამალი. მუათე დღეს საჭმელი დეელიენ; ყველა სურიელმა რაცხა მიიტანა ქუაბში ჩასაყრელათ. ჩიტებმა პური კაკლები, თესლები მიიტანეს, ზოგმა ხილი მიიტანა, ზოგმა კვირხლი. ყველაფერი ჩაყარეს ქუაბში, მუადულეს და ჭამეს. ასე გააკეთეს ამურა. აქედან დარჩა ეს აეთი.

— საჭმელები ბევრი თულლი ვიცით. ძუელებური საჭმელები ეს არი: დოშორვა, ფხალობიი, ხავინაი, ძიფიაი, პასუთა, სინორი, მაკარინაი, ქლაჯო, ბორეგი...

— ბორანსაც გავაკეთებთ. სიმინდი ფქვილსა პანა მანონ დავასხამთ, კუერცხ ჩავატებთ, ცოტა სოდას ჩავყვრით. ერთ კეცზე იალ დავასხამთ. კეცში ჩავდებთ, საუჯ დავახურებთ, ჩავყვრით ნაგუნალ, გამუაცხობთ.

— ხაჭაპურიც ვიცით. მოვხელთ ცომსა, გავასუქებთ. შიან და კაკალსა, ია ყველსა, ია ფუნჩხასა მუუმწყრეთ. ზეიდანაც მოვრთავთ, ბარდალით დავჭრითავთ. კუერცხ წუუსუამთ ზეიდან. ხაჭაპური კაკლიანიც იქნება, ყველიანიც. ვინძღას რაცხაფერი უნდა.

— ენწული მატყლით ვაკეთებთ ლოგინსა. მატყლი რომ ძვირია, ბამბამაც გუურევთ. საბანს გარედან ჩარშაფი აქ. მინდარზე იათაქ ჩარშაფი არი გადახურვილი. ბალიშიც ვიცით. ბალიშსა აქ ნამოსაცმელი, ყილიფი. ბალიშის ყილიფი, — ვიტყვით.

— აქ რომ ჩამეგბარგეთ, გურჯიჯას ენწული აღარ ვლაპარაკობთ, თურქებში გვევრით. დილაზე ოღლუშალი დეჰვანტვით, გარეთ თურქებში გავალთ, მათთან დავუდებთ, თურქჩა ვილაპარაკებთ. გურჯიჯამაც არ ვივინყებთ. პანანა ბალვებ ვასწავლით გურჯიჯასა. ჩემ გოგომ იცის გურჯიჯა, შუათანამაც იცის, ბიჭმა. სულ პანამაც იცის ცოტაი, მარა სულ არ დეილაპარაკებს გურჯიჯა. ბადიშმა პირ არ იცის. მით სახლში გურჯიჯა არ დეილაპარაკებენ, ისინი გურჯი არიან, ამა თურქებში უდარან.

— აბაზებმა იმფო შეინახეს აბაზური ენა. ისინი ოჯალში თურქჩა დუნიადა არ დეილაპარაკებენ. აბაზებმა ძალიან არ დეიპანტენ, არ გვერიენ თურქებში. მეემური ნაკლებათ გახდენ, სამსახურაი არ დეინყეს. სოფლებში დარჩენ. ჩუენ ერთ მაჰალეში ვართ ორი სამი გურჯი. თურქებში ვართ დამოსახლებული.

— ინეგოლში გურჯი სოფელი ბევრია: პილიმი, ფუნდული, ყეზელი, ბაზარალანი, ბახჩაყაი, შაირი, გუნექესტანა, მეზითი, თუფექჩოქოაქი... ძუელიდან მუა ეს სახელები. ახალი დაარქუეს სახელები ახლა, ამა არ ვიცი. ძუელი იმფო მახსოვს.

— მეც ბითევს ხისიმებსა სელამ ვებნევი, კარგობით იყავით, ღმერთმა რიზყი არ მოგაკლონ, ქეიფი არ მოგიშალონ... კიი ღამიობა, აბა!

— ერთი გურჯი ველა დედე ყოფილა. ერთი დიდი ჯამეა ბურსაში. იგირიმ ჯამის გაკეთებინან ამ დედესა უცხია პური და უჭმევია. ორსა კაცსა უსაქმიან ჯამეზე და იმათთვინ. პანაი ფურუნი ქონია მეგომ, შიან გამოცხუებოდა ოთხი, ია ექვსი ემე, სომუნი. იმისთვინ, ამ კაცისთვინ უთქმიან სუმუნჯი დედეი. ამ ჯამესა ერთი დიდი მსწავლებელი ზოჯა კაცი აკეთებებდა მეგომ მისი ფართი. ჯამე რომ მუუთავებია აგერემ კაცსა, მემრე სულ დიდი კაცისთვინ, ემირ სულთანისთვინ უთქუამს: — მოდი, ჩემი გაკეთებული ჯამე დეინახე, კაი გიმეკეთებია, თუ არაო. აგერამ ჯამის გამეკეთებული კაცი მეგემ რახსა სუემდა. ემირ სულთანისთვინ რომ დუნუნახებია გაკეთებული ჯამე, ემირ სულთანსა უთქუამს: — ამას ერთი რაცხა აკლიაო. აგერემ გერზე დასალევი რახისა რატომ არ გიკეკეთებიაო. ეს ჯამე კაცის ხელიდან გაკეთებულია, ქეიდან გაკეთებულია. ამში რომ ჩაასხა რახი, რა იქნებაო. შენ ღმერთის გაკეთებულ ნამსხმანში

ასხამ რახსა და კაცის გაკეთებულშიც ჩაასხი ბარელამო. და რახი ბითევათ აღარნა დალიო, და ჯამესაცნა გუუკეთო რახის იერიო. შენ ამ ჯამის დიდი კაცი ხარ, მულელიმი, მსწალებელი, შენ ყულამნა მოგიდინგლოს. რახ დალევ, შეიშლებიო. და აქაცნა გააკეთო რახის იერი, და ლმერთის გაკეთებულშიც არნა ჩაასხა რახიო. ამ კაცმა დეიფიცა, ჰირ აღარ ვსუამ რახსაო. ამა ემირ სულთანსა უთხრა: — ახლა ამ ჯუმა დღესა აქა, ახალ ჯამეში, ენწინ შენნა ილაპარკიო. ემირ სულთანსც უთქუამს, რომ შენ ჩემი თავი დიდი გგონია, ამა აქა ჩემზე დიდი ინსანი არიო, სუმენჯი დედიო. აქნობამდი ჰირ მეიკითხ თუ არაო. ერთი ენახოთ ჰად აცხოზდა ამდენ პურსაო, ჯამის მკეთებლებსა რომ აჭმევდა, რას უთავდებოდაო. ნამოი, შენც დინახე ის ფურუნი და მაშინ მიხდები, რომ ევლია არის ის დედიო.

წუყუჟანია ემირ სულთანსა (მეგემ ისიც ევლია არი) და დღუნახეგებია, რომ ერთი პანიდი ფურუნი ქონია სუმენჯი დედესა, შიან ოთხი-ექვსი სომინი ძვილი გამოკუხებოდა. აქ აცხოზდა პურსა და იმდენ ხალხ უთავდებოდა. ეს არი ლმერთისთვინ კაი კაციო. ის ჩემზე დიდი კაცია, ის მეიყუაი ახალ ჯამეში და ენწინ იმან ილაპარკოსო. წასულან, მუყუჟანია. სუმენჯი დედეს უთქუამს, რომ ეს ვინ იცოდა, ეს ვინ გამამჟღავნა, მე ამფრათ ლმერთთან ახლო ვიყავ, ეს არვინ იცოდა. მე ამის უკან აქ აღარ დემედგომებო. იმ დღეს ულაპარკინა ამ დედესა ჯამეში. ლაპარკიო რომ მოთავებულა, ხალხ დღუნყიან ჯამედან გამოსლა. იგირიმ ჯამეს აქ ოთხი კარი. რომელცა კარიდან გამოსულა დედიო. მარა ოთხ კარიდან ხალხი რომ გულად, ყუელას უთქუამს: — მე ჰაცხაიდან გამეულ, ისიც იქიდან გამოიდაო. ევლარდან იყო და? გასულა გარეთ. ბერი ყოფილა ეს დედი. ხელში ერთი ხმელი ჯოხი უუნეგია. ბურსას გარეთიდან რომ გასულა, იმ ხმელ ჯოხით, ბიჯგინბიჯგინ, დამედარა იგზე. ეს ჯოხი გუუქნეგია. ჯოხი ჩინარის ტანი ყოფილა. ის ჩინარის ტანი მიწაში ჩასობოდა. მაშინ შებრუნებულა ყობლისკენ და უთქუამს: — ლმერთო გამჩენელო, ჩუენ რომ გაგვანინეო, გეხუნენბი, აგვრამ ბურსა შერსა გონჯი რამე არ დანახეო ყიამეთამდინო. მე მივალ, მარა ჩემი გული, სული აქ მჩებო. ჩამდგარა გზაში, მისულა ტაემანლი შვერში. იმასთან ახლოს ერთ ეგრზე მისულა, ზოვლი მოლალულა, გაბარცულა, იქ ჰემ დამინებია, მომედარა ჰემაც. იქ ჩუუფლან, გზის ქენერში. იმის უკან მუუკითხიან, ვინ იყოო. მუუგნიან კითხვა-კითხვითა, სომუნჯი დედი იყოო... დეი ახლა, დიდუანი მანქანები რომ გაკეთდა და გზიები მინროთ დარჩა, გაეგენიშოთო, უთქმიან. იმ დედეს მეზოლოლთან გზა დაკლანკილი ყოფილა. გავასწოროთო, უთქმიან. მაქინაი გასასწორებლათ რომ მისულა, იგირიმ იერზე მაქინას აღარ უსაქმია. უთქმიან, რომ სხუა ახალი მაქინაი მეგტანოთ, ის ისაქმებსო. წასულან, სულ ახალი მუუტანინან, მარა არ უსაქმია. მემრე ლამეში მოჩვენებია მაქინას მსაქმებელ კაცსა: — აგერაგზე მოსასუენებლათ დაეჯექი, ნულარ მიხიტინეფთ, მეესუენო. — ისე უთქუამს იმ დედესა. მემრე მუუკითხვან, ვინ წევს აქაო. უთქმიან, რომ ბურსადან ნამომსლელი სომუნჯი დედი წევს აქაო. ის ევრი აღარ მუუტლიან, დღესაც გზა დაკლანკილია იმ ეგრზე. კინბით გაკეთებულა ის ეფრი. იგირიმ თერეფ გაციბინე, ვინცხას კითხო, ყუელას ეცოდინება, ყუელია გეტყვის: — აგერამ ჩინარი ხის ჩამრგველია, ლმერთისთვინ კაი კაციო.

— ჩუენები აქ რომ მუჰაჯირათ გამდოსულან, რაცხაფრათ იქ უმცხოვრიან, იქავრულა აქაც უუნყიან მცხოვრობა, თობა გუუნყიან. უთქმიან: — წინწინ გამოდენილი წყალი ჩუენნა ვსუათო. ტყე ძირეფში დამედარან, დელი ქენერეფში. საქონელი გუუშენებინან, საქონლებით უმცხოვრიან. სოფელთან ახლოს არი ქუედაი ბარი; სოფელში ბალახი რომ მელილოდა, იქ ვიყვანდენ საქონელსა. იქ რომ მელილოდა, ზედაი ბარი იყო, იქ ვიყვანდენ. მემრეც თაზე ევდოდენ. იაილაჯობას იჯებოდენ. ჩემი ბიბიაი იყო ერთი, იაილაჯობას იქმოდა. თაზე საქონლის შემხვდავ ქალსა მემთევრ ვეტყვით. შუანთობა აქაც ვიცოდით. ყუელია ევდოდით თაზე, ბაირამობას მემთევრებთან ვიქმოდით. ხამათ ნამოდოდით

უკან, მემთევრები დარჩებოდნენ თაზე.

— ერთი ბიბიაი მყავდა, ზემრავი ქვიოდა. იმაჰაც ყავდა შვილები. ძალიან მარჯუე, ჭკვიანი ქალი იყო. პრატი ყავდა, ნაზოი ქვიოდა. ნაზოი გასათხარი იყო. ადგა ამ ნაზომა და პაპოშნიკელსა წაყვა. ბიბიამ მე დიმიძახა. შინ მე ვიყავ. ძიები სამსახურზე იყვენ ნაბარგული. ახალმოსწრე მე რომ ვიყავ, დიმიძახა: — ჩუენი ნაზოი პაპოშნიკელ შუქრიამა მემპარაო. ჩემ კარაქით გაზდილ პრატსაო, არ მივეცემ იგირომ შავ შუქრიასაო. ფილინთაი ჩამეიტი, ფიშეკებიც ჩადე შინაო. გინდა მეჰაც წმიყვი, გინდა შერ მარტეაი წაიღე და პართო პრატიო, გა მოკალიო. ძალიან ახსი იყო ბიბიაი, რატებებ ვერ გეიტანდა. პაპოშნიკებმა ჩემი პრატი რატომნა მემპარონო. მეჰაც ფილინთა ავამსე. ჰაცნა თერეფ ნასულან, შევტყევე. მიველ, ვნახე, რომე პატრონი ყავსო, ეთქვეს. კითხე ნაზოსა (ჩემზე დიდი იყო, ბაჯიაი იყო): — ბაჯიაე, რატომ წაყევი ამ კაცსა-მეთქი, ბიბიაი პერსტება-მეთქი. შენ აქ არნა დაქტიოს. მე გამომავზავნა, დედიმ, და წამეყვი, და მოკალ ისენიო, ისე მითხრა-მეთქი. ნაზოი ამბობს: — ნავეყო, მევენევი და ნავეყო, კი ბალვიო... აბა რა მქენა, გუთხვარი ხომ არ დაქენბოდიო. ამვალმა მოიდა, არ მიმცესრ. რატომ არ მიმეციო? — ბალვი კაი არ არიო. ამვალმა მოიდა... რატომ არ მიმეციო? — ფული არ აქუან. ამვალმა მოიდა, რატომ არ მიმეციო? — გვარი კაი არ აქუანო. სულ ყუელამფერი რომ მოძენო, კაცსაც ველარ ნახავო... მეჰაც ეს ბალვი მომანონდა, ლამაზი ბალვიო და, წაყევიო. ნაი, ანაჩემ ასე უთხარი, მე აღარ მომძებნონ, მე ამითნა ვიმცხოვრო. მიველი, მეჰაც ვუთხარი ბიბიას: — იმას შუქრიაი მოწონებია, შენ ისტარ კარაქით გაზარდე, ისტარ ყაიმბალით გაზარდე, აღარც შენი კარაქი უნდა, აღარც შენი ყაიმბალი უნდა-მეთქი. აღარ დეელაპარიკა ათ წელიწად, ამას იქით აღარც მუუშეა. ამა მემრე შარაიგეს ათ წელიწადს უკან. ახლა ძალიან კაი მცხოვრება აქუან. ახლა აქ ინეგოლმი მცხოვროფს, ჩუენი მებოვლია.

— ბიბიაზე მარჯუე ქალი არ იყო ამ ქუეყანაში. ჩემი ნენეი დღევანურაი იყო. დღევანურასი ზემრავო, საე იტყოდნენ ბიბიაზე. თა-ბარი იმათიდან დასწავლილი ქეკონდა. ორი ბიბიაი მყავდა, ზათი, ორი ემიაი, იაილები არი ახლაც. მეჰაც მემენატრა, ეველ და მევიარე შერმან. წინწინ ხარის არაბებით მივდოდენ, ახლა თლათ არაბებით მიდიან ქოხებში მისლამდი. ქოხებ ვეტყვიოთ იქავრ სადგომებსა. ბითეგსა ერთათ იაილები ქეია. იაილები რომ არი, იქ თლათ ტყეა. ხე მუუჭრიან, გუუთლიან, ერთმანებზე ჩამუუდიან, იმფრაი ჩამუუდიან, შუაში ცარიელი ადგილები დარჩება. შუა გერებსა და მინი მიწვალვენ, და სხუა ხეს მიაჭედებენ. ზაფხული დღე ზათით ცხელა, არ შეცივდებიან. საქონლისთინაც ცალკე აქუან გადაბურვილი. საქონელ ძუება არ უნდარან. მიჩუევილი არიან, მითათალაი მიდიან-მოდიან. ევლენ, გაძლებიან, საღამოზე მოილენ. მითათალაი სულ ცოტა ოთხ თვეს არიან. იქ მოწუელდ ძესა, გაკეთებულ დაღსა, ყველსა კაი გემო აქ, საღამია. იმა მუამცრევენ, ჩამეიტანებენ, ზამთარში ჭამენ. წინწინ ნანუელის გაყიდა არ იყო ადეთი. მებობლებ დეურიგებდენ, უქონლობა არ განიონო. ახლა-ახლა იმფო გაყიდა არი. ახლა მიდიან თაზე, ძეს ყიდულობენ, მუაქუან ფაფრიკებში და აკეთებენ საქმელსა. ახლა ძუელებურა ბევრი საქონელი აღარ არი. ახლა ახალი მოსტრილები აღარ მიდიან თაზე. და კითხულობენ, და საქმობენ ქალაქებში... სამსახურები აქუან. სოფელში დამრჩენელიც ყანას მუშაობენ. ყუელამფერ დათესვენ, ყუელა სღე მოსავალი მუა. ახლა მოსარწყელებიც გაკეთდა.

— დღევანელები დიდი სულაღე არიან აგერაქა, ბევრი ქოქი აქუან, ჭკვიან-ჭკვიანიც არიან. იკითხვენ, ბევრ იკითხვენ. თურქიეში ყუელა იერზე იშოვნებიან: ანკარას არიან, ისტამბულ არიან, იზმირში არიან, ბურსას ზათინ ბევრ ეგრზე არიან. მესელა, ჩემ ძიასი ბალვები ადანას არიან, ყუელა თერეფ არიან, კარგათ მცხოვრობენ, სწორე არიან, მოგება კაი აქუან, მცხოვრება კაი აქუან. ვისმეს სხუის საქმეში არ გეერევიან, სხუასაც მათ საქმეში არ გეირევენ. დაპანტული არიან ყასაბაში, სულ ბევრი ბურსას არიან...

მიერები იქ მცხოვრობენ. ნელინადში სამი სირა, ოთხი სირა ბაღრამებზე, სხუა რამიებზე — სიცილი, ავატყოფობა — მოილენ, დენახავთ, მემრე დაბრუნდებიან კიდევ სამსახურებზე.

— დღევანელებიდან არიან დიდუანი კაცები. დღევანელებიდან, განიერებიდან ერთი ჰაყიფ ფაშა იყო, გვარია — ყადა. იგირისა თქუენში იყო გადმოსული თავრობაში. თურქიეში სულ დიდ კაცებიდან თქუენში იყო, ჰემ რუსეში, ჰემ თურქეში ელჩობას იჯებოდა... ჩუენ ხსიმიებიდანაც არიან ისტანბულში დიდუანი კაცები, მოგებაც კაი აქუან...

— ღმერთმა შენაც ბევრი გაგახაროს. აქ გადმობძანდით. აგერამ შენ გადმობძანებით გიცანით. ბევრი ვილაპარაკეით, იქავრობა მეგყაყირეით, დანახლისავეთ გავხდით იქავრობისა... ჩუენ სხუა რამე არ გვიინდა, მარტო თქუენი თავი გუენატრება. თქუენ რომ გიცნობთ, იმფო კარგათ ეხვებით. ღმერთმა ბევრჯელ შეგვახდინოს ერთმანებსა. აბა, კარგობით იყავით!

საუბრობდნენ ნეზამეთინ და ხატიჯე ბაირახტარები (ფუტკარაძეები).

* * *

— ასიე უსტაისმეილოლი ვარ. ჩუენი დიდი დედეი გოგაძიებიდან არი გამობარგული. ჩუენი ახალი სოფადა ბაშთურქი. მემლექეთის დანახვა ძალიან მინდა, ჰამა ჰალა მემესტრობა. მაი თქუენ გადმოით მალ-მალე და დიგინახო, მემლექეთი მეგყაყირიო. ძუელი ხებრები ბევრი მაქ გაგონილი, ჰამა ყუელაი ჰა მახსოვს, დამვიწყდა. მემლექეთიდან ერთი შერიფ ემიაი გადმოვდა, გამეიქცა, მეგომ დეეჭირესნა, თავი აქ შააფარა. რვა წლის ბალვი ვიყავ. იგირისა ჩობნათ დააყენეს. გეედოდა სოფლის ქენერეფში, საქონელ აძუებდა. იმანა მემლექეთური სიღმერები იცოდა. ზოგი დღეჰაც მახსოვს, ზოგი ჩიმიცივინდა და მაჩუქვე ყუსური:

„გედეველი სერგაღალმა, გაღმეეტანე მარხილიო,
შენი ბიჭი მე რათ მინდა, ჭლიკებგამოგრეხილიო.
ღელი ეოვღელიაშიო, გენაცვალე ყიაშიო.
გედეველი სერგაღალმა, გაღმეეტანე მერულიო.
შენი ბიჭი ვის რათ უნდა, ჩოხა აცვია ბერულიო.
ღელი ეოვღელიაშიო, გენაცვალე ყიაშიო.
გედეველი ხულასკაში, გაღმეეტანე ოყით ვაშლი,
ჰური ჭრამი ნაღი მყავად, შამურეიგე თითო ვაშლი.
ეოვღელიე რამაშაო, ფაცია მემესამაშაო.
ბიჭო, ბიჭო, ჰიწკინაო, შენმა ხელმა მიყწკინაო.
ბიჭო, ბიჭო, აღექსაო, ნუ უყურებ ქალებსაო.
ღიგინახვენ პატრონები, ღიგიგლესენ თუალებსაო.
ღელი ეოვღელიაშიო, გენაცვალე ყიაშიო.
კაბალახის ყურებიო, აქეთ რას ვეყრებიო,
ღეინახვე ქალებსა და დეეხარჯის ფულებიო.
რა მემსინია ქალებიდან, მათი თავი ქანებიდან,
ბევრი არიან ქალებიო, აემოკოცნე თუალებიო.
ღილას ეჭამე ხავიწიო, ჰაღნა წეეღე არ ვიცოო.
ღილას აედექ, ღილა იყო, საყუარელი შინ არ იყო.
ღელი ეოვღელიაშიო, გენაცვალე ყიაშიო.
წყარო წყალი მოდინდება, არ ეტევა ღარაზეო,
შენი-ჩემი სიყუარული არ ვიწონვის ფარაზეო.

აბუღალის ლალებიო, მაყვალს გიგავს თუალებიო,
თუალი მაყვალს დუუდგება, მე შენ გენაცალებიო.
აბრეშუმის ლანდებიო, რა ლამაზი ბანდებიო,
ახალი ხარ, ბარი ხარ, წასასლელათ ბრალი ხარ.
დღევს მიქონდა კატრი ნათალი, მომაგონდება შენი ნათქუამი.
ვოდელიე რამაშაო, ფაცამ გემეთამაშაო...

— აგერ ამის ღმერაზე ჩუენ კაცებმა გაბღუდენ. — შერიფავ, რატომ ღმერი მაგრო, — უთარეს შერიფასა. — მე თქუენ ქალებ ხომ არ ვეცქირები, იმათ ხომ არ ვუყურეფ, ჯანი მიწუხს და იმიტომ ვამბობო. იქიდან გამოქცეველესა აქაც კაი საქმე არ ჭირდენ. ენჩული არვინ არ ნაყვა. მარტვაი დარჩენ, ამა-იმი კარიებზე აგორევებული. ბევრი ისე უქალოთ დაბერდენ, ყუელ დღეი მიეგონებდენ მემღევეთში დატველ ქალ-ბაღესა და ჩამეიტრებდენ. ინსნის თავზე ყუელამფერია დანერილი.

— ქალები იღმერებდენ:

„თავი ღუღში ყირმაზი თმა, რაიდარირამეო,
შეერული სირმას გავდა, რაიდარირამეო,
ჩემზე გონჯი რამე თუ თქვი, რაიდარირამეო,
შენი ენა გიგიქვაგდა, რაიდარირამეო...
შენი ძიაი რაფერია, რაიდარირამეო,
პამან ჩემი საფერია, მისიდაჭირამეო, ჰოი...
იმა ქუეიდან თეთრი ქუქუ, რაიდარირამეო...
ხელი ჩაყე, აპი დამჩა, რაიდარირამეო.
იმა ქუეიდან ვარდი ბახჩა, რაიდარირამეო,
ხელი ჩაყე, სული დამჩა, რაიდარირამეო...
ფაცია, შენი წელი წმინდა, რაიდარირამეო...
მომიქსუე ჭრელი წინდა, რაიდარირამეო...
შენი წინდა მე რათ მინდა, რაიდარირამეო,
შენი ძიაი ყაინათ მინდა, მისიდაჭირამეო.“

— ბევრი დამვინყდა. იმდენი რამე გადამხდა, რომე კიდვენ კაი ჭყუაზე ვარ. კევრი არ გალენილა ჩემ თავზე, თუარამ სხუა ყუელამფერი გამევიარე... ღმერთმა შენ კარგათ გამყოფნოს, რომე ასე გულმოყვასი ინსანი ხარ, ყუელას ქვადრულოფ, ყუელას ლამაზათ გველაპარიკები. ღმერთმა შეიდობით დაგაბრუნოს მემღევეთში.

მთქმელი ასიე ბაშთურქი (ვახტანგიძე).

* * *

— თურქიეში ბევრი ქართუელია. სხუადასხუა დროს არიან ნამოსული აქეთ. ინეგოლი ბურსის ვილაეთში ერთი რაიონია. ინეგოლის რაიონში, ქაზაში, თვრამეტი გურჯი სოფელია. მე ჩამოვთლი ახლა: 1. ხასან ფაშა — აქ ჩურუქსუელები (ქობულეთელები) ცხოვრობენ; 2. დერეჩეთი — ჩაქველების არი; 3. პაირიე (ხეირიე) — მაჭინლელებისა არი; 4. ყეზელი — ღორჯომლები არიან; 5. პილმიე — აქ არიან ჭვანელები, დღვანელები, დანდაღელები; 6. ფაზარალანი — აქ ჭვანელები არიან; 7. ბახჩაყაია — ტბეთი, გოგაძიები, ლომანავრი; 8. თუფექჩიქონაქი — ლომანავრელები და ოლადავრელები არიან; 9. მეზითი-კვიახიძიები, გოგნიავრელები, კარაპეტლები, ნენელები და დღვანელები არიან; 10. გუნექსტანა — ჭვანელები, კვიახიძიები, ოლადავრელები, კოკორლოლები; 11. ყარაჯა ყაია — 10 კუამლი მანყვალთიდან არიან, დღვანელები არიან. პაყიფ ფაშა

განიეროლი დღევანელი აქაერია. მეჰმედ ყადა განიეროლი მილიონერია ისტანბულში. ლასტიკების ფაფრეკა აქ. ათაშე იყო მოსკოვას; 12. ვენი ქორ (ახალი სოფელი) — ჯაბნიდიები არიან, უვაიერეკები (ლალაბია მათი); 13. ყარაყადი — მესხები არიან ენჩული; 14. ელმაჩარი — აქა ორი მეჰლეა, ერთი მესხებისა არი, მიერე ფურტეველებისა; 15. ბათახლი — ლორჯუმლები არიან; 16. გულბახჩა — ტბეთელები და ლორჯომლები არიან; 17. ფუნდული — სამი მეჰლეა აქა. ცხოვრობენ კოიოლლები, ჩანჩხალეველები, უჩამფელები, დღევანელები, ხულელები; 18. ეენიჯა — ბევრი არიან ბაკუელები.

— ინგოლის ქაზას ასი სოფელი აქ მიკრული. ათი-თხუთმეტე ხანე გურჯი ბევრ სოფელში იპოვნება. სოფელი ჰაჯი ყარა ჩერქეზების სოფელია. შიან არიან გურჯებიც — ყადიოლლები, ჰაჯიოლლები, ლორჯუმდიდანაც არიან.

— ქართუელები თლათ თურქეთში არიან მოდენილი. ბურსას აქ ბევრი ქართული სოფელი. ამას გარდა ბევრი არიან ელოვას — ესენქოგში სულ გურჯები არიან, კუტრუნოლლები, აღიქოლლები... ტრაპიზონ ორი სოფელი გურჯია; გირესუნში, ორდში, ამასდამი, სამსუნში, ადაფაზარში, დუზჯეში, იზნიქში, გემლიქში, მეზიფორ, ადანას, ფათსა ბევრი გურჯი სოფელია. ბალიქსირ გრნენ რაიონში შუიდი გურჯი სოფელია; ბოლუში შუიდი გურჯი სოფელია, იზმითის გრულჯეჟქშიც ბევრი არიან გურჯები, სინოპში სოფელი ლალა გურჯების არი, კიდო სხუა სოფლებიც არი, ყუელაი არ მაგონდება, ზონგულდაქში ერთ რაიონში — ორმანლიშიც ბევრი ქართულია. თოქათშიც არიან, კონდასც, ესკიშეპირშიც, ადანის კოზან რაიონში ორი სოფელია გურჯი. ეს ყუელაი შიანა თურქეთში რომ არი. ანკარას ბევრი გურჯია ისეც თურქეთის დანარჩენი რაიონებიდან მოსული, გუელბამის რაიონი თლათ ქართულია. ჩუმრამი ბევრი არიან მოსული შაეშეთიდან და ბორჩხადა.

— ორ აბაზა ბალევა, აფხაზსა, რაცხა მუჟპარვან ბიჩხში. ბიჩხებსა კარები არ აქ შვიიდი. მისულან იგირი ბალევის ბაბოსთან. უთხრომან ქი, თქუნე ბალევისა ჩუნე ბიჩხიდან რაცხა მუჟპარვან. ბაბოს უთქუამს ქი, მიედეთ, დევნახოთ ბიჩხი, რა უუნეკიანო. აფხაზები დუნადა სუჩ არ ეილებენ, არ იყაბულებენ. აფხაზსა შუუხედა, შაუუხედა, რა მევეგონოვო, დუფიშმანია: — კაც ამსისხო ბიჩხი გუუქეთებია, ერთი-ორი კარი ვერ შუუკიდაო. კარი ქონოდა ჩემი ბალევი ვერ შევედოდენო. გეიმართლა თავი...

— ისტამბულში მისულა აჭარელი. თაზე ნასლის დროს დაბრუნებულინა იყო აჭარაში. ისტამბულში ზღვიდან მიდდა ამუაქუან, თეზე გაეს. შენვენ, ჭამენ. ის მიდდა რომ შიენვის, გამყიდველი დენიყებს ძახილს: — თაზე მიდდა, თაზე მიდდაო (ახალი მიდდა, ახალი მიდდაო). აჭარელ ეგონა თაზე ნასლის დროა მოსული და აქაც იძახიან: — თაზე მიდიან, თაზე მიდიანო. თურქა ბევრი არ ცოდნია და ვერ ხტომილოფს, რას ამბობენ... იმსოლოლში მობრუნდა და ჩამოიდა აჭარაში. უთხრეს, რატომ ასე მალე მობრუნდაო.

— რატომ დაებრუნდი და ისტამბულში ყვიროდენ: — თაზე მიდიან, თაზე მიდიანო. მე გერჩეკი მეგონაო. აჭარას ზამთარი ყოფილა...

— მეც მიკვირს, ზაფხულში საჭამადას რატომ ქვია საზამთრო. სახელი ვერ უნახვან ლალიბა და გამუჟგონიან.

— ლომანავრელმა უჩამფიდან გოგო მეიპარა. უჩამფელმა სხუა ბიჭმა აართვა უკან. უჩანფელს ძუელათ დონებია ეს გოგო. ლომანავრელი, გოგოს მომპარავო, გენჯალოლლი ყოფილა. ამაზე პანაი ლექსი გამოთქუეს:

„უჩამფამი ბალი ყვაის, ლომანავრეზე ნარიჩვი

შენ, ქოროლიც, რათ გინდოდა გენჯალოლლის ნასიჩვი“.

— ქალი ჩემი ნათესავი იყო, უჩამფამი ყუდამფაროლი ოსმანასი გოგო. გენჯალოლლისთენ უკან უურთმეგია ქოროლი უსეინას, უჩამფელსა.

— სამ-ოთხით ვლაპარაკობთ, ვერ ხედავ?

— ტბეთში ტუფუკი ხასანაი იყო, ხათობოლი. მეგემ რამაზანია მუბარეკი. ამ ხასანას გუუჭარდა შიმშილობა რამაზანში და მაამის კვითხება: — ბაბოვ, ვინ გამეიგონა რამაზანო? — ისე მგონია ღმერთ აბრალიან ამასაო, უთხრა ბაბოშ.

— ხმა დადინდა... ბევრი ხანია გადმოხუელ აქავრობებში?... თველი ტბეთიდან იყავით?... გააღევ კარები?!... ჰეჰია, მეჰია, კატამ კუდი გეიქნია.

— აჭარაში სასამართლოში შესულა ეს საქმე. ზედაი აჭარლები და ქუედაი აჭარლები ნაკიდებინან ერთმანებსა. ზედა აჭარლებ გუდიანებ უძახდენ, ქუედა აჭარლებსა — გოდორიანებ. ქუედა აჭარლებსა დუჭრემებთან: — გოდორი კაია, სუფთა არი. გუდა თხის ტყავიდან შეკორილია, სუფთა არ არიო. გოდორ უთქუამს: — მე გუდას მევერევიო, ამიტომ, რომე მე გუდას ჩაედევ გოდორში, ნევედ გოდორითაო. გუდასაც უთქუამს: — მე გოდორზე ნინაი ვარო. გუდით ყუელამფერ ნეველებ, ნყალ ჩავასხამ ნეველებ; ფქვილ ჩაყვრი ნეველებ. გოდორი ვერ ნეილფესო. სასამართლოზე გუდა მორევია გოდორსა; გუდიანები მორევიან გოდორიანებსა.

— ქუედა აჭარაში საქონელი ნაკლებია, ნანველიც ნაკლებათ აქუან. ზედაი აჭარლები ამაზე ბევრჯელ ცინიან ქუედა აჭარლებსა. ქედლები კოვზ გახრეტენ, ძე გადინდეს, ბევრი არ ამოყუესო. ზეგნელი — ზედაი აჭარელი დაპაიჯა ქედელმა მეგემ. მუუტანა სუფრაზე ძე, კოვზი არ მუუტანა, პური ჩანოს ძემიო. ზეგნელმა ჭკუა იხმარა. პურის ლუკმა გააკეთა, შუაში ჩაჭუნა, ჩააღრმავა ლუკმა და იმით დეინყო ძის ჭამა. — კოვზსაცერაი გააკეთა? გამომფუჭონაო, — იყვირა ქედელმა.

— ქუედაი აჭარელი გაგზავნა ქალმა, თხა იყიდუო, მენუელე იყოს, ბალე ვაჭამო ძეო. პოსი მიყიდეს მეგემ და ვერ მიხტა. ქალს უთხრა, რომე მონუელეო. ქალი ჩვედა ახორში, ხელი შუუყო, ძუძუნა ჩამონუელოს თხისა. ნახა, რომ ცურნეს ბედელია ყუერები აქ პოსსა ჩამოგძელებული. — ეს ვაცი ყოფილაო, — დუუძახა ქალმა. — ერთი, მეინუელოს და გინდა ვაცი იყოს, გინდა ვაცმანცურიო, — უთხრა კაცმა. საქონლის ხამი იყო, არ იცოდა ააფერი.

— ქედას ნევედ მეგემ სანადიროთ. შუელი ეძეფეს, ეძეფეს, ვერ ნახეს. დილაზე გევედნ ეზოში, რომ შუელი მოსულა. თოზალი იყო, თვლიბირი. ესროლეს თოფი და გადააბრუნეს. ფეხები ეიშვირა, რომ დაჭედლია, ნალებიანი, ვირს გაეს. ერთმა თქუა: — რას ამბობთ, ღმერთმა ეზოში მოგვიყვანა შუელი და ველარ დაჭედაო?

— ერთი ბიჭი დასახლებულა, ქალის ოჯალზე მისულა. სიმამრის ოჯალში რომ იყუნენ, კაცი მის კასტომს გეიხდიდა, კედელზე დაკიდევდა; მისი ცოლიც თავიდან მიხიზიდა ჩარსა და კასტომზე გადაკიდევდა. კაცმა უყურა, უყურა; ვერ მიხტა, რატომ იჯება ასეო. ბოლოს ადგა, ნედა და ცალკე ადგილი იყიდა მისთვის. სახლი ჩადგა. ქალს უთხრა, გედებარგოთო, ჩუენი ბარგი გედევტანოთო. ცოლმაც გადაბარგა ყუელამფერი. მის სახლში რომ გეეწყუნენ, საღამოზე კაცი მოიდა, კასტომი გეიხნადა, კედელზე დაკიდა. ცოლმაც მიედა, კაცის კასტომი ჩამეილო, მისი ჩარი შიან დაკიდა, კაცის კასტომი მის ჩარზე გარედან მიაკიდა. ქმარმა შეეკითხა: — რატომ იჯები ასეო. ქალმა უთხრა: — აქომამედ ჩემ გავლენის ქუემ იყავი, ჩემ ბაბოს ოჯალზე რომ იყავიო, ჩემი სიტყუა გადიოდაო. ახლა შენ სახლში ვარ მე, შენი სიტყუა გადისო.

— ერთი აჭარელი ჩასულა ბათუმში. მისულა აჭარის თავარბაშთან და დუუძახნია: — დიდ გოდორის თავედომარო, შენ გენაცვალეო,

გლახა ცოლის ბატონი ვარ, გამომიცვალეო...

— იმ გზის ზეიდან მეზიდა, იქაც ბევრი იეზიდა, — ვიტყოდით ბავლობაში და გავახლებდით მეზიდლების გენჯებსა.

— დაჰკითხვიან ყარსელსა: — რა ნახე ისტანბულშიო. — ის დვენახეო, ერთი მინდორი ადგილი ყოფილა, ისიც ზლუას დუუპატრონებიაო.

— ძუელათ ბეთმებ მუადულებდენ ზედა აჭარაში. ტბეთში მეგემ დიდი თეშტი აქუან

დადგმული ძმებსა — რიფეთასა და უსუფასა. ცეცხლი შეგზნებული აქ თემტსა და ურევენ, არ დინვასო. ერთი გძლებენვი ძალი ყავან მეგემ. ისაც მეზობლის ძალღებთან ერთათ ურბენს თემთსა; ლამეა, ჩისავს, თბება ძალლი. დაყვირებენ, გვიქცევა მეგემ, დაყვირებენ, გვიქცევა. ეს ძალღები მეგემ ერთმანებსა ედუგუშებიან, თამამობენ. მასობაში არ ჩავარდენ თემტში... ყვირიან... რიფეთას ებნევა ისუფაი: — ჭო, ძალღები დანრიტე, დანრიტეო, არ შეყევს ბეთმეზიო.

მემრე გასულა ხანი და ერთი ნენვეელი ცინის ტბეთელსა: — ჭო, ჰა წვილეთ ი ბეთმეზიო. ტბეთელმაც უთხრა: — ნენიაში პურზე გადავცვალეო, აბა ბეთმეზს ხომ არ გავაეღლებდიო.

— ცხენი დაბერებია ერთ აჭარულსა. თქვა მეგემ: — ნეყუან არდაპანში და კვიცზე გადავცილო. ჩეყუანა არდაპან. ქურთებ უთხრა: — მე ამ ცხენ ვყიდი, ისვენა ვიყიდო, ჰამა კვიციო. გაყიდა დაბალ ფასითა, კვიცინა იყიდოს, დაბერებულა ეს ცხენი. ქურთებმა ის ცხენი ეიყუანეს, ნეიყუანეს, გაენაჭეს, კუდი ღუემწენეს, მარილიანი წყლით და თივით გაბერეს. დილაზე გამუშუვეს და ნეიყუანეს ბაზარში. მიიყუანეს ამ აჭარულთან; დუუქეს, კაი კვიციაო. აჭარული შეედა. გააჭენა, გამუაჭენა, მიენონა. ქურთებმა ძვირია მიყიდეს. მოდიან შავშეთისკენ. მეგემ ცხენმა ნავალი ადგილები იცნა და ჰაცხა გავლიხან რომ მუუსვენთან, ი ცხენი იგზე დადგება. ცოტაც დეისულა, ჩუუცვინდა მენჯი თავები. აჭარულმა შეხდა-შამოხედა ცხენსა და ამბობს: — ე ცოტა ჩემ ცხენ გავს და? არხატაშს უთხრა: — გერჩექ თუ ჩემი ცხენია, ეზომი რომ მიყუან, ალელ რომ მოვხსნი, საძუარზე ჭალაში გავაო. ცხენმა გერჩექ ისე ქნა. — ჰემდა ჩემი ცხენი ყოფილაო, — დაბეჭდა კაცმა. მესელა, თხელი ყოფილა კაცი ჭკუიდან...

— ერთმა კაცმა თქვა: — იმფერი ადგილინა ვნახო, სიკვდილი არ იყოსო. იარა, იარა და ნახა ვითამ უმეზრო ადგილი. მიედა იმ სოფელში და დადგა ჩობნათ. თხები ნეიყუანა საძუებლათ, აძუა. მიერე დღეს სხუა თერეფ ნეიყუანა. თხები ევლიხან სიცხემო უჩრუმ ტყიან ადგილში შეზავდენ, მეიგრილონნა. შეიხედა და მეზრები დეინახა. საღამოს მოყუა, მეიყუანა თხები. ივითხა, ვისია მეზრებიო? ჩუენიაო, უთხრეს სოფელში. დატია ეს სოფელი და კიდვენ ნევედ უმეზრო სოფლის საძებნელათ. სიარულ-სიარულში მოკდა, თვითან დარჩა უმეზროთ.

— ლობიას დესტანი იცოდენ ძუელათ, იმა იტყოდენ და იცინებდენ. ბევრი დამაინყდა:

**„ჩემო გამზდელო ლობიაე, რაყერ თალაშობ ქოთანში,
გაზაფხული რომ გამოედა, ტრლით ჩაქყარე მიწაში.
ტანი მალე ეიყარე, ლერწი წვილე ზეცაში.
დამწიფება არ მოგასწარ, ზრუგით მოგათრიე სახლში.
მამაჩემი შენ მომიკალ, შენ შემხლები მიწრო გზაში“.**

— სუფრიდან ადგომიხან მამაჩემი — ზეკერიანი ახისხალოლი იტყოდა, იმიდან მამ გავიცილი: „ზედაი ყანა, ქუედაი ყანა, ლმერთმა ბევრი მოგვიყუანა“.

— მე ერთი ძალ-დედამთილის დესტანი დავნერე:
დედამთილი ამბობს:

— სიხარულით მოგიყუანე შინა, ზელზე ღაგადე ინა.
ძალზე მეგონე კინა, თავზე ღაგეცა ბინა.
დილით არ დიგოძახე, ისე მიგაჩვიე ძალი.
მეზობლებმა არ გაიგონ, პირში ამოიკედა ძუალი.
ჭახრაკზე ღაგართი აბა, შაგიკერე ყირმიზი კაბა.

ვერ შამაყუარე თაგი, ღმერთმა დაგიბლენა თუალი.
ძროხა მოეწუელე ღლითა, შენ ვერ გაგაძღე ძილითა.
ძალზე გიყუარდა ძილი, თავზე დაგეზვია წილი...
ჯეიზი მოიტანე ჩული, ტანზე აგიტყდეს მუნი,
სახლში ვერ გაიტანე მული, ღმერთმა ჩაგიცივა ხული.
წინდა მოგიქსუე ქურთული, არ მოხუელი მორთული.
ენა კი ქქონდა სლიკეი, თავზე გეწეროს ბლიკეი.
ქოთანში ჩაყვარე ჯერი, პირზე წაისვი ფერი.
სახლში გამობღეზე ბერი, რათ მიწდოდა შენისთანაი შტერი.
კარზე დაეღვი ზეინი, შენ ქალათ არ ღირხარ,
არ გაცარი ფქვილი, გონჯათ დამიწვი შვილი.
— შვილო, დატოვე ქალი, არ მოგიტანა ხალი.
ყიაში ჩაგასხი წუანე ფხალი.

შვილი ამბობს:

— დედაც, რათ გინდა მისი ხალი, ვერნა დაეტოვო ქალი.
შაიღირსე ძალი, დაჯექ და ჭამე ფხალი.

ახლა ძალი ამბობს:

სახლში მოგიველ მორთული ძალი,
სუფრასზე დამიდე წუანე ფხალი.
ზაფხულში მოვიდა ჭალობა, შენ არ ღეინახე ჩემი ქალობა.
კაბა შამიკერე ჰელები, ღმერთმა დაგამტრიოს ხელები.
ღამიყარე ქილარის კარი, თავანში დამალე ყველი და იაღი.
გობში გაეცარი ფქვილი, შენ არ გაგისტორდა ცხვირი.
კარზე მოგიველ გული, გონჯათ წაამყენე მული.
ღმერთმა დაგიღია სული!
რათეინ გაბღეზდა ბერი, შეიღმა წამისუა ფერი.
ანტრათ დაგიორჩა თველი.
ხელზე დავიდე ინა, შენა არ წამიშვი წინა,
აწე მარტო დაჯექი შინა.

მთქმელი ოსმან ახისხალოლი (გოჩიტძე).

* * *

— აგერამ ჩაკითხულ ყურ-ანი ქერიმში დიდი ბატონი, ბითუნ ცა-ქუეყანა რომ გააჩინა იგირიმ ღმერთმა, ასე ბძანობს: — ეი, ინსნებო, ბითევი თქუენ მე გაგაჩინე. თქუენი ენ წინაი ინსანი ადემი არი, თქუენი ენ წინაი დიდი ანაი პაზრეთი ადემის პან-უმი ჰავა ანაია. თქუენ პაზრეთი ადემიდან ვე პავადან გაბვერებული ხართ. ღმერთმა იმასა ქითაბი გამუღზავნა. ადემიდან მემრე დიდ ბატონმა ღმერთმა ბევრი ფედლაშბრები გამოგზავნა, ბევრი ქითაბი გამოგზავნა, ასი და ოთხი ქითაბი გამოგზავნა. ასი ქითაბი პანანაია, ოთხი ქითაბი დიდუანი ქითაბებია. ესენია: ინჯილი, ზებური, თევრათი ყურანი. ინჯილი ისა ფედლაშბერ გამუღზავნა, თევრათი მუსა ფედლაშბერ გამუღზავნა, ზებური დაუდ ლალეღსელამ გამუღზავნა ღმერთმა ჯემბრად ლალეღსელამით. ყურ-ანი ჩუენ ენ დიდ ფედლაშბერ პაზრეთი მუხამედ მუსტყეფას გამუღზავნა. ჩუენი დიდი ფედლაშბერი პაზრეთი მუხამედია. ჩუენი ენ დიდი ქითაბი ვე ცა-ქუეყანის მოსკლომამდი,

ღანი ყდამეთამდინ ყიმიეთი, სიტყუაგამსლელი ქითაბი ჰაზრეთი ყურ-ანია. ჩუენი ღმერთი ასე ბძანოფს, ასენა დეეჯეროთნა. თუ იგირის ღუნდაც გვინდა, ეგერეს ღუნდაც გვინდა, ასენა დეეჯეროთ. ვინცხაი არ დეიჯერეფს, ღმერთ იმფერი ინსნები არ უყუარს... გერჩქე ამ ღუნდაზე ღმერთის სიტყუა დამჯერელიც ცოცხლოფს, ფედამბერის სიტყუა დამჯერელიც ცოცხლოფს, ყურ-ანი ქერიმის ნათქუამებს ვინცხაი რომ იჯერეფს, იპაც ცოცხლოფს. ვინცხაი რომ ამათ პირ არ იჯერის, ისენიც ცოცხლობენ. ამა შავ მინაში რომ ჩეხუალ, შავ მინაში... ის არი საქმე. ვინცხამ დიდ ბატონის ნათქუამები დეიჯერა, იგირისენი ჯენნეთმინა ნეედენ, ჰაზრეთი მუხამედთანა მიეფენ. ამა ვინცხაი არ დეიჯერეფს, ვინცხაი ამათ ინქარ იქს, ესენი ტყვილიაო, იტყვის, იმათი ეერი, შავ მინაში რომ ჩადრება, შავ მინას რომ პირზე წაყრიან, იმათი ეერი ჯუჯუხეთი, ჯეპენემია, ცეცხლია. ღმერთმა ბატონმა ბითევი, ბითუნ მუსლიმანები იგირიმ ჯეპენემის ცეცხლიდან მოგვინახოს, შიგვინახოს. ამა ღმერთმა ბითევი მუსლიმანები ჯენნეთში, ჯენნეთის ჰემ ლამაზ ეერებში, ბახჩებში, გუამცხოვროს ჰაზრეთი მუხამედის ერთათ, ინშალაჰ!

აგერამ ჩაკითხულ აეთში ამობოს ღმერთი, რომ მე თქუენ ერთ კაციდან და ერთ ქალიდან გაგაჩინე, ჰაზრეთი ადემიდან ვე იმისი ხანუმი პავადან გაგაჩინე. თქუენ იქიდან გამეგრეული ხარო... მემრე სოფლებში, ვილაეთებში, ყასაბებში გაგარიგე... მემლექეთებში დავარიგეო... ამათიდან დედმინაზე რაცხამდონი ინსნები გაჩენილი არიან, ამათში ენ კაი ინსნები, ღმერთთან ენ დიდათ კაი ხასი ინსნები ის არიან, ვინცხას რომ ენ დიდათ ეშინია ღმერთისა. ვინცხას რომ ღმერთიდან არ ეშინია, იგირიმ ინსნიდან ბითუმ ნაჩრობა დეინახებდა. ის ინსანი ყუელა ნაჩრობას იქს. აბა, ვინცხას რომ ღმერთიდან გერჩქე ეშინია, იმ დუნიდან რომ გერჩქე ეშინია, ამ ტყვილ ღუნდაზე არ მოტყვილდება, ჰემ ამ დუნისთინ ისაქმებს, ჰემ იმ დუნისთინ ისაქმებს. იგირიმ ინსნების ეერი კაია, ლამაზია. დამჯერო ინსანი მიეგებს. ვინცხაი არ დეიჯერეფს, ის წააგებს.

აგერამ ინსნეფში ენ კაი დემექ, ენ ლამაზი დიდ ბატონთან, გამჩენელთან ენ საყუარელი ინსანი, ენ ლამაზი, ენ დიდი ინსანი, ვინცხას რომ ღმერთის სიტყუებიდან ეშინია, ღმერთიდან ეშინია, იმის ნათქუამებს რომ ლამაზათ დეიჯერებს, ლამაზათ გვიარს, დიდ ბატონთან — გამჩენელთან ენ ლამაზი, ენ სტორე, ენ დიდი ინსანი ის არი. ღმერთმა ბითევი იგირიმ ლამაზ ინსნებიდან გაქეხაღოს... ლამაზი დეინჯა, პირი ლამაზი არა, დაკავებული გზა ლამაზინა იყოს, ინსანმა ლამაზი გზანა დეიკავოს. ამ დუნისთინ მარტო არნა ისაქმოს, იმ დუნისთინაც მარტო არნა ისაქმოს. ერთმა ინსანმა ჰემ აგერამ დუნისთინნა ისაქმოს, ჰემ იმ დუნისთინნა ისაქმოს, ჰემ მის კარგობისთინ, ჰემ მის ბალევის კარგობისთინ, მის ანა-ბაბოს, მის დების, მის ძმების, მის ხისიმების კარგობისთინ, მის დეველეთის კარგობისთინ, მის მეზობლების კარგობისთინ, მის სულალეს — ბადიმებზე მისლამდინ, პათდა კდარებზე მისლამდინ, იმათი კარგობანა მუნდეს, იმათ კარგობითინნა ისაქმოს, გული კაინა ქონდეს, ენა კაინა ქონდეს, თუალი კაინა ქონდეს, ვე ამისთანას ხუთი ვახტი ლოცვა კაინა ქონდეს. ხუთი ვახტი მის ვახტუნა ილოცოს. აგერე ინსნები, ვინცხაი რომ ამათ დეიჯერებენ, ენ კაი ინსნები ისინი არიან.

იიჰან, დემაქე ღმერთი დეიჯერონა, დემაქეი დაჯერვა დანი იმას ქვია, რადლას რომ იტყვის, ესენი სტორეანა თქუა, ენით, თუალით, გულით, ყურით. ღმერთის გამოგზავნილია, ჰაზრეთი მუხამედის ნათქუამია. ყურ-ანის ნათქუამები თლათ სტორეა დეა დეიჯერონა, იიჰანი ის არი. აგერამ იიჰანის შართები ექქესა.

ერთი, ღმერთის ერთობანა დეიჯერო, ღმერთი ერთია, ღმერთ გარეთ ღმერთი არ არი. აგერეს ეიქლები, ფუთები თლათ ტყვილია. ჩუნქი ერთ ინსანმა ეიქელ თავი-კისერი რომ დაამტროს, ვეეფერ ვერ გეტყვის, ქვადან გაკეთებულია, შეშადან. ჰამა ღმერთ ხელ ვერ წააყარეფ, ის დიდა. ღმერთი იმისისხოზე დიდა, რომ თუ უნდა, აგერამ დუნას ერთ ტყემალის, ერთ ბალის, ერთ ყავლის ყუერივით გააქანეფს. ზერზელე

რომ იქნება, ამისისხუან მიწეფ რაფერ აქანეფს, იცი? ცაში დეიჭიხვის, დიდათ დეიჭეჲებს. ცადან ერთი ცეცხლი ჩამუარდება. აგერამ იერზე, მიწაზე, სახლში, სახლნიდან ინსნებ დეეცემა, ინსნები კვდიან. იგირომ ცეცხლსა ცადან ვინ იქნეს? — ლმერთი იქნეს, ლმერთი! რომე მე დიდი ვარ, დიდი! ბაქ! თუ მიწადა ცადან გამეჲქენე ცეცხლებ, თქუენ დაქნუავო, ისე ამბობს ლმერთი, ისე ბძანოფს ლმერთი... იმისთინ ეს ლმერთის იიმანი დემაქ ექსია. ერთი, ლმერთის ნდობანა დეეჲეროთ, ბითუნ ნათქუამები სტორეანა დეეჲეროთ.

მეორე იიმანის შართა ისა, რომე ლმერთის მელაიქებუნა დეეჲეროთ. ლმერთ მელაიქები ყავსან დეეჲეროთ. მესელა, ჯებრაილ ლალესელამ, ისრაფილ ლალესელამ, მიქაელ ლალესელამ ვე დაჰა იმდონი მელაიქი ყავს ლმერთ, რომე მისი ადეთი მის გარდა არვინ იცის. ჯებრაილ ლალესელამმა ყურანი ქერიმი ჩუენ ფელიამბერ ჩამუტანა, იჰაცნა დეეჲეროთ. მემრე ქითბები არი, დეეჲეროთნა, ქითბების ნათქუამი დეეჲეროთნა.

მესამე იიმანი შართი ეს არი.

მეთხე იიმანი შართი ეს არის, რომე ფედამბერების ნათქუამინა დეეჲერონა.

მესუთე იიმანი შართი ეს არი, რომე ველიომილ აახირი, აახირეთინა დეეჲერო. რაცხაფერ ამ დუნის სიცოცხლე არი, ისე იმ დუნდასა სიცოცხლეა, ჯენნეთია, ჯეჲენემია, ჯუჯუხეთია; დაგაჰსებუნ ის არი, გუელებ გამოგიგზავნიან ის არი. ერთიც ჯენნეთში გაგაგზავნიან, ჯენნეთში ლამაზი ნყლები, ლამაზი ჩიჩეგები არი, ის არი. აახირეთ გუნი ის არი, იქაც სიცოცხლე არი, იქაც ლამაზი დიეები გუაქ, ინშალაჰ! ამ დუნდას ინსანმა ენ დიდი, რომ უმფოსი იყოს, კიდო ტყულია, ენ სონანდა მოკდეს. შაც მიწაშინა ჩავდვან, პირინა ნაგაჲარონ, ხელმა ეკლარნა გეექანოს... ამა იმ დუნისა რომნა გავცოცხლდეთნა, სიცოცხლე, სიმარლე, სილამაზე, სიჩიჩეგე, ცოცხლობა იქ არი, კაცო. ეს ასენა დეეჲერო... ინსნის შუბლზე დანერილი კარგობა, გონჯობა რომ არი, ლმერთიდან არი. ამა ინსანმა ეცადონა და კარგობანა ქნა, მაშინ ლმერთ შუჲყუარდები. ნაჩრობას რომ იქ, მაშინ ლმერთ გაჲულდები, შეითან შუჲყუარდები, შეითანსა! შეითნის დერი ჯეჲენემშია, მუსლიმანების დერი ჯენნეთშია. ჩუენ გეეჲეადოთ, რომე შეითანის მეზობელი არ ვიყოთ იმ დუნდას და ჰერბეთი მუხამედის ვე ევლდაების, კაი ინსნების მეზობელი ვიყოთ. იმ დუნდას ჯენნეთში, ინშალაჰ!

ერთიც, მოვკდებით, იმას უკან გავცოცხლდეთნა, ეჰაც გერჩეგია. რაძღაფრათ რომ არ ვიყავით და გაგაჲინა დიდმა გამჩენელმა ლმერთმა, მოვკდებით, კიდო ისენა გაგავცოცხლოს, ეჰაცნა დეეჲერონა. კარგობა ვინცხამ ქნა, კარგობაშინა ნეედეს, კარგობის ყარიშულინა დეინახოს. ნაჩრობა ვინცხამ ქნა, იმისი ჯგზანა განიოს. კარგობა ვინცხამ ქნა, იმისი ლამაზობა, მუქაფათი, იმისი სისნორიესი მუქაფათი, ჯენნეთი, რახმეთი, ბერეჲეთინა დეინახოს. ერთიც იიმანის შართი არი მუსლიმანობაში. ამ ქერიიმის შართ რომ იტყვის, მუსლიმანი ხაზდება. მუსლიმანი რას ქვია, იცი? — ლმერთს რომ უნდა, იმდერი ინსანი. მუსლიმანი ის თქმა არი. ქელიმეი შაადეთი ეს არი: ყუელამ იცით, ამა ერთთა ვოქუათა, ერთპირა: ემედუე ამა ილაჰ ილელა! ვე ემედუე ენე მუხამედენ ლებდუე ვერესულუ! — დანი ამისი გურჯიჯა, ქართულა, გურჯულა ეს არი: ლმერთ გარეთ ლმერთი არ არი. ენ დიდი ლმერთი ჩუენი გამჩენელი ლმერთია. მეორე, ქილისაგდში, აქეთ-იქით ლმერთიო არიო, იმის თქმა დანი, იმათი დასობილი ლმერთიო. იმისი თქმა ტყვილია. ქვადან, ცეცხლიდან, თუარედან, ხედან, რესმიდან ლმერთი არ გაკეთდება, ჩუენქი იმას ინსნები აკეთებენ. ამა ლმერთი იმდერი, რომე იმისი სიდიდებე ჩუენ ჭკუა არ ანეეს, იმისხო დიდია ლმერთი.

ენ დიდი ლმერთია, მემრე, დეეჲერე, რომ ჰაზრეთი მუხამედი ლმერთის ჰემ ყულია, ჰემდა მისი ელჩია, ფედამბერია. ამას ვინცხაი დეეჲერეფს, ლმერთის ენ კაი, მეხუული ყული, საყუარელი ინსანი ეს არი. ისტარ ქალი იყოს, ისტარ კაცი იყოს. ისტარ ბერი ვიყოთ, ისტარ გენჯი ვიყოთ, ისტარ ფუხარა ვიყოთ, ისტარ ზენგინი ვიყოთ. ისტარსა

ენ დიდი კაცი ვიყოთ, ისტარსა ენ პანაი კაცი ვიყოთ. ისტარსა ამ დუნის ენ დიდი გუარის კაცი ვიყოთ, ისტარსა ენ პანაი გუარის კაცი ვიყოთ. აგერეს ასენა დევეჯროთ. ვინცხაი არ დეიჯერეუს, ამ დუნეაპაც ნააგებს, იმ დუნეაპაც ნააგებს. ეს ასენა ვიცოდეთ...

ამ იომანდა სორა ერთიცდა ილიმ ოქუმაქ, ბევრინა იკითხო: ყურანინა იკითხო, სხუა რაცხა ბილგია, სხუა რაცხა სასანავლეგელია, უსტიობა იყოს, სახლი გაკეთება იყოს, ხე, მეფეა ისტირმაქი იყოს, რაცხა რომ კარგობა იყოს, ისინინა იკითხო, დეისტაველონა. ამ დუნეაპაც ჯამილი არნა იყო, უტოდნელი არნა იყო, იმ დუნეაპაც იცოდენა ყუელამფერი. ნალოხელი ინსანი, ვინცხაი რომ ბევრი რაცხა იკითხა ავ იცის, ის კაია.

ღმერთმა გამჩენელმა რომე ყურ-ანი ჰეზრეთი მუხამედ რომ გამუუგზავნა მექქეს, ყურ-ანის ენ ბირინჯი აეთები ასე ბძანა ღმერთმა: — იკითხე, და მუხამედ, იკითხე! — არ ვიკითხოო, არ ვიციო. — მუხამედმა. — შენი გამჩენელი ღმერთის სახელით იკითხე, დანი ბისმილამი რეზმანი რაპიმ, თქვი, მეგრე კითხვა დეინყე. შენ ვინცხამ რომ გაგაჩინა, მისი სახელით იკითხე. ღმერთმა ყელემით წერვა რომ დაგასტავლა, წერვა, იმბა, შენ რომ წერვა-კითხვა დაგასტავლა, იგირიმ ღმერთის სახელით იკითხე. — თქვა ღმერთმა. დანი ენ ბირინჯი აეთი, ენ ნინ ჩამოსული ყურ-ანის სათირები, ნანერები იკითხე დია, არი ჩამოსული. იკითხონა, პამა პემ ამ დუნისთვინა იკითხო, პემ იმ დუნისთვინა იკითხო. კარგობისთვინა იკითხო. ნაჩრობა ღმერთ არ უყუარს, ღმერთ დაპა კაი ინსნები უყუარს. ღმერთ კაი უჩანს ბითვი, რაც გააჩინა. ღმერთ ნაჩარი და ზარალონი, გადავარდნილი ინსნები, საქონელი ბილა არ უყუარს, საქონელი. კაი, მერხემეთიანი, სწორე ინსანიც უყუარს, ევეთ, ბითუნ მახლეუყები, კაია, უყუარს. ეს ყიიმეთლი ძალიან კაი დიდუანებო, ნეიტებო, გენჯებო, ბერებო, ფუხარა, ზენგინო, ქალო, კაცო... ეს ასე დევეჯროთნა.

კითხვას უკან დიდი ბატონი ამბობს, რომე ისაქმეთო. ასე ამბობს ჩუენი ფეღამბერი. ფეღამბერის ნათქუამ სიტყუასა ადნი ვამბობ აგზე. ყური მომეციოთ, ძილი არ მოგიდეთ. თუალი ამ დუნეაპე კარგა გაახილეთ. მინაში რომ ჩეხუალ, თუალი გიგიხილბია, იმას ყიიმეთი აღარ აქ, კაცო. თუალი გაახილეთ, თუალი! ამ დუნეას გუდუხუხედავ და მარტო ამ დუნეათვინ არ მოტყვილდეთ. ამ დუნეასთვინ ვინცხაი მოტყვილდება, ამ დუნის კარგობისთვინ, ამ დუნის ხუთი ფარისთვინ ვინცხაი მოტყვილდება, ის ანსანი ზარალშია, ის ინსანი გადავარდნილია, იგირის ინსანი მოტყვილბულია. ვე ჩუენი ფეღამბერი ასე ბძანოფს, მის ნათქუამს აინი ვამბოფ. დანი ჩუენებური თქმა ეს არი: ამ დუნისთვინ ისაქმეთ, სანქი ებედ ამ დუნეაპენა იყოთ, ამ დუნეაპე დარჩეთნა გიბი, ამ დუნისთვინ ისაქმეთ... ამისთა პამან ამ დუნის საქმეზე გეხუალ, ორ საათ ამ დუნისთვინ თუ ისაქმეფ, ორ საათაპც იმ დუნისთვინა ისაქმო, საბოლოო, აახირი დუნეასთვინ, მიორე დუნეასთვინ, შავ მინაში რომ ჩაქრებით, აახირეთში მინაში რომ ჩაქრები, იმისთვინაცხა ისაქმო, კაცო! ჩუენ ბატონის ემრი ასეა. საქმე ისაქმონა, შენ კარგობითვინ ისაქმონა, სხუაპე მუხტაჯი არ გახედ დია, ისაქმონა. ამ დუნეაპე მოსაქმე ინსანი ყუელას უყუარს. ისაქმონა, ამა მარტო ხელით საქმე, ყანაში საქმე არა!... დუქანში საქმე, კითხვაც ერთი საქმეა. ვაზიფეფე გეხუალ და ვაზიფეფეს იქ, იპაც საქმეა, ევეთ! ეს საქმე პემ ამ დუნისთვინა იყოთ, პემ იმ დუნისთვინა იყოთ. ამ დუნის საქმეა — ერთ ვაზიფეს ეილფე, იმას იერზე მეტიან; ერთ რაცხას მოქცემენ, იმას ხიზმეთზე მეიყუნა. ამ დუნის საქმეა, ყანაში, ბახჩაში ისაქმებ. ერთ ტყემალ, ვაშლ, ბალ, ყურძენ მუასტროფ, ინსნები ტამენ, საქონლები ტამენ, ეპაც ერთი საქმეა. დიდი იკითხენ, მკითხველი იქნები. ახალგაზრდა ბალდებ ასტაველი, ეპაც ერთი საქმეა. პემაც ძალუან კაი საქმეა, დიდი საქმეა, ლამაზი საქმეა. ამისდა ლოცვაც, კითხვაც ერთი საქმეა. რამაზანში რომ რამაზან დეიკაგებ, იპაც ერთი საქმეა, პემაც ღმერთისთვინ საქმეა. პემ შენთვინ, პემ ფეღამბრისთვინ საქმეა, იმ დუნის საქმეა ლოცვა-კითხვა. მარტო ლოცვით საქმე არ მოთავდება, იტყვიან. ეპაც სტორეა. მარა მარტო ამ დუნის საქმითაც არ მოთავდება.

ამ დღედაზე ისაქმე, ისაქმე, ისაქმე... ბითუნ ერთ მემლექეთის საქმე რომ შენ ქნა, შენ გააკეთო, ხუთი ათასი, ათი ათასი, ორმოზდაათი ათასი ინსანის საქმე რომ ერთ ინსანმა გააკეთოს, იმდონი ისაქმოს. ისაქმებ, ისაქმებ, დაბერდები, დეიპრანჭვი, თულაღუში ნისლი აღარ დაქჩება, მუხლები მეიკაკვის, წელი მეიკაკვის, თავში ჭკუა აღარ დაქჩება: უკანდინან ჩაძრები შავ მინაში; ამ დუნის საქმე აქ დაქჩება. იმ დუნდას რანა წელიო? ჩემო ბატონო, რაი? ეს დეიფიშმანე თუ არა?... იმ დუნდას რანა წელიო? ღმერთთან რითნა მიხვდე? ჰაზრეთი მუხამედთან რომელი ლამაზი საქმიებითნა მიხვდე? ეს ახლანა დეიფიშმანო, კაცო!.. ია ჩემო მუსლიმანო ბაბოეო და ჩემო ანაეო, ჩემო დებო, ეპაცნა დეიფიშმანო. ღმერთთან მისლა ეს დიდი საქმეა. ამ დუნიაზე კარგათ საქმე და კარგათ სიცოცხლე, უზაშმეთო სიცოცხლე რაცხამდონზე კაია, დიდი საქმეა, ღმერთთან რომ ლამაზ რაცხაებით მიხუალ და, ღმერთო, ეს ლამაზი საქმეები შენთინ ვქენი, ეს, ჰაზრეთი მუხამედო, შენთინ ეს ლამაზი საქმეები ვქენი, რომ იტყვი ამასა, ის დიდი საქმეა, ის იმფო ლამაზი საქმეა. ამ დუნისთინანცა ისაქმო, იმ დუნისთინანცა ისაქმო. მარტო არ ვისაქმო და ვიძინო, ხალხი ვატყვილო, სხუას ჰაზი ავართვა, იმას ავართვა, არ მივცე, ამას ავართვა, არ მივცე, ვატყვილო, ამით სიცოცხლე არ იქნება, ამას სიცოცხლე არ ქვია. არც ამ დუნისთინ სიცოცხლეა ესა, არც იმ დუნისთინ სიცოცხლეა ესა. ეს, ჩემო მუსლიმანეო, ჩემო ლამაზო ღმერთის საყუარელო ინსნეო, ეს ასენა ვიცოდეთ. ეს ჩემი ნათქუამები ღმერთის ნათქუამებია, ჰაზრეთი მუხამედის ნათქუამებია. ჩუენი ენ დიდი ქითაბი, ჰაზრეთი ყურ-ანი, ლამაზი ყურ-ანის ნათქუამებია ესე. ჩემ ხაპირიდან მე ერთ სიტყუას ვერ ვიტყვი, ღმერთი მკითხავს, ეს ასენა იცოდეთ.

ახლა მოიღეთ სისტორიეზუ, ახლა პანაი სისტორიეზუ ვილაპარაკეთ, კაცო! ღმერთი ბატონი ბძანოფს, ყურ-ანი ქერიშში ასე ამბობს... დანი ამისი ჩუენებური, გურჯული, ქართული თქმა ასეა: ღმერთმა რაცხაფრათ რომ თქუენ გითხრა, რაცხაფრათ რომ ღმერთსა თქუენიდან უნდა, იმფრათ იყავით. სტორენა იყო ინსანი ყიდეხან, გაყიდეხან, ანონეხან. სტორენა იყო სახლში ქალთან, ბაღთან, ანათან, ბაბოთან სტორენა იყო. ერთმანეი არნა დუშუმუვეირო. ერთმა ინსანმა მიერეთენი გუნჯობითინ არნა ისაქმო, შენ შვილითინ, შენ დათინ, შენ ძმათინ, შენ ანათინ, შენ ბაბოთინ. შენი ბიბია, შენი ემაია, შენი სულაღე, შენი ბადიშითინ, შენ მეზობლითინ, იმათ კარგობითინნა ისაქმო. სისტორიე ეს არი. ღმერთი ბატონი ბძანოფს, სტორე იყავითო, რაცხაფრათ მე მინდაო, ისე იყავითო, ეს თქმა არი. მარტო ერთი ინსანი მის კარგობას დეიფიშმანეფს, სხუა არვის არ დეიფიშმანეფს, აგერე კაცი სტორე კაცია, თქმა არი. ერთი კაცი ვეა ერთი ქალი ჰემ მისი კარგობა მუუნდება, ჰემ ყუელასი კარგობა თუ მუუნდება, სტორე ინსანი ის არი. მე სტორე ვარო, თქუა და აგერეს დუშუმუვეირე, იმისთინ ის ნანერი მიაწერე, აგერე ინსითინ ტყვილი თქვი, აგერეს ინსანი სტორე ინსანი არ არი, აგერე ინსანი თეთრაპირაი, განათლებული პირაი არ არი. ამფერ ინსანსა ჩუენში შავპირა ინსანსა ეტყვიან. ამფერი ინსანი არი ტყვილი ინსანი. მარტო მისი კარგობა უნდა, სხუა ყუელასი ნაჩრობა უნდა. ამფერი ინსანი არც ღმერთ უყუარს, არც ფეილაბერ უყუარს, არც ყურ-ან უყუარს. არც მელაიქებ უყუარან, არცდა მის ხისიმებ უყუარან. მის შვილ ბილა, მის ბაბოს ბილა, მის ანას ბილა გადახოვლი ინსანი, დაღრეკილი ინსანი არ უყუარს. ღმერთსა დაღრეკილი ინსანი ჰიჩ არ უყუარს. ღმერთთან, დიდ ბატონთან, ჩუენ გამჩენელთან შავპირაი ღმერთმა ნუ მიგვიყუანოს. ღმერთმა განათლებულ პირით, თუარესავეთ განათლებულ, ზითულსავეთ განათლებული, მასკლავისავეთ განათლებული იმანით, ყურ-ანით, ქითბით, ლამაზ ლოცვა-კითხვით ღმერთთან მიგვიყუანოს. ღმერთმა შავ მინაში ჩუენ არ დაგვარცხვინოს. მარა აგერე დარცხვენაც პანაი თქუენ ხელშია... ეი, მუსლიმანეო, პანაი ყური გაახილეთ, თუალი გაახილეთ, თქუენ ხელშია ესა, წინწინ ყუელაი ჩუენ ბატონის ხელშია, ჩუენ ღმერთის ხელშია.

ახლა, ჩემო ღმერთის საყურადღო ინსებო, შიან გენჯი ხართ, დიდუანი ხართ, შუანის ინსები ხართ. დიდი ღმერთია, ჰამა ინსები წლის დიდი იქნება, სამოცი წლის, ოთხმოცი წლის იქნება. იმასა ჩუენ დიდუან ვებნევი. ინსების შიან დიდუანი არიან ესენი. ესენი დათვალონა, ამათ მეეხიზმეთონა, არნა გაგძულდეს, დაბერდა დია. ესენი ჩუენი დიდუანები არიან, ანაი არიან, ბაბოი არიან, დები არიან.

ახლა პანაი ანა-ბაბოს კარგობისთინ კინა ვილაპარკო. ანა-ბაბოს კარგობისთინ ღმერთი რას ამბობს? ანა-ბაბოს რაფერ მეეხიზმეთო, რას ამბობს? ყურ-ანი ქერიმში, ჩუენ ქითაბი ღმერთი ასე ბძანოფს: — მუსლიმანებო, თუალი გაახილეთ, ღმერთის ნათქვამები დეიჯერეთ, კაცო! ყუელაი იჯერებთ შიან, ამა არ მოვტყვილდეთ, ღმერთის ნათქვამები დეიჯერეთ. ღმერთი ბატონი ანა-ბაბოს კარგობისთინ ასე ბძანოფს. ღმერთი ბატონი ბძანოფს, რომ მოწყეტილი თუენ გებნევიო, რომე ღმერთ გარეთ არვის ღიბადეთი არ უზამოთ, არვის ყულობა არ უზამოთ. ღმერთი ერთია, ყულობა ინსობა და ღიბადეთი ღმერთი უზამეთ. ღმერთსა თუენ ღიბადეთი, თუენ ლოცვა-კითხვაზე იხტაჯი არ აქ. ლოცვა-კითხვა, „ჩემი ცოდვები მაჩუქე“, — თქმა, მე ცოდვა ბევრი მექნება, ღმერთო, მე აფთი მიზამე, მე აგერამ ნაჩრობიდან გადამარჩინე, მე ჩემი ნაჩრობა, რაცბა რომ ვქენი, ბითევი მაჩუქე, დიდო ბატონო, — თქმა კაია. აგერამ სიტყუებზე მე იხტაჯი არ მაქ, თუენ იხტაჯი გაქუან. აგერეს სიტყუები იმ დუნისას შვე მიწამი თუენ გადაგარჩენს, თუენ. — რიდან გადაგარჩენს? — დიდუანი რომე ზებანები არიან, შვიი ვერი რომ არი გაცხელებული, წყალი დულს რომ არი, გაცხელებული ყათლანი რომ არი და დულს, იგირიტიდან გადაგარჩენს თუენა აგერეს სიტყუები. დიდი ბატონი ბძანოფს: — მეპაც მეგებმარონაო. ამა ჩემი სიტყუები დეიჯერეთ, ჩემ ნათქვამ გზაზე გვიარეთ. პაზრეთი მუხამედის ნათქვამი, ყურანის ნათქვამები დეიჯერეთ, მეცდა მეგებმარო, ვენენთოშინა ნიოყუანოო. — ღმერთი ასე ბძანოფს... აგერამ აეთის გურჯულა, ქართულა თქმა ასე არი. ნინ მიდის კიდო ეს აეთი. ასე ამბობს: — ღმერთ რომ ყულობას უზამ, იმის ნათქვამ დეიჯერეთ, ილოცვა-კითხვაზე იმას უკან ანა-ბაბოპაც კარგობა უზამეთ. ანა-ბაბოს სიტყუა დეიჯერეთ. ანა-ბაბოს არ აწყინოთ. იმა ნაჩარი სიტყუა არ უთხრათ. იმათ გული არ გუუტეხოთ, ანაი-ბაბოი არ ატიროთ. ერთი დღე იყო, დიდი ბატონი გამჩენლი გვებნევა, ჩუენ— ინსებეს. ერთი ზამანი იყო, რომე თუენ პანანუანი იყავით. ამ დუნჯაზე მოგყუანა ანამ და ბაბომ ღმერთის ემროთ, ღმერთის სიტყუით, ღმერთის მუსადეთი. რომ ამ დუნჯაზე მოხველით, თუენ ააფერი არ იცოდით, ჭამა არ იცოდით, სმა არ იცოდით. ანა-ბაბოს რომ თქუენი თავი ერთ ხის ძირში გექენა, ააფერი არ იცოდით. მე აქედან ამწიეთ ბილა, ვერ იტყოდით. ამა ანა-ბაბომ თუენ რაფერ გაგზარდეს, არ გატირეს, გაჭამეს, ჩაგაცუეს, დაგახურეს. ანა-ბაბოს თუენი თავი რაფერ ებრალებოდა, თუენ პანაი იყავით, ააფერი არ გამოგვიდოდენ მამინ ხელიდან. ახლა თუენაც, რაცხაფრათ რომე თუენ ააფერი გამოგვიდოდენ და ანა-ბაბოს თუენი თავი შეებრალებს, გაგზარდეს, ანამ ღამენი ადგა და შენთინ ძუძუ განუა, მის ტანიდან გამოსული ძუძუ შენ განუა, კაცო, ჩემ ბაღემა, ჩემ პრატმა, ჩემ შვილმა არ იყვიროსო; ანა-ბაბომ თუენ მერხემეთი გიზამეს, თუენი თავი შეებრალებს. რაცხაფრათ რომ თუენ ააფერი გამოგვიდოდენ ხელიდან და ანა-ბაბოს შეებრალებს და გაგზარდეს, თუენი თავი რაცხაფრათ რომ უყუარდენ, თუენაც ახლა, ანაი-ბაბოი თუ დაბერდენ, ანაი-ბაბოი ისენა გიყუარდენ. ანაი-ბაბოი ისენა შეგებრალონ, ისე არნა ატიროთ, არნა აყვიროთ. — ოჰ, გამწყინდიო, — არნა უთხრათ. „გამწყინდიო“, — უთხარ და ანა-ბაბოს გული მუუკალი, ღმერთსა შენ განყინდები. იმ დუნჯას ანაი გეტყვის, რომ „შვილო, მე გაგზარდე, შენ მე გიმიქინე იქით. მე რომ დავებრდი, ჩემი სიტყუა არ დიმიჯერე, მარტო შენ ქალ სიტყუა დუუჯერე. შენ ქალის სიტყუით მე გიმიქინე იქით, მე ნაჩრათ დიმიწახე, მიმაგდეთ ერთ კურხეში. ახლა ჩემი ჰახი მიწდა. მე შენ პანაობამი არ გიგიქინე, მე შენ პანაობამი არ გატირე“. რომ ასე გითხრას ანამ

შეე მინაში, რანა უთხრა?...

ამ დუნდას ქალისთვისაც კანია იყო, ქალის სიტყვით ანაი-ბაბოი გეიქნიეო და ისენი მოჭიჭეო, ისენი ატირეო, ღმერთი არ გებნევა. ანა ბაბოს სიტყვიპაც, ბაბოს სიტყვიპაც ქალი ატირეო, არ გებნევა. ქალსა კაცობანა უზამო, კაცინა იყო, ბეერი არნა ატაპტაპო, არნა ალაპარიკო, ვეეთ. ამა ქალიცნა გიყუარდეს, იმითაც კარგანა იმცხოვრო. სახლში რომ მისხუალ, ქალ, შვილ შენი თავინა გუუხარდენ, ამა ჰემ ისენინა გიყუარდეს, იმათი კარგობანა გინდოდეს, ჰემ იმათ სიტყვით ანაი და ბაბოი არნა გეიქნიო. ანა-ბაბოს სიტყვიპაც ქალიც არნა გეიქნიო. ანავ, შენ ანაბო იცოდე, ანიეთ თესპა, სელავათი იძახე; ბაბოვ, შენაც ილოცე, იკითხე, ჭამე, სვი, პაცვა გინდა, იქ იარე, ჯამეში წედი, ილოცე, მოდი, დანე, ჭამე, სვი. ამა ჩუენთვინ ნაჩარ ნუ იტყვი, ბაბოვ, რომე ამ დაბერებას უკან ნაჩარი სიტყუა ინსან ზაათი არ მუუხტება. სიგენჯემიც ინსან ნაჩარი სიტყუა არ მუუხტება. ვე ერთი ინსანი რომე ანა-ბაბოს კარგა ამცხოვრელებს, მის ქალისთვისაც კაი იქნება, მის ბალვისთვისაც კაი იქნება, ავერე ინსანი ყუელასთვინ კაი იქნება.

ჩუენ ფედამბერს უკან ერთი ხალითე იყო, იანი ფადიშაპი. დანი ახლანდელი ერთ დეველეთის ბაშბაქანი. ამ ჰაზრეთი ომერთან ერთ კაცმა ევდა და ჰაზრეთი ომერმა მასთან ასული კაცი ერთ ქალაქში ვაალი გახადა. დანი ერთ დიდ შეერის ენ დიდი მაყამის საიბი გახადა. იმისი სიტყუა ყუელგან გაჭრის. ჩუენქი ავერეს სიტყუა ვაალია. ეს ენ დიდი უმფონო კაცი ვაალი რომ გახადა ჰაზრეთი ომერმა, იმათ ლაპარიკი ორ ბალემა მიედენ, პანანვან ბალეებმა, ჰაზრეთი ომერმა, ფედამბერის ფერზე რომ გევედა და დეველეთი იდარე ქნა, იმ პანანვან ბალეებსა ანაი პანაი ფარა მიცა. თითო-ორილი ხურმა მიცა და გააგზავნა. ამ მოსულ კაცმა თქუა, რომე ჰაზრეთი ომერმა რომე ერთ შეერში რომე ვაალი გახადა, იმ კაცმა თქუა: — და, ომერ, ესენი ვინ არიანო. ჰაზრეთი ომერმა უთხრა, რომე ესენი ჩემი ბადიშები არიან, კაცი. ამ კაცმა უთხრა, რომე მეაც ბადიშები მყავს, ანაი, ბაბოი მუუქდენ. ჩემ ბადიშებმა რომე ასე ენ დიდ დერზე მოიდენ, მე იმათ ვცემ და გაედენ; შენ იმათ არ ცემე, შექერი მიე, ხურმა მიე, ფარა მიე. რაფერია ესა? ჰაზრეთი ომერმა უთხრა, რომე შენ მერხემეთი არ გაქ. შენ ვაალობისა რომა დიპლამა მოგეცი, გაგზადე ვაალი, ის დიპლამა მომეცი მე. აართვა იგირის დიპლამა, დაფრინა, დაფრინა, გადაყარა. უთხრა, რომე ახლა რანა ვქნა მე, ვაალი ვიყავ და. — შენთანაი მერხემეთსუზი კაციო ვერც ვაალი გახდება და ვერც ჩობანიო... გადენა იქიდან. ერთი ინსანი რომ მის ძეთიმ ბადიმ მერხემეთ არ უზამს, ერთი ინსანი რომ მის შვილ მერხემეთ არ უზამს, ერთი ინსანი რომე მის სახლის ოღლუშუალ მერხემეთ არ უზამს, მის ანა-ბაბოს მერხემეთ არ უზამს, მის შვილ, მის ციცას მერხემეთ არ უზამს, იგირის ინსანი სხუას ჰქრ მერხემეთ არ უზამს, უთხრა ჰაზრეთი ომერმა. შენ ამფერი კაცი ყოფილხარო, დაადე ტრაკზე ჯოხი ჰაზრეთი ომერმა და გადენა. მეგემ ერთ ინსანსა ჰემ მერხემეთია ქქონდეს; ეს მერხემეთი ჰემ ინსნებთივინა ქქონდეს, ჰემ საქონლითვინა ქქონდეს. საქონლითვინ ბილა მერხემეთინა ქქონდეს.

ჩუენი ფედამბერი რომ ახლა ნევეს, იგირიმ ქალაქში, იგირიმ შეირში ერთი ქალი მეგომ, ჩუენი ფედამბერი ბძანოფს, სოფლიდან მოიდოდა. ძალიან ცხელა იმ არაბისტანში, ძალიან ცხელა მუბარეკეი. იგირიმ სოფლიდან მოსლიხან ქალ მეგომ ძალიან წყალი მოწყურდა. გზაში წყალი ეძეფა, ვერ ნახა; წინ ნამოიდა; ერთი გზის ქენერზე მეგომ ამოთხრილი იყო ყუბ. დეინანა ავერეს ყუ. იგირიმ ყუში ჩახედა, რომ წყალი არი, ამა ამოსალღებლი ყუბ არ არი. ქალმა მის წელიდან ბალი მვისხნა, თავზე დახურვილი დაზმა, დოლბენდი მვისხნა, ერთმანებზე ნააბა ქალმა. მის ფეხის საცმელი — აფახყაბი გეიდრო, იმაზე მუაბა. წყალი ამეილო მის აფახყაბით, მის ფეხის საცუამით ქალმა წყალი სუა. მოკდესნა უწყლო. ერთი კიდო ამეილო, სუა ქალმა წყალი. ღმერთ შუქური უყო, ელხემდულია, ღმერთო ბატონო, წყალი მომეცი, რა დიდი ხარო; ღმერთ

შუქური უზამა. ერთ წყალისთინ რაფერ შუქური უქნია, ბაქ? მეგრე მეგომ ქალმა გუხუდა, რომ ყუს ქენერებზე ერთი ძალი იარება, წყალი მონყურებია, მუცელი ერთმანებზე მიტყაბებულა. აქეთ-იქეთ უძენია, წყალი ვერ უნახავს. წყალი დასველებულ მინასა მეგომ ლოკავს ძალი. იგირიმ ქალმა იგირიმ ძალსა წყალი ამულო. მან რომ სუა იგირიმ ფესსაცუამით, წყალი ასუა ძალსა, შეებრაღა. მეგომ მოკდესნა ძალი, ძალიან წყურებია წყალი. — მე ნაღან წყალი მწყურიოდა, კვდებოდი, ახლა აგერამანაცნა მოკდეს. წყალი წყური, ცოდვა არი. — დეფიშმანა ქალმა. ამილო, წყალი ასუა. იგირიმ ქალმა იგირის ძალი მოკდენიდან გადაარჩინა დია, იგირიმ ძალსა მერხემეთი უზამა დია, ღმერთმა იგირი ქალი, ჰემ ნაჩარი ქალი ყოფილა, ნარე ენაინი ქალი ყოფილა, იგირიმ ქალსა ღმერთმა ჯებრადლი გამუღზანა: — იგირიმ ქალ უთხარი, ამას იქით ნაჩრობა არ ქნას, აქამდი რაცხა რომ სიცოდვე ქნა, მე რომ მანყინა, ისენი ბითევი აფი ვქენი. ვე იგირი ქალი ღმერთმა ჯეპენემიდან, შვე მინაში ღებებში ჩავარდნიდან გადაარჩინა. ვე იგირიმ ქალმაც თებეა ქნა ღმერთიდან, აფე, ისტადი. ღმერთო, მე მაჩუქე, ამას იქით ნაჩრობა აღარნა აქნა, ხელები გამაღა ღმერთზე. ღმერთმა იგირიმ ქალის იმდობანზე ნასაქმი ცოდვები გასილა.

ჯებრავლმა, მივდა, ქალ უთხრა: — გუშინ დიდი მადლი რა ისაქმეო. — ააფერი არ მისაქმეო, — ქალმა. — შენ გუშინ პა იყავო? ათქმევი ყუელამფერი. მე კაი საქმე ააფერი არ მიქნაო, — ქალმა. ჩუენ ფედამბერმა, მუხამედმა, ძალ რომ წყალი ასეო, შეგებრაღა და მერხემეთი უზამე, ღმერთმაც შენ მერხემეთი გიზამა და ნაჩრობიდან, ცოდვებიდან გადაარჩინაო. ქალმა თებეა ქნა, ერთი კიდო ცოდვა აღარ ქნა ვე იმანით, ყურ-ანიო ჯენეთში წედა.

— ჯა, ჩემო მუსლიმანებო, ღმერთის საყურელო ყულებო, თქუენ, მე ყუელი ერთ ძალზე მერხემეთ იზამა, წყალ ასუამს, სიკდილიდან გადაარჩენს და იმის ყარიმულულობა რომ ჯენეთი იქნება, ის ინსანი რომ მუხამედ ფედამბურთან იქნება. ია ერთ ინსან რომ მერხემეთ უზამ, ერთ ავატყო რომ მერხემეთ უზამ, მეეხიზმეთები, ერთ საქონელ რომე ასორში მერხემეთ უზამ, მეეხიზმეთები, არ ცემ, ბევრ ჭვიროთ არ მოვიდავ და მერხემეთ უზამ, იმისი ჯერი რამისისხოზე ჯენეთშია, ის თქუენ დეფიშმანეთ.

ღმერთმა ყუელას ასე კაი მერხემეთი მოქცევს, ღმერთმა ყუელას ლამაზი ჯენეთი მოქცევს. ღმერთმა ამ დუნეპაც, იმ დუნეპაც ყუელას კარგობა მოქცევს. ჩუენი დიდუანები არ დევიწყოთ. ჩუენზე ნინინ მომკდენარი ინსენი არ დევიწყოთ. იმათაც ყურ-ანი ჩუუკითხოთ. — ღმერთო, ისენი ცოდვებიდან გადაარჩინე, იმისი შავი მინა, მუხელული ნური გუხუხად. ისე ღებაპში არ შეიყუანო, ჯენეთში შეიყუანე დია. ღმერთ ასე ვეხუენოთ, სამი „ყულველაუხებედ“ ჩუუკითხოთ, სამჯელაც „ელხემდულილია რობილ დალიომ“, სამჯელაც „ელაუმესხელო“ ჩუუკითხოთ. მემრე ვთქუათ: — ღმერთო; ეს ჩემი ნაკითხები ყაბული ემიზბადე. ღმერთო, ჩემ ანას, ბაბოს, ნენეს, დედეს, ჩემზე ნინინ გენჯი, ბერი, კაი, გონჯი — ვინცხამ რომ მოკდა ჩემ სულადეს, ნესლიდან, ღმერთო, იმათ რუხისთინ, იმათ სულისთინ მე გუუგზანე, ესენი იმათ უხუნინე დარები, ამ ჩაკითხულების ხურმეთით. იმათი მინა აახირეთი ჯენეთი გუუხადე, ღმერთო. იმათი დასარჩენელი ფერი ყამეთამდი ჯენეთი გუუხადე დია, ასენა შეეხუენოთ ღმერთსა.

ერთიც, პანაი ბანი თვებეა თეფისა, იქმი ვლაპარკობ და...

— ყიიმეთი მუსლიმანებო, აგერამ ჯამის ჯემადლოთ, მე ვინცხაი ყურ მიყურებს, ახლა პანაი მოკდენისნა ვლაპარკო. ღმერთი ბატონი ბძაფონს, რომე ყუელას რომ სული აქ — ინსანმა, საქონელმა ყუელამნა მოკდეთ, ყუელამ სიკდილის სიმნარენა განიოთ. ესაც, ენ დიდი სიკდილის სიმნარე ინსენებმანა განიონ. ამა საჯენეთო ინსენებმა მოკდენიხან სულის სიმნარე ვერნა მიხდენ. მოღალული ინსანი რომ ლოგინში დეიძინეფს ლამაზათ, ისენა სულინა მიცენ, სული არნა დეენუნან. ერთი თუალინა გაახილონ, რომე

ჯენეტის ლამაზ ჩიჩეგებში, ლამაზ ნიღმეთებში, ჯენეთში ლამაზ წყლების ქინერებში, იემილოლებში თუალინა გაახილონ. ყუელა ინსანმა სული მიცემიხან სიმნარენა განიოს. ამა ვინცხაი ღმერთის სიტყუას დეიჯერეფს, იმან ცოტანიან განიოს. ვინცხაი ღმერთის სიტყუას არ დეუჯერის, ყურ-ან არ დეუჯერის, ჰაზრეთი მუხამედ რომ ააფრათ არ დათლის და მის სიტყუას არ დეიჯერეფს, ჰაზრეთი მუხამედი პანაი კაცი ეგონება და მისი თავი დიდი კაცი ეგონება ვინცხას, იმათმა მოკდენიხან ღორებივითნა იბლორინონ. რომეც არ იბლორინონ, იმათ სული მიცემიხან, ყიაში რომე აჭარის წყალი გაადინო, იგირომ სულის სიმნარედან ვერ გადარჩებიან. ამისთვინ მაადედი მოკდენიხარ ორი თული სიკდილია, ერთი თული სიკდილი ლამაზათ გერმედი, საჯენეთო არი, ერთიც სულის მიცემაცდა საჯეპნემო არი. ჩუენ ვეცადოთ, იკითხოთ, ვილოცოთ და საჯენეთო გავხედოთ. ღმერთმა ბატონმა დღეში ხუთი ვახტი ლოცვა ფარძი გიგვიხადა. ყურ-ანში ასე ბძანოფს:— დანი ყუელა დღეს ხუთი ვახტი თქუენზე ფარძი ვქენიო. ეს ვახტებია: საბაზნამაზი, ოღლა ნამაზი, იქინდი ნამაზი, ახშამნამაზი და გათსინამაზი. აგერეს ვახტები ყუელი თქუენთვინ თქმა მინდა, ამა ესენი არ დეილევა. მე რომ ორომც ნელნად ესენი გალაპარაკო, ხუთ გზობ ას ნელნად რომ გელაპარაკო, ესენი არ მოთავდება. ანჯეი თქუენ მიხილო, დღეში ხუთი ვახტი ილოცეთ. თქუენთვინ ფარძი გიმიხდა. ამ ფარძებ ვინცხაი ილოცავს, იმისთვინ ამ დუნიას ჯენეთია, იმ დუნდაპაც ჯენეთია... ერთ ჩიტ ერთი ფთა რომ საღლაში ექნება, მიერე ფთა რომ მოტეხილი ექნება, იგირი ჩიტი ბევრ ვერ გუფურინდება, ცეცხლში, წყალში ჩავარდება. იგირიას ინსნები მოზელენ ფეხით. ამა ორი ფთა რომ ექნება საღლაში, რომელცხა ხის ლამაზ ტანზე უნდა, იქ დაუღვბა. ინსანსაც თუ ჩიტვით ორი ფთა საღლაში გახდომბა უნდა, ერთი ფეხი ამ დუნისთვინ ნააბიჯოს, ერთი იმ დუნისთვინ. ერთი ფეხით აგერამ დუნის კარგობისთვინ ისაქმოს, ერთი ფეხით იმ დუნისთვინ ისაქმოს. ღმერთთან, ფედამბერთან საყუარელი თუ უნდა, ვიყოთ, ის დუნდა არნა დაგავინყდეს. ყური გახსენით და მე დიმიდინგლეთ, ღმერთ დუედინგლეთ, ფედამბერ დუედინგლეთ, ყურამ დუედინგლეთ, ისლამ დინის ნათქუამ დუედინგლეთ... მარტო ყური სიმღერაზე მიგიცემია, ვალაში, ეს ვერ გადაგვარჩენს შვე მინას ლეზაბიდან... ასე იყოდეთ ესა. — ალაჰ! — დეიყვირო, მარტო ამ ძახილით არ იქს, ილოცონა, იკითხონა, ასე იყოდეთ, ჩემო მუსლიმანო.

ახლა ორი სიტყუა ბალევის გათერბილებიდანნა ვთქუა. შვილები გაათერბილეთ, ღმერთის სიყუარული დაასტავლეთ, ფედამბერი დაასტავლეთ, ყურ-ანი დაასტავლეთ, დიდი დაასტავლეთ, პანაი დაასტავლეთ, ხისიმი დაასტავლეთ, ანაი, ბაბო, დამა, ბიბიაი, ტაიაი, ხალაი დაასტავლეთ. ესენი შიგიყუარდენ — ბიბიაშვილი, ხალაშვილი, ემაშვილი, ტაიაშვილი. ძმიშვილინა შიგიყუარდეს, ბადიშინა შიგიყუარდეს. ლოცვა-კითხვა დაასტავლეთ ბალეებსა. შვილები მარტო ხესავეთ არ გაზარდოთ; შვილებსა ეს დუნდაც დაასტავლეთ, ის დუნდაც დაასტავლეთ. ჯაპილი, ბილგისუზი, უჭკეო შვილები არ დატიოთო, ღმერთი გვებნევა. შვილებ ჩუენნა ვასტავლოთ. მემრე იმათ ჩუენნა დიგიჯერონ. ღმერთის სიტყუანა დეიჯერონ. მემრე მათ შვილებნა ასტავლონ, ისინიცნა დააჯერონ...

ღმერთმა ყუელას კარგობა მოქვეცეს, ღმერთმა ყუელას ცოდვები გვაჩუქვოს, ღმერთმა ყუელას, რაცხამდენი ვართ შვე მინაზე მუსლიმანი და ვცოცხლობთ, რაცხამდონიც კდარი არიან, აადემ უჟან, ღმერთმა ყუელას აფი გვიზამოს, ჯეპნემიდან გადაგვარჩინოს. ღმერთმა ყუელაი ჯენეთში შიგვიყუანოს. — ამინ!

ახლა პანაიც აგერამ ვაიზი მქნელის, ამდენი რომ გელაპარაკა, იგირის ვინ არინა, გელაპარაკო... ბანდში ლაპარაკებელი, აგერამ ჯემალეთზე ვაიზი მქნელი, თურქეთში ბურსა ვილაეთის ინეგოლ ყეზასი ენ დიდი ჯამის ხოჯა ისაყ ფაშა ჯამე იმამ ხათიბი ჰაჯი შუსენინ აიდინმა ილაპარაკა ესა. ჩემი ნენეი, ჩემი დდევი ბათუმის, ხულას ლომბანავრის სოფელიდან აქ არიან მოსული. ღმერთმა, ბათუმში ვინცხაი რო დარჩენ

ჩუენი ხალხიდან, სხუა ხალხიდან ბითვე მუსლიმანებსა, ლმერთმა ჯენნეთი მიცეს. აქ ვინცხაი ნამოიდა, იმათაც ჯენნეთი მიცეს. ბითუმ ამ შავ მინაზე რაცხამდენი ინსნები არიან, ჩუენებური იყოს, სხუა მილლეთის იყოს — არაბი, ეჯემი, თურქი, ქურთი, მუსლიმანი, თათარი, ქართული, ვინც უნდა ის იყოს, ბითუნ მუსლიმანების კარგობა მინდა. ლმერთმა ჯენნეთი მიცეს. ყუელას, აგერამ ნალაპარიკებ ვინცხაი გეიგონებს და „ამინ“ იტყვის, ლმერთმა ისენიც ნამდვილ, ლამაზ ჯენნეთიდან არ ამეიყუანოს, ამ დუნის ბითუნ ავატყოფობიდან გადაარჩინოს, ავატყოფობაზე შიფა მიცეს. იმ დუნდაპაც ლმერთმა, ვინცხაი ამ ნალაპარიკებზე მუუდინგლებს და დეიჯერეფს, ლმერთმა ჯენნეთი მიცეს. იმ დუნდას ენ ლამაზ ეერებზე, მას რომ რაცხაფერი ეერი უნდა, ჩიჩეგებიაანი, მასკლავიანი, თუარესავით განათლებული, ლმერთმა ის ეერი მიცეს. ლმერთმა ბატონმა ამ დუნდაპაც ყუელას კარგობა მიცეს, იმ დუნდაპაც. — ამინ! ამინ! ამინ!

ლმერთო, ჩუენი დუა ყაბული გიგვიხადე, ამ დუნდაპაც კარგიდან გაგვხადე, იმ დუნდაპაც კარგიდან გაგვხადე. ვინცხაი აგერამ ნალაპარიკებს მუუდინგლებს, ლმერთმა გაცინება, კარგობა მიცეს, ლამაზი სიცოცხლე მიცეს. — ამინ!

საუბრობდა ჰუსეინ აიდინი (თავდგირიძე).

* * *

ლაზი მეგომ რამაზანში საქმოფს ყანაში, რამაზანი უკავია. საქმე საქმეში ოფლი-ღვარი გადმოღენია. მოწყურვებია წყალი, მომშევია ჰემაც. იმ ხანობაში ერთ კაც გუულია გზაზე. მუუცეგია სელამი. მეგომ ის კაცი ჭამდა, პირში რაცხა ქონია ჩადებული, ჩენგეს აქანებდა. ლაზ უკითხავს: — რატომ ჭამ, რატომ არ თმენო. რამაზან რატომ არ იკავეფო. იმასაც უთხრობია: — მე ვჭამო. ხამდან უკითხავს ლაზხა: — რატომ ჭამო?

ჭამელსა უთხრობია ქი, მე მუსლიმანი არ ვარ, ხრისტიანი ვარო, იმიტომ ვჭამო. ლაზსაც უთხრობია ქი, ზოელი კაი ყოფილა, ხრისტიანი დინი ქქონია, ხრისტიანობის ყიბითი იცოდეო, ზოელია ხრისტიანობა. მე გამხედე, რა მჭირსო, ვერ ვჭამ, ვერ ვსუამო. — სამერ ყათი ხორუმი გენჯებია არი. ცხრამეტე მის ბაგრამი აქუან, მაშინ ისამებენ...

ტელეფონი მოსწინაა, ტელეფონმა დუუკრასანა. ტელეფონი დავრკეოთო, არ ვიტყვიო. ჩუენა დარეკვას სხუა რამეზე ვიტყვიო: ფქვილიანი ჯუალი დავრეკე, ტვერიანი შალი დავრეკე, ჯადა ბაღვი დავრეკე, ვცემეო იმას ქვიან... — ბაღვო, დავრეკავ, წუუყურე! — ამფრათ ვიციო თქმა.

— ძუელების ნათქუამია: გზები ჭენებით არ დაცდებო... ათი ფარა, ხუთი ფარა, ხუელეები სულ ფუხარა... მარა მემლექეთში გადმოსულები ამბობენ, ხუელეები ფუხარა არ არიან, კარქა მცხოვრობენო. აჯელზე ნათქუამია ისეგავ... ბაღვის ერთათ ნეხუალ გზაში, ნეიქცევა-იჩირეფს, შენ ნეიქცევი-იციწეფს... მესხი ქოთან ლოკდა, გადამბრუნდა მოკდა...ენა არ აქუან მესხებსა, დეიწეწეს გურჯის ენა. აღარც თურქი არიან, აღარც გურჯი. ჩუენა გურჯის ჯინგანი დავარქეოთ. აბა, რატომ დეიწეწეს გურჯიჯა?

— უუავიციო იყო იქა, მაამისის ფარას ჭამდა... წყალი ნავა; ყუმი, ლილა დარჩება... იმფერ ნუ იტყვიო, რომ ინსანს ლაპარიკეში წუ დააგინეფთ. რა უთხრომინ ჩუენ დედიფესა, იცი? — ორმოცი ვირის ყიდვასა, ერთი სიძეი ჯობიაო... მემლექეთიდან ბითევით სუუფხანე გადმოვდენ... ხელებზე აამხელა სოკუები ქონდენ... ნაი, კეტიო წყალი მეიტანეო, — მეტყოდენ ძალსა. კეტი იყო ხისა. იქით-აქეთ ვედრები იყო დაკიდული. ახლა სახლებში ბილა შეიყუანეს წყალი სოფლელებმაც. შეიცუალა ზამანი... ვაზო თიხისაც არი, მალალი. ჩიჩეგებ ჩავაწყფეთ. გუეფო თიხის ქოთანვიოთ არი. გუეფოში გავაკეთებ ყურმას, ოთურთმას. ოთურთმა ამ სოფ კეთდება: ერთი სირა ფათოიჯანი, ერთი სირა ყართოფი, ერთი სირა ხორცი, ბიბერი, თომათაი, მარლიი. ყაფდინა დაახურო. პანაი წყალინა დაასხა, დანარჩენ ნეიხეთქავს. ნელ ცეცხლენა ადულო.

— ბორჯელი ვართ... ისტარსა მოი, გიმხარდება... ჩემი ასეი რა ხისიმჯანლია, შენ არ იცი... ჩემი თორუნია ასიაი... მიზანაიცი ჩემი თორუნია... მიზანაი ქალ ქვია... საუბარი ჩანერილია იღრის ერსოსი (თავმჯირიძე) ოჯახში.

* * *

— ნითელ კვირას, ნამიან დილას... ასე იტყოდა ნენეი, გიგოტიყვილებდა საქმესა... ანაი თილაპარიკე პანაი... პანკო ნენეი მახსოვს... შექალაი მერჯან დედესი ანაია... ხეს უთქუამს: — ცული რას დამაკლევს, შიან ჩემი გუარისა რომ არ ერიოსო. — კაი ნათქუამია ესა... გურჯი „გელს“ ქვია გურჯიჯა. სპარსული ყოფილა.

— იმდენი გუჯი ქონდა, ჭადის მადმა, ბევრი ყადთანაი არ ქონდა... ბაბოი ახალი მოკდა, ანაი გეეთხუა. ძალიან ვიდერდე, ემჯამი გეკლენე დერდისკან... ზავალი ომერა დედეი, ყეპროფს რამდენხანაია... მილექ-ოსმანაი აქ წამოსულა სამ ბიჭით... ჩუენ ორმოზდაათი დონუმი მიწა ქექონია. დიდი ნისქვილიც ქექონია. სოფელი იმ ნისქვილიდან იხმარდა მეგემ... დიდუანი ილაპარიკებდენ მემლექეთის კარგობას, იქავერ ლაპარიკის სიგერმელით, შიანედან ამოსლით იტყოდენ, ჟანი გუუფრინდენაო... ჩუენი ხისიმი აქ რომ ჩამოვდეს, ერთ წელიწად რომ აქ იყოს, თითო ღამეს არ დაქვდება. იმდენი ვართ აქა. ხისიმდინა მეთარო და პაჯ ისენა წეხვიდო, იტყვიან ხოჯიები, იმდენე მადლია მეგემ... ხლამ შენ ფეხზენა მოიფესნა თუ?... უკანა კარიდან ვპაიჯავო? — რა თქმა არი, განა! ყირმიზ მუმებთნა ქაიჯო თუ?... ბევრში თუ რაპათსუზი გახდები, ხვალე მოი... აქ ძალუან ბევრი ვართ, ბახჩაყაჯა, ბურსა თლათ ჩუენია... ოსმან ძიათ ვანყობდი წასლას, მარა ხელი მომეხიკლა.

— ჩემი ანაი ყადიოლი ყოფილა. ისკენდერ დედეი, სებილე ნენეი ყოფილან. სებილე ნენეს მუცელით გადმუყუწინა ჩემი ანაი, შაფივი. სებილე ნენეს კაცი ისკენდერაი, თეთიკი (ლაღაბაი) ნენეველი ყოფილა. მომკდარა პარფში. ჩემი ბაბოი ალიოსმან იავუზია, ლორჯუმელი, ალიოსმანის დიდი პრატი-ჯემილეი ვარ მე. ბაბოი ასი წლის არი ახლა. შეიტყვა შენი ჩამოსლა და გამომავანა: — რაცხა ხებერი მომიტაი მემლექეთურიო... ერთი იქავრული მომასმენიო. ცრემლები სამსე აქ თულალებში. — რა ქეჭირს ეს ბე... რა წარე ხარ, მემლექეთო?!... რა წარეა ყურბეთობა?!... ამისისხოთ ყერიბები რატომნა ვიყოთ?

საუბრობდა ჯემილე იავუზი.

* * *

— პალბუქი ყულა დედეი ვგვიოთ... ახალათ რომ გესულა, აზდაპი ჩავარდნილა. მიწეჩნი არ მაქ, ყულა დედეი თუ არ გავსილე თეიფი, რადიო... ტვარები ჩამოსილე მუთვალში?... აჯნი ასე წერს. მის ბალეებმა ბილა იციან კითხვა... ჩემი თავიცი დავატანო ამ ნათქუამსა... ჩუენ ძილი შერგობილი არ გუპქ იმი ბარობაი... ახლოპირ დუუკრავ ტელეფონს... დიდი კატა ბადაი ნენეპაც არ უყუარს...

— ბიჭები ხატია ნენეს აყუანილი არიან... ესა დუნჯაზე მოვდა ჩათინაი... პრატები გეველით გარეთ და ვაჯავრიოთ... იმაპაც დიეჯეერებია... დუნჯადა არ შამუშუვი ოდაში... კაცებსა ყედერი აქუან, ბალვი შოვნიდან გადარჩენილი არიან... სხუა დუნჯადა აღარ მეყუან-მეთქი. ვაყენეთ ორ-სამ ღამეს... შიქაეთი უყო, ფესატობა.

— მიეკრიფვის შამან ექიფი... გულნაქცეოფს კელინი?... თენჯერაში ვასხამ ქალაფოს... შენ რომ მე მომიქსუევი, გახსოვს?... სუფრა ქალებისა აჯრი იყოს, კაცებისა აირი... გევეზი იყო ძალიან... ასიესან მეჰლეში იყუნე.

— ბაქლავა აჯრი-აჯრი ვიციოთ: ყირყიტონი ბაქლავა, სერი ბაქლავა, დუზი ბაქლავა, ნუსხი ყურა ბაქლავა, ბოჩნა ბაქლავა... ფესტილი, ყორავო ვიციოთ... უთბრომია, ფეხ ქვაზე წამიკერენ, აქ მოვდენო... ბილა მიმბიძგუნო. — ჯემალას მიყავს, დემაქ? — დუუძახეფ, „ჰოვო“, დიეყირეფს... არაბამ ადგა, გიქცა... დედამთილსა ჩიეხუტოს

ძალმა!... კარებთან არ ევეყუდები სომეხებით... კარი შიგვიზროა, არ შამულ ქი!... დუძახევი, ნამოხტა. ისე თუ ვუძახევი, რალა გამოიდა?... მემრე დანევი, იძინე ევლამდი... ზითული დანეონჷ, საათი არ ქექონდა... — ჰა გააფთინეფ მაგ საათს, გო?... ილიმილი გახდებ... მენა ვუკეთო დასლული გენილსა თუ?... ღუნგადა უკან არ მენხედავდა... გამახედნია ლლიაში, შეიფურა და... ბირა ყადარ არ დავენებით...

— ვაქიზე გელინის ქორნილია... პარტიჯობა გამოიდა ბოლოსან. — კაცოვო, თქუნ დიდ ფადვას გობულობო: ყუელაზე დიდი ღმერთი, მემრე პუქუმეთია, მემრე შენი ანაი-ბაბოია... შენთენი შენი პუქუმეთი კაია, ჩემთენი ჩემი პუქუმეთია კაი... აიშეს პაზირინა უულო... მაქინასი მექიქი ევლე... ისნავლოს ქალის ყიმეთი... ჰავა ნენევი მეიპარეს, საქონელ ვაძუებდით დათალებზე. გამევიარეთ, გზაში ჰავაი ანიეს, მეც გადმომახხვეს. მე ამას დევკვატე. იმან მე დევკვატა. ერთი პანაი სხალი იყო, იმას მევეკვატათი ორნივემ. იქიდანა მეზობელმა გამოვდა, გააგდებია ჩუენი თავი... კაცსა იყურათი ქვირიდა, თვითანაც იყო. ორი კაცი იყვე კიდო. ნამუელთი მეიდანში. შაჯი დედვი წალდით მოვდოდა, გაცვითოსნა ისინი... გადარჩა ჰავაი, მეგბარეთე შინ.

საუბარში მონანილეობდენ ხენიფე ოზდილი (გოგტიძე), ასეიე ბაშთურქი (ვახტანგიძე).

* * *

— ერთი ქორვა მუნთაჰანენია, ოთხმოზდაცხრამეტი წლის, და ერთიც მე. ჩუენ მემლექეთიდან გამოსული მუჰაჯირები ვართ. ყოჩიოლების პრატი ვარ, უსენასი, ველიოლების გენილი, ქერემასი ქალი... ნურიანი გამოვდა იქიდან. პირველ კაცთან ხუთ თუეს ვიყავე, მემრე კაცი მოკდა და მაზლსა მიმცეს. სახლიდან აღარ გიმისვეს. პირველი კაცი მერჯანაი იყო ჩემი. მომიპარა, ჭყიბინ-ჭყიბინ მომიყუანეს... ანას არ უნდოდა, დამწყველა მეგემ. რუა წელი ამასთან ვიყავე, მეიერესთან. ისაც მოკდა. მემრე მიმცეს ზაბითა დედეს ბაბოს ზეირალ დედეს. იმასთან ოც წელიწად ვიყავე. სიკდილიხან გირასუნ მეთიზა წასლა; წევდა, იქ მოკდა. გირასუნ თორმეტი ხანე ველიოლია, ებიაშვილები არაა. ინეგოლ ხუთი ხანე, არიან მარტო. ორი კაცის თორუნი, ორი ძმის ნამბრავლი, სამი გოგოს ნამბრავლი.

— ნური-ეფენდი დედეს და ფატყუმაი იტყოდა, ორმოც დღენა დაამწყროო ქათამიო, ისენა ჭამოო... იჩქვე მიეყუაი სიძე?... ხალიებ მიმამგზავსა ლეიბინი...

— თერთმეტი მეყოლა ბალვი, ოთხი ზეზე მყავს, სხუანები დემეხოცა. ღმერთ ვანყინე. კაცი რომ მომიკდა მესამეთ, ვამბობდი: — გამჩენელო ღმერთო, ესენი მეგეკლა და კაცი მყოლოდა-მეთქი. ძალიან გაემწარდი, დემენუა. ქრივობაში ზულეში მქონდა ნანევი, ბეზარ მუელ. ღმერთმა მკითხა, გაზდილები მომიკლა შეილები, დასახლებუნი, გათხვებული. ზოგიდან ბადიშები მაი დამჩა, ერთიდან არც ერთი არ დამჩა... მემლექეთის სახლები მახსოვს. მალალ-მალალი სახლები არ იყო, დაბალი იყო. ჩემი დედვი მაფრიალებდა ეზო-კარში. ჩემი ტაიაი ნამოსულა, ბაბოსი ბაბოი იქ დარჩენილა... პილანდელი ყუელამფერი კაია... სამი გელინინა მევეყუნო, სამნივე გურჯი. ერთი ართონიდან მყავს.

საუბრობდა სულთან უნურ (დავითაძე).

* * *

— ოზდაათი წელიწადის წინ, ზამანუნდა, ვზიდევდით შუმას ხარი არაბით და ვყიდევდით ყასაბაში. ამფრათ გზები არ იყო. ახლა დემირელმა გიგვიკეთა გზები. იმფერი პატარაი გზები იყო, რომ ხარი არაბით რა პალით გევიარდით. ლელე— ლურდნეფში დავსველდებოდით. შემცივდებოდა, მომინდებოდა, პაცსა გავმრეთ-მეთქი. ჩითლიგ ვუძახით. ადგილია ერთი. ჩეველით იქა. შეველით ვინცხა თურქ კაცთან. ქემიოდა. ყურძნის ბეთმეზი და ბიბერის ჟავე დიკვიდა. ასე ვართ გაძუნძლილი,

ლართხი... გალართხული ვართ, ქვეცვა რასძალა. ბუხარში რა ჰალებით ბეინავს ცეცხლი. მინდა, რომ ქალმა გარეთ გვედეს და დავაყარო ბუხარში კობერი, დავანთო კარქა და გავშრე... გვედოდა, დავაყრიდი; გვედოდა, დავაყრიდი. გავშრით ენჯამი. შავებით ხარები და ნამუელი. ყასაბაში შემხდა ერთი კაცი. ძიას მახლავს. ძიას ვუთხარი: — ერთი შეხედე, ეს კაცი რაფერ ზოვლი ყიდის ტყემალსა. ჩუენ სოფელში ტყემალი ფეხეფში იზილება და აქა ყასაბაში იყიდება-მეთქი... კაცი ყოფილა გურჯი, მიხდა ჩემი ნათქუამი. შამობრუნდა კაცი და მითხრა: — ტყემალი რა არი, თხის გუბური ბილა გეიყიდებო, ეს ყასაბა არი, აბლახანუმო.

ახლა მინიშნება, ჩუენ რომ ყასაბაში ჩამეებარგეთ... ებედი კალათაი არ ნამომიციუამს კლავზე, ჩარში არ გვესულვარ... აქ ჩამუელით, ყუელამფერი დვენახეთ.

— ზამანუნდა სოფლი ლელე დიდი ადგებოდა ნვიმებზე. ქვებ ბილა, ხეს, შეშას ნამეილებდა. — სოროტი მოდისო, — ვიტყოდით. სერებზე გედევდოდით და ლელეს ვუყურებდით. ამ ლელეს ზედა ტყიებში ადრი სახელები ერქუა: ესეი ბიჩხი ლელე, მებტობიჩხი ლელე... ჩარხი ლელეც ადნია. ეს ლელიები მეიჭუჭკვის, ჩუენ სოფელში ჩამეიარს.

— მუხლისა ნენეი გურჯიჯა კითხავი იყო. რომ ჩიგვიკითხედა, ილლა მივეცმდით ფარას, კურცხ... მე მუდინგლევი ბევრჯელ, დევსნავლევი. ერთ დლესა ვინცხას უკითხედა, მე გავეყვი ხმამალლა. — დიგისტავლია, იზინანი პრატი ყოფილხარო, — მითხრა. ჩემ მოკდენამდი, ეგ ლოცვები სხუას არ ჩუუკითხო, ჩემი ნალოცი აღარ გაკუეთავსო. მე რომ აღარ ვიქნები, ჩემი ხელი შენთინ დიმილოცავსო, — თქუა მუხლისა ნენემ. გერჩქ დევსნავლე და ჰალადვენ რუუკითხავ ავათყოფებსა. ჩემი ნალოცი ილლა გაკუეთავს, მუხბებბა ავატყოფსა.

— ზაათი ყენეუზი ძალიან მესფული ყოფილა. კაბებ იკერევენ იმითა.

— ჩემი ბალვი ამბობხ: — დუნეადა არ მევეყუან თურქ ქალსაო. იმან რა იცის გურჯის თაბათი, იმან არ იცის გურჯის ენა: შენი ჭირიმი, ჩემუხუტე, კლავები მომიჭირე, ხომნა მითხრას ქალბო... ის ამა ებედი ვერ მეტყვის, ვერ რეუფერებოს.

— ბევრი გურჯები არიან ადაბაზარ, ბალიქსირ, გრენ... კოპე წყლის ამოსალელებლა ქვია. ესა „კოვა“ არი, ვედრასაც ვეტყვით... „გეზმა“ ჩუენებურებმა იციან, თუვალეთსა ქვია... ჩემ ციცასა ხომორი თმები აქ.

— ხაპურიდან ავთ გამხდარა საცოდვაი... ლაზები ფისი არიან, არ მოქეწონან...

— კაპურება მათ ხელშია, სოფადშია, ჯინსშია... კამპური გახდები ემჯამი სიბერეში, მეიკაკეი... იმ ქალის საშეშელო გადავარდნილა... იმასა ბევრი ვარი აქ, ზენგინია... აბა, მონაზარდე პრატსა რათ უნდა ნუერიანი კაცი?!

— იქ ედი ტყეში, დეიმალევიო... შააუდა ცხენზე, მოძენა. — ის გერჩქ ცოცხალია თუ?... რაფერნა ვიმცხოვრო მარტვაიო, — ტიროდა. — ჩემზე ქალ არ მეიყუანდიო? — უთხრა კაცსა... მიოვრ ქალ გუუზდია ანაი. ბაბოი ოგოი ბაბოსთან გუუზდია ანასა... ენ ნინ ამ სახლში დოროფალი ჩემი ანაი გამხდარა. მოზლო გოგვებ მონონებიან გენილული. ის გენილული იმფერი კაი ყოფილა, რომ დიდ გენილსა ოღამში აქ შენახებანი ჰალადვენ. ზაათი იმფო ყიმეთი იცოდენ... ვინცხას რომ ყიმეთი ცოდნიან, შუუნახვან... მე პანათ მახსოვს, ბაბოი ნისქვილ ასაქმებდა, ანაი დეზგაპზე ქსოვდა. ნენეპაც ქონდა დეზგაპი.

— ანაი დლეთი მესხუზ ნევდოდა მეზობელთან, ახალები მარტვაი დარჩეო... ეს ძალიან გევეზაია, მარა არ ნეგეკარება... პრატი შვილის ნახვა ძალიან მაღლია, სხუასთან არი ნასული, სხუისი მორბედია... ამისისხო ფოსტი ქონდა სოფელში...

— გენჯებმა მალე არ დანვეთ, ბრე, ცოდვა არიო, — შახჯობდა მალმალე.

— ჩუენი დედეი ძალიან იაშლია, ჰამანქი ვეეფერ ტყობილობხ. ხანდებან იტყვის: — დედაბერო, ერთი მომამსმევი, ნუ გემინიან, ეპაც ხორცია, ეპაც ხორცია, სირცხვილი

ააფერი აღარ არიო. ჩუენ მიცე ვეცყოდით, ბადიშები: — დამალე, დედე, სირცხვილიაო... მარა ჭკუა აღარ აქ თამ, სირცხვილი ჰიდანანა ქონდეს? იმიოთინ იტყვიან: — სიბერეუ და სინხველი... ტომათის ჟავე ამუტუტანე ავათყოფსა.

— გენჯებესა გზა შენნა გულნარბო, გზა შენნა მიცე.

— შენაო ულურსუზი ხარო, — ილლა ეტყვის ქალსა და გულ მუუკლავს. დაილნული ენა აქ იმ გერჩექ ულურსუზსა... აზლუნი იყო ძალიან, გახურვებული. მიერე ქალიც მიეყუნა და მალე მუუკდა. კლავს ქალესა ნეხდაცემული... კარქ სიტყუასა პანას ბილა ვერ ათხრობიებდა... დენიდა ვერ ვჭამდი იმათსა. აყრობი ამოიდოდენ ჭიტიინეში, მემინიოდა, არ შიმიძრე კაბაში-მეთქი.

— ერთი ომერაი იყო. ამ ომერამ შიაციანა დელი ალა აჰმედა დედესა. ეს ომერაი დედესა მიეკლანა, მარა ქალის იეგნის კაცი იყო და... ომერაი ვერ ტანულობდა: — რა არი ამფერი: — დელიაჰმედაი, დელიაჰმედაი!... ორმოცი ნელინადა ამას იძახით. მეყო და! ახლა პანა ხანაც ომერასი სიტყუა იყოსო... მარა არ იქნა, არ ჭამა კატამ ნიორი...

— ქალი ქალობაში რაც გინდა, ის თქვი, კაცთან არ ითქმება ყუელამფერი... ღორაი პრატიბი ქყუავეს ჩუენო, — ამბობდა... ფინათთ გევეზე იყო, კაცი-მაცი არ იცოდა... გეერახუნებოდა ყუელგან ყუელამფერი.

— სოფელში ყინვობა იცოდა. ცეცხლაპირ ჟდებოდენ... ახლანდელეები ქიბარი არიან, სოფელეები არ უნდარან... სოფელში ორი დლე ყანანა გეთხარა, რომ ერთი კილო შექერი ეგელო... ახლა იმფო გამბოლდა ყუელამფერი. ერთ ჰაფთაზე ბილა დავლევთ ერთ ოყა შექერ... კუერიცხი ხარშო ვიციოთ. სიმიინდი ფქვილ ჩაყარით ცოტას, გავრეკავთ, წყალში მუაშუშეებთ, დალ დავასხამთ. ახლა იმიოთანანა საჭმელეებმა გადავარდა. ამდელხანა გევეზედა, არ გიმიოთებია, პალა პირ არ გიმიოეთებია.

— იყო ერთი გელინი. გელინი თემბეული ყოფილა. სალამომდი გაზეთეს კითხულოფს. ეხო დასაგელო. მაამითილმა უთხრა მის ქალსა: — ხუალ დილაზე მენა დავგავო ეხოო. ჩავალ ნიფხავ-პერანგით დილიანაო. მე რომ დეენყოფ გვასაო, შენც ჩამოხუალო, მეტყვიო: — შენ არ დავგავო, სირცხვილია, ჩუენ ორი ქალი ვართ სახლშიო.

გერჩექ მიერე დლეს ჩეედენ ეხოში და გააჩინეს პაჟარაი. „პაჟარაი“ დილუანათ რომ აყერიდებთან, იმას ქეია. გეიგონა გელინმა, ჩეედა იმათთან: — არ ნეიკინტლოთო. ერთ დლეს შენ დავგავ, ერთ დლეს — შენაო. შაროგა ბერ-დედაბერი. თვითან ეედა სახლში და დეინყო ისვენ კითხვა. ჩუენც იმაზე გეეყუნათ მესელე.

— ეი, კიდი. შენი ჭირიმე, ბიჭო, რომ გაჩინდება პაჟარაი. — იტყოდენ გამოსულეები.

— დოდოფალაი ბალახია; ყირმიზი ამუა, ყირმიზი ჩოჩევი აქ. იმა მოკრეფთ და გავკეთებთ ფხალსა... ფირილი შამპუნ გავს... გათემიზდა სახლი. გაფისდება, გაათემიზონა, აბა ქალის საქმე სხუა რა არი!

— 1968 ნელში ჩუენიდან თურისთი ნამოვდენ მემლექეთში ორი-სამი კაცი. ნური ეფენდი დედი ძალიან იაშლი იყო, ევლარ ნედა თვითან. თურისთების მუნიბისი რომ ნედა, ნური ეფენდი დედემ ბეერი იტირა ოდაში: — სისხლ ვეძეფდი, თვარა სხუა ხომ ააფერი მინდაო...

— მემლექეთური დედაბრები იტყოდენ სოფელში: — თოვლს, პენტიერ იქნევეს, დედაბერი ტრინკებ იქნევეს.

— ნეიმს ზოელი; ხაროში ნეიმსო, იტყვიან. იმდონზე კია ამ დროს ნეიმა, დათესილები ამუა მინიდან... ონაგორა შემსეითნა ნეედეს ამ ნეიმაში.

— ჩუენი ბალეები ოქულში რომ ნეელენ, გუუჭირდებთან. თურქქა კარქა ვერ დეიკავებენ. ორეთმენმა თეფვიას უთხრა: — გაი გარეთ, ნახე ტაროსი რაფერიო. გეედა, რომ ნამავს. რაფერ უთხრას ახლა თურქქა. შეედა და უთხრა: — ლამავსო. ვერ მიხდა ორეთმენი. მემრე ორეთმენი ჩემთან მოედა სახლში და მიოთხრა: — „ლამავს“

რას ქვიაო? — ლამაც ააფერი არ არი დედიმ-მეთქი. დუღძახეთ თეფვიყას, ვკითხევით. — რა მეთქუა აბაო. „ნამავს“ გურჯიჯა არი; „ლამავს“ თურქა მეგონაო... ორთემინი პალიბეთი გედა ქენერში, მისბა, ბევრი იცინა.

— პალკონსა ზაათი ტანტრაფასა ეტყოდნენ ნენიები. ტანტრაფა პალკონზე გძელი იყო. სახლსა ერთი თურეფიდან ილა ქონდა სიგძეზე ტანტრაფა. ტანტრაფაზე მიყუდებული იყო კიბე. აქედან შეედოდით სახლში. ამ ჩემ დაირესაც აქ ტანტრაფა.

— ახლა რამაზანია, მუბარეტი და ემარსულოფთ. რამაზანი გატეხვა ძალიან ცოდვა ყოფილა... შუიდი გზოფნა დეიბნიდო და ისენა გატეხოო, — იტყვიან ხოჯეები.

— ლაზარიანი გურჯებმა ვიტყ. თურქებმა, კუდიანებმა, გურჯეებიდან დეისნაველს და „ნაზარ“, „ნაზარო“, იძახიან... გოგები გააკეთებდენ დოდოფა ჯოხზე. კლაკებ, ფეხებ, თავ მივაბემდით. დენწყობდით სოფლის ქენერიდან სიარულსა. მუუმღერებდით ყუელა ხანესა:

„ლაზარიამ მიადა კარსა, აღარდალფეს თავსა.

აბლამ მიადა თაროსა, ღიემგზავსა თუარესა.

ღმერთო, მეგვე წვიმა-წყალი, შიგინახზე ზე და თუარე“.

ყუელი ვიტყოდით: — ამინ! გადმოგვასემდენ წყალსა ტანტრაფიდან. ზოგი მოთხოვდენ იალ, კურცხ, ფეკელ. მოყრილი ვიყავით ბაღები, ბევრი. ყუელა მოსახლეს თითოს მუუმღერებდით. მოქცემდენ ისინი საჭამადსა, მოკრეფდით ბითეფ სოფელში. სოფელ რომ მევიარდით თავითავე, ერთი კაი აბლია გიგვიკეთებდა საჭმელსა, მოგვიხარშედა. ერთმა ქალმა გვასწავლა: ვინცხაი რომ ძალიან კუპენია, თქუენზე მოცემა ებრალემა საჭმლისა, იმანა მოპაროთ ცოცხიო. მოვპარეფდით და ლაზარიას ერთათ იმაპაც ვარუნიებდით, იმაპაც ასემდენ წყალსა. მემრე კოცხ მივაბემდით ლელეში. განვიმდებოდა, ამეველებდით. სუელ ცოცხსა მუუგდებდით პატრონსა.

— ინსანი ემედნი გახდება ავთ... მიედა იგირიქა... დიდთავებმა მისდენ, ვერ უძღეფსო... დაამწერიეს იგირიქა... ისტარსა არ სუან ძიგარათ, მიიც მანყენს არაბაი... მიერეთ წავალთ... ბაღვი რაცხას დააშავეფს ენ წინ ანა-ბაბოსნა მოკითხო სურჩი... გელინი დედამთილის მინიდან არიო, — იტყვიან, მარა ეს მამათილის მინიდან არი.

საუბრობდნენ ფატყუმე ოზილი (გოგითიქე) და პაჯერ ქაია (ფუტკარაქე).

* * *

— გურჯ ქართულ გუტყვიან. ბაღებმა ყუელამ არ იციან, ჩუენ ქართულები ვართო. შავშეთელებიც ქართულები არიან, გურჯები. მარა შავშეთელები ჩუენსავეთ მომფერე არ არიან, ვერ აწყობენ ჩუენსავეთ სახლსა. იმფოსერთი ქალები არიან მუუფერებელი. თემიზათ ლაპარიკობენ გურჯიჯას იმერხველები. შავშეთელებსა გურჯიჯა ბევრსა აღარ ახსოვან. ჩუენი ქალები ყაფალი ვიყავით, ისინი — აჩული. ახალებ ახურიოდენ თეთრ-თეთრი დოლბენდები. შავშეთელები არ მიყუარან, ენა დაკარქეს, თურქა ლაპარიკა აქუან მარტო, შიან-გარეთ. ზოგი მალავს, შავშეთელი ვარო. ჩემ მეზობელსა იმითიენ ვუთხარ წინაგზობაი: — ჯინგანი არ იყო, შავშეთელი ვარ არ დამალეფდი-მეთქი. ჯინგანი ის არი, ვინცხაი მის ჯინის დაკარქავს.

— შენ კარქა მოჩიზავ... ბაღე შიეხათრა... პილიმე სოფელია ლამაზი. პილიმელებმა იციან თქმა: — შეგფერთხავ, დაპანავდენ, მეიკაკვენ. ბევრი სიტყუა აქუან...

— კაპური, კეხი, ანია... არ უნუხან სული?... იმ დელსკენაი იცოდენ. შენი საქმე დაპა ზორია... ბაბანევიც იყებრავს... პრათი დაპა არ ვიცი... ღმერთო ნურვის კარზე ნუ დატიოქს. ჰემ შეგებრალება, ჰემ გიხარია... მანაც ფუფუფუღებდა.

— ლილის ოდის თეთრ იაზმაზე, დოლბენდზე მიაკერებენ... იმან დამანახვია ზაათი.

რაფერ უჯგტივინებენ იმდენ, რაფერ ქსოვენ ამდენ, არ ვიცი. ძალიან დაპორნიკალებული ოფა თმებ ბლღის... წრეე ჩუენი წასლა შუფელა... იპაც იქენება იქა...

— გაფეხიკო მარწყვი, ბელქიდა გაბალახიანებულია... მარწყვი ჯანლი-ჯანლი გამხდარა... ახლანდელი დარგული გახდა. ჩიჩეგის სოიადი ბევრია: ქუფელაი, ორთანჯაი, შექერჩიჩევი, შექერლალე, უბეგუმეჯი, მენეკეშე, ქარამფილი, ეკლიანი ვარდი, ზუმბული ჩიჩეგი, ქართოფუ, გირგინე, ონბირადლიქ ჩიჩეგი, ყაინანადლი, გელინდლი, დედამ-თილის ენა... ერთი იმფერა, ურუმალაი ეკალია; ხელ წააკარფუ, დეგენვის. გენილდილს აქ დაგეტყუებული დფრალღები. აჩალია ჩიჩეგი ფემბეა. რენგებია: ეგშილი, მოჭირებული ეგშილი, მორი, ყუი მორი, დალისფერი.

— ევდენა ბე სახლში, ბალღები გამეყყუანო... შერალდა გაკეთდება საქმე... ის იმფერი ქექეჯია, აასლი ჩუენიდანა... ძიგარაი მიე, ბე! ოკოი მაქედან...

— გურჯები ბვერი არიან სინოპში (სოფელი ლალა სულ გურჯებია), ადაბაზარში, იზმიოში, გოლეჯუქ, ბალიქსირში, გონენში (შუიდი სოფელია), ორდუში, სამსუნში, ფათსაში, ამასიაში, მერზიფორ, ადანაში, ბოლუში (შუიდი სოფელია), იზნიქში, გემლიქში, ბურსას; ინეგოლ ყასაბას თერამეტი გურჯი სოფელი აქ...

— ეზოეთი არ გიმინევი... აბლაი ქირდათნა ევლოვო, იტყოდა... ეს უსმელი ზარხოშია... შენ რატომ დაგაჭიკტა ამ ნათქუამმა. თუ აფვერი არ არი, შენ რატომ გაჭიჭყელს?... ყავრითაფე ადი და იქ დაჯექ, თუ ბიჭი ხარ.

— ვაშლი გათალე, ჭამე; სხალი დათვალე, ჭამე... ცხენის სიკლილი ქერიდან იყოსო, იტყოდენ დიდუანები... ორნივე პილმიევი გელინი ითხვა ბე?... ფაქუნა არ ესმის... ლამაათ ვართ, მარა ტანსღონი მაქ. შენი ტანსღონი ღუშულია, დუქსელი ტანსიონი აქ იმას... დანიდანაც დუქანი გუაქ... ბალღთან ერთად გზას არნა წახვიდე, ბელას წახვა, გიმინევიანი დიდუანებიდან.

— მილმიეს არიან გორიოდღები... ყარა იუსუფ დედეს ბადიში ვარ... ამეზაფხულ ველით მოსაფირებსა... ზოელი აღირი არიან... იქინდს უკან ონდან სორა მევიფიშმანოთ... დეიკარქა მეგემ... ღამეა საქმე, ჩათინია, ბნელა, თუარამ დღეი რა უნდა... ახმანამაზია და მესუდიე არაბაზე დააფდა.

— ერთხანა ბალღი ნეყყუაი მეზიღში. სხუა მეპელეში ვიჯექით მაშინ. ჩუენი სახლი მორთული არ იყო... იმერთ პრატმა იკითხა, ხომ არ უულიან ფეხითო... ნუბეთი არ არის ნისქვილბუ... ყოჯა დიდი ოდა, დიდი პავლი შამოქრნილი ქონდენ...

— შუეშეთელი ქალი გავგაზანე, გამხმარა, ხეპერნუკი გამხდარა ზავალი.

— ძუელღების ნათქუამია: — მოხუალ, წახუალ — ჩემი ხარ; არ მოხუალ, არ წახუალ

— შენ ვინ ხარ... მეჯბური იმანნა გააკეთოს ეს საქმე.

— ბაღლი ვიყავით ვახშამზე... ეს ჯინიკლიტე პად მივა?... პალბუქი ბვერია ცხუარის ძე... მეიტაი და უუნარჩვოთ, თაგალიც ვიციო. ლამაზათ გავარუნიფეთ თაგალსა. რომ გაგვაპერსებ, მემრე გუშუდღეოდღეო.

— დვაები ბვერი არი, კარგა მუდინგლევიო... კურდღელმა სერი გადაახტა, — ესა რა თქმა არი, იცი? — დრო, ზამანი ნევედო... რაძღამითი უნდა, წამეილოს... ჩემ ბალღ ხირზა აქ. ხირზა წინ ჩახსნილია... იგირიშის იქითაი არ გიმიკეთებია... წამეტრათ არი ეს კაბა... სუთერი მოეკსუონა დანი, დახა გუუკეთონა... გოჯა მითხრა, ასე-ასე ვნახევიო... გუშინ მოგისიზმრე, ვნახოთ, რაზე გავა... მუნასიბი თუ გამოიჩინდა, პრავტი გავათხვონა... მემრე დემიშხლა და გააკეთა, ოზოივ ანა ოდაში. ვინცხაი ნეგეპუტუნა ვიცი, მარა, ჭადის მადმა, არ გეტყვი. ბელქიდა არ დიმიედა, მარა არ გეტყვი, არც დიგიბაგფუ... აინი ხასი ბიბიაი, ისე გვიყუარს...

— გაეჯაზებულვარ, აფილარ მინდა, ავდექ, გავაკეთევი ბაილი საქმე.

— ჰემ სიტყუა მომცა და ჰემ მიფუშტა... ზითვალმა გამეიჭიჭინოს, დამწვავს, დამხალასავს... ფიჯი მისებურა ღმერის... ოზოდან შემა ანიეს... ხირსიბი ვიცი, მარა

რა ზორი მქონდა, მეთხრომიო. სარგი ბალიშზე გადასაფენია... თახულები გექნება ვათაქ ოდისა... მუედა ბალიში დოდოფალ მოქონდა, ბორდა ბალიშიც ვიცოდით... ახლანდელ გელინებსა არც ერთი აღარ მუაქუნა, გადაბრუნდა ზამანი. ახლა გელინები ამბობენ, უბუხრო სახლი გვინდა, უდედანთილო კაცი გვინდაო.

— ჯამეში ქალები ყუელთვინ არ ნავალთ. ჩუენი კაცები ჩუენ ვერზე უდინგლებენ ხათმსა... არ განვიმდა, ამოვდეს რაძლამ. ბარსამ იონჯა დათესილი აქ... თართქალი არი ზოგი ბალახი, გატყეპილია მიწაზე... ნარწყავ იერებზე ფიდანში არი სემიზითი. ესა ძალიან ნამალია, ინაბალახ ტყყოდენ, გეიტყლაპვის... ენი ნუერზე მაქ და ვერ ვამბობ... ღვალისი ფხალობია გერმელია... დაგანახვიო ღვალო? სამი-ოთხი დემეთინა მუყიდა... ლექსავევი არიან იმის ბალვები.

— ჯუმა დღეს ურუბა არნა დაჭრა, მატერიას მახასი არნა ნააკარო; ჯუმა დღეს დაჭრილი დეინუისო, იტყვიან. არც დაბანა იქს ამ დღესა, არც გარცხა. ჯუმა დღეს წყალი რომ დადგმული დინახო, ფეხი მიკარ და დაქციეო, — გმიგონია დიდუანებიდან.

— ყაზალსა ლასტიკი გუუკეთე... ესა ჯილველი ლასტიკითი ნაქსოვია... ამ ლაპარაკში თუალი გემქცა, ნაქსოვი გავაროსლე... მის ემვანებზე გონჯ არ იტყვის.

— ხსან ფაშეღისი ლაპარაკი ცოტა აირია. „სომა გაანთო“, იტყვიან; ჩუენ ვიტყვით „დაანთ“. ისენი ამბობენ „ცეხლიო“, ჩუენ ვიტყვით „ცეცხლი“.

— ჩაქათი ნელზედაი ჩასაცმელია, წინ გახსნილია. წინედან დაყაფანებულს ქვია ბულუზანი... ჩუენ ქალებმა ელიში, ხელნაქმარი კაი იციან. „ხელნაქმარინა ვქნაო“, იტყვიან... ხელი ჯაგლაგი გიმიხდა, კარგ ხელნაქმარ ველარ ვიჯები...

— მოზდე ბლვი ქემი გახლდა, მეთიელა... ბლვი გაქემებულა, ჩემ სიტყვით ველარ მუაბრუნე. ადრე კრავივით იყო... ერთშირაი მუხსტება, გაპერდება...

— ჩითაში ჩაყრიდენ ზესეს... ჩითებ აყუდებდენ... ცინვა იციან?... შენი ძიიი მებნევა, ახლავენ უშველევიო... მოვდა და ჩემეთესლიმა... ავათყოფი თესლიმი გახდა. ვარიოლა ნუ უჭიტიწეუ მაგ ყაზალსა, ჯუჯი ხელები გაქ, ლამაზათ ვერ ქსოვ...

— ყიმიანი ფიდა ვციკთ. ყიმა გამოწველი ხორცია, დაფუქველი ხორცი.

— ჩევედა და ანასთან წევს, თუალები უბლენდება. ვანსუზია... დუნედა ხომ არ მოსკდებოდა, ამელამ წევდოდი... ბლენეთაში დელუგსაც ვერ ვნახულოვ... ქირდათ ნუ მიღებ, ვერ ვნახულოვ დელუგსა!

— როკები ჩამომშპარიყო ლოჯიდან... გულფიდანაი მემლექეთიდან გამოსულია... ეზომი არა? კაცი გაამუფელა... მე ეხტომილოვ ყუელამფერს, ვერ დამბელა...

— შეო სიკილო, ათფერი არ ემღება, ვერც ფუზარა გულფურჩება და ვერც ზენგალი. ლეზრაფილი, ჯემზრაფილი სულ ავართვამს. ისრაფილი, მიქაილი-ქარია. ოთხი დიდი მელაქი ყავს ღმერთ გამჩენელსა... ღმერთმა ყაბული გიგვიხადოს ჩუენი ნალოც-ნავითი... ძალიან გასტორებულია საქმე მუსლიმანობაში, მარა ჩუენ არ ვართ სტორე. დღეში ათჯელ სელავათინა თქუა, რომ ყაბული გიგვიხდეს... ეი, კიდი, რაფერ საცოვადავი ვართ ტყედი დუნიანზე, მოვკედენა, მემინია ძალიან სიკიდილისა... ვიტრონა, მარა ცრემლები არ გადმოდინდება...

— ფედამბერის ანაი-ემინე გაერი ქალი იყო. მის ხალამ მუარა იმას, მუალოგინა. ებე ის იყო. ჩვილი ბლვი ფურფუჩეფს მეგემ. ყური მუუგდეს: — ღმერთო, მუსლიმანი უმეთი მომციეო, სელავათ ამბობდა. ტანი დავებანთ ბლვსა, — თქუეს ქალებმა. ჯებრაღლმა უთხრა: — ტანდაბანილია, არ დაბანთო. არ დუუბანიან... მემრე ანაი მუუუკდა, ბაბოი მუუუკდა, დარჩა რეთიმი ანას ძმასთან, ტაიასთან, გავრებთან დარჩა. მის დედემ, გავრმა, თქუა: — ამ ბლვსა არ აჭამოთ, არ ასუათ, ტყეში გააგდევითო. ებუთალიბი ქმეგია მის დედეს. — მე ჰადაც უნდა, იქ გამაგდევით, გულში ამტონეთი გამოკოჭილი მაქ, ის გადამარჩენსო. გერჩექ არ ასუეს, არ აჭამეს. ქერეჭები აჭამეს ჭადისა... თველი დაამუსლიმანა. მინედან ამეილო, ანაი, ბაბოი; გაამუსლიმანა და ისე

ჩაფლა... ასე მაქვს გაგონილი ხოჯებიდან.

— ჯერზე იკეთავს პრატი. ბარსამი რამე აკლია... მისი ბაბოი კაკლიდან გადმუარდა და დასახათდა... ჩემ ანასი ბაბოი იტყოდა, დავრჩი დეთიმათო, ანადანაო... გულსოდ ძალ ერქუა... ნევეზე ბიბიასან დოსტ რა ერქუა, არ ვიცი. იმა დაარქვია სხუა რაცხა სახელი...

— პრატი გახდა ბაირაღი, გაზიღლა... ყუელას მისი კუნზე უნდა... დარები სანა შუქარი, ავათ არ არა... პურაი ემსახურება, ძალ თავი ტყივებია... მომსახურე ინსანი რა კაია?... ზეპრასთან არ ჩავა, არც ზეპრაი ავა მასთან... პურას ერთი ძალი ზოელი ყავს. ფატყუმა გელინი ზოელია...

— დღე ერთი დრამი ხან ვიძინე... ისუფამ რა დრო ადგა, არ შიმიტყვია, ერთდრამი დასლოდი ჭამა... ილაღვის არაბას დაყარაში... განა ის არ აყრის, ფარა აყრის დიდ არაბაზე.

— ფოცხოვლებ ძუელებ ცოდნიან გურჯიჯა. გენჯებმა აღარ იციან.

— თუ დამთლიმა, ნევექვეი იერბაერ. „გერბაერ“ სიტყუა თურქქა არ არი. თურქქა იქნება „დუმარმიერე“... ამათმა რომ თურქქა იციან, ისე არ ვიცი, იმფო ხოშრათ ვიცი... ხოჯა რომ ჯამიდან გამუშუებდა ბაღეებსა, დამწერიედებოდენ... ერთი პავა აბლი იყო და?... ორსნავეს ვხედავ კითხვაში ჯამეში... ქალები რამაზანმა ათინგლა; გვეძინებაო, — ამბობენ... დუზათ ექსოვ, ასე ადვილია... შად და შად იყავით, ვინ იცის... სხუა ფიშინა უნახონ.

— სახლი მის ანას მქველემი არ არი ბოში?... სოფელ არ უნდოდენ... ისტარ გინდოდეს, ისტარ-არა, ვინ ქეითხავს რამეს?!... ალაფირონ შად გადმოსულან... ფატყუმა ნენეი, ფირუზა ნენეი ილაპარიკებდენ, ხორთლალი ადგებოდო. აშქედ-ჩავში ნენემ თითო ნენეში ანაი ახორთლად და ასტმით დაკლა. ასტმითნა დაკლა მეგემ, აღარ მუაო. აღარ მოსულა გერჩე.

— ერთმანობაში არევა ძალიან ჩათინია... დუზი დეღეგი აცვია ეიგერ... როკები დაასხი, გო, როკები!... ქალიყისმ შეგებრალება ძაფი... ქურთი ქალმა ნევედა, ხიში ქამა... იმ ღამე პური მისხუა, ვერ მივეცი, შალა მცხუნია ჩემ თავიდან... ფოცხოვლები ქუედა თერეფ არიან... ფოცხოვლებმა თორი გამომიტანა, ლამაზი, დაკოჭილი... თორსა დაქსელევენ ფილფიტებით. ღამაზ ქესებ მოქსოდენ... იმაც ქსოვდა... თულითული ყადშებია ახლა გამოსული.

— კაი მანგალი თუ ქქონდა, ბერე მოჭრიდი. ერთონას ერთპირაი მოვჭრიდი, დაშლი ხომ არ ვიყავ, დაფხავსებული!... გულიას დედამთილი თარავიდან მოსულა... ჩუენსა ვილაპარიკოთ, იყენენ ისინი... მე, ბე, ნავალ.

— ახსი იყუნე ძალიან... უწლუგი მინდა ველო... აღმაჩადრში, ყუხელში, ფაზარალან იციან „ძალი“. ჩუენ იმფო „გენილი“, „დენგე“ ვიცით... ქეშეკე უწლუგი შემეკერა... ბოშე არ ჩეიცმება... დღე ეფეიჯა ვარ... ხარჯლული, ადლული კარქა აქუან იმათ... შენთენია იგონავ მაგ ჭრელეფსა?

— ენ ნუერებში გადაყირმიზდებოდა ბალი. ბალი მიყუარს ია? ყავლა-ყვამეთით ჩამომიყუნადა ბლიდანა... მოკრეფდა, გააპაზირებდა ბალ... დედესან გერმელი ბლები აქუან. ჩუენი ბალი ცლუტეა, ბაბოსანი ბალი ბილაჯუგურაია, გერმელია. ჩუენსა გემო არ აქ. სახათი, ჩალღუნი ბლები ესხა. ამ ბალმა აგზე ღანდლიდანლი ძვილია გეიზარდა. შამოვლობავს ბაბოს ბლები... ხორთუმით მოგრწყე ბლის ფიდენები... შავქოფრის თუთუნები ქექონდა დარგული, მოგუერწყონა...

— ეუმალი გავაკეთე ძაფისა... ბაღვი საბანი ილლა შეიკეცვის... ბადიში გოგო მეყოლოს, შორელანა დავარქუა; რა ღამაზია გურჯი სახელები და ჩუენი შუქუმათი არ გუარქმევიებს... სიფესატისკან ხმელი არიან, სილორისკან... სიფესატისკან გუუფრინდესნა ცაშიო, ამასაც იტყვიან... ქალებმა გასკედენაო, ასე რომ ვამბობო... ჩუენი ძალი

ძიმიობაში გასუქდა.

— ყარა მუსტაფა ყანაში ამოხვიდოდ და? რეპმეთლი ფადუნაიც იქ იყო.

... აჯიქლი სიღმერაჯია... სულ ხომ არ ვლმერი?... შენ უუნე სატარამი... გულზე მოყრია ქალ და ნაქცევლა.

— პანა ძალმანა გარეცხოს სარცხელი და გააკეთოს საჭმელი. მე რაც მოსული ვარ, დასლულ ვაკეთებ... ღმერთმა ნუ დაქტიოს ძლისამარ...

— ძმისშვილებთან ნიშანი მუაქუან ჰილმიედან. იქ ბევრი თული მილეთი არიან: ჭუანელები, დლუანელები — სულ გურჯები არიან. — სამი-ოთხი სოფლიდან არიან, ისე არა?

— ნალიკაი პრატია, რა მეშველება?!... სვალი, ბადანა ქნა და ბერბადი გახდა. დუარქადიც ეიტანა... რალათ გინდა თალამი; მიაკალიბე და ნამუელ... ყარშიბერ ყოფილა სახლი... ციცასი ქორნილი ბაქალომ როის იქნება... ჯამი ღიანა ქქონდეს ღამემიო... ახალი წინდა ევლე, სახათი გამოდგა...

— რამითი თუალით დევნყო? — ძაფიაგორა მიაყოლე.

— ანახტარი ვისია?... ნუ დვენახვის, აქედან გეევდეს უჩუმალი.

— ხიები როისნა დაქირეჯო?... ამოკირევედნო, იტყოდენ ზამანუნდა... ბეთმეზში თორბათი ქირეჯ ჩავდებდით, გერმელი იყოსო... ხიებ თირთირი უჩინდება, ჩჩეგებსა, შევენამლონა ხიები... მაგრე ვეჭყვით და გამუაცხადებებთ-იმტა... კიბილებინა გაეაკეთებო დოხტურსა.

— სტენულობს ჩუენ ლაპარიკსა. აგნი ტამარი არ არიან-ქი?!... კურნაზი ყოფილან, რომ გადმოსულან... პარამი არ გვინდა რამე... შენ დაასტარი, დუუმახე!...

— მემლექეთში ჩუენი სოფელი გოგნიაერი ყოფილა. ჩუენი ძუელები გულბაეახტაროლლები არიან გოგნიაერიდან. ჩემი კაცი მანყვალთიდან არი, პაჯიშვილებიდან. ვის უჯინსოა, ახისხალებიდან ყავს ანაი. მელეზია, ანაი — სხუა, ბაბოი — სხუა... ეი, ვახ, ეი, ვახ! თერსინა მიდის საქმე, ევხურხლეთ... ნახევარზე მეტი ვერ ჩავხტი იმისი ლაპარიკი. ლაპარიკში ფუნგავს ყუელამფერს.

— მურადას ვისით აქ თრატოთორი?

— ჩემი ანადილი გურჯია. არ დაკვარქავთ გურჯის ენასა. წინიებზე მიველ ოქულში, ვუთხარ ორეთმენსა: ჩემი დედეი რომ მემლექეთ მეიგონებდა, ერთ პავთას იტირებდა, შუიდ დლე იტირებდა, კერაზე მიდებდა თავსა და იტირებდა... მემრე ანჯახ ადგებოთ, თუალ გაახილებდა. — რატომ ტირიო, — ვკითხევიდი ბადიშები. — ჩემი მემლექეთი, ჩემი ანაი, ჩემი ძმები მემენატრა და იმიტომ ვტირიო... მეცოდებოდა ჩემი დედეი.

— ორეთმენი გუეკინტლება, ბალეებსა გურჯიჯა ნუ ელაპარიკებითო, თქუენი ბალეები თურქა კარქა ვერ ლაპარიკობენო. გაეპერსტი და მიველ ოქულში. ორეთმენსა ვუთხარ: — შენა ჩუენი ხალხი ჯინგანი არ გეგონოს-მეთქი. ჩუენ ჩუენი დეველი გუაქ, ჩუენი ბადრალი, ჩუენი დაზი, ჩუენი ქითაბი გუაქ-მეთქი. ჩუენ ჩუენი ფადიშპი თამარი გყუავს. ენ ლამაზი ხალხი ჩუენ — გურჯები ვართ-მეთქი. შენ მე რანა მითხრა, შენ შენი დაზიც არ გაქ-მეთქი. ვეეფერი ვეღარ მითხრა ორეთმენმა. რა მიხარია ჩუენი გურჯები რომ აქ მოდიან! ახლა ყეზეთემი რა ვიკითხეთ, იცი? გურჯი მილეთი ფუნზე ადგა, ჩუენთვინაი გვინდა პუქუმათის განყოზაო, რუსებზე აღარ გვინდა ვიყოთ გამობმულიო... აბაზაი მიმოპანტულა, ის იმფო ვერ მონყდება რუსსა, ილაა ვინცხაზენა იყოს მიკერებული... ჩემ გურჯისტანსა ვენაცვალე. ჩემი ოლლუშალი, დიდიდან პანაზე გასული, გურჯიჯა ვლაპარიკობთ. რაც რომე ჩემ დედეს დულაპარიკინა, იმა ვილაპარიკებ მეცა და ჩემი შვილებიცა. გურჯისტანი გუაქ, გურჯიჯას ჩუენ არ დაკვარქავთ.

— ძუელი გურჯი სიტყუები კარქა ვიცით: ხარო. ხაროში ვყრით სიმინდსა, ლობიასა, პურსა. კიდობანიც ვიცით. კიდობანში შეენახავთ გამომცხუარ პურსა, ჩავყრით ფქვილსაც. დეფანიქიტანტრაფაისამფეროც ვიცით. ჩუენ „ფენჯერე“ ვიცით, „აქოშქასაც“ ვიტყვით.

— ვანიწინე ტელეფონი, ვანიწინე და ძვილია გავაგონე... უუთავებელს ემექლიზე ვერ გეკუწანთო, გეკუწესაბება თვიებო.

— დგარან იგირიგზე... შენ ხმა გაქ, იმაპაც ექნება... გუუფულუკუნოს ხომ არ არი კუდიანი... ზედა იაილაში დენახე ღიმი, ფუნდულლის არი ბევრი... რომ ვიცოდე ჩუენ ნასახლავებზე ფეხი დიგიდგამს, ფეხის გულებზე მოგიკითხავთ. მინა წამოგელო ერთი მუჭა, დემენახა, რანაირი მინა... სიზმარში ვითამ დედეს სახლში მიველ გოგნაივრე. ეზოში ჩიჩგებტი იყო ამოსული, წყაროც მოდიოდა ცივი. ჩემი დედი წყალ სუემდა. რომ დომინახა, ხის საფლი წყლით აამსო, მომცა და მითხრა, ეს ეზო-კარი მენატრებოდა და ძვილია მუელ აქაო. წყალი ვსვი და გემეღვიძა. გერმელი წყალი იყო, სუბუქი, პალადვენ პირში მაქ იმის გემო. ღმერთმა ნასიბი გიგვიხადოს მემლექეთის ნახვა, იქავრი ცივი წყლების სმა.

— თუალი შვიროსო ჩუენ ბალმა. თუალ შვიროთავს, შვითუალვის ისტარ ბალი იყოს, ისტარ მარწყვი იყოს.

— დედესა ძალანი უყუარდა სიმღერა „შეფრენილო ფუტკარო“. ჩუენო, შეფრენილი მართუე ვართო ამ დაბანჩ მინაზუო, იტყოდა. „შეფრენილო ფუტკარო, ნადი მარალს უთხარიო“, — მღერობდენ ძუელები.

— ჩუენი თავდდი ღვინოს აყურყულეფს, დათვი ტყავზე დამქდარი. შარაფშია, ხავერი მოშლია, ააფრის აღარ ეშინია, ზარხოშია. გორელივით ბრუნავს... დაგინებადდი ჩამო, თუარა რომ დავაგინებ, რაღაი... ბლავეი ინსანი არ მიყუარს, კაი იყავით, ვებნევი ბლევბ.

— ჰაჯიშვილები მულაგმი ხალხი არიან. მემლექეთში დელიაღა ყოფილა აჰმედაი. დელიაღამ სულოი ცემა მანყვალთელი. სულოი დელიაღას რავარ ცემს. რა ქნას სულომ? ევდა იაილაში, ანია თირფანი, გეკედა ენრფეში და მეიქნია თირფანი, ჰემ ყვირის: „იშ დელიაღა, ძგუფ დელიაღა! იშ დელიაღა, ძგუფ დელიაღა!“ — ყვირის და თიბავს ენერსა. გრდა დელიაღას თავ ჭრის. რავარ მოჭრის თავს!

— დისნულეები გყავეს მახალაკეთ. ხალაშვილები ქალები არიან. ენ დიდი და ჰავანი იყო. კუტი იყო, ჰემ მლოგინე იყო. ანამ კარიზლობი გეიარა, მე ვუყურებდი იმას... ჰურა ხალაი გათავებულია... თორმეტი-ცამეტი წლის პრათი, იათო იმფო პანაი ვიყავ... რათინ ხეეს იჯნა? ფუხარა იყოს, ისტარ გაური იყოს... სახათი, თოფალი ქალი. მუხტიაჯზე გავა ფთირე... მახალაკეთ ბაშთან მუზობელი ვართ... ნიეთი ვქენ ამაზე...

— კახბერი ჩემსობას ქურთი იყო. ბაბოი დადგებოდა ერთ ქურთთან. ბაბოი იტყოდა. ქურთებმა სირცხვილი არ იციანო. ჩემთან მის ქალსა ჭლიკ გადადფეს, კლავ გადადფესო.

— აგზე სვენ წყლები.

— მემლექეთში გერმელ ყურუთ აკეთებდენ. ჩორათანის ყურუთი კაია. იმ ყურუთის გემო პირში ჰალა მაქ. ანას შევეყენებოდით, ყურუთი გიგვიხვიე და საქონელში გაგვატაიო... მემლექეთში ყველიც გვექონდა ამსილი. ბაბოი რომ მოვდოდა, მე და ჩახალი გევეცებოდით, რომ ყველი ავართვათო.

— იგზე არ აქვან სახლი?... ოთხ წელწად ბახჩაყადს ვიყავით.

— რაცხამდენ მოქცემს ლმერთი, იმდენი მეიყვითო...

— უკანაი რვა საათ არ მოვდა. უკანაი მომყოლს ქვია. შიეშინდა ქალსა.

— ყველას რომ ვეგელინო, კარი ძირიდან ვერ მუალ... მეპაც ახალი გელინი ვარ...

პიათადა დანახული არ ვარ.

— ანაი რომ მოკდება, ბაბოი მეზობელი გახდებაო, — ძველი ნათქვამი ასეა... ანავ, შენ ქტიკია კლავი, მე მტიკია გული...

— შამაცია, დამახურევი-მეთქი, რაპათაი დავნე... ჩვენსას ვუთხარ, კლიტე გარეთ დატიე-მეთქი...ძიას ასე უთხრომია... დუნდადა არ შამეიხედავს ქათაქ ოდამი... შიქეთი არ მიქნა დედამთილთან?

— დუნდა თახუმი მოვქსევევი... გძელი არ მიყუარს, პარნუკია... დასაბანელი იმიტყადა, ნაბასტაი... დასაბანელი იარბე და არი... თავ მიესტრა თუ?

— ადნი სოფლიდან ვართ... ადნი ალთუნეით არი... საყუარლობ ამდონზე?

— დუნდადა არ გევეტაკუნები... ჩვენმა ჩავარდა გეზმამი... აზდაპი გამასტრეს... დუუდინგლე მაგასა, მაღლია... ხუთი ფურცელი მუუსტრიან... საათი მოდის ედინზე, საათი მოდის დაპა... ისენიც ელიდენ მოსაფირებ... დისჩისთან კიბილის ამოსალებათ მივალო... ეს მოტოლბეული არ არის იმათზე... ქალებმა ნემეკინტლეს... ახლანდელები ბევრ პალ იჯებიან... ნურეოსიმი შეკერე... მომკლევდა მინწეთმი... მის თერეფმა ბარსამმა ხალხმა აღარ ქენს... ჩვენც შევევლით და ბავრამი ეუზამეთ... ფილიზას რა სუჩი აქ ნეტაი, ნენემ გააშეგბია, თაბი. ყიყვი ბილა გამუუყვანა.

— ჯემალაი დაასახლევი?... ჩემი ბიბიაცი ხუისუზია... უტყდენ იმათაც ერთმანებ... მეტი ანაჯია, ვერ წიყყანა... აქ ყოფილიყო, იმფო მოკდებოდა... ქილერში ვიჯილდავეთ ბარსამი... ჰამან ჩემ ბაღვის საფურია-მეთქი... არ გუუჯიქდი... ია გაგაგდებ, იადან წაყურდი... მე არ ვაღვი... უსეინამ მუსტალი ქნა... ამას თხოვნილობენ მესსუზო... ისტიანჯი ზაათი გუაქ... ჩენც ეფეეჯა მოსტრილი ვიყავით... ბითევი ექსოვდით ნინდებსა... ებიობა იცოდენ სამნავე ნენემ... ყვირილია ყოფილა, ხელები ბილა მანანკალი ქონია... გენჯობაში იცოდა ამფერობა... ჩვენ მუქელეში ფატყუმა ბიბიანი იყო... იპაც პრატი გეგონა?... მუნთაჰამ გელინი მალე გახდა... ბაია ქარი ქრის... გამოსანყვეტელო, მოი აქ!

— ეს რამაზანი თვე თამი არ არი... ერთი დღე ნაჭამია... ყური გახრეტილი აქ, ყველაფერი იცის. აჯინქოფრი ადგილს ქვია... ქვედების ყავალის დერი დავთესე... ზაათინ რომ არ მოხნა არ იჯება.

— ვირითვინ ალთუნის სემერი დუუდგმან, მარა ვირი კიდვენ ვირათ დარჩენილა... გუბური, ახუნი დუუყარეთ მინასა...

— ხარებ უძღვებოდა ნენეი, მე ვხნევი... კკითხევი, რაფერ დატიე გოგო შვილი-მეთქი... მინის ჩხრეკას დეინყება; ნუ მომაგონებო, მეტყოდა...

— ბეგები დელიალა აჰმედა დედესი ქირვაი ყოფილან... დუზბაშობის პენსიეს აქ ლებულობდა... ჩანჩხალელები ადანასკენ გასნიეს... იქ არ უნდოდენ, ხარის არაბებით მოვდენ აქ. ბუზებმა კილამ შეჭამეს მეგემ.

— ვახტი მქონდეს, უგანყვეტილი ვიარ... დაპა ზაფხული იყო, გარეთ გახვალ... დაკუუტხილია მარწყვი, ჩირეგიდან გამოვდა, ზოგიც ჩირეგშია... შირ სახლში არ დავედები... იმსოლოლში შუუქციეთ სახლში... ხასი გურჯი ვართ... მანყალათადან იყო მაკარ ემიანი... ბღვსა ზულალი ქვია, ქალსა — ნაზმივი.

— მერიემა ნენეი იტყოდა, ზულფიესა ყვითელი კაბა ეცვა, ნამოსლიხან დევემშვიდობე, ჩევეხუტე. გორიდან მიყურა და მიყურაო.

— გოდორი ნაკოკობული იყო... ევზარ ზეითა და კუდი დავასკვი, გულ-შემემეყარა... მუსტალია-მეთქი, ვუთხარი იმასა... ძიმიობაში მქონდა მაიასიერი, ბიჭებზე მქონდა იმფო, პრატზე — არა. ბარსამ ინსან აქ, ბარსამ არ აქ.

— მომიტანეს შალაქისი კაბა, ნარინჯი სათინასი კაბა. ალთუნის ბეჭედი მომიტანეს. სამი ალთუნი მომიტანეს, ერთი დიდი, ორი პანაი. შუბლზე დევებემდით. ბანაყალსა ალთუნის არ იყო-ბე, თხელი ქეფსატები. ასე მომატყვილეს და ცალა ბახალომ.

თხუთმეტი წლისა ვიყავ. სიმინდი ტუბობიან მიველ... მარტი დადგა, შენ დედემ წევდა ესკერში. ხუთ წელნად იქ იყო. ერთ ღამეს გამეიქცა და მოვდა. ისაც დააპაფსეს. მემრე კიდო თორმეტ წელნად ესკერში იყო. იმსოლოლში მეყოლა ბალვი. სამ თვეს იცოცხლა და მოკდა. მემრე თხუთმეტ წელნად აღარ მეყოლა... ერთ დღეს ჯილღას ვიკავებ სხლი ძირში სურზე. ჯემალაი ნაძლოლილია. თქვეს, რომ ესკრები მოდიანო. პაიდე, ბახალომ, კაცი მუა თუ არა... ვაიძე, ისაო, გუგხარე, თორმეტი წელნადი იყო ათავებული და დანახული არ მყავდა. ერთმა წინ დევჯეტი ხარების, მეორემ უკან. ითქვა, თხუთმეტი კაცი იდამი ქნსო, დაკიდონნაო. ნური-ეფენდი დედემ გეეცადა და შვიდ სოფელში მოპორები მოკრიფა. ნამოვდა ყასაბისკენ. გადაარჩინა იმან იდამიდან თხუთმეტი კაცი... ეიდა მოვდა მემრე ჩემი კაციც. გამხმარი იყო ძალიან, რაპალებში იარებოდა. იმა რალა იდამი უნდოდა... ნური-ეფენდი დედეს მამინ სიტყუა გუულოდა. იმან გადაარჩინა დაკიდვასა. საქმე არ შექლო; ევდოდა მაღლა, ყანი თავში, ნამოკოკოლდებოდა, დეყვირებდა სიმღერასა. ილაპარქებდა ესკრობის ხებრებსა... საჭმელი ყითი იყო, ბალახ მოკრეფდით, მარილ სოფლობაში ავართმევდითო და იმას ვჭამდითო.

მამინ ჩვენა ძროხები, ხარები ქვავდა. ხარებ დილაზე ნეყვანდი, გავაძლობდი, შავებმდი. დედი ყარაჯი ყადას იმამი იყო, იქიდან მოგვიდიოდა იდარე. მერიეში ჩვილი ყავდა. ბევრი ყვბრი ეგმევიარეთ. მემრე ბალახში მუათხრევიეთ, ხამი. მემრე გაგუნგინდით, ყველამფერი ეგვემსო. ორმოცი ქილე პური მოვდა არსამი. სარისუნთარ ვთესევიდით, პურის სოვდაო.

ის მახსოვს კიდო. ერთხან წევდენ ტყეში, მოკრიფეს ნიფლი კუკული, სამი კოდი, ერთი ქილე ნახევარი. სახლებ ვაკეთებთ და ზარმელ-სადილ უზიდვენ კაცებ. გამობადეს ნიფლი კუკულის დლი. არი იმისი გამოსახდელი მაქინაი. ფადუნაი იტყოდა, რომ მარტო ჭიმური ვაკეთით ახლა ამისაო, ნინიბო ნიფლისაო. მარტო ჭიმურ აკეთებდა იმიდან. ახლა გუნდონდი გვაქ დათუსილი. თველზე გუნდონდ ჩავაბარებთ ფაფრიკაში. ისტარსა გამობდის შენ მიტანილ გუნდონდსა და დიდ მოქცემს, ისტარსა შაზირ დიდ მოქცემს თენქით. ახლა იმფო გადადილებული ცხოვრება გახდა. ყველას აქუან საჭმელი. სიფუხრე აღარ არი... მემლქეთიდან ჩვენ იმფო წინ გამუელით. აქ იყვენ აბაზები და მუჰაჯირები. გურჯებმა რომ გაჭინდით, ისინი თითო-თითო გაძრენ აქედან. ჟელიც არიან მუჰაჯირები. ზოგი სამასი კუამლია, ერთი ნაპიეა... ყიზილბაშებიც არიან. ბუსირა აღარ არიან ბევრი, ნედე-ნამოვდენ.

— ძიებმა განახონ, არ ნახვიდე... სისინთი აქ მოვლილი... ჯამი გაალო და სექვიდან გადმუარდა. მუზული, ფელჩი დემართა, ხელ-ფეხი გუუჩერდა.

— მე და მუსემბე ხუთ წელნად ვიყავით თაზე, ყარაბთურალის თაზე. ბეღლუბ ფურუნიც თა არი. ეს ენ მაღალა... ნანარქო იყო აბაზების სოფელი, ახლა თუფექჩი-ქონაქი ქვია. ხამათ დაარქვიეს სახელები... ველლი თხილი გვაქ. ეზოში დიდი პანტა ქვეონდა.

— მე რომ გვევთხვე, უღფეთა-ნენეი ნური-ეფენდი დედეს ორი წლის მოყვანილი ყავდა. იმისი პრატები და ჩემი ბლევები დასავეთ, ძმასავეთ გვიზდენ. სიკილიხან დედემ მითხრა, ვესიეთ ააფერ არ ვიჯები, ჩემ პრატებისთინ რაცხაფერ აქამდი იყავით, ახლაც ისე იყავითო. ვესიეთი მითხრა.

— თქვენ თურქების შექნილი ხომ არ ხართ, რომ სულ თურქა ლაპარაკობთ.

— ევდენა, ბე სახლში, ბლევები გამეყვანო... პურალდა ვაკეთებდა ეს საქმეც. ის იმფერი ქვეჯია, აასლი ჩენიდანა... ძიგარაი მიე, ბე!...

— ახალმოდე პრატსა სარცხელი დემართება, ადბაში თურქა.

— თხუთმეტი წლის გამათხუა ჩემ ბაბომ. ჯევიარა ნენეი ცოცხალი იყო მამინ. თუფექჩი-ყონალმიც ჩეყვავი. ორ-ორ წელნად სხუის სახლებში ვიყავით. აღებული არ გვექონდა მინა, გაჩეხილი არ გვექონდა. აბაზას სახლი ევლეთ. აბაზას პანაი სახლი ქონდა.

იმ სახლში მეყოლა ბაღვები; ჰაფიზ ნურის სახლშიც ვიყავით ბარსახან, მერიემა ნენეს ძმის სახლში. ჰაფიზ ნური იყო ჰაჯი თახუმიდან, მანყვალთიდან.

— ოჯახობას მოქცემენ, რა კაია?!

— ჯეიზი მაშინ ჰად იყო, ყველაი ფუხრათ ვიყავით. გამომატანეს ერთი გუგუმი აბდესითინი, ერთი ლეგენი, ერთი წყვილი ყერეველა. დილაზე ადგები, ჩეიცვამო. ერთი ბათანდე გამამატანეს, ისიც უკან ჩამეიტანეს. ეს იყო ჩემი ჯეიზი|გზითევი... იუსუფა დედეს, ჩემ კაცსა, არ ვიცნობდი, ისე მიმცეს. მეგემ ერთათ გამუელით მემლექეთიდან. მაშინ ის ცხრამეტი წლის ბაღვი იყო. აქ გამოვდა, ქალი უთხვეს, ყებულში დაასახლეს. ყებულში ღორჯუმლები არიან. ნიშალათ იარა მგომ, ქალი ძიმეთ გახდა. ჯეშალაი ეყოლა, მალე მოკდა. ჩემთან არ უღია ნიშალათა... ერთჯელ ჩამოვდა მარტო, აიმა ბიბიასთან. ჩახალმა მითხრა, ისუფა სიძეი ჩამოსულაო. დვენახე, ამა ზეით ბევრი არ შიმინხედავს, კაბალახი ესურა. გარეთ აღარ გამოვსულვარ. ის მის ბიბიასთან იყო იქა. მიერე დღეს ნევედა ბახჩაყადას. მალალი ლამაზი დელიყანლი იყო. თავარბაში იყო დელიყანლების. ბადიმებიდან არც ერთი არ გავან. მისი ანაი აღმელი იყო, სერდალა დედესი ქალი. ისუფასა, რეშმეთლისა, ზოვილი ანაი ყოლია. თავუ ასულან, ქალეშში გასულან ქალები. კაცებიც გადმოდგარან სერზე და ქალებ სეირობენ მეგემ. იმ ნენეს თავზე ალთუნი გაბჟილალებულა. სერდალა დედეს დეუნახავს; უყვირია მემრე ქალისთინი, ალთუნი რატომ გამოგვიჩინდაო. ნენეი ილაპარაკებდა ამითანანებას...

— ღორჯუმ გეველით, ჯეშალასი ბაბოი იტყოდა, ისუფა დედეი, ანასთანო. მეორეთ ღორჯუმ გაათხუეს აღმელებმა. ვერ გიმიტანესო, პრატებმა სამძეროდან გადამაგდესო. შეჭუქნილი ქონდა შუბლზე. დელიადა დედემ რომ შეიტყვა, ნიმიყანა და აღარ გამაგზავნა ღორჯუმო.

— ერთი ყებილე ვართ რაძლა და...

— მემლექეთიდან ნამოქყვა დიდ დამ, წელათ გათხვებული იყო. კაციც ნამოვდა მოაჯირით. იმით ადაბაზარ ნევედენ, ჩვენ ბურსას ნამუელით. ჩემი და ადაბაზარ მოკდა. დათეი დეემართა და მოკდა. ბაბოს შამუუთეფა, მნახოსო. სამი დღის გზა იყო საგალი. ფეხი ტკიოდა ბაბოსა, შეიჭრა ფეხი. ვერ ნევედა. მეიტირეს და დაუდენ. არ უნახვან კდარი. სამ დღეს იარონა, რაფერნა ნახო? ერთი დაც მახალაკეთ დაეტიეთ, ფატყუმაი, შეიდალასი ქალი. კუტი იყო ისა, კემ მელოგინე. ჩვენ დასამშეიდობელათ მიველით. ნამოსლიხან ნეიხურა საბანი, ტირილი დენწყო. საბანი ექანებოდა, რომ ტიროდა. ანამ უთხრა: — ჰაიდე, ანაე, შეიდობითო. ანამ ნევედა, უკან აღარ მიეხედა სიმნარისკან. მე ვუყურებდი კიდო. ფატყუმაი ლამაზი იყო ძალიან.

ბათუმ რომ მოედოდით, გზა ქალებში გეიარდა. გევიარეთ, ხურმას მოსხმული ქონდა, რომ ჩამევიარეთ, ღელიებში დაკონწლილი იყო. მარხილით ჩამუელით, ხარები იყვენ შებმული. ღამე ჰა გავათენეთ აღარ მახსოვს. ერთ ღამეს ოვანი ჩამუელით, ქურთებთან დავედეთ, მომე არხატამები ქეყუავედა. სოფელშიც ქურთები ქეყუავედა მებოზლები. მებოზლებმა არ ეიღეს ჩვენი ეზოკარი. მემრე ერთ ქურთმა გულამედა დედეს უთხრა: — შენ ნაი, მე ვიყიდითო. ეილო ქურთმა, გამოგვაგზავნა ჩვენ. ოთხი-ხუთი კუამლი ვიყავით, ნამუელით. ერთ თვეს დავრჩით ისტამბოლ გემში. ერთ თვეს უკან, მუზიდ ხატო ნენეი იყო, კარაბეტელი, შამუუთეფალა ისტამბოლ გამომსლელებსა: — დელიადამ გამოვდეს და გამოგვიგემ. გერჩექ გამოვდა და გვითხრა: — თქვენ იოლჩი ხართ დილაზე, მენწყევიით. მეგემ უთხრა ჰუქუქმათში ასე-ასეო. ერთ თვეს კიდევან ვყოფილიყავით. ჭამა? ფარა დელია.

კარზე პანაი თუალი იყო გემზე, იმაში გავძვერით. ჯერ ყადღში ჩავჯექით. აწყალშიმ გადავარდი წყალში, ის შიში მახსოვს. გეველით ჰაცხა ლილაზე. ერთ სახლში შეველით, მოზიკას უკრევედენ. იმ ღამეს იქ დავრჩით. მიერე დღეს ნამუელით ბაფორებით. ჩავაჯექით ხარი არაბაში, გამუელით ბურსას. ყოჩალა დედეი იქ დაქვბდა. მემრე ყასაბაში

მუელით. მემრე თუფეჭიყონალზე. ძმამ ძმათან შეიბარგა. ჩვენ ერთ პანა სახლში შეებარგეთ. ეს სახლი მუჰაჯირების იყო. ძირთული პანანაი სახლები იყო. ახლა შედგეს, გაჯამბაზდენ თვარა.

მემლექეთში ლამაზი სახლი ქვექონდა. ქვეშ ახორი იყო. ზეიდან ოთხი ყონალი იყო. ერთ ოდაში კუარით შეველი; მემეყიდა კაბაზე ცეცხლი და მევენე. ის პალა მტყყობა. იანიდან სახლ ქონდა ნალია; ბელელიც ქვექონდა, რუზე დადებული. ბელელში შეინახევდენ ჩირ-მირ. მე და ჩახლა აფრებოდით და ვჭამდით. ხამურსაც შეინახვენ ბელელში. ხამურია მაკარინაი, ერიშტი, სინორი. ფქვილის საქმე ყველამფერი ხამურია. ხამურინა გააკეთოო, იტყვიან — ბიში, ფიდა, ბორეგი, სინორი, მაკარინაი, ყულახლი (მოჭრილი, თულითული), შეპერიე, კუსკუსი. ესენი სულ პურიდან არი. პურის კაკალსა გაასუთებენ, ხალბურში გაარუნიებენ. ხალბურსა ცხრილზე დიდვანი თუალეები აქ.

ღუნანები, ახარტალია ბურსას გზაში, იქ იყვენ. ტბა რომ არი, იქ იყვენ. ჩადრები დადებული აქვანი, იტყოდენ. ამოვდოდენ ჩვენთან, გაგპუტევედენ, ნევდოდენ. იმ სერზე ხალ დააყენებდენ, მუსლიმანმა არ ნამოგვისხრიყოსო. აბაზებმა გეიხარეს, ფარა ეილეს, ღუნან ეხმარებოდენ.

იმაზე უკან ტყეში გვექვეით, სამჯელ თუ ოთხჯელ. — აქერენ სუნგსაო, გაქფერენენ და გაგადებენო, — ამბობდენ ღუნანებზე. კაცი, ქალი ტყეში გვექვეით. ვარიას ბილა მოერკვით ტყეში. ლელუმი ვიყავით. იქ ტან ვიბანდით. ნიფლი ძირში ვნვებოდით, ლოგინი ნალებული ქვექონდა... შორეა გააკეთა დედამთილმა. ბალეებმა შეჭამეს. — ძალო, თარპანა შორეა გააკეთე და ჭამეო. გააკეთე ტაფაით. ნიფლი ძირში დავდე. ტაფას კინთი აქ, ხომ იცი? გეიარა ფაჭუმას ნენემ, გაბლაცაი სიარული იცოდა. კინთს გამოდვა ნიფლის ტოტმა. ტაფას მიათრეს, შორეა იქცევა. თლათ ვერ დიმიქვია. შალბანზე ბაღიანი ვიყავ მაშინ. გავრის-იუნანის ნასლაში დავრჩით. ჩვენ ყანებთან ისევ ჩვენ მექპარევით ლობიას, ფხალ, შინ გააკეთებდი უჩუმალაი, ღუნანმა არ დიგეიხახოსო, ნევლებდით კარდით საჭმელსა ტყეში. დელეებმა არ მოქეპაროო, გვეშინოდა. ყაჩაღები იყვენ მაშინაც... ათათურქმა ნამეიხსრიკია ღუნანი. ისტამბოლ წყალში რომ ჩაცვინდენ, მეგემ, დენიზში, შაფხა მეიცვა დენიზმა, იმდენი იყვენ. იმას უკან ყავდა აღარ ქნილა. აგერამ სუქან კაცმა — ოზალმა რაც მოვდა, გავრები ეპაბი გეიხადა. გავრები აღარ გვერჩიან ახლა. იმას უკანია ღუნამ გაშენდა, დასვეს ქალებმა ბაღები. გავრებ ბევრი ბაღები არ ყავან. ჩვენ ქვეყავს იმფო.

სოფელში მეთხე, მეცხერე, ჩობანი ვიცოდით. ხობიებ აძუებდენ ცალკე, ზამთარში საქონელ ბაგაზე დავაბმდით, დუყურიდით, თივასა, ვაჭმევდით კარქა. ხაპი მოდიოდა ბევრი. ახლა გვიან თესენ, აღარ მოდის. პანანა არსებ თესვენ. აღარ აშენებენ. ქესტანას, ხამ ჩარში იღებენ და ისე ჭამენ. იქითა მეპლელში ხაპი ბურკას, ხაპი კაკალ გაყიდევდენ. ზაათი როკები ხაპი მოვდოდა. ახლა რაცხა სხუა თესლი გამეიტანეს, პირ არ გავს ხაპსა.

— გენჯობაში მეც ვქსოვდი შალ. საფრექო მქონდა. ახლა დანვეს, აღარ შეინახეს. შვერში გამოვდა კიი ყუმამები, იმ ფხაჭიას აღარ იცმენ. ზაათი ჰად იყო მატერიები. უნიფხურო გეიხარდენ ბაღები. ჩემი მოქსონილი ნაცუამი აქუან შაბანას, შემსიდას, ჯემალას. ისუფას და მემედას აღარ აქუან ნაცუამი. ამ შალის შალეებში ნილ მიყერიდა კანჭებში, ჰად იყო აფფერი ღუნია მაშინ? თაზე დავართევი მატყლი. ჩემ ანას ანას დუუტეი, დაართი დანარჩენი-მეთეი. მეც შინ, ბარში რომ ჩამუელ, დავართი, ნადი ვქენ. მოქქსონა ქალმა საშალე. შამა ფხეკანა მევთაყო ყანისა და ისე. დავეახონა ჭახრაკე. მურგეები ჰავლში მქონდა დანყობიდი. გეველ ჰავლში რომ აღარ არი მურგეები, მუჰარვან. აღარ მქონდა მატყლი. დავეჯექ და მუჰუერე შალეები ბაღებესა ისე, რომ ახალობა მუარუნიე... ბევრი რამე გამონევილი მაქ. ასე-ისე, ასე-ისე, ელებედურილა, აქამდე მუელით.

ღამეში მემლექეთში რამდენჯერ მივალ-მუალ, ჰესაბზე არ მუა. სიზმარში სულ იქ ვარ. აქავრობა მაიღამი არ დემსიზმრება. იქავრობას ვყაყიროფ სიზმარში. მევიარ ეზოკარ, ჟუმუშავრ გაგებდავ, ნისქვილში შევალ, მევიარ. ზეპრა ბიბიას სახლში შევდოდით ბალვობაში, ახლაც მახსოვს, ვერანა სახლი იყო. კატებიდან გვემინოდა, ცქვიტა შავარეკებდით კიბზე. ქუემ მოჭედელი არ იყო სახლი.

— ვანკატებსა დიდუნი ბუფლები ქონიან, გიგიგონია შენა? ერთსა ბუფლი მოჭრაში ჭვანკი ჩამოკრა მეგემ, ცხვირი გამოფრინა, თული დუსუსათა.

— ნუხელი ავმდგარვარ და ნავეცევევარ. ი სიბორკალი იდვა აგერ. ძილჭკვაში არ იციი ააფერი... აწყალში დევმტვერ, ეზოში გავეგორდი. ეი, კიდი, სიბერევ... —

— ბაღალი იჯიღადეთ ნუხელი?!

— ერთიც მომაგონდა: დავლითავი სოფელია. იქიდან ტყვიარასი ანაი იყო. ტყვიარაი აქ მოკდა. დავლითავი ნენეს უძახდენ იმ ქალსა. გურჯიჯა ლაპარიკობდა. ერთისირა ბალვებმა თესპა მოკპარეთ, უუნიეთ ფოსტიდან. ნენემ გამეგვესხრიკა. ეს დავლითავი მაადვემ შენ არ იცი, გადმოლმა იქნება ღალიბა... ციმციმიანი დოლბენდი მეხურა. რომ გამეგვესხრიკა ნენემა, გავერევე სიმინდებში, გოდა შემემინდა.

— რა ზორი მაქ თურქქა ვილაპარიკო... დიდი ბადიშები სოფელში გეიზარდენ და კარქა იციან გურჯიჯა.

— იაილაში გიმიხარდებოდა საღამო. საქონელი რომ მოვდოდა, ბლავილ დეინყებდენ... ექვსი და ვიყავით. ზოგი ადაბაზარ ნევედენ, ზოგი ღალოვას. დევანტეთ, დეკარქეთ. ბაბოიც ადაბაზარ გევედა. შამითვალა: — დათვანი მჭირს (კანსერი), გამოი, მნახე ცოცხალიო. ვერ გეველ. სიკვდილზეც ვერ გეველ. ფეხზე არ მეცვა და ტანზე... ამფერია მუშაჯირობა!...

— ზაბით-ალა დედეს დიდი ყაბათი აქ. ყუელი ნევედენ მუშაჯირათ შენი სულალე, შენ რატომ არ მიხვალ? ედა იმათ რატომ არ უშლი ნასლასა? ყუელი ერთათ ყყოფილიყავით, არ ჯოფდა?... —

— მახსოვს სარე ნენეი, გულბაბაზა ნენეი, გულფიდანა ნენეი... რაფერ ტიროდენ, ჩუენ რომ მოვდოდით მუშაჯირათ.

— მემლექეთში მულსა ეტყოდენ „ბატონი შვილო“-ს, „ბატონ-ხანუმს“. სახელ არ დუუძახებდენ. მაზლის ბალვსაც „ბატონის შვილი“ ერქუა.

— ეი, მემლექეთო, მემლექეთო! რაფერ მენატრები! შენ უნახველავი კვდები ღალიბა. თულალები ღია დიმიჩნება, იმა ჟივი... —

მუნთაპა ბაკოზოლლი-თავდგირიძისა, 95 წლის.

* * *

— გენჯი ვიყავ, ჩუენ სოფელში მაშინ ტელეფონი იყო. ერთი ქედა ქვეყავდა. ქედა რა არი და სოფლის მოსამსახურე. აგერამ ტელეფონ დაცევედა. მაშინ სოფლებში იყო მოსაფირხანა, ტელეფონიც იქ იდგა. ის ქედა იქ ჟდას. ტელეფონი მოიდოდა, დეიყვირებდა: — ალოო. ხალხი დააჯავრებდენ, შალა დააჯავრიან... —

— თქუეს, რომეო მემლექეთში ტელეფონები კაი არ აქვანო. გერჩექ იმითვინ ვერ გელაპარიკებით აქედანა. რატომ არ გაქვან? ჩუენა ყუელი სოფლიდან დუნდა— მემლექეთის სუნყუელა გერსა გამეყყანთ ტელეფონითა, თქუენს გარდა... თუარეზე მიხვალთ, დუნდას თქუენ ასტორეფთ და ტელეფონი ვერ დიგიდგმან?!

— თქუენებური ბეგები ხიშშიაშვილები იყვენ, იტყოდა ნური-ფენდი დედეი. მათი თორუნი აქაც იყო. მენან ბეგი იყო, ჯემალ ბეგის ბადიო, ჯერ იჟდა ინეგოლში, ორმან მუდირი — ტყივობს კაცი იყო, იმათი თავდიდი. მემრე ნევედა ადაბაზარ. იქიდან პენსიაზე, ემექლიზე გამოვდა და ისტანბულ გედევდა. მითიდან ისტამბულ იყვენ და იმათთან. რაძღა იქ იმათ იმფრათ დარჩენ, რომ კიდვენ არ დაკარქეს თავი, შამა დიდი საქმიები

არ ქონდენ. ინეგოლში ახლა ბეგებიდან აღარ არიან არვინ. იზმირში ყოფილან იმათი თორუნნი.

— ჯემალ ბეგი ყოფილა დედესი ქირვაი. ესულან ლომანავრზე დედესთან. ქეზოი პრატი გასათხვარი ყოფილა და იმის ელჩათ მისულან. დემოსაფირენ მეგერ. ლამეში, ვანშამს უკან, უბძანებთან, რომ პრატიანა გავათხვოთო.

— ვინ არი ჩემი პრატის მთხოვნელიო, — უკითხავს დედესა.

ვინცხაი დიდი კაცის შვილი გამოდგარა. დედი შენუხებულა. პრატი ცოტა რახუნაი, ბეგი ყოფილა. შესულა სახლში ქალთან, ჯევიარა ნენესთან:

— დედაბერო, ქირვებმა ჩამოიღენ, ჩუენი პრატი ამგალისთვინ უნდებანო.

— შენ იცი, აღავ, ჰამა ჩუენი პრატი იქ ვერ იქს ქალობასაო.

— მეაც ვიცი და რაფერ გავაგნებოი ეს, ამას ვფიქმანოვო.

დედი შესულა მოსაფირ ოდამი მოსაფირებთან:

— ქირვებო, მადლობელი ვართ, რომე ჩუენ კარზე მოხუელით ჩუენი პრატის გათხვებისთვინ, ჰამა ჯერ ვეფურ გიტყვი, დილას ჩემი პრატიანა დაგანახვო და იმას უკან, რაც უნდა, ის გადანყვიტოთო.

დილაზე ამდგარან ბეგები, ხევის უქნიან და ედარან ოდამი. ქეზოსთვინ უთქუამს დედესა, თხები გამოყარე და ნეიყვანი საძუარხო. გამუყარია ახორიდან ქეზოსა თხები, ზოგი აქეთ გაქცევლან, ზოგი იქით. ამანაც მეგემ ზოგსა ყიაში შიაგინა, ზოგსა— სულში, ზოგი ასნა, დუუშეა ძირთ, ცემა, ტყემა. დედემაც გულში თქუა მეგერ, თუ არგინ ამფერი ძალი, იგერ არიო.

ბეგებმა ყუელამფერი დეინახეს, ანონ-დანონეს, ნუერი პირში ჩეიჩარეს და სიტყვის უთქმელი ნეედენ მეგერ. იმას უკან ეს ქეზოი ანიეს და გაათხვეს ტბეთ.

— ეს დუნჯა ერთ კალათამია. ყუელი რომ ჭკვიანი იყოს, ბაზრობა არ იქნება... დევრიმ ფიქრი რაც აქ, ზიქრიც ის აქ, რანა ქნა, ასე ბრუნავს დუნჯა.

— დუდგული ბალახი ყუელამფერის ნამალიაო, იტყოდა ჩემი ანაი. მოხარში, ორ ლამეს ადანზე დადგი. ადგები ლამეში, ნამეიყუდე, სვი, დლით სვი. ლეტეტიც იჭმება მისი, თაზა...

— ქალები წარბ გამეილებდენ ჩურუგა დადგომიან, კვირა რომ იქნება, ჩურუგას პირველი კვირა, მაშინ. ეინყობდენ წარბსა... ნაცარი მუხისნა მესისუა ბალნიან ადგილევში, ფისითნა ამილო, გაქარდება ბალანი, ეს დაცდილია, ანადან გიმიგონია.

— ჩაქურაი ქალები შელლიგი არიან, არ მეგენყინება მათთან...

— ჩივიტი ლილა არი. სახლსა ქირეჯით შევსვალავთ; იმას უკან ქუეშედან, ფიცრებზე რომ წყალი-ძალი შეესხმება, გაბაყლიანდება, ბაყლმა არ დეეტყოსო, ჩივიტ მუუსკემდით. გახდებოდა ცოს რენგით, ჰემ მუუხდებოდა, ჰემ ბაყლი აღარ დეეტყოლოდა. ჩივიტი ისე მგონია, რომ მაქედან წასულია, მაქაერი სიტყუა არი, გემი აქ გამომვლილი.

— შექვალაი სახელია, ადაბაზარ იყო, ჩუენიანია... მის არხატაქ უთხრა, სოფლისკე გამექვეციო... ქვედიებსაც ხებერი მიცა მეგომ... იუსუფა დედი ოთხმოზდაცამეტი წლის წინ გადმოვდა, იმისი ბაბოი მუსლიმანი იყო, იმისი ბაბოი-ხრისტიანი... მასობაში მუნამედამ შამეიზდა... ქერვანი მიაქვან ცხენებით გასაყიდი... ბალვი გამზდარი, დასასახლებელია. მის ბიბიამ უთხრა, ვიცი, მარა ხელ-ფეხში არ მაქ ააფერი და რით დავასახლო... ემაი თუ რაზ გახდება, ნევალო. აგერამ საქმეში დიდი ქარი გვექნებაო, დიდი მოგებული დავრჩებოთ... მის ემაიშვილითვინ უთხრომია, მუუყდე იყოს ეს შენთვინო... ჩუენ ერთათ გეგზდით, არნა გიმიმჟღავნო?!... შვილებმა მუუყდენ, ერთი დურჩა... იქიდან მეგომ დაბეჭებული ჩამოიდა... ქუფარი ქალები ამბობენ, კაცებიდამ ყედერი არ აქო... თქუენ იმითვინ მერაყ ნუ იქოთ... ზენგილ კაცებმაც შეეტოლენ... უყათულო შავადოთო, სხუა მემლექეთში გადავგზავნოთო... ცვენ... დანი კოლაუზი ყავან... დით და სიძეთ მოდისო, იმათიანა ოზდაცხრამეტი არიანო... იმერთები ცალკე

ოდში უდარან... სულ რომ ვერ მიცემს ზოგი, ყირს უკითხვენ, ყირს დასინი — ორმოცი დასიანია.

— კასიერი კამადოკიასთან ახლოს არი, ნეუმპირიცი იქ არი. ადამახილის დერებია ესენი. სივა, ანთალია, დიარბეკრი, მუმი... სამოზდაშუიდი ვილაეთი აქ თურქეთსა. გურჯი შამანქი ყუელგან არი. თხუთმეტში არ იქნება მარტო. იზმირში, ადღინში ბევრი გურჯი არიან. კონჯაში არი სოფელი ბათუმელუ, ბათუმ ქრჯ — ბათუმ სოფელი, სულ გურჯები არიან.

— პუქემეთი ყუოლოთინ თვრამეტი წლისა არი, არ დაბერდება.

— ამფერი ანდაზები გითხრა? — გეტყვი, თუ მომგონდა: შილს შილი დუჟუარქაქას და ლელე ალმა მუჟუდენიო; ცქვიტა იცოცხლე და გვიან მოკდიო; ერთი ენა — ერთი კაცი, ხუთი ენა — ხუთი კაცი; რვა დღის ომრითვინ, ცხრა დღენა ისაქმოო, ერთი დღის საქმე წინა მეიგდოო; რაცხამდენინა იცოცხლო, იმდონინა ისაქმო; ცცხლ რაცხამდონ გუჟღობო, იმდონი ცოდვანა ისაქმო; რაცხამდონ ლმერთ იხტიაჯინა ან უყნა იმდონინა ემსახურო; შეითან უთქვამს: — ან უყნაი ქალი ვიქნებოდე, ან უყნაი შეილიო; რავარც ფჩილსა და ნუნს შუა არ შეისლება, ისე ცოლ-ქმარ შუა არ შეისლება; შენ ერთი შედთ შამაშინეფ, ინსნობით შამაშინეფო; ინსნის ჰახით, საქონლის ჰახით, იეთიმის ჰახით ჩემთან არ მოხვიდო, უთქვამს ლმერთსა ინსნისთვინაო; ხალხის ყანაში ვერ ილოცავო; ვირი მოკდება, კეხი დარჩება, კაი კაცი მოკდება, მისი სიტყუა, სახელი დარჩება; იმფერი კაცია, რომე მარტო მის თავს მუაკლდება, იმფერი კაცია, რომე მარტო სახლ მუაკლდება, იმფერი კაცია, რომ ბითეფ დუნდას მუაკლდება; მტერს კისერი ბამბითნა მოჭრაო; ტყე ტყეს არ შეხტება, ინსანი ინსანს შეხტებაო; ბრუდეთნა დაჟდე და სტორეთნა დეილაპარიკოო; ავი მუზობელი სახლისა და ქონების პატრონს გაქედისო; სწორე კაცის გულს თუ გუჟუხარდება, ლმერთსაც გუჟუხარდებაო; დედაბერი ჯჟუქენებში რიზით არ ნესულა და ბიძგვა-ბიძგვით ნუჟუყანანა.

— თქუენით ლაპარიკი მინდა კიდენ, ჰამა ვვარ მეგგონე ძუელი მესელე.

— იმ ლომჰაპს რანა ნავვიდო, ივი?!... მითი ნათუჟამი ხალბურ ქუემ დარჩა, დამპალ სხლებივით გაჩქინდა... მოკვატებული იყო ფესუებზე, ქოქებზე, ჰამა გადარჩენით მიაცი ვერ გადარჩა.

— ის იმფერი მოკოჭილი კაცია, რომ ხელ არ მეიჭამს...

— გიმიჭირდა და დევეჟუტე ისტამბოლ.

— რატომ უთხარ და დაათალამე?... იყარქვის და არი ეს თესვე...

— ლმერთმა აფი გვიზამოს. ლმერთგამჩენელს აფი მიზამეო, შეეხვენე!...

— ნაქცდება ემედენი რაძლა, ონაგორა ჭჷუას მოქცემს ლმერთი...

— ტოლრი არ მალაპარიკეფს, ცოტა ვირი, როდი კაცია.

— თამამ, ემიაეო, მე მიყუარხარო, ნამოხტა და მემეხვია...

— თახილი კაცი ხარო, ასენა უთხრა პირში და მისდება გემოს...

— მის ანამაც იცის ძუელი ხალხის ამბავი... ჩიფლაოლი ბულოდან იყო, დელიალის დის კაცი, გამოიდოდა, დანახული მყავს, ბუდლებიანი იყო...

— ყასაბა ბილა ნეფრეთი გამახდევით, რა არი ესა?!

— გურჯები თელ თურქეჟში არიან მოთესილი, სინათლეს აძლევენ თურქეჟსა... ბურსის ვილაეთში ქემალ ფაშა ქაზა არი. ამ ქაზაშიც არი გურჯი სოფლები: ქარაფნარ, ქუმურჯუ ქადე, ყარაჯა ბეჟ (ძუელი სახელია ბოლაზ ქრე). აქა ენჩული ბათუმიდან მოსული ხალხია... ჩურუქსუდან (თქუენ ქობულეთ ებნეით) მოსულან ქუმურჯი ქადეში. ბოლაზ ქრეში არიან მარადიდიდან, ნათხილავიდან მოსულები, ქართულათ ლაპარიკობენ.

— თურქიეში ქალაქია ადღინი, სელჩუკის რაიონში. იქ არი მერთემ ანასი სახლი, ყუდუსიდან გამეიცა აქ. იმისი სახლი იქ არი. მოდიან თურისთები ევროპადან, ამერიკადან, გახდებიან შაჯი. ეგოსის ზღუასთან არი, იქ წასლა გერჩექ ღირს, ნეხვიდენა

ინსანი.

საუბრობდნენ შემსედთინ და უმიან ოზბეგები (თავდგირიძეები), ალი ფორთოქალი (ფუტკარაძე).

კვლები

ჩუენ რომე ახალმობდე ბიჭები ვიყავით, ერთი მუთიანი იყო, ღამბაროლი, პამოვილებიდან, კაცი მუუკლავს და გამოქცეველა თურქიეში. ამოვდოდა ისა ემეში, ჩუენ სოფელში. მაშინ სელეთიზი სოფელში ვიჯექით ადაბაზარ. ერთი არსატაში ყავდა, შეექეთაი. იმის ერთათ ამოვდოდა, დიგვიძახებდა, შუალამედი ჰემ გვამლერებდა, ჰემ გვასამებდა, გვასნავლიდა იმათიებ... ჩემი დიდი დედეი სოფელ დაჩეთიდამ გადმოსულა...

— თქუენი არც სიმლერა, არც სამა, ტელევიზიონში რომ გამოდის, არ მომწონს, ეფშაკუნებიან ძალიან ცქეიტა... ღამაზთა მიაყოლო, იმფრა დაგნებულათ. რა არი ფშაკ-ფშუკ, ღამაზათ და მიაყოლო, რომ ხელშიც მოქუუეს და ნელშიც.

— ადაბაზარში მეჯიდიე სოფელია. სულ ჩუენებური ხალხია სოფელში. იქ რასიმ ეფენდის ქორნილი მახსოვს, ჩუენებური ქორნილი... მემლექეთური კაცების სამა მახსოვს იქა. ხუანჯრიანი შარვლები იყო წინწინ, უკნელამ დუმასავეთ დაყრილი. სკალატ ეტყვიან ჩუენსა იმ საქონელსა, შალია სუფთა... ეიდა, ხოროში ეისამეთ, ძირთ რომე ვჯდებოდით, შალის დემიები გვიდა ფინსა. ჰამა რაფერი სამა! თელ ქუეყანაში დანახული არ არი ისა. იქაც, გურჯისტანშიც, ბილა ველარ ისამებენ ახლა, გადავარდნილი იქნება იმფერი სამა.

— ერთ დღეს ჯუმა არი და სოფელში ჩამუელი. ამათმა ტყეში ნევდენ, ხარები შიბებს; მე ჩამუელი, ჯამეში ჯუმა ეილოცე, ზარმელი ვჭამე, ლელეში ჩეველ, თევიზინა დეკავო. ცივ ლელეში რომ თევიზა, ჩუენებური თევიზი, წინწკლებიანი. ბელქიდა ერთი ოზდახუთი დეკავე... ერთ ნაცნობ ბარაქაი სხალი ქონდა, ჩუენებური ბარაქაი. ისიც მოკრიფე, ეტხაი სახლში. ათი-თორმეტი შეეწვი. ჩემი ბიჭი, იბრაჰიმი, გავგზავნე, კომიოლის დუუძახე-მეთქი. ერთი არიფაი იყო კომიოლი. იმა დუუძახე, ჩუენთან ჭამო-მეთქი. თევიზი ჭამა დევწყეით: — ემიავ, ჭო! — მებნევა არიფაი რაჰმეთლი.

— რა გინდა-მეთქი.

— ისტამბოლ ნახველ შენო?

— რანა კენა ისტამბოლ-მეთქი.

— აბა ეს თევიზი ჰა ნახეო.

— ჭო, ლელეს ვერ ხედავ, დაბლა ლელეს-მეთქი.

— ლელეში თევიზი იქნება, ბრე! შენ ისტამბოლ იქნები წასულიო. ასეა, კაც ებბედი რომ არ დუნახავს თევიზი, ისტამბოლ ნეველ, გონია. დუუსტავლიან ისტამბოლიდამ მოტანა!

— ერთ დღესა მე და ის კაცი მივალთ შეშაზე ტყეში ხარი არაბებით. რამსისხვანი ხარები ყავს, იცი?! ერთ ზრუგში ეიკიდავ რაჰათაი. ჩემი ხარები დიდუანი არიან, ორას კილოს ეინონიან. იმის ხარები ჩემი ერთის წონას არ გააკეთებენ. მარა იმისი გული იმფერია, კაი გონია მისი ხარები...

— მემლექეთიდამ რატომ გამეიქცენ ჩუენებურები, იცი?! — მუზევირობა დეინყეს ჩუენ მილლეთმა თავრობასთან, ძუელი კაცების დამუზევირება. ჩხუბი ახალათ გამოვდა. ჩუენ მილლეთმა შეწუხდენ, შეეშინდენ, გამეიქცენ. ჰამა, კაცი ჰუქუმეთს რომე ჭირია და არ მთარგებს, არ არი კაი კაცი. აქაც არ უყუარდენ ჩხუბის დროს გამოქცეველები. აქავრ ჩუენებურ მილლეთმა თურქიეს მაგრათ დუუდგა დუნანებთან ჩხუბში. ამითვინ აქ კაი ყვედერი ჩუენ მილლეთსა თურქიეს ჰუქუმათში. ერთიც გამეიქცენ, კომონისტობა რომე შამოდიოდა, მაშინ. მაშინაც დეინყეს მეგომ მუზევირობა, ამავლ. კაც ერთი თენექა

ამსილი აქ ალთუნო, კაც ბელქიდა ხუთი მარჩილიც არ ქონდა. კომონისტები მეგემ მაჭირებდენ სუნგსა, თქვი გერჩეჟიო. ეიდა, ბეზარ მოვდა მილლეთი, გამვერჩინენ ბერ ხალხმა და ნამოვდენ ბათუმადამ თურქიეში, სულ ყულამფერი დატიეს, ცარიელი ნამოვდენ... პუქუმეთის კაცებმა დინჯეს მეგომ დიდუაბების კლა. ორმოც ნელზე დიდი კაცი აღარ დატიეს, სულ ნეიყუანეს, გადაამოსახლეს სიბირიას. ეს ძუელი კაცების ნალაპარიკებ გებნევი, აბა მე ხომე იქ არ გიმძვლია, აქ დევაბდე და გევეზდი. შამა, ჩუენ აქ ვართ, მარა იქავერ ზეხდავთ სუ ყულამფურ, სარკესაგით ანახეებს ჩუენი ტელევიზიონი... თქუენა მეგომ იქა აქეთ-იქით ხვერ მეინხდავთ, თქუენებურა ვერ შემობზრუნდებით, სულ პუქუმეთის ეჭყირებით ბედებში, პუქუმეთის იზნი ქჭირიან ყულამფერზე. აქა, თურქიეში, ყულამფერი სერბესია. რაც გინდა ის გააკეთე, შამა გონჯ საქმეს ვერ იქ. პუქუმეთი, ხალხი გონჯ საქმესა არ გაგაკეთებებს... ჩუენ თურქიეში გააადვილა ოხალმა ყულამფერი. ჩუენა, მესელა, დილაზე ავდგებით საღამომდე, პაცხა გვინდა, იქ ნავალთ, პუქუმეთი არ მოგვიკითხავს... ბევრ ისაქმებ, ბევრ მიეგებ, შენ ჯიფემი ჩავა. პუქუმეთსა, რაცხა რომე გადასახადი არი, იმა მივეცემთ, ნელინადმი ვაძლევთ გადასახადსა. ისტარსა ორმოცი საგორავი გქონდეს, შენია, პუქუმეთი ვერ დიგთლის, ვერ შეგეზიარება., მოგებაც შენია, ნაჭარიც შენია, ნაგებაც შენია. ხაპრითნა იმუშაო, რომე არ დეიფუჭო. ყანაც შენია, სახლიც შენია, გინდა გაყიდე, გინდა იყიდე... ახლა გაყოლავედა საქმე. ახლა გინდა ამერიკას წაი, გინდა აღმანიას... ზაათი ერთ ადგილზე დგომით კაცი წინ ვერ წავა... პაცხან რომე იქნები, იმ ადგილ ლამაზათნა მიემსახურო, კაცურანა მიემსახურო, ღალატი კაცი არნა იყო...

— რაფრთა იყო ადაბაზარის სოფლები, იცი?... ხამოცდაათი ხანე გამოსულა ჩუენ სოფელში. ჩუენ ბაბუებსა სოფლის მიწა მუუთხრიან თოხით, მიწა თოკით უუზომვან და დუურიგებინან. ერთი ტკაველი ადგილი ერთსა ნამეტარი არ აქუან. ყულა სახლის წინედამ ორი დონუმი მიწა აქუან. ერთი ქენერიდამ რომე გეიხედავ, მიერე ქენერი ჩანს, აქავრულა შესულ-გამოსული სახლები არ არი...

— სამ მილიონზე ნამეტარია თურქიეში გურჯი, ბელქი ოთხი მილიონი გურჯი არი... ნამეტარიაო ბელქიდა, იმაპაც ამბობენ... სულ იქიდან გამოსული გურჯი არიან. ზოგი შავშეთელი არიან. იმათ ჩუენ ხას გურჯებათ არ ვთლით... იმ პუდუდიდან წამოსული რომ არიან, ისინი ითლებიან გურჯებათ... ჩუენ შავშეთლებით ვერ მოვირგდებით, ლაპარაკი გურჯიჯა არ იციან... ჩუენებური გურჯიჯა არ იციან, ზოგმა სულ არ იციან. გურჯიჯა ვინცამ იცის, იმას გურჯათ ვთლით... ადაფაზარში არი ბევრი გურჯი სოფელი... გურჯი სოფლები აქაც ბევრია: ყუზელი, თუფექჩიყონალი, ბახჩაყადა, ფაზარალანი, ჩივთლიქი. აჟნი ჩუენ ენაზე ლაპარაკოფს ელმაჩაჟრი, ალაჩაჟრი, დერეჩეთი. პირიე და ხასან ფაშა ცოტა აჟრია. ხასან ფაშა ყოფილა ჩუენებური კაცი. მუუყუანია მემლექეთიდამ ხალხი, პუქუმეთსა ოვაში დუუჟდუნებინან. ჩაქველები არიან ხასანფაშელები... ჩუენ „ყართოფ“ ვეტყვით, ისინი „მინავალას“ ეტყვიან... ჩუენ „თოკ“ ვეტყვით, ისინი „საბელ“ ეტყვიან. ჩუენ „ემის“ ვეტყვით ისინი „ბიძის“ ეტყვიან... პირიეში მაჭახლები არიან...

ჩემი ბაბოი იტყოდა, ისენა დეელაპარიკო ხანდენან, რომე გაღმა სხუა კაცმა ვერნა მიხდეს, თათრებმა, კუდიანებმაო. სხუამ თუ მიგისდა, შენი ლაპარაკი აფრათ არ იქს... და სახელინა გამეიცუალო, და უტუგოუცლელინა გახსოვდეს... ადაბაზარშიც ბევრია გურჯი სოფლები: იმაღი, შერეფი, ბიჩიიდერე, ალაჩაჟრი, გაგხარმანი... ათი სოფელი გამონყობილი გურჯი სოფელი.

— ერთ ენაზე დელიაპარიკებ, ერთი ინსანი ხარ, ორზე დელიაპარიკებ — ორი...

— ხაპი შორვა უჭამია ერთსა მოსაფირათ. — ხაპის შორვა ჯენენითდამ გამოსულიაო, უთქუამს ხანესაიბისა. სხუა საქმელი არ ქონდა ზაპარ ზავალსა.

— დილაზე ხაპიშორვა, საღამოზე ხაპიშორვა, მონყენია მოსაფირსა. მიერე დღეს

უთქუამს მოსაფერსა ხანესაიბისთინ: — მაგ ჯენნეთიდამ გამოსულ ხამ რატომ მაქმეგო, მაქფერ ეზათის ღმერთსა რატომ აძლევ. ყუელა დღე ჯენნეთიდამ გამოგაქო. უკაცრავლი პასუხია, ტრაც ძღნერიინი ქათამი არ მყყოფა მე თოო!? ქათამი დიმიკალ, ეს მეყოფა მე და ის ხამი ჯენნეთში დატიეო... იმ კაცის არ იყოს, იმა, მოსაფერსა ლამაზი ქათამი შორვანა აჭამო, ბრე.

— სიმღერა ავანყოთ?! — იმფერი დელიანლები არ არიან, რომე ავანყოთ. იქიდამ გადმოსული სიმღერები სამ-ოთხმანა თქუეს, მარტუაი არ იმღერება.

— თუ ქცხვინია, ჩუენ გარეთ გვეალთ და აანყევით...

— აქ კაი ხამა იციან, ინეგოლში. ხორუმსა, ცეკვასა ისამებენ... სიმღერებიც არი ჩუენებური, ჰამა ახლანდელმა არ იციან.

— მე ყვიან ვეტყვი, შენ ბანი თქვი, ერთიც თავს იტყვის და იენყო სიმღერა. ამასა სხუა ესრე-უსტუნი არ უნდა, ეს ყყოფა.

— კაი დიგინახე! ოო! მოი, სიძევნა გამღერო...

— იმა ფალაყაში მონევა უნდა!

— დავნერი სანერავსა და გამოგზავნი, რაფერი კაცია ესა...

— იმფრა მიმხდარი ვართ, რომე თქუენა ჩუენ გულში დარჩით, ჩუენა თქუენ გულში დავრჩით... ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ერთმანების სიყუარული...

— ერთი კაცი ნედა მეგომ ავგაპზე, სანადიროთ. თქუეს ქი, მალარაში, ფოქეში შევხედლოთ. ერთში შეიხედეს, მეგომ ფუჩასა ბობლაბუდი გუუკეთებია. ააფერი არ იქნება ამ ფოქეშიო, თქუეს. იქით მიდიან, ხამდან ისე იყო, იმის იქით კუდვენ ისე, კუდვენ ისე. დინახეს კუდვენ ერთი ფოქეი, შევდეთო, თქუეს. მეგომ გელიც იქეთიდამ დამღდარი ეყურება. ერთი კაცი ფოქეში შიან შევდა, ერთი გარეთ უცდის, თოფით დგას. შიანაი კაციც უსულაი, უსულაი შიან მიდის ფოქეში. ლეკები არი გელისა და საღლაშინა გამიყუნასო. იქითიდამ დუენახავს მის ანასა, დედალ გელსა. — ჩემი ემიბინა, ლეკებინა, მოკლასნაო, დაჰკვირდა გელმა მეგომ. თოფიან კაც აღარ მუუყურა და თოფქუემ შემპა. გარეთა კაცსა კუდედან რაცხაფერ დუუკავია გელი. რომე დუუკავია, გელი მეგომ ფეხებით ფუთხნის მინასა და ფოქეში შიან შესლას ეცდება. ფეხებითა რომ ფუთხნის გელი მეგომ მინასა, ბული დამდგარა. შიანაი კაცი მეგომ ყვირის, ეს ფუტი რა არი, სინათლე აღარ შამოდისო. გარეთა კაცსა დუუძახნია: — ახლა ააფერი გიმავს, ჰამა რომე მონყავს კუდი, მემერ დინახავ, რა არი ეს ფუტიო.

— ახლა ერთი კუდვენ პეტიანა ვოქუა.

— ერთი დიდი ხოჯა ყოფილა, ნასრედინ ხოჯას ეტყვიან. ამასა მეგომ ერთი დიდი ყორი ყავს. მეგომ სულ ყუელას თუალები აქ ამ ყორზე. ყორი რაფრათ დუუკლან ხოჯასა, იმაზე ფიშმანობენ; ფილანზე იჯებიან, რაფრათ მოპარონ. ვერ ატყვილებენ, დიდი კაცია... ნიისა, მოატყვილეს ხოჯა, მოპარეს ყორი, დუუკლანა. ხოჯასაცნა აჭამონ მისი ყორის ხორცი. ხოჯასათინ უთხრობიან ქი, წუედეთ დენიზი ქენერში და ზიაფთი ვქნათო. ხოჯაც ნაყოლიან. ხოჯის არხატაშებმა, ყორი რომ მოპარეს ხოჯასა, იმათი უთხრეს მეგომ ხოჯას: — ამელამ ყდამეთინა მენსვაროსო და ერთი ყორის ხორცი მაიც ვჭამოთო. ყდამეთინა იქნას მაიც და რათ გვინდა შეენახოთო.

ხოჯა დაჯერდა, ჰამა ისაც რაცხას ფიშმანობს, იმკილი ეილო მეგომ, ესენი რამეს ხომ არ მატყვილებენ ქუუაშიო.

მეგომ დენიზი ქენერში, დაკლეს ყორი. ხოჯას უთხრეს, რომე ყორი ჩუენ მეყუაით; ჩუენ დეკალით, ზამქეთი ექენით, ხორცი შენნა მოხარშოეო. ხოჯამ ამასაც დაჯერდა. გეიხადეს ურუბები-მურუბები, ჩუუთესლიმეს ხოჯას, თვითან შევდენ დენიზში, წყალში ცურვენ, იცინიან.

ხოჯამაც მიიხედა-მეიხედა. დენიზი ქენერში შეშა ჰანა ვნახოო, დეიფიშმანა და ხორციან კარდალასა შუუგზნა იმათი ურუბები, ადახაბები. მოხარშა ხორცი. გააპაზირო

სუფრა, დუუძახა: — ჰაიდე, ჰაზირია საჭმელიო, ეჭამოთო. გამოვდენ დენიზიდამ ისენიც, ცხელა, ურუბას არ იკითხვენ, ბზეს ეცხუნებიან, შრებიან. აჭამა ხოჯამა საჭმელი, ხორციოთ კარქა გააძლო. რომ გეიბერენ კარქა, მემრე მეიკითხეს ურუბები: — ხოჯა, ურუბები მეგვეც, ჩვეცუბათო. ხოჯამაც უთხრა: — რათ გინდარან ურუბები, ხუალ ზათინა ყდამეთინა მისვაროსო, დუნდანა დეიქცესო. ხოჯასაც ასე მუუტყვილებია ყოჩი მომპარავენი. მუსტალი ქნილა იმათზე!

— შექიაჯებმა სირაზე შევდეთ! მე კუდვენ ვიტყვი...

— ჩანჩხალველებიდამ ერთი ორმანჯი ნურიია. დიდი სილაპით ტყეში იარება, ტყეს ცავს მეგომ. ევეა ტყეში, ერთი პანტა ვაშლი ძირში დაჟდა, მეილალა ია გზაში! ჩემი სიძეი შეხდება ამასა ჩანჩხალველი და ილაპარიკებს ხალხში. მეგომ იმ პანტაზე დათვი ყოფილა ასული და პანტას ჭამს. კაცმა ვერ დეინახა. მივდა, დაჟდა პანტი ძირში მეგომ, მისვვენოსნა. თოფიც მიაყუდა პანტაზე. ახლა დათვმა გაკრა სუნგალი, ხმას არ იღებს, დეინახა თოფიანი კაცი, შეიშინდა. დათვი ჭკვიანია, ყუელამფერ ხდომილოფს. გეიქცესნა, პამა რაფერ გეიქცეს. დათვსა გონია ქი, მენა მომკლასო. კაციც ვერ ხედავს ზათი. დათვმა იფიშმანა, იფიშმანა და გეიქცესნა, ვერ მხედავსო. გუდუხტესნა ტანიდამ. იმ გადახდომიხან დათვმა გუუშვა ტრანი მეგომ, შეიშინდა და?! იმ ნურიას ბუკზე არ შეესხა მეგომ?! ნურიასაც შეიშინდა მეგომ, ე რა იქნაო და იმაპაც გაატრანიანა, თოფის უკნიდამ დააქუხა მეგომ. ასე დიემართენ დათვსა და ჩანჩხალველ ნურიასა. ჩემი სიძეი ამასა სოფელში ილაპარიკებდა და სიცილში კვდებოდით.

მე ვარ კაპელოლლების სიძეი და ამას რომ გედეიტან მემლექეთში, იქ არნა დამცინოთ, მე, ემე, ცოტა ზარხოში ლაპარიკი ვიცი.

იმ ჩანჩხალველმა ნურია ორმანჯიმ ერთი სირა ტრაბახობა დეინყო, ერთ ყურშუმით დათვი და ღორი მოვკალო. პიდან მიაგენი დათვი და ღორიო, — კითხედენ სოფელში. ხალხსა უკვირდენ, რაფერ მოკლაო. ტყეში ყოფილა ერთი პანტა ხსალი. იმის ძირში მეგომ იაბანი ღორი მისულა და ჭამს პანტასა. დათვიც იგზე ყოფილა, იმასაც ჭამა დონებია. ერთმანებ უღრენენ დათვი და ღორი მეგომ. ესა დუენახავს ორმანჯე ნურიასა, ავეჯია და? ენწინ რომმანებ მოვკლაო, ფიშმანობს მეგომ, დათვი თუ ღორიო. ღორისთვინ უსრია ენწინ. ღორმა ყურშუმის იარა ვილო მეგომ და გაპერსტა, ეგონა დათვმა მომასო კიბილიო. ღორი გეიქანა და ეტაკა დათვსა, მისასო კიბილები. ღორი ფენა დარჩა, მოკლა დათვი, პამა თვითანაც იარალი იყო და მოკდა. ახლა ის კაცი ჰახლია, ორნივე მოკვალო ერთი ყურშუმითაო, რომე ამბობს. დეიქო კაცმა მისი თავი.

მთქმელი შერიფ ბერიძე (ჩავდაროლლუ).

მასალა მოგვანოდა ო. ფუტყარაძემ.

ხასანფაშა

- რავარ საფიროფ, რავარ ბძანდები?
 - შენ, ნენი!
 - მოი, ცავ, მოი!
 - ფეხმა ამტკივდა... ყდამეთით დავაძინე, ხუდსუზი ციცაია...
 - კარქა ხართ? მუხამედაი, ბალვები?...
 - შენ კარქა ხარ, ფაშა-ბატონ?
 - სიძეიც კარქაა?
 - ბერიც წამეყუაითო... რამტოლ იყვირეფს, ბალვები რატონ არ წამეყუაითო?...
- ჩუენ ხალხ რამაზანში არ უყუარან სიარული.
- ეს ჩიჩგი იღეფს? — არ იღეფს, არა!
 - ჩუენი კაცი არ ექცევა ბიჭის მოყუანას... კარქა არ ვიცი.

— შენ როცხა მოცივა მოსაფირი, ერ ლამე ჩემთანაა მეციუანო მოსაფირები, დასტურ გებნევი.

— ნენეი რომ უმფოსია, რამეს ვერ ვჩივი. ნენეი რომენ წინ არი... ზოგი დედათილი გონჯია.

— ბაღნები ხართ ვერ... შენ უმისოთ რათ გინდა.

— ნენეი რომენ უმფოსია, მეხავისება, რამეს ვერ ვჩივი.

— თუალი გაქ პელებეთ.

— დოღრია!

— აჯაბა ჩუენებურა ლაპარიკობენ?

— დუზე ლაპარიკი იციან.

— ესა, იმფო ლამაზათ ლაპარიკობს.

— რა ქვია, ცავ, მაგას?

— აგინი მეგვენატრება... ნამეტარი შორი არი გურჯისტანი.

— ჩიი არა, კაპვე არა, ამფერი მოსაფირი იქნება?!

— ახლა ნევა, რახან მუა, ბილურსუნ?

— აბა, რა ბე! ჭამენ ლოქანთაში!

— ხისიმების დანახვა იმფო ჩათინა, მეგვენატრება!

— ნენეი ვიცით, ანაი არ ვიცით...

— ფაშა-ნენეი ვიცით ჩუენ. დედეი — დიდი ბაბაი, სიძე — ჯუმადაი.

— „ბაბაი“ ვიცით, სხუაი რამე არ ვიცით. ბაბას ძმას „ბიძას“ ვეტყვი. ნენეის ძმას „ტაიას“ ვეტყვი. ბაბაის დას „ბიბის“ ვეტყვი, ნენეის დას „ხალას“ ვეტყვი. ენჩული „გელინი“ ვიცით, „ძალი“ ჩუენ არ ვიცით, სხუაგან იციან. „მული“ არ ვიცით, ფაშა-ბატონიო, ასე ვიტყვი. ზოგმა ბატონ-ხანუმი|გორუმხანუმი იციან. მაზლსა აღბატონს ვუძახით. „კაცი“ ვიცით, ენჩული სახელს ვეტყვი, „ქმარი“ არ ვიტყვი. ზოგან სახელ ვერ დუუძახებენ. ქალი კაცსა სახელ ვერ ეტყვიან, იტყვიან, ცოდვა არიო, ასე ჩივიან. დიდ ძმას „აბე“-ს ვეტყვი. „ძიაი“ არ ვიტყვი, აჭარლებმა იციან „ძიაი“. დიდ დას „აბლას“ ვეტყვი.

— ახალწელნადზე ხაპს მოვხარშავთ, სიმიდს მოვხარშავთ, მაღლიაო, იტყვიან, ხიდირილეზე ყუელამფერი ვიცით. ფილავებს გავაკეთებთ, სალინჯალებ ჩამუაბამთ, ფილავებ მოკრეფენ, ერთათ ჭამენ, ჯუმბუშობენ. პურების წინ წამონევისთვინ მობძანდება ხიზირელისი|ხიდირილეზი. იმასა ყაში აქ, შამოკრავს ყოლიფერს, თავს იქს პური. იმის ხიდირელისაიო, იტყვიან დიდუანები. ეს ადეთი გურჯულია, თურქებმა მემრე გეიგონეს... ჯუმბუშობენ, უხარიან იმ დღესა...

— იმისა დაი და მან მივლიან, ეორვე მივლიან.

— გელინები იარებიან ქლათ, ზეპრაი იარება... დერსათ იარებიან, ბე!

— გულფადიმეს რა საქმე აქ?

— იმის რაპათი და ქნას... დაელაპარიკდეთ და შეეტყობთ...

— შენი ნიშანი რახანაა?!

— ზეპრას ეხავისება ძალიან...

— ყოლაია?! შენ სულ ყოლიფერი არ იყიდე?

— შილები ერთ სახლში არიან? კარქა არიან?

— პელებეთ, აბა, არა?!

— ზიადეი, ნურანაი იარებიან, კითხულობენ ყურანსა,... ერთი ხათმი დარჩონ მარტო... რემეზანია ახლა, ბე!

— რაპათაი ვერ ზიხარ რაცხა!

— რამე არ გიგვითემიზებია, ყურბანბადრამზუნა ექნათ თემიზობა.

— მოსვადვა ყოლაია. უპუ კაია, დააცხე. დემექ დაასხამ, აღარ გეიქცევა. იგინი

მეტი გეიქცევა... დავრჩი ბილქერე ასე...

— ავდგოთ ახლა?... რემათიზმა, ბე, რემათიზმა. ცავე, თავზე მიმარტყა სისხლმა... რუმეზანში პანაი მადლში შეით!

— გედი, აართვი, შეისე ლემსები, თვარამ თლათ დაკავდები... შიფალი ბალახებიც არი... გახზირდი, გაი!

— ისტარსა მე მოგიტან, აბილაე!

— შენ რას ექცევი, კარქა ხარ?

— ერთი ჰაფითთ წინ ეს დეინიშნა?

— ბაირამდასორა!... ლარჯივეთი საკაბე იყო?

— კაცებს არ ჰსცალიან... მიველიან, ბე?

— არ გაგარიგონ ღმერთმა, ერთათ დაგაბერონ!

— სხუი, სევიმ, გელინი კარქაა?

— კარქაა!... ჩუენც კარქა ვართ, ჩოხ შუქურ!

— გულუფადიმემ იცოდა, ვინ ამეგიყუნა?...

— იგინს უყურან პაიჯინი... ამტოლი ეყოფა ძილი... მეაც ნენესანთან დამძინია მეგომ...

— ნეჯაათ, რაის ექცევი?

— ფეშილ ჯამეს ებნევიან, იქ მოსულან. ჩონობური ვართო, ჩივიან... ვორი ღამე ვალოციოთო, ებნევიან...

— ყურშუმლი ყიზილობაში სოფელია... ერთ დვენახვიდე, მინდა. იქ ერთი ქოქი ჩუენიც ყოფილა, ჯანუმ.

— მუთიოლლები მოდიან, თუალ არ გეცონ?

— მე იქა სამარგელში, სატეხავში ვიარებოდი.

— შენ ვარდებ გამუუღლია, მელექაე!... ჩიჩეგები მემეცი, ერთ ქუფელია მემეცი... დღეით არ საქმოფთ, ისიარა?!"

— ვენიჯას შერეველი ხალხია, სულ თურქა ლაპარიკობენ... ყურშუმლის ნევედა დასტურ. ჩუენ ბაზარზე კაიაო, იფვი ყოფილა. ყურშუმლის თომათაი ბინ ლირა ყოფილა. ჰემ თავზე ხორცი, ჰემ იფვი!

— შალბანაი დღეით საქმოფს? ბალესა დიეძინა და დარჩა.

— ხასანფაშას ჩაქველები, მახინჯავრელები, დიდჯამიელები არიან სულა. ჩემი ანაი დიდჯამელია.

— „ქესერს“ უძახიან ჩაქველები, „ეროს“ — აჭარლები, „ფათათეს“ — ჩაქველები, „ყართოფს“ — აჭარლები.

— ეს სახლი ჩემი აბილასია.

— რას ექცევი?.

— კარქა ვარ.

— რას ექცევთ, უმიან, რავარ ხართ?...

— ბიქერე დასტია ბრეველი... ჯერ ერთი წელნადი არ ქნილა, იმტე. ჩემ ქორნილზე დასტია... მომატრეს, მიმატრეს, იმტა.

— ინავე პანაი შენაც თურქეჩე, იმტა.

— თქუენ რაიჯებით, რავარ ხართ?...

— ერთი მოვდოდეს და გაგაფაქებდეს... იმაპაც სულის სიმნარით უნდა... კაცი დერდოფს, მომენატრა ბალვიო.

— ჭუჭკავ, ჭუჭკავ, დეილევა... არ დიესხმება?

— ადგა, ეფეიჯა გახდა, ხოსავს ეზო-კარში.

— ხალიჯი მოსულა, ცავე ყიდვენ...

— პანაი მანაცნა მოვდეს, მარტუაი ჩუენ ხომ არ ვიართ?

- მის მამითილ არ დუუჲდა მეგემ ქუჲაში... დელიყანები იედებიან, იარებიან.
- ნამეგეჲჲუნა გელინი?!...
- დუნდადა ვერ ნევალო.
- მოზობლები კარქა ქყავს... დამტეველი ვინ მყავდა?... რაჰათ ვერ იქ... ფიქრი-ჭკუა აქდა მქონდეს, აქა, ყაჲაში.
- ქობროლი ვართ ჩუენ. სულიემან ჩაჲში გამოსულა. აჰმედაი ქობროლი იყო ჩემი ბაბა... კაი ხსიმიები ვართო, იტყოდა. სხუაი რა ვიცი!
- იგი არ ვიცი ქი... ზინეთაის ბადიში მოსულა... საცხან-საცხან არი, ვერ მისცა ყუელი... სუნ თელი საქმობენ... იმდონი ფარა დახარჯა... გულთენამ არ შიახედინა... და არნა ისაქმო, და კარქანა მეიგო საქმობაში... თელი ბიჭები საქმობენ... მე რა ვისაქმო და რა ვქნა, აღარ ვიცი...
- ციცას ნითუჲ მოვდა ბიჭმა. ალა რაზი ოლსუნ...
- ფადის გამჩენმა, ასე დომიმონმა.
- აჰადა, მესამე გამონეჲაა დღეს ამ ბალვის ურუბაი. ახლაც ბერბადი მეიყუნეს, ეს ფისი, ესა!... ური ინსანი ვარ, მას მიესდიო, თუ საქმე ვქნა? ვორი კაცი უნდა მარტო მაგ ბალესა, რომ შეიქციოს.
- ნენეჲ, ალაეთმასუნ! მაი რაფერ ითქმის...
- ზითუალმა დასნუა ჩიჩეგები... გადავსჭარ რამითიგობ... დუშგუნია ბალვებუჲ ძალიან... რა მენაღლება, მან ჩარგას ჩიჩეგები.
- მთმენელი ხარ? მოი, ვჲამოთ იფთარი.
- იქანაი ნეჲდა, დომანიჩ, დისნული მყავს იქა... მეხაზირენ, ნეჲდენ, ახლა ჩამოვლიან.
- მიერე გელინი რაჲარ საფიროჲს?... რადა ქნა, შვილის ხათრიზა ვითმენ... ჩემი მამამითილ, კაცის ბაბაი, იყო იმამოლი. ნენეი მემლექეთიდან იყო...
- ლობიაი არნა ნაჲრგო საჭამადი?... ნაადრეჲაი მანსაეკველი დავრგი.
- დამამინყდება... სიბურეში ინსანი ველარ უთევეს.
- დარჩე და?! ... რადა ისაქმონ ახლა სახლში?... ინათინე აკეთებს ამასა.
- ითამაშოს, ბე! არ თამაშოჲს და...
- ვაიმე, ნენეჲ, დასტურ ჩუენებური პიტინა!... მაკიდო მეც მომიხდება, მოვხარშო და მენაც ვსუა. ვერ ვსვი ნინნინა, ბეთა.
- გონჯა გამხდარა მისი მამამითილ. ბირემედნი შენუხებულა... ნელან კარქა იყო... ამსულულჲე დამნიფული ბერი გაქარდება... გენჯი მოკდი, იტირონ უკნიდან...
- შენთათალი თქეი ასტი!... ჩემ დედეს ხოშ არ ქეია?
- ჩემი დედეი მოვდა აქა, რიზმანოლი აჰმედაი. მოვდა თემელაიც, ლალუბიისიგელი
- კატრუხაი. ძმანები არიან აჰმედაი და თემელი... დედეს ბაბას რიზმანაი ერქუა... ჩემი დედეი იგიების სიძეი იყო.
- ვინ გეტყოდა აჲიბა... გულა ბიბიმ არ იცის ქი... აკვანში მუჲყუნაინან პანაი... დურსუნ ბიძიასთენინა მეკითხა... ერკენ ასე დანერე: თემელ დედეს ბურსას გუჲსხინა დუქანი, დამედარა... ძელი ჩუუგდია ძელი, კაჩალია მეგომ. ძელით ქენარ-ქენარ გამოსულა, რომ ჩიყულუმჲა ნყალსა?... იქამ მუედარა...
- ერნამალი გარბის ნელნადი... გაემილდა ყოლიფერმა...
- რას ექცევი აქაო?... ყანა-ბახნა ვიყიდეთო... მემრე გუჲყიდია და ნამოსულა აქა... ყანიფი ქონდა და საქმობდა... რაჰათი ვქნა, არ ვობდა?
- შენი ჯიშია, უშიან, შენი!... რაფერ უთევენ აღმანიას?... ფარა უნდებიან ბრეველი... იმათთვი საქმობენ... გულჲადიმეს სიძეს არ უქნია...
- ქალმაც აყეჲდა, ციცავ... ბადრაშუჲდა მოვდეო, აბუღლა?
- მანაც ნენეი არ იცის... თერავიც გაჲაქციეთ, ბე!

- დედაშენი მოგრესიტავს! ნინა დღეს არ გარებულხარ?
- საჭმელები ჩემიტი-ჩემიტი ვიცით... ბაშკანი იგია, იმან იცის...
- ძალიანი ქათამი — ნიგოზი, პირპილი, ნიორი, შავი სისამი (ფიდებზე რომ არი დაყრილი), ქიბილი უნდა, მარაგი. იმას ნიორი, ქინძის კაკალი, დანაბლოს დაანაყავ... შავი ბარბუნიაი ლობიაი — ქინძი, შემტრამი, პირპილი, ნიგოზი, ნედლი ნიორი, ყორავო... სუნელიანი ლობიაი — პრასა, ქინძი, ნიორის ფურცელი, პიტნა; იმის ერთათ მიხარშვის. ყორავოც უნდა, პანაი ქიბილი ერთი ყაშული... სირსული ლობიაი — ნიგოზი, ქინძი, ნედლი ნიორი... შრალი პარკი ლობიაი — აფნი იმასაც ქინძი, ნიორი, ნიგოზი, შაშტრამი (ნედლი), პილიპილი... შრალი ფხალი — ნიგოზი, ქინძის კაკალი, ნიორი, პილიპილი...
- ხორციდან გაკეთდება დანი. უნდა ხახვი, ნიორი, მაკიდო, პირპილი, ბოლოს ურთავს პემ... სალჩა თომათესიდან გაკეთდება. მოხრაკავ, ჭადი კაია.
- ზეთიანი ქათამი. იმასა უნდა ქინძის კაკალი, ნიორი, ნიგოზი. დანაყავ კარქა, ნუენი გამუა, გალესავ, მოხარშოლ ქათამებ ჩუუნყოფ... შენ ხელი შეიკოჭე, მე — ფეხი.
- ბევრი იგივებ ცუოდინებთან.
- მუა თხის ჩობანი!
- პურიდან: მაკარინაი, კუსკუსი, იუქა, ერიშტე, შვერიე, ხახვიანი ფიდებეი. შვერიე ასუა: კუერცხ გავრეკავთ ერთ ყაბში, მუარებთ, ბურღულ დაპყრი, კუერცხ მუარებ, დაგორგვალდება, კიდო დაასხამ კაშულით, კიდე დააგორგვალდებთ... მოზილავთ კუერცხით. დიდი გოზერე, საცერივით, საცერზე დიდუანი თუალები აქ, ცხრილ ვეჭყვით. გაეახმოთ. მემრე ფილავ გავაკეთებთ, ბრინჯი გუურე, გააკეთე. ახლა ხაზირები გამოვდა, აღარ ვაკეთებთ.
- მებრაკვის გული!
- აფნი შრალ ფხალს გავს, ჭარხალიდან გავაკეთებთ, ნონონაი ქეია... ჭარხალის ფურცელიდან გავაკეთებთ. უნდა ნიგოზი, ნიორი, პირპილი, ქინძის კაკალი, ყორავო უნდა...
- შენ დასტურდა ჯიღები იცი... არსად გეიქცოსო...
- ახლა აქანაი შიეჩია... დანვონდა ლოგინში, რომე მორჩე!
- აგენი რახან გქონდა?... ახლა არ იყიდა?
- ბოლოკის ტყავი! ორი ნელნადია ვიყიდე...
- სუთანაი კაია, რაფერია?
- ერთი თული თუ გააკეთე, არ იჭმება. ჩემიტი იყოსნა, ბრეველი...
- ნყალს ბძანეფთ?!
- გუზხედე ერთი, ამელამ ხორთლადობა სჭირს!
- გოგო გელინათ რახანდა მოქეცე?
- დედოკიდი რა არი და მუზვიერობა... ნახვარი თურქეჩა ჩუენი ლაპარაკი.
- ფორი ბალვი ყავს... კაცები ინახვენ, არ იქნება... ჩუენ მექელეში იმალეიდენ...
- დედამისი არ არია?... სულთანამ იცის სილმერები... ერთგან ვიჯექით და ურბას ვრეცხდით...
- ბურღულს ჩავაყრით ძალიან ქათამს...
- ჩუენ „კაც“ ვიტყვით, „იარიო“ ვიტყვით. „ქმარი“ მაჭახლელებმა იციან...
- იცინონ, ბე! მოვალ-მუვალთ ერთქვანებთანო... რათდა ქჭირია სხუა?... დავედე-ბოდით იქანა პანას... მაშინ მე ვიყავი, ჯანამ!... საბარი უქნიან მოსლამდინა... სუთბაბამ რომ მოკდა, რამითი იქნა?
- ოზო-კარი რაი გუაქ?... დღევანდელი დღეა თავმა ხაპრათ მემექცა... ვოროლი მყავს აქა... ბაღრამამდინა მოვდეს... ვის გავხარ მარყუჯაი-მეთქი...
- დაპაიჯეს დომანიჩ... ჩემი ნენეი და მისი ბაბაი ხასი ბიძიშვილები არიან...

ისტამბოლს იყვენ 'ნასული... უმფროსი და მარტო ერთია... გულბაპარას ძმის ქალი მოვდა... რაები იცის უწინდელი, იცი?!... დუუყურებ?

— ჩუენ გელინის დაი ყოფილა, დები შილებინა გახდონ...

— ნუხელი მეტი მტკიოდა... სისხლი გაქ, ალლაპალემო... ბალესა დლეი ძინავს სალინჯალში... ბეთი სოფელია, კაპანია, ბაირია ბახჩაყადა... თავმა გიმიცივოდა... მუხლებმა დიმიკავადა... ეკალი ქოქიანა მოხარშე, ოაში დადე, ის ასვი, კაია.

— ეკალი ისე რომ იყოს, მილეთი სუამს...

— რა დიემართა ბუზდოდაბ?... მიმდგარა და ძელი ამბარები დუუტეხია... ამბარები დეიტეხის?!... ჩუენ გვინდა რაფერ, გაეკეთებინა... ქიბილის ჩასაყარი ამბარი ბილა არ გუაქ... ოზოც რომე არ გუაქ?... რაფერ უთევენ, ბე?!

— ნადი ნეყუაი და ფენერი ავართი... მაქედამ გაქარდი-მეთქი... ნევედა ემეგები... შენა, ნარგიზა, გაგლახონდა-მეთქი... აყეფებული ვიყავით ყანიეფში... ჰელაქი ვიყავით ყანაში... დემირელი რაფერ ენეფს ებნევა ხალხს, ამდენი წლის რაშლი ვარ, მე დიმიჯერთო...

— გოზგორ ეძინება ბალესა... მუარებდა ვალ ზეიდან, შეწვიდა კეცზე.

— დლეი ძინუან? თქუენსას ვიყავი...

— ხულაიდან და ვიყოთ, ვა ზედა კვატიადან, ვა ქუედა კვატიადან. ბაბოის გუარი სურმანიზე, დიდი ანას გუარი დუაზე. ენ დიდი მე ვარ. დიდი ანაი ხულაიდან იყო. ფურუკალი გაგონილი მაქ. აქ შერეული ვართ ჩაქველები, მახინჯავრელები, დიდჯამელები. ჩემი ანაი დიდჯამელია. მუთიოლლები ვართ ბაბოდან. აქ გამოვდა შაბან მუთიოლლი. რაქეთელი დიდი ანაი თორმეტი წლის ყოფილა, აქ რომ გამოსულა.

— მეიკითხე, ჯანუმ. ას და ათი წელნადი გვიარა შუაში. დიდი ნენეს ემიაი დარჩენილა, ბეერი ფუტკარი ყოლია. ჰიიდე, შენაც ნაშოიო, — უთქუამს მისთვინ ძმასა.

— ე ფუთრები რაფერ დავტიო, ვერ ნაშუალო, — უთქუამს და დარჩენილა ეერბაერ.

— ჩემი დიდი ნენეი იტყოდა, რომე: ერთხან გათოვლებულა, დიდი თოვლი მოსულა. ყადმაყამი ამოსულა კვატიას თუ რაქეთას, აღორ მახსოვს. უკან დაბრუნებინან გზიები თოვლით ამსილი ყოფილა, ნაბათლებული. ხალხისთვინ უთქუამს, გზა გაკვალეთ და ზრუგით ჩიმყუაით სხალთასაო. ერთ შეედევა ყადმაყამი, მიერეს, მესამეს. ასე მიდიან გზას მეგომ. ჩემ დიდ დედზე მოსულა სირა. პირველათ, შეეფომამდე გუარს კითხედა მეგომ ყადმაყამი. უკითხავს ჩემ დედესთვინაც. — სურმანიზე ვარო, — უთხრომა დედესა. — შენ ვერ შეგედები, ჩემზე დიდი გუარისა ყოფილხარო.

საუბრობდნენ სოფელები.

ქალაქი ფაცა (ფათსა)

— ფაცას აჭარლებიც არიან. სუდერეში სულ აჭარლები არიან. ჩუენებურები არიან ბრეელი. ჩერქეზტალი, ალჯაქესი, ეემიშანი, ფისირტამი სულ ჩუენია, კოლანში, კუნდანში ხინველები არიან სულა. ხინველებს ვჩივი მე, თვარა სხუაც ბრეელია. თაჰნალშიც ექსერი ხინველები არიან.

— იმდენი ფიშმანობა აქ დემექ?!

— რამეთი წლის ხარ?... გალაჯინებ...

— ბაბას რომე გაეკუჭებდი, „ლორის ნაგაზოვ“, — მეტყოდა, „ლორის გოჭოვო“. აბეს გაეკუჭებდი, „გამცილდი, გოჭოვო“, — მეტყოდა.

— ყოლისფერ წელნადს გამულა, დვენახაე მემლექეთსა.

— ისხანი რაცხას ჩივა, ისე იქნება ყოლიფერი.

— ბაბაი დაკლიდა ცხუარ; ბრეელი ხალხი მოვლენო, იცოდა.

— ჩუენი ნაგაზი ერთ კბენაი ნახვარ კილო სისხლ აგართმიდა.

- კაზილი გუდუერია ვინცხას... ხაში ყოფილა სოფელში.
- ამეგვესკნება კისერი... მოსკოვის შვილო, ერმენის შვილოვო, — ჯავრობდა ბაბაი...
- ორასი ჰანე მარტო ჩუენიდან ვართ ისტამბულ.
- ცხენი გუარში გაჭენდებაო, იტყვიან ძუელები.
- მასსოვს, ყანას რომ დახნიდენ, თალარზე მისლამდი მიდენე ხარებო, იტყოდენ დიდუანები. თალარი ჩუენებურა ნათქუამა, თურქულა იქნება სინორი.
- პანა ხანს იქით ვახშამინა ვჭამოთ.
- ფუშუმი ძუელათ იყო. ძელიდან, ქუთულიდან აკეთებდენ, შამუამგვლებდენ... ჩუენ ფილი გუაქ. შიან ვნაყავთ ნიგოზ, შეშტრამ, ქონდარ, საჭმლის გასაკეთებელ მისამართ ყოლიფერ, რაცხა რომ დასანაყავია. ჩამური გაცეხუავს... გაცეხუავთ ლომ, სიმინდ, პურ. ტყავი რომ აქ გასადრობი, იმა პანა წყალს გადაარებენ, გაცეხუენ. ტყავი მოძრება, კაკალი დარჩება, გული დარჩება.
- კალამ გავსკოდ კაცი გულზე!...
- ხაინის ფაფა ქეია, ქალს რომ ბალანა ეყოლება. გოგო ბალანისთვინ ფაფას გააკეთებენ, ბიჭი ბალანისთვინ ფილავს გააკეთებენ. მონათესებს ამატივებენ; დამსწრეს ეტყვიან ამასა. ამა და ამ ქალს დღეს დამსწრე აქო, ასე იტყვიან ჩუენში.
- ჩუენთან გამორებულინა იყავით, კაი მოიდოდა.
- დამსწრე რომ გუექნება, ქალებ დავჰაიჯავთ.
- ტყუბი თხილი ვიცით, აჰა!
- გურჯები თამსილი ბლიქსირი, ადანა, სამსუნი, ორდი, იზმითი. იზმითსა აქ გრლჯუქი რაიონი. იმისი სოფლები — დომამა, ზედაი დომამა სულ გურჯია. სოფელი მამუყეი გადარევი ხალხია, სხუანიც არიან. სინოპიცი ბევრი გურჯია. სინოპის ადანჯულის რაიონი, თურქელის რაიონი, ჩათალზეითუნის რაიონი ექსერი გურჯია. ჩათალზეითუნის რაიონის სოფელ ათმიდანში ტბეთელები არიან. თურქელის რაიონის ხუთ სოფელში ზედაი აჭარის ხალხი არიან. სოფლები — ქოსერეტაში, დაფრალი, საზყიმლა სულ გურჯია.
- ორდში შუიდი ქაზა გურჯების არი: ფაცა, უნიე, კოლან, კუმრი, ფერშემბე, გრლქრე, ულუბეი. ორდუს ვილაეთია ესა.
- ფაცას რაიონში ოზდათხი სოფელი სულ გურჯია: ბოსტალი, დუაერი, ჩერქეზალი, ქაბაქტალი, ესკიორდი, ყირანი, სალიზლი, სალჯაქესა, ეემიშკანი, ჭაპრანი, სუდერე, საზჯილარი, ყურშუმჩალი, ფასანჯული, კოსმოდარი, ფისიტამი, თახნალი, კუნდანი, ბაჯანალი, ჰოილი, თახთაბაში, ხამლული, ზავო. ამ სოფლებში ენ პანაი სოფელი ორმოცი ჰანე მიცი იქნება, ნდიდი სამასი ჰანე. ბევრი გურჯია ამ ეგრეფში.
- ერი კიდიდან დეგვენყო, კაი მოიდოდა... ვოთხ-ვოთხი ჟუერი გადაშალე?!
- ენ ბევრი ჩუენი დერია. დენიზის ქენერიც არი. ოზდათხუმეტი კილომეტრი მოცილებულიც იქნება. მანდალინაი არი, ფორთოქალი არი.
- ჩუენ ლაპარიკს კარქა ხთომილოფ?...
— სამი-ვოთხი წლის ბადში მყავს, იცის გურჯიჯა. კარი რომ გეისხნა, ნამეტარი კაი იქნა, მივალთ-მუალთ ერთმანეფში, გურჯიჯა აღარ დეიკარგვის. აქანაი ვიცით დინეი, ბაბუაი, ბუძიაი, დეიდაი, ბიბილაი, ბალნები, უმფოსები...
- ცეხლი რომ დეინთება, იმას ემგუანება.
- ყველს რომ შაყენებენ და წყალივით დარჩება, იმასა ნაქას ეტყვიან. ძის მონაცუამს კაიმაღს ეტყვიან. ნენესი გაცეთებული ყველინა ჩაფუნჩხო კაიმაღში; ჭადით კარქა იჭმის. ჩაქუთნავ იმ ჭადსა, ლუკმას გააკეთებ.
— ერთი კაცი ნესულა სასაქმით. ერთ კაცთან უსაქმია ბევრხან. ათავებია დრო, ნევედსნა მის მემლექეთში. კაც მიცა პატრონმა ნაჭარი, სამი ალთუნი. ერთიც, მის ქალ დაბარბა, რომ ჩუენი ბექარი მიდის, ხულ ერთი პური გუუკეთევი, შიან ჩაყარე ოთხმოცი ალთუნიო. კაცმა მეგომ ჩეიუვა ტანზე, დეიხურა. ცხრა ადუმი გევედა, სახლის ბატონმა დუუძახა: — ბიჭო, მოი აქ შენაო. ერი ჭყუნა გასტავლო, ერთი ალთუნიანა მომცეო. — მასტავლე, აბა და მოქცემო. — ბიჭო, — ჰაცხა მიხულ, რაცხა დეინახე, შენ რამეთ არ გარგია, ის არნა კითხა ვისმესო... აართვა კაცსა ერთი ალთუნი... პანაი კიდო გევედა ბექარმა. კიდო დუუძახა: — ერთი ჭყუა კიდევნა გასტავლო, კიდევნა აგართვა ალთუნიო. — მასტავლე... ისიც მოსეფილო ყოფილა ზავალი. — გზაში მიხულო, სულ დიდი გზიდანანა ნეხვიდეო, პატარა გზიდან არნა ნეხვიდეო, ანაგზადანანა ნეხვიდეო. ბექარი გევედა ცოტა, კიდევნა მუაბრუნა სახლის პატრონმა: — ერთი ჭყუა კიდევნა გასტავლო, ალთუნი კიდევნა მომცეო. — მითხარო, უთხრა ბექარმა. — ჰაცხა მიხულ, თუალით თუ არ დეინახე, ყურით თუ არ გეიგონე, არ დეიჯეროო. ორსნივე მიცემული ქონდა ალთუნი, მესამეც მიცა. ნევედსნა ბექარმა, მარა ცოტა შეფიშანდა, ფული სულ აღარ აქ. ნევედსნა, გადადგა ადუმი. — დადექ, ბიჭოო, — უთხრა სახლის ბატონმა. — აგერ ეს სამი ალთუნი ისვენ შენთეინ მიჩუქებიაო. ორი პურიც მიცა. — ერთი გზაშინა ჭამოვო, ერთიც ქალ-ბაღთან ერთათნა ჭამოო, რომ მიხულ სახლშიო. კაცმა ჩადეა პურები ჰეგბაში, გზაში ნევედა. სიარულში დაღამდა. მივედა ერთ სახლთან, დუუძახა: — ხანესაიბი, მე დამაყენებ თუ არაო. — შამოიო, უთხრა კაცმა. გეიყუნა, ბუხრი ძირში დააყუნა. კაცმა დაუდა დე გუუხედა, რომ ბუხრის ძირში დიდი ძალი ნეეს. კარზე შეხედა, რომ კარზე ერთი ქალი ცოცხალი ჩამოკიდულია. კაცმა მეგემ იმას ასუა, აჭამა, პანი მოსაფირია! მემრე ყაჰვეც სუეს. ძალსაც აჭამა, ასუა ძე. მემრე იმ ყაბების მონარეცხელია, ბარდალებში მორჩენილები ქალ აჭამა. კაცი უდას, ამას უყურეფს. ეს რა თქმაია, ნეტაი, უარება გულში, ჰა! ძალი ბუხრი ძირში ნეეს, ქალი ჩამოკიდულია. კაცმა იფიშანა, იფიშანა, არ კითხა. კითხოსნა ქი, რომე გეიგოს. პანი ჭყუა ასტავლე, რამეში თუ არ გარგია, არნა მიეკითხოვო. ძალი იგზე დუუნენია, ცოცხალი ქალი დუუკიდა, ჰელბეთ რაცხა არი. კაცმა არ კითხა, ჰამა დილაში იფიშანა. დილა გათენდა, კაცმა ადგა, დეემშვიდობა, ნევედა. ხანესაიბმა დუუძახა: — ბიჭო, მოი აქაო. შენო რაფერი საბრანაი კაცი ხარო. ნუხელი ააფერი მკითხევიო. იმანაც უთხრა ქი, მე შენი საქმე რაში მჭირაო. შენი საქმე შენ იცოდეო. — შენო ძალიან კაი კაცი ყოფილხარო, გინდოდა შეგეტყუა, მარა არ მკითხეო. ახლა გეტყევიო: — მე აგერ, აქ, იაილაში ვიყავიო, ზენაგინი კაცი ვიყავიო. დამდენ უყვიები — გამქუცველები. ამათ ეაჭამე, ვასეიო. ამათმა დიმიკავეს, გამკოჭესო, დამბაქსო. აგერე ქალიო მათში ჩეიბესო. ერთ აალემში არიანო. ქალმა მე აღარ მომიყურა, იმათ მეეხიზმეთაო. იმათმა გაზარხოშდენ, რამე აღარ იციანო. ქალ ვუთხარ ქიო, მე გიმიშვიო, ეგენი გაზარხოშდენ, ნახევარზე ცოცხალი აღარ არიანო. ქალმა არ გიმიშვაო. — დადექ მაგერო, ამათ დუუძახებო. მასობაშიო ძალღმარო მოიდაო. მიხიტინა, მიხიტინა, თოკები გიმიჭრა, გიმიშვაო. მეო ავსანიე სილაში, ბითევი მოკვალიო. ამას იქითო ეს ქალი ჩემთეინ ასე ჯეზალიაო. ეს ძალღიც ჩემთეინ ასეა. ვინცხამ ჩემთან მოსაფირათ მოვედა, იმსოლოლში მკითხა; მეც გაებლუნებები, იმათ გვლავო... ამ კაცმა ჰედდე მიცა, გუუშეა.

მემრე ნევედა ეს კაცი გზაში. ერთ არხატაშემა მიეტოლა, უთხრა: — ბიჭო, ეს გზა ძალიან უხოეს, ამ სოფელში ამ პატარა გზიდან გადავახტებითო, მალე ჩავალთო. ამ კაც ნაყუა პანახან. — ბიჭო, აქ ჰიდან მიხულო, — უთხრა მის თავ და დაბრუნდა

უკან. დიდ გზიდან წევდა. იარა, იარა, საღამოზე მივდა სოფელში. ვინცხასთან მივდა, დაყდა. თქუეს ქი: — ამ პატარა გზიდან მომავალი კაცები ემყიებმა, ანარჩისტებმა მოკლესო... იპაც ისე გადაახტულმა. მოიდა სოფელში. სახლებიც პაცხა მალარასავით ყოფილა, ზეიდან ფენჯრები ქონია. ზეიდან ჩულებდა სახლში. დეინახა, რომ ერთი ქალი, ერთიც მოკაცო იარება სახლში. — ვაიმე ჩემი ქალი გათხვებულა, ერთი კაციც მუყუყუანიო. შებრუნდა, წევდა. მემრე მუაგონდა ნასტავლები ჭკუა: — ერთი თუალით დეინახები, ერთიც ყურითნა გეიგონოო. მოი, დაებრუნდე და ყურით შევტყვაო, — ხანესაიბი, შენთან რომ არი კაცი, ვინ არი ისაო. ქალმაც უთხრა ქი: — ჩემთან რომ არი, ჩემ კლავზე და ჩემ ძუძუზე გამზდარი შეილიო. იმანაც გარეთიდან უთხრა: — მეაც შენი კაცი ვარო, კარი გიმიდია. გუულია კარი, შესულა სახლში. ქალსაც გახარებია, ბალვსაც გახარებია. მეგომ მის არ ყოფნაში გამზდარა ბლვი.

— ახლოო მეგვემშია და ვჭამოთო. მეო ჩემმა ხანესაიბმა მითხრა, ეს პური ქალ-ბალვის ერთათ ჭამეო... გატეხეს პური, გამოჩენდა ოთხმოცი ალთუნი.

ისინი იქ დარჩენ კარგობით, ჩუენც პეჟია მეეთათ კარგობით.

— კიდვენ ისნა მეთხრობია... ყურის მესელე. ფეღლამბერი იარებოდა სოფლებში. საში ხაპერი მუულანეს, დაანახვიეს: უთხრეს, რომ შენ ფეღლამბერი ხარ, მიხტი, აბა, რომელი იმფო კაი ინსანი ყოფილაო. ხელში ჯოხი ქონია, გადააბრუნა ხაპერი და ყურში დაექა ჯოხი. იგირის ჯოხი გამაა მინახუ. მემრე ერთი კიდო ყოფილა. მიარტყა, ჯოხი ბილა არ შეედა ყურში. მესამე ხაპერში შუაში დარჩა. უთხრა ქი, აგერ ეს პირველი ინსანი ამფერი ყოფილა. დუნიდან რამე ხებერი არ ქონია, რაცხა გუუგონია, ყურიდან ყურში გამშპარაო. ააფერში არ გამოდგებაო. მიერეს ზიჩ რამე გუუგონია, ყური რამისთინ არ მუუცემია. დაარტყამ, ვერ შეიტყოფსო. ყაზდალში გარეცხილიაო. მესამე ხაპერი კაი ხაპერიაო, ეს ინსანი კაი ყოფილაო. რაცხა გუუგონია, ყუელამფერი ჭკუაში შამუუდიო.

— ერთი კაცი ნესულა ტყეში. ყოფილა იგირიქ ორმოც წელნად. იქ ლოცვაზე ყოფილა, ღმერთი ეხვენებოდა, ჯენენით მომეციო. ორმოც წელნად უკან მისთავისთინ უთქუამს: — მე ევლია გაეხტიო. ხალხსნა დაანახვოს ევლიაობა. უუნვეია ფოსტი, ჩასულა ზღუაში, ფოსტი დუეგა ნყალზე, იქ კითხულოფს და არი. ხალხმა დეინახეს, რავაი კაცია ზღუაზე არ ილუმეყისო. მასობაში მოიდა შეითანმა. — ბიჭოო, დუნდა რამისისხო დიდაო. ამბობენ ქიო, ეს დუნდა ლემის ყურწნი გაძრებო. შენ რას იტყვიო? — მეო ახლო მეფეიშპანოო. თქუა ქი, იმფერი საქმე იქნება ქი, დუნდა ლემის ყურწნი გაძრესო. ტყვილიაო. ეს თქუა და დეილუმმა. ლემსი გაჩინა ღმერთმა, დედამინა გააჩინა, იმასაც იზამს. ღმერთის საქმეა ესა! მარა მან მარტო იმ დუნისთინ იკითხა. ამ ქუეყნის ააფერი იცოდა, ვინმესთინ არ მუუდინგლებია. ტყეში მარტო ჟდომით და კითხვით შეიხი, ევლია ვერ გახდები...

— ერთი კაცი ყოფილა ევლია, ავახყაბის, ყერევის მკერავი. ძუელეფს აკეთებს მეგემ. ბერესნა სოფელში ყოფილა. ბოლოს დაფიშპანებულა, ჩავალ ქალაქში, იმათაც დავანახვეფ ჩემ ევლიობასაო. სოფლიდან ნამოსლიხან ძე ჩუუსხამს ფილეშიიხადუმი. ძე ასე ჩამუულანია ქალაქში, ევლიაია და? არ გადის ფილეს ძე, იკავეფს. ძე დუუკიდა დუქანში და აკეთეფს აიხყაბებს. ვინცხაი მოსულა, დუნახავს ძე ფილეში ჩასხმული. უფიშპანიან, უფიშპანიან, ძე რამე ყაბში ჩასხმული არ არი, იქ რაფერ დგასო. ამასობაში ერთი ქალი მოსულა, უთხრობია: — ე ყერეველა მომიკერეო. ქალსა ფეხიდან არ გუუძრია ყერეველა, ფეხიდან ანახებეს მეგემ. ქალმა რომ ფეხი ანია, კაცმა ქლიკები დუნახა; მასობაში ქალსა შეხედა კაცმა. ძემაც იმსოლოლში გადმოდინდა, დეესხა კაცსა თავზე. ცოდვა მეიგო ია? ნამეჟრამი დეინახა! რომ დეიქა ძემა, კაცმა დადვა ხელიდან ყუელამფერი და ფიშპანობს: — მე რატომ ჩამუელ და შერში ვარ, სოფელში ვყოფილიყავ, ჩემ ევლიაობას შეენახვედიო. აქ ზოგი იგინება, ზოგი ტყვილ ლაპარიკოფს,

ზოგი ნამუშავემ აჩნს, ჩემი საქმე ევლიაობა მომიხალესო. მასობაში მისი მეზობელი კაცი ჩამოსულა სოფლიდან; დღუნახავს, ძე რომ გადასხმია თეთრათ თავზე. იმას უთქუამს აგერამ ევლია კაცისთვის: — სოფელში ევლია გახდომას რა უნდა, იქ ყოლაფა, იქ ბევრი ხალხი არ მუა. ქალაქშინა გახდე ევლია, რომ ყიმეთლი იყოსო. ცოდევა მეიგო და თავი დეიბანა ძეით, ევლიაობაც დაკარქა.

მთქმელი აჰმედ შენი (აბულაძე), წარმოშობით არის ბურსის ვილაეთის სოფელ თუფექჩიქონაქიდან. მისი ბაბუა მუჰაჯირად წასულა ხულოს რაიონის სოფელ ვაშლოვანიდან.

* * *

— მე ფეხშავიანი გურჯი არ ვარ, ხალისი, მუხლისი გურჯი ვარ. გურჯის ტიპი მაქ. თამ გურჯი ვარ. ჩემი დედეი მემლექეთიდან არი მოსული, ცხმორისიდან. მაკარაძე ვართ.

— რას გეტყვი, იცი, ახალბესა, პირით რომ ჩიტი დეიკავო, დედამთილი არ უნდარან. ზამანუნდა ერთ დედამთილსა თული არ უჩანდა მეგემ. დაბერდა, ავათ გახდა. ხორცი უნდოდა. გელინმა თავი დეიკავა, შენუა, მუუტანა, აჭამა. მემრე მის იერზე იანი მანაც დაბერდა. მარა ღმერთმა კაი გელინი მიცა. სიბერეში მასაც აღარ უჩანდა თული. მასაც მუუნდა ხორცი. გელინმა მუატანია დედაბრის შვილსა კაი ხორცი, შენუა და მუუტანა. მარა მიტანხან მეგემ გახდება თავი იგირის ხორცი. გელინი გადაადებს იგირით ხორც, ახალ შენუავს, მუუტანს დედამთილსა, ხდება თავისი ხორცი. ააფერი არ ემევა მეგემ.

— დედამთილმა უთხრა ძალსა: — მომიტანე, შეეჭამონა. მაგ ჩემ შუბლზე ღმერთ ასე დღუნერია. მე ასე ექენი. ღმერთმა ევა მენა შემაჭამოსო. ღმერთმა გამჩენელმა ჩემი გაკეთებული საქმე დამანახავო... ასე, პილლე არნა უზამო ვინმეს. ღმერთი იმფრათ დაგანახებებს... მარა ახლანდელი ძლები პრუნყავარაი, სეკრეტარაი არიან. სიბერის არ ემინიან. ამფერ ძლებსა ჭქვა დეეცეს თავზე.

— ეშვგ ოლი ემეგი, ჰაიჯან ოლი ჰაიჯანი მაგა! რა უქნია, დღუყურე ერთი! — რა და, დიდი ხეიტი, ხარ და იყავ!

— მამთილი იტყოდა, შენ მიხდენამდი, ბევრი წვიმა-წყალი ჩამეიარსო... შენ მიხდენამდი დათვი ქუაბში ჩააჯუამსო, უკაცრავლი პასუხია, ყუსურზე არ დიმიხედო, ამითანებს რომ გებნევი. ძუელებიდან გაგონილ სიტყუებ ვიგონებ, კარგსაც და გონჯსაც.

— ერთი დედაბერი დაბერებულა კარგა. გენილსა აღარ უნდა, მობეზრებულნი ყავს. — ეს დედაბერი აღარ მინდაო, იძახის. ლოგინში დანოლილი დედაბერი ფიშმანოფს, ყუელამფერ ყურათხეფს მის თაამინში: — ბალეო, გო, ძროხა დააბი, კვიციები არ მოსულან, რატომ? — კითხულოფს იქიდან და არი. მეენყინეს სახლში დედაბრის ოჯგობა, მოსავლელი არვის არ უნდა, როიცხა ხელ-ფეხი გერჩის და საქმოფ, მაშინ ხარ კაი... მისმა ბალემა გოდორში ჩადვა მეგემ: — ანავ, პაცხა პეიქიმი ყოფილა, ნიგიყუანო და მაგარჩინონაო. ნეიყუანა შვილმა, ტყემი ერთ ფერზე დატია. წამოსლიხან მარტუი შექმინდებო და სახლიდან მისი დიდი ბალეი ნეიყუანა კაცმა. ბალეის ერთიანა წამოვდეს სახლში. დედამისი დატია: — ანავო, შენო აგერ დაჯექიო, მეო გაღმიდან პეიქიმი მეყუანოვო. პანაი რომ აქეთ გამოიდენ ბალეით, გოდორი გედეიქნია იქით, ქუნცებში. ბალემა დააყენა და უთხრა: — ბაბოვ, რატომ გადაადდე გოდორიო. — მე იგირის დამჭირდებო, მეაც შენ ან ანას, რომ დაბერდებით, აქ ამოგიყუან და დაქტეეო. კაცს შეემინდა, მეც ასე არ დემემართოსო, მონახა გოდორი ჩააქდელმა დედაბერი ანაი, მიქიდა ზრუქში და წამეყუანა შინ.

— ახლა ერთიე კარგობის ამბავი ვთქუათ. მუსა ფედამბერის დროს ერთ კაც ყოლია ანაი, დაბერებულა, დაზაფებულა. ლოგინში ბილა ვედარ აწვენს, იმფრათ

გამხდარია. დოუკიდია ზემბილით თავანში. ზემბილი კალათაია, სიმინდის ქუნჩლით მოქსოვილი. ქუნჩლებსა შელებვედენ თულითულ რენგში და დააჭრელებდენ ზემბილსა. ზემბილი ლამაზი რაცხა სათქმელია. — ზემბილში ჩავდვა, ზემბილით მოგიტანო, — კაი ნათქუამია. ჰამნადამბირ კითხავს შვილი ანასა: — ანა, ხომ ჯანი არ გინუხს, სული არ გინუხს, კაი ხარო? — ააფერი არ მინდაო, ეტყვის ანაიცი. ასე ინახევენ დოდოფალივით, სუფთათ. ხანდებან დეიკენსებდა დედაბერი.

ერთ დღეს მუუკაკუნა კარზე მუსა ფედამბერმა. კარი გააღო, გამოიდა, შამეიყუანა ბაღვმა მუსაფერი. კითხა, რომე ეს ვინ არი, რატომ გყავს ასე? — ეს ჩემი ანაიაო, ლოგინში ვერ ვანვენ, გვერდები ტყივაო. დედაბერმა უთხრა: — ღმერთმა შენ გაგახაროს, მუსას არხატამი გაქუადოსო. მუსამ უთხრა: — მუსა მე ვარო. ქალმაც უთხრა, რომე ღმერთმა შენ გაგახაროს, რამითი ნელნადია შენ გიცდი; ვიცოდი, რომ მოსულინა იყავიო. ამ ცდამი არ დამჩა ხორციო, არ დამჩა სისხლიო, შენ მოსლას ვუცდიდიო. შვილმა ამფრათ კარგათ შიმიანახაო, ძალიან გშლი ვარო. მასობაში მოცდა დედაბერი ქალი.

— იყო ერთი სულთან ნენეი. იმან დათვი მოკლა... პურის საჭარში ნადი მიყავს. ტყეში ქონდენ საქონლის საია, ახორი დიდი. გამუაცხო პურები, მიქონდა მანიდობაზე, ნადი ყავდა. გევედა მეგომ, რომ მისი კაცი ღამეში ქოხ ცავს, ღორები მოდიან, იაბანი; ჭამენ. პურს. დეინახა დათვმა, რომ მოდის. ეცა პურის სული; დეინყო ბურდღული. ქალი არ დაფეხვოსო, კაცმა გიეჭენა. დათვმა კაცი ზრუქში მეიკიდა და იბურხლებიან. ამასობაში ქალმა ევედა ქოხში, დაახტა ჩივთა თოფსა, ჩამეიტანა, ამუნიშნა, გეახდა გააყრევი; კაცი ზრუქში ყავდა დათვსა. დათვმა ქალსა ხელი დეფურჩინა. ასე სისხლიანი ხელით მოკლა დათვი. ქალს სულთანაი ერქუა, კაცსა — თოფუზაი. ეს ოლაღ რომ იქნა, მე პანაი ვიყავ. ოლაღ საქმეს ქეია. ხანჯელ ვიტყვი. იგორის სულთან ნენეი პალა ცოცხალ არი. მაქფერი ქალები ბევრი იყუნენ უნინდეღ დროს.

— ცხენი გადავარდნილა და ვირს უყროყინია:

— რატომ ყროყინიო? — რატომ ყროყინიო? იქნება, მენა ამომატანიო.

— ჯარბი დგას მეგემ. უთხრეს, დეითვალეთო. პირველებმა დეითვალეს. — ჩუენც პირველები ვართო, — თქუეს მეორიებმა. მეორიები გურჯებში აღარავინ დარჩა.

— ჩუენთან ერთი კაცი გამოიდა მემლექეთური. ილაპარაკა ხებრები: — ჭოვო, ღორჯომ ნეველიო. მომატყვილეს, დედაბერი მოკვიდაო. გამევექეც სახლიო. მუელ ეზოში, გამემეგებეს ბადიშები, გელინი, შვილი. არც ერთი თულამ არ დეინახაო. ჰამა მემრე დედაბერი რომ დეენახევი და, ფალტანიოთ გაყვასილეთ თუალეებიო... დედაბერი ბერდებოდა, ვირს უკულმა შექდებოდაო, — ესაც გიმიგონია ძუელებიდან.

— ერთ დედაბერსა დაცინებდა დედაჩემი. მეგემ ბერი მუუკდა და ტიროდა ბერსა ხმამალლა. ხალხი იცინოდა მეგემ. ჩუენში ქალი კაცსა ხმამალლა ვერ იტირეფს, სირცხვილია. ამ დედაბერსა ზოვლი ყუარებია მისი ჩანჩრავი ბერი და ტირის მეგემ: — ბერო, ბერო, შენი მოტანილი ყერო, ბუხარშია აყუდებული!... ცეცხლაპირ რომ დაუდებოდი და დახარხლედი, ყართოფილა მეგონებოდაო... დღრობლებ რომ გადმოყრიდი, საათის ქოსტეგი მეგონებოდაო... ზოფაი უნდა დედაბერსა, რა ატირეფს ბერსა!... ქალაბანი, ქალაფმუტე, კონმარუხე, მძუხეო, ამითანაზე იტყვიან... სიკიღის ჩარე არ აქ, რას იხამ. მეც მომიკდა ბერი, მარა არ მიტირია, შვილებიდან, მეზობლებიდან მცხვენოდა, უჩუმალი ვტიროდი, ჩემთათვინაი.

— დავაყაფანო ოჯალი, არ ქცივა?

— ლოცვაზე დავდექი, ჰამა ბაღვმა იტირა და ლოცვა მოვშალე.

— ჰანი დავბრუნდია უკან?... ბნელეთაში ტყემალ რეკავო? — დიმიძახა.

— ერთი პრატი გაათხვეს მეგემ. ცოტა მოსეფილო ყოფილა, ძალიან შეჩქარებია კაცთან მისლა და დღიეფს ითილიდა მეგემ: — დღეს შაფათი, ხუალ კვირაო, ზეგაც

ნიმიყუნაბენ და დრანგდა ჭჭიო, დუუკრენ მუზიკასაო.

— ცხვერფეს რომ პეშელი დიხევეა, ისე იხველეთ ახლა!

— მეგრე დაფონადდენ დაბანჩებო... ავანტყოფი ნყალში რომ შახვალ, ავანტყოფობა ნყალს უუყვებო, — იტყოდენ ძუელები.

— ზოგი ლაზები ლაზურათ აღარ ლაპარიკობენ, გურჯებიც ბევრი ასე იყებიან. მარა სიტყუები შერეგია. ერთმა თურქქა თქუა: — დოდოფალივით გოგეები მყაცსო. — რა არი დოდოფალიო, — კითხეს. უთხრეს: — შენ გურჯი ყოფილხარო. თურქმა არ იცის „დოდოფალიო“.

— ჩუნენმა ძუელებმა თურქქა ბევრმა არ იცოდენ. ჩემ ნენემ არ იცის მეგემ თურქქა და ერთ თურქის ქალსა ებნევა პირზე ნასასმელ ბოფაზე:

— ბოფლე, ბოფლე სალესელი (გუალათ აკეთეფს ხელის თითებით), აქ სასამელიო, ებნევა ფერზე, პირზე ნასასმელხე...

— ძუელებიანდა გაგონილი მაქ მემლექეთური ლოცვები გურჯიჯა. — „ზეიდან ძალი ჩამორბოდა, ფეხჩაქმანაი, ბუშაი; თიაქარო, გეზუნეები, ჩემი ბლვი გუუშვი.“

— ხელები რომ დასკდება, ეგზემას ებნევიან იმასა. იმისი ნამლობა იცოდენ. მეიტანებენ მუხის ფაჭას, დაასმენ ცხელ ნყალსა, ნუუსმენ ხელზე და ლოცვილობენ, უკითხვენ: „ეჯელ იყო, მეჯელ იყო, სულეიშანას ბეჭედ იყო; თეთრი ხარ, შავი ხარ, შავი ხარ, რა და რა ფერი ხარ? გამოი, გამიეხვიე მუხის ფაჭაზე. ღმერთია შენი მშველელი, ღმერთია შენი მშველელი“. სამჯელნა შუუბერო.

— მე დამტიციწილის ლოცვა ვიცი: „აღამ დეიბადა, შუიდი დეიძახა, შუიდი ნყაროს ნყალი ერთათ მიეყარა, ძარღვი გეიხსნა, ბილმა მიეყარა...“ ხელებსა ერთმანებზე შუუყრი და მონეე. სამჯერ იტყვი, ღმერთია შენი მშველელი და სამჯერ შუუბერაე. მორჩება ავატყოფი.

— მუსაფორინა გიყურადეს, საჭმელინა აჭამო, ღამენა გაათევიო. თხუელიც გამეიარს კარზე, იმასაცნა მიცე ფარა, საჭმელი... შენი მიცემული პურები, იმ დუნდას ცხელ ქუაზე რომ გალოციებენ, ეგფარება... მადლი საქმენა ქქონდეს გაკეთებული და ჯენეთში ნახუალ.

— მე ერთი ძმა მყავდა, ისიც ძალიან ყურგახრეტილი იყო, ყუელამფრიდან ხებერი ქონდა.

— ბიბიაები ლამაზები მყავდა, დიდუნები იყუნ. ახლა ნესლი დაპანანაედა, აღარ იზდებიან.

— პუდუდი გეიხსნა, სარფის კარი გააღეს, მარა მე ზათი აღარ მემენრობა მემლექეთში ჩასლა. ბაღეები ჩავლენ, შეიარებენ ჩუენი დიდუნების საფლაგებსა, ნამყოფნ ეგრებსა.

— ეი, კიდი, რამდენ იტირებდა დედი, მემლექეთს რომ მიეგონებდა. აქეთ რომ მოვდოდენ, მეგემ ზღუა გადელებულა, გემი ზღუაში დარჩენილა. ბლვი მომედარა ჩუენებისა ერთი. თაბუთით ზღუაში გუდუგადიან. კდარსა გემში არ შეინახვენ. რამდენი ზულუმი გამეიარეს მუჰაჯირებმა!

-- თავი აღარ ტანულოფს, ტანსიონი მაქ მაღალი.

— ასე გიზმონენ?... ჩემ ჩიჩეგებ შეცივდენ ჰერალდა, ყურები ჩამუყრიან... ჩელთები არ დეითესება. ჩელთები ქეია ტყაყის გადამრობმდი ბრინჯსა.

— ძალ უთხარ, ჩამოდეს, თემიზლული ქნას... ბელქი უყასტა ანამისმა, რა ვიცი, აბა.

— საქონელი გარედან ჭრელია, ინსანი შიანედან... ერთი დერდის ტირილი ადვილიაო, იტყვიან... ეი, კიდი, შვილო, შაი. უცოდვო ინსანი არ იქნება.

— ბაღეებმა არ იცოდენ თურქქა. მაამისმა ეროზე გაგზავნა, ქესარი მეიტანეო, უთხრა. ვერ მისდა მერიემაი, რა უთხრა ბაბომ. სურუნჯზე გაგზავნე მეც. მოიდა და

მებნევა: — სურუნთი ვერ ვნახუ. არ იცოდა, სურუნჯი რა იყო — წითელი პილპილაი.

— თხუთმეტი წლის გოგო ვარ, მივალ ჩობანში. თავზე ვიბურავ კარქა, ვითამ მცხენეია თაველია გავლა. ძიამ მითხრა: — რომ გაგათხებუ, მაგრე მემრე ქენიო. მაშინ თავმოსტრილი არ ვიყავ.

— ადაფაზარის აქიაზ ქაზაში ქვრუჯექ სოფელში ვიჯექით. ზერზელე იქნა. ყოჯა სახლმა წეიქცა. აგერამან გამოვდა ჩუნთან, გედიძრო პალტო, ნეიმკლიავა. თხუთმეტი დღეს გვეხმარა. დანიდან გამოგვათხრევია, დაგვალაგა სახლში ლამაზათ და ისე წევედა. პალალინა ვაქნევიო-მეთქი, ვიტყვი ხანდებან. ზაათი ბეკრი მუსაფირი ქვეყაუვდა. თხუთმეტი ყათ ლოგინ დავაგებდით, დილას მოგკრეფდით, ავბარგევედით. ვრეცხევედით იმდენ სარეცხსა ხელით. მაშინდელი ძლიები ვიყავით ცოდვა, აბა, ახლანდელ ძლიებს რალა უნდანან, ქეიფობენ.

— დევე კურკლებინა მოგიტანონ, ზეითინი, გინდა?

— საბანჯელი გურჯები მარადიდლები არიან. იციან თქმა: — ქომოთ, ზომოთ, როგორ ხარ... ჩუენ მაგფერი ლაპარიკი არ ვიციო.

— მოსტრილი ვყოფილიყავ, დედუნები ადრე არ მომკადრიყუნენ, იმფო მეცოდინებოდა.

— დაფხავებულხარ, ყებმერავო, — დედეს უთხრა ემინ ემიაბ. დედემაც თქუა: — ტყეში გევიარდი, ფხავსიან ხიებ დვენახევედი, ჩემი თავი მაგონდებოდაო. ყებმერა დედეი ფენა იყო. თავზე ბასხი არ ქონდა, იარებოდა მოზიკაით და იყო.

— ხეირსუზი გელინი ყავდა. შიერი მოკლა ჩემი ანაი, ვერ მუარა კარქა. ეი, კიდი, სიბერეე და სიბნელეე. ახალი ძლიები მელოგინობაში ხეირსუზედებიან, ახლა არ ჯერულობენ, კარქა არ იცმენ ფეხზე და ტანზე თიბილათ. ზაათი ასე იყო: პურიჭრობიხან რომ დავლოგინდებოდით, სიცხეში საბნებ დაგვახურევენ, გამოგვაშუშვებდენ.

— ზორით ნასეველი ძალღი ნადირს არ დეიკაეფეს.

— ჩუენ ძალიან ჯაპილი, ჩავლილი ხალხი ვყოფილვართ, ფუხარა. მიწის სული უდიან, იმფრათ დაბერებულან... იმათ ხელები დუბუბანიან ინსნობიდან... ჩემი ბაბოი ძალიან მარიფეთიანი კაცი იყო. შვილის ქალი, გელინი, რომ მასთან შევეოდა, ბაბოი ფეხზე ადგებოდა.

— მიწაც მოკდება მეგემ. მოკდება მიწა და აღარ მოქცემს მოსავალს, იდარე გამეეღევა.

— გიმიგონია ძუელების ნათქუამი: — გემი არ იყაბუღეფს კადროსო... აქ რომ გამოიდენ გემით მეგემ, ძალიან გუუჭირდენ ახალი მოსახლობის დანყობა, მარა რანა ექნეს. უკან ნასასალეო ფარაც აღარ ქონდენ და გული დადვეს აქა.

— გერმელათ სულის ამოთქმა აგერემ ქუეყანას უდრის... ჩიბნები ქონდა და მწვალობდა.

— ნუ აქანეფ ბალვ, ნუ! მიეჩოვა და მემრე ზეზე მოგაჯმეიეფეს, ველარ დადეფ ხელიდან.

— სათამაშები ვიცოდით ბლვობაში — საკორნალაი, კოჭბალაი... სანუარაიც ვიციო და ემზუქიც, ორსნავეს ვიტყვიო. „აყუაუა“-ო ვიტყვით, მარა „ყუავეილი“-ო არ ვიტყვით. ჩიჩგე ვეტყვით ყუავილსა... ინა მეთხრომია მე და დამაბინყდა.

— შვილო, მიწა დეიყარე დიდი გორისა, ნესლი მოძეფენე!... ერთი შუშა ჩაისა ორმოც ნელინად ხათრი აქ... დედაბერი ვარ, მარა ორ გელინს ვულირვარ. დავახეკებიეფ ძლიეფსა... მარა ძლიებ არ უყუარან დედამთილები. დედამთილი ძულე ფალაზივით მიგდებულა... ევენცვალე ლმეროსა, მათი სირაც მუა, მათაც გახდებიან დედამთილები და მათთანაი ძლიები ვყოლებიან. ერთი ჰაცხაიდან მაყურებიებდეს ლმერთი!...

— ანასი და ტაკიძეა. ჩემ დამ, სიძემ, ძმამ გეიქცენ გურჯისტანში. მურადი ქეოდა ძმას, დას ნაზილეი, სიძეს სახელი არ მახსოვს. კაცი მოკლეს, ისეგავ. ჩემი ანაიც

ტაკიძეა. — შენ არ დაქტევეთო, — უთხრეს მეგემ ანას. მარა ახლა სამამანა წვედეთნაო. ხებერი აღარ მოსულა.

— იმა ქსოვს ამფრათა. ხუთი წინდი ჩხირით ქსოვს. გენიში იქსოვნება. ჩემიტ-ჩემიტათ ქსოვენ... აპატიკული შავი შალი აცვია იმ ქალსა... გავდელდი, სამი დღეა იქ ვარ... რამითზე მუა პელე?... კარქა ახილებიფეს თუალუბსაო.

— კუტი ქალი და ბალვი გამეიყუანა აქა ერთ კაცმა. თვითან გედევდა უკან, გადმულა, დეიბარა, მარა ველარ გადმოვდა. აქ დარჩენ საცოდევავთ. ბალვი გეიზარდა გეთიმობაში. მოწყალე ღმერთს გეთომი უყუარს.

— ესეც არ ჯერულოფს ახლა... თვით არ იყო ძმარი, შიან ჩეხსხა წყალი. გულის ტამრები დაყაფანულებულა... მაშინ ვერ ჩეიზუხუმე ე ჩოქოლათაი?

— მემლექეთში დაგაბარონა ხისიმებთან სელამი. ბელქი იმათთან ახლოს ხარ და არ ვიცით.

— ის დედი თუფექჩიქონაქში კაკლი ძირში ჟღომილა, ციციელი დაცემია და მომკდარა.

— ნაბლანიდან წყაველოლი ყოფილა. აქ წამოსულია ზექერიანი, თუფანაი, მეჯინურაი. ესენი ჩემ წენესი ემიები იყუნენ... ერთი ემიანი ზოვლი განწყვეტილი კაცი ყოფილა, იგიითი, ძრიელი, შუუშინებელი... ძუელი სახელები ზოგი მახსოვს: მათაი, წინწაი, ყიაფეთაი, ხატოი, თოთოი, ფიდევსაი. თოთო წენეი დელიალებიდან იყო. ქურთ აჰმედ ჩაჰმის ქალი იყო ოლადავრიდან. ქურთაჰმედ ჩაჰმი იყო, ქურთოლლებ ეტყოდენ. ერზუმუმიდან ყოფილა, ოსმანლის დატველი ფინაგენტი. იქ დასახლებულა. თოთო წენეი მესამე ქალი ყოფილა. წინაი ქალები მოკდენია, ბაღეები ყოლია იმათიდან. ერთი შაქირაი პირველი ქალიდან იქ დღუტვეია, ორი აქ წამუყუანია — ასანაი (თუფექჩიქონაქში) და ყემბერაი. თოთო წენედან ყოლია ისკენდერაი. ისკენდერას ნათხოფნი ყავდა ქალათ დღვანიდან ქეზოი, ონბაშოლი შერიფასი და. მისი შვილი ემინაი ახლა ადაფაზარშია, ბიჭი ყავს თაჰსიმაი. ერზუმუმიდან მოსულებ ქურთ ეტყოდენ და ქურთოლლები იქიდან მოდის. უღფეთა წენეი რომ პილაი გათხევებულა ალიაზე, დოდოფლისთვინ ემინაი ჩუუჟდუმლებიან კალთაში. ემინას ახსოვდა ესა. მეც მახსოვს უღფეთა წენეი, ნური ეფენდი დედი.

— მე სულთანაი მქვია, მაკარაძე ვართ, ასე ვიცი. კაცი თურეფი ფუტკარაძენა იყოს, მახალაკეთიდან, ვაფუზი ვართ სოფადი. ცხმორისიდანანა იყოს ჩემი ანაი. იზეთ მაკარაძე იქ არი. ჩემი ძმა ზექერიანი გედა იქა. ერთი მოლა დურსუნაი იყო, ისაც გედა იქა. ვინცხაი იქაერი მათი ხისიმი ფილოტი ყოფილა, ცხმორისელი. ჩემი ანაი იქ დაბადებულა, აიშიე ერქუა, მის დასაც — სალიეი. ერთი ძმა ყავდა დურსუნაი, ისიც აქ წამოსულა. ბაღეები აქ გადმუყუანია, მიბრუნებულა, წასულა მემლექეთში, საქმე ქონა რაცხა. მემლექეთში რომ გასულა, დამრუნა კარები და დარჩენილა იქა. დეი ახლა მომკდარა. იმ დედეს მგონია დურსუნაი ერქუა. ბაიასტაროლლებიც ჩემ ანას ხისიმები არიან... მათი სურეთები აგერ მაქ სკივრი კარზე მიკრული, მარა ველარ მოვსხენ, მემინია, არ გაფნდეს.

— ჩუენა ახლა შუქრის შვილის იბრაჰიმის ოჯალში ვართ, მისი სოფადია დელიჯა. პურეჰში ამაუ ბალაბი დელიჯა, იცი გა? ჩემი ემიაშვილია პასან ფეჰმი გუნემი. დიარბექის გამობარგულა. რომელ სოფლიდან წამოსული ვართ, არ ვიცი. მემრე გავრზარმანში გამეგვარგეთ. თურქების სოფელი იყო. ლაზურ აბლაი მყავდა. იმან იცოდა ყუელამფერი, მარა ცოცხალ აღარ არი. რა გერზე ვიჯექით, აღარ მახსოვს. პასან ფეჰმი წინწანი იყო იჩიშლერ ბაქანი, თქუენი შევარდნაძე დიშიშლერ ბაქანია გა? ახლა მილეთეველია ანკარაში. ჩემი ბაბოი რუსთუმ გუნემია, არიან მემი გუნემ, ალი ეფენდი გუნემ იქიდან გადმოსული არიან. ესკი სოფადი არ ვიცი. ანას დოდოი ქვიოდა.

ანე ანეს ერქუა ფათომაი. ბატია ნენეს უძახიდენ. ბაბოი ადრე მოგვიკადა და? ბევრი იმიოთინ არ ვიცით... გავრზარმანზე ზეპრა ხალაი მომკდარა, რა წია იცი? — გადარჩენილა! — გერჩიკამობო თუ?... ნებეი აბლაიც მოკდა, გვიან შეეტყუე, ვერ მიველ. — ჩემი ბაბოი სმიდა შარაბას. ზარზორში გახდებოდა და იცინებდა: — ლეზაბინა მივცე ქალსაო... სახელი შუშე გიმიგონია. საბანჯეში ერქუა ერთ ქალსა. საბანჯე ილდინენეს თერეფზეა. საბანჯეში ბევრი კახაბერიძეები არიან. საბანჯას ერთი მოლოგნიძეც იყო.

- ბადიშები თელლი დაასახლა... ნურიმ გუშინ ტელეფონი გვიხამა.
- ჩუენ ძუელების ნათქუამი ლექსებიც ვიცით:

— მიჟაყარე თაკარა, ტანში გამაკანკალა;
ცაში მიდის დურბელი, ღმერთო, მოკალ ყრუ ბერი;
გვკამ ძეს, გუუწვიები ბზეს: არ გვკამ ფაფას, არ ვწვე ჯაფას;
შავშალაქო, შალაქო, მოგლეჯილო ბალახო.
თეთრი კაბა მაცვია, არ წემეცხო, ტალახო;
ვისი ბზე ხარ, ვისი თუარე, ვის უბეში გითევეს ღამე?
ბათუმი და გურია, მასვი წყალი, მწყურია.
ჩადი ერთი, ამეიტანე, იქ ჯენენეთის ჰურია;
გოგოვ, გოგოვ, გოგნისა, მასვი წყალი სოფლისა;
წემა წეიმს და ნამი არა, ორ კაბაში გიმიარა.
გოგოვ, შენმა სიყუარულმა კაკალ გულში გიმიარა;
ეს ყანა, დიდი ყანა, გოგოს ბერექეთია,
დარი აქა, მე იქა, თუალის ყდამეთია;
ქათამი კრიახ-კრიახ, მელას მამალი მიაქ,
ერთი ღამაში გოგო, ხელით ნიფხაკი მიაქ;
ბიჭო, ბიჭო, შაქროხავ, დეგეწევი, შეგჯოხავ;
დეღამთილო, თაეროკავ, თითი მომე, გავლოკავ;
პანტა ვაშლი ჭამაში, ფეხი დეეგალე სამაში;
ტომ-ტომ, ტომ-ტომ, ტომარა, გესმის ყურსა თუ არა?
— მესმის ყურსა, მიკლავს გულსა, კარზეც ჩამომიარა.
ჩემ სახლს უკან ერო-მეჩო, მალე მოდი, ჩემი ბეჩო;
...ორას მანათ მეიტანებენ, ჩემ ბაალოს წეიყუნებენ;
ჯუმა-ჯუმა დღეფეში, ჩამოდი ჯამიფეში,
მოქარგული მენდილი ჩამოგიდევ ჯიფეში;
იკითხე, კეკულო, ჩემი დესტანი,
რაფერ გიხდებოდა თეთრი ფისტანი;
თეთრო მამალო, რატომ არ ყოი, ღამაზო ქალო, რატომ არ ტირი?
წელზე ქემერი, ზედან ხენჩერი, ღია ღატე, ქალო, ფენჯერი;
იანერისა რუასა, ნუ გიენდობი თასა, ნურცა ზღუასა,
ნურც და ცოლის ძმასა...

* * *

ბათუმი და ქედა, რომ დიმიჩრა დედა, ღალევე,
წეველ, გავხდი ფირალი, დედა დავტიე ტირალი.
მემღექეთის დერდი, გოგო ღამჩა ერთი, ღალევე,
ჩიტი გავხდი, გადაფურინდე, შიმიბრალეფს ღმერთი, ღალევე...
საყუარელი ვეღარ ენახე, დიმიფინეს შავი მახე,

ლოცვით თები გადავლახე, გამჩენელო შიშინახე, ღალღე...

* * *

ძილო, ნუ მეძინები, ძილო ბატონო,
წახუალ, გეგებუტები, ძილო ბატონო,
მოხუალ, ჩეგესუტები, ძილო ბატონო...

* * *

საყუარელ შენი თითები, შენი შემწუარი ჩიტები,
ნიშნის ბეჭედი დაგაბი, მე ნულარ დემერიდები...
ახალდაბა, დაბაძუელი, იაფინჯაქუემ შამოძუერი...
ჯიფეში მაქ საგარცხალი, არც კლარი ვარ, არც ცოცხალი...

— ამ ღლეცებსა გემი აქ გამომლილი, მემღლექთური სიმღერებია, ძუელების პირიდან გაგონილი. ამ სიმღერებ იტყოდენ, დაბრუნდებოდენ და ისამებდენ ხორომსა.

— ერთი დედი იყო, ჩემ კაცსა ეტყოდა რაცხიფესა და გვაცინებდა;

— ჭოვ, ოსმანავო, ერთი ნენი იყოვო, გევიარდი და დამაყრიდა ტაკეცეცებსაო. მემღლექთში ერთი ჩარი იყოვო, თავზე საბურველიო. ერთი გოგო მიყუარსო, იმ გოგოს ვუთხარიო, მე ახლა ბალზენა ევდო და ბალინა მოვეკრიფოვო. იმანაც მითხრა, რომეგო, ჭოვ, დემურალავ, კონჭლები გადმომიყარე, კონჭლებიო. ჭოვ, რა ექენ, იცივო. ჩამუელ ძირშივო, დავჭყიპე ბლები და დავასხი იმ ჩარზეო. მემრე რა ქნა, იცივო? ძალღივით იჭუნჭყულა, ძალღივითაო... მემრე რა ექნა, ის გოგო მიყუარს, ჭოვო. თხებიდან რომ მუალო, ახლა გევედნა და დვენახოვო. ჭოვ, რომ გევეჭენებო, შალი გამომხრავს აქავრობასაო, ლაჯებსაო. გამომიქნევს ღორჯომელი ნენი ტაკეცეცებსაო: — შენ ღორი-ღორი გამოჯმულო, შენ აქ პაიდან მოხუელო. გრდა ვესიძიები, ჭოვ, ვესიძიებიო. კიდო უჩუმელია მივალო და ისიც ტაკეცეც გამომიქნევსო...

— სირსვილისა ლოცვა ვიცი: — „სირსვილი ხნიდა ყანასა, მიაპობდა ჭალასა, ხარსა ტბიკი გუუტყდეს, სირსვილსაც ძირი გუუხმეს“. სირსვილი ხელზე გამუა, ჰამან უკითხე, გვიარს ისა. ია მარილის კენჭითნა უკითხო. ია ნახშირით, ია ლემსით. ნუუსევანა მარილი, მოწინაბა ზედან, ჰემენ გუუარს, ჰემენ.

— მანუანები ვერ გუუძლევს ტკივილსა. თუალცემულისაც არი ლოცვა: „სახელითა ღითთა, მამითა, სულითა წმინდითა, თუალცემულისა, შინავრისა, გარეველისა, მოსულისა, წასულისა, დამხურისა. მოვდა ქალი, ქალაბნიანი, მოალო კარი, მოარო თუალი, დუუფსე თუალი, დუუფსე თუალი. ცული პირის ნანაჭარა, ცულსა ტარათ ერგებოდა, დანის პირის ნანაჭარა დანას ტარათ ერგებოდა. ჩემი ლოცვა, ჩემი კითხვა (სახელინა თქუა გათუალულისა) აბლას (შესელა) სასიკეთოთ ერგებოდა...“ სურღოს ლოცვაც არი: „სურღო მოიდა ამ დილას, რა მივართუა სადილად? ანკალი, მანკალი, შუიდი თაგვის ბარკალი, ავახტუნე, დავახტუნე, სურღო წყალში ჩავახტუნე...“ კუს ლოცვაც არი: „კუ, კუ, კურკუმალო, პირალმართო, პირჩალმართო, ჩაგაგდფე ქოთანში, გადუღეფ და გაქეფქაფებ, მიქცემ წყალსა, გაგაქროლავ ქარსავეთ...“ უკითხონა, გაათხონა ტაფის ძირი, მუუსევანა ძუძუზე, ჰემნა უკითხონა, ჰემნა უბერონა...

— ანა იტყოდა: კარჩხალელამ ბანცალელას ქალი მიცეს. მოვდენ მაცრები კარჩხალზე. დოდოფალმა გულში გვირუნია: — ღმერთო, ჩემ მიყუანამდინ დედამთილი მოკალიო. მეგომ დედამთილი ევლდა იყო და შეიტყვა. იმანაც დანყეველა: — ჰაცა ხართ, ღმერთმა იქ ქუასვეთ გაქხადონო. გერჩეჟ გაქუაედენ დადიები და დოდოფალი. იტყვიან, ახლავ დაგარან ქვიანსებო.

— ჭკუას რომე არიგებდენ, კარს უკან რატომ დარჩიო... ნახიმე დაიავ, ქეშქენ მორიგდენ და... დაჰა კაი იქნება... მისი ეშვანები აღარ არიან... წაყოლია ფემინ?...

ცხენიან ერთმანებრისა... დაჰა სოფლევში უდარან... ლაპარიკითა, ჰაიდან გამოსულია, მიხდები ინსანსა.

— ერთი ნათუამია: ყურძენი ყურძენსა შეხედავს და გაშავდებაო. ჩუენც ისე ვართ. თურქებში გვევრიეთ და გავშავდით, ასიმილა გავხდით.

— ჩუენ რატომ დეკარქეთ, იცი? ჩუენ ახლა დაპანტული ვართ, იმისთვის ასეა. ჩუენ აქ გამოველით, ადაფაზარ დავეჯეთ, ზოგმა ბურსას დაედა, ზოგმა — იზმირ, ზოგმა — გირესუნ, ზოგმა — ჰად და ზოგმა — ჰად. დეეპანტეთ. ერთ ადგილში არ ვართ, რომე ერთმანებ გურჯიჯა ველაპარიკოთ. ლაპარიკი დაგვაინყდა, სიმლერა აღარ ვიცით.

— ეფეიჯა რამიები მოკრიფე, არ გიშავს.

— ჩემი გუარი ტაკიძეა, აქავრი სოიღია სეზერ.

— ეს ამბობს, რომ ჩუენაო ბათომის შიანედან ვართო, თქუენაო სოფლიდან ხართო. ძუეღებიდან გუუგონია ჰეღბეთ.

— ჩუენ ბითევი ტყიდან ვართ. ზეგნელები და აჭარლები მემლექეთშიც ტყეში მუდარან, აქაც ტყიეფში ზიან. ტყე უყუარან ნამეტარი.

— ხინველები შეტყობილი გაქ? ჩემი ანაი იგირიმ სულალედან არი.

— რაფერ მიყუარს თაფლი?! გამეეტანო დიდი ფუჭი?!

— ამის ბაბოს ხის ფაფრიქა აქ. ისტანბოლის ბეერი დიდი ზენგინია. ესაც დიდი კაპიტალისტია, თქუენში რომ ამბობენ, პილნი კაპიტალისტია.

— არ შენუხდებიან, აგუე არიან ონ ბემ კილომეტრეზე.

— ჩემი ბაბოი ბერამოღლია, ამა რომელი სოფლიდან ვართ, არ ვიცით. ჩუენი ბაბოები იმდენზე არ ილაპარიკებდენ გურჯიჯა, დასაღობა იყო, გვეშინიოდა.

— ჩუენი სისხლი ვერ გავიგეთ, დაკარქული ვართ.

— აჭარლები ქალი თერეფ დეიკაებენ, ჩუენი ზეგნელები — არა.

— სიმლერა იყო ერთი „ჰაიდე, ვიაროთო“; ჩემ დედამთილმა იცოდა. ბითევი არ მახსოვს:

„ — ჩემი ცხენი ასლაშაზი, ჰაიდე, ვიაროთო;

— ფესფუსკული მე არ მაქო, ვერა წამუალო;

— იმასაცა მე გიყიდი, ჰაიდე, ვიაროთო;

— ჩემ ცხენ უზენგი არ აქო, ვერა წამუალო;

— იმასაცა მე იგიღებ, ჰაიდე, ვიაროთო;

— ჩემი ცხენი ჯიხია და ვერა წამუალო;

— ახალ ცხენსა მე მოგიყუან, ჰაიდე, ვიაროთო;

— ერთათ ყოფენას რამე არ ჯოფს, ჰაიდე, ვიაროთო“...

— ამ სიმლერას იმლერებდენ, ჰემაც ისამებდენ. ზოვლი ჰევესიანი იყუენ მემლექეთიდან გადმოსული ჩუენი ძუეღები. ახლანდელები გედეიქცენ, აღარც გურჯები არიან და აღარც თურქები.

საუბრობდენ სულთან და საბრი იავეზები (ფუტკარაძეები), სულთან სეზერი (ტაკიძე).

* * *

— ჩუენი სოფელი იყო ადაფაზარის აქღაზ რაიონის ქლუჩუეკე სოფელი. პანაი, პატარა სოფელი, ასე იქნება გურჯიჯა. სოფელში შუიდი მაჰალა. აქ უდარან კვაშტელები, შუახველები, ზეგნელები — ბაკუელები, მანყვალთელები, ჩხაკოლები.

— ამ სოფელში მუელით ახლა. აქა ჩემი ბიბიაი უდას... დომორვას ტამ?... ქინძანი

დომორვას! ქინძი მარტო გურჯუმა იცის. ვიცით ქალაქო, ფხალობიაი, ჭიშური. ნოსტალიგისთვის ვჭამ ქალაქოს, თვარა ძალიან არ გიმიხარდებდა. მარტო იმიტინ ვჭამ, რომ ჩუენი გურჯები რომ ჭამენ გურჯისტანში... ბუხარში ბორით შეყუდებული სობა იცი შენცა?... ესლა და დავლა მინდა ჩუენი ნასახლიერისა.

— ფარა ბევრი სიკეთუა, მარა არ არი ყუელამფერი — ფარა ჩოქ შედ, ფაქათ დეილიდრ პერ შედ, თურქჩე იმფო ლამაზათ ითქმება ესა... ეს სარაი ბელქიდა იყიდონა ფართი, მარა მე ვერ მიყიდი ფართი. ყუელამფერი ფართი არ იყიდება.

— გუუყურე გალმა! გავრხარმანია ის სოფელი, გაეხარმანი! — ასეც იტყვიან. გაეხარმანი ყოფილა, გაერების კალო-ხარმანი. ბიზანტიის სოფელი ყოფილა. ახლა გურჯები არიან, მეჯიდიე ქვია. დანიდან აფხაზებისსაბაზების სოფელია — ბიჩქდერე. ბიჩქ — ხერხია, დერე — ღელეა, ბიჩქდერე — ხერხის, ხიზრის ღელე. აქ იმფერი ხიები იყუნე, ნიფლები, მუხიები, ორ ხელ ვერ შამუცდენდი... ყარსილოღლები არიან აქა... ეს ჩუენი ნასახლიერი ფერია.

— როგორ ხარ, კაცო?... ხედავ, ბაღებმაც იციან გურჯიჯე... წადი, გედეეჭენე, ჭოვ, ილდინენესთან.

— ესაც სოფელი ფელექლია, ახლა აჰმედიე ქვია... საქარის ღელე ადაფაზარის იქით გადიდა... მონყალე ღმერთმა წყალი ქუეშედან გამაუძრუმლა და დატია ხიდი. ხიდზე გავლაში ფარანა გედეიხანდოთ, მეთისუა მეგემ ვინცხამ. ამისთვის ღმერთმა წყალი სხუაგან გადაადინა... იქ ყოფილა მადლიანი ინსანი.

— აბაზ ჰილმი ფაშის სასახლეში ვიყავით, დიღრუბა ფარკი დეენახეთ, ზოვლი დერებია... ერმენებმა გული გიმიხეთქეს, დაზი გურჯებსა ჩუენ გუუკეთეთო, გამაჰერსეს, ხელეშში ნურჯანაი და შორენაი შემჩა... თურქიეში გურჯი მომღერლები, შარყიჯი არიან. ზულფი ღივანელი ართინელია, ქასეთები ამსილია მის სიმღერებითა თეფშში, ილჰან ირემეც კაი მღერის, ირემეაქ. ერთიც არი ნეჯო. მისი გურჯი სოჯადი არ ვიცი, გურჯია, ხასი გურჯი. ესენი დაბაიჯეთ და ამღერეთ გურჯისტანში.

— შენ გურჯიჯა ლაპარიკ ეჭყირები, გურჯის შივეს ეძეფ. ძუელებისთინ გამოგესტრო, გენახა სეირი, მაგერე დეფთერი ეჯელა ეიმსობოდა. ახლა მე მიდინგლუფ, მარა ჩემიდან რა გამოდინდება. მე თბილისურა მინდა დეელაპარიკო, მარა ბევრი სიტყუა არ ვიცი. თენგიზ აბულაქემ მაჩუქვა ქასეთზე ჩანერილი „ხევისბერი გოჩა“, ვუდინგლუბე და ბევრი ვერ გიმიხანია. ერთი გურჯი ჩამოვდა, დუქანში მოვდა, ბერხან ვილაპარიკეთ. მებნევა: — ბოდიში, ჩუენ დაგაკავეთო. — არა, დაკავებული არ ვარ, გამეებული ვარ-მეთქი, — ვუთხარ და ვიცინეთ. კაცო, ჩაი ვსუათ-მეთქი. — მე ჩაი დავლიეო, — მებნევა. — თურქიეში ჩაის რაფერ დალე-მეთქი, — ვუთხარ. — ერთი ნაცნობთან ტელეფონს დავრეკაო, — მებნევა. — ვერ დაგარეკიეფ ტელეფონსა, გარხიდება-მეთქი, — ვებნევი. მეგემ ტელეფონი მონევა უნდოდა. ჩუენი ლაპარიკი და თქუენი ლაპარიკი ეფერიჯა გადაცეცელია...ასეა, სახელი აღარ ვიცი, სახრაეი აღარ ვიცი, რა ვუთხრათ ერთმანებსა?

— აქავრი გურჯები აქომამდი დეთიმათ ვიყავით, არვინ ქყუაედა მომკითხავი გურჯისტანიდან. ზურზულე დეგეემართა ბევრჯელ, სოფლებიც დეინუა მეერჯელ, მარა გურჯისტანიდან ვინმემ არ მეკითხა ჩუენი თავი. აქავრ ერმენებსა ვინმემ ბანალი რომ ნუუკეკოს, დუნდა მემლექეთის ერმენები დადგებიან ფეხზე: — კაცო, ჩუენ ძმებსა ღეზებში ამყოფენებ თურქიეშიო. ჩუენა არვინ ქყუავს მომკითხველი. მე რომ ძალიან გიმიჭირდა, საფრანგეთის ქართული კათოლიკების დერნელი დემეხმარა. თურქიეში ძმა ძმას არ მიხედავს... ახლა სარფის კარის უმუდი გუაქ. ბელქი ვინცხამ მეკითხოს ექესი მილიონი გურჯის ხებერი თურქიეში.

— გურჯიჯა ლაპარიკზე მომაგონდა: ბაბოს რაჰმეთლის მიყავს დომბები|კამბეუები, შამბული. დედაჩემი ებნევა ბაბოსა: — ბერო, მაგან არ იცის ჩუენებურა, გურჯულა,

თათრულა უთხარ, თათრულაო. ბაბოი მინც ებნევა: — შაიდე, ბიჭი, შა, ბიჭი! — მაიც არ ესმის კამბეშს, არ მიდევს ბაბოს. კამბეშმა არ იცის ჩუენებურა... კამბეშმა კი არა, შადაც არი ჩუენ ბალეებმაც აღარ იციან ჩუენებურა, კამბეშებივით გახდენ.

მთქმელი ხასან-ბასრი იავეუზ (ფუტკარაძე) ადაფაზარის ვილაეთის აქიაზ რაიონის ქიუჩუჯექ სოფლიდან არის ჩამოსული სტამბულში. იცის ქართული წერა-კითხვა.

* * *

— მე ოქულში ვიარები, მესამე სინეფში ვარ. სახსნელები ვიცი, გითხრა? შაიდე, ბახალომ, რა გამუა აქედან: „დელე-დელე კურდუმელაი, კოჭდაბალი საქონელი“. — რა არი, აბა თუ ამოხსნი! თუ ვერ ახსნი, დაბმული იქნები ისტანბულში, აღარ გიგიშვებთ გურჯისტანში, იყავ ჩუენთან. ვერ ახსენ? — კუ იცი? ის არი.

— კიოდ რა ვიცი? აჰანდა მომაგონდა: „ტყავი აქ, ხორცი არ აქ, ჯოხ ქამს, ყუსური არ აქ. — თოფი. თქუენ ბურთს ებნევით? „ტაკტაკით მოდის, ტაკტაკით მიდის“. — ქოშები; „ყათ-ყათია, ამა ღუხა არ არი, იქმება, მარა ტყიბილი არ არი“, — ხახვი; „შორედან ჩანდა ბევრი, ახლოდან მიველ, არვინ არ არი“. — ჩიტები; „გუერდიდან ჩანდა ტანები. პირში ჩევედ, თაფლია“, — ბალი. „ჭაჭებში არ ეიმსობა, სახლში არ დეტევა“. — სინათლე; „პანპანაი ჩიტები ყუელა ადგილს ქვას აყრიან“, — ხოშკაკალია.

— გურჯუ ალაფაბეი დომინერე და გურჯის დაზი ვისნავლო, აბა!

მერიემ შენი (აბულაძე), მესამე კლასის მოსწავლე.

* * *

— ეს არი ჩუენი, კათოლიკების, ეკლესია. მეოფრამეტე საუკუნიდან ქართულ, ახალციხიდან მოსულ, კათოლიკებსა უყიდიან მინა ისტანბულში. სათვისტომო გაუქმებებიან. შავლე აკობაშვილი იყო ბოლო ქართული — გამგე სავანისა. კაი ხანია მოკვდა. 1957 წელში დიდი დარბევა იყო ეკლესიისა. გაძარცვეს სავანე. შეეშინდენ, გაყვითლდენ, აეთ გახდენ, შიშით კიბო დეემართენ აქაურ კათოლიკებსა. ახალგაზრდა იყო ჯერ კიდევ შატრი პიო (შავლე) აკობაშვილი, ამა აეთ გახდა ამ დარბევის სონრა და მოკვდა. აკობაშვილი დასახლებული არ იყო, ცოლ-შვილი არ ყავდა... ონდან სონრა სავანეს მააკლდა ხელი. ახლა ცოცხალია შავლე ზაზაძე, მამაჩემი, ახალციხის სოფელ უდედან მოსული. ძალიან მოხუცია, ღაშლი. ვეღარ მოდის სავანეში. მე ვუყურებ ახლა ტაძარსა. ამა ბევრსა ვერ ვაკეთებ... კათოლიკე ქართული მღვდელი გვინდა. ძალიან მინდა იმფო ბევრათ შევხედო ტაძარსა, მარა იზნი არ მაქ თაფრობიდანა, შუქუმათიდანა. თუ ორი ტომარა ჩიმენტო დენინახეს მოტანილი ეზოში, იტყვიან: — შად ნახეთ, რითვინ გინდანან? ეს ტუარი რომ გააკეთე ეკლესიისა, ძალიან გამიბრაზდენ. მაგარი კაცი ვარ, თვარა დამარტყემდენ... ვერ გამიბედეს.

— ეიგარ მაალლი ევი რომ დგას, ისა „დივან-შოტელია“. იქა იყო ქართულების საფლავები, ქართულების თოფრალიშინა. საფლავები გადათხარეს, ქვები ამოყარეს. თრატორებით გაზიდეს, შოტელი გააკეთეს. ზოგი ქვები მე მომიტანეს; ვიციდე, ძუელი მეგონა დაწერილი ზედან. ამა შენ ამბოფ, ძუელი არ არიო, მეოფრამეტე-მეცხრამეტე საუკუნისა არიო. ეკლესიის ეზოში წყვია ეს ქვები ახლაც. ახალციხელებისა და შავმეთლების საფლავების ქვებია ესენი.

— ნება არა მაქ, გავაკეთო რამე. ნების გარეშე რომ გავაკეთო, პოლისები მკითხვენ, დამიძახებენ. ზემოთ სამრეკლოა გაკეთებული. რატომ გააკეთეთო, ბრაზდებიან. ამას წინათ რაცხაბები მაუშარავთ.

— წინ რომ ადგილია, ჩუენი ვაყუფისაა. ადრე მღვდლების სახლები იყო. ახლა დანგრეულია. ბელედდეს ამ მიწის წალება უნდა, პარკის გაკეთება უნდა, ბელქი შოტელს გააკეთებენ. არ გვინდა დეიკარგოს ეს მიწა. თაფუები ბევრი გუაქ, მარა ადგილები შად არი, არ ვიცი. ვერ მოვნახეთ; ძუელებსა არ მოუნახავან. მძიმე დრო იყო მაშინ.

— აქ ძველად იყო ქართული მონაზონების სკოლა, აქაც იყო მონასტერი. ოცი წლის წინ მონაზონი არ დარჩა. ვერანა გახდა სკოლა, მონასტერი. მაინდინეს ამათი ხელში ჩაგდება. ფრანგებსაც უნდოდა აეღოთ. ნავედი ჰუქუმათში, ვიჩივლე. სხუამ რატომნა წეიღოს ჩუენი ადგილი? ეს მინა საქართუელოს არის-მეთქი... მოვიდნენ კათოლიკე რომაელები. იმათაც მაინდომეს ხელში ჩაგდება. ვუთხარ, ეს საყდარი ქართული კათოლიკების არი-მეთქი. მემრე ერთი ქართული მუსლიმანის — აჰმედ შენის შემწეობითა მიყვიდე ვაყუსა. ფულიც კი გადაიხადეს — ასსამოცი მილიონი თურქული ლირა. ეს თანხა ისევ აჰმედ შენის შემწეობითა ბანკაში შავინახეთ ქართუელების სახელზე. სხუა ვინმე ვერვინ გამაიტანს. გამაიტანს მარტო ქართუელი სასულიერო პირი ეკლესიის ხარჯებისთინ; ეს მინა მემრე ვაყუფიდანა მე შავისყიდერამე გაჭირვება არა მქონდა, ამა არ მინდოდა სხუაზე მიცემა ჩუენი მიწისა. ბელქი ეკლესიის ახლოს რესტორანტს, ქაზინოს, პოტელს ააშენებდა ვინმე, ნაბილწავდა წმინდა ადგილსა. ვიყიდე და აქა ლისე გაეხსენი — „Kurcu Ozel bilgi Lisesi“. ჩემი თუელუა ამშენებელი... თურქული სკოლა არი, ინგლისურს სწავლობენ. ლისეში თხუთმეტი ქართუელი ბიჭია, ცხრა — ებრაელი. მათაც იციან ქართული, იაკობაშვილები არიან. ებრაელი ქალები თბილისიდან მოვიდნენ და მაიყუანეს შვილები. სკოლა 1988 წელს ავაშენეთ. ბევრი რამ საჩუქრათ მივეციტ სკოლასა.

— სკოლა იმიტომ გავაკეთებე, რომ ქართუელები დრო გავა და მოვლენ, ისწავლიან, იკითხვენ. რომ მოვლენ ან ქირას გადაიხდიან და აიღებენ, ან რაღაცა. მაიკითხავენ, რაფერ გაიყიდა. კოფრათივს მისცემენ, აიღებენ თაფუსა. ჩუენთან მოვიდენ ფრანგები, გერმანელები, იტალიელები, იკითხეს, როგორ გააკეთეთო, ასე კი ფასში როგორ გაყიდეთო... იტალიელებმა აინი ადგილი გაყიდეს ოცდაათ მილიონ ლირად.

— შვილებს ვუთხარი, მე რომ მოკვდები და ქართუელები მოვლენ, უკან აიღონ ეს სკოლა... რაც მამინ ლირდა, ამა არ გავატანეით, არ მივეციტო. ბრალია ეს წიგნები. მონასტერაც იქნება შიგან. მოიდენ, ისწავლონ ენები, მიხედონ საქართუელოს საუნჯესა, რაც არი აქა, მუზეუმებში, საცაგებში.

— მღვდლების სახლები რომ იყო, ის მინა უჩუმალია უნდათ აიღონ, იქა ბელედეს სარაი, რა ვიციტო, შეიძლება პოტელი გააკეთონ... საქართუელოდან უნდა მოიდენ და მიხედონ საქმესა. ხუთი წელწაღია ვილაპარაკეთ ყენევაში კათალიკოს-პატრიარქთან, ილია მეორესთან, ახლაც შენ გაბარებ, უთხარი ყუელას, რაფორი დანერე და მირთვი ჰუქუმათსა, მოხედონ ამ საქმესა.

— ეკლესიას აქვს ბიბლიოთეკაც. წიგნები აქა მოქონდენ მეთვრამეტე საუკუნიდან. ახლა წიგნები შენახულია მეორე ყათის ორ დიდ ოთახში. მიხედვა უნდა, მტურეი ჭამს, სახურავიდან წვიმა ჩამოდის. ძვირფასი წიგნები ილუპება, პატრონი არა სჩანს. თხუთმეტი წელწინადის წინ კომისია გააკეთეს. ქართული კულტურის წიგნები დარჩეს, დანარჩენები წილეს. თეული უნდოდენ, ამა არ გავატანეით, არ მივეციტო. ბრალია ეს წიგნები. ქათალოდინა გაკეთდეს, გაიგზავროს საქართუელოში... ანკარაში ქუთუბჰანეში მივედი, მოდიტო, აღწერეთ, უმკურნალეთ-მეთქი. არვინ მოიდა, არ მიხედა... საქართუელოდან უნდა მოვიდნენ, აღწერონ, წიგნის პექიმები მაიყუანონ. პავლე აკობაშვილი რომ იყო, იმან იცოდა, რა იყო. არავის არაფერი არ აჩვენა, ქათალოლი არ გააკეთა, თვითან მოკვდა. ახლა არავინ არაფერი არ იცის. ბრალია ეს წიგნები... რაფორი დანერე ამაზეცა, უშველონ იქნება.

— სამოზდახუთი წლის კაცი ვარ, გული მანუხებს, ღმერთმა მამასწროს ქართუელების ჩამოსლა ამ საქმეზე.

საუბრობდა სიმონ პავლეს ძე ზაზაძე — ქართული კათოლიკური ეკლესიის ზედამხედველი, ცნობილი ბიზნესმენი.

— მე პავლე ზახაძე ვარ, ახალციხის სოფელ უდედამ. 1913 წლის ოქტომბერში არაღელმა მღვდელმა შალვა ვარდიძემ წამომიყუანა ისტანბულში. სამღვდლოდ მოსამზადებლად წამომიყუანა. ისტანბულში ქართული კათოლიკების სკოლა ფრანგის ქუეშევერდომი იყო. ისტანბულში 1915-1919 წლებში დიდი არევ-დარევა იყო, ქრისტიანებსა ხოცავდნენ. ბევრი მონაფე გერმანიაში წაიყუანეს. აქ ორი-სამი დავრჩით. არ მინდოდა გერმანიაში წასვლა. გამოვედი სკოლიდან, საქმე ვიპოვე. ორი წელიწადი სხუასთან ვიმუშავე, ვისწავლე ვაჭრობა, გერმანული საქონელი მოვიტანე, გავაღე ღუქანი, წინ წავედი. მოვიტანე მაკრატილი, დანა, თმის მაქინა, ბევრი რამეები...

ჩუენ ვიყავით რვა მძა. სამი პატარა მოკვდნენ, ხუთი დავრჩით. მე აქ წამოვედი, ოთხი იქ დარჩა. ძმების სახელებია: სტეფანე, ლევანი, ალიოზი, კაკულა. მე პავლე ვარ. დედას ელისაბედი (ელიზავეტი) ერქუა, მამას — სიმონი. ახალი სახლი ქილისადაც შორს არი. სამი ყანა იყო. კუთხეში ტუელი სახლი იდგა. მე მახსოვს, შუა სოფელში იყო. მემრე ახალი სახლი მამაჩემმა ქუევით გააკეთა, ბიძას გუერდში. ბიძას სამი შვილი ყავდა. ბიძის სახელი არ მახსოვს. ბიძას ღვინის სმა უყუარდა, მთვრალობა, ჭიათურაში მუშაობდა. ახალციხე კარგა მახსოვს. ფირალოვი ბაღები მახსოვს. ორი დიდი ბაღი იყო. ქუევით წყალთან ბევრი ქლიავი, ვაშლი, სხალი, ნაირნაირი ხილი იყო. თესამდით ბევრ რამეს: კიტრი, საზამთრო, აყრო, სიმინდი, ბევრი ნაირი. ზევითა ყანებიც იყო კარტოფილისა, პურისა. პურის კალოები მახსოვს. ზაფხულში იაილაში დავდიოდით.

ფიქრებში წავალ ბევრჯერა. მევიარ იქაურობასა. მახსოვს სოფლის ტყეში ერთი დანგრეული ეკლესია იყო, თურქებმა დასწუეს. დედამ წამიყუანა იქა და ვილოცეთ. ტყეში რომ შეხუალ, ერთი დიდი წყარო შეგხადება. იმ წყაროს წყალი მწყურია ახლა... ბევრჯელ სიზმარში მესიზმრა. ამ ბოლოხან დამესიზმრა წყარო, ამა ვერ ვსვი, დაკეტილი იყო. დიდი ოქროებით იყო დაფარული. ოქროები კაი საქმეა, საქართულო სინათლეში გამოვა. მარა დაკეტილი რომ იყო და ვერ ვსვი, ეს არ დამწონდა... ესა საქართულოსთვინაც არ ამბობს კარგსა. რატომ იყო წყარო დაკეტილი? ჯერჯერ იმაზე ფიქრებდა და ვერ გამოიგნია... ჩემი ყინსმათი აღარნა იყოს ჭლებთ იმ წყაროს წყალი... გადანყევტილი მაქ, ამ წელიწადში შემოვიდე საქართულოში სარფის კარიდამ. ზღუით წაველ ბათომიდამ, ხმელეთით მოვალ... მე ახლა ძალიან იაშლი ვარ, ოთხმოზდათოთხმეტი წლისა ვარ. ამა ჩემი ბადიში ტურისტი მოვა საქართულოში, პექიმია, ამერიკას იკითხა პექიმობა. იმასნა წამოვეყვე, გზაში მიპექიმებს, არ გამჭირდება. ეხლა კაი მოდით, ძალიან გამახარეთ. საქართულოდან მოსული დიდი ხანია აღარ შემხადენია...

— მეც საქართულოდან ვარ, პავლეს მუღულე. დედა ქართული მყავდა — ბუეანოვის ქალი, მამა — სომეხი, ახალციხელი ჩილინგაროვი. დავიბადე ისტანბულში, კათოლიკების უბანში. ქუთაისში და მყავდა გათხოვილი, ოცხელსა ჰყავდა. მეორე და ახალციხეში იყო. ორი და მოლოზანი იყო აქა. დიდი და მოლოზნების უფროსი იყო. ისწავლა საფრანგეთში. ჩემი ძმა რუსეთში მოკვდა... ორი შვილი მყავს, ქალ-ვაჟი. ვაჟი სიმონია, ქალიც აქ ცხოვრობს. დედა და მამა საქართულოდან მოვიდნენ, ახალციხიდან მოვიდნენ.

— ისტანბულში ქრისტიანი ქართულოდა ძალიან შეთხელდა. სამასი-ოთხასი კათოლიკე თუ იქნება, ორთოდოქსებიც არიან ცოტა. ქილისა გუაქ, ამა მღვდელი არა გყუავს. ეკლესიაში შენახული გუაქ ამშენებლის გული. ეს იყო პეტრე ხარიჭიანთი (ხარისჭარაანთი). ტუელი ეკლესია იყო, მე-18 საუკუნეში აშენებული. პეტრემ ახლა გააკეთა. რუსის გენერალი იყო პეტრე, დიდი ფული მოიგო, ეკლესია და მონასტერი გააკეთა. ალფონსი ხითარშივილიც კაი კაცი იყო, ბევრი შესწირა ეკლესიასა. ახლა ჩუენ მუგდებთ ყურსა ეკლესიას.

— მღვდლებსა დედალი ქონება ქონდენ, გაანიავეს, ბევრიც დარბეუებისას დაიკარგა.

დარჩენილი გუაქ ქართული ნიგნები. ამათ მოვლა უნდა, საქართველომ უნდა მიხედოს მის საუნჯესა, მისი შვილების დანატოვარსა.

— ზაზაძეებმა მომწერონ წერილები, ახლა სამიში ხომ აღარ არი ესა?! მე ჩავალ უდემში, ჩემი შვილები ჩავლენ, მოვილიან საქართველოსა.

პავლე ზაზაძე და მისი მეუღლე. პავლემ იცის ქართული წერა-კითხვა.

* * *

— ჩუენი ძუელების ნათქუამი სოფლების სახელები მახსოვან — ჩაქვი, შუაი ბათუმი... ბითუმე იქავრობა მაგონდებუ, ბაბუას ბაბუას ადგილები მენატრებუ. მე იქა ვოლი ჩემ თავსა. მე მალენა წედებუ ბათუმში, ნათესავმა დამპაიჯა... გურჯები გვენატრებიან, პადეი და-ძმანები ვართ. გეიყუარან უდუუნახევი ძმები. გულით გვენსნებით, იმათ რომ დვენახათ... მე ძალიან მინდა გურჯი მის თავრობას დეიყენებდეს თავში, სხუანები ნულარ გვაძუებენ... ჩუენი გაგონილი მაქ, გურჯები მათათვინიანი გენყობას პვეესობენო, ლმერთით, მონყალე ლმერთის საპესით იქნება ესა... ჩუენი გურჯი მილლუთიც მიხებარება გურჯისტანსა, ჩუენი ჰუქუმათიც მიხებარება გურჯის გამორიგებაზე ხალხსა...

— ოზგური ვართ, ყუელამ ოზგურობა შეიყუარა, რუსმა მის ხალხში, შიში აღარ გუაქ რუსიდან. სივთა ძალიან გვემინოდა. რუს ხალხსა სივთა რომ გვენახევიბდენ გლახათ, ისე არ ყოფილა. სივთე ბათუმში ნასლა მემინოდა, ახლა მიხარია, ჩემ ოჯალში მივალ-მეთქი, მიხარია.

— რუა ნეულინადა აქ სასტუმრო მაქ. სივთე იზმირში მქონდა სასტუმრო. ოთურაი გიგინიშვილი (ოთარ გიგინიშვილი — პროფესორი) ჩემთან მოსული იყო, თურქ თარბი პროფესორი იყო. მაგან დამპაიჯა. შემემინდა და ვერ ნამუელ.

— „ულუ ოთელი“ ქუია ჩემ სასტუმროსა. თიფლიზელმა ძალიან იციან ჩემი სასტუმრო. ჩემთან მოვლიან. მე სულ ყუელას ვემსახურები. დახმარება კარგი კაცობა არი.

საუბრობდა რასიმ მაფიზერი (ხალვაში).

* * *

— მემედ-ემინი ვარ, ქაია (მაკარაძე). ჩუენ ძუელებსა ალიკოშვილებ ეტყვიან, სულ ძუელი გუარი მაკარაძეა. ოლადავრიდან ნასულა ჩემი დიდი დედეი.

თურქიემი რომე გადასულან მუჰაჯირათ, მალე ომი გამოსულა. ჩანახქალეს ომი გახსნილა. ბუერი ბიჭები ნეიყუანეს მეგემ იქა ჩუენებურები. ჩემი სამი დედეიც ნუყუყუანიან. სამნივე იქ ომში დეილუშენ. იმათი ოჯალი დაყაფანდა... ათას ცხრაას ათის ჩივდმეტზე ნიკოლაი მიორე დახრიტეს რუსიანი. ჩუენი დილუანები თურქიემი დარჩენ. ფარა არ იმოვენბოდა, ვეღარ გაჩუენდენ. ნამოსლა მუუნდენ უკან, ჰამა უფარობამ ხელ-ფეხი შუუკრა. მათი ლაპარაკი სულ საქართველო იყო. მიეკონებდენ მემლექეთსა და ტიროდენ. მაშინ თურქიესა ბევრმა უღალატეს, უფუშტეს; თურქმაჰაც უღალატა ბილა თურქიესა. ჩუენ კაფუკაზ ხალხმა არ უღალატა, მაგრათ დადგა, ომი ქენს... ჩუენ დედეების სისხლით შამონწერილია თურქიეს სინორის მინები, ჩუენ დედეების სისხლით მორწყულია. ამითვინ ჩუენა აქედან ადგომა და გურჯისტანში დაუდომა არ მოგვირდება... ჩუენ აქნა ვიყოთ. სხუას არ დუუტეთ ჩუენ დედეების სისხლით მორწყულ მინასა. ჩუენ გვინდა, რომე ჩუენ აქა კარგათ ვიყოთ, თქუენ იქა კარგად იყოთ, ერთმანებთან გედევდეთ, გადმოვდეთ, კაი მეზობლობა ვქნათ... თქუენა იქა ერთათ შეიტოკეით, ძმა გახდით...

ახლა ისნა გითხრა, ჩუენი ხალხის აქედან ნასლა, ჩუენ ხალხმა რაფერ ნევედენ. მაშინ ოსმანლი იყო აქაც. ოსმანლის და ჩარ ალექსანდრ მეორეს დროს, 1877-ზე, ომი იქნა. იგირიმ ომში ოსმანლიმ დაკარქა ბათუმი. ყარს-არდაჰანი, ბათუმი რუსმა

დეღიზაფთა.

თურქიეში სულთან აბდულ ჰამიდი იყო მაშინა. გენერალი ყავდა პუსეინ ავნი ფაშა. თქუენშიც გრანდუქტ გრანემჟი იყო. ისტამბულში ადასთოფენეს ევმილქოგ არი, თიარები ჩამოდან აქა, მოვლენ-ნეველენ. ამათ მიეყარეს ადასთოფენეში, მორიგდენ იქა. თქუეს ქი, ბათუმი, ყარსი, არდაჰანი რუსეთისნა იყოს. რომანია, ბულგარისთან, სირიისთან — ამათმა თავრობაზე მათთან გამორიგდესნა. ერთიც, 245 მილიონი რუბლე-მანათი თურქებმა რუსეთსნა მიცესნა. ეს რომე ამურათ შერიცება იყო, სამი მართი იყო 1878 წელზე. მორიგება რომე იქნა, თქუეს ქი, ზოგას ოსმანლი უნდა, ზოგას რუსეთი უნდა. მინცხას ოსმანლი უნდა, ოსმანლის გედევდეს. მინცხას არ უნდა, რუსეთში დარჩენ.

ომის დროს აგერამ წელწანდზე აგერამ ბათუმის თერეფ გჷრჯუჷ აჰმედ მუხთარ ფაშა იყო. იმასა ოცი ათასი ჯარი ყოლია. თრაქდას თერეფსა კიდო გჷრჯუჷ გააზი ოსმან ფაშა იყო. ეს თოქათლი გიორგი სააკაძესი აქედან, გჷრჯუჷსტანიდან, გადაყუანილი ხალხი არიან. იმაჰაც ოზდახუთი ათასი ჯარი ყოლია. აგერამ ორ ქართულ ჯარების უფროსებმა იმურათ ომი ქნეს ქი, რომე ჩარ ალექსანდრ მეორემ აურუჷნას დუღუძახა ქი, რომე ოსმანლიმ გაბეშდა, ჩუენ ხელში არი ზრისთიანობა, ისიცნა აპუართვის, დეგევენმარეთო. ამა მაშინ იმურეი დრო იყო ქი, ფადიშაჰის ახლოზე ხალხი იყუენ, ამ ორი ქართუელის ლამაზი ნაქმარი ომი ვერ გეიტანეს. რომ ვერ გეიტანეს, იქიდანაც გამოჩინდა, რომე აგერე ორი ქართული ფაშა სებერ აგზავნიდენ ისტამბულში: ხალხი კდებიან, ჯარები შიერი არიან, ჩუენ ჰემ თოფი გამოგეგზავნეითო, პემდა საცქელიც გამოგეგზავნეითო. უწერიდენ ისტამბოლში ფადიშაჰსა, ამა არ აძლევდენ ნანურავს ფადიშაჰსა; ნამომხარება უნდარან და არ აძლევენ. ამურათ საჭამადი უგამოგზავნობა, ახალი ჯარი უგამოგზავნობა ჩათინი დარჩა. ომი დაკარქეს ოსმანლიმ. იშტა მაშინ მიეყარეს ქი ეს გენერლები აიასთოფენეს, ახლანდელ იემილქოიში. ჰავა შეიდანი არი ახლა. იმურათ მორიგდენ. ეს მორიგება ორმოცი წელწანდინა ყოფილიყო. ჩუენი ისტორია იხე ნების. მინცხას თურქიეში გადასლა უნდოდა, დედევდოდა. მაშინ იშტა ჩუენმა დეეფებმა ოჯალი გაყიდვა, დატევა დინყეს. ოჯალი მის ძმას ოსმანას მიაბარა, ჩემი ისუფ-დედოი ოლღუშლით, ბადიშების ერთათ, ბათუმიდან ზღუით გემზე დამეადარან, ისტამბოლ მოსულან. მემრე ბურსას თუფექჩიქონაქში დამედარან.

თურქიეში, ოსმანლიში, წამოსულ ხალხსა ეგონენ ქი, კიდო გადმუალთ საქართუელოშიო. ამა ბოლშევიკებმა, კომონისტებმა კარები დააყაფანეს. ჩიტმა ველარ გადმოფრინდა ბილა აქეთ. მე ბალეი ვიყავ, აქედან გადმოსულები რომე იტირებდენ, ჰალადვენ მასხოეს. ბათუმის მოგარენაზე სულ ტიროდენ: — ეი კიდი, მემლექეთო, შორედან ვიცეციკირებით, ველარ გნახეთო. ჩემი ნენეი იტყოდა: — მემენატრა სულ ყუელაი. სამოცი წელწანი გახდა, ვუცდი ქი გეისხნას ჰუდუდიო. საზღუარი გეისხნა, ამა ჩემ ნენეს აღარ მეესტრა, მისი ბადიში ძელიაი გადმოიდა მემლექეთში.

საზღუარი რომე გეისხნა, ჩუენა ბდრამი ქექონდა. ჩუენა, თურქიეში ყოფნიარე ქართულებსა, ერთი ფეზი მაქ გუაქ, გჷრჯუჷსტანში, ერთი ფეზი მაქ გუაქ. ჩუენი სული, გული მაქ არი, მემლექეთშიო. ჩუენი დედეების საფლავები მაქ არი.

1903 წელწანდზე გადმოსულან ჩუენი ძუელები. სულთან აბდულ ჰამიდი მიორე იყო მაშინ. მისი ნენეი, დიდანაი, ყოფილა გურჯი, ფერთევენდალ სულთანა. ამასა უთხრომია ქი: — ბადიშო, მე შენი ნენეი ვარ, შენც ფადიშაჰი ხარ. ეს საქართუელოდან გადმოსული გურჯი ხალხი, ჩემი სისხლის ხალხი არიან, ჰემდა მაგარიო ხალხი არიანო. ბრძოლუებიან, დუშმანის ნულარ გემინია, ამა ჰაცხა კარგ იერზე დააუღმლებ ესენი, კაი იერი მიეო. გერჩექ იემილ ბურსას მოსულან ენწული. სხუა მილლეთის ხალხი გუუქცევიან აქედან. წინწინ მანავეები, მუჰაჯირები ყოფილან აქა იმფოსერთი...

ჩემ დიდ დედესა ომში სამი ბადიში გუუგზავნია. სამნივე დალუმპილან. ჩუენ ახლა ოზდაშუიდი ოჯალი ვართ. რომე არ დალუმპილიყვენ, ორმოზდაათი ოჯალი ვიქნებოდით.

ერთი ძმიდან გაგვბრავლებულვართ.

გურჯაღსტანში თურამბეტი ოჯალი გამხდარან, ოსმან დედესი ნამბრაველი, მაკარაძიები არიან. იმფო ბევრინა გამხდარიყავით აქა, ამა თავრობასა შუუბოქაცს თქუენი თავი. ოზდაჩიდეტეში და აღმანისთან ომში ბევრი განყვეტილხართ, ხალხო. ცოდვა იყავით ძალიან. ჩუენ იქა გვესმოდა აქავრი შავი ხებერი და ჩუენი დიდუანები სულ ტიროდენ აქავრებზე. ახლა, ალლაპაშუქურ, გენჯები კარქ გზაზე დგარან, საქართუელოს ცალკე, მისათ ყოფნა, დამოუკიდებლობა უნდარან, ეს მიხარან...

1934 წელში ათათურქსა ხალხისთინ ახალი გუარები გამუყუანია. ჩემი დედი მაშინ სოფლის მუხთარი ყოფილა. დედესა მისთინ გუარი „ქაია“ დუურქმენენებია, მის ძმებისთინ — „აიგული“ (თუარე, ვარდი). ქაია ქართულა „კილდა“, ქაია-კაია ჰემდა კარქს ქვია, კაია — კაი ვართო, იმას ეტყვიან. ისე დარქმულან გუარები. ამა ვიცით, რომე ალიკოშვილი ვართ, ძუელი მაკარაძიები. ცოლი დუმბაძიებიდან მყავს; აქედან ჩანჩალო სოფლიდან წასულა მისი დდი დედი. ნენი შუბნიდან იყო, ფუტკარაძე, ჩემ დედესი ანაი იყო ისა. მისი ბაბოი დღვანიდან ასულა შუბან, იქ დამყდარან, მემრეც თურქიეში წასულან.

რანა გითხრა, იცი? ჩუენ თურქეთლების პირველი ხალხი ვართ. ჰაცხა რომე გასაკეთებელი საქმეა, ჩუენ ვართ იქა. — აგერამ მემლექეთში გურჯინა იყო, რომე საქმე გიციკეთის, — ასე იტყვიან თურქიეში. ჩუენ მაგარი ხალხი ვართ, ერთმანებ დევკავეფთ. ჩუენ ერთმანები რომე არ დევკავით, დაქეფუჭვენ. ჩუენა რომე თურქეთის პირველი ხალხი ვართ, ეს იციან ყულამ აგერაქა. ჩუენი დერნეგები გუაქ: კაკვაზ დერნეგი, ბათუმ დერნეგი, საქართუელოსი დერნეგები. ერთმანეფზე მოხმარება არი. ვთქუათ, თოქათიდანან ჩამოიდეს ქართუელი, ვერ აკეთებს საქმეს. მე გუუკეთებ ჯარის საქმეს, სხუა გუუკეთებს სხუა საქმეს. ასე ვიკავეფთ ერთმანეფსა.

ჩუენ ენამ არ გამეიცვალოს, არ დაგვაინყდეს, სხუა ხალხსა, ქართუელის გარდა არ ვუშვებთ ჩუენ სოფლებში. არ ვუშვებთ ქი, სისხლმა არ გამეიცვალოს, ენამ არ გამეიცვალოს. სოფელში რომ დააყდუმლეფ სხუა მილეთის კაცსა, ია გოგონა ითხვო მისი, ია ბიჭინა დააქორნილო იმიდან. ამიტომ არ ვუშვებთ ქი შიან სოფელში.

ასმუიდი წლის იყო ჩემი ნენი, ჩემ ბაბოსი დედა, შუბნის სოფლიდან. გურჯუსთანში რომ ჩამველ, ეველ შუბან და მეივარი ნენისი ნამყოფის იერები, დვენახე ნათესავები. საფლავეტიც ვნახე ძუელი, მითი ანა-ბაბოსი, დედე-ნენისი საფლავეტი. ჩემ ნენესა ისე დაპანავებული ქონდა გული, რომ იმათან საქართუელოსა ვერ გავახსენებდით, იტირებდა და იტირებდა. ამითინ ვერიდებოდით აქავრობის ხსენებასა. ნენემ, ისე მოკდა, თურქის ენა არ დეისტავლა, არ იცოდა. მეგემ ერთ დღეს მოიდენ თხველი ჯინჯნები და თურქჩა იხვევიან, რომე ჩირა მოგვეციო. წინესა ჩირი ეგონა. ევდა თვანში და ჩამულო ჩირი თხველებსა. ისინი კიდო თხოვენ ჩირსა. კიდო ჩამუტჩანა, ამა რაზ ვერ გახადა, ისინი კიდო ჩირას თხოვენ. მისულა მეზობელთან, უთქუამს: — ესენი ვერ გეცოლვე, ჩირი ვერ გავაძღე, რაც მქონდა ჩირი, მივეცე, ამა კიდო ჩირას მთხოვენო. მეზობელი მიმხტარიყო, ნენესთინ ეთქუა: — ჩირა კუარ ქვია, კუარი მივეცეთ და მოქვეცილდებიანო. ამასა მეიგონებდა ნენი და გვაცინებდა ბაღეებსა.

„გურჯი“ თქმა ჩუენთინ რა არი, რომე იცოდეთ, კაი იქნება! თურქიეში „გურჯი“ თქმა დიდი რამეა!... აქამდინ არ ვიცოდით საქართუელო რაფერ იყო და მაიც ვეიბრობდით ძუელინის ნათქუამებითა. ახლა ვიცით, დვენახეთი და გევზარდეთ თურქიეში გურჯებმა. შევარდნაძე რომე დიმიშლერ ბაქანი გამოვდა, ჩუენ ვიბადრამევით იქა. მე ძალიან გიმხარდა ქი, ჩუენ ყუზეთემ დანერა: — შევარდნაძე-რეიგანის მორიგებისთინ ქართული ენანა იცოდეს რეიგანმა, რომ შევარდნაძე-რეიგან ერთმანებ კარგა შევარგოსო. დუუნერია ყუზეთესა ქი, გურჯმა შევარდნაძემ რეიგანსა ყური უუნინაო. ბიჭი ბადეში ყოლია რეიგანსა და იმითინ. გურჯის ადეთი უქნია

შეგარდნაძესაო. ჩუენ ენაზე, ჩუენ ხალხზე რაცხა დეინეროს, გეიხარია. ვინახავთ ყეზეთებსა გურჯეზზე.

1970 ნელზე ოთარ გიგინაშვილი მოიდა ჩუენ სოფელში. გიგეიხარდა, მალე არ გუუშეით. მონონდა გიგინაშვილსა ჩუენი სოფელი. — ეს ნალია, ბელელი არ დაანგრიოთო, — გეითხრა; — ხის სახლები, ფიცრისა, არ დაანგრიოთო, — ასე დაგვაბარა.

ჩუენ თურქიეში ზოვლი მონეელი, აღირი ხალხი, ყიმეთლი ხალხი ვართ. ჩუენ არ დავაშავეფთ საქმესა. ჩუენ დაქდომილ, ადგომილ იერსა არ დავაშავეფთ. ოდაში თუ ვედავართ და გურჯი შამოიდა, სელამის მიცემაზე ფეხზე აედგებით. ამას თურქები ზედვენ და თვითანაც დებთან ფეხზე, გურჯი კაცი, დიდი კაცი შამოვდაო. ისინიც მიხდებიან ქი, ადგენნა, ქართუელი შამოიდა.

მარტოლაი კაცი მარტონა მოკდეს? არ იქნა ესა! „გაუმარჯოს ქრისტიან საქართუელოსაო“, დვენახე დანერილი, ნანერავი. ჩუენ რას გვებნევით, თურქიეში მილიონ ქართუელსა, საქართუელო ჩუენი არნა იყოს? საქართუელოსა სიზმარში ვნახულობთ, საქართუელო გვესინიშება და ჩუენი არნა იყოს? ეს არ გამოდის კარგა! ჩუენი რა სუჩია, რომე მუსლიმანი გავმხდარავართ. მაშინ დროს მუუსლიმანი მუსლიმანა ჩუენი ძუელეებისთინ, ჩუენ რა ვენათ ახლა? გურჯისტანში აღარ მოგვიშვათნა? მე ჩემი გოგო-ბიჭი თბილისში დავტიე, უნივერსიტეტში. ქართუელათ მინდა გეიხარდონ. საქართუელოს ისტორია ისტავლონ, თამარ მეფით, დავით აღმაშენებლით, გიორგი სააკაძით იხარონ და იქობრონ. საქართუელო ჩუენიცნა იყოს!

მე ერთ გერენალსა საქართუელოს ისტორია მივეცი და სამ დღეს იკითხა იგირი ნიგინი, სამ დღესა. უკან მოიდა, ქითაბი მასაზე დადავა და მითხრა: — შენ ეს მითხარი ქი, მე გურჯი რაფერ გავხდები, ეს გურჯი კაი ხალხი არიან. ძალიან მომინდა ქი, გურჯი გავხდეო. მილიონი ნელი რომე გევედეს, ვერ გახდები გურჯი-მეთქი, სისხლი არ შეიცლება-მეთქი, ეუთხარი და ვანყინე კაცსა... თურქებსა ჩუენთან დათანინება, დახისინება ზოვლი გუუხარდებიან. სულ იმას ელტივან, რაცხაფერ ჩუენინდა ძალი ითხვონ, ან ჩუენი ბიჭები სიძეი გეიხადონ. ჩუენ იმყო შორ-შორ ვიარებით ამ საქმიდან.

ამა თურქიეში სომეხების სკოლა არი, ბერძნებისაც არი, ჩუენი არ არი. რატომ ასენა იყოს ქი? იყოსნა გურჯი სკოლა, ინშალაჰ, იქნება მომავალში! ყურან ქერიმში ნერია ქი, ქართუელი ლამაზი თოხრომა არიო. ღმერთსაც მუუსტემია ჩუენთინ სილამაზე, გულით, სულით. ამფერი ხალხი რომ ვართ, რატომ არნა იცნან? რატომ სკოლა არნა გიგეისხნან? სომეხებმა და ბერძნებმა დინი არ დაკარქეს, მათ დინზე არიან და სკოლაც იმითვინ არ არი მითვინ იასალი. გურჯსა დინი გამოცოლილი აქ, დაკარქული აქ ძუელი დინი და მუსლიმანია გამხდარი. თურქული სკოლა გეყოფიანო, გვებნევიან, ამა ჩუენ ეს საქმე კარქა გამეყუანათნა, ინშალაჰ!

ლაზებსა, მეგრელებსა ქართუელ ეტყვიან, ქართუელების ემიანვილები არიანო, ამბობენ. ამა ჩუენა მინცხამ რომე გურჯიჯა არ იცის, იმა ქართუელ კაცათ არ ვთლით. ქართულმა მისი ანადილინა იცოდეს მეჯბური. ჩუენში კაცი სამსონელი არი, მე ლაზი ვარო, ამბობს. სამსონ ლაზი არ ცხოვროფს. ტრაპიზონ ურუმები იყვენ. იქა ჩუენ იმათა ლაზ ვეტყვით. პანაი რომე ბაბადან ბაბაზე გამოჩხრიკო, კაცი რუმიო. რიზემდე ლაზ ვებნევით. ასი ბინი ბილა არ არი ლაზი. სოფლები თუნა დავათვალეთ, იქნება. ლაზები რიზეს და ართვინ არიან მარტო. ქართუელები სინოპში ბევრი არიან. თამარ დოდოფალი ორდუს მისლამდი მისულა.

გიპრგი სააკაძის ნაკვალევზ

ერთ ხალხმა თუ მისი ისტორია არ იცის, მისი ხალხის ფასობას ვერ მიხდება, ის

ხალხი ჯაპილი, ჩომა ხალხია, საქონელივით არი... მეც ვძეფნი გურჯის ფეხის დანადგამ იერებსა თურქეთში... თურქეთში დღესა თოქათში ყოფილან გიორგი სააკაძის დროინდელი გურჯების თორუნები. ჩუენში გიორგი სააკაძეს მაგროვ პანს ეტყვიან, იანი ფადიშაჰზე პანაი კაცი. გიორგი სააკაძეზე ჩუენ ისტორიაში წერია ქი, 1570 წელში თიფლისის ერთ სოფელში დაბადებულა. იმისი ბაბოი, სიაუში — ალექსანდრე, თიფლისის მერი ყოფილა — ყუმანდარი. ეს გიორგი სააკაძე ძალიან გასინათლებული კაცი ყოფილა. მინიდან ხტომილოფს, ომიდან ხტომილოფს მეგემ ყულამფერსა. ენ ბუერი ომი ირანელეთთან უქნია. შაჰ-აბასის დრო იყო მაშინ. ჩუენში მაშინ ფადიშაჰმა გამეიცულა. მაშინდელ დროს ფადიშაჰათ მესამე მემედი იყო. ოსმან მიეორე ამის წინ იყო. ეს ჩამოვიდეს, ჩამუარჩეს. ჩუენში იმლერებენ იმის სიმლერასა. ვეზირებმა ქნეს ესა უჩუმალი. ეს რომ დუუკიდვან, იმის იერზე მისი ძმა სულთან მეოთხე მურადი გესულა. ის ძალიან გასინათლებული კაცი ყოფილა. ამის პირველი კაცი გურჯუ მემქმედ ფაშა იყო.

გიორგი სააკაძემ მაქა, საქართველოში, ბუერი ომი ქნა შაჰ-აბასით, ამა რაცხა ქნა საქართველოთინ, არ დეინახეს. ყულას უნდოდა, პირველი გახედეთო და ერთმანებ კლევდენ, ფადიშაჰთან ენა მიქონდენ. გიორგი სააკაძის კაი კაცობა, გაზდომა ვერ გეიტანეს. ყულამფერი დუუნგრისე. გიორგი რომე ველარ შერიგდა ირანის შაჰით, ოსმანლის ხებერი ვაგზავნა, მიყაბულეთო თუ არაო. მურად მეოთხემ იყაბულა, გურჯუ მემქმედ ფაშამაც იყაბულა. გიორგი სააკაძე მის კაცების ერთათ თეში დამყდარა ბათუმ. ბათუმიდან ისტანბულში რომე მოსულა, ფადიშაჰს შუუტყვია ადრე. ფადიშაჰი თოფქაფის სარაიდან გამოსულა. ზღუის პირზე სარაი ბურნუ ყოფილა. ჩესულა იქ გიორგი სააკაძე. ფადიშაჰის კაცები იქა სიხარულით ჯარების ერთათ გამოგებებულან. ასე სიხარულით თოფქაფის სარაიში წუუყუანია ფადიშაჰსა. გიორგი სააკაძეს რაცხა რომე გუუხარდებოდა, ის საჭმელები გუუტოფიან. მოზიკაი დუუტევენია. წინნი აქედან გეცესული ქართულები მუუყრიან და უცეკევიან ისინი. მეოთხე მურადსა გურჯუ მემქმედ ფაშასი და თურქან სულთანნი ყავდა ცოლად. ეს მაშინ, ირანის შაჰი ერივენ ვე ბალდად შესულა, ოსმანლის ჯარი დუუხოცავს, იქავერი იერი დუუკავნია. მეოთხე მურადი ძალიან გაბლუებულა. გიორგი სააკაძე წუუყუანია მისის ერთათ. ენ წინ ერივანი უულიან, გიორგის უულია. მემერ ბალდად მისულან, ბალდადიც უულიან ფადიშაჰის ერთათ. გიორგის აღებულია ბალდადიც. დღესაც არი თოფქაფის სარაიში ბალდად ქოშქი. ის კოშქი გიორგი სააკაძესთინ ვაკეთებული ქოშქია, ქი იქ იშუშაოს, იქ დაედეს გიორგი სააკაძემაო. ფადიშაჰსა უთქუამს, ბალდად ქოშქინა გააკეთოთ, გიორგი სააკაძემნა იმცხოვროს იქაო.

ბალდადიდან თოქათ გამუულიან. თოქათში ძალიან ხალხი არ მოწონებია ფადიშაჰსა. გაბლუებულა ფადიშაჰი. ასე უთხრომია: — თქუენ იმფერი კაცინა მოქცე, ქი თქუენ ბითფვი ასე კაი ვაქხადოსო. გიორგისა მინიდან, პარმიდან, სახლების შენეიდან, სისუფთიდან ძალიან ცოდნია. ჰემ ომი იცის, ჰემ ამფერი საქმიები იცის. გიორგი სააკაძე იქ დუუტყვია ფადიშაჰსა. უთხრომია: — შენ ჩემი პირველი კაცი ხარ, ეს ხალხი გაასტორე, ინსნობა ასტავლე, მემრე ჩემთან მოი, ჩემი პირველი კაცინა იყო ყულეთინაო.

გიორგი სააკაძემ იქავრობა გაასტორა. კაი ხებრები მისულა ისტანბოლში. ამისი ამფრათ ლამაზი საქმიები, მართლა სიტყუები, მართლა ხმა ფადიშაჰის ახლოს გენერლებმა, ფაშიებმა ვერ გეიტანეს.

ფადიშაჰსა ერთი და ყავდა, ფათმა სულთანნი. სულთანის ქმარი იყო ჰუსეინ ფაშა. ენზოვლი, ენბუერი ამათ ვერ გეიტანეს გიორგი სააკაძესი გაზდომა. ამათ მეილაპარიკეს, გიორგი სააკაძეს რაცხა დავმართოთ, ვაქაქარვოთ ამ დუნიდანო. ჰუსეინ ფაშამ და ფათმა სულთანმა მამანა ქნეს, სივასნა წევედეთო, იქნა ვიმუშაოთო. იზნი აართვეს ფადიშაჰსა, ჯარების ერთად გამოიდენ ისტანბოლიდან. სივას რომე მისულან, იქაც

ჯარები უურთმევინ, ამდგარან და თოქათ მისულან. გიორგი სააკაძეს ყულე ქონია ქვისა, მარა ყულეს შიან დასაძინებელი სახლები ხისა ყოფილა. თოქათ ლამეში, გიორგი სააკაძეს პაცხა რომე ეძინა, იგირი ალიგი შუუტყვიან. ცეცხლი მუუცემიან ხის სახლებითვინ, დუუნვიან. 300 ჯარის ერთათ გიორგი სააკაძე დამნუარა. თქუენ ისტორიაში ნერია ქი, თავი მოჭრესო. ისე არ არი, დანუეს საცოდავი! ნრველ მე მიველ თოქათ, ვნახევი ყულეს ნანგრევი. გიორგი სააკაძეს საფლავი არვინ იცის. მე მაინც ვილოცე ყულესთან, დევი გუუგზავენე იმათ სულევსა.

გიორგი რომე დანუეს, ფადიმაპა შიტიყვა. მინცხაპ დანუა, ისაც შეიტყვა. ფადიმაპა ემრი მიცა ქი, ეს ჩემი სიძე — შუსეინ ფაშა ვე ფათმა სულთანის ჩამოკიდევით, მოკალითო. ფადიმაპის ემრით გერჩექ მუუკლან, ჩამუუკიდიან.

გიორგი სააკაძე მაგარი კაცი იყო, ჩუენში ასე ვიცით: თოქათ საქართუელოდან ხალხი გადმუუყუანია, იქ დუუედუნებია. თოქათის ქართუელი ხალხი სულ გიორგის გადმოყუანილია. ისტანბოლიდან თოქათი რეაასი ქილომეტრეა, ნამეტარია ბელქიდა. გირასუნზე ახლოს არი. თოქათი ოთობუსი წევა. მიველი, იგირი ყულეში წეველი. გული დემენუა, დამნუარი კაცი დემენუა, გული იმიტირდა. დანგრეული ყულეა. პირ ააფერი არ არი. ალარც იციან, რომე გიორგი სააკაძეს ყულეა. იმის მეტი ყულე არ არი. თამ თოქათ ზეიდან ეჭყირება... გურჯული იციან იქავრებმა. ენშუელი გურჯები თურქიეში ესენი არიან.

გურჯი მეპმედ ფაშა რომე ვთქვი, გიორგის მემრე ირანსა ეს შებძობებია. ერივანი და ბაღდადი ისვენ ირანელე უულიან. გურჯი მეპმედ ფაშას გუუდენია ირანელები აქედან. მემრე ბალკანეთ დანყებულა ომი. იქაც უბძობებია. ბათუმ მოსულა და ხალხი მუსლიმანობაზე დუუპაიჯენია. ბევრი გამუსლიმანებულა. თიფლის ველარ მისულა, ბალკანეთში გუუგზაენია ფადიმაპსა; თიფლიზელებიც მეგომ უცდიდენ ქი, ჩუენაც დაქეპაიჯოს მუსლიმანობაზეო. გურჯი მეპმედ ფაშა მეოთხე მურადიზე წინ მომკდარა. ფადიმაპამაც იმას მიყვა ერთ ნელნადს უკან.

* * *

გურჯისტანში მომწონდა ყუელამფერი. კაი დღეები მიცეს ღმერთმა მემლექეთსა. საქართუელით ჩუენ ვიზდებით თურქიეში, ჩუენ ქართუელი ხალხი ქყუავს, თუალეფში ვერვინ ჩაქვხედავს. მინდა ქი, საქართუელოს ხალხსა, გულში რაცხა აქ, ის მიცეს ღმერთმა. ჩუენი დედიების სისხლით მოზეილილი მინა კარგათ იყოს. გვინდა, რომე საქართუელო მისით იყოს, ერთი იყოს, არ გარიგდენ, არ წეიკინტლონ, ერთი კაცი გამეიყუანონ თავში. გიორგი სააკაძის დროში რომე იყო, ისე არ იყოს. ერთთანა იყოს ქართუელი ხალხი.

ჩუენი დიდუანები, დედიები, ნენიები შორედან ეციციკირებოდენ ზაათი საქართუელოსა. ახლა გზა გასხნილია, რალა გვინდა! მე ორი შვილი თიფლიზის უნივერსიტეტეფში დავტიე, ვაკითხვო-მეთქი. ერთი პეკიმობაში დეინერა, მიერე თექნიქ უნივერსიტეფში. გურჯიჯა ლამაათ იციან, უხარიან ქი, გურჯუსტანში ეჭებითო, უმაღლესი სკოლანა ვიკითხოთო. უნივერსიტეს რექტორმა მიყაბულა, გამახარა, სიტყუა მომცა. აქედან სიხარულითნა ნევედ თურქიეში.

ქართუელებითვინ ღმერთსა სილამაზე მარტო ბუკით და პირით არა, გულით და სულით მუუცემია. ერთმანებ ხელინა გუუნყოთ, დევეხმაროთ. ჩემი გული და სული აქ არი გურჯისტანში. ჩემი ერთი ფეხი საქართუელოშინა იყოს... დღესნა გედევედ სარფზე და ტირილი სულზე ვარ... ყუსურზე არ დიმიხედოთ ლაპარიკობაში, ეს მიყაბულევიით... ყუსურზე არ დიმიხედოთ... ისტანბოლში რომ ჩამოსუალთ, ტელეფონი მომინიევიით; პაცხა იქნებით, მუალ, აქნეე, ჩემ შინ მოგეყუნა.

* * *

ისტანბოლში, ბოლზ ქოფრის აურეფას თერეფ გასლიხან, მარჯუნას თერეფ ორთა ქოიუს მიფერდებაზე ოსმანლის დროს ათასცხრაასის თერთმეტიდან ათასცხრაასის ჩვიდმეტამდე ჯარების უფროსი იყო გურჯი ენერ ფაშა. იგირომის გურჯი სოფადი არ ეცი, ბელქიდა არშვიებში იქნება. ამ ენერ ფაშასა ორთა ქრქუს მიფერდებაზე სახლი ქონებია. მისი გოგო ახალთ იდგემდა ფეხსა. გაჭენებისან იმ მიფერდებიდან, გურედინან, დაგორვებულა, მომკვარა. ენერ ფაშასა ძალიან დანვია მისი გოგო. იგირომ გურედისთინ ენერ ფაშასა დურექმეგია სახელი გურჯუ ქიზ დოქუმუ-ქართული გოგოს გურედი. ახლაც ასე უძახიან ამ ფერსა.

ორთა ქრქის ზეთი ბალმუმეი ქუჩა არი. ამ იერზე ძუელათ ქუჩა არ ყოფილა, მინა ყოფილა ცარიელი. ეს მინა ფერთენდა სულთანის გოგოსთინ — სენიაპა სულთანითინ მის ძმასა — სულთან აბდულ აზიზსა მუუცემია. ამ მინაზე სულთან სენიაპას (ანაი — ფერთენდა სულთან — გურჯი ყავდა) დიდი ქოშქი გუუკეთებენია. იგირომ ქოშქმი მედარა, იქ უცოცხლია სენიაპა სულთანსა. ანაი გურჯი ყავდა და, კაციც გურჯი უნახავს, გურჯუ მაჰმედ ფაშა, ჯელალეთინი (1853-1903 წ. წ.). მის ქმარის ერთათ ყოფილა, უცოცხლია ამ ქოშქმი. მაჰმედ ფაშა იმდონზე გამზდარა ქი, სულთან აბდულ აზიზის პირველი კაცი გამზდარა. იგირომ ქოშქთან ერთი გურჯი ცხოვრებულა. თაფლის მუშებ აკეთებდა მეგომ. ამ მუშებსა სენიაპა სულთან და მაჰმედ ფაშა ქილისაში ანთობდენ მეგომ. ამ ქუჩას ახლაც ამიტომ ქვია ბალმუმეის ქუჩა. სიღლიამდინ აგერაქ ყოფილან. ახლა იგირომ ქოშქსა გურჯუ სენიაპა ქოშქ უძახიან. იგირომ ქოშქსა ამსოლოლში ისტამბოლის ჟანდარმასი უფროსები ხმარობენ, ჟდარან შიან.

ისტამბოლში კიდვენ მიეიფენება იერები, გურჯუ სახელი რომ ქვია.

* * *

— ბაღდათ ქოშქი მეოთხე მურად ფადიშაჰის დროს გაკეთებულა. ეს გაკეთებულა გიორგი სააკაძესთინ, მაგროვ შინისთინ გაკეთებულა. შაჰ აბასმა, ირანის შაჰმა, ერივან (რევან), ბაღდათ ჩამოიდა, ჯარების ერთად იქავრობა დეიზაფთა, დეიკავა. მეოთხე მურად ფადიშაჰმა ძალიან გაბლზბდა. ბათუმ გაგზავნილი ყავდა მისი პირველი კაცი — გურჯი მეჰმედ ფაშა. ხებერი შუთლია ფაშასთინ, თიფლიზ ალარ გედგვიდე, იქიდან დაბრუნდი, ერივან (რევან) გედგი, შაჰის ასკრები გადენე, მე აქედან გიორგი სააკაძეს ერთათ ბაღდათნა გადმოვდე. შენაც ბაღდათ გადმოხულა. ისე ხებერი შუთლია. გურჯი მეჰმედ ფაშას ბათუმ რომ ჩესულა, ბათუმი, აჭარა მუსლიმანობაზე დუუპაიჯნია. ბეერი ხალხი მუსლიმანი გამზდარან. ფადიშაჰიდან ამფერი ხებერი რომ შუუტყვია, იქიდან ერივან გედგულა, შაჰის ჯარები გუუდენია, იქიდან ბაღდათ ჩესულა. გიორგი სააკაძით, მეოთხე მურად ფადიშაჰით მოყრილან. შაჰის ჯარების ერთათ ომი უქნია. შაჰის ჯარები გუუდენიან. იქიდან დაბრუნებულან ერთათ, თოქათ გადმოსულან. თოქათი ძალიან მოშლილი ყოფილა. თოქათი ხალხი დამწყნარებითინ გიორგი სააკაძე დუუტყვია. ქართული მეჰმედ ფაშა, მეოთხე მურადი ფადიშაჰი ერთად ისტამბოლ ნამოსულან. ორ-სამ წელნად გიორგი სააკაძე თოქათ უყურებდა. გიორგი სააკაძე რომ დანუეს, მეოთხე მურად ფადიშაჰმა ძალიან შეწუხდა მეგომ. ბაღდათ ქოშქში მალმალე შედოდა სიმშარისგან, გიორგი სააკაძეს მიეგონებდა.

ბაღდათ ქოშქის ახლოზე ერივან (რევან) ქოშქი არი. ისაც ამენებულა გურჯი მეჰმედ ფაშის სახელზე, შაჰ აბასის ჯარები ერივან (რევან) ქალაქიდან რომ გადენა. გიორგი სააკაძე და მეჰმედ ფაშა ორსნავე ქართულები რომე არიან, ამითინ ბაღდათ ქოშქი და ერივან (რევან) ქოშქი ერთმანების მეზობელია. მეოთხე მურად ფადიშაჰმა ორი ქართული ფაშა — გიორგი სააკაძე და მეჰმედ ფაშა ერთათ იყუენ დია, ორი ქოშქი მეზობელი გახადა, ეს ქოშქები უუშენა. ბაღდათი და ერივანი (რევანი) ამ ორი გურჯი ფაშის საპსითი დარჩა თურქეთის თერეფზე. ამ საქმეს დიდი ფასი მიცა მეოთხე

მურად ფადიშაჰმა.

გურჯი მეჰმედ ფაშა 1603 წელს მისირზე ვალი იყო, მემრე ბელგრად თუნას ბოსნას ვალი იყო. 1626 წელს გახდა ფადიშაჰის პირველი კაცი. მაგერამ დროს გიორგი სააკაძეც დიდი კაცი იყო. 1629 წელს მოკლეს ორსნავე გურჯი ფაშები, ვერ გეიტანეს ამათი დიდობა. 1622 წელს მეოთხე მურადმა ერზრუმ ვალით აბაზა მეჰმედ ფაშით ომი ქნა. აბაზა მეჰმედ ფაშათვინ მორეგია. ეს ომი გურჯ მეჰმედ ფაშამ ქნა. აბაზა მეჰმედ ფაშა ისტანბოლ მუფუყანია, ფადიშაჰითვინ ჩუთესლიმებია. ფადიშაჰსა ეს დუუმწყრევია.

ფადიშაჰის, მეოთხე მურადის, სიძეი — დის კაცი, თოფალ რეჯებ ფაშა, მეგომ ძალიან ვერ ტანულობდა გურჯი ფაშების დიდაკობასა. გურჯი მეჰმედ ფაშისთვინ ბევრი რამე გამუფგონებია. ძალიან ბღებდებოდა ქი, რატომ ფადიშაჰის პირველი კაციაო. მეჰმედ ფაშის ალიგზე გასლა უნდოდა ფადიშაჰის სიძეს, თოფალ რეჯებ ფაშასა. რაცხა ქნა, ვერ ჩამუაგდებია მეჰმედ ფაშა. ფადიშაჰი არ ჯერულობდა მისი სიძის თოფალ რეჯებ ფაშასი თხრომობასა. ერთ ლამეს უჩუმალი გურჯუ მეჰმედ ფაშა მის დაძინებხან თოფალ რეჯებ ფაშამა ვე დაარჩობია, ვე მუაკლევია. აფნი კაცი, თოფალ რეჯებ ფაშა, ვე მისი ქალი (ცოლი) ფათმა სულთან ერთ ლამეს თოქათ მივედნ, სივასიდან, ერზრუმდიდან აწველი ჯარების ერთათ გიორგი სააკაძეს ნაყოფნი თოქათის ცხებეში შევედნ, დანუეს გიორგი სააკაძე და მისი კაცები. თოფალ რეჯებ ფაშა ის კაცია, ვინცხამ ჰემ უჩუმალი მეჰმედ გურჯი ფაშა დაარჩობია (მუაკლევია), ჰემ გიორგი სააკაძე დაანუევია. მისსაქმა კაცმა ორი გურჯი ფაშა.

ახლა ერთი გურჯი ქალების მაგრობის ხებერინა გითხრა. გურჯი ქალი მეტი ყიომეთლია თურქიეში. იმიოთვინ ძალუნ მუუნდებხან თურქებსა, სხუა ჯინსის, სისხლის ინსნებსა ჩუენთან დადოსტება, ჩუენიდან ძალის თხოვნა. გურჯი ქალი ოჯალსა, ქმარსა არ გაყიდის, არ უღალატებს. თუ დაჭირდა, კაცებს გუუდგება ბევრ საქმეში, მეტი გამჭროა, იგიოთია. ისტანბულის დოღმა ბახჩე სარაის მუზეშია ერთი მესხი, გურჯი ქალის ნენე ჰათუნის დიდი რესმი. ახლა იმაზენა გელაპარიკო... ეს ქალი ერზრუმის თურქედან ყოფილა. რუსიე და თურქიე რომ შერზბივიდან 1877-ში, რუსი ასკერი ეზრუმ მისლაშედი მისულან. ერთი მესხი კაცი, ამ ნენე ჰათუნის ძმა, მუუკლან რუსებსა. იარალი ძმა შესულა დასთან. ნენე ჰათუნსა პანაი ბლვი ყოლია და იმის აკვან არნობდა მეგემ. სისხლიანი ძმა რომე დუუნახავს, უყვირია: —ასლანავ, რა დეგემართაო. — ბევრი ყურშუმი ვჭამევიო, —უთხრომია ასლანასა, ნაქცეველა და სულიც მუუცემია. ნენე ჰათუნი სიმნარისკან გარეთ გამუარდნილა, ეზოდან ცული, წალი უუნეგია და უყვირია მეზობლებითვინ: — გარეთ გამოით, რუსმა გაქცქრანსა, ვერ ხედათ, ყუელია ერთი გაეხდეთ და გავედნოთ რუსიო. გერჩქე კაცი, ქალი, ბერი, გენჯი ყუელია ფეზზე ამდგარა და რუს გადდგომია წინა, დუუხოცვან რუსის ასკერი. ნამუუსხრეკიან რუსი, ერზრუმის ხოროსან ქალაქ მოსულან და იქ დამდგარან...

ნენე ჰათუნ ყარა ფათმა ამფერი იგიოთი ქალი ყოფილა. ოთხმოზდა თურამეტი წელიწადი უცოცხლია. ამერიკასი გენერალი მოსულა ეზრუმ და უკითხავს ყარა ფათმასთინ: — კიდო რომ ნამოვდეს რუსი ეზრუმზე რას იქო? — კიდო ისე ვიქმოდო, — უთქუამს ყარა ფათმასა... ეზრუმ შეპერში ერთ დერსა სახელი აქ „ გურჯუ კაფუუსუ“ — ქართუელების კარი. ამფრა დიდი ყოფილა გურჯისტანი... ახლა შიან რომე იჩუბვით, მაგასა ძალიან არ ვკადრულობთ ჩუენა...
მთქმელი მემედ-ემინ ქაია (მაკარაძე).

* * *

— ჩუენებური ერთი კაცი წესულა მოსაფირათ. ცხენით ყოფილა. ხისიმებთან დარჩენილა ერთ კვირას. უთხრობია ხანესაიბისთვინ, სახლშინა წევდო, ეყოფა ამდონიო. ხისიმებს დუუფიშმანან, მოი, კიდო შეეპაიჯოთ დარჩენაზეო.

- ნუ წახუალ, რა გეჩქარება, პანაი კიდევ დარჩიო.
- თექ თქუენ ხათრი არ დაქენ და ვიქნები კიდო ცოტა ხანსო. გეკდა ათი დღე-მოსაფირმა მენადინა ნასლა. კიდო შეპაიჯეს:
- შეეჩვიეთ ერთმანებსა, მოი, ცოტა ხანს კიდო იყავო.
- კიდო გამოვდა ხანი. მესამეზე წევდესნა. ცხენი გააპაზირებია, პეგბაში საქმელი ჩადებია. — ბალები მემენატრენ და წევდენაო.
- ოზანგზე შაუდესნა ჰამან, გარეთ არიან გამოსული ქალები, ბალები, დემშვიდობონა. პანესაიბმა სოზგელიში უთხრა: — რაფერნა დაქვტიონა ჩუენა, ერთმანები ძალიან შიგიყუარდაო. რაფერნა ვიყოთ უშენოთაო.
- დეიჯერა ეს ნათქუამი მოსაფირმა: — რა ექნა, ასე ნუ დამხათრებთ, სუნნეთია დარჩომაო. ჩამოვდა ცხენიდან და პანესაიბსა უთხრა: — ცხენი ახორში დააბით, დავრჩებო, თქუენ ხათრ ვერ დაგარჩენო.
- პანესაიბმა თქუა: — ახორში არ დააბათ, ჩემ ენაზე დააბით, ჩემ მოსაწყვეტელ ენაზე დააბითო.
- ამფერია ხათრიანი მოსაფირის მესელე.
- მთქმელი პუსეინ თუნჯი (შარაშიძე).

ადაფაზარი. სოფელი აპმედიე

- ძუელებიდა იყენ, რომ ილაპარიკონ ხებრები. ესა სოფელი ფელექლია, ახლა აპმედიე ქვია. ადაფაზარის ვილაეთის აქდაზ რაიონის აპმედიე სოფელში ვზივართ სულ აჭარის ზეგნის ხალხი: დაჩიეთიდან, კობალთიდან, შუბნიდან, კვესავრიდან, იაკობავრიდან ნამოსულები. ერთი ყებილე თუ აქ ვართ, ერთი-ორი ყებილე იქ ქყუავს. მარა აქნობამდი მისლა-მოსლა არ იყო და, ბევრი დაგავინყდა, გედევრეცხეთ. ახლა გზიები გეიხსნა, გადასლა გაყოლავდა.
- არ ვიცო, ვერდა ვთქვანა მეგერესა. ჩუენ კობალთიდან ვართ. სულ ჩემი მამათილი ბევრ მეგონებდა, იტყოდა იქავრობასა, იტირებდა... კობალთადამ დუუნერეს მექტუბი აქავრელსა, რა ქნა არ ვიცო... კობალთას ყოფილან ქიძინიძე. ისინი ვართ ჩუენ. უღვანოლები ვართ. არ ვიცით პიდამ არი ეს სოფადი.
- გადმოსულებმა მეგერ ბევრი იტირეს, იგორვეს გზიეფში, მარა ბოლოხან დადევს უმუდი და დაედენ აქა.
- თელი გამოტიალდებოდა, ბაბოი ცოცხალი ყოფილიყო. ახლა აღარ იციან. მამათილიც ილაპარიკებდა ბევრსა. ზაათი პილლეგობა, ერთობა გექონდა, მანიდობა გექონდაო. თიბეში მარტვაი არადროს არ ვიყავითო. თიბეში მემლექეთურ სიმღერებ ვიტყოდითო. გაზაფხულზე თაზე წევდოდით, ვინცხაი მარტოხელი იყო, იმის საქონელსაც წეყუანდითო.
- ბურჰან, წეიყუაი ბაღვი-მეთქი, გითხარ და? ხებერი მივეცეთ. ამისი ბიჭი ხოჯაია, ისაც მოვა. ბელქი ილაპარიკებს რაცხასა.
- ზაათი რა გექონდა. ახლაც რა გუაქ; ნაკა-წუკაი საქმე გუაქ. აქავრი ჩუენებური კაია, იერმანთარზე უმფო კაია.
- აქავრი ბალები სულ თურქა გედეიქვენ. დიდუანების ყუსურია ესა. მე რომ არ მელაპარიკნა გურჯიჯა, გელინი ვერ დეველაპარიკები, ჩუენებური კაია.
- მე არ მინდა თურქული გელინი, ვერ დეველაპარიკები, ჩუენებური კაია.
- ჩუენი ძუელები სულ იქავრობის დერდში იყუნ. გვესმოდა გონჯი ხებრები, ხალხსა იჭირვენ, კლენო, გადაამოსახლეს ბევრიო. მოკლეს-ში, დაწვეს-ში, რა ქნეს ნეტაი ჩუენი ნათესავები, ჩუენი ანაი-ბაბოი, და-ძმები, ჩუენი ყებილე. მეიგონებდენ, იტირებდნენ ჩუენი ძუელები...

- ისაყაი დელიყანილი გამოვდა.
- არსად არნა გიგიშვა, ჩემი მოსაფირინა გახდე. ქათამ ვაკლევით, მადემქი აქ მოხუელ. არ თქუა ახლა, მივლო, მენყინება, ჭადიგამჩენ.
- დავალ ძვილაი ეზო-კარში. დიაჰ და შენ ამოით მალ-მალე!
- ლექსები ვთქუა? რალა მახსოვს დედაბერსა. ამა მადემქი ჩუენებური ლექსები გინდა, გითხრა პანაი, რაცხა მომაგონდება.

**კახამბერზე გადავდექი, იქაც იყო ღულები,
ერთ გოგოსთან დავწვი, ქონდა თეთრი ბუბუები.
მოცვი ფოთლით ნუსხას ეწერდი, დამწიფებულ მოცვითა,
ციცავ, ერთი შაკოცნიე, გევიარ, წავალ ლოცვითა.**

— ჩუენა დაჩიძიებიდამ ვართ, ჩუენი ლალაბა ჩაქველოლი, ისე ფუტკარაძე ვართ. იქიდან წამოსულა მურადი ფუტკარაძე, ხანე ბითვი წამოსულა: ოსკორჯოლები, ჩავდაროლები, ყავიოლები. იქ დარჩენილან ორი ხალაი. ერთს სულთანაი ქვია... იქ წევს თურანდედეი, მურადასი ბაბოი... მე ომერაი მქვია, ფუტკარაძე ვარ, ჩაქველოლი-ჩეთინი. დაჩიძიებში ქუშტაროლი ჩუენ ოჯალზე ზის. ძალიან მინდა გადმოსლა, იქავრობის დანახვა. გერჩექ ისე ლამაზია იქავრობა, ბაბოი რომ მეიგონებდა და იტირებდა?!

— ჩუენ ქუთავრიდამ გადმოვსულვართ. აქ მოსულა ინუს ბოლქვაძე. მე ლისემი ვასნავლი... ქუთავრზე ჩუენი ხისიმები არიან ოსმანოლები.

— დაჩიძიებიდამ ჭედლისანი აქ იჯდა... ანაი დუუტეგია აგზე. თვითან წასულა. მუსტაფაი ყოფილა ჭედლისანი, დემირჯები.

— სურმანიძე ვარ, ოსკორჯოლები ვართ. ზოგი სურმანიძე მეღვექოლები არიან. იქ ბევრი ხისიმები მყავს. მოლა პარუნოლი ასან ალა იყო ჩემი დიდი დედეი, ჩემ წენესი-ალთუნასი ბაბოი იქიდან მოსულია... ახლა მიქელაძე არიან მახალაკეთიდან აბარგული დაჩიეთ. ახლა არიან იმათი ბიჭები, დურსუნასი ბიჭები. ერთი ჩემი წენეი გადმოვდა გათხვებული. მათი ყებილე იქ არიან. ასან ალას ძმები ყავდა, ოთხი ძმა. ყუელი იქ არიან. მერჯანაი იყო ერთი, ის გადმოვდა აქა. წენეი იტირებდა. იქ დარჩა მათი ანაი, ბაბოი. წენეი იტყოდა, ჩვიდმეტი დელიყანილი ერთათ ჭამდენო საჭმელსაო. იქ გარიგდენ... ბევრი ვწერე მექთუბები გურჯისტანში, მარა არ იქნა, იქიდან ჯულაბი არ გამომიგზავნეს. შავამვე მეც ხელი, წერილი რომ არ მომივდა. იქა სურმანიძე მეველდაი არი, ოსკორჯოლი. სხუანები არ ვიცი ქი.

— იქიდან გადმოსული მემედ სურმანიძე, მისი დიდი ბიჭი უსენია იქიდან არი მოსული. მისი ბიჭი ქერიმაი, მემრე ასანაი იშტა იმ დედემ მეიყუანა. ჩემი დედეი ქერიმაი იყო. იმათი ბიჭი იპაილი იქ არი. მისი ბიჭი შარაფეთინაი მე ვარ. ძალიან მინდა ჩემ ხისიმების დანახვა, ჩემ მემლექეთის მოვლა.

საუბარში მონაწილეობდენ ომერ ფუტკარაძე (ჩეთინი), შარაფეთინ სურმანიძე (ოსკორჯუ) და სხვები სოფელ აპმედიდან.

— ას წელსა თუე მიკლია, ძალიან დაშლი ვარ... ეკლებზე ვფდავარ, რაპათი არ მაქ... ვიცი ბარესამი იქავრი. ანაი ცოცხალ იყნეს, კაი იქნება... მე კობალთიდამ ვარ. ფინთი, მიმომტრევილი ადგილები ყოფილა, ამდგარან და წამოსულან იქედამ... ყურბანაი მახალაკეთიდამ არი. გოზო წენეი ყურბან ტაიასი ანაი იყო. ჩემი ხისიმი იყო. ჩემ ანასი ანაი და გოზო წენეი ხალაშვილები იყვენ. მემედ ლავი ხალაშვილი იყო გოზო წენესი. მემედ ალა დაჩიეთიდამ იყო. მისი იეგანი არი ინეგოლში სოფი უსენი ეფენდი, თორუნი

იქ არი... შუბნიდამ გათხვებულა კობალთას... ხინველოლები შუბან არიან, იქიდამ ვარ გათხვებული... გულფეთ ნენი მასხოვს... ესენი ხიმშიოლები არიან, მეც მათსა მისული ვარ, იმათთან ვარ... შუბან ხინველოლი შეიხი ყუელამ იციით. ოთხი ბიჭი ყავდა. ნური ეფენდი იყო ერთი. ხოჯის ბალები იყუნ. შემსედინი ქვიოდა ერთსა, ძუძუნანვარები ვართ... ისუფი, მოლა ნური, მემედაი — ესენი იყუნ იქ. თუ ვინმე იყნეს იქა, მოქეძენონ... ოსმანასი დედა ზეჰრაი აქ მოკდა. იქ იციან ესა... მეველუდაი ხემშიოლი იყო შუბნიდამ, გადმოვდა ჩუენთან. სინორი რომ ჩეიკლიტა, იქ დარჩა. მემერე გადმოვდა.

— ყურბან დედესი ხასი ემააშვილი შაჰია დედეი გამეიქვა მემლექეთიდამ, იჭირედეენ მეგემ. მოკდა ყურბანას სახლში. შაჰიას ინეგოლში პრატი ყავს ერთი. მარა ამათ მეიკდინეს. მახალაკეთიდამ იყო შაჰიანი... გოზო ნენი დაჩიეთიდამ არი გამოთხვებული მახალაკეთ... თუალგამიხოლო რომ იქნება, მოძენის... მე გუუხიტინე, ანე, ე!.. ჩემ მამითლე ყავდა ერთი... ბითევათ იცის, ეე!

— ნიგაზველინი ხიმშიოლები დენიჯაშიც არიან, ფუნდულლიშიც. მეველუდაი, მემედაი, აშმედაი. ესენი არიან ინუს დედესი შვილები. ნიგაზველიდამ ნამოსულან, აქ მოდენილან... ერთი ბიჭი გამოიდა აქა, დედინაცვალი ყოლია, იმა გამოქცევი. პანა ხან იყო აქა, მემრე გეიქვა ამერიკას, სახელი ქვიოდა რესულაი. ჩემ ტაია ქალის დისტული იყო... ჯაბნიძე იყო ღალიბა. „ჯაბნიძე, ჯაბნიძე, დაგვარ ხელი, დავბნიდე“. — იტყოდა ანაი, რეჰმეთლი.

— პრატ დუშახე, ჭო! ამათ საქმელი მივართვათ... ძალიან გომიხარდი შენა, რომ მოხუელ და მნახე, ღმერთმა სისალე მოქცეს... გედეიტაი ჩემი სელამი მემლექეთში, ხისიმი თუ არიან, მოქეძენონ.

— გავრები დედოდენ აქავრობაში... დაჰა გახსნილა გზა, რალა უნდა ახლა გადასალა, ნეტაი გენჯი ვიყო და ნედოდდე. ერთ დედნახედე აჭარასა!!

— ყულამფერი გეჰოვნება სახლში, მოგართვათ საქმელი?!

— გვიან ვჭამეთი. ჰავა-აბლასთან მიყუათი მოსაფირი და აღარ გამოგვიშვა უჭმელი. თქუენთანაც ჩამევიარეთ, ჰამა სახლი დაყრილი დაქვხდა.

— სხალთას ისმალღილი იყო. ის იტყოდა სიმღერას, მისი ქალიც იტყოდა. ძალიან ჭიბონჯი იყო... ლექსები ჰალა მასხოვს, ყაფა აღარ საქმობს, დავბერდი. რაძლა თუ მომაგონდა, გეტყვი: გოგოს ვითხოვ, ქალს — ვერაო, ლექს ვიტყვი და ბანს — ვერაო; ეგ ლამაზი ხასი კაბა ვინ მოგიტანაო... ბანმაროს თებზე თოვლი გათოვლდა, შეყუარებულო, ჰა გიგითენდა;... რასძალა დედაბერი ვარ, რალა მასხოვს.

— კობალთას მოლოლები — ინუს ეფენდი, ჯემშუნ დედეი, — ჩემ ბაბოსი მეზობლები იყენ. მე იქიდამ გადმოვსულვარ ორ-სამი წლის. მუჰაჯირებსა აკვენებით ნამუთყუნანიან ბალები. ძუძუ უნვებიან გემში. რამდენი დახოცილან და ნყალში გუდუყურიან კდრები... ეი, ვას! ეი, ვას!..

— რაძლა მომაგონდა, ყუელამფერი გითხარ. სხუანები დამავინყდა, წევდა...

— იმას ვმასხაროფ... შუბან რომ გახვიდე, მეიკითხე, ბელქიდა ეცოდინებთან იაშლებსა, რასძალა მოხუცებსა: ჩემ ანას ჭრელ-ჭრელი თუალები ქონდა, ლამაზი ქალი იყო, კაკაბას უმახიდენ მეგემ. ამ მემლექეთში გადმოვდა და მალე მოკდა. ანას ემოშვილები დაჩიეთაც ყოლია გათხვებული. დაჩიეთ სუქუთოლოლებში ყოლია გათხვებული ემოშვილები, მემედ ემოსი, ისუფ ემოსი პრატი... შუბან უზუნანოლები არიან; აქაც არიან გაფუთუნებულნი, გამოიდე და აქ არიან გამათარებულნი.

— შენი სული მომართვი, ნენე. თექ დარჩი ჩუენთანა, იმფერ ადგილზე დაქსუამ, რომ ქოშეზე, ზეთი... ერთი გაი, მაგ საქმე გაანყე და მემრე გამუაფუტე აქეთ... ჩუენთან იყავ, ძვილაი მოგიყაუერებთ.

— ჩემ ანასი ანაი ტომემეთიდამ იყო, გულიზარაი... მის ბაბოსა შავ დედეს უძახდენ,

ისე ერქუა ასანაი... კატაროლები ჩემ ანასი ტაიაშვილები არიან. კატარაი ტაიაი იყო ანასი. აქ მისი არიან მემედ-ემინი სულაღე ისტამბულში. კატარას ქალი იყო უზუნანოლებიდან, პესრეთაი ერქუა... აქ ისე ქვიოდენ...

— რასძალა დედაბერი დეენახე გოზო ნენეი. შვილსა ეტყოდა: — ოსმან, გეიფხიზლე, გეიფხიზლეო. ახლა აღარ იციან ამფერი ლამაზი სიტყუები.

— კიდვენ მოით. რომ არ მოხვიდეთ, გეგბუტვი... აართვა უნდა აბა, რანა ქნა... აქავრი ჰედდე ჩეიტანონა მემლექეთში...

— დოხტურიანა მომიყუანოს ჩემ დის შვილმა. ვანახვიონა ტკივანა ფეხი.

— ბარესმი ხებერი გითხარ... მოქეძებნონ ნათესებმა, ახრაბებმა.

საუბრობდა ილღიზ ხიმშიაშვილი (ჩეთინქაია), 99 წლის, მუჰაჯირი ქართველი. ქ. ადაფაზარი.



იშნელებისა და ოშკელების სამშობლოში

ისტორიული ზემო ქართლის შემადგენელ ნაწილს — ტაოს საქართველოს დიდებულ ნარსულს შენებაში ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაუნერია. იგი იყო ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთის მტკიცე კედელი და ევროპულ (ბერძნულ) ცივილიზაციასთან დამაკავშირებელი მთავარი კარი. მისი საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით იყო „გზა ქართლისა“ — „საქართველოს ყელი“ („გურჯი ბოლაზი“), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — გაიურდაღლარი, ცნობილი ქარგა ფაზარ დაღლარის (ყვავევის ბაზარის მთების) მთაგრეხილის ერთი მონაკვეთი (გაიურდაღლარი — ურნმუნოთა მთები). აქაურ მცხოვრებთა გადმოცემით, აქ იგულისხმება ქართველთა მთები, სადამდეც აღწევდა ისტორიული საქართველოს საზღვარი. მდებარეობს ერზრუმის ჩრდილოეთით (იხ. ჯუანშერი, ვახუშტი, ექვთ. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი).

ტაო გაშლილი იყო მდ. ჭოროხის აუზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იგი მოიცავდა ყოფილი ოლთისის ოკრუგს, თორთომს, იშხანს... ხშირად ტაოში შედიოდა ისპირიც (4, 199). ტაოს სოფლები გაშენებულია მდ. ჭოროხის (სათავეს იღებს ბაიბურთისა და ისპირის მთებიდან, რომლებიც ქმნიან ზეკარს — „გურჯი ბოლაზს“ — საქართველოს ყელს, კარს) შუა ნელის მარჯვენა და მარცხენა შენაკადების ხეობებში, როგორცაა: მარჯვენა შენაკადი — ოლთისის წყალი (გამოდის სვერიდალის მთებიდან და თავისი მრავალრიცხოვანი შენაკადებით ქმნის დიდ აუზს. მას ერთვის მარჯვენა შენაკადები — ბანას წყალი, ყანლის წყალი, სალაჩურის წყალი; მარცხენა შენაკადები — სევრის წყალი და თორთომის წყალი, რომელიც ქმნის თორთომის ტბას) და მარცხენა შენაკადი — პარხლის წყალი (ამასაც მრავალი შენაკადი აქვს. მათ შორის აღსანიშნავია ქუაბაგი და არმენხევი). პარხლის წყალი სათავეს იღებს პონტოს მთებიდან, რომლის უმაღლესი მწვერვალები — ალითპარმალი და მასისი (გ. ყაზბეგი, მარსისი) დაჰყურებენ ღრმა ხეობებში გაშენებულ ტაოს სოფლებს.

მდ. პარხლის ხეობის სოფლებია: დიდელე, დიდხევი, პეტარა ინტკორი, დიდი ინტკორი, ევაწკეთი, ჭილათი, მახათეთი, სარიგოლი, ქისბორეთი (თისბორეთი), ხევმუდი, ოლდემი, ნვევიბარი, არჯევანი, სოროხევი, ვანისხევი, ელიასხევი, ქორიეთი, ფიქალთავი, ნიკოლოვი, ბერთხევი, ფარიხევი, კრეკლათი, კონნოლი, ფიჩხეთი, უტავი, ახალთი, დეთისა, ნავანევი, გუდასხევი, კუპრეთი, ბონწინდა, ბალხიბარი, ქუაბაგი, კილიონი, ხევენგი, ხევრცუცი, არმენხევი, პარიხევი, ხევა, ქონბანი, ფიშნარი ხევი, იეთი, ველითავი, საფარანთე, სადგოყანა, ნითღეკარი, ხუცეკარი, ჭედლიან კარი, ცერეკარი, ობლგეკარი, დოლგეკარი, ვაჩეკარი, გოდღეკარი, კლაეკარი... პარხლის წყლის ხეობა ისტორიულ წყაროებში ცნობილია, როგორც საკავასიძო (კავასიძეთა სამფლობელო), ისპირ-ტრაპიზონის მთას გადმოღმა, რომელიც იშხნელის სამწყსოდ ითვლებოდა (2, 75-77).

მდ. ოლთისის ხეობაშიაც არის ქართული სოფლები. ერთ-ერთი ასეთია „ტაოსკარი“ (ტაუსქერი), სადაც ექვთ. თაყაიშვილს უმასპინძლა დევრიმ-ბეგ ხიმშიაშვილმა, დურსუნბეგის შვილმა. იგი გაშენებულია ქვაბულში, სადაც ტაოსკარის წყალი ერთვის სალაჩურის წყალს (მდ. ოლთისის შენაკადს). ექვთ. თაყაიშვილი წერს: „ძველ ისტორიულ სახელს ამ ქვეყნისას, „ტაოს“, რომელიც ცნობილია ქსენოფონტეს აღწერილობით მეოთხე საუკუნედან ქრისტეს წინ, ახლა მოგვაგონებს ხოლმე მარტო ამ დაბის სახელი, ტაოსკარი. ეს სახელი ზედგამოჭრილია ამ ადგილისათვის, ვინაიდან ტაოში ვინრო კლდოვან გამოსავალს მდინარისა თუ ხევის კარს უწოდებენ“ (6, 368).

მდ. ოლთისის ხეობაშია აგრეთვე შემდეგი ქართული სოფლები — ბანა (პენიაკილფანაქი), სოლომონისი, კოსორი, ორთული, ფარნაქი, ავჭალა (მახლობლად მარილის სარენია), ოლორი, ორთისი, კიახი, ფანასკურტი, კარნავაზი (სადაც ექვთ. თაყაიშვილი შეხვდა ბეგ ხიმშიაშვილს და დაათვალიერა მათი სასახლე), ანზავი, იშხანი, ჭიმჭიმი (ჩილჩიმი)... ქ. ოლთისი, „ქალაქი კარგი და კეთილ-პაოვანი. აქ არის ციხე მაგარი და დიდშენი. არს მეორე საჯდომი ათაბაგისა, ვითარცა ახალციხე“ (3, 683).

მდ. თორთომის ხეობაშია ცნობილი სოფლები ოშკი (ერშქ-ვანქ) და ხახული (ხახუ). ტაოს რამდენიმე ქართული სოფელი ჭოროხის ხეობაშიც ვხვებით. კერძოდ: ქართა, ხომხალი, ბინათი, უშუბი, კონახური, ოთხთა ეკლესია, ცრია, ხოთი, გუშტალი...

ტაოს მოსახლეობა არაერთგვაროვანია, რაც ამ მხარის ისტორიის კულტურების ანარეკლია, საუკუნეთა განმავლობაში ბერძენთა, სომეხთა, არაბთა, მონღოლთა, თურქთა სახელმწიფოების შემადგენლობაში ყოფნის შედეგია. აქ ცხოვრობენ ბერძენები, სომეხები, თურქები, ქურთები, ტაჯიკები. ისინი ოდითგანვე ქართველების გვერდით სახლობენ და კეთილმეზობლური დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან. მოსახლეობა ამ მხარეში საერთოდ ძველთაგანვე ჭრელი ყოფილა, მაგრამ უმრავლესობას ყოველთვის ქართველობა წარმოადგენდა.

„ტაო-თორთუმი... ქართველთა ტომით, მესხებით იყო დასახლებული. ქსენოფონტე, რომელმაც ბერძენთა 10000-იანი მხედრით IV საუკუნეში ქრისტეს წინ ამ მხარეში გამოიარა, მცხოვრებთ ტაოხებს (ტაოხთი) უწოდებს, ე.ი. ტაოს მცხოვრებთ. მეორე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს წინ, ანტიოხ დიდის დამარცხების შემდეგ, მისმა სარდლებმა არტაქსიმ და ხარიადრმა, სტრაბონის ცნობით, სომხეთი დაიპყრეს და ამათ გააფართოვეს სომხეთის საზღვრები მეზობელი ერების, ხალიხების, მოსსინიკების და სხვების მიწების შემოერთებით. შემდეგ ტაოც შევიდა სომეხთა ამ სამფლობელოში ტაიკის სახელით. აქედან იწყება სომხური ენის გაძლიერება ამ ადგილებში. ქალდეაში, პლინიუს სკუენდუსის თქმით, ჩნდება შერეული ტომი სომეხთ-ქალიხებისა (გენს არმენო ხალიხს). ასეთი შერეული მოსახლეობა სომეხ-მესხებისა უნდა ვიგულისხმოთ შემდეგ დროში ტაომიც“ (4., 203-204).

არაბების შემოსევამდე ტაოს უმეტესი ნაწილი სომეხთში შედიოდა. აქ იყო გავრცელებული სომხური ქრისტიანული კულტურა. არაბების შემოსევის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მურვან ყრუს ლაშქრობის დროს აოხრდა ტაო. ეკლესია-მონასტრები ნანგრევებად იქცა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ მტერთან ბრძოლაში და შემდეგ ხოლერიით თითქმის განადგურდა. ამ მხარის აღორძინება დაიწყო მას შემდეგ, რაც ქართლიდან არაბთა მიერ დევნილი აშოტ დიდი მოვიდა კლარჯეთში დიდი ამალით და დაემკვიდრა, გახელმწიფდა ტაო-კლარჯეთში (780-826 წ. წ.). აქედან იწყება გაქართველება წინეთ გასომეხებული ქართველებისა (4, 205). აშოტ დიდის დროს აქ მოვიდა გრიგოლ ხანძთელიც და სამონასტრო მშენებლობა გააჩაღა. მას ტაო ისე აოხრებული დახვდა, რომ იშხანში ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ამენებული წმინდა ტაძარი — „პირველი დიდებულები“ საძებარი დაურჩა. მხოლოდ ღვთისგან ეცნობა ტაძართან მისასვლელი გზა, „რამეთუ მის ჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი და მი-რავიედეს იშხანს, ფრიად უხაროდა პოენაი დიდებულისა მის ადგილისაი“ (8, 549).

ისტორიული ტაო საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იყო გაშლილი. იგი „ორად იყოფოდა; არსებობდა „იმიერ-ტაო“ და, რასაკვირველია, ამიერიც იქნებოდა. იყო „ქუემო ტაო“ და უეჭველია, ზემო ტაოც იქნებოდა... დავით კურაპალატს „იმიერ-ტაო“ სჭირია, „ამიერ-ტაო“ კი გურგენ მეფეს...“ (13, 65). დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ „იმიერ-ტაო“ დაიპყრო ბერძენთა მეფემ ბასილმა. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „იმიერ-ტაო“ უნდა ყოფილიყო ტაოს სამხრეთი ნაწილი, რომელიც საბერძნეთს ეკრა, ხოლო „ამიერ-ტაო“

ჩრდილოეთი ნაწილი. ტაოს ორ ნაწილად ჰყოფდა ბანას წყალი. ბანას თავდებოდა ქართველთა მეფის სამფლობელო და სამხრეთით იწყებოდა ბერძენთა მეფის საბრძანებელი. აქ ყოფილა საზღვარი XI საუკუნეში (13, 65).

ტაო, კლარჯეთთან ერთად, გამოდიოდა საქართველოს გაერთიანების მესაძირკველდ. ბაგრატ III-ის დროს (978-1014 წ. წ.), როცა გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად ქუთაისი იქცა, ტაოც შედიოდა ბაგრატიონთა სახელმწიფოში. დავით აღმაშენებლის დროს ტაო გვევლინება გაერთიანებული საქართველოს „ოქროს ხანის“ ერთ-ერთ მშენებლად.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, თუ როგორ დანიშნაურდა თამარის დროს ზაქარია ფანასკერტელი და გახდა შვემეთ-ტაო-კლარჯეთის ერისთავი, რომელმაც დაამარცხა თამარ მეფის მონინააღმდეგე, ერისთავთ-ერისთავი გუზან ტაოსკარელი (10, 130).

მონღოლთა ბატონობის პერიოდში და გიორგი ბრწყინვალის (გიორგი VI) მეფობის დროს (1328-1346 წ. წ.) ტაო შედიოდა სამცხე-საათაბაგოს სამთავროში, რომელსაც განაგებდნენ სამცხის ათაბაგები ჯაყელთა სახლიდან. მე-15 საუკუნის დასასრულიდან იწყება საქართველოს დაკნინების ხანა, როცა ერთიანი სახელმწიფო დაიშალა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ეს პროცესი შეეხო ტაოსაც.

„ანატოლიისა და კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა სულთან სულეიმან დიდის დროს (1552-1566 წ. წ.) დაიკავეს არზრუმი, ვანი და ყარსი... ათაბაგ ქაიხოსრო მეორის დროს (1545-1573 წ. წ.) დაიპყრეს მთელი ჭოროხის აუზი, სახელდობრ, 1550 წელს — ტაო“ (4, 215). ამიერიდან ტაო, სამცხე-საათაბაგოსთან ერთად, შედიოდა ერზრუმის საფაშოში. მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან ტაოს გამგებლები არიან ბეგები ხიმშიაშვილთა გვარიდან, სელიმ ფაშის შვილები — უსეინ-ბეგი ანზაველი და დურსუნ-ბეგი ტაოსკარელი. სელიმის შვილები იყვნენ გარეთვე ახმედ ფაშა აჭარელი და აბდი ბეგი შავეშეთელი (6, 313, 375). 1878 წლიდან ტაო შედიოდა ყარსის ოლქში.

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბერლინის ტრაქტატით რუსეთს დარჩა (საქართველოს დაუბრუნდა) ყარსის და ბათუმის ოლქები... როდესაც საქართველო განთავისუფლდა რუსეთისაგან და შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, ის ადგილები, რომელნიც შეადგენდნენ სამცხე-საათაბაგოს ნაწილებს, ითვლებოდა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში (4, 215, 226). მაგრამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით წითელი არმიის ნაწილებმა 1921 წლის თებერვალში დაამხეს თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკა და სისხლისსაგან დაცალეს... დაიწყო საქართველოს ტრაგედია. 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში დადებული ხელშეკრულებით ოსმალებმა მიიღო ბოლშევიკებისაგან ბერლინის ტრაქტატის ძალით დაკარგული ტერიტორიები, მათ შორის ოლთისის ოკრუკი, რომელშიც შედიოდა ტაო.

ამჟამად ისტორიულ ტაოს მოიცავს იუსუფელის, ოლთისის, თორთომის, უზუნდურეს რაიონები და წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიას.

ტაომ, კლარჯეთთან ერთად, უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. აქაურ მონასტრებშია გადაწერილი უძველესი ტყავის ხელნაწერების უმრავლესობა. ქართულმა არქიტექტურამ, ხუროთმოძღვრებამ, ფერწერამ აქ მიაღწია განვითარების მწვერვალს. თავისი გრანდიოზულობით დღესაც აჯადოებს მნახველს პარხალი, ოპი, იშხანი, ოთხთა ეკლესია, ბანა, ხახული...

ტაო იყო მეთათუ საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი ცენტრი. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მიწმოგრაფები და მთარგმნელები. მეცნიერთა აზრით (კ. კეკელიძე, ექვთ. თაყაიშვილი), ტაოული უნდა იყოს ფილოსოფოსი და მთარგმნელი იოანე ჭიჭიშვილი. მას იხსენიებს თამარ მეფის ისტორიკოსი (10, 364). იოანეს ქების სახით აღუწერია დიმიტრი მეფის (დავით აღმაშენებლის ძის — 1125-1154 წ. წ.)

და მხნეობა. იგი იყო პეტრინოზული სალიტერატურო სკოლის მიმდევარი.

ამ კუთხის შვილია ცნობილი ჰიმნოგრაფი მიქელ მოდრეკილიც, რომელიც მოღვაწეობდა ოშკის ლავრაში. კეკელიძის აზრით, იგი არის ექვთიმე ათონელის ძმა (7, 175), მოღვაწეობდა მათე საუკუნეში და იყო ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ოშკის ლავრაში მოღვაწეობდა ცნობილი მთარგმნელი და ლეთისმეტყველი გრიგოლ ოშკელი.

„პარხლის ოთხთავი“, 973 წელს იოანე ბერას მიერ შატბერდში გადაწერილი სახარება (რომელიც შესწირეს პარხლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას), ქართული კულტურის თვალსაჩინო ძეგლია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია „პარხლის მრავალთავი“ (X ს. დასასრული), რადგან ეს ძეგლი უძველესია იმ ხელნაწერთა შორის, რომელთაც შემოგვიწახვს ქართული ლიტერატურის თავფურცელი „შუშანიკის ნაშება“. კრებულის შემდგენელია გაბრიელ პატარა. მას განუზრახავს შეედგინა „დედათა ნაშებანი და ცხოვრებანი“ და კრებულში შეუტანა „შუშანიკის ნაშება“.

სოფელი პარხალი გამოილია პარხლის წყლის ვინორ ხეობაში. ცნობილი პარხლის ბაზილიკა დგას შემადლებულ ადგილას. ტაძარი დიდი ხანია მეჭეთად გამოიყენება, ამიტომაც კარგად არის დაცული. პარხლელებმა ამ ბოლო დროს ახალი მეჭეთი ააშენეს, მაგრამ ძველი სამლოცველო მთლიანად არ მიუტოვებიათ. ბაზილიკის იატაკი დღესაც ხალიჩებითაა მოფენილი და ყოველ პარასკევობით მორწმუნენი აქ მოდიან სალოცავად. ეკვდრი, რომელიც „ტლანქი ნაგლეჯი ქვებით ყოფილა ნაშენი და მცხოვრებლები ბოსლად, სათივედ იყენებდნენ (იხ. 5, 86), დაუნგრევიათ. ბაზილიკის გვერდით აუშენებიათ სოფლის დაწყებითი (იხ. კლასიანი) სკოლის ქვის შენობა. ტაძრის ეზოში ბავშვები თამაშობენ და მათი ურიაშული აცოცხლებს ამ მღვდარე საყდარს (1992 წლის 23-24 ოქტომბერს ტაოში, კერძოდ, პარხლის ხეობაში, ვიმოგზაურე მცირე ჯგუფთან ერთად, რომელშიც შედიოდნენ: პროფესორი გ. შარაძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, დოც. ა. ახვლედიანი, ქ. ბათუმის ვიცე-მერი, არქიტექტორი თ. კობახიძე, დოც. გ. შერვაშიძე, ვ. თევზაძე. მგზავრობის ხარჯები გაიღო და წახაზი ფოტო-ვიდეოფორმებზე აღბეჭდა საქართველო-რუსეთ-თურქეთის ერთობლივი ფორმის — „სარფის“ პრეზიდენტმა თ. თურმანიძემ).

1874 წლის ზაფხულში ლაზისტანის მთიანეთის გავლით ტაოში იმოგზაურა გ. ყაზბეგმა (11, 111-124). მან ნახა სოფლები პარხალი, ქუაბაგი და არმენხევი, აღწერა პარხლის ტაძარი. 1917 წელს ექვთ. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპედიცია ტაოსა და თორთომში. მაგრამ ექვთ. თაყაიშვილმა დროის სიმციროს გამო ვერ შეძლო პარხლის ნახვა. თბილისში დაბრუნებისთანავე მან ექსპედიციის ორი წევრი მაშინვე მიავლინა პარხალში წინასწარი გამოკვლევის ჩასატარებლად. მათ დაზომეს ოთხთა ეკლესია და პარხლის ბაზილიკა, გადმოიღეს ნარწერები და ფოტოგრაფიული სურათები. მას შემდეგ ქართველ მეცნიერებს პარხალში აღარ გაუვლია.

პარხლის ტაძარი აშენებული უნდა იყოს 973 წელზე ბევრად უფრო ადრე, რადგან ამ წლისათვის (როცა შესწირეს შატბერდში გადაწერილი ოთხთავი) აქ უკვე მონასტერიც კი არსებობდა (5, 88).

პარხლის მოსახლეობას ქართული აღარ ახსოვს, თუმცა სოფლის ადგილების ქართულ სახელებს ასახელებენ. ზოგიერთს ქართული, მართალია, ესმის, მაგრამ თავისუფლად ლაპარაკს ვეღარ ახერხებს. ამიტომ გაბმული მეტყველების ტექსტის ჩაწერა აღარ მოხერხდა.

ოშკის მონასტერი მდებარეობს თორთომის წყლის მარცხენა ნაპირას, მაღალ ფერდობზე. ამ ადგილას თორთომის წყალს ერთვის პატარა მდინარე, წარმოქმნილი ოშკის ხევისა და მანსურის ხევის ღელეების შეერთებით. ხეების შესართავთან კლდეები ისე უახლოვდება ერთმანეთს, რომ გასაველი გზის სიგრძე ორ მეტრს არ აღემატება.

ამ ღრმა ხევთა და მაღალ მწვერვალთა შორის ხელოვნურად დავაკებულ ფართობზე აღმართულია ოშკის მონასტრის უზარმაზარი ნაგებობა. თორთომის წყლის ნაპირიდან მონასტრამდე ხუთი კილომეტრია. თორთომის ტბის დასაწყისიდან, სადაც მდ. თორთომი ერთვის ტბას, ტაძარი კარგად მოჩანს. „როცა ზედ მიადგებით, ის მოულოდნელად გეცემათ თვალში, როგორც ჭლარა ბუბებრაზი, ბუერი ჭირ-ვარამის გადამხდელი და საკმაოდ დაზიანებული“ (5, 32). მიუხედავად ამისა, ოშკი დღესაც აოცებს მნახველს თავისი გარანდიულობით. „იგი თავისუფლად აუბამს მხარს ქუთაისის ტაძარს, მცხეთისა და ალავერდის ტაძრებს“ (5, 57). ტაძარი აუშენებია მეთუე საუკუნის მეორე ნახევარში ტაოს ბაგრატიონებს (ადარნასე კურაპალატს და მის შვილებს — ბაგრატს და დავითს). მშენებლობის გამგე ყოფილა გრიგოლ ოშკელი, რომელიც ცნობილია, როგორც მთარგმნელი გრიგოლ ღვთისმეტყველის ზოგიერთი შრომისა.

დღემდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ნუსხა ბიბლიის არის „ოშკის ბიბლია“. იგი გადაწერილია 978 წელს ოშკის იოანე ნათლისმცემლის ლავრაში თორნიკე ერისთავისათვის, რომელმაც იგი შესწირა ათონის ქართველთა მონასტერს. ოშკი იყო ქართული კულტურის ცნობილი კერა მთელს ზემო ქართლში.

ოშკი ამჟამად თითქმის ნანგრევებად არის ქცეული. დაცულია მისი სამხრეთი მკლავი, რომელიც მუსლიმანებს დიდი ხანია მეჩეთად ჰქონიათ გადაკეთებული.

იშხნის საეპისკოპოსო ტაძარი მდებარეობს ტაოში, სოფელ იშხანში, ჭოროხის მარჯვენა შენაკადის ოლთისის წყლის მარჯვენა ნაპირას. ადგილი საუცხოოა მდებარეობით, კარგი ჰაერით და წყაროებით, ბალებითა და მშვენიერი გადასახედით. სოფელ იშხნის მცხოვრებნი გამაჰმადიანებული ქართველებია, მესხები. 1917 წელს ქართული ზოგ მოხუცებულსდა ესმოდა, სხვებს უკვე დავიწყებული ჰქონდათ (5, 7). ამჟამად ქართული აღარავის ახსოვს.

იშხანში მეცხრე საუკუნიდან ქართველი ეპისკოპოსების კათედრა არსებობდა. აქ ადრეც ყოფილა საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც აუგია VII საუკუნეში ნერსე ეპისკოპოსს. იგი შემდეგ გახდა სომეხთა კათალიკოსი ნერსე II. გრიგოლ ხანძთელის ტაო-კლარჯეთში მოსვლის შემდეგ მისმა დეიდაშვილმა — საბამ გრიგოლის დავალებითა და ბაგრატ კურაპალატის დახმარებით განაახლა იშხნის მონასტერი (ფაქტურად მეორედ იქნა აშენებული, რადგან არაბთა შემოსევის დროს დიდი ზიანი მიადგა ტაძარს). საბა გახდა იშხნის პირველი ქართველი ეპისკოპოსი (იშხნელი).

ტაო-კლარჯეთში, როგორც ცნობილია, ოთხი საეპისკოპოსო ტაძარი იყო — ანჩა, ტბეთი, ბანა, იშხანი, სადაც მოღვაწეობდნენ ზემო ქართლის ეპისკოპოსები. სამეფო კარზე ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა იშხნის ეპისკოპოსი იშხნელი. იშხნის კათედრა არსებობას განარქობდა ოსმალთა მიერ ზემო ქართლის დაკავების შემდეგაც, ოღონდ იშხნელებს ოსმალეთის სულთნები ამტკიცებდნენ. იშხნის კათედრა საბოლოოდ გაუქმდა მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში (5, 9).

იშხნის ტაძარი საკმაოდ კარგადაა დაცული. მისი დასავლეთი მკლავი გადაკეთებულია მეჩეთად. სწორედ ამან იხსნა ტაძარი სრული განადგურებისაგან.

ხახულის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი მდებარეობს თორთომის წყლის მარცხენა შენაკადის, ხახულის წყლის ხეობაში. ეს ხეობა ვინროა და თითქმის 7 კმ-ის მანძილზე გრძელდება. სოფელი ხახული მთელი ხეობის გასწვრივ არის გაჭიმული, მდინარის ორივე ნაპირსა. მონასტერი გაშენებულია შუა ხეობა, მდინარის მარცხენა ნაპირზე, მთის ძირას. შორიდან არ ჩანს, თითქმის მთის უბეშია შენახული (5, 59). ტაძარი აუშენებია დავით კურაპალატს მეთუე საუკუნის მეორე ნახევარში.

ხახულის მონასტერი ძველი საქართველოს განათლებისა და კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო კერა იყო. აქ ამზადებდნენ ღვთისმეტყველებს, მთარგმნელებს, კალიგრაფებს. გიორგი მთაწმინდელს სწორედ ამ მონასტერში მიუღია პირველდანიებითი

განათლება და აქვე აღკვეცილა ბერად. ჩვენამდე მოღწეული ბევრი ძველი ხელნაწერი ხახულშია შესრულებული. ლეთისმშობლის სახელგანთქმული ხატი მე-12 საუკუნეში ხახულიდან გელათში გადმოსვენეს („ხატი ამისი არს გელათს, რომელი შეამკო აღმაშენებელმან, მერმე თამარ მეფემ“) (3, 686).

მამადიან ქართველებს ხახულის მთავარი ტაძარი მეჩეთად გადაუქცევიათ. ამჟამად ახალი მეჩეთი აქეთ აშენებული, მაგრამ მაინც დიდი პატივისცემითა და რდიით ეპყრობიან მონასტერს. ტაძრის კარის ბჭეში ლეთისმშობლის სურათია გამოქანდაკებული. მორანშუნენი აქ მოდიან და წმინდა მარიამს სთხოვენ შველას, განსაკუთრებით ქალები, მორანც ლოცულობენ (4, 219). სოფლის მცხოვრებლებმა იციან ქართული, მაგრამ ხშირად არ ამჟღავნებენ. დროის სიმცირის გამო ვერ მოვასწარი მათთან გაშინაურება და გაბმული მეტყველების ტექსტის ჩანერა.

ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი — ბანას ტაძარი ტაოს სიძველეთა შორის ყველაზე ხანდაზმულია. ტაძარი დათარიღებულია VII საუკუნით (გ. ჩუბინაშვილი). არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც (ექვთ. თაყაიშვილი), რომლის მიხედვით იგი აგებული უნდა იყოს IX საუკუნეში (6, 315). ბანას შესახებ ცნობებს გვანდინი: სუმბატ დავითის ძე (XI საუკუნის პირველი ნახევრის მემამულე), ვახუშტი ბატონიშვილი, კარლ კოხი (გერმანელი მოგზაური და ბოტანიკოსი), დ. ბაქრაძე, ექვთ. თაყაიშვილი. ეს ძეგლი 1902 და 1907 წლებში არქეოლოგიური ექსპედიციების დროს საფუძვლიანად შეისწავლა ექვთ. თაყაიშვილმა. ბანა კ.კოხმა ნახა 1843 წელს, როცა ძეგლი ჯერ კიდევ დაუზიანებელი იყო. იგი, ამ ტაძრის გრანდიოზული სილამაზითა და სიდიადით მოხიბლული, ასე წერდა: „ყველაზე უფრო ლამაზი და ყველაზე უფრო მშვენიერია ბანა მათ შორის, რაც მე ამდგარი რამე მიწახავს მთელს აღმოსავლეთში, კონსტანტინეპოლის გამოკლებით“ (5, 318).

ბანა იყო ტაოს მეორე საეპისკოპოსო საყდარი, ქართული კულტურის თვალსაჩინო კერა. მე-11 საუკუნეში აქ გადაწერილია დიდი ტყავის კრებული, რომელიც უმთავრესად შეიცავს გრიგოლ ლეთისმეტყველის შრომებს.

ბანას ტაძარი მდებარეობს ალთისის წყლის შენაკადის მდ. ბანას მარჯვენა ნაპირას, სოფელ პენიაკთან (ფანაკთან) ახლოს (6, 315). ძეგლს 1907 წლიდან დიდი ცეკილება არ განუცდია, ნანგრევებია შემორჩენილი დღესაც. ამ ნანგრევებიდან ისეთი სილამაზე და სიდიადე გამოსჭვივის, რომ მნახველი მოხიბლული რჩება.

ოთხთა ეკლესია — „დორთქილისა“ მდებარეობს ისტორიულ ტაოში, იქ, სადაც ჭრობის ერთვის ოთხთა ეკლესიის წყალი (დორთქილისა — სუ). ოთხთა ეკლესიის ბაზილიკა გაურეგნულად ძალიან ჩამოგავს პარხლის ტაძარს. ძეგლი აგებული უნდა იყოს IX საუკუნეში (5, 78). იგი ამჟამად საკმაოდ დაზიანებულია. საყდრიდან ხუთი კილომეტრის მანძილზე არის ამავე სახელწოდების სოფელი. ოთხთა ეკლესიის მცხოვრებნი გამამადიანებული ქართველები არიან, ქართულად კარგად ლაპარაკობენ.

გამამადიანებული ქართველების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანწდის ექვთ. თაყაიშვილი. „მუსულმანი ქართველები ყოველგან თვალსაჩინოდ გამოირჩევიან სხვა მცხოვრებთაგან, თურქებისაგან, ქურთებისაგან, თარაქამებისაგან... განირჩევიან სახით, ჩაცმა-დახურვით, ზნე-ჩვეულებით, დარბაისლობით (პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა), სიღინჯით, პატიოსნებით. ტანისამოსი მამაკაცისა ისეთივეა როგორც გურულებისა, აჭარლებისა, ლაზებისა, ე. ი. ჩაქურა. ხახულის მუხთარს ვკითხე, ქურდობა თუ არსებობს თქვენს შორის-მეთქი? დიდად გაიკვირვა. ქურდობა ჩვენში არავის გაუგონარი, ჩვენში შეუძლებელიაო... რუსის მოხელენიც, მაგალითად, ი. პროსკურიაკოვი, ვ. ლისოვსკი, პ. ლემონცოვი, ნ. შუგუროვი, ამჩნევენ ამას. ნ. შუგუროვი წერს თავის ნიგნში (იგულისხმება ნ. შუგუროვი, ხახულის მონასტერი, მცირე მიმოხილვა,

ბათუმი, 1918): „ხაზულის „თურქების“ სახეებში, ნამეტნავად ახალგაზრდებისა, აშკარად შევნიშნე ნამდვილი ქართული სახეები. მეტად თავისებურია დიდრონი შავი თვალები და ანაგება ტუჩისა... განსაკუთრებით ხაზულის „თურქთა“ (ე. ი. გამაჰმადიანებული ქართველების) შესახებ უნდა ვთქვა, ეს ხალხი რაინდულად პატიოსანია, სიმართლით გამსჭვალულია და ფრიად სტუმართმოყვარე. მოუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ომით გაუბედურებული იყვნენ, მრავალჯერ შურუაცხყოფილი სალდათთა მიერ, მაინც კეთილი განწყობილება დაიცვეს ჩვენდა მიმართ... მე არ ვიცი შემთხვევა, რომ მათ ბოროტისათვის ბოროტით მოეზღოთ... აი, ხალხი, რომელთაც განახორციელეს თავიანთ შორის ქრისტიანული იდეალები“ (4, 225).

ტაოს ქართულის კილო უჩვეულოა. ეს კარგად შეუნიშნავს 1874 წლის ზაფხულში გ. ყაზბეგს, მდ. პარხლის ხეობის სამი სოფლის — ქუაბაგის (კობაკი, გ. ყაზბეგი), არმენხევისა და პარხლის მეტყველების მაგალითზე. თავისი მოგზაურობის დღიურში მას ასეთი შენიშვნა გაუტყვევია: „არმენხევისა და კობაკის მცხოვრებნი მეტყველებენ ძალიან დამახინჯებული ქართულით... განსაკუთრებული ინტონაცია და მეტყველების ჩქარი ტემპი ამ ხეების მცხოვრებთა მეტყველებას აძლევს ისეთ ხასიათს, რომლითაც იგი განსხვავდება ქართული ენის დანარჩენი კილოებისაგან... მკაცრი ბუნებრივი პირობები და კარჩაკეტილი ცხოვრება დიდ გავლენას ახდენს აქაურთა არა მარტო მეტყველებაზე, არამედ ადათ-ნებეზედაც და ყოფაზეც“ (11, 119).

ტაოს ქართულის შესასწავლად აქ ვიმოგზაურე სამჯერ. პირველად ტაოს ვეწვიე 1989 წლის აგვისტოში. მეგზურობა და დახმარება ითავეს წარმოშობით იმერხელებმა, ცოლ-ქმარმა, მწერალმა ისმაილ ყარამ (შავიშვილმა), სატიჯე სარაჰმა და ტაოელმა, სოფელ ქუაბაგის მცხოვრებმა მუსტაფა იენიდუნიამ (ბერიძემ). ჩავინერე სოფელ ქუაბაგის მეტყველების ნიმუშები. 1992 წლის ოქტომბერში კი მეორედ ჩავედი ტაოში. სოფლებში (იხ. ზემოთ) მეგზურობას გვიწვდნენ სოფელ ხევას მკვიდრი, ტაოელი რამაზან ქერჩიჯი (ქართული გვარი არ ახსოვს). ჩავინერე სოფელ ხევას მეტყველების ნიმუშები ფრაგმენტების სახით. ასევე ტაოელებთან საუბრის ფრაგმენტები ჩავინერე სოფლებში — ელიახხეში, ჭილათსა და პარხალში. შეზღუდული დროისა და უსახსრობის გამო საჭიროებისამებრ ვერ ვიმუშავე. მესამედ ტაოს მეტყველების შესასწავლად იქ ჩასვლა მოვახერხე 1993 წლის აგვისტოში. ვიმუშავე სოფელ ჩვერელში. გვიმასპინძლეს ტაოელებმა, იუსუფელის მკვიდრებმა სინან დურმაზმა და ნურეთინ იმიღმა.

მოაოვებული მასალა გარკვეულ შთაბეჭდილებას გვიქმნის ტაოს ქართულის შესახებ, რომელსაც შესამჩნევად დაჰკრავს არქაული იერი. ქართული სოფლების მეტყველება ერთფეროვანი არ არის. განსხვავება შეინიშნება ხეობების მიხედვით, რასაც თვით აქაურებიც ამჩნევენ. განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა ქუაბაგის ხევის ქართული, არქაიზმებითა და ნეოლოგიზმებით მდიდარი.

ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ტაოს ქართული მონყვევითაა დედაენასთან კავშირს, მის დამაქვემდებარებელ კონტროლს, გარემოტულია უცხო ენობრივი სამყაროთი. იგი ცოცხლობს მხოლოდ ქართულ ოჯახებში, როგორც შინაური ენა. საზოგადოდ კი გაბატონებულია თურქული. მოუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, ტაოს ქართული დღემდე ცოცხლობს და ვითარდება, ინარჩუნებს თავისთავადობას, გულში იტოვებს არქაულ ფორმებს და ნაკლებად უღებს კარებს უცხო ენობრივ მოვლენებს. აქ კი გადამწყვეტ როლს თამაშობს ოჯახის დედაბოძი — ქართველი ქალი, რომელიც თავისი კარჩაკეტილი ცხოვრების წყალობით უბეში სათუთად ინახავს მამა-პაპათა ბაგეებიდან მომდინარე დედაენას და ახალ თაობებს ძუძუსთან ერთად ამ ენითაც ასაზრდოებს.

ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971

2. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987
3. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973
4. თაყაიშვილი ექვთ., სამუსლიმანო საქართველო, იხ. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, „დაბრუნება“, ტ. I, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991
5. თაყაიშვილი ექვთ., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960
6. თაყაიშვილი ექვთ., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს, იხ. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, „დაბრუნება“, ტ. I, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991
7. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960
8. მერჩულე გ., გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, იხ. ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987
9. მეფისაშვილი რ., თუმანიშვილი დ., ბანას ტაძარი, თბ., 1989
10. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1955
11. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერები, ნიგნი 10, თბილისი, 1875 (რუს. ენაზე).
12. ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971
13. ჯავახიშვილი ივ., თხზ., ტ. II, თბ., 1983.



ტაოს ქართულის ნიმუშები

იუსუფელიდან პარხლამდე

— ქორთა, ხომხალი, ბინათ, უშუშუმ, არჯევანი ესქი გურჯი სოფლებია... იშხანი და პარხალი იუსუფელშია, შიგან ილჩეში, ოშკი და ხახული ერზრუმისკე გზაზედამ არი.

— მე ელიასკევიდამ ვარ, დევიძე (აჭაროლლი). აჭარიდამ გადმოსულა ჩუენი ზუელი აქა... ჩუენ სოფელში ორმოცი ხანე ვართ, კარქა გურჯი.

— აქეერი ვერებია: დიდელე, დიდი კევი, პეტარა ინტკორი, დიდი ინტკორი, ჭედლიან კარი (სოფელია), კლაეკარი, დოლეკარი, გოდლე კარი, ვაგეკარი. ესენი მაჰალებია.

— მუსტაფა ვენიდუნია, შენი თანიში, ქუაბაგიდამ არი. ქუაბაგი ოთხმოცი კუამლია, სუფთა გურჯი. ქევეგიც სოფელია, შიგან ორას ორმოზდაათი კუამლი იქნება, ბალხიბარიც გურჯი სოფელია, ოთხმოცი ხანეა შიგან...

— იუსუფელში ერმენი აბლია. თლათ გურჯია, ჰემაც ესკი. ზოგსა გურჯიჯა დაეინყნია, თურქი გამხდარა.

— ზემოთკე გზევენარი ხარახურაია, გონჯია, ცუდი.

— მადლობა, ზმაო, ჩუენი კლდევენარი დუნია რომე ამსოდ გიყუარან.

— კონახური, დორთქილისა აქვაა.

— იუსუფის კელივით, კელიგორე ყოფილა ეს დერი და იუსუფელი დუურქმევიან.

— აქა ორი ცოლი აბლის ყავს, ბეერსა — არა.

— ესა დიდი კიდეა. მარჯუენასკე ნავალთ.

— აქეთ არი ქუაბაი, ქევაი, ბალხი. ზემოთ არი არჯევანი, გზა მარჯუენასკე ნავა... არჯევანი ზოგი ქართული არ არი.

— გზევენარი ონდანსორა იქით ნავა... დორთქილისეც აქ არი.

— ქევას ადგოლებია: დევსეკარა, ჭელენკარა, ცერეკარა, შაბელენკარი, გელაზორა, (ჩამოხუალ ქომოთ) გოდლეკარი, ფინჩარკე... ესენი ზუელათ ყუელია ქართული ყოფილა, დაეინყნებინ ქართული, ნასულან იქით-აქეთ... ვეჟანკეთია ესა, ვეჟანკევი პარხლისკენ მივა.

— მე ჩამოვხტები და შევებდავ არაბას თექირებსა.

— ჭილათი, მახატეთი სოფლებია. ონდანსორა იქნება სარიგრლი.

— ესა ქისბორეთის (თისბორეთის) ციხეა.

— პარხლის წყალი აქეთკე მოვა. ესა საფანეთი სოფელია.

— ენაში მიგორავს და ვერ მითქმია... თისბორეთის (ქისბორეთის) ყალეა ესა, მაღლა რომ ჩანს.

— ვერ გავრიგდი კარქა, კიდვენ თქვი, აბა!

— მანქანა დიეყუდება აგზე.

— ქისბორეთის ზირია ესა, მარტო სახლია, ერთი.

— ჩუენი სისხლი ერთისოდ, და-ზმები ვართ ერთმანებისა.

— ქისბორეთის ზირია, ზმაო, ესა, არ გეყურება არაბას რახუნში?!

— პახლისკე წევედთ, დაო, ახლაც ხომ არ გეშინის?!

— ქართული კარნალი გეელო, მოხუალთ-მიხუალთ, ზოვლი დევეჩვიენით ამასა. ყუელ დლეი თუალი ზებნის გურჯისტანიდამ მოსულებსა, გუნატრებით, ზმაო, გუნატრებით.

— აქა კარებ აჭედებენ, სეირობენ, იყრებიან მილეთი სასეიროთა...

— ესა კევემუდი კევაი, კევემუდი წყალი, კევემუდი დლეუ...

— აქა ქეიდამ აკეთებენ სახლებსა... მაქინები ამ კიდიდამ გეიარდენ... ესა ოლდემია,

ზუელი სახელია ესა, სოფლის სახელია... წვევიბარი არი არჯევანთან...

— ზუელათ აქა ერმენები მუდარან, თურქებ ემე უქნიან... გოუდენიან ერმენები აქედამა. აქედამ ქი ნასულან ერმენები, ოქრო ქონებიან, ვერ ნოულან, ჩოუფლან მინაში, დოუმალავან. ერმენები აღმანას, ამერიკას ნასულან, ახლა მოდიან და პოვნილობენ ოქროსა.

— მაქინა მოვა, ვერი მივცეთ...

— აქნობაში ყუელა გურჯი ყოფილან, დავინყნიან გურჯიჯა, ჰამა იციან, ჩუენ ქართუელები ცყოფილვართო... თურქული სასწავლებელი იჯება ამასა, ავინყებიებს გურჯიჯასა...

— ამ წყალ შიგან ალაპალუდი იცის, ვიჭირავთ...

— ნუხელი ითოვლა ფენა, გაათურა ხევნარი...

— ეიგერ გომოჩნდა მახათეთი სოფელი... უყურე, თოკით და ნიჩბით გომოჭრილია გზა.

— აქა ინურვის წყალი, პარხლის წყალი, ქუემ ჩავა და აქედამ იუსუფელ მივა სასმელი წყალი... აგზე დეილანდა ერთი სახლი. თავრობამ ქუეთი ჩამეიყუანა, დეხმარა, სახლი დოუდგა...

— სალამოპირაი იუსუფელიდამ წამულათ სახლისკე, დილაზე ჩამულათ.

— ათერთმეტი თანე იქნება მიცი... ათერთმეტი, ათდაორი, ათდასამი, ათდაოთხი, ათდახუთი, ათდაექსი, ათდაშუიდი, ათდარუა, ათდაცხურა, ოცი, ოზდაერთი, ოზდაორი... ასდაერთი, ასდაორი, ასდახუთი...

— უკანათური კაცია ქართული, წინაი — არა.

— ესა ჭილათი სოფელია, სუფთა ქართული... ფაქ აქ არიან...

— მე ჭილათ ვედავარ, ფესტილოლი ვარ, ჩირაძე. ბალღები ქართულად ლაპარაკობენ ჩემი. აკვანში ქართულ ინავლიდენ წინწინ, ახლა აკვანშიც თურქჩას აწავლიან, ოქულში არ შუუჭირდენო თურქჩაო, იმიოფინ... ჭილათში ღარჭებმა ზოგთ იციან გურჯიჯა, ზოგთ — არა... ქრჯში გამზდილებმა იციან პერალდა გურჯიჯა.

— ქალი ქართული მყავს... ფაქა გურჯი არ არი... ზემოთ ერთ თანე გურჯი არ არი...

— ზემოთ სამი თანე გურჯი სოფელია... სოროკე, ვანისკე, ელიათკე, ფიქალთავ, მახათეთ, ნიკოლოვ, ბერთკე, ფარიკე...

— მე იქ ვერ წომოვალ. ჩუენ სოფელში ერთი ღარჭი მოკდო, დღესა ჯანაზა არი, იქ მივალ.

— ზემოთ ჩანს თეები — უტავი, ურიათა.

— ჭილათის დერებია: ჩეფერდიფ, გაკიდობა, სართი...

— კიდევ დაჰწერე... სართ მუელით... ოროკი, დამანჯი ადგილია... ოროკი უფრო ფართია.

— ყურზნის სოიადებია: კარულა, ცხენი ძუძუ, ადესაი...

— ესა კრეველათი სოფელია; გურჯი არიან, ჰამა გურჯიჯა დავინყნიათ.

— გაღმა სასწავლებელია, ლამაზი სახლი, პუქუმეთმა გააკეთა. კონწოლი ქვია ამ ადგილსა.

— ფიჩხეთი სოფელია ესა, დაო, ფიჩხეთი...

— თქუენ შომოქუედე, არ შეშინდონ-მეთქი.

— ესა ახალთი ყალვა, უტავი ფეკშია ჰამან, იმის ზირშია. ჰამა დანგრეველა, ჩომოსულია კეეში.

— ესაც სოფელი ახალთია... ლამანა არი და, იმით ვაკეთავთ... ზენნი იქნება აქევრობაში.

— ესა სოფელი სარიგრლია. აქა ცოტა იციან ქართული.

— ესა არი სოფელი დევთისა, არიან ქართულები, იციან ქართული.
— მარცხნივ ზემოთ სოფელი ნავანევია. არ ლაპარაკობენ ქართულსა, იქვერი ხალხი პარხლის ხალხია.

— გაღმა თოვლიანი თაა, იქა გუდასკეცია. ნადირობა იქნება ახლა...
— მალლა გომოჩნდა სოფელი კუპრეთი, თოვლიანი თის ზირშია. იქა გურჯები არიან სულ ყულა. კუპრეთი იმითინ ქვია, რომ იქავერი ხალხი არვის მიართუამს, არვის დაყენებს მოსაფირათ.
— ბალხის გზა მიდის მარჯვნივ. ბალხიბარი იქ არი.
— აქიღამ ჩომოვდენ ისენი... ჩუენა იმ სოფლიღამ გომოსულნი ვართ.
— მარჯვნივ გზა მიდის ქუაბაისკე.
— ეს ყიშლა არი, დაო, სოფელი ზემოთკე აქუან.
— იქიღამ ჩომოვდენ გელები...
— ეს ქარაფი არ ჩომონვეს ჩუენზედ? საშიში არი.
— ორი, სამი კილომეტრე არი პარხლამდი პალა.
— დოზერი რომ ჩომოვდეს, გააკეთებს გზასა...
— გზენარი ასე მოშლილი მგონებოდა, არ ნომოვდოდით.
— თევზსა კანჯაით ვიკავებთ.
— ქილიონი სოფელი მარცხნივ მივა. იქა არ იციან ქართული... ერმენ ჭევენგი ზემოთკენ არი...

— ზეით ჩანს თოვლიანი თა, მისი სახელია ალთიპარმალი. სოფელ პარხალსაც ალთიპარმალი ქვია... ერთ კაცსა აქაც აქვა ექსი თითი. ალთიპარმალი ექსითთაი თქმა არი.

— პარხალში მანქნით ავალთ, ფეკით სიარული არ გვინდა.
— ესაც პარხალია. შიგან ასოცი კუაშლია. ჩუენ ჭევაზე პატარაა. აქვერი ფერების სახელებია: მაჩხათლარ, სულთანგილ, ფერსეთ, ბაგათ ქედ, ამანის ქედ, ქელანსეე, ფიზლეთ, ერისმან, ქილიონ (წყალი ჩომოდიოდა აქედამ), კოჭუათ...
— დამწყროული არ იქნებოდეს გზა, მალე ჩავალთ იუსუფელ.
— გზა მოქცონ მაგათ, შენ არ მიცე... ნომოი აქეთკე...
— არაბას ყადჟსა გომოჭირება უნდა, გომოჭირება...
— ამ გზენარმა ამართვა სული, გაჩენილ დღე ამ გზენარზე ვიარები... იყუეს მუშტერი, ხუთასი ბინი დიმიჩრება დღეში, ხანჯელ ასი ბინი დიმიჩრება ზვილაი...
— ჩემ ერთ არაბას აქნა მეცადნა...
— ზმები მყავან ჩემზე პატინა.
— ხახული ერზრუმის გზაზეა, უზუნდერე ილჩის ნაპიე არი. ახალი სახელი — ბალარბაში, დეინახევით, ფენა კაი დასანახელია.
— აბა ლმერთმა გამშვიდობოს ყულაი, ლმერთმა კიდევ დაგვანახიოს ერთმანები! გურჯისტანს ბევრი სელამი ჩემიღამ, ჩამოსლა ზალუან მინდა, გამოსულში მწადია იქვერობის დანახეა. ლმერთმა შვიდობა მოქცოს ყულასა...
საუბრობდენ რამაზან ქეჩიჯი, ფესტლოლი (ჩირაძე) და აჭაროლი (დევიძე).

ქობაგი (ქუაბაგი)

— ჩუენ რა მითხრეს, იცი? — კიდენა გიიზვირონ საქონელიო.
— ჩუენა თამარ დოდოფალის გურჯიჯა მაქუან... დამრჩალი რაც არი, ის არი.
— დაბა, დაბა, ნუ მიძახი, შენი თუალებისა!
— ის რა გემრიელ ხალხ იყენეს?
— ჭკუბობ რომ ერთი იქნება, თივებზეც, შემებზეც დეინოლება!

— აღარ გეგიშვებენ, სტუმარი იქნებით!

— ჩუენ ახლოსა ლაზები არიან; — „ჭანი“ ვეტყვი. ჭანური იცი? ას თანემი ოზდაათი თანე ქართველებურს მიგავს მათი ნათქუამი: წყალზე — „წკარი“ უზახიან, მოსლაზე — „მოსდი“ უზახიან, დაჟდომაზე — „დოხედი“ უზახიან, ჩომოსვლაზე — „ქოგელახთი“ იტყვიან, თითი — „კითი“, მოტხვა — „მომატროხუ“, მონყდა — „მეჭკოდუ“, აწყდა — „ტკოდუ“, ჩასვლა — „გებტი“, გამოსვლა — „ემშახტი“, ოხოი — „სახლი“...

— იუსუფელში ნაცნობები მყავან...

— გამათრევეს იქიდამა...

— მურღულულები სხუა სოფ ლაპარიკობენ. ართვინის იქეთაიცი. სხუა სოფ ვიხვარათებთ. მურღულულები იტყვიან, ვილაპარიკებთ. მათი ლაპარიკი რომ არ მემებინან, ჩუენ დავჰცინით იმათა...

— იქ ერთი ბერი იყო. მეო თქუენსას გადმოველო და ბიჭ აქორნილებდენაო, იქ მევედარეო, მეყარეთო გოგოსიცი, ბიჭისიცი ბაბოები. ხოჯა ნიქაინა ჩეიკითოსოს. გოგოს ბაბოს ებნევა: — მიეცი თუ არა? მიეცი თუ არა გოგოვო. — ჰოვო, მივეციო.

— გოგოს ბაბოსა კიდ ებნევა:

— მიეცი თუ არაო? — გოგოს ბაბოი გაგულიანდა. ეტყვის: — რალა მიტავებ და მიტავებო, მივეცი, აბა რა ექენო. მე გითხარ, მივეციო...

— ჰო, რა ვიზახდით?.. თამარ დოდოფალის ესწერთ?

— ჩუენ ზუელანდელებმა ისე მითხრეს, თამარ დოდოფალი ღმერთისა მოყუარული ყოფილა. ჩუენ ზლიან შამაყუარეს, რისთინ იცი?

— ჩუენ პატიჟუანი ლარჭები ვიყავით. მაშინ ეს მანქანის გზუენარი არ იყო. ზეგან სოფლებთან ქუაბაგი ზემოთ არი. ქომოთენ წამოსულისან ბაბოი ჯორზე დამსუემდა. ცხენზე დადა ჯორზე რომ დამსმიდენ, ქომოთეკ ნევედოდით. იქ პარიკევი არი. უფრო ბეთი გზუენარზე რომ ჩევედოდით, ცხენიდამ ჩამომსმიდა (მურღულული იტყვის — ჩამომახტუმლებდა). იმის ქომოთეკ ფუკდაფუკ ნევედოდით. ლარჭი ვიყავ, მეველალოდი. პარიკევი ღელეზე რომ მუახლოვდებოდი, ჩემი ანაი-აიშიო მეტყოდა: — ოლუღ, მიეღაგე?! — მეც ვეტყოდი: ჰო, მეველაღე, ანი.

იქა გზიპირში ფიქლები არი. ასე შეწკარებული, ბელქიდა თამარ დოდოფლისი დანყობილია. ანაი მეტყოდა: — თამარ დოდოფალსა, ის რომ მოლაღულა, ლარჭი ახუჭებული ყოლია, იმა გზიპირში ქეებზედამ უუყუედებია. იმ ბაუშუნის ფეკი ქუაში ჩაფლობოდა. ასე ფეკის კულია არი, თოვლში რომ რავარ ჩანს. იმაზე ფეკ მომასმენიებდა. — ფეკები გეისუნეფუს, აღარ მიეღალვიო. — ის ქვა დღესაც მის ადგილ არი. ქუაბელთ და ბალხელთა, კეველთა იციან, ორმოც წლის ზემოთეკ კაცებთ თელთ იციან. მასზე პატიჟუანებთ, წუირით არ იციან, იმისთინ ქი, ქომოდამ ქევიპირიდამ ქუაბისიცი, კევისიცი გზა გეიკეთა თაერობამა. წყალიპირიდამ უმფრო ადვილა ნეისვლებოა და გზა იქიდამ გააკეთა. ზემოდამ ფეკდაფეკ აღარვინა იარება...

იმ ადგილის სახელი პარიკევია. ემის ზემოთია საჩინოთია. საჩინოთიდამ გედეიარ, ზემოთეკ ნასლუხან ქედ გედეიარ, ნითლეკარი გომოჩნდება... მიხუღ ნითლეკარი წყაროზე, წყალ შესუამ, ცივი წყალია. ნითლეკარი გემრელი ადგილია. იქ იქნება ბევრი ბირყიმი (მურღულუში ეტყვიან — პანტა), ვაშლი, ბალი, ტანები ზღეს, ტყდება, ისე ასხია. შავი გინდა, ნითელი გინდა, ყუითელი გინდა! წყარობალაი, ალაშელიგი (დიდრუჟანი, გემრიელია) — ბლებია ესენი. ვაშლი იქნება ბევრი, ყურზენი არ იქნება იმისთინ ქი, მაღალია. იქ დაჰთესუნ ყანეფში — ცერცივი, ქერი, დიკა, ჭუავი, ღომი (შორვა ვიქმოდით, აღარ არი), ლებოი (მურღულუში იტყვიან — ლობიო), კურწიანი ზირი. ზირი მჟავეც იქნება, მოხარშავ — შეიჭმევა. იქრობაში ქილიავი, ტყიმალი, კაკალა (კაკლი კეენარი იქნება) არი. ქევი, კეენარი — ვიტყვიო. კელი, გემიქელი — ვამბობთ, ცოტა კიდე გაჰკელდეთ, თუ ვიტყვი, ცოლის მოყუნა მინდაო, იმის მაჰანა იქნება.

კარები — ვიტყვი. შენ რომ რომელცხა ხარფსა ეზუფ, ამ სიტყუეფშია, იშტაჰ! მოვწნათ ყანა, გაკმა, კმელი, ბლიკმელი... ბლიკმელი ბლისა იქნება. ბალ მოკრეფედეს, გაკმებოდა, ზუელაც იყო ესა. თუთა გააკმობდეს, ხურმა გააკმობდეს. ფეკი — ვიტყვი. კუჭი პერსსა ქვია აქა, მურლულში — ყიყვი. გაკუჭიანება გაპერსება იქნება. მე ვუგულიანდებო, ასეც ვიცით თქმა.

— არხატაში მებალა!..

— ცოლი არ ქყავსა?

— მურლულელებმა „ცოლი“ თქმა არ იციან, „ცოლ-ქმარი“ არ იციან, ქალი იტყვიან. ჩუენ ვიტყვი — „დედეკაცები“, ისინი იტყვიან — „ქალები“. ჩუენ „ბგანები“ ვიტყვი, ათდარი წლისა რომ იქნება: გათხოვილსა „დედეკაციო“ — ვიტყვი. რომ დაბერდება ქალი, ბებერიაო, ვიტყვი. კაცსა დაბერებულსა „ბერი“ ვიტყვი: — ვინ იყენეს, ვერ ვიცან, ბერბებერნი გომონეს, დეენახეთო, — ვიტყვი. „გომონეს“ ჩუენ ვიტყვითა, მურლულელები იტყვიან „გამოდინენო“. ჩუენა „ვიმუშაოთო“, ვიტყვი, ისინი „ვისაკმოთო“, — იტყვიან.

— ნითლეკარ შეიარ, სატალახე გახუალ. ბევრ იტყვიან ქი, სატალახე ზუელი დასახლება ყოფილა. სირთილამ რომ გადახედავ, ქეივბია. ზემოთკე ნახუალ, ზუცკეკარი გომორდება, ხუთხეკარი? მე მყავსა იქა ამხანაგი... აბლი შეიარ, გომორდება ყარამანლები. „აბლი“ ცოტასა ქვია. მურლულში „ცოტას“ იტყვიან, ჩუენ „აბლსა“ ვიტყვი... იქილამ გახუალ ბალხიქედზე, გადაღმისკენ გედეიხედავ, კევაი გომორდება, ქონობანი გომორდება, ფიშნარი კევი გომორდება. უფრო ზემოთკე ცერეკარი გომორდება, ობლეკარი გომორდება, გადაღმისკე — დოლეკარი, იმის აქეთილამ ვაჩეკარი, უფრო ზემოთ — იეთი, მალღიოკე — ველითავი, საფარანთე; მალლა თასი სახელი — სანაცრე. იქედამ წყალი წომოა, ჭოროხლაქეთ ჩომოა. სახელია ესა — ჭოროხლაქეთი. ჩამეიარს და სადგიყანა ზირედამ ქუაბაგით წყალ გეერევა. სადგიყანი თავილამ თასა მოთერზილი, მოგლესილი ქეია. უმფრო ზემო გახუალ, ენ მალალ თასა — მასის ეტყვიან. მასისის ძირედამ არი ქუაბაქი სოფელი. ქუაბაქე გაზდილი კაცები უმფრო მალლა გაზდილი კაცები არიან, ისინი უჩუმათ ვერ იხვარათებენ, მალალ ხმითი ილაპარაკებენ, იხვარათებენ. ქომორთულები — კეეკარი, კეჩი გაშეშებული, ბალხური — ბეჩო, არ მეენონავთ. ჩუენი თავი მოქენონან. გოგო არ მივემდით. ისინიჩე ჩუენ მეტყვიან: — ქუაბავრი, ურუმები, შაე-შავი ყურუმებიო.

— ზუელი გუარები ქუაბაგისა? — დეერიმიანნი, ყარააჰმედიანნი, კაკულიანნი, სალეფიანნი, ღუნუზიანნი, უჩაშიანნი, დადულიანნი, პეტოანნი...

— ჩემი თავი ეამნეს... მე არ ვესია?

— ისე თქუესაო, იყენესაო...

— გურჯისტანიდამ გადმეარა თამარ დოლოფალმა. ასკრებიც მის უკან გადმუანურია. ნითლეკარილამ ქომოთკე, პარეკევიჩე ჩომოსლიხან ზემოდა ქუები აგორდა, კილდეენარი. თამარ დოლოფალმა შეშინდა, ასკრებინა გემიჯლოროსო. ეიდა, ღმერთ შეეხუენა ქი, ღმერთო, ქუა მან დააყენე, ესენი გაეაზურიო. იქ დადგა, რო დიდი ორი ბელღინერთი ქუა, კონჭოხის თავილამ დადგა. პალადეენ იქ არი, გახვიდე, დეინახა.

* * *

პარეკევი ჯინ-ფერების ქალაქია. მათ ფადიშაჰის ადგილი იქ არი. ახლა ისნა გიხვარათო. მაშინ თილამ გედეივლებოდა და ზლუარის პირში ჩეისვლებოდა, ჭანეთ. იქედამ მარილი, ყაზღალი ეილებდეს, გედეიტანდეს ჯორით, ზურგით, ცხენით. ერთი გამოდრეკილი ბერი, კამპური ბერი ყოფილა. გულამი ჩუყურია მარილი. სახლშინა გადეიტანოს. სამ დღეზე გადავარ, თუ როისა, დულამადა ნითლეკარ. ჩეედა პარეკე, კარგად დაღამებული იყო. იქ რაცხა დაეკლი-ზურნას კმა გეიკონა. შეხედა ქი, ფერკულობენ, გზაზე მოდიან ჯინ-ფერები. მათი ფადიშაჰი შემჯღარა ცხენზე. იქ

შემეყარნეს გზაში. უთხრეს ფადიშაჰსა: — ეს ბერი დევჭირევითო. ახლა ამას რანა ვუყოთ, რანა იქნას ესაო. ფადიშაჰმა უთხრა: — მეიყუანეთო, ჩემ გუერთ მეიყუანეო, ვნახოთო (ბორჩხელები იტყვიან — ჩემ ძირშიო). ფადიშაჰმა ამას გაჰკითხა: — ბერო, ღამე ჩუენია, დღისი თქუენია. ღამეში რატომ იარებო. ბერმა შეხედა, ამათი ფეკები უკუნისკენ აბია. მაშინ გვიგნა, ესენი ჩუენიღამ არ არიანო. ბერმა უთხრა, დიმიღამდა, ასე იქნა, ისე იქნაო. თავარი ვერ დააჯერა. პარეკე, შუაი ადგილა, ცოტა ვაკე არი. დუუზახა მის ხალხსა. ქალებიც იყენესა, კაცებიც იყენეს. მასხვიეს კელები ბექებზე: დეინყეს ფერკული. ფადიშაჰი ჩამოხტა ცხენიღამ. ეს ყუმანდრობა უჯება. ფადიშაჰი იტყვის იქედამ: — უდრო, უდრო ნავალ კაცსა რა უნდოდა?

— უდრო, უდრო ნავალ კაცსა რა უნდოდა? — ამბობენ ჯინ-ფერები ერთათ. კევი კმიანობს. ეს ბერიც ფერკულია ჩაბმული.

— რა უნდა და ფუნდრუკობა, ფუნდრუკობაო. — ამბობს ფადიშაჰი.

— ფუნდრუკობა, ფუნდრუკობაო, — ამბობენ ისინიც.

— დღე რა იყო? — იკითხავს თავარი.

— ორშაფათიო, — ამბობენ ჯინ-ფერები.

— ხუალნა იყევს სამშაფათიო.

— უდრო, უდრო ნავალ კაცსა რა უნდოდაო... ხამდან-ხამდან იტყვის თავარი. ფერკულობენ და ფერკულობენ ამ სიღმერასავეთ ნათქუამ სიტყვებზე. დიღამდი ვერ დაცხრომლეს, მოღალეს კამპური ბერი. მარილიც ზურგზე კიდიატ მარილის გუდა (გუდა კობო ტყავიღამ კეთდება). დიღაი რომ გახდა, თავარმა უთხრა მის კაცებსა: — ახლა გათენდა, დიღაი ამათია, ახლა გააშვით, გაასვენეთ!

მაშინ ბერმა უთხრა: — მე ამდენი რომ მომლაღევით, ჩემო თავარო, მე ღმერთ შევხუენები, შენ ჰალალ არ გიზამო. მოღალული ვარ და რაფერნა ნევედო: ვეღარ ჩავანეე ჩემ სოფელშიც. ტრიკებში ჩინი აღარ დიმიჩა. ჩემი ჰალი რანა იქნასო.

თავარი დაფიშმანდა, ღმერთ შეეხუენა, მის ასკრებ უთხრა: ეგ გუდა თქუენ ეიკიდევით. მანად ბერის ზურგზე კელი დუუსვა, ღმერთ შეეხუენა: — ამისი კამპური, ღმერთო, უუნიეო.

მართლა ღმერთმა უუნია კამპური. კაცი გაღამაზდა. მარილიც ქომო კევიპირში, პარხალი ნყალ ჩუუტანეს. იმის ზირაიც დუზია. — ახლა შენ ნახუალო, კამპურიც აღარ გაქვაო. ადვიღაი ნახუალო. — უთხრეს და გაამგზავრეს.

მივდა ბერი სოფელში. ხალხმა ვეღარ იცნეს:

— ბერო, ვინ გაგასწორაო, — კითხეს.

ასე-ასე იყო, მიახტუმრა ბერმა.

ეს მეხვარათა ბასლიან რეჯებამა ბალხიღამ.

* * *

ქუაბაქ, მასისი ზირედამ (მასისი თა არი, მაღალი), ერთი დიდი მაღარა არი, ნადირი თხები იქ იწვებიან. იმათ გელი-მელი ვერ მეეწევა, ვერ შესჭამს, კანწეში გარბიან, თოვლში, ნუმში მალარაში მიდიან, იქ იწვებიან. ქუბაგიდამ ყოფილა ერთი ავეჯი იბრაჰიმ, მათი მკვლელი. მეტი მომდრელი, ცუდ არ გვიარს, ადვიღაი მაადრის. იმათ ნუელავს ღმერთის მოყუარული ერთი ბებერი. იმათიღამ არ ფთხდებიან, არ გეიქცევიან. საღამოითობა ნუელავს, ბებერი მოვა და... ბებერი ნუელიხან ავეჯი იბრაჰიმში იქ გასულა. ბებერი ვერ დეინახა იბრაჰიმმა. შუმუტორცნა, თან მაადარა, თხა ნეიქცა, სისხლები მოდის. ბებერმა მობრუნდა აქეთისკე. ბებერი ცნობულობდა. დეინახა იბრაჰიმი.

— თუალა დიგიორდეს, იბრაჰიმ, ამდენ თხებში ჩემი მოსანუელელი თხა დეინახე! მართლა იბრაჰიმს ერთი თუალი დუუქორდა. იბრაჰიმმა დეინახა ბებერი, რომ მაშინ დაფიშმანდა: — რა საქმე ექნენ, რატომ მოვკალ?! ამის იქით მე თხა აღარ მოვკლავ.

გადუსკვია ქვაზე თოფი, გუუტეხია, შამუუქენენია... ისე იტყოდეს ზუელები, დედაბრი წყევლამ უნიაო.

* * *

თამარ დოდოფალს პარხალი ქილისა რომ გუუქეთებია, იმდენი დუუხარჯია, ოქრო აღარ დასწომია. თმის დასაჭირნებელი ქონებია ოქროსი. უთქუამს, ისინი გამაყიდნია ამ საქმემო. ასკერებითუნ, პური გომოცხოზბისთუნ ქერი და თივა-ჭუავაი არ დავტიე ამ სოფელშიო.

იქ ერთი აღა ყოფილა. ათასი ჭარბი მონუელე თხები ყოლია თაში. ეიდა უთქვია თამარ დოდოფალითინ: — ნანუელით მე დეგემუელები, ნამუშავთ მიართვი, მაგრათ ამუშაეო. ზე რითნა ჩეიტანო, მე არ გეგერევიო.

დოდოფალმა უთხრა: — ეგ ადვილია, მაგას მე მუაფერეზო.

მიცა ცულები ასკერებ, ღარები გააკეთეს. დასჭრეს წმინდა ჭერები, ამეილეს გული, ღარი გააკეთეს, დუუსართეს ერთმანეთზე, ეიდა, თიღამ პარხალ ნანუელი ჩამეიტანეს. იქ მონუელა კაცმა, გომოდინდა პარხალში. რზის წყარომ ამამენებია პარხალიო, — უთქუამს თამარსა.

თამარ დოდოფალმა სავრიათი წყალიდამ რუ გააკეთა. წყალსა გადაადგებდეს ღელეში. რუ რავლია იცი? მაღალი კანებია. გუშუთლია ასე. რით გომოთხარეს, რავლა გუდულია, არენ იცის. უთქვია თამარ ქალსა: — ამას გუერთა პარხალი ქილისა ადვილი იყო. სავრიათი რუმა ათავებამდინ, წყალი ნაგდებამდინ, კიბილი ტყინები გამაყრევენიაო.

* * *

— ვიტყვით, მანონი დედა, დედეკაცი. სხუაჯელ „დედა“ არ ვიცით. „დედამინა“ არ ვიცით, ანათოფრალსა ვიტყვით. „დედეკაცი“, „დედეკაცი“, მიდღეში იმა ვიზახით.

— ამ ოდაში მარტო დედეკაციები ძიან.

— შენაც იქ ძიხარ?

— რავაი ხარ, ავადევილი ხომ არ ხართ? სახლში რაიჯებიაან? მონუფლები (კაცები) სად არიან?

— რათა მეთქვეს? — ქარჩილია მარტი, აპრილი, მაისი. ქარჩილი მურღულში გამოზაფხულია, ასე იტყვიან...

— სოფელი ხალხინა მეიკრიფოს... ზოგნი ნაელენ სახლისკე...

— მოსულ ხუთშაფათსა თოქ-ნიჩაბი ასნიეთ, ჯამეკარში მოდით; ზამთარი თოვლსა რუნალი უუვსია მიწით, ქვებით ავსებულა. ამათ ამოფაქებლა, ამოლებლა წყალი არ მოვა. ამ ხუთშაფათ ესნა ამეველოთ...

— სამი სოფელია აქა გურჯი: ქუბაბაგი, ბალხი, კევა.

— ასე ნალაჯო, ყოლ ქედის სახელი, ყოლ ჭალასი სახელი სხუა არი.

— გომოჩდა ქუბაბაგი, ვიტყვით: — ქობაისკე მივალ, ქობაიდამ ჩომოველით.

— ახონური (კაპნები არი), ფილარეთი, კაკლული კევი, სარკინი ქედი, გაკერეტილ კილდე, დიდქედი, წყაროთი, ტყიპირი, დიდღელე, კოჭიანტყე, ზექარიქედი, მურღუდაი, მურღუდაი კევი, ქვაბელეთი, კვირიქეთი, ვირიგუერდნალი, სოროთი კევი, ტყიძირი, ბიკრიეთი, საკლავი ქედი (მეზულელი არი), ქვაბელეთი, ნაბიანნი, ზემომეჭულენი, აინიანნი, ქილდიათი, სანისკვილო, მარანნი, ნაბიანნი, მუშტინყარო, დინგის კარი (დინგი — ნისკვილის ქვა არი, ქვა ბრუნავს, აფქვეს), ბარდიეთი, სოროკევი, ნაცარქეთეთი, უჯანტყე, აინიანფარდი, სამარილო, სამრავლო, შამანთელო, სანეხვე, დიდი შთა, დაღარული, გოჭეთი, ფინთმოდინფარდი (საძოვარი), საფუთკარი (მალრები, ქვაფუთკარი არი), ვეფანკევი, თენწყარო (წყაროს წყალი მონუფეთავს, თენავს), ბრანგვი, ნალიკვანი, ბლენიტკაბა (თი თავში ტბა არი), თველ ტკაბა, მასისი თა, ბალყიზო,

ზუელაგარა, ჭონჭები, გულია, ეფენდი წყარო, ლეენარი (ლექი რას ქვია, აღარ ვიცით), რუსათავო (იქიდან წამოგდებულია რუ), დალენილაკარები, ბასლიანდუზი, ლეენარი ზირი, ბასლიანკევი, გაღმაი, გუერდნალი, საფურე (ფურები იქ ზოგენ), ქობაი კევი ლელე (ჩავა კევას, ელიაკეე ჩავა, პარხალი წყალ მეტროლება) — ესენია სახელები ადგილებისა, ფერებისა.

- დევეზართენით მეთქი, ვუთხარ იმასა...
- ჩუენ მეახლეს ისა.
- ჩეცემიდე ყაზალსა, არ შემცივა.
- უგმან-უგმან ადგილებშინა დავმალოო, ამბობდა გუშინა...
- ეს საქმე არდეგვანარა... მეზარებიან დათესვა ჩუნენა...
- ლამაზი ქალი იყო შენი არხატაში ქეთინოი, თუალებმა საფა ქნა... საკისური ჩახსნილი ქონდა, ყიაქუეში უჩანდა. თუალებმა საფა ქნა. კელით იეცევედა საკისურსა. თუ აჩენ, გამააჩინე თეთრი ყია. თუ გომოჩენა არ ქნაღია, ჩემთვინ გებეერება, ნუ გამააჩენ, ყიამდინ გასვილამდინ ჩეიცვი...
- ისკამი, კობო, ისტაჟანი, ქართოლი... რა გიხვართო კილო? ესენიც ეყოფის...
- მეცხვრე ცხენით იარება... ორთენიც არი...
- საქმე აქვანან? დაგლილი ვაშლი აკრიფონ!
- დეველალე არა! მეველალე, ასე ვიტყვით ჩუნენა.
- ჩუნენსა წყალი მოვა, კვირეში დაყოფილია. დღეს კვირიქედი სემთინა მეირწყას. კვირეს ედრება მორწყვის სირა და კვირიქედიც იმითვინ ქვია პერალდა.
- ჩავაფლოთო მოკედარი, ვიტყვით, „საფლავეც“ იქიდან მოდის, იქიდან დამრჩალა... რავლია ეს სიტყუა?
- ჭალაში თივა მობერდება, მაშინ მოაზოვებთ. ჩუენ თივა ვიტყვით, მურლულში „მოლი“ იტყვიან.
- ყანას რომ მოვეწავთ, თივის ქოქები რომ გეიბანვრის, იმა მოვერფავთ, გავრცხავთ, ზროხებ მივართუამთ, იმას „მოლი“ ვეტყვით...
- აგარაში იაღლაში რომ გავალთ, შევემანავით, ახალს ჩეცვლამთ, ვეჟანქევისკე წავალთ, იქ ვიფერქულავთ. ჭიბონსაც ვუკრავთ, საღამომდი ვიფერქულავთ. ამას ვეჟანქევი დღე ქვია.
- თენწყარო თენავს. ერთი საათია იქ ვუცდით, არ ასხამს, თენავს... ჩხერი წყალი გადმასხამს. იმერქევიც ჩხერი იტყვიან...
- ზღუარი დიდია, დენიზი. გუბე, შენ რომ დააგუბებ, ის არი.
- ჩემ ბაბოი გადმივილილა თქუნენსა.
- მასისი თა არი. ენ მალალი ის არი აქევრობაში. მასისი გადაღმა ლზებია. მასისიდან შავი ზღუარი გომოჩინდება. შარმან გომოველ აქა...
- ტყე ყოფილა წინწინ. ახლა შეხედავ, ქოქიც აღარ არი... ლუარი წყალ ჩუუფაქებია... ჩამეიტანა შემა, კუარი. გომოჩენილა მინიდან ქოქები, კუნძები.
- იმასა არა შეხედება რა, არ უშავს, ზარალ იოქ.
- თავი შეჩვია (შეჩვია), დავიწყნეს გურჯიჯა... ჩუენ ნაცნობაში არ იცოდეს.
- მივა — დეჯრება, მივა — დეჯრება.
- ნერეულა ორი თანე გურჯი მოიდეს.
- მზეფნელი აღმანიადამ მოიდეს აქა, გურჯები. ბეერი გუელაპარიკეს, მარა მათი ნანდომი ვერ თქუეს. ვერ გევეგენით კარქა იმათი გურჯიჯა, ვერ ვიხვართათე კარქა.
- არც ლაპარიკეს ენონოფ ჩემ ნათქუამსა... რავლია ჩემი გურჯიჯა?!
- ეიხუჭავს ბალესა ეს ქალი, დედეკაცი.
- ამხანაგები მყუანდეს, მეტყოდეს: — ამხანაგო, მიყიდე ერთი ლვინო, მოგარუნოო ქუეყანაო. ბეერ რამეს მეტყოდეს.

— იმ ხან იყოს, მოსკოვას ქი ნეიყუანეს. — შუიდ დღე-ღამეს ვიარეთო, იტყოდა. ფესირათ იყო ჩავარდნილი. აქავრ ჯარებ რუსისას დესირათ უქნიან. ნები ჩაუში იყო, იმან ილაპარაკა. ზუთ ნელნადს იქედამ აქეთისკენ ნამუყუყუანიან. — გვამუშვეს, სახლები გვაკეთებიესო, ზურგზე თულა მაზიდისო. ჩემ უკან გზელი აჰმედი იყო ფესირათ, იმან თქუა ქიო, ზემოთვე ქალები მოდიოდეს, დევნახე, თუალები ზედ დამჩაო. ერთმა დამიზახაო, მაგ ჭკვითა ჩეთინა ნახუალ შენ შინაო... კუჭი გამუუდა, გაკუჭდა ერთ დედეაკამო.

* * *

— პარხლის ქილისა ჯამე აღარ არი. ახალი ჯამე გააკეთეს.

— ცოდვა არ იყო, ამდენ ხან არ მოგვიკითხეთ?!

— ადგილების სახელები გითხრა? — მახსოვან ზოგი. ახლა მურლულის მერქეზში ვზივარ, ზოგი აღარ მახსოვან. ესენია: ქედიყანა, შავქედქედი, დიდიქედი, ოხშარები, ყარამანლები, ბალხიბარი, საურათი, საჩინოთი, ბარისკევი, ლიტრევი, ონოკეთკარი, სატალახე, გონდი, ვეჟანკეთი, კევეგი, ქუაბაგი, კვერცუცი... ლელებია: პარხალი, ქუაბაგი, ბალხი. ეს ლელები ჭორუხ შუუერთდება, ბაიბურთიდა მამოსულ წყალსა.

— ქუაბაგის ადგილები: ელიაკევი, გველფარახი, ფილარეთი, ნყაროთი, ვირიგუერდნალი, სახაზო, ქედქედი, ლეენარი, გორჯიგორი, თკელტბა, საელვილო, ყურიგორი, გულიყანა, ნალიკვანი, სასპარაზონი, ქეაფუტკარი, ბირანგევი...

— ქომოთობანში ჭევენგია, სოფელია ერთი. მისი ადგილებია: ვაჩიკარი, ბასლიკარი, ფიშნარიკევი, ელიასკევი, სადგიყანა, კედლიანკარი, ნითლიკარი, გოდრიკარი, ხებეკაი, ქელანცხები, ბალხი...

— ქუაბაგის ლელის გურჯიჯე ადრია... აქედან გზა ვეჟანკეთ ჩამუა. ჩუენები ნინწნი ჭევენგში იყდეს... ერმენებიც ისხდეს ჭევენგში, ნეედეს.

— მუსტაფა ფენიდუნია ვარ, დვერიშოლი... ართვინში ამხანაგები მყავან ბვერი... პარხლიდამ ვარ. ჩუენებურების ზუელი გუარები, სოფალდება: დვერიშიანი, გოგოანი, სალუფიანი, თოფლიანი, ფაჰიანი, შეიხიანი... ამათი განაყოფები, მოზობლები ბვერნი არიან.

— ვეჟანკეთი იუსუფელია... ქუაბაგი, ბალხიბარი ართვინიდან ნასასვლელია. ქუაბაგში ქართველები არიან, კვერცუცშიც... სამი სოფელი ვლაპარაკობთ გურჯიჯეს ზრლ: ქუაბაგი, ბალხი, ჭევენგი. თითო სოფელში ორმოზდაათი ჰანე მაიც იქნება. ქუაბაგი მურლულზე მიკრულია... იქვერი გუარები არ მახსოვან.

— ეს ყაზდაღში გარეხილი კაციო, იტყვიან ჩუენსა გონჯ კაცზე... ერთი დედეაკაცი ჩიოდა, როდი კაცი მყავდაო...

— ლეხტზე მისლამდი უნდა კაცსა სწავლაო, მებნეოდა ჩემი ანაი. — ლეხტი რა არი, ანაჟ-მეთქი. — კვითხე. — ლეხტი კდარიო, რომე მოკდება ინსანი, იმასა უზახიანო, — მითხრა.

— ნისქეილი ჩემკე ბრუნავს და, სარაკუნამ საც უნდა იქ ერაკუნოსო, — უთქუამს ზალსა მულისთვინ და დედამთილისთვინ...

— თავიაშვილის ჩუენსა მოსლის ხებერი ემომ იცის, ჩემ ემომ. ახლა ყდას ბურსა ქალაქშიგან. — ბალანა ვიყავ, ჩუენსა მოიდაო, — მეიგონებს ჩემი ემოი, — ესკი ზამანის ქილისებ უყურებდა, ავაყაბები დუუცდა და ბაბამ მისი ჩარუხები რომე ჩააცუა, დღევანდელ დღესავე მახსოვანო... ეს გურჯისტანის ენ დიდი კაციო, ამბობდეს... — ჩემი ემოი ახლა ზოლ დაშლია, ქემალ ფენიდუნია, ნახევი და დელიაპარიკევეთ, ბვერსა გაგაგებიფეს.

— დაქორწინებხან გურჯინა ითხოო და ლაპარიკი არ გედვერევა, ოჯალი გურჯი დარჩება... დედაც გურჯი მყავდენ და მამაც, იმითვინ ვიცი გურჯიჯე. მექთებში ნაველ,

თურქა არ ვიცოდი, მარტო გურჯიჯეს ვლაპარაკობდი. მარა დაბი გურჯისა არ ვიცი. კაი იქნება, გურჯის დაზ შაასწავლებლით ბაღვებსა.

საუბრობდა მუსტაფა იენიდუნია (დევრიშინი-ბერიძე), 45 წლის.

იუსუფელი

— გურჯიჯა ლაპარაკი აქუან ბერ სოფელსა. ესენია: ქობაქი (ქუბაი, ქუბაგი), ხევეგი, ბალხი, იეთი, ელიასკევი, ქორიეთი, დევთისა, ჭილათი, მახათეთი, კუმრეთი, ბონმინდა, ბინათი, გუდასკევი, კუმრეთი...

— ხევეგი ახლა ცოტაია...

— იუსუფელის სოფლებში მოდის დიკა, ქერი, ცერცი, ლობიო, მარქვალი (ფათათესი), ძირი, ჯახური, ლახუთი, ვაშლი, შინდი, კიტრი, თომათესი, აყირო... ყურძენი ბევრი სოფ იქნება ჯინეში, კაროლ, ხათხულ, ცხენიძუძუ... არი კაკალი, თხილი...

— ვიცით ფჯორი, ცხენი, ვირი, ჯარი, ფური, დეკუული, მოზუერი, ბუზალი (კობო), კობოლარი (კობოები).

— ჭადი, კეცი გიგვიგონია ანადან. ანაი სოფელშია, ჩევრელში, იმა დეელაპარაკეთ და გაგაგნებებს...

— ბათუმის ხალხი ძალუან მიყვარან. ჩემი დედი ბათუმ წასულა, იქ უსაქმა, ფარა მუუგია, აქ მოსულა ისვენ და შინა უყიდა. ჩემი სახლი-კარი, ყანა-ბახჩა მაშინდელი აღებულა, ბათუმის ფარა არი შიგან ჩადებილი. ახლა ბევრი მეგვა არი ბახჩაში. ადით სოფელში და ჭამევით, თქუენი ზიარიც არი. დედეს სულისთვენ ჭამევით ბათუმიდან მოსულმა მოსაფირებმა.

— ორი სოფელი იყო — ახალთი და ყაზახორა. ესენი ერთი გახდა, იუსუფელი მერქეზი ორმოზდაათი წელიწადია გახდა. ადრე ოლდემი იყო მერქეზი... თავუსკერი პატარა სოფელია. „ტაო“ არ გიმოგონია...

— ესა სკლაპუნტურია, თურქა — მუშმულა. „ზლმარტი“ არ ვიცით, „სკლაპუნტურ“ ვეტყვით.

საუბრობდნენ სინან დურმაზი და ნურეთინ იშილი.

ჩევრელი

— იქ არი კოდო, მეტან!

— ეს არი ჩევრელი, გაღმა ჩანს გოჯეკი. აქევრი სოფლებია, ძუელი. კევაიდან გომოთხოვილი ვარ. კევა ეფეიჯა შორ არი აქედამ, სამ საათ გუუნევს ფეკით გზა. აქევრელები მუჰაჯირათ მიდიან შიგანა თურქიეში, ცარიელდება აქევრობა. ჩუნაც იქიდან აქ ჩამოგსულვართ.

— ორი შვილი მყავს, ორთვენი ბიჭები, ორთვენი ბექარი არიან. ზალსა ვეძეფ. ბიჭები ლამაზები მყავს, ზლებიც ლამაზები შინდა.

— შენ ახლა მურღულ დგახარ?... ჩომოვალთ ინშლაჰ!

— კაცი არ მყავან ქალებსა, მომიკვდნენ. მეაც ავთ ვარ...ყალბი მაქ, მეშინია სიკედლის...

— ათდაერთი ქილო იყო ქლიავი...

— ავადლობას ეწევა და, იმითვი არ სუამს ყაჰვეს...

— ნანუელიდამ ბევრი დემეგი იქნება. ნანუელსა მაქინაში გამოეწევთ, ერბო შევდლობამ, ხაინ იქამ... ყადმალ აადულამ, მუურუე ერბოში ყველ, ნივილი გახდება.

— მანონ შაყენებ, ნანველ აადულამ, აბლი გაცივდება, თიბილინა იყოს, მანვნი დედას ორი კოვზით იმაში ურთებ, შედგება. შაყენებ ყაბში, ჩინკო თენჯერე იქნება,

ყოფა იქნება, ალუმინი არ იქნება. ბევრი ქი შაყენებ, შედლობავ, მანვნი დალი გამუა. მანვნი დალი დაჰა გემრილია... სადღეებელიდამ მოდღეებამ... მინიდამ გაკეთებულში დაბლა შედღეებამ... ერბოს ამეილებ... ქუშ დო დარჩება. იმა ქუაბით დადებენ ოჯალზე, აადღებენ, სანურავში განურვენ, შესჭამენ...

— ყაფმალში თაზე ყველ ჩაჰყრი, იქნება აზელილი.

— ნანუელ აადღებ, იმაში ფირინჯინა ჩაყარო, იქნება სუთლაჯი.

— დელაშუტი არი, მაქინადამ გამოსული ნანუელი რომ დამჯავდება, ისა. დელამუტსა დადგენ ცეცხლზე, ამეილებენ ყველ, მუუჭირებენ ხელსა, განურვენ, მარილ ურთებენ, სანურავში ჩადებენ... მემრე ბიდონებში ჩადებენ, მარილი ნყალ დაასხმენ.

— ბექმეზი თუთიდამ გომოა. შარაყეე თუთას, მეიტან, ჩაჰყრი ქუაბში, მოხარშავ, გასნურავ ჩუვალში, დასდგამ ოჯალზე, ადღვამ; გომოა თუთი ბექმეზი.

— ყურუნისაც იქნება. დაჰკრიბავ, მეიტან, შინძანაში ჩაჰყრი, ფეკებით შესდგები, და ლადონინა გედვიცვა ფეკებზე, და ძალიან სუფთა ფეკინა ქქონადეს. დასნურო უნდა, კარქა გამეინურვის, გომოა შირა. დადგვამ ცეცხლზე, აადღვამ, გომოა ტკიბილი, პურ დაანობ, ფილაე მოხარშავ, იმის უკან გარეკავ ნყალში, შესუამ...

— ყურუნე არი — ჯინეში, კვირტაი, ადესა უზუმი, კარულა, თულვანდა, ცხენიძუძუ, ურუს ყურუნე, ხათხული...

— ქილიავი ისე შესჭამ, გააჰმობენ ჩირი, თამაზი (შიგნიდამ ბურკა არ გომოა). ხოშავ იქმენ იმითა... დეფნებზე გაშლიან, გაჭმესო... ქილიავი არი ყუთელი, შავი, მონითლო ფერის, სამ სოჯ, იმა გაჰყიდვენ.

— ცომიდამ (ხამურიდამ) ბევრი რამე იქნება. ცერცე და ქერ გოურვენ, გომოფქვენ ნისქელიში. ხაროში, ბელელში იყრება ფქვილი. ააშებენ. პურინა გაასუქო. დიდრუანი ციცვები აქუან. ცომ იქმენ, ჯავე პურის ცომ ურთებენ, გასუქდება. ექესი, შუიდი თანე კეცია. ოჯალში გაცხელებენ. გადმეილებენ ცეცხლიდამ. არკიში აქუან კინდამ გაკეთებული, იმით ანევი. დადებ ასე ცხელ კეცსა, დაასხამ ცომსა. გადმეილებ მეორე ექე. იმაზეც დაასხამ ცომ, შედგამ ნინაზე. ერთმანეთზე შაანყობენ, გამუაცხობენ ბევრს ერთათ... ახლა სობებში აცხობენ.

— ქადა გამუაცხობენ. დიკი ფქვილიდამ სიქელ ცომ გაასუქებენ. ხავინ იქმენ ყაფმალიდამ. შიგან ჩადებენ, კაკალა მაყარინ, ერბოს მაასხამენ, იქნება ქადა. ადნი კეცში, დადა სობაში გამააცხობენ. ყაფმალში მოზელენ ლაზუთიდამ ფქვილსა, გამუაცხობენ ჩორაქი. აქაური „გევერტ“ ეტყვიან.

— ცომ გახსნავ, საჯზე გომოაცხობ. ორნი გახსნიან, ერთიც აცხობს. გათავდება გომოცხობა, დაშქრიან, დაანყარებენ თუფსებში, იქმენ მაკაინას...

— ერიშტასაც დასჭრიან წმინდა-წმინდა. შექერ თუზ მაყარი, ერბო მაასხამ, შეკმაზავ...

— ბაქლავასაც ვიჯებით. ზეითუნ დაღ გუურევე, ნანუელსაც გუურევე, ქარბონათა გუურევე... ამათ იქამ. გახსნავ ლავაშებ, დაანყარებ, ოთხ თანეში მაყარი კაკალ, მაქინაში გამონევე, საფორცხელში. შეკმაზავ, შეკდებ ფურუნში. გომოცხევა, აადღულ შერბეთ, მოსიქლო შერბეთ მაასხამ.

— ფაფა იქმენ ლაზუთი ფქვილიდამ. მოხარკონდა საჯზე დიკა, ქერი, ლაზუთი, ცერცვი. მოტალვენ კარქა. ნეილებ, გომოფქვეე ნისქელიში, ფაფა იქმენ იმითა, შორვა იქმენ. ფაფა იქმენ ბექმეზით, ყაფმალთ. ჩაასხმენ დაღ, ჭამენ დალით.

— კელსაქმარი ვიცით. გუაქ ტარი, საჩეჩელი. კრუთავი. კედ ვიქთ. ორყათ ვიქთ, დავძახავთ, ჯარი მაქვან და იმაზე. ქალები ჯეჯი იქმენ, ნინდა იქმენ, სუითორ იქმენ, თათმანსაც მოქსვენ. ესქიდან ლაჩაქსაც მოქსოვდენ. ყადთან მოქსვენ, ფეშტემალი მეიკვრენ იმითა. ფეშტემალსაც მოქსვენ.

— შიში, ჭალი-ნინდის ჩხრი ვიცით. ნინდაზე ხუთი ჭალინა იყოს...

— ოთხი მარცხულ გამეილებენ... უმატებ ყოლ მოვლად ერთხან, მემრე აღარ უმატებ, მოქსოვ. ქუსლინა მოუქსოვ წინდას. მაშინ ორ ჯალზე გადახვალ, მემრე შოუტოლებ მიორე ჭალებსაც. — ქუსლი მოვკვეთევი და ყელი ყელზე გეველითო, — ვიტყვი. მემრე ლასტიკ მოვქსოვთ, მოვკვეთავთ... ტაბანი მოვკვეთეო, — ვიტყვი... ზენკელი ზაათი იცოდენ...

— მინდერ ვაკეთებთ. ხალი მოქსოვენ, ჯეჯიმ მოქსოვენ... საფექრო მაქეა... ქილიმი და ჯეჯიმი საფექროზე-ფეშტემალ, ეპრამ მოქსოვენ.

— ლებო, მარქვალი (კარტოფილი), ბიბერი, დომათესი, სალათალული, კიტრი, პატლიჯანი, მიდანოზი, ქინძი, დერეოთი, სოლანი, სარმურალი დაღენა-დაღენა, დატებ. სოლან დააჭრი, აბლი მოხრაკავ, წყალს დაასხამ, ისტარსა გუურევ მარქვალ...

— კევას მეშელებია: ქონობანი, ბასლიკარი, გოდლეკარი, დოლენჯაკარი, კრაეკარი, ჭელონკარი, დოლეკარი, ვაჩეკარი, აზლიანკარი, შამფიანკარი, ფიშნარკევი, ქელაზორ, ცერეკარი, დოსეკარი, შაბანიანკარი, ბასლეკარი, ობლეკარი, იეთი, სადგიყანა...

— ადგილების სახელებია: წყართუალი, წუერსიქითა, დიდქედი, ფოსოი, კვენარობა...

ლეუე ფიშნარკევი ჩომოა, დევსეკარაი ჭევი ჩომოა...

— დათლა ვიცით: ერთი, ორი, ექუსი, შუიდი, რუა, ცხრა... ათდაერთი, ათდაორი, ათდასამი, ათდაოთხი, ათდახუთი... ოცი, ოცდაერთი... ასდა ერთი, ასდა ორი... ასდა ათდა ერთი, ასდა ათდა ორი, ასდა ათდა სამი...

— ქალების სახელები: პევაი, შეჯერაი, ფატყვიმაი, აიშოი, ემინეი, მუხსინეი, რემიე, ხათიმე, გულჯან, ნარგულე, დეეთეს, შიდაეთ, გამზე, თუბა, მუშუყე, შეფიყე, ნურჯან, ესმა, იოსმა, იაშარ, ფათი, შუშე, ხებიბე, ნაიმე, გულჯანი...

— დაჰკრეფენ, გაჰყიდენ ეზრუმ... კამდონი მუა, თუთჯარი მუა, იყიდის... ბლიკმელ აქა არ აკეთებენ, კევას აკეთებენ, გააკმობენ, გაჰყიდვიან...

— ათ და ექუსი წლის ბიჭი მომიკვდა, სინანზე დიდი... ოთხი მოზობელი აქა ერთათ ვართ, გურჯი ვართ, დანარჩენები გურჯი არ არიან. აქ ახლოს თექალა, ბევრი ქილისებები არი...

— აუსთოს დაწყებისან ქობაქის თაზე დოლი იქნება, ბაღრამობა.ქაიჯავთ, ჩამოით მიორე ნელინადში, წიგიყან ბაღრამზე, დგანახავებ იქვერობასა...

— შვიდობით, ძალუან შეგვაყვარე თავი. კიდენ მოით, კიდენ... ღმერთის ემრით, კიდენ დენახავთ ერთმანეთსა...

საუბრობდნენ აიშო დურმაზ, გულჯან ბოზ და სხვა სოფლელი ქალები.



«ნაშთი ძველი დიდებისა» მტბევარებისა და ოპიზარების ნაკვალევზე

ისტორიული ზემო ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე — კლარჯეთი გაშლილი იყო მდ. ჭოროხის აუზის შუა წელის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და დაახლოებით მოიცავდა ყოფილ ართვინის „ოკრუგს“. კლარჯეთში შედიოდა თვით კლარჯეთი, ამ სახელის ვიწრო მნიშვნელობით. საერთოდ, კი იგი მოიცავდა შავშეთს, იმერხევს, ნიგალისხევას და აჭარას. საისტორიო წყაროების მიხედვით, კლარჯეთი არის „არსიანიტგან ზღუამდე“ (16, 62).

კლარჯეთის სოფლები გაშენებულია მდ. ჭოროხის შენაკადების ხეობებში, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიჯნულია მაღალი მთებითა და კლდოვანი ადგილებით. ასეთი გეოგრაფიული პირობების ხელშეწყობით საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან მეტნაკლებად განსხვავებული ტომობრივი დასახლებანი, როგორცაა: მაჭახელი (მაჭხელი. ისტ. მიჭიხანი), იმერხევი, შავშეთი, ნიგალილიგანი (ლივანი) და საკუთრივ კლარჯეთი.

ჭოროხის შემდინარე წყლები ერთობ მრავალია. დასახელებულ რეგიონში მარჯვენა შენაკადებია: მაჭახლის წყალი, ქლასკურის წყალი, ბაგენის წყალი, იმერხევის წყალი (იმერხეულები მდ. ფაჯართსაც ეძახიან), რომელიც შერთულან უერთდება სათელისის წყალს და იწოდება შავშეთის წყლად. შავშეთის წყალი კი ართვინის ზემოთ შვერთვის ჭოროხს. მარცხენა შენაკადებია: მურლულის წყალი (მრავალიცხოვანი შენაკადებით), ხატილა, იჩხალა, ბელეგანი.

მდ. მაჭახლის ხეობა — მაჭახელი საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრით ორად იყოფიდა. თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია ზედა მაჭახელი. აქაური სოფლებია: აკრია, მინდიეთი, ირემეთი, ეფრათი, ქვაბითავი, ზედვაჯე, მალაყმეთი, ხერთვისი. ეს სოფლები მაღალი მთების (ყელობა, მერეთა) ქვემო კალთებზეა გაშენებული, ორი მდინარის — მინდიეთის ღელისა და ეფრატის ღელის ხეობებში. მინდიეთის ღელე გამოედინება ყელობა მთის მწვერვალებიდან, ჩამოივლის სოფლებს — აკრიას, მინდიეთს, ირემეთს, ჩამოედინება სოფელ ხერთვისში და აქ უერთდება ეფრატის ღელეს, რომელიც სათავეს იღებს გორგითისა და მერეთის მთებიდან. ჩამოივლის სოფლებში — ეფრატსა და ქვაბითავში და ხერთვისში შვერთვის მინდიეთს. ამ ორი მდინარის შვერთებით წარმოიქმნება მდ. მაჭახლის წყალი, რომელიც საქართველოს საზღვრებში მდებარე სოფელ მაჭახლისპირში უერთდება მდ. ჭოროხს.

მაჭახელი ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჭოროხის მხარის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ისტორიული შავშეთისა და კლარჯეთის სოფლები შავიზღვისპირეთს, ბათუმს, ორი სახმელეთო გზით უკავშირდებოდნენ. ერთი, უფრო გრძელი გზა, ჭოროხის ხეობაზე გადიოდა უშუალოდ. მეორე, უმოკლესი გზა, კი მაჭახლის ხეობაზე, კერძოდ, კარჩხალის მთის კალთაზე მდებარე სოფელ ეფრატს გაივლიდა. ეს გზა აკავშირებდა მაჭახელს შავშეთთან, ართვინთან, არტაანთან, ზემო აჭარასთან (7, 8).

მაჭახლის ხეობა დიდი ხნის განმავლობაში შედიოდა ტბეთის ეპარქიაში, შავშეთში. ცნობილი ძველი „ტბეთის სულთა მატთანე“, რომელიც XII-XVII საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, მნიშვნელოვან ცნობებს გვანდის მაჭახლის შესახებ (13). ზედა მაჭახელი ამაჟამად შედის ბორჩხის რაიონში. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ხერთვისი. მცხოვრებთა საოჯახო (შინაური) ენა ქართულია.

მდ. მურლული (მოზრდილი შენაკადებია კაბარჯეთისა და ბაშქოსის ღელეები) ქმნის

ხეობას, რომლის ორივე სანაპიროზე გაშლილია სოფლები: კაბარჯეთი, წყალყა, ყავრიეთი, აგარა, ისკები, ძანცული/ჩანცული (ძანსული — ქვეთ. თაყ.), ხახური, ბაგა, გურბინი, ქურა, ჩხალეთი, ლომიკეთი, ბაშქოი, ფოროსეთი, გოგლიეთი, ჭილაკრი, ქორთუკეთი, ქვაშირეთი, დურჩა, კორიდეთი/კორდეთი, ოზმალი, ბუჯურთი, ხოსროლი, გველი, არხვა, ერეგუნა, ქამილეთი, ჯუნიანი/ჯუანი, დიალეთი, ტრაპენი, კასიმეთი, ქობეკეთი, აღუჩა...

მურლულის ხეობა მდიდარი და საინტერესო წარსულის მქონეა, რაზედაც მეტყველებს ნანგრევების სახით მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლები (ციხეები და ეკლესია-მონასტრები). სოფელ ქურაში ნაშთის სახით შემორჩენილია ლითონის სადნობი უძველესი ბრძმეები (ქურები). ს. კორიდეთის მონასტერშია გადანერილი ცნობილი კორიდეთის სახარება, რომელიც დათარიღებულია მე-8 საუკუნით. ხელნაწერი ბერძნულია, მაგრამ აქვს ისტორიული ცნობების შემცველი ქართული მინაწერები (4,75-84). მურლულის ხეობა ამჟამად შედის მურლულის რაიონში (ადრე შედიოდა ბორჩხის რაიონში). ადმინისტრაციული ცენტრია დაბა მურლული (რომლის ახლოს მოქმედებს სპილენძის მომპოვებელი მალაროები). მურლულელების საოჯახო ენა ქართულია. ლაზეთის საზღვართან მდებარე ზოგიერთ სოფელში ქართველებთან ერთად სახლობენ გამუსლიმანებული სომხები (მემშილები). მაგ., ასეთია სოფელი ხახური.

მდ. ჭოროხის ხეობას, ყოფილი ართვინის „ოკრუგის“ უმეტეს ნაწილს, მოიცავდა ისტორიული ნიგალი (5, 198). ამასვე ადასტურებს ბატონიშვილი ვახუშტიც: „ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდვებდ არს ართვანი, ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან ვაჭარნი, და ამ ართვანის სანახებთურთ, ვიდრე ერგეს სამზღვრამდე, ჭოროხის ხეობის იმიერ და ამიერი იწოდება ლიგანის ხეობად“ (2, 680). სახელწოდება „ნიგალი“ ოსმალეთის იმპერიაში შეცვალეს „ლივანად“. აქაურებმა დღესაც „ლივანა“ იციან, „ნიგალ“-ს არსად არ ამბობენ. მაგ. ართვინის ციხეს „ლივანა ყალეს“ ეძახიან, ჭოროხის ხეობას „ლივანას“ უწოდებენ (საგულისხმოა, რომ იმერხევის დასაწყისში მდ. ჩიხორის ხეობაში, არის პატარა სოფელი ლიბანი).

ისტორიული „ნიგალი“ კლარჯეთის ნაწილი იყო. იგი ქართულ ისტორიულ წყაროებში ცალკეც იხსენიება (16, 63). დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ლივანის ხეობა (ლივანა) მოქცეულია ბორჩხის, მურლულის და ართვინის რაიონებში. ლივანის ქვემო ნაწილში, კერძოდ, სოფელ მარადიდში, გადის საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი. საქართველოს ფარგლებშია ლივანის დანარჩენი ნაწილი, სოფლები — მარადიდი (ნაწილობრივ), კირნათი და მირვეთი.

ბორჩხის რაიონში მდინარეების — ბელღევანის, იჩხალის, ხატილის, ბაგენის, ქლასკურის ხეობებშია განმეხლები ლივანის სოფლები: ქართლა (კარტლა), ომანა, უზრუმა, ნიგია, თხილახორი, ავანა, ზელიეთი, ორჯი, დამფალი, ებრიკა, პეტრული, ადაგული, ვალაშენი, ოხორჯი, ბაგინი/ბაგენი, ვინტაელი, დევსქელი, ხება, ქლასკური, კატაფხია, ბელღევანი, მურკივეთი, ზედუბანი, არპავეთი, ახალდაბა, სინკოთი, ჩარბიეთი, კვარჩხანი, ბეშველი, კირსა, ნეჭვი, ოფუჯა, საბაერი, კინცხურეთი, ჭინკური, შუახევი, უკანმერე, ვაზრია, ბანაგნა, ლვია, მარადიდი, ხინჯანა... მდ. ბაგენისა და მდ. ჭოროხის შესართავთან გაშლილია დაბა ბორჩხა (ფორჩხა-ვახუშტი). გ. ყაზბეგი, რომელმაც 1894 წლის ზაფხულში იმოგზაურა კლარჯეთში, ბორჩხის დათვლიერებისა და ბორჩხელებთან გასაუბრების შემდეგ, ასეთ შენიშვნას აკეთებს: „ჭოროხის სანაპიროების მცხოვრებნი ლაპარაკობენ წმინდა ქართული ენით, გამოირჩევიან სილამაზითა და გონიერებით. ეს მხარე ოდითგანვე წარმოადგენდა სუფთა ქართული გენის აკვანს და ამჟამადაც, ბედის უკუღმართობის მიუხედავად, შენარჩუნებული აქვს თავისი ძველი ლირსება“ (18, 92) ბორჩხის სოფლებში საოჯახო ენა დღესაც ქართულია, განსაკუთრებით კარგადაა შენახული ცენტრალური გზებიდან მოშორებით მდებარე სოფლებში.

ართვინის რაიონში ქართული სოფლები უმთავრესად ჭოროხის მარჯვენა შენაკადების — ბერთის წყლისა და კარჩხლის წყლის ხეობებშია შეფენილი მაღალი მთების კალთებზე, ზოგიც ქ. ართვინის მახლობლად მდებარეობს. ეს სოფლებია: კორძული, ხაიფეთი, ლომაშენი, მამანშინდა, თოღკომი, ისკება (ესენი პატარა-პატარა სოფლებია, ართვინის უბნები), არდოლა, დოლისყანა, შურმახი, წყალოქრო, ერთა ხიდი (აქ მდ. არტანუჯი უერთდება მდ. შავეშეთის წყალს), ბერთა, ჯმერთი (ჯმერეკი), გვერდაბალები, კაპარი, მოხვერთა, ოპიზა, ფორთა, ფრინჯლელი, წყალთურა, ხიზაბირი, ჩიდილი, ჩივთაპანები, ნუფთა, მოხობანი, ჩხაკათი, უსტამისი, ფერასხევი... ამ სოფლების ჩიდი ნაწილში კარგად იციან ქართული (ჩიდილი, უსტამისი, ჯმერეკი...), ზოგან კი ან სულ აღარ ახსოვთ ქართული, ანდა ძალიან სუსტად იციან. 1904 წელს აკად. ნ. მარი როცა ესტუმრა ოპიზას, ოპიზელებს ქართული უკვე დაეცემული ჰქონდათ, მაგრამ ქართული მეტყველების ტემპი აშკარად იგრძნობოდა აქაურთა თურქულში (19, 157).

არტანუჯის რაიონში თითქმის მთლიანად დაეცემიან ქართული. მოსახლეობის უმეტესობას სომხობა შეადგენს. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა (სომხებმა) დაგვისახელეს რამდენიმე ქართული სოფელი: ბაცა, ანაკერტი, ანჩა, ტანზოთი, ახიზა და კლარჯეთი (სოფელსაც რქმევია ეს სახელი). ჯერ კიდევ 1874 წელს ამ მხარეში მოგზაურობის დროს გ. ყაზბეგი შენიშნავდა, რაც უფრო ვუახლოვდებით არტანუჯს, მით უფრო ცოტა გვხვდება ქართულის მცოდნე (18, 66). აქვე გვანვდის ცნობას, რომ არტანუჯის თორმეტი სოფელი, რომელიც მთა გომიხევენიის (გომიხევენიის) მიდამოებში მდებარეობს, ქართულად მოლაპარაკეა და მცხოვრებნი იწოდებიან გურჯისტანის ხალხადო (ს. კლარჯეთში ადასტურებს ავალიანების გვარი). არტანუჯის რაიონი მოქცეულია შავეშეთისა და ართვინის რაიონების შუაში.

ისტორიულ შავეშეთს დაახლოებით მოიცავს დღევანდელი შავეშეთის რაიონი. ქართულენოვანი მოსახლეობა ძირითადად ცხოვრობს იმერხეში, რომელიც შავეშეთის რაიონში შედის, მაგრამ მასზე ცალკე შეეჩერდებით. საკუთრივ შავეშეთის (იმერხეის გამოკლებით) სოფლების უმრავლესობაში ტომით ქართველები ცხოვრობენ, ოღონდ ქართული ენა დაეცემული აქვთ. შავეშეთში ოჯახის ენა თურქულიაო, შენიშნავდა აკად. ნ. მარი 1904 წელს თავისი მოგზაურობის დღიურში (19, 86). გ. ყაზბეგი კი შენიშნავს: „დიდი გზების გასწვრივ სოფლებში დაეცემული აქვთ ქართული, მხოლოდ ახსოვთ, რომ წინაპრები გურჯები ჰყავდათ“ (18, 66). მაგრამ ქართული ენის ნიშანწყალი ამ სოფლებში მთლიანად არ გამქრალა. აქაურთა თურქულ მეტყველებაში ქართულიდან შესულა ბევრი სიტყვა და გამოთქმა. კერძოდ: უგვი, ვეჟანა, ბულული, საჩჩელი, სათუთი, თათარზენა, წინწყალი, ქინძი, დოლა, ლურსი, მაქო, მეშველა, ნეგო, ფურჩი... ისთიქანი, იშაფი, ისტოლი (ქართულის გზით შესული რუსიციზმები). ამ ფაქტს თურქი ენათმეცნიერების ყურადღება მიუქცევია. ამ მხრივ საინტერესოა თოქათის უნივერსიტეტის დოცენტის თურგუთ აჯარის შრომა „ქართული ენის გავლენა ართვინულ დიალექტზე“, რომელიც მან წაიკითხა ქ. ბათუმში გამართულ კონფერენციაზე (იხ. ბათუმისა და სამსუნის უნივერსიტეტების ერთობლივი კონფერენციის მოსაწვევი ბარათი და მუშაობის გეგმა, ბათუმი 1991 წ.). გარდა აღნიშნულისა, ამ სოფლებში მიკროტოპონიმები სულ ქართულია, სოფლების სახელები კი კარგა ხანია შეცვლილია თურქული სახელებით.

ასეთი სოფლებია: ყვირალა, მიქელეთი, ჯინალი, კარავათი, ველი, ციხისძირი, ხანთუშეთი, დაბანვრილი, რაბათი (ძვ. ცხიკიური), ბალვანა, კუჭენი, სათლელი, მამანელისი, ვანთა, მორდელი, გურნათელი, მოროხოზი, ზენდაბა, სოფორო, ჩართულეთი, წენლაური, ნორნელი, ვერხვინალი, მოგვთა, ანკლია, თოფიძე, კოთხევი, ახალდაბა, თურმანიძე, შავთა, ჩიფთლიგი, გარყილობი, სხლობანი, ნითვეთი, ტბეთი, ჯარათი, დაბაკეთილი, ოქრობაგეთი... მათ შორის ზოგიერთ სოფელში (გარყილობი, მიქელეთი,

ჯინალი) ცოტ-ცოტა იციან ქართული, ნათქვამს ხვდებიან, მაგრამ თავისუფლად ვერ ლაპარაკობენ. ზოგიერთ სოფელში კი აშუამად უცხო ტომის ხალხი ცხოვრობს (ოქრობაგეთში — სომხები, რაბათში — სომხები, ბოშები...).

შავშეთში, როგორც ცნობილია, მოსახლეობა დიდი ხნის წინათ აჭრელდა. გ. ყაზბეგი შენიშნავს, „შავშეთი შედგება ორი ხალხისაგან — ქართველებისა და სომხებისაგან...“ (18, 66). აქაურებში დაცულია თქმულება, რომელიც მოგვითხრობს, რომ ექვსასი წლის წინათ ანიდან გადმოსახლებულან სომხები მურღლის ხეობაში, იქიდან კი გადმოსულან ართვინში. ბევრ სხვა მიზეზთან ერთად, ცხადია, მოსახლეობის სიჭრელემაც დააქარა კლარჯეთში ქართული ენის დასუსტება და ბევრგან სრულად დაკარგვა.

შავშეთის რაიონში შედის იმერხევი. იგი იწყება შერთულიდან (სადაც სათლელის წყალი შერთვის მდ. ფაფართს, ანუ მდ. იმერხევს და წარმოიქმნება მონრდლი მდინარე შავშეთის წყალი, რომელიც ართვინიდან ზემოთ რამდენიმე კილომეტრში უერთდება ტაოდან გამომდინარე ქოროსს) და სათავისაკენ გრძელდება სოფელ ჯვარებაზმდე. იმერხევის სოფლებია: შერთული, შარაბული, სინკოთი, ჩაქველთა, დასამობა, ბრილაგრა, დავლათი, ოთქლდე, სვირევენი, ჯვარისხევი, ჩიხის ხევი (უბნებად იყოფა — ბარები, დუდუბეთი, ზუბიეთი, კოკვერეთი. პატარ-პატარა სოფლებია ესენი), ბაზგირეთი, დიდნახი, ზიოს, ხეწვერილი, დაბა, უბე, ჩიხორი, თეთრაკეთი, არდიასწმინდა (წ. მარი — ანდრიასწმინდა), ლიბანი, წყალსიმერი, შოლტიხევი, ბზათა, წეთილეთი, ხოხლევი, ზაქიეთი, მაჩხატეთი, მანაბტა, აგარა, იფხრეველი, ქოქლეეთი, დიობანი, ივეთი, გამეშეთი, დავითეთი, ფარნუხი (ფარამუხი), დიდმერე, რიოლეთი (ნიოლეთი), გოგეთი, გომთა, ჯვარეთი, ჩიხვტა...

იმერხევის სოფლები გაშლილია მდ. ფაფართის ორივე სანაპიროზე, უმთავრესად მალალი მთების (აჭარა-შავშეთის მთაგრეხილის) სამხრეთ კალთებზე. იმერხეველები ორენოვანი არიან, საოჯახო ენა ძირითადად ქართულია. გ. ყაზბეგი წერს, რომ აქაური მცხოვრებნი „ქართველები არიან, სუფთა ქართველური ჯიშისა, სახლში ლაპარაკობენ საქართველოს მთიანეთის მტყვევლებისათვის დამახასიათებელი აქცენტით, როგორც კავკასიონის მთიულეთლები. ბევრი სიტყვა გვხვდება ხევსურული დიალექტიდან“ (18, 66).

შავშეთ-კლარჯეთის ზოგიერთი ადგილის მოსახლეობა და ბუნება კარგად არის აღწერილი გ. მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „ბუნებით ერთგვამ არს ქვეყანაი უდაბნოთაი... კეთილად შეზავებულ მზისაგან და პაერისა... არცა ფრიად სიცხეი შეწნავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურევს მყოფთა მისთა... უნოტიოი, უხორშაკოი, უმინოი, მზვარეი... კაცთა ნახჭნი ფერხთან იაროდეს თიხიან ექნებიან სვლასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შემაი ნებისაებრ უნაკლოდ აქეს აღმოცენებული ქვიშათა მათ შინა, ურიცხვი მალნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაი. ბუნებით მხიარულებაი მიცემულ არს ღმრთობისაგან. და არს იგი უგზო და მიუვალ... ლადოთა მათთა შინა მალალთა არს მკვიდრობაი მათი... არ არს სათიბელი ქვეყანაი. არცა ყანაი სახნავი, არამედ დიდითა შრომითა... მცირედ ვენახნი ჭირით და ურეთი დაუნერგვან და ეგრეთვე მტილები. ხოლო მხალთა ველისათაი არს სიმრავლე ურიცხვი და ამას ყოველსა თანა უმიშ არს გული მათი უქრისტოთა მათ ურწმუნოთაგან შერყევისაგან და ყოველისა ძრვისა ჟამსა ხელმწიფეთა მტერობისასა“ (9, 556).

კლარჯეთის დიდი ნაწილი კი (შავშეთი, ბორჩხის რაიონი) მტვად მდიდარი ბუნებითაა დაჯილდოებული. მნახველს თვალს სტაყებს ხეხილის ბაღებში ჩაშვდარი შავშეთის სოფლები: მამანელისი, კუჭენი, შაქედი, სხლობანი, დაბანვრილი, ოქრობაგეთი, ჩართულეთი... დიობანი, იფხეველი, მანაბტა... შავშეთის მომხიბლავი ბუნების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ასე წერდა: „და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი, ვენახ-ხილიანი... ნაყოფიერებს ფრიად მინა ამის... პირუტყენი, ნადირნი, ფრინველნი

და თევზნი მრავალნი (2, 680).

შაველით-კლარჯეთი იხსენიება უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში. საუკუნეთა მსვლელობაში ამ კუთხეზე მეტად საინტერესო და თანაც რთული ცხოვრება განვლო. „აქ ზედბოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ხალხები: ქართველები, სომხები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, თათრები — სელჩუკები, თათრები — ოსმალები... იცვლებოდა უფლება ერთი ხალხისა მეორეზე, იცვლებოდა სარწმუნოება, ენა და განათლება“ (5, 203). ყოველივე ეს გარკვეულ კვალს ტოვებდა აქ მცხოვრებთა ყოფაში, კულტურასა და ენაში.

ისტორიული კლარჯეთი ოდითგანვე დაკავშირებული იყო საქართველოს სხვა კუთხეებთან როგორც ადმინისტრაციულად, ისე ეკონომიურად და კულტურის მხრივ. ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის სამეფოს არსებობის პერიოდში კლარჯეთის საერისთავო, მეფე ფარნავაზის მიერ განწესებულ რვა საერისთავოს შორის, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო (16, 24). შაველით-კლარჯეთს დიდი უბედურება დაატყდა თავს არაბთა შემოსევების დროს. აობრდა და განადგურდა კულტურულად და ეკონომიურად დანიშნურებული მხარე ქართლის სამეფოსი, სადაც ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში „მეფე მირდატმა, ბაკურის ძემან, აღაშენა ეკლესია თუხარისის ციხეში, „რამეთუ ჰეესა კლარჯეთისასა არ იყო ეკლესია“ (5, 504). მეხუთე საუკუნეში კი ვახტანგ გორგასალმა ააშენა არტანუჯის ციხე. ცნობილია, რომ არაბთა ბატონობის დამყარებამდე კლარჯეთსა და შაველთში სამი საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა: ახიზის, ანჩისა და ფორთის.

V-VII საუკუნეების კლარჯეთის არქიტექტურის ძეგლების შესახებ ძვირფას ცნობებს ვპოულობთ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გარდა, ძველი ქართული მწერლობის ისეთ ძეგლებში, როგორიცაა: „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ და ბასილ ზარზმელის თხზულება „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“. ამ ცნობების მიხედვით, V საუკუნეში კლარჯეთში აუცილებლად ოპიზის, დაბის, მერეს, შინდობანის და ახიზის ეკლესია-მონასტრები. ამათგან V საუკუნის მიწურულში ვახტანგ გორგასალს დაუარსებია ოპიზის მონასტერი, რომელიც არასებითდ წარმოადგენდა პირველ მონასტერს საქართველოში, ვინაიდან ასურულ მამათა მოღვაწეობასთან დაკავშირებული მონასტრები დაარსებულია უფრო გვიან (6, 303).

არაბთა შემოსევებით აობრებული და დაცარიელებული კლარჯეთი, სადაც „მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა ადგილ-ადგილ“ (9, 537), გამოაცოცხლა ქართლიდან არაბთა ბატონობით ლტოლვილი მოსახლეობამ. ამ პერიოდში აქ საცხოვრებლად გადმოდის ქართლის ერისთავი აშოტ დიდი, თავის ხელისუფლებას ამყარებს მთელს ტაო-კლარჯეთში და საფუძველი ეყრება ბაგრატიონების სამეფო დინასტიას. ამ კუთხის ეკონომიკური და კულტურული აღორძინება განუწყველად დაკავშირებულია საქართველოს ახალი პოლიტიკური ცენტრის დაარსებასთან, ქართველ ბაგრატიონთა ხელისუფლების თანდათანობით განმტკიცებასთან. აქ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების პროცესი ემთხვევა სამონასტრო მშენებლობის გაშლას. ამავე დროს მოღვაწეობას იწყებს სამონასტრო მშენებლობის დიდი ორგანიზატორი, მწერალი და განმანათლებელი გრიგოლ ხანძთელი, რომლის ცხოვრების ტექსტი ძვირფას ცნობებს იძლევა ტაო-კლარჯეთის შესახებ.

მალე, ბაგრატ მესამის დროს (978-1014 წ. წ.), აღორძინებული ტაო-კლარჯეთი გადმოდის საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის მედროშედ. ერთიანი საქართველოს „ოქროს ხანაში“ ცხოვრობდა ეს მხარე მონღოლთა შემოსევების დანეყებამდე. მონღოლთა გაბატონების შემდეგ კი ტაო-კლარჯეთი მოექცა სამცხე-საათაბაგროში და განაჯანდნენ ათაბაგები — ჯაყელები. მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან მთელი სამცხე-საათაბაგო გადადის ოსმალთა მფლობელობაში. ოსმალებმა 1552 წელს აიღეს არტანანი და არტანუჯი. კლარჯეთი ადმინისტრაციულად დაქვემდებარა ჩილდირის ვილაეთს (15,

299)... მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან შავშეთ-კლარჯეთის გამგებლები არიან ბეგები ხიმშიაშვილთა გვარიდან. კერძოდ, აბდი-ბეგ ხიმშიაშვილი (შავშეთელი) — სელიმ ფაშის ვაჟი და შემდგომ აბდი-ბეგის შვილები, ნური-ბეგ ხიმშიაშვილი და სხვ.

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ბერლინის ტრაქტატით, რუსეთს დარჩა (ე. ი. საქართველოს დაუბრუნდა) ყარსისა და ბათუმის ოლქები. ბათუმის ოლქში შედიოდა ართვინის „ოკრუგი“, რომელიც მოიცავდა ისტორიულ ტაო-კლარჯეთს. 1878 წელს ჩამოყალიბდა ბათუმის მხარე (ობლასტი), ოლქი. ადმინისტრაციულად იყოფოდა სამ ოკრუგად: ბათუმის, ართვინისა და აჭარის. 1885 წელს ბათუმის „ობლასტი“ გაუქმდა, როგორც ცალკე ერთეული და შევიდა ქუთაისის გუბერნიაში ბათუმისა და ართვინის ოკრუგების სახით. 1903 წელს კი კვლავ ჩამოყალიბდა ბათუმის „ობლასტი“ (17, 12). მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ... 1921 წელს ყარსის ხელშეკრულების მიხედვით შავშეთ-კლარჯეთი მოექცა თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

ისტორიულ ტაო-კლარჯეთში დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები თავიანთი გვიშლის ამ მხარის დიდებული წარსულის ცოცხალ სურათს. მეცხრე-მეათე საუკუნეებში კლარჯეთი გადაიქცა ქართული კულტურისა და განათლების მჩქეფარე კერად. კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარეს (რომლის არქიმანდრიტი გახდა გრიგოლ ხანძთელი) ძველ ქართულ წყაროებში „საქართველოს სინაი“ (სინას მთა) ეწოდებოდა. ამ დროისათვის კლარჯეთში ოცამდე განთქმული მონასტერი იყო. კერძოდ: ხანძთა, შატბერდი, გურნათელი, უბე — დაარსებული გრიგოლ ხანძთელის მიერ; მიძნაძორი — დავით მიძნაძორელის მიერ, წყაროსთავი — ილარიონ წყაროსთაველის მიერ; მერე — განახლებული ფებრონიას მიერ; ოიზა — განახლებული აშოტ დიდის მიერ. ამათ გარდა ეკლესია-მონასტრები იყო დაბას, ბერთას, ჯმერკს, დოლისყანას, ტბეთს, კორიდეთს, ანჩას, იენი რაბათს, სვირევანს, დასამობს, იფხრეულს და სხვაგან. მათგან ბევრი ნანგრევებად იქცა დროთა მსვლელობაში, ზოგი კი დღესაც ამაყად დგას.

ამ სამონასტრო ცენტრებმა უდღეღისი როლი შეასრულეს ქართული კულტურისა და რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. მეცხრე-მეათე საუკუნეებში საქართველოს ამ კუთხეში შეიქმნა დღემდე მოღწეულ ქართულ ხელნაწერთა უმეტესობა, აქ წარმოიშვა ძველი ქართული მწერლობის თავისებური მიმდინარეობა, აქ გამოშუშავდა ქართული ენის გრამატიკული ნორმები, ლიტერატურულ ნაწარმოებთა განსაკუთრებული სტილი. ტაო-კლარჯეთიდან იყო გამოსული ბევრი ქართველი პიმოგრაფი. მათ შორის აღსანიშნავია: იოანე მინჩხი, მიქელ მოდრეკილი, იოანე მტბევარი, რომელთა საგალობლები გამოირჩევიან პოეტური ღირსებით. არის მოსაზრება (დ. ბაქრაძე, კ. კეკელიძე), რომლის მიხედვითაც სახელოვანი მგოსანი იოანე შავთელი, „აბდულ-მესიანის“ ავტორი, მიჩნეულია ამ მხარის შვილად, შავშეთელად, რომ „შავთელი“ შემოკლებული „შავშეთელია“ (13, 32). ამასვე ადასტურებს პ. იოსელიანიც (8, 324).

შავშეთის სოფელ ტბეთში 914 წელს აშოტ კუხმა ააშენა ტბეთის ტაძარი, დააარსა საეპისკოპოსო კათედრა და დასვა პირველი ეპისკოპოსი სტეფანე. ამიერიდან ტბეთის ეპისკოპოსები იწოდებიან მტბევარებად ან ტბელებად. ტბეთის ეპარქიაში თავდაპირველად შედიოდა შავშეთი, მაჭახელი და აჭარა. მე-16 საუკუნიდან ტბელის სამწყსო მცირდება, მასში აღარ შედის ქვემო აჭარა. სოფელ დანდალს ქვემოთ აჭარის სოფლები უკვე ქუთათლის სამწყსოშია. ზემო აჭარა კი კვლავ რჩება ტბეთის ეპარქიაში.

ტბეთის საყდარი საუკუნეთა განმავლობაში იყო ქართული კულტურისა და განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა, ხოლო მტბევარი ეპისკოპოსები — გამოჩენილი მწიგნობრები. 914 წელს ეპისკოპოსმა სტეფანე მტბევარმა დაწერა აგიოგრაფიული თხზულება „მიქელ გობრონის მარტილობა“, იოანე მტბევარმა შექმნა ბრწყინვალე საგალობლები, პიმნები. 995 წელს აქ გადაინერა „ტბეთის სახარება“. „აბოს

ნამების“ ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი (სვანური მრავალთავი — X ს.) გადაუნერიათ იონან მტებვარსა და მამა თევდორეს. მე-12 საუკუნიდან ტბეთის ტაძარში დაუნყიათ სულთა მოსახსენებლების — აღაპების ჩანერა. ასე იქმნებოდა მე-12-მე-17 საუკუნეების ცნობილი ძეგლი „ტბეთის სულთა მატთან“, რომელიც ძვირფას ცნობებს შეიცავს საშრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (13). ტბეთის ტაძარი განთქმული ყოფილა ოქროსმჭედლობითაც. აქ ამკობდნენ ხატებსა და საეკლესიო ნიგნებს. მაგ., მეთორმეტე საუკუნეში აქ გადანერილი სახარების მოჭედილობა ხელოვნების ნიმუშია. ეს კი დასტურია იმისა, რომ ამ დროისათვის ჩამოყალიბებული ყოფილა ჭედური ხელოვნების ტბეთის სკოლა, რომელიც მოჭედილობის სტილისა და ტექნიკის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ოპიზის სკოლისაგან (1, 302-303).

ტბეთის ტაძარი თავისი გრანდიოზულობით ხიბლავდა მხახველს. ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ტბეთს არს ეკლესია გუმბათიანი, მდიდრულად ნაგები და დიდ-შუენიერი“ (2, 679). ტბეთის ეკლესიას მოუხიბლავს გ. ყაზბეგიც. „ტბეთის ტაძარი თავისი გრანდიოზულობით უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე მცხეთა, ზარზმა და საფარა... იგი დაამშვენებდა თვით რომსაც კი“ (18, 54). ტბეთის ტაძარი აღწერა და წარწერები გამოაქვეყნა ნ. მარმა (19, 10-27); ტბეთი აღწერა პრ. უვაროვამაც (21, 285—295). ტბეთი ამჟამად ნანგრევებადაა ქცეული. სოფელში ცხოვრობენ სომხები და შავშები, რომლებმაც ქართული აღარ იციან და ქართველობის შეგნებაც დაკარგული აქვთ.

კლარჯეთის უძველესი საყდარი, ოპიზის სამონასტრო კომპლექსი, საუკუნეთა განმავლობაში ნამყვან როლს ასრულებდა ქართული კულტურის შენებაში. დღემდე მოღწეულია ოპიზაში 913 წელს გადანერილი ქართული ოთხთავის ერთ-ერთი უძველესი ნუსხა, რომელიც დაცულია ათონის ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში. ოპიზის სახელს უკავშირდება ორი სახელოვანი ხელოვანის, ოქრომქანდაკეობების ბეჰა და ბეშქენ ოპიზარების მოღვაწეობა. ისინი თამარ მეფის თანამედროვენი იყვნენ. ქართული ხელოვნების შედევრებია მათი ნამუშევრები — ბეჰა ოპიზარის მიერ შესრულებული ანჩისხატის მაცხოვრისა და წყაროსთავის სახარების მოჭედილობა, ბეშქენ ოპიზარის მიერ მოჭედილი ბერთის სახარების ყდა. მათ შექმნეს საკუთარი სკოლა, სტილი, რომელიც ცნობილია „ოპიზის მხატვრული სკოლის“ სახელით (1, 299). ოპიზის ტაძარი ამჟამად მჩვეთად არის გადაკეთებული და მიუხედავად ეპითა სელისაგან დაზიანებისა, საკმაოდ კარგადაა მოვლილი და შენახული.

გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ მონასტრებს შორის უმნიშვნელოვანესი იყო შატბერდის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი, რომელიც იქცა ქართული კულტურის უდიდეს ცენტრად კლარჯეთში. აქ ითარგმნა და დაიწერა ძველი ლიტერატურის ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები. კერძოდ: 973 წელს აქ იქნა შედგენილი ე. წ. შატბერდის კრებული, რომელიც ბერძნულიდან თარგმნილ ნაწარმოებთა გარდა (ეპიფანე კვიპრელი, ნემესიოს ემესელი) მოცემულია მნიშვნელოვანი ცხოვრება. 897 წელს აქ გადაუნერიათ და დაუსურათებით შადიშის სახარება, რომელიც საქართველოში დაცულ ძეგლთა შორის უძველესი თარიღიანი ხელნაწერია. 936 წელს აქ გადაიწერა მეორე სახარება (რომელიც ცნობილია ჯრუჭის ოთხთავის სახელით) და 940 წელს იგი შემკული იქნა მინიატურებით. ამ ძეგლების მინიატურები ძალიან ფასეულია, რადგან ისინი ნიგნის მხატვრული გაფორმების პირველ ფურცლებს შლიან ძველ საქართველოში (1, 202). 973 წელს შატბერდის იონან ბერამ გადანერა სახარება, რომელიც შესწირეს პარზლის ახლადგებულ ეკლესიას და ამიტომ ცნობილია პარზლის ოთხთავის სახელით.

შატბერდის ადგილმდებარეობა ჯერჯერობით დაუდგენლად არის მიჩნეული. გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. არ არის გაზიარებული აკად. ნ. მარის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც დღევანდელი ფორთა (მდ. კარჩხლის წყლის სათავეებთან მდებარე) არის ისტორიული შატბერდი. პ. ინგოროყვა ფორთის ტაძრის ა. პავლინოვისეულ

აღწერაზე (20, 58-65) დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ ეს იყო ხანძის ტაძარი (6, 311-322). შ. ამირანაშვილის აზრით, კი „ფორთის მთავარი ტაძარი, როგორც ამას ადასტურებს ძეგლის არქიტექტურული ფორმა და მხატვრული სახე, არის ის ახალი ტაძარი, რომელიც ააგო ერისთავთ-ერისთავმა აშოტ კუხმა (918) და დაამთავრა ერისთავთ-ერისთავმა გურგენმა (941). ტაძრის არქიტექტორი ყოფილა ამონა, რომელსაც გ. მერჩულე „სიბრძნით სრულიად მაშენებელს“ უწოდებს“.

ფორთის ტაძარი ამჟამად მეჩეთად არის გადაკეთებული, ამიტომაც საკმაოდ მოუვლილია და დაცული. აქ არის ზიარეთიც. მორწმუნეთი სხვადასხვა სოფლებიდან მოდიან სალოცავად და ღმერთს შველას სთხოვენ. აქაურთა შორის არაგის ასხოვს ტომონიმი „შატბერდი“. სახელწოდება „ხანსტა“ (ხანთა) კი პქვია სოფელ უბესთან ახლოს მდებარე ადგილს, სადაც ესლა ჭალაა, დავაკება. ეს ადგილი ნ. მარმაც ნახა, სოფელ დიობნიდან სოფელ უბისაკენ მიმავალ გზაზე. „ირგვლივ ნანგრევის კვალიც კი არ ჩანს“, — ჩაუწერია ნ. მარს თავის დღიურში (19, 72). უბეში კი მან ნახა ნანგრეული ეკლესია (გრიგოლ ხანძთელის მიერ აშენებული). აღნიშნული ძალის შუა ნაწილი ამჟამად ჩანს ნანგრევები, შეინიშნება, რომ ადრე რაღაც შენობა მდგარა (იხ. სოფელ უბნის მეტყველების ნიმუშები). იქნებ დღევანდელი ჭალა არის ის დავაკება, სადაც პირველად ააშენეს ხანძის მონასტრის ხის სენაკები და ხის ეკლესია, შემდეგ კი დიდი ტაძარი, რის შესახებაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ინწყეს საქმედ სენაკებისათვის ქვეყნისა დავაკებად, რამეთუ კლდეი იგი ხანძისთაი უფიცხლეს არღი უფროსი ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა“ (9, 537). ხანძთა კლდეოვანი ადგილი ყოფილა (დღესაც ასეთივეა), ამიტომაც „სათესი ყანაი და სათიბელი ქვეყანაი“ მონასტერს არ ჰქონია. ამის გამო აშოტ კურაპალატმა „შენირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდსა ადგილი აგარაკად ხანძისთა“ (9, 537). ამ აგარაკზე კი შემდეგ გრიგოლმა ააშენა განთქმული შატბერდის მონასტერი. ე. ი. შატბერდი და ხანძთა ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს მდებარე უნდა იყოს. შატბერდისა და ხანძის ადგილმდებარეობის მაძიებელმა მომავალმა მკვლევარმა ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს.

მეჩეთად გადაკეთებული ძველი ეკლესიები დღესაც დგას დოლისყანასა და ბერთაში. დოლისყანის ეკლესია ქართველთა მეფეს სუმბატ პირველს აუგია 954—958 წლებში, მშენებელი ყოფილა ხუროთმოძღვარი გაბრიელი, როგორც ამას მონუმბის შენობის ფასაღზე მოთავსებული წარწერა (21; 6, 358-361).

დღევანდელ არტანუჯის რაიონში არის ანჩის ეკლესია, მეჩეთად გადაკეთებული. ანჩაში ჯერ კიდევ მეხუთე-მეშვიდე საუკუნეებში იყო საეპისკოპოსო კათედრა (6, 231). თამარის ეპოქაში აქ მთავარეპისკოპოსად იყო იოანე ანჩელი. იოანემ ბექა ოპიზარს მოაჭედვინა ანჩის სატი, რომელიც მთელი კლარჯეთის სინწინდეს წარმოადგენდა და საგანგებო საგალობლითაც შეამკო იგი.

კლარჯეთის ისტორიულ ძეგლთა შორის მნიშვნელოვანია არტანუჯის ციხე-ქალაქის ნანგრევები, რომელიც თავისი გრანდიოზულობით დღესაც აოცებს მნახველს. არტანუჯის ციხე, ჯუანშერის ცნობით, ააშენა ვახტანგ გორგასალმა მეხუთე საუკუნეში. იგი ძალიან დაზიანდა მურვან ყრუს შემოსევის დროს. 813 წელს არაბებთან ბრძოლაში დამარცხებულმა ქართლის ერისთავმა აშოტ პირველმა დატოვა თბილისი და მიამშურა ბაგრატიონთა საგვარეულო სამფლობელოებს შავშეთსა და კლარჯეთში (16, 95). აშოტმა განაახლა არტანუჯის ციხე, შიგ ააშენა პეტრესა და პავლეს ეკლესია, ხოლო ქალაქი გააშენა ციხის ქვემოთ. ამ დროს ტაო-კლარჯეთში საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართულ სამთავროს, რომლის დედაქალაქად ამიერიდან გადაიქცა არტანუჯი. მაგრამ აშოტ დიდის გამარჯვება ხანგრძლივი არ გამოდგა. არაბები კვლავ მომძლავრდნენ, 826 წლის 29 იანვარს შეიჭრნენ არტანუჯის ციხეში და დაარბიეს. ამჟამად დგას „ნაშთი ძველი დიდებისა“ ნანგრევების სახით და მნახველს ჩააფიქრებს იმაზე, თუ რა ხელმა, რა

ძალამ აზიდა ეს ბუმბერაზი ციხე-სიმაგრე თვალწმენილი კლდის თავზე.

ისტორიულ კლარჯეთში მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეებს ბევრგან ვხვდებით. მათგან აღსანიშნავია ქ. ართვინში თაპარის ციხე (ლივანა ყალე), შავშეთში სათლელის ციხე, სადაც იყო ნური-ბეგ ხიმშიაშვილის რეზიდენცია, იმერზევში ჩაქველთას ციხე (ჯვარები) და სხვა მრავალი.

დღემდე მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლები ნათლად მეტყველებენ ქართული არქიტექტურის ტაო-კლარჯეთის სკოლის მაღალი დონის შესახებ. „ამ სკოლამ მოგვცა ბრწყინვალე ნიმუშები შუა საუკუნეების არქიტექტურის დარგში, რომელთაც უდავოდ მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ“ (1, 170). მეტად დასანანია, რომ დღემდე ბევრი ძეგლი სრულიად შეუსწავლელია, ანდა სრულყოფილად არაა შესწავლილი. დრო კი მიდის, თანდათანობით შლის და აფერმკრთალებს წარსულის დიდებულ სურათებს. უნდა ვცადოთ და ამ მშვენიერ სანახაობებზე თვალის შევლება ერთხელ მაინც მოვასწროთ.

შავშეთ-კლარჯეთის ქართული ისევე მრავალფეროვანია და ძველი, როგორც მისი მატერიალური კულტურა. აქ მრავლად გვხვდება ქართული ენის განვითარების წინა პერიოდებისათვის ნიშანდობლივი მოვლენები, შეინიშნება ნეოლოგიზმებიც.

აქაურთ, კერძოდ, იმერზევის მეტყველების ნიმუშები პირველად ჩაინერა აკად. ნ. მარმა 1904 წლის ზაფხულში შავშეთ-კლარჯეთში მდგაურობის დროს. ნ. მარი იყო პირველი ენათმეცნიერი, რომელმაც ფეხი დადგა ამ დიალექტზე მინაზე და მოისმინა მე-15-მე-16 საუკუნეების ქართულის მსგავსი ცოცხალი მეტყველების ნიმუშები. მის მიერ ჩანერილი მეტყველების ნიმუშები — ტექსტები მოგზაურობის დღიურთან ერთად დაიბეჭდა 1911 წელს (19). ნ. მარმა სოფელ იფხრეულში (ნ. მარი — იმფხრეულაში) საიდე აღანიშნავან ჩაინერა ფირალის ლექსი — „დავეჯეი და დევიფიერე“, სფერა გაგალიძისაგან — ლექსი „დავედე და ნიგეი დავნერო“. მასპინძელმა ალი ჩაუშ მოსიძემ და აქაურმა მოლექსემ აშულ-ქამილმა ჩაანერინეს ზღაპრები: თეპარ მირზა, ქოროლი, ყურბანის თქმული, აშულ-ყერიბი, აშულ-ომერი, ქერემი, დერდიოლი, აშულ-ყერანი, აშულ-რეზაყი, იარალი ჭუსი, აშულ-სედაი, აშულ-უზეირა, აშულ-სუმმანი, აშულ-ფერპათი, აშულ-მუჰიბი, აშულ-შამილი, აშულ-საიდი, აშულ-სულეიმანი, აშულ-სეფილი, აშულ-ზულალი, აშულ-ესმანა, აშულ-ისმეილი. სოფელ თეთრაკეთში მოლა იბრაჰიმ შერიფ ჩაუშ-ოღლიმ ჩაანერინა ყაჩად ვოდელიოლი შირინის (რომელიც სოფელ ჭვანიდან ყოფილა) ლექსის ვარიანტი. აქვე იუსუფ ბასონიძემ ჩაანერინა დიობნელ ყაჩად ზაბითის ლექსი და „კატა და თავის ლექსი“. თურქულად ნათქვამი საქორწინო, საყოფაცხოვრებო ლექსებიც ჩაუნერია ნ. მარს. გარდა ამისა, სოფელ იძიზაში მას ჩაანერინეს ყურძნის ჯიშების სახელები, სოფელ ბერთაში კი ტანსაცმლის აღწერილობა; სოფელ იფხრეულში მან ჩაინერა საოჯახო ნივთების სახელები. ბევრგან ჩაინერა ტოპონიმები და ქართული გვარები. კერძოდ, გვარები ჩაინერა: ს. დაბანერილი — ხალაძე; ს. ტბეთში — ციალიძე, ნიქებეძე, კისერეძე, აგათიძე, ზიადიძე, მასკულიძე; ჯვარებში — ფანჩიძე, თურმანიძე; ნითვეთში — ლასურიძე, ხალაძე; გარყელობში — ქადაგიძე; სუნობანში — ფუტკარიძე; ბურიძე, თულაძე, გათამიძე; სხიაში — ჩორკიძე, ფეტვაძე; მერიაში — ფირპიძე, ირემეძე; დაბანერილში — კობაძე, ხალაძე; დაბაკეთილში — ლერწამიძე, მორთულიძე; ციხისძირში — კორდისძე, ყარმუსძე, აბრამიძე; დიდმერეში — დარგიძე; დასამობში — ჯარბიძე; იფხრეულში (იმფხრეულაში) — მოსიძე, აღანიძე, ჯორყაძე, სუბუქიძე, შარაძე, ბუტიძე, სალრიძე, გაგალიძე; თეთრაკეთში — ბასონიძე.

ნ. მარის შემდეგ (1904 წ.) ამ მხარეში ქართველ მეცნიერებს ფეხი აღარ დაუდგამს.

1989 წლიდან დაიწყო კლარჯული მეტყველების შესწავლა. ამ მიზნით აქ ემოგზაურე ხუთჯერ: 1989 წლის ივნისში, ამავე წლის აგვისტოში, 1992 წლის ოქტომბერში, 1993 წლის ივლისსა და სექტემბერში. შავშეთ-კლარჯეთის მცხოვრებთა

ქართულს ვაკვირდებოდი: ა) იმერხევის სოფლებში: ნეთილეთში, ხოსლევში, მანატბაში, მანხატეთში, დიობანში, აგარაში, წყალსიმერში, შოლტიხევში, ბზათაში, იფხრეველში, ბაზგირეთში, უბეში, თეთრაკეთში, ჩიხორში, დასამობში, უსტამისში, ხევწვილსა და ივეთში; ბ) ბორჩხისა და მურღულის სოფლებში: ჭილავრში, ქურაში, ბაშქოიში, ჯუანში, არხვაში, გურბინში, მარადიდში, ტრაპენში, თხილაზოში, ქართლამი, ბუჯურში, ქლასკურსა და ზედუბანში; გ) მაჭახლის სოფლებში — აკრიაში, ქვაბითავეში, ევრატსა და მინდიეთში.

თურქეთის შიდა რაიონებში ტაო-კლარჯეთიდან ბევრი გადასახლებულა მუშაჯირობის დროსა და შემდეგ წლებშიაც. მეტყველების ნიმუშები მათგანაც ჩაენერე.

ჩანერილი მასალა (ვინერდი მაგნიტოფირზე, ვიდეოფირზე და უშუალოდ ხელით) უპირველესად, ცხადია, არის ენათმეცნიერული ტექსტი (რადგან ჩანერისას ზუსტადაა აღწერილი ცოცხალი მეტყველების ენობრივი ნიუანსები), მაგრამ იგი ბევრ ახალ ცნობას მიაწვდის ეთნოგრაფს, ისტორიკოსს, ფოლკლორისტს და საერთოდ, ისტორიული საქართველოს ამ მხარით დაინტერესებულ მკითხველს.

ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტ. IV, თბ., 1973
3. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987
4. თაყაიშვილი ექვთ., კორიდეთის ოთხთავი და მისი ქართული წარწერები, იხ. ძველი საქართველო, ტ. I, 1909
5. თაყაიშვილი ექვთ., სამუსლიმანო საქართველო, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, „დაბრუნება“, გ. შარაძის საერთო რედაქციით, I, თბ., 1991
6. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეთაე საუკუნისა, თბ., 1954
7. კახიძე ნ., მაჭახლის ხეობა, ბათ., 1974
8. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960
9. მერჩულე გ., გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, იხ. ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987
10. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977
11. სიხარულიძე ი., ნიგალი, ბათ., 1985
12. სიხარულიძე ი., შავშეთი, ბათ., 1988
13. ტბეთის სულთა მატიანე, თბ., 1977
14. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით
- ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955
15. ჩელები ევ., მოგზაურობის წიგნი, I, 1971
16. ჯავახიშვილი ივ., თხზ., ტ. I, თბ., 1983
17. ბათუმი და მისი შემოგარენი, ბათ., 1906 (რუს.)
18. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, რუს. გეოგრ. საზოგადოების კავ. განყ. ჩანაწერები, ნგ. 10, გამოშ. I, თბ., 1875 (რუს.)
19. მარი ნ., შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიური, იხ. სომხურ-ქართული ფილოლოგიის ტექსტები და ძიებანი, ნგ. 7, ს-პეტერბურგი, 1911 (რუს.)
20. პავლინოვი ა., ქრისტიანული ძეგლები, მ ა კ, გამოშ. 3, მ., 1893 (რუს.)
21. უეაროვა პ., სამგზავრო ჩანაწერები, კავკასია, აფხაზეთი, აჭარა, შავშეთი, მ., 1891 (რუს.)

იმერხეველი მეტყველების ნიმუშები

ართვინიდან ივეთამდე (1989 წლის იენისი-აგვისტო)

— ეს ართვინია, ზუელი სახელი ლივანა. ართვინის ზემოთ კავკასორია; იქა ჭარები იჭედენნა. „გურეშ“, „ბოლა გურეშ“ იქნება ამ ჰაფთის ბოლოს, ხალხი ისერიავს... დარჩი, ნიგიყუანო და გასვირო...

— ესე ჩორუ ლელეა, ჭოროხი-გურჯიჯა! ართვინის მაჰალეებია ესენი: კორძული მაჰალე, ისკება მაჰალე, ხაფეთი მაჰალე... მადენის ფაფრიკა რუსების გაკეთებულა, ინთალს იყო.

— გაღმა ყალე ჩანს, ართვინის ციხე, ლივანა ყალე. დიდი კლდეა, მაღალი. ეს ალაგიც თორგომიასთოლგომია.

— შავშეთის წყალი და ჭოროხი აგზე შეიყრებიან. ჭოროხი შორიდამ მოდის, ბაბურთის თეებიდამ, იქით ერზერუმის გზა... სოფელი არდოლა. ზეითუნის ჭალებია არდოლაში. აქ არი სოფელი დოლისყანა, ზემოთ არი. დოლისყანაში ქილისაა, დღესაც დგას. შიგან ჯამეა ახლა.

— ეს სოფელი შურმაქია, მარჯუენა თერეფზე. აქაც ზეითუნია ბევრი. ლელობა არი აქა, ლამაზი სოფლები ზემოთ არი... შურმაქის იქით არდანუჯის გზა.

— ეს ბერთა ქოფრიასქიდი... დოლისყანის გზა აგზედამ მობრუნდება. ყარშიბერ თერეფზე მიდის არდანუჯის გზა.

— ეს გუმიშპანე ქოფრია. ორი ლელე იყრება და ერთა ჭიდა. არდანუჯის ლელეწყალი და შავშეთის წყალი... სოფელი ჯიმერკი, გურდა ბალი. ზეითუნი ხარობს აქაც. გზა მიდის ორთა ქრეში — ბერთაში. ბერთაიორთა ქრე ნაშიეა. ქართული აღარ იციან. იქა სოფელი კაპარია, სოფელი მოზვერთა. ეს გზაც ოშიზას მივა. აღარ იციან ქართული. ოშიზას არის ქილისა.

— ფირინჯული სოფელია. ასე ერქუა ზუელათაც. ფირინჯ თესევენო, იტყვიან; ფორთა ზემოთ არი. მათი ტყის გზა ჩანს ანჯახ. ჩანს ოშიზას მაჰალეც. ეს ნანნალაკია, ზუელი ქვის მოკაული ჭიდი.

აგზედამ მობრუნდება ფორტის გზა... კარჩხალის ქოფრია ესა. ამაზე გეიარს ფორტის გზა. ფორთაში არი ქილისაც, ზიარეთიც. კარჩხალის წყალი ფენა თეთრი დის, თლა თეთრი... არ ვიცი, რატომ... კარჩხალის წყალი შეეყრება ფაფართს. ფაფართის წყალი თა ფაფართიდამ მოდის, შორ არი ისა. ფაფართის წყალსა იმერქევი წყალსაც უზახიან... ზემოთ სოფელი დიდნახია, ახალი სახელი — ჩერბი. ბაზგირეთის მაჰალეა, გურჯეები არიან.

— ეს ჩიდილ ქოფრია, არდანუჯის ლელეში მიდის გზა...

— სოფელი ხოზაბირი! ზუელი სახელია... იქით რიგდება გზა ჭიდი. ჩიქის ჭევი ჩანს, გურჯეები არიან სულ. სახელია სოფლისა ჩიქის ჭევი. მისი მაჰალეები ზოგი ვიცი: ბარები, დედუბეთი, ზუბიეთი, კოკვერეთი. მარცხენა თერეფზე უსტამისის ციხეა, ესეი ყალე... ფერასკევიც სოფელია.

— ესა სოფელი ჩივთახანებია, გავიარეთ შიგან. ზემოთ ჭევი სოფელი ჩხაკათი არი... წყალი გუასვი ერთი დრამი, შოფორო! დააყენე არაბა!

— მიველით სოფელი წეთაში. მარჯუენა თერეფზე გამორნდა სოფელი მუხობანი (ახალი სახელი — უზუმლუ). ეს გზა მიდის მუხობანს, ჩივთახანების თავში გეიარს. ესა წეთის მაჰალეა.

— ესა შერთულია. აქედამ, მარცხენა თერეფიდამ, იწყება იმერქევი. ფაფართის წყალი — იმერქევის ლელე და შავშეთის წყალი შეიყრებიან და იმითვინ ქეია შერთული.

მარჯუნა თერეფის გზა მივა შევმეთ, მარცხენა თერეფის გზა მივა იმერკვე.

— ეს შევმეთის გზაა, შევმეთის წყალ მოყუება... ზემოთ სინკოთია, ახალი სახელი — ქუფლუჯუ. აქ აკეთებენ თიქის ტურებსა... გზა მიდის თოფიზეში. ახლოს სოფელი კოთქევია... ახალდაბაში მიდის ეს გზა... აქა თექ-თუქ არიან გურჯები.

— ესაც სოფელი ჯარათია... გამოჩნდა სოფელი ვანთა... ვანთისკენ მინავალი გზა მიდის გურნათელს, მოროხოზს, ზენდაბას. ზენდაბას ზოგი ადგილის სახელი მახსოვს: ავანანათი, იხიანი, ნაპირლიევი... გზა იქიდან წავა ხანთუშეთს, ახალი სახელი — ზანთია. აქ არი ხანთუშეთის ციხე, ზუელია ზალიან.

— ეს გზა იყრება შუაზე. მარცხენა თერეფისა მიდის ველისკენ, ახალი სახელია ჯირითდუშუ. ველიდან გზა მიდის ტიბეთისკენ. იქა ლამაზი ქილისა იყო, მარა ტიბეთში გურჯები ჰამანქი აღარ არიან. სომეხები არიან ექსერი. გურჯები ცოტა არიან, ისაც თურქაზე გადაქცეული, გურჯიჯა არ იციან... ერთმანეთში წეიკიდნენ და გურჯების ქილისა დაანგრეს სომეხებმაო, ამბობენ ახლა. ღმერთმა იცის მართალი! ველს მისლამდი დანიდან მიდის გზა ციხისზირ. იქ არის თოხარის ციხე. ციხისზირის ახალი სახელი — ყადაბიბი.

— შევმეთის წყალსა გზა მიდევს შევმეთისკენ. შევმეთ მისლამდი არის სათლელის ციხე. აქ იუდა ნური ბეგ ხიმშიაშვილი. ხიმშიოლები||ხიმშიაშვილები აქვერი ბეგები იყნენ. ათათურქი რომ შამოვდა, ბეგები — ხიმშიოლები გადაამოსახლეს ბალიქსირ, ისტამბულ, ბურსას... დაჰფანტეს... რუსები თერეფსა იკავებდენ და იმი ბარობაზე... პურის მდამა, ასე ყოფილა, ებოძად მაქ გაგონილი!

— ამუელთი შევმეთში. ესა ყაზა, ზუთიათას ასოცი ბინი ნუფუსია. შევმეთში სამოზდაშუიდი სოფელია. აქა-იქ იციან გურჯიჯა. იმერკვეში ექსერი იციან გურჯიჯა... ესაა ბუჭულა ნისქელია ღელეზე.

— აქვერობას ცნობილობსა? — ჰოდა, იმითინ უხარია ასე!

— ახლა მივბრუნდებით უკან, იმერკვეისკენ... არაბას დოღჩბი შევმეთიდანაც ჰყავდა და იმითინ ამუელთი აქა. ჩავალთ ისევ შერთულში და შეყუებით იმერკვეისკენ. შოფორი სერთაი ვერ წეიყუანს იმ გზაზე არაბასა, გონჯი გზებია.

— ეს შარაბულ ქოფრია. შარმან წყალი ქოფრიზე იყო, ზემოდამ ევიარე. შარაბული სოფელი ზემოთ არი, მარცხნით.

— გამოჩნდა დასამობი, ახალი სახელი — დერეჯი. ლამაზი, მოსავლიანი სოფელია. სიმინდის ყანები, ჭალები ჩანს. ზემოთ არის ბრილ-აგარა. გზა მიდის დავლათში, მარჯვნივ, ზემოთ... გაღმა ჩანს რაბათი. აქ ექსერი ფომიები უდარან. ზემოთ არი კეწრილი||კემწრილი, ბაზგირეთი, ზიოს, დაბა, ფარნუხი, უბე, ჩიხორი; მარცხენა თერეფზე.

— ზემოთ, მარცხენა თერეფზე, მალა გამოჩნდა ჩაქელთა. მარჯუნა თერეფზეა ჯუარისკვეის ციხე||ჯუარები, ახალი სახელი — დუთლუ. დუთლუ სვირევანია, მარა მისი მაჰალაა ჯუარისკვეი. მარჯუნა თერეფზე სოფელია ოთკლდე. სვირევანი||სურევანი გამომლდა. სვირევანი აგზედამ მორჩება.

— მარჯუნა თერეფზე გზა მივა ჩიხვტას, სოფელია, ახალი სახელი — აქდამლა. ჩიხვტიდამ გედვისლება მიქელეთ-ჩერმიქ, ჯინალ-ილიჯას, ყვირაალას-დემირყაფში... გაღმა სერი გამოჩნდა, გადაჭრილი, იმის იქით ოლადაგრის თეებია. სერ იქით სარჩევი — იაილა. იქ ამოვდოდენ და ისამებდენ ორსნივე თერეფიდან, მახსოვს, ჩემ ბალვობაში იყო ეს!

— ეს წეთილეთია! ერიქლი! აქნა ჩამოხვიდე ახლა. არაბათი ახულ ჯოკლევ, მარჩატეთ, მანატბას. ესენი წეთილეთის მაჰალეებია. სათქარა კევი ღელეს მიდევს გზა. აქა ერთ კლდეზე სამი მოპორია, რაცხაები სწერია ზედა. სომეხები მოდიან და ალთუნ ეზებენ...

ბელქი ესეი ზამანის გურჯული დაზებია? თქვენ რითვინ არ ეზებთ? აქა გაღმა კლდეში მალარა არი. ხედავ? კაცსა ქორი შუუდგამს და თივას ინახავს შიგან... აქედამ მანატბური გზა მობრუნდება... ეს კაკაბავრის ლელუა, ესაც ხერცუათ ლელე.

— წყალსიმერის გზა აქედამ მიდის. შოლტიკევი და ბზათა წყალსიმერის მაპალეებია... მარცხენა თერეფზე დიობანია, ახალი სახელი — მედღანჯიკ, ნაპიეა. გზა მივა იფკრეველისკენ. გაღმა ქოქლიეთია, დიობნის მაპალე. წყალსიმერში გურჯიჯას არ ლაპარაკობენ, მარა იგნებენ. ბზათას და შოლტიკე გურჯიჯაა.

— ესა პარისტინაპარესტინაფარიპ ყალუა, ციხეა. ზუელათ ქილისაც ყოფილა აქა, ახლა ქუები ყრია მარტივი!... მიველით იფკრეველ. ამ კაკლი ზირში რომ დიდი ქუა დგია, იმის ქუემ ზალიან მაღლიანი ინსანი წესს. აქ ზიარეთია. მოდიან ავატყოფები, უშვილოები და ღმერთსა ეხუენებიან შუელას. ჯერ ილოცონა, მემრე დეიზინონა ამ მეზელულზე და სიზმარსა ნახავ. სიზმარში გეტყვიან დერმანსა. თუ არ გითხრეს, საშუელი არ გაქ... ამის იქით ივეთია. იქიდან იწყება იაილები, გადაღმა კვიახეთია,

— შოლტიკევი, მზათა, კვენრილი, ბაზგირეთი, ... აჭარის გურჯიჯაზე ახლოს არიან. გამოჭირებული გურჯიჯა ივეთლებმა და იფკრეველებმა იციან. მანატბა, ჯოქლევი, მაჩხატეთი, აგარა, წეთილეთი და სვირეეანი გურჯიჯას ლაპარაკობენ, მარა თურქნაც იციან. მექთებში მოსიარულე ბლენებმა გურჯიჯა ჰამანქი აღარ იციან.

— გურჯიჯა სოფლები რომელია? — ჯოქლევი, აგარა, მანატბა, მაჩხატეთი, წეთილეთი, შოლტიკევი, მზათა, იფკრეველი, ივეთი, ქოქლიეთი, სვირეეანი, დავითეთი, ფარამუხნიფარნუხი, უბე, ზაქიეთი, თეთრაკეთი, კვენრილი, ზიოს, დაბა, ბაზგირეთი, რაბათიდიდმერე, დასამობ, რიოლეთი, ბრილ-აგარა, დავლათი, ჩიხორი, ჩიქსკევი, შერთული, გამეშეთი, ფორთა, ჩივთა ხანები, გურედა ბალები, ანკლიაჰანკრია, მუხობანი, ჩაქუელთა... ამათ გარდა შავშეთის ყაზაში ბევრ სოფელში თექ-თექ იციან გურჯიჯა, ბევრსაც სულ დავიწყნული აქუნან. ახისისკენ სოფლებში თურქნას ლაპარაკობენ — ყვირალას, მიქელეთ, ჯინალში. იმათ თერეფზე ფოცხოვის ყაზა, ყარსის ვილაეთშია შესული. იქაც აღარ იციან გურჯიჯა. ყასაბაზე შორ რომ არიან, ოქულები გვიან ქი გეისნა, იმ სოფლებში გურჯიჯას ფენა ლამაზათ ლაპარაკობენ.

— მადლობელი ვარ ზალიან, მეაც თურისტი გამზადე, გამაგნებიე მემლექეთის გერები: კაი ლამიობა, აბა! ინშალაჰ, შვეხვდებით ხუალაც...

საუბრობდნენ ჩემი მეგზურები შავშეთ-იმერხევიში — ოსმან ახისხალოლი, მუჰაჯირი, ინეგოლიდან; დურსუნ იენილმაზ (ხევრადე), ისმაილ ქარა (შავიშვილი), ხატიყუ სარაჩ (შოლმაძე) — იმერხეველები, გადასახლებული საცხოვრებლად სტამბოლსა და ინეგოლში.

იმერხევის სოფლები

ჯოქლევი

ნეჯბ ოზთურქი ვარი. ზუელი, ესეი ზამანის სოცადია გორგაზე. ამათი ემოსვილი ვარი. ზმა მყავს ნეჯათი. გაყრილი ვართ, მარა ერთმანეთ ვარგივართ... შადიმანი არი ოლადავრში, ჩემი ემოსვილის — მეთოს ზმა. ისა წინა კაციდამ არი. აჭარას გვეთხუა მეთოს ანაი... შადიმანსა უთხარი, გადმოიდენ, გუნატრებიან... ჩუენსა მექთებ ეტყვიან საწერავსა. საწერავი მომიტანე, მექთუბი დავენერო და გაგატანო შადიმანთანა. ჯულაბი გამომიგზავნოს.

— პურინა სჭამოთ, აბა!

— ესეც ამისი ბაჯოია, ისმეილას ზალია. ახალმოყვანილებ ზუელათ დოდოფალს ეტყოდენ, ახლა გენგეს უზახიან, გადაქცევილა თურქნაზე... სარო ნენეი ამის ბაქლის

დედამთილია.

— ფათერი აქ თავზე იმ კაცსა. ქომა მიპეღეში აკეთებენ მაგასა.

— ორმოზდაათი სენე ჩალღჯი ვარი. ზამთარი ისტამბულ გამეყვანე ლარჭებთან. გაზაფხულ სოფელში მუელ, ყანა-ჭალობა ექენ, ახლა ჩხოკობა გვაქ. დედაბერი თავე დავტიე, ხვალ მეცნა ნევედე.

— ნინინი ჭიბონი იყო, ახლა გადავარდა, ადგა. ჭიბონიჭიბუნ იუსუფ დედეი უკრევედა ქოქლეე.

— ინეგოლს შიგან ხარა? დუქნის ყარშიზეა ის კაცი... იმის აქეთიდან არი საადეთინის სახლი...

დევეჩეინით ზამთარ. ორი ნელინადია კარში ვერ გამოვდივართ თოელი ბარობაი... თეელინა მოგვედნეთ, მარა ზამთარში სიკილი ფენა გონჯია...

— ზურნას ვუკრავ, ჩალღჯი ვარი. ზურნა კეთდება კაკილიდამ, ქლიავიდამ. ესაც კარგია, ქლიავიდამაა. ნიელიაი ლერნამიდამ კეთდება. აქ ლერნამი არ არი; შავშეთის სოფლებში არი, ციხისზირ. აქავრი სერთია, ისტამბულიდამ მუუტანია ხუსუსი, მახსუზ. ფირფიტაი პირზე მისადებელია, სულინა მააბრუნო ცხვირიდამ. შერ არ დაყენეფეს ჭმას. ყაჯდი ამამავალია — ყარაბალი, ბარი, აჭარული ხორომი, ცეკვაი, შამილი, ყონჯალი, ათაბარი, სარი ჩიჩევი, ონდორდი, კაჭკა. თენზილასი ანაი იმღერებდა, მახსოვს:

**„გაღმა სერში ტყემლები კონწოლ-კონწოლ კიღია,
მე ისმეილას არ მიეყუები, რალა ჩამოქიღია.“**

— შეიყარენით ართენში? კაი ქნეს გასხნეს სარფის კარი... ეფეი დრო გასულა პუდუდის ჩაჭრანდასორა... სულ არნა იყოს პუდუდი, სერბესობას რა ჯობს! საცხა მოგინდება, ნახვალ... პუდუდი ბარობაი დამწერველი ვართ საქონელივით, ხისიმ— ახრაბები ვერ გვინახავს... ერთხან სიზმარი ვნახე, ბათუმი მევარე ვითამ... მეც ნევედენა ბათუმ, ზურნაცნა ნეველო და ვასეირო იქავრები.

— რა ამავაია იქავრობებში? ისე დაყარეს ჭმა, ერთმანეთში ვერ არიანო... მართლა? გადმოსლა გვინდა ახრაბებში!

საუბრობდა ნეჯობ ოზთურქი (გორგაძე), 65 წლის.

* * *

— ისინი ამოჰყენენ ამათ. ნეთილეთსანა მოვსნეოდით. ზიოი შავშეთში იყო. მააბრუნა ჩუენსკენ არაბაი. ორნიც გაღმითისკენ ნევედა... მე მაჩხატეთსანა ეედეო, ამბობდა. ჩუენ შამევეარეთ, ის ნევედა...

— ჩუენც მევენეინით ამათსა. ჩადრები მეეთიბეს, დევეზინებიეს თივა... დასახორუმი მაქ თივაო, ჩივოდა აპმედი. მეც გუშინ დევენე დახორუმება.

— შავშეთშიც სულ გურჯიჯა სახელები არი.

— ქოქლევის მეპლეებია; მესხეთით, გორგიეთით, ქომიენით, ჯენიგლიენით, ლომიეთით, კეერიენით, პალჯიენით. ზუელი გვარებია: მესხაზეისისხაზე, გორგაზე, ქომაზე, ჯენიგელი, ლომაზე, ქევრაზე, პალჯი (მეთაფლეისთაფლაზე).

— ადგილების, ყანა-ჭალის სახელები: წყაროტანა, ყანა, გვიანურ, გუერდაი, კერცუათ, ბოსტანაქეე, ბაკათ, ეკლუანთ, საკვირაზლო, კაპანი, ბუჭათ...

— რა გუარი ალაგი იქნება? — ჩუხურ ალაგსა „ბუჭათ“ ებნეიან, ჩაბუჭული.

— ბალათავ, დილაზარ, საქსელავ (დაქსელევედენ შალსა დუზ ალაგში), ვაკითავ, გუმისკარ, კუირცხალთ, მიწროთ, ქუაბთ, ნაჯვარეე, ქუაბტალა, შარაბოვლა, ფარჩინთ, ორმუანთ (თისკენ წადის), ქომომთა, ფიქალთა, მერისწყარო, სარიჩარი, ფეზულას ვაკე.

— ამის იქით პუდუდია. გადაღმა, თქუენებურ იაილაში, მახალაკეთის იაილის თავში,

კინიჯვარია. ასე უზახიან თასა. ჯოკლევის დანიდამ ჩვიარს კარისათ ღელე, გარყვილების იაილიდამ მოდის. ახალდაბის იაილაც არი იგზე. ბზათა მეჰელეა ნყალსიომერში. ბზათულების ჯარი დავა გოგაზიების იაილაში — გოგი იაილაში. გოგაზიების იაილა, ახალგზას ეტყოდენ. იმის გუერდზე არი კოხი იაილა, ტიბეთის იაილა. ჯინალი იაილა იქით დარჩა თქუენ თურეფზე, ჩირუხში... ერთი გოუხედე სერიდამ, ბელქი დეინახავ?!

— სიზე ჩუენ თიდამა ჯარი იყევანა; ბალანა ვიყავ, ვერ ვიარე, მეც წავიყე და... ბაჯოთ მივდოდით აჭარასა. სიზემ ამიყევანა კელემ, ბარსახან ისე მარუნია... ჯარებითაც ჭვიროთ მიგეჭოდან... კაკლის არაბა იყო დადგმული... ნეტი იმ დრუებსა, ბაჯოთ ცოცხალი იყო!... ჩევიარეთ ქუემეთ და ნეველით...

— სა გეჭარება?... ხუალაც აგზენა ვიყვენეთ... აგზე ხო სხუანი არა ხართ? არახატაშები ვარიქა, რაზენა ნეხედე!?... აქვენაი დავანახვიოთ მუსაფირსა თა-ბარი... მემრეც ჩოუსტრობთ იგზე!

— ქემალსა თელი უქნია ქი, ტაიამ მუსაფირები ნამუასხაო, მუყედე უყავით სახლშიო. მე დავკანეთსა მივალ, ხუალამდი არ მელოდნეთო... ხალამ ზე გუაზიროსო.

— იმანაც ჯელში დიმიინახა და მითხრა, კურეცხი გაბეინდება მოხარშულიო... ფშინილამაც იცის გაბეინება...

— მაშინ დოუზახნიან ზენგილ კაცებისთინ, ზურნა დავაკრომიოთო...

— რესმები მოვდა აჭარიდამ, თავით ველარ მოვდა... დეგინი გამოდექ შენი.. ბაგრამისთინ ჩამუა. დურსუნამ რესმები თავისთინ აართვა. ესა ახალბობის სურეთუ-ბიაჩრესმებია. რაგუარ იცვლება ინსანი!... ველარ ვცნობილობ.

— ღორი ხალხი იყენენ ტბეთელები. ჩემი ბიბოი გადაარბენიეს, ნევედენ, მემიპარეს. ჩუენთან მაგთიანაი არ არი. ნენეი იტყოდა ქი ასე, რომ ამისი ანაი ქრივი ყოფილა. თაზე ქი იყუნენ მემთევრათ, თხები დოუპარნებიან აჭარლებისთინ. სოფლიდამ მოუწყინან ჯელი... სათხედამ გამეყევანეს სამი თავი, დიდროუანი თხები! ბაბოი დავგაბარებდა ქი, დასცალონ ახორი, კარში არ გამოხვიდეთო... ახლანდელი ქრივები არ წადიან კაცთან! მაშინ ქი არ აყენებდენ შინ.

— ზეჟივი იტყოდა, და ჩემი თავი არნა მიგეცა აჭარელითინ, დადა მერიემაციცა გამეგეთხუებია ჩემ მეზობლათაო...

— პატარაი მე ვარ, ნეფივი მქვია... საადეთინამ გვაპოვნია ყუელაი. გიცადეთ ქი, მოიდეს, დავანერიოთ მექთუბიო. დეგვენერნებიანა მაშინ. მოლალულიაო და აღარ მუელით, ზაჰმეთი აღარ მოგეცით.

— მაადემ მიხვალთ, ნაითო, დიგვიზახა ტელეფონზე... და-ზმანი არიან. დიეფში ყუელაზე დიდი ალთუნაია... ხასანაი ყურგდებულობსო, უყურებსო... ნუხელი მიმიუყდავეს თქუენი მოსვლა.

— ჩემ დასა სამი თანე ბლვი ჰყავს. ჩემ სანახველაი მეიყევანა... მარა მალე ნევედა, თავისი ვათანი მოჰსურდა. მეც წავიყე, ორჯელ გაველ ინეგოლ.

ერთი ბაჯოი ქოქლიეთსა მყავს, დიობნის არაში ქუემეთ არი. ერთიც შოლტიკეც მყავს. ისა მალ-მალ წადიოდა ბურსას.

— ჯინალიდამ მოსულ ქალსა ქვია ჯინალელი, ჩიხტიდამ მოსულ — ჩიხტელი, გარყილობიდან-გარყვილებელი. ასე იქნება: აგარელი, ნეთილეთელი, დიობნელაი, ბზათელი, ნყალსმერელი, ქოქლიეთელი, სვირენველიაი, იუტრეველეაი, ივეთელიაი, ტბეთელიაი, ტიბეთელიაი, სსლობნელიაი.

— ხორმებინა გაეკეთოთ თივისა... რამდენი თივა ცუდეთ დავეჰკარეთ, გავყიდეთ ქუემეთ... დარჩენილი თივაც რაგორნა ავასხა არ ვიცი.

— ხუალა, გაბედეთ და, უსულ-უსულ ევდეთ თაზე!... კბიებინა მუახამოთ, მარა ვერ დიმიტევია თქუენი თავი. ხუალა თქუენ ველარ გიპოვთ, მუსაფირებსა, გვიართ, ნახვალთ... თქუენ ხათრისთინ ავსნოი ერთი თანე და ჩუენაც ავფერკედეთ... ერთდრამ მუახამებ

წბიებსა და მუალ.

— ტბეთიდან ხარ? ეფეი იქით არ ტბეთი. ალთუნასა სიკდილისან მექთუბი და რესმები გულზე ქონდაო. მექთუბი რომ მოვდა, გაკეთდაო. ახლაც ანაი ფენა მოტეხილიაო, მართლა?!... თავიდან არ წამოჰყვა აქეთ და...

— ღარჭი მებნევა საადეთინისა, ბათუმიდა მევაროო. ჩემ ჳელში გეიზდა ისა. მაშინ ჩუენ ბილილიგათ ვიყავით — გაყრილი არ ვიყავით.

— ბევრი ხანია გადმოხუელ აქავრობაში?... თველი ტბეთიდან იყავით?... ჩუენა მანყალთას აქეთ ვიარეთ ოლდაერი, მახალაკიზიები, ტომემეთი... ისინი მახსოვს.

— სამ-ოთხით ვლამარაკოფთ... ზიქრი რავა არი? ერთი სიკვდილი დაფანტეს მისი აქა, დადინდა ჳმა... კარი გააღევ, სინათლეიშილი შამოვდეს!

საუბარი ჩანერილია სოფელ ჳოქლევეში, ღურსუნ იენილმაზის ოჯახში. საუბრობდნენ ნეფე და ღურსუნ იენილმაზები-ხევრადქები.

* * *

— სახლებსა ჩუენ ვაშენებთ. დანყობა ასე გვაქ. ბაშთან გოშას ჩავყრით, ქვას. ქირიშებ გავსნევთ, დაფვენთ, დავარიგებთ ოდიებსა, მიორეს, მიორეს... მემრენ კიდვენ ქირიშებ გავსნევთ. ღრამს ამოვსჭრით, დავხრეტთ შუაზე, ხის ჩივებ გავაკეთებთ. ერთმანეთში ჩავასობთ. კედელში ზოგან შიგან წამაუა, გაასანორონა ფიცკარი. რენდით გავრენდავთ, დახას გავაკეთებთ. დახა კუთხება — ბოლოზი. ღრამით ერთმანეთში შევა. თავანი, ფინი, კედელი, — ვიცით. ზღლები კარისა, სოვაც კარისაა. ვიტყვით, — კარი მუუზარი!

ყუშალიც ვიცით... კარის ფიცრებ შეკრავ, ყადაღი, ყუშალი იქნება. გავაკეთებთ ღურსი ფიცრით. თახით არი ეს სახლი. იმ ხიებ ზალაი ქვია. ზალაზე იდება ჳერი. გადახუხურავთ ყავრით. ახლა საჯია. ქვას დაედებდით, ახლა მუხით ვაკეთებთ. იმ ქვას საქოლავი ქვია. ქარში საქოლავი გადმუარდება. გადახურვამდინ ბადრალ დაეასობთ. ბიშინა გამააცხო... მებოზლებიც მიეიტანებენ. ფარჩასაც მიეიტანებენ, სამი არშინი, ოთხი არშინი იქნება. დაჳიდევენ იქა. უსტიების არი ისა. ყურბანი დაკლა აქ არ იყო. ფენჯერას|საქოშკა ვიცით. სანათური ახორის ფენჯერაა. სახლის ფენჯერას სურმა ერქვა, თახით იყო გაკეთებული, გააცურევედი, მუუზრევედი. შუმა მემრე გამოვდა.

— ე ბაჯეა შენია? აჭარული და აქეური გურჯიჯა ერთმანეთ არ ეწყობა.

— სახლ აქ მუსაფირ ოდა, ჳარამ ოდა, ბუხრიან ოდა, მარანი, ბელელი; უხდური მარანში იქნება, ევადია საჭმელიც. აღართი და უხდური ადნია. საოხდურესაც იტყვიან. ტანტრაფა აქ სახლსა. სახლის ტანტრაფა მიყვარს. ჳერები აქ გაჭედებული — შალამფური, ბლვი არ გადავარდესო. სახლსა კარაპანიც აქ, შამეშური, ყორეც, დირევიც, ზალღები, ჳერები, ყვარი.

— ახორის ქუეშაი ზევაა. ახორ სანარწყალიც აქ. ნაკელი სანეხევე იყრება. არი ბაგაც. ფური, კარი ბაგაზე გამობმულია ზენჯირით, კალი აცმულია ზედა. ზუელათ ნეპლით ხროლებ გავაკეთებდით, გამუაბემდით. კალს აქ თავკაპი. მაგარ თოკით გავაკეთებდით... ჳბოს შევეყრით საჯბოგრეში. ენერ ებედი არ დუეგებთ|დოუგებთ. ენერსა სანეხევიშე გადაჳყრით, იტყოდენ. ჩუენთან არ არის ეს ადეთი. ნაბაგაც ვიცით. ნაბაგ დაჳსნავე. ნაბაგი ორი ყისმია. ნეკერ ჩოუყრი, ფიჩხიანი თუ არი, დავჳსნავით, თუ არა და გადაჳყრი. მუხა|კო... კაი ნეყერია იმისი ფოთელი. ცხრემლიც კაია, იმა მოვჳკაფთ. იფნი არი. თელას ფიჩხათ მოვსჭრით. ცაცხვი არ არი ბევრი. ცაცხვ უხლამურ ვეტყვით. ცაცხვის ფიჩხი კბილებ მოკმეთამს, მოჭრის საქონელსა... წყავსა, სუროსა ზამთარში ვაჭმევთ საქონელსა.

— ტყმიდალი, ჳავე ვაშლი ბევრია ტყეში. ტყეში ნეკერ ჩავდგამ. იმა ზირი ჳქვია. ზამთარში დაანგრევ, მიეიტან... ზამთარში მარკლით მიეიტან. აქ ექყერი ცალმარკილია.

მარკილ აქ საცურავი, კოფო, ოთხიც ფეკი, ორიც დანდალი. გახდება ერთი მარკილი. უღლური მარკილიც ვიცით. შევაბამ წარებ წყვილათ; დოუყევროთო, დოუნყვილოთო, — ვიტყვი. ორ-სამ წყვილ დოუყევრებთ...

— დოუდგი თივა, ჩალა, ყართოფი ჯვალში, ზარში მარკილზეო, — ვიტყვი.

— ხარმანი კალოს პქვია. „ხარმანი“ თურქა არი... კარის არაბასა დოუდგა ჭვირით და წილო. „ტივრით“ არ ვიცით.

— უღლე შუამი კობა აქ. იმაზე უღელი გამობმულია ზენჯირით, დადა წენელით, თოკით, ყაგშით, საბელით. უღლე აქ ტაპიკები. ტაპიკებ აქ აპოვრი, თოკით გაკეთებულნი. კარსა გავრეკავთ „ვიომ“ შეზახილით; „ოოპა“ — ეტყვი და დადგება „ვიომ“, — ნავა. ვარების სახელებია: გუმიში, მარტიანი, შავარდენი, ჩახალაი, ყუმერაი, ზორბაი, ბაზარაი, ჯუმარაი, ადინაი, ასლანაი, სანთელი, ყარაფილაი, ალთუნაი...

— მოუგონე სახელები, მოუგონე!... იმ ქალ აღარ მიაცალეს, ვერ მოიდა.

* * *

— პატარა ნისქვილ ვეტყვი ბუჭულასა. თახით გაკავებთ, სახლივით ავაშენებთ. ქირიმებ განევენ. გოშაზე განევენ ქირიმსა. ოთხი გომა ქუებით კეთდება. ერთი ოდა მარტივი. ფინიც აქ, თავანიც აქ. ლურსი გაკეთდება, გედვიზურვის. შიგან არი ქუა, ორი თანე — ერთი ქუემ, ერთი ზეით. შუამი ლერზია. სიმინდს ჩაყერი ხაროში. სარკელა აქანებს, ჩამოდინდება, ქუაში ჩავა სიმინდი კაკალი, დენი. ჩამოდინდება დენი; დენი არი სიმინდის კაკალი. დენი ჩავა ქუაში, დაფქევას. ფქვილი ჩავა ხაროში. ნიჩაბით ამივლი ფქვილსა, ჩაყერი თორბაში, გუდაში.

— წყალი გამოდის ღარში, გადადის ლურნეში, ჩადის, აბრუნებს ბორბალსა. ბოლო ადგილს პქვია ტიტინა. ტიტინადამ წყალი გამოდის და ხდება ბორბალსა. ბორბალს ქუეიდამ აქ ასტამი, ბრუნავს გულზე. ბორბალ აქ დასხმული ფთები. ვიტყვი, — ბორბალსა ფთები დავასხათ, გუუკეთოთ.

— გადასაშუებით დააშრობ წყალსა. ნისქვილი ცარიელია თუ არ არი, ნობეთი უნდა იშუოს კაცმა. ჩემი ნობეთი როის არიო, — იტყვიან ასე.

— ფქვილი ლინგეც იქნება და ხოშორიც. კაი, ლამაზი დაფქვილა, ლინგი მოსულა, დადა ხოშორი მოსულაო, ვიტყვი. აქ ნისქვილსა ასანეც-დასანევი ფეკი. ნისქვილი ლამაზათ დოუგევიო, იტყვიან... ფქვილსა საცერში გავცრით.

საუბრობდენ ფეკში იენილმაზ (ხევრაძე), 76 წლის და ოსმან ეროლ (ხევრაძე), 45 წლის.

* * *

— არ გამოჰყავან ჩემი ბლვი ემექლიზე... რზალი აქევრია, პალუხლიდამ, ჩემი ბალდუზის შვილი. წავდიოდი მასთან ზამთარში. ნრველ ვერ წაველ. ველარ მოიდა ისაც. საადეთინით ევით ეში არიან...

— გზაში, აგზე, ნურიამო გამაგლოო, — თქუა გუშინა... ჭვირთი არაბაზე ანჯახ ეტევა. რამეთი ქილოა?... შეშა იქედამ მათქვან... ნანწალაკი გამეიარეს ჰელებთ.

— კოვზებ მოვხუნავ. ლეკის ხეს მოვსჭრი. ნელსა გავქოფიტავ — ტყავ გავაზროფ. გავთლი დანით, ხუნენით. ენ პილაი ეჩოით გაქოფიტავ... ამეველებ შიგანას. წინწინ ხის კოვზები იყო ექსერი.

— ბამთან ვსუმედი ზიგარას... ახლა ვერ მოვრეენივარ-ქი!

— ქორები გუაქ თივითეინ. ქორი ყავრები დამუხული იყო. ქარმა ჭერი ააბრუნა, საჯები ბევრი აშხადა, ზალღეებით დაპკლიჯა, გადაყარა... ქუედაი თერეფი დეენგრია, ზლივ დავაყენეთ ფეკზე.

— ჯანი შიმიჭირდება, წამულ აქ ისტამბოლიდამ, ბადიშებ წამეყყუნ. აქა დავლენ ზეით-ქუეით, თამამობენ, ექცვიან, ნეიკიდებიან ერთმანეთში, ნეიკინტლვიან, დაბარიშ-

დებიან ისევ. მე არ ვუჯავრდები. რა ქედობა ნა ექნა; გეიარონ, ისტარ თქუან. იტყვიან და მართალი ყოფილა, დედეს ბადიშის ჭკუა აქო, ბადიშება იმიტომ უყუარანო... ბაღვებით ეგლანჯა გუაქ...არ გოუჯავრდები... ბელი არნა ვიცოცხლე... ისტამბოლიდამ ქი მოხუალ, ერთ კვირე მინა დადგე: ფენა გზელი გზა არი.

— ის იმგუარი უსტა იყო ქი, მაგარი იყო. ეიტანდა, გაფზე დადებდა ერთ ფიცარსა.

— ფქელსა გავცრი გობში. დაყყრი ცოტა მარილს. წყალინა იყოს ნენთბილი. მოვზილოთ არც მაგარი, არც ჩვილი. გააკეთონა კოკოი, ჩადონა ფორმაში, შედვანა სობაში, ზუელათ კეცში ჩადებდენ, გააცხელებდენ ოჯალში. ზედაი კეცი, ქუედაი კეცი, საჯიც ვიცოდით... ამა ქეია შეხურული. ანკარადამ მუაქუან. თიკილამ აკუთებენ კეცსა. კეცი უნდა გააქმო, გამოსნუა... მემრე გამააცხე ქადი... თიკა ვიცით. თიქის კეცები გუაქ... ვიტყვით, ჩავაკრა ჭადო. კეცზე დაატყენონა ცომი. ოთხუერას, ხუთუერას აცსობენ.

— რა გუარ გამუაცხობთ?... რა ჩათინია პურის ცხობა, თა და ბარი გასტორდება, — იტყოდენ ზუელეები.

— ახლა გეკვადე ჯაკეთი... მარჩინე ხომ, შეხორმე? ნრეველ თივები არ არი. ყურალმა დაპკრა... მე კაი გოუზელი სიცხეში. გემიყუანეს გაღმა ცუდეთ...

— ბაღრამისთინ ისტამბოლი მევარე, აჰმედი ვნახე. იმანა დაქმარება კაი იცის. ახალი მოზდები მემური გახადა. თავით ქი იკითხა, კაი გახდა. თავისზე პანაი ზმაც მუენდისია. დემირელის დროშიც მილეთ ვექილი იყო.

— სიტყუა ისეთინა თქუა, რომ ზუალ და ზეგ შენი სიტყუა შენ არ შამოქრან... ბეჩი მე ვარ დუნდამი... ვერ ნამეველე შინა კაი ემიები.

— „დედა“, „მამა“, — ჰელბეთ იტყვიან, მარა ექსერი „ანა“ — „ბაბას“ ამბობენ. „ბაბო“ — გურჯიჯაა, „ბაბა“ — თურქჩა; „ანა“ გურჯიჯაა, „ანე“ — თურქჩა. დიდ ზმასა „ტადოს“ ვეტყვით, პანა ზმას სახელ დოუზახებთ. ამასა დევეჩენით.

— ჩუენილამ ერთი მუხამედაი არი, ფენა ბევრი სიმღერები იცის... იმიოკევი ენ კაი სოფელი დიობანია. ზო სოფელი კარჩხლისკენ არი...

— ბოსტანი ვიცით. გუაქ ტომატი, ბიბერი, მარული, ქინზი, მაიდანოზი, ნინმატი, თალგამი, ჭარხალა, ბოლოკი, შექერჭარხალა. კლდეფეში ამოდის ქონდარი. ყაბალი მოდის, კარქა საქმობს. მაჭიხელში მინახაპაი იციან, ჩუენ ყართოფსა ვეტყვით. ქოქლიეთ კასრი არ იციან, კროჭ იტყვიან. კანდრაიც არი, ყველ ჩანწყობ. ერთი ნვრილი კოლოფი დავეპარგე. ენაპილა თიქის ქოთნები იყო. თიქი ქოთნები ჩუენ ყიშლაშია მიყრილი. ჭურჭი ვიცით. ჭურჭი ჯავეს ჩადებენ. ლახანა, ხახვი, ლობიოსაც დედენ. ხოზალიძია, ღომი ჭალეძშია, აჯორიკაიც არი. ერბოში მოხრაკული დაჰა კაია. ერთამხან დადექით და გაჭმევე აჯორიკასა. აქაერი საქმე არ დელიღვა. თაბარობაი არი ახლა, ჩხოკობა გუაქ.

— კარისათ იაილები, სარიჩადრი, ფაფართი თებბია. ნითლობი სარიჩადრის ახლოს არი. ციხიას იაილა, კარავათის იაილა ჩირუხის ახლოს არი.

— ნამეგესხენ ჩუენი ფეგნები, ფენა კაი იყო. მეთოსა დიდი ზმა ჰყავს. თუ გვეღირსეს, ნავალთ. ნვრილი ბაღვები ქყუაეს. ფერკუშელაი ჯადდეში დავლენ. ჩუენი მოზობელი ბარგზე ნასულოყო.

— ხიზრით ხევენ შეშასა. ახლა მოთორებიც გამოვდა. იმათითაც ვსაქმობთ ტყეში. ზაათენ ჩემ უკან გახდით ზენგინი... ქოხიც დეიდგით თაზე. აღარ გაპერსიანდებით.

— ნეთლეთელმა დამასტავლა მოტორის ხელობა. ბაშთან აღმანიეს იყო.

— მემხლიანი ქი ამოვდოდა თაზე, ვისეირებდით დავლ-ზურნით. მემხლიანი მხლის მკრეფელია. ქირენას თხუთმეტზე ევდოდენ თებბზე, მოკრეფდენ ხალსა. თქუენილამაც ამოდოდენ, მეიყრებოდენ, ისამებდენ. თქუენები კარქა სამობდენ. ვოდელაი იცოდენ. ბზათას ფაიყ დედემაც იცოდა:

მიდის-მოდის პარაზოტი, აღესაში რიგდება,
ჩემი მოგებული ფარა ბარიშნებში რიგდება.

- ქალები იჭედნენ და? მოსვენებული არიან იშტა!...
- ჩუენ დოსტებსა ეს ბალი ბევრი ქონდენ. გვიზიდედენ. ნამყენი გადმეიტანეს, ახლაც არი. დავარგე ნერგი და ნელ-ნელ გვიზდა. დენები დიდრუანი აქ.
- ჩემ ღარჭებსა სამი თანე დები ჰყავს... სიმამრსა ერთი ღარჭი თავისთანა დეედუშობლია. ღარჭმა, იმისი მულქი არ გვინდა, ბაბოვო, შამომითვალა. ზალიან ბევრი რომ გეყოლის, მაშინ დანერავ სხუაზე შეილსა, გოხსა... სიმამრის მულქი ზაათი ზლისაა, ზმა არ ჰყავს.
- ავანტოყოფობას არნა ჩაბარდე, მალე მოჰკვდები, გუუზლონა ტყივილსა.
- ისტამბოლ არი ჩემი მეემური შვილი. თავის სიმამრი არნაულტა. მასთან საქმობდა. მამარა ღარჭი და თავის ბაქალა მისცა. ოჯალზე მიყუნა ვერ შეებდა.
- დილხენი ბალახი ყანის დარეებშია. დარეებზე ღობე ვიცით, მესროთა შეელობავთ. ტყეში ქორაფი ბევრია. შავლეკაიინაზვი ბევრია. ეს დასალი ტყეა. ზაათი სიხი იყო ტყე, ერთ კურდელე გეველო, ვერ დეინახევიდი. ამოიდეს ღამეში, დასჭრეს ღარჭებმა. გატილდა ტყე. სოჭის კოკოლა დააბნიო, ორ ნელინადში ისეე ტყე გახდება. მარა ვილა იცლის ტყის გასაშენებლათ, ანჯახ ჭრიან ჰაზირსა.
- ჰუჭუმეთივით კაცი იყო მამაჩემი. ჩემი ბაბაი — თეფყყაი ზალიან მომფერო კაცი იყო. მეზობლებმა ყიმები არ იცოდენ. იუნუსაი, მალ-მალე მეტყვის: — შენი ბაბოი მოკდა, ჩუენი სოფლის დილიგიც მოკდაო. ჩემი ემსალიე იუნუსაი. აქა იმ სოჭკვიანი კაცები იყვენ, იცოდენ ტაროსის ამბავი, როის განვიმდებოდა. ღრუბელით და დფურადის გაქანებით იცოდენ. სადლა არიან მაგგუარი ინსნები!
- ყულა კარგი მევედ იცის აქა. ზულათ ყარსში ნეველებით, დალ-ყველზე გადავცელიდით... ცხენებით მიგვერნა მევეა.
- თქუენსა ფენა ღამაზათ ხუნენედენ გობებსა, ჩუენსა მოქონდენ გასაყიდათ. იქიღამ მოტანილი შექერი დაჰა კაი იყო. შექრის ყალიბები მოქონდენ. ახლაც არის ბოლათ?
- ეს თოქაა. ჭადის კეცებსა ამით გააკეთებდენ. — კეცი დავდგო, — იტყვიან. კეცსა ხაჩით დაჭრელებენ ზირში; მაღლიაო, ამბობენ... ჩიმენტოს კეცსა გასტებ; იმას ვერ გასტებ. ჩიმენტოზე ყუეთლია.
- ორნი ზმანი ჩემი ტოლები არიან. მათი ბაბაი მნარედ ავად ყოფილა; დერმენები მოუტანიან ყასაბიღამა, არ ურგაა... ახლა ბალახებში ბანვენ, მეგერ. „ნამალიც“ ვიცით. და ნამალ ვიტყვი, და დერმენსა.
- დათვიბაბაი ნითულ კაკალს ისხამს, თუელზე მუა, უკანა თუელზე. მევეები ქი შიგან მიეკრიფვის, დათვი ვერაფერს ველარ შქამს. მემერ იმას შქამს...
- ფიქალით გაღმა მორანს. ჭრელი კლდეა. თუარე ქი მიადგება, ქუბი ცალ-ცალკე გამოჩნდება. ზოგი ინსნის ჩეპრეს გაეს, პირის დაფსა... იქაც გაკვეტილა კლდეა. გაკვეტილა ქუა იმგუარს დეიზახებს, ინსანივით.
- ტყეში უზანის ხეც არი. გაკვრიტავთ, თესპას გავაკეთებთ.
- ტანტრაბიღამ დეგვიზახა, ჩუენსა ამოითო...
- ბალახები რა სოგ გინდა: ვირისაკენეტელა, ღინჭრულა, სამყურა, პიტნა (ნანე), ზუზუნა, ტყეპტი, ნარაიინარი. მისი ფესვი ნამალია. ჯოლი ჭალობაზე მუა. ეკალიც ბევრია ტყეში, მარწყვიც. მარწყვი ქი დამნიფდება, კელ მიყოფ მი მარწყვსა, ჩავარდება ზირში. ეკლიკაკაიცი არი ბევრი. ეკლიკაკაი ასკილია. ესა მაყრუებელია; არ ჭამო, დაყრუდები. კმელია, ყიაში გეჩრება მჭამელსა და ბაღნებ იმით აშინებენ. მართლა არ დაყრუდები, არა!
- ქატიფუარი ქვია იმ გერსა, იგზედამ დეინახავ ეფვი... ხოშკაკალი მოდის,

ხოშკაკალი! შეეფარნეთ ხის ზირში.

— ყავრი გახდა ზუელათ ბითემა იცოდენ, ახლა ერთ თითით ვერ დაანახებ, დელიენ ყავრი ხდელები, მოკდენ ზუელებმა.

— რაგუარ გახდი? — სოჭი, კატარი მოზებონა, სანახავი აართუნა. თუ ლამაზათ გასკდა, ი ხე მოჭარი. მეტრონახევი დახიე. იმას უკან, ართუხ, ამოსურავ. ჩივებ მივასობთ; გასკდება მი, იმა დაემესრავთ. მემრე ბეჭით გავხდით. დაბელლავთ ლამაზათ, გაკმესო. ისე რომ დაშკიო, დაბრუდებთ. ერთ დადგმულსა ბელელი ქეია. — ერთი ბელელი ყავარი მაქო, — იტყვიან, ისტარსა ასი თანე ფთა იყოს, ხუთასი ისტარსა; ქარმა შიგან რაპათათნა გეიაროს, გაქაროსნა, გაკმეს. მემრე მევეტანთ, დავაბურებთ სახლსა.

— ზარია ესა, იქსოვნება თხილის ფიჩხით, ზირიდამ ამოსულ ფილიზებით — ნაზარდით. დაასონა ფიჩხები, ბლაგინა გააკეთო ქუემ. სირითნა მოქსუო იმას უკან. ყანაში ქი მოტებ კოტორ, ზარით მეიტან. ზარივით, ფილიზებითა იქსოვნება ფარცხიც. ფარცხით დაფეარცხავთ, გავასწორებთ მინასა...

— არუნათ ვცნავთ. არუნაი კნავს მინასა... დასაკანჯეელიც არი. გოროხსა დაანერილებს, თესლებსაც ჩაფლავს სკანჯაი. უკანახანაც გასწორდესო, ფარცხით გევართ. მინის საქმე კარქა ვიცით.

— ავაზანი არის შემისა. წყალიც შემის ფორენგით მოდის. ავაზანის სასმელი თერეფი დახურვილია, საქონლის სასმელი აჩულია. ამასა ლულუკაი ქეია, წყალი გამოდის აქედამა, წყლის გამოსახველია.

— თამ ჭყვიანი არ არი... ჩიჩი არი ჩიჩი!.. ართუხ ერევა ლაპარაკი.

— არ მეკითხვის, რა მაქ... მე დემეკითხა!.. ჰემ დევეკითხე, რამდენი თანე ბალვი ქყავს-მეთქი.

— შენი ღარჭი ჩემ ბაჭალას მიხედავსო?... დედეი, ნენი მოჰკედენ. ბაჭალას ემერაყა... ჩემ ვერ გილებდენ ღარჭი, ბაჭალა... ზუენდლერი ფარა დაჰკარგეს...

— მოჰკედა ის კაცი. ზმა არ ჰყოლია... ზაათი ისედა ქნილიყო.

— შენ იმ გურანი ქი იყავ, კანდიდამ არ მოხვიდოდი... დღე ჩემი საქმე გასწორდეს!

— ამ თერეფიდამ ერთი იყო... თხებ იქ აზუებდა-მეთქი, აღარ დოუმალე, ვუთხარ.

— ყაფალთი მოგართუა?!... სობა ენთო ოდაში და ცხება ახლაც.

— როდი მიხუელ შენ?!... მალე ყუელი აფერკდენ.

— კოლოი ოლადავრზე ჩემი ქურავი იყო. ოლადავრიდამ იყო ლომან-ფენდი ქარცივაზე. ისა ფადიშაჰის ხოჯა ყოფილა ისტამბოლში. 1877-1878 წლების დროს მოსულა აჭარასა და უთქუამს ხალხითინ: — ვინცხას თურქიეში წამოსლა უნდა, წამოვდენ, ფადიშაჰი მინებს აზლევს მათო. ყუელია სოფლებიდამ აფერკებულა. ნიკოლასაც უთქუამს, ჩემთან მომიყუანეთო. მუუყუანიან. უკითხავს ნიკოლას: — რამდენს გაზლევს სულთან-ამიდიო?

ნიკოლამ მეტი მიცა ფული მეგრემ, დიდი პენნია მიცა. ისაც დარჩა აჭარასა. ხალხიც შეჩერებულა ართუხ, აჭარა გავერნებას გადარჩენილა.

— თავით მოკდა, ქალი არი... იმგური იყენენ ოთხი ზმანი... შენაც დევეკიდინგლე!

ღმერთმა ჯელინა მეგინყოს... გადმეყუანე თეჭრარ, უკან-უკან მეყუანეო... მარტივი ვერ წეყუანდი... გედევარეთ დუზიები, დემინახევა პელებთ... მამადგა სული, ჯანი ყიაზე. აქაც გაჩრილი ვართ.

— კუამლი გერჩოლბათ თუ არა? — გეგისკდა ფუშოი, არ გითხრეს?... ჩუენი ქალები არავის არ ითაკილებენ, დაჯდებიან დასხდებიან ჩუენთან, მუსაფირთან.

— დაბარშიდით ახლა!... შეიკრიფნენ საქონელი. იბოს ზალს ყიშლიდამ წოუსხამს... ფშნილაი ჩასატენი მაქ... ვეგანი მიჰყავან... შეშა-მეყარზეც არნა დადგეს... ერთი შავი ტავარჯული გექონდა, იმით შაქარი გადმოქონდენ...

— ჩემი შილინა გეცხადო... დოუფითავან და ნოუყუანიან... არნა დეგინახონ შენო... ჩემი ცოცხლობა მორჩენილიაო, ჩუენ გეექცენითო... ამდგარა, წასულა და დამთარდა ამით... ჩუენი სიზივი იყვენენ ისენი. ყუელია ცნობილობდენ... მეგერ სამი თუე ჩუენ სახლში იყო... იგზედამ ავსნიე.

ნოუყუანიან თხები. წამოსხრეკიან, კუალ წაყოლიან. უთქუამან: — ამამავალმა მოქყვიდესო... ვუთხარ ქი, აქ ჩამოყუანილ თხებსა აღარ ნეყყუანთო. ფარა წამოულია. გადმოსულან აქა. ერთი მანატბიელი ყოფილა, ერთი ჩუენებური. მემრე ცემით ბილა ცემესო, ბორჯიც აართვესო... იქვენაი იქნებოდა, გომუანისკენ... კარსა დაადვა ბიქსი... ვერ ზაფთობენ კარსა... ქენდრიო||საბელი მობმული ქონდა ზენჯირზე... მეითხვიეს ის... ბარნაქეე მივალო, თქუა. აქ ჩოუთესლიმეს ყუელია... ქიხში დოუყენებიან, ნოუყუანიან... ვინ მოიყუანეთაო, შერომიან ლლიამი.

— მე მამე, მე!... იტყოდა ბიბოშვილი ჩემი ერთ სიმღერასა:

„ქოჩოღლებო, მოიყარენით, რანა იქნას ჩუენი ჰალი.
შენ მუხსინე, შენ პირშავო, რა უყავი ჩემი დოლოფალიო“.

— ერთი სიმღერა იყო, ბაკალა ჩივოდა:

დაბი სერზე გაველი, უბის სერი მეგონაო.

— იმა ეხვენენ და მუა... ერთდრამხან ვიყვენთ...

— სანამლებელი ბალახები ვიცით: თათარხანი — ჩხვერითვინ, ყანოთი — გულითვინ. ყუელია ნელნად ზრუგკიდულას გიდელას ავამსობ, შეენახვე. ქუჩუგ მაჰმუდიე ბალახსა თეთრი ჩიჩეგები აქ. ანაი მამაკრეფიებდა იმასა. ტიტასა სარი ჩიჩეგი აქ, ჩხვერითვინ კაია, ზირთულია, დაბალია.

— ქალების ჩასაცმელი ურბა||ბუზმა||ელბისეა. კაბა იმერტევეში იციან. ჩუენც იმერტევე მიკრული ვართ. ვიცით პერანგი, ფეშტამალი. ფორკა მიცემული აქ ბუზმასა. ფეშტამალი გაბუზმული ვიცით. დლესაც მეხვია ფეშტამალი. კაბა იციან იფრეველ, ივეთ... ეს ხირხაა, ჩასაცმელია, ნელზემოთ... კარგანა ჩეიცუა ზამთარში.

— გედელილა, გეიფლერტა ბაკალა.

— ნავა კმა?... ჩუენ ფაქიზომ გულში ჩოუგდო... ამა კოლო ქვია... იქეთ ნუ ეყურები, ნუ!... ახალათ დოუჭირავან სახლი. ორნი შესულან. რამდენათ დეიჭირეს არ ვიცით... მეც დამეინყნია... მუანყევით საქმე ზვირი.

— ჯანი გიჭირდება?... ჯარი ფეკზე ვიაროთ, მალე ავალთ... ჩემი ჩომა ჩემ იაილაშია... დაბანჩი ხომ არ არიან. ჩემი დუნგურია, თელი ეთბაი ვართ... მე გინიკავ მაგას... ნუ ხარ ლუხი!

— გაზმა თეთრინა იყოს, რენგლიც არი. ოფას ვუკეთებთ ზივით. არი მექიქის ოფა, თილის ოფა, ნემსის ოფა.

— კატიფკაი წინდებზე ვიცით. ჭრელების სახელებია: ნუსხურაი, ჩიტითუალაი, ბობლიზუალაი, თაფანალაჯა, ჯინჭუელია, დიქოი. ბერ კაცებსა ცარიელსა მუუქსოვთ. კვირტი წინდა ზამთარში! წინდას ქალამანაი გამუაქსუითო, ვიტყვი. გალუედელი ქალაჩხუევი ვიცით.

— იმათაც ისე ჰსურიან... მე მიშით მივაგნებ... კელები დამაჭირიეს... ამას შეენახ იადიგრათ... მოი, ავსნიოთ ქუა, ზიმეა, მარტივი ვერ ავსნევე||ვერ ამიწევიან... ჩუენიდამ წასულაა ზათი... აფერი მიმიკლან, მეშინია...

— ავადუელი ვარ... მარტივი ვარ, მარტივი!... ის ნევს, მე ვერაფერი მიქნია, სახლში დეეები. ბირთული არსა ნადის... ბალვი გეიზდა, იმით დოსტი გახდნენ.

— შისმაილას ბალანა ჯიგრიანია... ახლა დაბერდი, ყუეთი აღარ გაქ... აგზედამ ზორი აქ დედესა, გულიდამ... წინაზე თელი ვუყავ. ისმაილია ფენა ავთ არიო...

— ასიგი იქ დავა?... არქ დევკითხენით... დამაგინა, ჯაბანჩ კაცთან რატომ შესუელიო... ორი წელიწადია კბოს ის უარს.

— ერთ კაცსა უთქუამს: — საათსა საქართველოში მარგალიტი ჰქვიაო, მართალია?!... მოიდეს, წეიყუანეს, წევდეს... მისცა ერაზი... თექრენ წამოიდა... ერთიც იმა უწენდამ არი... გვეერჩიენთ და ისე წევდა... სხუამ იყიდეს, ეილეს...

— დევიე გვის, აწყნარეფს სახლსა, გაცოდვილდა... თაზე არ წასულიყვენ, მოიდოდენ... ეს წინდები ჩემ იადიგრაო დაჰკიდენ... ესენიც თათუნებია... წინდები ვინ მეგიტანა? ჩაფულები და კაბები მომიტანა... ლადლონი წინდას ჩაგაცუამ...

— რაი მევეგონოთ?... არ წამომყვება, რაი უნდა?

— ქორი ჯარგვლით შენდება. ამოსჭრი ყელსა, ჩააშენეფ. ზალაიც აქ, ყავარიც-გადალურსვა ამასაც უნდა... ორი თანე კარი უკეთდება. ერთ ქუეშე გააკეთებ, ერთ ხეით. ქორის წინა ადგილი ფარკიელია. ქარმანა ისაქმოს შიგან. ჭყრენია გადებული...

— ანჯახა ყიშლიდამ მუელი... ისტარიო ეზოზე დევდოდა და იყო... ჩომა ავყარეთ და დავყარეთ ყიშლაში... საბელაოთ არი თა-ბარობა, ჩხოკობა.

— ზილ მისცემდა ყუელას... ახლა გაბუკული ხარ?... ბაჯუები სამი ვართ... ზმა მუჰაჯირი გიგვიდა... აგარიდამ რზალი გეყავს... ახლა მეებარგენით ყიშლიდამ... სამ წელიწად ფეშფეშით ვიარე... დევიკაა შიგან... დემეგი გაკეთებთან ვინცხამ თექლიქი გვიყო... აქედამ ზიარეთზე წაველით...

— ბალდუზი მოუბრუნეს ჩემ ზმასა, ვდერდობდი... შიარგონა იმათაც... დოუბარებია ჩემ ბაბას... ჩემი რზლიები ამფერი არიან. ი წენი დოუშინებთან რზლიებსა... ააყენა ღამიან, წეიყუანა... ბალვები მემესწრენ... გუმანი მაქ, მალ მოვლენ...

— მე იმათნა ვურცხა? — არა, ჯანუმ, არ იქნება!

— როგორ დავადეა არაბაზე?... არ ერქარებოდეს და ჩუენთანაც ჩევდოდეთ... მეინყნარებენ და ავალ... დედამისი წაჰყუა... ასე ევადი მოსლა არ იქნება.

— მენეთერინა კადენ... ბევრია, მე ვერ მიწველია... შინეთკენ გამეიარა... შეიკრიფნენ და წევდენ... დენიზის პირი საილია. სავალია იქაერობა... ბარგ ბილა კელით წამეილებთ... ხათრი ვერ გუუტეხია მამამისის...

— პური მამართან პატიანა... ყიშლობა გუაქ, პური ვერ გამამიცხვია. რა გინდა ქნან ახლა ქალებმა.

— მინას მოკნავთ არუნაით. არუნაი ხის არი, კინის ზოფი აქ... ხის კანჯაი აქ... კაცი კელს მოკიდებს არუნას ტარზე, არუნაი წავა. გახუალ კიდურში, მააბრუნებ, კიდონ ისე. ჟარებსა „ოქჷ“, „ოქჷ“ ეტყვი, მააბრუნებ, ჩადგებიან კუალში. დოუქმიანებ ჟარებს... ყანა მეიკნა. მემრე დეიკანჯოს უნდა. ჯერ გააბნო უნდა სიმინდი, ბულდა, ფეტვი. მემრე დაკანჯონა. კანჯასა აქ ათი-თორმეტი თანე თითიები, ორი თანე კლაკები, რომ ჯარ ოუბას ზენჯირით. მემრე უნდა ფარცხი. იმა საბელ მააბამ, ოუბამ ჯარებ... დავაუდებით ფარცხზე. ცოტაი თუ ხარ, ბალეებ დააუდუნენ... დავფარცხავთ... თავ-თავ გიდიარონა... ლობიოს დაჰთეს, ყაბალ დაჰთეს... სიმინდში შიგანაც ლობიოს ოურეც...

— სამსე ზროხა ვერ მომინველია, ავთ ვარ... ზალი ავა, მეიჩხოკავს, მემრე მე ავალ მემთევრათა იაილაში. მილეთი იაილაშია, სოფელი დაპარებულია.

— ვერ შეტეხეს ბაკალა, წაჰყუა ჩემ ღარჭსა. ისაც კაი ფეგინია... ფენა ჰერსიანია, ჩემ ღარჭ მიერია... მე, ისე გვეყარენით, ჩოფი არ იმინვეია... ჰაკი-მაკი არ ვიცო... ასე ფათათა-ფუთათას ნუ გვეყურები, ჯიგრიანი ვართ!

— მე თენზილეი მქვია. ამათით წევდე?... ჩემი სახლი აგერაა, ქუეშეთ. ოჯალი იყო აგზე, დავაბათლები... აქავრ ზუელეებსა იქ ვერ გუუზლიან... ჩემი მეზობელი ტაკტაკაია, დუნდამ ხებერი აქ.

— ეს სათქველველია, მაგითა ტანსა დევბან. ესაც მუსლულია, წყლის ადგილი! პაზირ ნყლებია და გავრცხი უზოში!

— მეცნა ებანება-მითქი... წყალი ისე კვიანობდა... მარტივი დარჩი?... გამეიშუშებ, კაია!... ლოგინში დანექ და გამეიშუშე!... ვიცით მინდარი, საბანი, ბალიში, ჩერჩები, გადასაკრავი...

— ლობიოს ხაშარ დუღსობთ. — არი ხაშრის ლობიო, კუტი ლობიო... სიმინდსა გაფხეკა უნდა. გაემარგლით, ნამარგელია გაკმება, მივართუამთ ზამთარში ჩომასა. ვიცით ბირინჯი გაფხეკა, იქინჯი გაფხეკა. ქუჩური ამეილო სიმინდმა. მი, მემრე კატარი გამუა, მემრე გამეილეს ტოლს, კოტორსა. ვიცით ჭყინტილი კოტორი. მოვხარშავთ, შევსწავთ იმასა. სიმინდსა მოსჭერთ. დავზოლავთ შარებსა; სირა-სირა შარები იქნება. კონას გავაკეთებთ, შევკონავთ. ერთათ მოვკურით, მევტანთ ქორში. ყანაში მოვტებთ კოტორსა; ჩალას ცალკე მევტანთ, კოტორსა — ცალკე. კოტორს გავარჩევთ, ქუნჩალ შამუაზრობთ. ქუნჩალსა ვაჭმევთ საქონელსა. გოუკეთებთ ნარცხსა. სიმინდი კაპალსა დენსაც ვეჭყვით. სიმინდი დავნაყთ, დენი გახდესო, ვამბობთ. კოკოტაი გვერჩევა. ჩომას, საქონელს მივართუამთ.

— ჯავე ზეთუნია რაცხა!... მაკარნაი დარჩა, ვერ შეეჭამეთ.

— ბულდას, ქერს დავეთსავთ გაზაფხულზე, მარტში, დავეთსავთ. გაჯეჯლდა, გამეილდა პურიო, ვიტყვიო... ერთი ხენჩერი დანა მქონდა და დავპაკეე...

— ბოშუნა არ. ნახუელით თაზე, ფენა ილაინა, დარი გამოიდა.

— მუთვალის ყაბაყული ესენია: საპანი, ბარდალები, თაბლები, ჩაი თაბლები, თეფსები, ყუშხანები, თასები, ბადიები, დემლიგები, კონსერი შუშები, ყავი ფინჯნები, სინი, სუზგი, ქელფეტი, საფხეკელი, კოვები, ჩათლები, ლამბა. სავარიე მიჭედებულია. ეს ყაბევე დემლიგია, საფლი, სუზგი, ფენერი. საგუგუმეა ეს. ფილიზებია ესენი — ჯერდანის ჩასართავი, გამოსართავი. ესა ჯერდანის ამფულია. ესაც ასტამი, საგველია. კლიტე-სა-გლოლი ადინა... ხენჯოა ეს.

— ჭამე პური! ჭამე!... აქ მარანია. ესაც ლუქუსია.

— იგზემდინ იყო ასული გზაში... არაბა შიგან ამულა?

— შენ ქი სხუას ყურები, ის ვერ გემიტანია, მღერობდა ამგულარ.

 ერთ კუთხიდან მოდის თაფლი და ღალი, ერთ კუდხიდანაც ზემზემის წყალი,
 ალთონი და შუშე იქ არი იბრელი, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 ენა ვერ იტყვის ჯენნეთის სეფას, თეელი არ მეთოლბა, მიხდი ამ ღუნდას,
 სამოთხე უნდა მეგერ სულ ყუელას, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 მადლი ისაქმე შენ ამ ღუნდაში, ისე შემოხუალ იმ ღუნის ჯენნეთში,
 მუდამ გახსოვდეს ღმერთ-გამჩენელი, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 ლოცვაზენა ქქონდეს კარგა ხულუსი, ილოცე პერპალ, თუ გაქ გენშიში,
 გულში სულ გქონდეს ღმერთიდან შიში, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 ირზი, ნამუსი თუ გაქ ღუნდაზე, ჯენნეთში შესხუალ, ახუალ ქოშქებზე,
 ნამუსიდანა იყვე ღუნდაზე, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 ირზი, ნამუსი არ გაქ ღუნდაში?... იმ ღუნდას შესხუალ ღორის სურეთში,
 შენი ცოდვები გავა შეიდანში, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 ისე ამ ღუნის მადლი და კარგობა, შენი ქეიფია, ნუ გინდა გონჯობა,
 მადლით იქნება კაცის დიდობა, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 ასეა ამ ქუეყნად ღუნის შესაბი, თავზე გადაქდებდა თეელი ღეზაბი,
 თუ ამ ღუნდას შეიგვე ბვერი ცოდვები, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 შენ თუ არ იცი არაბზა, თურქა, ახლა ხომ გეიგონე ვაიზი გურჯიჯა,
 ვერ იტყვი, ამ ღუნდას ვერ დევნახე ხოჯა, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 აეთი ხედისის მაჰანა დაენერე, რაცხა რომ გეიგონე, თეელი დეიჯერე,
 ილოცე, იკითხე, მადლი ჩეინერე, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 ნეტაი შენ, რომ გაქ ენა ქართული, სხუაზე რათ გექცევა თუალი და გული,
 შეინახე ენა, გულში ჩარგული, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 გახსოვდეს, ვინ ხარ, სიდან მოსული, ვისი სისხლი გაქ ტანში გართული,
 იცოდე, რომ გაქ სისხლი ქართული, ქართულ ქოქზე ხარ ამომართული...
 ქართული ენა გულში დამალე, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 დიდ ბატონს უყუარს ყუელაი მილლეთი, ყუელა ენაზე ესმის სათქმელი,
 ღმერთ შეეხუენე, შეთხუე სამოთხე, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 ღმერთ შეეხუენე ლამაზ ქართულით, ღმერთის ემანეთი ტკბილი გურჯულით,
 ღმერთ ესმის ჩუენი გულში ფურჩულიც, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 ტკბილი ქართულით, ტკბილი გურჯულით, ღმერთ ეხუენება სულ ჩუენი გული,
 იმ ქუეყნის ენა ჩუენი ქართული, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 ზამანი მოვა და შეიყრება იმ ღერესეთის ნარე შეიდანზე,
 ამ ტყვილი ქუეყნის ყუელა მილლეთი ღმერთ ეხუენება თავის ენაზე.
 გამჩენელს ესმის ყუელას სათქმელი, ყუელას მოუსმენს ადრე თუ მალე,
 უფალო, კალთა გადაგუაფარე, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე...
 ღმერთო, სამოთხის ქოშქზე ამყოფნე, მწერაგ-მკითხავი, დამყურებელი,
 შენიდამ ველით ყუელა კარგობას, შენ ხარ მილლეთის დამპურებელი.
 ქართული ენის დამბრუნებელი.
 ღმერთო, შენ გეგვილე სამოთხეს კარი, გურჯული ვაიზი პემაც ეს არი...
 უფალო, კალთა გადაგუაფარე, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე... ამინ!

ვაიზს კითხულობდა მანატბელი ხოჯა ნიაზ ჯიჯანიძე (ჩანერილია ვიდეოკასეტაზე).

ბზათა

— მექთუბმა მოვდა, დღეპაც თოვლსო... თურქჩას პეჩ არ ვილაპარიკებთ... ნელი

მტკივა ზალიან, ზიმე ავსნიე. ზიმე სად ავსნიე და, თაქსილამ შეშა ამეველე, ბაგაჟილამ. ესენი ემეში ნევედენ, თუქანში. სხილი იყო, ზიმე.

— ჰელბეთ იჯებანი, მარა შეგესათრება. — სოფელში? — ყუპრში ვიყავ ექა. ზაფხული რომ მოვა, ყანა-ჭალაში ბევრი საქმეა. იაილოზინან შუამთობა ვიცით. მემთვერი ვიცით. იაილებში საქონელი რომ წავლენ, მონუელენ, აღართ გააკეთებენ. აღართი არი ნანუელი: დალი, ფშნილი, ნოვაი, ჩლჩიანი, დო, ზე. გადაშუშვილი ყველიც ვიცით. ზეს მოვეყრით, მაქინამი გამოვწვეთ. ის ორ-სამ დღე დამჯავდება, ცეცხლზე მუათობთ. ჩახვი გადავასხამთ, ქვიქუმ შამოვდებთ, გავხრესავთ. ორ-სამ დღე გახრესილი იქნება, შეთბება, მემრე კოლოფში ჩავტენავთ. ზამთარში ვჭვამთ. აფნი ფშნილადამ გვერჩევა ჭუკი. ჭუკ სობაზე მუადულებთ, ქუაბშია ჩასხმული. რომ ადუღდება ის, აფარატნდება, ქუემ დენაზილებს. ის გაცივდება, ჩახვი გადავასხამთ. ჩახვი ჭერზე დავკვიდავთ, იმა გავოჭავთ, გეინურვის, ქვიქუმ შამოვდებთ, დავმარილავთ, კროჭში ჩავდებთ. ვარელასაც ვეტყვი „კროჭსა“. კანდრაი გზელია. ნაღებში ჩავყრით უმარილო ნოვას, იმა ვეტყვი „ანწლით“. ქალაო შორვას გავაკეთებთ. ნოვას, ფშნილას ლახნი შორვავში ჩუერთავთ, ჭარხალას მოვხრავთ, იმამიც ვურთავთ. ნოვა შორვაც ვიცით. იმ ნოვა შორვავში გალესილ ქერი ფქვილ ჩაასხმენ, მუადულებენ.

— ბოსტანში გუაქ ხახვი, მარული (სალათას ვაკეთებთ), კიტრი, თომათესი, ლახანა, ბოლოკი, თალგამი, ჭარხალა, ქინძი, მიდიანოზი, პრასა, ლობიაი. დაბალი ლობიაი ერთ სოი, კუდაი ქეჩა. ხაშირი ლობიაიც არი. კუდაი ყვითელია. არი თეთრი, წითელი, ჭრელი ლობიაი, მტყელია ლობიაი...

— ჩუნა ვიტყვი: სა იხუეო. მემლექეთილამ მოსული გურჯები იტყვიან, ჰა ნახეო. ჩუენი ლაპარაკი ადრია...

— ლახანა თეთრია და დემილი. თეთრი გეიკეთებს თავ. ხვიტი ვიცით. ენ წინ გავასუფთოვთ მინას, იმა ზიბილ მუყყრით, ნაცარ მუყყრით. თოქი მოვთხრით, ფოცხვით შევრეკავთ, კელით დავაბნეთ თესლას. კიდვე ფოცხვით შევრეკავთ. მემრენ სარწყავით ვრწყავთ. ნერგი გახდება. დავარუფთ ბოსტანსა; რუ და რუ დაურგავთ. მემრენ წყლით ვარონებთ. — ახლა ამუა ნერგიო, — ვიტყვი. მემრენ — დაბერდა, აყვერდაო, — ვიტყვი. ზოგნი თესლათ დარჩება. იმა გამოვხრესავთ, მემრენ შევნახავთ.

— როდი დავთესავთ? — როდი და თოვლი გამრება ქი, მინა ამომრება ქი, მოვთხრით, დავთესავთ... სესხები გამუა და მაშინ დავთესავთ... ჩუნა დეუმა დღე დავთესავთ, ფაზართესილ დავთესავთ. ახალ თუარეზე არ დავთესავთ.

— კარაქსა მანწნი დღ ვეტყვი. მანწინა შედლობო ვარაში. ვარიას აქ ყაფალი. თოკებით ჩამოვკიდავთ ღრენჯოზე. ჩახვი გუდუფენთ, რომ არ გადმოდინდეს. ხანდესან მალე მუა, ხანდესან გვიან. გამუყყრიაო კარაქიო, ვიტყვი. ახალათ რომ გამოჩინდება დალი, იმა მუარყევთ. გადმუასხამთ კროჭში; გობში გადმეველეთ, ენ წინ დღ მოვკრავთ კროჭში. შემში გობი გუაქ. კელით გავრეცხავთ, თუ ბევრია. თუ ცოტაია, მაშინ ციცხვით გავრეცხავთ. წყალი გასუფთებამდინა გარეცხო. დავმარილავთ, ჩავდებთ კოლოფში. ის რომ ეივსობა, კელით დაჭიწიან. ზოგი ყართოფთ დაჭიწიან. ნეტაი იქნებოდეს ახლა! აიჰაი! სად არი შეპერში ამ სოი კარაქი?!

— ნაღები ვიცით. ზუღლათ გობებზე ყოფილა, ახლა მაქინადამ გამოდის. მე არ მოვსწრივარ გობებსა. მანწნილამ გამოსულ დალსა კარაქს ვეტყვი, ნაღბილამ გამოსულსა — იღლსა. ნაღბილამ გავაკეთებთ ხავინსა. დავნუადებთ ნაღბ, კარგა დეინვის, ფქვილ გოუკრავთ, ადუღებულ წყალ დავასხამთ, იმა მუადულებთ, მარულ ჩავყრით. გვერევიც ვიცით სიმინდი ფქვილისა. ამა გვერეგი პური ფქვილისაც არი. სიმინდი ფქვილისას ასე გავაკეთებთ: ნაღბსა ერთდრამ შევათობთ, სიმინდი ფქვილში მოვზელთ, კეცში გამუცხობთ. ზოგი ლახანას, ზოგი კაკლის ფურცელ, ზოგი ყურზენი ყუერსა, ფურცელსა ჩაფენენ. ზეილამ ისუნენ კეც დავაბურებთ. — შეაბურე კეციო, — ასე ვიტყვი.

დონთბარიდამ გამუა ქუცი. ამა დავაქცევთ, რადა ხოზალიმას ჯავებზე დავასხამთ, ხლი ჯავებზე დავასხამთ. ხალი ბევრია ჩუენსა: ჯივანაი, ფამფარაი, თელეხარში, ჯაუნა, ხოზალიმა. ჯივანაი აჩული მავია. იმიდამ საქმელ გაეაკეთებთ; მოვხარშავთ, იმა რალში მოვხარაკავთ, ხახვში, ბიბერში, მარილსაც დავაყრიო.

— საქონელი ბევრი ქყვავს: ზროხა, კარი, დეკველი, ებო, ცხუარი, თხა, კრავი, თიკანი, ბატკანი. ზროხის სახელები ვიცით: ნახლიაი, ყირმიზაი, სარიყიზაი, გულიყიზაი, ჩიმენაი, ჩიჩგაი, ქექლიგაი, სადილაი, აპრილაი, ზარმელაი, მაისაი, ტალდაგული, ბალდაგული, დესტოი, ფინარი, ჩიდემი... კარებისა: იეთერაი, სოითარაი, აიდინაი, დილბერაი, ალთენაი, მურემაი, სარიაი, თუარიაი, ნიკორაი,... ცხუარი: რუყიე, ქუფელი, თეთროი, ჭრელი. ცხურის რენგა: თეთრი, შავი, ნითელი, მრეში, ჭრელიც არი.

— აქა თახთის სახელები გუაქ. დიდი გინდა, დიდ გააკეთებენ, პანაი გინდა, პანას გააკეთებენ. ორი ყათი იქნება. ქუეშა ყათშია მუთვალი, შუა ოდაი, იქეთა ოდაი, წინაი ოდა, მოსაფირ ოდა...

— ენ წინ მე ვუთხარ, მარა არ დიმიჯერა.

— დეიზინე შენ, გეზინება!... მარანი იაილებში ვიცით. მარანში ნანუელ ვინახავთ...

— მაღლი მეიგე, რომ მოხუელ... ფენა ლამაზ გურჯიფას ლაპარაკობ, ჰემ ჩუენებურსა.

ზვილაი გეგვონეთ გერჩექ გურჯიფა.

მასალა ჩანერილია ქალაქ ინეგოლში, მთქმელი სელვი ქადაგიძე, 24 წლის. ბზათადან გამოთხოვილია ინეგოლში.

ჩიხეტა

— მაგ სირა გააშვი... მაგ სირაზე გააყოლე ჭრელები. ქსოვნა იცი თუ? ფენა ქალი ხარ, ყურგახრეტილი...

— ანას თერეფი ბელქი ყყოლის, ბელქი ზალი ყყოლის იქვერი... ბითევათ არ დეიკოცებოდენ, ვინცხაი იქნება დარჩომილი.

— მეენვერენით და მოხუალთ... ჩუენც ვდერდობთ, ჩუენი ვინცხაიც ხომ არ არიანო, ვდერდობთ, გვინდა ჩუენაც დეენახოთ ჩუენი ახრებები.

— ბაბაი მტყყვის, გედეიარ ამ სერსა, იქ არიან ჩუენი მილეთიო. შიშისგან ვინ გეიარს იქვერობაში. აქეთ ესკერი, იქით ესკერი!

— ერთსა კაცი მუუკლავს და რუსიედამ აქ გამოქცევლა, ეი და, აქ ინეგოლში უდას. ვებნევი, რომე რაზე არ ნადიხარ-მეთქი. — იქილამ ყაჩალი ვარ, იმი ბარზეო ვერ წავალო. იქა დასჩენია ბალეები, პრატები. ბელქი გედევდე, მომკვლენ, უზუნთუში ჩავაგდებ, იმერაყებენ ქიო, ბაბოი გადმოვდა და ცაცემით პუქუმეთსაო...

— ბაბაი მემლექეთიდან ჩამეყყანე, ფილში გამუალებიე. დეველთჰასტაპანეში დავანვინე. ამელიეთ აღრიაქ ამასაო... გოზი აჩული გახდენ. ზეერობა არი ზალუან. ერთი ქონტროლი ოთუზ ბინ ლირა, ერთი ფილიმი — ყირხ ბინი. არ აქ ჩემ ბაბოს არაფერი. ერთი ზმა ყავდა, გეყყარა, წევდა. ბაბოი იმერთ პატარა ზმასთან არი... წეთილეთილდამ ვინცხაი მივაო. შოუთვალონა, პატარა ზმამა გამოგზავნოს ფოთოგრაფიები.

— მე მოვალ კიდენა შენთან. ერთი დამლი ნენენინა მეყყუანო. სადე გურჯები ვართ, გელაპარაკებით გურჯულა. ისაც ერთი მოკდენილია, გურჯული რომ ვიცით. ღმერთმან კიდვენ შექყაროს!

— ბაბოი დამლია. ყურშინა ჩაჰყვირო, რაცხა გეიგონოს... მემლექეთიდან გამეყყუაი ბაბოი, ბურსას ფაქულთემინა დავანვინო...

— დენავლო და გითხრა ზუელეზურები... კაი გიქნიან, მოგიზებნიან გურჯული ხებრები, ნუ დეიკარქვის ჩუენი ენა.

მასალა ჩანერილია ინეგოლში. საუბრობდა სულთან მარგაძე, 58 წლის, გადმოსახლებულია სოფელ ჩიხუტიდან.

წყალსიმერი

— გოგიეთში ილიასი ჩემი სიზუა, ჩემი ბიბიაი ყაედა, ჰუნქერაი... მისი შვილი სულეიმანი ცოცხალია, ბათუმ არი...

— ერთი მეერიდენით თქუნეცა!...

— წყალსიმერ სახელი შუუცვალეს, ახლა პალუზლი ქვია. მისი ადგილები ესენია: მერე, ფაცხა, ახო, ნურნაფი, დიდველი, ავაზანათი, ყიშლა, ურჩხთ, მოდრეკილი, ნაცქელაათი, ქალდეჭაქალთაუჭა, დიობნი ნუერი, ბართლუმის თეფე, ილასახოთი, სებებური, ბუქიზე, კოპიზე, კომბაზე, ხილვაზე, ტავეყანოღლებ, ჩახმახჩოღლებ, გულიაღა, ყოჩალოღლებ, თითიოღლებ, მურადოღლებ, ზაქარიზე, ყარსლიოღლი, შარაბიზეღარ, დაიროღლებ, ბაბელიზე, ბასილიზე, ეზიზოღლებ, ციენყარო, ინგიშლინყარო, წყურთი, ტყლაპი წყარო, თაფლი წყარო, დამბალ წყარო, ლოღვანა დუზი, კილდიყარა, მიქელყარი წყარო, დიდართი წყარო, ორპატიტანყარო, ქუაბიყარაი, კლიკეავერი, კატრუანი, კორკითავი, სასუენი, კარჩხლიზორ, საქართი, საბადურთი, ქუაჯამა, სათიმახო, ფათალი, აგვასავალი, იფრანა, სასუენი, ტრილოფერდი, სავარტყი, კოკოლაი, ველაი, ბოჯანუთი, სავანითაი, ჩიჩილვაკე, სარტყელაი, ორგზა, ახალჭალები, ლექთური, ვაკიაი, სარჩეფთი, ჩანჩხრითავი, კერთვისი (ორი ლეღე იყრება), სარჩეფთი ლეღე, ციენყარო ლეღე.

— ბზათას, შოლტიკეე გურჯიჯა არი, წყალსიმერ არ ლაპარაკობენ და იგნებენ გურჯიჯას... ზუელათ წყალსიმერი ნაშიე ყოფილა...

— იგზე სტანეეს, რა ქენს ჰა!

— ვერ გაარიგა, ვერ მათფერა. მოფამფალებულია ბერი... ვახშამ უკან მოიდა... პარიხთი ყალეა, იფქრეღ ახლოს. გაღმა არი ქოქლიეთი...

— ალაგი მოცემნას ეცდება... ჰასთაჰანეში ავასხი...

საუბრობდა სულეიმან აქფუნარ (ზაქარიძე), ოთხმოცი წლის. წყალსიმერი.

იფქრეღი

— გაღმა ჩანს ქოქლიეთი, ქოქლიზებეი.

— ისტარ ისე თქვი, ისტარ ასე, მაიც არ გიდინგლეფს.

— ვირი ქი გამდუარდნილა, რიშეფთი გამუღზავენია, დესტანში მე არ შიმიროსო. ქურდიკიზე ოსმან ეფენდიმ მეგერ შექერი, ნაზუქი გუუგზავენა დესტანის დამწერავსა. იმანაც დიობნელები კარგა დაქო დესტანში.

— ჩამუალესკიოთი მეველდ ლაღანიზესაო, მუელით, ლესკი გვითხრასო.

— შენ სიღავრი ხარ, ჭო!... რაგუარი სახლები გოუქედებინან, ჭო!

— იფქრეღი ლამაზი სოფელია!

— ყუსურზე არნა დიგვიკედო, თაზე მივალთ.

— სამ საათზე ანჯახ ავლენ. სამ საათ გასნეეს ქალის ფეკი.

— ეს ფაციბი ვისია, ჭო?!

— კამერაი, ჩანთა ვნიკეთ,მევეღალენით... სხუაგან დაახვეენიე, შიგან დაახვეენიე... ჰამან დასანეებზეა, ჰა!

— იქვერი ენა ერთ დრამი გადატიალებულია.

— არჰავეში ვიყავ, ერთი თურისტი მოსულიყო. ერთი თერეფი ჩამეგპარსნებია, მიორე საპოლნი. ნამუარდა, მემეხვია, მე შემახოცა. ისტამბოლი მოსწონებოდა... ეს ერთ დრამი ვიცან... რაგუარცხაი რომა არი, ჩუენ გურჯეები საცა უნდა ვიყოთ, გურჯეები ვართ. გაველ ბალიქესირ, ჩარში დავალ, გურჯული მესმის. გიმიხარდა, აქაც გურჯეები

ყოფილან-მეთქი.

— არ დიგიპუნკო საქმე!

— ესენი ერთდრამ შებალიმდენ... აღმანიაშიც ყოფილან გურჯი მუჰაჯირები. ვასნავლოთ ბაღვებსაო გურჯულიო, უთქუამან. მეგერ შეიყრებიან ერთ ჰაფთას ერთჯელ და ლაპარაკობენ გურჯიჯას. ერთგობო ჯაჭვი ვერ მეგვონეთაო. ივეთელსა კითხეს მეგერ: — ჩამოკიდებული ბუხარში რა არიო? — ჩამოკიდული ჯაჭვიო, — უთხრომია ივეთელსა.

— მოლის პანა ბაღვ რა ერქვა სახელი?! ვერ მეგვონე.

— რაზე?... აყრაბები ქყავდენ?... ზაათი ერთ კვირეს გუზაღვენ.

— ეს სხალი კვიახითიდამ ჩამოსულია. იქ ქირეები ქვეყლია. ჩემ ზმის ქირვაი იქვერი ყოფილა — ესედაი. ახლა ყუელამ გააშენა ეს სხალი... ზირთ ყრია ხილი, იმდონია. ზაათი ბალი არ დარჩებოდა, ახლა ზირთ ყრია. ნონოლაი სხალია ესა. სხუა სოდ სხლებიც არი: სასელი, ბეგარმუდი, ყაბალი (მოშომდა) სხალი, ჰასან ფაშა სხალი, საქერაი, ლომი, ბოსტოლანი, ნასყიდი, თავრეჯული, შიშუელი, კვირიშავაი, ბოქმუაი (არი მანატბასაც), გურდნითელი, სხალთაფლაი (ქმ გერმელი ის არი), კეჭეჭური (მაჭინელში ბევრია), მელახური, ოდრეული, ყუდრეთაი (მონტეიკე არი). ვაშლის ჯიშებია: ყარაფოლაი, ჯავე ვაშლი, რუსული ვაშლი, ფქვილაი, სინქოთელი, ზიზნავრი. ყურზენი არი შავი ადესაი და თეთრი ყურზენი.

— აბაზები უტყვდებიან ჩუენ გურჯებსაო მესმის და აქედამ ვპერსიანობ, ვერ გადავსულვართ... გერჩეი გეთხარ ერთი!

— იფრევის ადგილებია: ბუტიზე მაპალესი, სუბუქიზე მაპალესი, ლალანიზე მაპალესი, მოსიზე მაპალესი, ჰაჯინთი, მისირილოლები, ქოფითუროლები, იფშიროლები, დაღჯიოლები, საღრიზე, ჯაფარიზე (ჯაფარეთ მაპალესი), ჭურკვესიზე, ბოჯანუთი|სპარხტი ციხე. ეს ციხე თამარას დროზე გაკეთებულია. ყირალის გოგო ყოფილა, ოცი თანე ყალე გოუკეთებია იმერკვე, ჯინბალისერი — აქ ყოფილა ქილისა. ახლა ქვეები ყრია, იქით-აქეთ ნოულიან. სელავრი, ჯელლეთი ღელე, დეფანზირაი, ნიახტი, გორიაი, ჭლა-ყანა, ვაკე-ვაკი, კიდისნუერი, პირდაპირი, სათირიპირი, გოგლაზირი, ზემონაგოვარი, საკლდეკევი, ღელითაგი, გლიკევი, ღარდალაი, კიბიაი, ფონაი (წყალი ჩადის), ელიანშინდა (ყანები გოუკეთებია, ადრე ქილისა ყოფილა), ნამწურთი, საბზედათი, კვიროთი, გორჯოლავათი, სარჩევი, კერთვისი (ბრავალთი ღელე და აღბუღას ღელე შეიყრება, კერთვისია), ბრავალთი, სოროები, ქედაი, საჩარხიაი (აქედამ ზულას გუდუხუხედათ, ზულია თერფვი ჩანს, კვიახეთი, ღორჯაგომი ჩანს), ქვაკაცა სერი, ნაშარიწყარი, გადაჭრილი, საქოთნი კევი ღელე, კვირაი წყარო, ნასადევი, გლიგორთი, ნონთინყარო, ჭინკანაი, ატიანი, ხობოლაი, კერთვისი (შეიყრება ბლიგორთის ღელე, ჭინკანას, ცხვარავლის ღელე) თესლისუთე, ღენილი, კრიჭა სერი, სხალთნამწურთი, ბუსტუტური, ხელთახოსერი, მორჩენალაი, კლდეშუაი, სანიოკლითაგი, ნასახლევი, საზუქელი, მერე, კაპანი,... წყაროები: ციენყარო, საბურავა წყარო, ნასადევი წყარო, კვირაი წყარო, მალაღწყარო, სალაქორი წყალი, მოსიენყარო, არჩილა წყარო, ჰაჯინენყარო, ღელითაგი წყარო, ბილიკევი წყარო, ზემონაგვარი წყარო, საკლდეკევი წყარო... კიდინუერთან არი ზუელი კიდი... ნაბერნი, ჭალათი, ვირაიკევი, ნაშარული,...

— გუარები: იფრეღში ენ ზუელი გუარი არი ლალანიზე, მოსიზე (შუიდი კუამლი ყოფილა); სუბუქიზე, შარაზე, საღრიზე, ბუტიზე. ახალი გუარებია: ჰაჯიოლები, ქოფითუროლები, მისირილოლები, დაღჯიოლები, იფშიროლები. ესენი ექსერი ზუელი გუარების განაყრები არიან. ჯაფარიზე და ჭურკვესიზე ზუელი გუარია. ჩუენა ლალანიზეები ვართ. ბათუმშიც ყოფილან ლალანიზეები, შენ არ გიგინა? მე მეველუდ ლალანიზე ვარ. მე ზუელათ გამოვთქვემდი, გენჯობაში. ახლა ველარ მამიკრეფია...

— აქედამ მიენდენ, ნეედენ...

— დილაამდი იგონეს, თორუნ ევენდი!...

— შენი ტელეფონის ნუმერა მაქ, მარა ბათუმის კოდნუმერა ვერ ვიპოე. ბათუმის კოდნუმერა მექთუბი ჩამომტანელი გამომიგზავნე, მალ-მალე დევლაპარაკებთ... ბათუმის დანახვა ზოლ მინდა, თუ გემხნდა ყისმეთი...

საუბრობდა იფკრეველი მველუდ ლალანიძე (ახალი გვარი — აიღინი), 60 წლის.

* * *

— ზამანუნდა ერთსა გოგოზე თუალი სჭირვებია. არ მუუცემიან ის გოგო... კაცი გაფირალბებულა, ლესკი გამოუქთუამს. იმისი დასწავლილი ახლა აქმინა, კასეთშინა, ავამსო. ეს ლესკი იქნება ამდაგუარი:

დაეკეპი და დევიფიქრე ფირალბის ამბაეები,
მე საცოდაემა ვის ვუთხრა ჩემი გულისა დერდები.
დამით უგზო სიარულში ბეერჯელ გზასწინ გაგვორდები,
ულოგინოთ დაწოლაში გუერდზე ამოსული მაქ ეკლები.
ღალატობა რომ შამოიდა, ვერაეის ვეღარ ვენდობი...
დეემალე გაღმა შვე ტყეში, უჭმელ-უნსმელ ვიარები,
ზალიანაც ბეზარ მუელ, სული ამომივდა ყელში...
გორგილაზესთან მიველი, შიშინახა და ოდაში,
მეორე დღე მიღალატა, მომაკლო და არხატაში,
აზლილიდამ გუდევრბინე გავაშვი გაღმა ბაღებში,
ყურშუმებმა გიმირბინა იქით-აქედან ღლიაში...
იაპიქოღლი კაი ბიჭი ხარ, უბეში გაქ ბევრი ფული,
ას ალთუნზე არ დიმიკლო, გედეირჩინე შენი სული...
დაეკლე და წიგნი დავწერო, ჩიტ გავატანო ხებრათა,
აგი საყუარელ მუუტანე, ვეღარ ვესტუმრე ჩქარათა.
აბდულ ბეგიც ზალიან მეზეხს, ამდგარი არის ჯარათა...
იმახაც რომ ვერ ვესტუმრე, კურცხალი მომღის ღუარათა.
ერთ გოგოზე თუალი დამჩა, ნუ დეინახათ ბეერათა,
მე რომ მოვკლე, სხუას მიეცით, მენა მჯობდეს თუალ-ტანათა.
ჩემი ყამა და ქემერი თან გავატანო ზითეთათა...
სელამსაც რომ შამოგითლი გამომფრინაეალ ჩიტითა,
სალამ-სათისაზე გამოგიარ ფენჯერეზე...
ღმერთო, შენაც გეხუეწები, გიმიყუანე ოსმანლიში...

* * *

ერთი ლესკი ამოეწეროთ მაღალ ზალღი ზეგნიდამა,...
დაწვილი ვარ შიგნიდამა, არ მეტყეება გარედამა,...
ღოქტორები ვერ მარჩენენ ვერაფერი წამლიდამა,...
შემშალა და გადამრია, გამომიყუანა ჭკვიდამა,...
გამჩენელო, შიშობრალე, უნდა მოვკედე დერდიდამა,...
სიღამაზეს მე თუ მკითხავ, ვერ მივახდენ ვეფრდიდამა,...
იმფო, იმფო, ლამაზდება, დაწუას უნდა ეს ქუეყანა...
გადმოყრილი აქ შავი თმა, ოქრო არი სირმიდამა,...
შავი ლამაზი თუალ-წარბი მიცემულია ღმერთიდამა,...
ქაღალღვით თეთრი შუბლი მიანათლეყს წინედამა,...
გადაშლილი თეთრი ლოყა მე მგონია ვარდიდამა,...
რადათ მინდა ეს ქუეყანა, ერთ ვაკოცებდე ზეღამა,...
იმას ქუედიამ თეთრი ყია, როგორც ჯენნეთის ქედაბი,

საკონცენტრაციო მაღალი არი ბროლივით თეთრი ღაბაბი.
გელეკარე ამ ბუზგებში, გენაცვალე ზუზუგებში...
იმახ ქუეილამ თეთრი ჭიპი, როგორც ბოჭოჭუკის ბუდე,
აღარ მინდა ეს ქუეყანა, იმახ თუ კერ ჩევეზურტე.
იმახ ქუეილამ კარდის ბახჩა, ჩემი ხული მასთან დარჩა,
ვინც იმაზე არ აკოცა, სახლი-ყანა ანტრათ დასჩა...

* * *

ცაში მიყვინავეს მიმინო, სად წახუელე, ჩემო შირინო.
ნამტირალი გაგაჩავენე, ახლა მე რაფერ ვიზინო.
საყუარელ შენი თუალეები, იცოდე, შეგებრალეები...
როის იქნება, მეც არ ვიცი, თაკვემ დივიწყო კლაგები...
საყუარელი, შენ და მეო, შენ დლე გიყუარს, მე-ღამეო...
მასკელაეი ვარ გაკერებო, შექერიც ვარ, გაუნებო,
ღამაზ გოგოს რომ დვენახე, მკლაროც ვიყვე აედგებო.
რა ჩათინია გულის ხევა, რა ჩათინია გულის ხევა,
ვინცხას რომ არ უწევინა, იმახ გონია ფქვილის გუდა.

* * *

სასამურო, საფერქული:
ოტო შანი და ოტო შანი,
ხებას დაკდევი ჭიბოშანი,
ჭიბოშანმა ხე გათალა, ფაციათ კლაგები გაშალა,
ფაციათ, მე შენ დივინახე, შენი ზუზუ მიმინახე;
უსტულა და ბილევიო, ვიწვი შენსაჟინ, ვილევიო...
საფიოქროს დილეგები, ღამაზ გოგოს ბილეგები,
გაღმა ხერზე თეთრი ქვა, კელი დავევი, არ ამეუო,
ეგ ჩემი შავი თალეპი, საცხან წაველ, იქ წამეუო...
ამ ბათუმში წვიმო მოდის, ქუთაისში დარიაო,
ჩემი მარტოი სიარული, ღამაზების ბრალიაო.
ჰაიდე, წევდეო ბათუმში, იქ ვიყიდოთ შუშე, კინა,
იმ დაესილთან შენ რა გინდა, იმან... ავატკინა...
შავი ცხენი, თეთრი კვიცი, მე ამმეტი აღარ ვიცი,
მე ამმეტი აღარ ვიცი.
— დაღანიზე გვახლებათ!

* * *

- ერთმა აჭარელმა გახედა ქი, გუერდში შუელი ზოვს. ბალანას დუუზახა:
- გამეიტანე სასროლი, ვესროლო, მოვკლა, კორცი მოვხარშოთო.
ბალანამ გამეიტანა სასროლი. ესროლა აჭარელმა და მოკლა შუელი. მისი შვილი თერჯანაი გეიქცა შუელთან და რას ხედავს: შუელსა ფეკებზე ნალები აქ დაჭედილი. ბალანამ მამამისს დუუზახა: — ბაბა, ეს შუელი დაჭედილია, ზაპარ შუელი არ არი და ტყვილათ მოვკალითო.
მამამისმა დუუყვირა: — დურსუნაი ვირებ ჭედავს და გამჩენელ რა გუუჭირდება, შუელი ვერ დაჭედოს!... მალე გამეიტაი გობი, კორცი დავყაროო.
შუელ ტყავი გახადეს, მოხარშეს და ჭამეს.
ორ დღეს უკან მეზობელმა შეპკითხა: — ილიასავ, ვირი დავპკარგე, ხომ არ დივინახესო.

— ძიავ, არ დომინახავს... მარა შუელის ჯორცი რაცხა კემი ქი იყოო.
მთქმელი მეღლუდ ლაღანიძე (აიღინი).

* * *

— ესა ზუელი დიობანია, ახლა მეღდანჯიქი ქეია; ნაჰიეა დიობანი. თექსმეტი თანე სოფელია ნაჰიეზე მიბმული. ზამთარში ოთხი მეტრო თოვლი მუა... იფკრეღლში ასსამოზდაათი კუამლი იქნება. გაღმამი ქოქლიეთია, ქოქლიზე მაჰალეა დიობნისა... გაღმა ქი თოვლიანი თეები ჩანს, ის რუსიეა. მარცხენა თერეფზე მაჭიხელია. იმა გეთათუსის ციხე ქეია. ხარაბა გამბდარა, დანგრეველა.

— დიობანი გურჯიჯა სახელია, ზუელი... უკანაი ტყეები ბითევათ, ემე, იმათია... მანზარალი ტყე არი, ხედავ? მალლა თეფეზეც ჩუენი დანსითიჯია, ციციელი დეეცა და ცოტა აღარ მუშაობს.

— ეს ხარაბაც თამარას გაკეთებული ყალეს ყორეებია. ოცი წლის წინ მაგრათ იყო. სოფნი მივა ასე თავდაღმა... იმ ადგილებსა თამარა გეჩანი ქეია. თამარ დედოფალსა ბევრი უკეთებია ყალეები აქევრობებში.

— დღე რომ გამოხვიდე აგზე გაღმამი, გახედავ, თოვლიანი ერთი თა ჩანს. იმ თაზე გედეიარ, არდაჰანი — ყარსია, სახარა თა არი ქესური. იგზედამ გედეიარე, არდაჰანში გადახუალ... იშტა იფკრეღლის მანზარა ეს არი.

— აქა ექსერი სიმიდ, ყართოფ დავეთსავთ. ყართოფი, სიმიდნი კარქა მოღის. სეგზე თეელი მოღის: თუთა, ჯოლი, ბალი, ქლიავი, სხალი, ვაშლი... თეელი გაჩეჩილია. წრეულსა დანი კაკლები მოზრა, მალე სიცივემ გამოვედა და მონუა...

— თავრობა ამბობს, გზები გააგენიშეთო; მიორეთნა გავაკეთოთ, ქეპირდებთან მებუსებეი, აგუართმენ რეს, ნავლენ იქა, ისტანბულ, ანკარას და აღარაფერი! შარშან იგზე ცხრა ხანე დენუთა, ქოქლიზე მაჰალეში. ორი წელინადა, ჰალანა გააკეთონ იშტა. პირდებთან და არიან ბედავა.

— თოვლიანი თებიც სვირეენის იაილა არი. რომენაი დაცხება და საქონელი იდარეს ველარ იქმენ, იაილაში წეველენ. სვირეენი ზუელი გურჯიჯა სახელია.

— ჩაირი ზეიდამ, ჭალის ზეიდამ ტყეში გამეიარდა წყლის პარლი ზუელი. წყალი ასე, ამ თერეფ მოყადვენ. გზას ვთხრიდით და ზუელი თიკის ბორები ამოვეყარეთ. თელი აპყეება ასე, ავა წყაროსთან, აგზედამ გეიარს. იმას ბოჯანოთი ჭალები შქეია, იმას ზემოთ ველას ტყეა, აპყეება ეიარს, ბზათურ იაილაში ავა. აგერ აგზე, გაღმა სერზე, დანგრეველი რომა არი, ჩანს, იქა ქილისე ყოფილა, ამ ყალეს ქილისე, მორები ზეიდამ, იგზე. იგზენა გევაროთ ჩუენაც. ახლა რამე აღარ არი.

— ესა თამარას გაკეთებული ყალე!... ესა მოფიჩო კიდა. გურჯიჯა ასე ქეია, მოფიჩო, დიობანში გაღის.

— იმ ლელებში აყოლებანი, რაც რომ მორებია, ისენი ზამთარში, ოთხ მეტრო თოვლზე ტყიდამ ჩამოყარეს, ჩამეიტანეს... ჩაირი, ჭალები ბევრია აქა. იაილაში ასლაგდინ ჭალა არი... აქევრი გელური ტყე...რომელცხა ხანეში მიხვიდე, ცხრა-ათი თანე ძროხა პყავს ახორში, წუელიან, სჭამენ... პყიდიან ნანუელსა...

— ეს შომა, ეს გზა ფაფართ ავა, ტყეებში ნავა იქით-აქეთ.

— ეს აღავი ქილისე ყოფილა, დანგრეველა იშტა, ხარაბა არი.

— მოთავდა ხებერი, ბითტი! ლმერთმა კარგობა მოქცეს, შვიდობით გატაროს! ვიდუო კასეტაზე ჩანანერიდან. საუბრობდა მეღლუდ ლაღანიძე (აიღინი).

ივეთი

— ივეთიც მარჩინოთ დღესა...

— ივეთის ადგილების სახელები: სახეული, საბუქე ჭლა, წყაროები, გაჭრილი კლდე, ციკატისერი, გარზეყანები, სამწყავი, კირკატი სერი, ნამოსახედავი, ყიშლი ღელე, სახაინე, საყდარი სერი, ნაბერნი, ატიანი, ზუელი დათალი, ნამუარი (გოგაზეების ზედან სერი), გოგიაილა, კოხი იაილა, ახალგზის სერი, პანტისერი, შეჭრილი, კორხოლი, სუანეთი, სალავარდიეთი, ოხოროთი, ჭლაიპირი, სამყურვანი, ყოლვანი, ჩიტვიზირაი, ნაყანვარი, კოეთი, ფეორა, ფერია კლდითავე, ნარლუვეი, დამპალ წყარო, ნარლუვეი ღელე, ფაფართი (ტყეში შიგან ერთი დუზია), კოვეთი (კოვეთ არი სამი ქუა, ერთმანეთზე შეწყობილი. ამბობენ, ერთმა გოგომ დადგაო. ამ ადგილსა ქვაშენწყობილი ქვია. იგზე ახლოს ლომის მეზერია. ლომი მოუკლავან ჩუენ ზუელესა და ჩოუდვიან მინაში. მაშენი ყოფილა ლომი, ახლა აღარ გიმოგონია სადმე. ერთი კაცი ყოფილა, მირი. ამ მირსა მოუკლავს ის ლომი. მირიც მომკდარა, ლომსა დოუიარალებია. მეზერი შუაზე გოუჭრიან. ცალ თერეფზე ლომი წეეს, ცალ თერეფზე — მირი. მირის მეზრის სიგზე ცხრა არშინია. ესა ქოქლიეთ თავშია, სვირეენის იაილის გაღმაზეა. მირის საფლავს უზახიან), თეფურა კლდი თავი, ჩანჩხერი, იქითაი ჩანჩხერი, ნახუარი, ჭურიპირაი (აქედამ ბათუმი ჩანს), მერეთა, ლოდი ვაკე, კარნაალი, ქურთი ტყე, ყარა ქედი ჭლა, სახუენელი, სოლაი, ნიქარული, ქევერილის იაილა, უბური იაილა, გენაჯერი, ნადირეთი, ფოლნარი, სამერცხლე, ფიქლისერი, გაღმა ახო, ჩარდალი, ნაცხუარაი, სამარკილო...

— აქევრი გუარები იფკრევის განაყები არიან ექსერი. ზამანუნდა იფკრეველში ყოფილა ივეთი; მისი მაჰალე გაზდილა და აფრი ქრე გამხდარა. იფკრევილდამ ასულა სამი კუამლი და აქედამ გაშენებულან. ახლა სამოზდაათი კუამლია. ეს გუარები ამ სოფა: ზურაბიზე, დაბელიენთი, ზობიენთი, ჩახუენები, ცხიკატეინთი, მეთაფლიენთი, ყარააჰმედოლოები, კუტუსიენთი, კონები, ჩახუენოლოები, თოფუზოლოები, დელიჯა...

— წყაროები: ჯამიკარის წყარო, ჯანდარას წყარო, წყაროთუალი, სუანეთი წყარო...

— გამოჭირებული გურჯიჯა ვიცით ივეთ და ბზათას... ივეთ ყარააჰმედოლი სულემნაი იყო კაი კაცი, ჭკუას იმას კითხევდენ...

— სად არი, იგზედამ?... თავითნა ასნიოს?

— შუფელი გახდა, გამუფელდა, ასეც ვიტყვით, გასაღლდა...

— თამამი ხარ!

— ეს საქმე ერთდრამი არ გაეაბუინოთ, წეედთ დღეს, მაადემქი ასე თქუა იმან.

— კაცზე ზედამ შემხტარა დათვი...

— კაი უუსხამს ისენი იგზედამ...

— ზირ-ბუდინან ყარა საქმეზე ვართ გამოკიდებული...

— შერ არ მოხუელ, თუთია გახდი, ქიბარი გახდი, გაქიბრდი...

— იქაც არ შიგვარგო! ერთი ლუქმა წეეს-უა პურზე... სუჩი თავისია... ბოლოკივით არი... მაიხომი რა თქმა არი და არც ჯავა, არც ტბილი...

— ჩუენ კაბას ვეტყვით „ბუზმას“. ბუზმა კოკლეველებმა, წეთილეთლებმა იციან... გაჰხათ ბლანას ფანთოლი!...

— შევეყარენით ართვისნა, გახსოვს?

საუბრობდნენ ივეთის მცხოვრებლები სულემან ზურაბიძე, მუსტაფ დაბელიძე, მეკლუდ კონიძე.

დიობანი

— მე ართვინიდამ ვარ, დიობნი სოფლიდამ. ინეგოლის ყასაბის სოფელ ბახჩაყაღას ვარ ხოჯათ, ჩემი ზმაძ ხოჯა არი არჰავეს დიდ ჯამეში...

— ჩუენ სოფლებში გურჯიჯას ლაპარაკობენ. ზუელიტური სოფლების სახელები არი, ფაშლებსა ახსოვან. ახლა პუქუმათმა გადაარქუა ახალი სახელები.

— დიობანი ახლა ნაპტეა; ზუელათ ნაპტე წყალსიმერ იყო. ჩუენ თერეფსა დაჰა ზუელათ იმერკეე ეტყვიან.

— მე ბითუთუმ მექთებებში ვიყავ, კითხვაში დავინყებული მაქ, მავინყებდა დანი გურჯიჯა, ჩემ ანა-ბაბომ დაჰა კარგა იციან.

— რაბათი არი ჩუენში ზუელი ადგილი.

— აკვანი გვექონდა თორნაზე მოხუენილი. ახლა სახლის თავანში აქნევილი არი, ჰალა არი იქა აკვანი. ანაი მოკდა ორი წელიწადი.

— ანავ, ეს აკვანი დავნუთ-მეთქი...

— ოლულ, ეს აკვანი ჩემ წენეს იადიგარი არი, ვერ დაგანუევიებო.

— სად იშუა-მეთქი.

— სავაში ქნია, რუსი და თურქი შეფუნჩხვილან. წენესანი წესულან რუსეეში, გურჯისტანში. სავანის გასლამდი იქ დარჩენილან. ჩუენებიც იქ მისულან, წამოლდინ იქდამ ეს აკვანი... ეს აკვანი წენეს ურუქებია ჩემ ანათვინ. ეს აკვანი ახლა ჰათირა, იადიგარი იმითვინ არიო.

— ჰუდუდებზე ჩუენი ცხუარი გედერევიან, გადმოვლენ თქუენსა, ამა გადმეყუანებენ უკან. შარშან გადასულიყვენ ცხუარი, ჰემენ თურქიეში ხებერი მიცეს. ჩუენმაც მეთხუა და გადმეყუანეს...

— ჩუენებურში მუსლიმანი ვართ. თქუენ გურჯისტანში რუსია, ჩუენა ეს არ მოგვწონან.

— დიობანის სახელები ბევრი არ მახსოვან, დამვიწყდა, ბევრი ხანია იქიდამ წამოსული ვარ. ზოგი მომგონდა და გაგაგნებო: ობინეთი, ნიქრიეთი, ყუმაშეთი, ციალითი, ქოქლიეთი, სანებათი, ეახათი, ჭედრაულაი, მორჩენალათი, სამარილო, მელისსაკუნტარაი, დიდახო, მირისსაფლაი, გენჯავრი...

— ერთიც ამასა გეტყვი, ვინცხაი დღისწავლის, მაღლი იქნება. იმერკეეში ასე იყებთან: მოტეხილ ადგილ რომე გაანორებენ, ბუმზე გააცხოენ ნაზვის ფისსა, ცეცხლზე მიაციცებენ, მემრე შამახვევენ, მუუჭირეფს კლავსა, მუუჭირეფს იმგუარ ქი, გააკეთებს მოტეხილ კლავსა. რომ მორჩება, როდისღა გამთელდება, თავითალაი ადგება კლავიდამ. ჩუენ სოფლებში სულ ფისიდამ გააკეთებენ დახსა. კუერცხისაც იციან. ჩიბანსაც მეიყუანს ფისი, გამოხეთქავს ქორი ჩიბანსაც. დუდკა ჩიბანსავით იქნება, აშუა თითებზე, იმასაც ფის დაადებენ... თავი ხაზე შესწუნენ, შიგანას ერთდრამ გამეილებენ, დაადებენ ჩიბანსა. ისაც გამეილებს. ბლის ფოთელი კაია თავის ტკივილითვინაო, იტყვიან ზუელებური ინსნები.

— შავმეთელი შაჰინ ხოჯა დიდი ხოჯა იყო. ისა ჩორაქლი სოფლიდამ იყო, შავმეთილამ. ხულას იყო ხოჯათ. მისი ლარჭი ახლა ორეთმენია ინეგოლში. იკითხავს ქი, ვინმესა ხომ არ ახსოვან დასლებსა ჩემი დედიო; მაიპიითხე ესა, თუ არ დაგვიწყდება, თუ ზორ არ იქნება.

— აბა კარგათ იყავი, ღმერთმა სალამეთობა მოქცენ გურჯისტანში ყუელასა!

საუბრობდა ომერ სეჩქინი (ლომანიშვილი).

აგარა

ადგილის სახელები: ქერეულა, უკანეთი, კაკაბავრი, კაკაბავრი ლელე, სათქარა, ქეეები, ბოდღვერა კეეები, თეთროზეთი, მუსაყანა, დოლაკალო კეეი, კონარუხი, ყორითავი, ნაცარაი, არყინალი, ყიშლები, თა თელვანი, ქვიტავრი, მუტრუკი კლდე, კლდეშუათის წყალი, ჰასილური, აბაშიეთი, შოლიეთი ყანა, მოსიეთ ყანები, ინჯილები, ქეზინთლები, ბუქრინთლები, ქომიენთი, მოსიეთლები, მარგაბები, ბადიშოლები, მელმიენთლები, ნამხოყინთი, დენჩრინთი, აგარის იაილა, გადაჭრილი, ველაი, ნაცარათი, სარჩევი,

კუდმოზუერაი, სანოლიფერდი, თიქილი ტამი (დასობილი, დატოტოლოტული ქვა), ჭანჭახი, სარიჩაირ, ქურთი საფლავი, წითლობი, ქალი წყარო, სანწლიფერდე, ივედვლაი, სათიკები, მესხეერაი, კაროპილაი, საზამთრო, ბრინჯვალაი, შაშუიდე, საინე ლელე, ხერცუათ ლელე...

აქ ცხოვრობენ: შოლლაზე — სამი კუამლი, ინჯილოლღები — სამი კუამლი, ბადიშინთი — ხუთი კუამლი, მარგაზები — ოთხი კუამლი, მოსიეთი — ოთხი კუამლი, სათიკები — სამი კუამლი, საფიენთი — ორი კუამლი, მელმიენთი — ერთი კუამლი, ქეზიენთი — სამი კუამლი, ქომუენთი — ორი კუამლი, ვარდიეთი — ორი კუამლი, იენჩარები — სამი კუამლი.

— ციხიზირ ჩემი ტაიები არიან. თუნთულ ნენეი იყო, აჭარელ ნენეს უზახდენ... ბადიშინთ ოსმან ემოს მოსაფირი იყო იმ დრუებში...

იმიდამ გოუგნიან... რიდამო და იმიდამო...

— ვინ ყურ უგდოს აქაც?
— გათუჯებული იყო მერჯან ემოი იაილაში... ჩამეგისტრა ლევანამ... შალა ეფე არი, არ მოკედება!

— ხუალ ჯუმა არი, შეშას არ დოუდგამთო.
— ერთი ლუკმა პური ეიტხესე!...
— ჩასლიხან დეველარჭენით არაბაში... სირთ წასულან..
— მილეტი მეიყარნენ. მეიყარნენ მანატბა, ოროლია...
— აპანდა დეგენიენენ, აპანდა დეგენიენენ, არ იქანა!...
— ამებლამ აქ ვიქნებით... მაკრეფა არ მამასტრა...
— ერთ დეყე ვერ დავუდები-მეთქი, არ გითხარ?
— არდანუჯსა ქი გაათხვიეს, ბაბელიზე ბაითარი უკან დაბრუნდა... ვერ შეეჩვიენითო...

— თელახარმის გარდა თივა ვერ მიგვერთმიევიბა საქონლითინ...
— კუერცხის მესელე იობტურ! ერთი ბერნი ქათამი ქყუავს...
— ყოჩალა მალე მომკდარა, ღოხსა ამეიყუანდა ბაკალას უკან...
— სირსულაი ხელზე, პირზე, ტანზეც გამოჩინდება ხანდესან. სირსულაი რომ ამოიღოდა, ულოცევენ...

— პურზე დასხდენ?... იმას ეკითხვის?... თუალი მიზენის, თუალი... მუალ მახანთი! მომზავდენ იგზე ქალები...

— ამას იქითაი ჩუენი მეყვია... ეს საინე ლელეა. ხერცუათ ლელეა დურსუნ ემოს ჭალამდი. მემრე კაკაბავრი ლელეა; მანატბური გზა აგზედამ შეიარს... გაღმა ტაფებია, ვინცხას ქორიც შოუდგამს შიგან... ამ კლდეზე სამი მოპორია, დანერილია რაცხიებითო, ამბობენ. იმი ბარობაი ოქრო გონებიან აქა და ეზებენ. მარა კირი გამოჩინდა ბევრი, ერმენებმა რომე გადათხარეს, ოქრო-არა.

— ქლიავსა არყევს?... ის თუ დედამთილი არნა გაკდეს, დვენახავთ ამასაც... ამა გონია, გემეტცნენ უნდაო... კალვობა დოუნყვიან... კარები ჩამუასხი?... რახანნა დეინყო კალვობა?

— ღმერთი ქი მოქცემს, ჩაქველთას თაზეც მოქცემსო, — უთქუამს ზუელსა. ამის მესელეს გეტყვი:

— ერთი კაცი წასულა მოსაგებათ. იარა, იარა, ვერაფერი მეიგო, ევდა სოფლის (ჩაქველთა — სოფლის სახელია) თავში, დეზინა. სიზმარი ნახა. ეს კაცი ჩაქველთადამ იყო. სიზმრიდაგორა გათხარა მიწა, ოქრო ნახა, გაზენგინდა და მაშინ თქუა: — ღმერთი ქი მოქცემს, ჩაქველთის თაზეც მოქცემსო. ამის უკან დარჩა ეს ნათქუამი.

— ბიბოი მაადულეებდა თუთი ბექმეზ...

— ჩუნენზე ახლო კოკლევია. ჩუნენ აგარდამ ვართ. დაჩიეთი აქედამ ახლო არი. ოლადავრის მირტყმა კრიჭა კლდეა. ჩუენი ზუელები იარებოდნენ აჭარას, ბათუმ. ზრუგით გადმეიტანდა ულფან დედეი ბათუმიდან ყაზღაღ, მარილ.

— გოგოზე თუალი დიერჩინა მეგრემ.

— იოსხა ქალებში დაამლერე, გიმისარდება...

— ქალამანი ვიცით, საღლამ ნინდაზე დევაკერფეთ, გამარჯვდება... ცხუარი ქყუავს. ჰემშილი ცხუარი გზელ კუდინია, გზელ მატყლიანია. იელიც არი ცხუარი. ელეებსა თეფურსავით გვლათ კუდები აქუან.

— მაჭიხელ რაგუარ ლაპარაკობენ? — ჩუნენსას არ ადევს ამათი ლაპარაკი. „ნორე“ იციან ბახსან. „ნორე ნაშულ, ნორე გამეყარეო“, — იტყვიან. ჩუნენ ვიტყვით „გარცხი“, „სარცხი“. იმათ ასე არ იციან. ჩუნენა სიტყუა „მუცელი“, არ ვიცით, „ფუშსა“ ვეტყვით „მუცელსა“. ვიტყვით: — ვაი, ანაჯან, რა მჩხურეს, ფუში მტკივა.

— მულთან დემატიყენეს... იმდენი იციანეს ქი!...

— მანლსა „ტადოს“, ეტყვიან აქა, შილას სახელს ვეტყვით, და „დოდოს“, „ბაჯისაც“ ვეტყვით. „ბაჯის“ ვეტყვით დიდ დას. „აბლა“ ტაიას ქალია. „ემოს“ ვეტყვით ბაბოს, და ანას ზმას...

— ექსოვთ ქალებით, ამას თუალის გამოლება ქვია. ჭალი იქნება და ხომორი!! სხვილი, ედა ნმინდა, ნურილი.

— „ბაქალა“ გოგოა, ბიჭსა „ლარჭს“ ვეტყვით. ქალი ზიმეთ არიო, ფუშიანიო, ამბობენ. თავზე ვიხურავთ დაზმას. დოლბენდი თხელია, ეაზმა ჭრელია, შავიც არი. თავზე სახურავს ზივ, ჯიმფულ შამუართ... ამ დაზმას აქ ხაჩები... ფენა ბევრი ზივიანი ლაჩაქი დუუკეთეს და ნეილო სერაპიონმა, ახრაბებმა დუუკეთეს.

— ნყლი ნისქელიღი დაფქული გერმელი ჭადი იყო სიმინდი ფქვილისა. იმათ ჯერინი ნისქელი აქუან სახლში...

— ტომრულებ რემ ჩადგენ, ბიჩხი ქვია იმასა... ხერხით გაგხეთ ხეს...

— ნინდას ქუსლინა გამუაქსუო. ზედენა გუდუუკეთავ. ნინდი ჭრელები ვიცით: ყეფესი ჭრელი, გადაგრეხილი, დამნნილი, ჩიტითუალაი. ახლა ქუსლინა გადავევით... ეს მატყლის ზაფია, შალის ზაფი.

— მინა გამოქმარი იქნება ახლა... ჩიჩეგები გამოიდა. ფენა სიცივიები დეინყო... ზვირი იყო ნრეველი კაკანი. ჩუნენსა თეთრია, კობანი...

— ქალამან ადარ იცმენ. ზროხა ქი გადავარდნილიყო კლდიდამ, იმა თავზე დავადგებდით, ტყავ გავაზრობდით, ზოლებ მოეჭრიდით. ახლა საღლან არი ქალამანი! აიხყაბი, ლასტიკი — ამას იცმენ ფეკზე... მე ლასტიკები მაცვია ფეკზე. ზამთარში ჩეიცმენ მატყლის ნინდას. სუფთა ნინდა აცვიან აიხყაბში... დუქენები არი იქაც... რავარცხა დუქანი არი აგზე... კოკლეე ისეე არი...

— უნინ ჭად დუუშეგბდით, ლახნი შორვას ვსჭამდით... საღლას ტომატესიღამ გააკეთებენ. მოდულებული ტომატია საღლას. ვაშლიდამ ყორავას მუადულეებთ. საღლამ ვაშლ ჩაპყრი ქვაბში, მიხხარშვის, ჯუალში გადანურავ, თემში ჩაასხამ და მუადულეებ, გაათხელებ და სჭამ. ჭარხალი ფოთელით ჯავეს ჩავდებთ.

— ნუ აქცევთ ზირ-კუჩხეში, ნუ გააოკრებთ, ზროხას მივართუამით...

— რომელზე ზიხარ შენ?... ეივახბენივახ, რა ცოდვა არი!... ამისი ანასი სახლი ქი არი, იქ ვარ.

— ქეშკა იქნებოდეს და მეტანდე... დემი გაზვირდა, ცარიელა ბზეს არ სჭამს. ერთი ჯუალი ფქვილი ევლე... თითო ბადიას ვუყრი...

— რა გუარ სუნეოფ?... ერთი კაცი ბრუნევედა იგზე, ბუზგებზე ცეცხლი აზლია...

- შენ ახლა სად ხარ? ასკრობას იჯები?
 - ტყუბების თეჟიდამ გენილი ქყავს?... ამათთან ვსხედვართ... ორ-ორი დიმირჩა დიდრუანები... ბლვი არ ჰყოლია. ორ წელნად კაცთან იყო, ერთ წელნად ისე იყო... ენ უნინდელი ციცაი იყო, მომიკვდნენ...
 - ამ წინდას ტუჩები დაცვეთილი აქ, გამუაქსუონა ახალი. თორმეტი თუალი მაიცნა იყოს რა? ვიტყვით ნამატი, ნაკლები თუალიაო...
 - ფიცრის სახლი, თახთის სახლი იყო. ბევრნი აკეთებენ თულადამ. ტანტრაბები აქ სახლ. ზათი ბუხრები ქონდა... ახლა სობა აქუნა... ზოგიერთ ბუხრები ახლაც აქუნა. სოფლებშიც დუუკეთებთან ჰავლი, სალონები, დოლაბები, შეშის სანდალიები, სეკვები. ზენგინებ იქაც უულიან ყოლთულები. შეში კოვზებიც არი, ციცხუებიც. ზუელები კინი კოვზებით არ სჭამენ.
 - თიკი ქოთან იცი? თიკიდამ გაკეთებული? ჯავეს იქში ჩავდევთ...
 - ემიჯაი ცოცხალი ქყავს?... ჩემთალაი გულში გიმიარა... რით დაკეთებული იყო, არ ვიცი, კელით დაკეთებული?
 - გენჯები რიზეს ჩაი ფავრიკაში არიან ნასული. დამლები არიან სოფელში...
 - დმერთ გოუჩენია სიკედილი, რაი უნდა ქნა?... წინა ზალთან მოვდა დემურალადედი... დიდრუანები გადმოსულან. დემურალადედი გადმოსულა კოქლევი, მოსაფირი გამხდარა. ჩუენსა მოილოდა... ნევედა-მოვდა, ართუხ დარჩა... მასუკან შეიტყვეს გედევდაო, დასახლდაო... უდინგლებდა ლამარაკასა...
 - ბაკლები გუალპირიანი არიან. ალაისე, იმი ბაბას რა ქვია?
 - აიღნი ის არის, სიდამ ყავს ქალი?... იმა მეზი დვეცეს თავზე!... რათ ვაქნე იმის საქმეს, რამაზნიანი ვარ...
 - თუალით ქი არ დიმიანახავს? ნაველ იქ, მევარე... ზიმეთ დარჩა რუა წლის მემრე...
 - თუთა ქირეზაში მუა, დავარკვეთი|დავარყვეთ. თუთას გავაკმობთ. იმა თუთყური ქვია. შევენახეთ. თუთა რომე მიელიევა, კვირაში ერთხელ დავარყვეთ. იმითანა ინსანი იქნება სამ-ოთხ კოდ მოკრეფს... თუთასა მოკრეფ, დამყრი, გაკმება. ბექმეზსაც მუადულებთ, ტყელაჰს გავაკეთებთ. თუთი ნუენს გოუკრავთ ფქვილსა, ბეზზე გავასხამთ, გაკმება. კაკალ დავამტრევეთ, ზაფზე ავაცუამთ, თუთი ფაფაში ამუავლებთ, ქუმას გავაკმობთ.
 - საქონლის თეზას (ნეხეს) დააქელიებენ, ყალიბებათ დაჭრიან, გააკმობენ, შემასავეთ ნუავენ. შემსა ცოტას დაჰნუენ. ასე იფო არდაჰანისკენ იციან, ყარსისკენ, სადაც შემსა ნაკლებია.
 - ჩუენიდამ ბევრი აღმანიეში ნევედენ, იმუშავეს, დაზენგილდენ, დააკეთეს ყათები ყოლაღ... ერჯანი აღმანიეს არი?... ბახსან იქ არი...
 - მეზურში მეეთას თახთას მიეანყობთ...
 - ყარმიბერი ისამებდენ შუანთობაზე... მემინდა და დვეზურე თავზე ესა... შავი არ დეიზუროო, თავზე არ მიეკადლო, ჰირ არ მიემალოვო, მებნევა... ათხ ვიზურავთ... არ ვიყიდავ დააა!... ესენი ბითევათ ერთმანებ გავან.
- საუბარში მონაწილეობდნენ აგარლები აიშე მოსიძე, სელმინაზ ვარდიძე, ჰავა მარგაძე.

უბე

— უბეში ახლა იქნება სამოზდაათი კუამლი; ზაფხულში მოდიან ქალაქებიდამ და ავისილია სოფელი. ტახტის სახლებია სულ. სახლებსა ადრე ყავარი ეხურა, ახლა საჯი ხურია. თეებში კიდო ყავარი ხურია. მერეგსა ყავარი ხურია ახლაც. ჩუენ ოჯალიდამ

ზამთრობით ზოგჯერ მოხუცები დარჩებიან... მარტივი კიდო დარჩნენ, დარჩნენ, მოხუცები დარჩებიან... შორიანლო ბიზაშვილები არიან და ისენი მიხედვენ, შეხედვენ, დეეშველე-ბიან.

— იმერკევის სოფლების სახელები ბევრისა ვიცი: უბე, დევიეთი, დაბა, კეწვრული, ბაზგირეთი, გამეშეთი, ზიოსი, ფარნუხი, სურეჟანი, წყალთბილა, ოთკლდე, იფკრევილი, ივეთი, წყალსიმერა, დიობანი, ქოქლიეთი, ახალდაბა, რაბათი (აქა შავშეთის წყალი ერთვის ფაფართა, თის ნისქვილების წყალი).

— ჩუენა ორნი ვართ უბედამ. სოფელ უბეს მამალები, უბნები ეს არი: გორგვიეთი, იბიშინეთი, მილმიენთი, კულუღინთი, შუამეშველე, კორტობინთი, კოვიეთი, ჭივიეთი...

— სოფელში ადგილების სახელებია: კაპანათი, მორჩენათი (საზოვარია), გომები, დიდნისქვილები (ნისქვილები არი, დიდი ქვეები აქ. ერთ საათზე დაფქუავს ერთ კოდ სიმინდსა პატარა. ეს ნახევარ საათზე დაფქუავს), ჭანჭახათი. ახლა ზემოთვე ავიდეთ: ზედუბე (ლამაზი, დუზი ივრია), მურემყანა, სასკია, სათავე, ჭომათი, თელანყარო, საბუზანელე (საზოვარი ადგილია პატარა), ხანსტა (ჭალები არი. ეკლესია ყოფილა. აქ რაცხა რაფო ყოფილაო ჰალადვენ ეტყეება, ქვეები არი, ეტყეება რომ იყო, რალაცის მშენებლობა რომ არი. ახლა არაფერი არ ჩანს), წყაროთი, ორომავლი (იონჯა თესია), ენდროყანა, გალმიეკარი (ბიზასა ყანები აქე მათსა), პეტრიელი, ნაშვრალეები, ნაქოხრავი, ახო, კორკთი, აზრათი, ციალი, ფუჭათი, საბგეიჯუალი, სანერგვიეთი, კარნინა, ელეთუკუანი, ნრიუკანი, კორკლი, ლამაზსურები, ჭოჭე, ბუნრუკანი, ლამაზსურები, რუსყანა, კეთი, შავწყალათი, ნაფლათი, სამზიარი, დამამაყანა... წყაროებიც არი — ქალიძუძეთი, ორომავლის წყარო...

— უბე-ფარნუხის თეები ზალიან ლამაზია. ზალიან კაი იაილა გუაქ. კარჩხალის ერთი თერგვია — კოთელა. კოთელას ნუერზე რომ ახუალ, ბათუმი, შავი ზღუა ჩანს. მთისკენ წასვლისხან გზაშია ადგილი — სანეგვიათი. კიდვენ არი: ჭალათი, გადაჭრილი, ეკოკლა, კარეთი, დიდველი, კრავისაფართი, სამღერელი, ველიბოლო (მდიდარი ადგილები ეს არი), ოქურჩი წყარო (ვინც აძუებს კარებსა, იმასა ოქურჩი ჰქვია), მუსადედეს წყარო, კარისაკლავი (აქა აგუსტოს შუამი ქარი იცის იმგუარი, რომე გაგაფრენს), ვინგომლი-სწყარო, შუიდეველა (მეგაც ლამაზი ადგილია, მაქაც მშენებლობის დანარჩენები არი, ისე გავსა, ქვეები აწყვირა რაცხა), ვირისაფლავი (მირი საფლავი უნდა იყუეს. მირი ყოფილა კაცის სახელი, მალალი კაცი ყოფილა, გზელი საფლავია. მოუკლავს ლომი. ლომის ერთაი ჩოუფლავან. ამილები მღერობდენ იმის ჰიქაებსა. დედემ იცოდა მირის დესტანი), ვირიგაჯარილა (მინრო გზა ყოფილა ზალიან, ახლა კარის არაბა დადის), გზაგაყარილა, უღელტეხილი, უღელტეხილის წყარო, სარტყლა, გადაჭრილი... კიდვენ იქნება, აღარ მომგონდა... გეყოლოს უნდა იქვერი ვინმე, იარო და კრიფო უნდა ეს სიტყუები.

— ზოგ მამალეში ცოტანი დარჩნენ, იქვერობა აღარ დარჩნენ. იაშლი ბებრები იკოცვიან, მიდიან. ამ ნელნადში ბევრი დავკარგეთ. ჩუენი დიდი დედეი რომე გენახა, ზალიან კაი მოედოდა, ბეკრ რამეებს გეტყოდა. მე რომ მოვესნარი, ახალი კბილები ამოსული ჰქონდა, ასხუთი წლისა იყო. საფლავში წილო ბევრი კაი ამბავი.

— მარკილი, ცალმარკილაი ვიცით, გავაკეთათ...

— ღარჭებმა ენა არ მიემალონო, ზაფხულ-ზაფხულ სოფლებში გამოგზავნიან ქალაქებიდამა, აქ ისნავლიან გურჯიჯასა, გურჯულ სასამურ ყაიდებსა, სიმღერებსა. ჩემი დედეი იტყოდა და მახსოვს:

**გალმა ფერღში თიკნები, მე გამოღმით ვიქნები,
შენ თუ მე მომატყვილეყ, გომღერეუფ ღა ვიქნები.**

— ართვინული სასამო ყეიდებია: ათაბარი, ხორომი, დელიხორომი, დუზხორომი, თოთხმეტიანი, სარი ჩიჩეგი (ყვითელი ყუაილი), აიოსმანი, ქალების ხორომი, ჩიეთანდარმა, დიობნური ყაიდე, გზისყაიდე (აქვერი და იქვერი ემერია), სარი სეღლან, ვაზრია ხორომი, ორთა ბათუმი, ჯომქუნ ჩორუხ (ჩქარი ქოროხი), კობაკი, თემი, თაუუხბარი, ემეილბურსა, კონიალი, ჯეზაერი, დოდოფლის ყაიდე, მიჯლეხილაი (ზიოსი სოფლის ყაიდეა), ათომი, უზუნდერე (გრზელი კეეი)...

— აქორდღონჯი, დუკარი ერთი ხორომი! — დუზახებენ ახალმოზდე ღარჭები და გაეარდება სამა-სიმღერა. კაი აქორდღონჯია ზიოსიდამ ნურეთტინ დემირი, დიობნიდამ ოზჯან გუმშიმი.

— ცეკვას არ ვიტყვი; სამა, ვისამოთ, სასამო ყაიდი. ასე ვიცით თქმა: — სასამო ყაიდი დუკარ, მოდი ვისამოთ, — დაიზახებს ერთი...

— უბემი მეივა ბევრია. სხლის სახელებია: თავრეჯულიაი, იმილაი, კუირიშტავაი (მატყლას რომ ართვენ ტარზე და ბოლოში აცმული აქ, იმასაც ქვია კუირიშტავი), ყანთარ არმუთი. არი პანტა, აგუსტოში მოდის.

— ვაშლიც არი: ხანსტო ელმა (დიდრუან არ ისხამს, ზალუან გემრიელია), ნითელი ვაშლი, თეთრი ვაშლი, ტყეში მოდის, დანამყენებული არ არის... ბალიც ბევრია: კარითუალაი... შავი ბალი, თეთრი ბალი, მოზდოა სხუაზე... ჭანჭურიც არი, ქლიაიც (თეთრი, შავი)... მარტივი ბულდა არი, ქერი არი, ფეტვი არი, ყართოფი, მოჩოშთაი (ხაპი); ლობიო ჩემიტ-ჩემიტი (თეთრი, შავი, ნითელი, ჭერის ლობიო)...

— ზაფხულში გეიარონა იქვერობაში და ყუელას დანერი.

საუბრობდნენ პუსეინ დუმან (კულულიენთი) და ჯენგიზ მეიდან (დეერიშოლლი-გორგაძე).

ზიოსი

— ჩუენ სოფელში ადრე სომხები ცხოვრებულან ქართუელებით, სოფლის ახლოს ყოფილან... ბათუმიდამ, თებიდამ გადავლით გადმოდიოდა გზა... ახლა კვენრულიდამ ამოიარს გზა... დაგვიწყდა, ადრე შერთულზე ამოიარდა, ცხენის გზა იყო.

— სოფლის უბნებია: ბექეთი, ბალიეთი, მოლლიენთი, სხანნარი, ბიბოთი, ქომოჯიენთი, სარვანიენთი, მიკელყმენთი...

— ზუელი გუარებია: ბექიენთი (ბექაზები) და ბალიენთი (ბალაზები). შერჩომილი ეს არი. დედჩემი იტყოდა, ჩუენა პაპილებ გვეტყოდნენო. ახლა გვეუბნებიან ხევიენთი. ხევილა ყოფილა ქალი. აქედამ მოდისო.

— სოფელშიგან რჩებიან გოგოები.

— ადგილის სახელები სოფელშიდამ დავინყოთ. სოფლის გარეშემოს გოხოვრა ჰქვია, ყანაა. ესენია: ვალაღევი, სეკვაჭალა, ჩიდილა, ტბათი, ჭლათი, ტაბიკოვრა, ჭერულა, კუნდრათი, მიქიეთური, უკანეთი, ელიანმინდა (ვაკვა დიდი, ახლო არი ზიარეთი. არი საფლავი ერთი კაცისა. საფლავზედ ზედამ ქვიდამ გაკეთებულა რალაცა. დანერილი არ არი. ზიარეთზე მიდიან, ლოცვილობენ, ნევიან ზედამ, იზინებენ. დეიზინებენ, სიზმარსა ნახავენ. იქა ერთი ხე დგას. ვინც მივა, რაც აცვია ტანზე, იმასა მუაფერენს და იმ ხეზე ააკოჭებს), აოკოლა (ეს სერობა ადგილია, მინის ქუემ არი ზუელი შენობა, ქვით გაკეთებული, ახლა ჩანოლილია, ჩანგრეულია), ყორვანთი, ნაქურთევი (ესაა სოფელზე ახლოა, ყიშლაა. ერთ საათზე ახუალ იქა), მახვილათი, სენათი, ტყიათი, ტუზური, ბერეველა, კოდიქეთი, საკეცე (თიკასავეთ მინა იცის), ახო, ჯირენალა, დიდდარე, გზელა, ვალაღევი, დაჭრილები,...

— ჩუენ სოფელსა სამ ადგილას გუაქ იაილა — ნაქურთევი, ნაფურნევი, საქორია. ამ იაილებსაც აქ ადგილები. ნაფურნევის ადგილია არტიანი, კბოყურა, გრიალო,

საბუზარა, კაცსერი, ურისაკლავი. საქორიასაც აქ ადგილები: ჯუარი (ვაკეა დიდი), დიდლოდი, კობიჯუარი, სარტყელა... წყაროებიც არი: ალიბაში წყარო, მუნთონყარო, გაყუფა წყარო, კოთელა...

— მიკელყმინთი რომე არი სოფლის მაპალე, დედაჩემი აქედამ არი...

— თვითონ ვერ გამოგირჩენია, თვითონ დარჩომილხარ...

— ჩუენი ადგილი ცოტა მაღალთ არი, სიცივეა. კარგათ მოვა სიმინდი — თეთრი, ალთუნა სიმინდი. პური, ქერი ჩემიტ-ჩემიტი თესლისა არი. ყართოფი და ლობიოც მოვა. მოროშტას ვეტყვით აყიროსა. მოროშტის გულსა გამეველებთ, გავაკუმობთ, მემერე იყიდვის. ამაზე ზედამ ერთი კრეფს და ყიდის.

— სოფლიერები ქალაქებში გადამოსახლდნენ. ოჯახი დაცოტავდა სოფელში; ახლა ცოტა ალაგებს თესვენ. ესენი არ ყოფნის ოჯახს, ყიდულობენ საქმელსა.

— ვაში ბევრია ჩუენსა — მაჭხელაი, წონოლაი... სხალიც არი ჩემიტ-ჩემიტი — თავრეჯული, ქოთანაი, სასელაი, ყვითელაი, ბოსტოლანი... ქლიავიც არი — თეთრი ქლიავი, შავი ქლიავი. ბალიც არი — კართუალაი, თეთრი ბალი, შავი ბალი, კაკამბალი.

— მე ორთა ჭევნრულში დავამთავრე. მამაჩემსა ამასზედამ დამთავრებული აქ დაუსწრებლად ფაკულტეტი, ილქ ოქულის ორთმენია, მასწავლებელი.

— ჩუენებური ყადის სახელები ბევრია: ვაკეთი, ჩივთა უანდარმა, მენდობარი, კობაკი, ხრომი, ბარი, კელგამილიაი, ჯიღველო ნანაი და, ქალების ხრომი, შამშალაქო, ვაზრია...

— მარიობაში მივალთ თაზე შუანთობათ. შიგანაი ჭალები მოვბარგოთ და მარიობაში წევიდეთო, იტყვიან აქევრები. ერთი ათი დღე არი მარიობაში. კულა (ზუელათ) მარიობა ზალიან უყუარდენ, ათ დღეს სამობდენ დილისაღამ. კულა ასე იყო, ახლა გადავარდა პამან-პამან ეს ადეთი.

— „კულა“ ვიცით ჩუენა, „ზუელათო“ ასეც ვიტყვით. კულა ჩუენსა კიტრი მოდიოდა კარქა, ახლა აღარ მოდის.

— ეს დანა ჩლონგია, გალესვა უნდა... ამყროლებულია იქევრობა, ფისია...

— დადექ ერთდრამ, არ ხარ დაღალული? „გაჩერდი“ არ ვიტყვით, „დადექ“ ვიცით, „გამიჩერე“ არა, დაყენე არაბა.

— კულანდელი გურჯიჯა ადრი იქნებოდა, აქევრიც ადრია ჩუენსაზე, ყუელასა ვერ ვიგნებთ.

— ღეინოსა, შარაბსა ვსუამ. სმა დასალია მარტივი ხოჯასთვინ...

— ეს ჩოჭა აქ ევეღე.

— ვერ მაარჩინეთ ნერვა? მაარჩინეთ? მეც მაღლობელი დავრჩი...

პაპულაშვილი ჯანო.

წეთილეთი

— თუთი ბექმეზ მუადულებენ... ჩადრებ დავაგებთ, დავარყევთ, ქუაბში ჩავყრით თუთასა, ცეცხლ მიცემ, მოგხარშავთ, გავნურავთ სუზგში. თუთი დავდგამთ ცეცხლზე, საქუაბურზე. დავასაბთ თუთი წვენ და ვადულებთ. იეგინი თუთი ერთ საათზე ბექმეზ აადულებს. ვშტამთ ბექმეზ. ერთი ქილო ბექმეზი სამ დოლარ, ორ დოლარ ნახევარ ფასობს. დევანი დარჩები ზამთარში და შტამ იმასა. იემილი ხახვით კაია იმის ტამა. წამალიც არი. ზიმეს რომე ნიკვენ, რადა ჩამუარდებიან ხიდამ და გაკემდებიან, იმის წამალია. ერთამ მარილ ჩაყარი, ორ-სამ კოვზ მარილ ჩაყარი შიგან, შესტამ, მოგარჩენს. წრეული ბაკლებმა გააკეთეს ბექმეზი...

— წყალსა დუნუაკებთ ყანასა, დილაამდი იქნება მიშეებული, მეირწყება.

— სახლის შენებაზე ვილაპარაკოთ. ენწინ ადგილ მოვთხროთ. ქვას მევეტანთ ტყიდან,

კარის მარვილზე დავდებთ, მეგტანთ. ქვას მოვტებათ კინავეტით, ვარიონით, მურჭით (კეტზე პანაია). მეგტანთ. უსტეებსა ვიპოვთ ორი, დოთ სამი; ყუმ, ჩიმენტოს მეგტანთ, პაზირი იქნება. უსტეებიც პაზირ იქნებან. დილაზე უსტეებით კეთებას დევნებთ. დევნებთ სამშაფათ, და ოთხშაბათ. თემელ ჩავყრით, თემელ გავასწორებთ, თოკ გავსწვთ ყოლა თერეფში. ოთხ ნახევარ მეტროს სიმალეს გავაკეთებთ. ზედამ ქენერებზე ფენჯრი თავებზე, კარი თავებზე ბეთონ დავასხამთ. ხარჩ გავაკეთებთ, თენექით დოთ ნიჩბით დავასხამთ. ზედამ მალაით გავასწორებთ. ორ-სამ დღე გაკმება; წყლით მოვრწყავთ ორჯელ-სამჯელ. გაკმება. ერთ-ორ დღე მოუცდით, მემრე ზედამ თახთის სახლი გაკეთებას დევნებთ.

ენწინ ქირიშები გვინდა შამოვლაი ოთხ თერეფში. ტყეში ნავალთ, ქირიშებსა მოსჭრით, ნაზვიდამ, დოთ სოჭიდამ. კარზე კარით მეგტანთ. უსტეები გვეყოლვის ოთხი თანე. ქირიშებსა ლამაზათ დავრენდავთ რენდვით. კაცებით გამოვსწვთ ქირიშებსა, ქვის გომებზე დავდებთ. ექს თანე ქირიშ მუშუართ. საქმე მუა თახთი კეთებაზე. ფიცარსა და ფარით ვიყიდით პაზირსა, ეახთო ტყეში. პაზირი მოჭრილი გვექნება ხე, იმა კელი ხერხით გავხვთ, ეახთო კელი მოთორით გავხვეთ; იმა კარზე მეგტანთ. ენწინ იმა გავასწორებთ. მემრე კელი რენდით გავრენდავთ. ოზდათექსმეტ თახთის ფიცარსა გავაპაზირებთ. ოთხი თანე უსტა იქნება, ქომებზე დადგება; ფიცარ მეგტანთ, ოდას კეთებას დევნებთ. კეთებაში ხერხსა, ეჩოს, ბურლსა ვიკმარებთ, ოდას კეთებაზე ვიკმარებთ.

კეთებას დევნებთ. ფიცარსა ყელ ამოვხვთ ხერხით ოთხი უსტა. იმა მოვლრამათ ბურლით, ორ ადგილზე ბურლით ჩავბურლავთ. შუმიდამ, ბლიდამ, ეახთო უხრაივდამ შუმი ჩივ გავაკეთავთ იმ ჩაბურლულზე, ეჩოთ დავასობთ. ცხრა თანე თახთასა (ყელი ამოჭრილი, ჩაბურლული) ერთმანეთზე მუარგებთ, ერთ ქომაზე ცხრა თანე ფიცარი წავა. ცხრა თანე ფიცარ ყოლა თერეფზე მუაშენებთ. ერთ ოდას ავათავებთ. მემრე, ამაგარეთ ენწინ რავარცხა მივერე ოდაებსაც აინი ენწინდულა, რავარცხა გავაკეთეთ, მივერე ოდაებსაც აინი გავაკეთებთ. ოთხი ოდა ათავდება, იმათსა კარსა, ფენჯერა ადგილებსა გავაშვებთ.

სირამ ევდა თექრერ ქირიშები შამოვლაზე. ექს თანე ქირიშსა ყოლა ოდი თავზე შამუართ, გადავშქვდავთ... სირამ ევდა თავანზე, დათავნებაზე. თახთა პაზირი იქნება, დარენდილი. ოდეებსა სირით დავთავნავთ... სირამ ევდა ვირკიდაზე. თავისს მუას ვიპოვთ. ორ თანე დირეგ დავაყუდებთ მუა ადგილზე, იმა უკან დანებზე შუიდ-შუიდ თანე ქირიშებ გავაგზულებთ. იმასა და მუხით, დოთ შუმი ჩივით, მუხით ვირკიდაზე დავჭვდავთ. იმა უკან ქირიშებზე ათ ერთ თერევიდამ, ათ მივერე თერევიდამ ჭერებსა ათი სანთუმის, დოთ ოცი სანთუმის მუხით ქირიშებზე დავასობთ. იმა უკან ჭერები თავებსა ერთ მეტროს გადავაუდუმლებთ დანებზე, ნვიმამ არ დაასველოს... იმა უკან სირა მუა და საჯზე, და ყავარზე. საჯის ერთ თერეფში ერთ სირაზე თხუთმეტი თანე სამი მეტრო საჯი, მეორე სირაზე ორნახევარი მეტრო საჯას მუხებით დავასობთ. ეს ერთი თერეფის საქმე! მივერე თერეფის აინი ჭერები დასობილი, თითო მეტრე გადამედარი, ქირიშების ყაფები გასწორებული, პაზირი იქნება. კიდო მივერე თერეფში ქი თხუთმეტი თანე საჯი წადის, თხუთმეტიც ორნახევარი მეტრო საჯი წადის. საჯებსაც აინი მუხებით დავასობთ. სახლი აშენებული იქნება; სახლი გათავდება, ბაღრალ დავპკიდავთ. ეველებთ ათ მეტრო ფარჩას, სახლზე დავპკიდავთ. ათი მეტრო ფარჩაც უსტეების პახი არი. ეს სახლის ყაბათსალაი საქმეა.

სირამ ევდა შიგანა საქმებზე. ენწინ შიგანა დომამებიდან დევნებთ. „ფინი“ დომამა არი. სალონსა დავფინავთ. ეს საქმეები გათავდება, სირა მოვა ტანტრაბებზე. ტანტრაბებსაც დავფინავთ, მივაჭვდებთ თახთაებსა იმი ბარობაი, ბავშვები არ გადავარდენ. ვიტყვით „ბალეები“, „ბავშვები“...

სირამ ვედა ოდაების კარი და ფენჯერე გაკეთებაზე, ჩამობმაზე. კარებსაც თახთიდამ გაეკეთებთ, და ხელში გაეკეთებთ, და ათოლიემი. მეუტანთ. სირამ ვედა კარი ჩამობმაზე. კარისთინ ორი თანე მენტეშა მუხი, დაოთ ვიდით (ხრახნით) კარსა მენტეშეს ერთათ ჩამოეკიდავთ... კარი ჩამოკიდვავზე წინ კარისთინ ორ თერეფში ორ თანე სოვას და ქესკით ამოვსჭრით, და მოთორით ამოვსჭრით. იმ ამოჭრილ თერეფ კარის ადგილებზე ავარიგებთ. კარის მოსაზღვრელ ადგილებსა რენდით სამ სანთიმსა ამოვსჭრით, გავერედავთ, კარი ლამაზათ მეზრასო. კარი დასაყრელისთინ ელჯეგი (სახელური) და ანახტარი არგებისთინ კარის შუა ქენერ ვიპოვით, ათ სანთიმ შიგანას ამოვსჭრით, ბურღით ჩავბურღავთ, ქესკით ამოვსჭრით. ამა უკან ანახტარსა ელჯეგთან ერთათ ავარიგებთ. კარი ჩამოკიდული იქნება.

სირა ფენჯერეზე ევდა. ფენჯერესაც სოვებსა გუუკეთებთ, აინი კარისავეფ თითო პირ ამოვსჭრით ათ სანთიმ. აინი კარი სოვისავეფ ადგილებზე ავარიგებთ. ფენჯერესაც ხელში გაეკეთებთ. აინი კარისავეფ მენტეშით ჩამოეკიდავთ. იმასაც ანახტარი ექნება. ფენჯერესთინ, ნავალ, მალაზადამ ჯამა ევლეფ, რამდენცა უნდა, იმდენ ევლებთ, ოლჩიზე დავაჭრენიებთ ელმასით. მეუტანთ, ფენჯერეზე ავარიგებთ, წვრიმალი მუხით დავაჭრენიებთ. იმა უკან ჯამების ეტრაფში მაჯუნ ნოუსვამთ. მაჯუნ ნოუსვამთ, ქი სიცივე არ შევდეს. იმა უკან სახლი აშენებული, ათავებული იქნება. იმა უკან შიგან შევბარგვით. რა დროსა მორჩება, მამინ სევალოთ. სახლი ქი მორჩება, უსტეებისთინ ბიშ გამუაცხოთ. პურ მიართმეფი... ბეღელი სახლშია მომწყდეული.

— გამოღმა წეთილეთის ყაბილე, სულალე ესენია: გოჩინთი (ახალი გვარი — დურსუნ), პაპინთი (ილდინ), ქომიელთი (ილდირიმ), ულჯანიინთი (ილდინ), თემურიინთი (თემურ)... გაღმა წეთილეთი: ზანდრიინთი (მუზენ), უჩიტლები (ერგუნ), ხოჯეინთლები (გუმუშ), დუდუენთი (ონგულ)...

— დათლა ასე ვიცით: ერთი, ორი... ათი, ასი, ასდაერთი, ასდაორი, ასდასამი... ასდათერთმეფი, ასდათორმეფი...

— მეივა ბევრი არი. ბალი იქნება თურვანდა, ადრე ბალი, გუიანაი ბალი, შავბალაი, ვიშნა... თუთა, ტუტა (ესა მოხოშია, ჯავეა, შავი, ნითელი იქნება. ჩამოდის ზირში)... ყურზენი — ადესაი, კნატურაი, ჩიტითუალაი, თეთრი ყურზენი... ბაშხა აღარ მახსოვან... დავდენავთ შავ ყურზენსა, ტევანიდამ დავდენავთ, მუადულებთ ყორავას...

— ტყის ხეებია: ნაზეი, სოჭი, კატარი, კო, შავლეკაი (თეთრი ხეა, ციცხეები გაკეთდება იმიდამ), უხრაგი, იფნი, ცხრემლაი, თხმელაი, იხლამური (ესა პეპელაი, სუბუქი), ცაცხვი (ერთდრამი ზიშეა), უზანი, ღვია... უზანსა დაშჭრიან, წვრილათ, საქონელ მააბმენ, თუალი არ ეცესო დია...

— გამოცანა ვიცო: ხუთი ზმანი ერთ დაფ აშენებენ (წინდა და ჭალები).

— ახლა ახორი ავაშენოთ, ახლა იმისა ვთქუა: ახორისთინაც აინი სახლისავეფ ადგილსა მოვთხრით, ქუემ ლამაზ ქვეებსა დავანყოფთ. ენწინ ტყეში მოჭრილი გუალი შეშაები გაპაზირებული იქნება. კარით ნავალო, მარკილზე დუუტეგამთ, მეუტანთ შინ. იმა უკან გინდა გუალ შეშას დადუფ, თუ არ გინდა, შუაზე ხერხით ჩახეფ, ერთამ გაასწორეფ, ისე იკმარეფ.

ახორი კეთებაშიც კიდო ოთხი კაცინა იყევს. აინი სახლი გაკეთებაში ფიცარსა ქი ყელ ამოვსჭრით, აინი ისე ხერხით ყელ ამოვსჭრით. აინი სახლისავეფ ერთ თერეფში ათი თანე, ყოლა თერეფში ათ-ათი თანე გუალ შეშით, დახთი შუაზე ჩახეფ შეშით ოთხ თერეფსა შამუართ. ეს გათავდება, ზედან კოს ქირიშებსა ოთხ თანე ზედან ოთხ თერეფში შამუართ, შუაზეც კიდე კოს ქირიშებსა დავდებთ, ზედამ დავფინავთ თახთას. იმა უკან ნახეფსა მუაყროთ. თუ არა ღელეებიდამ ხავს მოვკურეფთ, ზედ დავაყროთ, იმაზედაც კმელ მინასა მუაყროთ. იმასა წყლით მოვრწყავთ, ერთმანეთი შეკრას, ქი საღლაში იყოს, ახორი თბილი იყოს.

ახორის შიგანას გავადუბებთ მინასა. ახორის ორ თერეფიდან 'კარის ადგილსა გავამებთ ყარშიბერი. ერთ თერეფიდან შეხვალ, მივერ თერეფიდან ნეხესა გადაყრი სანახვეში. მემრე შიგანა ორ კარის არაში ორ თანე შემსა გამუაგლებთ; ესეც კაი იქნება, რომე გაზლოს. მემრე გალმა-გამოლმა ტყიდან მოჭრილი გუალ შემების, ნაზვისა, თხუთმეტ თანეს ერთ თერეფში ჩავაზლებთ. მემრე მივერე თერეფშიც ადნი თხუთმეტ თანე ნაზვის შემას დავაზლებთ. ეს რომ გათავდება, ორ თერეფში ბაგას ჩავარიგებთ.

— საქმე დაგლევიან და მაგას წერათ...

— ჩუენი ღერი ჰუდუდიდამ შორ არ არი: ხოფა, ბორჩხა, მურლული, ზომოთ ჩუენი გურბინი. თეელი ქართული არიან. ბელედიე ბაშკანებიც ქართული არიან, მურლულში — ნურეთითინ დურმუშოლლუ, ბორჩხაში ბელედიე ბაშკანი თურან შაჰინია. ხოფადამ ოზდათოთშემეტი კილომეტრე იქნება.

— ათხლ ერაღე ჩემი ტაიაია, თემელ ალფონათ — ძმა...

— გოლჯუქ ძმები ყავსა, ალაბეი და პატინა-ზაფერი, ალიფუათი, მერიემაი — გელინი... მე იმას ვერ გავარიგავ კარგათ...

— ნენეი მყავს. ნენესა დედას ვეტყვით, ექსერი ნენეს ამბობენ. დინე|დიდნენეი ვიტყვით. ემიჯასა ბაბოს ძმა ვებნევი. ნენესი ძმა ტაიაია. ხალა ვიცით, ბიბი ვიცით. ბაბოს ბაბოს დიდბაბოი ქვია, ნენეს ბაბოსაც აფი ქვია. ნათესავი არ ვიტყვით, აქრაბა ვიტყვით.

— ბოსტანში გუაქ კიტრი, ხახვი, ქინძი, მაკიდონი, დომათესი, ფათლიჯანი...

— ბურსელა სიმინდი — კანხულაი რომე ინვის, გასკდება...

— მარადიდლები ფათათესა „მინხაპი“ ეტყვიან...

— ბორჩხის სოფლები ბევრია: კატაფხია, საბავრი, ჭინკური, ხება, ზედუბანი, შუაუბანი, კინცხურეთი, ქლასკური, ცოცხოზა, ნადფენავი, ჩხანენარა (დერგები ჩაფლული ვნახეთ, ჩხაველა ყურძენი ყოფილა), ღორითავა...

— სხუა ეერების სახელები გითხრა: ნაზნარი ხეე, ნაფეტუარი, საქორიქედი, ჭამასაკლავი, ეკლესია (ქილისა), ლოჯიეთი, სანუეთია, ყორნალი, დობირო, იოსებეთი, ჩირდილა, ბლვანა, ვაკე, ციცნარა.

— აყიროსა იმერხევეში მოშოშდა ქვია...

— მურლულისა: გეველი, ბუჯური, ოზმალი, დურჩა, ისკები, აგარა, ბაგა, ძანცული, გურბინი, ქურა, ბაშქრე, ქოროსეთი, კაპარჭეთი, ხობერკეთი, ჯვანი, არხვა, ომანა, კარტლა, თხილაზო... ბათუმის შარაბიძეებ სოფელში ახრაბები მყავან, ოსმან და ქაზიმ ზოიძები.

— იმერხევის აგარაში იიღმაზები არიან, მახარაძეები, იმათა ვიცნოფ...

საუბრობდა მურათ ათასერთი, ფიზიკის მასწავლებელი. სოფელ გურბინიდან გადასახლებულია ქალაქ ბურსაში.

ზედუბანი

— დეეცადეთ, დეეცადეთ, მოკრიფეთ ჩაი!... ჩაის მოკრიფავდა თუ?

— რომელი სოფლიდამ ხარ? სინჭარიდამ? რომელ თურფზეა ეგ სოფელი?

— ლუთბიე აბლას დავანახიებ ამ რესმებსა.

— ეს ნისქელია. ამა ხუმირი, მაგასა სარაკუნაი უძახიან... ღელიებში ყუელას მისი ნისქელი აქ, ამა ამაზე შენც მოხუალ და დაეჭუავ.

— სოფელს ზედუბანი ერქმევა, სოფელი ზედუბანია ესა. ახლა მის ბაბოს სახლშინა მივდეთ... ესა ფუტკრისთინ არი ექსერი... სკა შედგენ იქა... სკასა შედგამ, გასულერდება... მიყუარან სკაზე ხიზმეთი...

— მურად აბეს ბაბაი ხარ?

— თამამ! მუსტაფაი ვარ, ათასერთი გუარი!

— ძუელი გუარი არ მახსოვან... ჩუენ ძუელებსა სერთოლი ეტყვიან... დაჰა წინათ რეჯებოლი ყოფილა, დაჰა ესკი სოღადი არ მახსოვან. ჩუენ იქიდამ, კინცხურეთი სოფლიდამ გადმოცუალეთ. გაგონილი მაქ რეჯებოლი დიე! ბათუმში კიდეც ცოცხლობენ რეჯებოლები. ძუელი სახლი ჩემია.

— ენ წინ, კინცხურეთიდამ გადმოცლამდი, ვინ იყო ამ სახლში?

— კოტხოლოლი, მემრე მუფთიშვილისა იყო, მემრე ისენი დაჯდენ. მემრე ჩუენ ვიყიდევით, ჩუენ დაეჯექით სერთოლლები.

— ზაათი ვერ გიცნეფს კაცი?!

— ამას ჩაქატურა ებნევიან.. შიგან ჩაყრილია ქვა, ტალახი. ჩხირებით გაკეთებულია, დაქსელილია... იმ სოღ არაა. ამა დაქსელილი ეტყვიან...

— ესა მანგალია... ამით ჩალა, მოლი ტრინან. ჩუენ თივა არ ვეტყვით.

— ჩუენ იმის ერთათ ბათუმ მივალთ.

— მეც ნომიყუაით, მეც!

— შენაც მეგინდა თუ ნასლა?

— ვაიმე, არ მინდა იქნება? ნენეი ჰიდავრი მყავს მე? ბათუმი დანახვა მეც მემინდა, მენატრებიან ახრახები. ერთ დევნახდე ნენეს თორნუსა!...

— ნინინი გზები არ იყო ჩაკოჭელი. დაჰა ყოლად იყო მაშინ ბათუმ ჩასლა... ეიგერ სირთებზე ასლამდინ ახლაც ჩანს ბათუმ მიმავალი გზა...

— ეგენი ძმის შვილის ლარჭები არიან, ძალიან მიყუარან და არ მცილდებიან.

— აქევრობა არდანუჯამდი გურჯია... აქეთ ხინწანა არი, იერი...

— შენ მაშინ პაშტა ხანისა ხარ?

— სამოზდაჩვიდმეტის ვიქნები.

— გენჯი ხარ ჯეერ, სიმღერას იტყვი?

— აბა, არა?! ვისამაგ, ვიფურქულავ, შამოგტიალდები, პა!... სიმღერას ვიტყვი:

**ყოიხსაა, ამ ბათუმში წვიმა მოდის, ქუთაისში დარიაო,
ახლგაზდას გაკუჭება, ბარიშნების ბრალიაო, ვოსა, ღელაა, ეორერაა.
იხვსა, ბატსა და ქათამსა, კი გაკკარი კიბილი, ერთიც უკან შეეიხვდე,
მომღეკს ბატონიშვილი, თოფიც მაგრათ მოგვიშუსუნა,
ზედაც დავასხი ტვინი, ვოიორერა, ვოი ღელა და ვარაალაა...**

— დამვიწყებოდა, ბევრი ვიცოდი გენჯობაში...

— ბათუმ გადასლა სალად იყო, გეიკოჭა იქავრობა, ინონის დროზე გეიკოჭა... ჩუენა იმ დროსა შეეხდით. ჩუენ ნეველით დობტორთან ბათუმ. ბიბინაშვილი დობტორი იყო, იმასთან მოველით, ნერეთელი დობტორი იყო, იმასთან მიველით. მოველით, მოვტიალდით ოტელში. ოტელჯიმ გვითხრა, რომე ღამე მოვდენ აგენტები, კაცოო, დეეჭირენა თქუენი თაფი. გადაპარებული ვიყავით და იმითინ. თათაროლლი ალიბეგი დეიჭირენ და იქ მოკდა ჩაკაში შიან. აღარ ვამუშუვეს... ჩუენ რა სოღ გადავჩრით იცი?! ოტელჯი შეყიდული იყო, ბაბოი ცნობილობდა. ბაბოი მენავე იყო. აქედან ნეილებდა, ყიდევდა რაცხიებსა. ოტელჯიმ გვითხრა, აქედან გეიქეციითო. მოვდენ აგენტებმა, დეეჭირენა. ოტელჯიმ უთხრა აგენტებ, აქში, ოტელში, ნუ დეიჭირავთ, მემრენ, გარეთ, აქედან რომ გველენ, მემრენ დეიჭირეთო. მემრე გამაპარეს ჩუენ და გადავჩრით ღეზახსა. ოტელჯიმ, კაი კაცი იყო, გვითხრა, მოცოცხეთ აქედამო, დიგიჭირონნაო, აქედან გეიქეციითო. ჩუენაც დასტურ გამევექეციით.

— გაღმა ერთი სოფელი ჩანს. რა ლამაზია, ჭო! კირნათი არაა, კირნათი ზეითაა.

— მე ბერი ვარ აღარ მემენრობა ბათუმის მოვლა, ამა ჩემ თორუნსა მეენრობოდეს, იმასაც რაზი ვიქნები. ლამაზი შეპირი იქნება ახლა ბათუმი!

— ბითვე ბათუმლლებსა ჩემიღამ ბევრი სელამი უთხარ, ღმერთმა კარგობით გამყოფნონ, ღმერთმა ჩუენი ჰუქუშეთები ერთმანეთში კარგა ამყოფნონ, რომ სარფის კარი კიდვენ აღარ გეიკოჭოს. ბელქი გადასლა-გადმოსლა კიდვენ გაყოლავედეს.

საუბრობდენენ მუსტაფა სერთოლლი და ისმაილ ქარა (შავიშვილი).

ხება

— იმასა ეს ქითაბი აქუა?

— ჩემი ლარტები ჯერა პატრიტუანი არიანა, ამა ეფეი მერაყლი, დინავლიან ინშალაჲ გურჯიჯა დაზი და მექთუბები გამოგიგზავნიან... მეყოფიან ჩუენ იმდენი დანავლა, დაჲა კაი იქნება, იმაზე ბევრი ჩუენაც არ მინდარან ზათი.

თქუენა თქუენათალი სახლი, კარი, ჩადრი, ყანა გაქუანან? ჰუქუმათ არ მიაქუან? ჩუენა აქნობამდი დანლიში ვიცოდით, ისე მგონია.

— ჩუენა სოფლიერში საქონელი ბევრი მყავან — თხა, ცხუარი, ხარი, ძროხა. თელიპირში იმა გაცვიდათ და ფარა ვაქნევიათ. იმ ფართა ვიყიდავთ ოჯახისთინ რაცხიებსა, ყაბ-ყაჯალსა, ჩასაცუამსა, დასახურავსა, შერულ დემგებსა, ფასფასსა, პალესა, ოდიებში სექვები მაქუანანია, იმაზე გადასაბურველათა, ძირთ დასაგებლათა.

— ჩუენ პერანგი ვეტყვით, ესენი — ფისტანი... მარადილეებმა იტყვიან აირი სიტყუები. ბორჩხელებმა „აყირო“ ეტყვიან, ჩუენ „ხაბი“ ვეტყვით. ამნებმა „ხობო“ იციან, ჩუენ „ფუჭინა“ ვიცით. ჩემიტ-ჩემიტი გურჯიჯა არი აქეერობებში.

ხოფას დიდი ქილისე ყოფილა. ლაზისტანი თურქებსა რომ უულიან, ნელ-ნელა დანყობილა ქრისტიანის ქირდათ ალება. ლაზებ მუსლიმანობა მუულიან. დიდი ქილისეს ფაფაზი გორგომიძე ყოფილა, ხოჯა გახდილა. ხოფის ჯამეში ჯერ ხოჯობა უჯებნებია, მემრე იმამი გახდილა. მისი თორუნი ახლა იმამოლეები არიანა. ერთი ლექსი მომგონდა და გითხრავ, ლექსები ჩუენაც მიყუარან, ამა დამეინყდა:

**გედვიარე ბოსტანში, სირა-სირა მეიკები,
არ დეივიწყო, ლამაზო, განავალი დღეები.
გაღმა თეთრი ქათამი, გამოღმა მოკაკანავს
ჩემი დარი მომგონდა, ფერზე ამაკანკალავს.**

— იმან აკეთავს ზოოლ სახლები. ჩუენ სამი თუე მეყოფიან და გათავდება სახლის საქმე. მემრე შიგანია იქნება გამოსანყობელი. ზამთრობადმი მუასნრონ ბელქი...

— რიზელებმა ასე იჯებინან... მეც მომგონდა ერთ-ორი თანე ლექსი და გითხრავ:

**სახლის უკან ბიბრები, მოყრილან დედაბრები,
დედაბრებო, თქუენ წადით, გამოგზავნეთ გოგებო.
გაღმა სურში ქათამები გამოღმა უკაკანავს,
შენ რომ მომაგონდები, გულმა ემიკანალავს.
ჭოროზ ნაუოტი მოაქს, ფიცრის ჩამონათალი,
ჩიტო, სელამი მითხარ, გულსო შემონათუალი.
ჭიშკარი გავაკეთე, დირედი ექანება,
ერთი ლამაზ ვეკბინე, კიბილი მექანება.
კაკლის ფურცელი ტანების შუაში.
ლამაზი უყუარან ბალების შუაში.
ერთი, ორი, ლამაზები მოყრილან
არ არის ჩემი ლამაზი იმების შუაში.**

— ბევრი არ მომგონდა. მე დემემოსაფირე და ჩემი ქალ-ბაღვი, ანაი-ბაბოი, მე ვიმღერავთ, ვიფერხულავთ და გასეირავთ. ჯილველო, ვიმღერავთ. ჩუენ ოჯალსა ჯუმბუშობა ძალიან მიყუარან, იმდენი ვიცით, რომ მეყოფიან, თამამია...

— ჩუენ მინდანან ბათუმ ჩამოსლა და როის მუაფერავთ, არ ვიციან.

— ვის უკან დგები, სად ხარა ახლა? სად იძინავ?

— ლოქანთაში მეჭამეს, დაჰა კაი იყო, მე ქაიჯულოფ.
— ამან გურჯიჯა კარგა ჩეიოთხავს ქითაბი, გურჯი ქითაბი.
— ჩუნა ბათუმ რომე გადმუალთ, ერთი ჰაფთაც მეყოფიან, ბევრი ზამანი არ მექნებია.

— ჩუნ ბევრი საქონელი მყავან, ზაფხულ-ზაფხულ იაიალაჯობა ვიჯებით. ჩემი ნენი იაიალაში მივა, აღართი გააკეთავს. წინწინ ფებით იყო სიარული, ახლა არაბებიც იარება, გაყოლავებულია ასლა-ჩამოსლა.

— ახლა ვირქარგი და ყურუსზე არ დიმიხედო, დაქტიონა... შუიდობით იყავ, ღმერთის საესით შუიდობით მიხუალ ოღლუმალში. კაი იყო ვიყონუშეეთი.

საუბრობდნენ იაქუფ აქგული და ერდოლანი აიღინა.

ქართლა

— ესკი სახელი ჩემი სოფლისა არი ქართლა, იენი თუთუნჯილერ ქრეფ... ესა ჩემი მოსაფორია ამეზლამ, კვიტალიძე ზედვაკედამ, ევფრათიდამ, მაჭხილი... ჰუდუდი კარი რომე გეელო, ჩუნეთინაც კაია და თუქუნეთინაც, გადასლა-გადმოსლა დაჰა ყოლა გახდა. ჰამა პატინაიც გონჯა ესა. ამის მაჰანას გაეხსნი ახლა. ჰუდუდი კარი რომე ყუელასთვინ გეიხსნა, ეს არ არი კაი, გონჯა. ახორის კარი რომე გაალო და თლათ საქონელმა გარეთ გამოვდოს ერთათ, იქნება?! იმსოია ჰუდუდის კარის გაღებაც. ყუელასთვინ არნა გაალოს ჰუქუმათმა ჰუდუდის კარი, ყუელაი არნა გამუშუვას...თქუნებურ ოროსპებმა დაიძლნეს თურქიე, თურქები თავ გეეცინებთან და ფენა არ ვკადრულობთ, ქუდი ჩამოგვანეიეს...

— ამანა გურჯიჯა ბევრი არ იცის, ვერ აგნავს ყუელამფერსა, შეგინებას გაარიგავს მარტო... დიდი ტამაზლულია, რატომ არნა იცოდეს გურჯმა მისი ანადილი?! ჩომა არი მაქფერი ინსანი.

— რატონ ასე გაზიარებული ხართ, რატონ არ ჩამოდიხართ?!

— ქართლას იერების სახელებ მეც გეტყვი: კილდიჩი, გოგნარი, სიდაკე... ზეისკე ნახულა, ნაჰყუები — სამგლიეთი, თავკალო, საყვარიეთი. ზომო სოფლიდამ — თირმლები, დოლაბიძეები, ვასაჯე, გუგუცური, ჯუანჯე. ესენი ქართლას მაჰალეებია. არი ქომო სოფელი, ზომო სოფელი, ზეგანი, ბოსლოვანი, ცხადარი, ცხილვანი, გიორგის ნმინდა, ბარი, ნამოხვარი, გორი ყანა, ჭა, ბარდნალი, ბლიძიჩი, ნაფოზარი, კილდიანი, ჭელეთა, სატურე, ვაკე ვენახი, ჭედლაერი, ჭიტავრი, საცერავი, კუარმიკალო, ნასელვარი, თოჯინეთი, ნასაყი, ბოსტნები თავი, მინდორი, ნყარო, ქოცანახეთი, გორი ყანა, ყრუ ყანა, კოძიჩი, ცხლოვანი, სამალაეი, ჭენჭი კალო, ლეეთა, ნანალიევი, საბადური.

— თუელი სოიადები, სულალები არი: დოლაბერიძე, დოლაბიძე, ტურაშვილი, ჯუანჯეშვილი, ვასაძე, გუგუცური...

— პატინა ქალი არ ხარ შენა, გეტყვება ლაპარიკზე, ჩეჰრეზე...ახლა შორები, შორი იერებიდა გითხრა, თუ მომგონდა... სხუა რა მაქუა იერი, ჰა?! ბაჰკა იერები არი, ჰამა აღარ მომგონდა...

— ეიზე მინდანან, გიმიკეთავ? გამომიგზავნი?... წმინდა მარიფეთი ქცოდნია, ფენა ქალი ყოფილხარ, აფერუმ! შენ წენეს უუყუაოს ღმერთმა ხელები, ამფერი ინსანოლი ინსანი რომე გაგზარდა.

— ბაკმა იერებიც მომგონდა: დიდყანა, ჩაღლული, კატრიძიჩი, კატრისერი, ახოები, გოლახორა, ტრიალი (აქა შეიდი ნევსო, იტყვიან და ზიარეთია).

— ვინ არ მიყუარან იცი? — ქიბარი ინსნები! გრდა რომე არვის არ იკადრებენ, არვის ცხვირზე არ დეიდებენ, ისენი არ მიყუარან. ინსანმა ყუელაინა შაფასო კარგათ, ყუელაი ღმერთის გაჩენილი ყულია, შენ რაფერ არნა იკადრო?!

— ამ დღერეში შიგნითე ნეხუალ, სულ გურჯი სოფლებია... ლაზებიც მარტო არ მყავან, სომეხებიც ზიან მათთან. სომეხებს უკან ერთნაირათ ლაპარაკობენ ჰემშილები.

— ჩუენი სოფელი, ქართლა|კარტლა, ბორჩხისე არი, ქართლას ხიდისე არი.

— მაგათა გურჯიჯა მეტი არ იციან... მოზარდი ლარქებმაც იციან... სქოლაში ქე იარებიან, ავიწყდებიან. სქოლაში, გურჯიჯა არნა ილაპარაკოთო, მიძახიან... ერთი ორეთმენი იყო თურქი, დააბეზებდა ქი მუდურსა, ლარქები გურჯიჯა ლაპარაკობენო... ჩუენი ენა იკარქვის და ამაზე ფენა შენუხვილი ვართ, გულის კაკალი ქვტკივა.

— დრამი ხართ ბათუმში ქართულები... პატიანა თუ მოსწორდით, კაი იქნება, ჩხუნტი წაყურდეს, დაყენდეს ბელქი... რუსეე ზორ დიდი ყოფილა...

— ჩუენა ერთი ბაქანი მყავან ანკარას, ასან ექინჯი, სატყეო ბაქანი, ორმან ბაქანი. ისა გამკითხავს ქი, ნანალიევი რა მქეიაო, ამ ქელიმეს ქოქი რა არიეო. მეგემ „ნალია“ ყოფილა, აქედამ გამოსულა „ნანალიევი“. ქელიმებ ქოქმინა ჩახედო შიგან და დეინახავ ესეი გურჯიჯასა.

— ესა ქალი პოლისია. ქალი პოლისიცნა იყოს, რომე ქალებ შეხედოს. ქალი პოლისი გაჩინავს ოდაში ქალსა, თუ რამე ყუსური იქნება...

— სიმღერებსა იტყოდენ სიმინდი გარჩევიხან, მატყელი დართვიხან... აღარ მახსოვან, ბევრი იყო:

„...მიგძიგს გული ერევა, უჭამია ლებანიო,
ლოქო რო შესციენია, ღებურია საბანიო“...

— ახალ წელიწადზე იტყოდენ, ეზოში მიდიოდენ და მუუმღერებდენ:

— ილაშია, ილაშია, გამეიხედეთ კარშია,
თუ არ გამეიხედეთ, გადაეკლათ მიერე კარშია...

— ძუელათ ღუგუნზე, დოდოფლი მოყუანიხან იტყოდენ ბევრ რამეებსა.

— დოდოფალი ეზოში რომ მოიდოდა, ყორ მეიყუანდენ. ამ ყორ მუუმღერებდენ: რა ლამაზი ყორია, ლამაზი ქები აქუა, ლამაზი მატყელი აქუა, ფეხებიც ოთხი აქუა, კუღზეც დუმა აქუა. ამ ყორსა შეღებებდენ მახსუზ. სიძეს ბახშიშ უზმენ ამასა, ეს შენი იყოსო. მაყრები მოტიალდებიან, თოფ ესრიან.. სიძეს მეითხოვებენ, ძალი მოიდა ეზოშიო. სიძეი ყაპეეს მუუტანს... სიძე გამოდებს კლავს დოდოფალსა... ბელლის კლიტეს მეითხოვენ, შეხედებენ შიგან, ჩუენ გოგოსა რანა აჭამონო, ახორში შეხედებენ, საქონელი რაგუარ ყავსაო... სიძე ბახშიშ მიცემს. ახლა აღარ არი ეს ადეთები, მოზიკას აღრაჭუნებენ და არიან მარტო. ძუელათ ხალხი ფუხარა იყუენ, მარა გული ზენგინი ქონდენ... ის მტყუვიან ძუელები, ახალბემა რალა იციან... პატიანა ადრე მოსულიყაით, დაპა კაი იქნებოდა, რამლები ცოცხალ იყუენ და გეტყოდენ ბევრ რამეებსა.

— აბა, შვიდობით, შვიდობა მოგცენ ღმერთმა!

საუბროდნენ ალი აიღინი (დოლაბერიძე) და შეეკეთ დოლაბიძე.

თხილაზო

— ჩემი სახელი არი ხიზირი, ვარ სამი და ექსი წლის.

— ჰოე, ოზდათექსმეტისა.

— ჩემი სოიადი, ესქი სულალეა ფუტკარიზე, ახალი — ბალჯი. ლაპარაკი მეტი კაი არ ვიცი, თქუენებური. ჩუენი სულალედამ ნაცნობი მოვდა, ზოორ გიმინარდენ.

— ჩემი სახელია ათანა, მე მაგისა ბაბაი ვარ, იეთიმიშ ეედი დაშინდა ვარ... ამაზე

წინ ქაბში წვევლი, იქაურობა მევიარე, მაღლობა ექენი... ახლა შენ რომ მოხუელი, ჩემი სისხლის ინსანი, ზოორ გიმხარდა... ორ წელიწად წინ ჩემ ერთ ბაღემა თქუა, ჩუენი სულალე ენ წინ ფუტკარიზე ყოფილა, ბათუმ ყოფილა, ჰამა აქნობამდი ვერ ვნახევით ისინი... ჩუენ ვიცოდით, ბათუმი კაიაო. ბევრი ხანია, მესელა, რუსის ხელშია, ახლა რავაია არ ვიცით... ახლა გეისხნა კარები... ჩემი ბაბაი იარებოდა ბათუმ. თუთუნი წუულია რამდონჯელ იქა, ბათუმში, ყაილით წუულია. ყაილები იყო. მაშინ არაბა არ იყო. ...იტყოდა ბაბაი, რომე ერთი ბათუმ დენახვედო, აქ ებბედი არ მოხუალო, იმფერი ლამაზი დერიაო. ჩემი დეგანი იყო ახლა, იმან თქუა ქი, ბათუმსაო ისტამბული ფეხებზე კიდიაო, ძალუან ლამაზიაო... მინდანან გადმოსლა, ჰამა იაშლი ვარ ახლა, ქორი და აჯამი ერთია. მე რალას ვაქნავ ახლა... გენჯი იქნები, წახუალ, მოხუალ; დაშლი იქნები, შინ დეებმები.

— აქ თოფრალი ენ ხასია, კაი დანი. აქა ენ წინ თუთუნ დავთესვედით, პურ დავთესვედით, ქერსა. ჰამა შიმი თუთუნი-მუთუნი ავნევიტეთ. ერთი მარიქუფი მოვდა, მარაზი. გგონა ქი, დღარე წყალი დუუსხითო, მოთუტევედა თუთუნს. ამითინ მოვნევიტეთ თუთუნობა. ახლა ბაღეებიც გეიზარდენ, შორ წევდენ. ზოგ დუქანი აქუანან, ზოგ ინშაათი აქუანან... აქ სოფელშიც ერთი თანე ბიჭი მყავს; დავრჩით ბერები შინა. ორი თანედამ დევენყეთ, ორი თანე დავრჩით ისვენ.

— სიღმერები რალა მახსოვს, ბელქი მომგონდეს ერთ თანე:

— რა ლამაზი შენ ხარა, შენმა ნენემ გეიზარა...
შენ პერანგის ჩიჩეგი, ჩემ ბოსტანის ვარდიაო,
სხუის კალთაში იჯექი, ეს მე რალას მარგაიაო...
ლამაზი და ლამაზი აქედამ გამოსულაო,
აინი პურის ცომსაკეთ, წინესკე წამოსულაო...
ქალ ფოთინი ჩუეცია, გაცვეთილა ტაბანიო...
ძიგძიგს გული ერევა, უჭამია ლებანიო
ლოქო რომ შესცივინა, დუებურა საბანიო...

— დამვიწყდა, აღარ მომგონდა ბითევი.

— აქა გურჯი სოფლები ბევრია: ქართლა, ომანა, ურზუმა, ნიგია, ავანა, ორჯი, ტრაპენი, დამფალი, არხვა, დურჩა, ოზმალი, გველი, ბუჯური, კორდეთი, ლომიკეთი, ფორესეთი, ბაშქიჯ, ქურა, ჩხალა, ჯვანი, ქამოლეთი, ემბრიკა, პეტრული, ადაგული, ვალაშენი, ოხორჯი, ბაგინი, დევესქელი... ესენი თელლი ბურჯი არიან, თურქი არ ურევია.

— ზაფხულ ეს სოფლობა თაზე მიდიან, თელლი მიდიან, საქონლის ერთათ მიდიან ფურით, ცხუარით, თხით, სამ-ოთხ თუეს დადგებიან იქა. ...ჩუენ თასა გულახორა ქვია. თები ბევრი გუაქუანან აქა, ყუელა სოფელ თა აქუან მისათ.

— თაზე მემთევრები ყათულ აკეთებენ — დალი, ყველი, ლორი, ადნი თქუენსავეთ ვიცით ჩუენცა.

— ჩუენი სოფელი თხილაზოა. იმას პატიტვანი ეერები აქვა. მესელა, ჩუენი დადგომილი ეერი არი შალიკოლლები-შალიკომვილები. მემრენ მოვა გაღმითაი, ციდეაკე, ქომოსოფელი, სკანდრები, მოლაიბრაიმები, ქემალოლები, ლომოლლები... სამოვარები არი — აგარა, ლერიწურე, აბანი, ფეთეგხანა, ნაბოკვარი, საბადური, ნასელავი, მომწუარი... ტყეებიც არი, სახელებიც ადნი გურჯიჯა სახელებია, თურქქა არ ქვია.

— ჩუენმა დედმა, ბაბამა, თელმა გურჯისტანის ნატრულობაში დახუტეს თუალები... ენატრებოდენ, უნდოდენ, რომე ბათუმიდამ ამოსულიყვენ დიდუანები, ხისიმები. ჩუენ დიდებსა არ ეღირსენ ესა, ჩუენ გვეღირსა, იმითინ ჩუენ ძალიან სიხარულში ვართ

ახლა... მეა ორი წელიწადი ვიკითხავ ჩემ გუარსა, ჩემი სულალეს ინსნებსა იქა... შენ შემხდი და ზოორ გახარებული ვარ, გამაგნებზე ჩუენი იქვერი ნათესები, ხისიმ-ახარაბა. მეგერ ბევრი მყავან იქა, ამის მემრე გაუხდეთნა ერთი, წედეთნა, მოიდეთნა, სულნა ვიცნოთ, ბალნები, დიდუანები, თელილი...

— აქა სახლი ყოფილა, ზამანუნდა დანვილა... ორი თანე ასკერი და ორი თანე ცხენი ყოფილან არ სახლში, რუსებ დუსუნვიან.

— ყალელი ამ პეტრულ, ქილასე არი... პეტრე ყოფილა ერთი ფაფაზი და პეტრული დეურქმიან აქვერობისთინა... აქვერობას თურქქა სახელი არ აქუან.

— ყურში უსრიან რუსებსა... ერთ თანე მოუკლიან... ჩემ დედესა მისებური პაქიობა უქნია, ფითილი, ფალმანი უქნია და მოურჩენია იარა.

— სამ წელნად რიზეს, უნიეს იქნობაში ყოფილან, ონდანსორა აქ მოსულან... დოუმიან სახლები, ყავნები.

— ბოსტოლანის ღეუე არი ერთი. იქ ასკერი ყოფილა. აქშამ მალა ბასხი მუეცემიან, შად არი თქუენი ასკერი... ძინვენ მეგებ ღამენი... დაჟლიტეს ასკერი... ზამპეთი მუეცია რუსიეს აქვერობისთინ. მე მაშინ დუნდაში მოსული არ ვიყავ, ჩუენ მათ ვერ მევესნარით.

— მაშინ რა მააქონდენ, არ ციცი... ბათუმიდან მარილ ზიდებდენ, შექრებ ზიდებდენ, დიდუანი დილიმები იყუენ ქვასავენო, იტყოდენ.

— პუდული გაკეთება რომე დეიფიშანეს პუქუმათებმა, დეველებმა, ხალხი შეიშალა, ჭკუა ვერ გაჭრეს, ერთ უთქმია, რუსი მინდაო, ერთ უთქმია, თურქი მინდაო. ონდანსორა პუდული უქნიან. ზოგი აქეთ დარჩა, ზოგი იქეთ. როიცხა ქი პუდული დუსიან, ყალყარში დარჩენ ყუელია; იქით-აქეთ ზოგისა მძა დარჩა, ზოგისა და დარჩა... მაშინა ხესიები იყუენ, ჯასუს ვეტყვით, რუსდემი მივა-მოვა უჩუმალი. ასე მწვალობდენ ხალხი. ახლა ყულააფერი სერბესია, ისტარ რუსიეს ნაი, ისტარ ალმანდეს ნაი... კი ვართ, კი... პუდუდის კარები რომე გეელო, მალეი საქმე გაკეთდა, შამა გონჯი რაიებიც მოყვა ამასა. თქუენიდან ბევრი გონჯი ინსნები გადმოდიან. გევერიენ ხალხმა, გევერიენ. ამითა თურქდეს საქმეც არ იქნა, ტოლრი ვილაპარკოთ, კაცო! თქუენკე ჩუენი არაბაჯები მიდიან, მააქუან რამიები. შამა ადამახილი კლებენ თქუენსა ჩუენებურებას. მოზობელი იყო ნასული ჩემი. აზდაა სული ვერ მოუტანია, დუფერენიან დანიით... ზაი კაი ინსნები არიან, ზოგი გონჯი არიან, ზა!

— სამსონის ლეგიონი იყოო, იტყოდა დედეი. ასკრობა მაშინ ბევრი ზამანი ყოფილა, ონ იქი სენე, ოცი სენე... გევეციქი ასკრობიდამო. გზაში ერთი ხოჯა ნახეთო. მეგემ ქრისტიანი გურჯიო. — ხოჯა ერთი გზა დამასტავლეო. რაც ყირმიზი მაქუა, ყუელას მოქცემო, მეგემ დედმა. ამან თქუა, ქიო, შამა ბრუდეთ დეიფიშანა მეგემ: — ამაზე გზა მოვაჭრევიოო, რაც ყირმიზი აქვა, ავართვა, ესაც მოვაკვლევიოო. ხოჯამ რომე ჭაკვა თერფ მასნავლა, ნაიო, მე მარჯუენა თერფ ნაველიო, იმ სოდ ჭკუა მომცა გამჩენელამ ღმერთმაო. იქაც გზა მომიჭრესო. ორიიზი მესტრეს, შამა ვერ მომიკიდეს... ჩავარდი ყიზილბაშებშიო, დევმალეო, აზდაა დამკლესო. კაი არ ვქენი, ლეგიონიდან რომე გევეციქიო. თავი მაშინ გავარიგე, კაი არ ვქენიო. დოხ-დოხიდან ჩემი თავი მევე დემეკარქანაო. ეს მესელე იმდონია, რომე ათი თანე ბანთი ყოფილიყო, ეიმსობოდა, არ ეყოფოდა.

— ერთი ალმანდე შარბი იყო... ერთი იშთე დემოკრასი ქი იქნა თურქე, მენდერესმა ასკერი მიცა ამერიკას, ყორეში დააჟლეთა. ბორჯი ფული ართმული ქონდა. ამერიკამ, — ფული, ბორჯი მომეციო. თურქემ, — ამდენი ფარა არ მაქუანანო და ასკერი მიცა. ამით ჭკუაში ნააგო. მემრენ, მენდერესდასორა ისმეთ ინონი იყო... იმან საქმე წორე გარეგა: — თქუენ ამით პუქუმეთობას ვერ იქთაო. ფაშა, უთხარი ქიო, ჩემი ასკერი მიყუანოსო. შამან ფარა დლეს მივეცი; რა მქონდა მე იქაო, ამერიკასო... დლე ფარა

მივცე თანო... ბიკერე ასე უთქვია ქი, არც თუ შენიდამ, არც ჩუენიდამო, ქეით გავხდეთი, შენი ფარა მოქცონაო. მემრენ რუსმატ ბევრი ინონის აჯავრა, ყარსი, ართინი მომეციო. მეგრემ რუსსა თურქიესთინ ერთი ჩუვალი ღომი გამუუგზავნია. მეო ამღონი ფილოთი მაქუაო. ამასაც, თურქიეს, ერთი მამლის თავი მუუჭრია, იმ ჩუვალში ჩუუდია, გუუგზავნია. შენ ამდენ ასკერსა ჩემი ერთი თანე ასკერი მიდეგსო, თელსა შეჭამსო, ღომი იყო და ჩუვალში... ჩუენ ერთი სისხლი ვართო, ერთი ჰუდუდი მაქუან.

— ამ დღეში აქნობამდი მოველით, ჩოქ შუქურ ალლა!

— ძუელათ ფუტკაროლებ გეიძახიდენ, მემრე ბალჯიოლეები გავხდით. ახლა ბალჯია ჩუენი სოფადი.

— მე ისმაილ თერქი ვარ, ძუელი სოფადია ჩემი გობელოლი. ორმოზდათოხმეტი წლისა ვარ. სოფელ ბაგინიდამ. თურქჩა ბალჯი ქოი ქეია, მეთაფლე, სოფელში სამასი კოვლი ვიქნებითა. გუარი ბევრია: ჯამბაზოლი, კუნტოლი, მებროლი, ზენგინოლი... თურქჩა რომე დევენალოთ ყოლაი, ბალღებსა ლექსებივით ვანავლითა. ახლა მომგონდა ერთი თანე ამსოფ ლექსი, ბალღობაში რომე ვიტყვოდით:

**„ათეში-ცეცხლი, უმურსა-კუერცხი;
თახსა-ფიცარი, თანიელმ-გიცანი“.**

საუბრობდენ ნიზირ და ათან ბალჯები (ფუტკარიძეები), ისმაილ თერქი (გობელოლი). მასალა მოგვანოდა ო. ფუტკარაძემ.

ქლასკური

- იცოდეს ერთსხვა (ერცხვა) ხებრები...
- ქილისა ჯამე ქნეს...
- ჩუენი წავასხამს იქა... ხევეგში ეცონინებინ...
- ერთსხვა არ ვიცი... იმათ იცოდეს...
- მაგასა ვერ შევსვამ, მწყენულობს...
- მიეთვენი ბევრი არიან...
- ორთავე დედები მოკდენ...
- ერთი მამალი ქეყავდა, სახლი დაჭირული რომ გექონდა, იქა... აქაც მყავდენ. თავში ჩაახტებოდა, კბენარი იყო. მეზობელსაც ყავდა მამალი ბაშთან, დაკლა...
- აბლა-ხანუმი რაიჯება? რასაფიროფს?...
- სახლის წინ ვაკე იყო, აღნი არი?...
- აბლა-ხანუმი კაია? ხომ არ ტყენულოფს რამეს?...
- შიგან ხართ? შუქურში შიგან?...
- საქმელი ბევრი ვიციოთ. შავი ფხალ გავაკეთავთ, თაზე ლობიო, ხმელი ლობიო... სუთლაჯ გავაკეთავთ ბრინჯისაც, მაკანასასაც... კიდო ფრინჯის ფილაგი. კვერცხიდან ჩილბურ გავაკეთავთ; ისეც დახში შევწავთ, ისე შეწვილი კვერცხი იქნება, ეროკვერცხი. ისეც მოვხარშავთ, სადეთ, სოგუში, წყალში მოვხარშავთ... ფრინჯიან, ფათათესიან ხორც გავაკეთავთ... ფხალში ხმელ ხორც დავყრიოთ. ხორცსა დავეკეპავთ, დიდვან ძულებ დავაჭრით, მარილ წავყარით, ისე გაავხმობთ. უმარილო ნახდება... სიმინდსა მსხვილ დავფუქავთ. სიმინდი ღერლილ ვურთობთ ფხალში. ფრინჯ ურთობენ ზოგი...
- ჩუენ არ მიყვარან ხახვი... ლობიოში ჩავყარით ხახვი... სალჩა ყიიმა ურთე, დომათესი, ქინძი, მაკიდო...
- ქინძი მეტი არ მიყვარან...
- სალმას გავაკეთავთ, ხორცისაც იქნება, უხორცოსაც. უხორცო დაღანჩი იქნება...

— პურის ფქვილიდან მაკინას გავაკეთავთ, ფასთას გავაკეთავთ. ტუზლი ფასთა, კაკავოლი ფასთა, ყათმერი, ქადა, ძველებური ბახლავა იქნება. ახლა ბაშხა, ბაშხა საქმელები გამოვდა.

— პერისა ახლა ადგა, დუგუნებში აღარ აკეთებენ...

— მელოგინე ქალსა ენნინ ხავინ გუუკეთებთ... წყალ ავადულებთ, იქში ფქვილ ჩავაყრიით. დიდ დაწნუავთ ბოლათ...

— ერთი ბადიში მყავან...

— წინწინ ხავინ აკეთებენ... ახლა სიმინდი ჭამაც გადავარდა. წინწინ ფუხრობა იყო, ჩუენ არ მომწრიან...

— გასირინდეს და მემრე სვი...

— ხორციდან გავაკეთავთ სხვასოი საქმელებსაც. ხორც ქუაბში ჩავყრიით. მაგა ვურთობთ ფათათესს, მინიხაპას, ფრინჯ გადავყრიით. ხახვი, მაკიდო უნდა. ხორცი დიდსუზი თუა, დიდსაც ვურთობთ.

— სახლი თქვენია, სერბესათ იყავით...

— დაფქვილი ხორცი ქი იქნება, ტოლმას გავაკეთავთ ბობრიდან, ფათლიჯანითაც გავაკეთავთ...

— ბოსტან ვანყობთ მარტში, დევწყებთ ბოსტნეველობას. თოხით, ეწოთ მოვთხრით. კარქა გავახასავთ, მასკან ყარულებ დაწვენეთ, მემრე დავეთესავთ ფხალ, ისემეს, ლობიოს, მარდანოზს (მაკიდოს), ქინძის დავეთესავთ, ბიბერ დავეთესავთ, შაშპრამ დავეთესავთ, სახე დავეთესავთ. მაჭახლელები ეტყვიან — ჭლაკვაი; მარულ დავეთესავთ, ჭარხალას დავეთესავთ... ექსერი თუარეს ზდაში ვიზამთ, აღმა რომ წავა, ახალი რომ დადგება. დღესაც შევარჩევთ, ჯუმართეს დავეთესავთ, ერთიც სამშაფათ. ხუთშაფათ დღეს არ დავეთესავთ, ბოჯული შეჭამსო, იტყვიან... თელი გავათავავთ. აშუა, ჯინჭარი, კიდენ რაცხა მოლი არი, სამყურაი, მოლოქი. მოლოქი ჩარშიც იყიდება. მოლოქ სალათში შევჭამით...

— ძიდან კეთდება ყველი, დიდი, იულურთი, სუზმა (ლორი). შრატ მუადუღავთ, გავწურავთ, იქნება ლორი. ვულურთ გავწურავთ... ზოგები სხვასოი იტყვიან... სირონიც ვიცით. ნაღები (ყაძმალ) ვიცით. ყუიშალ გავაკეთავთ. ფქვილ ჩავაყრიით დამწვარ, გამდნარ ყაიშალში, გევრეგიც ვიცით, ჰემ პურის, ჰემ სიმინდის.

— ყველა მარილი რომ შუუვა, მემრე ცხაზე დადებ. გახმება. მემრე ხმელ ლობიოში ჩავდებთ, ბილი დარჩება... ყველ ჩავჭახავთ ქულეგში. ხმელ ყველსა ზამთრში წყალში დაალობთ და ჭამ...

ჩუენა „კასრიო“ ვიტყვით, მაჭიხელში „კოლოფიო“ იტყვიან...

— დერგში ჩავახსემდით ყაიშალ, გარგნით ვრეკევედით. ხუსუსი გაკეთებულა. დერგსა ყაფალი აქ. დაფული ვარიაია, ისიც ვიცით.

— მე ბაბას კარში ვიყავ ზაფხულში.

— ქლასკურ ახლა ათანოლი ქორ ქვა. ქომობანი არალიქ ქორია. ადგილის სახელებია: კოძირი, ზედობანი... მარადიდისკვა ბელღევანი. ფიქალათაც, თხილაკაკელები, სახლის უკანაი ბალი, ანთველი ქედი, ბელღები, ქედი, ჯამი კარი, ქუედაი ფიქალათი.

— შორი-შორი მაქვან ყანები... საქონელსა ემნებში ვაძებდი, სოფელი ბოლოს...

— ქლასკურის ხალხი პანა მთაზე იარებიან იაილაში, მაჭიხლისკე, ყარაგოლისკე არი. იქებერი ადგილებია: სასვენი, სასადილო, სანაძლო, ხევი ვაკე, ბულბულ ქედი... ეველით იაილაში ჰმედაც. აქ არი ძლეველი წყალი-წყარო. ყარაგოლის დღელ გამოდის, ჩამეიარს ქლასკურ, ჩავა მარადიდ, ბორჩხის ჭოროხ შეეტოლება, ჩავა შავ ზღვაში.

— ესა შოთის ბორეგია... კაკალ, შექერ ვურთავთ. შერბეთ ავადუღავთ, დავასხამთ. სუბორგ უნდა კურცხი, ყველი, ვულურთი ძეში მოზილონა... წყალშინა მოხარშო, მარილიან წყალში.



სტუმრად ინეგოლელ პატარებთან.
1989 წ.



ფადიძე და ქაღრიე ოზბეგები (თავდგირიძეები).
ინეგოლი, 1989 წ.



ამჟედ უნი (აბულაძე) და მისი შეიდეგები
ფათმა, შერიეში, აბდულაძი.
სტამბოლი.




შუამთობა შვეშეთის იაილაში



ქ. ინგოლის კავკასიური ფოლკლორის ანსამბლი



ქოსლდ შუბინის (მესხაძის ოჯახში).
აროენი, 1989 წლის აგვისტო.



სერფილ იაეუზი და მისი შვილები — მერეე და ჯემი.
სტამბოლი, 1989 წ.



სოფ. ხობლევო. იმერხევი, 1989 წ.



ახმედ, უერდი და სინან უორთოქაღები (ფუტკარაძეები).
სოფ. გუნეკესთან, 1990 წ.

„ბაღდად კოშკი“ — გიორგი
სააკაძის საზაფხულო რესიდენცია.
თოფქაუის სასახლე.
სტამბოლი.



მთქმელი შექმედ ბაშთორქი
(ვახტანგიაქე) — მარცხნივ.
ინეგოლი, 1989 წ.



შუახვევის რაიონის სოფლებიდან — ტბეთიდან, დომანაურიდან, შუბნიდან
შუახვირად წახული ქართველების შეილაშვილები.
ინეგოლი, 1990 წ.



სოფ. ხობლევის ყიშღები.
იმერხევი, 1989 წ.



უაღრესესი ნმპს კაკაღაღე და რეჯეღბაღი კენჭოღუიღი
სიხარულით მოსიქარიან წინაღარაღა ხაღმობღღოღი.
ხოღა, 1989 წღის იენსი.



აღმედ, ჰესრეთ, ხაღიჯე ოზბეღებოღან (თაედღირიღებოღან) ანკარის ახაღღაზრღობის ჰარკეღი.
ანკარა, 1989 წღის იენსი.



ბირჟა. 1989 წლის ივნისი.



ჯინალები. შაჰმეთი, 1990 წ.

— ესა დუხებიდან არი... მე პირ არ მიქნია. მულის გოგო აკეთავს... კაკლიანსაც გავაკეთავთ.

— ულარჭო ქალებისთვის ჩემი ტიას ქალი აკეთავს ილაჯები... ისა განაველის ბალახები. მაიასიერისა და ლარჭის საყოლისა იცის... ბევრი იყვენ ამავის მცოდნელი ინსნები, ჰამა დეიხოცენ ძუელები.

— ქორნილი კაი ვიცით. გოგო-ბიჭს თუ ერთმანები უნდანან, საქმე ყოლად იქნება. ახლა ექსერი მათი ნანდომია. ნინწინ უდუუნახველი ნაყვებოდენ. მე პირ არ დომინახია, ისე გვევთხვე შენ ძიაზე. არ ვიცნობდი, ისე წამველ. ნინწინ გოგო არ დეინახვედა. ახლანდელი ზამანი დაჰა კაია, ქორქორინდე წებველ, არ არი კაი. და ბიჭ არ მონონდება, და შენ. ამი გულობაი ბევრგან ზოგები არ დგებოდენ კაცთან, გარბოდენ კაციდან.

— გადანყდება ღუგუნის დღე. მეიტანებენ დუზუგ (ბეჭედს), საათ, ქუფეს, ბილუზუგ, ზენჯირ. იმის უკან, თუ დიდი ნიშანი გინდა, აიაყაბი, თელლული, ნინდა, ფორკა, ელბისე, მანთო, იჩ ჩამაშირი, შემშირე, ხირხა, ჯაქეთები, გელინლული...

— ჯეგზ ნახევარ ბაბოი გააკეთავს, ნახევარ კაცი. დათაქ ოღას ბაბოი გიგიკეთავს, ყოლთული ოღას — კაცი. დუგუნი თუ კაი არ გაქ, ბაბოი გიგიკეთავს: ლოგინი — ეორლანი (საბანი), ჩარშაბი, კარდოლის ეთეგები, ჩივთი ეთეგები, გურჯიჯე — მინდერი, თურქე — დომეგი, ბალიში — გასთიქი. დათაქ ორთი ზუსუსი აკერიებენ.

— სანახველაი, მისიანი ვინცხებია, იმა ნიშანზე მეიყვანებენ. გელინ ნახებენ, ამის უკანაც, ნიშან-დუგუნ იქმენ. ყველანი მივლენ. უნდანან ფარალი ნიშან-დუგუნ იქმენ, უნდანან — ისე. ბიჭის კუთხე იჯება მასრაფ. მამათილი მოვა, დედათილი არ ნევა. ბიჭის დადე ნევა. გინდა ქირვის ქალი, გინდა ძმის ქალი, ბიბიაი, ხალაი, ნევა ვინმე. ბაბოს კარში მივლენ, გელინ ნახებენ. ყაპვეს სმენ, ნახებენ, ისამებენ. გოგოს კარშინა გათენდეს. ჯეგზ დაკოჭენ, არაბაში ჩაანყნარებენ, გელინსაც გამეიყვანებენ. მიდიან ბიჭის კარში. ბიჭმა შექერ გადააყროს. ბაბოს კარიდან გამოსლიხან დააუდუმლებენ სკივრზე. სამჯერ წამონევენ. მესამეჯელ ააყენებენ. სკივრის ბაზში უნდებია. პირველათ დედათილმა ყაშულ, შიშის კოვზ გაატეხიავს, მემერ ფინჯან გაატეხიავს, მასკან ზამურში ცომ გამუარევიას, ოჯალში მუასმევიებს, კართავ მუასმევიებს, შეიყვანებენ მის ოღაში. მეიყვრიბან ბიჭის თერეფი, გელინ ნახებენ. საქმელი მიიციმება. ზოგმა ისამებენ, ზოგმა საქმელ ჭამებენ. ისინი მოთავდება, სიძე-მიძე ისამებენ თეულმა, დოდოფლის ტოლა ისამებენ. ჩვენში ისეა ადეთი, სოფლებისა არ ვიცი. ის დღე დალაგდება, ხალხი დაინდებიან. ზოგ ეერებში დადე დუუცადავს, გათენდება და ნავა... გოგო თუ წორე არ არი, ბიჭმა გეიგნებს, გაგზავნის დოდოფალ უკან. ბინდაბირ არის ესაც... საორმოცოთ წასლა არი. მანამდე, ქორნილი მიერე დღეს ბაბოს სახლში მივლენ. სამი დღის უკან ბაბოს კარიდან მივლენ. მემრე ერთ კვირე დადგება ქალი ბაბოს კარში. სიძე წამეიყვანს არხატაშების ერთათ... საორმოცოთ კილო ნავა.

— სიძე სიმამრი ნახვაზე წევდაო, — იტყვიან.

— სამი დღე გამუა დუგუნიდან, ანაი ნევა. ბაქლავას გამუაცხოვს.

— აკვანის მიტანაც არი. გინდა ერთი თვისა იყოს, მიიტანებენ. ენწინ ნახვაზე მივლენ.

— ქლასკურის მამალებია: ნიქეავრი, თეთრიეთი, ნაძვიქედი, ჯირეკველი, ხინიკური, გორგავლი, დელიკეთი, კვესავრი, თხილვანი (თხილვან მატახლები ზიან, გადმეიბარგენ) ...ქედელი სოფლისა არი: ქომობანი, წინქალამვილები, გვარამეთი, ნიშიეთი, ვაკუსოფელი, კოსრული... ერთი-ორი კიდე არი, აღარ მახსოვს...

— ჯავე იქნება ახალი ლობიოსი, შავი ფხალისა, თეთრი ფხალისა, კიტრისა, ბიბრისა, დომათისაც (ფათლიჯანისა)...

— „აყირო“ დევსქელეგმა იციან. დევსქელის გზა ბორჩხადანა გეიყაროს, ართინის თერეფ არი. დევსქელისკენ არი ბაგინი, შუახევი...

იმა დღუძახდი, იმა იცოდა...

— იმის ბაბომა მითვალა, — ჩამოით. ჩემი დედეს ძმები ორი თანე იქ არიან, დედედან ნათესი, მისი სულალე, დედეს ნესლი...

— მეტი კაი იყო ერთი ნაცნობი...

— ექსერი ახლა ჰასთაჰანედან მოყავან...

— ლმერთმა გიჩუქეონ...

— კაცები, ბოში არიან... ყველანი მოიდენ, მნახეს...

— მე ვბრძანდები ფათმა... გაყოფილი არ მაქვან სახლი. ცოტაი ვართ ნუფუსი, ჩუენ ორნი, ერთიც გოგო, ერთსხვაც სიძეი მყავს...

საუბრობდა ქლასკურელი ფათმა ილდირმი-ოზდენი, 54 წლის.

ქართლა (კარტლა)

— თურქა არ დაგეინყნიან... ისემა ესა, დოზერი...

— გზები ვაკეთე დოზერი. დინამიტი ჩავყარეთ, ქვები დავხრიტენ... მუუწყევა და ეხსროლენ.

— ნიფელა შუმა ავსნიე, მომტეხა ხელი...

— გზა გავაკეთეთ, ვესროლეთა დინამიტი.

— ესაც ჩემი ხალაშვილი!

— ნისქეილი ვიცითა. ქვა ორია, გათლილი, ერთი დაბლა არი, ერთი მაღლა არი. ბელელ გააკეთავ ლამაზებ, ოდასავეფ იქნება, ბელელივით. თურქულებ — „ამბარი“... ქვა ჩავდგით-მი, ბორბალი აქვა, წყალი — ლურნეში... კატარ მოვჭრით, იმას გულ ამოვსჭრით, ჩავხვეთ, შიგანას ამეველებთ, პატინას ამოვსჭრით... სიფონი ლურნეზება. ბორბალი აქ, ლაფათები, ისემე, ფთები, თურქა — „ყანადები“. ნისქეილ აქვა კრიჭი. კრიჭში ჩეყერება სიმინდი. ხეიმირში ბევრი სიმინდია. კრიჭში გამოდის, ჩაყარე-მი, კრიჭში ჩავა სიმინდი. ფეხი აქვა, სარაკუნებელია. დაბლითა ქვა ტრიალებს. ხარო აქვა. ფქვილი ხაროში ჩეყერება. მაღლითაი ხუმირია. ქუეშა ფქვილი ჩეყერება. პატინა ცოცხით მოვხვეტავთ სიმინდას. ფქვილ ჩავყრით ბუზის თორბაში. წინწინ იყო გულა. ახლა აღარ არი...

— კლიტე ჰად არი?

— ჩემი დედეი აჭარიდან ამოსულია, მუსლიმან გურჯია. მურადოლები არიან ჩუენი. შოთაძე არიან ბათუმში, კირნათში ზიან... მუსტაფა დედეს ხანუმი ცოცხალი ყოფილა. დიდნევი ცოცხალი ყოფილა. შარშან აქა ნუნუი გადმოიდა. დიდნენეს გამუუგზავნია. — ართვინა გეხვიდ, ჩემი მახალი, აპმედიო, მელეგოლი ნახეო. — უთქმია ქი, მან თუ ცოცხალი არ არიო, შვილი ცოცხალი ეყოლებაო, შვილიშვილი ცოცხალი ეყოლებაო. აქ გადმოიდნენ. ქვეითკენ მივდოდი. ორი ქალი იყნენ. მალაზაში უყურებდნენ, მეც ევლო რაცხა-მეთქი, ვუყურე. თერძი მემედი არია, იმასთან შეველით, დავეჯეთ. ამეილო ნუნუმ ადრესი. ვინ არიან მელეგოლებიო, გაქკვითხა.

— რანა ქნა მელეგოლებით-მეთქინ, — ვკითხე.

— ჩემი ხისიმები არიანო, — ნუნუმა.

იმ ლამესა ჩემი მოსაფირები გახდენ. ვიპუეთ ნათესები.

— აქა სიმინდ დავეთესავთ. არი თეთრი სიმინდი, ყირმიზი სიმინდი, ბათომის სიმინდი. პურ დავეთესავთ... რაცხა ბათუმში იჯებნება, იმა დავეთესავთ აქა. აშუა, გაემარგლით. თოხით გაემარგლით. სამარგელ ყანიდან გამეგებანთ. სიხი თუ დათესილია, გამურჩევეთ, გავათვალავთ. ჩალას ფურ მივართვამთ. ნარცხ გავაკეთებთ საქონლითვინ... ლობიაი არი თეთრი, შავი, შავმურაი ლობიაი, დიდვან პარკებიანი, შექერ ფასულიაიც არი, პატიტვანიც არი.

— „აყირო“ ვეტიყვით აქა. ქერეჭი სქელი აქვა. თეთრი აყირო კიდონ არი. აყიროდან ფალუზა გაკეთდება. შავ აყიროს უკან ლობიას გუშურვეთ... „ფხალი“ ვეტიყვით, „ლახანას“ ვეტიყვით. თეთრი ფხალიც არი. ჩაპყრი თენჯერეში, მარილ მაყარე... დუდი შიანაი გულია თეთრი ფხალისა.

— მეგვა ბევრია. წორე სხალია: ხეჭეჭური, სხალკოტალა, სხალთაფლაი, სასელი, ჭანური სხალი, ყვითელი, პანტა, საქერაი სხალი, ბორბალაი. ბექმეზ ვაკეთავთ. სხალი მოკრიფვენ, მოხარშვენ, განურებენ, დაადლებენ. კარქა დაადულავ წვენსა, გახდება ბექმეზი. ბექმეზი იქნება ვაშლიდან, ბალიდან, ყურძნიდან, ხურმიდან. ენ ლამაზი ხურმიდან იქნება... ვაშლის სოფადებია: დემირა ვაშლი, შექერ ვაშლი, ნეიტა ვაშლი... შექერ ყამიშიდანაც გამუა ბექმეზი. ყამიში ზოორ გეიზდება. მენგენე არი, დალეჭავს ყამიშსა, წვენი გამოდის. ბექმეზი ენ კაი იმიდან იქნება. იმის მემრე თაფლი მოდის, თაფლ გაეს.

— ყამიშ ვეძახითა, „ლერნამი“ არ ვიტყვით. ახლა აღარ ვიჯებით, შემეზარნენ. ხენდეკში (სოფელია) არი იმისი თესლი. შავი თესლი აქვა. ცოცხის თესლ გაეს. ცოცხ გაეს ამოსულსა. შექერ ყამიშის ბექმეზი ისე თეთრია, რომე საინის ქუეში ჩანს, დასხმულ საინში, შიგან ხაპი ჩაყარე, ჭამით ვერ გაძლები.

— ყურძენი არი შავი, თეთრი, სინკოთურაი, ცმელდიდაი, ჯინეში, წვარუნაი, თურვანდა (მალ მოვა), ადესაი. ესა თხმელაზე ნავა, მეტი გუშურადება, ეიბენს, ავა წვერში.

— ზორ ხიზმეთი მიყვესო გურჯისტანშიო, — ჩემ ემაშვილმა.

— ზოგი თესებენ პურსა. ჩუენ აღარ ვთესებთ. პაზირ ვეძამთა ახლა. პური არი შავი, თეთრი, ინკლიზი პური, ზირაათი, პუტნა პური. ესა კაი არი, ფხა არ აქვა. ყარაყილმილიც არი, ფხები აქვა, შამა მარცულეზიცი დიდი აქვა. ენკაი ინკლიზი და ყარაყილჩილია. იმას დავთესევდით. დავაქუევიენებდით. მეტი მაგარია მისი მოზილვა.

— ქართლას ადგილებია: ცხილვანი, გორგის წმინდა, წყარო, ლეკთა, დიდალაზანი, ნუმბო, ნასელვარი, გოგნარი, კითონიჯვარი, ნანალივი, ოროლაზანი, ავაზანათი, ასოები, ბოსტოვანი, თხინარი, ბარი... ქომოსოფელი, ვასაჯე, გოგუცური, თრიმლები, ჯუანჯები — ესენი კარტლის მაჰალეზია.

— ბორჩხიდან ართინისკენ ნახევარ გზაზე გამოხვალ, დიდი ხიდი არია ბეთონისა, ერთსხვა ხიდი არ არი. ისა ჩუენ სოფელში გიგიყვანს. ომანაც ჩუენ თერეფ არი. თუთუნჯილარი ქუა ახლა ჩუენ სოფელსა, კარტლასა. ომანას „ორმანლი“ დაარქვეს. ომანასთან არი ღერძუმა — ზუზუნდერე.

— მოლი არი, ჭალა. მოლის სახელებია: იონჯა, სამყურაი... იონჯა დათესილი გაუაქვან. ყორანგალიც დათესილია. ცხრაათ წელნად ქოქი არ გამოვა.

— თირფანით ვჭრით, ვთიბავთ მოლსა. თირფანსა აქვა ტარი, კოტა...

— ერთი ნაპირი, ყოლი ჩეჭაიო, — ვიტყვით.

— თირფანი დაქორდა-მი, დავნაყავთ, მოვკოდავთ, სასრევით მოვლესავთ.

— ფაბათი გადააბრუნავ მოთიბულ მოლსა. გახმება, თაფული ვიქა, მემრე ხორომი გავაკეთავ, ზუინ გავაკეთავ. თივის ხორმებ საბძელში დაანყობენ, ზოოხებ მიართმევენ ზამთარში.

— ჩუენ სოფელში ასორმოცი ხანვა. დაბანჯი ვინმე არ ქვეყავს.

— გურჯისტანში ჩუენებსა უთხარი ჩემზე. მაშინ გააგებენ. ძუელები არ მახსოვან... ასკრობა ვქენე.

— თები არი ჩუენი — გოლახორა, თრიალი, ზიარეთთეფე...

— ფუტკარსა ძალიან მეყვებიშეთებით ჩუენა. ფუტკრითინ სკებ, სკიერ გააკეთებენ. „ყავრანი“ ძველებური სიტყვა არი. იმასაც ვიტყვით. შიგან რამუა, ჩერჩევე ჩადებულია, ლიქსი-სანთელი. „დავრი გამუშუეაო“, — ვიტყვით, ახალი ოჯალი რომ გამუა სკიდან.

რამეს მულტაკუნავთ, არ გეიქცესო.ნენეს დეიჭირავ, ახალ სკაში შიგან დადევ, მემრე ყველაი შევა იქა. ჩირგე ზიდავს ფუტკარი, წყალი მაქვა, აკეთავს თაფლსა... გამოვხილოთ თაფლიო, ვიტყვიო. მასკე, თორი მაქვანან. ფომვა თათმანიც მაქვანან, ქორუგით შუღებრავ, გვერჩევიან იქით-აქეთ. ათი ცალი რამკა მისია, ქონდესნა შიგან, რომე ჭამოს. დანარჩენ გამეიღებ. ჭაჭა აქვა, ისიც გვერჩევა... მაქინაი არი, გამონურავ, სუზგი შიგან განურავ. ჭაჭას დაადულავ, სანთელი იქნება. ლიქსი გაკეთდება, მას ჩუუდებ. დასანთებელი სანთელავ აკეთებენ, მუმი. ლამბა თუ დანელდა, დაანთებ. სანთელსა მუხზე მუუსვამ, ყოლაღ დღესობა. თოკზე წუუსვამ, თოკვი ბევრხან გაძლეფს. ილაჯიც კეთდება დანვილისთინ. ერთმა თქვა, სამ ნასმაზე მეშველებაო... ფაჭა ცარიელია... ჰაზირ რამკას ჩუუდებენ სკაში, ფუტკარმა თაფლი ყოლაი გააკეთოსო.

— ჩენი ხისიმები გამმოიდენ და, იმაზე გითხრა... პირში-მირში სულ ჩენი სულალე! შეხედავ, მიხდები... ესენი იყენენ. კვითხე: — გოგო მი ხარ, ძალი მი ხარ, რომელი ხარ-მეთინ. ჰად მიხვალთ-მეთინ, ამებლამ ჩუენთან ვილაპარიკოთ-მეთინ. ლარჭი გავაქციო სახლიო — გაი, ნენეს უთხარი, მოსაფირები არიან, საქმე ქნას-მეთინ. ამათაც ვუთხარი, მანქანა მატრიალე-მეთინ. მეც მანქანა შევებრუნე. ვუთქარი ქი, შენ უკნიდან მომდიე-მეთინ. მანქანაზე ჭვირთები არიან. გაველით სახლში, ბევრი ვილაპარიკეთ, გვიან დავნეჭითა. მემრე მე ტრაპიზონ ნავედი. ჩემი შვილმა თიფლიზ წვედა. უნახია ბათუმ ხისიმების სახლი. იქ საქმე აქვა, საქმობს. ჩემ ბისიმსა ბათუმ სამ იერიდამ ფვი მოტხვია.

— ბაგნი სოფელია. იქა ჩამეიარს კარჩხლის წყალი. ქუეით სოფელია სანათისი, იქ ჩამუა, მემრე ბორჩხაში ჩამუა ბაგენის ლეღე, მეეტოლება ჭოროხ. სოფლები არი: ქლასკური, ხება, მარადიდი. ხებაში ჩახვალ, მემრე კინცხურეთია. კინცხურეთში აბანოა. გული ტკივილისთინ მეტი კაია, თირკმელებში ქუა ექნება, გააყრევინიებებს... ბაგენსაც არი აბანო, რევემათიზმასთინ მეტი კაია. თბილი წყალია შიგან. მეტი ვერ გაძლეფს ინსანი. ვაკეთებუღია პუზები, სასტუმროც არი, ოთელი... ჰასანყალეს, ეზრუმისკე, არი ორი აბანო. რევემათიზმასთინ, იელისთინ არი. შექერი თუ აქ ინსანსა, ვერ შევა გოხსა. ჩემი ნაცოდნი აბანო ეს არი — ჰასანყალეს, ბაგენს, კინცხურეთ, ცოცხობას. ვეღლშიც არი აბანო. ისაც გული ტკივილ უხტება, ქვა-მა აქ ინსანსა, იმის არი... ისემემი, ერზრუმ, არ წევსულვარ, ფეეთი არ ვიცი. ერზრუმნა გახვიდე, იმის უკანა გახვიდე ოზდათხუთმეტი კილომეტრე, ერზრუმიდან.

— ახლა ილაჯებზე გითხრა ცოტაი. აყრებმა (მორიელმა), კიბორჩხალმა, ბობოლმა (გველმა) უკბინა ინსანსა, იმის ილაჯი კუერცხია, ჩიგი კუერცხი. და ფეხზე უკბინა, და ხელზე უკბინა... კუერცხსა ერთი თარაფი მიწრო აქვა, მიერე — ფართო, გუალი. ეს კუერცხი ამატხონა პატინა, ყაბულინა ანიონა. ამას შიგა აპკა აქვა, ის ნემსითა გახრიტონა, არნა გამოდინდეს ბევრი. ნაკბენი ფერი გაჩიქნონა, ეს ასენა დეიჭირო, მიაკრანა ზედან, მისებური მიეკრობა, აფნი წებოსავით. მე დემემართა ასე. მიკბინა ბობოლმა. ბევრი მარწყვინია. ჩემი ჰევა ბიბიაი მამნი ცოცხალ იყო. კუერცხი მეიტანა, მომადლა და იმან მომარჩინა... ძალღი ნაკბენზე, ლობიო ქი არი, ისნა განეთყო, მიაკრანა ლობიო, მუარჩენს.

საუბრობდნენ უსენი მეღეგოლღი (შოთაძე) და ჰასან მენშუროღი.

ტრაპენი

- გოგომან იცის გურჯიჯა. წუხელ გახსნა გოგომან ტელეფონი.
- მოპატინა ბიჭი ბურსას მყავს... მანქანის ბორჯი მაქვაო, მითხრა. დიდი ბინები აქვა იქა.
- ბორჩხაზე ენახლოს ჩემი სოფელია, ტრაპენი, „ტარახვი“ — თურქქა.

— გურჯისტანში ჩხუბინა ასწიოთ, გოსსა განყდება მილეთი...
— მაქვს სამყოფი ზეთუნი... ქალმა ნუხელი იძახის კარში... მიცნავს კარქა... კაცი მოკდა ზავალი, ქალი ცოცხალ არი... ჩემ ემიაშვილმა გააკეთებია ეს გზა...
— ნუხელი დაღამებულზე კარში ვიდექი. ჩამოვდენ პოლანდა თურისტები ჩემ კარში. დავაყენე მოსაფირათ. არ დანვენ ერთხელაი, მეგომ და ძმა არიან. იყნენ ჩემთან ერთი ჰაფთა... ახლანდელ მოზღებმა არ იქენ ესენი...

— აქვერი გზები უხმარია, გონჯია, ჩუენსას ვერ მიეტოლება...
— ცოლმაც მებევენბოდა, დიდ ბიჭმაც ყვირის...
— ჩემი ცოლი ენწინ დვენახე მის დასთან ტრამენ. იქნებოდა ჩვიდმეტი-თერამეტი წლისა. ლამაზი გოგო იყო, თმები გადაყრილი, თეთრი გოგო. აღირბამი ქალი იყო, მომანონდა, შიმიყვარდა. ერთმანეთი მიყუარდენ. ერთხელაი გაზდილი ვართ. ნადებზე ერთხელაი წვედოდით, ერთათ ესაქმობდით, ჰამა ქალებთან ახლოს ვერ მივდოდი. მალლა მუსაფირ ხანაში დამაყდუმლებდენ. ეიდა, რა მეტყოდა იცი? — რატომ არ ქცხვენიაო. სანქი შენი სახლი იყოს, მოზულე და ისე დაუდებო, რატომ არ ქცხვენია, გამოხვალ და ეიარუნეი აქაო... ჩემ ნუნე-ბაბოს ეცოდინებოდენ, სახლი კარში ბილა არ მეგიშვებდენო... იმის მემრე მე ნაველი ექსი-მუიდი კაცით იმის დაჭირვაზე, იმის (გოგოს) მოპარვაზე. გაველით დაჭირვაზე მათ სოფელში. ეენახის ქენარში დევმალეთ. თუთუნი კრეფაზე მოსულიყვენ უნდა. ზოგ გოგებმა დემინახეს, დაბეჭდეს. სამი ასე ვიჯექით, სამი — ისე. დარჩენ შუა ეერიში. იმათ, ჩუენა დემიჭირესო, ეგონენ. ეუთხარი ქი, გოგებო, რატომ გემინაია, თქუენ აგერ გზა, გეიარეთ, ნადით, ჩუენი თავი ვინმეს არ უთხრათ, დვენახეთ. იმის მემრენ მიველით ბახჩის ქენარში. მამის ბედავთა მააქ, ვენახში კოლინაზე (ქოხზე) დებებურანა, გოგოს ბაბოს მააქ. ერთიც იმა შევხედეთ, ჩუენ დემინახეს. აჯელე ნასულა სახლში. თოფი უუნეცია. მოვდა, ჩემ არხატაშ დაადვა თოფი: — თესლიმი გემიხდი, მოქლანაო. აქ შენ რა საქმე გაქო. იმის მემრე შევხედე, ქი ჩემმა ყარდამმა ამეინია ლივერი. ქვის ქუემ გადაედა: — ჩამეილე თოფი, გაქცვიოთაო, — უთხრა: — ჩამეილეფ, ჩამეილეფ, თუ არა, თან გაქცვიოთნაო. — ამის მემრე შევხედე, ქი, ეს ამანა მიკლას. მამნი გამოვანტი გარეთ. ჩემ ცოლის ბაბოს ეუთხარი ქი, შენ დაფიქრისავენ, ნაცოდნსავენ არა, ნორე სახლში ნადი შენ, საქმე გონჯი არ გახდეს. იმის მემრე ნევედა ისა. მემრე ჩუენ გოგო ვერ ვნახეთ, დამალეს. მოვდა მისი დიდი აბლაი, ჩემი ეენგე. მითხრა: — ჰასან, ეს რა საქმე დამმართეო. მე იმას ეუთხარი ქი,კაცნა მეეკლა, გევიგენი, მეეკლანა ჩემი სასიამარო, კაც ვუყვირე, ლივერი ჩავადებეი უკან-მეთეი.

იმის მემრე შევხედე, ქი რამე არნა იქნას. გოგო დამალეს. ავეექით, სახლში ჩამოველით. მეორე დღე ჯარი ვიყავი, ნაველი ჯარობაზე.

იმის მემრე ოთხ წელიწად ჯარობა ექენე. ჩემ დედემან ეს გოგო ჩემთინ გოგოს ბაბოდან უთხოვენია... მემრე ცოტა შეეშინდენ; გოგო მოქცემთაო, უთქმიოდენ. მემრე ჯარობაში ქი ნაველი, სხუას მიცეს, დანიშნეს სხუაზე.

ჯარობით მემრე მოველი მემღვექეთში. იმ ბიჭსა ვერ ნუუყვანიოდა გოგო. მე, ჩემი ძმა-მემედი, ორიც სხუა კაცი, ნაველით გოგოს სოფელში. გოგო ბალნების უკან ბალჩეში იყო. მემედიმან დეიძრო ლივერი: — ჰაიდე, მალე ნევედეთ, გოგო, მეგეიპაროთ უნდაო.

გოგოსა დუუყვირა: — მე იმდონი კაცი მახლავს, შენი სოფელი თელი გაჯანიავო უნდაო, ილლა ნამოხვიდენა, ნამოქყვენაო. ერთმანეთი არ დაეყლითო, ადექ, ნემიძებ წინაო. ხელი მოვდა კლავზე გოგოსა, ჩაარბენია ტყევიდინა ქუესკე.

იმის მემრე. ისე მალე ნეედენ ქი, დემეკარქენ. მე ჩაველ სოფელში. დეი, გათენებამდი იქით-აქეთ ვიარევიოთ. არ მოვდენ ესენი. გავუნხდით. იმას მეგერ, მე არ ვიცოდი, გველის ჩერმუქედან შამოველილან. ჩუენ ჯარები გავგზანეთ, ჩუენ გაველით ორმოცი კაცი ძებნაზე. ვერ ვნახევიოთ. მოველით უკან სოფელში. ერთიც შევხედე, ქი თორმეტი ქერე

ლივერი დეიყარა; გავაგენი, ქი ჩემი ძმა მოსულა. მაშინ ზორ გემიხარდა. მეგემ დემინახეს, მარა ვერ შემენიეს ჩუნა. იმის მემრე გაველი ემიას სახლში. შევხედე, ქი მოსულან ფეხშეღაი, დაგლილი, სისხლები დადენილი ფეხებზე. იმის მემრე გაველით ჩუნ სახლში. ზათი გათენდა მასობაში.

შევხედე, ქი ოცი თანე ჯარი მოვდა. უმფოსი გამოვდა ნინ, დეიძახა:

— პასან ბაგრამოლის გოგო მოუტაცნიაო, აჯელე ჩეგვიტესლიმეთ, თუარამ დევჭიროთ უნდაო. ბაბოიც მუხთარ იყო სოფლისა, ჰამა დიდი ნაცნობი კაცი იყო, ყადი ბაგრამოლი-ფუტკარაძე.

ბაბამ ჯარებ უთხრა: — თქვენ წადით, თავრობაში თქვენ დიდ უთხარით, ქი მე მოვალ. ბიჭი-გოგო აქ არ არიან, იმას მე გავაგენებიაო.

იმის მემრენ ჩუნ ნაველით სხუა სოფელში, ჩემ დასთან. იმის მემრენ თავრობისთინ უთქმინან, ქი ბაგრამოლი ყუელაზე ნაცნობი კაცია. ამ საქემს ბორჩხას თავრობა არ უყურავს. გამოვდენ ართენიში გოგოს თერეფი და მიმოქაეთეს. იმის მემრე, ხუთ დღეს მემრე, დაჯადუმლეთ ჩემი ცოლი ცტენზე, ჩუნეი ორი ძმა, ჩემი სიძე, ორიც ტაებში, ექსიენი ნაველით ქალაქში, ბორჩხას თხილაზორიდან, ჩაველით ქალაქში, ნაველით თავრობაში. ჩემ ცოლ გუუკითხეს, ქი: — შენ ზორით მი ნეგყყანეს, ჯოხსა შენ მი ნახველ?

იმან უთხრა, ქი: — მე ზორით ნასული არ ვარა, მე ნავეყვი ფემინო.

იმის მემრენ გოგოს ბაბაი ჩამოვდა, დეიჩემა: — ჩემი გოგოს მიცემული სიტყვა მე ჩემ ყურითანა გეგვონოო. არ დეჯეყარე, რიზით ნაყოლილი არ იქნება, ზორით ნაყვანილიაო.

დუუძახეს ჩემ ცოლსა მის ბაბასთან. ჩემ ცოლმა თქუა: — ჩემი ბაბასთან ქი მიმიყვანოთ თავრობაში, კისერი ქი მომჭრათ, მე თქუნეთინ ვერ ვიტყვი, თქვენ თერეფ ვერ დეკვავეფო. მისი ბაბოი მაშინ კარში უკან იდგა. გოგოს ბაბოსთინ უთქმია ქი თავრობას: — აგერ შენ გოგოს მოცემული სიტყვა, ესენი ნათქვამი აქვა, სხუა რამ ვერ გეტყვით შენო.

მის ბაბომ თქუა: — მენა გეგვონო ჩემ გოგოს ნალაპარაკევიო. ზოვლი კურნაზი კაცი იყო. იმის მემრე სამ წელინად ვიდავეთ. თავრობამან სამ დღე ჯეზა მომცეს ჩუნ. ართინელ თავრობამან: — ეს ჯეზა არ იქნება, დრამიაო. ზათი სამ დღეს, სამ თვეს, სამ წელნად იყო ჯეზის მიცემა. ჩუნ სამ დღე მომცეს, მარა თავრობამან არ ქნა. ჩუნ სამ წელნად მაჰქემეში ვიარევიო. იმის მემრე თავრობამან გამეიცვალა, ხალხ პარტი ნეიქცა, დემოკრატ პარტი იხიიარზე გეედა, ჩუნ აფი მომცეს. იმის მემრენ ხუთ-ექს წელნად არ შემირიგდენ ჩუნ. მემრე მისი ბაბაი ბარნის ხიდამ გადავარდნილი იყო. მაშინ მის ბაბოს ზათი შერიგება უნდოდა. მისი ანაი (ჩემ ქალისა) ზორ ჯეტი ქალი იყო. ორ თანე ხარმან ვერ გეინევედა, იმის ინადი ქონდა... ნეისა, ბოვრი ხევენეს მის ხალხმა, ჩემი სიმამრი ლოგინში წეეს, ავთ არი, ნეველი ხელზე ვაკოცე. მემრენ დედამთილთან მიველი, ჯეტი ქალთან. ხელზე ნაველე, ხელზე მეკეთხონა, ვაკოცონა. ხელ არ მაძღვეს!... ინეეს იქით. მის ზეგანმან უთხრა, ქი: — ბიბაივო, სირცხვილია, არ იქნება ასე, ხელი მიცენა სიძესაო. ზორით ხელი მომაცემია. ხელზე ვკოცნი, ქი პირ იქეთვე გადააბრუნა. იმის მემრენ სიძეობა გათავდა, ნაველი, მოველი, შემეჩვიენ ყუელაი. კაი სიძეი ვიყავ, მაღალი, ლამაზი, კაი დელიყანილი.

დედამთილსა მის ძალმან უთხრა, ქი: — ამას ხელ არ აძლევი კოცნაზე, ახლა ქი მოვა სახლში, თელზე ბოვრი შენ ძრუნავ დოდოფალსაკეთ, თელზე ზოვლი სიძეი გიყვარსო. შენი თუალის სინათლეაო. ამაზე გაგულნიანდებოდა დედამთილი, ჰამა არ იტყოდა რამესა. სიმამრსაც ზოვლი უყუარდა ჩემი თავი; ჩემზე სულ მაყრიდენ.

იმის მემრე ბაბოს გეეყვარე, აერი დაჯეექი, დაესახლდი. ჩუნ არ მინდოდენ გაყრა. მათ გუუყრიოდენ ჩუნეი თავი. დაენევიო ლამეში, არაფერი არ ვიცოდით. დილაი ადგა

ცოლი, ტირილით შიან შამოვდა. ვუთხარი ქი: — რა გექნა, რატომ ტირი? — რა რანა მექნაო. შენთან ჩამოველი, რამე გონჯობა არ მიქნია. ერთ წელნადაც არ გუუნია, გამყარესო.

დილაი ბაბოს ვუთხარი, ქი: — რატომ გამყარევით?

— შენ ნენემან ქნაო, — ბაბამან მითხრა. მაშინ დუუდახე ნენესა: — რა გინდოდა ჩუენიდან, რატომ ქეყრით?... იმანაც თქუა, ქი: — თქუენ სამი-ოთხი ძმა ხართ, გეყარევით, ისაქმავთ, ყველაზეფერი გეიკეთავთო.

იმის მემრე მე ჩემ ცოლ ვუთხარ, ქი: — შენ ნუ გემინია, ღმერთის ემრით ერთ წელინად არ გუუწევს, ყველაზეფერი ავათავაჲ ამ სახლში-მეთქი. იმის მემრე მე ქი გეყარე, ერთი მოზვერი, ერთი ფური მყავდა, ორი ყათიც ლოგინი დამხდა. იმის მემრე შევანექ საქმეს. ყველაზეფერი ვისაქმე. ალიშვერიში ვქენე. ფული მეგვე, დიდი ბინა გავაკეთებოე ტრაპენ. სამ-ოთხ წელნად დავრჩი. მემრე ეს ართვინის სახლი ევლე. იქავრობა ამ სახლის სააბს მივეცი, გუდუუცვალე, ფულიც მივეცი. იმის მემრე გამოველით ამ სახლში. ამ სახლში ნორე პირ რამე არ იყო. იმის მემრე დევწყე აქაზე საქმობა. სამი ოთახი იყო. ახლა მე ქუეში, დაჰა ქუეში გავაკეთებოე. ახლა შუიდი ოთახი გახდა...

ამის მემრენ ამ სახლის სააბის, კაცის, ქალმა მიშქეთა: — ჩემი კაცი დელი იყოო, სახლი ბედაჲ, უჯუუხათ აართუა ჩემ კაცსა ბაერამოლიმო.

მიმცა თავრობაში იმ კურნახ ქალმა. ორ წელნად მექემეში ვიარე. იმის მემრე ვუთხარი თავრობას, ქი: — ეს კაცი თუ უჭყო, დელი იყო, ეს სახლი რავაი უულია. ახლაც ოთხი თანე თავრობა ბორჩას არი, ოთხიც აქ, ართვინ, არი, მაადემქი დელი იყო ეს კაცი, თავრობამან ამ კაცსა რატომ აალებია ეს ამხელა სახლი-მეთქი, რატომ ეს საქმეები თავრობამან ქნა?...

იმის მემრენ ის ქალი ნეედა ექიმთან, კაცი დელიაო, იმის რაპორინა ეერთჲ. ის კაცი მაშინ გერჩექ ავათ იყო, ტრაპიზონის პასთაპანეში ინვა. მისი ბიჭი მოკიდებია: — შაიდ, ილია პექიმთანა გიციყანო, იქ რაპორინა ავართჲ, დელიობის რაპორიო. კაცსაც უთქმია, ქი: — შენ რა ლაპარაკობ, მე კაცსა სახლი მივეცი, მივეცი, საქმე გათავებულიაო. ზორც ანუხებული, ავადეელი ყოფილა ზავალი. იმ ლამესაც მომკდარა.

ჩემ ქალის ძმამან უძახის მეგემ იმ კაცის შვილი, ქი ჯენაზე ნეელოთო. შვილს უთქმია, ქი: — ჰაცხა უნდა ჩადვან, რათ მჭირიაო. უუწენია საათი, ფული, ფალთო, გამუუვლია, ნესულა.

— ფარებ ცუდეთ ნუ აჭმევ-მეთქი... ჩუენი გურჯები იყენ... ჩუენ დემეხსენითო, ასე უთქმან...

— ეს ბირინჯი ადგილი მქონდა სამსახურობაში... ამ სახლში შუიდი თანე შვილი გავზარდე. ყუელას ვაკითხე, დეავასხლე. შვილებში მუენდისიც არი, მასნაელებელიც არი... თელი ლამაზბე დალაგებული არიან.

...ახლა კიდენ ძუელი სებერი გითხრა... ერთხან, ხუთი წელია გასული ქალი რომე ჩემთან არი, ჩემ ცოლის უკან მის ბაბოს სახლში მივაღ, ცხენ ვუძღვები. ერთი შეეხედე, ქი გზაზე ხუთი-ექსი კაცი, სამი იმკენ დაუდომილა, სამი — ამკენ. გზა გუდუუჭრიან. ჩუენთან რანა ექნეს, არ ვიცი. მე იქეთკენ მოვბრუნდი, ფიშექი ლაშში მივეცი ლივერსა, ლივერი ხელში დეჭიხე. ჩემ ცოლ ვუთხარ, ქი: — შენ ნორეთ ცხენი გუუძახე, ნადი, პირ უქნისკენ ნუ მიხიხედავ, მე ქი მეველა, ჲა ისენი მოვკლა, შენ ნორეთ ბაბოს სახლში ცხენი გუუძახე, ნადი.

იმის მემრენ შეველ იმ ექს კაცის შიგან. შიშით შეველი, თუალები ასე გედმიბრუნდა, ერთი თუალი ზეით უყურავს, ერთი — ქუეით. გავაჭერ იქეთკე, მათ შიგნით, გევიარე. უქნისკე მოვბრუნდი, რამე არ მესხულონ, შევშინდი, უკან მოვბრუნებული ნაველი.

ჩემ ბაბას დუუფიქრია, ქი: — ეს კაცი მარტო ნეედა, ამას გზაში რამე არ დამართონ.

ჩემი სიძე ჩემ ფეშინ გამუგზავნია.

ამასობაში იმ კაცებ ცოტა გავანარი. შევხედე, ქი სიძემან უკნიდამ მიძახის: — ჰასან-ალა, დემიცადეო. — მე ზორ გემიხარდა. მემრენ იმ კაცებმაც, მათმაც, დეიფიქრეს, ქი რა კურნაზი კაცი ყოფილაო, ფეშინდენ კაცმან ცავსა, რა თეთბირი ყოფილა; კურნაზი კაცები ესენი! ამათ ფეშინე წასლით ჩუენ რამე ვერ ვიქთა...

ჩუენ ახლა გულიანათ მივალთ წინა. ეს ექსი კაცი მომდევენ. ჩემ ცოლის სოფელში მივასლოვდი. იმის მემრენ ცოტა დავექეთ. იმათმან მოვდენ, ჩუენ დანიდან გედვიარეს. ჩემი ბიბიაშვილებიც ეახლენ შინ; ესენი იყვენ ჩემ ქალის ნიშანლის ემიაშვილები... ეს საქმე ასე დარჩა...

...ერეგუნას და მყავსა. იმ სოფელში ჩემ გარედან ემიაშვილ ქორწილი ქონდა. ჩუენ მანვიეს, ჩუენც წაველით. ჩემი ბიბიაშვილები იმ სოფლიდან არიან... ახლა მე შიგან საჭმელი ვჭამდით ჩემ ხალაშვილების უკან, რახი ვსვედით. ერთიც შევხედე, ქი იმათმან ხანბერი შამომითვალეს, ქი კარში არ გამოვდეს, რაცხანა ბუყთო, ჩუენ ვიციტო; კარში ჰირ ფეხი არ მეიცვალოსო. ერთი ლაზი ბიჭი ჩემი მეზობელია ახლო იქა, ჰამა იმათმა არ იცნობენ. მეგერსა მოყრილან ისენი თელი, ჩემი დუშმნები, ჩემი ქალის დანიშნულის თარაფიდან. ერთმანეთ უძახიან, ქი: — ახლა შენ დაარტყი ჰასან ბაღრამოლისა, ახლა მე დავარტყამო. ჰამა გაბედვით ვერვინ ვერ ბედავს. ყუელაი მისათ ამბოფს: — დავარტყამ, ჰამა მომკლის და თქუენ ვერ მომარჩენთო. ენსონი ჯესათი ვერ უქნიან ანარცეთსა. იმ ლაზ ბიჭმა ჩემ მოზობელმა მითხრა, ქი ვინ არიან ამის მთქმელები, ე კაცები დამანახვა უზალიდან (ცოტა შორედან). მითხრა, ქი ამ კაცებმან თელმან შენთინ ლაპარაკობენ, შენ დაცხე, მე დაცეხო ბაღრამოლისსაო. ასე ლაპარიკში ჯესათი ანერთმა ვერ ქნესო.

მაშინ მე ქი შამომითვალეს, კარში არ გამოვიდეს, მოვეკლავო, მე ცოტა თრილი, ზარხონი ვიყავი; ზორიც ბოვრი გავგულიანდი, დევსავენ გავხტო კარში. იმათი თახუმი ბიჭები დვენახე, დევახე: — ვინ მამაძალია, ჩემთინ კარში არ გამოვდეს, თქვა. მალე მოით აქ, ბიჭები თუ ხართ მაგარი და ჰასული მომეცით-მეთქი. მათიდან იგზე წინ ერთი ბიჭი იყო. იმა შეუშინდა და დეინყო ქექეჯობა: — მე რამე არ მითქმია, მე რამე არ მითქმიაო და უკან-უკან წევდა. დანარჩენიც განიავდენ, გაძრენ აქეთ-იქით. იმის მემრენ იმათ თახუმან ჩემ ემიას უთხრეს, ქი: — ე ქორწილი ბაღრამოლისთინ გაკეთეთ, დოხსა ჩვენთინ მით. ემიამაც უთხრა ქი: — მე ენწინანდელი ბიჭის ქორწილი მაქ. ჩემი ქორწილი უგემურო არ გიმინხალოთ, მაგრე ნუ იყვებით, მე ქორწილი თელისთინ გაკეთებული მაქო.

მემრენ იმათ თარაფმან უთხრეს ქი, და ბაღრამოლინა წევდეს აქედან, დადა ჩუენა წევდეთო. ჩემ ემიასაც უთქმია ქი: — ბაღრამოლები ჩემი ემიაშვილები არიან, თქუენც ჩუენი დეგნები ხართა. ეს გონჯობა არ იქნას შუაში! მე ქორწილი თელისთინ გადაკეთე, ჰამა თუ ილლა ნახვიდეთნა, ჰაცხა გინდა, წადითო...

იმის მემრენ გედა ზამანი ბევრი; ჩემ ცოლის ნიშანლის გოგო რომე გეიზდა, ჩემ ემიაშვილმან ჩუენ სულალეში ერთი კაცისთინ გააქციეს, მოტაცეს. მისი ბაბოი (ჩემი ცოლი რომე ეთხოვნა უნდა, ის კაცი) ჩემ ემიაშვილ დუუკოქია, ხელ-ფეხი შუუკრია მისთინ, თოფი გამუურთმია ხელიდან, ბახჩეში უსხლია; იმის მემრე ამ კაცის გოგო ჭილავრიდან ქამილეთ თრევით ჩუუყვანიან, ჩუენი სულალედან ერთ კაცისთინ მუუყვანიან. თხუთმეტი დლე გოგო ავათ იყო, თავრობაში ვერ მეიყვანეს, დამალეს. თავრობამან დლუძახა, დეიჭირა სუთი-ექსი თანე კაცი, შააგლო ჩაქამი — ციხეში. იმის მემრენ ესენი შიგან იყენ. იმ კაცმან ესენი არ გამააშვევინა. ენსონ ბითურ ხალხი ფეხზე ადგენ, ეხვენენ ქი, შერიგდითო. მემრენ გოგოს ბაბომან თქუა, ქი: — ჩემ ხელში რამე არაა, ჩემ ემიაშვილებ უთხარიო. იმის მემრენ ამათმან არ გუუშვეს. სამ წელნად ციხეში იყენ. განუხდა მილეთი.

ჩემი ბაჯანალი მისულა, უთქვია ქი: — ეს რანა იქნას. ენსონი ბიჭები ციხეში არიან. გოგო თქუენთან არი, ბაბოს არ მიცეს.

ერთხან ჩემ ძმის უკან რახი სუემდენ. მეც იქ ვსუემდი. ვუთხარი ქი: — პუსეინ (მისი სახელია), ეს საქმე სოვნი რანა იქნას, შენ ჩემ ბაჯანალზე დაფესხებულხარ, იმას ხუთი ბიჭი ყავს, ბელქი ორმოცი თანე ნათესი ყავს, ბელქი ლაშიდან სისხლი ნაგაყრევიებენ, იცოდემეთი.

იმანაც მე მითხრა ქი: — შენვო პაჯიოღლებსაო ქალის ნიფხავი ჩააცვიო, შენი ნაქნარი ბოვრიაო, შენ სიტყუას ნუ იღებო. მეც გავგულიანდი და ვუთხარი: — შენ მაიმუნო, შენ თუ იმას არ კადრულობ, გეიხადე ერთი, ვნახო რა გაცვია-თქო... შევჩხუბენით მაგრათ.

იმის მემრენ ბითუნ მემლექეთი ფეხზე ადგა, ცოტაც შემინდენ. გოგო ჩუუთესლიმეს, ბიჭები ციხედან გამოვდეს. საქმე გათავდა. ამსოღა აქავერი ბაღრაშოღლების, ფუტკარაძეების ხებრები — თქუენი ფუტკარაძიები რა სოღ არიან, არ ვიცით... ჩუენა აქა სიტყვა კარქა გიმევა, რამეს ვერ მეტყვიან, გონჯი თუალით ვერ შემხედვენ ჩუენა...

— ჩუენ მომხარეთ დღესა... ცხვრები ნოყუყვანია ძოვნაზე... ვერ შაანრა მოსხრნა... ჩემ დედემან ორგზობ გზა მოუჭრა ლეღე შიგან, არ უსხლია თოფი...

— ესხულო, ვერ მოკლა, არ იქნება... ვერ მუუკლიოდეს... შუა აქეთ მეგერსამ... ჭანი ხლევებია... ზაათი არ მოკლიდენ ირემსა... თუ ჩუენ შემოიტყვეს, მომკლებენო...

— ხნარი გახდა ემაი... მინამან გამონია...

— იმათმან ჩუენ ორი გოგო მომცეს...

— ჩუენ მომკლესო... დედემან მუაკლევნია... არც ბაერამებზე ნეედოდენ...

— მისი დიდვანი დები სალი არიან... აქა ბოვრი მეფვა არი...

— ბზემან უყურავს აქევრობას... მაქალა (მაყვალი) ბოვრია აქა. ლეღეებში იქნება ბოვრი. დეინიფვის მალე... ყართოფილი მოდის. „ძირი“ ქობაქლებმა იციან, ჩუენ „ყართოფილ“ ვეტყვით... ესა იმხრი არი, „ენერი“ არ ქვია... შაიდან შემერჩიეს აქა?... საუბრობდა პასან ბაირამოღლუ (ფუტკარაძე), 69 წლის.

* * *

— თუთუნი მომყავდენ. ჩუენ მყავდენ ლაზები, იმათ ვასაქმედით, ბახჩა მიცეკედით. ლაზებ დრამი ქონდენ მულქი. ახლა ჩაიმ გააზენგინა ისენი. აქავრობის საქმე თხილია. სიმინდიც კაი იჯებნება. მარა თუთუნ ვასაქმედით. ჩუენ იერებ მიცეკედით ქირაზე. სიმინდ მარადიდდამ ევლებდით...

— სამსონ თუთუნი იყო, ერთიც არდანუჯ თუთუნი იყო, სხუა არ იყო... ფურო თუთუნი, იყო. პიპომი გამოდგება. ნარგილე თუთუნიც არი... უნინ ხარებით ვიქდით მოხნასა, ახლა იმფო თრაქთორი იჯება. დავეთესვორი ფიდეს. ბოსტანში ცხვრის გუბრე მუყაყრიდენ ლაზებმა, კაი იქნებოდა ფიდე ზორ... სირით დაარგებდენ. სივიჭით დაარგებდენ. ნყალ დუუსხემდენ. თენექებით დუუსხემდენ ნყალსა. სამარგელი გახდებოდა, გამარგლიდენ. დიფ თუთუნი იქნებოდა, იმა გაყყრევიებდენ, დიბუსტი. ბელთუთუნი იქნება, იმის მემრე თორულ თუთუნი. გეიზდა მი, ნუერებ ნაატეხებდენ. სირით მოტეხებ თუთუნსა. აასხმენ, თუთუნის ვაგონებ გააკეთებენ, იმაზე დაკიდვენ. დილაი ზიან ტაროსში გამეილებენ, გაახმებენ, მემრე ჰევენგი გააკეთებენ, იმას შუანყობენ თავანში, დაკიდვენ, მემრე თუელზე მინიდან ყუი ამოჭრიან, დიდი ოდის დონე, იქ დალობისთვინ ჩეიტანვენ. ერ-ორ დღეზე გაჩვილდება. მემრე ძაფებიდან გააძრობენ. იმას ერთ უსტამან (ვინცხამ კარქა იცის) გადაარჩევენ — ბრინჯი, იქინჯი, დორდინჯი, ჭრწინჯი. დემეთ დაანყობენ, მემრე დაიღნებენ, გამოხაფხულიანობენ იმას დენგი გააკეთებენ, აფრი-აფრი. მემრეც ნეიღებენ გაყიდვაზე. თექელში გაყიდებენ. ნახევარი ლაზისა იქნება, ნახევარი მულქის სააბისა... თუჯარამაც ნეიღებს; დარდა იქნება...

— თხილიც ბოვრი გუაქ. თხილი იქნება თხელყაბულიანი, გირასუნი თხილი, ყარმაყარიშული თხილი... გამოზაფხულდება, ეკალი გამოჭრი, გამოარჩევ, გამააფაქონა იშტა. აუსთოს თუეში მეითრევენება. მაქინაზე მისცემ, გადაარჩევს. გაფინავ, გაახმებ, მემრე ჩულებში აავსებ, ჩეიტან ფისქო ბირლუგში. იქ რამდუმან შეხედებენ, იმაგორა ფარას აართუამ, ფეშინათაც ვერ აართუამ... ახლა თხუთმეტი ბინია ერთი ქილო. ყაბულიანი ყიდის...

— უნი იყო სიმინდი. ადრე პური მქონდენ ათი კილო პური გავლენევდით. იყო ინგილის პური, პუნტაი პური, ყარაყილიჩლი, ზირათი, ... იყო ქერიც, ჭუაყიც იქნებოდა... ახლა აღარ ვთესავთ, ჰაზირ ვილებთ დუქანში გამოცხობილსა.

— ვინმემან არ შეხედებდა... გერი ბევრი მქონდენ... გარედან ავათავე სიგორთა ფარა. საქონელი ჰიჩ არ მყავან... ძე მუაქვან, ვლებულობთ ფარით...

— ადრე ზროხის თუჯრობა ვიჯებოდი. მემრე გავაგდე ეს საქმე. ახორი-მახორი ნავაქციე. მააქვან ჰაზირი ძე, სვი და იყავ... ლიტრა რძე ოთხი-ხუთი ბინი ღირს... ფარა ბევრი მაქვან, ვყიდულოფ...

— ჩუენი სულალე, ფუტკარაძიების სულალე რავაი დადნილან, იცოდე: ჩხალას მამანათ სოფელში ბათუმიდან, საფუტკრეთიდან, აჭარის აღმართიდან ამოსულან. აქ დამუდარან. ბელქი ორასი და ნახევარი წლის წინ. სამი ძმა ამოსულან. იმ მამანათში ამ სამ ძმას დიდი ნისქვილი ქონებთან. ჩუენ ფუტკარაძიებს წყალი უწყევტებდენ მეგემ ვინცხაები. იმათაც, ორ ძმასაც კაცი მუუკლან წყლის გულობინია. აქედან ორი ძმა ამდგარან. ერთი ტრაპენში ამოსულა, ბაღრაშის სახელიანი კაცი. მიოროიც ჭანეთ ნასულა, არტაშენ სოფელში. ახლაც არიან ემიაშვილები, ძლები მყავან იქა. ორასი წელიწადის წინწინდელი ემიაშვილები არიან, ჰამა ხისიმობა ძალიან იციან. ერთი ემიაშვილი ხნაინა, ასი წლისა, დადა ოთხმზობათხუთმეტისა იქნება. სოფადი უსტორილი, გურჯიჯა იმათ არ იციან, ლაზი გახდილან. მესამე ძმის თორუნი ჰალა ჩხალას არი. სოფადი ჰალა ფუტკარაძე აქუან. თურქულა „ფუტკარას“ ინერებთან. აქ ამოსული ქი ყოფილა ბაღრამ ფუტკარაძე, ბაღრაშის შვილები, თორუნები ბაღრამოლლები გაეჭვიდნენ. ჩხალას ადგილი კაი არ არი, ვერ გაზენგილებულან. აქაერები ზოლ ზენგინი ყოფილან, მომკლელნიც ყოფილან. ორი სოფელი მქონიან ხელში. ერთი დუშმნობის გულობაი ბათუმიდან ამოსულ ბოლქვაძეს წუულია, იმათებ მიეციეთ, მიეყიდეთ...

აქაერი, ტრაპენის ფუტკარაძიები ბევრი გახდილან. ჩემ დედეს დედეი მემიშ-ალა ყოფილა. იმის შვილი მემედ-ალა ყოფილა. მემედ-ალას ოთხი ბიჭი შვილი ყავდა, ორიც — გოგო. ერთი ბოლქვაძეებ მოუკლიან თოთხმეტი წლისა, სახლიც გუუქუციან. მემრე ჩუენებსაც მუუკლიან იმათიდან კაცი.

მემედ-ალის ოთხი შვილის სახელიც ეს არი: დურსუნ-ალა, ალი-ალა, აშმედ-ალა, მეელუდ-ალა... ჩუენი სულალე გაზდილა, დიდი სოფელი გახდილა. ბოვრი დღესაც აქ ზიან, ბოვრი ბორჩხას არიან, ბოვრიც შიგან თურქიეში არიან. ყუელგან კაი სახელი აქუან. ჰუქუმათში გაზდილი კაცები არიან. ალი იაშარ ბაღრამოლი მილიეთ მუდირია ორდის, მადენ მუენდისია ალი ბაღრამოლი სურმენეს. ფახირ მადენია აქა... ერთიც გირასუნ სიგორთა ბაშ მუენდისია. ერთიც, სეკრეთ ბაღრამოლი, იყო მილეთ ვეკილი, ყარაფოლების გენერ მუდირი.

ჩუენ ალი-ალას თორუნები ვართ. ხუთი ძმა ვართ. ბაბოი ყედირი ქვია, ემიაი — სადიყი. ხუთი ბიჭი ვართ, ექსიც — გოგო. ბაბას ორი ცოლი ყავდა, ორი ცოლიდან გაშენებულნი ვართ ამდონი. სამი ძმა, სამიც და ერთი ანადან ვართ. სამი ესენი ვართ — მემმედ ბაღრამოლუ, ჰასან ბაღრამოლუ, ქაზიმ ბაღრამოლუ.

— ბაღრამოლების ქალებიდან ნაკითხიც არიან. მუენდისი ფათომ ბაღრამოლი თრაპზონშია. ხეირიე ბაღრამოლიც თრაპზონშია.

— ჩემი, მემმედ ბაღრამოლის, ბადში, იაშარის ბიჭი ეზრუმ ჰექიშია არაშტურმა

პასთაჰანეში, მეჰმედ-ხალით ბაღრამოლი.

- ერთპირ ნაველით ეზრუმ.
- ჩხალას ფუტკარაძიებმა აღარ იციან ქართული. ცოტა-ცოტა იციან ძუელებმა, გენჯებმა ჰირ არ იციან. ფუტკარა ომერის ბიჭია ერთი ჩხალას, იმან იცის ცოტა-ცოტა...
- დედეი ჰემ სიზმარისავენ მახსოვს...
- კრედი გატეხილი აქ ართვინ... გაახდე ზარხოში და მისთვინაი იბრძვალოსო, — ამბობდა გაპერსებული.
- თელმა მიცნობან... ღმერთის უცოდველი შენ არნა შეგეცოდვოს...
- ყურძენი ბოვრი არი: შავი ყურძენი, თეთრი, ისტამბოლაი, შავი ადესაი, ჯინეში, შირა ყურძენი, რეზაყო...
- ლეღვი არი: ფათლიჯანაი ლეღვი, ლოფინჯირი ლეღვი, ორსმა ლეღვი (ორჯელ იქნება წელიწადში), ძაბრა ლეღვი, წინაკა ლეღვი... ბოვრი არი, გაახმობენ, ინჯირყური გახდება, ლეჩერ გააკეთებენ, ისე ჭამენ...
- ჩუენ ჰაზირი მჭამელი ვართ...
- სხალიც ბოვრია: ბელღევანა, ფეთვა, ხეჭეჭური, სხალთაფლაი, კორძული, ეჯემარმუღი, ბანგა, ბალარმუღი,...
- ვაშლებიც არი: დემირა, შექერ ვაშლი, გოლდემაი, ქვა ვაშლი, ბუჯურულა...
- ტრაპენის ადგილებია: ჩამახეთი, კალოვათი, ჭალეველა, ზელეველა, კაბადუცი, ვაშლოვანა, ზომო ტრაპენი, ქომო ტრაპენი, შალამეთი, გამორჯიკა, კონტიეთი, ასაბეთი, გაურდული, კასიურა, ჯიჯნალი, ნარვალელე (ხმელი ღლევა), ახალშენი...
- აქედან ჩანს სოფელი ნიგია, ჭოროხგალმაზე...
- ტრაპენში ასი ხანეა, კაი სოფელია... დეგეემოსაფირეთ ფუტკარაძიებმა... საუბრობდა მეჰმედ ბაღრამოლი, 70 წლის.

ვალაშენი

- ემეკლიზე გამოსლა, თქუნებურა პენსიაზე გამოსლა, თურქეში ადრე იციან. ორმოზდა ათი წლის კაცი აქა ემეკლი ხდება. სამსახურობა კაცისთვის ოზდახუთი წელია მეგუბერი, ქალისთვის ოცი წელიწადია. ემეკლი მამიც საყოფისი არი.
- გამოსლიხან ბოლო ფასის თორმეტი თუის დაჭირულიდან ბანაკში ერთპირ მოვა. იმა ეხმაროთ.
- მე მანავლებელი ვიყავი, თურქულ ენას, არაბულ ენას ვაკითხვებდი ილქ ოქულში. ოზდათორმეტ წელნად ვანავლე. ახლა ემეკლი ვარ. ხუთასი დოლარი მაქ ემეკლი მამაში. მანქანა ახალი ვიყიდე. ექსასი კილომეტრე აქ ჯერემთ გამილილი. ას ოთხმოზდა სამი მილიონი მივეცი მანქანაში, თურქის ფარა. იმის მოყრამდი, ათავებამდი თმები გიმითეთრდა... ართინში ვზივარ, ჰამა სახლი, მინა სოფელშიც მაქ... ვალაშენ სოფელში დიდი მინა მაქვან. ჩუენი სახლიდამ შუიდი ძმამა იკითხენ, სულ ყუელი ამ მინამ აკითხვა, მუჟარა. მეაც მამიდან მოცემული მინა ვერ გიმიდგია, მებრალვის. ვალაშენ სოფელში გარეთ-გარეთ ნამყოფნ მინაზე თხილი მაქვან, შიგან მინაზე — თუთუნი და სიმინდი. იჯარაზე მიცემული მაქვან მინა. ფულ მაძლევენ იჯარაში. თუთუნი მათთვის იკეთებენ, მათ ყიდვენ. ჩემი მეზობლები არიან, მინა არ აქვან მათ. წრეელ ერთი ქილო გახმობილი თუთუნი ორმოზდა ათი ბინი ღირა იყო, ასე გეიყიდა. ენ კაი სოხუმის თუთუნია. აქა სამსონ ბაფრაც არი, თუთუნის ჩემითი, ჰამა არ არი კაი, ბევრათ არ მოვა, სუბუქი გამოდის ფურცელი. სოხუმისა დიდვანი მოვა, ჰემაც აღირია. ბაბაი იტყოდა, რაჰმეთლი, სოხუმში თუთუნი იყო ბევრი, წვედოდით იქ და თუთუნ ვასხემდითო. ექსი-შუიდი წლისა ვიქნებოდი, ბათუმში ვიყავ. მე კახიძე მეტყვიან. იქ არიან ჩუენი ბიძაები. ერთი ძმა მოსულა ვალაშენ იქიდან და დასახლებულა. პუდუდმა

გაგვარიგა, დოხსა ერთი ქოქი, ერთი სისხლი ვართ. ახლა კაი იქნა, მისლა-მოსლა გაყოლაჲდა, ნათესებმა ნათესი, ჯიგერ-ახრაბა ნახა. მადლი საქმე იქნა, შუქური ვენათ, ღმერთ მადლობა მოუახსენოთ, მისი ბძანება არ მოგვიშალოს ამ მიწაზე.

სელამი ყუელას გურჯისტანში!

საუბრობდა შერიფ ოზთურქი (კახიძე), 66 წლის.



მაჭახლური მეტყველების ნიმუშები

ზედა მაჭახლის | მაჭიხლის სოფლები

აკრია

- რავი ხარ? მაჭიხლებ ვინებ ცნობილოფ?
- ჩემი შვილები ექსნავე გურჯიჯას ლაპაიკობს.
- მაჭიხლის სოფლებ რაები ქვია? — კერთვისი, ზედავაკე, ეფრატის, ქუბათიავი, მინდიეთი, აკრია. აკრიას ადგილებია: ველი, უკანატყე, მელასათიბი, ჯამი კარი, კონკალათი, ნაფეტუარი. ესენი აკრიას მაპალეებია. კიდენ არი ადგილები: თუმბული, ნაფთო, ჩიდილი, ცეცროი, ნაჭალვარი, კოდიმერე, დიდავაკე, ველის ბოლო.
- ეფრატის ადგილის სახელებსა მე დაგანერიეფ. ეფრატიდამ ვარ, მუჰამედ კოტალიძე (ავეჯი — ახალი გვარი). ესენია: ნამზიათი, ურწყული, ვაციეთი, კვატალეთი, კიბორეთი, სკილენჯეთი, ჩუგათი, ტრედაული, სათლელაი, ჭანჭალევი, ცოცხობანის ნყალი. ნყაროების სახელებიც არი: სათმინყარო, ხაჯინყარო, თეთრი ნყარო, შავანყალი, კეკვიდი...
- და მყავს ბათუმში, ადრე კუჭულაში იყდა. მაჭახლი ვართ. აინი სოფლიდამ ვარ.
- საჭმელები ბევრი ვიცი: ფხალი, ლობიო, მოხრაკული, დალში შემწური კუერცხი. ფილავ გავაკეთავთ, მაკარინასაც გავაკეთავთ, ფხალობოსაც. ჩილბური კუერცხით კეთდება. დალ დავნუავთ, ყორაოს ჩავასხამთ, წყალ დავასხამთ, კუერცხ ჩავატეხავთ. ნიორი უნდა, იმასაც ვიჯებთ. ვერ ვიგონიავ ბევრსა. ძეს მაშინამი დავატეხავთ, ყაფმალ გავაკეთავთ, სუთლ, ჰასუთას გავაკეთავთ თაფლით, შაქრით. ხორციტ სარმას გავაკეთავთ, ფათათეს შორვასაც. მინხაპაი — ფათათესი შორვა გაკეთდება.
- კაცის სახელი არ ნერეუდა... მე მევენარი... ეერი მისი ქონდა... ხომ არ ვიცოდი, ვერ გამაგნებია.
- ხოციტი ქოფთე გაკეთდება... ყიზართმაც ვიციტი. ფათათეს დავთლით, დალ დავასხამთ, მივეცმთ სობაში, მაკიდო, პრასა ვურთავთ, ხახვ დავანუავთ. ვიციტი დაპნი|ტაბუსუნა. ფეკილ მოვხრაკავთ, ხოცი მოვხარშავთ; მიეხარშვის, ფეკილსა ჩოურევეთ, ამოვკრავთ პანა ყორაოს, ნიორს, კაკალსაც ვურთავთ. იისე გავაკეთავთ ქათმის ჩოობასაც. ბრინჯით გავაკეთავთ, ხახვ, მაკიდოს. ვურთავთ.
- აგზეც ერთათ ვართ... სოფლებში ძუელებურ ფიცრის სახლებ გავაკეთავთ, ნაბლისა იქნება, ნაძვისა. სხუა რამისა არ იქნება, არ გაძლებს. ნაბლისა ორას, ოთხას ნელ გაძლებს. თხმელას დაჩიჩავს, დალპება. ფიცრით ვაშენებთ. უნინ იმა ვიჯებოდით, ხიზარი იყო, ახლა მოტორ-ხიზარია. ერთ საათში 50 ფიცარ გახვეს.
- რაები ჭირია სახლსა? — სოფს მისცემენ ბოლმეებში, შუაში ბოლაზე გავაკეთებენ. დაახვენ, ერთმანებ შეკრავს. თემელინა გამოთხარო მინა. თემელი გამოვთხარეო, ვიტყვით. ყორეს|სარხას, მესონ გავაკეთავთ. ყორეს დავყორავთ, ქირიმებ მივეცმთ. ეს დირეხტანია (ქვები), ყორეა. მემრე განვე ქირიმ. იმაზე ქოშიებ დაადგამ. ქირიმებ მეიარ. იმაზეც ერთ ყათ კიდვენ შამოდგამ. ორთ გააკეთავ, დასახურავ ყავარ, იადა საჯ დაახურავ. ქერამეთიც არი, მახასებია. იმით შეკრავ. მერთეგ დავანყობთ, ლარტყაც იქნება. სემერორთიც იქნება, ბორბალიც, ორკუთხეც. ოთხკუთხეც იქნება, ოთხი უმუზით, შუაშია ბაბადირელი. თავან ისე მეხმართ, ბელელ ოდიებში ვამწყრევთ. სახლსა აქ: მუთვალი, მოსაფირ ოდა, დასანოლი ოდიები, ქილარი. მარანსა მერეგ ვუძახით. მერეგი

არი თივის, ჩალის შესანახად ალაფისა. სახლსა სოხახი, დაზღული აქ გასავლელი. იქნაქეთიდანაც დაზღოლები აქ. ტანტრანასაც ვეჭყეთ. ბელელიც ადრი გაკეთდება, ზაირეს ჩაყრით, საქმელსა: უავე, ლობიო, დაფქვილი ფქვილი, გუაქ კოდობანიც. ბელელი გარეთ თუ გააკეთე, გოლბაში უნდა, გუალი, თაგვი რომ არ ევდეს. ბელის ფიცარი სქელა, ნაბლისა, იმას ვერ გაჭრის თაგვი. ზეიდან ყავარ ვაბურავთ. ნაძვი ხილამ გეიხდება.

ძუელბური ჯილღით ვხნავთ. ჯილღას უღელი აქ. ორი ხარი ნევენ. ჯილღას დაბამ. ჯილღას კინა აქ, კინა ატიალებს მინას. ჯილღის კინა სახნისია. ჯილღა საბლითსირეხითსუნჯირით გამეიბმება უღელზე. უღელსა ტაბიკები აქ. ტაბიკი თოკით შვიკრება, ორი ტაბიკი ხარის თავზე. გოროხი რომ იქნება, თაფან გავარუნებთ. თაფან ნენელით მოვქსოვთ. დაბამ ყულფებ, მუბამ უღელზე და გასწევ. გეიხრისება გოროხი. თაფანზე ორი ინსანი დაუდება. ხარსა „ოიშ“ დუუყვირებ და ნეკულით გააძებ. „ოოპო“, ეტყვი, დადგება. მოტიალეობინაც „მეიშ“ ეტყვი, „ოოქშ“ უკან მონეიხან დუუძახებ.

მაჭახელი სიმინდი დაფოსავთ, სახელები: ნეიტაი ზეგანში იქნება. თეთრი ალთუნაი ჩუენთან არი. ქრელია გარეულია ზოგჯერ. ქრელია არ გეყუარს. ლობიო არი ძირაველიც. ხაშარის ლობიაი ავა ხაშარზე. ორნივე იქნება. სიმინდი ამოვა, გასაფაჭი გახდება. ორჯერ გაფაჭონა. გამეჩხრება უნდა. ნამეჩხრაი გამეცტაიო, ვიტყვი.

— ინსანი კარქა ინავლის ერთ ენას... იქა აგზედამ ჩეხუალ.

— ჩუენი ძუელით მარტო ბათუმის ამბავს ილაპიკებდენ. ხიდი გექონდა ბათუმში ნასასელი, ძუელბური, ქვისა, კამარაი ხიდი. იმ ხიდზე მივდიოდით, ვბადრამოდით. აქედან არ გვიშლიდენ. ახლა ის ძუელი ხიდი ჩაყარეს რუსის ასკრებმა, ჩამატრიეს, დაანგრეს. გავლა-გამოვლა არ იყოსო. ჩუენ გეწყინა, ძუელებმა იტირეს. ჩემ ბაბომ ბევრი იტირა, იმ ხიდზე ბევრი ნავალი ვარო. ეს ხიდი სოფელ ქავთარეთის შუაში იყო, პატარა ლელზე. ქავთარეთი შუაზეა გაჭრილი. ერთი მეპეღე ჩუენენაა, ერთი იკენაა. იმ მეპეღედან ხალხი ააყენას. სახლები იყო, ტყე გახდა. ჩუენი სოფელი, აქეთაი თურფი ავინა. ჩუენში არ უუნევიან სოფელი. იქიდან არ უუნევიან, არ გუდუუსოფლებიან. პუდუდის ძირში ახლაც სახლებია, ხალხი. ზის. ჩუენებურ ქავთარეთში ქავთარაძეები არიან.

— გედ ისტამბოლში თუ?

— კიდევ ვილაპაიკო სიმინდზე? — სიმინდი ამეილებს ქოჩორ. ზეით ამეილებს სამნურალოს. ბაბაი, ნენეი იქავრულა ლაპაიკობდენ. დამნიფებას უკლია, შემნიფდესნა. იტყვიან, ოდოში სიმინდია, ჭყინტილი სიმინდიაო. დამნიფდება მი, მოვტეხავთ, გეგტანავთ სახლებში. გავარჩევთ, ქუნჩალს ნარცხითვინ შევენახავთ. დავზორავთ სიმინდ ტოკვეციო. მარცხული გუუშეებს. ხორხოტი დარჩება. იმა დავნუავთ. ხორხოტოც ქეია, ხირგუალიც. სიმინდს მოვჭრით, კონას გავაკეთავთ. ავანყობთ აღმა გახმობისთინ. ბულულოს დავდგამთ. მემრე ავასხამთ ზეინზე, ძროხებმა არ შეჭამონ, ტანებში ჩამოვკიდავთ. ქერებ დუუწყობთ. ჯერ გენინდნათ დეინეზე, მემრე მუუყოლებ. ზეიდან ენერ ნამოვდებთ. ნეიმამ არ ჩეიაროსო. ზამთარში დავანგრევთ, მოვშლით ჩალას. დანგრეივი, თლათნა ამეიტანო. სიმინდი ნისქელიში მიგუაქ. წყალი მოსულია არლიდამ. აქ ლურნე, ღარი. ლურნეს ქუემედამ გახრეტილი აქ. წყალი სერთაი, ზარფაი რომნა მიცეს, იმას ქეია კუშტულო. დაბმულია ლურნეზე. დაატიალოსნა ბორბალი. ბორბალს ფთები აქ. აქ ღერძი. ღერძი კინაა, ნამოდებული. აბრუნებს ზეით ქვას. ნისქელიში გახარევებულია ხარი. ქვის დასადებელია, სატიალებული. იმაზე ზეიდან ზეიმირია. სარეკელი დაბმულია. მისითნა იყაროს სიმინდი. ნამოსანეველი, დასანეველი ფეხი აქ. იმით და დაროხავს, და დალინგავს. ფქვილსა ამეღებთ ნიჩაბით, შიშისაა. ჩავაყრით ჯუალში, მივტანთ სახლში და კოდობანში ჩაყრით. საცერში გავცრით. ქეტო დარჩება. ჭადს გობში მოვზელთ ცხელი წყლითა. გამუაცხობთ კეცში. კეცი ორი ჩემიტი იყო. კეც კეც მუამხობდენ, იქში

გამუაცხობდენ. კეცის თენექას ვეტყოდით. იმა დავახურედით, ცეცხლ დავაყრიდით. ახლა ფორმალი სობა გამოვდა. ჭადთან კაი იქნება ნანუელი... პურსაც ვეღებთ.

მოდის მინიხაპაი, ხაპი, კიტრი, დომათესი, თაფლიჯანი, სურუნჯი (პირპილაი აღარ ვიტყვით). ბოსტანში ვთესავთ: ხახვი, შაშპრამი, ქინძი, მაკიდო, ნიორი, პრასა... ფხალი, თეთრი ფხალი... გავახმობთ ნარცხისთინ. მაჭახელში თეთრი არ მოდის, მარტო შავ დავრგავთ. იქავრობა ზეგანაი.

— თუ დეგენუა, იტირავ... საქმიდამ გამოიდა... კაცისთინ ვთქვით, ლამაზი ბიჭიაო... პიდავრი ხართო, დეგეგლაპაკია... ბორჩხაიდან იყო... უთხარ ქი, იმასაც ვანავლიო... ბაღანა ლაპაიკოფს, არ დევიწყაო...

— დუგუნისქორნილი ვიცი. ვაშლები ძალსაც იტყვიან, ახლა გელნის ეამბობთ. დეგელნო ვინმეო, ვიტყვით. ერთია რომე მე მომწონდება. თუ კაი სადოსტე კაცია, დოსტობას ვიზამთ, ელჩ გავავზავნი. შეილსა ვეტყვი: მე აშვალი დოსტათ მიყუარს, მე დამწონდა, შენ მოქწონდება თუ არა, ჩუმათალი დეინახე გოგო. ელჩმა უთხრას ქი, აშვალს დოსტობა უნდა, შენი გოგო დეიგელნოსნა, თუ ცნობილავს საიბი. ისიც რაცხას ეტყვის: — დეფეიქონა, ათი-თორმეტი დღე, დახოთ ერთი თუე მუსადე მომეცო. მოხუალ, გაგანებია, შეიძლება თუ არა.

ერთ თუეს უკან მივა ელჩი კიდვენ. ადეთი არი, რომ ერთ-ორ მისლაი არ მიცემენ. მესამეთნა მივდეს ელჩი. დღეები შერჩევილა: კვირა საღამო, დადა ჯუმა ღამე. ნიშანი მიგუაქ, დეგელნოთნა. ადეთია: ბეჭედი, ბილეზუგი, ბეშბილი, ზენჯირი, ქუფიბიისუ-რსაკიდი. მაგათ მოქთხოვენ, გოგოს საიბი მოქთხოვს, მიეჭურია. ყალანი ურბა, რაც გინდა, ეილე შენ ძალისა. ისინი ილანა უულო. ეს იქნება დანიშნა. გადანყვეტენ, როისნა ნეიყუანო გელინი. გადანყვეტა ქორნილი დღე. ნაყუება ბიჭიკუთხიდან დადე ერთი ან ორი. მაყარი იქნება 15-20 კაცი. დუგუნ იქმენ, გოგოს სახლში ნეიყუანებენ. მაყრულა სიმღერას იტყვიან. სიმღერით მიიყუანებენ კალოზე. ნეხუალ, არაბა თუ არი, არაბით, თუ არა ცხენზე... სკიერ დუუდგმენ დოდოფალსა, ჩამეიყუანებენ ცხენიდან სკიერზე: მამამთილი შექერ, ფარას გადაყარის თავზე. იქ ბაღნები დაკრევენ. ჩამეიყუანებენ, მაყარი ოღამი შეყუება. პანახან გეისუენებენ. იმას მემრე მაყარი დაცლის ოღას. დოდოფალ დაყენებენ ქოშეში. დახურვილი აქ თავზე, ფეჩე ახურია, ჩარჩაბზე ზეიდან ფეჩე. ახლა ჩარჩაბი აღარაა. თუ ცხენით მიდიან, მაშინ აცმენ ჩარჩაბსა. ფეჩეს მოხდიან. გოგოს ძმა იმ ფეჩეს ახდის; იმის გადასახდელი ფარაა, იმა მიცემენ. ი დოდოფალი იდოდოფლებს ქოშეში. ართუხ იმღერებენ, ისამებენ ადრი ოღამი ქალები, კაცები. გათენდებს, სადილსაც ჭამენ. სადილობა უკან გოგოს მაყარიც, ბიჭის მაყარიც დეიპანტის.

ქორნილის საჭმელი თეელი არი: მოხრაკული ენ წინ, ხოცი ბოლაი, ქოფთე, ფილავი, მაკანიანი, ძიანი შორვა, სუთლი, სინორი, ქათამი, ბაქლავა, ყათმერი. მეითხოვენ სუფრაზე ადრი-ადრი საჭმელებ, დეიკავენენ სუფრას. მეითხოვენ ქათამს, ბაქლავას. მუატანიებენ. ვი-შახავეთო, იტყვიან. დადე ქი ახლავს, ისიც მეითხოვს, ნეილებს სახლში... მაყარი წასლიხანაც იმღერებდა. მაყრულ ეტყოდენ, შეიძოცას ეტყოდენ. იმღერებდა ჩემი სიმამრი მის ემებთან ერთათ. მამული მოფრინაძე იყო. ერთი კიდო იყო — ასანჯანაი, ყაფნი ყავდა. იმისი გუარი არ მახსოვს. კოტხოლოლი დაუთაი იყო კორტიძეებიდან, პუსენგანი იყო, რეშითაი იყო. ცოცხალი აღარ არიან. მარტო ჩემი სიმამრია ცოცხალი... ახლაც იმღერებენ, მარა ძუელბურა აღარაა. მუზიკაი გამეიტანეს, დახოთ ისე ჩაღლებია და?... აღარ იმღერებენ, წინწინ სიმღერაზე სამა იყო, „შამილ“ ეტყოდენ. გელინი მიყუანინხან სიმღერაებისა არ მახსოვს... ჩემ სიმამრმა სიმღერა იცის ლობნაი:

**„ჩემო გამზდლო, ლობია,
რაფრათ თამაობ ქოთანში,**

ადრე ხაშარი დიგისე, ლეკა მიე ზეცაში,
ბოლოთ რათვინ მიღალატე, ლამით გამაშუენე კარში“.

- ფილიზებე მიცემს და? იმა ქვია ლეკა, ლერნ ვეტყვით იმას...
- ამან კიდენ კაი იცის. ბეერი ვერ ხლომილობენ... რა ყოლად ნერავს?...
- სახელებიც მომაცოდინე, იმათ ერთაი დაქმაიჯო...
- იქილამ ვერ დენინახდა... გალმითნა შეტიალდე... ამეიყუნან ჩემ ემიაშვილმა. ერთ საათ ანჯახ დაჯუდუმლი... ერთ თუეს რზნ ავართმიდი... საჭმელ გააკეთებიავეს ქალბსა...
- ჩემი სახელია ულფან... ეს მურღულუს მერქეზია. მე აკრიილამ ვარ გადმოსული, გადმოსოფლებული.

— ბრძანება შენი! მაჭახლიდამ ვარ, აკრიის სოფლიდამ.
— მაჭახელში ტყე არი. შიგან დაბანი არი. „ნადირი“ არ ვიტყვით. დათვი არი, ლორი არი, ტურა, მარჩი, სხუა დაბანი. თათარძენა არი, კატას გავს, ხიდამ ხეზე გუუხტება, ყავი!... ტაეშანიც არი. „კურდელი“ არ ვიტყვით, არ ვიცით. „ნადირობა“ არ ვიტყვით, რას ქვია?... „ავგაპი“ ვიტყვით. ავგაპი ნევალო. ლორებ, გელებ მოვკლავთ თოფებით. იშტა იმათ მოვკლავთ.

ავგაპი ყოჩაში თოვლში ყოლადა, თოვლში ვერ გარბიან... ნეველით ათი კაცი მოდრევილას. მოდრევილი მერეთის ნინედამა კაი ტყე არი. ნაძვი ძირში დათვის კუალი მისულიყო. მეგრემ სამი არიან. ჩემ ემიაშვილმა ერთი თოფი მომცა: — ედი, ესროლე დათვებსაო. იმ ნაძვიძირილამ დათვებმა ასე გადმოსტენ. ჩუენ მოვკლათო. კაი თოფი არ მომცა. თოფი კაი რომ არ იყო, გეველი იქით, დავასე თოვლში. უთოფო ნეველ. ეველით ნაძვი ძირში. დათვმა გამომესხრიკა, დევაჟანა ჩემი თავი. ქუეილამ ჩემ ემიაშვილმა ესროლა. ერთი მოკლა, ორმა გეიქცენ. გალმით გუუნრა, ისინიც მოკლა. ჩამუელით ქუეით. თოფი ხმაზე კიდენ ამდგარიყვენ დათვები ბუნჯადამ. იმ დღეს რვა დათვი მოვკალით. დათვის ტყავ მეეტანთ, სახლებში არი... დათვის მოკლა არ იყო დასალი. კიდენ არ არი დასალი. შუელ არ მოვკლავთ, ცოდვა არი. გარეველი თხა არი ტყეში, ქიებინი. იმათ მოვკლავთ, ხოოც ვჭამთ. იმათი ხოოცი გელი თხაზე გემიელი არ არი, უქონო ხოოცია... ერთხან თხა დაიარაღდა ავგაპი დროზე. ერთ არხატაშმა მიედა, დაკლასნა: ქაზე ხელი მოდვა. იმან გამეიქნია თავი, ყაფდამ გადაადგო არხატაში. კლავი მეიტება.

ვაბნებიდამ მოკლა შუელისა ცოდვა არი. დასალი არ არი მარა, ცოდვაა. — ძუელი სახელები თუებინა? — მასხოვს: ზეშპერი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ქირეზაი, ჩურუგაი, მარიობაი, ენკენაი, ნიფობაი, ყოჩაი, ყარაყიში. ზამთარში დათვებსა ბევრ ვკლიდით.

— აკრიის ძუელი გუარებია: მოფრინაძე, კორტიძე, ციენარიძე... თიების სახელები: ჭვირპია, დევთობანი, ნაჭიმკრედი, ნალობავი, ფაფართი, მერეთა, ლეკობანი, ფუნდუხლი, ჭურმირანი... კიდენ არი ქუაბითავი იაილა, ეფრატის იაილა, ჩიქუნეთი თა, აჭარისკორდაი, ნადარბაზნევი.

— ჭუდუდი რომ ჩეიჭრა, ჩიქუნეთლები აღარ გამუშუვეს. ჩიქუნეთი თა დარჩა აქეთ, ჩუენკენ. დევთობნის იაილა არი აჯარიკორდაი. ესეც აქეთ დარჩენილია. ნადარბაზნევიც იქეთავრი ხალხის იაილაა, ახლა აკრიის იაილა გახდა, აჯარის ხალხისა იყო წინწინ. თავე ერთათ იყვენ ხალხი. შეიყრებოდენ თავზე ერთათ შუამთობიხან. ჩუენი ხალხი ახლაც ადიან შუამთობაზე. აფნი ძუელბებურაი არი შუამთობა.

— თავზე გარეველი ფხალი ბევრია, თის ფხალა. მემთევრები კრეფენ, ფხალ აკეთებენ.
— ძუელ გუარებ დენევალი და გეტყვი. ძუელი გუარები ჰემენ-ჰემენ დეივიწყეს.
— მინდიეთის მეჭალებია: ციენარეთი, ზეკალეთი, ოსანეთი, ნათლავი, შარაქუეში, გუჯარეთი, ქუაბნური, კორტანეთი, ჯოფეთი, ირემეთი, ზემტყისი, ზემზუარე... ხერთვისისა:

მალაყმითი, თევითი, შაჰანყადა... ზედვაკესი: ქავთარეთი (ნახევარი ჩუენია), გოხინავრი, ნამალევი... ეფრატის მჰაპლეებია: დამზირათი, ურწყული, ტრედავლი, ჩუგათი, სათელაი, კვატალეთი, ვაციეთი, ჭანჭვალევი. ქუაბისთავისა მარტო ნაგომვარი მაგონდება.

— ჩუენი გურჯები ბევრ ვერებზე უდარან. იზმითან ახლოს ერთი დიდი სოფელია, აჯარა ქვია. ამ სოფელში ჩვიდმეტი ათასი გურჯი ყოფილა. ჩუენებურებმა რა თქმა არი — აჭარელი, გურული, იმერელი არ იციან. ესაა ახლა და ახლა გევეგონეთ. ჩუენა გურჯი ვართ დღე, ეს ვიცით მარტო.

— ჩუენ თერეფაც ბევრია გურჯი, ყარს და ერზრუმ ჩასლამდი ჩაანევეს. არდაჰანში ბევრია გურჯი სოფელი: ჯარისხევი, სამოთხევი, შოლტისხევი, თურუზხევი, კუტიტყე, ჭოლიტი, დუბეხევი, აგარა, ხევათი, ნანუშფარა, ჭაკოლთა, ბადელა, ნინსათიბი, ვარხანა, ყველი (ყოლი), ნაქალაქევი, ვარდოსანი, ნურბალიწურმალი, ნურწყაბი (სუსქაფი), ჯინჭროფი (სუგოზხევი)...

— თუ ვიცოცხლე, ჩამოვდენა ბათუმ. მერი მყავს და, იმასთანა ჩამოვდე, თქუენაც დიგინახე ინშაბლაჰ! კიდენა დაქაიჯოთ. თქუენიდან ბევრი ხალხინა გევეცნათ... მე ძალიან მადლობებუ ვარ. ზაათე ამფერ შუებ ექმეფდი... ღმერთმა კარქობით გამყოფნოს... თქუენც კარქა გამყოფნონ.

საუბრობდა ულფან ქოსე (მოფრინაჰე), 55 წლის.

მინდიეთი

— მინდიეთსა ახლა მარალქრე ქვია. გამოუცვალა პუქუმეთმა ძუელი სახელი, გურჯული სახელი. მარა ყულამ ვიცით ძუელი გურჯული სახელი; გენჯები რაგუარ მიქცევიან, არ ვიცი. დეიმასხოენებენ პერალდა ისინიც. არ დეიკარქვის გურჯი სახელი სოფლისა.

— მაჭახელიწმაცხელი მოდის მაჯახელიდამ, მაჯა და ხელი ერთათ ხომ გაგანგებე, ჰა! მაჯახე ხომ ხელი ტევენია მობმული თითებით, ისეა მობმული მაჭახლის პირზე (ადგილია. იქ ერთმანებ შეეყრება ჭოროხი და მდინარე მაჭახელა), მაჯახე, მაჭახლის ღელეები და სოფლები.

— დევწყოთ ჩამოსახელება. მინდიეთის ღელე მოდის ყელობა თის სერებიდამ. ჩამეიარს თა ყელობას, სოფელ აკრიას, სოფელ მინდიეთს, სოფელ ირემეთ, ჩამუა ხერთვის. აქ შეეყრება ეფრატის ღელესა. ეფრატის ღელე გამოვა ჩიქუნეთის თის სერებიდამ, ჩამეიარს გორგითი იაილას, ჩამუა სოფელ ეფრატში, ჩამუა სოფელ ქუაბისთავე. გაღმა სოფელი ზედვაკე ჩება. ხურთვისში შეიყრებიან ეფრატის ღელე და მინდიეთის ღელე. ხურთვის სოფელსა დანიდამ ჩამუარს სამძლუარი ჩუენსა და თქუენს შუა. ღელეები რომ შეიყრება, ორას მეტრში სამძლუარია. ხურთვისის სამი კუამლი თქუენკენ დარჩა. ისენი თქუენ პუქუმათმა გადაამოსახლა. ხურთვისიდან სამძლუარი გეიარს. თქუენ თერეფ ჩება ქავთარეთი, სამძლუართან ენ ახლოს არი. მემრე მოდის საფუტკრეთი, მემრე მოდის გორგაძეთი. თურქიეს თერეფზე ქავთარეთის გადაღმა, სამძლუარ გადაღმა, არი სოფლები — მალაყმითი და ზედვაკე. თქუენ პუქუმათმა გადაამოსახლა სამძლუართან ახლოს სოფლები — ქავთარეთი, საფუტკრეთი, გორგაძეთი. ესენი ჰამანქი ბითევი გადამოსახლებული ყოფილან სოფელ ჭარნალში. იქ ენახე ხისიმ-ახრება მე. გორგაძეთის ერთი ადგილის სახელია ქვითირი.

— სამძლუარი ამ კაცის ერდოში გადის, აა!

— ორმოზდაათი წლის წინ იმფო სუფთა იყო ქართული ენა ჩუენსა. ოქულები რომ გეხსნა, თურქა შამოვდა. ბაღნევი თურქჩას სწავლობენ ოქულებში და გურჯიჯას აღარ ეტანებთან. ნორეთ აღარ მივა საქმე.

— ხერთვისის ადგილებია: თევითი, მალაყმითი, ყულე. ყულე ციხეს ქვა. გერჩე ქიხა, შამა სახლათ არი გადაკეთებული. კანჯარავლი ყანა ხერთვისის ადგილია.

— ჩუენ ლაპარაკში თქუთუქ არი ძუელი სიტყუები. ახლა ვერ მომიგონია.

— მინდიეთის ადგილებ თლათ მოგითლი: მაპალეებია: ირემთი, ზეკალეთი, ქავთარეთი, ოსანეთი, გივიეთი, ცეცხლეთი, ზემტყისი, ველი; ჭელი თავი (ესა მეზრეა), ბოსტანი (ესაც მეზრეა), ზისპირი (მეზრეა), ნუერისსაყენი (დიდი სირთია). ახლა ყანა-ჭალისა ვეთუთა: ზურნაჯოლი ყანა, ფეპლულა ყანა, გონთი ყანა, ხიდთავი ყანა. ახლა გეველით გაღმა კუთხეს. მეთუნოლლების მაპალე, იმის დანზეა ზეკალეთი, გამრეკული ყანა (დიდი ყანა არი), საჭინკურაი, ნაბელლავი, გუალყანა, გრძელყანა, დედაბებრათი, ზემზუარე, უყვი, ღმალელე, თა არი მერეთა. აქედამ ჩახუალ ივეთ. ივეთ შუა და მერეთას შუა არი ფაფართი.

— იმერხევ და ჩუენსას უდავიან სამძლუარზე, მინებზე, თებებზე. ჩუენსას ხერხი უხმარია. ფოსტალში ჩუუყარა ერთ ხოჯა კაცსა (ვისი სიტყუაც დეითლებოდა, დეიჯერებოდა) მაჭიხელის, მინდიეთის მინა, ასულა ფაფართზე და დუუფიცებია: — ჩემ მინაზე ვდგავარო, ღმერთმა დეინახოსო. ხოჯის ფიცი დუუჯერებია ხალხსა და ნახევარი ფაფართის მინა მინდიეთისა გამხდარა. ისე მინდიეთისა არ ყოფილა. იმერხევლები დუუტყვილებიან ამფრათ. რათ უნდა განა ტყვილი! ეს ტყვილი დუნდა ყუელას ეყოფა.

— ენ სონ მაჭიხელში სოფელია აკრია.

— მერეთს ასლამდინ ბევრი ფუნლარია, დიდლეუა. აპადა მიცყეთ: ბორბალას გეველით, იქიდამ გეველით ჭალაზე, ფესვინყალზე გეველით, ნაძვილ გეველით, ნითლობი, დიდქუა, ახალ გზა გევიარეთ, ჰემ ვეველით ყელობაზე, მიველით მერეთამი. გაზაფხულზე ჩამოით და გარუნიო ამ ადგილფუმი.

— ჩუენი ძუელითი, ქრისტიანები ყოფილან. ჩემ დიდ დედეს ერქუა გივი. იმის აქეთა დედეს ერქუა მუთიაი, აქეთას უსაალი, აქეთას მეველუდ დედეი. ნენიების სახელები იყო ელმასაი, ზეციეი, აიშიე.

— მინდიეთის გუარები, სოფადები არი: ქავთარაძე, ციმნარაძე, კორტანაძე, გივიეთი, ირემაძე, მიმინაძიები, მალაყმაძიები, გვიანიძიები, ფუტკარაძიებიც გიმიგონია. ქედიდამ არი გადმოსული ერთი ქათამაძე და ერთიც დუმბაძე.

— ჩუენზე მოწრა მუიმი არ არი.

— ჩუენა, გურჯი, ქართული ხალხი, ძალიან კაი ხალხი არ ვართ. სხუა ნესლის ინსნის შებრალეა არ ვიცით. ქომო ქურას, სერობაზე ერთი ყერიბ მეზელულია. იქავენ ორი დირელი რომ ასვია ახლა, იგზე გურჯების ყარაყოლი იყო. მადენის ფაფრიქაში რომ ესაქმობდი, ერთმა აქავრმა კაცმა მელაპარაკა. სამოზდათერამეტი წლისა იყო. ფეხის დიდი თითი მოჭრილი ქონდა. იმანა თქუა, რომე აქაო გურჯების თავრობა იყდაო, ნიკოლას ზამანშიო. ერთი ქურთი კაცი იარებოდა, ერთ ღამეს ჩემთან დადგაო. დილით ჩეველით ქალაქშიო, საღამოზე რომე ამევიარეთ, გურჯის ასკერმა დაგვეყენა და გაგვიითხა. იმ ქურთსა მიადგა, გურჯიჯა რატომ არ იციო. რა ექნა ზავალ ქურთსა, არ იცოდა გურჯის ენა. შენკიპა ასკერმა თოფი და იქავენ გააგდებია ქურთსა სული, ჩემ თუალეებ ნინაო. ძალიან შემეცოდა კაცი, თუალეებიდამ წინწკლები დავყარეო, შამაც შემემინდა, ვერ გამევერსარჩლე, მეაც არ გამაგდებოის აგზე სულიო. იმ ქურთის ყერიბ მეზელულს ევიარ-ჩევიარ ჩუუკითხოვ დუასაო. კაი ხალხი არ ვართ, არა. ახლაც ძმა ძმასა კლავს გურჯისტანშიო, გვესმის. ესა ძალიან გონჯი ადეთია. ჩუენა თურქიეში ვართ, შამა თუალეებში ვერვინ ჩაქებედავს. გურჯი ვართ, მარა ჰუქუშეთსა ჩუენი თავი არ გუურჩევია არასდროს. ჩუენებურ ჰავას ვუკრავთ, მეტი ყიომეთი გუაქ სხუა მილლეთში.

— მე ასე გითხრა, დობილო! თავრობამ ცოტა ჭრელი კიბილები თუ არ გამუაჩინა,

ქირდათ ეილებს ჯაპილი ხალხი და მის თოკზე დენიყებს სამასა. გურჯის პუქუმეთსა, თქვენ პრეზიდენტოს ზვიად გამსახურდიასა, ასე მესმის, ეს აკლია მარტო...

— ჩუენსა ოქულების გამოსლამდინ სუფთა გურჯულ ვლაპარიკობდით. ოქულებში რომ ნეედენ ჩუენი ბალნები, თურქჩაზე გედეიქცა მათი ენა. ორეთმენები ყვირიან, ბალნებსა გურჯიჯა არ ელაპარიკოთ, მემრე თურქჩა ნორეთ ველარ ლაპარიკობენო. რა საქმე აქუან ორეთმენებსა მუტი, ნელ-ნელა ანავლონ, ორ ნელნად ანავლონ თურქჩა ლაპარიკი, მაამ რაზე აძლეც აბა პუქუმათი?!

— რა სოღნა მეთქუა?!

— პო, ფანჯარჯობა ქვია ჩუენსა მემზლიანობასა. ფანჯარჯი მეფხალეა, ფხალის მომკრეველი. „ფანჯარი“ თურქჩეა, გურჯიჯა იქნება — ქარხალი, ფხალი, თიფხალაი. თიფხალაი თიებზე ამუა. მესხუზ ნეევენ თიფხალაზე, ერთმანების დასანახველაი, სასეირებლაი. თიფხალაი ძალიან გემრიელია. გაანმობენ ზამთრისთინ. თიპრასაიცი არი. გერჩეჲ პრასას გავს. ერთიც არი კოდვენ, კორდებზე მოვა, ჩიჩეგია, ყუაელი ჩაი. ადნი ჩაისავენ სუამ. ნამალაია, შინა ალეთებში მიცემს ძალას, გაასალამებს. ზოგ გერზე იქნება ნითელი, ყვითელი, ძალიან გუნეშიც — თეთრიც იქნება. იმასა მოკრევეთ, გავახმოთ, შეენახავთ.

— მეგვა ბევრია ჩუენსა. სხლის სახელებია: ხეჭჭურაი, ყურნკაპაი, სასელია, გონივრაი, წარაი, ბალის სხალი, სხალთაფლაი, ყვითელია, ბოქშუაი, თავრჯული.

— ვაშლიც ბევრი იცის: ბალი ვაშლი, ყირმიზი ვაშლი, აჯარულია ვაშლი (აჯარიდამ არი ყალიბი ნალეხული), დეიმირალმა. ამასია ვაშლია გამენებული ახლა ექსერი. ამასიაში მოდის ძალიან კარგი ვაშლი.

— ხუმრა, ლეგი (თეთრი, შავი, ორმოსავლაი) ბევრია, ბალიც არი — თეთრი, ახიზურაი, კახამბალი, შავი ბალი, ვიშნე ბალი, ბინბალი.

— ქლიავიც არი და ოტურიცა — ტყუბაი, თეთრი ქლიავი, დოდოფალ ქლიავი.

— ტყეში არი თელა, ცაცხვი, ნაძვი, ნიფელა, შეკრი, იელი, სოჭი, იფნი, ძენნა, ურთხელი. დაბანიც ბევრია: თხა, ირემი, ჯიხვი, ტაეშანი, კოდენ სხუა — მელა, გელი, დათვი, ფოტვერი. „პურდელი“ სიტყუა არ არის ჩუენსა, არ ვიცით, „ტაეშანი“ ვიტყუით.

იშხანის ქილისე იუსუფელშია. იშხანის ხალხი ჩუენ აჭარლობას გავს. თორთომელი თურქები მოსულან და დამუდარან იქა, პამა ხალხსა რომ გადაათვარიელებ, მიხედები, ვინ არ თურქი და ვინ არი გურჯი. პირის რენგიდამ გამეიცნობ ხალხსა. ქუმბათები დანგრეველა ქილისესი, სხუა დგას ფეხზე. შამუტუცია იშხანი ხალხსა. აქავრ გურჯებსა გურჯული აღარ ახსოვან, ცოტა-ცოტა სიტყუები შერჩენილა იმათ ენაში გურჯულისა, თურქჩეზე გადაქცეულა.

— გურჯი სოფლები იუსუფელში ბევრი აღარ დამრჩალა. ქუბაბქი და სარიგროლი სულ გურჯია, გურჯულა ლაპარიკობს: ათი თანე ამხანაგი მყავს იქა. ძალიან ყადალულია იქავრობა, ზაფხულში ზოვლი ცხელა.

— ერთი კაცი შემეყარა იქავრი... იმან გემიგონა... ენ წინ ორასი ბინი ითხუა, მემრე გამუაგდებიე ფეათი, უჯუზათ ევლე...

— ბორჩხას ჩამოდინ გურჯები, ყიდიან რაცხაფუსა, იმათა ზოვლი ვეხმარები. სასადილოში ნეგიყუანო-მეთქი, ვაიჯავ. პამა ვერ ტევენ ემდასა, ვერ მომყუებიან. ნევაღ, პურ მუუტან, ჩაის მუუტან. იმნაირი მიყუარს საქართუელი, რომე არ ითქმის... ეწყენულობ იმაზე, რომე საქართუელის საქმე ნორეთ არ ნასულა, იკინწლებიან შინა...

— ბორჩხის ქაზაშიც სულ გურჯი სოფლებია: ხება, კატაფხია, ქლასკური... ქლასკურიდამ გზა გადადის მაჭახელში. ქლასკური ლელეც არი, შეეყრება ჭოროხსა. კატაფხიას არაში არი ზედუბანი სოფელი. ბორჩხას რომ გაციოდები, კინის ხიდსა რომე გეიარ, ჩამოდის ბაგენის ლელე. ამ ლელეში ენ თავში არი ბაგენი სოფელი, ადაგული, შუახევი, დევისკერი, უკანმერე, ართვინისკენ არი ვაზრია, არი სოფელი ბანაკნა, ებრია

(იბრისლი). კიდენ არი სოფელი ღვია. ეს ყუელი სოფლები არი ლივანის ღელის სოფლები. ლივანის ღელე შეეყრება ჭოროხსა. ართვინთან არი ლივანის ციხეც. ართვინსა ძუელათ ლივანა ერქუაო, ასეც იტყვიან აქავრობაში.

— არდანუჯის ღელეც შეეყრება ჭოროხსა. იქ ცოტაი არი სოფლები გურჯისა. მაღლისამ (მაღლა სოფლებმა) არ იციან გურჯიჯა. ერთი ღელე ჩამუა შავშეთის მერქეზიღამ და შეეყრება ფაფართსა. აქაც ქართული სოფლები ძალიან ცოტაა. იმერხემა იცის გურჯიჯა. რომელცხა სოფლებში გურჯიჯა აღარ იციან, იქა მიწების სახელები, ყანების სახელები სულ ქართულია. მიხდები ქი, გურჯის მიწა ყოფილა.

— ღმერთა ხელი მოგინოს, ამისთანებსა რომე ეძეფ, ნუ დეიკარქვის გურჯის ქოქი ამ მიწაზე. ჩუენ სოფელში ახლაც ოც ქალ მაიც გინახავ იმფერ ჯაპილსა, წყალი მომყო, ვერ გეტყვის თურქა. ჩამოი ჩუენსა, დაჯეც და ელაპარიკე. იმათ ლაპარიკეში ბევრსა ნახავ ესკი გურჯიჯასა.

საუბრობდა მინდიეთელი იდრის აიღინი (გვიეთი), 78 წლის.

ჰაირიე (ხეირიე)

— ჰაირიე (ხეირიე) მაჭიხელია. 1888 წელს მაჭიხელის ხეობიდან წამოსული ხალხის თორუნია ეს. მოსულან ისტანბულ. რამეთიმე წელს გემებზე უცხოვრიან. შემდეგ ხეირას (კაცის სახელია) და რამეთიმე ამხანაგს დუუფიშმანებინ. მისულან ფადიშაპთან, ადგილი გუაჩენე ჩუენ, გურჯისტანიდან მუჰაჯირები ვართო. იმასაც უთქუამს, რომ ბურსას მიდამოებში გასინჯეთ ადგილები და მიმახდინეთო. გამოსულან აქა, მუულიან აქავრობა. ველ ადგილებზე კოლოები ყოფილან, იმიტომ იქ არ დასახლებულან. დასახლებულან ჩიქუნეთის მგზავს ადგილებზე. აქ ამოსულან, მონონებინ, — აქ ვიცხოვრებთო. შემდეგ ესენი წასულან ისტანბულ. მოჩეჩებული ხალხი, ოჯალები გამუუყუანიან აქა, სულ სამოცი ოჯალი. ამ ოჯალებ შორის არიან ჩიქუნარები, ჩხუტუნარები, მილისენი, კირნათელი. ხალხი უბნებით დასახლებულან. კირკიტაძიები დასახლებულან კირკიტეთში, ხინკილაძიები — ხინკილეთში. ქოქოლაძიებიც ამ უბანში არიან. ვაკიელები ბევრი გუარები არიან. აქა ერთი გუარის კილია ჯინჭარა. სოფელი ასი წლის რომე გახდა, იყო ხუთთა ოზდაათი ოჯალი. ხეირიედან სხუაგან წასულებიც ბევრი არიან. ისინიც ჩათლილას ამაში.

— ეს სელიმ ძიაი კირნათელია. ცინცაძიები არიან. დედა ყავს აკრიიდან.

— ესა ალიბეგი მაიროლლია. მაპირაი ყარალა ცინცაძეა, კირნათელი. შეიძლება არიან ცინცაძიები თქუნესა, მაგრამ კირნათლები არიან. გვინდა ვნახოთ ეს. კირნათლების უბანში ზიან.

— მეკეითხო ესენი?

— ჰემ რაფრათ!

— აქ არი სელიმ სერთი. თურქეთის მარადიდშიც არიან სერთოლები. იქავრი კილი დუურქმევიან.

— აქა სიტყუა „უბანი“ არ იციან, „მაპალეს“ იტყვიან. მე ქართულ ლექსიკონში ნეკეითხე და ვიცი. „მაპალეს“ აღარ ვამბობ.

— ამ სოფლის უბნებია (მაპალეები): ხინკილეთი, 2. კირკიტეთი, 3. სიკალეთი, 4. ვაკე, 5. ჯამბაზები — მაღაყმაძიების უბანია ესა, მაპალე. ერთი დედეი ყოფილა ჯამბაზი, თელზე იარებოდა, ოღნებ იჯებოდა. იმის ბადიშებისთინ დუურქმიან ჯამბაზოლები.

— მე ერთი შინ გვედო?!

— ეულურთი (მანონი) ვიცით, სუფურგა (ცოცხი) ვიცით, ორალი (მანგალი) ვიცით. დარბაზი არ ვიცით, სალონი ვიტყვი, ბალკონი ვიტყვი. სამძველოძიევალი ვიცით.

— ჯუმადემ მითხრა, რომ ხირგვალი მომიტაიო, ცავე, ხირგვალიო, ყვირის. იტყვიან — ხვინდალი, სიმინდის ხეიტორო, როკაიკოტა. ჭყინდიქყინლტი ლობისაც ქვია, თაზა. ვიტყვიან ახალლობიანი, ნელი ლობიანი, ხელი ლობიანი, კერჩხი ლობიანი.

— ჯამუშიდომბა, აქლეშიდევე, ვირი. ართვინლებმა მუტრუკი იციან, სიფა. ვიტყვით — ხობო, კრავი, თიკანი. „ბატკანი“ არ ვიტყვით. „მალაქი“ გურჯიჯა კოზაკი ყოფილა. ყაჭის მატლ კოზა ქვია. ვაშენებთ ჩუენ სოფელში. ხალბურში კუერცხებქითსლ ევლებთ ენ წინ. ბამბაში, მატყლში გაეახვევთ. პირ რამე არ უნდა მეტი. ტაროსები გათბება, თესლიდან გამუა ბობოლაი, მატლი. ორ ძირამდი, სივთე, პირველაი, ერთი დღეი დეიძინვისიდეიძინვეს. მემრენ ერთ ჰაფთა უკან ემე მიეცემთ. ორ დღეს დეიძინვეს. უოლი ფურცელ მიეცემთ, თექრემ (კიდვენ) მესამე ძილზე დანვება. არ ჭამს იემსა. მემრენ მეოთხე ძილზე დანვება. ოთხ ძილს უკან რომ ადგება, ათ დღეზე, ათ დღეს უკან ასკ დუუსოფთ. ასკი კოს ვეტყვით. იმის ტანვე მოეჭრით. იმას დუუსოფთ შუაზე არაფეში. იშტი, ახობდება იმაზე, აკეთეფს პარკს. ათ დღეს უკან მოვკრიფავთ, გახდა ყაჭი. ძუელათაც იყო. ყიდვენ ახლაც. ბეთ-ბეთ პარკებ მოხარშევენ ყაზანი ორკლავი ქუაბებში, კარდლებში. გარეცხავთ, გავაშრობთ. დედაბრები ართვიდენ ზამთარში, მოქსოვდენ, საბნებ გადააკრიდენ, ნელებზე თორსაც იქსოვდენ, ნელზე იბმიდენ. საფეკრო დაზგაზე ქსოვდენ. ჭრელებათ ნელეებთ აძლევდენ. ჩარჩაუებ ქსოვდენ, ლოგინზე გადასახურო.

— სოფლებში ვაშენებთ ცხუარსაც. — მემეცი ერთი-ორი ცხუარი, გავაშენოვო, — ვიტყვით... ცხუარი გაძლევს მატყლსა. მატყლი ბილიც არი, ყილაიც იქნება, მაგარი. მატყლიდან საბან შევეკრავთ, ყაზალებ მოექსოვთ... სათელავი მოვთელევდით. შავი მატყლიდან იქდენ. ერთი ყათი ჩაცმული მაქ. რაცხამდენ ლამაზათ მოთელევდენ, იმფო კი ყუმბაში გამოიდოდა. ყეზლიდან აქ მოიდოდენ და იყიდენ.

— ყველი, სუზმა, დალი ვიცით. იულურთ ჩვენურავთ ჩახვში, გამუა სუზმა. თერე იალს დავასხამთ ბორაოს. ჩუენ იალსა ვიტყვით, ართვინში ერბო იტყვიან. ყველსაც ვაკეთებთ. ცხვრისას პანაი სული აქ. ძროხისა ამას ჯობია.

— ხედავ, არ ამიწყდება იქავრობა.

— ბოდრუმში (სარდაფში) ინახება ძუელი ეშაები, ბარგები. უჯრა ართვინში იციან, ჩუენ ჩექმეჯეს ვეტყვით... სათელავსა მეფდანზე დადგმიდენ.

— ართვინლები ჩუენ ერზე ყოფილიყვენ, დეიკარგოდა გურჯიჯა.

— ყანისთვინ, ბახჩისთვინ ადგილ ვიტყვით. ადგილი ჩემ მამიდან დიმიჩჩაო, მესელა... ბულლური, მაკინაი, ფილავი ვიცით...

— როდის განავლა-მეთქი, ვკითხე იმასა... იმათით ვილაპარაკეთ.

— ჩარში ყუელამფერი იყიდვის.

— ნათესავი არ ვიცით. ჩუენებურებას ნათესავი რომ გააგონო, ყანის დათესვა ეგონებინ. ხისიმ-ყვარაბა იციან. ემიაშვილი, ბიბიშვილი, ტაიაშვილი, ხალაშვილი ვიცით, დედეშვილსაც ვიტყვით. მესელა, ვიტყვით: დედეშვილთან მივალ-მეთქი. აბე უფროსი ძმა არი. „ძიაი“ თქმასა გეგვნებთ, მარა არ ვიტყვით. ძიას იტყვიან ჩაქველები, ხულელები. დედის მამას ტაიას ვეტყვით. ჩუენი ეშები რომ წაულენ ამ დუნიდან, თორუნები, დარჩენილები გურჯიჯას აღარ ილაპარაკებენ. პატარებას გვინდა გავაგნებოთ გურჯიჯა, ცოტა მათაცნა შეიდონონ, კაცსა საჟერშინა ქონდეს პანაი.

— მალაჯინვეს, მიფეთიფეს... ჩუენა ვიტყვით გაველაგნე ბალახიო, გაეთელეო. იმერხელები იტყვიან, გაესრაგნეო.

— ჩუენ გურჯიჯეში იანლიში შევდა. ვინ გაანორფეს?

— ჩუენ ჩოლალიშვილებ გეტყვიან. გურჯისტანში ჩოლალის წყალი გამეიარდა, იქ მედარან ჩოლალიშვილები. ნეტაი შენ ყედერ! ნახუალ და დეინახავ იქავრობას.

- ქართულები ყუელაი ერთმანების ნათესავები ვართ, ერთი სისხლისა ვართ.
- ერთი ბადიაი დო და ჭადი არნა მაჭამო?
- ჩუენ ემიაშვილი დავჰაიჯეთ, მომკდარა ზავალი კაცი!
- ხეირიე ქართული კულტურის სოფელია. ჩუენ მოენახეთ ყუელაზე პირველათ ჩუენი ქოქები, ჩუენი გურჯისტანი... ჩუენი სოფლის ხალხი ქართუელობის შენახეთ ყუელგან გამეცნობა.
- მეც ნევედნა გურჯისტანში, ჰამა რაჰათელია ნევედნა.
- ჩუენ ბერებმა ოლღუშალი ნამეიყუანეს. ხარბი მოქეწყინდაო, გათავება აღარ იყო. სულ ხარბობა იყო. პალა ჩიქუნეთის იაილებში ტირიან.
- ჩუენი ციციი რას ესხრიკება, იცი... შარშან ზოელი ლაპარიკობდა გურჯიჯას.
- მოი ჩემთან, ვოლლაპი, ბილლაპი, ყარს მისლამდი მენა მიგეყუანო-მეთქი.
- ჩუენი დედეი სულ გემიელათ მეიგონებდა მემლექეთსა.
- ბორბალსავეთ ყველებ აკეთებდა.
- ჩუენი იქავრი დედეი ძიგარას — მიგარას გადმეიტანდა, გაყიდდა. აქედანც რაცხიებ ნეილებდა... ქონით ფარა ჩაფლა მეგომ და ვეღარ ნახა მემრე.
- ბოვრი დავჯდო?! მერქარება!
- ჩემ ნესტანმა რომე თურქა დემელაპარიკა, იმას გუუკვირდა.
- სახლმა გამეითავგაო, ვიტყვი.
- ჩუენმა შემწყალებელმა, ჩუენმა აჯდანმა დუუყურონ.
- სარფის კარი რომე გეიხსნა, ჩემმა გულმაც გეიხსნა.
- იმ ყულეს რომ გეიარ, გამოჩინდება.
- გონია დინესთან მიველ.
- ჭერზე ჩამოვკიდდით აპოხტებს. აპოხტ ხმელ ქათამ ეტყვიან... კიდვენ გუაქ აპოხტი. „კურტუმიო და ბარკალი, ღობის ძირში ჩაფული“. „დოდოფალი ფარფალი, შავ მინაში ჩაფულიო“ — ასეც იტყვიან. „ამეველი — დამშალი, ისეც უკან ჩაფულიო“. მესელა, სიმღერას ავწევდით. ბანის შიგან ლექსებია. იქიდან გადმოტანილია, მემლექეთიდან. ოთხასი წელია თურქის ხელში ვართ. იმათ გეისტორეს კილო, ჩუენ დაგვაკლდა.
- გელინიდა გახდონ, ფეხზე დადგონ, რა უშავს.
- კიდონ ამოდონ აქა.
- ბადანა ქნეს, ფურჩა ეიღეს, ბოფა ეიღეს.
- ჭადი დაკრილია კეცზე. დღეში სამჯერ დავაკრევედი...
- საქმისკან დაგვაინყდა ჭამა... ნორეს ამბობს...
- შაიკიდი, აიშე ბიბიამ ძალიან იცოდა ძუელებური ხებრები, ისმაჯლას ნენემ. რამმეთლი აშმედმა ილაპარიკა, გახსოვს?
- მერცხლებსა ბუჯერი გასაკეთებლადა მუაქვან ფურჩი-მურჩი, ტალახი-მალახი. მემრენ აშანეთათ გვიტევენ და მიდიან, მემრენ ისვენ მოდიან.
- გაცოცხლონ ღმერთმა, აბა არ არიან?! ამ სახლიდან გენერალი უსედნ ერგუნი ისტამბულშია, ნური ერგუნიც ისტამბულშია, — ისტამბულის საზოგადოების დამაარსებელი.
- მოფორიაქდა იმათთან, იფთარიც იქ ქნეს. ემედენაი ამუელით, გაეჰაზირდოთ-მეთქი...
- ვინცები მოვლენ აქანაი... სიბერეში არ აქყუება ნამსხმანი... წინწინ მოსამე ვიყავით... ახლობაში ლოცვას ბილე გავარუნიებდი. ახლა დაგვაინყდა. სულეგმანის დუგუნზე აგვაყენეს სასამოთ. უჩვენოთ დუგუნი არ იქნებოდა. ბითუმდა ისამო, რომე მოქყუეს ნამსხმანი.
- საჭმელები ბერი სოღ ვიცი: ამოლესილი ლობიო. ამას უნდა ქინძი, მაკიდო,

ნიორი, კაკალი, შაშპრამი. ვინცხას უყუარს, ყორაოს ურთავს. ნურვილიც ვიცით. ქინძი, ნიორი, კაკალი ბოლათ, ძალი ძმარი. შუიდ-რუა კუერცხ მონარშვე ლამუზათ. პანაი ყორავთ. ნიორ, ქინძ, კაკალ დანაყავ, გალესავ. ყირმიზ ბიბერ მუყარი, მუასხამ. ჭარხლი ფურცელ მონარშვე, ადნი სუნელებს დანით ნაჭირი... მალახტო მონარშვე ლამუზათ. შაშპრამი, ქინძი, მაკიდო, სურუნჯი, კაკალი უურევ. ეს ახალი ლობიადან გაკეთდება. კერჩხო ლობიაიც ვიცით. დავალიობთ ცხელი წყლით. ამოხტითაც ვაჟნ გააკეთებ. კაკალი, ნიორი, პრასა, მაკიდო, შავი სუსამი. შავი სუსამი, პურზე რომ დაყორან, ის არი. ჩუენებურაი შავი ფხალი კაი საქმელა: ხაპი ვურთავ, ტომათაი, ძე, ლობიოსაც გადაყორით. ლობიო-ფხალაიც ვიცით. ბოლათ გადაყორი ლობიოს. ნიორი, ქინძი ურთავ. კდარი ინსანი ჭამს. მე ვარაგდოა ინსნის გაკეთებულ არ ვჭამ... იმა ბევრი შალი აქ.

— ჩიჩეგელიბი, ბლადარღვაი, დილმა იარას გამუადენს. გელინჯიკა, ტყიფხალაი, დვალურაი, ემოთი, ბულღვაი, ჩიჩეგით ნურვილი მოტოტე და ამეიტაი ბოსტინდან... პაცხა დარგავ, ქოქებ გვილებს, გვიდგამს.

— გურულითი ნუ იცით ბევრი, ნუ ემგვლებით.

— ყანიების სახელები გუჟე: ჩატეხილები, ბაღები, სუჩიხთი (წყალი ამოსულა), ყური დერი (შრალი ლელი); ნაგორუქვალი (გორუქი-მესაქონლე ხალხი). ქურეჭი ლელი (ქურეგი — ასტამი, ნიჩაბი), ჩარჩხალაი (ჩანჩქერია), ნიფნარები, ყალიები, პელმედუზი, გრლები, დიქანჯული, ფადიმე ყანიები, ტაშლიყანიები, ყალე ყანიები, ვაყოფი (არაბულია — მთავრობის ყანები), ტორულები, მადენის ყანიები (მადენი რატომ ქვია, იცი? იქ საბადა, გაყრდით არი. ტყვია, ალთანი არი შიგან. ხეთებ ან ბიზანსების დროს უმუშავიან. ახლა აღარ არი. ხარჯი ვერ გამეიტანეს), მეზალულის ყანიები, მილეთყანიები, ბენახნარი, ალიას ქედი, ალიას ბახჩა, ნისქელები, კორნალი (მუხნარი, მუხა-კო. მეყრები მუხას ებნევიან), ნაბლები, ყიზილყადა, ყურულები, გოგელიში (ცაზე ახლოს ადგილი), ხერხები (ქვანალი ადგილია, დიდუანი კლდეებია), დუზი, ყუმული (ყუმი-ქვიშა), არმუთყული (სხალნარი), ელმაჯული (ვამლოვანი), სარი იალია, ჩათალჩამი (ტყუთი კატარი. „ჩამი“ — კატარი; „ჩათალ“ — ტყუბი), კატარი (თის ნუერია),...

— მუხას ზოგი „ფელამუში“ ებნევიან. ორი ჯიშის არი. ერთის ფურცლები ბალნიანია, მეყრის არ აქს ბალანი, შუმასავეთ აფცქვენს... უჩრუმებიც არი ტყიფუმი. ჩუენა სიტყუა „კატარი“ არ ვიცით. ხეს ვერ ვარჩევთ, ყუელას ნაძე ვეტყვით. „ჩამი“ თურქულია, თურქულია ვებნევით. „კატარს“ ხულები ებნევიან. „კატარი“ ჩუენსა ხეს არ ქვია, თის ნუერსა, სახლის ნუერსა, ნმინდა მალალ ადგილს ქვია.

— ხეები რომ კალმათ იქცენ, ზლები რომ მელნათ იქცენ, ჩემ დერდს ვერ დასნერს... ამ ადგილებიდანა ბერძნები ოსმალებმა გადნეს. ხვანთქარმა ჩუენ ხალხსა აჩუქვა ეს ადგილები. კაი ადგილები იმითინ აჩუქა, რომე უკან აღარ ნევედეს გურჯი მილეთი და ჩემთან დარჩესო. ჩუენ ხალხ მეტი ყიმეთი აქ.

— ენ წინ ჯემალას ურტყმია?!

— მინაზე რა მოდის? — პური, ფათათესი, ქერი, ულაფი, ჭუაფი, ბურჩალი (საქონლის საქმელა, პურივით არი). ძუელათ ხარით ეხნიდით, ჯილით, ფულულულით. „გუთანი“ რას ქვია, არ ვიცით. ჯილღას კინა აქ, ჯილღის კინა. ჯილღას ორი ყური ქონდა. ჯილღას აქ ტარაი, ენეგი. ენეგი და ტარაი ერთმანებზე შეწყობილია, იმით მივა. ყილიჯი აქ შუაში. უღელი ვიცით, ბონდრულსაც ვებნევით. ყადში აქ ბონდრულს, ტაბიკები აქ, შინაი ტაბიკი, გარაი ტაბიკი. ყადშიდან ჩამოჭრილი სირმა... ხარს რომ ნააბამ და ნუქძლები, იმას ქვია დულარი, თოკვი.

— სიმინდი აპრილში, მაისის დანყოზიხან დეითესვის. ზიზანურაიიზისპირაი დავთესეთ. ძუელი ქალები გეკითხავდენ, როის დავთესოთო. ახლა აღარ ვკითხულობთ. რომ განვიმდებთ, მაშინ დავთესათ. ყანაში ხაპი, კიტრი, ყარფუზი, ტომათაი დიერგვის; ახლა ტომათაი დიერგვის. ნერგი ამაუ, გეიხარვის, გადავანერგებთ. ამოგლიჯვენ, დარგვენ

ნერგსა. ჩხირს ჩავასობთ. იმ ჩასპილ ფერზე ტომათას ჩავრგავთ. გაფაჭვას ვიტყვით. გასაფაჭი მაქ ყანაო, ვიტყვით. „გაბარვა“ არ ვიცით, ვერ გვეგნებთ. სიმინდი გაფაჭე... კაი სიმინდებ გაემარგლე, სიხაო, იტყვიან. სედრეგი გავხადეო. „მეჩხერი“ არ ვიტყვით, ძუელები იტყოდენ: — მეჩხერი ამოსულა სიმინდიო. ახლა აღარ ვამბობთ. პირველი გაფაჭვა, მეორე გაფაჭვა იქნება. მოვახოხოლებთ მინას სიმინდის ძირში... ყარილი ვიტყვით. დაყარილე, დაყარილეო, ყარილი ჩადეეო, ვიტყვით. ჯილღის უკნედან თესლი ჩაყარე, ჯილღის განველი ხაზები, პარი. „ქარიქ“ თურქქა არი, არხი იქნება გურჯიჯა. საქონლის გუმბური კადა ყანაში დასაყრდეთა. „სასუქი“ ვერ გვეგენ, რა არი. ჩუენა ვიტყვით, ქათმები სასუქში ჩაყვარეო. ქათმებ საქათმეში რომ ჩაყრიან, გაასუქონნა. ეს არი სასუქი. სათიკნე, სათხე ვიცით, საფხოვრე ვიცით... სიმინდი ფუნჯულებ გამეილებს, როკას გეიკეთებს. როკა|კოტა. ფუსკული|ფუნჯული|ქოჩორი ვებნევიტ. სიმინდ ქოჩორი გამეუშლიაო, ვიტყვით. ჭყინტლი ვიცით. სიმინდი შაბახებულაო იტყვიან. სიმინდი ტეხვა იწყება თუელზე.

— თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი ვიცით თქმა. კალვობა ვიცით. ხარმანობა თხუთმეტ დღეს განევს.

— თუ ნალია არ გუაქ ჭერიანი, სიმინდს შავისთვინ ჩამოვიკდავთ ქანდარაზე. გახმება, დაფშნით, დაეაფოვთ. ჩალა და ქუნჩალა ვიცით. სიმინდსა ორალით მოვჭრით, დაკკონავთ, ხარის არაბაზე დავანყობთ, ან ტრაქტორზე და ამევეტანთ. დავასობთ დირეგს, მოვახვევთ ზეინს. ზამთარში საქონელ ვაჭმევთ.

— ლობიოს ჯიშები|სოდადებია: თეთრი ლობიაი, შავი ლობიაი, ბეჯგაი ლობიაი, ძირავლი ლობიაი, ფარუბაი ლობიაი. ესა შავია, ხაშრისა არი. მოვნაყავთ ლობიას, ბურდო, კერჩხი დარჩება.

— ფაიყემიასანი აქ არიან?... ჩუენ „ემიაი“ ვიცით თქმა, ჩაქველები, მახინჯავრელები „ბიძაეო“ იტყვიან.

— ხაპიკ ვიცით: შავი ხაპი, თეთრი ხაპი, ჭადობაი (ჭადაი ხაპი). ბალყაბალიც არი — თაფლის გემოიანი ხაპი. ხაპიდან ტაბუსუნა კეთდება, ძეით გაკეთდება. ხაპ აადულეებენ ძეში, მოხარშვენ, პანაი შეეკრინა ურთო... შავ ფხალ გავაკეთებთ, ლობიაფხალას გავაკეთებთ. ფხალის დუდი ებნევიან. შიანა დუდებ ჩავყრით, ჟავთ ჩავდებთ. შიან ზეიტი აქ ფხალსა, იმასა გავთლით, შევჭამთ. ფხლით სარმას ვაკეთებთ ყიმაით. ხორციდან ქოფთე კეთდება, შაშლამა,ყაურმას ვიქთ, დოთურთმას, დათურთმას ვიქთ. ფათლიჯანის დათურთმა ყიმაით კაი ბუა. ბიბერი ტოლმა, ქებაბი, ფირზოლა ვიცით. ფირზოლა, დვიორიზე რომ შენჯავ ხორცსა, იმას ვებნევიტ. შიში გაკეთდება, ხიდან ვიქთ იმასა. ორ ჩათალ დავდებ, იმაზე დავდებ. ლაკმაჯუ, ფიდეები, ზედ ხორცი. ყუმბაში კეთდება კიდვენ, ჩიტის თავის დენი ყაურმა.

— მოხუცილებ ნუ კითხავ... რათვინ ვეტყვი.

— ფაშალია ჩემიტ-ჩემიტი არი: ბერდენ ქესი (ნელგადაჭრილი), ბოდდან, დუზია თორბასავენ, თორბასავთ. ისეც ითხრობა, ასეც ითხრობა. „კაბა“ არ ვებნევიტ.

— ესა აასლი თერძია... მე ჩემ ბაღნებისთვინ შევკვარავ. ეთეგი, ბულუზი, დოფეზი, მანტო შემეკვარავ; არ ვიქები, მარა კაი გამომდის... მოვექსუე დელეგსა, ხირხას, პანტოლს, ყაზალს, წინდას, ქუდსა, ათხსა, ელდეგანსა|სხელათამანსა, თათმანებსა, თათიეებსა... თავზე გვახურია ლაჩაქი, დაზმა, ათქი... ესენიც ჩემი გაქარგულია... ყენეგა, პესაბიში, ბეაზიში ვიცით. დაენერავთ და ისე შევკვარავთ.

— დედეს სულითვინ მასვი წყალი!

— ბოსტანი გუაქ: ქინძი, მაკიო, შაშპრამი, ქონდარი, პიტნა, ქექიტი (ტარხუნა), პრასა, ნიორი, ბოლოკი, მინახაბაი (მინივაშლაი) — ესენი გუაქ ბოსტანში.

— ხიდრილები ვიცით. ექვს მაისს ყუელა ნელნად ასეა. ქათმებ დავკლით, ყორ დავკლით, ფოლაკებ გავაკეთებთ. მოყვრებით ერთათ, დავპაიჯავთ ერთმანებ, ვჭამთ.

დომბელე ქდეუკრიტ, მოზიკას დუეკრიტ. სალინჯას|საკორნალას ჩამუბამთ, ქალები, ბერები ცკორნალოფთ. აქ თურქის სოფელია, დაქეპაიჯებენ. ყიზილაბშეპის ზოჯას ქეია დედე. ერთი მაღლიანი დედე ყოფილა. იმისი, იმ დედეს საფლაფია, ზიარეთია ახლა; იმ საფლაფზე მივალთ, დუებ ჩუეუკითხავთ.

— ჰიზირი და ილიასი ყოფილან ორი ძმა. ერთმანები დუეუკარქიან. ერთი ერთ თერეფ დარჩენილა, მიერე — მიერე თერეფ. ექს მაისზე ერთ ჯამეში იყრებიან მეგერ, ერთ ნელნადში ერთ ნახულობენ ერთმანებ. იციან მამინ ერთმანები. მემრენ კიდვენ დეეკარქეიან ერთმანეფსა. იმათი ზეიშია (ბაირამი). დილაზე ნეულენ ყუელაი, დეშილეფში იარებიან. ვინც არ გიყუარს, იმას ჯინჭარ დუებმენ. ვინც უყუარან, იმა ვარდ დუებმენ. თხოვნას დანერენ, ბათმანში ჩადებენ. გადაადებენ ნყალში. ვინცხაი ნახავს, ეს ჩემი ყისმეთიო, იტყვის.

— შუიდ მაისში ხალხი ყუელაი მიეყრებოდა, ნყალში გეიარდენ. შენზე წინ ნყალში შესულმა არდა დაგინახოს. ფეხები თუ ქტკეია, მორჩები.

— ხიდირილეზზე ღამეში ცეცხ დაანთობენ, იმაზე უხტებიან, იჯუმბუშებენ. ვინცხას სახლი არ აქ, დელი ქენარში ჩავა, სახლ გააკეთებს, ზოგი არაბას გააკეთებს... იმ ნელნადში ესენი შუესრულდება. ჰიდირი და ელიასი ვარდის ძირში იკირფებიან; ხალხი ფარეფს დიკიდვენ ვარდის ტანებზე, ბარაქა მოქეცესო.

— ახალ ნელნადზე ქალები არ ნეულენ ჰადმე, კაცებმა და ნეედენ. დილაზე, ჰიჩ ვინმეს მოსლამდე, სახლში ახორიდან კრავინა ამეიყუანო. ძუელათ იქდენ ასე. ბაღნები ადგებოდენ და იარებოდენ, ახალი ნელნადიო და გვილოცეედენ. ნაბლ მივეცემდით, რაცხას მივეცემდით. მე ერთი გა ორი სახლი მოვლილი მაქ ნამეტრათ. — კაი ფეხი გაქო. — მეტყოდენ. შუიდი ძმა ვართ, ამა მე მომითხოვდენ: — ბასრი ამოვდოს, კაი ნამოსული ვარ მისითო... რაცხას მოქეცემდა... რაცხა აქ, ჩირი, ხილი... ქათამ ბილე მოქეცემდა, ვინცხას ხელი ღია აქ. მიადამაი აღარ დარჩა ძუელი ადეთები. თხუთმეტი წლის წინ კარქა იყო.

—სამები ბევრი ვიციტ: ნარდანიანი, ჰარიანიანი, ყოლსამა, ხორომი, ცეკვაი, თირინი ჰორერამა, გადაქეველი,... ხორომის გადაქეველია ესა, ყარაბალი... აქ. სხუანები არ იციან. ქეყოფნილოფს. აბაზურაიცი არი. ვეცეკობთ ჩუენ.

— ოზდერთი მარტი ნავროზობა არი. სპარსელები იქმენ ამას. გულზე ირტყმენ ჯაჭვით: — მე ხასანაი ვარ, მე ხუსეინაი ვარ... ქურთებიც იქმენ. ოზდერთი ჩემიტის საჭმელი იჭმება იმ დღესაო, იტყვიან.

— სიხინთი რა მაქ იცი? სწორით გაგაგნებო, მინდა ბათუმ გადმოსლა, რადა იქნას?... ხორომი ისამვის, დელი ხორომიც ისამვის. ამას ვერ უეკრი. ძინარა სამაც ისამვის. იმისი მოსამიებიც ინახვის.

— თივა არ ვიტყვით, ბალახი ვიტყვით. „მოვთიბე“ არ ვიტყვით, „მოვჭარი“ ვიტყვით.

— გიმცხადდა ჩემი დუგუნი. მეაც ასე წიმიყუანეს... სულ ასე ვისამედილო...

—ყარაპალული იყო ფაშა ნენეს ტირილეზე.

— ტუქრაი სიმიინდი შენვი?... სიბუდლე, აბუდლეა ვიციტო...

— საბან-არტახი ნეველეთ გუშინ.

— მოი, მოგაზმანო ერთი!... პრავაზე როის მოხვიდეთნა?!

— ყარალი არ მოვდა... ეს ზავალი რამეში არ გეხმარება.

— ხაელები გადმუყურა ქარსა... ბადლი წეიმა დუუნყია...

— აბარგე ესენი, გოვ!... მეგეხმარო, თუ საქმე გაქ...

— თაქუნია (ქომები) უყიდვია... ხებერი მიემეციტო... ბაბოით ნეკინტლევიტო,...

გეთთხოვნა თუ რაი... არ დიგინახია გოგვები?!

— ვერ დიგისხმიდა ნყალ? თმები ცვინს, დაბერებულა.

— ერგუნაიც მოვა თუ? (მოდის თუ)... ჩუენაც არ გავაგზაით იქა... ორი ციცაი

მყავს... მენაც დღეს ვუთხარ... სოხაზეში ვინმე არ არიან?

— ფხალიდა დემერგო და არც შუუტყვია მინასა... ვინცხამდა ნიმყუანოს... იმათ სხუაფერი ლაპარიკობენ... ტყვილაი ილაღვი!...

— კოს სახლი მალე არ დეინვის... ქარი ქრის და? იგზე ზაიდე აბლას სახლია, იბერიას სახლია... გეგზედე, დაძრილი იყო კარები... ტარაჯული კალვები აქუნან...

— არა, ბე, იქ რანდა გევედო?!!

— ბალნები იკიდვენ მათ თავი! რა ლამაზათ ანახიბეს?!!

— იმდენი იტირა რომენე?!... მოსლამდე ერთათ მოველით... სტუმრები მოსულანო, შეიტყვა და გამეიქცა.

— ნააზავდენ დუგუნზე... არ უსმია ებბედი... დუნდა ტილოფსო... რომ დეენახე, მენინკებო... ჯამის ყავანოზები ამსილი იყო შარაბით...

— არ წყენულობენ, გო, შარაბი?

— სმენ წყალივით, სხუაფერი წყალია სანქი!

— იმანაც გარიგდა ბაბოს ოჯალიდან... აღმანისე იყუენ და მოვდენ...

— მამუდ აბესი სახლი დეინუა. საადე კო ხით გაკეთებული იყო სახლი...

— ლუთბიე ბიბიასი პრატი დეინიშნეს გულთენაი... გულშენაი პანაია...

— თირი ქვით იყო გაკეთებული... გუუძიან ისინი და დამჯდარან...

— ტყენი დამჯდარან. აგზე ხეს მოჭრიდენ, აგზე გააკეთებდენ... რომ მოსულან ჩუენი ძუელები, დასაჯდომი ადგილები უძქენიან. ულიან, ულიან ტყეში. პაცხა საქონელ გუბური უქნიან, იგზე თომათესი ამოსულა. უთქმან ქი, აქ დაეჯდეთო... დამჯდარან და სოფელი გუუსხიან.

— აბაზები ჩეიციდენ, დეიხურვიდენ, ნევეოდენ სოფლობაში მეგერ და გაქუცევედენ ხალხსა. ევლი კუდიანები ყოფილან, მულადმი ხალხი!

— ტყის გზა არი კიდენ?... აქედან ყებულ ჩეხუალ.

— სამალულიც დეინუა?... გახსოვს, თუფექჩი ქონაქ ნეეკიდა თექმილ?

— თამ თუე იქნა დუგუნიდან... შუუყუარდენ თექმილ.

— ბალანაი იქ გააგზაი და კომონისტი გახადეო, მიყვირა ბევრი.

— ძვილ შევსვი, ძვილ ი შარაბი, ცოდვა ვისაქმე ჰელბეთ...

— ეს ციციი რატომ იცმიდა მოკლეს?

— ეს ჩემი მომხმაროა, ვანაფლი კერეასა... ლაპარიკში ეს დალაამბე...

— უშვილო შვილი რომ არი, შეფერიებულია... დაგნებული ლაპარიკოვს...

— შუადლიპირა ჩამოდით, ვიფერხულოთნაო, შამომითვალეს, ამა სახლსა ცეცხლი ნეეკიდა. ვისლიტეთ იქ, წყალი — მალი მოვახსით. ყედერი არ გქონებია, თუალები გამჩენ, ვეღარ ვიჯუმბუშეთ.

— თურქეთში მაჭახლიდან სამოცი ოჯალი მოსულან: გორაძე, ხინკილაძე, კირკიტაძე, აბაშიძე, მალაყმაძე, ქოქოლაძე, ლეჭურაშვილი, სიკალიძე, გურგენიძე, დოლიძე. ჩუნა ამ გუარებიდან არ ერთი. მიმინაძე, გოგინიძე, ჯინჭარაძე — შეიძლება ამ გუარებიდან ვიყოთ, არ ვიცით ჩუენი ძუელი გუარი. ყედემ ბეგი და ეთემ ბეგი ორი ძმა ყოფილან და ჩიქუნეთიდან, და ჩხუტუნეთიდან. ერთი ართენ დარჩენილა, მევერე ჰაირიეს მოსულა. ჰაირიეს ჩამოსულა ყედემ ბეგი და ესმერაი ქალი. ჩამოსულან 1887-1888 წლებში, დიდი მუჰაჯირობის დროს. იქიდან მუყუყუანიან შვილები აშმედი, პუსენი, შუქრი.

— კიდვენ ვიკითხავთ მისიროლდე ჩიქუნეთში დადა ჩხუტუნეთში. იქიდან მოსული იყო აშმედ ოზბაი. აქ თორუნი ცოცხალი არიან. იქა დარჩომილია თუ არა ვინმე. ჩოლალიშვილები დარჩომილა თუ არა ვინმე მემლექეთში?!

საუბრობდენენ ჰაირი ჰაირიოლლუ (ვანატანგ მალაყმაძე) და სოფლელი ქალები.

სირყეთობა

დიმიყურეთ, მეზობლებო, რაილა მოგახსენოთ, რაიო.
სირყეთობის ამბავები, აბა, მომისმინეთ კაიო.
წუხელი სიზმარში გხანე, დაგწვოდა ნეკრის ზვინები.
მარობაში გემედვიდა, მოვიარე სათხეში თხები.
ალარ არიან ჩუენი თხები, სუქან-სუქანი თიკნები.
ჩუენ სახლს უკან ჩამოსულან ჩოხამფრეწელი გელები.
უნახვან დაბმული თხები, დასცემიან როგორც მენი.
კისერქუეშა თლათ შუუქამიან, ძირში გაუყრიან ძელები.
ვაიმე, ჩემო წარბიაო, ლამაზი გქონდა პუმპლები.
გელებს პირში დაუკეტე წოწმაქაი შენი ქიები.
მაგ ეფლეგსაც გადიგიხდი, თუკი შემხდი მაღალ თოვლში,
არ მოგატან ზედან თაეზე, გამოგაწყოფო სარცხვინელში...
— ჩუენ ვართ დაბანი გელები, მარდათ გკვიდია ყუერები,
შენისთანა შიგვიჭამია დორუქების თხები, ცხვრები?!
შენი თხები რათ იქმოდენ, ტყავში ჩაყრილიყო ძელები,
გამხდარი და გაცვეთილი, სარცხვენელში მოქხდა ქიები...
— მე ოჯახი გამომძისეს შიერ-შიერმა გელებმა,
სირცხვილი არაქვან გულში, მათდა ჩაეფურტნო სულში.
— ვაიმე, შვილო, რა ქენიო, თელი დღეა ხარ უჭმელი,
მაკარინაი გაევიქენი, შენ ვიგივეთო საჭმელი.
— საჭმლის იშტაპი სადა მაქ, შეწუხებული მაქ სული.
თხები გელებს შევაჭამე, ატირებული მაქ გული.

ბურსის ვილაეთის ინეგოლის რაიონის ქართულ სოფლებში გავრცელებული (მათ შორის სოფ. შაირიეში) ხალხური ლექსი. მოგვანოდა შაირი შაირიოლლუმ (ვახტანგ მალაყმაძემ).

შაირები

ლალები, ლალები, დივრი დალალები
ერთ ოლაში შენ შეგნიშნე, გოგოვ, გენაცვალები.
გაზაფხულის დღე მოსულა, ხე იზდება, შეედება,
ბიჭმა რომ გოგოს აკოცოს, ამით რა დაშაედება.
ახლოს მოვალ, დეიმალები, შორიდან არ დეინახები,
ძალიან რომ ლამაზი ხარ, ჩემ უბეში შეინახები.
შენი ჭირიე, გოგონავ, გამეიბისე ჩემთანა,
კლავი-კლავზე ერთათ წვედეთ, დეენახოთ ეს ქუეყანა.
ლალები, ლალები, დივრი დალა ლალები,
მოდი, მოდი ჩემთან ახლოს, გოგოვ, გენაცვალები.

* * *

სოფლის გოგონა თინაო, სოფლის გოგონა თინაო,
ჯერ რატომ ძიხარ შინაო, ჯერ რატომ ძიხარ შინაო.

* * *

— ჰარალი, ჰარალი და, ნეტავი, გოგო, მე და შენ...
— ჰარალი, ჰარალი და, ნეტავი, ბიჭო, მე და შენ...

– ყანები მოგვცა ზიარი, ყანები მოგვცა ზიარი
 – საქმე ბევრია ყანაში, ყანის ნაპირზე ტყე არი...
 – ჯავრი ნუ გაქ, შევედეთ ტყეში, ყანა დარჩეს გასაფაჭი.
 – პარალელი და პარალელი, პარალელი და პარალელი,
 ჯაკრი ნუ გაქ შევედეთ ტყეში, ყანა დარჩეს გასაფაჭი...
 ქალების სიმღერა
 ვოი, ნანინა ნანა, ნანა დელო, ნანა, ვოი, ნანინა ნანა,
 ხერტალმა ხელი დამაგლა, ხერტალ გასატყხელშაო,
 ბიძაჩემსა არ გამათხვა, კისერმოსატყხელშაო.
 ღობეს მივაფინე ჩასხი, მე შენიდან დამსა ხათრი.
 გაღმა-გამოღმა გოგეგბსა, ჩიტი უწყობდა ბუღესა.
 ბიჭო უღვაში აწიე, წალი, აკოცე გოგოსა.
 პაწაე ციცაე, პერანგაო, შენ რომ წახუალ, მე რა ექნაო..

ჯიღველო

ნაიდანანი, ნაიდანინა, ნინაიდა, ჯიღველო, ნანაიდა,
 ჩუენ აქაური არ გახლავართ, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა,
 ბურსიდან ვართ ჩამოსული, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა,
 თაკიდიძების ქორწილზე, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 რომ მოველით, კარგა დაქვხდენ, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 ძალიანა ვართ მადლობელი, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 ახლა გვინდა დავანახოთ, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 ქართული ცეკვა-სიმღერა, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 თქვენც ადვილი და იმღერეთ, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 ჩაებით ჩუენ ფერხულშიო, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 ერთათ ვიმღეროთ ქართულათ, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 დაულოცოთ დედოფალსა, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 ჰემ და ვაჟაკე მუყესაო, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 დედოფალი და მეფეო, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 კარგ საქმეს მიაგებეო, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 ერთ ყვიღზე ამღერდენო, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 ერთ ბალიშზე დაბერდენო, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 გაუძარჯოს ორთავესა, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა...
 ამ ქორწილის მოთავესა, ნანაიდა, ჯიღველო, ნანაიდა.

თირინნი ჰორერამა

ვარდი ვკრიფოთ კალთაშიო, თირინნი ჰორერამა...
 გამოგარჩიე ათასშიო, თირინნი ჰორერამა...
 წუხელი სიზმარში გნახე, თირინნი ჰორერამა...
 წარბი მაღლა ეგეყარა, თირინნი ჰორერამა...
 შენი თმების ნაწნავები, თირინნი ჰორერამა...
 კისერშიც გაღმოგეყარა, თირინნი ჰორერამა...
 ვოიმე, ჩემო მიმინოო, თირინნი ჰორერამა...
 ფაციაე ჩემო, შირინოო, თირინნი ჰორერამა...
 ტირილაი რომ გამაგზავნე, თირინნი ჰორერამა...
 ღამე რაფერ ვიძინოო, თირინნი ჰორერამა...

დალი დაედე ტაფაზეო, თირინნი პორერამა...
 თუალი მქონდა ყლაყუვაზეო, თირინნი პორერამა...
 დეადმთილო, სულ კატანო, თირინნი, პორერამა...
 მამამთილო, სულ გაჯრილო, თირინნი პორერამა...
 ფაციი მინდა თმიანო, თირინნი პორერამა...
 მუქუ-კოკობიანო, თირინნი პორერამა...
 კურტუო და ბარკალიო, თირინნი პორერამა...
 ღობის ძირში ჩაყვალაო, თირინნი პორერამა...
 დავაყარე და წისქვილ პური, თირინნი პორერამა...
 სარეკელი ქოქლებოდა, თირინნი პორერამა...
 შიგ ღამაში ფაციი იყო, თირინნი პორერამა...
 არ მეკოცნა, მოკლებოდა, თირინნი პორერამა...
 ცხენმა დასვა შავი კვიცი, თირინნი პორერამა...
 ამის მეტი აღარ ვიცი, თირინნი პორერამა...

ვინ მოგიტანა?

- ვოი, მაი ღამაში ფაშალია ვინ მოგიტანაო?
- შენმა ძიამ, ჩემმა კაკამ, მან მომიტანაო...
- ვოი, მაი ღამაში ბაბუჩები ვინ მოგიტანაო?
- შენმა ძიამ, ჩემმა კაკამ, მან მომიტანაო...
- ვოი, მაი ღამაში ყვრეკლები ვინ მოგიტანაო?
- შენმა ძიამ, ჩემმა კაკამ, მან მომიტანაო...
- ვოი, მაი ღამაში ქემერ-ქოსტევი ვინ მოგიტანაო?
- შენმა ძიამ, ჩემმა კაკამ, მან მომიტანაო...
- ვოი, მაი ღამაში აღთუნები ვინ მოგიტანაო?
- შენმა ძიამ, ჩემმა კაკამ, მან მომიტანაო.
- ვოი, მაი ღამაში ლეჩაქ-მენდილი ვინ მოგიტანაო?
- შენმა ძიამ, ჩემმა კაკამ, მან მომიტანაო...
- ვოი, მაი ღამაში ბილეზუგები ვინ მოგიტანაო?
- შენმა ძიამ, ჩემმა კაკამ, მან მომიტანაო.

ნანიანა

ნანიანა ნანიდა, ნანიანა რერადა ნანიდა
 ვოდელია, ვოდელია, ნანიანა ნანიდა, ნანიანა ვორერა ნანიდა,
 მიხუალი, მოხუალი, მენალები, ნანასო და
 სასიკვდილოთ მებრალეები, ნანიდა.
 ნანიანა ნანიდა ნანასო, ნანიანა ვორერა ნანიდა...
 ია-ვარდის კუკულო, ნანიანა ნანიდა,
 ახლოს მოდი გიყურო, ნანასო და...
 ახლოს მოდი, დაგინანო, ნანასო და...
 ჩემ უბეში შეგინანო, ნანასო და...
 კვირისთავზე ჰელებიო, ფაციავ, შენი ხელებიო,
 ჩემ ეზოში ცხემლებიო, ნანასო და...
 შენ თუალებზე ცრემლებიო, ნანასო და...
 ფენჯერაზე ჩიტებიო, ფაციავ, შენი თითებიო, ნანიდა...
 აბრეშუმის ლანდებიო, რა ღამაში ბძანდებიო, ნანიდა...

ზევით მთა გადავიარე, გატეხილი ცულითვინა,
გოგოე, ერთი მაკოცინე, შენ დედ-მამი სულისთვინა...
მისხუალ-მოსხუალ მენალები, სასიკვდილოთ მებრალეები.
ნანინაი, ნანაიდა, ნანასაო, ჰო, ჰო, ნანაიდა...

ვოსა, ვორერა

ვოსა, ვორერა, რერა, წისქვილ პური დუყყარე, ნანასაო და...
სარეკელი ქოქლებოდა, ნანასაო და...
ერთი ფაციაი შემეყურადა, არ შეკოცნა, მოკდებოდა...
წუხელი სიზმარში გნახე, წარბი მაღლა ეგვეყარა,
ათი თითი ბროლი ხელი წმინდა წელზე დეგვეყარა...
შენი თმების ნაწნავები, წმინდა წელზე დეგვეყარა...
აბრეშუმის ბაღეაო, საყურელი დაღეაო...
ეს სიმღერა ერთიაო, ორზე უკეთესიაო...
ეს სიმღერა ერთიაო, ფაცია ჩემი ღმერთიაო,
ჩემი გულის ღერდიაო.
ვოსა, ვორერა, რერა... აქოშკაზე ფერდებო,
ბითუმ მომაგონდებო, ვოსა, ვორერა, რერა...
აქოშკაზე მტრედებო, მარტუაი რატომ ბერდებო...
ვოსა, ვორერა, რერა... ვოსა, ვორდელა, დელა...

ალი ფაშა

ვოი, ალი ფაშამ გვიდალატა, ჩაგვიყუნა კვირიკეში,
იმან ფულეები აიღო, ჩუენ ჩაქყარა რუსის ხელში,
კარგი მას არ ღამართნია, ბაწრით ჩათორიეს გემში,
მისი ყვირილი ისმოდა, სუფსას გაღმა ბაილეთში.

დედოფლის სიმღერა

გეიარე და გამეიარე, ჩემი გული გაახარე,
შენი ლამაზი ხელები ჰემდა გულზე დამაყარე.
აბრეშუმის ლანდებო, რა ლამაზი ბძანდებო...
ზედ ცაშიდა ქორი ფრინავს, ქუეშ მიმინო ხუმლიანი,
ფაციაე, წელი არ გეტყინოს, მაგრე შამოი ქემრინანი...
ვოიდა, ვორერა ნანასაო, შეგიკერე კაბასაო.

ფაჭვის სიმღერა (ნადური)

ჰო, ჰო, ჰო, ვორერა, ნანინა, დავექვი წიგნი დავწერე
ჩიტ გაეატანე ხებრათა, აგი საყურელ მუუტანე,
ვეღარ მოგიყალ ჩქარათა, ჰო, ჰო, ჰო, ვორერა, ნანინა...
ქედში ფრინავს მიმინო, ჰად წახუელი შირინო...
ვაიმე, ჩემო მუშინავო, ჰა წემიხუელ გუშინაო.
ვორერა, დარცხეთ თოხი,
ვორერა, ჰამე წაბლი,
ვორერა, ნანასაო,
ვორერა, შეგიკერე,

ვორერა, კაბასაო.
ვორერა, ფაციაჲ, მიხუალ
ვორერა, გორასაო,
ვორერა, იქ მოგართვამ
ყუავეილების კონასაო...
ვორერა, ხე სათალი,
ვორერა, ხურმიანი,
ვორერა, არ შაჲეისხნა,
მაგრე შამოი ქემრიანი...
ვორერა, პო, პო, ვორერა, ნანიანა...

ნარდანიანა ნინიანა

ნარდანიანა ნინიანა, ნარდანიანა ნინიანა
ღელეს მოაქ ნაფოტი, სელეის ჩამონათალი,
შედექ, ღელეჲ, მითხარი, იარის შამონათვალი.
ნარდანიანა ნინიანა, ნარდანიანა ნინიანა.
იგერ გაღმა ტრედები, გოგოჲ, რას მერიდები,
მაგრეც რომ ლამაზი ხარ, შენაც ჩემთინ იხდები.
ნარდანიანა ნინიანა, ნარდანიანა ნინიანა.

სიყუარულის სიმღერა

მე შენთინ ჩამოველი წყალანი ყანიდან,
პირში რენგი არ ღაქჩა, დაბეჩდი თუ ჩემიდან.
ერთი სერვის სკიერი მაქ, გუმიშის კარიანი,
იმის კლიტე მე მაქეა, აღთუნის ტარიანი.
მე რა ზორ მეგემშეია, ზარმელი გოდორშია.
ყანები ვინა მოკნას, დიდი ზმა ასკერშია.
რა ლამაზი შეე ხარა, დამწვი და დამღანზეა,
პაცხან წახუალ, წამოვალ.
შენ ჩემი სული ხარა, მე შენუსოთ ერთ ღელესა
ვერ ვიცოცხლავ მარტოლაი.
ნელნელა გამეიარე, პაპური გეციტდება...
ისტერ პრანჭულა ჭამე, ხელი თუ მიციტდება.

ჩემო დაჲ (დატირება)

ჩემო დაჲ, რათვინ ასე მალე მომითავე
ჩემი ღუნდა, ჩემო დაჲ!
ჩემო დაჲ, რათვინ გამომიშპი ამ ღუნდადან
ასე მალე, ჩემო დაჲ!
ჩემო დაჲ, შენს უკან რაღათ მინდა სიცოცხლე,
ჩემო დაჲ!
რათვინ გამომიშვი ეს ღუნდა ტყვილათ,
ჩემო დაჲ!
ჩემო დაჲ, შენს უკან რანდა ექნა მე
ტყვილ ღუნდაზე, ჩემო დაჲ!

დასახელებული ლექს-სიმღერები და დატირება ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონის ქართულ სოფლებში ჩაინერა აჰმედ ოზქანმა (მელაშვილმა). 1968 წლის ივლისში კი ეს ფოლკლორული მასალები (ვრცელი კომენტარების დართვით) ჩაინერეს ამერიკის შეერთებული შტატების ინდიანას უნივერსიტეტის თანამშრომლებმა პეტერ გოლდმა და ფრანკ გილისმა (ხ. Georgian folk music from Turkey, USA). გუნდურ სიმღერებს ასრულებს სოფელ ჰაირის ფოლკლორული ანსამბლი, ხოლო სოლო სიმღერებს ასრულებენ გულნარა ხინვილაძე („ინ მოგიტანა“, „ნარდანი ნინაიდა“, „ჩემო დაე“) და ქემალ ასიქი („სიყუარულის სიმღერა“). ჩვენ ვისარგებლეთ როგორც აჰმედ მელაშვილის არქივით, ისე ნოტებზე ჩანაწერებით.

ჰარიანანი

ჰა, ჰარიანანი, ჰა, ჰარიანანი,
ჰარიან, ჰარიან, ნინანა...
იგერ გაღმა სარაია, ერთი გვედეთ რავაია,
იქ გოგებე ფუნდრუკობენ, საკოცნელათ რავაია...
ჰა, ჰარიანანი, ჰა, ჰარიანანი,
ჰარიან, ჰარიან, ნინანა...

აჰმედ მელაშვილის არქივიდან.

წყალსა მოქონდა მანდილი

წყალსა მანდილი მოქონდა, იყო გაშლილი ვარდივით,
დადექ, მანდილო, მიაშბე, ვის დაეკარგე ამ დილით?
დადექ, წყალო, და მიაშბე, ვის გამოსტაცე მანდილი?
წყალი წავიდა ბუტბუტით, არც ქარმა მითხრა ნამდვილი.
გაკვხედე შუა ყანიდან, ქალი მორბოდა ფრთაგაშლით:
— ბიჭო, მანდილი ჩემია, ქარმა მომტაცა ყანაში.
მოვიდა მზეში დამწუარი, ღიმილით ამხედ-დამხედა.
თუალებს შუკით მადნობდა, ჩურჩულით მითხრა მადლობა.
და მერე გაქრა, გაიქცა, ირემი ბარად გაზრდილი.
წყალს ვეტყვი, ქარს ვთხოვ ვედრებით, კიდევ მოსტაცონ მანდილი.

ლექსი ხალხურ მოტივზე განწყობილი უნდა იყოს აჰმედ მელაშვილის მიერ. ლექსს დართული აქვს რვასიტყვიანი ლექსიკონი: მიაშბე — მითხარი — soyle; გამოსტაცე — გამართვი — sekal; ნამდვილი — მართალი — gercek, dogru; ჩურჩულით — yavas sesle; ბუტბუტით — siridayarak; მადლობა — tesekkür; ირემი — geyik; ვედრებით — ხვენით — yalvararak.

ბატონ აჰმედ მელაშვილს

დრონი გაღან ჩვენთვის,
ჩემს მეგობარს უცნობსა,
ვხედავ შორიდგან მის კეთილ გულსა.
უნახავად მე რას ვიცნობ და მის შრომასა,
ახალგაზრდა ლალი და ლამაზი, ქართველთა მოყუარესა.
ნეტავი მე მას ეროხელ შემყარა,
ქართულ ენის მოლაპარაკესა. ერთი ვაზის ტოტნი ვართ,

ველი მე მისი კეთილ ნაყოფსა.
ერთი ბაღში დათესილნი,
შემდეგ შორი შორს გადარგულნი.
რაგინდა შორს იყვეს ადამიანი,
მანც იცნობს მისი გული.
უცხო ქვეყანაში ვცხოვრობ მოწყენილი.
თავზე თმაც გამთეთრებია და მიწვრილდება ხული.
მაგრამ ჩემი ქვეყნის სიყუარულით
თავს მარტოდ არა ვგრძნობ.
კიდევ მეავს შორს ბიძაშვილი.

მ. ზედგინიძე, 5 აპრილი, 1971 წელი, მონბელიარდი, საფრანგეთი.
აჰმედ მელაშვილის არქივიდან.

ექლოჯან

გოგო: — მთაზე მიმყავს ორი კბო, ექლოჯან, ექლოჯან,
იქით-აქით მექცევა, იქით-აქით მექცევა...
ბიჭი: — შენ თუ მე არ წამყვები, ექლოჯან, ექლოჯან,
შავი დღე მეგვექცევა, შავი დღე მეგვექცევა...
გოგო: — სახლ უკენდან საშუეში, ექლოჯან, ექლოჯან,
მე შენთვინ და გაებერდე, მე შენთვინ და გაებერდე...
ბიჭი: — დაგიბღენდეს თუალები, ექლოჯან, ექლოჯან,
მე სოფლეფში მომჩენე, მე სოფლეფში მომჩენე...
გოგო: — სახლ უკენდან ვარდია, ექლოჯან, ექლოჯან,
ვარდ ყუავილი გუუშლია, ვარდ ყუავილი გუუშლია...
ბიჭი: — სად არი საყუარელი, ექლოჯან, ექლოჯან,
სახლის კარი დუუერია, სახლის კარი დუუერია...

სატრფიალო შაირები

გვერე, გამოვარე, ზემოდან ჩამოვარე, კერ ვიპუე შენითანაი,
მე სოფლები მოვარე.
გალმა ფერდში ქათამი, მოვა და მოკაკანყუს,
მე რომ ლამაზ დეენახე, გულში გამაკანკალეფს.
გალმა ფერდში ტყემალი, კონწოლ-კონწოლ კილია.
უთხარი დედაშენსა, მე ნუ ჩამომკილია.
დელე-დელე შევარე, დელე ბალახიანი,
ერთი გოგო შეკუვარე, გული ტალახიანი.
საფექროში დგამები, შენი თეთრი კბილები,
გეიცინე, დაგინახო, უბეში შაგინახო.
არ იქნები უყურო, კერ დადგები უპურო.
გამოი კარში დაგანდო, ბეგრ ხალხში არ მიყურო.
საჭამურში შეველი, ძროხები დასაწველი,
საყუარელი მატყვილეფს, გიმიხდა დასაკლელი.
მადლა-მადლა მიფრინავს ყუავია თუ ყართალი,
საყუარელი გაქცეპლა, ტყვილია თუ მართალი.
გოგო: — ლაჩაქი და მკეხადო, ლაჩაქი სადღა წიკელი?

ბიჭი: — შენ მაგდენი ცოდვები ნეტავი სადღა წვილო?
 გოგო: — ბაწარ-ბაწარ გევიარე, ქომოთკენ გადავხედე,
 ბიჭი: — შენ ჩემთვის დაწერილხარ, მე ქითაბში ჩავეხედე.
 გოგო: — სახლ წინედან ლობიო, იმა უნდა ხაშარი,
 ბიჭი: — ჩემ ხიზან დედამთილმა არ მომართვა ვახშამი.
 ბიჭი: — ძივიანი ლაჩაქი რა ლამაზათ გიხლება,
 გოგო: — შენი ერთი დანახვა ჯენსეთი გიმიხლება.
 ბიჭი: — საათი მოვბი კლაჯეზე, აველ საზვირელაზე,
 გოგო: — იქიდან გადმოქხედე, გამოგარჩიე თაზე.
 ბიჭი: — ურისაკლავის სერზე მივბრუნდებ-მოვბრუნდები,
 გოგო: — საცხან ლამაზ დვენახა, შენ იქ დამიბრუნდები.
 გოგო: — ავაყუდე მესარი, ჩემი მოსლა ეს არი.
 ბიჭი: — ნათქუამსაც რომ ვერ ითხოვს, საცოდვაეი ის არი...
 ბიჭი: — გაღმა სერში თეთრი ქვა, დავყვე ხელი, არ ამყვა,
 გოგო: — დასაქცეველი ბიჭი, საცხან წვეველ, იქ წამყვა.
 გოგო: — ყუაემა კუერცხი ჩამუაგდო, ავერ პირზე მომაგდო,
 ბიჭი: — შენსოდ ლამაზი გოგო მე რასოდნა გავაგდო...

თეთრო მამალო

დედე გაღმაში ჩენი სახლები,
 მოკდენ ძველები, დარჩენ ახლები.
 შენი ჭირიძე, შენ გენაცვალე,
 შენი თვალ-წარბი მე შემიცვალე.
 თეთრო მამალო, რატომ არ ყივი,
 ლამაზო ქალო, რატომ არ ტირი,
 შენი ჭირიძე, შენ გენაცვალე,
 შენი თვალ-წარბი მე შემიცვალე.

ქართული ვაიზი

ყდამეთი ახლოს არი, იცლება დრო, ზამანები,
 ეინც რომ ვართ მუსლიმანები, დმერთ შევტიროთ იმანები.
 სუნყველ დღეს ომრი მიგვიდის, გვაქ სიცოცხლის გუმანები,
 აბუდლებული ინსანო, ჯავრს რაღას ემბრიალები.
 სად წვედენ შენი ძველები, მოყვარე და შენიანები,
 აქ ზომ ეინშე არ დავრჩებით, არც ბეჩი, არც ჭკვიანები.
 კოდვენ თუ შენ ამ დუნდაზე მხეცივით დატრიალდები,
 რათ არ ფიქრობ, იმ დუნიაში ალივით აფრიალდები.
 ჯერ შენ სიკდილ არ ელოდი, უხებტროთ დეიხრიალები.
 სიკდილ ვერვინ გუდურჩება, იგითი და ფირალები.
 ვერც ქართველი ზვანთქარი და ვერც ზემწიფე ქიბარები,
 ვერც ქართველი, ვერც თათარი, ვერცა გუბერნატორები.
 ვერც ვერუა გუდურჩება, ქვეყნის იმფერატორები,
 ხელაე რომე ყველაი კლება, ერთ დღეს შენაც აფრინდები,
 იმანიც თუ ზედან გახლავს, ჯენსეთშიაც გაფრინდები.
 იქ რომ დერდი არ გექნება, ბელქი უმფო გეიხდები.

ახირეთს რომ ღვივიწყებ, ლოცვა-მარხვას შეზარდები.
კილო აქ რომ კარგა იყო, ბოლოს მაინც გამწარდები.
ეი, ჩემო მწერალო ხელო, ერთ დღე შენაც გაჩერდები,
სიკდილსა რომ ღეინახავ, ავაღყოფნას დაჯერდები.
სატირალი იგი არი, ახირეთი და ღერდები,
ღმერთო, იქ მაი შიგვიბრალე, აქ რომ მერაყით ვბერდებით.
ავათ ყოფნაც კარგი არი, თუ არ ღვიწყე ჩივილი,
ცოდების მომხსნელიც კი არი, ავათ ყოფნა და ტკივილი.
მუღამ ღერდი, ავათ ყოფნა, ჩათინია, არ გეიძლება.
მარა ღმერთის ემრი არი, თუ საბრობა შეიძლება.
საბრსა იზამ და საბრობით მაიც ააფერი შეგეძლება,
ვახტი რომ მოვა, ნამსხმანში თვით ეჯელი შეგიძრება.
სიცოცხლე ღვიგითავრდება, ტანიდან სული აკძრება,
გეიცლება ტან-ბედენი, იმ შავ მიწაში ჩაძრება.
გუუმაძლარი ინსანი ძვილაი შავ მიწით გაძლება.
სული ზეით, მაღლა წავა, ინსანი რომენ მოკდება.
რომე მეზერში ჩაგდებენ, დააწაყვები, ნიღლები,
სიკდილს რომე არ ელოდი, მომკლარი ვარო მიხლები.
მიხლები გავთავებულვარ, თელი ტამრები დაგწყვდება,
მომკლარი ვარო, შიშისკან გულის კაკალი გასკდება.
საჯენნეთო ინსანებსა მეზერი გაუნათლდება,
თუ მკითხავ, მახე პატევი აჯაბ რა და რა იქნება.
შენ მიხლები საქმეს კარგა, ყოლიფერი კაი იქნება,
საჯუქენემოს თუ მკითხავ, ვინც უიძარი იქნება,
გამკითხავი გვიარს წავა, იმას მეტი არ აქს ნება,
თუნდა ქალი, თუნდა კაცი, ბეინამაზი თუ იქნება.
ვინაც გულგონჯი იქნება, ან ქურდი, მუზი იქნება,
მოვა შავი ანგელოზი, ცეცხლის თოფუზი ექნება,
ერთი ტიტვირი თავაღმა, ერთი თავაღმა ექნება.
პირზე ძალიანაც შავია, არ გინდა მახე ყურება,
იგი გირტყამს და შენ ყვირი, მას ააფერი ეყურება.
ის ხმა ამ ტყვილ ღუნდაზე საქონელსაც ეყურება,
საქონელმაც მიტომ იცის მეტი აღრე დაბერება.
ცაის ყვირილსა გონილოფს, იმაზე მალე ბერდება,
შენ სატირალი საქმისთინ შენ რატომ არ გედერდება.
ის ხმა ინსნებმა რომ გვიგონ, ცოცხალი არეინ დარჩება,
შიშისგან სულაც გაეწყვლებით, ღუნდა ცარიელი დარჩება.
უიძარი კდრებ იმიდან აღარ აქვან გახარება,
იმ შავ ანგელოზის ხელში არეინ არ მოგეხმარება.
პაწაი იმანიც თუ კი გაქ, სტუმარიც თუ გეყვარება,
შენი ნაჭმევი პურები, იმ დღესა ღეგეხმარება.
კლარს შუა და თოფუზ შუა ის მოვა და დეეფარება,
მის დანარტყამი თოფუზი შენ აღარ წეგეკარება.
ასე კაია მოსაფირზე ხიზმეთი – მომსახურება.
ლოცვა-კითხვა თუ გიყვარდა, ვურანისა დაყურება.
ის ღვიგისნის ღმერთის ემრსა, სხვა ეკრეინ მოგეხმარება,
იმ სიკდილისან თვალებზე ფერდ რომ ეგეფარება,

მაშინ ტყვილ ღუნის სინათლე მუშსაკეთ ეგეფარება,
 უბედური შენი თავი ვზრადლს რომ ჩაბარდება.
 მაშინ შენსა მიბარებას სუნყველი გეეჩქარება,
 გეიცლება ტანი, ნამსხმანი იმ შავ მიწაში ჩაძრება.
 რაკარც მიწაში ჩაგდებენ, ძელებიც დაგეზურება.
 მოყვარეს და შენიანებსა იწის დაყრა ეჩქარება.
 ცოცხალი რომ ბნელში დარჩე, რა და რა მოგეჩვენება,
 უიძინო შავ მიწაში აჯაბ იქ გაეშეილება.
 ცოცხალმა კლარი რა იცის, რა ღეზაბში, რა ჰალშია,
 ზოგსა მიწა მოუჭირებს, ტანჯვას მიცემს ძელებშია,
 ჭკუა თუ გაქ, თოფბე ქენი, ახლა ჩავარდი ჭკვაშია,
 ყვაამეთი რომენ მოვა, ვეღარ მოვავრობ რაღაია...
 ამ ღუნდაზე რაც რომ შეიგე, ჯერ ჰელალის ჰესაბია,
 ქურდი თუ არი, იმისთეინ ჯეჰენებში აზაბია.
 ჯეჰენებთან მისლამდი, ვინცხაი რომ ცოდვის მქნელია,
 მისი სადგომი ალაგი კუკუნეთი და ბნელია.
 და ყვაამეთის მოზლამდი მისი აზაბი ძნელია,
 ღუნდაში ცოდვის მქნელი, სხუაფრად ატრიალდება,
 რაც ღუნდაში გონჯობა ქნა, თელი გამუტიალდება...
 ზოგი ძაღლის სურეთშია, ზოგი სხუაფრად გეიღანძვისი,
 ზოგი ღორის სურეთშია, ჯეჰენებში გეიღანძვისი,
 ჯეჰენებში ხიდი არი სამი ათასი წლისაო,
 ყილაჯზე იმფო ჭრელია, ბეწვზედაც არი წმინდაო.
 უიძინო ეერვინ გეიარს, ჩავარდება კუპრის ტბაში,
 იმაზე ახლოს მისლამდი შიშისკანაც კანკალეფსო,
 ვინცხაი სამოთხეში მივა, ზითვალივით კამკამეფსო.
 ზოგი ელვასავით გეიარს, ზოგი გეიარს ქარივითო,
 ამ ღუნდაზე ულოცავი, საქონელია ხარივითო...
 სხვირათის ხიდზე ვერ გეიარს, ტირილ დეიწვეფს ზარივითო.
 გამჩენელო, შენ გვაჩუქე სიკილიხან იმანები;
 სხვირათის ხიდზე გავლიხან ძნელი რომ გვაქ ზამანები.
 ბეწვის ხიდზე პაზირობენ ჯეჰენემის ზებანები.
 თუ კი გინდა გადარჩენა, ზებანის და ჯეჰენემის,
 დაჯექი და ყური მიე ლოცვა-კითხვას, ვესიეთის,
 ამას ქვევით ლოცვა-მარხვის ვესიეთსაც გიზამ შენა:
 დილას იაღონზე ადგება ნამდვილი ტყეში დაბანი,
 დრო გადის და რათ არ დგები, რას წივიზურავს საბანი,
 ადექი, ნუ გაგიწდია ლოგინში ფეხის ტაბანი.
 რემეზანის მახარები მობძანდა რეჯებ-შაღბანი,
 თორმეტი თვის შორი გზიდან მობძანდება რემეზანი.
 სელავათსაც ყური მიე, დროზე გეიგონე ეზანი,
 გამჩენელმა რომენ მოქცა ჭკუა, ცნობა და იზანი.
 საიქიოთ თუ დარჩები უიძინო და ხიზანი,
 თათრულია რომ შეგეხვეწოთ, ისთარუმ სენუნ რიზანი.
 რემეზანში გეიხსნება ღმერთის რაჰმეთი ხაზინა,
 რაცხას რომენ გევეცდებით, სუნთელი დაქეზდება წინა.
 ლოცვა-კითხვით განათლდება თლათ ქვეყანა დამიფეფი.

ყურანიც გაჟუჟუნდება თლათ დალოცვილ ჯამიფეში.
რემეხანში შეიკრება ეშმაკების ხელი-ფეხი,
ნამღლეათ დაყრილია შვიდი ჯეჰენემის კარი.
აი, ნამღვილი ქითაფშია, გამჩენელის ყული თუ ხარ,
საიქიოს შენი არი აჭეკლებული ჯენნეთი,
ჯებრაილი, მიჰაილი, ანგელოზის დიდვანები,
იგენი თელი დაგლოცვენ, შენ ხარ მათი შენდებელი,
რემეხანი თუ დეიჭირე, შენ ხარ ღმერთის ხასი ყული.
მადლობა ღმერთ მუახსენე, მუსლიმანი რომ გაქ ჯული.
ამ მუბარეკე რემეხანზე შენ კი უყავი შუქური,
ილოცე და თოებე ქენი, არ გეისხენო ქუფური.
აქა თუ თოებე არ ქენი, იმ დუნდას გეტყვიან შენა,
მაი ნალოციც შენი იყოს, ჯეჰენებში წახვალ შენა.
მე ამათ რომ გიყავიზებ, ნანდვილათ დეიჯერე თელი,
მუხამედის გზაზე იყავ, გონჯ საქმეზე ყიდე ზელი.
სუნთელ ბედნამაზი ძულან, ლოცვა-მარხვაზე თიბებელი,
ჯენნეთში რომ ბახჩა არი, სუნი აქ მისქი – ამბერი, ...
რემეხანი თუ დეიჭირე, საქმე გიგიხდა ადვილი,
ღმერთი შენიდან რახია, საჯენნეთო ხარ ნამღვილი.
რემეხანში უნდა კჭამოთ დალი, თაფლი და ყუეკელი,
მოწყალენო, შეიწყალეთ ეზოში მოსული თხუეკელი.
მთხოველებმა არ იციან ზაფხულ-ზამთარი და თველი,
ამათზე გონჯისა მოქმელსა ენაზე დეეხვევა გველი.
ქმარისთვინა თუ გონჯი ხართ, არ დეგეღევიან ბელები,
რომ მოკლებით, გაჩერდება ნამსხუვანი და ხელები,
რავარც მიწაში ჩაგდებენ, დეგეზურება ძელები,
მაშინ ენა გიგიხდება სამოზდაათი პელები.
ერთმა ქალმა შეასრულოს ლოცვა-მარხვა, თემენაო,
კაი ნამუსი შამოცავოს, ქმარსაც უთხრას კაი ენაო,
ათას კაცზე კაი იქნები, მაქფერი თუ ხარ შენაო.
ამ ორი დღის სიცოცხლეში ნუ გინდა ვინმეს წყენაო.
შვილსაც დედამა ასწავლე: – ნენო, ჩემო ნენო,
ენით თუ ვინმეს აწყისნე, მალე ბოლიში ქენო...
მიხვალ არასათ მედღანში, ძირში ვთრევა ენაო,
ვეღარ გიშველის ნალოცი, ლოცვა შენი, თემენაო.
ნალოციდან, ნაკითხიდან აღარ გექნება მადლიო,
არასათში შენი ენა გახდება სამოზდაათი ადლიო.
ვინც რომ ქმარისთვინ კარგია, რეცხვა, სუფთა და მირეველი,
ეცადოს ნუღარ ეხლება საჭმელში ბეწვი გარეველი.
ის ქალია საჯენნეთო, ეშმაკ-შეფთანზე მორეველი,
იმას თუ არ აქ სიცოცხლეში ჰერამიდან გარეველი.
ნალოცი თუ ყაბული არ გაქ, იქ გალოცვიბენ ილლაქი;
ლოცვა-კითხვა რას გიშველის, თუ შეჭამე სხეისი ჰახი,
ჰერამსაც თუ მოერიდე, თავიც თუ გაქ დაღებული,
ლოცვა-კითხვა და იმანი, მადლიც თან გაქ წადებული,
რუა ჯენნეთის კარები შენთვის არი გაღებული.
ვერცხლით, ელმასით ნაშენი, ოქროს წყალით შეღებილი,

ნამდულიათ იმას ეცდები, თუ ხარ ღმერთთან მიღებული, თუ არ გინდა ჯეჰენემი, კუპრია აღუღებული, იქ ხომ ჯენნეთ ვერ მეიგეუ, ჯენნეთ აქიდან წვილფო, თუ კარგ იხამ ტყეილ ღუნდაში, ღმერთის ნებას მიიღეფო... ულოცავი იქ იზილვის, ის რომ იქიბრფუს, დეიქეფსო, ის ჯეჰენემში მოხდება, რომენ მოკდება, გეიგნეფსო. მეილულ ღელის შიდღეთიდან შვიდ ჯეჰენემს ემინიო, ვეღამ ჰელალ რომ არ ექეფ, შენ რატომ არ გეშინიო? ჰედა ყუე გეიხსენე, შაეად, ბნელად აღულდება, იმის ხმახაც თუ იკითხავ, რავარც რომ ცა გაქუხდება, აღუღებულ ცეცხლში იწვის, ვინც რომ გლახა გულის არი, ულოცავის საღგურია ჰედა ყუე შავი, ბნელი. აბუღებულო ინსანო, რომენ შენ ხარ ცოდვის მქნელი, თოვბესაც რომ არ ექცევი, შენი საქმე არი ბნელი. ვეხიეთი არ დეიჯერე, რა დეგემართა, შენ, რაო, ნათესახსა, მეზობელსა, ყველას უთხარ კაი ენაო... ტანზე რომ კოხტად გაცევი, ჭამა-სმაც არ გითაელება, ჯერ შენ სიკილო არ ელოდი, სიცოცხლე გიგითაელება, ბერადი და ღრო მიგიდის, ცოდვებიც ხომ გემატება... იო, ქართულზე გადმოტანე ვეხიეთი არაბული, წმინდა წიგნიდან ამოვლე, ღმერთო, მიყავი ყაბული. ამ ნახიპათ გებნევი, წმინდა ყურანის წიგნიდან; აფეთიდან, ჰადისიდან, ქითაბიდან და წიგნიდან. ასი წელი რომ ვიცოცხლო და არ გაეაჩერო ხელი, ლოცვა-მარხვის ცოდვა-მადლი არ დეიწერება მთელი. ეს ვიზი დავამთავროთ ჩვენა ტკბილ ქართულ ენით ღმერთმა რომ რაცხა გიბბანა, არ დეიზართო, ყველაი ქენით.

დასახელებული ტექსტები (ხალხური პოეზიის ნიმუშები და ქართული ვაიზი) მოგვანოდა სოფელ პაიროსს მკვიდრმა პაირი პაიროლოლუმ (ვახტანგ მალაყმაძემ), რისთვისაც ვუხდით მადლობას. მანვე მოგვანოდა თავისი პატარა წერილი „ბარათი ილია ჭავჭავაძეს თურქეთელი ქართველისაგან“, რომელიც დაუბეჭდავს ჟურნალ „გუშაგს“. წერილის შეტანა კრებულში მიზანშეწონილად მიგვანინა იმიტომაც, რომ იგი ნათლად გვიჩვენებს ქართული სალიტერატურო ენის გავლენას სამშობლოზე ათასზე მეტი კილომეტრით მოშორებული ქართველის მეტყველებაზე. გაეცნოთ ჟურნალ „გუშაგს“ კომენტარს წერილის ავტორის ვინაობის შესახებ: „ამ ბარათის ავტორი, ბ-ნი ვახტანგ მალაყმაძე, პასპორტით ხაირი ხაირიოდლე, ეკუთვნის თურქეთში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელსაც, თურქ ნაციონალისტთა მიერ მხეცურად მოკლული, ახმედ ოზკან-მელაშვილი თავაკობდა და რომელიც თავდადებულად იღვწოდა ქართული კულტურისა და ეროვნული მეობის მის თანამემამულეთა შორის დასანერგავად. ახმედ მელაშვილის მკვლელობის შემდეგ ეს საქმიანობა შეფერხდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. ხ. ხაირიოდლე ახ. მელაშვილის მარჯვენა ხელი იყო და მის სიცოცხლეში და მერეც ორმაგი მონდომებით აგრძელებს ნაყოფიერ კულტურულ საქმიანობას: თურქულად თარგმნის ქართულ მწერლობის საინტერესო ნიმუშებს, მონაწილეობს პერიოდულ გამოცემა „ჩვენებურში“, ხელს უწყობს დედაენისა და ენრა-კითხვის გავრცელებას და ჩვენი ხალხური სიმღერებისა და ცეკვების დანერგვას და ა. შ. და ბოლოს, მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა აქვს სამშობლოსთან და მის გარეთ მცხოვრებ ქართველებთან.

ვახტანგ მალაყმაძე შარშან მიწვეული იყო საქართველოში ილია ჭავჭავაძის იუბილეში მონაწილეობის მისაღებად და ეს ბარათიც მას განზრახული ჰქონდა წაკითხა საზეიმო საღამოზე, მაგრამ უკანასკნელ წუთში, როცა ის ტრიბუნაზე მიწვევას ელოდა, მისთვის ამის ნება არ მიუციათ. თურქეთში დაბრუნებულმა გამოგვიგზავნა ამ მიმართვის ტექსტი და გვთხოვა: თუ მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, გამოაქვეყნეთო, რასაც ვუსრულებთ. გუშაგი, № 15, 1988 წლის მარტი, საფრანგეთი.

ბარათი ილია ჭავჭავაძეს თურქეთელ ქართველისაგან

იეთიმ გურჯი ამბობდა:

„გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი,
საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო,
თორმეტი წლის გატანჯული მოვედი“...

დიახ, გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო და ქართველი ერის დიდებულნო: მეფე ფარნავაზ, ვახტანგ გორგასალო, დავით აღმაშენებლო, თამარ მეფევე, ერეკლე მეორევე და კიდევ მრავალნი... გამარჯობათ: მოთა რუსთაველო, ჩაბრუნხაძევე, ილია ჭავჭავაძევე, აკაკი წერეთლო, ვაჟა ფშაველავე, იაკობ გოგებამვილო, ალექსანდრე ყაზბეგო... და კიდევ მრავალნი ენით ჩამოუთვლელნი მამულიშვილნი!..

გამარჯობათ, ოთხასი წლის დაკარგული და გატანჯული თქვენი შვილი გვახელით. თქვენი ღვიძლი შვილი, მარა სამწუხაროდ სულით და ზნე-ჩვეულებებით გადაგვარებული, სამშობლოდან გაცილებულ-ჩამოშორებული... იმიტომ პირველად მოგახსენებთ ბოდიშს, რომ, სამწუხაროდ, არ შემიძლია ჩემი ისტორიული, ზღაპრული დედაენით სუფთად, ფაქიზად, მოხდენილი სიტყვებით მოგმართოთ. მაპატიეთ ჩემი დამახინჯებული და იქნებ რომ ცდარი სიტყვები.

პატივცემულო ილიავ! გული მტკივა იმიტომ, რომ საქართველოსი და შენი არსებობა ამ ქვეყანაზე ძალიან გვიან გავიგე, მარა კიდევ ბედნიერი უნდა ვიყო, რომ მაინც შემთხვევით, კეთილი ბედით გაგიცანიოთ... აჰა, ოთხასი წლის შემდეგ გულის ფანცქალით მოვედი და აი, რა ვნახე: თვალში მელანდება ოთხმოცი წლის სიღრმიდან ამოღებული შენი მკვლელობის მძიმე ტრაგედია... თვალში მელანდება საგურამოს გზაზე მიმავალი კოხტა ფაიტონი და შიგ ამაყად მონყობილი დიდი ილია და მისი საყვარელი ოლა... შემდეგ, აი, ოთხი ლულა, წინამურში ოთხი ჩახმახი, ოთხი წყეული თითი და უგუნური ოთხი მსევლი თავი, ბრმა რვა თვალით... შემდეგ საზარელი და ოჯახდამაქცეველი გრიალი ეშმაკის ლულებისა... აი, მესმის სიზმარსავით შენი უკანასკნელი სიტყვები, ილიავ: „რას შერეებით, უბედურნო, არ მესრლოთ, მე ილია ვარ“-ო. მესმის შენი ოლღას თრთოლით და ძრწოლით კვილ-ტირილი, აუტანელი ვაება.

გასაგებია, თუ რა უნდოდა შენთან ცარიზმის მონა-მორჩილებს. გასაგებია, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჩემი უფლება არ იქნება და ჩემი საგნის გარეშე... მაგრამ ამას მაინც ვიტყვი: შენ ადამიანური სიყვარულით აღსავსე გულს ატარებდი და გიყვარდა სტუმართ-მასპინძლობა, ღვინო. გამართული გქონდა გულუხვად ქართული სუფრა, ტკბილი, ალღა და თბილი სუფრა, შინაურ და შორეულ სტუმრებისათვის, რომელთაც ეგებებოდი ხალისიანად, ღია გულით, მომლიძარე პირით და კეთილი გრძნობებით.

საქართველოს უკანასკნელო უგვირგვინო მეფევე! ქართული ეროვნული აზრის წარმომადგენლო, უბადლო მოუტო, ძლიერო ავტორო, სამართლიანო ჟურნალისტო და თავდადებულო საზოგადო მოღვაწევე, ცოტაოდენ დაღონებული ყოფილხარ თურმე შენი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში. ამის მანიშნებელია შენი საყვარელი ქართული ხალხური სიმღერის ეს სიტყვები: „სული მიწუხს, გული მასთან ღონდება, თვალს

ავახელ, ცრემლები არ მშორდება“.

ჩემო ილიაე, ჩვენ უდიდეს პოეტს აკაკის უთქვამს სიტყვა ჩვენ ძმა ებრაელ ქართველის სიკვდილზე. ეს გულის სიღრმიდან ამოღებული სიტყვები განა მარტო ებრაელი ქართველის სიმწარეს აგვისახავს, არამედ შენ დალოცვილ განსვენებულ სხეულსაც დაგვისახავს თვალის წინ. აი, ეს სიტყვები:

„დაგიკრეფია ხელები, თვალები დაგხუჭვიაო,
აქ დაგრჩენია, რაც გქონდა, თან ველარ წაგიღიაო;
ნაცვლად დაგხედება იმ ქვეყნად სამოთხის კარი ღიაო,
და ათასკეცად ის კარგი, რაც აქ ვერ მიგიღიაო.
ჩვენ კი მაგ შენმა დაკარგვამ გულები დაგვისიაო!
მშვიდობით, ახა, ნარინჯო, შე ბრონეულო, იაო!“

გულზე მაცვივა და მწვავეს ქართველი ერის და შენი საყვარელი ოლღას ნადენი მდულარე ცრემლები... მტკიცეა გული, მინუხს სული, როგორც შენი სხეულის ერთ-ერთი ასო და შენი ნაღვარევი სისხლის ერთი ნაწვეთი... შენი ღვიძლი ძმა და შვილი, საქართველოს ერთგული, მიჯნური, თურქეთელი ჭეშმარიტი ქართველი.

დასასრულს ამას გეტყვი: აღარ სუფევდეს მსოფლიოში შიში, აღარ იყოს ხალხთა და ერთა შორის სიძულელი, მტრობა, მუქარა, შულღი. იყოს ხალხთა და ერთა შორის კეთილი მეზობლობა, მეგობრობა, სოლიდარობა, მიშველება და შენევნა...

მშვიდობით, ჩემო ილიაე; მშვიდობით სამშობლოვ, მშვიდობით ჩემო თანამემამულენო, გაუმარჯოს მომავალ უფრო და უფრო ბრწყინვალე საერთაშორისო მეგობრობას. ჰაირი ჰაიროღლუ, ე. ი. ვახტანგ მალაყმაძე, თურქეთი“.

* * *

ხალხურ მასალას აგროვებდა ჰაირიელი ქართველი მეჰმედ ეროღლუ (ფარტენაძე — 1910 წელს დაბადებული). მის მიერ ჩანერილი ერთი შელოცვა დაბეჭდილია უურნალ „ჩვენებურში“. სამწუხაროდ, სხვა ჩანანერებს ვერ მივაგენით.

კუ, კუ, კარაჩო, ფეხტარიანო, ოგლაგარჯო,
რას ზიხარ ხმელ სარაზე?
აგჭრი-დაგჭრი შაკ ტარიანი დანით.
გაღულეუ და გაქაფქაფეუ.
იგიტან მალლა ქელზე,
აღმა ქარს მიქცემ, დაღმა ნიავს მიქცემ.

მეჰმედ ეროღლუ (ფარტენაძე), უურნალი „ჩვენებური“, გვ. 62 კავკასიოლოგიური კრებული, 1979 წ. № 6-7, ისტანბული.

* * *

— რაფეთ ბასილაძე ვარ, აქაური გუარია აიდოლანი. ჩუენი დიდი დედიები სამი ძმა ყოფილან. ერთი ორდუში მოსულა, ერთი ბურსას დამუდარა, ერთი მაჭახელში დარჩენილა. ებნოდენ ქუჩუგ ალას. ჩვენ ბურსალი ძმის თორუნი ვართ. მე მასკლავი უნივერსიტე გავათავე, ქიმია მუენდისობის ფაქულთე. ახლა ჩემი ფაფრიქა მაქ, ბოღას, ლაქს ვაკეთავ, ვყიდავ. კაი მოგება მაქ.

— ცხვირ-ბუქ ვატეხავთ ქართულსა, გვინდა კარქა ვინავლოთ.

— ბალვები წოვდონ ოქულში... მაქინათ არ გაბეჩებ, ნელა მიმყავს... ჭაკვა კუთხე წოვდოთ, მარცხენა თერფუდიან მოვდოთ, სახლში დავრჩოთ ჩემთან... პანაი-პანაი ვიცოდი ადრე, ახლა იმფო გავტებე ენა... ეს ლაშა ახალ მონრილია, გიორგიც. ჯესური გენჯები ქყოლია გურამ ბეი...

— მენა გევეწურო ქენერში, თქვენ აფერებთ უჩემოთ...

— ყურანს თუ დუყურე, შიერ მოქკლავს. ამფერი ლამაზი შეები ღმერთ გუუჩენია და რატომ არ ვსვათ?!

— აქაური გურჯი მილლეთის გურჯიჯე ადრი-ადრია. აჭარლები „ტრიაი“ ეტყვიან, ჩუენ „ყავ“ ვეტყვით. ჩუენ „კო“ ვეტყვით, აჭარლები „მუხაი“ ეტყვიან... გურჯი დაზი ერთი დევენალე, ათ დლე არ ჩაზედე, დამაზინყდა. მეტი მალე დეინავლი, მეტი მალე დავაბინყდება. ჩუენ ბალნებმაც გვინდა ინავლონ გურჯიჯე. ჯერ ენას ვერ ტვენენ, ამა რაცხას რომე დოვლაპარიეობთ, მისდებან. ბევრ გენჯსა ჩუენებური ვერ დუუნავლია. ზაათინ ოცი ნელინადი გამლიციყო, სინორი აარ გახსნილიყო, ვერვინ იცნობდა ერთმანებსა, დოკარქებოდით ბითევიან.

— გურჯიჯეს დედეი გაგვაგნებებდა, მაჭიხელ აჰმედ ჩაეში იყო...

— ჩენა მეტი გვიყვარს ეგ... ლამაზ სახელებ ვინავლით...

— გურჯისტანში გადმეველ, იქაურ ინსნებ ვებუცე, არ დამწონდა. თემბელია თქუენი ხალხი, არ საქმობენ, მარტო ქეიფობენ... აქა თუ ვერ გააფერე საქმე, გამიეფუჭვი, ვინებ არ შექხედავს.

ბათუმი ლამაზი ეერია, მარა გამოფუჭვილა, არ შუუხედინან არვის, არც რუსსა და არც გურჯსა. ჯენნეთივით ჰავა, იერი არი, ჰამა ფისი, მუულელი. მუასუფთონ ყუელამა იქაურობა. ინთურისთში ვიყავით, არ დეინოლება. ძალი არ დანეება იქა. ორი ქართუელი ვიყავით, ოთხი თურქი იყო. მე ბელქიდა კიდუენ მუალ და დანეებები იქა, მარა თურქი აღარ მუა, დოლარს აღარ დაანვენს იქა, აღარ გედისხის, თუ არ შეხედეს კარქა, აღარ მუა. თურქიეში თურისობას ძალიან უყურებენ, უჯანგო ფაფრიქა არი ტურისტობა, კაი მოგება აქ. თქუენ რატომ არ უყურეთ ამასა?... თურქებსა ეს რომ ეცოდნეს, აღარ ნამოიდოდენ აქა...

— ჯემალაი შუა დლეს უკან მოედა, ერთი გევესვენოვო... მემრე აქედან ნოვდონ... ჩენა, მე და ჯემალამ, ლისეში ერთათ ვიკითხეთ... იმან და მე ერთად ნოველით... იმან მერინა გავედლო, მითხრა. მე ვუთხარი: — შენ სუფთა კაცი ხარ, დეიპილნი დედიმ, არ გინდა პოლიტიკა-მეთქი, ამა არ დიმიჯერა. გერჩექ ამეირჩიეს, სეჩიში მეიგო და გახდა მერი ჯემალ არიქმა.

— ექესი ნელნადია ვიბამ სათვალესა...

— ნოველი, მოვევაი შადივი.

— დღეით დრო არ გავქ, საღამოზე ვილაპარიკოთ, ჩენსა მობძანდით.

— ზოგმა ნეიტი გაავზანეს ოქულში ბლნები, ამა ვერ ინავლეს კარქა...

— ახლა დავედო, სამ დღეზე ვინავლი გურჯი დახსა.

— ის გიკივირდა, საქმეზე ნოვდონო?!

— იქითა კუთხიდან ებუცებით, გული პანანვანი გაქვან...

— ვინცხაი ბევრ იარს, ბევრ ინავლის...

— მე ბვერიგზობ დავფიშმანდები გურჯისტანის ყედერზე. რუსი ჩუენ თავზე რატომნა იყოს?! ხან ის გვაძებებს, ხან — ის: ირანი, თურქეთი, არაბი... რატომ? ჩუენ ჩუენი ჯუმპურიეთი რატომ არნა ქექონდეს?!

— ამათმა რომ რამე ვერ გააფერენ, სხვამ რანა ქნას?

— გურჯიჯე დაჰა ლამაზია, ამა ოქულებში არ ვანავლით, რატომ?!

— მაჭიხელიდან ჰაირიე სოფელში მოსულა ორმოცი პანე. ორმოც ნელნად უკან გამხდარა სამას სამოცი პანე. მემრენ დუუნყიან ნასლა-ნამოსლა იქით-აქეთ. ბვერი აღმანიეს ნასულან...

— ჰაირი ჰაირიოლლუს დედეი ყოფილა ნაკითხი კაცი. ჰემენ სკოლა გუუხსნია სოფელში. ლათინჯა უნავლებია. ასდაოცი ნელნადია აქ მოსულან ჩუენი დიდვანები... ასდაოცი ნელნადის ნინინდელ ენას ლაპარაკობს ეს კაციო, იტყვით ახლა ჩემზე ღანი...

ენ ნინ რომ მაქინები გამოსულა, გერმანიადა მოტანილი, ასდაოცი წლისა, ჩვენი ენა და ის მაქინა ერთია. რაცხა დიგვირჩა ჯიფეში, ის არი, აღარ შეცვლილა. ახლა გვინდა ნორე გურჯიჯა, თიფლიზური გურჯიჯა ვინაელოთ, ნორეთ ვილაპარაკოთ.

— სახლში ჩოვდოთ, ჩაის მოვსვამთ...დიგიმატებთ და, ნუ ფიშმანობთ...

— ამას რომ გაალებთ, ჩემი თავი მოგაგონდებიან, იმან დიგივიმატაო...

— იმათაც სული არ შუუნუნხდენ, ჩუენც არ შიგვიუნხდენ...

— ასე ლამაზ საჭმელ რომ გააკეთებ, ყველას მუუნდებიან...

— ფეხი მოვაჩვიეთ საქართველოში მოსლას, ანუ მალმალე მოვდოთნა.

— ლაშა, შენ არ გაგატანოთ მამაშენსა, აქ დაქტით, დოქტორი ხარ, ბევრ ლირას მეიგეფ... აქა თუ ბევრი ფული არ გაქ, მოქჭიყყვენ...

— თქუენი, გურჯისტანის ახლანდელი ხებრები ჩუენა ძალიან არ მოქვენონან. ის იმკენ დეენიკება, ის იმკენ დეენიკება... არ იქს ასე. ერთათდა ვიყოთ. ერთმანებ კვანტები დადვან, არა! ერთათ რომე ვიქნებით, მაგრათ ვიქნებით, რამე არ დეეგემართვის... ბომუნა არ ვთქვი, ჯინჭველასავეთ ვართ-მეთქი... ეებგოვით აქეთ-იქით.

...ერთ ხეს რომ გადაატილებ და ჯინჭველა ამუა და ვერ დათლი, იმდენია ქართველებიც ისტანბულში. თელი გუარადან არიან. ჩემი ანაი ფეპლევანიშვილია, ჩემი ცოლი გორაძეა, მე ბასილაძე ვარ...

— ჩემი ძმა, სააფეთ ბასილაძე, გაღმა ნოვდა, მოვდოს და ნოვდოთ შინ.

— აჭარლები პანაი აქაც არ გვიყვარან, მათი ჭკუა ობობას მოქსოვნილივით არი... გოგო ბალანას არ აკითხებენ, ქალების ბუკ არ დაანახიებენ, ქალმა გძელინა ჩეიცვას. ილოცონა, იკითხონა, ჯენნეთშინა ნოვდონ, სანქი გაძლონა... შიერი დარჩენა მაღლი იქნება? რამაზანში შიერი იარებიან...

— დიდვანებმა დაგვანავლონ, რომენე გენჯებმა ვიციოდეთ... ნორე თქვით, რომენე ჩვენც დეენავლოთ ხასი გურჯული. ენა არ გვიტიალდება ლამაზათ... რომენე გადმოხვალ, დომინიე ტელეფონი.

— სიმღერა არ ვიცით, ვინცხაი რომე იმღერეფს, იმა ევეკრებით. ერთსა გეტყვი:

მიგაქ, მოგაქ გუგუში, გაცვია ნარმის ზუბუნი;
დედექ, დედექ, დედლეუცაქ, რაისთვინ ქალი გეგექცა,
ორასი ყადმი მეგეცა, ტურამ თავზე დეგეცა;
პაწია ყანა, დიდი ყანა, პაწა ფაცამ წიგიყვანა,
ღაღა ტაფა, შექნა ფაფა, დეჯექით და ექენით საფა.

— სოფელში თუთუნ ვეთსევიდით. რომ მოვდოდა, თუთუნს ავასხმიდით, ავამბიდით. გახმობილ თუთუნის სული მიყვარდა, იმა ესუნევიდით, იმაზე დეენეყ თუთუნის სმა და პალა ბეგუმ ვსვამ.

— განენვილი ლაპარიკი იციან ხასანფაშელებმა...

— ფათიჰ სულთან მეჰმედი, ფადიშაჰი, არი სტამბულის ამღებელი. მისი ანაი იყო გურჯი. ზაათი აქავრ ფადიშაჰებსა სულ გურჯი ქალები ყავდენ, გურჯი ქალების მერაყი ქონდენ.

— შევარდნაძე ზოვლი განურული კაცია. რაისთვინ ირბინა, ირბინა თელ დუნდაში ფიშტოების ასანევიად? მემლექეთს მიაჩგოს რაცხა, რუსის ჰიზმეთოჯობა რაში გომოადგება? დასათლელი კაცია ეგ შევარდნაძე, ფოლიტიკა იცის, რაცხაფერ გურჯისტანში ჩამეყავით.

— ესხრიკა, ესხრიკა ჩათალით ხმელ ზეითუნსა და ძვილაი დეიჭირა... ჩვენ მეგევიცით ნესვი... კაკლი გული, შიგანაი, დეეენიკე, გამუაგდე...

— ფეხის სავლელი იცის? ნყლის დერი?...

— იმანაც წინა დღეს მოკდა... იმის ჭიპის სახელი იყო რეჟები...

ჩვენა გვინდანან, რომე გურჯისტანმა გურჯი დეიყენოს თავზე და გაანყოს მისი ჰუქუმეთი, ჩვენა გვინდა, რომე საქართველო მისთათინაი იყოს, მისთინ ბაღრალი ქონდოს...

საუბრობდნენ რაფეთ, საფეთ, სევიმ ბასილაძეები (ახალი გვარი აიდოლან). ცხოვრობენ სტამბოლში.

ქუაბითავი

— ქუაბითავი პანაი სოფელია, ოზდათხუმეტი პანეა შიგან. ჩუენ გუეტყოდენ „მემიშოლლები“. ჩუენი წინაი იყო ერთხელიშვილები.

— ქუაბითავის ადგილებია: ნაგომარი, ქუედა ქუაბითავი, სასამო ქედი, ლამაზი ყანა, სანადურული, ვაკენტი, ზეგანთი, ტურული... ტეკუნვერი ლელე...

— კარჩხალზე ცოტა შორსაა ის თა, ტეკუნვერი ლელე (წყალი) რომენე გამოდის, ცივია, ყინტორო, ხელ ვერ ჩაყოფ... ჩხუტუნეთ ჩამეიარს.

— ჩუენ მიწაზე მიწხაპაი, ლობიო, სიმინდი საქმობს. სიმინდი წვიტი გეიზდება, ნითელიც არი და თეთრიც. პოლუყაი დიდვანი ლობიოებია, თეთრი ლობიოც არი...

— უცხო ალაგიდან მოტანილი ატამიც მეხფულიაო, — იტყვიან ძუელები.

— ნამეტარი წვიმიანია ზედა მაჭხელი. წვიმა და ქარი აწვენს სიმინდსა, ჩიტები და თაგვები ჭამენ, არ ეწრობა დამწიფება.

— ნისქეილები გუაქ ლელიბზე. ნისქელისა აქ არქი, ხუიმირი, საკატურაი... ფქვილი ქი ჩეყრება, იმა საფქვილე ქვია.

ზედვაკე

— ზედაი მაჭხელის სოფლები ესენია — აკრია, მინდიეთი, ხერთვისი, ზედვაკე, ეფრატი, ქუაბისთავი. სულ თურამეტი სოფელია მაჭხელში. ექსი სოფელი თურქიემი დარჩა, თორმეტი სოფელი თქუენკენ დარჩა... ქავთარეთი შუაზეა გაჭრილი.

— ეგრების (ადგილების) სახელებია: ჯაფარეთი, უსტალიანთი, შალციეთი, ქუნთე-ლეთი, გუნდილე, ბასხურეთი... ლელიები თიებიდან ჩამუა. ერთი ზიარეთიდან წამუა, გორგითიდან ჩამუა, მინდიეთიდან, მერეთადან, ლოდევაკიდან, ინანმინდაიდან ჩამუა. ინანიმინდაიდან რომ ჩამუა, ის ლოდევაკეს ჩამუა, იქიდან ჩუგათ ჩამუა.

— მიწას მოგხნავთ აპრილის დადგომამდე. ხუთშავათ არ დეიწყებენ მოხნას; ამ ადეთსა ყანუხი ქვია. დეიწყებენ სამშავათ, ორშავათ. ეწინი სამშავათ ჯობია. ოთხშავათ, ხუთშავათ პირ არ დეეწყეფთ. კაი არ არი, არ ვარგაო, იტყვიან. ოთხწლამდი, ხუთწლამდი არ იქს მოსავალსაო, იტყვიან.

— ხარებსა ყანი ხნობაზე ქიებზე ბოდას წუუსმენ, სათვალოს შაბმენ. ქიებზე კუერცხი ებედი არ გიგეიტებია. ბელქიდა იყო წინწინი. გაგონილი გუაქ, მარა მე არ გომიკეთებია... უკალში გაბმისან დაატებდენ ქიებზე კუერცხსა, სიმინდი დამწიფდეს, კუერცხი გულიეთი ყვითელი გახდესო. ქიებზე შაბმიდენ, ქაზე შაბმიდენ სათვალოსა, ძაფის ფუნჯულებსა. ჯილდით მოხნიდენ. ჯილდას სახნისი აქ. მოხნულ მიწაზე გოროხები ადგება. იმა მოთაფნეა, დაათაფნეა უნდა. თაფანით იქმენ იმასა. თუ დარჩა გოროხი, მოგოროხვენ. იმას მემრე დათესაე. მეიგოროხება დათესვის მემრე.

— ძუელი ფახირი თქუენსა რას ფასობს?

— რით ელაპარაკებით ერთიერთმანებ?...

ქუაბითაეი

ქუაბითაეში თევითე (ჰაჯიოლი) დავუი გახადეს, გადარქეს გუარი.

სიმინდ ვთესათ აქა. სიმინდი იქნება შუიდკურიანი, ალთუნაი, ჭრელი ალთუნაი... ხაბი მოვა კარქა, „ხაპსა“ ქლასკურ „აყიროს“ ეტყვიან. მინიხაპი (ფათათესი), კიტრი საქმოფს კარქა... ლობიაი არი: ჭეჭუკაი, პოპლიყუერაი, ყურშუმაი. კერჩხი ლობიაც ვიცით, ხმელი... მინას ხარებით დავხნავთ. გუაქ ჯილლა. ჯილლას აკეთებენ შიშით. ქუეიდან კინა აქ, ჯილლი კინა. ჯილლი ტარიც არი. ჯილლი ტარი გიმიტყდა, კაცოო, იტყვიან. ორიც ხარინა დაბაბ მაგაზე. ბონდრული კისერზე ექნება ხარებსა. ოროლიც ტაპიკები აქ ყიაში შესაკოჭველად. თოკით დავაბამთ კისერზე. ბონდრული გახრტილია შუაში, თოკე დავაბამთ, ჯილლის კლავ მეედება. ერთი ნუუძღვება, ერთიც ჯილლაც დეიკაეფს. ქალი, ბალანა ნუუძღვება, კაციც ჯილლას დეიკაეფს, ერთიც, ხელში წყლები: — ვოიშოო, დაარტყამ ხარსა; გეიარს, ნავა ხარი. მიხვალ ქენარში: — ვოოლა, ჩამოი! — ეტყვი ხარსა. მისთ მოტიალდება. გაარუნიებ კულში ისვენ, გამოანურნიებ, დახნავ, გათავდება... ახლა დათაფნვა: გოროხი თუ არი, თაფანი თ გეიარ, დათაფნავ, გატყვება გოროხი. თაფანი გაკეთდება თხილის წყლებით. დათაფნავ, მემრე დათესავ. თესლსა ზოგან კულში ჩაყრიან, ზოგან გააბნევენ. მემრე ქენარებ შევათხრით. ერთ თვე უკან დავფაჭავთ. გავამეჩხრებთ. მემრენ ერთი კიდენ გავფაჭავთ. მეერთედი გაფაჭვა, მეორედი გაფაჭვა. ვაკე თუა, ძირებზე მივაყრით, კაპანი თუა, არ უნდა. ნამერჩხლი გახმება მერეგში. ძროხას მივართმევთ ზამთარში ნამერჩხლსა. სიმინდი რომე გეიზდება, სამწვერალოს მიცემს, იმას მემრე ქოჩოროს გამეილებს და გახდება როკა. ჭყინტილი მოვა, დამწიფდება. ზედან მოტყევენ ზოგი, ზოგიც მოჭრიან. ბუღულუო კაკეთდება. მემრე ზუინი გაკეთდება, ზუინ ავახვევთ. როკასაც გავარჩევთ, ქუნჩალით ავაბამთ. ქანდარაზე გავკიდავთ ნალიაში. თავებმა არ ევდონ, ჰემ გახმესო. ნალიაში თავი ვერ ევა. ნალია დგას დირელებზე. დირელების თავზე გუალი გოლია. იმაზე თავი ვერ ევა. სიმინდის როკას დავზორავთ საზორავით. ხორსოტო||ხირგულა ცალკე დარჩება, სიმინდი მარცხალი ცალკე დარჩება. ნისქელიმ დავაფქვევთ. ფქვილი იქნება ლინგი და როხი. ნისქელი აქ ჩამოსანევი, გინდა ლინგ დაფქვავ, გინდა — როხსა. ხუმიირი სიმინდი ჩასაყრელია. სიმინდი რომ გამუა, ქუაში ცვინდება. სარეკელი ქუაზე ხდება და თითო თითოს აგდებს. ქუა ორია, ზედაი და ქუედაი. ქუედაი დგას, ზედაი ტიალობს, ფქვილი იყრება საფქვილემი. ლაფერით ამეცლებთ. ფქვილ ჩაყრით გოდორში. ძუელათ იჯებოდეთ ასე, ჯუალი რომ არ იყო. ეს გოდორი სურით (სურით) იქსოვენბა, იმის ფესვით. გაკეთებენ იმერეთი, რომ ნყალი არ გადინდებოდან, წყალი რომ ჩაასხმიდი, ყოლაი არ გადინდებოდა. კალათებიც არი ამფერი... ყუელა დლევიში ნისქელია. მეპელე-მეპელეს ნისქელი მისი აქ. ახლა ხალხმა სოფლიდან წამოვდენ. დაცოტავდა სოფელი. ქუაბითაეი სამოცი ჰანე იყო, ახლა თხუთმეტი მოსახლე არიან. ეფრატიც ოთხმოზდაათი ჰანე იყო, ახლა ორმოზდაათი არიან...

კიდობანში ჩაყრით ფქვილსა. ცაცხვიდან გაკეთდება კიდობანი. ჭადსა მოზელდენ მოხვენილ გობში, ახლა ალუმინისა არი. კეციც არი, სობაც არი. კეცი მინიდან გაკეთებული იყო. ენწინ შკერის ფურცელ დაახრეფდენ. ახლა საჯია დასახურავთ. ფურცლით გამომცხუარი ბილათ დარჩებოდა. არ გახმებოდა.

— ოთხმოზდა თერთმეტი წლისა ვარ, ალი იავუზ (თევითე), წინწინდელი ბევრი რამე მახსოვს... ქობულეთში ჩემი დედეი ხოჯათ წეყყანეს. უთხრეს, რომ ჩუენ ქართული ვაიზი გეყყავო. ამან უთხრა, რომე თქუენ იმას ვერ იზამთ, რაცხას ვაიზი ამბობსო.

იმათაც უთხრომდა, ქი ჩუენ ვაიზი დავგანავლე და ჩუენ იმას ვიქთო. მაშინ დედება უთხრა მეგომ ესენი:

„ — რას ჩივიან მელაიქები, ხუნ თელ ღმერთის გოკვები:

— არ აქვან იმათ იმანები, მაი ხალვია გადარეგლი, ჰემ სომეხი, ჰემაც გავრი, ყავან შეითანი მორეგლი, ჯეჰენემში მათი ფერი!...

ასოზდაოთხი ქითაბი, სულ ზეციდან ჩამოსული, ასი სეზუყე წიგინი, სამოთხიდან გამოსული, ოთხია დიდი ქითაბი, აღემ უეყლაძებერ საათი, შით ჩამოყდა ორმოზდაათი, იდრის ფედლაძებერ — ოზდაათი, სეზუყე იბრაჰიმ-ათი. უკანესხან ჩამოსული ყურანი ჩუენ ფეილაძებერსა; ის არი ჩუენი ქითაბი, ჭკუას ჩიგვიდუყს ისი ბერსა, დინზე მეიყვანს გადარეგლსა... ცოდეკა-მადლის გამარჩეველი, მისი მთქმელია გამჩენელი, ეინცხაი იმას არ დეიჯერუყს, ჯეჰენემსა დეიჩმეყს... იმას არ ჯობია სხვა წიგინი, არა ქითაბი არცეთი, ჩუენი წორ გზაზე გამყვანი არი ყურანი ჰაზრეთი...“

— ერთ სახსნელასაც გეტყვი: — დელე-დელე ღურღუმელი, კოჭდაბალი საქონელი (კუ)... ალავი ლავი, ქათამი შავი, აენყვიტე კლავი, შეეჭამე თვალი (ყურენი — შავი ადესაი)...

„— სად წვეღოთ და სად დეკკარქოთ, ოსმანლში თუ რუსეთში, ესმერ-ხანუმ, ჩვენ წამოქეყე, ჩაგეხუტე უბეში“...

— კიდენ ბევრი რამე ვიცოდი, ჰამა გადამავინყდა სიბერეში...

— ბათუმ ბევრი რაცხა გადახდენილი მაქ. დამიჭირეს რუსებმა ათას ცხრაას ოზდაცხრაში. მაშინ ჰუდელი ჩაჭრილი იყო. აქედან გედევპარე, მაჭახლიდან. ჩხუტუნეთ, ახალშენ ხისიმები მყავდა. მომობატრა ისენი და გედევპარე. დემიჭირეს ჩხუტუნეთ ერთ სახლში. სამ თვეს ჩაკაში ვიყავ. დაპროსი რომე გათავდა, გადამაგზავნეს ყალეში. ექს თვესაც იქა ვიყავ. მემრე გამომიშვეს, ჩამაბარეს აქეთას სარფში.. იქაერი ზოფა რა არი, არ ვიცი. არ უცემიან ჩემი თავი, ზოფაი არ მიჭამია. რუსი ასკრები კაი იყენენ. ძიგარას რომ ამეილებდა სალდათი, მოქცემდა ჩუენაც. კაი იყვენ, ღმერთი იყურება ზეიდან, ტყვილ ვერ ვიტყვი.

— ბათუმ ბევრ ვიარებოდი. მარენკი ბულვარი იყო, ლამაზი, დენიზის ქენარში. აჭარისტანის ხანი იყო, იქ დავდგებოდი...ბალნობაშიც ნამყოფნი ვარ ბათუმ... ცამეტი-თოთხმეტი წლისა ვიქნებოდი ძვილაი, ჰამა დღევანდელ დღესავენ მახსოვს... მუჰაჯირათ წასლა იყო წინწინ, გაგონილი გექნება. მუჰაჯირობაზე გეცალა აქავრობა, სულ გეიკრიფენ თურქიემი ჩუენებურები. ჩემ ბაბამაც ადგა ფეხზე, მუჰაჯირათ ნევედეთო. ბიბამ იყიდა ჩუენი სახლ-კარი, ყანა-ბახჩა. დედაჩემი და ნენეჩემი ტიროდენ, ზავალები, არ უნდოდენ წასლა, ვათანის დატევა. ბაბაი მონადირე, ავეჯი, კაცი იყო. იმ წელიწად ზამთარში ასლანის ბარტყი დეიჭირა, სახლში მეიყვანა და იმა ზდიდა შვილივით. მე იმას ვექცეოდი, თამაში ვანავლე და მიხარიოდა... ბაბაი უშლიდა ქალებ ტიროლსა. დედაჩემ და ნენეჩემ გული აქეთ ჩებოდენ. გამოსულში ბოსტანი ბილა დათესეს... ბაბამ ერთ დღესა ხარი არაბაზე ბარგები დააყარა, ჩუენაც დაგვაჟღუმლა და ნიგეიყვანა მუჰაჯირათ. თარი სოფელი გამოქეყვა, ყველაი ტიროდენ. მე ასლანის ბარტყი ფხარზე მყავდა დაჟღუმლებული, იმა ვეთამაშებოდი, არ მეტირებოდა, ბალანა ვიყავ, ჯაპილი... ჩეველით ბათუმ... გემი არ მოიდა...

მარენკი ბულვარი სამსე იყო მუჰაჯირებით. ერთი ვინცხაი მოზიკას უკრევედა და ჰემაც ამღერიდა. ჰალა მახსოვს ის ლექსი:

**„ავედგეთ, წევრეთი მუჰაჯირათი, რა ლამაზი დარიაო;
ჩვენ რომ გემში ჩაუკლებით, ჩვენი გული კლარიაო“...**

მეც იქავრობაში ასლანის ბარტ ვათამაშებდი, თითო-ოროლ ყურუმ მაძლევდენ მადლიანი კაცები. თურქიემი ნასლა, გემში ჩაუდომა მიხაროდა და გუნებაში ვამბობდი, ასე რატომ მღერის-მეთქინ, გემში ჩაუდომა გული რითვინ უნდა მოგვიკლას-მეთქინ... პერაღა გენჯობის ბრალი იყო, ვერ ვხდებოდი, რა ქეჭირდა, რითვინ გული კდარი ქონდა ამდენ მილლეთსა.

ხანი ბევრი გევედა, გემი კიდვენ არ ჩანდა. ორი თვე ბილა ვიცადეთ. ფარა დეგველია ამასობაში, ბარგები გაყიდეთ. დედაჩემმა მარამისი კაბა ბილა გაყიდა, ბაბამ — სირმებინი ყაბალახი... დავრჩით შიერი. რა გვექნა, აღარ ვიცოდით. ბაბამ საქმე ეძეფა შეპერში, ვერ ნახა... ერთ კაც ენავლებია ბაბასთინ, რომე აქა მემედ-ბეგ აბაშიძე არი, გაჭირვებულ ხალხს ეხმარება, იმათან მიდით, მაგ ასლანის ბარტყსა ილლე იყიდის, ფარას მოქცემსო. ბაბამ მეც ნიძიყვანა.

მარენკი ჯადდემი, დენიზთან ახლოს, ლამაზი ორი ყათი სახლი იდგა. მიორე ყათში ხის მერდევანი თველით. ბეგთან შიგვიყვანეს.

— მობძანდით, რაზე შენუხვილხართო, — გაქვითხა ბეგმა.

ჩვენაც ხელ-ფეხზე მევითხეთ ბეგი, სელამი მივეციით. ბაბამ ყუელამფერი გააგნებია ბეგსა.

— მეგ ასლანის ბარტყი სად დეიკავეო, — კითხა ბეგმა ბაბასა.

— კაი შენი ბძანება, ბატონო, მერეთას ტყეშიო, — ბაბამ.

— ქობული ყოფილხარ, ბიჭო, — უთხრა ბეგმა.

მეც ხელი დიმიქნია და მუუყყაი ასლანის ბარტყი. გაჩეველი მყავდა, ბარტყმა ფეშინ ტოტი მიცა ხელში ბეგსა და დღუნყო თამაში.

— მეო კაი ფასათ ეყვან ამ ბარტყსაო, მარა უკან, სახლში, უნდა ნახვიდეთო, — გვითხრა ბეგმა. — მეო თურქიე მოვლილი მაქ, მარა აჭარაზე ბერექეთიანი, ლამაზი და ნყლიანი ადგილი იქა არსად მინახავს, მაჭიხელში გაზდილ კაც თურქიემი გიგოჭირდება, ოღლუშალი გზა-შარაში გიგინყდებაო... რატომ მიხვალთო, — კიდვენ გაქვითხა ბეგმა...

ასლანის ბარტყში იმდენი ფარა ევეთ ბეგიდან, რომე ხარის არაბაი დეჭვირეთ, დავაჯექით ზედამ და ქუაბითავ ეველით ისვენ; დევსენით ჩვენი სახლ-კარი, ბალი-ბახჩა...

დედაჩემისა და ნენეჩემის დათესილი ბოსტანი აჯეჯლებულიყო. ახლაც თუალებში მიდგას ცხოვნებული ნენეჩემი ბოსტნი ლობეს რომე კოცნიდა, მინაზე რომე ლოცვილობდა და ხელეზამყრობილი ლოცვედა მემედ-ბეგსა...

ასე გადავრჩით მუჰაჯირობასა... მე აქ, მაჭიხელში, დაებერდი, ქუაბითავის მინაშინა ჩავენე მალე და იქიდანაცნა ვლოცო ჩემი ოჯალის, ჩემი კერის გადამრჩენელი. ჩემი ბიჭები ბორჩხაში ჩამოვდენ, აქ დამოსახლდენ, დუქენები აქვან მისათ. მეც ზაფხულ-ზაფხულ ვიარები აქა. მარა ბევრხან ვერ ვძლექ აქა, სული შიმიწუნდება, ჩემი ქუაბითავი მომენატრება მალე. იქავრ ცივ, ყინტორო ნყალსა რომე შევსვამ, გენჯი ვხდები... ღმერთმა ამშვიდობოს მემედ-ბეგის თორუნი. მისი ერთი ბადიში, ასლან-ბეი აბაშიძე, აჭარადი ჯუმურ რეისი გახომილა. ზოვლი გიმიხარდა... დაებერდი, დავფხავსდი, თვარა ჩამოვრდი ბათუმ და ხელ-ფეხზე მევითხევი ჩემი კერის შემნახავის ბადიშა... ცხოვნებულმა მისმა დედემ ბევრი კაი საქმე გიგვიკეთა აჭარის, მაჭიხელის, ლოვანის ხალხსა, ბაბიობა გვიყო, გვისაიბა. ბევრის კერა გადაარჩინა მამინ გაცივებასა. ღმერთმა დალოცოს მისი გვარი. იმითვინ იტყვიან, შვილო, ძველები, რომე ტვერი მაყარე დიდი გორისაო...

ჩვენკე ზამთარი დიდი იცის, თოვლი ბური მუა, გზიები დაყაფანდება. შარშან

ზამთარში ჩემი ახრახის ქალი მელოგინობაზე აწყალმში მოკდა. ბორჩხის გზაზე ზავალი ჩამოიდა, გზა დააყვანა. აქაურ პასთაჰანეში ველარ ჩიყვანეს. ქალი ფენა გონჯათ გახდა. ჩუენმა პუქუმათმა ტელეფონი უზამა მეგემ თქუენსას. ასლან-ბეი ფეშინ რაზი გახდა მეგომ. იმსოლოლში ასკერის არაბაი გააგზავნია ხერთვის; ბათუმ ჩამუყვანია ქალი და გადაარჩინა სიკდილსა. დედაც და შვილიც სალამი დუებრუნდენ ოლლუშალსა. ესა რამხელა მადლია, რომ იცოდე! ღმერთმა გადაარჩინოს ასლან-ბეი ყველა ღეზაბიდამ ამ დუნღასაც და იმ დუნღასაც! ღმერთმა შეიბრალოს ყარიშერიდამ და ყურიშერიდამ!

— მუხი ძირში მუხა გეიზდებო, ძუელების ნათქუამია ესა. ასლან-ბეი ეფეიჯა მიანცხადებს რაჰმეთლი მემედ-ბეგსა, მის დედასა...

ჩუენა ადამის ზამანიდამ ძმები, მეზობლები ვართ. პუქუმათებმა ახლა შუაში პუდუდი დასესე, მარა სისხლიდამ ხომ არ გაერეცხილვართ, ისვენ ხისიმ-ახრება ვართ ერთმანებისა, გაჭრებებაში დევეშველოთნა ერთიერთმანებსა.

სულამი ბუქით ბითეფ აჭარასა, გამშვიდობოს ღმერთმა ყველაი მილეთი!...

საუბრობდა ალი-ბეგ თეფთიქ (ახალი გვარი — იაუუ), 91 წლის.

ეფრატი

— ოხ, კაცო, გეყურებანე სულში, შენ რამე არ გეინურიო სხვანაირათ გულში; რომც გეინურიო, კარქობა გეინურიე გულში; ლამაზობა და კარქობა დუნდში, ჩანერე შენ ქუნიამი... ლამაზობა და სიყვარულობა ყველაზე კაია დუნდამი... შეხედნით დეგეტყვასდა ლამაზობა. თუალებში რომ შამოხედეფ ინსანსა, მიხდები გულის მიზანსა... ინსნის დანახვადა გიგიხარდეს. გონჯობა არ შეიძლება, გონჯობით ჯენენთში არ შესილება...

— ნერა-კითხვა, კითხვა-ნერა, ყველამ პირზე დაიკურა...

— სახალხოს რაც დერდი ექნება, მუხთარი იმასა თავრობას აცოდინავს. ჰემ ენით, ჰემ ნერილით თავრობას გააკეთებებს ხალხის საქმესა. მოყრილობასაც ვიქთ სოფელში. ხალხის დერდ შეენავლით, მემრე თავრობას გავაგენიბეთ. თავრობა გიგვინალლებს ყველამფერსა. კაი პუქუმათი ქყავს ჩუენა.

— ჩუენა ვაჭრობას ვეცევეით. ისტანბულში, ტრაპიზონში ნეელებთ, მეეტანთ, ფარას მეეგებთ... სოფელშიც მინა გუაქ. სიმინდ მეყუანთ, ლობიოს მეყუანთ...

— მეგვა ბევრია. სხალი იქნება ხეჭეჭურაი, გონიერაი, ჭანიერაი, სხალთაფლაი, ყურნკაპაი, სხალშაქარაი... ვაშლიც არი ბეური — ბალი ვაშლი, აჭარულაი, დემირელმა...

— ახლა მე თქუენდა გაცინო. მეგვაზე ლაპარაკი ეყოფა. მეგვა ჭამო უნდა, ცარიელი ლაპარაკით რა ქარი გუაქ. გასაცინებელი ხებრები გითხრა უნდა:

— ამ ჩუენ სოფლის ექიმმა ვერაფერი მიშველა,
ყოფილა ცხენის ექიმი, ქერი გამომიწერა...

— წინწინ ხეგრულში (სოფელია იმერხევი) მოსულან არდაჰანის ალიები. ღამეში, ვახშამს უკან დეინყეს ლაპაკი. ხალხია მეგომ მოყრილი. ამ არდაჰანის ალიებმა თქვეს, რომ სიმინდი კაცის საქმელი არ არიო. იქ ყოფილა მაჭახლელი, ქუაბითაველი ქორფა მეჰმედი. მაჭახლელები, იმერხეველები ჭადსაც ჭამენ. არდაჰანელებმა ჭადი ჭამა არ იციან, იქ სიმინდი არ საქმობს. არდაჰანელებმა მეგემ ამ თქმითა თავი დაციენს მაჭახლელებ და იმერხეველებ. ამაზე გაპერსებულა ეს ქუაბითაველი ქორფა მეჰმედი და ასე უთქუამს არდაჰანელებითინ: — ღმერთი რომე საქმელებ ნანაილებდა, მე იქ ვიყავო. ქერი საქმელათ ვირსა ხდაო. ვირმა დეიყროყინა: — მე ამდენი ქერი რათდა ექნაო. — ღმერთმა უთხრა: — შენ ვირო, ნუ გეშინია, არდაჰანელებ მოგაკურა და არც გეყოფიანო. არდაჰანელები მეგემ იმფო ქერის პურსა ჭამენ. ეს ცოდნია მაჭახლელსა

და მუუჭრა სიტყვა.

ხეწრულელმა უთხრა მაჭიხლელსა: — მიგინერე ხელიო.

* * *

— ერთ აჭარელმა ცხენი გასაკეთებლად მიერეს მიაბარა მეგემ: — გაზაფხულამდი შიმიხედო და ფარაც მიცა. ცხენი დანონდა აჭარელსა და დეიფიშმანა, ამ ცხენსა აღარ დუუბრუნეფო. დამალა ცხენი.

გამოსულში ცხენი მეიითხა აჭარელმა. მიერე აჭარელმა უთხრა: — ცხენი გაცდა, ვერ შეგატყობი და ყუსურზე არ დიმიხედოო.

ცხენის პატრონმა უთხრა: — ჰადაც რომ ცხენი არი, მომიყვანი, თუარამ მე ვიცი რას ვიზამო.

შეეშინდა მომპარავსა და მუუყვანა ცხენი, პემატ კითხა: — რომ არ მომეყვანა, რანა გექნაო.

— რანა მექნა და ალეღინა ნემელო, სხვას რას ვიზემდიო.

ტყვილაი დაბერდა აჭარელი.

* * *

ცხემლა სოფელია. დანყველა ყოფილა იქა: — ღმერთმა ცხემლას დიგილა მოსო. მოსაფირს არ დააყენებდენ მეგემ.

ზეგან აჭარელ ერთ ახალგაზდას იანვარში დუულამდა ამ სოფელში. გულში მონია შიშმა მეგემ: — იტყვიან, ეს სოფელი კაი არ არი, მარა რა ვქნა, ველარ ვიარ ღამეში ამ თოვლშიო.

თლათ სოფელი დეიარა, ძალღებიც კუდში არ მოწყდენ, ედევენ მეგემ. ვინმე არ შუუშვა სახლში, არ დააყენა მოსაფირათ. ენბოლოს ერთი სახლი დუურჩა უნახველი. იფიქრა, რომ ამან დამაყენა, არ დამაყენა, მიცინა შევშე, რავარც კარს გააღებსო. მივდა, დუუძახა კარზე. ძალღებიც ახლავან.

— რას ყეფო, — სახლის პატრონმა გამეიხედა.

კარი გველო თუ არა, ამანაც შუშვა, თავი კრა სახლში. დაუდა კარეფთან. გაპერსებული სახლის პატრონი დაუდა ოჯალთან და თბება. ამან არ უთხრა რამე. იყვენ ასე ნაყურებული პანახან. ახალგაზრდამ იფიქრა, იფიქრა და მოჰკითხა სახლის პატრონს: — ბიძავო, შენა მარტოხელი ხარო, ვინმე არ გყავსო?

— არ მყავსო. ერთი შვილი მყავდა, უვარგისი გამომიღდა, გავდენეო. ცოლიც მომიკდაო.

— რითვინ მოქვითხე, თუ მიხდიო, — ზეგნელმა.

— ვერ მივხდიო, — სახლის პატრონმა.

— შე ერთი დედა მყავს, იმის მოცემა ვიფიქრეო.

გუუსხარდა სახლის პატრონსა. — გადმოძანდი ნინო, — ოჯალთან, სითბოში დააუდუმლა. შევდა ბელელში, ხილი, საქმელი გამუტანა. ნანველი არ ჩანდა სუფრაზე.

— დედაჩემს ნანველი დანონდებო, ერთ ძროხას ეყვადე, კაი იქნებო. ჩუენ ბევრი ძროხები ქყუავეს, მოქყიდიო; ამოი ზეგანში, მოსაფირი გიმიხდი, დედასაც დეინახავ, ძროხასაც მოქცემო. ნენეი ნამეიყვანს ძროხას და ნამოქყებო.

გეიხარა სახლის პატრონმა; იმ ღამეს ღამაზ ლოგინში დაანვინა, მეხიზმეთა ახალგაზდას, დილაზეც დეი დაბლა ჩამოყვა, გამუაცილვა.

ახლა გაზაფხული გამოიდა, თოვლი გაშრა. ახალგაზდა ელის ცხემლელ კაცსა. იცის, ამუაო, უცდის. გერჩეჲ ამოიდა ცხემლელი.

— ჩემო სტუმარო, რაფერ მომენატრეო, — ესვევა ახალგაზდა. შეიყვანა სახლში, მუასვენა, აჭამა, ასუა.

ზეგანის სოფლებში ხშირი სახლებია, შეიტყეს მეზობლებმა, სტუმარიო და

ვანმამსუკან მეიყარენ, ილაპარაკეს ბევრი. შუალამეში დეიპანტენ. დანვა კაცი, დეიძინა ლამაზათ. დილაზე ხევისს ჭამა აღარ აცალა, ახალგაზდას უთხრა: — ახალგაზდავ, ხომ იცი ჩუენი საქმე, რანა იქნასო.

— შენი საქმე ყუელამფერი მზათაა, ანაი ჰაზირია, ძროხაც ჰაზირია, მარა ერთი ბაბასთინ არ მითქვამსო, ერთი ბაბას მოკვითხოო. ბაბაი კი არ დიგიშლის, ჰამა უკითხველიც არ იზამს, კვითხავ, რას იტყვის, არ ვიციო.

ეს გეოგონა კაცმა, შეეშინდა ბაბაი არ გამომეკიდოს, არ მომკლასო და მოცოცხა იმან იქიდან. გამოიდა ბიჭის ბაბაი, გამეესხრია და უძახის:

— სტუმარო, იხევსე, ისაუზმეო...

იმან დაბეჩდა და მირბის, რალას მობრუნდება.

* * *

...ერთი კახიძე ისმაილი იყო ზედა ჩხუტუნეთ. ღამის კურსზე ესწავლობდით. იმოდანი დროს კომისია მოვდა. მასწავლებელმა იტირა, ხალხი არ მოვდა იმოდანზე, შეეშინდენ დამწრეებისა. მაშინ ჰუდუდზე გავლა-გამოვლა იყო სერბესათ. ამ ისმაილას წიგნი აქ გადაშლილი და იმოდანინა მიცეს. მასწავლებელი ენევა, წეკითხო... ისმაილმა დეიწყო: — „და-და-და-და“... ვერ ამეიკითხა „დათვი“, ვერ თქვა. დანიდანაც დათვის რესმი ხატია და ხედავს. მასწავლებელმა უთხრა: — ნაბეჭდი თუ ვერ წეკითხე, სურათსაც ვერ ხედავ, რომ შენ გგავსო?...

* * *

...ზედა ჩხუტუნეთ ხალილაი ყანას ხნის. დურეკეს ტელეფონზე. იმან მეზობელ კაც მიცა ჯილა: — ნუ დამაყენებებ ხარებსა, შენ მოკიდე ჯილას ხელიო. თვითან ჩევდა ფოშთაში ტელეფონზე. ყანაც იგზეა, ახლოს, ხალილას ხმა ყანაში კარგა ისმის. ხალილაი ყვირის ტელეფონზე, ვერ აგონებს, დადა კარქა არ ემის და ყვირის: — ალო, ალო, ვერხნი ჩხუტუნეთია, ვერხნი, ხალილ კახიძე ვარ. ვერხნი, ვერხნი...

ეს ხმა ესმის მეგომ იმ მეზობელსა, ჯილაა რომე მიცა და ახნევიებს ყანასა. ამ კაცს ემის: „ვერ ხნი“, „ვერ ხნიო“. რუსჯა არ იცის და გონია, რომე მე მიძახის, არ მონონს ჩემი მოხნულიო. თურმის ისე კარგა ხნავს, რომე მინა გადადის ჯილაზე. ხალილაი კიდენ ყვირის: — „ვერ ხნი“, „ვერ ხნიო“. ამასობაში გაჰერსებულა. ეს კაცი და უყვირია მასაც: — მე თუ ვერ ვხენო, ამოი და შენ დახენო... გუუგდია ჯილაა და ნასულა.

* * *

...ქობულეთელმა ბათუმში გამოვდა. არ იცის თურქჩა, რაცხა თითო-ოროლი სიტყვა იცის მარტო. ერთი თერძი ბერძენი ბანიკაი იყო, მის ბაბას ნაცნობი და იმას უნდა შაკერნიოს შალი. ბანიკამ გურჯიჯა არ იცის, ამ ქობულეთელმა თურქჩა არ იცის, ბაბაიც მოკდენია, თუარამ იმას წამეიყვანდა, თარჯუმეს აქნევიებდა. მივდა ბანიკასთან ეს ქობულეთელი და ენევა: — საბალ ოლსუნ, ბანიკა, გათენდაო, ამართვი თოფი, მიაყუდე ლოჯემიო, ქოშემიო. ერთი შალი შიმიკერე, ტრაკზე ამონკიპულიო; „ბაზარ გუნი ყვითელუნი ქეთურუნიო“. თურმის უნდა უთხრას, ბაზრობის დღეს ყვითელი სიმიის ფქვილ ჩამოგიტანო.

ბანიკამ მამამისი ახსენა თურქულა: რაჰმეთლი რა კაი კაცი იყოვო. ამ ქობულეთელსა ეგონა სიტყვა „რაჰმეთლი“ საგინებელია, ბაბას მაგინებსო და ყვირილი ატეხა. გარეთ ერთ კაც გუუგონია, შამოსულა. ბანიკას უკითხავს: — ეს სტუმარი კაცი რას ყვირის, რაიჯებაო.

ამ შამოსულმა უთარგმნა ყველამფერი. ბანიკას შეეცოდება, ენა არ ცოდნიაო და ფქვილიც აღარ აართვა, ბედავა შუუკერა შალი.

* * *

...ეს ქვის ნანწალაკი რომე კეთდებოდა, ქუეშედან აირი ნანწალაკი იყო ხისა. იმ დროზე პასპორტით გაელილი ვარ. ჯუმა დღე თურქიეში თაადილი იყო, რუსეთში ვიხადნო (დასვენების დღე) კვირა დღეს იყო. რომ საზღუარზე მუელ, რუსის ვიხადნო დღინყო, საათი ათავდა. — ახლა ჩუენი ვიხადნო, დასვენებააო, ორშაფათამდი აქ იყავით, მაშინ მოდითო, — გვითხრეს. დაჯვჯვით იმ ხიდთან, ნანწალაკთან. ძველ ნანწალაკ ანგრევდენ და ხიები მიაქ წყალსა, იმა ვუყურეფ. ერთ მოჯამაგირემ გეიარა ფეხჩქარაი და მებნევა: — ხომ ხედავ, ახალგაზდავ, ხიებსაც არ მონონს თურქეთი და რუსეთში მივაო. მაშინ ჩუენ ხალხმა თურქიეში ყოფნა დაამჯობინა, აქეთა თერეფზე დარჩა და ამაზე გაპერსებული იყვენ ჩუენზე თქუენებურები.

მეც იმის სიტყვის დამთავრებამდე მივადევნე: — ნახმარი წყალი მივა იქით-მეთქი. ეს გეიგონა ნაწალიკმა და დღინყო კბენა თითისა: — მამაძალი, ჯეფში ქონდა, სა ქონდა ეს სიტყვები, ასე მალე რომ თქუაო. მისი ცოლი ჯინქეავეს, ნუ ამბობ, ესმისო. — ნუ მჯინქეავ, ამფერ საქმეს შალა არ გადავხდენილვარ, დაბარებული ხომ არ ქონდაო, — უთხრა ნაწალიკმა ქალსა. ხიებმა გიმისნა ქუა.

* * *

...სტალინმა მეგემ ერთ სოფელ მოკითხა: — ვინ დაქწონს ქუეყანაშიო?
— შენო, — უთქმიან სოფლელებსა.
— რისთინაო, — უკითხავს სტალინსა.
— შენს მეტი ვინმე რომ აღარ დატიე ამ ქუეყანაში, იმითინაო...
იჭირედა და სტალინი ხალხსა, ცხებებში ყრიდა, კლევდა, იმითვინ.
...ჯამუში გზაზე ინვა. ვერც როზგით, ვერც წყალი დასხმით ვერ ააყენეს ჯამუში. მივდა სტალინმა და ყურში უთხრა: — ადექი, თუარამ შენ კოლექტივში დაქწერავო. ნამოხტა ჯამუში და გორა გედვირბინა.

* * *

...ათას ცხრაას ოზდაცამეტში ქათმების ჭირი გაჩინდა მაჭახელში. განყდა ქათმები. ერთი გაცვეთილი ქათამი ნამოკიდა კაცმა ყელით მესარზე და მიანერა:
— ნიკოლოზის დროშიო, ორ კაკალ კუერცხ ვდებდი დღემიო, კომუნისტის ხელშიო, სული ამძრა ყელშიო...

* * *

... მუჰაჯირობაზე ბევრი ხალხი ნეედა თურქიეში. იმფო ბევრი აჭარადან წასულან. გონებინ, თურქიეში ფილაეი რიგდება, ჩუუნრათ ცხელ-ცხელსა, არ გაცივდეს ჩუენ ჩასლამდიო და მიხვეტილან აჭარას სოფლებიდან, წასულან. ვარეს სიფუხრეში უკრან თავი. ერთ სოფლიდან მუჰაჯირი წასულან ოცი კომლი. ამათზე დესტანიც გამოთქმულა. ერთი-ორი სიტყვა მახსოვს მარტო.

„აჭარიდან წასულან იგირმი ხანე, ადე, იაყუფავ, ვირი დაფხანე...“
— ჩუენა მღვდლიშვილები ვიყავით, ქემიშოლლი დაგვარქვეს თურქებმა, ახლა ქაია გაეხდით... ენგვიანაც ჩუენ გავმუსლიმანებულვართ.
საუბრობდა მურთუზ ვასაძე (ქაია).



შექსიკონი



ლექსიკონში უმთავრესად განმარტებულია ტექსტში ფიქსირებული სიტყვები. მასალა შედარებულია ჯულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონასთან“, ნიკო შარის ჩანანერებთან (იხ. მოგზაურობის დღიური) და შ. ნიჟარაძის გამოკვლევასთან „ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა“ (ბათუმი, 1971 წ.).

უცხოური სიტყვა-ძირების განმარტებანი აღებულია შემდეგი ლიტერატურიდან:

1. TÜRKÇE-RUSÇA SÖZLÜK, 48000 Kelime, MOSKOVA, 1977
2. RUSÇA-TÜRKÇE SÖZLÜK, 47000 Kelime, MOSKOVA, 1972
3. İSLAM BİLGİLER VE TERMİNLER ANSİKLOPEDİSİ, İSTANBUL
4. İSLAM ANSİKLOPEDİSİ, IX cilt, İSTANBUL, 1960

სალექსიკონო ერთეულების დამუშავება, ახლის ძიება გრძელდება და ჩაფიქრებულია ცალკე ნიგნად.

აბა (aba) უხეში მსხვილი შალის ძაფი. „ჭახრაკზე დავართი აბა, შაგიკერე ყირმიზი კაბა“ (ინ.).

აბადი-ა აქვს, გააჩნია. „ბევრი შვი ზაათინ არ აბადია“ (სტ.); „ქალ-ბაღვის საჭმელ-ჩასაცემელი თუ აბადია ნეტაი?“ (ინ.).

აბაზურაი სამა აფხაზური ცეკვა. „აბაზურაი სამა გენჯებსა ძალუნ გეყუარდა ნამეტარი იმითვინ, რომე გოგვების ერთათ ვსამობდით და გვიხარიოდა“ (ინ.).

აბეისაბი (abi) უფროსი ძმა (უმცროსისათვის). ეს არის აგრეთვე ზრდილობიანი მიმართვის ფორმა საკუთარ სახელთან ერთად, საზოგადოდ, ასაკით. უფროსი მამაკაცის მიმართ. „დიდ ძმასა ჩაქელები, ჩურუქსუელები „აბე“-ს ვეტყვი, აჭარლებმა „ძიი“ იციან“ (ხ. ფ.); „მურად-აბეს ბაბი ხარ?“ (ბ.).

აბეჩებს-ს 1. ასულებებს. 2. აშინებს. „ერთი ჭკუას არ ასტავლის, აბეჩებს და არი პრატებსა“ (თ. ქ.); „მარტუაი ოდამი ვერ წეება, რაცხა ენალება და აბეჩებს ბაღესა“ (თ. ქ.).

აბდეს-ი (სპ. aptesllabdes) ლოცვის წინ მუსლიმანების სარიტუალო განბანვა, რომელიც სრულდება დღეში ხუთჯერ. „გამომატანეს ერთი გუგუმი აბდესითინ“ (თ. ქ.).

აბდესის ალება სარიტუალო განბანვა ლოცვის წინ. „აბდესი ალება არნა შეგეზაროს, კარქანა დეიბანო ხელ-ფეხი, ცხვირ-პირი, კისერი, ყურები, ღლიები... და სუფთანა დადგე ლოცვათ“ (თ. ქ.).

აბდესის მოშლა 1. აბდესის სარიტუალო განბანვის საჭიროება; სხულის დაბინძურება. 2. გად. მწ. არასასიამოვნო სიტუაციაში მოხვედრა, სანყენი ამბის გაგება. „ესენი რომე გეიგონა, აბდესი მევეშლა ბერსა“; „ამ სიტყვში ყანაში ვისაქმე, აბდესი აბა არ შემეშლა?“ (თ. ქ.); „აბდესი რომე მეგეშლება, ხამათ უნდა ეილო აბდესი, გასუფთდე და ისე უნდა

დადგე ლოცვათ“ (ინ.).

აბდესიანი-ი განბანილი, განწმენდილი, უცოდველი. „აბდესიანი ვარო და დეიფიცა ღმერთი, ტყვილ რაფერ იტყოდა“ (ინ.); „აბდესიანი ხარ და მილოცე“ (ინ.).

აბდესხანა (სპ. apteshane) პირსაბანი, საპირფარეო. „ძუელ სახლებ ბუხრიანი ოდამი ხის აბდესხანები ქონდა. ახლა ჩემშეზე ვიღებთ აბდესსა“ (თ. ქ.).

აბლაისაბილა (abla) უფროსი და (მუ-ჰაჯირი ქართველები დედის, მამის ძმის ცოლსაც „აბლა“-ს უწოდებენ). საერთოდ, გამოიყენება თავიზიანი მიმართვის ფორმად უმცროსის მიერ უფროსი ქალის მიმართ საკუთარ სახელთან ერთად. „დიდ დას „აბილას“ ვეტყვი“ (ხ. ფ.); „მერიემ-აბლა, თქუენი მუსაფირები ამელამ ჩუენნა გუასტუმრო“; „ლაზურ-აბლაი მყავდა“ (სტ.).

აბლაყუნებს-ს ატყუებს, სიმართლეს უშალავს, ასულებებს. „იმისისხო კაც აბლაყუნებს და არი თითისისხო ბაღვი“ (ინ.). იხ. ბლაყუნი.

აბლი-ი ცოტა, მცირე. „აბლი შეარ და ნითეკარ ახუალ“ (ტ.); „მურდულში „ცოტა“-ს იტყვიან, ჩუენ „აბლ“-სა ვიტყვი“ (ტ.); „ორი ქალი აბლის ყავს“ (ტ.).

აბლი-აბლ-ი ფერფლი. „ამ კუერსა აბლი-აბლის სული უდის“ (იმ.); „აბლი-აბლი, ვერცხლის თახთი, ბზით ავიღე, თაუთი დავდგი“, — ყინული (იმ.).

აბუინებს-ს ალპობს, აფუჭებს, წაახდენს. „ჩუენი კროხი კუერცხებ აბუინებს“ (იმ.); გად. მწ. გაართულებს. „ეს საქმე ცოტა არ გავაბუინოთ, მაადემქი ასე თქუა, წევდეო აქედამ“ (იმ.). გაბუინებულ-ი: „ბუ-შინდელი მოხარშული კუერცხები ყუელი გაბუინებულა“ (იმ.).

აბუდლებს-ს (budala — სულელი, ბრიყვი) ატყუებს, აბრიყვებს, გზას უზნევს. „აბუდლებს და არი ბაღნებსა, ბათუმ მიმყავს თქუენი თაიო“ (პ.); „სიბუდლე, აბუდლებს თეიცი“ (პ.); აბუდლებულ-ი:

„აბუდლებულო ინსანო, ჯავრს რალას ემბრიალები“; „აბუდლებულო ინსანო, ნე-ტაი რას ეპრანები“ (მეზ.).

აბუქათი (avukat) 1. ადვოკატი. 2. მოლაპარაკე, ყბედი. „ფართი აბუქათი დეიჭირეს, მაჰქემში ბელქი ნადგეს რაცხაშიო“; „აბუქათია მუქერეში, დალი ჩენგე აქ, იმა სიტყუაში ვინ გუუდგება“ (თ. ქ.).

აბულალი (apu) — მსხვილი, მსუქანი. ლალის ქვის მსხვილი ნატები. „აბულალის ლალებიო, მაყუალს გიგაეს თუალებიო“ (ინ.).

აბურდულებ-ს შლის, ურევს ერთმანეთში აბლაგებულ ნივთებს. „ავაბურდულე იქევრობა და ავაყვირე ქალები“ (მეზ.).

აგზე (აქ+ზე+აქზე+აგზე) აქ, აქვე. „აგზე გამობძანდი, სექვის თავში, ბოლოში ნუ ზიხარ“ (თ. ქ.); „სალამომდინ აგზე ვიჯექ“ (ინ.).

აგერამითანა-ი ამნაირი, ასეთი, ამდაგვარი. „დედი აგერამითანას წერიდა“ (თ. ქ.).

აგერამის-ი მისი, ამისი. „აგერამისი ანაი ჩემი ბიბიაშვილია, ხასი ხისიმები ვართ“ (ინ.).

აგერაქ აქ, აქვე (მოუბარ პირთან ახლოს). „ჩუენ აგერაქ ვისტავლეთ“ (ინ.); „დიდი სულალე არიან აგერაქა“ (ინ.); „ეს იციან ყულამ აგერაქა“ (სტ.).

აგომიზებულ-ი ატალახებული. „ფისი-ვით ტალახით არი აგომიზებული სოფლის გზა“ (თ. ქ.).

ადა (ada) კუნძული. „დენიზში ერთი ადა ყოფილა“ (სტ.).

ადამ-ი (adam) ადამიანი. „გერჩექ ადამი იყო, ჯესური“ (ინ.); „ადამის ნესლი არ აქ მაგასა, ძალისსოია“ (სტ.).

ადამახილ-ი (adamakili) 1. საკმაოდ ძლიერად, ნამდვილად, როგორც საჭიროა; 2. ძალიან, ყოველთვის, ძველი. „დათვმა მარტივი ქი დეგინახა, შეგვარდება ჰამან ადამახილი“ (იმ.); „ჩიჩეგები იყო ადამახილი“ (იმ.); „ადამახილის იერებია ესენი“ (ინ.); „ძალიან გეინურვის ადამახილი“ (ინ.).

ადეთი (adet) 1. ნესი, ჩვეულება,

ტრადიცია; 2. მენსტრუაცია. „ჩუენი ადე-თები თურქებ მონონან, ჩუენ გვეჭყირებთან და ჩუენსავეთ იჯებთან ბევრ რამესა“ (სტ.); „ქალის ადეთი აქ გოგოსა და ბევრი არ არუნიო, ცოდვა არი“ (სტ.); „ჩუენი ადეთი ზოგი გონჯია“ (მეზ.).

ადემ ფედლაშბერი-ი (adem peygamber) ადამ წინასწარმეტყველი. „ესენი ყუელი ადემ ფედლაშბერიად მოდის“ (ინ.).

ადესაი ყურზენ-ი ყურძნის ჯიში. „ადესა ყურზენსა ართინ შებდები, იმფოსერთი შუქერში“ (იმ.); „ადესა ყურძენსა გემი აქ გამოვლილი, ბათუმიდან გემით მუუტანიან ჩუენ შუელეხსა. ჰამა ადესაი რითინ ქეია, ვერნა გითხრა, არ გიმეგონია“ (ინ.).

ადლ-ი სიგრძის საზომი ერთეული. იხ. საბა. „ნალოციდან, ნაკითხიდან აღარ მოგივა ძადლი, გიეთრევა შენი ენა სამოზდათი ადლი“ (მეზ.); „დაქსოვილ შალეხსა ადლით დაეზომევედით. საზომვაი ადლი ქექონდა მემლექეთილამ მოტანილი. სახლ ცეცხლი რომე მეეკიდა, სოფელი დინუა ჩუენი, ადლიც მაშინ დეგვენუა“ (თ. ქ.).

ადრესე (adres) მისამართი. „შენი ადრესე გულის ჯიფეში მაქ შენახული“ (ინ.).

ადუმი (adim) ნაბიჯი. „ახლა ადუმი ველარ გვიქნია ფეკით, არაბებით დავალთ ყულეგან. ზაათი სულ ფეკით დევდოდით“ (იმ.); „ცხრა ადუმი გევედა და მელიალა თუ?“ (ინ.).

აეთ-ი (არ. ayet) ყურანის ტექსტის ტაეპი, ყურანის ლექსი. „აგერამ ჩაკითხულ აეთში ღმერთი გამჩენელი ამბობს“ (ინ.); „აეთი ხედისის მაჰანა დაენერე, რაცხა რომ გეიგონე, თელი დეიჯერე“ (იმ.).

ავადველი-ი ავადმყოფი. „შაქირ დედი ზოფი ავადველია, ველარ გამოკეთდა ზავალი“ (იმ.).

ავაზანი-ი წყლის მოსაგროვებელი დიდი ჯარა, გამოთლილი მსხვილი ხისაგან (იგი ჩვეულებრივ ორგანყოფილებიანია. ცალ მხარეს გროვდება პიროფტყვის დასარწყულებელი წყალი და ღიაა. მეორე მხარე დაბურულია და განკუთვნილია სასმელი

წყლისათვის. ავაზანს შეხვდებით სოფლებში და საძოვრებზე თითქმის ყველა წყაროსთან. „გელინზე ფამფარია ავაზანზე გარცხა“ (იმ.); „ავაზანი არი შეშისა. ავაზანზე ზედამ ხის სათლი დვია. იმითა წყალსა ვსუამთ“ (იმ.). იხ. საბა, ნ. მარი (იმერხ.).

ავგაპი-ილავგა-ი (avlankmak) ნადირობა, სანადიროდ წასვლა. „დიდ თოვლობაზე ავგაპი წვევალთ“ (მაჭ.); „ჩუენები ავგააზე იარებიან“ (თ. ქ.).

ავიზე (avize) ჭალი (ლუსტრა). „ავიზე დუუბამს სალონში ქრისთალისა“ (სტ.).

ავრუპალი-ი (avrupali) ევროპელი. „ის-ტანბულ ავრუპალი თურისთები ბევრი მოდიან“ (ინ.).

ავჯი-ი (avci) მონადირე. „ჩუენი დედი ძალიან ავჯი ყოფილა“ (მეზ.); „მეც ფენა ავჯი ვარ“ (იმ.).

ავჯობა ნადირობა. „წინწინ იმფო ავჯობას ვიქნევდით“ (მ.).

აზაბი-ი (azap) ნალველი, ტანჯვა. „იმი-სთენი ჯეჰენეში აზაბია“ (პ.).

აზბიში (1. az, 2. bir, 3. sey — 1. ცოტა, 2. ერთი, 3. რალაც, რაიმე) ცოტათი, ოდნავ, თითქმის. „აზბიში გავს აქავრობას“ (იმ.); „მამამთილი აზბიში პერსიანი იყო, ერთდრამი“ (იმ.).

აზდაპი (az — ცოტა, daha — კიდევ) ცოტაც კიდევ, სადაცაა, კინალამ. „აზდაპი პურის ფეკილიდამ გამუცხო ჭადიო, იცი-ნებდა მეგომ ნენეი. ჭადზე ყოფილა გაზ-დელი და აქ მარტო პური ქონიან. ჭადი მონატრებია“ (ინ.); „ახალათ რომ გესულა, აზდაპი ჩაეარდნილა“ (ინ.).

აზღელი საჭმლის სახელი. „ყადმაღლი თაზე ყველ ჩაჰყრი, იქნება აზელილი“ (ტ.).

აზიზი-ი (არ. aziz — ძვირფასი, საყვარელი; 2. წმინდა, საღეთი) 1. მამაკაცის საკუთარი სახელი; 2. ფაქიზი, სისუფთავის მოყვარული. „აზიზ-უფენი მობძანდება ბურსადანო“ (ად.); „ეს ციციბი სხუაფერი აზიზია, ყუელასთან არ ჭამს“ (ინ.).

აზმანავ-ს აზომებს, ადარებს, ამსგავსებს. „მესხებმა გურჯიჯა არ იციან და ლამაზ თურქჩასაც ვერ აზმანებენ“ (ინ.);

„ტყვილაი აზმანავს იმ ქალსა, მისი დენგე იმფო შაქრიფერია“ (ინ.); „კაი თერძია ჩუენი ემიზი, რაფერ აზმანავს იფეგსა, ხედამ?“ (თ. ქ.).

აზრა|აზრაზი-ი გარეული, ტყის, კენკროვანი მცენარე. „აზრაზი დამნიფეზამდი მრემათ არი“ (იმ.); „აზრა მაიხოშია“ (იმ.); „აზრაზიც არი აქერ ტყეში“ (იმ.).

აზული-ი (azik) საგზალი. „სამი დღის აზული გუდით მააქუან“ (იმ.).

აზღინი-ი (azgin) აქტიური, გააფთრებული, ცოფიანი. „აზღინი იყო ზალიან, ქალებ არ ტევდა ღუნდამი, მის თოკვზე ასამებდა“ (იმ.).

ათა (ata) 1. მამა; 2. ბაბუა, პაპა. „ეს ადეთები მემღექეთურია, ათადან-ბაბადან მუა“ (ინ.).

ათაბარი-ი (არ. ata — საჩუქარი, bar — ხალხური ცეკვა) ართვინის ქართულ სოფლებში პოპულარული ცეკვა (იმერხველების გადმოცემით, როცა ათათურქი პირველად ესტუმრა ართვინს, აქაურები ამ ცეკვით შეეგებნენ საპატიო სტუმარს. „საჩუქარი ცეკვა“ — ასე თარგმნიან ისინი „ათაბარ“-ს). „ათაბარი კაი სასამური ყად-დია, ბევრი ჩევებმებით და ვისამებთ გემოზე“ (იმ.).

ათაშე (ataş) ატაშე. „განიეროლი დღევანელი, ფუტყარაძე, ქონსოლოში მოს-კოვას ათაშე იყო“ (ინ.).

ათერბიალებ-ს (არ. terbiye — აღზრდა, სწავლება, მოზადება, მოთვინიერება) ასწავლის, ამზადებს, წვრთნის. „ჩუენი დიდი ბაღვებ ზოვლი ათერბიალებს“ (ინ.).

ათეში-ი (ates) ცეცხლი, სიცხე, მაღალი ტემპერატურა. „ამ ქალსა რასძალა ათეში აქ, ბრონშიტიანია“ (თ. ქ.).

ათინგლა-ი მოადუნა, მიადინა, ღონე გამოაცალა. „ქალები რამაზანმა ათინგლა“ (ინ.). **ათინგლულ-ი:** „ბაღვებმა ბევრი ინასეს და ახლა ათინგლული არიან სექეზე“ (თ. ქ.).

ათორბავ-ს (torba — ტომარა, ტომსი-კა) უსაყვედურებს, გალანძლავს, სათქმელს არ დაუტოვებს (გად. მნ. ტომარაში ჩადებს). „იმფრა ათორბა ზავალი ქალი,

რომე უკან მუუხუბდავი გააქცია“ (ინ.); „დღეში ერთიგზოვ მიიც ათორბავს კაცსა, ფენა მაგარი ქალია“ (თ. ქ.).

ათქისათხი (atki) თავშალი, შარფი. „სოსახში რომე გავალთ, თავზე გვახურია ათქი“ (სტ.); „ჩემი ხელითაც მოვექსოვ ათხსა და ადებუთრავ თავზე“ (თ. ქ.).

ათითო-ი თითებით თამაშის სახელი. თამაშის დროს მალავენ შუა თითს და იძახიან: „ათითი, მათითი, რომელია შუაი თითი. თუ ბიჭი ხარ, ამოხსენ, აბა!“ (ინ.).

აკალიბუბ-ს ანესრიგებს, ალაგებს, ნივთებს თავის ადგილას აწყობს. „თელი დღეა ეზო-კარ აკალიბებს“ (ინ.). იხ. კალიბი.

აკანთლავ-ს შეანითლებს, შებრანავს. „ზითუალმა აკანთლა ბლები, თვარა ჯერ შემბიძებულიც არ არი“ (თ. ქ.).

აკვინს მიტანა ეთნ. სიძე-ქალიშვილთან სტუმრობა შვილის შეძენის აღსანიშნავად. „ნინინ ასე იყო: გოგო-შვილსა რომე პირველი შვილი ეყოლებოდა, ანაი-ბაბიი შინაგრებთან ერთათ აკვან მუუტანდა. ახალ ჰალად არი ეს ადეთი, გადაქცევლია მილეთი. აკვან აღარ არახუნებენ ახალი ქალები. სალინჯალი გამოვდა, და? ის აქუან ჩამოკიდული ოდიებში და იმაში ანვენენ ჩვილ ბაღვებსა. ადეთმაც სახელი გამეიცუალა, მემლექეთური სახელი დეგვეკარქა და ახალ ადეთსა „საბან-არტახის მიტანას უძახიან“ (თ. ქ.).

აკინტლებ-ს აჩხუბებს, აბრძობებს ერთმანეთთან. „ზამანი გევდა და ქალებმა ვერ გეიტანეს ერთმანები, აკინტლდენ“ (თ. ქ.).

ალავი (alev) ალი, სიცხე, ალმური. „ალავში გევხვია იქვერობა“ (იმ.); „ალავი, ლავი, ქათამი შავი, ავნყვიტე ფხარი, შევჭამე თუალი“, გამოცანა. — ყურძენი (ინ.).

ალაზან-ი ბოსლის იატაკის შუა ნაწილი. ბოსლის იატაკი გაყოფილია შუაზე ღარისმაგვარი ფიცრით. აქ ჩადენება ნაკელისა და შარდის წვენი, გროვდება პირუტყვის განავალი. ამ ადგილს მურლულის სოფლებში ალაზანს ეძახიან (იხ.

სანაწყალი — აჭ.); „ალაზანში იცრევა ნეხი“ (მ.).

ალამეთი (არ. alamet) ნიშანი, სიმბოლო, მაჩვენებელი, სიმბოლო. უჩვეულო, არაჩვეულებრივი. „იმფერი ალამეთი ციცი იზდება, რომე თუალებიდან ბენუბ ამოგილებს“ (თ. ქ.); „ყადმეთის ალამეთები თანდეთან ჩინდება“ (სტ.).

ალამელიქი (alamelik — ala — ბრწყინვალე, melik — მეფე) საუკეთესო ჯიშის ბალი, ბალთა მეფე. „ალამელიქის ყელეში ადაგულიდამ ჩამუტანე“ (მ.).

ალანძავ-ს გარეკანს დანჯავს მხოლოდ, კარგად არ შენჯავს, შეტუსავს. „დიდი ცეცხლი არ მიცე საჯსა, ჟუხას ალანძავს“ (ინ.). ალუნძულ-ი: „ჭადმა ალანძვა დეინყო, რატონ არ უყურეფ? მაგფრა ალანძული ვისნა დუუდვა სუფრაზე?“ (თ. ქ.). შდრ. საბა.

ალაუელუნებ-ს სიტუაციის შეუფერებლად, არაკომპეტენტურად, არაპროფესიონალურად აკეთებინებს საქმეს. „მეზულეში ვიტირეფ, თურქი ქალი რომ მეიყუანონ და სახლში ალაუელუნონ“ (ინ.).

ალარავ-ს სახელდახელოდ, ხელით, ქსოვილის ნაჭრებს ერთმანეთზე მიაკერებს. „ნელქუედას ევეჯა ალარავს“ (ინ.). ალარულ-ი: „თერძსა საკაბე ალარულინა დაახდინოს“ (ინ.). შდრ. საბა.

ალაშა მსუბუქი ყოფაქცევის ქალი. „მაგ ალაშა, მაგი! ანა-ბაბოს მოსაკლავინა გუუხდეს“ (თ. ქ.).

ალაქა მარხილის საცურავის (ფეხების) მოძრაობის შემაფერხებელი (მოყინულ გზაზე). „ალაკას ნენელით გაუაკეთებთ და საცურავებზე წამოვდებთ, რომე ზალიან არ დაცურდეს მარკილი და ფეკებში არ მოქეხდეს“ (იმ.). შდრ. საბა (ალაკი — საცორავად დამაყენებელი).

ალაჯა (alaca) ჭრელი, მრავალფეროვანი (ნოხის ან წინდის ჭრელი). „ესენი ხალის ალაჯა არი, კატიფკაი ქეია“ (იმ.).

ალეთი (არ. alci) ორგანო, სხეულის ნაწილი, იარალი, ხელსაწყო. „ეგ ბალახი წამალია, შიანა ალეთებში მიცემს ძალას“ (მაჭ.); „ინსნის შიანი ალეთია ქალბი

(გული)" (ინ.).

ალემ-ი (არ. alcm) 1. სამყარო, 2. ხალხი, საზოგადოება. „ერთ ალემში არიან მაგერესენი“ (სტ.); „იმდენ ალემში უთხრა მეგემ“ (სტ.); „ალემის შვილო, შენა!“ (ად.) (საგინებელი სიტყვები).

ალეიმალიისალიმალი მთლიანად, მთელი არსებით; ტყუილურბრალად, ამაოდ. „ჯაყდანანი, ჯაყდანანი, დამწუარი ვარ ალეიმალი, ერთი გოგო შიმყუარდა, არ იჯება მისი ანაი“ (ინ.); „ალაიმალი გადასულია ინსნობიდან“ (თ. ქ.).

ალეიქუმსელამ (არ. aleykümselam, aleykümselam) ღმერთი თქვენც მოგცემთ მშვიდობას! და თქვენც მშვიდობა! 1. მისალმების ფორმულა. მიმსალმებელი: — სელამალეიქუმ! მოპასუხე: — ალეიქუმსელამ! (გამარჯობა! — გაგიმარჯოს!). 2. როცა ერთი პიროვნება მეორეს მოკითხვას აბარებს ვინმეზე გადასაცემად, მაშინ მეორე პიროვნება თანხმობის ნიშნად პასუხობს: — ალეიქუმსელამ! „ბათუმ ჩახულ, ყუელას მოკითხვა, სელამი უთხარ! — ალეიქუმსელამ! ყუელას მოგაკითხავ!“ (თ. ქ.).

ალელ-ი ცხენის ან სახედრის ფალანი. „ალელი მუწონჩეუ ცხენსა, ოფლი შააშრეს ცოტა“ (ინ.).

ალთუნ-ი (altin) ოქრო, ოქროს ფირფიტებიანი ყელსაბამი. „ში ლამაზი ალთუნები ვინ მოგიტანაო“ (პ.).

ალთუნა-ი სიმინდის ჯიში, გამოირჩევა მსხვილი მარცვლიანობით. „ალთუნაი ყვითელიც არი და მოთეთროც“ (ბ.).

ალ-ი ავი სული, ფერია. „მელოგინე ქალ მარტუაი არ დავტყუდით, გვეშინოდა, ალი არ დეცესო“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ალი — მშობიერის მაცთურს იტყვიან).

ალიკაპ-ი ხის ალვირი. „ხოზოს ხის ალიკაპი ამოდვა პირში და ძროხასთან ერთათ გუუშვა საძუარზე, ვეღარ მოწოვსო, ეგონა“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ალიკაპი — ხის ალვირი).

ალიშვერიში-ი (alışveriş) ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა; ალემბიცემობა. „ბაბაი ბათუმ ნევდოდა, ნეილბდა რაცხიფესა და ალი-

შვერიშ იქმოდა“ (იმ.).

ალაპალემ (არ. Allah alcm) ღმერთმა ყველაფერი იცის; როგორც ჩანს, ნამდვილად. „დოხტურმა მითხრა, სისხლი გაქ, ალაპალემო“ (ბ. ფ.).

ალაპაშუქურ (არ. Allaha şükür) დიდება ღმერთს, მადლობა ღმერთს! „ახლა აღარ არი მაქფრობა, ალაპაშუქურ“ (ინ.).

ალაპბეთარუნდა სახლა (არ. Allah beterinden saklasan) ღმერთო, უარესისაგან დაგვიფარე! „ალაპბეთარუნდა სახლა, რალანა ქნა, რაცხაფერნა გუუძლო ამ სიმწარეს“ (ინ.).

ალაპ ბელა ვერდი (არ. Allah belâ verdi) ღმერთმა უბედურება მისცა, ეზობი უბედურება მოუყვანა. „ალაპ ბელა ვერდი, ცხუარი დაკალ, კაცი გაზლეს, იშტა! რალა ერჩი იმ დაბანსა, გუუშვი მის გზაზე!“ (იმ.).

ალაპ ბერეკათვერსუნ (არ. Allah bereket versin) ღმერთმა სიკეთე, ბედნიერება, დოვლათი, ბარაქა მოგცეს! ამაზედაც გმადლობთ, უფალო! „ახლა ამ ფაცხაში გამეებარგე ძვილი, ალაპბერეკათვერსუნ“ (გულ.).

ალაპ ბილირ (არ. Allah bilir) ღმერთმა იცის! „არ დეიბარეფს სახლში, ალაპ ბილირ, პად არი“ (ინ.).

ალაპეთმასუნ (არ. Allah etmesin) ღმერთმა ნუ ქნას! „სიძიების ხელში ღუშმანი დატიოს ღმერთმა, ალაპეთმასუნ!“; „ალაპეთმასუნ, თურქი შამომერიოს მეპელემი!“ (თ. ქ.).

ალაპ ვერდი (არ. Allah verdi) ღმერთმა მისცა, ღმერთმა ქნა. „ალაპ ვერდი, არსად გამოჩინდა, თვარამ ყავდა იქნებოდა“ (ინ.).

ალაპინან (არ. Allah — ღმერთი — Allahınan) ღმერთით, ღმერთის დახმარებით. „ალაპინან დიგინახვან კიდევნ“ (ინ.); „ალაპინან შვიდობა იქნება“ (იმ.).

ალაპისეისალაპისევერსან (არ. Allah severse) ღმერთის ხათრისთვის, ღვთის გულისთვის! თუ ღმერთი გიყვარს! „მარტო დოშორვა რათ გინდა, ალაპისე!“

(ბახ.); „აღლაპისე, იმი ბაბას რა ქვია?“ (იმ.); „ერთი, აღლაპისევერსან, რომელ ადგილზე ქტკივა?“ (ინ.).

აღლაპ ქერიმ! (არ. Allah — ღმერთი, არ. kerim — გულუხვი, მონყალე, კეთილშობილი) ღმერთი მონყალეა, ღმერთის წყალობით. „აღლაპ ქერიმ! კარგათ ვართ!“ (სტ.).

აღლაპ რაზი ოლსუნსაღლაპ რაზი ოლა (არ. Allah razı olsun) ღმერთი მადლობელი გაგიხდება, ღმერთი გადღეგრძელებს (მადლობის გამოსახატავი ფორმულა). „აღლაპ რაზი ოლსუნ, გადმოსუელ და გენახე, მოგვიკითხე“ (იმ.).

აღლაპ სალაშეთლუღ ვერსუნ (არ. Allah selametliđ versin!) ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ღმერთმა შეგინახოს, გზა მშვიდობისა! „ღმერთმა შვიდობით ჩიგიყუანოს სახლში, აღლაპ სალაშეთლუღვერსუნ“ (იმ.).

აღლაპუქებერ (არ. Allahü ekber) ღმერთი დიდია, ღმერთი ყოვლისშემძლეა! „უზუნ ზამთარ ახველა ბერსა, ჰამა, აღლაპუქებერ, გეველით გამოსულში“ (იმ.).

აღლაპუმ ბელასი (არ. Allahın belası) ღვთის რისხვა, ღმერთის სასჯელი. „ანაღლუღ მუუყუნა ბაღვებსა ერთი, აღლაპუმბელასი“ (ინ.); „აღლაპუმბელასი, ეს რამ გაგატეხია?“ (ინ.).

აღლაპუმ ემრი (არ. Allahın emri) ღვთის ნებაა, ღმერთის საქმეა. „აღლაპუმ ემრი, რა იქნება გამოსულამდი, ვინ იცის?“ (ინ.).

აღლაპჟირომ (არ. Allah biliyor) ღმერთმა იცის! „აღლაპჟირომ ჰად გადმოსულან მუჰაჯირათ, ახლა ჰაღა ნახავ?“ (ინ.).

აღლაპყაბულეთსუნ (არ. Allah kabul eisin) ღმერთი შეისმენს ვედრებას, ღმერთი მოგიმენს. „ღმერთმა გისმინოს და შენი ნანდომი მოქცეს, აღლაპყაბულეთსუნ!“ (ინ.).

აღმანია (Almanya) გერმანია. „ოქუენთან თურისთ გადმოვდა აღმანიდან, თაბი“ (ინ.); „ბაშთან აღმანიეს იყო“ (იმ.); „თურისთები აღმანიადამ მოიდეს აქა“ (ტ.).

აღმანი (Alman) გერმანელი. „აღმანი თურისთი მეიყუნა ერთი“ (ინ.).

აღმანჯა (almanca) გერმანული ენა. „აღმანჯა არი ოქულებში“ (მ.).

აღფაბე (alfabe) ანბანი, დამწერლობა. „ღუნდაში თოთხმეტი აღფაბეა და აქედან ერთი გურჯისა ყოფილა“ (ინ.).

ამა (არ. ama) მაგრამ. „დამჰაიჯა დუგუნში, ამა ვერ ნეველ, ბაბოი ავათ გახდა“ (ინ.).

ამავალი განს. ნაც. ეს, ესა და ეს. „მე ამავალი ვარ-მეთქი, ვაცნობიე ჩემი თავი“ (იმ.).

ამათიეფში ამ მიდამოებში, ახლომახლო. „ამათიეფში ვიქნები და დიმიძახე“ (ინ.).

ამაიმას განუს. ნაც. ვიღაცას, რაღაცას. „ამაიმას რას ესუენები, გოგოს ტაიას ნაატი ხელი და ნეიყუნე ელჩათ“ (თ. ქ.).

ამაიქით ამის შემდეგ, ამის იქით. „ამაიქით ღმერთმა აღარ მოგუანატროს ერთმანებში“ (თ. ქ.).

ამალიკაი ტილო. „ოზდაათ მარჩილათ ერთი მეტრო ამალიკაი მოდიოდა“ (თ. ქ.).

ამამავალი განს. ნაც. ეს, ესა და ეს. „აქვერი ყადი ამამავალია: ათაბარი, კაჭიკა, ართვინის ხორომი...“ (იმ.); „ჩუენაც ვუთხარით, ამამავალმა (ამან და ამან) მოქყვიდაო“ (იმ.).

ამან (არაბ. შორისდ. aman) ოპ, ღმერთის ხათრისთვის, ღმერთო ჩემო! „ამან, არსა ნეხვიდე, გვემინია მარტივი დარჩომა“ (იმ.).

ამანეთი (არ. emanet) ღმერთზე (ვინმეზე) მიბარებული შესანახავად. „მემრენ ამასა ამანეთათ გვიტევენ“ (ჰ.); „სტუმარი ღმერთის ამანეთია, იმა ლამაზი თუალით შევხედავთ“ (იმ.).

ამბარი (არ. ambar) ხარო, ბელელი, საწყობი, ფევილის შესანახავი ადგილი. „ქიბილის ჩასაყარი ამბარი ბილა არ გუაქ“ (ხ. ფ.).

ამბარე ვინც ზაფხულობით მთაში ნასულს საპატრონებლად ჩაბარა, მიაბარა თავისი პირუტყვი. „წრეელაი რამდონი

ამბარე ქყავს?! (ინ.); „ამბარიები ბევრი მემეტყუჭა“ (ინ.).

ამბურძამბურ არეულად, უთავბოლოდ. „ლაპარიკოფს რაცხას ამბურძამბურ, ნუ უდინგლევ მაგას!“ (ინ.).

ამდებანია ამდენი ხანია, საკმაოდ დიდი დროა. ამდებანია სხუა არი ჩუენ თავზე, ჩუენი ბაშქანი წრეული ძვილი გამეყეუით“ (ინ.); „ამდებანია გევეთხვე, არ გიმიკეთებია ეს საჭმელი“ (ინ.).

ამდებნის ამდენი ხნის, ხანშიშესული. „ამდებნის მეყყარე და არ დიმიანხია“ (ინ.); „ამდებნის ინსანი გებნევა, დეიჯერე!“ (სტ.).

ამეზლამ ამელამ (ამალამ). „ამეზლამ აქ იყავით, დეგვემოსაფირით“ (ბ.); „ერთი ამეზლამ ჩედე შინა“ (იმ.).

ამელიათ-ი (არ ameliyat) ქირურგიული ოპერაცია. „ჩემი ემოშვილი ამელიათი გამხდარა“. **ამელიათიანი-ი**; „ამელიათიანი ბაღია და ტკივა ყია“ (ინ.).

ამერიკალი (amerikali) ამერიკელი. „ამერიკალი ასკრები მოსულან ისტანბულ გემით“ (ად.).

ამერიკანი (amerikan) ამერიკული. „ამერიკანი ჩასაცუამები აქ არ მუაქუან“ (ინ.).

ამერიკან ბეზი (amerikan bezi) ამერიკული ხამი ტილო. „მოდულებულ ჭუქსა გავწურავთ ამერიკან ბეზის თორბაში“ (იმ.).

ამვალ-ი განს. ნაც. ეს, ესა და ეს. „მე ამვალ დოსტათ მიყურს, შენ რას იტყვი?“ (მაჭ.); „პრაბტი ამვალისთვინ უნდებანო, იტყვის სახლში“ (თ. ქ.); „ამვალ ღერზე ერთი ნისქვილი არიო (სტ.).

ამინ-ი (არ. amin) აღსრულდება ღმერთის სახელით. დაე, იყოს ასე. „მე დუას ჩევეითხავ, შენ ამინი ქენო, უთხრა ალიმ“ (იმ.); „ჯემალეთი ამინ იჯება, ღმერთი ყაბულ გახდის“ (ინ.).

ამინალამ! (არ. amin — ასრულდება ღმერთის სახელით, allah — ღმერთი) ღმერთო, შენი სახელით შემისრულე თხოვნა! „ღმერთო, გამუადრევიე, გამჩენლო!“ — ამინალამ!“ (ინ.).

ამისისხო ამის სისხსო, ამოდენა. „ამი-

სისხო ხეს მუუსხამს პანანვანი კაკლები, ამ ლერნსა — დიდუანი ყარფუზები“ (ინ.).

ამისისხოთ ამოდენად, ამდენად. „ამისისხოთ ყერიბები რატომნა ვიყოთ!“ (ინ.).

ამმა (არ. amma — სობრმავე) ბრმა. „ის კაცი ამმა გახდა, დაქორდა“ (ინ.).

ამობარცავ-ს პირალმა დასცემს მინაზე, გაანაწესს. „ამობარცავს კიდო ტალახებში აზდაჰა“ (თ. ქ.).

ამობარძიმავე-ს ამონყველის, წყველაკრულით ამოაგდებს ოჯახიანად. „დედაბერი ყველა ლოცვი ვახტზე წყველის, ამობარძიმავეს“ (ინ.).

ამობიყევე-ს გულში ჩამოიდებს წყენას, მწარედ დაიმახსოვრებს. „მაშინ არ დეიტყობია, მარა რასძალა ამიბიყევა გული და ნელნელა მისაქმა კაცი“ (ინ.).

ამოკრულავ-ს დაწყველის, გულით გაიმეტებს. „ისე ამოკრულავს ბაღვებსა, ანალუღი გეკონება, ნაცვალი“ (თ. ქ.).

ამომკრავლი მორქენალი, მრჩოლავი პირუტყვი. „იმათი ძროხა ფენა ამომკრავლია, მუუფთხილდი, ბაღვო, ქებზე არ აგაცვას“ (თ. ქ.).

ამოუფუავ-ს ამონყვეტს, გაანადგურებს, დახოცავს. „ათათურქის ასკრებმა ამოუფუფეს ღუნანები“ (თ. ქ.).

ამოსერავ-ს ამოჭრის, ხის ნიმუშს აიღებს, ხეზე გამოსაყვან ფიგურას დანით გამოიყვანს, გამოხზავს. „იმას უკან, არ-თუს, ამოსერავ“ (იმ.).

ამოქოქავ-ს (თ. kök — ძირი, ფესვი) ძირფესვიანად ამოაგდებს, დაწყველის, ამოძირკავს. „ბოსტანში გერანი ბალახი ძვილი ამოქოქე“ (თ. ქ.). „ისე წარეთ დაწყველა, რომე ამოქოქა“ (ინ.).

ამოყელავ-ს ჭურჭელი ყელამდე აიკვება. „ბეთმეზი რომ ამოყელავს გუგუმში, გამოდგი აქეთ და ცარიელი გუგუმი შუუდგი“ (ბახ.).

ამოჩელხავ-ს რაიმე საგნებს ერთმანეთზე მჭიდროდ, უნესრიგოდ დააყრის, შეამჭიდროებს. „ყანაში იმდენ რამეს ამოჩელხავს, რომე სიმინდსა სულ აღარ შააღებიებს“ (მაჭ.). შდრ. საბა (ჩელხი-ხეარბლის ხევის ულენაევი ანაკაზში).

ამომჩორავ-ს იგივეა, რაც ამოჩელხავს,

შეამჭიდროებს, გადატვირთავს, გასაქანს აღარ მისცემს. „იმ პანა სახლში იმდენი სული ამომჩორა, სახლის გაზდას არ წადინობს კიდევ“ (ად.). შდრ. საბა (მჩორე — ძაღლისა და მხეცის სკორე).

ამოჭაჭყავ-ს პევეში (ჭაჭვით), მუჭით ამოიღებს. „თითოს ამეიღებდეს, რალა გიმუეს, ამოჭოჭავს — შეჭამს, ამოჭაჭყავს — შეჭამს“ (ბახ.).

ამოჭუჭყავ-ს სათითაოდ ამოიყვანს (ამოიღებს), ამოკრეფს. „ბაღეებს სოფელში ამოჭუჭყავს და მიაყრის მოსაველელებსა დედაბერ“ (ბახ.); „ლაშის ვაშლებ უჩუმადღაი ამოჭუჭყავს ხაროდან და ნახავ, რომე გუუცლია იქავრობა“ (თ. ქ.).

ამოხაჩიჩავ-ს ამორეცხავს, ამოასუფთავებს. „გობში ჩავსასამ თიბილ წყალ, ყაბებსა ჯერ ფირილში ამოეხაჩიჩავ ბეზითა, მემრე გადავავლე ციე წყალსა“ (ინ.). **ამრუმული-ი** მოღუმული, ნირნამბადარი. „თელი დღეა ამრუმულია, რაზეა გაპერსებული, ღმერთმა იცის“ (ინ.).

ამსოლოღმისამსულულზე (soluk — ამოსუნთქვა). ახლავე, ამ წამსვე. „ამსულულზე დამნიფული ბერი გაქარდა“ (ხ. ფ.); „რა ტკივა ამსოლოღმი ზავალსა?“ (ინ.).

ამფერობა ასეთნაირი ქცევა, ასეთნაირად ყოფნა. „გენჯობაში იცოდა ამფერობა“ (თ. ქ.).

ამფრა ასეთნაირად, ამნაირად. „ამფრაც ვიტყვით ხანდებან“ (ბახ.).

ამფული-ი (ampul) ელექტრონათურა. „ჯერინის ამფული ხოფას ევლე“ (იმ.).

ამხანაკ-ი მეორე ცოლი. „წინწინ ჩეთინი ადეთი იყო, კაცი ქალსა ამხანაკ მუყუყანდა, ალლაპაშუქურ, გადავარდა ამფრობა“ (ინ.); „ამხანაკებმა ვერ გეიტანეს მეგემ ერთმანები და დედემ გაარიცა ქალები, ერთი ყანითავეში დააუღუმლა, ერთი — ყანი ბოლოში“ (თ. ქ.).

ამხანებაი ამ ბოლო დროს. „ამხანებაი უკოო ტკივილმა“ (ან.); „ამხანებაი არ დომინახავს“ (ად.).

ამჯა (amca) მამის ძმა (ბიძა). „ციცას უთხრა, რომე ამჯას წაყვიო“ (ინ.).

ამჯელია ამჯერად, ამგზის. „ამჯელია

მუუქციოთ ნენჩემთან“ (ინ.); „ამჯელია მე წიმიყუაი ბათომ“ (პილ.).

ანა-ი (anne) დედა. „ახლაც ანაი ფენა მოტეხილია, მარტივი დარჩა და ზალიან მერაყლი გახდა“ (იმ.); „ჩუენა ნენეი ვიციო, ანაი აჭარლებმა იციან“ (ხ. ფ.).

ანანე-ი (anne) დედის დედა, ბებია. „ანანეს ნათუამები ჰალა მახსოვს“ (ინ.).

ანაბაბო-ი (ana-baba) დედ-მამა. „გოგოს ანაბაბოს გუუგზავნიან ელჩსა და დეეკითხვიან“ (თ. ქ.).

ანაგზა (დედა გზა) მთავარი გზა. „ანაგზადანნა ნეხეიდე და შინ საღლაშთ მიხულა“ (სტ.).

ანაგული-ი მატყლის ანაჩეჩი, რომელიც რჩება საჩეჩელზე. „კვირტის ნართი ანაგული იქნება, ბილი“ (იმ.); „ანაგულია, კვირტი დარჩება საჩეჩელზე“ (ინ.). შდრ. საბა.

ანადილი (anadili) დედაენა. „ქართუელმა მისი ანადილია იცოდეს მეგზური“ (სტ.); „ჩემი ანადილია გურჯიჯა“ (ინ.).

ანადანტოღმა (თ. anadan doğma) დედმობილა, სრულიად შიშველი. „ერთხან შეველ ბანღოში, რომე ანადანტოღმა ტიტველი წეეს“ (ინ.).

ანავათანი-ი (anavatan) დედასამშობლო. „ანავათანი ენატრებოდენ ჩუენ ძუელებსა“ (ინ.); „ანავათანი გურჯისტანია“ (იმ.).

ანათოფრა-ი (anatotprak) დედამინა, სამშობლო. „ჩუენი ძუელების ანათოფრა-ლი გურჯისტანია“ (ინ.); „დედამინა“ არ ვიტყვიო, ანაფოთრალსა ვუძახით“ (ტ.).

ანალუ-ი (anallk) დედინაცვლი. „ჩემ ანალულმა ვერ დეისტავლა თურქა“ (ინ.); „ფინი ანალუი მეყუყანა“ (იმ.).

ანამისი დედამისი. „ანამისი გადადგო-მია წინ, გზაზე გაბარცულა და არ გამუშუეია შვილები მუჰაჯირათ“ (თ. ქ.).

ანაოქულ-ი (anaokulu) ბავშვთა ბაღი. „პანანუჰანი ბაღეები ანაოქულში არიან“ (ინ.).

ანარეჰმუნდან (ana — დედა, rehnuma — თანხლება) დედის მუცლიდან, დედის სხეულში ჩასახვის მომენტიდან. „ანარეჰმუნდან ნოხსანი მოვდა ამ დუნეზზე“ (სტ.).

ანარქისტი-ი (anarşist) უნესრიგობის, ანარქიის მიმდევარი, მომხრე; ყაჩაღი. „ზავალი ქალი, ანარქისტების ყურშემით მიეკლა სოსახში“ (ინ.).

ანარკტი-ი არავინ, არც ერთი. „ანარკტიმა რაფერ არ ასტავლეს?“ (ინ.); „ანარკტი არ მინდა, მარტვაი ვიჯები ქალობას“ (ინ.).

ანასინი-ავრადინი (ana sınıt — შენი დედა, არ. avral — ცოლი, მეუღლე — anasina avradına) დედისა და ცოლის შეგინება. „ანასინი — ავრადინი მაგას, რას ექცევა, ხედავ?“ (სტ.).

ანასუნუნ ოლლი (ana sınıt oğlı) რა დედის შვილია, ვიცი. „ეი, კიდი, ანასუნუნ ოლლი, არ ვიცოდე მაიც მაგის ქალობა“ (ინ.).

ანაცარი-ი ქატო. „ფქვილის ანაცარი მოზილე და ჭუჭულებ გუდუყყარე!“ (თ. ქ.). შდრ. საბა.

ანახთარი-ი (anahtar) გასაღები. „არაბის ანახთარი დუუქარქავს ჰაცხა“ (ინ.).

ანაჯი¹ (anacil) დედაზე მიჯაჭვული, დედის მოსიყვარული. „მეტი ანაჯია ჩუენი ფადიმი, ანას არ ცილდება“ (ინ.).

ანაჯი² (anac) მომწიფებული, გამოცდილი, შეილების გამზრდელი ქალი (იტყვიან დედალ პირუტყვზეც). „ზოვილი ანაჯი ქალი უნახავს ბალეების ანალულათ“ (ინ.); „ანაჯი ძროხა იყო და ძალუან შემებრალა სასიკდილოთ“ (თ. ქ.).

ანდაზა თარგი, მაგალითი. „ჯერ ანდაზა გამოჭარ, მუაზმანე კარქა და ყუშაში მემერე გაჭარ“ (ინ.); „ახალბაზა ანდაზა კინა დაანახვიო, რომე ჭკუიანათ გვიზარდონ“ (ინ.). გად. მნ. დასუსტება, გახდომა. „ანდაზა გამხდარა ზავალი, ძუალი და ტყავი დარჩომილა მარტივი“ (იმ.). შდრ. საბა.

ანდალი-ი თიბვის დროს ჭალის ერთი მხრიდან მეორე მხარეს გატანილი ნაპირი. „ერთი ანდალი ძლიე ჩეიტანა მოლისაო“ (მ.).

ანდრეზი-ი ანდერძი, გადმოცემა, ძველი ამბავი (შდრ. ფშ. ხევს. ანდრეზი). „დავსწერავთ კიდვენ, ანდრეზი დავიბარეთო,

ვიტყვიო“ (ფათ.).

ანზლათი-ი კერძის სახელი. „ნალებში ჩავყარიო უმარილო წოვას, იმას ვეტყვიო ანზლათი“ (იმ.).

ანთიქა (antika) ანტიკვარული ნივთი, არაჩვეულებრივი. „ციცაი ყავს ანთიქა, შეხედვა მაღლია“ (ინ.).

ანელებ-ს 1. აქრობს, 2. ზომიერს ხდის. „დაანელე ჯერჯანი, ტყვილაი ინვის“ (თ.ქ.); „წყალი ცხელია, გაანელე, არ დეინუა ფეხები“ (მეზ.).

ანეინი (anjin) ანგინა. „ანეინი ქონებია ბალესა და ამელიათი გახადეს“ (ინ.).

ანქრეინება-ს პირს ალებინებს, გულს ურევს. „ფილიზას მუცელში რამეს არ უტყვს, შეჭამს მი, ანქრეიფუს“ (ინ.); „აზბაძა ანქრეივა, იმფერი სული ქონდა“ (პილ.).

ანწალა|ანწალა თივის ზვინი, ზვინის ღერძი, წვრილი ბრჯა, რაზედაც ასხმულია ზვინი. „ანწალას თაე მუუქრავთ, ზედან წამოედებთ ლაფლონსა, რომე წვიმამ არ დაასველოს“ (მ). შდრ. საბა.

ანჯახს|ანჯაქ (ancak) მხოლოდ, ძლიეს. „ანჯახს მიეყუანდენ საქონელსა ზითვალი ჩაძრომიხან“ (თ.ქ.); „ერთ საათ ანჯახს დაეაუღმლე“ (მაჭ.).

აოშვა-ს დახნულ მინას სახენელით ხელმეორედ აჩეჩავს, დახნავს. „ამას ავოშავ და მარცვალსაც ჩავყური“ (იმ.). შდრ. საბა (აოშვა — ქნულის მეორედ გარდაქნვა).

აიაზი-ი (ayaz) ზამთრის ნათელი ამინდი, ყინვა. „ამფერ აიაზში ცხვირი გარეთ არ გვიყოფა, ხელ-ლე დაგაძრავს“ (ინ.); „ოდას თავან არ აქვა, აიაზი ჩანს, ეს მოსული სტუმარი ლამაზი ჩანს“ (მ.).

აიანი-ი (არ ayan) ნათელი, ღია. ცხადი. „ორ ლამეს გარეთ, აიანზე დადგი“ (თ.ქ.); „შენი ოჯალის ყუსური აიანზე არნა გამეიტანო“ (ინ.).

აიახყაბი (ayakkabi) ფეხსაცმელი. „ლა-მაზი აიახყაბები უულიან ჩარში“ (ინ.); „აიახყაბები დუუცდა მეგომ თაქიაშვილსა!“ (ტ.); „დოსტი პირზე შექხედავს, დუშმანი — აიახყაბზე“ (ინ.).

აიბაში-ი (aybaşı) მენსტრუაცია. „ახალ-

მოზღვე პრატსა სარცხელი დემარტება, აიბაში-თურქჩა“ (თ. ქ.).

აღბი (არ. aylıplaybı) ნაკლი, ნუნი, დეფექტი. „რა აიბინა უპუოს ლილიკაკალივით ბაკალასა?“ (იმ.); „ინსანსა მისი ადბი ბუკუზე არნა შამოკრა“ (ინ.); „ყუულას თითო ადბი აქ ინსანსა, ადბსიზი ლმერთია მარტივი“ (იმ.).

ადღინი (aydin) 1. ნათელი, მზიანი; 2. ინტელიგენტი, განათლებული. „სხუაფერი ადღინი ინსანია, გულმოყუასი“ (ინ.); „ადღინი ომრი მოქცეს ლმერთმა!“ (პილ.).

ადვა (ayva) ბია, კომში. „ადვა ლეჭრათ კაი მოღის“ (ად.); „ადვა ზუელის დერმანია“ (მეზ.).

ადვაზი (ისტ. ayvaz — ქირურგის თანაშემწე სამხედრო გემზე) მამაკაცის საკუთარი სახელი. „ბალვისთვინ ადვაზი დურქმევიან“ (ინ.).

ადლული (aylık) ხელფასი. „ადლული კარქა აქუნა იმათ“ (ინ.); „ამდონ ადლულზე ყოფილა“ (თ. ქ.).

ადნი (არ. ayın) იგივე, ერთი და იგივე, იდენტური, ერთნაირი. „ადნი ჩუენი მემლექეთი! ყულამფერი აქაერულია“ (ინ.); „ადნი სულალედამ მეიყუანა მიერე ზალიც“ (იმ.).

აღნა (სპ. ayna) სარკე. „თეთრი შუბლი შეერული აღნას გიგავს“ (თ. ქ.); „აღნაში იყურება მალ-მალე“ (ად.).

ადრანი (ayran) მანენის შედღეების დროს დარჩენილი სითხე, დო. „ადრანი არ აქ საქმელათ, მარა მუშით იარება ფეხის ადგილში“ (ინ.); „მანონსა რომ მოვრეკავთ, ვარნაში ქუემ დარჩება ადრანი, ზეიდან მიეცუამს კარაქსა“ (თ. ქ.).

ადრი (ayrı) განსხვავებული, გამოყოფილი, სხვა, სხვანაირი. „ქალები ისამებენ ადრი ოდაში“ (მაჭ.); „ადრი საინიდამ ამეილე, ნუ გეხათრება“ (მეზ.); „აქევრიც ადრია ჩუენსაზე“ (იმ.); „იტყვიან ადრი სიტყუები“ (ბ.); „მათი ლაპარაკი ცოტა ადრია, განეელია“ (მ.); ადრი-ადრი: სხვადასხვა. „ადრი-ადრი ადახყაბები დეენახე შემოსასლელში და მივხდი, აქ ბევრი მუსაფირები არიან-მეთქი“ (ინ.).

აღჩიჩევი (ayçıceği) მზესუმზირა. „აიჩიჩევი ხელიდადებაზე გაზდილა“ (თ.ქ.).

აღჩიჩევი იალი (ayçıceği yağı) მზესუმზირას ზეთი. „აღჩიჩევი ვალი თენექებით აქუნა დუქნებში“ (ინ.).

აპაერ-ილამოერი ავეური; უღლის ტაბიკების ან პირუტყვის ბაგაზე დასაბმელი რკალის შესაბნევი ბანარი. „ტაბიკები აპაერთი შეიკვრება“ (მ.). შდრ. საბა (აპაური).

აპატიკული ვინრო, მოჭერილი შარვალი. „ამ ქალსა აპატიკული შავი შალი ჩუუცუამს და დავა სოხახეფში, საიბი არ ყავს?“ (ინ.).

აპოხტი გამხმარი, შესანახავად გამზადებული, ხორცი. გად. მნ. სუსტი, გამხდარი. „აპოხტი ქათმები დაკიდული ქონდენ ბუხრიან ოდაში, არ დამშოროსო“ (ინ.); „კერხი ლობიაში პანა აპოხტ ჩაადება ნენეი და გააგერმელებდა საქმელსა“ (თ.ქ.); „დედაბერი თლათ აპოხტი გამხდარა ზავალი“ (მეზ.). შდრ. საბა (აპოხტი).

არა (ara) შუალედი, ორი საგნის ან მოვლენის გამმიჯნავი, შუა ნაწილი. „სარებას დლუსოფთ შუაზე, არაფეში“ (პ.); „ეგენი დიობნის არაში, ქუეშეთ, არი“ (იმ.).

არაბა (araba) 1. საზიდავი, ეტლი; 2. ავტომობილი, მარხილი, ურემი. „შააყდა არაბაზე და სოფელში ნეედა“ (ინ.).

არაბაჯი მზიდავი, მეეტლე. „ერთი არაბაჯი იარებოდა ამათიფეში და შემას არულიებდა გასაყიდ“ (ინ.).

არაბის ალეთები მარხილის ნაწილები. „არაბას ალეთობა: კოფო, დანდალი, ფეკო, საცურავი, მარკილის ფეკი“ (იმ.).

არაბიე (arabiye) არაბეთი. „არაბიედამ მოსულა და ავადეელი გამხდარა“ (იმ.).

არაბჯა (arapça) არაბული ენა, არაბულად. „არაბჯა კითხვა-ნერა ჰამანქი ბევრმა იცის“ (სტ.).

არადეკვანარა არ იქნა შესაფერისი ჩვენთვის. „ეს საქმე არადეკვანარა, მეზარებთან დათესვა ჩუენა, მინის საქმე“ (ტ.).

არალიქ (aralık) დეკემბერი. „არალიქი ცივი თუეა ინეგოლში“ (ინ.); „არალიქში

აქვერობაში თოვლი სამსეა“ (ტ.).

არალოლ-იარაღულ-ი (aralık) იატაკი. „ბუხარის არალოლში ახლან ლოგინები მივანყე, აღარ ვხმაროფთ და ბუხარსა?“ (თ.ქ.); „დომამა, არალოლი აენია. ძირით გურჯიჯა იქნება“ (თ. ქ.).

არანდარა მაგრამ, თუ არა და, წინა-აღმდეგ შემთხვევაში. „ყავალები ყურაღმა შაანუხა, მოსარწყავი მაქ, არანდარა ყასაბაშიც ვარ ჩასასლელი“ (პილი.); „ყასაბაში იაფის კეთებაც დეინყო, არანდარა ბათუმ წასლასაც ამბობს“ (ინ.).

არასათ მეიდანი-ი (არ. arasat meydan) ადგილი, სადაც, ისლამის მიხედვით, განკითხვის დღეს თავი უნდა მოიყაროს ყველა მკედრებით აღმდგარმა გარდაცვლილმა. „მიხუალ არასათ მეიდანში“ (პ.).

არაფა (არ. araf) განმენდის დღე. ესაა, მუსლიმანების დიდი დღესასწაულის, ყურბან-ბაღრამის წინა დღე; დღესასწაულისათვის მოხალების დღე. „არაფა დღეს ყანაში საქმე არვარგია“ (ბახ.); „არაფა დღეს ყანაში არ ჩავალთ“ (იმ.).

არაშთირმა (arashurma) გამოკვლევა, მოძებნა, აღმოჩენა, აღწერა. „ენის არაშთირმას აკეთებ“ (სტ.).

არდუჭი-ი მცენარე (წინოვანთა ოჯახიდან). ზოგჯერ „მადა“-საც ეძახიან. შდრ. საბა-მადალოში. „არდუჭი სოჭისისხო ვერ გეიზდება“ (ინ.).

არეზილებს-ი (არ. rezil — სამარცხვინო). არცხვენს, შურააცხყოფს. „იმ ქალის დიხზინი კარქა ვერ მონიეს ისეგავ, არეზილებს და არი ოღლუშაღსა“ (ინ.).

არვარგ-ი არასასურველი, უვარგისი, აკრძალული. „კარიზლობზე დადგომა, ძის წუეთზე, ჭადის, პურის ფუნჩხზე ფეხის დადგმა არვარგია, ცოდვა არიო, იტყოდენ ძუელეები, სახლი უქან ნავა, ძროხა აღარ მიეწილებილსო“ (ინ.).

ართინის ხორომი-ი ართინის ვილაეთში გავრცელებული ხორუმის სახეობა. „ართინის ხორომი ცოტა ადრია, აჭარულ ხორომს მოგავს“ (იმ.).

ართისთი (artist) არტისტი, მსახიობი. „ქალი ართისთი გამოვდოდა ერთი თელე-

ვიზიონში“ (სტ.).

ართულიართუხ (თ. arlık) კვლავ, ახლა, ამიერიდან. „იქვერ ქალებსა, ართუხ, გუუსნორებდით ლაპარაკსა“ (მ.); „ართულ, გავაპერსიანე ისენი“ (იმ.); „ართუხ, იმდერებენ, ისამებენ“ (მაჭ.).

არკიში მაშა. „არკიში აქუან კინიადმ გაკეთებული, ცტელ კეცსა ასწვენენ იმითა“ (ტ.).

არიში-ი (arış) მარხილის ხელნა, რვილი. „ხარის არაბას აქ არიშები“ (მ.).

არმაშელა-ი სიმინდის ჯიში, რომელსაც უმთავრესად მურღულუსა და ბორჩხის სოფლებში თესავენ. „არმაშელი სიმინდი ადრე მწიფდება“ (მ.).

არმუთ-ი (სპ. armut) მსხალი. „არმუთი მაიდამაი სალამი მეგვა არ არი“ (ინ.).

არნაუტი-ი (arnavut) ალბანელი. თავის სიმაშირ არნაუტია“ (იმ.).

არსა (არ. arsa) მიწის ნაკვეთი. „არსაში მაქ ლობიო, იმა უნდა ხაშარი, ჩემ ხიზან დედამთილმა არ მომართვა ვახშამი“ (იმ.); „ხალხ ყავალები არსებში აქუან დარგული“ (ინ.).

არსა არსად. „ბირთული არსა ნადის“ (იმ.); „არსა არ ყოფილა წასული“ (იმ.).

არსუზი-ი (arsız) უსირცხვილო, უნამუსო. „ერთი არსუზი ქალი ყავს, სახლში არ შამეიშევა“ (ინ.).

არტაშანი-ი ძვალთა და ძელთა შესაკრავი (შდრ. საბა). „მოტეხილზე ფისის არტაშან დააკრავენ და მალე გაამთელეფს“ (იმ.); „არტაშან კუერცხის ცილიო და საპნით გააკეთებდა ნენეი“ (ბახ.).

არტახ-ი რაიმეს მაგრად შესაკრავი; ჩვილი ბავშვის შესაკრავი. „არტახი გუუსხენ ბაღესა და ხელები ამუშუაღე, ვერ ხედავ რაფრა ტირის?“ (ინ.). შდრ. საბა.

არუზი-ი ერქვანი, ხის გუთანო. „არუზი ხის არი, ახლა დემირისა გამოვდა და იმფოსერთი ის გუაქ“ (იმ.). შდრ. საბა (არონა — ყვერის ხარის ერქუანი, საკუნელი).

არუა (arpa) ქერი. „არფის კაკლები ეყარა ეზოში“ (თ. ქ.).

არჟი-ი (arşiv) არქივი. „ეზრუმის,

ღაოთ თრაბზონის არშივებში ბელქიდა იქნება გურჯების ქითბები" (იბ.).

არშინ-ი (arsin) სიგრძის საზომი ერთეული (სავაჭრო არშინი უდრის 0,68 მ.). „შენი არშინით თუ აზმანავ, ბელქიდა გამუა ხუთი არშინი. ცოტაია, ვერ ხედავ?" (ინ.).

არჩი-ი (aşçı) მზარეული. „ჩემი ნენეი კაი არჩი იყო, ქორწილებზე არუნიებდენ" (ინ.).

არჩიხანა (aşçıhane) სამზარეულო. „დუგუნისთინ არჩიხანა მოუწყიან" (მ.).

არნივ-ი დედალი პირუტყვის ერთგვარი დაავადება, რომელიც იწვევს უნაყოფობას. „რავარც დეინილივის მუცელში ხობო, არნივი შუტუჭას იმ დუყყუზე" (თ. ქ.); „არნივიან ზროხასა ხობო არ ეყოლება" (თ. ქ.).

არხა (arka) ზურგი, საყრდენი, კედელი, ყორე. „არხას გავაკეთათ ყანი ბოლოზე, რომე მინამ არ დეინოს" (მაჭ.).

არხატაში-ი (arkadaş) მეგობარი, ახლობელი, ამხანაგი. „არხატაში მეახლა ერთი და თიფლიზ გასლამდი ვიარეთ" (ტ.).

ასაბ-ი (არ. asaf) ვაჟკაცი, რაინდი. „არ იქნება დუნდამი იმ სოფ ასაბი" (იბ.).

ასადებ-ი ქალის ერთგვარი მოსართავი, ყბაზე ასადები მძივი ან ძენკვი, რომელიც დამაგრებული ჰქონდათ ჩიხტიკოპზე ან ქუდზე. იხ. საყბავრი. „ასადები გუმიშის ზენჯირი მქონდა ერთი და იმა ვხმარობდი" (ინ.); „ასადებიც იყო ზივითანაი" (იბ.).

ასამეზ-ს 1. აცეკვებს, 2. თავის ნებაზე ატარებს. „აქორდეთონჯი უკრავს ყადღებ და ასამეზს გენჯებსა" (იბ.); „მის თოვზე რამდენხანა გასამოს?" (ინ.).

ასთესასტე ამდაგვარად, ამნაირად. „შენთათალაი თქვი ასტე!" (ხ. ფ.). შდრ. საბა.

ასანსორ-ი (asansör) ამნე მანქანა, ლიფტი. „ასანსორით ახუალ ზედა ყათებში". (სტ.).

ასიმილა ასიმილირებული, შერეული. „თურქებში გევერიეთ, ასიმილა გავხდით, აღარც გურჯი ვართ და აღარც თურქი" (სტ.).

ასკ-ი აბრეშუმის მჭისათვის პარკის გასაკეთებლად საჭირო მუხის ხის ტოტი. „ასკი კოს ვეტყვი, იმა დუუსობთ ჭიასა და შეეხოვა" (ჰ.); „ათ დღეს უკან ასკ დუუსობთ" (ჰ.).

ასკერ-ი (asker) ჯარისკაცი. „დუნანის ასკერი გადენა ათათურქმა" (თ. ქ.); ასკრობა: „ბაღუსა ჯერ ასკრობა არ უქნია, ქალი რანა მუუყუანო?" (თ. ქ.).

ასლ-ი (არ. asıllaslı) ნამდვილი, ორიგინალი, ძირითადი. „ფათოში ასლი თერძი გახდა" (ჰ.); „ამმედაი ასლი ემიაი იყო" (ინ.).

ასლამაზ-ი ულამაზესი, ზღაპრული სილამაზისა. „ჩემი ცხენი ასლამაზი, ჰაიდე, ვიაროთო" (სტ.).

ასლან-ი (aslan) ლომი. „ასლანის ბარტყი დუუკავია ჩემ დედესა" (მეზ.); „ასლანი და კაცი დტაბეზიან ერთმანეთ ივეთის თავში, ორსნავე მომედარან იგზევე" (იბ.).

ასხ-ი¹. მოუსვენარი, დაუდევარი. „მოსაფირთან სირცხვილია, ასხი ბაღვები ქეყავს" (ინ.).

ასხ-ი². (askı) ლურსმანი, საკიდარი, კავი. „კედელზე ხის ასხებია, რაცხიებ დავეიდავთ" (მ.).

ასხმა აყვანა (ქვემოდან ზევით). „ჰასთანჰანეში ავასხი ისინი და დეჰტიე იქა" (იბ.); „ყუელაი ვერ ავასხი, არაბამ ვერ ასნია" (იბ.).

ასტარ-ი (astar) სარჩული. „ეს ყუმაში ჯექეთი ასტრისთინ კაი მუა" (ინ.).

ასუბა-ი (assubay) უმცროსი ოფიცერი. „ამდენანია საქმობს და ასუბაი ძვილია გახდომილა" (სტ.).

ატაბტაპებ-ს ზედმეტად ალაპარაკებს, მეტ უფლებას აძლევს. „ქაღმა კაცსა არნა ნუუსნრა და ბეერი არნა იტაბტაპო" (ინ.).

ატოლი-ი ბალახის სახელი, გამოიყენება საქმელად. გავრცელებულია მესხეთ-ჯავახეთსა და შვემეთ-იმერხევეში. შდრ. საბა. „ატოლი მოვეკრიფეთ ჭალაში და ჯავეთ ჩავედთ" (მ.); „ატოლიდამ ჩორობას ვაკეთავთ" (ბ.).

ატორლიალება ვინმესთან ერთად უმი-

ზნოდ სიარული, ვინმეზე ადევნება, ვინმეზე მიტოლება. „კიდევ დინყო იმ ანარშისტებზე ატორლიალება?“ (ინ.). შდრ. საბა (ტორლიალი — ნატოლებასავით, ნატოლება).

აფარატნდება-ა აიჭრება, აიმღვრევა (ყველს რომ ამოიღებენ, დარჩენილ სითხეს მოადუღებენ. დუღილის პროცესში სითხე აიჭრება, წარმოიქმნება ნადუღილის ფანტელები. ამაზე იტყვიან, აფარატნდაო. დუღილის დამთავრების შემდეგ ნადუღი ქურჭლის ფსკერზე დაილექება). „ჭუკი რომე ადუღდება, ეიჭრება, აფარატნდება“ (იმ.).

აფაქებს-ს (სპ. pak — სუფთა, მართალი, ნმინდა, რიგიანი). ასუფთავენ, წმენდს, ჰკარგავს. „ცოცხი და წყალი აფაქებს სიზიბილესა“ (ინ.); „ღმერთი ინშალაჲ გააფაქებს მავასა ამ დუნიდამა“ (იმ.).

აფერი-ი არაფერი. „მას აფერი ვყურება“ (ჰ.); „მე აფერი აღარ ვამახარუფს“ (ინ.).

აფერუმ! (სპ. aperin) ყოჩაღ! „აფერუმ, კარგა მოგიფერებია საქმე“ (ინ.); „აფერუმ, გეილი-ხანუმ, კაი ქსოვნა ქცოდნია!“ (ინ.).

აფერტდ-ა ფეხზე დადგა, აღარ მოიცადა. ჩუენაც მალე აფერტდეთ, არაბამ არ გაგვასწროსო“ (იმ.); **აფერტებულ**-ი: „თელი ღამე აფერტებული ვიყავით, არ დიგვიძინია, შუავის გუემინოდა“ (იმ.).

აფი (არ. affi) პატიება, შენდობა, „სოფელმა აფი უზამეთ, ჩავარდა ბილქერე კაცი“; „ისენი ბითოფი აფი ექანი“ (ინ.).

აფილარ არაფერი, აღარაფერი, „ისე მევღალე, რომე აფილარ მინდა“ (თ.ქ.).

აფითოლსუნ! (არ. afiyet — ჯანმრთელობა) ჯანმრთელობაში! ღმერთმა შევარგოთ! (ჭამის დროს თუ შეესწრებიან ვინმეს, ასე მიმართავენ). „აფითოლსუნ, დედამთილ ვყურებევარ, ჭამაში შეგესტარ!“ (ინ.).

აფრაი არაფრად. „ცარიელი ლაპარაკი აფრად აღარ გამუადგება“ (ინ.).

ათუთუნდება-ა ამოძრავდება, გამოცოცხლდება, გამოიღვიძებს (ბევრი ერთად). „მატლებივით აფუთუნდებიან ბაღები, იმ-

დენი ყავს, რომე მართუე!“ (ინ.); „გაზაფხულზე სკები აფუთუნდება“ (მეზ.); „ჯინჭკვი ბუდესავით აფუთუნდება ყასაბა დილიდან“ (ინ.).

აფუტებს-ს აბოლებს, აკვამლებს. „აფუტებს და არი ზიგარას, ჰემ რაფერ ახველებს“ (იმ.).

აფუჩფუჩდება-ა ჩუმაღ ალაპარაკდება. „მაამთილი რომე სახლში შამუა, მენგე აფუჩფუჩდება“ (ინ.).

აფცქვენს-ს ბრწყინავს. „შუშასავით აფცქვენს აქავრობა“ (ინ.).

აქ აქვს (ამ ზმნის მოცემულ ფორმას პირის ნიშნად „ს“ ფუძისეულ „ვ“ ბგერასთან ერთად ცოცხალ მეტყველებაში თითქმის ყოველთვის მოკვეცილი აქვს). „თენჯერას ისეგაე ქუეშედან გახრეტილი აქ, წყალი ნუეთავს“ (თ.ქ.). „იმას სოფლი ბოლოს დიეი არსა აქ“ (თ.ქ.).

აქარეზებს (kar — საჩუქარი, შემოსავალი, სარგებელი) მალავს, დაუზოგავად ხარჯავს. „ყუელამფერ თუალ და ხელ შუა აქარეზებს, რამეს არ გამოგჩინეს“ (ინ.).

აქვერი-ი აქაური. „აქვერი ქალები ზაღიან მოსაქმე არიან, თა-ბარი მათ ზრუქში გეიან“ (იმ.).

აქეთური-იქითური ესაც, ისაც; რაღაც-რაღაცა. „ბარსახან ილაპარაკეს აქეთური-იქითური“ (ბახ.).

აქორდიონ-ი (akardeon) აკარდეონი. „აქორდიონზე უკრავს ალაათიხი ალთუნელი (დარბაზიძე) მანატიდამ (იმ.).

აქში (აქ+ში) ამაში, აქ. „აქში ჩაყარე სიმინდი, ხაროში“ (თ.ქ.); „აქში ჩავანყე თიბილი პურები“ (ინ.).

ალა-ბატონ-ი ქმრის ძმის — მამლის მიმართ გამოსაყენებელი მიმართვის ფორმა, პატივისცემის, მორიდების გამოსახატავად. „მამლსა ალა-ბატონს ვუძახით“ (ბ. ფ.).

აღართ-ი (agarti) რძის პროდუქტი. „აღართი არი ნანუელი: ღალი, ფშინილი, წოვაი, ჩლეჩილი, დო, ზე, გადაშუშვილი ყველი“ (იმ.); „აღართი და უხდური აფნია“ (იმ.); „აღართი გააკეთავს კარგსა“ (ბ.); „აღართი ბევრი გუაქვა“ (ბ.).

ალაჯინეფ-ს აჯაერებს, ეხუმრება, ეთამაშება. „მოშახო კაცი იყო და ალაჯინებდა ამამას“ (ინ.); „ვალაჯინეფთ ერთმანებსა ყასტენ“ (სტ.).

ალბაშა ლობიო ლობიოს ჯიში, იზრდება ჩეულებრივზე მეტად. გად. მნ. ძალიან მაღალი ადამიანი. „ალბაშა ლობიამ დევიავა თლათ ბოსტანი“ (მ.); „ერთი ალბაშია კაცია მარტივი, სხუა რა არი?“, „ი ლარჭი რა გაზდილა ალბაშა ლობიასვენ?!“ (იმ.).

ალდი (არ. ahilhadli) ფიცი, ქორწინების რეგისტრაცია, აღთქმა, პირობის დადება, მოვალეობის დაკისრება. „ქორწილის ღამეს აღდ იქმენ“ (იმ.). შდრ. ნ. მარი (იმერხ.).

ალვი (აღვი) სანამლავი, ნალველი, „აღვივით წარე წამალი მომიტანეს და მეჩაინება სმა“ (თ. ქ.).

ალზიბოში-ი (აღზიბოჲ—ი. aǰzıbbagız — პირი. 2. bıǰ — ცარიელი, ღია, მოშვებელი) პირობა, ყბვდი. „ალზიბოში ინსანი საქულველია, ენაზე ააფერი დაადგება“ (თ. ქ.).

ალზინი-ი (აღზი) პირი, ყელი. „ცხენსა ალზინი ატიყებია და აღარ ძოვს“ (თ. ქ.).

აღირი-ი (აღირ) 1. მძიმე, ნელი; 2. ძვირფასი, ფასეული; 3. ჭკვიანი, აუჩქარებელი. „ქალი აღირინა იყო“ (ინ.); „იმფერი აღირი ლაპარიკი იცის კიდო?“ (სტ.).

აყარილებ-ს (karik — თხრილი, კვალი) კვლებს აკეთებს, მიწის ნაკვეთს კვლებად ჰყოფს. „არსა დავაყარილე და ჩილეგები ჩაერეგ“ (ბახ.).

აყაფანეფ-ს (kapali — ჩაკეტილი, დახურული) ხურავს, კეტავს, გამორთავს. „ამ თედფსა რითვინ არ ვაყაფანეფ, არ ვიცი“ (ინ.); „დავაყაფანეფ ფენჯერე, სიცივე შამოდის“ (ინ.).

აყეფდა შენუხდა, განვალდა, გამწარდა. „სახლები რომე დეგვენუა, აყეფდით იმ ნელნად სხუის ეზო-კარში“ (თ.ქ.).

აყეფებულ-ი შენუხებული, განვალებული. „წინწინ აყეფებული ვიყავით ყანიეფში“ (ხ. ფ.).

აყვერება ბალახეულის, ბოსტნეულის

აბებრება, ათესლება, სათესლე ღეროს ამოღება. „წინაი დათესილი მაიდანოზი აყუერდა“ (ინ.).

აყირო კვახი (გოგრა). „ბორჩხელებმა აყირო“ იტყვიან, იმერხეველებმა — მოშოშდი“ (ბ.).

აყიროს შორეა გოგრის კერძი. „აყიროს შორეა კოთდება ძითა, ზამთარში ძალიან ვჭამთ იმასა“ (მ.).

აყიყ-ი (არ. akik) გიშერი. „აყიყოს ღილები ქონდა ყიაში შებმული“ (ინ.).

აყრებ-ი (არ. akrcp) მორიელი. „იმ ყორეში აყრები ძრებიან“ (იმ.).

აშალი (aşağı) დაბალი, ქვედა, ქვევით. „მაგათი აშალი ყათი ყოფილა, ასანსორი არ უნდარან“ (სტ.).

აშახვეფ-ს (şaka — ხუმრობა, სიცივლე) ახუმრებს. „ყუელამფერ აშახვეფს, ძალიან არ იდერდოსო“ (თ. ქ.).

აშიქარე (aşikar) დაუფარავად, აშუკარად, სათლად. „აშიქარე თუა ყუელამფერი, რაცხა უნდოდა ქი“ (იმ.).

აშილი (aşık) — აშული, შეყვარებული ადამიანი) ხალხური მთქმელი, სახალხო მომღერალი, ჟონგლიორი. „სოფლევში დევდოდენ და ამლერებდენ აშილები საზზე“ (იმ.).

აშლამა (aşlama) ნამყენი მარწყვის ჯიში. „აშლამა მარწყვი გამოვდა შარშან“ (ინ.); „აშლამა მარწყვი კარგ ფარას იყება“ (ბახ.).

აშუება ხელებში ართმევს, ხელიდან აცლის, ახტება. „დუნის უდღუნახავი გეგონება, ისე აშუება ხელეფში ჩოქოლათას“ (ინ.).

აშურა (არ. aşere — ათი) სარიტუალო კერძი. ისლამის მიხედვით, ნოე წინასწარმეტყველის ხმელეთზე გამოსვლის მეთუ დღეს, როცა საქმელი გამოელიათ, სხვადასხვა შალიერი არსების მიერ მოპოვებული მარცვლეულის თესლების, ხმელი ხილის გამოყენებით მოამზადეს კერძი და ყველა დააპურეს. კერძს ეწოდა აშურა (არ. aşere — ათი). „აშურას გავაკეთათ, შიგან ჩაყვრით ფუნდუქ, ფისთიქ, ინჯირ, ლუხუდ, პური კაკალ, გუზუმ, ლობიას,

სიმინდ, შექერ, ბაპარ..." (ბ.); „ამურის გაკეთება ძუელმა ნენიებმა ძალიან იცოდენ, ძეს დაასხემდენ, ძიან აკეთებდენ" (სტ.); „ამურა ბადრამის ფარძიო, იტყვიან" (ინ.).

აჩმა (а́чма) ფენოვანი ხაჭაპური. „აჩმა აქვც ვაკეთავთ ხამურიდან" (მ.).

აჩელხილი-ი შემჭიდროებული, ერთმანეთის მიჯრით მყოფი. „აჩელხილი აქ ყუელამფერი იმ პანია ოდამი" (ინ.). იხ. საბა (ჩელხი).

აჩონვებ-ს მოჭერილ რაიმეს მოუმუშავებს, თავისუფლად დაყენებს. „არტახები მუღრონჩე ცოტა, ბაღ აკვანში მუჭირა ისეგავ" (ინ.); „თვითან ღარჭი აჩონვევს, აჩონვევს არტახებსა და ეიშლის ხელებ" (იმ.).

აჩული-იჩაიკ (а́чүл и́чәк) ღია, თავმოხილი. „ავაზანში საქონლის სასმელი თერფი აჩულია" (იმ.); „ჩუენი ქალები ყავალი ვიყავით, იმერხველი ქალები აჩული იყუნ" (ინ.); „აჩი მუზეში ვიყავით თიფლი-ში" (ინ.); „აჩული ჩაი მიყურას" (ინ.).

კორკუმალა|კორკიმელ-ი ხის სახლის მთავარი საყრდენი. ბალავარის ჩაყრის (საძირკვლის ჩაყრის) შემდეგ მუხის მსხვილი ძელების გამოყენებით სახლის ოთხივე მხარეს შენდება საყრდენები. ამას კორკუმელა, კორკიმელი ეწოდება. მასზე გაიდება სახლის საყრდენი მსხვილი ბოძები (მუხისა ან ნაბტლი), რაზედაც დაშენდება სახლი. „კორკუმალაებზე შემდგარი სახლი იქიდან, მემლევეთიდან, გამულტანიან ჩუენ ძუელე-ბსა, იქავრი ადეთით გუუეტებთან აქაც“ (ბახ.); ამათა კორკიმელი ქვია, სახლი ამაზე დგას. ამ სახლსა რვა კორკიმელი იკავეფს“ (იმ.).

კოროპინ-ი შუბლი. „პამან უსროლია კოროპინზე ზედამ“ (იმ.).

კოროპინა-ი წინწამონეულ შუბლიანი ადამიანი, დიდშუბლიანი. „კოროპინაი ქალი მუუყუანია ერთი, ცხენი ყბა“ (ინ.).

კორნიალობ-ს საქანელი კაბაობს; ქანაობს. „ხიდირილეზის ბადრამზე ქალები სალინჯალ ჩამუბამთ და ვკორნიალობთ“ (პ.). კორნიალი: „ბალვობაში მიყუარდა თოკით კორნიალი“ (თ. ქ.).

კოსოლა-ი 1. გრძელპირა, მოგრძო თავის მქონე ადამიანის მეტსახელი; 2. მთის წვერი. „გამოვდა ერთი კოსოლაი ბალვი“ (სტ.); „იმ კოსოლა სერზე ერთი ყალე დგას“ (იმ.).

კოს ფაჭა მუხის სოკო. მას იყენებენ ეგზემის სამკურნალოდ. „მეიტანდენ მუხის ფაჭას, დაასხედენ დღვარე წყალს და ნუუსუემდენ ფაჭასა ტკივან ალიგზე, ჰემაც ულოცვედენ“ (სტ.). შდრ. საბა (კოს ფაჭა — ხის (მუხის) სოკო).

კოს ფოთელი მუხის ფოთოლი. „კოს ფოთელი მუუჭამია მატლსა“ (იმ.).

კოტა 1. უღლის შუა ნაწილში ჩასმული ხის რიკი; 2. კედელში ჩასმული ხის რიკი რაიმეს ჩამოსაკიდებლად; 3. თოფის საკეტი; 4. ცელის ტარის სახელური. „უღელსა შუაში კოტა აქ გაკეთებური“ (იმ.); „კოტაზე მოდვა ცალი ხელი, მიერეც — თირფნის ტარზე დეინყო თიბვა“ (ბახ.). შდრ. საბა (კოტა — უღლის რიკი, გინა კრმლის ხეტარი).

კოტია|კოტი-ი ზაქი. „ესა ჩუენი მარა-

ლას კოტიაი ყოფილა“ (გულ.).

კოტორ-ი ტარო. „ყანაში ქი მოტეხ კოტორ, ზარით მეიტან“ (იმ.); „კოტორსა აქ კოკოტი, იმა და დავენუავთ, დადა საქონელ შევაჭმევთ“ (იმ.). შდრ. საბა (კოტორი — პურის მონატეხი).

კოტომ-ი ტარო. „კოტომი გალ გააკეთათ“ (ბ.); „გეიკეთავს სიმინდი კოტომსა“ (მ.).

კოტრობა სიმინდის შემოსვლის დრო. „კოტრობა მეგიყუანიან თქუნესა?“ (იმ.).

კოფე იხ. კოპე. „კოფე წყლის ამოსაღებელსა ქვია“ (ინ.).

კოფო ურმის ნაწილი. „ქარის არაბას აქ კოფო“ (იმ.).

კოფრათივი-ი (kooperalif) კოოპერატივი, ამხანაგობა, გაერთიანება. „კოფრათივიში დევნერეთო, თქუეს“ (ინ.).

კოლა (kovan) სკა. „ცაცხვის ქუთული-დამ კოვა გავაკეთ“ (მაჭ.).

კოლან-ი მწერი, კოლო, მუმლი. „კოლანი იმერხეულებში მუმლია“ (მ.).

კოში-ი სკელქერქიანი მკვახის თასი. „ნენეი კომ მუაბემდა ავატყოფებსა“ (თ.ქ.); „ამოძრებოდენ ნურბლები კოშიდან“ (ინ.). შდრ. საბა (კოში — ხისა და გოგრის თასი).

კონიკა-ი მოხალული მკვახის თესლი.

„კონიკაი ეველ ჩარში“ (ინ.).

კონინა-ი ყივიანა ხველა. „ამ სოფელში კონინაი იარება, ბალვები იხდიან“ (პილ.).

კოჭიბლა-ი თამაშობა (აჭ. კოჭიბილი). „კოჭიბლაი კაი სათამაშოა, ექცევიან იმასა ბალვები“ (ინ.).

კოჭიგორვალა-ი შავი წინაქის თესლი. „კოჭიგორვალაი პანათ ყაპვემიცნა გუურით, ზოვლი მუა იმფო“ (ინ.). შდრ. საბა (კოჭისანეულებელი, გორვალა პილპილი).

კოჭივარა-ი თამაშის სახე. „კოჭივარას ვითამაშებდით ბალვობაში“ (ინ.).

კოჭობა-ი ხის პატარა ჭურჭელი. „კოჭობაში ქონდა შენახული ზაფი“ (იმ.). შდრ. საბა (კოჭობი — მცირე ქოთანის).

კრავათი-ი (kravat) შალსტუხი, ყელსახვევი. „კრავათი მუუბამს და მისი თავი კაცი გონია“ (ინ.); „კრავათი დაბმით კაცი ხომე არ გახდები?“ (სტ.).

კრეფელი-ი მათხოვარი. „გუშინ ერთი კრეფელი იარებოდა“ (ინ.). შდრ. საბა (მკრეფელი — კრეფის მოქმედი).

კროჭი-ი ხის ჭურჭელი, განკუთვნილი რძის პროდუქტის შესანახად. „ქოქლიეთ კასრი არ იციან, კროჭ იტყვიან“ (იმ.); „ცარიელი კროჭი ნოულია და გოუელია — ნასული“ (იმ.); „მე ეს კროჭი ნიმილე ბარში“ (იმ.); „შიგან აწყვიტა კროჭები“ (იმ.). შდრ. საბა (კროჭი — სომხურია, კოლოფს ქვიან).

კროხ-ი კრუხი. „კროხი დუჟდუმლე-ბიან გოგვებსა“ (თ.ქ.).

კუდაი ლობიო ლობიოს ჯიში. „კუდაი ლობიო ყვითელი რენგისა არი“ (იმ.).

კუდვენ კიდევ. „კუდვენ პეჩიანა ვოქუა“ (ედ.).

კუდი გამეიკოჭ-ა ფიგ. გამ. 1. სამგზავროდ გაემზადა; 2. ენერგია მოიკრიბა, გამოოცხლდა. „გაზაფხულზე დედაბერმა კუდი გამეიკოჭა და თაზე მემთევრათ ნედა“ (თ.ქ.).

კუდშელა-ი კუდთეთრა (კუდის ნეგრზე თეთრი ბალანის მქონე) ძროხის სახელი. „კუდშელი ზოვლი ინთლება“ (მ.).

კუდი უნივი-ს ვულგ. (ფიგ. გამ.) რალაცას წინანსარ გრძნობს, რალაცას ელოდება. „ამ ქალსა რაცხა კუდი უნივის, ბახლომ რაზე გავა საქმე“ (სტ.).

კუკუ გუგულის ძახილი. „კუკუ! კუკუ! დილამოღმა მიძახის, რას მებნევა, არ ვიცი“ (იმ.). შდრ. საბა (კუკუ — გუგულის კიანობა).

კუკული-ი 1. გუგული; 2. წინვოვანთა გირჩა; მუხის, ნიფლის ნაყოფი (მუხის კუკული, ნიფლის კუკული...); კვირტი. „კუკულიც ყვირის?“ (იმ.); „კატრის კუკული მოქონდა“ (ინ.); „ხეს კუკული გამუელია“ (თ.ქ.).

კუკუშევა მუაუნა. „კუკუშევაი ბევრია იმ ფერდზე“ (იმ.). შდრ. საბა (კოკოშევა).

კუკუნეთ-ი 1. შავი, უმთავრო ღამე; 2. გად. მწ. მოშავო ფერის ადამიანი. „ბნელა, კუკუნეთია, გარეთ არ გეისლება“ (იმ.); „სიძეი ყავს ერთი კუკუნეთი, ზენჯი“ (ინ.).

კუკუხო მსხვილფეხა პირუტყვის თემოს

ძვალი. „კუკუხეები ჩუყურია ძროხასა, კობოს ამელამ იმოვს ესა“ (იმ.). შდრ. საბა (კუკუხო — თემოს ძვალი).

კულა ადრე, წინათ. „კულა მარიობა ზალიან უყუარდენ“ (ინ.).

კულანდელი — ადრინდელი, წინანდელი. „კულანდელი გურჯიჯა აირი იქნებოდა“ (იმ.); „კულანდელი სიმღერები დაგეინყდა, ახარ მახოვან“ (იმ.).

კულულა მატყლის ფთილა. „მატყლის კულულას დავართავთ კელტარზე“ (იმ.); „მატყლ გაჩევენ, გააკეთებენ კულულებ“ (იმ.).

კუმარტაი ფეხის თითების კანის და ავადება. „კუმარტაი გამომიედა ამ თითში, ტყავი გასკდება, ნყალი გამოდინდება“ (ინ.).

კუმატაი კარტოფილი. „ჩუნენა კუმატაიცი ვიცით, სხუაგან ყართოფ ეტყვიან“ (იმ.); „კუმატას ეტყვიან ყართოფსა ივეთლები“ (იმ.).

კუნაპენ-ი ძალიან ძუნნი. „კუნაპენი ქალია, ხელ არ გიგინყობს“ (ინ.).

კუნწი ჯირკი. „ტყე გოუჩეხიან, კუნწები დოუტევიან მარტივი“ (იმ.). შდრ. საბა (კუნწი — ძელთ მონაკვეთი).

კუნცხულა მოჭრილი სიმინდის (მცენარის) კონების გროვას ვერტიკალურად აყენებენ, კონებს თავს მოუკრავენ. თითოეულ ამ კონების გროვას კუნცხულას უწოდებენ. „კუნცხულები დავდგით ყანაში“ (გულ.).

კუნძ-ი ჯირკი, მსხვილი ხის გადანაჭერი. „ტყე გუურეხიან, კუნძები ამუყურიან, მინა გუულიან და ყანები ისე დუუკეთებიან“ (ბახ.). შდრ. საბა (კუნძი — ძელთ მონაკვეთი).

კუნწული-ი ხის წვერი (მწვერვალი). „ეს ბადვი ასულა სხლის კუნწულში, არ გადმუარდეს, გო!“ (გულ.). შდრ. საბა (კუნწული — ხის ზედა წვერი).

კუნწული-ი კიდე, ნაპირი. „დედაბერ უთქვამს, ვიარე, ვიარე და სამძეროს კუნწულში გეველო“ (ინ.). შდრ. საბა (კუნწული — ბადეთ კუთხე, გინა ნაქსოვა).

კუპენ-ი (რუს. კუპეც — ვაჭარი,

სოვდაგარი) ძუნნი, ხელმოჭმირნე. „ის თახუმი კუპენი არ არიან“ (ინ.).

კურატანი- შავი, ბნელი. „პირზე ბოიას ნასმამ რანა უშველოს, შავია, კურატანი“ (ინ.).

კურკუტი წყალში გაუხსნელი ფევილის გუნდა (ფელამუშში, ფაფამი...). „კურკუტები დარჩენილა ფაფამი, კარქა არ გამოგირეგია კოვზი“ (თ.ქ.).

კურნაზი (თ. kurnaz) ბოროტი, ჯადოქარი, ეშმაკი. „კურნაზი ისა! რას არ მიიტყვილევს ნეტიანი?“ (მეზ.).

კურომოზვერი- 1. ბუღა; 2. ამორალური ქცევის მამაკაცი. „კურომოზვერი ისა, ილლა ვინცხას ქალ უციციქინოსნა“ (ინ.). შდრ. საბა (კურო — კარი გამოუყვერავი).

კურცხალ-ი ცრემლი (ცხარე ცრემლი). „გამოყარა ცხელ-ცხელი კურცხლები“ (ინ.). შდრ. საბა (კურცხლი — მწარე ცრემლი).

კურნი- ყუნნი. „ბიბერ ამუაზრე კურნი, ტარი. გამოყყარე თესლები და შიან ჩავდე ყიიმა და ფირინჯი შეკაზმული“ (იმ.); კურნიანი: „დაპთესვენ კურნიანი ძირი“ (ტ.).

კუს ავატყოფობა, კუს ქარი დაავადება (უმთავრესად ქალებს უჩნდებათ. ესაა: ძვლების ტკივილი, მელოგინე ქალთა ძუძუს ტკივილი, საკვერცხეების ტკივილი). „ზავალი ქალი, კუ მუუდა თუძევიში და გუუსივდა, ბაღე ველარ ანვეფს თუძუს“ (ინ.).

კუს ლეცვა კუს ქარების (დაავადების) შელოცვა: „კუ, კუ, კურკუმალე, პირალმართო, პირჩალმართო... ჩაგაგადფე პირანში, გადუღე და გაქაფქაფებ, მიქცემ წყალსა, გაგაქროლავ ქარსავით. უკითხონა ასე, გაათბონა ფახირის ტაფის ძირი, მუუსვანა ტკივანა თუძუზე, ჰემნა უკითხო, ჰემნა შუებუბერო, ჰემ ამ ტაფის ძირინა უსვა ზედან“ (თ. ქ.); „კუ, კუ, კურკუმეტო, პირალმართო, პირჩალმართო, ჰადაცი ხარ, შავი ბაზარი გასხენ. კუ, კუ, მოგახსენეფ, თითა, მამითა, ძითა, შიგილოცავ, კუისაც, ქარისაც, ქარდებოსაც“. ასენა უკითხო და ბოლოში თქვა: — ღმერთია შენი მშვე-

ლელი, ღმერთია შენი მშველელი, ღმერთია შენი მშველელი. შუიდეჯელნა თქუა და შუიდეჯელნა გუდუბებრო“ (სტ.).

კუსკუსი-ი (kuskus) ვერმიშელი, ატრია. „კუსკუსი, შეპერიე, პურიდან კეთდება“ (ინ.).

კუტი- დავრდომილი, სამყარი. „ჩემ ძმას კუტი ქალი ყავდა, წელში მოკაკული“ (სტ.). შდრ. საბა (კუტი — თათართა ენაა, ჟამთა ვითარებით შემოუღიათ, ქართულად სამყარია).

კუტი ლამბა-ი ჭრაქის ლამბა. „ბუხარში შევდგემდიო კუტი ლამბას და იქიდამ გვინათებდა“ (ად.).

კუტი ლობია-ი ლობიოს ჯიში. „კუტი ლობიაი მაქ დარგული, ხაშარი არ უნდა“ (თ. ქ.).

კუტუტა-ი მარცვალგაცილი ტარი. „დენი გაცვინდება, კუტუტაი დარჩება“ (იმ.).

კუარი- კვარი. „კუარი არი ჩუენსა“ (იმ.).

კუერი-ი კვერი. „კუერები გამუაფხო სობაში“ (იმ.). შდრ. საბა (კუერი — პური მრგვალი).

კუირიშთავა-ი მსხლის ჯიში. „კუირიშთავაი სხალის შიგანაი გული კუირიშთავსა გავს“ (იმ.).

კუშტული ნისქვილის ნაწილი. „ღურნეს ქუეშედამ გახრეტილი აქ. წყალი სერთაი, ზარფაი რომნა მიცეს, იმას ქვია კუშტული, დაბმულია ღურნეზე“ (მაჭ.).

კუჩხე კუთხე, მხარე, სახლ-კარი. „ზიბილები არ მიაგავო კუჩხეში!“ (თ.ქ.); „ყუელას მისი კუჩხე უნდა“ (ინ.); „ღმერთმა ყუელას მისი კუჩხე არ მუშალოს“ (თ.ქ.).

კუნუნო ლობიოს ჩენწო. „ლობას რომე მოვნაყავთ, კუნუნო დარჩება“ (მეზ.). შდრ. საბა (კუნუნო — ოდომის ნატუსის ღერი).

კუნუნობ-ი მენჯის თავი, წელი. „ვაიმე, კუნუნობი მამტხა ამ ლორი გაგდებულმა, ვაიმე!“ (იმ.). შდრ. საბა (კუნუნობი — მუდახილად მოხრილი).

კუჭკუჭა-ი ხუჭუჭთმიანი. „ღამაზი კუჭკუჭაი ციციი ყავს“ (ინ.).

კუჭკუჭა-ი ხუჭუჭი (თმა, ბალანი, მატ-

ყლი). „კრავსა კუჭკუჭი, ბილი მატყლი ეზღება“ (თ. ქ.).

კუჭი ბრაზი, წყრომა. „კუჭი პერსსა ქვია, მურლულში — ყიყვი“ (ტ.).

კუჭის გამოსვლა გაბრაზება, განყრომა. „კუჭი გამუჟდა, გაკუჭდა ერთ დედე-კაცმარ“ (ტ.).

კუჭკუჭი მეყაითი, გულისხმიერი, გულმოდგინე, მეცადინე, საქმის მოყვარული. „საქმის კუჭკუჭი ბაღვები ყავს“ (თ.ქ.);

„ხისმოობის კუჭკუჭი, გულმოყუასი არიან ძალიან“ (ინ.). შდრ. საბა (კუჭკუჭი — ძვირის სენების შესაკრებელი).

კუხე I. მკეახე, უმნიშვარი ხეხილი. გად. მწ. არასასიამოვნო, გულისმომკვლელი. „წიფეს ესროდენ, კუხე ცვინდებოდა“ (ინ.). „შენმა კუხე-კუხე სიტყუებმა ზათი გამამზო, გიმინხიტა გულის კაკალი“ (თ. ქ.).

პ

ლაბადაი ვაშლი ვაშლის ჯიში. „ლაბადაი ვაშლი ქუემეთ ქონდენ“ (იმ.). „ლაბადაი ვაშლი ჩუენსა არი“ (მ.).

ლავაში I. ლავაში პური; 2. სილა. 3. ლავაში ყველი. „ლავაში პურიც ვიცით“ (იმ.); „გუარდაში ყველის ლავაშები აწყვია“ (თ.ქ.); „გაანთო ყურიძირში ლავაში, ნააქცია კაცი“ (პ.). შდრ. საბა (ლავაში — ბრტყელი და გრძელი პური).

ლაზარიაი ლაზარობა (რიტუალური თამაში). ლაზარობა დაკავშირებულია ამინდთან. დიდი გვაღვების, ან ხანგრძლივი წვიმების დროს აწყობენ ლაზარობას. თავს მოიყრიან სოფლის ბავშვები. ჯერის მსგავსად შეკრავენ ჯოხებს. ზედ ჩამოაცმევენ ქალის ტანსაცმელს. ბამბით გაუკეთებენ თავს, პირისახეს. მოზრდილი ბავშვი ხელში დაიჭერს ამ დედოფალას და წინ ნაუძღვება ლაზარობის მონაწილეებს. დანარჩენები აიღებენ ჭურჭელს და დაინყებენ კარდაკარ სიარულს. მიადგებიან თუ არა მოსახლის ქმშარს, ერთი, ვისაც ლაზარია უჭირავს, დაიძახებს:

„ — ლაზარიაი მუადგა კარსა, აღარღალებს თავსა...
— ეხუეწება ღმერთსა,
— ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი,
— შიგვიანხე ზე და თუარე“ (თუ გვაღვა)...
— ღმერთო, მოგვე ზე და თუარე,
— შიგვიანხე წვიმა-წყალი“ (თუ წვიმიანია).“

დანარჩენები დაიძახებენ: — აამინ! ასე

გაიმეორებენ სამჯერ. ამასობაში გამოდის სახლის პატრონი, ბავშვებს ჭურჭლებში ჩაულაგებს კარაქს, კვერცხს, ფქვილს, ყველს, ტყბილულს, ყველაფერს, რის ჭურჭელიც აქვთ ხელთ. შემდეგ ბავშვებს მისახამს წყალს (თუ წვიმა სურთ), ან მიაყრის ნაკვერცხლებს (თუ მზე სურთ). ბავშვები იმ მოსახლეს, რომელიც სიძუნწეს გამოიჩინეს და ცოტა პროდუქტს გაიმეტებს ბავშვებისათვის, პპარავენ ცოცხს. ლაზარობის შემდეგ ამ ცოცხს ჩაჰკიდებენ მდინარეში და მანამდე არ ამოიღებენ, სანამ ამინდი არ შეიცვლება. შემდეგ კი ცოცხს ჩუმად მიუგდებენ პატრონს. „ლაზარიაი გურჯებმა ვიცით“ (ინ.). „ლაზარიას ახლაც გურჯევი გენჯევი, ერთ სახლში მეიყრებიან, იქ გააკეთებენ საქმელებსა და იჯუშბუშუებენ, ისამებენ, იღმერებენ“ (იმ.).

ლათინჯი (latince) ლათინური ენა. „იმისი დედეი მულღიმი ყოფილა და ლათინჯა უწავლებია“ (მაჭ.).

ლა ილაჰე ილღელაჰ (არ. la ilahe illallah) არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა. (ყოველი ჭეშმარიტი მუსლიმანი ამ სიტყვებს დღეში მრავალჯერ ნარმოთქვამს) „ლა ილაჰე ილღელაჰ, რამ მოგაგონა ახლა ეს საქმე?“ (ინ.).

ლაფლონი (naylor) ნაილონი. „ლაფლონი წინდას ჩაგაცუამ“ (იმ.).

ლიანი ბამბის უბრალო ქსოვილი.

შდრ. საბა (ლაინი — ნარმა შეღებილი). „ლაინის ბულუზაი ეცუა ყუელა დღეს“ (ინ.).

ლალ-ი (სპ. *lal*) მუნჯი, წყნარი, ჩუმი. „ლალი ხომ არ ხარ, ამეილე ხმა“ (მ.).

ლამ-ი ტალახი. „გავხდით ამ უვავეში თლათ ლამი“ (ინ.). შდრ. საბა (ლამი — შავი ლია, საფლობი ტალახი).

ლამზ-ი მსხვილად შეგრებული ბანარი, მსხვილი ძაფი. „ჭახრაკ აქ ლამზი, ის ამბრუნფეს“ (იმ.); „მინდარზე ლამზი გავაბი“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ლამზი — სეფქისა და ჩოგნის თასმა).

ლამაზლული (*namazlik*) სალოცავი ფარდაგი, ნოხი. „ლამაზი ლამაზლულები ჩამეიტანა არაბიედამ, ზედამ ქაბება დახატული“ (თ. ქ.).

ლანდ-ი აბრეშუმის ძაფი, აბრეშუმის ძაფის ხვეული, შლო. „აბრეშუმის ლანდებიო, რა ლამაზი ბძანდებიო“ (პ.).

ლანქერი-ი თოვლის ნარჩენი. „თეებზე ლანქერები კიდევ ჩანს“ (იმ.). შდრ. საბა (ლანქერი — თოვლის ღვარი).

ლაპა (*lapa*-ქაში) ფაფა. „იდულოს უნდა კარქა, ლაპანა გახდეს ძე და აყირო“ (მ.). შდრ. საბა (ლაპა — ბრინჯის ხარშო).

ლაპარიკებელი-ი მოლაპარაკე, მოსულბრე. „ამ ბანდში ლაპარიკებელი, აგერ ამ ჯემალეთზე ვაიზი მქნელი ვინ არი?“ (ინ.).

ლაროხ-ი სველი. „გავხადე კაბა ლაროხი, გასანურველი“ (ინ.).

ლარტყა თხელი ფიცარი, სახურავის ქვეშ დასაფენი. „ლარტყაით გადაეჭედე სახურავი, მემრე ქერამით, ეადა ჯემტ დავაგებ“ (ინ.). იხ. საბა (ლარტყა — ბრტყელი ლატანი).

ლარუნუკა-ი წვრილი, სუსტი ტანის ქალი. ვულგ. შეუხედავი, უშნო. „მუყყყანია ერთი ლარუნუკა ქალი და დუგუნი ქენითო, ამბობს“ (ინ.).

ლარჯივეთ-ი (სპ. *larcivet*) ღია ლურჯი. „ლარჯივეთი საკაბე იყო“ (ხ.ფ.).

ლასტი-ი თხელი წნელი, ხის ფირფიტა. „ლასტები დუღისა და გოდორ ქსოვს“ (ბახ.). შდრ. საბა (ლასტი — დანთული ილკრო, ნკებლი).

ლასტიკი (*lastik*) რეზინა. „ლასტიკების ფაფრიკა აქ მისათ“ (ინ.); „ლასტიკინა გუფუყარო ამაში“ (ინ.).

ლაფა იხ. ლაპა (თოხლო). „უმუხუხარ-შავი კუერცხი ლაფა“ (იმ.).

ლაფაზანა-ი (სპ. *lafazan*) მოლაცხე, ყბედი, ტრაბახა. „ლაფაზანაი კაცი არ მიყუარს“ (ინ.).

ლაფერი-ილაფერი-ი 1. ხის პატარა თხელი ნიჩაბი ლობიოს ამოსალესად, ღომის გასაკეთებლად საჭირო; 2. საქსოვი დაზგის ნაწილი. 3. მოუხერხებელი, უნიათო კაცის ეპითეტი. „ნენეჩემი ლაფერაით ამოლესედა ლობიოს“ (ინ.); „საფოქროს ქონდა ლაფერი“ (იმ.); „დღიღი ლაფერაი, მაგაზე მტეტი რაფერ ვერ მიეიტანა!“ (თ. ქ.) შდრ. საბა (ლაფერი — სალომე ნიჩაბი).

ლაფჯი-ი (*lafci*) მოლაცხე, ყორიკანა, „ლაფჯი კაცია ძალიან, მაგისი სიტყუა არ დეიჯერება“ (ინ.).

ლაღაბი (არ. *lağap*) მეტსახელი. „ჩუენი ლაღაბი ჩაქველოლი“ (ედ.); „ფატყუმე ბაჯიას ლაღაბია რეფრეფაი“ (ინ.).

ლაღანდარა-ი ყურადღებაგაფანტული, არაგულისხმიერი. „მაქყერი ლაღანდარაი კაცი ჩემ მტერს!“ (თ. ქ.). შდრ. საბა.

ლაღლაღ-ი ზედმეტი ლაპარაკი, ლაყბობა. „ბევერი ლაღლაღი იცის მაგან“ (ინ.). შდრ. საბა (ლაღლაღი — წყალში ქანება).

ლაღლუბა პირსაბანი, ხელსაბანი. „ლაღლუბა მაგერ არი, ტანტრაფაზე“ (იმ.).

ლაღლუმილაღმი-ი (*lağim*) ნაღმი (ფუგასი). „ლაღლუმი გავარდა და ეს კილდემ დეინგრა“ (ინ.).

ლაღლუმიჯი (*lağimci*) მენაღმე, ნაღმის მომწყობი. „ჩემი ემოი ლაღლუმიჯი იყო, გზიები გაყავდა“ (ად.).

ლაყაბუჩი-ილაყაბი-ი 1. პირში ამოსადები, აღვირი, რომელსაც უყუთებენ ხბოს, თიკანს და მისთანათა, რათა დედასთან ერთად ძოვების დროს ვერ შეძლოს ძუძუს გამოწოვა, ძუძუზე პირის მოდება. 2. დაკაბალება, დამორჩილება. „ხბოს ლაყაბუჩი მოვდე და საძუარზე ზროხასთან ერთათ გუშუმი“ (თ.ქ.); „თავრობას ინსანზე ლაყაბუჩი აქ მოდებული და მის ჭყუაზე

გვარბენიებს“ (ინ.).

ლაში-ი პირი, ბაგე. „ამის ლაშიდამ ბერ ვერ გამეიღებ, არ გეტყვის რამეს“ (მ.).

ლაშტრავეს ასველებს, ასხამს წყალს. „ლაშტრავს და არი ბალვი ეზოსა, ტლახი ააყენა“ (ინ.). შდრ. საბა (ლესტერი — სეტყვის ღვარი).

ლაჩანტრია-ი მოუხერხებელი, უგერგილო. ხელმოცარული. „ერთი ლაჩანტრიაი კაცი ყავს, ბაღების კეთების მეტი აფერი გამაუა“ (ინ.).

ლაჩაქ-ი ქალთა თავსახურავი. „თავზე გავხარს ლაჩაქი, ვაზმა, ათქი“ (პ.); „მეგ ლამაზი ლაჩაქი-მარაქი ვინ მოგიტანაო“ (მეზ.). შდრ. საბა (ლჩაქი — კუბასტი, დედათ თავსახურავი).

ლახლახ-ი ხმამალალი, მოურიდებელი ლაპარაკი. „მაგისი ლახლახი ყასაბაში ესმიან“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ლახლახი — ფრინველის ავი სვლა).

ლახანა (lahana) კომბოსტო. „ჩუნ ლახანა ვიტყვი“ (მ.); „ნენვი გააკეთებს ლახნი შორვას“ (ფათ.); „მოხარშულ ლობის ლახანას დააყრი“ (მ.).

ლაჯ-ი ბარბაყის შიგნითა მხარე. „ლაჯებში გამოყრილი აქ ბაღესა, გამომწუარიც“ (ინ.). შდრ. საბა (ლაჯი — ფერკებთ საშუალი).

ლაჰმაჯუ (არ. lahmacun) ხორცის ღვებელი. „ლაჰმაჯუ ფიდები, ზედ ხორცი, ზოლი გერმელია“ (პ.).

ლებან-ი მცენარის (ნიგოზის, თხილის, ლობიოს, მანდარინის და მისთ.) ნაყოფის ნაწილი, ნახევარი. „თხილი ორლებანიანი რომე იქნება, ერთ ლებანს ერთი შეჭამს, მიერეს — მიერე“ (ინ.). შდრ. საბა (ლებანი — ნიგოზის გულის ნახევარი).

ლებიო ლობიო. „ჩუნესა დაძთესვენ ლებიო“ (ტ.).

ლებლებ-ი (leblebi) ბარდა, ოქროცურცვა (შემწვარი). „ლებლები ქონდა და მომცა“ (ინ.); „ლებლებსა ლუხუდიც ქვია გურჯაჯა“ (თ.ქ.).

ლეგენ-ი (სპ. legem) ტაშტი. „ერთი ფახირის ლეგენი ქვეონდა, მემლექეთური,

სუბგი ქონდა ზეიდან დადგმული“ (ინ.).

ლეგენ-წყალი-ი ტაშტი და თენგიტ წყალი (სტუმარს, ოჯახის უფროსი ასაკის ქალს, კაცს პატარძალი მიუტანდა ტაშტსა და წყალს და ხელებს დააბანინებდა, ანდა აბდეს ააღებინებდა, განბანვის რიტუალს ჩაატარებინებდა. ამ ბოლო დროს ეს ადათი აღარ სრულდება. შემორჩენილია ზოგიერთ სოფელში). „ლეგენ-წყალი აღარ არი ადეთათ, ყუელია მუსლულზე ვიბანთ ხელებსა“ (ინ.).

ლეგლეგი (leylek) თეთრი ყარყატი. „ლეგლეგსა ერთი გული დუუკავია“ (სტ.).

ლევენ-ი (leveni) 1. მატროსი, მებლევური; 2. ავანტიურისტი (თავისუფალი ყოფაქცევის, თვალმომეტრი), დაუნდობელი, არასაიმედო, მატყუარა. „მერჯანაი ლევენდი კაცია, იმა პირი არ მიცე“ (ინ.).

ლეზეთი (lezzili) გემრიელი, სასიამოვნო. „ლეზეთი საჭმელები იცის ჩემ ნენემ“ (მეზ.).

ლეზვი ჩვილის დორბლი. „ბაღვი დორბლაი რომე იქნება, ვინცხაი პირველათ დეინახავს, იმან მახასითნა გაჭრას ჩამონიაპებული ლეზვი და აღარ ექნება ბაღესა ლეზვი“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ლეზვი — თხელი დორბლი).

ლეკ-ი 1. ფართოფოთლოვანი მცენარე (ხე); 2. ნეკი. „ლეკის ნეკერი ჩავდგი ერთი ზირი გაღმა ტყეში“ (იმ.); „მეზელოლზე ხელი არნა ნუთითოი; რომე ემედენი ნუთითოი, მემრე ლეკი თითოზნა იკობინო“ (თ.ქ.); „ლეკი მალალი იზდება“ (იმ.). 3. კაუჭი. „თილფანს ტარზე აქ ლეკი“ (ინ.).

ლეკა ლერნი, ყლორტი. „ჩემო გამზდელო ლობიავ, რაფრათ თამაშობ ქოთანში, ადრე ხაშური დიგისე, ლეკა მიე ზეცაში, ბოლოთ რათენ მიღალატე, ლამით გამაშპუნე კარში“ (მაჭ.).

ლეკმაკერჩხა-ი ქორაფი. „ლეკმაკერჩხაზე ყურძენი მქონდა აშეებული და ამ სიცხიბზე ხმობა დეინყო“ (თ.ქ.).

ლელეუნი-ი ლელუნი გახდა განადგურდა, გაქრა. „შევედ ჯამუში ყანაში და ლელუნი გახადა“ (თ.ქ.); „ზერზელე იქნა და ლელუნი გაუხდით“ (სტ.). იხ. შ. ნიფ. ლელუენი.

ლემს-ი ნემსი. „ცხურების ლემსია ესა“ (გულ.).

ლემსი ყურწში გააძრუმლა ფიგ. გამ. ძლიერ შეანუხა, გამოცდა მოუნყო, დასაჯა. „დედამთილმა ძალი ლემსი ყურწში გააძრუმლა“ (სტ.).

ლენგერ-ი (სპ. lenger) სპილენძის ფართე თასი. „ბიშები ლენგერით შამეიტანა“ (ინ.).

ლენდუხა-ი მოუხერხებელი, უგერგილო, ცხოვრების უცოდინარი. „ერთი ლენდუხაი ქალი ყავს, მომფერო სულ არ არი“ (ინ.).

ლენჩბერისი/ლენჩბერი (სპ. lençiberl) მინის მუშა, გლუხი. „ჩუენი ხალხი ჯაპილი, ნინდა-ქალაზნიანი, ლენჩბერი ხალხი იყო“ (სტ.); „მე ძალიან ლენჩბერი ქალი ვიყავ“ (თ. ქ.). ლენჩბერობა: „იმ წელწად კაი ლენჩბერობა ვეწინო“ (თ. ქ.).

ლენცოფა-ი სამკურნალო მცენარე. „ლენცოფაი თაზე ამუა, მისი თესლი ტვიფან კბილსა არჩენს“ (იმ.).

ლენძა-ი ღარი. ფიცარზე (მორზე) სწორი ხაზის გასაღლებად გამოსაყენებელი ბანარი, რომელსაც წარწაქში (წითელ საღებავში) დაასველებენ, სიგრიით გაჭიმვენ, ხელით მოსწვენენ, გაუშვებენ და ხაზს ავლებენ ფიცარზე. „ლენძათი ჩილფი გავაკეთე“ (ად.).

ლენძუკ-ი დედალი ძალი. გად. მნ. ცუდი, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი. „...იმფერ ქალზე ვიტყვი, ლენძუკიო“ (ინ.).

ლერნ-ი შტო, ყლორტი. „ხაპმა ლერნი წეილო ძალიან“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ლერნი — ვენახის რქა).

ლესკ-ი ლესკი. „მუელით, მეველედ ლალანიზემ ლესკი გვითხრასო“ (იმ.); „ერთსა გოგო მყუარებია, არ მულეცემიან და მერაყისკან ლესკი გამუუთუქამს“ (იმ.).

ლექე (სპ. leke) ლაქა. „ჩოხაზე ლექე გაქ, მოი, გიგისილო“ (ინ.).

ლექორია-ი ლოკოკინა. „ქიები აქ, ხარი არ არი, წერა იცის, დაზარი არ არი. ეს არი ლექორიაი“ (სტ.). „ფრანსას მეგემ ლექორიას ჭამენ“ (სტ.).

ლექსავეჯი მოლექსე, ლექსის მთქმელი. „ლექსავეჯი არიან იმის ბაღვები“ (იმ.).

ლელმა წყლიანი თოვლი. „დღეს ლელმა არი, წყალი დგას სოხახეფში“ (ინ.). შდრ. საბა (ლელმა — მზით შემბალი თოვლი).

ლევეცი-ი სანახევროდ გამომცხვარი, უმი. „ლევეცი პური მიდეს აგატკენს“ (ინ.). შდრ. საბა (ლევეცობა);

ლემ-ი (ლც) გვამი. „დათუი ლემი ჭამელია, ძორი ჭამელი“ (ბახ.).

ლემს-ი მაღალი (მუხლებამდე) ბალახი; ნაკლებადყუათიანი ბალახი. „ყანაში მაღალი გეზდება ლემსივით“ (ინ.). შდრ. საბა.

ლერ-ი სულელი, უჭკუო. „ესა ლერია, არ დაგკანჯოს, მუარიდე პირი“ (იმ.).

ლერაქ-ი იხ. ლარაქი. „ამ პანასაც ლერაქი დუუბურავს“ (ინ.).

ლერერ-ი (ლცერ) მურაბა. „ყანაოზში ლერერ ჩავასხამო“ (იმ.).

ლესტი-ი ცხედარი, გვამი. „ლესტზე მისლამდი სტავლება უნდა ინსანსა“ (ტაო.). ლევერი-ი რევოლვერი, „თვითან ლევერით ცევედა“ (ინ.).

ლიზლი-ი უსირცხვილო, უნამუსო, მურხიდებელი. „მაჭყერი ლიზლი ინსანი არც ოჯალს უყუარს და არც ღმერთსა“ (ინ.). შდრ. საბა (ლიზლი — კადნიერად ხუმრობის ურიდალი).

ლილა წერილი ქვიშა, სილა. „ყადლები მეიყუანეს და ლილაზე გაველით“ (თ. ქ.).

ლილოჭრელობა თოვლის დნობის პერიოდი, როცა თოვლი აქა-იქ მოსჩანს მინის ნაჭრები. „ლილოჭრელობა ინყება, შეითნები ადგებიან ფეზზე და მუუფთხილდი, თუალ არ ნაქქრას“ (ინ.). შდრ. საბა (ლილო — თოვლ-ჭრელი).

ლილუათ მკრთალად, ძლივსძლივობით, ლანდად. „ჩემი პანაობა ლილუათ მახსოვს“ (თ.ქ.).

ლიმან-ი (liman) საზღვაო სადგური, პორტი. „აქეთა თერეფზე წახუალ — ლიმანში გახუალ“ (ხოფ.).

ლიმონათა (limonata) ლიმონათი, ხილის წვენი. „ორი ბარდალი ლიმონათა შეესვი“ (ხოფ.).

ლინგა წერილად დაფქვეული, სუფთა ფქვილი. „ფქვილი ლინგიც იქნება და

ხოშორიც" (იმ.).

ლირა (lira) ფულის ერთეული. „ბევრ ლირას შეიგეფ“ (მაჭ.).

ლირნი-ი უსირცხვილო, მოურიდებელი, გაუგონარი. „მაქფერი ლირნი ბაღვები ღმერთმა ჩემ დუშმანსაც ააცილვოს“ (ინ.). შდრ. საბა (ლირნი — არანმინდა, ახორცი).

ლისანი (არ. nisan) აპრილი. „ლისანში დენიყოზენ ყანები მოხნას“. (ინ.).

ლისე (lisc) ლიცეუმი, საშუალო სკოლა. „ლისენა მუარჩინოს წრევალი“ (იმ.); „ლისეში ერთათ ვიკითხეთ“ (მაჭ.); „ლისეში ვასწავლი“ (ად.).

ლისთე (listc) სია, უწყისი, განაცხადი. ფურცელი. „ყარა ლისტეში არ შიგიყუანოს ღმერთმა“ (ინ.).

ლიფსიტაი თხელი, სიფრიფანა, პატარა. „ლიფსიტაი პურები მეიტანა, განშუკვილი“ (ინ.); „ბაღვები ყავს პანანუანი, ლიფსიტაი-ლიფსიტაი“ (თ. ქ.).

ლიცვი-ი გარეული კენკროვანი მცენარე, მოცვის მსგავსი. „ჩუენსა ტყეებში ლიცვიც არი“ (იმ.).

ლობიოლობიაი ლობიოს ჯიშებია: აღბაშა ლობიო, ბარბუნიაი, ბოშნაკურაი ლობიაი, დაბლაჯაი, დივანურაი ლობიაი, თეთრი ლობიო, თვარიაი, თეთრი გუალი ლობიაი, თეთრი ოთურალი, კუტი ლობიო, კუდაი ლობიო, ლივანურაი, ოთურაქ ლობიაი, პალუშა ლობიო, პტყელია ლობიო, სუფასულია ლობიაი, ფათხი ლობიო, ყიშიზი ლობიაი, ყენეზაი, შუიდეკირაი, წითელი ლობიო, ჭრელი ლობიაი, ჭერის ლობიო, ხაშრი ლობიო, ჯეპრაი ლობიო, ჯერაპი ლობიაი...

ლობიოფხალაი კერძი ლობიოთი და კომბოსტოთი მომზადებული (აჭ. ფხალობიაი). „ლობიოფხალი ჩუენსა ვიციო“ (მ.).

ლოდოსი (lodos — სამხრეთის ქარი) თბილი ამინდი ზამთარში. „ლოდოსი დენიყო, შუაევი არ ადგეს, გუეშინია“ (იმ.).

ლოლო შემოუსვლელი, უმნიშვარი კვახი (გოგრა). გად. მწ. ადამიანი (ფიზიკურად ზრდასრული, მაგრამ უძლური, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად). „ხაში ჯერ

არ მეინყვიტება, ლოლო“ (თ. ქ.); „მაგირას შეიფერეფს საქმეს, მაი ლოლო, მაგი!“ (თ. ქ.).

ლომპაპი-ი ჯადოქარი, ბოროტი სული. „იმ ლომპაპს რანა წაკვიდო, იცი?“ (ინ.).

ლონდრო ფომფლე, მოშვებული, დონდლო; მოუნესრიგებული ადამიანის მებტნახელი. „ეს ძაფი ლონდროა“ (თ. ქ.); „ნამეტარი ლონდრო ქალია, თავი ხელათ არ აქ მისობი დღეში.“ (ად.).

ლოუმანი (lojman — ბინა, საცხოვრებელი) კომუნალური ბინის მკვიდრი. „ჩუენა ლოუმანი ვართ, სამსახურიდან რომე ემექლიზე გავალთ, დაირესაც დავცლიო“ (ინ.).

ლოუმენაი ბალახი (თერმია). „ლოუმენაი ბალახი თუელზე იცის, ყანეფში მუა“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ლოპინარი — ბალახი).

ლომო წყლიანი ქერქი. „ლომო ქერქი ადვილია დეიგობის“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ლომო — ხის ქერქი წყლიანი რა შესძერეს).

ლორი (lor) ნადული, დო. „შრატადამ გამუა ლორი“ (მ.).

ლორქე ცეკვის სახე; საცეკვაო მელოდია. „ლორქე აქვერული სასამური ყაიდეა“ (თეთრ.); „ლორქეს ჩუენც ვისამებო“ (ჩიხ.).

ლორფინი-ი ხის მსხვილი მორის გადანაჭრის მოზრდილი ნახეთქები. ლორფინი ლუმელში არ მოთავსდება. მას წვრილად დააპობენ. „მაქხელა ლორფინები სობაში არ შუეა, დაანვრილენ“ (ინ.). შდრ. საბა (ლორფინი — ქვის ფიცარი).

ლოფინჯირი (lop — რბილი, მრგვალი, incir — ლეღვი) ლეღვის ჯიშში; „ამ ლეღვსა ლოფინჯირი ქვია“ (მ.).

ლოქანთა (lokantla) რესტორანი, სასადლო. „ლოქანთაში მეჭამეს და ისე გვევლო“ (ბ.).

ლოლმან პეკიმ-ი (lokman hekim) ლეგენდარული ექიმი ფარმაცევტი, ყველა დაავადების მკურნალი. „ლოლმან პეკიმ ჩუენ თებზე გუულია, დვალური ბალახი დუუსახავს და უთქუამს, რომე აქავრ ხალხსა პეკიმში, დობტორი არ ჭირია, ეს ბალახი ყულა მარაზის პეკიმიაო“ (იმ.).

ლოლნი-ს ძლიერძვივობით ცონხის. „რაპალებით ლოლნის, კიბილებიდან ზორი აქ“ (ინ.). შდრ. საბა (ლოლნა — უკბილო-საგან ცონხა).

ლოლო ზომაზე მეტად დამბალი, წყლით გაუღენთილი ყველი. „შრატ არ მუუუერტავს ეს ყველი, ლოლო გამბდარა, გუუშეია თლათ“ (სტ.).

ლოცვის ვახტი-ი (იხ. ვახტი) ლოცვის უამი, დრო. „ჩემი დედეი ლოცვის ვახტ არ გაარუნიებდა, ილლა ილოცევა“ (ინ.).

ლულ-ი ძილღვიძილი, რული. „ლული დამანვა თუალღებ“ (ინ.). შდრ. საბა (ლული — მცირე ძილი).

ლულეთ ძალიან მკრთალად, ლანდად. „გალმა სერმი საქონელ ლულეთ ვებდავ“ (იმ.).

ლულუკა-ი 1. ავაზნის ნანილი, საი-დანაც წყალი გამოდის; 2. ვინრო ტანსაცმელი, ტანზე მოჭერილი. „ამასა ლულუკაი ქეია, წყალი გამოდის აქედამა“ (იმ.); „ჩუუტუამს ლულუკაი ქოთის შალი“ (ინ.). ლურს-ი ირიბი, არასწორი. „ამასა გააკეთებთ ლურსი ფიცრით“. შდრ. საბა

(ლურსი — ფიცარი ირიბად პირნაჭრილი). ლუსკუმეტი-ი წყვდიადი, სიბნელე. „უთუარო, ლუსკუმეტი ლამეა, გარეთ არ ივლება“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ლუსკუმა — მაღალი საფლავი).

ლუტი-ი 1. უგემური საქმელი; 2. გად. მნ. არაფრის მაქნისი, მოუხერხებელი კაცი. „საქმელი ლუტი გამოსულა“ (თ.ქ.); „ძალიან ლუტი კაცია, ურგებელი, აყუდებული შეშა“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ლუტი — კაცი უსახლკარო, უქონელი).

ლუქუს-ი სანთელი. „ესაც ლუქუსია, თაფლისა, მომსაც ვეტყვით“ (იმ.).

ლუხ-ი უსუფთაო, ბინძური. „ნუ ხარ ლუხი, ბაღო!“ (იმ.).

ლუხლუხა ღია მწვანე ფერისა (ხელიკი; უმნიფარი, მკვახე ვაშლი, ყურძენი და მისთ). „ხელიკი შეძერა ქვევში, ლუხლუხაი“ (მ.); „ჯერ ჭახეა ყურძენი, ნუანა, ლუხლუხაი“ (ინ.).

ლუხუდ-ი ბარდა, ოქროცერცვა. „ჩაყრით ოფიფეში ლუხუდ და ამუა“ (ინ.).

ლუხუმი (lukum) ნამცხვარი. „ლუხუმი ქონშოც გამოცხება“ (იმ.).

მ

მაზავედ-ენ მოცივდენენ, მოვიდენენ. „მაზავედენ ხალხი არაბასა“ (იმ.).

მაამის-ი მაამისი. „მაამის ეკითხება“ (ინ.).

მაარუნი-ა მოათარა. „მაარუნიე ერთი ქამერა ამათიეფში“ (იმ.).

მააშ-ი (არ. maas) ხელფასი, თვიური გასამრჯელო. „მააშ რაზე აძლევს აბა პუქუმათი?“ (მაჭ.).

მააჭიხებ-ს მოაცხუნებს. „მასობაში ბზე მააჭიხებდა“ (იმ.).

მაგარი თვარე ეთნ. ხალხური რნმენით, თუ მთვარე დაიწყო პარასკევს, ის ჩვილ მთვარედ ითვლება მომავალ ხუთშაბათამდე. ხუთშაბათს რომ გაივლის, მთვარე ხდება მაგარი. თუ მთვარე ხუთშაბათს დადგა, ის იმთავითვე ითვლება მაგარ

მთვარედ. „მაგარ თვარეზე მოჭრიან ხესა, დეიწყებენ თესვასა, ჩაყრიან ბინის ქვევსა, ჩადებენ ფავსა. მაგარ თვარეს რომ არ მუუყურო და ჩვილ თვარეზე ჩადვა ფავე, გვიმთხლევა; ხე რომ მოჭრა, მალე დაღებება. დაცადე და მომიგონე მემლექეთში“... (ად.).

მაგერაქ მანდ, მაქეთა მხარეს. „დევეტო მაგერაქ, ჩემკენ ნუ შეიძრო“ (ინ.).

მადემ, მადემქი (არ. madem არ. სპ. mademki) იმის გამო, რადგანაც. „ეს დავლითავი მადემ შენ არ იცი, გადმოღმა იქნება ლალიბა“ (თ. ქ.); „წევდეთ დღეს, მადემქი ასე თქუა“ (იმ.); „მადემ მიხუალთ, ნაითო“ (იმ.).

მადენ-ი (არ. maden) ლითონი, მადანი. „იქა მადენის ფაფრიქა არი“ (მ.).

მადრიელ-ი მადლიერი. „შენიდან ჩუენა მადრიელი ვართ, მოხუელ, გენახე“ (თ. ქ.).

მავე (არ. mavi) ლურჯი. „მავე ხარ, რა და რა ფერი ხარ?“ (სტ.). შდრ. საბა (მავე -- სხვათა ენაა, ქართულად -- ლურჯი).

მაველა-ი მოარული, ინფექციური დაავადება. „მაველაი იარება, ყუელას დეგვემართა ჩუენ სახლში“ (ინ.).

მაზი გუთნის ნაწილი. „არუნას შიგან აქვა მაზი“ (მ.).

მაზალა (mazgal) სათოფური, ხერეული, ჭჭურუტანა. „იილიას მაზალეები ქონდა, ქარი ფშიკინება“ (თ. ქ.).

მათურებ მათსაგით, მათებურად, მათმსგავსად. „მათურებ დაეცინედიდით“ (მ.); „მათურებ ისამაეს ჯილელოს“ (მ.).

მათოთ იმ ბალახი. „იმ სერზე ბევრი მათოთი ამოვდოდა“ (იმ.).

მათობაში ერთმანეთში. „მათობაში გაანყობენ საქმეს, ჩუენ არ გაგვაგებებენ“ (ინ.).

მაიდამა-ი მაინცდამაინც, უმეტესად. „ინასა მაიდამაი არ დევედები ხელებზე“ (თ. ქ.); „ჩუენი თახულის კაცები ქალებ უენიდან მაიდამაი არ წაყუებიან“ (ინ.).

მაიმახ-ი არაპროპორციული აგებულების ადამიანი, ფეხებგამოგრეხილი. „მაიმახი ციციი ყავს ერთი, ისნა შამაფეჩვოს?“ (ინ.). შდრ. საბა (მაიმახი -- ფერკმრუდი).

მაკინა-ი მაკარონი. „თეთრი მაკინაი მომწონდა“ (ჰ.).

მაკე ორსული პირუტყვი. „ეიგერ დაბლა ვაკეა, ჩემი ძროხა მაკეა“ (ინ.). შდრ. საბა (მაკე).

მაკიდონ-ი ოხრახუში, მაკიდო. „დომათეს მოხრაკე ვალში, ხახესა და მაკიდონ დააჭრი“ (მ.); „ბოსტანში მაქეა მაკიდონი“ (მ.). შდრ. საბა (მაკიდონი -- ოხრახუში).

მაკინარ-ი ბუღების ჯგუფი, რომელიც დაპყვება დასამაკებლად გამზადებულ ფურს. „მაკინარი წამეესხრიკენ ჩუენ ძროხას“ (თ. ქ.).

მალ მალე, ადრე. „დილაი მალ ავდგები, სალამოს მალ დავწეები“ (მ.).

მალ-ი (არ. māl) ქონება, საკუთრება,

საკონელი, ნიეთი. „გაი ჩარში და დეიძახე: — რუს მალი! რუს მალი! — დეგესევიან მუშტრები“ (ინ.).

მალაქ-ი (malak) კამეჩის შვილი, კოზაკი. „ჩუენა ჯამუშის შვილსა მალაქ კეტყვით“ (ჰ.).

მალახტო ლობიოს საქმელი. „ნენეი მალახტო ლობიას აკეთავს“ (მ.).

მალმალ მალმალე, ჩქარ-ჩქარა. „დედეი ნინნინ მალმალ ნადიოდა შუქერში“ (თ. ქ.).

მალმოსული ნადრევი. „ეზოში რომე დგას, ისა მალმოსული ბალია“ (მ.).

მანა ბოძი, სარი (იხ. დირეგი). „მანა უნდა დაასო და ჭერინა დადეა“ (იმ.). შდრ. საბა (მანა -- არს პალა და მომცრო მარგილი). „მანები მეიტანა ტყიადამ“ (იმ.).

მანავ-ი მოვაჭრე, მემწვანილე. „მანავეები ყოფილან აქა იმფოსერთი“ (სტ.); „მანავეები ყოფილან ადრე ინეგოლში“ (თ. ტ.).

მანგალ-ი ნამგალი. „ესა მანგალია“ (ბ.). შდრ. საბა (მანგალი -- ყანის მოსაჭრელი).

მანდალ-ი (არ. mandal) თეთრეულის სამაგრი, სარჭი. „ენ წინ მანდალის თორბა დალახტა, მემრე შუქერა“ (ინ.).

მანდანოზ-ი (სპ. mandanoz) მაკიდო, ოხრახუში. „ლობიოს უნდა მანდანოზი“ (მ.).

მანდალინა-ი (mandalina) მანდარინი. „ჩუენსა მანდალინაი, ფორთოქალი არი“ (ფათ.).

მანზარა (არ. manzara) ხედი, პანორამა, პეიზაჟი, სურათი. „იფკრეელის მანზარა ეს არი“ (იმ.).

მანზარალი (manzaralı) ლამაზი ხედის მქონე. „ესა მანზარალი ტყე არი ჩუენი“ (იმ.).

მანთაფონი პოლანდიური ჯიშის პირუტყვი. „მანთაფონი ზროხები არიან ესენი“ (ინ.).

მანთო (manto) მანტო. „გარედან მანთოს ჩეცუვამთ სოხანში გასლიხან“ (ინ.).

მანილობა ერთობა, შრომითი საქმიანობის ერთად შესრულება, ნადი. „საქმელი მიქონდა მანილობაზე“ (სტ.); „ზაათი მანი-

დობა, ერთობა გექონდა" (ინ.).

მანტო იხ. მანთო. „მანტო შემეიკერავს“ (პ.).

მანჭყულა ხის სოკო; „მანჭყულაი ამოსულა ბლი ზორტზე“ (თ. ქ.). შდრ. საბა (მანჭყულა — სოკოა კუნძზე ბშული).

მაგხოში (mayhos) მომჟეო, არომატული, „აზრა მაგხოშია“ (იმ.); „ზამთარში იმფოსერით მაგხოშ საქმელ ვაკეთავთ“ (მ.).

მადა (maya) საფუარი, დვრიტა. „პურის მადა ილქნორას მუატანიე“ (ინ.); „პურის მადა პურის ჟეე ცოშია“ (ინ.).

მაქდანოზი-ი (სპ. maydanoz) ოხრაბუში, მაკიდო. „მაქდანოზი გადაკმა ბოსტანში ყურალიგამეეს“ (იმ.).

მაქსიერი-ი (mayasi) ბუასილი. „ძიმიობაში შექონდა მაქსიერი“ (თ. ქ.). შდრ. საბა (მაიასიერი — ბავასირი).

მარაგ-ი წვნიანი კერძის შესასქელებლად განკუთვნილი საფანელი (ფქვილი).

მარაგიანი-ი ფხალი-ი საფანელით შესქელებული კომბოსტოს კერძი. „მარაგიანი ფხალი აკეთავს ჩემი ნენეი“ (მ.).

მარაგიანი-ი ქათამი-ი საფანელით შესქელებული ქათმის კერძი. „მარაგიანი ქათამ დანაყილ კაკლასაც ურთვენ“ (ინ.).

მარაზი (maraz) ავადმყოფობა. „რაცხა მარაზი გამოჩენილა, ოროსაშებ ემართებთან მეგემ, რა ქვია, არ მომგონდა“ (ინ.).

მარალი-ი (maral) ფურ-ირემი. „ჩუენ ზროხას მარალაი ერქუა“ (იმ.).

მართვე ფუტკრის ოჯახი. „სკამ მართვე გამოქუშე“ (ბახ.); „მართვე გამოსულა სკიდან და ტყეში გაქცეულა“ (ად.). შდრ. საბა (მართვე — ზოგად ყოველთა ფრინველთა შვილთა მართვი ეწოდება).

მარიაშხელა-ი სამკურნალო მცენარე. „ამ ლელიფში იცის მარიაშხელაი“ (იმ.). მარიობა-ი აგვისტო. „მარიობაში მწიფდება ეს სხალი“ (მაჭ.); „მარიობაში მივალთ თავზე“ (იმ.).

მარიობაში წასლა მარიამობის დღესასწაულში წასლა. ეს დღესასწაული ტარდება აგვისტოს დასაწყისში და გრძელდება რამდენიმე დღეს (ადრე ათი დღე გრძელდებოდა, ბოლო დროს სამ-ოთხ დღეს

გრძელდება). „მარიობაში მივალთ თავე შუანობათ, ვისამებთ, ვიმღერებთ, ვიჯუმბუშებთ“ (იმ.).

მარიფეთ-ი (არ. marifet) ცოდნა, მოხერხებულობა, გაქნილობა, ემშაკობა, ოინი, თავზიანობა, პატივისცემა. „ამთ ბეერი მარიფეთი არ იციან“ (სტ.).

მარმუჭი-ი სამკურნალო ბალახი. „მარმუჭი თავე გავაქე და ჩაი ვიკეთე იმითა უზუნ ზამთარში“ (იმ.). შდრ. საბა (მარმიჭი).

მარობაში-ი ამასობაში, ამ დროს. „მარობაში ადგა თიარი“ (ინ.); „მარობაში მოსულან გელები“ (ინ.); „მარობაში გემეღვიძა“ (პ.).

მარული (marul) სალათი. „არსაში მარული მოიდა“ (მ.); „გუაქევან მარული“ (მ.).

მარტივი-ი მარტო, მხოლოდ, მარტოდ. „მაკი ზაკე მომიტანა მარტივი“ (იმ.); „მარტივი ვერ წევყუანდი საქონელ თავზე“ (იმ.).

მარტივი-ი ყრმა, ჩვილი ბავშვი. „მატავრო, პა მიხუალ? — მარტივილთან მივალ“ (თ. ქ.). შდრ. საბა (მარტივილი — ლათინთა ენაა, მონამესე უნოდებენ, ხოლო მესხნი ყრმასა უწოდებენ).

მარქვალა-ი სოკოს ჯიში. „ამათიფში მარქვალაი იცოდა“ (ბახ.); გად. მწ. ლოყანიოთლა, ლამაზი პირისახისა. „ლამაზი მარქვალაი ბადებეი დაზარდა“ (ინ.). შდრ. საბა (მარქვალა).

მარყუჯი-ი ნასკვი, მარყუჭი. მარტივად განასკეული. „მარყუჯი გააკეთე, გამოყულფე, არ ჩაყოქო!“ (ინ.). შდრ. საბა (მარყუჭი — ადვილად გასაქსნელად გასკენილი).

მარყუჯა-ი გულჩახვეული, გულდახურული. „ვის გაეხარ მარყუჯა-მეთქი, ვებნეოდი“ (ხ. ფ.).

მარჩილი-ი ფულის ერთეული. „შუიდი მარჩილი ეპოვნა, იმაში მიცემდა“ (იმ.); „ხუთი მარჩილიც არ ქონდა“ (ედ.). შდრ. საბა (მარჩილი — სამი აბაზი).

მარცხენა-ი 1. მემარცხენე (ვინც მარჯვენა ხელის მაგივრად მარცხენას იყენებს); 2. უკულმართი, ჯიუტი ადამიანი.

„მარცხენაი ევა, ჭაკვაი! ჭამითაც მარცხენაით ჭამს, ერთი ხედავ?“ (ინ.); „ინსანი მარცხენაი თუ გამოდგა, ოკოლმართი, იმა აფერი ეშველება“ (ინ.).

მარხული-ი მარხვის დამჭერი, მარხვის ამსრულებელი. „ხუთი დღეა მარხული ვარ“ (ინ.).

მარჭილის ალეთები მარხილის ნანილები; „მარჭილ აქ კოფო, დანდალი, ფეკი, საცურავი, კელი. ზენჯირით, იახოთდა ყაიშით კელიდამ გამაბამ უღელზე“ (იმ.); „მარჭელ აქ საცურავი, კოფო, ოთხი ფეკი, ორიც დანდალი“ (იმ.).

მასალები-ი (არ. masal) ზღაპარი, მითი, იგავი (ხალხური ზეპირსიტყვიერება). „გურჯის მასალები მინდა“ (ბ.).

მასა (არ. masa) სუფრა, მაგიდა. „მასაზე დგია კრისტალის ვაზო“ (ინ.); „მასას სანდალები მუუნყე და მოსაფირებ დუფხახ სადილზე“ (ინ.).

მასათი (არ. masati) ფოლადის სალესავი. „აგერ მასათი მეტანევით“ (ინ.); „გუუსვი ერთი მასათი დანაზე!“ (ინ.). შდრ. საბა (მასათი — დანათა და მისთანათა აღმლესელი).

მასაორთი (masaörtü) მაგიდის საფარი. „ამას გამუა კაი მასაორთი“ (ინ.); „მე მოვქსე დიდი მასაორთი და აღმან თურისტმა ეილო“ (არ.).

მასკან ამის შემდეგ, გარდა ამისა. მას უკან... „მასკან ვიცით ვედრო თენეჟასი, სანუღელაი“ (იმ.).

მასკლავი მასკლავი-ი ვარსკვლავი. „ამელამ მასკლავები ჩანს“ (მ.); „შავაში მასკლავებია“ (იმ.); „მე მასკლავი უნივერსიტე გავათავე“ (მაჭ.).

მასობაში-ი ამასობაში, ამ დროს. „მასობაში მუხამედა შამეიზდა“ (თ.ქ.); „მასობაში მოიდა შეითანმა“ (სტ.).

მასრა საქსოვი დაზგის ნანილი. „მასრაზე ზაფია დახვეელი“ (იმ.). შდრ. საბა (მასრა — ესე არს ლერწამი საზედაოს დასახვეელი).

მასრაფი (არ. masraf) ხარჯი, დანახარჯი, დანაკარგი. „ნეტაი ჩამოვდეს და იმისი მასრაფი ჩემზე იყოს“ (იმ.).

მასტუმრა-ი ყველის სახე. „მასტუმრაი ლამაზ ჩიჩეგებ იკეთფს“ (იმ.).

მასუკან იხ. მასკან. ამის შემდეგ, შემდეგ. „მასუკან ქარში უუნიავე“ (ბახ.).

მასხარი-ი მასხარი (არ. maskara — ხუმარა) ხუმრობა. „მასხარი გვიყურდა ერთმანეფში“ (ინ.); „ბევრი მასხარი არ მოგიხტება“ (თ. ქ.).

მატავრი იხ. საყმანვილო დაეადება, ქუნთრუშა. „მატავრმა დაარჩო ბალვი მეგემ“ (პ.).

მატიტელა-ი ბალახი. „მაგას მათიტელაი ბალახი მუუტოლე“ (ინ.). შდრ. საბა (მატიტელა — ბალ.).

მატრაბაზი (სპ. matrabaz) მატყურა, ეშმაკი, არასაიმედა. „მისი დედეი ერთი მატრაბაზი კაცი ყოფილა“ (პ.).

მატრიალოზი (mitralyoz) ქვემეხი. „თაბიებზე მატრიალოზები დიდგეს“ (ინ.).

მაფიში (არ. mafiz) მსუბუქი, პავროვანი ლეველი. „მაფიშისთინ უნდა კუერცხი, ზე, გარბონათა, ფეკინი“ (იმ.).

მაქარებეს-ს ქარს მალეზინებს პირიდან, მასლოკინებს. „რაცხამ მანყინა, მომზვირა, ისე გაე, დილამოღმა მაქარებეს“ (ინ.).

მაქაქელი-ი ბალახი. „მაქაქელ ფტყელი უური აქ, მალაღი გეიზდება, ინსანს აწყენს, მომილნავს“ (იმ.).

მაქინა (makinc) მანქანა (საკერავი, საქსოვი მანქანა). „მაქინას აღარ უსაქმია“ (ინ.); „ეს ყაზალი მოექსეუ მაქინაზე და დენგეს იადიგრათ ვუზაენი“ (იმ.).

მაქეა მაქეს (მაქეა, გაქეა, აქეა-მაქეს, გაქეს, აქეს). „ადრესები მაქეა ახრაბებისა“ (მ.).

მაქო¹ საქსოვი დაზგის ნანილი, მასრის ჩასადები. „საფიოქროს ქონდა ლაფერი, ყდა, მაქო“ (იმ.). შდრ. საბა მაქო — საქსოვრის საზედაოს გასავლები).

მაქო² საკერავი მანქანის ნანილი, რომელზედაც ძაფია დახვეული. „მაქოზე კევიფერი ზაფია დახვეული“ (იმ.).

მაქში-ი მაგაში, მანდ (შიგ.). „სხუაგან არ მოქეფნი, მაქში მაქ შენახული, სკიერში“ (ინ.).

მაღაზა (mağaza) მაღაზია, სავაჭრო.

„ბურსას დიდი მაღაზა აქ ხაველებსა“ (ინ.).
მაღალსადილობა ნაგვიანევი სადილობის დრო (1 საათიდან 2 საათამდე). „მაღალსადილობამდი გუნდონდი ფხიკეს ქალებმა“ (ზახ.).

მაღაო პირუტყვის ავადმყოფობა (პირის გარისსა). „მაღაო დეემართა ჩუნე ცხენსა და ველარ გადავარჩინეთ“ (ინ.). შდრ. საბა (მაღაო — ცხენის სენია ყელში).

მაღარა (არ. mağara) გამოქვაბული. „შესულან მაღარამი და დუუძინიან“. (თ. ქ.).

მაღაჯინებ-ს მეხუმრება, განგებ მამრანებს, არ მასვენებს. „მაღაჯინებს, მიფთიებს, მარა მაიც არ ვუყვები“ (პ.).

მალრიბი (არ. malğrip) დასავლეთი, დაისი. „მამრიყიდან მალრიბამდი იარა და მიაგნო მაიც“ (ინ.).

მაყამ-ი (არ. makam) ადგილი, თანამდებობა, პოსტი. „ერთ დიდ შვერის ენ დიდი მაყამის საიბი გახადა“ (ინ.).

მაყაყ-ი ბაყაყი. „მაყაყ ფეხზე წაავლო ხელი“ (ინ.).

მაყრუებელ-ი გარეული კენკროვანი მცენარე. „ქმელია მაყრუებელი“ (იმ.); „მაყრუებელი არ იქმის, დაგაყრუებს“ (იმ.).

მამა ნაკვერჩხლის ასალები, მარნუხი, გაზი. „მამითნა მონყვიტო ენა მაქყურსა“ (ინ.). შდრ. საბა (მამა — ცეცხლისა ასალებელი, გინა თოფისა — თურქთა ენა, ქართულად ტყეცი ეწოდები).

მაშალაჰ! (არ. maşallah!) შორისდ. აი, ასე! მშვენიერია! ჯუროსი გწერია! ღმერთმა ავი თულაი გაშორის! „მაშალაჰ! თულაი არ ეცეს, რა ლამაზი ბალვი ქყოლია?“ (თ. ქ.).

მაშრაფა (არ. maşrafa) წყლის ამოსაღები ჭურჭელი, ტოლჩა. „დეიკავეს ბაღვებმა მაშრაფები“ (თ. ქ.). შდრ. საბა (მაშრაჰა — სარწყული).

მაშრიყი (არ. maşrik) აღმოსავლეთი. „მამრიყიდან მალრიბამდი დერმანი ეძეფა და იპუა“ (ინ.).

მაძლარ-ი (ჩვეულებრივი, ძირითადი მნიშვნელობის გარდა) კმაყოფილი, მდიდარი, სასევ. „მაძლარი ინსანი, თულაი

აფერზე არ გვექცევა“ (ინ.); „მაძლარი ოჯალი აქ, ღმერთმა შარგოს!“ (ინ.).

მაძლარი ლობია-ი პარკასავსე, სიმნიფეში შესული. „მაძლარი ლობიაი მიყუარს, ტყლაპი — არა“ (ინ.).

მანაჟ-ი მუნუევი. „ბაღესა გამოსულში ტანზე მანაჟები დაყარა“ (თ. ქ.).

მანანკალ-ი ავი, მოჩხებარა, აგრესიულად განწყობილი. „იმ ქალსა ხელები ბილა მანანკალი ქონია“ (თ. ქ.).

მანვევენ დამპატიყებენ, მიმინვევენ. „თუ მანვევენ ხისიმები, ჩამოვალ“ (ბ.).

მანენი დაღ-ი (მანენი + yag — ერობ) მანენის ერობ (კარაქი). „კარაქსა მანენი დაღ ვეჭყვით“ (იმ.).

მანონი დედა მანენის კვეთი. „ვიტყვით, მანონი დედა, დედეკაცი, სხუაჯერ დედა“ არ ვიცით“ (ტაო.).

მაჭა ჯილის ნაწილი (გუთნის ნაწილი), სახელური. „ჯილის მატზე წამოცმული ვიყავ, სადამომდი ყანას ცხნევი კაცივითა“ (თ. ქ.). შდრ. საბა (მაჭი — ერქვანის საკელური).

მაჭიხელა-ი ვაშლის ჯიში. „მაჭიხელი ვაშლი მაგზოზა“ (იმ.).

მახათი-ი მოზრდილი ნემსი (საკერავი). „მახათა ლემსით ჯუალ, მინდარ შევეკრავ“ (ინ.). შდრ. საბა (მახათი — დიდი ნემსი).

მახანში-ი ამასობაში, მაშინვე, მაშინათვე. „მახანშიც მევეშელნენ გარედამ, გაბოლყვას“ (იმ.).

მახარებ-ი მახარობელი. „რემგზანის მახარები მობძანდა რეჯებ-შაღბანი“ (პ.).

მახარობელი-ი სასიხარულო ამბის მომტანი. „დოდოფლის მაყარსა წინ წამუუსტრებს მახარობელი“ (ინ.). შდრ. საბა (მახარობელი — კეთილი მოამბე).

მახასი (არ. makas) მაკრატელი. „მახასი აღარ ქრის, მუალესიოთ ერთი!“ (ინ.). გად. მნ. მახასი — სახლის სახურავის საყრდენი ბოძები. „სახლის მახასებ შეკრავ“ (მაჭ.).

მახე ხაფანგი. „მახე მუნუყეს დათვისა და თვითან ჩავარდენ“ (თ. ქ.). შდრ. საბა (მახე).

მახლუყ-ი (არ. mahluk) ცოცხალი სამყარო, შექმნილი სამყარო, ცოცხალი არ-

სება. „ევეთ, ბითუნ მახლუყები, კაია, უყურარს“ (ინ.).

მახოხ-ი მუაჟის წენით მომზადებული კერძი. „მახოხი შორვა გუუყეთ ავატყოფ, ბელქი იშტაპი მუა?“ (ინ.). შდრ. საბა (მახოხი — სომეხთ შეჭამანდია ქატოსი).

მახსარ-ი იხ. მახსარი. „ევა რომე მახსარი სიტყუა არი, მეც ვიცი“ (ინ.). მახსრობა: „ამფერ რამეზე მახსრობა რავარ იქნება, ძიავ?“ (ინ.).

მახსუზ (არ. mahsuz) სპეციალურად, განგებ, განზრახ. „ყასაბიდამ მუუტანია მახსუზ“ (იმ.); „ესა მახსუზ შორეებისთინ გაკუტებული ქერის საფანელია“ (იმ.).

მაჯამ-ი მაჯა. „მაჯამები კარქა დეობანე ცივი წყლითა და გაგრილები“ (ინ.). შდრ. „ვეფხისტყ.“ „მაჯამისა შემტყვებარი“.

მაჰალე (არ. mahalle) უბანი, რაიონი. „ეუბი ჩუნე მაჰალეში ზის“ (ინ.); „ჩუენ სოფელს ბევრი მაჰალეები აქ“ (იმ.).

მაჰანა (სპ. mahana) საბაბი, მიზეზი, მოტივი. „იმათაც მაჰანა ქნეს და წვედენ“ (სტ.); „იმის მაჰანა იქნება“ (ტ.); „არ ესმოდა ნისქელიის მაჰანა“ (იმ.).

მაჰრამა (არ. mahrama) ცხირსახოცი. „ამელიო მაჰრამა მენდილი, ჯუფმენდილი და ქალდე უთხრა, გიმორცხეთო“ (იმ.).

მაჰქემე (არ. mahkeme) სასამართლო. „მაჰქემეში შასულან, აუუქათი დუუკაიან“ (იმ.); „ამ არლის საქემე შევდა მაჰქემეში“ (იმ.).

მგონე თანდ. გამო, თვის, მიზეზით. „ჩემი დერდები მგონე სიღმერები მეგგონე“ (მეზ.).

მებუსეები-ი (არ. mebus — დეპუტატი) დეპუტატები. „ქჷპირდებიან მებუსეები რეის ჩაგდებიხან“ (იმ.).

მეგრემშიმეგემ კავშ. თურმე. „იმანაც მიცა ფული მეგრემ“ (იმ.); „მეგემ წესულა ყასაბაში“ (თ.ქ.).

მედარ-ი (არ. medar — დახმარების განევა, დასაყრდენი, საყრდენი). ძალ-ლონე, შეძლება. „ავატყოფობამ დამაზაფუა, რამის მედერი აღარ მაქ“ (თ.ქ.).

მედარეს (არ. medrese) სკოლა, სასწავ-

ლებელი. „ციციები დილდილი მედარესუ ში მივლიან“ (ინ.).

მეგზმანა სიზმრად ერეენა. „ნუხელ მეგზმანა მეგემ ბაბოი“ (ინ.). შდრ. საბა (მეგზმანა — სიზმრად მეჩვენა).

მეეკვატა მოეჭიდა, რაიმეზე დამაგრდა, რაიმეს ხელი ჩასქიდა. „ფეხი რომე დუუტურდა, ხის ტანებ მეეკვატა“ (ბახ.); მოკვატება: „ახლა ჩემზე დეინყო მოკვატება“ (მეზ.). მოკვატებული: „ხიდის ზედა ჭერზე მოკვატებულან“ (ინ.).

მეემური-ი (არ. memur) თანამდებობის პირი, მოსამსახურე. „ჩემი ლარქი მეემური გახადენ“ (იმ.); „აბაზები მეემური ნაკლებათ გახადენ“ (ინ.).

მეესტრა-ა მოესნრო. „შაქირაი რას მეესტრა, დეინახე?“ (ბახ.).

მეენვერენით ულევლად მოდიხართ, თქვენს მოსვლას ბოლო არ უჩანს, წვერი არ უხრანს. „მეენვერენით და მოხუალთ, ჩემი ახრაბებიც წამიყუათი ერთი, თუალები გზაში დიძირჩა“ (იმ.).

მეეხიზმეთა (არ. hizmet — მომსახურება, სამსახური) მოემსახურა, სამსახური გაუნია. „იმათ მეეხიზმეთა გელნიმა“ (სტ.); „ახლანდლები კარგა არ მეეხიზმეთებიან დედამამდილასა და შეშინებული ვარ“ (ინ.).

მეევა (არ. mevia) გარდაცვლილი, გვამი, ცხედარი. „მეეთას ჩუნეა მალე მივაბარეთო, არ შევენახთ ბევრხან“ (ინ.); „მეეთას მივანყოფთ მერთეგებსა“ (იმ.).

მევერეშიმევერე მეორე. „მევერე ძმა პირიეს მოსულა“ (პ.); „მევერეის არ აქ ბალანი“ (პ.).

მეველუდი (არ. mevliut — ახალდაბადებული) 1. მუჰამედ წინასწარმეტყველის დაბადების დღის აღსანიშნავი დღესასწაული, რომელიც იმართება მთვარის წელიწადის მესამე თვის თორმეტ რიცხვში. 2. პოემა მუხამედ წინასწარმეტყველის დაბადების შესახებ, რომელსაც კითხულობენ გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად, გარდაცვალებებიან მეორმოცე დღეს სახლში ან მეჩეთში. „გუშინ მეველუდი ვაკითხვები“ (ინ.).

მევეცი (არ. mevki) ადგილი, პუნქტი, რაიონი. „იმის იქითაი ჩუენი მევეცია“ (იმ.); „ჩუენ მევეცი სხუა ვერ ჩაადგამს ფეხსა“ (იმ.).

მეზაი (არ. mezai) ცდა, მეცადინეობა, გულმოდგინება, სურვილი, სწრაფვა, მონადინება. „იმფერ მეზაითი მღერის, რომე აგატორფეს“ (ინ.).

მეზაიანი მონდომებული, გულმოდგინე, გულიდან მომდინარე. „მეზაიანი სიმღერა იცოდა, ყუელაი უდინგლებდა“ (ინ.).

მეზერი (არ. mezar) საფლავი. „იქითა მეზერსა დეეითხო“ (იმ.); „საჯენითო ინსანებსა მეზერი გაუნათლებდა“ (ჰ.).

მეზერჯი (mezarci) მესაფლავე. „მეზარი ქი მოდიოდენ, მეზერჯები მეგონაო“ (იმ.).

მეზრე საზაფხულო სამყოფელი. მთაგორიან სოფლებში, სადაც საძოვარი შედარებით ცოტაა, პირუტყვი გაჰყვით სოფლიდან მომორებულ იალალებზე. მისში გაჰყვით სოფელთან შედარებით ახლოს მყოფ იალალებზე, რომელსაც ყიშლას უწოდებენ. ივნისის შუა რიცხვებიდან კი აჰყვით ალპურ იალალებზე, იაილებში. იმერხევეში ყიშლას „მეზრე“ ჰქვია. „ყიშლა თურქაა, გურჯიჯა, მეზრე“ ქვია (იმ.).

მეზელული (mezarlik) სასაფლაო. „მეზელულიც არი აქეთა ქოშესთან“ (თ.ქ.).

მეზითი (არ. mezit — მდიდარი, უხვი) მუჰაჯირი ქართველების სოფლის სახელი ინეგოლის რაიონში. „ჩუენ მეზითი ვზივართ“ (მეზ.).

მეიზმანა მოიზომა, მოირგო. „კარქა მეიზმანე და ისე ეილე ურუბა“ (ინ.).

მეითხელებს მოიმათხოვრებს, მათხოვრობას დაინყებს. „მაგა არ შერცხუება, რომ გუუჭირდეს, მეითხელებს“ (თ.ქ.).

მეიკალიბებს მოილაგებს, მოინჯის რიგებს, ყუელაფერს თავის ადგილს მიუჩენს. „ძვილაი მეკალიბე, დილამოდმა ვბრუნავ“ (ინ.).

მეიმკობს მოიმარაგებს, მოიზადებს სარჩო-საბადებელს. „ყუელა თუელზე კარქა მეემკობთ“ (ინ.).

მეიპირპილებს სითხე ზედაპირზე მო-

იგდებს, მოიტივტივებს. „ხორცის დული-ში ქაფ რომე მეიპირპილებს, ის მოხადონა კოვზით“ (მეზ.).

მეიპუჰკვი-ს მოითუთქება, ცხელ წყალში გატარდება. „ცოტა მეიპუჰკვის, ამეილებ“ (მ.).

მეიჟულ-ენ მრ. რ. განადგურდენ, დაიხოვან, ბევრი რამ დაკარგეს. „მეჟულიეთ მუჰაჯირობაში, ბევრი ჯაფა გაენიეთ“ (თ.ქ.).

მეისამშობლებს სამშობლოში ყოფნით გულს იჯერებს (გათხოვილი ქალი, ან საქართველოდან მუჰაჯირად წასული). „გულნი გავაგზავენთ ანა-ბაბოსთან, მეისამშობლებს და მევეყუანთ“ (თ.ქ.); „დურსუნ ემიაი სამ თუეს დარჩა გურჯისტანში, კარქა მეისამშობლა“ (თ.ქ.).

მეისურულ-ა / **მეისურულთა** სურვილი აისრულა, ნახვით (ვინმესთან ახლოს ყოფნით) დაქმყოფილა. „ვერ მევესურულთ თქუენი თავი, მალე მიხუალთ“ (იმ.); „ძვილაი მეისურულთა ბადემა ანაი, ეფეიჯა ზამანია ცალკე არიან“ (ინ.).

მეისაქმა მოითავა, დაამთავრა (საქმე); მოკლა, სამაგიერო გადაუხადა (ვინმეს). „მეისაქმა კაცმა ორი გურჯი ფაშა“ (სტ.); „ძვილაი მევესაქმე, დილამოდმა ვაკალიბებ ეზო-კარ“ (ინ.).

მეისკამა ფეხმორთხმით დაჯდა, მკვიდრად დაიკავა ადგილი. „ისე მეისკამა, რომე წასლას არ აპირეფს“ (ინ.).

მეიფომფეებს მოჭერილს მოუშვებს, მოადუნებს. „ჭამაში ქემერი მეფომფევა კაცმა, მომჭმე ყოფილა ზავალი“ (ინ.).

მეილაღვის დაიღვება. „ღარჭი მეველალოდი მალე“ (ტაო); „ვარაღოდა არ მეილაღვის, დეგინია ძალიან“ (ინ.).

მეიყაჟირა სურვილი დაიკმაყოფილა (ვინმეს ნახვით, ვინმესთან ახლოს ყოფნით), აისრულა სურვილი. „ძვილაი მევეყურიეთ ერთმანები, ამდენი ხანია არ დიგვინახავს“ (ინ.).

მეიყუდრებს სთავს შეაფარებს, თავშესაფარს გაიჩენს. „ის ჰაცხა წავა, იქ მეიყუდრებს“ (ინ.).

მეიშ ხარებზე შექახილი. „მოტიალები-

ხანაც „მეიმ“ ეტყვი ხარა“ (მაქ).

მეიჩხოკავ-ს მთაში საზაფხულო სახლს (იილას, ქოხს) მოალაგებს, გაასუფთავებს. „ზალი ავა, მეიჩხოკავს, მემრე მე ავალ და მემთევრობას ვინამ“ (იმ).

მეინინავ-ს ხელს აღმართავს; მოიქნევს, ცულს ან ხანჯალს, ქვას ან შეშას... ხელს აღმართავს ვინმეზე ან რაიმეზე დასარტყმელად. „მეგემ მეინინა შეშის ნაკოდი და არ გაანთო?“ (ინ.); „მეინინა ცული სიძემა და შეშა დიგვიპო“ (თ.ქ.).

მეიჭიჭკავ-ს კარებში ან რაიმე საგანში მოყოლით დაიუფავს (თითს, ხელს, რეხს). „ლალიბა მეიჭიჭკა თითი ბალემა, რაფერ სივის სიმნარისკან, ხედავ?“ (თ.ქ.).

მეიჭუჭკვი-ს მოგროვდება, თავ მოიყრის, შეიკრიბება. „ეს ლელიები შერთულში მეიჭუჭკვის“ (იმ).

მეინოხევებ-ს ახლოს მოიტანს ხოხვით, დაიახლოვებს. „მეინოხვა მეგემ სიძემ კორკოტი და ბითევი მოხოცა“ (ინ.).

მეიპესაბებ-ს (არ. hesap — ანგარიში, განზრახვა, ვარაუდი, ჩანაფიქრი) მოიფიქრებს, განიზრახავს. „მეიპესაბო, აბა!“ (ინ.); „ნეტი რა მეიპესაბა?“ (ინ.).

მელა-ი სასიძოს მახარობელი, მაყრის მოახლოების მახარობელი. „მაყარი, მექორნილე, სოფელს რომე მუახლოვდება, მელაი (ერთი კაცი) გეიქცევა წინ და სიხეს უმახარობლებს. სამახარებლოს მიცემენ ქადას, ქათამს. გამობრუნდება ისვენ მაყართან და ამ ნაჩუქვარებს აჭმევს მათაც“ (იმ).

მელამეთი (melamet — საყვედური, ძრახვა, კიცხვა, ძაგება, გმობა) ვაკიცხული, დაგმობილი, დასვრილი, დანგრეული, დაშლილი (არასასიამოვნო მდგომარეობაში მყოფი). „იმფრა უყვირა, რომე მელამეთი გახადა“ (ად.); „ბაღევი მელამეთი გამხდარან ტალახში“ (თ.ქ.).

მელაიქ-ი (არ. melick) ანგელოზი. „ოთხი დიდი მელაიქი ყავს ლმერთამჩენელს“ (ინ.); „ლმერთის მელაიქებზენა დევჯეროთ“ (ინ.).

მელახური-ი მსხლის ჯიმი. „მელახური სხალი ქომუნთ აქუან“ (იმ).

მელეზ-ი (melcz) პიბრიდი, ნარევი, სხვადასხვა სისხლის ნარევი. „მელეზია, ანა გურჯი ყავს, ბაბოი — არნაუტი“ (ინ.); „პანა ზროხებ მელეზი ქვია“ (ინ.).

მელქემ-ი (არ. melchem) მალამო. „მაგის მელქემმა მომირჩინა იარა“ (ინ.).

მემთვერ-ი მთაში გარეული საქონლის პატრონი, რძის პროდუქტების გადამამუშავებელი. „მარშან მემთვერი ვიყავ“ (იმ.); „დედამთილა მემთვერი“ (იმ).

მემლექეთი (არ. memicket) ქვეყანა, მხარე, სამშობლო. „მევიარე მემლექეთი, ლმერთო, მემე ბერექეთი“ (ი.); „გედელთაი ჩემი სელამი მემლექეთში“ (ად.); „დედი გემილათ მეიგონება მემლექეთსა“ (პ.).

მემლექეთური მშობელი ქვეყნისა. „მემლექეთური სიტყუებია ესენი“ (მეზ.); „ამან მემლექეთური სიღმერები გითხრასნა და დეინერე“ (ინ.).

მემუნ-ი (არ. memun) კმაყოფილი, გახარებული. „მემუნმარა კაცი, მემუნნი გაესბი“ (მეზ.).

მემრე შემდეგ, მერმე. „იმის მემრე აღარ მიყანათა“ (თ.ქ.). შდრ. საბა (მემრე — ანის შემდგომად).

მემრედამემრე შემდეგ და შემდეგ. „მემრედამემრე იმფო შიგეიყვარდა ერთმანები“ (სტ.); „მემრედამემრე დაეინყდება“ (ინ.).

მემხლიანი-ი მხალეულის (დვალურას, სეინტრის, ჭარბადელის — გარეული მხალეულის) დასაკრფლად მთებში მემთვერეთთან სტუმრად მიდიან ახალგაზრდები. მოკრეფილ მხალეულს მემთვერები მთებშივე ახმობენ და საზამთროდ ინახავენ. ზამთარში კი სამკურნალო, სასარგებლო კერძებს ამზადებენ მისგან. „მემხლიანი ქი ამოვდოდა თაზე, ვისეირებდით, ვიჯუმბუშებდით“. (იმ).

მენალეები მელანდები, მენატრები. „მიხულ, მოხულ, მენალეები, სასიკდილოდ მენანები“ (პ.); „ისე მენატრება, რომე მენალეა ეფჯამი“ (ინ.).

მენგანე (mengene) მუხრუჭი, მომჭერი, მარნუხი. „მენგანებით მუჭირეფ კარქა და დეიკავეფს“ (ინ.).

მენდებური-ი (mendebur) საწყალი, საცოდავი, დავარდნილი. „დებებური, მენდებური, ახორიკარ მიგდებულ“ (ინ.); „მენდებური, საბრალო, ბითევით დავარდნილა“ (თ.ქ.).

მენდილი-ი (mendil) ცხვირსახოცი. „მენდილის აწევა არ დაგავიწყდეს“ (ინ.).

მენტეშე (mentçe) აწვამა. „მენტეშე ევლე, კარ შევიღე ახლა საქათმეშე“ (თ.ქ.).

მეყდან-ი (არ. meydan) მოედანი. „სახლის წინედან პანაი მეყდანა“ (ინ.).

მეყდანზე გამოსლა სააშკარაოზე გამოსვლა, აშკარად. „ყუელი გამოით მეყდანზე, გვაცნობიეთ თქუენი თავი“ (ინ.).

მეყდან ოდა (meydan oda) სასტუმრო ოთახი (მოედნის ოთახი). „წინწინდელ სახლებში მეყდან ოდა ქექონდა“ (თ.ქ.).

მეყვა (სპ. мейва) ხილი, ხეხილი. „სოფელში კაი მეყვები გუაქ“ (ინ.); „მეყვას ბევრ არ ვსჭამა“ (მ.).

მეილი (არ. meyil) ფერდობი, დამრეცი, დახრილი. „ჩუენი ყანები ცოტა მეილია“ (ბახ.).

მერაყი (merak) დარდი, მოუსვენრობა, დაინტერესება, ცნობისმოყვარეობა. „მერაყი ქნა ბაღვმა“ (თ.ქ.); „აქაჯერ დიდუანება გურჯი ქალების მერაყი ქონდენ“ (მაჭ.).

მერაყილი (merakli) ცნობისმოყვარე, დაინტერესებული, მოყვარული, დარდიანი. „ეფეი მერაყილი არიან ჩემი ბიჭები“ (ბ.).

მერაყობ-ს დარდობს, მოუსვენრობს, დაინტერესებს. „ემერაყობდით, რაგორ არიან ჩუენი ახრაბებიო“ (იმ.).

მერდან-ი (სპ. merdane) მაგარი, გამძლე, მტკიცე. „სხუა ხე მაქუანან, ამაზე მერდანა“ (მ.).

მერდევეან-ი/მერდივან-ი (სპ. merdivan) კიბე. „მერდივანი გამეიტაით“ (ბ.); „გონჯი მერდევანია, არ გადავარდეთ!“ (იმ.).

მერე ვაკე ადგილი მდინარის პირას. „ზროხები მერეში ზოვდენ“ (იმ.); შდრ. საბა (სწორი ვაკე, მდინარის კიდე).

მერეგი (merek) პირუტყვის სარჩოს შესანახავი ადგილი, სპეციალური ნაგებობა საბძლის მსგავსი. „მერეგი, თივას რომე

დაყრიან, იმა ქვია“ (მ.); „ესა მერეგია, ესა — ნალია“ (მ.); „ამასა მერეგ ვებნევით“ (მაჭ.).

მერთეგი (mertek) ოთხკუთხეანი ძელი. „მერთეგ დავენყოფთ ყავარ ქუემ“ (მაჭ.); „მეუთას მგელათ მერთეგსა მივახურავთ“ (პ.).

მერიემ ანა (mercem anna hazretli) წმინდა ქალიშვილი ლეთისმშობელი მარიამი. „აიდინში მერიემ ანას ზიარეთა“ (სტ.).

მერმერი-ი (mermer) მარმარილო. „მუთვალის მასა სულ მერმერით არი გაკეთებული“ (სტ.).

მერული-ი რკინის ოთხთითა (თივის ასალები). „მის ბაბოსა აჭარლებსითვინა მერულით გამურთმევენია ბაკალა“ (იმ.); „მოლსა მერულებით, ფინლებით ავსნევთ“ (მ.). შდრ. საბა (მერული — ორთითი).

მერქეზ-ი (არ. merkez) ცენტრი. „ახლა მურულლის მერქეზში ვზივარ“ (ტ.); „ესა მერქეზის ენ დიდი ჰოთელია“ (მაჭ.).

მერცხალი-ი 1. ჩიტი (გაზაფხულის მახარობელი); 2. მოცხარი. „ტყეში ბევრია მერცხალი, იმა მოვერუფავთ და რეჩელ მუადულებთ“ (იმ.).

მერხემელი (merhemel) სიყუთე, სიმაართლე, მატოვისცემა, კეთილშობილება. „შენ მერხემეთი რომე არ გექნება, პუქუმათსაც არ ეყუარები“ (ინ.). „ანა-ბაბომ თქუენ მერხემეთი გიზამეს“ (ინ.). მერხემეთიანა: „კაი, მერხემეთიანი ყული, სტორე ინსანი ლმერთსაც უყუარს და კაცსაც“ (ინ.).

მერხემელსუზ-ი (merhemetsiz) შუებრალებელი, არაგულმონყალე, არაკეთილშობილი. „შენთანაი მერხემელსუზი კაცი ვერც ვაალი გახდება და ვერც ჩობანი“ (ინ.).

მერჯანი-ი მარჯანი. „კლავზე ღილი მერჯანი, ადგეთ, ნევდეთ ენჯამი“ (თ.ქ.); „მერჯანი ღილები დემეკარქა“ (ინ.).

მერჯიშეკი (mercimek) ოსპი. „მერჯიშეკი მოქცე, გაარჩევე?“ (იმ.); „მერჯიშეკის შორვა გავაკეთე“ (ინ.).

მერჰაბა! (არ. merhaba) გამარჯობა!

„მერპაბას თქმაც დაავინყდა“ (ინ.).

მესარ-ი სარი, ლობე. „მესრის ლობე გურჯებმა ვიცით“ (ბახ.); „ავაყუდე მესარი, ჩუენი ნახუაც ეს არი“ (ბახ.). შღრ. საბა (მასარი — არს წერილის ძელით ყეროს მსგავსად შემოვლებული).

მესელა (არ. mesela) მაგალითად, მაგალითზე. „მესელა, თხელი ყოფილა კაცი ჭჳიდიან“ (ინ.).

მესელე (არ. mescele) ამბავი, პრობლემა, ამოცანა, საქმე. „მე ახლა ერთი მესელენა გითხრა“ (პილ.); „ამფერია ხათრიანი მოსაფირის მესელე“ (სტ.); „კუერცხის მესელე ვოქ, არ ინუელება ჩუენი ქათამი“ (იმ.).

მესთი (არ. mesi) ტარსიკონის საშინაო ფესხაცმელი. „მესთები ეცუა დედესა“ (თ. ქ.).

მესონი ყორე, ლობე. „ყანი ბოლოზე მესონი გავაკეთე“ (მაჭ.).

მესოფლია-ი სოფელში კარდაკარ სიარულის მოყვარე (თავის შექცევის, ჭორაობის მიზნით). „მესოფლიაი ქალი დარჩა, სახლში არ დაუდება“ (ინ.).

მესუთი (არ. mesul — ბედნიერი, სიკეთის მომცემი) მამაკაცის საკუთარი სახელი. „მესუთ-დედეი ილაპარაკებდა ძუელ პიქაებს“ (იმ.).

მეტრე (metre) მეტრო (ზომის ერთეული). „ეს ფათისკა ხუთი მეტრე არ იყო?“ (თ. ქ.).

მეტყვენი-ან გვეტყვიან. „ისინიც ჩუენ მეტყვენიან“ (ტ.).

მექანი (არ. mekan) ადგილი, დასახლებული პუნქტი, ბინა. „ხეირიანი მექანი ბაგათა ვერა და ვერ გეიჩინეს“ (ხ. ფ.).

მექიქი (mekik) მქსოველის მაქო, საქსოვი კინთი, საკერავი მანქანის მაქო. „მაქინასი მექიქი ველე“ (ინ.); „ესა მექიქით ქსოვს“ (მ.).

მექიქოია (mekikoya) მაქოთი მოქსოვილი მაქმანი. „მექიქოდა აქ ამ ვაზმას“ (ინ.); „ესა არი მექიქის ოდა“ (იმ.).

მექტები (არ. mektep) სკოლა, სასწავლებელი. „ჩუენი ბაღნები მექტებში იარეზიან“ (მ.); „მემერე მექტებში წაველ“. „მე

მექტებში ორეთმენი ვარ“ (იმ.).

მექტუბი (არ. mektub) წერილი. „მექტუბი მოვდა, პალადვენ თოვლსო“ (იმ.); „მექტუბი დუენურე ახრაბებსა, თემბელი ნუ ხარ“ (იმ.).

მეშველა-ი ხელიკი. „რაბხელა მეშველაი მიძრება ქვებში, ხედავ?“ (იმ.).

მეშვერეთი (არ. mesveret) მსჯელობა, განსჯა, თათბირი. „ბევრი მეშვერეთი არ უნდა ამ საქმესა“ (ინ.).

მეშრუბი (meşrup) ნაყენი, ნახარში. „ფიშნა მეშრუბათ იქნება“ (ბახ.).

მეძინები ძილს მაძალებ. „ძილო, ნუ მეძინები, ძილო ბატონოო, მოხუალ, ჩეგეხუტები, ძილო ბატონოო, ნახუალ, გეგეხუტები, ძილო ბატონოო“ (სტ.).

მეზინება-ი მეზიზლება. „რომე დვენახე, მენინება“ (პ.).

მეზვარათა-ი მომიხბრო, მელაპარაკა. „ეს მეზვარათა ბაალიან რევებამა ბალხი-დამ“ (ტ.).

მეზვარ ხარების მწყემსი. „ხარის ჩობანსა მემლექეთში მეზვარე ეტყოდენ“. (თ.ქ.). მეხსუზ იხ. მახსუზ. „მეხსუზ ქენეთ, მე არ ნეიყუანეთ“ (იმ.); „ამას თხოვნილობენ მეხსუზო“ (თ. ქ.); „ანაი დღეთი მეხსუზ ნეედოდა მეზობელთან“ (ინ.).

მეზფული-ი (არ. makbul) სასიამოვნო, მოსაწონი, მისაღები. „კაკალიც მეტი მეზფულია ამ საქმლისთვინ“ (ბახ.); „ზოვლი მეზფული კაცია“ (ბახ.); „ღმერთის ენ კაი, მეზფული ყული, საყუარელი ინსანი ეს არი“ (ინ.).

მეზშერი-ი (არ. mahşer — მუს. რელიგიის მიხედვით, ადგილი, სადაც თავს შეიყრის ყველა ადამიანი საშინელი განკითხვის ფაშს, მეორედ მოსვლის დროს). საშინელი სასამართლოს დღე; საშინელი ხმაური, აურზაური, ყვირილი, ჩხუბი. „ისენი მეზშერამდინ ასე იქნებიან“ (იმ.); „ავდგებით მაშინ მეზშერის დღეში“ (იმ.); „აბუდა ერთი მეზშერი“ (სტ.).

მეჯბური (არ. mecburi) აუცილებლად საჭირო; აუცილებლად. „მეჯბური მიანნა გააკეთოს ეს საქმე“ (ინ.); „მეჯბურ მისცემ, შენუხბედი“ (იმ.); „გოგოს საიბი მოქთხოვს,

მეჯბურია“ (მაჭ.); „ხუთი ნელი მეჯბურია კითხვა“ (იმ.).

მეჯლისი (არ. meclis) შერება, პარლამენტი, უხუცესთა საბჭო. „მეჯლისის კაცი იყო ისა“ (პილ.).

მეჯი (არ. mecal) ძალა, ძლიერება, სიმძლავრე. „ერთი მეჯი უნდა გავხდეთ, ნადი უნდა ვქნათ“ (იმ.).

მეპაც მეც. „მეპაც საგორავით ნიმი-ყუანებენ“ (ინ.); „მეპაც ასე ვებნეოდი“ (ინ.).

მეპელე იხ. მაპალე. „ერთ მეპელეში ვართ გამზადარი“ (თ.ქ.); „მეპელეზად დაგვადუენეს ყასაბაში“ (ინ.).

მომენელი-ი მარხვის დამჭერი, ვინც თმენს (მარხულობს). „მომენელი ხარ?“ (ბ. ფ.); „მომენელი ინსანი მადლიანია“ (ბ. ფ.).

მიაბარა-ა 1. მიწას მიაბარა (დაასაფლავა); 2. საქონელი (პირუტყვი) მიაბარა მთაში საპატრონებლად მემთურს. „რა გორჯი ადეთი გუაქ, ასე მალე რაფერ მიაბარეს საჯენენთო?“ (თ. ქ.); „მიერეზე საქონელი გულსენსნა მივაბარო“ (იმ.). მიბარება (დასაფლავება); „მაშინ შენსა მიბარებას სუწყუელია გეგქარება“ (ჰ.).

მიკალიბა-ა მიალაგა, ყველაფერი თავისი ადგილი მიუჩინა. „ძელია მიკალიბე სახლი“ (ინ.). მიკალიბებული: „მიკალიბებული ოდა ფისი გუუხადეთ გელისა“ (ინ.).

მიანცხადა-ა მიამსგავსა. „პანაი მიანცხადა იმას“ (იმ.).

მიკანანებ-ს დააცოტავებს, გამოლევა-მდე მიიყუანს, დააპატარავებს. „ფქვილი მიკანანანეთ ჰამანქი, ნისქვილობის ჰაზირობანა დეენყო“ (ბახ.).

მიაროდო-ს ნალეკოს, მიახვეტოს, მიყაროს ქვა და ლოდი. „რაგუარ მორბის ჩუენქე, მიგვაროდოსნა და წეედეს, ბე!“ (იმ.).

მიახტინა-ა მიახვედრა, გააგებინა. „სიძეს არ მიახტინა ყულამფერი“ (ინ.).

მიახტუმრა-ა მიახვედრა, გააგებინა. „ელაპარიკა თავზე გადახტენილი და მიახტუმრა ბერმა“ (ტაო.).

მიდე (არ. mide) უჭჭი. „ინსნის შიანაი ალეთია მიდე“ (ინ.).

მიდეა (midyc) მიდია (ზღვის ცხოველი). „მიდეა მალე შეინვის“ (ინ.); „შემწურა მიდეას სტამბულის ბაზარზე ყიდიან“ (სტ.).

მიერე მეორე. „შეველი შიან, ეველი მიერე ყათში“ (ინ.); „მიერე ტექნიქ უნივერსიტეში დეინერა“ (სტ.).

მიერეზ-ი||მიერიები სხვები, დანარჩენი. „მიერიები ველალ წესულან“ (სტ.); „მიერიები იქ ცხოვრობენ“ (ინ.); „მიერებს ჯოფდა?“ (ინ.).

მიერეთ მომავალში, მომავალ წელს. „მიერეთ, ღმერთმა თუ მაცოცხლა, თავენა ნედე“ (თ.ქ.).

მიერეთვენი-ი მეორეები, სხვები. „მიერეთვენი არიან ისტამბოლ“ (ბ.).

მიერეზე მომავალ წელს, მომავალში. „მიერეზე რომ გადმოხუალ, ჩაგანერაიე“ (იმ.).

მიერო მეორე. „მიერო ეთეგი მე გადმოილე, მევზმანო ერთი“ (ინ.).

მითილი-ი (mitil — თეთრი საბნის სახე) საპირეშემოუკრავი ქვეშაგები (ლეიბი, საბანი). „იმფრა დაფუხრებულან, რომე მითილებში ნეენ“ (ად). შდრ. საბა (მითელი — საპირესა და სარჩულს საშუალი).

მითთათალა-ი თავიანთ ნებაზე, დამოუკიდებლად. „ბაღევი მითთათალაი მიდიან-მოდიან ოქულში“ (ინ.).

მითთენი-ა თავიანთი ძალებით, თავისით, თავიანთი ნებით. „პრატები მითთენი დაკალიბდენ“ (ინ.).

მილევილი თუარე ეთნ. მთვარის ფაზის დასასრული. „მილევილი თუარე ითქმება, როცხა თუარი დალეეას დააკლდება ოთხი-ხუთი დღე“ (პილ.); „მილეველ თუარეზე ყანაში რომე ენრები გამარგლო, აღარ ამუა, წარბი რომე ამეილო, აღარ ამუა, მისდი შენ... ჰამა მილეველ თუარეზე ბოსტანი არნა დათესო, ბინა არნა ჩაყარო, დიდი საქმე არნა დეინყო იშტა“ (ინ.).

მილეთი (არ. millet) ხალხი, ერი. „ეზოში მილეთი მეყარენ“ (იმ.); „მილეთ შაატყობია მისი საქმე“ (იმ.); „მილეთი გააბეზა“ (ინ.).

მილეთევილი (არ. milletvekili) დეპუტატი. „ახლა მილეთევილია ანკარა-

ში" (სტ.); „ართვინი დამ მილლეთევილი იყო" (იმ.).

მიმტანო მომდენო, საშუალი. „მაგაზე მიმტანო ქუაბებიც გუაქ" (იმ.); „აპმედი ჩემი მიმტანოა, რამაზანაი სულ პანაია" (ინ.).

მიმტუტები — კარგად არ მიიღია, მიუკადრისებია. „ღმერთ მუხუცემია შეილუბი და მეპაც არ მიმტუტებია" (ინ.).

მინარე (არ. minare) მინარეთი. „ჩემ სახლ უკან მინარე, გოგო ვნახე ძინარე" (გულ.); „მაღალი მინარე დავადგით ფაშისა" (პილ.).

მინდარი (minder) ქვეშაგები, ლეობი. „მეგემ მინდარ ქუემ დუღდია" (ინ.); „სიზე დადეს მინდარ ქუემ ბახშიმ დუღტეცს" (იმ.). შდრ. საბა (მანდარი — სხვათა ენაა, საგებელი).

მინნეთი (არ. minnet) შებრალება, შეწყალება, დამადლება, სხვაზე დამოკიდებულება, დაყვადება. „მომკლედია მინნეთში" (თ.ქ.); „რამის მინნეთი არ ქონდა" (თ.ქ.); „ცეცხლის მინნეთი არ აქუნა" (პილ.).

მინქინი (არ. mümkün) შესაძლებლობა, მოთმენა. „მინქინი არ მაქ, ვერ დავრჩები, სახლში მერქარება" (თ.ქ.); „მინქინი არ მაქ, თუ არ გავსილუ" (ინ.); „თუ არ მივანყნარე მუთვარი, ვერ მეცხვენეფ, მინქინი არ მაქ" (მეზ.).

მიორე მეორე. „ბევრიც მიორე დუნი-ასთვიინა ისაქმო" (ინ.).

მიპუა მიპოვა, მნახა. „ჩემ მირთმეულ პურმა მე მიპუაო" (იმ.).

მირასი (არ. miras) მემკვიდრეობა, ნაანდერძევი. „ჩემ ლარქსა სიმამრის მირასის მინნეთი არ აქ, თავისიც ბევრი აქ" (იმ.).

მირიგზა (არ. miri — ხაზინისა, სახელმწიფო) სახელმწიფო გზა. „სოფლის ბოლოს გეიარს მირიგზა" (პილ.).

მისათ თავისით, თავისთვის, მისით. „ამას ამბობს მისათ, ვინმედან არ გულუ-გონია" (ად.); „მისათ არ გამუა ეს საქემ, შუაში ჩადგესნა ვინცხაი" (ინ.); „ყუელას მისათ უნდა ყოფნა" (ინ.).

მის დამბურას უკრავ-ს ფიგ. გამ.

თავის ჭკუაზე დადის, შეხედულებას არ იცვლის. „შენ ნათქუამ გეიგონებს თუ? ისევე მის დამბურას უკრავს" (ინ.).

მისთალი თავისით, სხვის ჩაურევ-ლად. „მისთალი გეიტოკვა, გახმა სხალი" (მ.); „მისთალა ფერიშანი გახდა" (მ.).

მისირი ¹ (არ. misir) სიმინდი. „წრეველი მისირი მქონდა დათესილი" (მეზ.).

მისირი ² (არ. misir) ეგვიპტე. „ის ფაშა მისირზე ვაალი იყო" (სტ.).

მისმისათ თავისთვის, სხვისგან დამოუკიდებლად. „მისმისათ მეიფიშმანეს და მემრე გეგიმეღლავნეს" (თ.ქ.).

მისობი დღეში თავის დღეში, სიცოცხლეში. „მისობი დღეში ვერ გეიხარა ზაგულმა" (ინ.).

მისქეთელმა ვაშლის ფიში. „ესა მისქეთელმა ვაშლია, დიდრუან მეივას ისხამს" (მ.).

მისქიამბერი (არ. misk — მუშკი, არ. amber — ამბრის ხე) მუშკი და ამბარი. „სული აქ მისქი-ამბერის" (მ.).

მისხალი (არ. miskal — ნახევარი დირჰამი, 4,8 გრ. ძვირფასი ლითონის ან ქვების ნონის საზომი) უმცირესი რამ. „ერთი მისხალი არ მომწევია მე, ყუელია მავათ შეჭამეს" (ინ.).

მიტავებ მიმეორებ ერთსა და იმავეს, მაძალებ. „რალას მიტავებ და მიტავებო, — გაკუჭიანდა გოგოს ბაბომა" (ტაო.).

მიფეჩევა — ვინმესთვის ძალით ან მოტყუებით რისამე მიცემა (შეჩეება, შესალება). „მის მაიშაში პრატის შეფეჩეება არ მომინადინა კაცმა?" (ინ.).

მიფეჩეველი შესალებული, შეჩევე-ბული. „დანარჩენი გოგვებიც მაგრე არ ყავს მიფეჩეველი ამაიშაზე?" (ინ.).

მიქაილ ლალეფსელამი მთავარი ანგე-ლოზი მიქაილი. „ღმერთ მეღაიქები ყავსო, უნდა დევეჯროთ: მიქაილ ლალეფსელამი, ისრაფილ ლალეფსელამი, ფებრაილ ლალე-ფსელამი..." (ინ.).

მიღლაი მოუნესრიგებელი, მოუქნე-ლი, ზარმაღი, ფიზიკურად სუსტი ადამი-ანი. „ფენა მიღლაი კაცია, ვერ მუაფერა დილლიგი, ვერ ქნა იდარე" (იმ.).

მიღმასან-ი (მთქმელთან მიმართებით) იქით დასახლებული ოჯახი. „მიღმასან მოსაფირი ყავან ამელამ“ (იმ.).

მიღრიბა-ი სუსტი, ნაავადმყოფარი. „სხუაფერი მიღრიბაი ბაღვი ყოლია“ (ინ.).

მიყაბულებით მპაბტიეთ, ჩემგან მიიღეთ, მიმიღეთ (თქუენთ ოჯახში ან ჯგუფში). „ეს ყაბათი მიყაბულებით ღმერთის ხათრისთვის!“ (ინ.); „იმ გაჭირვებამი რომე მიყაბულებთ, ბაბიობა გიმინეთ, ღმერთი დიგინახავს, ინშალამ!“ (ინ.). იხ. ყაბული.

მიშით (მიჟი) გუმანით, აზრით, ფიქრით. „მიშით ვიგნებდით“ (იმ.).

მიშინან თავისი აზრით, თავისი შეხედულებით, გუმანით. „მიშინან მეიგონებს ყუელამფერს და დავარალებს, მოი და ნუ შეგეშინდება აბა?“ (ად.). იხ. მიშით.

მიჩქიმაღავ-ს გადამალავს, მიჩქმალავს. „იმფრა მიჩქიმაღავს იმ თესპასა ე ბაღვი, რომე ველარ ვაგნავ“ (ად.). შდრ. საბა (ჩქმაღვა — მეტად დამალვა).

მიციცხება მიცხვება (შუბზე ან ცეცხლზე). „ცეცხლზე მიციცხება არ დავაგინწყდეს“ (ინ.); „ცეცხლზე მიციცხებიხან ჰემნა ნეისვა ეს მეკლემი და ჰემნა უსული დეიზილო ტყივანაი დერი“ (მეზ.).

მიძრა მიხურვა, მიკეტვა. „ასორი კარის მიძრა ვერ მუუსტრია, შემშპარან გელები“ (ჰ.).

მიძრული-ი დახურული, დაკეტილი. „სულ მიძრული აქუან სახლი-კარი, მათთან მოსაფირი არ ვახსენდება“ (თ. ქ.).

მიწა-მიწა მიძრება ფიგ. გამ. არ იზრდება, პატარავდება. „წრეგლი რაცხა მიწა-მიწა მიძრება ჩუენი გუნდონდი“ (ინ.).

მიწავაშლა-ი მინისვაშლა. „მიწავაშლას ვაზაფხულზე, გამოსულზე ვჭამთ“ (იმ.). შდრ. საბა (მინისვაშლი).

მიწამტყერა-ი მინის მტყერი, მინად ქცეული, გარდაცვლილი. „მიწამტყერაი გახდა ზავალი, ჩუენ ჰალა ცოცხალ ვართ, ამფერია დუნის ხებერი“ (ინ.).

მიწანელი-ი მინის საპონი. „მიწანელი იყო გაღმა დელეში, იმით ბარსამი თავი მაქ ნაბანი, თმების გაცვენის წამალი“ (ინ.). შდრ. საბა (მიწანლები — მინის

საპონი).

მიწრო ვინრო, მოჭერილი. „მიწრო ნინდა ფეხზე თუ დიგისველდა, იმფო მოგიჭირებს“ (მეზ.).

მიწრო გზაში შეხდენა ფიგ. გამ. ვინრო გზაში შეხვედრა, სამაგიეროს გადახდის საშუალება. „ერთი, მიწრო გზაში თუ შემბღი, მემრე მე ვიცი“ (ინ.).

მიწინაპა-ი კარტოფილი. „მარადილღეზი ფათათესსა მიწინაპაი ეტყვიან“ (ბ.); „მაჭიხლები მიწინაპას უძახიან“ (მ.); „მიწინაპას შორვა გაკეთდება“ (მაჭ.); „ბოსტანში გუაქ მიწინაპაი“ (ჰ.).

მიჭახული-ი ერთმანეთზე მიჯრით დაწყობილი, დალაგებული. „ლოგინები მიჭახული არი, ხედამთ?“ (იმ.).

მიჭახტული-ი იხ. მიჭახული. „იმდენი შეშა აქ ეზოში მიჭახტული, რომე ორ ზამთარ გაატანოფს“ (ბახ.).

მიჭიჭყინი-ი მიჯრით მყოფი, ერთმანეთზე ზენოლით მყოფი. „თხა-ცხუარი ერთმანებზე მიჭიჭყინილი არიან, ვერ გუუჩუჩუნინან, დერი არ ყოფინან“ (ად.).

მიჯლებილი-ი საცევაო მელოდა, ცეკვის სახე. „მიჯლებილი ყუელამ არ იცის, ესა ზიოსი სოფლის ყაიდა“ (იმ.).

მიჯინქვა-ა ნიდაყვი გაპკრა, უბიძგა, ანიშნა. „ბაღვი მიჯინქვა იქით-აქეთ, გააფხიზლა“ (იმ.).

მიპირ-ი (არ. mihir) ურვადი, გამოსასყიდი. თანხა, რომელსაც უხდის ქმარი ცოლს გაცელების, დატოვების შემთხვევაში. „მიპირ მიცეს ჩემ აბლასა“ (ად.).

მოათრევენ ცხელ წყალში დაარბილებენ, მოთუთუქვენ. „თეთრ ლახნი თავ მოათრევენ, იმა ჯავთო ჩადებენ“ (მ.).

მობილღა (mobility) ავეჯი. „ძვილაი ევლე მობილღა“ (ინ.).

მოზლარდნი-ს ცუდად დაართავს, ცუდად შეახვევს რაიმეს. „მატყლსა ისე მოზლარდნის, რომე რამეთ არ გამოდგება, სულ ნყდება“ (თ. ქ.).

მოზურკლავ-ს ლამაზად შეახვევს, დაახვევს, დაექცავს. გად. მწ. ჭიდაობაში დაამარცხებს. „ლოგინს იმფრა ლამაზათ მოზურკლავს, რომე მოგანონდება“; „ჰანა

ციცას სალინჯალში ლამაზათ მობურკ-
ლავს“ (ინ.); „იმხელა კაცი მობურკლა და
დადუ ძირში“ (ინ.). მობურკლილი: „კატა-
საეთ მობურკლილა ლოგინში“ (თ.ქ.).

მობლი-ს ერთბაშად მოგლევს ბევრს.
„ტყვილია ნუ ბლი ბალახ, ცოდუა არი,
განვიმდება“ (თ. ქ.); „ეველა მობლის და
მეიტანს თულითული ბალახებს“ (მეზ.).

მობლუნკავ-ს მოხრის, მოდრეკს. „მაგ
იმფერი მარაზია, ინსან მობლუნკავს ნელ-
ში“ (სტ.).

მობლუნძავ-ს მოხრის, მოდრეკს. გად-
მნ. ედს მოახრევენებს. „შვილის დერდმა
მობლუნძა ნელში, რაფერი თავანელი
კაცი“ (ინ.); „თუ ჩამეკვიდა, ფეშინში
ჩუდგა, მობლუნძავს ნელში“ (მეზ.). შდრ.
საბა (მობლუნძვა — მუკლემმოკეცი თო-
ლა).

მობლურჯავ-ს მოკეცავს, დაჭმუჭნის.
„მობლურჯა, ლამაზათ როდი დაკიდა?!“
(იმ.). მობლურჯული: „მობლურჯულა ეს
ბუზმა“ (იმ.).

მოგვიყურებთ სურვილს შევისრუ-
ლებთ (ნახვით, სიახლოვით). „ერთი პაფთა
მი დაჩრი, ძვილია მოგვიყურებთ“ (ინ.).
მოყვირებულ-ი: „ჯერ არ ქვყავაზათ
მოყვირებული, ვერ გივიშვებთ“ (ინ.).

მოგვიკერზე კერძის ჭურჭლები აალა-
გი, სუფრა აიღე. „თუნა ჭამო, ჭამე, თუ
არა და მოგვიკერზე“ (იმ.). მოკერზილი-ი:
„ეს მასა ახლა მოკერზილია“ (იმ.).

მოგვაყურებუი-ს ერთმანეთის ნახვით
აგავსოს, ერთმანეთის ნახვის სურვილი
აგვისრულოს, ერთმანეთის ნახვით გაგვა-
ძლოს. „ღმერთმა მოგვაყურებუი-ს ერთ-
მანები“ (ფათ.).

მოგობავ-ს გორობებს დაფშენის მინის
ნაკვეთზე. „თრაქტორი რომ მოხნავს, გო-
რობები ადგება, იმა მიადგება და ნელ-ნე-
ლა მოგობავს“ (თ.ქ.).

მოგრაგნ-ა მოთელა, დაჭმუჭნა. „ახალი
თეგი ერთ დღეზე მოგრაგნა“ (ინ.). შდრ.
საბა (განგრაგნა).

მოდედლდა-ა კრუხობა მოიწყინა. გად-
მნ. დანყარდა, დამშვიდდა. „ეს კროხი
მოდედლდა მალე, ჭუჭულები არ გამუუ-
შვა“. (მეზ.); „ჩემ ნათქუამზე ცოტა მოდე-

დლდა, დუულინგა“ (ინ.).

მოდიდვანო მოდიდო, მოზრდილი. „კა-
ნაოზი მოდიდვანოებიც არი“ (ინ.).

მოზდო მოზრდილი. „ისა მოზდოა
სხუაზე“ (იმ.); „მოზდო გოგუებ მოზონები-
ან“ (ინ.); „ახალი მოზდები მეშური გახადა“
(იმ.).

მოზეირავ-ს (სპ. zehir — სანამლაევი)
მონამლავს. „მუუკალე ფახირის ყაბში
გაკუთებული კერზი ინსანსა მოზეირავს“
(იმ.). მოზეირილი-ი: „ტიტა მოზეირილისთ-
ვინ კაი დერმანია“ (იმ.).

მოთიფ-ი (motif) მაქმანის სახე, ნახში,
ორნამენტი. „მოთიფებინა მიევაბა ერთმა-
ნებზე“ (თ. ქ.); „მასაროთი მოთიფ-მოთიფნა
მეიქსულს“ (თ. ქ.).

მოთოთეებულ-ი თოხლო კვერცხისებუ-
რი, ნახევრად შემდგარი, ნახევრად მოხა-
რშული. „მოთოთეებული კვერცხი ნამალი
ყოფილა, მოხარშული — არა“ (ინ.); „იარა
ძვილია მოთოთეებულა, თავითავზე მოსლა
დუუწყია“ (ინ.).

მოთორ-ი (motor) მოტორი, ძრავა.
„ახლა მოთორებიც გამოვდა“ (იმ.); „მო-
თორის ხელობა ნეთლეთელმა დამასტავ-
ლა“ (იმ.).

მოთორ-ხიზარ-ი (motor — ძრავა,
hizar — დიდი ხერხი) ძრავიანი ხერხი.
„მოთორ-ხიზარია ახლა გამოსული, იაპო-
ნიადამ მოტანილი“ (მაჭ.).

მოთუთქავ-ს ოდნეუ მოხარშავს. „ფხა-
ლა აზბიშეი მოთუთქავთ“ (ინ.). შდრ.
საბა (მოთუთქა — მცირედ მოხარშვა).

მოკაცო პატარა ტანის კაცი, ახლად
დაკაცებული. „ერთი ქალი, ერთიც მოკაცო
იარებთან სახლში მეგემ“ (სტ.).

მოკერტავ-ს გაამაგრებს (მარილი
ყველს, ნამალი ჭრილობას), სისხლის დე-
ნას შეაჩერებს. „მაგარი ნათხი უნდა ამ
ყველსა, რომე მოკერტოს, თვარა გეიმთხ-
ლევა, გუუშეფს, ლოლო გახდება“ (ინ.).
მოკერტილი-ი: „ახალი ყველია, ახლათ
მოკერტილი“ (თ. ქ.). შდრ. საბა (მოკერტა
— პირის მომატვა).

მოკოჭავ-ს შეკრავს, შეკონავს. „თის
ბარგი ზლიე მოკოჭეთ“ (იმ.). გად. მნ.

ჯადოს გაუქმებებს. „მოკოჭა იმ ჯინდარმა ქალი და ჭკუაზე შააქანა“ (ინ.). მოკოჭილ-ი: „მოკოჭილი ხომ არ ხარ, შენი კაცი რატომ არ გიყუარს?!“ (ინ.).

მოკრეფილი-ი ქალი-ი ჭკვიანი, თავდაჭერილი ქალი. „ჩუენი ძალი კაი მოკრეფილი ქალი დარჩა“ (ინ.).

მოკუნევა-ს მოხრის, მოდრეკს, დააპატარავებს. „დერდმა ბითევი მოკუნეკა ნელში საცოდვაი“ (ინ.). მოკუნევილ-ი: „იმფერი მოკუნევილი აღარსადნა ნეხვიდე!“ (ინ.).

მოლაძღვა-ი მრავალძარღვა (ბალ.). „აქეფრი მოლის ერთი სახელია მოლაძღვაი“ (ბ.).

მოლ-ი ჭლა, თივა. „სოფელ ბაგას ახლა მოლ მოთიბებენ“ (მ.); „ჩუენა „მოლი“ ვიტყვით, „თივა“ არ ევბნევით“ (მ.); „აქეფრი მოლის სახელებია: ხორტი, ჯურჭა, ქათამნაცვრაი, მოლაძღვაი, სამყურაი, თივაქერაი, ქისრიბაი, იონჯა...“ (ბ.). შდრ. საბა (მოლი — ახალი ბალახი).

მოლლა (არ. molla — მთავარი მოსამართლე; მედრესეს მოსწავლე; განათლებული პიროვნება) ისლამის კულტის მსახური, მასწავლებელი. „ჩუენი დედეი ყარაჯიყადას მოლლა იყო“ (თ. ქ.).

მოლაშტრავ-ს იატაკზე წყალს დაღვრის, დასველებს არემარეს. „საჭმლი გაკეთებაში მოლაშტრავს მუთფალსა, ფისი ქალია, თემბელი“ (ინ.).

მოლოქა-ი ბალბა, მოლოქი. „მოლოქასი ფაფა ძუძუს ტკივილ უხდება, შამეიდენა ტკივან გერზე“ (თ. ქ.) შდრ. საბა (მალოქი).

მომკობილ-ი მომარაგებული, ყოველმხრივ მზად მყოფი ოჯახი. „ისინი ფენა მომკობილი არიან, ყასაბადამ ექნება ამოტანილი“ (ბახ.).

მომსახურე დაუნარელი, მომსახურების მოყვარული. „მომსახურე ინსანი რაკაია, ეჯელა მოგართუამს ყუელამფერ“ (ინ.).

მომფერო||მომფერე მოხერხებული, ცხოვრების ავან-ჩაენის მცოდნე. „მათი ქალები ჩუენსავეთ მომფერე არ არიან“ (ინ.); „ზალიან მომფერო კაცი იყო“ (იმ.).

მომცრეველ-ი მოგროვებული, შეკრებილი. „გოგოს ჯეიზი, ყუელამფერი, მომცრეველი აქუნა“ (ინ.).

მომწალავ-ს კომბოსტოს ცხელ წყალში ჩაყრის, წამოადლეებს. „ლახნი თავსა მოწმწალავთ, ტყი ფხალასაც მოვმწალავთ და კერძში ისე ვიხმართ“ (მ.).

მომჭმე მადიანი, ჭამის მოყვარული. „ის თავში ძალუნ მომჭმე არიან“ (თ. ქ.); „მინაზე ნასაქში ინსანი მომჭმეა“ (თ. ქ.).

მომჭმარო დამხმარე, მოადგილე, „მომჭმარო ორი სალთათი ყასს“ (იმ.); „ეს კაცი ჩემი მოჭმაროა“ (იმ.). შდრ. საბა (მომჭმარო — კმარების მოქმედი).

მონაგარი-ი შვილები, შვილთაშვილები; მოპოვებული, შენაძენი სიმდიდრე. „ესენი ყუელაი ჩემი მონაგარი არიან. გაფუთუნებულ ვართ“ (ინ.); „ღმერთმა ჩემი მონაგარი არ შააქამოს მაგას, ცხვირი-პირიდან ნაყრევიოს ღმერთმა“ (ბახ.). შდრ. საბა (მონაგარი — გარჯილობით ნაშოვნის).

მონაგები-ი შრომით, გარჯით შექმნილი სიმდიდრე. „ჩემი მონაგები სხუას რაზუნა მიცევე“ (ინ.). შდრ. საბა (მონაგები — გარჯით ნაშოვარი).

მონაზარდე მოზარდი, ახალგაზრდა. „აბა, მონაზარდე პრატსა რათ უნდა ნუერიანი კაცი!“ (ინ.).

მონათეს-ი ნათესავი. „მონათესებს აპატიებენ, კარქ საქმელ მიართმევენ“ (ფათ.). მონალეზა მოჩვენება. „ღამლამე რაცხა მონალეზა დიმიწყო, შეშინებულის მილოცე, აბლა-ხანუმ!“ (თ. ქ.).

მონალევა-ი 1. ნაბოლარა; 2. ბოლოს დარჩენილი, ნაძირალი. „ეს ჩემი მონალევაი ბაღვი“ (ინ.).

მონუსხავ-ს (არ. nusha — აეგარობი, ჯადო). ჯადოს გაუქმებებს, ცუდად გახდის, თავის ჭკუაზე დაიყოლიებს. „ის ბერი ყუელა გელინებ მონუსხავს და იმსახურიებს“ (ინ.).

მოპილნავ-ს მოსუსხავს, ალერგიას მიცემს, მუნუეებს გამოაყრის. „მაქაქელაი ბალახი ინსანსა მოპილნავს“ (თ. ქ.).

მოპოტავ-ს დახარბებით ჭამს, ყველაფერს ისაკუთრებს, გაუმადლობას იჩენს.

„ეს ბალვი სუფრაში გელივით ჩავარდება, მოპოტავს ყუელამფერ, სხუას აღარ დააკლის ლუკმის ამოღებასა“ (თ. ქ.); „გარეთ წავა, ყუელამფერ მოპოტავს, სახლში მეტიანს“ (ბახ.).

მოყლღემს-ს მოსრესს (ხელით ან ფეხით), მოთელავს. „ჩიჩებებ მოყლღემს და დაყრის, მოყლღემს და დაყრის, რა მარინფეთია ესა, ვერ მივხვტი!“ (ინ.). **მოყლღემილი**: „მოყლღემილი ვარდის ფურცელი გაახმონა და ჩაივითნა შეინახო, ზამთარში კია“ (ინ.).

მორი-ი მსხვილი ძელი; მრგვალი მსხვილი ბოძის ნაწილი, გადანაჭერი. „შემის მორები უწყევია კაცსა კარაპანში“ (ინ.); „შემის მორები ძვილაი დახეთქეს და დააპეს“ (ინ.). **შდრ.** საბა (მორი, ნამორი — ძელის მონაკვეთი, გინა მომრგვალებული).

მორი² (mor) იისფერი, ლილისფერი. „ამასა მორი რენგი ქვია“ (იმ.).

მორავს-ს კაბას, პერანგს... ბოლოს, კიდეს უკეცავს. „კაბის ბოლოს მორავს ახლა, მოლე გაათექმილებს“ (ინ.). **შდრ.** საბა (მორვა — მომრგვალებდა).

მორბედი-ი საოჯახო საქმეების შესრულებაში დახმარების გამწვევი, დამხმარე; მოსამსახურე, მოჯამაგირე. „ბიჭი გაგზდია, მოკსტრია მორბედი“ (ბახ.); „ჩუენ დიდ დღესა მემლექეთში მორბედები ყოლია“ (ინ.). **შდრ.** საბა (მორბედი — მორბენალი).

მორეგავს-ს ჩაჩხავს, ჩაზელს, ჩაღესავს. „ჩემი ნენეი ლობის, ფხალსა შესუნელებამდი მორეგავს“ (თ. ქ.). **მორეგვილი**: „ლაფერაით მორეგვილი ფხალი გერმელი გამოდის“ (თ. ქ.). **მორეგვა**: „ლობისი მორეგვა არ დაგავინყდეს!“ (ინ.).

მორესიტავს-ს (rest — ნარჩენი, ნაშთი) ამოგადებს ცხოვრებიდან, გარიყავს, მოიკეთოს, განდევნის, გულიდან ამოიღებს. „ამას რომე შეიტყოფს, დედაშენი ზათი მოგრესიტავს“ (ბ. ფ.).

მორკოლო|მორკვილო ბოლოკ, მსხვილი ძელის გადანაჭერი. „მაგერ მორკოლი დვია და ჩამოჯექ“ (იმ.); „მორკოლები დოუჭახავან“ (იმ.).

მორჩე-ი მეორედ მონათობი თივა. (პირველად ითიბება აგვისტოს დასაწყისში, მეორედ — სექტემბერში). „თივა, მორჩევიცი“ (იმ.). **შდრ.** საბა (მორჩი — ახალმობარდე).

მოსაბლავს-ს თოკით, საბლით შეკრავს, შეკონავს. **გად. მნ.** თავის ნებაზე ამოქმედებს, დაიმორჩილებს. „მეიყუანა მასთან და იმდენი ელაპირკია, რომე მოსაბლავს კაცი“ (ინ.); „ენით ყუელას მოსაბლავს მაგი“ (ინ.).

მოსამე მოცეკვავე. „წინწინ მოსამე ვიყავ“ (პ.); „მოსამიები მოზდე იქნებიან“ (იმ.); „იმისი მოსამიებიც ინახვის“ (პ.).

მოსასლელი ეშურება ფიგ. გამ. სტუმარს ელოდება, წინათგოძნობა აქვს სტუმრის მოსვლისა. „ცხვირის ნუერი აფხანისებს, მოსასლელი ეშურება, ზაპარ მუა ვინცხაი“ (სტ.).

მოსასწრაფი აქ იხ. მოსასლელი ეშურება. „მოსასწრაფი აქ, პერალდა გერჩექ მუა მოსაფირი“ (ად.).

მოსაფირი-ი (არ. misafir) სტუმარი. „ამელამ ჩემი მოსაფირი გახნი“ (იმ.); „მიღმასანი მოსაფირები წასულებს“ (ინ.).

მოსაფიროდა (misafir — სტუმარი, oda — ოთახი) სასტუმრო ოთახი. „მოსაფირ ოდაში შედით“ (იმ.); „მოსაფირ ოდაში ლამაზ-ლამაზი ქილიმები აქუან“ (იმ.).

მოსინავს-ს სპილენძის ძველი ჭურჭელი საქმელს მონამლავს. „მუჟკალავი ფახირის კარდალაში საქმელი არ გეიკეთება, მოსინავს ილა“ (ინ.). **შდრ.** საბა (სინი — უშავესი რვალი).

მოსინული-ი სპილენძის ძველი ჭურჭლის მიერ მონამლული საქმელი; 2. **გად. მნ.** მოღუშული, ნარბეკრული, უხასიათო. „მაქფერ მოსინულ ქალსა ყუელ დღეი რაფერნა ეჭყირო?“ (ინ.); „მოსინულ საქმელმა ძალი მოკა“ (ად.).

მონეკვაგვს მონყევებს, მოგლეჯს, „პანა თივა მონიკეე ზეინიდან და ხბოს დუუყარე“ (მეზ.). **მოსანეკველი-ი**: „ეს ლახანა ნადრევაი მოსანეკველია დავრგი“ (ბ. ფ.).

მოსერსემო (სპ. *sersem* — გასულ-
ლებული, გაბრიყვებული) ოდნავ ბრიყვი,
ოდნავ სულელი. „შეხედ ერთი, მოსულა
ჩუენი მოსერსემო გელინი!“ (ინ.).

მოსესხარები პროცენტით ფულის გა-
მსესხებლები. „მოვდენ მოსესხარები, ფა-
რას ითხოვენ“ (იმ.).

მოსეფილო (არ. *sefil* — ღარიბი,
სანაყალი, ღატაკი, საპყარი) სანაყალი, ჩუმი,
დარაგრული, გონებასუსტი. „ის ქალი ცო-
ტა მოსეფილო ყოფილა“ (სტ.).

მოსტრილი მოსწრებული, მოზრდი-
ლი. „მოსტრილი შვილები ყავს, რაღა
უშავს?“ (თ. ქ.); „მოსტრილი ყყოფილიყავ,
მევეზმარებოდი ბაბოსა და ყოლაი ნევდო-
და საქმე“ (სტ.).

მოსლანქავ-ს სუფრაზე რაიმეს არ
დატოვებს, ყველაფერს შეჭამს, მოასუფთა-
ვებს. „ძალიან ჭამელაია, ყუელამფერ მო-
სლანქავს, იმითინ გასუქდა ასე“ (სტ.).

მოსოჭავ-ს მოსოჭავს ტოტს ფოთიოლს
გააცლის. „ცაცხვის ჟურესა ზაფხულში
მოსოჭავთ, გავახმობთ და ზამთრითინ
სანარცხეთ შევნახავთ“ (მ.); „მოსოჭა თუ-
თის ჟურერი მატლმა“ (ინ.).

მოსოჭვილი ფოთოლგაცლილი. „მო-
სოჭვილი თელი ჟურერი, თხილი ჟურერი
კალოზე დუფენია და ახმობს“ (იმ.).

მოსრაგნი-ს გათელავს, დათელავს, ფე-
ხქვეშ მოიქცევს. „თუ გაპერსდა, ყუელამ-
ფერ გადმოყრის და მოსრაგნის“ (მეზ.).

მოტრიალებიზან მოტრიალებისას, მოტ-
რიალების დროს. „ხარებსა მოტრიალებიზა-
ნაც „მეიშ“ ეტყვი“ (მაჭ.).

მოტირმულავ-ს (*fırmamak*-მონევა, მო-
ქანევა) თივას ფოცხით მოფოცხავს, ერთ
ადგილას მოუყრის თავს. „მოლ მოტირ-
მულავთ, ხორომ გავაკეთავთ“ (მ.).

მოტორიკი (ეულ. სალანძ. სიტ.) ღლა-
პი, ბავშვი. „მოტორიკი მაგი, მაგას ვინ
ეკოთხვის ჭყუასა?“ (მ.). შდრ. საბა (მოშ-
ტორიკი — წლის მკეცი).

მოტოტავ-ს ვულგ. მოიტანს, თავისთ-
ვის ეცდება, თავისად აქცევს, სხვას ალა-
რაფერს დაუტოვებს. „გელნიჯიკა, ტყიფ-
ხალაი, დვალურაი, ემოთი, ბულღვაი,

ჩიჩეგით ნურვილი — მოტოტე და ამეიტაი
ბოსტინდან“ (პ.).

მოფამფალბული-ი მისუსტებული, მო-
შვებული, დავრდომილი. „მოფამფალბუ-
ლია ზავალი ბერი“ (იმ.).

მოფეხვავ-ს ვულ. ცემს, მიბეგავს.
„ერთ კარქა რომ მოფეხვავს, მემრე მუა
ჭკუაზე“ (თ.ქ.). **მოფეხვილი**-ი მინგრეულ-
მონგრეული. „მოფეხვილი კერე-კუჩხე აქ“
(მეზ.).

მოფორიაქდა სწრაფად მოვიდა. „ისევე
მოფორიაქდა იმათთან“ (პ.).

მოფოლბეული-ი მოშვებული, მოდუ-
ნებული. „მინა სულაია, მოფოლბეული,
მეფოლბეის პერალდა“ (თ.ქ.). შდრ. საბა
(მოფოლბეება — მოშვება).

მოფუჩნილი ჩადრით პირდაფარული.
„ეინცხაი მოფუჩნილი ქალები შევდენ
მიღმა სახლში“ (ინ.).

მოფუხნილი-ი ვინრო, ტანზე მოჭერი-
ლი, მოუმდგარი ტანსაცმელი. „მოფუხნი-
ლი შალები ქალებსაც ჩუუცმან და იარე-
ბინ აღმა-დაღმა“ (თ.ქ.). შდრ. საბა
(მოფუხნილი — ნაოჭის მსგავსად ცუდად
ასხმული).

მოქიფიანებული-ი (არ. *keyif* — გუ-
ნება, განწყობა, ჯანმრთელობა) დასვენე-
ბული, კარგ გუნებაზე მყოფი. „აქერ
კაცებსა მოქიფიანებული ქალები ყავან
სახლში, არ ასაქმებენ“ (ინ.).

მოქიფული-ი საქმლის, კერძის ზედა-
პირზე მოტიფივებული ცხიმი, გაცივებუ-
ლი, ფიქალით გადაკრული. (მოფიქლუ-
ლი — აჭ.). „ამ საქმელსა მოქიფული
აქ ღალი“ (ინ.).

მოქჭამა ჭირი-ი ფიგ. გამ. არ გაგიმა-
რთლა, დაიკარგა, დაილუპა. „მაი ვაზო
ბაღვმა გადმუადგო მასადან და დაფუნჩხა,
მოქჭამა ჭირი!“ (ინ.).

მოლლაბავ-ს ცუდად შეკერავს, მოქ-
სოვს. „იმფრა მოლლაბა წინდა, რომე არ
ჩეიცმის“ (ინ.); „მოლლაბეედენ ქალაბნებ
და ჩეიცუმედენ, მინის სული უდიოდენ
სიკილაში“ (სტ.). **მოლლაბული**-ი: „მაქ-
ფერი მოლლაბული არსად გამეიჩინება“
(თ. ქ.).

მოლმაიოლმა ზმნის. მომდებ, მერე,

გამო, გამოისობით. „შარშანდლოლმა ამას ვაკეთებდით და ძვილაი გავათექმილეთ“ (ინ.); „საქონლიმოდმა სოფელში ყოფნას ვუძღვებთ“ (ბახ.).

მორამავ-ს ღრამით (სატეხით) ამოჭრის, ამოკვეთავს, ამოტიფრავს, „ფიცარს მორამავს, რომე ერთმანებზე კარქა დაშენდეს“ (თ.ქ.); „ღრამ რომე გასჭრის, მორამავს, კედელი ღრამშესმული ამენდება, ზამთარში სიცივეს არ შამუშუშებს“ (იმ.).

მოყათავ-ს მოკეცავს (ძაფს, ნაჭერს, ქსოვილს...), გააორმაგებს, გაასამაგებს. „ლეშიი აგებინან ძაფი მოყათა, გაძლოს, მაგარი იყოსო“ (ინ.).

მოყაუილება ნატვრის ასრულება საყვარელი ადამიანის ნახვის გამო ან სანატრული საქმლით დანაყრების გამო. „გვინდოდა მემლექეთის დანახვა, იქავრობის მოყაუილება“ (ინ.).

მოყრი-ს შეკრებს, შეაგროვებს. „პანა ფარას მოყრის, წავა და იყიდის“ (თ. ქ.); „ყუელა საღამ მოყრის ეზოში ბალეებსა“ (ინ.). მოყრილი-ი: „მოყრილი ყავს გენჯებში და სეირობენ“ (ბახ.).

მოყუდრება მინდობა, თავშესაფრის ნახვა. „ჩემზე მოყუდრება ირჩია“ (ინ.); „წვიმიანში იმ ხის ძირში მოყუდრება გიგვიხარდებოდა“ (თ.ქ.).

მოყურადე მზრუნველი, მომვლელი, მიმბედავი, ყურისმდებელი. „კაი მოყურადე ყავს და კიდევ არ უშავს“ (მგზ.).

მოყურადება ჩუმად მოსმენა, ჩასაფრება, ყურის დაგდება. „დედაბერ ძალიან უყურადეა ჩუნენზე მოყურადება, ყურები სულ კარებზე ქონდა მოჭირებული“ (ინ.).

მოშახო (შახა — ხუმრობა, სიცდელქე) ხუმრობის მოყვარული, ხუმარა. „დედეი მეგემ მოშახო კაცი იყო, ათამაშებდა, აცინებდა ხალხსა“ (ინ.).

მოშუპავ-ს მოანაოჭებს, ფართე პირს (ტანსაცმლის სახელოს, შარვლის ტოტის) მოკრებს, რეზინის გამოყენებით მოსწევს. „ეთეგის სათავეში ლასტიკი გუუყარა და წელზე მოშუპა“ (ინ.). მოშუპვილი-ი: „წელში მოშუპვილი ეთეგი იმფო შიმშანათ მაჩენს“ (ინ.).

მოშუშვილი ყველი გადაზედილი, სპეციალურად დამუშავებული ყველი (იხ. შ. ნიქ.). „მოშუშვილი ყველი ჩვენაც ვიცით“ (იმ.).

მოშუშხავ-ს კანს აუნვაეს, ალერგიას მისცემს. „მაქაქიელმა მოშუშხა ჭალაში, ბოლცები გამომაყარა“ (მ.). მოშუშხვილი-ი: „სურუნჯით პირი მაქ მოშუშხვილი“ (ინ.).

მოჩენებული მიმოფანტული, მიმოწუნეული. „მოჩენებული ხალხი გამუყუანინან აქა“ (მ.).

მოჩიზავ-ს (ჩივი — ხაზი) მოხზავს. „შენ კარქა მოჩიზავ“ (ინ.). მოჩიზული-ი: „ქალიღნე მოჩიზული მაქ ნაქიშები“ (ინ.).

მოჩონჩეება მოშეება, მოდუნება. „მაგ საქმის მოჩონჩეება არ დეიწყო ახლა“ (ინ.). მოჩონჩეებულ-ი: „წინდი ყელები მოჩონჩეებულე გაქ, შეიკარ, რომე ძირთ არ გვეთრიო“ (თ.ქ.).

მოჩონთაი მკეახი, გოგრა. „ჩუნეა მოჩონთაი ვიცი, სხუაგან ყაბალ ებნევიან“ (იმ.); „მოჩონთას ზარში ჩავყრიო“ (იმ.).

მოცადინე ბეჯითი, გამრჯე, დაუნარეული. „მოცადინე ინსანი საყურელია“ (თ.ქ.).

მოცადივი-ი მოცილი, თავისუფალი, რითიღე დაუკავებელი. „ამ ხნის გავსდი და მოცადინე პალა არ ვყოფილვარ“ (თ.ქ.).

მოცეხავ-ს პურის ან ქერის მარცვალს ცოტათი დანაყავს კილის, გარეკანის გაცეპის მიზნით. „დიბეგში მოცეხვე პურიკა-კალი, კორკოტიფინ გავაპაზირე“ (თ.ქ.).

მოცვეთი ერთი-ორი წლის ხბო. „მოცვეთები თუელზე დაგკალით და ჩავაყავრემეთ“ (თ.ქ.); „შარშან ჩუნენსას ერთი მოცვეთი მოკდენიან“ (ინ.). შდრ. საბა (მოცვეთ — საფურე წლამდის).

მოძრავ-ს 1. მოხურავს (კარს, ფანჯარას...); 2. მოყინავს. „თვლიპირზე ბალახსა მოძრავს“ (მ.); „შუადლიგულზე კარებ მოძრავს და დეიძინფეს“ (ინ.).

მოძრული-ი 1. მოხურული; 2. მოყინული. „ჭინკარი მოძრული მქონდა“ (თ. ქ.); „მოძრული ფათათესი საქონელ ვაჭამეთ იმ წელინად“ (მ.).

მონადინე ბეჯითი, დაინტერესებული, მსურველი. „ძალიან მონადინე ქალია, დილილიგა მუაფერებს“ (ინ.). შდრ. საბა

(მონადინე — ნადილის მოქმედი).

მონათხავე-ს თრთვილს, ჭირხლს და-
დებს, ფიფქებს დაყრის. „თუელზე დილ-
დილაი მონათხავს აქავრობას“ (თ. ქ.);
„დილაზე ავდექით, რომე მუწნათხავს
კარქა, აწყალა ფეხისაფარავი გამხდარა“
(თ.ქ.). **მონათხული-** „მონათხულ ოვაში
ცხენები გვეშუეს, ჰამა ვერ ძოვდენ გაყი-
ნულ ბალახსა“ (ინ.).

მონეველი- დინჯი, აუჩქარებელი. „ზო-
ვლი მონეველი ხალხი ვართ“ (სტ.); „ერთი
მონეველი ჭკვიანი ქალი ყოფილა“ (თ.ქ.).

მონევე-ს ტელეფონს დარკავს ტელე-
ფონით. „თურქიემი რომე გადმოხულა,
მომინიე ტელეფონი“ (სტ.); „იმსოლოღში
მონევეს ტელეფონ“ (ინ.).

მონინიღებ-ს ნვეთ-ნვეთობით მოდის,
მონინიწარებს. „მუსულღში წყალი რაპა-
ლებით მონინიღებ“ (ინ.).

მონუფლებ-ი მრ. რ. კაცები, ოჯახის
მამაკაცები. „მონუფლები სად არიან?“
(ტ.).

მონყალენი წყალობის გამღებელნი.
„მონყალენო, შეინყალეთ ეზოში მოსული
თხუელი“ (პ.).

მოჭიმურავ-ს მჭადის გულს მოლუქ-
მავს, ლუქმას გააკეთებს, მოსრემს (იხ.
ჭიმური). „თიბილ ჭად მოჭიმურავს მანო-
ნში და ჰაიდე ბახალომ, გაძლა კაცი!“
(თ.ქ.). გად. მნ. საყვარელ ადამიანს ხელს
მზებევს, მკერდში ჩაიკრავს. „იმხელა ქალი
ჰანა ბალვივით მოჭიმურა“ (თ.ქ.).

მოჭირებული- მკვეთრი ფერის მქონე.
„მოჭირებული ყირმიზი რენგი აქ, ცხვირი
სისხლივით არი“ (ინ.); „მოჭირებული შავი
ჩარი მიწოდდა“ (ინ.).

მოჭიჭმარიქება მონესრიგება, მომკო-
ბა, მოგროვება, სიმედრის შექმნა. „ზო-
ვლი ქალია, მოჭიჭმარიქება უყურას“ (სტ.).

მოჭყუნავ-ს გაახმობს, დაატყნობს, მო-
ყინავს. „სიცხე და სიცივე მოჭყუნავს
ჩირეგებსა“ (ინ.); „გონჯი ენა გულს მოჭ-
ყუნავს“ (ინ.).

მოჭყუნეილი- დამჭყნარი, დამზრალი.
„ჩემი მოჭყუნეილი გული რალამნა გაა-
შელლიგოს?“ (ინ.).

მოჭუჭავ-ს თუალ-ს მოხუჭავს თვალს,
მოჭუჭავს. „თუალებ ნუ მოჭუჭავ, ფეხი

არ წამოკრა მახანში რამეზე“ (ინ.). **მოჭუ-
ჭვილი-** „მოჭუჭვილი აქ ტყვილათალი
თუალები, არ მინავს“ (ინ.).

მოჭუჭკავ-ს მოაგროვებს, შეკრებს.
„მოჭუჭკავს ნიშან-ბოხჩას და ერთიარაი
მიიტანს გელინთან“ (ინ.). **მოჭუჭკვილი-**
„იმდენი წლის მოჭუჭკვილი ყუელამფერი
დეგუნუა“ (თ.ქ.).

მოჭუჭნის ნაოჭებს გაუყეთებს შეკერ-
ვის დროს. „ლალიბა წელში მოჭუჭნის ამ
ეთეგსა“ (ინ.). **მოჭუჭნეილი-** „ამ ბუნძას
გულზე მოჭუჭნეილი აქ“ (იმ.).

მოხელავ-ს პურის ცომს კარგად ამო-
იყვანს, დაამუშავებს. „იმურა მოხელავს,
რომე ხელფეში აასუქეფს ცომსა“ (ინ.); „კაი
გინდა, მაგრათ მოხელავს ცომი“ (ინ.).

მოხრეს-ს მოფუშენის, მარცვლებს გაა-
ცლის, მოსრესს. „სათესლეთ გამხმარი
მაკიდო მოხრისა“ (პ.); „გამხმარი ტალახები
ეზოში ფეხებით მოხრისა“ (თ.ქ.); **მოხრე-
სილი-** „მოხრესილი სიმინდი ქარში გაა-
სუფთა, დაარკვია“ (იმ.).

მოხინძავ-ს თავს წააცლის; სასიკვდი-
ლოდ, ცუდი საქმისთვის გაიმეტებს. „მო-
ხინძა მამალს კისერი დილაზე“ (ინ.); „კაცი
მოხინძა ციხეში“ (ინ.). შდრ. საბა (ხინძვა
— ტომრის პირის წაქერვა).

მოხუცილებ-ი მრ. რ. მოხუცები. „მო-
ხუცილებ ნუ კითხავ, არ ეწყინონ“ (პ.).

მოჯლაგნი-ს ფეხებით გათელავს, შე-
უბრალებლად მოექცევა, დაამცირებს.
„აჯელზე შავა და ჭალას მოჯლაგნის“
(თ.ქ.); **მოჯლაგნილი-** „ქალ რამეს კითხავს
თუ? მოჯლაგნილი არ ყავს ზავალი?“
(ინ.).

მოპაზირებულ-ი (იხ. პაზირი) მომზა-
დებული, გამზადებული. „ზროხა მოპაზი-
რებული ყოფილა“ (ინ.).

მოპლეთი შესაძლებლობა, საშუალება,
დრო. „მოპლეთი ეფიფჯა ქონდენ“ (ინ.).

მოპორი (mühür) ბეჭედი, შტემპელი.
„აქ კლდეზე სამი მოპორია“ (იმ.); „შუიდ
სოფელში მოპორები მოკრია“ (თ.ქ.).

მპირებულ-ი ხელის მოხოველი. „მპი-
რებელი ბეკრი ყავდა“ (ინ.).

მრეშ-ი თეთრისა და შავის საშუალო,
რუხი. „აზრუხი დამნიფებამი მრეშით
არი“ (იმ.); „მრეშე ქარებით მეიტანა“ (იმ.);
„ემეშველი ხელივის პატარაი და მრეშია“

(იმ.). შდრ. საბა (მრეში — რუხი).

მსტავლობელი-ი მასწავლებელი, მცოდნე. „გამხდარა დიდი მსტავლობელი“ (ინ.). მსხლის ჯიშები: ბათმანი, ბანგაი, ბარაქაი, ბებერაი, ბეგარმუდი, ბელლოვანი, ბოსტოლანი, ბოქმუაი, ბუშტაი, გზელაი, გოქსულა, გუერდნითელი, ერბუაი, თავრეჯული, თურქული, თქელეშიაი, იშილდი, კალო სხალი, კეირისთავაი (კუირიშტავაი), კაცითავაი, კოკა სხალი, კუტალაი, მაჭარული, მელახური, ნასხიდი (ნასყიდი), ნამყენაი, ნესვაი, ოდრივლი, პანტა, დალარმუდი, სამარიობო, სასელაი, საქერაი, სანახშირო, სხალთაფლაი, სხალოქრო, სხალსელი, ტალყირანი, ქათამურაი (ქათომორაი), ქეასხალაი, ქოთანაი, ყაბალი სხალი, ყანთარ არმუდი, ყვითელი, ყლარჭაი, ყუდრეთაი, შიშველაი, ღომაი, წარიაი, წითელი, წონოლაი, ქვეჭური, ჯეირანაი, პასან ფაშა სხალი.

მუ-ა მოვა. „ჭოლი ჭალობაზე მუა“ (იმ.).

მუაბეთი (არ. muhabbet) სიყვარულის გამოხატვა, სასიამოვნო, მეგობრული საუბარი. „მუაბეთი კაი ქონდა ზეირალ დედესა“ (ინ.).

მუაბლაცუნებს-ს მოატყუებს, შეაცდენს. „მერიემას ვერვინ ვერ მუაბლაცუნებს“ (თ.ქ.).

მუაზმანებს-ს მოაზომებს, მოარგებს. „მოი, მოგაზმანო ეს ბუზმა“ (პ.).

მუაკალვებს-ს კალოზე გაშლილ თივას, ან სხვა რაიმეს (ჩალას, ნეკერს) ერთ ადგილას მოუყრის თავს. გად. მნ. დაალაგებს, ყოველივეს თავის ადგილს მიუჩენს. „მუაკალვებს ეზო-კარსა და ისე დაუდება სალაპარკოთ“ (ინ.).

მუამლიავეებს-ს ილლით ნაილებს. გად. მნ. ხელს გადახვევს. „დაარიდე! არ მუამლიავეოს პრატი!“ (თ.ქ.).

მუანაგვებს-ს ხბოს დედის ძუძუზე პირს მოაკიდებინებს, ცოტას მოანუებს ამ მიზნით, რომ ძროხამ რძე მაქსიმალურად მოაწველინოს. „ჯერ ხბოს მუანაგვებს და ძროხა რომე ძეს ჩამოყრის ცურნეში, მემრე მონუელის“ (თ.ქ.).

მუანიავეებს-ს გაანადგურებს ქონებას, ფულს, ტანსაცმელს. „მუანიავა ერთ ნელინადზე ბაბოსი მონაგები ქონება“ (ინ.). მონიავებული: „მონიავებული ეზო-კარი რომე დევნახევი, გულზე ეჯელი დემეტაკა“ (თ.ქ.).

მუარეფე (არ. marcf) ნაცნობობა. „ჩემ შვილმა და შენ მუარეფე ქენევით, დელიაპარიკევით“ (ბ.).

მუარებს-ს მოაველებს ზემოდან, დაახამს. „ტფაში მუარებთ ყაბში გარეკილ კურცხსა“ (ხ. ფ.).

მუასარგალებს-ს გაანადგურებს იქაურობას, აღარაფერს დატოვებს. გად. მნ. სუფრასთან გაუმადლობას გამოიჩენს. „მოვდა ხოშკაკალაი და ყანები მუასარგალა“ (თ. ქ.); „იმფრა ჩავარდა უნახავივით სუფრაში, რომე მუასარგალა ყუელამფერი“ (მეზ.).

მუასებეჯი (muhasebeci) ბულალტერი, რევიზორი. „მუასებეჯი ყოფილა ის კაცი“ (ინ.).

მუატარტალინებს-ს (dardağan — მიმოფანტვა, მიმობნევა) მიმოფანტავს, მიმოაბნევს. „მუატარტალინა ბაბასი ოჯალი“ (მეზ.).

მუაქაშუნა ხუმ. მოიყვანა, ცოლად შეირთო. „მე მუაქაშუნე ეს!“ (იმ.).

მუაშუშვებს-ს საჭმელს (ფაფას, ქაშს...) კარგად მოადლებს. გად. მნ. ავადმყოფს ლოგინში წოლით, თბილად ყოფნით მოაჩენს. „ბერე ადულებს და კარქა მუაშუშვებს გადაზელილ ყველსა“ (თ.ქ.); „ჩუენი ნენეი ებე იყო, მელიოგინე ქალსა ლოგინიდან მალე არ ააყენებდა, ლოგინში მუაშუშვებდა, გაასალამებდა“ (თ.ქ.).

მუაჩონჩვებს-ს მოჭერილს მოუშვებს, მოადუნებს. „არტახები მუაჩონჩვე, ბალვსა ძალიან არ ქონდეს მოჭირებული და მაგაზე არ ტიროდეს“ (თ.ქ.).

მუანარნალებს-ს მიაყრის-მოაყრის აქეთ-იქეთ, აურდაურავს ყუელაფერს, დალაგებულს აურევს. „ბაღეები შემძრალან

ოდაში, ჩექმეჯები გამუყურიან და მუუნარნალეზიან იქავრობა“ (თ.ქ.).

მუახამებ-ს (ზამთარში ბოსელში ყოფნით პირუტყვი სიარულს გადაეჩვევა. გაზაფხულის დასაწყისში პირუტყვს ნელ-ნელა შეაჩვევენ ჰაერზე ყოფნას, გარეთ სიარულს, თითო-ორორი საათით გამოუშვებენ ბოსლიდან. ამ პროცესს გამოხამება ქვია) ბოსლიდან პირუტყვს გამოუშვებს მცირე დროით, რომ ბაგაზე ნაბამი პირუტყვი შეეჩვიოს მიწაზე სიარულს. „ერთდრამ მუახამებ საქონელსა და მუალ ისევ“ (იმ.).

მუახანჯალებ-ს შეანჯღრევს, შეანძრევს. „გეიარს, გამეიარს მუახანჯალებს სობასა, მარა მაიც არ ცვიდება ქომურს“ (ინ.).

მუაჯანქვალა შეანძრია, შეაქანა. „ბაღმა ეს ჩიჩეგში შესული ბლისფიდან მუაჯანქვალა და ჩიჩეგები გააყრევია ზავლსა“ (ინ.).

მუბარეკი (არ. mübarek) ბალოცვილი, ბედნიერი, წმინდა, პატივცემული. „მეგემ რაბაზანია მუბარეკი“ (ინ.); „პური ყუღალი მუბარეკია“ (თ.ქ.); „ამ მუბარეკ რემეზანზე შენ კი უყავი შუქური“ (პ.); „ძალიან ცხელა მუბარეკი!“ (ინ.).

მუბარეკ ოლსუნ (mübarek olsun) ბედნიერებაში! ბედნიერად ატარეთ! „ახალი ჯაქეთი იგილია, მუბარეკ ოლსუნ!“ (თ.ქ.).

მუდერისი (არ. müderris) მედრესეს მასწავლებელი, პროფესორი. „ჩემი დიდი დედეი ფადიშაის მედრესეში მუდერისი ყოფილა“ (ინ.).

მუდირი (არ. müdür) მმართველი, უფროსი, დირექტორი, ხელმძღვანელი. „ამას სკოლის მუდირს ეტყოდა“ (იმ.); „ჩუენი დედეი მუდირი ყოფილა ოქელში“ (ინ.).

მუენდისი (არ. mühendis) ინჟინერი. „თავისზე პანაი ზმაც მუენდისია“ (იმ.); „ერთი გოგო მუენდის ყავს“ (მეზ.).

მუზირი (არ. muzir) მანენ, დამლუპველი. „მუზირი კაცია, სახლში არ შამეიშვება“ (ინ.).

მუზევირი (არ. müzevir) მატყუარა, ენის მიმტანი, ჭორიკანა. „ძალიან მუზევირია, მასთან რამე საუჩუმლო არ ითქმება, შავ ზღუაზე გეიტანს“ (ინ.).

მუზული დაბბლა. „დედეს სიბერეში მუზული დეემართა, ფელჩი“ (თ.ქ.).

მუთვალი (არ. mutfak) სამზარეულო. „სახლ აქ მუთვალი“ (მაჭ.); „საჭმელსა მუთვალში გავაკეთათ“ (ბ.).

მუთვალის ყაბყაჯალი (არ. mutfak — სამზარეულო, kapkacak — ჭურჭელი) სამზარეულოს ჭურჭელი: ბარდალი, ბადია, დემლიგი, გუგუმი, თაბლი, თეფსი, თასი, იბრელი, კანაოზი, კონსერი შუშა, კოვზი, კეფჩეი, კარდალა, ლამბა, სპანინი, სინი, სუზგი, საფეკელა, საფლი, ფენერი, ფინჯანი, ქელფეტი, ქუაბი, ყაპვეს ფინჯანი, ყაპვეს დემლიგი, ჩათალი, ყუშხანა, ტაფა, ციცხვი, ჯეზვე... (განმარტებები იხ. ანბანთა რიგის მიხედვით).

მუთლაქა (არ. mutlaka) აუცილებლად, უსიტყვოდ, გადაუდებლად. „შუალ, მუთლაქა, მუალ და ვილაპარაკოთ“ (სტ.).

მუიმი (არ. mühim) საჭირო, მნიშვნელოვანი. „ჩუენი მონრა მუიმი არ არი“ (მაჭ.).

მულადმი (არ. mülayim — სათუთი, რბილი, სუსტი) წყნარი, ჩუმი ხასიათის ადამიანი. „მულადმი ხალხი ყოფილან ესენი“ (ინ.). „ჯელლი კუდიანები ყოფილან, მულადმი ხალხი“ (პ.).

მულევესი (mülevves) ბინძური, ჭუჭყიანი. „ბაღვები მულევესი გამხდარან“ (ინ.).

მუმ (არ. mum) სანთელი. „ამ მუმე ბსა ქილისაში ანთობდენ“ (სტ.); „სინათლე მუმსავეთ ეგფარება“ (პ.); „ყირმიზ მუმე ბითნა ქპაიჯო თუ?“ (ინ.).

მუმლი ნვრილი მწერი. კოლო. „ზაფ-

ხულში ჩუენსა ბეერია მუშლი“ (იმ.). შდრ. საბა (მუშლი — კოლო).

მუნასიბ-ი (არ. munasip) შესაფერისი, ღირსეული, შესაბამისი, ხელსაყრელი. „მუნასიბი თუ გამოძინდა, პრატი გავათხვონა“ (ინ.).

მუნაფიყ-ი (არ. munafik) ცილისმანამებელი, შფოთის თავი. „მუნაფიყი არიან იმათი თახუმი, შორნა გუუარო, თვარამ ბელას განახიებენ“ (ინ.).

მუნიბუს-ი|მუნიბისი (minibus) პატარა ავტობუსი. „მუნიბუსით ამოვდენ გუშინ“ (მეზ.); „მუნიბისიდან დუუნახვან“ (ინ.).

მუნქურ-ი (არ. münkir) უკმაყოფილო. ყველა სიკეთის უარყოფელი, სიკეთის დაუნახველი, უმადური. „მეგ მუნქურია, მადლ არ დიგინახავს, გული რომე ხელი-გულზე დუუდვა, მისი ცხვირი მაიც არ გასწორდება“.

მუჟდა|მუჟდე (სპ. mujde) სიხარული, სასიხარულო ცნობა. „ქემალას თელი უქნია, მუჟდე უყავით სახლშიო“ (იმ.); „მელაი ნავა წინ მუჟდაზე“ (იმ.); „მუჟდე იყოს ეს შენთინაო“ (თ.ქ.).

მუჟდა ბალიში-ი სამახარობლო ბალიში. (ამ ბალიშს აკეთებს პატარძალი, ნაქარგებითა და მაქმანით აწყობს. მაყარი რომ სიძის ეზოში მივა (ბალიში მოაქვს პატარძლის ძმას), სიძე გამოეგებება მაყარს გარეთ და ეპატიუება სახლში. ამასობაში პატარძლის ძმა მოულოდნელად სტყორცნის მუჟდა ბალიშს სიძეს. სიძე, ამის მოლოდინში, მზად უნდა იყოს და ხელით უნდა დაიჭიროს ბალიში. სიძის უყურადღებობის გამო ბალიში თუ ძირს დავარდა, ეს ითვლება ცუდი ამბის მაუწყებლად (სიძე ვერ მოუვლის პატარძალს და პატარძალი უღალატებს ქმარს). ამიტომ სიძე ყოველთვის ეცდება, ძირს არ დაუვარდეს ბალიში, არ შერცხვეს). „მუჟდა ბალიში ქორწილზე დოდიფლის შმას მოქონდა“ (იმ.). იხ. ბორდა ბალიში.

მურამი სანთელი (მწუხრის სანთელი).

„დემენტო წმინდა მურამი“ (ან.).

მურადი (არ. murat) 1. სურვილი, მიზანი, მისწრაფება. „კარგ მურადზეა შმდგარი, ღმერთმა ხელი უწყოს“ (ინ.); 2. მამაკაცის საკუთარი სახელი. „მურად-ახებს ბაბი ხარ?“ (ბ.).

მურაჯათი (არ. müracaat) მიმართვა, მოთხოვნა, შეკითხვა. „მურაჯათი ქენ ქალიდები?“ (ინ.).

მურგვი დახვეული ძაფის გორგალი. „მურგვები პავლში მქონდა დანყობილი“ (თ.ქ.).

მურდალი-ი (სპ. murdar) ქუქყიანი, უწმინდური, საზიზლარი. „მაგ მურდალი სახლში არ დამანახვო!“ (თ.ქ.).

მურექეფი-ი (არ. mürckcep) მელანი. „შავი მურექეფით დუუნერავს“ (ინ.).

მურეშა-ი მრეში ფერის პირუტყვი. „ერთი მურეშაი ხარი გამუშუვეს ახორი-დამ“ (ად.). შდრ. საბა (მურეშა — ნითელ-შავი, მრეში).

მუს-ი (არ. muz) ბანანი. „ჩარში მუსი უულიან ბაღებსა“ (სტ.).

მუსა ფეღლაშბერი (Musa Peygamber — მუსა წინასწარმეტყველი) მოსე წინასწარმეტყველი. „ღმერთ გამჩენელმა თევრათი მუსა ფეღლაშბერ გამუშუზავენა“ (ინ.).

მუსადე|მუსაადე (არ. müsaade) ნება-რთვა, თანხმობა. „ერთი თუე მუსადე მომეციო“ (მაჭ.); „მოგიყუნა ღმერთის მუსადეთი“ (ინ.); „მაშინ ეილეს მუსაადე“ (ინ.).

მუსანდარა (musandira) კედელში დატანებული კარადა, რომელსაც იყენებენ უმთავრესად ლოგინის შესანახავად. „ძუელ სახლში მუსანდარა ქვეონდა“ (თ.ქ.); „ჩემ ოდაში მუსანდარა, ვუყურეფ და არსად არა!“ (თ.ქ.). შდრ. საბა.

მუსაფირ-ი (არ. misafir) სტუმარი, გამვლელი. (იხ. მოსაფირი). „მეიტაი, დავანახვით მუსაფირსა“ (იმ.); „წრეველი ბეერი მუსაფირი ქვეავდა“ (სტ.).

მუსაფირ ოდა იხ. მოსაფირ ოდა.
„სახლსა აქ მუსაფირ ოდა“ (იმ.).

მუსელლეთი (არ. musallat) შფოთის
ამტეხი, თავდამხმელი, ვერაგი. „იმიტყდა
ერთი მუსელლეთი“ (სტ.); „ძალიან მუსე-
ლლეთი კაცია მეგა“ (სტ.).

მუსეფერ (buscfer) ამჯერად, ამჟამად.
„ხისიმობა არი, მუსეფერ გონჯი არ
გაეხდეთო, ახალ დოსტობას იმითჳინ არ
იჯებიან“ (ინ.).

მუსლიმანი-ი მუსლიმანური სარწმუნო-
ების მქონე, მიმდევარი. „ვიცნ რომ ვართ
მუსლიმანები, ღმერთ შვეთხუთ იმანები“
(მეზ.).

მუსლული (musluk) ონკანი. „ეს მუს-
ლულია, წყლის ადგილი“ (იმ.); „ესეც
მუსლულია, ჩემესაც ვეტყვი“ (იმ.).

მუსმარ-ი (არ. mismar) ლურსმანი.
„დიდ მუსსა „მუსმარ“ ვეტყვი“ (იმ.).

მუსტალი (არ. mīstāli — კმაყოფილი,
დაკმაყოფილებული) ახი (ჯავრის ამოყრის
მიზნით ნათქვამი — ახია მაგაზე!). „ადექ
და მოპარე, მუსტალია მაგაზე!“ (მეზ.);
„სოფელზე მუსტალია“ (ინ.); „მუსტალი
ქნია იმაზე!“ (ედ.); „უსეინამ მუსტალი
ქნა“ (თ.ქ.).

მუტრუკ-ი ვირის შვილი. „მუტრუკი
დამრჩალა ცოცხალი“ (იმ.).

მუუბაზუნებ-ს ჯოხით ცემს. „შქერებ
დაგლეჯდა და მოგვიბაზუნებდა“ (იმ.).

მუუდინგლებ-ს (dinlemek — მოსმენა)
მოუსმენს. „ეს ბანთი მუადინგლები“
(მეზ.). „ვინმესთან არ მუუდინგლებია“
(სტ.); „მე მუუდინგლევი ბევრჯელ“ (ინ.).

მუუფერებ-ს მოუხერხებს, ხელს შეუ-
წყობს, საქმეს გააკეთებინებს. „იმასა რა
უნდა, ანაი-ბაბოი თავზე ყავს დამდგარი,
ყულამფერი მუუფერდება“ (ჰილ.); „ანა-
მისმა მუუფერა ყულამფერი“ (ინ.); „ჯთიმ
ბაღესა ვინა მუუფეროს ქალი მოყუანა?“
(ბაბ.).

მუუფორავ-ს ობი, ფორი მოუკიდებია,
მოუობავს. „ჟავიანი დერგის თავი მუუფ-

ფორავს“ (ინ.).

მუუფევართუნ-ა ჯოხით ან ქაპრით...
ცემა. „იმფრა მუუფევართუნა კანჭებში,
რომე ბალვი ძალღივით აყვირა“ (სტ.).

მუულავლა-ა შურით, სიხარბით ილა-
პარაკა ვინმეს ან რაიმეს შესახებ. გათვალა
ლაპარაკით. „მაგან თუ მუულავლა, ის
საქმე ხეირს აღარ იქს“ (სტ.).

მუუჩალუმდა-ა (çalım — შემთხვევის,
მომენტის გამოყენება, შემთხვევით სარგე-
ბლობა, მომენტის ხელში ჩაგდება) დრო
შეურჩია, დრო იხელთა. „მომიჩალუმდა და
კიდევ მკითხა“ (ინ.); „თუ მოგიჩალუმდა,
ტყევე გაგბდის, არ შეებრალემა მაგას
ინსანი“ (ინ.).

მუუცალწვერა-ა ხერტილიდან ამოხვევის
დროს ძაფი ორწვერი ან სამწვერი გახადა,
ძაფს ძაფი მიუტოლა და ისე ამოახვია.
„ორყათი ზაფი დარჩება, სამყათი გახადე,
მუუცალწვერე ერთი კიდევნ“ (ინ.).

მუუძრავ-ს მიუხურავს, მიუეკტავს კა-
რი. „მუუძრავს კარები და დამედარა
მარტვაი სახლში“ (ინ.).

მუუნი-ა ტელეფონი დაურეკა ტელე-
ფონით. „საზლუარს რომე გადმოხუალთ,
ტელეფონი მიმინიევი“ (სტ.).

მუუხელფეზოს-ს ხელი გაუმართოს, სა-
ქმის შესრულებაში დაეხმაროს, შეუსაბა-
მოს. „მეჯბური მუუხელფეზონა სობას და
დანათო ცეცხლი“ (ინ.); „დედამისმა მუუ-
ხელფეზა, ხელი შეუწყო და გააქცია ციცი
კაცთან“ (თ.ქ.).

მუუხტა-ა მიუხედა, გაუგო. „ამ მარაზსა
თუ მალე მუუხტით, შაბ ჩავაყრით მანო-
ნში და იმა შავასუამთ ზროხასა“ (ინ.).

მუუფთ-ი (არ. müftü) უმაღლესი სასუ-
ლიერო პირი, მუსლიმანური სარწმუნოე-
ბის, კანონების, შარიათის მცოდნე. „ჩემი
ხალაშვილი, სტამბულელი ჰუსეინ-ეფენდი,
მუუფთია“ (ბაბ.).

მუუფლუზ-ი (არ. müflis) გაკოტრებული,
გალარბიებული. „მაგენი თლათ მუუფლუზი
გახდენ, ვერ მუაფერეს იდარე“ (ინ.).

მუფსიტი (არ. mufsit) ცუდი, ნამხდარი, შფოთის თავი. „მაგ თახუმის კაცები ყუელი მაქვერი მუფსიტები არიან“ (ინ.).

მუქაფათი (არ. mükafat) დაჯილდოება, ჯილდო, პრემია. „იმისი მუქაფათი, ბერეკეთიანი დეინახოს“ (ინ.); „იმისი სისწორისი მუქაფათინა დეინახოს“ (ინ.).

მულელიმი-ი (არ. muallim) მასწავლებელი. „ჩანს აკეთებებს აგზე მულელიმი ბალეებსა“ (იმ.).

მუყიათ გახდომა (არ. mukiyat) გამოზოგვა, დაზოგვა, ყიარათიანად ხარჯვა, გაფრთხილება. „მუყიათნა გუუხდე ყუელა-მფერს“ (ინ.); „მუყიათ გუუხდი, მალ არ დეგელიოს“ (ად.).

მუშმულა (muşmula) ზღმარტილი. „მუშმულა არი აქა-იქ, ზამთრი პირზე მოცკრეფთ, ზამთარში დამნიფდება“ (იმ.).

მუშამბა (არ. muşamba). „ძირთ დაგებული მუშამბა ცივია, ჩეიცვი ფეხზე“ (თ. ქ.); „სანთელ გავადნობთ, იმაში დავასველეფთ ბეზსა, ამას ვეძახით მუშამბას“ (იმ.).

მუშტუკი-ი 1. მუნდმტუკი; 2. ნისქვილისი, ავანისი ნანილი. კერძოდ, ნისქვილისი კოდში დაკეთებული მილი, რომლითაც კოდში დაგუბებული წყალი ხედება ბორბალს და აბრუნებს. „ავანისი მუშტუკი გამუარდნილა და წყალი ტყვილაი დის“ (თ. ქ.).

მუცელში გარცხა ფიგ. გამ. 1. შეშინდა, შიშისაგან კანკალი დაიწყო; 2. კუჭი აეშალა. „იოფრა იყვირა, რომე ბალეები მუცელში გარცხა“ (ინ.).

მუხი-ი (არ. muhyi — გამამდიერებელი, გამამაგრებელი) ლურსმანი. „მუხი ადვილათ დეეჭელება“ (ინ.).

მუხაბერე (არ. muhabere) მიმონერა, აზრების გაცვლა. „მუხაბერე ქენეით, დელაპარიკეთ, ხისიმობა გააწყეთ“ (ბ.).

მუხლი-ი მუსლიმანური ლოცვის პროცესის მონაკვეთი (ლოცვა სრულდება მუხლმოდრეკით, მუხლმოყრით: პერიოდულად

გაიმართებიან მლოცველები წელში, ფეხზე დადებიან, პერიოდულად მუხლს მოიყრიან. ზოგიერთი ლოცვის ფაზი ხუთ მუხლიანია, ზოგიც — მეტი) „სიდი პილაი დლოფალთან რომ შეედოდა ოდამი, დოდოფლის კაბაზე ილოცედა ორ მუხლსა, ღმერთ შეეხენებოდა და ისე მიედოდა ქალთან“ (თ.ქ.).

მუხლისი-ი (არ. muhlis) სუფთა, წმინდა, ანკარა, თავდადებული. „მე ხალისი, მუხლისი გურჯი ვარ“ (სტ.).

მუხლში ჩაუდუმლება მელოგინე, მშობიარე ქალის მდგომარება მშობიარობის დროს ხალხური მედიცინის მიხედვით. „ქალსა მუხლში ჩაეაუდუმლებდი და ადვილაი ვაშონიები ბალესა“ (თ.ქ.).

მუხტარი-ი (არ. muhtar) მამასახლისი. „ჩემი კაცი ნრეული მუხტარი გახდა, სეჩიმით მეიგო“ (თ. ქ.). **მუხტრობა**: „ცამეტ წელნად სოფლის მუხტრობა ექენ“ (იმ.).

მუხტიაჯი მუხტაჯი (არ. muhtaç) დახმარების თხოვნა, გაჭირვებაში შველის საჭიროება. „სხუაზე მუხტაჯი არ გახდე და, ისეჟმონა ბევრი“ (ინ.); „სხუაზე მუხტიაჯი ჩუნა არადროს არ ვყოფილვართ“ (თ.ქ.).

მუჰამედ ფეჟლამბერი-ი (hazreti Muhammet peygamber) მუხამედ ნინანსარმეტყველი, მუსულმანური სარწმუნოების ფუძემდებელი. „ამას მუხამედ ფეჟლამბერი ასე ბძანობს“ (ინ.).

მუჰაჯირი-ი (არ. muhacir) ემიგრანტი, გადასახლებული, სამშობლოდან გადახეწილი. „მუჰაჯირები დაფუშეს, დაამორვეს ერთმანებ, ზოგი აქ დააეღუმლეს, ზოგი — იქ“ (თ.ქ.); „რომე იცოდე, რა ნარეა მუჰაჯირათ ყოფნა!“ (ინ.). **მუჰაჯირობა**: „მამინ აჭარაში მუჰაჯირობა ქნილა“ (ინ.); „მუჰაჯირობაში მეჯარაშეთ, ბარსამი ლეზაბი გავნიეთ“ (თ.ქ.).

მჭახე მკვახე, შემოუსვლელი, მჟაფე. „მჭახეს არ შევსჭამ“ (მ.); „სიცხეში მჭახე დოს შევსუამთ“ (იმ.). **შდრ.** საბა (მჭახე-

ლვინო მოძმარებუღვივით, უმწიფარი ყურ-
ძენი, ისრიმი).

მჭახურ-ი ლარიბი, მოუსაღლიანი. „ცო-
ტა მჭახური სოფელი აქუან“ (ბ.); „აქვე-
რობაში თოფრალი მჭახურია“ (მ.).

მჭორავ-ს 1. ხის ჭურჭელს ალბობს
მასში წყლის ჩაყენებით; 2. მხალეულს
წყალში რამდენიმე საათით აჩერებს, რათა
ბალახეუღისათვის დამახასიათებელი სიმ-
წარე გამოუყვანოს. „გამოსულზე ცარიელ
ხის ყაბებში წყალ ჩავაყენებდით, ემჭორე-

ვდით, რომე გასივებუღიყო ყაბი და
შრავი აღარ გადენოდა“ (თ. ქ.); „გენიღი
მოხარშულ პრასასა მჭორავს ერთი-ორი
დღე; რომე სიმწარე გამუყუყუნოს და
გერმელი უავე გამოედეს“ (ინ.). გამომჭო-
რიღი: „გამომჭორიღ ყაბებ თაზე ნეღღე-
ბდით და იმაში უხდურ მუამცრეღვდით“
(ბახ.).

მკრებ იმტრია ფიგ. გამ. მხრები
აიჩეჩა, გაიკვირვა, იუარა. „მკრებ იმტრია
დოდოფალმა“ (იმ.).



ნა „უნდა“ ზმნის შევეცილი ფორმა, ნაწილაკად ქვეული. (უნდა → ნა) „მე-კითხონა ჩემი საქმე“ (ინ.); „ეს წიგნინა ვიყიდო“ (ინ.); „ბათუმნა წვეცი“ (იმ.).

ნადრევაი სხალი მსხლის ჯიში. „ნადრევაი სხალი არი ჩუნესა, სხუა რამეს არ ვუძახით, ასე ვებნევით „ნადრევაი სხალი“ (მ.).

ნაბაგ-ი პირუტყვის ბაგაში დარჩენილი საკვების ნარჩენები. „ნაბაგი ორი ყისშია“ (იმ.); „ნაბაგსა სანებეზე დაყვრით და დალპება“ (ბახ.).

ნაბადაი ვაშლი ვაშლის ჯიში. „ნაბადაი ვაშლი დიდი ხე იზდება“ (იმ.).

ნაბასტი-ი ძლიერი მენსტრუაცია (ხანგრძლივი). „დასაბანელი იმიტყდა, ნაბასტი“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ნაბასტაი, ტაბასტა — სისხლის დინება).

ნაბეჟარა-ი ხეხილის ძირში ქარისაგან ჩამოყრილი ნაყოფი (ანდა სპეციალურად დარეკილი ნაყოფი). „ნაბეჟარაი ხილი არ შეინახვის, მალე დალპება“ (მეზ.).

ნაგაზი-ი ძალლი, ძალლის შვილი (გამოიყენება საგინებელ სიტყვად). „ჩემო ნაგაზო, რაფერ არ ქცხუნენია, ამ საქმეს რომ იჯებნი?“ (ინ.). შდრ. საბა (ნაგაზი — ძალლი).

ნაგერალი-ი შემოდგომით მიწაში დარჩენილი ნაყოფისგან აღმოცენებული მცენარე (სპეციალურად დათვისის გარეშე). „თავითალაი ამოსულა ნაგერალი მიწისბაი“ (იმ.). შდრ. საბა (ნაგერალი — დაუთვისელებად მოსული).

ნაგუზალი-ი მუგუზალი, ნამწვი შეშა. „გამოყარე ნაგუზლები და დაანელე, ტყვილი ნუ წუავ შეშას!“ (ინ.). შდრ. საბა (ნაგუზალი).

ნადი-ი მამითადი (კოლექტიური შრომის სახე). „პური ჭრაში ნადი მყავდა, ჩამუერიგე თითო ვაშლი“ (ინ.). შდრ. საბა (ნადი — მუშაკნი შყვრილნი).

ნადიდე (სა. nadide — იშვიათი, ძალიან ფასეული) ქალის საკუთარი სახე-

ლი. „ნადიდე ხანუმის უმფოსი ბძანებულა“ (ინ.).

ნადიმ-ი (არ. nadim — მონანიება, სინანული) მამაკაცის საკუთარი სახელი. „ნადიმი კაი სახელია, დაარქვით ბაღესა“ (სტ.).

ნადოდოფლარი-ი დედოფლობის დროს გამოყენებული (ჩასაცემელ-დასახურავი, სამკაული). „ჩემი ნადოდოფლარი კაბით შუიდი დოდოფალია მოსული ამ სოფელში“ (თ.ქ.) შდრ. საბა (ნადედოფლარი).

ნავროზობა (სა. ტაჯ. nevruz = nev — ახალი, ruz — დღე) მზის წელიწადის ახალი წლის დღესასწაული, 22 მარტი, გაზაფხულის ბუნიობა. ეს დღესასწაული ცნობილი იყო ჯერ კიდევ აქამენიდების სახელმწიფოში (სპარსეთში, VI—IV ს. ს. ჩვ. წ. აღ-მდე). „ოზდარი მარტი ნავროზობა არი. იმ დღესა ყიზილბაშების ბადრამია, არ ისაქმებენ, მარტო სეირობენ, ჭამენ-სმენ, ითამაშებენ“ (პ.). შდრ. საბა (ნავროზი — სხვათა ენაა, ქართულად ბუნიობა ქვიან).

ნაზამორი-ი ზამთარგამოვილი. „ნაზამორი საქონელი ზადფი არიან“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ნაზამორი).

ნაზიმ-ი (არ. nazim — წესრიგი) მამაკაცის საკუთარი სახელი. „ნაზიმ-ეფენდი ხოჯათ დამდგარა“ (ად.).

ნაზარი-ი (არ. nazar — შეხედვა, თვალის მიპყრობა, შეხედულება). ავი თვალთ შეხედვა, გათვალვა. „ეს ტკივილი გონჯი თუალის ნაზარია, მოი, ერთი გილოცო თუაღნაცემისა!“ (ად.); „ეს ყუე-ლაი იმათი ნაზარია, იმათ გამეცს მჭირს ეს საქმე“ (ად.).

სუფხანე (არ. suphanallah — ღმერთო ჩემო!) 1. არაბული ლოცვის სახელი; 2. გად. მწ. არაფრის მქონე, მხოლოდ ღმერთის შემყურე. „ჩვენები მეგემ მემღელქეთიდან ბითუეთ სუფხანე გადმოვდენ“ (ინ.).

სუქუთი (sükütü) წყნარი, ჩუმი, მღუმარე. „ეს ზალი თლათ სუქუთია“ (იმ.).

სუქუთათ წყნარად, ჩუმად. „ბაღეები სუქუთათ ზიან“ (იმ.).

სუჩი (suç) შეცდომა, დანაშაული. „ჩვენი რა სუჩია, რომე მუსლიმანი გავმხდარვართ?“ (სტ.); „ამა რა სუჩი აქ?“ (იმ.); „სუჩი თავისია“ (იმ.); „აფხაზები დუნიადა სუჩ არ ეიღებენ, არ იყაბულებენ“ (ინ.).

სუჩლი (suçlu) დამნაშავე, შემცდარი. „სუჩლი თავათ არიან, ბაკალას ნუ აბრალიან ტყვილათალი“ (იმ.).

სუჯული (sucuk) ძეხვი (სუჯული). „სუჯული გოფუკეთებიან საზამთროთ“ (ინ.).

სხალსეული მსხლის ჯიში. „სხალსეული ისეთიან ქვია, რომე სელობაზე მოდის“ (მ.).

სხალოქრო მსხლის ჯიში. „სხალოქრო

ეზოში გვედგა და შარშან თოვლმა მოტე-
ხა“ (მ.).

სხვათერეფ სხვამხრივ. „სხვათერეფაც
ითქმევინება ესა“ (ინ.); „სხვათერეფ ნულარ
ლაპარიკოფ“ (ინ.).

სხვისი კვერ-ი ფიგ. გამ. სხვის ოჯახში
ნასასვლელო, ქალიშვილი. „სამნივე სხვისი
კვერი ქყოლია“ (ინ.).

სხვისი ლუკმა ფიგ. გამ. ქალიშვილი.
„გოგომეილი — არაშვილი! სხვისი ლუკმა
მე რაზუნა ვზარდო ამდონი?“ (ინ.).

სხვირათოქორი (არ. sirat — ძნელი,
საშიში გზა; k̄nprl — ხიდი). სხვირათის
ხიდი — ჯოჯოხეთზე გადებული ხიდი,
სამოთხისკენ მიმართული, ბენვის ხიდი.
(მუსლიმანური რელიგიის მიხედვით, სხვი-
რათის გზა საშინელი და მძიმეა. ჯოჯო-
ხეთის საქვაბეზე, რომელშიც შავი ფისი,

კუპრი დულს, გადებულია ბენვზე სუფთა
და ხანჯლის პირზე უფრო ბასრი სხვირა-
თის ხიდი. მასზე თავისუფლად გაივლის
ამქვეყნად სიკეთის, მადლის მხვეჭელი
ადამიანი. ცოდვით დამძიმებული ადამიანი
კი ვერ გაივლის და ჩავარდება მდულარე
კუპრში, ჯოჯოხეთში). „ადვილაი გვირბე-
ნებ იმ წმინდა სხვირათს“ (იმ.); „სხვირათის
ხიდზე ვერ გეიარს“ (პ.).

სხვირილი-ი მსხვილი. „ჩოუყრია სხვირი-
ლი ჭადი“ (იმ.).

სწორი (ჩვეულებრივი მნიშვნელობის
გარდა) საღი, კარგი, მართალი. „სწორი
ყარფუზი მომეც!“ (იმ.).

სწორ პური სუფთა პური. „ვიციტ
ჭვავი, ქერი, ულაფი, სწორ პური“ (მ.).

სხუანები-ი სხვები. „სხუანები პა წეყ-
ვაი?“ (ინ.).

ტ

ტაბან-ი (taban) ფეხის გული, ტერფი,
ლანჩა. „ნუ გიგიშლია ფეხის ტაბანი“
(მეზ.).

ტაბანჩა (tabanca) პისტოლეტი, რევო-
ლვერი. „ტაბანჩა ნელზე ქონდა გამოკი-
დული“ (ინ.).

ტაბალი-ი პირუტყვის დაავადება, თურ-
ქული. დაავადება ჩნდება ჩლიქებსა და
პირის ღრუში. „საქონელსა ემართება ტა-
ბალი“ (ინ.).

ტაბელა-ი ბალახი, ჩადუნას მსგავსი.
„ტაბელა ბალახსა მოვხარშევი ქუაბითა
და ჩავანენდი ავატყოფ ბალეებსა“ (თ.ქ.).
შდრ. საბა (ტაბელა).

ტაბუსუნა მკვების კერძი. „ხაპიდან
ტაბუსუნა კეთდება. ხაპ მოხარშვენ ძეში,
პანაი შექერინა უროთ“ (პ.); „ვიციტ ჯაპნი,
ტაბუსუნა“ (მაჭ.). შდრ. საბა (ტაბუსუნი-
სალათა ზეთ-ძმრიანი).

ტაბუსა-ი მსუქანი ბავშვი. „პანაი
ტაბუსაი ბალვი მიეყუნა“ (თ.ქ.). შდრ.
საბა (ტაბუსი — მრცხელის სატყეპელი).

ტადო-ი უფროსი ძმა. „დიდ ზმასა
ტადოს ვეტყვი“ (იმ.).

ტავარჯული-ი ტყავის ჩანთა, მხრიო

სატარებელი, ვაშკარანი. „ჩოუდვია კშიადი
ნატეხი ტავარჯულში“ (იმ.); „ტავარჯულში
ჩოუდვია კატა“ (ინ.). შდრ. საბა (ტავარ-
ჯუხი სომხურია, ქართულად ხალთა პქეი-
ან). ნ. მარი. იმერხ.

ტავშანი-ი (tavşan) კურდღელი. „აქა
ტავშანიც არი“ (მაჭ.); „ტყეში ტავშანი
ბევრია“ (იმ.).

ტათლი (tatli) ტკბილი, გემრიელი.
„ზორ ტათლის არ შევცხამ“ (მ.).

ტათლიჯი (tatlic) ტკბილეულის გამ-
კეთებელი (მწარმოებელი) და გამყიდველი
(ტკბილეულით მოვაჭრე). „უსეინი ტათლი-
ჯი არ არი“ (ინ.).

ტაიაი (dayi) დედის ძმა, ბიძა. „ჩუნეა
ტაიაი ვიციტ“ (ბ.); „ნენეს ძმას ტაიას
ვეტყვი“ (ბ. ფ.).

ტაიაშვილ-ი დედის ძმის შვილი. „ტა-
იაშვილი საყურელია“ (პ.).

ტაკვი-ი 1. მოკლე ხელი, თითებნაკვე-
თილი. 2. ვად. მწ. პატარა ტანის ადამიანი.
„პანაი ტაკვი, მაგას ვინ ნაყუება?“ (ინ.);
„პან-პანაი ტაკვები აქ, თოფ ნუუნყეპტა
თითები“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ტაკვი —
კელ-მოკვეთილის მკლავი).

ტაკვეცი-ი 1. კომბლის მსგავსი კეტი, რომლის ცემით ფშენიარ ტაროდან სიმინუს. 2. გად. მწ. მაგარი აღნაგობის, ტანდაბალი ადამიანის აღმნიშვნელი. „ნენი გამომეკიდებოდა ტაკვეცი“ (სტ.); „ტაკვეცი! მაგას რაფერ მეერევი შენ?“ (თ.ქ.).

ტაკოზ-ი (takoz) სქელი ძელი, მორი, რომელიც გამოიყენება სახლის მშენებლობისას ძირითად საყრდენ მასალად. ტაკოზებით იკვრება სახურავი. „ეს მუხის ტაკოზებით სამოზდათი წლისა, მეტიც ბელქიდა, იქნება“ (ბახ.).

ტაკტაკა-ი ლაპარაკის მოყვარული, ენატაყურებელი. „ჩემი მეზობელი ტაკტაკაია, დუნის ხებერ მეიტანს“ (იმ.).

ტალი-1 (dal) ტოტი. „ნაზვის ტალით შეეკონათო ნეკერსა“ (იმ.); „ზამთარში საქონელ ნედლ ტალბ ჩოუყრით ბაგაში, ცაცხვისას, თელისას, შკერისას, წყავისას“... (იმ.).

ტალი-2 კბილის მინაქარი. „ტალი ჩამომტყდა კიბილიდან და ცივ, ცხელ რამეს ველარ ვიდებ პირში“ (სტ.). შდრ. საბა (ტალი — კბილის ანახეთქი).

ტალავარი-ი სახლის, ან საბძლის წინა მხარე, გადახურული; საჩრდილობელი. „ტალავარში შეედგამთ თივას“ (იმ.). შდრ. საბა (ტალავერი — საჩრდილობელი).

ტალავერა-იონჯა ინსანი ფიგ. გამ. მოხერხებული ადამიანი, საქმის მცოდნე. „ნურჯანი ზოვლი ტალავერა — იონჯა ინსანია, საქმეს მუაფერებს“ (ად.).

ტალავერა ხაპერი (იხ.) დახურული თავი, ჭკუით სავსე. „ძალიან ბევრი იმასა ტალავერა ხაპერში აქ და გარედან არ ჩანს“.).

ტალდა (დიალ. dalda) ფარდული, საფარი. „ტალავერში შეედგამთ თივას, ტალდაში“ (იმ.); „ტალდაში დაჯექ, ბზე დაქნუავს“ (ად.).

ტალყირანი-ი მსხლის ჯიმი. „ტალყირანი სხალი თუელზე მოდის“ (მეზ.).

ტამარი-ი (tamar) ძარღვი, ნერვი. „ტამრები გამომიჩინდა“ (თ. ქ.); „გულის ტამრები დაყფანულებულა“ (სტ.).

ტამაჰქარი (არ. სპ. tamahkar) ძუნწი,

ხარბი, გაუმადლარი. „ძალუნ ტამაჰქარი ქალი იყო რამქეთლი, რა ეშველება იმ დუნეას?“ (ად.).

ტანისათქვეშელა-ი ტანის დასაბანი სპეციალურად მოქსოვილი ბადურა. „ტანისათვეშელაში ჩაყვრით საპნის ნალევებსა და დეებანთ ტანსა იძითა“ (იმ.).

ტანსიონი (tansiyon) სისხლის წნევა. „ტანსიონი ჩათინი ყოფილა“ (ინ.); „ტანსიონი მაქ მალალი“ (სტ.); „დუშული (დაბალი) ტანსიონი იმფო ადვილია, ძუქსექ (მაღალი) ტანსიონი ჩოქ ზორი ყოფილა“ (ად.).

ტანტრაბა|ტანტრაფა აივანი. „ჩუნ ტანტრაფა ვიტი“ (ინ.); „ტანტრაბა აქ სახლსა“ (იმ.); „ამასა ეაზლობსა, ტანტრაბასაც ვეყყეით“ (მაჭ.); „ტანტრაფაზე დაყვარეთ აყირი“ (იმ.). ნ. მარი, იმერს.

ტანულობ-ს იტანს, ითმენს, უძლებს. „ჩემი ტანსიონი ამდენ ლაპარიკ აღარ ტანულობს“ (ინ.); „მამთილი მის ლაპარიკ სულ აღარ ტანულობს“ (ად.).

ტარალაჯი (daragaci) სახრჩობელა. „ქედას გაღმა ტარალაჯი დაასეს და იჯზე ჩამოიკიდეს ილიასაი“ (ინ.).

ტარაჯული (tarača — ტერასი) ტერასული. „ტარაჯული კალეები აქუნა“ (პ.).

ტარეხა-ი სუსტი აგებულების მოხუცის ეპითეტი. „ტარეხაი ბერი, მაგას კიდო ქალის მოყუნა უნდა თუ?! ცალი ფეხი მეზერში აქ!“ (ინ.). შდრ. საბა (ტარეხი — დამარილებული მჭლე, კმელი ქორცი).

ტარმატალინი-ი (darmadağın) მიმოზნეული, მიმოფანტული, უწესრიგოდ მყოფი, არეულ-დარეული. „იქავრობა ბალევებსა ტარმატალინი გუუნდინან“ (ად.).

ტაროსი-ი ამინდი, შავა. „ამ გამოსულზე კაი ტაროსები ქნა“ (იმ.); „ტაროსმა თუ გუადრუა, თაზე მინდა ნეყყუნარო მუსაფირი“ (იმ.). შდრ. საბა (ტაროსი არს ამინდისა მსგავსი).

ტაპიკი|ტაბიკი (უღლის ნაწილი, რომლითაც პირუტყვის კისერზე მაგრდება უღელი). „უღელ აქ ტაპიკები“ (იმ.); „ჯარ ტაპიკი გუუტყდა, სირსვილსა ძირი გუუხმა“ (იმ.). შდრ. საბა (ტაბიკი — უღლის საყეღური).

ტაფ-ი ტაფობი, ვაკე ადგილი. „კლდი

ქუეშედამ დიდი ტაფია“ (იმ).

ტაშმასათი (taşmasatı) სალესი ქვა. „ეს ტაშმასათი თიღამ ჩამეცხაი“ (იმ).

ტატაშაი-ი ზომაზე მეტად მორბილი ფეხების ან ხელების მქონე. „იმფერი ტატაშაი ხელები აქ, რომე ბეჭედი არც მუუხტება“ (ინ.); „ტატაშაი ფეხები რომელ დახაყანში გეიმართვის ნეტაი?“ (სტ.). შდრ. საბა (ტატაშაი — სომხურია (ბალ.). ქართულად კუროსთავი პქვიან). ტატაში (ბალ.) მინაზე გართხმულია ხელის მტევანივით.

ტეზი-ი 1. სველი და უხარისხო შეშა. 2. ნედლი მსხვილი ფოხი. „ამფერი ტეზი შეშა შა ქონდა ნეტაი?“ (ად.); „მუუყენა ზრუქში დიდი ტეზი და ბრავადაბრავ, ცეშაში აწყალა მოკლა“ (სტ.). შდრ. საბა (ტეზი — ნედლი და ცუდი შეშა).

ტელეფონი-ი მოსწონა ტელეფონით დარეკა. „რომ გადმოხუალ გუმრუქში, ტელეფონი მოსწონა“ (ინ.).

ტელეფონი დუჰკრა ტელეფონით დაელაპარაკა. „ტელეფონი დიმიკრა გუშინ“ (სტ.).

ტელევიზიონი-ი (televizion) ტელეხედვა, ტელევიზორი. „სარკესავეთ ანახევებს ჩუენი ტელევიზიონი“ (ედ.).

ტენცო პიტნა (გარეული პიტნა). „რე-ჰანი, ტენცო, ბოლოკი, პრასა, კიტრი ბევრი გუქე ბოსტანში“ (იმ.); „ტენცო ბალახში ლარჭებ დავბანდი“ (იმ.). შდრ. საბა (ტენცო — წყლის პიტნა).

ტვარი-ი (სპ. duvar) ქვის კედელი, ყორე, სახლის საძირკველი. „ტვარები ჩამოსილუ მუთვალში!“ (ინ.).

ტვალ-ი (duvak) საქორწინო ფატა. „ზაათი დოდოფალი ტვალ დეიბურედა“ (ინ.).

ტილოფ-ს ტრიალებ-ს. „დუნდა ტილოფსო, იტყვიან“ (ჰ.).

ტინკოზი-ი უხასიათო, ვინიანი, ახირებული. „ჩუენი ბერი ზალიან ტინკოზი გახდა, საფერებელი“ (იმ.).

ტინტილაი-ი ხელიკი. „ეიგერ მირბის ტინტილაი, სემიპაია ტირტილაი“ (გულ.).

ტიტა ბალახი. „ტიტა იცის მალა ჭალებში, ჯავეს გავაკუთბთ იმითა“ (იმ.).

ტირილი სულზე დადგომა ფიჯ. გამ.

სატირლად დანწყობა, ატირება. „იმფრათ ეტკინა, რომე ტირილი სულზე დადგა, კურცხლები გადმოყარა“ (ინ.).

ტიტაი-ი სოკოს სახეობა. „ტიტაი სოკო სარი რენგისა იქნება“ (იმ.); „ტიტაი სოკო ესა, არ ვსჭამთ“ (იმ.).

ტიტავა 1. ძალიან ამარილებს, ამლაშებს; 2. ზედმეტად სველ მინაში რგავს ნერგებს (რასაც ჩვეულებრივ არ აკეთებენ). „დატიტავს ამ ყველსა ისე, რომე პირში ველარ ნეიკარფე“ (ად.); „ამფერ ტაროსში რომე ტიტავს რაცხიეფს ბოსტანში, გეიხარფეს მემრე?! სოსრაზე აკეთებს და ეს არი!“ (ად.). შდრ. საბა (ტიტვა — ფრიად დამარილვა).

ტიტვინა ნისქვილის ნაწილი (წყლის გამოსასვლელი, შეიწროებული ნაწილი; ჭავლის წარმოსაქმნელი ადგილი). „ტიტვინადამ წყალი გამოდის და ხდება ბორბალსა“ (იმ.).

ტიტვირი-ი ბაგე, ტურნი. „ტიტვირი რომ დეიყაფანო, ვერ მიხდება“ (ინ.); „ტიტვირები სულ მავი გუუხდა“ (ად.); „ერთი ტიტვირი თავალმა, ერთიც თავალმა ექნება“ (ჰ.).

ტიტილანა-ი შიშველი, დედიშობილა. „ტიტილანაი ბალები გამოცვინდენ სახლიდან“ (ალ.).

ტიტილიბა-ი მხიარულების (ცეკვა-სიმღერის) წამომწყები. „ჩემი და ზოვლი ტიტლიბაში იყო“ (ინ.).

ტიტუელი-ი ტიტველი, შიშველი. „ანადანტოლმა ტიტუელი ნეება ლოგინში მეგემ“ (სტ.). შდრ. საბა (ტიტუელი — შიშველი).

ტირნალი (tirnak) ფრჩხილი, ქაჩაჩი. „საქონელ ფეხებში ტაბალი რომ დეემართება, ტირნალებში მარილ ჩავყარით“ (ინ.).

ტირტილაი-ი მოლაპარაკე, ჭორიკნობის მოყვარე, ყველაფრის მოქმელი. „ეიგერ მირბის ტირტილაი, სემიპაია ტირტილაი“ (გულ.); „ზოვლი ტირტილაი ნესლი აქ, ვარაჯოლა რამეს ნუ იტყვი მასთან, სიპრის შემნახველი არ არი“ (გულ.).

ტიკენი-ს ტკენის, მჭიდროდ ათავსებს. „ტომარაში ბალახი ჩავტყებენ“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ტიკენა — დატყენა).

ტიკენულობ-ს ტკივილს გრძნობს, სტიკი-

ვა. „ბულ ტვენულობს დედამენი, რატომ არ ახუელ სანახავათ?“ (ბახ.); „ნეტაი რას ტვენულობს საცოდავი?“ (ინ.).

ტვენჩი-ი ხის ანახეთქი, ხის ფირფიტა. „ტვენჩებით მოექსოვთ გოდორსა, ტვენჩი ახალმოზდუ ხისანა იყოს“ (პ.).

ტვენჩელა კანვე გამოყრილი წყლიანი ბუშტი. „სიცხე რომ მიცა, მეგრე ტვენჩელა დაყარა თლათ ნამსმანზე“ (ად.).

ტვენჩი-ი სიდამწვრით ან ზენოლით (თხობით მუშაობისას ხელებზე, ფეხსაცმლის სიმჭიდროვის გამო ფეხებზე) წარმოქმნილი წყლიანი ბუშტი კანის ზედაპირზე. „ტვენჩეჩი გუუჩინდა ხელებზე, თხმმა დაგალა“ (ად.).

ტვა ტვა. „თველ ტვა არი ქომოთ“ (ტი.); „ტიბი ზირიდამ ბულა გამოვდოდა მეგემ“ (ბ.).

ტიკბა-ი ტიკბა. „ტიკბაი მიაუდებდა საქონელსა ძუძუებზე“ (ინ.).

ტიკბილი-ი ტიკბილი. „ტიკბილი ბიბერიტ დოლმას ვაკეთავთ“ (მ.); „ინსანსა ტიკბილი ენანა უთხრა, მეგომ მადლი ყოფილა“ (მ.ტ.).

ტიკბილი-ი ყურძნის წვენი, მოდულე-ბული, შესქელებული. „შირას აადუღებ, გომოა ტიკბილი“ (ტი.).

ტენავი-ი ჭნავი (ჭნავი). „ესა გაკეთდება ტენავით“ (იმ.).

ტეუჩა-ი სიმინდი სიმინდის ჯიში. „ტეუჩაი სიმინდი შენვი, ფათაქული მიაერთვი მოსაფირსა, შეექცევა“ (პ.).

ტლუნკი-ი ტლუნკანი. „იმფერი ტლუნკი ბალევი ყავს, რომე მოვლილი, მაგარი“ (ად.); „შაბანაი სუქანი იყო ტლუნკი“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ტრუკი — მსუქანი).

ტლოკანი ტოტებაცელილი, სწორი ხე, რომელსაც ტოტები მხოლოდ წვეროში აქვს გამოვლებული. „ტლოკანი ბალი იდგა ერთი, ვარადლოა ინსანი ვერ ევდოდა ზედან“ (ბახ.). შდრ. საბა (ტლიკვი — უროკო).

ტოლი-ი (dolu) სავე, აესილი, დიდი რაოდენობით. „ჩემო გამზდლო ლობიაჲ, ტოლით ჩაქყარე მიწაში“ (ინ.).

ტოლ-მოკლე არათანაბარი სიგრძისა. „ამ ბუზმას ქენერები ტოლ-მოკლე ქონია“ (იმ.).

ტოკვეცი-ი იხ. ტაკვეცი. „რომ თხრიშა ტოკვეცი, აწყალა მოკლა“ (ად.). შდრ. საბა (ტოკვეცი არის ჯობი მოკლე და მსხვილი). ტომპოყო ჭაობი, ტლაპო, ტლახი. „წყალი მოშვებულა აქეთ და ყანაში ტომპოყო დამდგარა“ (ფათ.).

ტომრული-ი (tomruk) მორი, მსხვილი ძელი. „ტიყდან ტომრულ ვზიდევდით“ (თ.ქ.); „ტომრულებ ჩადგმენ“ (იმ.); „ტომრულზე გაჩილფევედენ“ (იმ.).

ტორათი-ი (tor — გაუნვრთნელი, ველური, al — ცხენი) მონითალო ფერის ცხენი. „შარშან ერთი ტორათი მევეყაი“ (თ. ქ.).

ტორლიალი-ი ეინმეს მიბაძვით უსაქმოდ ხტიალი. „რაფერ არ განყინდა ამდენი ტორლიალი?“ (ინ.). შდრ. საბა (ტორლიალი — ნატოლება).

ტოტი 1. ნინა და უკანა კიდურები.

2. ქვედა საცვლის, შარვლის, ცალი მხარე. „ტოტი რომ ჩამუყარავს დათვსა, თლათ ტანები ჩამუყარა პანტისა“ (იმ.); „ტოტებში გუყარე ფეხი და ამეცივი შილი ეჯელა!“ (ად.). შდრ. საბა (ტოტი — შილი ფერეკი მკეცისა, გინა ნიფეკის ცალი მკარი).

ტოტიპირი-ი ქვედა საცვლის ცალი მხარის ბოლოკიდური. „ტოტიპირებში ლასტივი გევეცი და მოვნიე“ (თ.ქ.).

ტოლი-ი სიმინდის ტარო. „ხამ მინაზე სიმინდმა დიდუანი ტოლები ქნა“ (თ.ქ.).

ტრაპილოზი-ი სირმის სარტყელი. „ნენინეთ ქონდენ ტრაპილოზი სარტყელსავთ ლამაზი რაცხა, ნელზე მოსახვეველი“ (იმ.).

ტრედი-ი მტრედი. „ტრედი, ოლოლი, ყორანი, ქორი ვიციით“ (თ.ქ.).

ტრედია-ი მტრედისფერი ძროხის სახელი. „ალარ ინუღებდა ჩუენი ტრედია, ძიავო“ (ბახ.).

ტრია-ი 1. ციყვი; 2. მოუსვენარი, ძალიან მოძრავი, ქარაფშუტა ადამიანის ეპითეტი. „მაქყერი ტრიაი ინსანი არ მიყუარს“ (ად.); „აჭარლები „ტრიაი“-ო იტყვიან, ჩუნეა „ყავს“ ვეტყვიო“ (მაჭ.). შდრ. საბა (თრია).

ტრიკი-ი ფეხი (მუხლს ქვემოთა ნაწილი). „ტრიკებში ჩინი ალარ დიმიჩა“ (ტი.). ტრინკი-ი ნიხლი, მუხლს ქვემოთა ნა-

წილი, წვივი ფეხის ჩათვლით. „ფეხ-შექცე-
ვლი ვინევით და დამაყარა ბალემა ძილში
ტრინკევი“ (ინ.).

ტრინკავა-ი ნიხლის მცემელი, მნიხლა-
ვი. „ეს ძროხა ძალიან ტრინკავაია, ძე არ
დაგაქცევით“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ტლინიკი
— ორთავე ფერკთა ერთბაშად გაქნევა
წყენისათვის).

ტუარ-ი იხ. ტვარი. „სახლ აქ ტუარი“
(ად.).

ტუთარ-ი (tutar) გაძლება, შეძლება.
„ღმერთმა მოქცეს კაი დილლიგის ტუთარ-
რი!“ (ბახ.); „პალა მაქ მაგდენი ტუთარი,
ძვილი ვიარები ეზო-კარში“ (მეზ.).

ტუზ-ი (tuz) მარილი. „ბიბერ წავაყრით
ტუზსა და შუამწყრევთ ბასში“ (ბახ.).

ტუნელი (tünel) გვირაბი. „ბაზგირეთ-
ში ტუნელი გოუკეთებთან, მადენია იქა“
(იმ.).

ტუსულა-ი მსუქანი, მსხვილი. „წრე-
ვლი ამ ხესა ზოვლი ტუსულაი ქლიაგები
ასხია“ (ად.); „ტუსულაი კლაგები აქ ამ
ციცასა“ (სტ.).

ტუტა ნაცრის ნაყენი (ნაცარს აადუღე-
ბენ წყალში, გააჩერებენ ერთი-ორი დღე და
გამოვა ტუტა). „საპონი რომ არ გვექნებოდა,
ტუტაში გავრეცხევდით“ (თ.ქ.) შდრ.საბა
(ტუტი — ნაცრის წვენი საპნისად).

ტუტულა-ი ცილინდრისებური საგანი.
„ტუტულაი ჩუუდვია პირში და უშტვენს“
(იმ.).

ტუტუნ-ი ბურტყუნი; თავისთვის გუ-
ლმოსული ლაპარაკი. „იმ ქალებმა ბევრი
ტუტუნი იციან“ (ბახ.). შდრ. საბა (ტუტუნი
— ჩუმი დრტყინვა).

ტუტყი ქუჭყი, სიბინძურე. „ტუტყიანი
ფეხებით არ შამოხვიდე, ბალეო, თვარამ
ფეხებ მოგატყავ!“ (ინ.). შდრ. საბა (ტუტყი
— ნაბანი მნიკვლი).

ტუფე ბოსტნის პატარ-პატარა კვლები.
„ორი ტუფე ქინძი დავთესე“ (ად.); „ბოს-
ტანში ტუფეები დავაკეთე“ (ად.). შდრ.
საბა (ტუფი — ბოსტნის კვალი).

ტუნა ვაშლი ვაშლის ჯიშა. „ტუნა
ვაშლის ფიდანს კორდეთიდან გამეტაით“ (მ.).

ტყეში იზდება: „კატარი, მუხა, იფენი,
თელა, ცაცხვი, ვერხვი, ნაძვი, ნაბლი,
ცხემლა, წიფელა, თხმელა, ანდუჭი, ყიზი-
ლჯული, ტყეშალი, მოცვი, წყავი, კირკატი,
ასკილი, მაყული“ (თ.ქ.). „ტყეში ბევრია:
პანტა, მერცხალი, ჯოლი, მაყული, მარ-
წყვი, ეკლიკატი, დათვიბაბაი, ვერხვი,
ნაძვი, სოჭი, კატარი, წიფელა, კო, ცხრე-
შლაი, იფენი, ჭნავი, შქერი, იელი, არყი,
მუშმულა, ჭანდარი, ლეკი, ქორაფი, იფენი,
აზრაზი, მოცვი, წყავი“ (იმ.).

ტყვილი დუნდა სააქაო ცხოვრება, ეს
ქვეყანა, წუთისოფელი. „ტყვილი დუნდა
ყუყულას ეყოფი“ (მაჭ.).

ტყიფხალა-ი გარეული მხალი. „ტყიფ-
ხალაი ბოსტანში მაქ“ (პ.); „ტყიფხალას
კაი შორვა გამუა“ (პ.).

ტყლაპ-ი 1. საქალამნე ტყავის ნაჭერი.
2. თხელ ფენად გამილი გამხმარი
ხილფულა (ტყემლის, ქლიავის, ვაშლის,
თუთის...) „წრეელი ტყლაპი ბევრი გავა-
ხმევით“ (ხ. ფ.).

ტყლაპი ლობიაი ლობიოს ჯიშა. ის-
ხამს ბრტყელ, დიდ პარკებს და გვიან
შემოდგომამდე ინარჩუნებს სიმწვანეს.
„ტყლაპი ლობიაი ჯავეთ კაი მოდის“ (ხ.ფ.).

ტყლაპ-ი შორვა ტყლაპით მომზადე-
ბული კერძი (წვინანი). „ტყლაპი შორვა
ზამთარში ძალიან მეხფულია“ (ინ.).

ტყუბ-ი ტყუბი. „ტყუბი ყავს ლალობა,
დიდი ფუში გახდენია, ბრე!“ (ად.). შდრ.
საბა (ტყუბი — ორნი ერთსა ბუდესა შინა
მყოფი).

ტყუბა-ი ქლიავ-ი ქლიავის ჯიშა.
„ტყუბაი ქლიავიც არი სოფლობაში“ (მ.).

ტყუბა-ი ჭინჭურ-ი ჭინჭურის ჯიშა.
„ესა ტყუბაი ჭინჭურია“ (მ.).

ტყუჯალა-ი 1. ორი ნაყოფი ერთმანე-
თთან შეერთებული. 2. ერთ ძირზე ამო-
სული, განტოტვილი ორი ხე. „ტყუჯალაი
თხილი შევჭამევით და დევინზლავეთ
ერთმანებ“ (ად.); „ყანი ბოლოს ტყუჯალაი
ბალი იყო, იმაზე ვედოდით ბალეები“ (თ.ქ.).
შდრ. საბა (ტყუჭი — ხილთა და ხმელთა
ორთა შეერთებულთა ეწოდების).

უათავებელი- აუთავებელი, შეუესებელი. „ჭამის უათავებელი ერთჯელ ადგა, ორჯელ ადგა, დაზადფა ქალი!“ (ინ.).

უამობრუნებელი ამოუბრუნებელი, გადმოუბრუნებელი. „მეგ უამობრუნებელი გააცურვონა, თვარამ“... (ინ.).

უარება უელის, პატრონობს, ემსახურება. „კარქა უარება ოღლუშმალსა ღმერთის ემრიო“ (ინ.).

უაშენებელი აუშენებელი. „უაშენებელი ქუემ არ დეიუდუმლება“ (ინ.).

უბარი 1. ცუდი, უვარგისი; 2. გამოუყენებელი, დაუმუშავებელი. „უბარი სიტყუები ბევრი ვიცით, მარა არ გებნევით“ (ინ.); „უბარი ადგილები ბითვეი გაგტებეთ და ყავალი დეარგეთ“ (თ.ქ.). შდრ. საბა (უბარი — უზრახი).

უბანძვალე-ს გული ძლიერად უძგერს. „გული რაფერ უბანძვალეს, ხედაე?“ (ინ.).

უბაქსუნე-ს მაგრად სცემს, ურტყამს, ბეგავს. „სიარულში ფეხებ უბაქსუნებს ეს ბაღვი; უსული გეიი, ჭო!“ (ინ.); „სულაც არ ეცოდვება ბაღვი, უბაქსუნებს და არი, ანალული გეგონება!“ (თ.ქ.).

უბერეკეთო (არ. bereket — სიკეთე, დოვლათი, სიუხვე) უდოვლათო, უბარაქო, რასაც სიუხვე, ბარაქა არა აქვს. „უბერეკეთო ინსანია თლათ, ხელეში უქარდება ყუელამფერი“ (თ.ქ.).

უბრაგუნე-ს ურტყამს, ურახუნებს, ცემს. „სიმწარისკან ლოჯეზე უბრაგუნებს მუშტებსა“ (ად.); „ხანდებან უბრაგუნებს ბაღვებსა“ (ად.).

უბუსუნე-ს ეპარება, მალულად უახლოვდება. „კატა უბუსუნებს თავესა და დეიკავებს სოვნი“ (ად.). შდრ. საბა (ბუსუნი — სადა არა ჰგონებდეს, მტერმან მუნ უმზიროს).

უბღეზდება უბრაზდება, უწყრება, უჯავრდება. „თავრობა უბღეზდება და ამანე?“ (იმ.); „ტყვილათალი გაბღეზდა ამჯელი“ (ად.).

უბლივებს აქებებს, უბიძგებს, სტიმულს აძლევს. „მაგ საქმე არ გამუა და ტყვილაი ნულარ უბლივლებთ ბაღვსა“ (სტ.).

უგაგზაენლობა გაუგზაენლობა. „ამფრათ საჭამადი უგაგზაენლობა, ახალი ჯარის უგაგზაენლობა ჩათინი დარჩა“ (სტ.).

უგაქანებული გაუქანებელი. „გზიები კაია, უგაქანებული მივალ ჩემ სოფელში“ (ინ.).

უგაკეთებული გაუკეთებელი. „ქობ უგაკეთებული ნენეი პანა ნეიყუანო“ (ინ.); „უგაკეთებული ის არი, რომე არ გიმიკეთებია ჯერემო“ (ინ.).

უგანყვეტილი განუწყვეტილი. „ვახტი მქონდეს, უგანყვეტილი ვიარ“ (თ.ქ.).

უგვანი მიუვალი, გაუვალი. „უგვან ადგილებში იარა და უქმური აყვა“ (თ.ქ.). შდრ. საბა (უგვანი — უმსგავსო).

უგვი მოზარდი, ბერნი საქონელი. „ნრველი ბევრი გიმიხდა უგვი“ (ად.). შდრ. საბა (უგი — უკრაოდ მენველი).

უგზნე-ს ცეცხლს შემას უმატებს, უფრო აჩაღებს. „ბუხარში საჭმლი გაკეთებინან სულ ვუგზნებდით და ვუგზნებდით შემასა“ (ად.).

უგლაგარჯი გაუნვრთნელი, გაუზრდელი, ტლანქი, მოუქნელი. „ყავს ერთი უგლაგარჯი კაცი, ამით ქიბრობს?“ (ად.). შდრ. საბა (უგლაგარჯი — ნერთა შეუსმინარი).

უგმანი იხ. უგვანი. „უგმან-უგმან ადგილებშინა დაემალო, ვერ მომპარონ“ (ტ.).

უგუმუცვლელი გამოუცვლელი. „კაი გინდა, უგუმუცვლელინა გახსოვდეს“ (ედ.).

უგუდღურჩენელი გადაურჩენელი. „უგუდღურჩენელს გადაარჩენდა, იმფერი ქალი იყო ჩემი ნენეი, იმფერი ებიობა იცოდა“ (ინ.).

უგულიანდება უბრაზდება, უწყრება, უჯავრდება. „მე ვუგულიანდები ბაღვებსა“ (ტ.).

უგუუტანელი-ი გაუტანელი. „სოენი უგუუტანელი გაეხდით“ (ინ.).

უგუუშმხარი-ი გამომხმარი, ნელი. „მურუბსა უგუუშმხარისას აკეთებენ“ (იმ.).

უდანერილი-ი დაუნერილი. „ამის უდანერილი ვერსად ვერ ნახულ“ (ინ.).

უდანოლილი-ი დაუნოლილი. „ინსანი უდანოლილი ვერ მისუენებ, ილა ფეხები გაპლონა“ (ინ.).

უდელო დედის (ძირის, კეთის, საფუარის) გარეშე. „რზე უდელო ნუ შედგება, მივეცო დედა!“ (იმ.).

უდმი ბუნებრივი სიკვდილით მკვდარი (დაუკლავად მკვდარი) პირუტყვი, ფრინველი. „უდმი ხორცი არ იჭმება, სისხლამუუდენელი“ (ინ.); „უდმი ხორცსა რენგუც შეეცყობა, სიშავე დაკრავს“ (სტ.); „იმხელა ზროხა უდმი გუუცდენ, დეიფუტენ საცოდევაები, დეიკლეს მაი და ხორცი გიყვიდეს“ (ინ.).

უდუმანებ-ს (duman — კვამლი) აკვამლებს, კვამლს უშვებს, აბოლებს. „დამფდარა ბაბოსთან, დედესთან და უდუმანებს, ჰალა არი ძუელი მარიფეთი, აღარ იციან სირცხვილი ახლანდელ გენჯებმა“ (ინ.).

უდუუზნედელი-ი დაუზნედელი, დაზნედის გარეშე. „რაფერ ამოვდა ამ იერიდან უდუუზნედელი?“ (თ.ქ.).

უდუუზახველი-ი დაუძახვი, დაძახვის (დაგრების) გარეშე. „უდუუზახველი ზაფით საზუდავენა იყუს, ბილი მუა და არ მოქრავს“ (იმ.).

უდუუღველი-ი დაუღველი, გამოუღველი. „უდუუღველი რა ნახე ამ დუნიანზე?!“ (თ.ქ.).

უდუუზახველი-ი დაუნახვი, უნახვი. „გიყურან უდუუზახველი ძმები“ (სტ.).

უდუუქორნილებელი-ი დაუქორნილებელი. „ამ თუელზე ხასანაი უდუუქორნილებელი აღარ დეიტევა“ (თ.ქ.).

უდუუძინებელი-ი დაუძინებელი. „უდუუძინებელი ვერ გუუძლებს ინსანი“ (ინ.).

უდუუჭრელი-ი დაუჭრელი. „ხორცი უდუუჭრელი შეინახა ბუზდოლაბში“ (ინ.).

უდუუჯერებელი-ი დაუჯერებელი. „უდუუჯერებელი ინსანია, ინათიანი“ (სტ.).

უდინგლებ-ს (dinlemek ძვ. dinglemek

— მოსმენა) უსმენს. „ნუ უდინგლელ მაგასა, გატყვილფეს და ხებერი არ გაქ“ (სტ.); „რადიოში ვუდინგლებდით“ (მ.); „ვინმე არ უდინგლელფეს თელევიზიონსა, ნაყურეთ“ (მეზ.).

უეაიზებ-ს (არ. vaiz — დარიგება, ჭკუის სწავლება) დაარიგებს, ურჩევს. „მე ამთო გივაიზებ და კარქა დუუყურ“ (მ.).

უეახტო (არ. vakit — დრო, ხანი) უქეიფური, ავადმოფი. „უეახტო ქალი მარტუაი ხომ არ გეიგზავნება განა?!“ (ად.).

უეახტოთ უქეიფურად, ავად, არაჯანსაღად. „ჩემი დედამთილი უეახტოთ იყო“ (თ.ქ.).

უზანი-ი ფართოფოთლოვანი მცენარე, ხე. „ჩუენ ტყეში უზანის ხეც არი“ (იმ.); შდრ. საბა (უზანი — ხე).

უზაჰმეთოთ (zahmet — საქმე, ზრუნვა, მოუსვენრობა) უზრუნველად; საქმის, გარჯის გარეშე. „უზაჰმეთოთ სიცოცხლე რაცხადლონზე კაია, იმდონი მომსახურება უნდა ღმერთსა“ (ინ.).

უზენგი (üzengi) უზანგი, ავეანდი. „ჩემ ცხენ უზენგი არა აქო, ვერა ნამუალო“ (სტ.).

უზმა-ი უზმოდ, უზმოზე. „უზმაი არნა იყო განაფხული დადგომიხან, რომ კუუღმა არ დაგძლიოს“ (ინ.); „უზმაი ჭამა ჭახე ტყემალი და მუცელში გარცხა ბალვსა“ (თ.ქ.). შდრ. საბა (უზმა — არა ეჭამოს რა).

უზუმ-ი (üzüm) ყურძენი, „ბურსას კაი უზუმი იცის“ (ინ.).

უზუმ-ყური (üzüm kuru) ქიშმიში. „ამასა უზუმ-ყურინა დაყარო“ (მ.).

უზუნი-ი (uzun) გრძელი. „მარშან უზუნ ზაფხული ახუელა“ (იმ.).

უზუნთუ (üzüntü) მოუსვენრობა, მღელვარება, ზრუნვა, დარდი, გაჭირვება. „მეიცადოს მაგან! რა უზუნთუმი ჩავადებ“ (იმ.).

უზური-ი (არ. usul) ნათქვამი, ნანდობი, ნასურვილვეი. „ღმერთ გამჩენელის უზურზე მივალთ“ (ინ.).

უთი (üü) უთო, გაუთოვება, დაუთოვება. „დღეს დილიანა უთი ვქენ, სიცხის

მოსლამი“ (ინ.).

უთუშტა- გაიქცა, სწრაფად გაეცალა იქაურობას. „ეს მითხრა და უთუშტა“ (ინ.).

უთავბოლო დაულაგებელი, მოუწესრიგებელი, უპასუხისმგებლო. „უთავბოლო ბაღვები არ არიან“ (ინ.).

უთხროშია- უთქვამს, უამბია. „ძიას ასე უთხროშია“ (თ.ქ.).

უიმანო (არ. iman — რწმენა, ისლამის აღიარება) ურწმუნო, უღმერთო. „უიმანოვ, შავ მინაში აჯაბ იქ რა გეშველება“ (პ.); „საჯეკენემოს თუ მკითხავ, ვინც უიმანო იქნება“ (პ.).

უივბალო (არ. ikbar — ბედნიერების მოტანა, ძალის მიცემა, არსებობის უზრუნველყოფა, ოჯახის შექმნა...) უბედური; ის, ვისაც ცხოვრებაში წინსვლა, გამარჯვება არ უნერია. „შენ უივბალო ყოფილხარ, შენ ფეხზე სახლი დეინუა“ (პ.).

უიშტაჰო (არ. istah — ჭამის მადა, ხალისი) უმადო, უჭმელი. „უიშტაჰო არიან ბაღვები“ (ინ.).

უკან თან (ერთად). გეხვდება კითხვით ნაცვალსახელთან — „ვის“, რომელსაც ერთვის ზმნიზედა „ერთად“. დასტურდება ბორჩხა-მურღულის მეტყველებაში. „ვის უკან დგები?“ (ბ.); „ვის უკან მოხუელ?“ (მ.); „ვის უკან საქმობენ?“ (ბ.).

უკანა ბოლო. „დათვიაბაი უკანა თუელზე მუა“ (იმ.); „უკანა კვირეს წველით თაზე“ (იმ.); „უკანა ყათში აველ“ (იმ.).

უკანა-ი მომყოლი (ბუდე, რომელშიაც ახალშობილია გახვეული) „უკანაი მომყოლ ქვია“ (თ.ქ.); „უკანაი მისთენაი თუ არ დეიბადოდა, ხელით გამეგბანდი“ (თ.ქ.).

უკანახან ბოლოს. „უკანახან ასე გააკეთეს“ (იმ.); „უკანახანაც გევარ ერთ ბავლას“ (იმ.).

უკანდინან ბოლოს. „უკანდინან ჩაძრები შავ მინაში“ (ინ.), „თქუენ უკანდინან დარჩით“ (ინ.).

უკაცო უქმრო. „უკაცო ქალი კიდო კარქა აფერეფს იდარეს“ (ინ.); „უკაცოთ ცოდვა ხარ!“ (ინ.).

უკაცრავლი პასუხია- უკაცრავი პასუხია. „უკაცრავლი პასუხია, ყუსურზე არ დიმიხედო, მარა ემეგები გავათხრევი

პარლი“ (თ.ქ.); „ღორის გოჭი ეგა, უკაცრავლი პასუხია, ვერ მითხრა თავიდან?“ (ე.ე.).

უკდავა-ი ბალახი. „უკდავაი შუიდ ნელინად ბუხრი თავზე ქონიან შამოდებული და მაიც არ გამხმარა“ (ინ.). შდრ. საბა (მოლი კლდისა).

ულაფი-ი (yulaf) შერია. „ულაფსა ჩომას ეაჭმეთ“ (იმ.).

ულუმეუ-ი ულრანი, გაუფალი. „ულუმეუ-ი ტყეში გეგბარგეთ, ეუნანი რომ შამოვდა“ (თ.ქ.).

ულფეთი-ი (არ. üfci — მეგობრობა, სიახლოვე) ქალის სახელი. „ულფეთი-ბანუმი მოსულა“ (ინ.).

უმალლო უმაღლესი, უმთავრესი. „ჩემი სულ უმაღლო ის არი“ (ინ.); „ჩუენო უმაღლო მსტაველებელო, ნეტაი მალე გადმოსულიყავ“ (ინ.).

უმეზრო (არ. mezar — საფლავი) უსაფლავო. „ნახა ვითამ უმეზრო ადგილი“ (ინ.).

უმი-ი მოუხარშავი, შეუნვაი (ნახევრად მოხარშული ან შეშვარი). „უმი დარჩენილა ფათათესი, შეყარე ცეცხლში ხელახლა“ (ინ.). შდრ. საბა (უმი — ნელი სორცი).

უმუდი (umit) იმედი, მოლოდინი. „უმუდსა არ იწყევტა ზავალი“ (ინ.); „უმუდ არ მენყევტა“ (პილ.).

უმუზ-ი (omuz) სახლის სახურავის მთავარი ძელი. „სახლის გადახურვა ოთხკუთხიაც იქნება, ოთხი უმუზით“ (მაჭ.).

უმმეთი (არ. mmet) ერთი რწმენის ხალხი, თემი. „მუსლიმანი უმმეთი მომეცი, ღმერთო!“ (ინ.); „ღმერთი ფეგლაბბერსა აჩუქეებს უმმეთსა“ (იმ.).

უმუყდავეზ-ს (ს. mujde — სასიხარულო ცნობა, სასიამოვნო სიახლე) ახარებს, აცნობებს. „მომუყდავეს თქუენი მოსლა“ (იმ.); „რაცბა გიმუყდავო და გაგახარო!“ (მეზ.); „შენი ბაბოი ვუმუყდავე შენ ანასაო“ (ინ.).

უმფო უფრო, მეტად. „ბელქი უმფო გეიხედები!“ (პ.); „უმფო გძელი კაბა არ მოგიხდება“ (ინ.).

უმფოსი-ი უფროსი. „სახლსა უმფოსი

ილლა უნდა" (ინ.); „აქანაი ვიცით: დინეი, ბაბუაი, ბუძიაი, დეიდაი, ბიბილაი, ბალნე-ბი, უმფოსები". (ფათ).

უმუცლო მოუთმენელი, ფიცხი. „უმუ-ცლო არნა იყო ინსანი" (ინ.).

უმჭრიალებ-ს უჭრიალებს, თავბრუ ეხვევა. „ხიდზე თუალები უმჭრიალებს ბალესა, ემინია" (თ. ქ.).

უმჭური 1. ავი სული, ეშმაკი. 2. მკაცრი გამომეტყველების ადამიანი, მიუ-კარებელი. „უშუმრმა დეიკავა, ისეგავ, თელი ლამეა ბოდავს" (თ. ქ.); „უშუმური ქალაი, ერთი ღიმანი არ გუუარს პირზე" (ინ.).

უქლართუნებ-ს ჯობით, ქაბრით სცემს, შეუბრალებლად ურტყამს. „წყეპლი მუუ-ქლართუნა ბალვებ კანჭებში, ნამეისხრი-კია" (ად.).

ურა 1. დაუკოდავი პირუტყვი. 2. უზრდელი, გაუთლელი, ტლანქი, ბრიყვი კაცი. „ერთი ურა კაცი ყავს, სული ამუუყუნა ქალსა ყიაში" (თ. ქ.); „ურა ხარივით კაცია ერთი!" (ინ.). შდრ. საბა (ურა — გაუნვრთნელი კვიცი).

ურაპათო (არ. rahat — სიწყნარე, სიმშვიდე, დასვენება, კომფორტი) მოუსვენ-ნარი, დაუმშვიდებელი, დაუნყნარებელი. „ამფერი ურაპათო სიცოცხლე აღარ მი-და!" (ინ.).

ურაპათოთ მოუსვენრად. „ურაპათოთ ზიხარ, წინ გამოი, სანდალიეზე დაჯექ!" (თ. ქ.).

ურბა-ურუბა (urba) ტანსაცმელი, კაბა. „ურუბები მეგვეც, ჩეცუათო" (ედ.); „გეი-ხადეს ურუბები-მურუბები" (ედ.); „კდრის ურბებ მიბარები დღეს გარცხიან" (იმ.).

ურგები-ი არამარგებელი (გვერდში რომ არ დაგიდგება, ხელს რომ არ გამოგიწო-დებს, ისეთი ადამიანი). „ურგები ხანეა მათი, სოფელსა რამეში არ წაადგება" (თ. ქ.); „მაქფერი ურგები ინსანი გინდა იყოს და გინდა — არა!" (ინ.). შდრ. საბა (ურგები — არამარგებელი).

ურთკმელა ურთხელი (ურთხელა). „ჩუ-ენ ტყეში ურთკმელაც შექხდება" (იმ.). შდრ. საბა (ძელი ულამოველი, უთხოვარი, ურთხლი, საჯი).

ურუბი-ი (არ. rubu) კოდის მეოთხედი. „ოთხი ურუბი ერთი კოდია" (იმ.); „ლობიო ერთი ურუბი ზლივ იქნებოდა" (იმ.).

ურუმი (Rum) ძველი ბერძენი, ბიზანტიელი. „ჩუნენზე იტყვიან: ქუბავრი ურუ-მები, შავ-შავი ყურუმები" (ტ.).

ურუმი ურიშა. „ყანი პირებში ურუმ მივიანვეთ" (ბახ.). შდრ. საბა (ურიშა).

ურნანი დედადი პირუტყვი, გამრავ-ლების უნარს მოკლებული. „ეს ძროხა ურნანია, წრეღაი დაკვლავთ" (ად.). შდრ. საბა (ურნანი — არამშობელი).

ურწყვათ შავი სადა შავი, ძალიან შავი. „ერთი ურწყვათ შავი მურგვი გამეიტანა" (ინ.).

ურწყვეტა-ი მსხლის ჯიში. „ურწყვე-ტაი თუელზე მუა, გერმელი სხალია" (თ. ქ.). **უსკვამ-ს** ურტყამს, სცემს. „ფეებ უსკვამს მინაზე სიმწარისკან" (ად.).

უსკურა სპილენძის ჯამი. „მემლექეთი-დამ მოტანილია ეს უსკურა, ჩემი დიდი დედეს ნაქონი" (თ. ქ.). შდრ. საბა (უსკურა — ჯამი).

უსრიშა-ა უსვრიშა, მასაყი გაუკეთა. „იმა კაი ხელი ქონია, წელი უსრიშა, კლავები უსრიშა, მუარჩინა" (ან.).

უსტა (usta) ოსტატი, ხელოსანი. „სამ თუეზე უსტა გახდა. უსტიებთან ისაქმა ია?" (სტ.).

უსტიობა ოსტატობა, ხელოსნობა. „იმ წელიწად აჭარას, შუბან სოფელში, უსტი-ობა ექენ" (იმ.).

უსტურა (სპ. ustura) სამართებელი. „უსტურას აღარ კადრულობენ, თრაშმაქი-ნას ასაქმებენ გენჯები" (ინ.).

უსული-ი (დიალ. usul — წყნარი, ფრთხილი) მშვიდი, ჩუმი, წყნარი. „ჩემი კაცი გეჩგუნი არ არი, უსულია" (ინ.).

უსულაი ჩუმად, წყნარად, უხმაუროდ. „უსულაი გეიცინე, კიბლემ ნუ გამოყრი დიდათ!" (ინ.).

უსულით წყნარად, ფრთხილად, ჩუმად. „ნენი, უსულით არუნე, შვილო, არაბაი! ყეზა არ ქნა!" (ინ.).

უსულ-უსულ (ინ. უსული). ჩუმად, წყნარად. „უსულ-უსულ ევდეთ თაზე" (იმ.).

„უსულ-უსულ თველი დევსნაელე“ (იმ.); „აქამომდე უსულ-უსულ ევდოლით თაზე“ (იმ.).

უსუსუნებ-ს ზედმეტ ზრუნვას იჩენს, გადაჭარბებით ემსახურება, ეფერება. „თითისიგძე ბაღვსა იმდენ უსუსუნებს, გიგიკვირდება“ (ად.).

უთათავებელი-ი დაუსრულებელი, დაუმთავრებელი. „ზამანის უთათავებელს ემეკლიზე ვერ გვეყუანთო, ებნევიან“ (ინ.).

უუმბრევებ-ს ნიავს მისცემს, ქარს (ნიავს) წააღებინებს მტვერს, ბზეს, ქატოს. „ქარში უუმბრევებთ კაკალსა“ (მ.).

უუნიავებ-ს ნიავს მისცემს, ქარს (ნიავს) წააღებინებს მტვერს, ქატოს. „ბულდა და სამანი რომე გვერჩევა კალოზე, მასუკან უუნიავებთ“ (იმ.).

უულია უყიდა. „ეთგიე უულო ჩარში ციცასა“ (ინ); „სოფლიერსაც უულიან ყოლოთულები, დოუკეთებთან შეშის სანდალივები“ (იმ.).

უუჩარჩვა აულამბა, სახელდახელოდ ხელით შეუქერა. „თერძსა მომხმარომ ხელით უუჩარჩვა ბუზმის განები“ (ინ.); „მეიტიანი და უუჩარჩვოთ, თაგალიც ვიცით“ (ინ.); „რომე უუჩარჩვოს, თერძი მალე შეკერავს“ (ად.).

უუხდინა-ა შეუსრულა, აუსრულა. „ღმერთო, ესენი იმათ უუხდინე, დარები, შენ გებუნენები!“ (ინ.).

უუფრკა დაუბედა, ახალ წელიწადზე პირველად შედგა ფეხი. „შარშან მამაშენმა გვიფერქა და ოჯალი წინ წამოვდა“ (იმ.).

უფიშმანი-ა (სპ. pisman — მონანიება, დანანება, სინანული) უფიქრია, დაფიქრებულია. „ასე უფიშმანიან კაცებსა“ (სტ.).

უფურჩულებ-ს ჩუმიად ეუბნება, უფურჩულებს. „ამდენ რას უფურჩულებს ნეტაი“ (ინ.); „უფურჩულა, უფურჩულა, ბაღვსა და გააქცია სოენი“ (ბახ.).

უფუტებ-ს უბოლებს, უხრჩოლებს. „უფუტებს და არი ძიგარას“ (ად.); „წალიაზე დაყრილ სიმიწდ უფუტებენ, გახმესო“ (ბ.).

უფუშტებ-ს (puš — პედერასტი, მამათმავალი) უღალატებს, მოატყუებს, უმტყუნებს. „ვემ სიტყუა მომცა და პემ

მიფუშტა“ (ინ.).

უქარდებ-ა უქრება, ეკარგება. „არ მაქ, არ მაქო“ — ძახილში ხელეშში უქარდება ყუელამფერი“ (ად.).

უქეიფური-ი ავადყოფი, არაჯანსაღი. „დედეი უქეიფურია ერთი თუეა“ (იმ.).

უქონელი-ი ღარიბი. „უქონელი ოჯალია, ცოდვა იქნება ციციი იმათ ხელში“ (ად.).

უღელი სიმიწდი-ი სიმიწდის ორი ტარო, ერთმანეთზე ფუჩქით გადაბმული. „ორმოცი უღელი სიმიწდი ქანდარაზე დავიდე“ (მ.).

უღური (uğur) სიხარული, ბედნიერება, სიკეთე. „ღმერთმა არ მოგაკლოს უღური!“ (ად.).

უღურლი (uğurlu) ბედნიერი, ბედნიერების, სიხარულის მომტანი. „ახალ წელწადზე შენ მიფერხე, უღურლი ხარ!“ (ად.).

უღურსუზი (uğursuz) უბედური, ბოროტი, ავი, საძაგელი. „უღურსუზო შენა! რაფერ არ გეგონა, რომე ყუელამფერ შეტყობდი?“ (ად.); „მებნევა, შენაო უღურსუზი ხარო“ (ინ.).

უყათულო (kalık — პურზე დასაყოლებელი, მისაჭმელი, კერძი) უკერძო, მხოლოდ პურის მქონე. „ასეც თქუეს მეგემ, უყათულო შავგადოთ ოდამიო“ (თ.ქ.).

უყასტა უღალატა, ზურგი შეაქცია. „ბელქი უყასტა ანამისმა?“ (სტ.); „იმფერი ინსანი, ღუნდადა არ გიყასტებს, არ მაგატყვილებს“ (სტ.).

უყისმეთოთ (არ. kusmet — ბედისწერა, ბედი, ხვედრი, წილი) ბედისწერის, ბედის წილის გარეშე მყოფი. „უყისმეთოთ ამ ღუნდაზე ააფერი არ იქნება“ (სტ.); „უყისმეთოთ არ წეხვიდე“ (ან.).

უყიდული-ი უყიდველი. „მანქანას უყიდული არ დაედგები!“ (ინ.).

უყუბეთი (არ. ukubet — ღვთის სასჯელი, შიში) შეუხედავი, ცუდი გარეგნობის მქონე; მძიმე ხასიათისა. „მაქფერი უყუბეთი ინსანი ღმერთმა არნა დიგიწეროს?“ (სტ.).

უყურებს პატრონობს, მზრუნველობას

არ აკლებს, ყურადღებას აქცევს. „გიორგი სააკაძე მეგემ თოქათ უყურებდა“ (სტ.).

უშექილო (არ. şakil — სახე, ფორმა, გამოსახულება, ფიგურა, ხარისხი გარი, მოდგმა) უხარისხო, უჯიშო, უშნო. „სხუ-აფერი უშექილო ინსანია, .ორ სიტყუას ერთათ არ დეგელაპარიკება“ (სტ.).

უშექიათა (არ. şikayet — საჩივარი, ჩივილი) უჩივლა. „დედმა ემრულას ბათუმის სუღში უშექიათა“ (იმ.).

უშეკერილი-ი შეუკერავი, შეუკერელი. „ჩოხის უშეკერილი არ წევალ“ (ინ.).

უშვილო შვილი-ი 1. ნანატრი შვილი, დედისერთა; 2. განებიერებული, გათამამებული. „უშვილო შვილივით შეფერებული ნუ ხარ!“ (ინ.).

უშუშინარი-ი უშიშარი. „ჩემი დედი ერთი ჯესური, უშუშინარი კაცი იყო“ (ინ.).

ურალი (აჯაკ) თვითმფრინავი. „ინეგოლში ურალი ჯემალას არხატაშებმა ჩამეიყუანეს“ (ინ.).

ურლუგი (üçlük — სამი ნაწილისაგან შემდგარი, სამი ნაწილის მქონე) ქალის ზედატანზე ჩასაცმელი, კოსტიუმის შემცველი. „შიან კიდო ურლუგი მაცვია, არ შემცივდება“ (ად.).

ურრუმ-ი (ürürüm) უფსკრული, ნაპრა-ლი; უღრანი, გაუვალი ადგილი. „ურრუმ ტყიან ადგილებში შეზავდენ თხები“ (ინ.); „ურრუმებიც არი ჩუენ ტყიებში“ (მ.); „იმფერ ურრუმში რაფერ დაბრუნდება არაბაზი?“ (ინ.).

ურუმალა-იიურუმარა-ი ჩუმად, ფარულად. „ურუმალაი ვტიროდი ბარსამ“ (სტ.); „ურუმარაი წესულა“ (ად.).

ურქვე ზედსიძე. „ნური-ფენდი ურქვენა ყოფილიყო ძმასთან“ (თ.ქ.); „ურქვეთ ყოფნა ჩათინია“ (თ.ქ.) იხ. ირქვე.

ურნოის-ი უმზუსის, შუილი გააქვს (ყურს). „ყური მიწივის მარჯუნაი, რაცხა გონჯი ხებერი შევტყვანა“ (სტ.).

უნინდელოღმა ოდითავანვე. „რა გიკვირს განა? უნინდელოღმა ასე ყოფილა“ (ბ.).

უნინარი-ი ურცხვი, უტიფარი. „უნინა-

რო შენა! ნაშუავი აქედან, არ გაქციოთო!“ (ინ.).

უჭიჭიჭი-ს თვალებით ეარშიყება, თვალბს უწუწუნებს. „ეს ბლვი სხუასოდ უჭიჭიჭიებს თვალბს გოგებესა“ (ინ.).

უჭიტინებ-ს უჭერეტს, ჭუჭრუტანიდან უყურებს. „კარებიდან რალას უჭიტინებს?“ (თ.ქ.).

უჭიჭინებ-ს მალულად უცქერს. „ფერ-დეიბიდან უჭიჭინებს ურშმალი“ (ინ.).

უჭუჭკავ-ს უგროვებს, თავს უყრის. „ციცას უჭუჭკავს გზითვის თახუშა“ (ინ.).

უხამა-ი ფიზიკურ საქმიანობას გადაჩვეული ადამიანი, როცა კვლავ ჩაებება შრომში, მალე დაიღვება. ამაზე იტყვიან, უხამო. „ბოსტანში პანაი ვისაქმე და მინამა პერალდა“ (ინ.); „გამოსულზე ბერს უხამა და ავთ გახადა“ (თ.ქ.).

უხაჩინებ-ს უღიჭინებს, უხიციანებს. „ნულარ უხაჩინებ ბალესა, ამდენი სიცილი ანყენს“ (ად.).

უხლაგო პურის ცომის გასაშლელი ჯოხი. „უხლაგით გევეყანთ ცომსა“ (ინ.); „უხლაგო ჩუენც გუაქვა“ (მ.).

უხმარე გამოუსადეგარი, გამოუყენებელი. „ჩუენი დედი ერთმა უხმარე კაცმა გაახელა“ (ინ.).

უხრავი-ი ურთხელა. „უხრავით გაკეთებულია და ერთ ას წელიწად კიდო გუუთევს“ (თ.ქ.).

უხსენებელი-ი გველი (გველს არ ახსენებენ, სხვა სიტყვით მოხსენიებენ ხოლმე: „გველი“ ტაბუდადებულია). „დუშმანი გვახსენეფს ისეგავ; უხსენებელზე დევწყეთ ლაპარიკი“ (თ.ქ.).

უქლავი-ი იხ. უხლავო. „უქლავი ხიდამ კეთდება, ცომს გავალბთ იმითა“ (იმ.).

უქდური-ი რძის პროდუქტი. „უქდური მარანში იქნება, ვეადა საჭმელიც“ (იმ.); „მემთვერი უქდურ გააკეთებს“ (იმ.). შდრ. საბა (უქდური — საურწყო: — სძე, ერბო, ყველი და მისთანანი).

უქმარი-ი სუფთა, გამოუყენებელი, ხელუხლები. „უქმარი დაზმა მოგეცი, დეიხურე თავზე!“ (იმ.). შდრ. საბა (უქმარი — არად საქმარად იყოს).

უჯინსო (არ. cins — მოდგმა, ჯიში,

სახე, ტიპი) უჯიშო, ცუდი მოდგმისა. „ეის უჯინსოა, პრატი არ მიიცემა“ (ინ.).

უჯიჯგინებ-ს უბიძგებს, უჯიკავებს, აქეზებს. „უჯიჯგინე ბევრი, ისამე-მეთქი“ (იმ.).

უჯუზი-ი (ucuz) იაფი. „ჩუენსა ალთუნი

უჯუზია“ (იმ.).

უჯუზათი იაფად, დაბალ ფასად. „ესენი ეფეი უჯუზათ ევლე“ (მაჭ.).

უჰუ (shu) წებო. „მაგაზე უჰუ კაია, დააცზე ახლავენ“ (ხ.ფ.).

ფ

ფაალი-ი (სპ. pahali ძვირფასი, ძვირად ღირებული, ძვირი. „თურქიემი ფარჩა ფაალია, ალთუნი-უჯუზი“ (იმ.); „ვერ ნე-ვლენ, გზა, ღოლჩობა ფაალია“ (ინ.).

ფადიშაჰი-ი (სპ. padisah) სულთანი, მონარქი, ხელმწიფე. „ამათ ნათქვამს ფადიშაჰი არ ჯერულობდა“ (სტ.). „ფადიშაჰის ანაი გურჯი ყოფილა“ (სტ.).

ფაზარი-ი (pazar) 1. კვირა დღე; 2. ბაზარი. „ხვალ ფაზარია ღალიბა, ისიარა?“ (ინ.).

ფაზართესი-ი (pazartesi) ორშაბათი. „ფაზართესი გზავრობისთინ კარქა არ მაქ დაცდილი, არ ნეხვიდეთ დღესა!“ (ინ.); „ფაზართესიც დაეთესათ ყანასა“ (იმ.).

ფაზლა (არ. fazla) ზედმეტი, ნამატი, ჭარბი. „მარილი მაგდონი არ ჩააყარო, ფაზლა მუა“ (ად.).

ფათა (pala) ყაიმი. „ანყალმა ფათა ქნეს და მეთათვეს თამაში“ (ინ.).

ფათათა-ფუთათა მოუწყობელი, დაუ-ლაგებელი, მოუწესრიგებელი. „ასე ფათათა-ფუთათას ნუ გვეყურებ, ჯიგრიანი ვართ“ (იმ.).

ფათათესი-ი (palates) კარტოფილი. „ფათათესი ზოგნი კუმატას, ზოგნი ზირას, ზოგნი ყართოლ ებნევიან“ (იმ.).

ფათაქულა შემწვარი სიმინდი. „ამასა დაყრი ცხელ კეცზე, შეინვის და გახდება ფათაქულა“ (იმ.).

ფათერი¹ (föir) ფარფლებიანი ქუდი. „ფათერი აქ თავზე იმ კაცსა“ (იმ.).

ფათერი² (არ. fatir — შემომქმედი, შემქმნელი). მკითხავი, მისანი. „კაცი ყოფილა ფათერი“ (ბ.).

ფათიკი (patik) ფაჩურჩი. ფეხზე ჩასაცმელი თათები. „ფათიკებ მოექსოვ და გაყვიდ“ (ინ.).

ფათისკა (patiska) ბატისტი. „ესა ფათისკა მატერიიდან არი“ (ინ.); „ნენემ კაბა შიმიკერა, ფათისკადან რობადა“ (გულ.).

ფათიხ (არ. fatih) დამმორჩილებელი, დამყრობი. „ფათიხ სულთან მეჰმედ მიორე არი კოსტანტინეფოლის ამლები, იმის მემრე დეერქვა ისტანბული“ (სტ.).

ფათლიჯანი (patlican) ბადრიჯანი. „ჩენი ძეგლები თომათეს ფათლიჯან ებნეოდენ, ახლა შეიცვალა ლაპარაკიც“ (ინ.); „ფათლიჯანის სარმა კაი მოდის ტყიბილ ბიბერთან ბარაბერ“ (ინ.).

ფათლიჯანაი ლეღვი-ი ლეღვის ჯიში. „ესა ფათლიჯანაი ლეღვი“ (მ.); „ფათლიჯანაი ლეღვიდან კაი ჩირი გამოდის“ (მ.).

ფათმა (fatma) ქალის სახელი. „ფათმა მადლიანი სახელია, ფედლაშმერის გოგოს ერქვა“ (ინ.).

ფათუნე-ი ფათური, ხელებით რაიმეს ძებნა, მოუსვენრობა, გამუდმებით ზრუნვა ვინმეზე ან რაიმეზე. „ნუ გიყვარს მაგდენი ფათუნე“ (ინ.); „მისი დღე და მოსწრება სულ ფათუნეშია“ (ინ.).

ფათუნება ფათური, ხელებით რაიმეს ძებნა. „ლამაზ გოგოს კოცნა მიყვარს, ხელებისა ფათუნება“ (ინ.).

ფათხ-ი ხმელი ტოტები ხისა. „ნაძვის ფათხებით ჭადი არ გამეიცხოზა“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ფათხა — ბადის საქსოვი ჩხირი).

ფათხის გაქანება მაკე პირუტყვის მომზადება ნაყოფის მოსაგებად. „ჯერ

ფათხის გაქანება არ დატყობია, ბარსახან არ იმოეს ხობოს" (თ.ქ.).

ფათხი **ლობია**-ი ლობიოს ჯიში, „რომელიც არ საჭიროებს მაღალ სარზე აყვანას, ხმელ ტოტებს ფათხებს დაუსობენ და იმაზე აწყავთ. „ფათხი ლობია მქონდა შარშან ბოსტანში“ (იმ.).

ფაიზი-ი (არ. faiz) პროცენტი, შემოსავალი. „ფარა უსესებია, მარა დიდი ფაიზიც უურთმევია“ (ად.).

ფაიზლი ბორჯი-ი (faizli — პროცენტიანი, borj — ვალი) პროცენტიანი ვალი. „ფაიზლი ბორჯი მალე თუ არ გეისტუმრიე, დეიფუჭვი ინსანი“ (ად.).

ფაიყა-ი (არ. faik — აღმატებული, წარმატებული) მამაკაცის სახელი. „ფაიყემიაი შარშან მომქდარა“ (ად.).

ფალ-ი (pala — დიდი ნატეხი) ნატეხი, კნჭი. „ამის ფალ ჰყრიან“. (იმ.).

ფალაზი (palaz — უბრალო, უმნიშვნელო რამ; სპ. palaspate — ძინძი, კონკი) ძველი ქსოვილის ან ტანსაცმლის ნაფლეთი, ნაგლეჯი. „კიდო რომ გეუჭებე თავი, ჰემაც გავასტორეთ ფალაზი შუბლის მიედანზე“ (ინ.); „ახლა დედათილი ძველ ფალაზივით მიგდებულა“ (სტ.).

ფალან (falan — 1. მავანი, ვილაცა, რამე; 2. მგონი, თითქოს, მართლაც) მგონი. „მეშინია ქი მიკბენს, ფალან“ (იმ.).

ფალანცხა ფარალალა, ცუდად ნამუენი. „ფალანცხა ქოხში შეცივდა დედაბერსა“ (თ. ქ.).

ფალაყა¹ ფიჭიანი თაფლი, გოლეული. „ამ ყავრანიდამ კაი ფალაყა გამუა“ (ბ.); „ფალაყა თაფლი ბევრი რამის ილაჯია“ (თ. ქ.).

ფალაყა² (ისტ. falaka) სასჯელის სახე ძველ მედრესში. ხით გაკეთებულ სპეციალურ მომჭერში მოათავსებდნენ დამნაშავეს ფეხებს და ჯობით ურტყამდნენ ფეხის გულეებში.

ფალაყაში მონევა (იხ. ფალაყა) ფალაყათი დასჯა. „იმა ფალაყაში მონევა უნდა, ისეგავ“ (ედ); „წინწინ ხოჯიებმა ფალაყაში მონევა იცოდენ თალიბებისა“ (ინ.).

ფალდუმი-ი (იხ. პალდუმი) სატიერთო

პირუტყვის საძე (სპ. paldim). „ფალდუმი კარგა გამუუჭირე ცხენსა, რომე ონაგორა არ იხოხვოს ზურქში და ტყავი არ გადაამუენოს“ (ად.). შდრ. საბა (პალდუმი — ჯორთ საბარკლე).

ფალი-ფალი! ცხენის მოხმობა-გაფრთხილების შემახილი. „ფალ-ფალი! ფალი-ფალი! — უძახიდა ცხენსა თავდაღმართში დაკიდულ შუკაზე“ (მ.).

ფალტაზი (faltasi — სამარჩიელო ქეცები) მოზრდილი კნჭები. „დედაბერი რომ დეენახევი ფალტაშივით გავახილე თვალეზიო“ (სტ.).

ფალუზი (სპ. paluze — ფელეს სახე) კეახის კერძი. „ფალუზო აყვიროდამ კეთდება“ (მ.).

ფალჯი (არ. fal — რჩევა, მარჩიელობა, წინასწარმეტყველება) მარჩიელი, მკითხავი. „წვეელით ფალჯისთან, გელინიც წვეყვით“ (ინ.).

ფალჯობა მარჩიელობა, მკითხაობა. „ისკამბილ შლის და იმით იჯება ფალჯობას“ (ინ.). შდრ. საბა (ფალი — მისნობა).

ფამბულა-ი (pamuk — ბამბა) 1. რბილი, ნაზი, ფაფუკი; 2. ქალის სახელი. „დედეს თეთრი ფამბულაი წვერი ქონდა“ (ინ.); „ჩვენი ფამბულაი უშვილო დარჩა“ (თ. ქ.).

ფამფარა ბალახი. „მოკრიფა გელინამ თაზე ფამფარაი“ (იმ.). შდრ. საბა (ფამფარა).

ფანი დუნდა (არ. fani — წარმავალი, ხრწნადი, dünya — სამყარო, ქვეყანა) წარმავალი ქვეყანა, წუთისოფელი. „ფანი დუნდა ატყვილფეს ინსანსა“ (ინ.).

ფანგა-ფუნგი მტერევა-ლენევა, ჯახაჯუხი. „ფანგა-ფუნგი მუუყენა დათვმა ამ ბუზგებსა, დატეხა ტანები და ჩეიარა, ნევადა ქუეშეთისკე“ (იმ.).

ფანდაკი-ი ახლადფეხადგმული გოგონას სასიყვარულო ეპითეტი. „პანაი ფანდაკი, რა ლამაზია, ერთი! ააფერუმ!“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ფანდაკი — მაშისა და მოგვის მაღალი ქუსლი).

ფანთოლ-ი (pontol) შარვალი. „ფანთოლ ვქსოვ, ყაზალ ვქსოვ“... (იმ.); „გაპ-

ქადე ფანთოლი!" (იმ.).

ფანძაკ-ი უზნეო, მოურიდებელი, უსი-
რცხვილი. „მაგრე ენა რაფერნა დუგუტე-
ლო მამათილსა, ფანძაკო შენა!“ (ად.).

ფანჯარ-ი (pancar — ჭარხალი) მხა-
ლეული. „ფანჯარი მქონდა ბოსტანში“
(მაჭ.). შდრ. საბა (ბანჯარი სომხურია,
ფხალსა ჰქვიან).

ფანჯარჯობა მხალეულის მოკრეფა
(მხალეულის მოკრეფის დრო). „ფანჯარ-
ჯობა ქვია ჩვენსა მემშლიანობას“ (მაჭ.);
„ფანჯარჯობაზე მემშლიანები (ფანჯარჯე-
ბი) ამოდიან თეებში, კრეფენ ხალსა,
ეხმარებიან მემთევრებს“ (მაჭ.).

ფანჯარჯი (pancarci) მემშლე, მხალე-
ულის მომეკანი (მომკრეფი). „ფანჯარჯი
მეფხლეა ჩვენსა“ (მაჭ.).

ფადანდა (სპ. payanda) საბრჯენი,
მისაბრჯენი. „როდს აქ ტარი, ფადანდა“
(ინ.); „ღობესა დირეგები აქ. ეს ფადანდა,
განზე გადებული ხე“ (გულ.).

ფადა (არ. fayda) სარგებლობა, სარ-
გებელი. „მაგ საქმიდან რამე ფადა არ
გექნებიან“ (ად.).

ფადთახტი-ი (სპ. paylaht) დედაქალაქი.
„აქა გურჯების ფადთახტი ყოფილა“ (მ.).

ფარა (სპ. para) ფული. „ხირსიზე
ფარა უურთმევიან ბალვისთინ“ (ბახ.).

ფარაგ-ი ჯიბე. „ეთეგზე შიგან ფარაგი
მქონდა“ (იმ.). შდრ. საბა (ფარაგი — წელთ
სარტყამი ჯიბიანი ჩასადებელი, გინა ჯი-
ბე).

ფარატანი-ი უზნეო, მოურიდებელი,
უნამუსო. „ერთი ფარატანის გულობაი
თელი სოფელი მისვარა, ხედავ?“ (ად.).

ფარაფარჩა (paramparça) ნატებებად,
ნაკუნებად, ნაგლეჯებად ქვეული. „კაცსა
საქმე-საქმეში ფარა-ფარჩა გუუხდია ხელე-
ბი“ (თქ.).

ფარეზობ-ს (სპ. pehriz — მარხვა,
დიეტა) მარხულობს. „ციცაი წრეველი
ფარეზობს“ (სტ.).

ფარეზობა (სპ. pehriz — მარხვა,
დიეტა) მარხვა, დიეტის დაცვა. „ძალიან
შიშმანი გახდა უნქერაი, ფარეზობა თუ
არ ქნა, სიმსუქნისკან ავათ გახდება“ (ად.).

ფარეხელა-ი სიმინდის ჯიში. „ფარე-
ხელი კაი სიმინდია, დიდრუანი დენები
აქ“ (მ.).

ფართა-ფურთა (farta—furta) ტრაბახი,
კეენა, ცარიელი მუქარა, ქადილი. „დეი-
წყო მისებური ფართა-ფურთა“ (ად.).

ფარიყ-ი (არ. farik — გამოყოფილი,
განსხვავებული) მამაკაცის სახელი. „ფა-
რიყ-ემიაი იყო ერთი, მემლექეთიდამ გა-
მისული“ (ად.).

ფარტენა მატყლის ფთილა. „ფარტენებ
ავასხამთ ძაფზე, კაა გაეაკეთებთ“ (ინ.).
შდრ. საბა (ფარტენა).

ფარტინ-ს ბარდნის, მოზრდილ ფიფ-
ქებს ჰყრის. „ერთი რაფერ ფარტინის,
ხედავ? შვა ზამთარი გეგონება!“ (ად.).

ფარუხა-ი ლობიოს ჯიში. „ფარუხაი
ლობიაი აქაერი სოფადია“ (პ.).

ფარქ-ი (park) პარკი. „ათათურქ ფარ-
ქში ნეყყაი დღესა“ (ან.).

ფარქე (parke) პარკეტი. „ფარქე ძალე-
ან ფაჰალია, მარმორი დაჰა ყოლაჲ ჩება“
(ან.).

ფარჩა (parça) ნაჭერი, ნანილი, ნატეხი.
„არაბიდან კაი რენქი ფარჩები ჩამუ-
ტანია“ (ინ.); „ლალიბა თორმეტი ფარჩა
იყო ყაჰვე თახუმი“ (ინ.). შდრ. საბა
(ფარჩა).

ფარჩხატი-ი მეჩხერკბილებიანი (სავარ-
ცხელი, ფოცხი და მისთ). „ფარჩხატი
ფურჩა არ გიგითემიზებს კარქა კიბილებ-
სა“ (ინ.). შდრ. საბა (ფარჩხატი —
შორი-შორ წყობილი).

ფარცხ-ი დახნული მინის ბელტების
დასაფშენელი, ლასტებით დახნული სამუ-
შაო იარაღი, რომელზედაც დაწყობენ
ქვეებს და ხარების საშუალებით გაატარე-
ბენ ყანაში. „ესაც ფარცხია, გორობებ
დაფშნის“ (იმ.). შდრ. საბა (ფარცხი —
კაბდოს ლახტი).

ფარძ-ი (არ. farz) მორნმუნე მუსლი-
მანისათვის აუცილებლად შესასრულებელი
წეს-ჩვეულება. „ხუთი ვახტი ლოცვა ფარძი
გიკვიხადა“ (ინ.).

ფარქიელი-ი საბძლის წინა ადგილი,
გადახურული. „ქორის წინა ადგილი ფა-

რქელია" (იმ.).

ფასთა (pasta) ნამცხვარი, შუქარლამა. „იმ დღეს ფასტას გამააცხოზენ“ (იმ.).

ფასტურა (pastirma) გამხმარი ხორცი. „ფასტურასაც გაგაყეთებთ ზამთრისთვის“ (ბახ.).

ფასულია (pasulyc) ლობიო. „ფასულიას მოვხარშავთ, იალში მოხრაკულ ხახვ ჩავასხამთ“ (ინ.).

ფასფას-ი (paspas) ოთახში შესასვლელთან დაფენილი ფეხის შესახოცი, ფეხსანმენდი. „ვიყიდავთ ფასფასსა“ (ბ.); „ფასფასი მოქსევს ჩვენ ქალებმა“ (ბახ.).

ფაფაზ-ი (papaz) 1. მღვდელი; 2. ბრაზიანი, ფიცხი, მყვირალა, მკაცრი ადამიანი. „ხოფაში ერთი ფაფაზი ხოჯა გახდილა“ (ბ.); „ქართველი ფაფაზები იყვენ იქა, ისტანბულის ფერიქრძეს ქილისეში“ (იმ.); „დაბერდა და ფაფაზი გახდა, ვეღარ ტანულობს ვინმეს“ (ან.).

ფაფრიქა (fabrika) ფაბრიკა, ქარხანა, საწარმო. „ახლა ჩემი ფაფრიქა მაქ, ბოჯას ვაკეთებ და ვყიდავ“ (მაჭ.).

ფაფრიქაჯი (fabrikaci) ფაბრიკანტი, საწარმოს მფლობელი. „ფაფრიქაჯია ჩვენი რაფეთი“ (სტ.).

ფაფურ-ი (სპ. pabuc) უქუსლო ფეხსაცმელი, მოქსოვილი თათები (ფეხზე ნამოსაცმელი). „ფაფურები იყო ტყაყისა და იმა ვიცევევით“ (ინ.). შდრ. საბა (ფაფურჭი სხვათა ენაა, ქართულად ჩუსტი პქვია).

ფაქათ (არ. fakat) მგარამ. „ერთი დერის ჩოხა კიდო უნდოდა, ფაქათ ვეღარ ეილო, ფარა აღარ დუურჩა იმდენი“ (სტ.).

ფაქ-ი (სპ. pak) სუფთა, უცოდველი, შეუბღალავი. „წრეველი პაჯე წეგდა და ფაქი გახდა მის თაამინში“ (ინ.).

ფაქეთე (paket) ხეული, პაკეტი. „მეგ ლამაზი ფაქეთე გააკეთებთ, გურჯისტანში მიდის“ (იმ.); „საჭაჰადები იყიდებთ ფაქეთეში“ (ინ.).

ფაქირ-ი (არ. fakir) ღარიბი, ღატაკი. „ძალურა ფაქირი არიან ის თახუში“ (ად.).

ფაქულთე (fakülte) ფაკულტეტი. „გავათავე ქიშია მუენდისობის ფაქულთე“ (მაჭ.); „ბურსას ფაქულთეშინა დავანვინო

ბაბაი“ (იმ.). იგულისხმება ბურსის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის საცდელ-საჩვენებელი კლინიკა.

ფაქუნა (სპ. pak — სუფთა, უბინო) მთლიანად, სავსებით, სუფთად. „ფაქუნა არ ესმის, დაყრუედა ზავალი ღალიბა“ (ინ.).

ფაღაჭო (pağica — ღვებელი) ფაფუკი, თეთრი, მაღალი ხარისხის პური. „ფაღაჭო პურები ცხვება, ჰამან იყიდე და ჭამე“ (ინ.).

ფაშა (ისტ. paşa) უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ტიტული ოსმალურ თურქეთში. „გურჯი ფაშა გიორგი სააკაძე თურქეთს თაარიხებში მაგრავ ჰანია“ (სტ.); „გურჯი მეჰმედ ფაშაც დიდი კაცი ყოფილა თურქეთში“ (სტ.); „ფაშაებმა ვერ გეიტანეს მეგემ“ (სტ.).

ფაშა-ი ბებია, დიდება. „ჩვენი ფაშა რაკარ არი?“ (ფათ.).

ფაშა-ნენე-ი ბებია, დიდება. „ჩვენა ფაშა-ნენე ვიცით“ (ხ. ფ.).

ფაშა-ბატონი-ი საპატიო მიმართვის ფორმა რძლისათვის დედამთილისადმი ან მულისადმი. „შენ კარქა ხარ, ფაშა-ბატონი?“ (ხ. ფ.); „ჩვენა „მულ“ არ ვიცით, „ფაშა-ბატონი“ ვიტყვი“ (ხ. ფ.).

ფაშალია კაბა. „ფაშალია ჩემით-ჩემითი არი“ (პ.); „მაი ლამაზი ფაშალია ვინ მოგიტანაო?“ (პ.); „ყველში კაბას „ფაშალიას“ ეტყვიან, დოღბენდასა — „ლაჩაქსა“ (ინ.).

ფაშარი-ი 1. უხეში მატყლი, მსხვილბენვიანი. 2. მშრალი, ნაკლებადნენიანი. „ამიდან ყაზალი არ შეიქსოვნება, ფაშარი ღაზლა არი“ (ად.); „სამახაი ფაშარი სხალია“ (ად.). შდრ. საბა (ფაშარი — პური საფხენელი).

ფაშე-ი კუჭი. „კაცებ ფაშევის დერდი აქვან, საჭეელი მალ-მალენა მიართვა, რომე არ გაპერსდონ“ (ად.).

ფაშფუშა-ი შიგნეული, ნანლავები. „ფაშფუშები რამ შააჭმის მაგ ოხრება?“ (პილა). „დამტრევი იხსნის ცხენის ფაშფუშაში შახეის“ (ინ.).

ფაჩაურა (paçavra) 1. ძველმანი, ძონძი; 2. დაჩაჩანაკებული, მიხრწნილი. „ბაღესა

ათეში ქონდა და ნამსხმანი ფაჩავრასაკვეთ გუუხდა“ (ად.).

ფაჩხ-ი ხმელი ტოტი. „ფაჩხები დუუსე ფასულიას და ახოხდება ზედან“ (ად.); „ხმელ ფაჩხებ კარქა მეეიდება“ (გულ.).

ფაცახ-ი უხეში, მსხვილბენიანი მატყლი. „ფაცახი მატყლია, წინდა მეიქსოვნება ანჯახ“ (ად.). შდრ. საბა (ფაცახი — მატყლი მსხვილბენვი).

ფაცია-ი გოგონა. „ეს ფაცია ვისია?“ (იმ.); „ვაიმე, ჩემო მიძინოო, ფაციავე, ჩემო შირინოო, ტირილაი რომ გამაგზავნე, ღამე რაფერ ვიძინოო“ (პ.).

ფანალა ტყინაპი. „თავინდან გადმუარდნილა და ფანალა გახუთქია“ (ად.). შდრ. საბა (ფანალა — ტყინაპი).

ფაჭა ხის ხმელი, მშრალი სოკო. „გამოი, გამოიხვიე მუხის ფაჭაზე“ (სტ.); „ფაჭასაკვეთ სხალა, პირი მოძიშაბა“ (ინ.). შდრ. საბა (ფაჭა — ევილის ნანური).

ფაჭვა თოხნა. „ჩესულა ყანაში და სიმინდის ფაჭვა დუუნყია“ (პ.); „ძველები ფაჭვის დანყებზან დუს იქმოდენ“ (პ.).

ფაჭვის სიმღერა თოხნის სიმღერა (ნადური). „ნად ვიქმოდენ ფაჭვაში და ფაჭვის სიმღერასაც შამოძახებდენ“ (პ.). იხ. პაირიე — ფაჭვის სიმღერა.

ფახანგარი-ი ძველი უვარგისი ჭურჭელი. „ფახანგარი ყაბყაჯალი თავანში აქვან შეყრილი“ (ბახ.). შდრ. საბა (ფახანგარი — ცუდი ბარგი).

ფახანი-ი უხეში, მსხვილბენვა მატყლი (იხ. ფაცახი, ფაშარი). „ამ ცხვარსა ძალუნ ფახანი მატყლი აქ, სათესლეთ არ იქს“ (ედ.).

ფახილ-ი (დიალ. pahil) გულქვა, ხარბი, შურიანი. „ფახილი ინსანი ღმერთ არ უყვარს“ (ინ.).

ფახირი-ი (bakır) სპილენძი. „ომ თუნელებიდან ფახირი ამუაქვან“ (მ.); „წინწინ ფახირის ყაბები ქვექონდა“ (ინ.); „ეს ფახირის გუგუმი მემლექეთიდან გადმოტანია“ (თ.ქ.).

ფახირჯ-ი (bakırcı) სპილენძის ოსტატი. „აგზე ფახირჯის თუქანია“ (ინ.).

ფახრაჯა (bakrac) სპილენძის აზარფე-

შა, ტოლჩა, რომელშიც ადულებენ კერძებს. „ფახრაჯაში ანაი ჩაყრიდა ლობიას, მიდგემდა ბუხარში, სართის ძირში, თავზე ქვის სარქველ დაახურედა ღრიჭოთ და ადულებდა ნელ-ნელა“ (ბახ.); „ჩემო გამზდლო ლობიავე, მოგბარგეს და ფახრაჯაში“ (ნ.).

ფაჰალი (pahali სპ. paha — ფასი, ღირებულება) ძვირად ღირებული, ძვირფასი. „იმისი დერიც ბევრი ფაჰალია“ (იმ.).

ფაჰრი (არ. fahri — საპატიო) მამაკაცის სახელი. „ფაჰრი-ფეგენდი პარლამენთოში შესულა“ (სტ.).

ფაჰრიე (fahriye არ. fahri — საპატიო) ქალის სახელი. „ფაჰრიე-ხანუმი ასე იტყოდა“ (ად.).

ფეგ-ი (არ. fek) განყვეტა, განცალკევება, გათიშვა, დაცარიელება. „გორგაზიები ფეგი გახდენ, ნასახლარი გახდა იქევრობა“ (იმ.).

ფედევრა (padavra) ყვარი. „იაილაზე ფედევრა არი გადახურვილი“ (თ.ქ.).

ფევზ-ი (არ. fevz — ხსნა, გადარჩენა) მამაკაცის საკუთარი სახელი. „ფევზი-ბეი საბაირამოთ ილლა მუა სოფელში“ (თ.ქ.).

ფეთხუმი-ი უსუფთაო, უფაქიზო, მოუხერხებელი, საძყარი. „ქალი რომე ფეთხუმი იქნება, ის პანე დეიფუჭვის“ (ად.).

ფელამუში-ი მუხა. „მუხას ზოგი „ფელამუში“ ებნევიან“ (პ.).

ფელაქეთი (არ. felakci) უბედურება, ხიფათი. „ღმერთმა აგვაცილვოს ფელაქეთი“ (სტ.).

ფელაჰ-ი (არ. felah — ხსნა, გადარჩენა, ბედნიერება) მხიარული, მოუწყინარი. „იმფერი ფელაჰი ციცაი ქვეყავს, რომე გეძღვებოდა“ (ინ.).

ფელკერდა ხილვაფა (ჭანჭურის, ტყემლის ან ტლიავის). „ფელკერდა ტყიბილ ტყემალედან მოდულედა, ყორავო — ვავედან“ (ინ.).

ფელთექ-ი (peltek) ენაბლუ. „ერთი ბალვი ენაფელთექი ყოლია“ (სტ.).

ფელუკა-ი პატარა ნავი. „ფელუკაით გესულან მიერე თერეფზე“ (სტ.).

ფელჩ-ი (არ. felç) დამბლა. „ნენესა

სოენი ფელჩი დეემართა“ (თ.ქ.).

ფემბე (pembic) ვარდისფერი. „ამას ფემბე რენგ ვუძახით“ (იმ.).

ფენა (არ. fena) 1. ცუდი, საძაგელი, ავი; 2. ძლიერ, ძალიან. 3. შემძლე, მოხერხებული. „სიკვილი ფენა გონჯია“ (იმ.); „ჩვენი ჰუქუმეთი ფენა ღორია“ (იმ.); „ფენა ვიყავ, რაძლიბ მუაფერებდი“ (ინ.).
ფენერი-ი (fener) მამუქა, ფარანი. „ფენერი კედელზე კიდა“ (იმ.); „ფენერი შუშა ვარ?“ (იმ.); „ფენერი იმათ ავართი“ (ხ. ფ.).

ფენიე (penye) კამეოლური ნაქსოვი, კამეოლური ნაქსოვის ბლუზა. „ეს ფენიე იმფო ხასია, დუქსელ ქალით“ (სტ.).

ფენჩე (სპ. pencé) თათი, ლანჩა, ძირი. „წინდებ ფენჩე გამუადგი, ყელეზი ახალი იყო“ (იმ.).

ფენჯერა (სპ. pencere) ფანჯარა. „ჩვენა ფენჯერა, აქოშკა ვიცით“ (იმ.); „ფენჯერე“ ვიცით, „აქოშკასაც“ ვიტყვი“ (ინ.).
ფედირი-ი (სპ. peynir) ყველი. „ჩვენებური ფედირი ადრია“ (ინ.).

ქოქი (kök) ფესვი, ძირი, მოდგმა, გვარი. „იმ ყებილეს ბევრი ქოქი აქუან“ (ინ.); „მოვნახეთ ჩუენა ყულელაზე პირველათ ჩუენი ქოქები“ (პ.); „ყანაში სიმინდი ქოქებ ვასუფთებდი“ (თ. ქ.); „მისი ქოქი იჭმება, ვაფხიკავ, სკვანტლას ქოქი“ (მაჭ.); „მიწა დაქანებულა და გამოჩენილა ქოქები“ (ტ.). შდრ. საბა (ქოქი — გვარსავით).

ქოშე (სპ. köşe) კუთხე, მხარე. „იმფერ

ადგილზე დაქსუამ, რომ ქოშებზე, ზეით“ (ად.); „დოდოფალ დააყენებენ ქოშში“ (მაჭ.).

ქოშა ქვეშა. „ქოშა მებეღეში აკეთებენ მაგასა“ (იმ.).

ქოშქი (kōšk) კოშქი. „ისინი ერთათ იყუნენ დია, ორი ქოშქი მეზობელი გახადა“ (სტ.).

ქოჩათ (kōč) — დაგრძობა, დანერგვა, ამძუნებული პირუტყვის ჯგუფი ფეხზე ადგომა, შემართვა, ყალვზე დადგომა. „ადგა ქოჩათ ხალხი“ (ინ.).

ქოჩეგი (kōček) მოცეკვავე. „ეს ციციანი ზოვლი ქოჩეგი ყოფილა“ (ად.).

ქოჩორი 1. ქოჩორი; 2. სიმინდის ულვაში. „სიმინდი ამეიღებს ქოჩორ“ (მაჭ.).

ქოცო — თიხის ჭურჭელი, დერგი. „ქოცოში ჯავე ჩავდევით ლობიასი“ (იმ.). შდრ. საბა (ქოცო — ქვეერის უმცროსი).

ქოხ-ი სახელდახლოდ აგებული საზაფხულო სადგომი, სახლი. „თის სახლ ქოხი ქვია“ (იმ.); „ქოხივ დეიდგით თაზე“ (იმ.); „ქოხებ ვეტყვით თის სადგომებსა“ (ინ.). შდრ. საბა (ქოხი არს თივითა, გინა ბელტითა აღშენებული მცირე რამე).

ქრისტალი (kristal) ბროლი. „ბიბიამ ქრისტალის ვაზო ჩამოგვიტანა მემღექეთი დამ“ (ინ.).

ქსიტინი-ი ცხვირის ცემინება. „ღიღილი იმიტყდება ქსიტინი“ (თ. ქ.).

ქუაბკარდალა-ი იხ. ქვაბკარდალა. „ფახირის ქუაბკარდალაი საბერველში, თავანში, ვეტანეთ“ (იმ.).

ქუეშეთ ქვეშეთ, ქვედა უბანში. „ჩევიარეთ ქუეშეთ“ (იმ.).

ქუთუგ-ი (kūtik) მორი, მსხვილი ხის გადანაჭერი, ჯირკვი. „ლოგინში მის მაგიორაი ქუთუგი დაანვიზა“ (ინ.).

ქუთუგ-კოლანი (kūtik — მსხვილი ხის გადანაჭერი, kovan — სკა) მორისაგან, მსხვილი ხის გადანაჭერისაგან გამოთლილი ცილინდრის ფორმის სკა. „ჩუენა ქუთუგ-კოლანი ვიცით, ხიებში შამუაწყობთ“ (იმ.).

ქუთუბანე (kūūbhane) ბიბლიოთეკა. „ისტამბულის ესქი ქუთუბანეში იყო“

(სტ.).

ქუთულ-ი იხ. ქუთუგი. „ვარიას, კოლან, ავაზან ქუთულიდან აკეთებენ“ (ფათ.).

ქულთაბალი (kūl — ფერფლი, ნაცარი; tabālī — თეფში) საფერფლე. „ქულთაბალი მუუტაი, ციცავ, კაცებსა!“ (ინ.).

ქულთური (kültür) კულტურა. „ინსანსა ქულთური ქონდესნა, ჩომასავეთ არნა იყოს“ (ად.).

ქულთურელი (kültürel) კულტურელი. „ჩუენ ხალხმა თურქე ქულთურელი ლაპარიკი არ იციან, გურჯიჯას ურევვენ“ (სტ.).

ქულფეთი (არ. külfet — მძიმე მდგომარეობა, დატვირთვა, დამძიმება) ჯალაბი, წვრილშვილი, მრავალრიცხოვანი ოჯახი. „შენ წვილე ესენი, ქულფეთი ქყავს სარჩენი“ (თ. ქ.).

ქუმაი ჩურჩხელა. „ქუმაი სხუა არი და ქუმელი სხუა. ქუმასთინ გარჩეველ კაკალ ავასხამთ მაგარ ზაფზე, ამუავლეფთ მედვის ფაფაში და გაეაქობათ“ (იმ.). შდრ. საბა (ურწყოსა ტყბილსა უნოდებენ ქუმასა).

ქუმანიე (kumanya) საჭმელი კერძები, სურსათ-სარეცავე. „ზამთარში გუქენება საჭმელათ ქუმანიე, ფირინჯი, ყოლამფერი“ (იმ.).

ქუმბათი|ქუმბეთი გუმბათი. „ქუმბათები დანგრეველა ქილისესი“ (მაჭ.). ამ ქილისეს ქუმბეთი აქ ლამაზი“ (იმ.).

ქუმელი დანაყილი მკვახის გული, სანელებლებით შეზაბებული. „ამას ქვია ქუმელი, ყაბლის გული დანაყული“ (იმ.).

ქუნგი გაუქვალავი თოვლი, ფიფქი თოვლის გროვა. „მამალი ქუნგში მირბის“ (იმ.).

ქუნეა (არ. kunye — პირადი საქმე, დოსი) თავისი აზრი, თავისი ფიქრი, თავისთავი, საკუთარი მე. „მის ქუნეაში ასე გონია“ (თ. ქ.).

ქუნდა (არ. kūnye — მედალიონი, ყელსაბამი) სამაჯური. „ქუნდე ბილაზუგისავენ არი, კაცები იცვენ ხელზე, მათ სახელ ანერენ“ (იმ.).

ქუნქი (არ. kūnk) წყლის მილი.

„ქუქქი რაცხა გაჯრილა, ამუასუფთონა“ (თ.ქ.); „ქუნქი ჩადვეს, წყალი გამუა“ (თ.ქ.).

ქუნჩალი- სიმინდის ტაროს სამოსი. „კოტორ რომ გაფურჩქენენ, იმას ქუნჩალი ქვია“ (იმ.); „კოტორსა ქუნჩალს შამუაზრობთ“ (იმ.); „ქუნჩალ ნარცხისთვინ შეენახავთ“ (მაჭ.). შდრ. საბა (ქურჩალი — ნაქურჩალი, სახვთა და ნიორთა ქერქი).

ქუნცხი პატარა ბუქი. „გოდორი გედეიქნია იქით, ქუნცხებში“ (სტ.).

ქურა-ი ცხენი (ბავშვის ენით, მოფერებით). „ჩუენი ქურაი დაკარქულა, რაფერ დემენუა, იცი!“ (თ.ქ.).

ქურაბე (არ. kurabiye) ნამცხვარი. „ბადრამზე გამუაცხეთ ქურაბე“ (ინ.).

ქურეგი (kürek) ნიჩაბი, ასტამი. „ქურეგზე დაყარე ნაკუერცხლები და უხზოლე“ (ინ.).

ქური-ქური ცხენის მოსახმობი, დასაყვავებელი, მოსაფერებელი გამოთქმა. „ბარსამი ვუძახე ქური-ქური“-მეთქი, პამა ასეც არ შემხედა“ (თ.ქ.).

ქურო წინდისებურად (თითების გამოცალკევებით მოქსოვის გარეშე, გარდა ცერის თითისა) ნაქსოვი ხელთათმანი. „ზამთარში ტყეში წასლიხან ჩეცვლამ ქუროს“ (იმ.). შდრ. საბა (ქურო — თათმანი).

ქურსუ (არ. kürsü) ტრიბუნა, კათედრა; პროფესორის თანამდებობა. „ჰუსეინ ხოჯამ ქურსუზე ევდა და ვაიზი ქნა“ (ინ.).

ქურქი (kürk) ბენვეული, ქურქი. „ისტანბულში კაი ქურქი ეილი“ (ინ.).

ქუფარი (არ. küffar) ურწმუნო, უღმერთო, გიჟური. „ქუფარი ქალები მეგემ არ იჯერიდენ“ (ინ.).

ქუფე (küpe) საყურე. „ქუფეები უულიან ძლითვინ ალთუნისა“ (ინ.). „ქუფეები ყურზე დასაკიდელი“ (მაჭ.).

ქუფელა-ი (küpeli) საყურეებიანი. გად.

მნ. ყვავილის ჯიში. „ერთი ქუფელი ჩირეგი მემეცი!“ (ბ. ფ.).

ქუფთავს წვრილად ჭრის. „ეგ დანა ზოვლი ქუფთავს“ (ინ.).

ქუსქი (küsükü) ძალაყინი. „ბუჭული ოუნევიან ისეთური ქუსკებით“ (იმ.).

ქუფური (küfür) გინება, ცუდი სიტყვების ხმარება. „არ გეისხენო ქუფური!“ (პ.).

ქუფურგანი (არ. küfür — გინება, ლანძღვა; არ. gani — შემცველი, მდიდარი) გინების, ლანძღვის მოყვარე. „ძალიან ქუფურგანი ქალი იყო და სული მიცემაც იმიოთვინ გუუჭირდა პელებთ“ (ინ.).

ქუფჩი (küçü) თიხის ჭურჭლის მკეთებელი, მეთუნე. „ერთი ქუფჩი დედე იყო“ (ინ.).

ქუქნერი ხეზე შესრულებული ორნამენტი. „ქუქნერები გამეილე ქამერაით?“ (იმ.).

ქუშთერე (küştere) შალაშინი, რანდა. „ქუშთერეს კარქა ვხმარობდი“ (ინ.).

ქუჩჩი ნორჩი ტარო (ტაროს ჩანასახი). „ქუჩჩი ამეილო სიმინდმა“ (იმ.).

ქუჩუბა პარკიანად გამხმარი ლობიო. „ქუჩუბას გავაკეთებდით უნიან“ (მ.). შდრ. საბა (ქუჩუბო — მარცვალთ ქერქი).

ქუჩუქ მაჰმუდე (küçük — პატარა, mahmudiyü — ოქროს მონეტა, მოჭრილი სულთან მაჰმუდ მეორის დროს. ამჟამად გამოიყენება სამკაულად, გულსახანველ) ოქროსფერი ყვავილი, სამკურნალო ბალახი. „ქუჩუქ-მაჰმუდე იყირის ნამალია“ (მ.).

ქუჩუჩი ფოჩვი. „ქუჩუჩსა ზაფიდამ აკეთებენ, იმასა დეიკიდებენ თავზე“ (იმ.).

ქუცავს ძარცვავს, ძალით ართმევს. „გვეგონეთ, კომონისთი ჰუქუმათი ქუცავს ხალხსაო“ (ინ.). **ქუცვა:** „სახლების ქუცვა დეინყეს“ (ინ.).



ლაბაბი „ყელის ჩამონაშვები“ (საბა). „თაზე ამოსულ ბაბილო, ყაფმღზე უმფო ტყიბილო, მოქტამე თეთრი ლაბაბი, ლამაზი ყურის ბიბილო“ (იბ.).

ლაბაბი-ი ლაბაბის მქონე. „გამიყუანა ლაბაბი, მოვლილი დეკეელი“ (ად.).

ლაღღად-ი ხმამალაი, მოურიდებელი ლაპარაკი. „ნუ იცი ბევრი ღაღღაღი!“ (ინ.).

ლაღღაღა-ი ხმამალა, მოურიდებლად მოლაპარაკე. „სსუაფერი ღაღღაღაი ქალია რაცხა!“ (ად.).

ღავღავ-ი შურიანი ლაპარაკი (ვინმეს ან რაიმეს მიმართ). „მაგდენი ღავღავით ზაათი ნააქცევთ ინსანსა“ (ად.). შდრ. საბა (შეთქმულობა უბრალოთა ზედა).

ღაზლა მატყლის, შალის ძაფი. „ღაზლა დავართი ზამთარში“ (ად.). შდრ. საბა (ღაზლა — მატყლის მკედი ძაფი სხვილი).

ღაზლი წინდა მატყლის ძაფით მოქსოვილი წინდა. „ძალმა ღაზლი წინდები მომცა“ (ინ.).

ღალეფსელამ-ი (არ.aleyhselam) ღმერთთან მოლაპარაკე მთავარი ანგელოზი. „დიდი მელაქია ისრაფილ ღალეფსელამი“ (ინ.).

ღალიბა (არ.galiba) როგორც ჩანს, როგორც ეტყობა, ალბათ. „მემლექეთო, მემლექეთო, შენ უნესველაი ვედები ღალიბა“ (თ. ქ.); „ღალიბა ის იყო“ (იბ.).

ღალინი-ი ამინდის სასიკეთოდ შეცვლა, გამოდარება, წვიმიანში მზის გამოხედვა. „სადილობა უკან დეინყო ტაროსმა ღალინი“ (ად.).

ღალმილარამ-ი კინალამ, ღამის, უცბათ. „ჭკუაზე ღალმი შეიშალა ზავალი“ (ან.).

ღალღვა 1. კუჭში გახსნა, ფაღარათი. 2. უღონობა, უძლურება. „მუცლი ღალღვა უუტყდა ბაღესა. რა თქმა არი, არ ვიცი“ (ინ.); „მაგის ღალღვა პიჩ არ მოთავდება, ფენა თემბლობა იცის“ (ინ.).

ღამაზი-ი (არ.gamaz) შურიანი, დამსმენი, მატბულარი. „ღამაზი ინსნიდან გე-

შინოდეს უნდა“ (ად.).

ღამიეთესა მუსლიმანური ერთ-ერთი ლოცვის სახელი. „დედმა მაშინ ღამიეთესა მასნავლა“ (გულ.); „ბაღვები ვიცინებდით: — ღამიეთესა, პური მეთესა, ჩიტებმა მომიკეკეს, ნეტაი არ დემეთესა“ (ინ.).

ღამიობა-ი 1. ღამურა; 2. სიბნელის მოყვარე, სიბნელეში მოსიარულე „ღამობაი დიდი ჩიტია“ (იბ.); „იმფერი ღამიობაი კაცია, რომე სიბნელეში არსა წამეიკრავს ფესსა“ (ინ.).

ღანღლი-ი 1. ღონემხდილი; 2. ღარიბი, უქონელი. „მაქფერი ღანღლიაი იდარეს ვერ იქს“ (ინ.).

ღანღლი-ღანღი ძლიესლივობით, დიდი გაჭირვებით. „ამ ბაღმა აგზე ღანღლი-ღანღი ძილაი გეიზარდა“ (ინ.).

ღანწკობა-ი გამხდარი, სუსტი აგებულებისა. „ერთი ღანწკობაი ბაღვია, რამ დაქებულა მაგრე!“ (ინ.).

ღარაღლირი ხისგან გამოთლილი წყლის საღინარი. „წყარო წყალი მოდინდება, არ ეტევა ღარაზე! მე და შენი სიყუარული აღარ მუა ფარაზე“ (ინ.).

ღარდა ხრამი, ძნელად მისადგომი ადგილი. „ზროხა ღარდამი ჩავარდნილა“ (იბ.).

ღარიკავ-ი სახურავის ქერი, ღარში ჩასმული. „ღარიკავებია ესენი, დედესი მოტანილი, ასი წლისა იქნება ბელქი“ (ბახ.).

ღარჭი ბიჭი, ვაჟიშვილი, ჭაბუკი, ახალგაზრდა (გეხვდება ტო-კლარჯეთისა და შაგშეთ-იმერქვის მეტყველებაში). „დუგუნში ღარჭი თარაფი ცხენ მიეყუანდენ“ (იბ.); „ისტამბულ ჩემი ღარჭები არიანა“ (ბ.); „გედეიტენ ზავალი ღარჭები“ (ტ.).

ღანვი ქვედა ყბა (საბა). „გააქანე ღანვი და გალექე, არ უნდა მაგას ფიშმანი“ (ინ.).

ღაჯაჯ-ი სახელდახელო, პრიმიტიული კიბე. ღაჯაჯად გამოიყენება მოზრდილი ხე (მოჭრილი), რომელსაც ტოტები ძირში არა აქვს დაჭრილი. გაღანაჭერი ტოტები

საფეხურებს წარმოადგენს. ლაჯაჯს შუაში უკეთებენ ზვინსაც, რომ თივა დაიჭიროს. „გაშუარბენია ბაღემა ლაჯაჯი და ბაღე ევდა“ (მ.); „თივა ლაჯაჯზე ავასხით“ (ბახ.).

ღედდარი-ი (არ. gaddar) მკაცრი, ტირანი, მსეტყური ბუნების მქონე. „ჩუენი დედეი მეგემ ღედდარი კაცი იყო“ (ად.). შდრ. საბა (ღედდარი — კაცი დაუნდობელი).

ღედრობა დაუნდობლობა, გაუტანლობა. „ზაათი ღედრობა იყო იმფო“ (ინ.). შდრ. საბა (ღედრობა — დაუნდობლობა).

ღეზაბი-ი (არ. gazap) წვალება, დარდი, გაჭირვება. „ბეერი ღეზაბი მაქ განველი“ (მ.); „გადავრჩით ღეზაბსა“ (ბ.); „რა ღეზაბში, რა პალშია“ (მ.); „შეხუალ ღეზაბში“; „წინწინ ძალიან ღეზაბში ვიყავით“ (ინ.).

ღეზრაილი-ი (azrail) სიკვდილის ანგელოზი, რომელიც ართმევს ადამიანს სულს, მიქელ-გაბრიელი. „ღეზრაილი, ჯებრაილი სულ აგართუამს, ისრაფილი, მიქაილი — ქარია“ (ინ.).

ღეიბინი-ი (არ. gaip — ფარული, დამალული) როგორც ჩანს, ალბათ. „ხალიბ მიმამგზავესა ღეიბინი“ (ინ.); „ღეიბინი ბათუმ წასლას ჰვესსობენ ქალ-კაცი“ (ინ.).

ღელე ხეობა. „ჭვანი ღელიდამ ბეერი ზიან ჩუენსა“ (ად.). შდრ. საბა (ღელედ ითქმის ხევი მცირე).

ღელობა ღელეები, მდინარეები, ხეეები. „ღელობა არი აქა“ (იმ.).

ღელე-ღურდანი-ი ხევი-ხრამი, ხეე-ხევი, ღელის მიდამოები. „ეს ღელე-ღურდანი არ დავინყებთან“ (ინ.).

ღელიხუხუნი-ი 1. ღელის ხმაური; 2. გად. მწ. ქვეყნის ამბავი, ქვეყნის ავანჩაჟანი არაფერად მიაჩნია. „ჩემი ნათქუამი ღელიხუხუნი გონია“ (ინ.); „ღელიხუხუნი არ ესმის, ბეგებერია“ (ინ.).

ღემელ-ი (emel) მისწრაფება, სურვილი, მიზანი. „ჩემი ჩაკითხული, ნალოცი, ღმერთო, ყუელა კარგ ღემელის ინსნების სულ მიაგებე!“ (ინ.); „კაი ღემელის ინსანი რომ არი, გარედან ეტყობა, პირზე ძე გადმოდის“ (ინ.).

ღენი-ი (gen — ფართე, თავისუფალი, გამლილი, უხვი) ხელგამლილი, უხვი, მწყალობელი. „ის თახუმი ღენი ხალხი არიან“ (ინ.); „ოი, მამაცხოვნებულო, ღენი იქნებოდე, რა მიშვს?!“ (თ. ქ.); „ფოცხოვია ღენია, აჭარა და წენია“ (ინ.).

ღენკავ-ს მატყლს პენტავს, აქუცმაცებს, შლის. „ნენე ეზოში დამყდარა და მატყლ ღენკავს“ (ად.).

ღენჩქ-ი შემის ნაფოტი, წერილი ჩამონათალი. „ღენჩქები დააყრეგია შემასა და იმ ნაღენჩქებით ცეცხლი დაანთო“ (ად.).

ღენჯო ოთახის კედლის კუთხე, ნიბო. „ღენჯო ქვია, შემები რომ ჩამენებულია, იმ ღენჯო“ (იმ.).

ღერესეთ-ი (არ. arasat) ადგილი, სადაც, ისლამის მიხედვით, თავი უნდა შეიყარონ მკვდრებით აღმდგარმა სულეებმა საშინელი სამსჯავროს დღეს. „მიხულ ღერესეთის მედღანზე“ (მეზ.); „ღერესეთ მედღანზე ყუელას მისი ყუსური მას ექნება კისერზე დაკიდული“ (ინ.).

ღერზი-ი ღერძი. „შუაში ღერზია“ (იმ.).
ღერიბი-ი ღარიბი. „არ არიან ღერიბათ“ (იმ.).

ღერღელა ღერღილი. „ღერღელადამ გააკეთებ სუთო, ფაფას“ (იმ.); „ღერღელათ დაფქვილა“ (იმ.).

ღერღეშა-ი უნესრიგო, მოუნესრიგებელი, მოუნყობელი, უყურადღებო, ყურადღებაგაფანტული. „ღერღეშა ინსანია, ვარაჯოა რამეს ვერ მუაფერებს“ (ინ.).

ღეტეტი-ი ღერო. „მათოთის ღეტეტი იჭმება“ (თ. ქ.); „ლახნი ღეტეტები წარცხნი ჩაყვარე“ (მ.). შდრ. საბა (ღეტეტი — ფრთის ღერო).

ღეფლეთ-ი (არ. geflet — უყურადღებობა, უცოდინარობა) ბურანი, თველმა, ძილ-ღვიძილი. „ღეფლეთი დამანვა თუალებზე, მიგვენვა პანაი“ (ინ.).

ღვალო ბალახი. „გარევი ბალახები ბეერი იჭმება: ეშოთი (ისპანაქი), წარაი, ღვალო“... (ინ.). შდრ. საბა (ღვალო).

ღვანთქალ-ი სიღამწერით ან დაქუელობით ამობურცული კანი, სითხით სავსე მუნუკი. „თოხი ვიხმარე და ღვანთქლი იმიღდა“ (თ.ქ.).

ღვარეველ-ი თიბვის დროს გატანილი ერთი ნაპირი. „რომ მოვითბავთ, მიერე დღეს ღვარეველებ გუშუშლით ბზეზე“ (ად.).

ღველი თასმა. „ქალაბნი ღვედები დავალბე“ (ად.). შდრ. საბა (ღუედი).

ღველფ-ი ლადარი, ჩაუმქრალი ნაცარი. „ღუელფი გამონიე და ხაპი შეფალ“ (ად.). შდრ. საბა (ღველფი — ნაკვერცხალი შეგროვებული).

ღვია ბურქოვანი მცენარე, რომლის თესლი სამკურნალოა კუჭ-ნაწლავის ანთებისათვის. „ღვია მოდის ჩუენ თებზე“ (იმ.). შდრ. საბა (ღვია — ხე ფოთელ-ქაცვიანი).

ღვიდარო ლადარი, ჩაუმქრალი ნაცარი. „ღვიდაროში შეფუღავთ ყართოლსა“ (მ.). შდრ. საბა (ღადარა — წვრილი ნაკვერცხალი).

ღვიორო ლადარი. „კუმატაი ღვიორო-ში შეფლული იყო“ (იმ.).

ღვირძლ-ი 1. ღვიძლი, კვიდრი, სისხლით ნათესავი; 2. ღვიძლი. „ღვირძლი ემიაშვილები ვართ“ (ინ.); „ღვირძლი ატიკივდა ძალიან“ (ინ.).

ღიბეთ-ი (არ. gıybet) სხვისი ავად ხსენება, ავისიტყვაობა, ჭორაობა. „ენა ღიბეთ მუაცილვე“ (მეზ.); „ძალიან ღიბეთი იციან ქალებმა“ (ინ.); „ღიბეთია ამ სოფელში“ (თ. ქ.).

ღიმი-ილიმა-ი ბალახის სახელი. „ღიმის სული მიყუარს“ (იმ.); „ღიმას ჟავეს გააკეთებდა ნენეი“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ღიმი).

ღინჭროლა ბალახი. „ღინჭროლა ბევრია ამ ჭალაში“ (იმ.). შდრ. საბა (ღრინჭროლა — ბალახი).

ღიჯინ-ი 1. ხეწნა-ვედრება; 2. ხუმრობით ლაპარაკი. „ბევრი ღიჯინი იცის მაგ ქალმა“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ღიჯინი — უგვანი ვედრება).

ღლაბ-ი სუსტი აგებულების, ღონენართმეული, უილაჯო. „წრეველი ღლაბი ხბიები ქვეყავს, ვერ მუშუარეთ კარქათ“ (ად.).

ღლანა-ი უღონო, უძღური. „სუქანი, ჰამა ღლანაი ბაღეები ყავან“ (ად.). შდრ. საბა (ღლანი — ლოქო (თევზი)).

ღლარძ-ი თხელი, უხარისხო, არამტკიცე ქსოვილი ან ნაქსოვი. „ღლარძი წინ-

დები მოქსუა ამჯელი“ (თ. ქ.); „ღლარძი დაზმები გამოედა სოენი“ (ინ.).

ღლეზ-ს თვალებს აბრიალებს თვალებს. „ჩხვილიანი ღლეზს თუალებს, მისიდან მაიც არვის ეშინია“ (სტ.).

ღლეზი-ი თვალებბრიალა, თვალებდაკარკული. „გამოცვინდენ ღლეზიანი-ღლეზიანი ბაღეები“ (ად.).

ღლია ილია. „ღლიაში გამოფრენილა გომლეგი“ (ინ.).

ღლიაში ამოგირი-ს ფიგ. გამ. დაგიმორჩილებს, გძლევს, მოგერევა. „მაგან რანა მიყოს, თუ შეენადინე, ღლიაში ამეჭრი და ვარბეივე“ (ინ.). შდრ. საბა (ღლია — მჭრის ძირი).

ღლიაში გაგახედიე-ს ფიგ. გამ. დაგიმორჩილებს, დაგცინებს, აბუჩად აგიგდებს. „ნაყურდეს, თვარამ ღლიაში გავახედიე“ (სტ.).

ღლითუძ-ი უშნოდ, მოურიდებლად ხუმრობა. „იმ ხალხში დიმიწყო ღლიბურძი, ლალმი მაცემია თავი“ (ინ.).

ღლიტი-ი დაუნდობელი, ფლიდი, მოღალატე. „ფენა ღლიტი კაცი დარჩა ჩემი დოსტი!“ (სტ.).

ღლოფო ღრმა ტალახი. „აქეთ დაადგი, ბაღვო, ჟიუბი, ღლოფოს ააცილვე!“ (ბახ.). შდრ. საბა (ღლოფო — წვიმა დიდად დამაბნელებელი და ღვაროვანი).

ღლუნძა-ი გულჩათხრობილი, თავისნათქვამა, ჟიუბი, შურიანი. „მაგ ციცას ბაბოი ღლუნძაი კაცია, დოსტათ არ გამომადგება“ (ინ.).

ღმერთმა არ გაგახაროს წყევლა. „ღმერთმა არ გაგახაროს, ტყვილ რომ ლაპარაკობ!“ (თ. ქ.).

ღმერთმა აღარ გაგაჩუქნოს წყევლა. „ღმერთმა აღარ გაგაჩუქნოს, ყიამყრალი შენა!“ (ად.).

ღმერთმა გამშვიდობოს დალოცვა. „ნახუალ, ღმერთმა გამშვიდობოს!“ (იმ.).

ღმერთმა გაგანყნაროს წყევლა. „ღმერთმა გაგანყნაროს, რატომ გააჩეჩე ფირინჯი?“ (იმ.).

ღმერთმა გაგცვითოს წყევლა. „ამის მეტი რომ ვერ დეინახე ჩემი ეფლუგი, ღმერთმა გაქცვითოს ადრეხანში!“ (ინ.).

ლმერთმა დაგლოცოს დალოცვა. „ღმერთმა დაგლოცოს, შვიდობით გამყოფნოს!“ (ინ.).

ღმერთმა დაგსხრუკოს წყევლა. „ღმერთმა დაგსხრუკოს, რაიჯები, რას?!“ (იმ.).

ღმერთმა დილა აღარ გიგითუნოს წყევლა. „ღმერთმა დილა აღარ გიგითუნოს, რა მიყავ ესა, მომტეხ ხელი!“ (ად.).

ღმერთი ერთი მადმა (ღმერთის ერთის მადლმა) ფიც. ფორ. „ღმერთი ერთი მადმა, არ გიმისხნებია გონჯათ“ (ინ.).

ღმერთმა თვალები ჩეგიქოროს წყევლა. „ჩემ ინსნობას რომე ვერ ხედავ, ღმერთმა თუალები ჩეგიქოროს!“ (ინ.).

ღმერთმა მკითხოს დაფიც. ღმერთმა დამსაჯოს, ღმერთმა პასუხი მომთხოვოს. „ღმერთმა მკითხოს, თუ გატყვილებდე!“ (ინ.); „ღმერთმა მკითხოს, ჩემი თუალით დევნახე“ (ინ.).

ღმერთმა მოგკითხოს წყევლა. „შენი უნსნობა ღმერთმა მოგკითხოს!“ (იმ.).

ღმერთმა სალამეთობა მოქცეს დალოცვა. „რომე მოხუელ და გვანახე, მოგვიკითხე, ღმერთმა სალამეთობა მოქცეს!“ (იმ.). იხ. სალამეთი.

ღმერთმა სისაღე მოქცეს დალოცვა. „ჩუენ სანახავათ რომ მიეცალე, ღმერთმა სისაღე მოქცეს!“ (თ. ქ.).

ღმერთმა სული გაგაშუენოს წყევლა. „ამის მეტ რომ ვერ იმეტეფ, ღმერთმა სული გაგაშუენოს!“ (ინ.).

ღმერთმა სული გიგიმნაროს წყევლა. „რაცხავეერ მე გამაშნარე, ღმერთმა სული გიგიმნაროს იმფრა“ (ად.).

ღმერთმა ყუვეთი მოქცეს დალოცვა. „ამდენ ჩუენ ლაპარაკ ესხრიკები, ღმერთმა ყუვეთი მოქცეს“ (ად.). იხ. ყუვეთი.

ღმერთმა კელები იგიყვავოს დალოცვა. „ამფრა ლამაზათ რომე მომიქსევე თათიკები, ღმერთმა კელები იგიყუავოს!“ (ინ.).

ღმერთმა ჯანი შიგინუხოს წყევლა. „ღმერთმა ჯანი შიგინუხოს! რა ფენა ყვირი?!“ (იმ.).

ღმერთო, დღით და ომრით გააძღე! დალოცვა. „კაი საქმე გიმიყვთა, ღმერთო, დღით და ომრით გააძღე!“ (სტ.); „ღმერთმა

დღით და ომრით გაგაძღოს, მოხუელ და დიგინახე!“ (ად.).

ღმურძლი-ს მურიდებლად, გაუმაძღრად ჭამს. „ლელევი უულია ჩარში, არ გვანახიბს და მარტვაი ღმურძლის“ (სტ.).

ლომა-ი სხალ-ი მსხლის ჯიმი. „ლომა-ი სხალი ნუენიანია, საბექმეზე“ (იმ.).

ლორა-ი გამბედავი, მაგარი, მტკიცე, უტეხი. „ლორა-ი პრატები ქეყუავს“ (ინ.).

ლორბეჩა-ი ფიზიკურად მაგარი, მტკიცე, მაგრამ ცოტათი გონებასუსტი. „ჩუენი ლორბეჩაი ზალი დაგვერემილია“ (იმ.).

ლორის გაგდებულ-ი გინება. „შიდან მეეთერია აქა, ლორის გაგდებულ-ი!“ (ინ.).

ლორის დასმული-ი გინება. „ლორის დასმული, რატომ არ გეყურება ინსნი ნათქუამი?!“ (ინ.).

ლორის დაყრილებ-ი გინება. „მილეთის ბალები, ე ლორის დაყრილები, ესენი! პამან ჩემ ეზოსთან დენიყებენ თამაშსა!“ (ად.).

ლორის ნაგაზ-ი გინება. „ჰისკენ მივა ნეტაი, ე ლორის ნაგაზი?!“ (სტ.).

ლორის შვილ-ი გინება. „რას მატყვილევ, შენ ლორის შვილო, შენა!“ (თ. ქ.).

ლორლე ბალ-ი ბლის ჯიმი (მსხვილ-კურკიანი). „ლორლე ბალსა გურკა აქ დიდი და ხორცი ცოტაი“ (იმ.).

ლოჯე კედელი. „აგზე ლოჯეებინა გაკეთდეს“ (თ. ქ.); „გუშინ ლოჯეები შევღებვით“ (ინ.).

ლოჯელა-ი ლოჯი კბილი. „ლოჯელაი ამოსლია ბალესა და ტიტვირი გამუღებერავს“ (ად.). შდრ. საბა (ლოჯი — დიდი კბილი).

ლრამ-ი ვინრო ღარი, ტვიფრი, რომელიც ამოჭრილია ფიცრის კიდზე, ფიცრების პირმესმით საშენებლად. „ლრამის ამოჭრას ბარსამი ჰალი უნდა, ყოლად არ კეთდება“ (მ.). შდრ. საბა (ლრამი — სიგრძე უსივრცო, რომელ არს ხაზი).

ლრამიანი-ი ფიცარი-ი ლრამაჭერილი, ნაპირამოჭვიფრული ფიცარი. „ლრამიანი ფიცარი მუღუტანიან“ (მაჭ.); „ლრამს ამოვსჭრით და იქნა ლრამიანი ფიცარი“ (იმ.).

ლრე მღვრიე, ამღვრეული. „შილლაი ქუნქში ლრე წყალი გამოვდა“ (ინ.). შდრ.

საბა (ლრე — დაფლავილი ადგილები).

ლრეზა-ა ჭვინება, ხმება, ჯანმრთელობას ჰკარგავს. „ეს ხობო ნელ-ნელა ლრეზა“ (მ.). შდრ. საბა (ლრომა — მცირედ წყენა).

ლრიკავ-ს დრეკს, ლუნავს. „ციციაი ფეხზე არ დგება, ფეხებ ლრიკავს“ (ად.).

ლრიჭე ოდნავ ღიად დარჩენილი კარი. „კარი ლრიჭეთ დარჩენიან და ყუელამფერი ღუუნახიან გარეთიადამ“ (ად.).

ლრუ ხერელი (სხეულის, საგნის შიგნით არსებული სიცარიელე). „ამ კაკლის ხეს შიგან ლრუ გაჩენია“ (მ.). შდრ. საბა (ლრუ — ესე არს ქუეყანათა შინა შეკვრეტილივით სოროს მსგავსნი, ვითონი ხის ფულუროსაც ღრუს უწოდებენ).

ლრუკანი მიუკარგებელი, თავისნათქვამა, განცალკევებული. „ლრუკანი ინსანია, მისას ვეფერ მისტები“ (ინ.); „ლრუკანი ძროხა ყავან ერთი, სხუა საქონელ არ ეტოლება“ (ბახ.).

ლრუნჯო თოკის ჩამოსაბმელი ადგილი მარანში. „ვარიას თოკებით ჩამოკვიდავთ ლრუნჯოზე“ (იმ.).

ლრუტუნა-ი პატარა ხერელი, ჭუჭრუტანა. „ლრუტუნაი გააკეთა ახორი კარზე“ (მ.).

ლუზლუზებს-ს მწიფს, მწიფვა (ითქმება ყურძნის მიმართ) „ლუზლუზებს, ძიავ, შავი ადესაი“ (მ.).

ლუზლუზა-ი სიმწიფის გამომხატველი ეპითეტი ქლიავის, მსხლის, ყურძნის მიმართ. „ლუზლუზაი სხალი, თალე და ჭამე იშტა!“ (ინ.).

ლუნლულა-ი თბილი, ფუნთუშა პური

(მალალი ხარისხისა) „ლუნლული პური, ნაცხე ღალი, ჭამე!“ (ინ.); „ნენემ ლუნლული პურები დააცხო“ (ად.).

ლუნძა-ი თავისთავში ჩაკეტილი, განდეგილი ადამიანი; დაუნდობელი, ფლიდი. „ლუნძაი კაცია, არხატამ ვერ იპოვს ისა!“ (ინ.).

ლურბელ-ი ღრუბელი. „ლურბელია ცაში, თაზე წასლა არ გეიბედება“ (იმ.); „ცაში მიდის ლურბელი, მე რათ მინდა ყრუ ბერი“ (სტ.).

ლურბელა ღრუბლისფერი, შავი. „ლურბელა ყურზენი იყო ქუეშეთ“ (იმ.).

ლურკანი მხრებში წახრილი. „ის ღარჭი ცოტა ლურკანია ღალიბა“ (იმ.). შდრ. საბა (ლურკანი — ბეჭში წახრილი).

ლურნე ნისქვილის დახურული ღარი, საიდანაც დაქანებული წყალი ეცემა ბორბლის ფრთებს. „წყალი გადის ლურნეში“ (იმ.); „ნისქვილ აქ ლურნე, ღარი“ (მაჭ.).

ლძილი-ი ღრძილი. „ღძილებიადამ სისხლი მომდის ხანდენან“ (ინ.).

ლჯაჟლა გადაჭრილი ტოტებიანი ხე (ბოძსავით), პრიმიტიული კიბე. „ლჯები ღუუსევი ვაშლი ტანებასა“ (მ.); „ლჯაზე ახოხებულა კიტრი“ (მ.). შდრ. საბა (გრჯლა, ღრჯა).

ლჯილ-ი ღრძილი. „ლჯილი ძირები ატყენია და ყუელი კიბილი მოშვებია ზავალსა“ (ად.). შდრ. საბა (გრძილი).

ლჯინ-ს ღრწინის, კბეწს ხილს, ძვალს ხორცს აცლის. „ეს ბლვი ვაშლებსა ღჯინს და ყრის, ბითევათ არ ჭამს“ (ად.).

ყ

ყაბ-ი (kap) 1. ჭურჭელი; 2. ბუდე, შალითა, ფუტლარი. „ცომი ყაბში შიგან ეიბერვის“ (იმ.); „იგზე გაუყარეთ ყაბები“ (იმ.); „ყაბები მონარეცხელია აჭამა“ (სტ.).

ყაბა (kaba) უხეში, მსუქანი, მსხვილი, პრიმიტიული. „ნენეი ყაბა, სამსე ქალი

იყო“ (სტ.); „ძალიან ყაბა ლაპარკი იცის“ (ინ.).

ყაბათიისყაბათი-ი (არ. kapahat) დანაშაული, შეცდომა. „დედეს დიდი ყაბათი აქ“ (თ. ქ.); „დედაბერ ყაბათი აქ“ (იმ.).

ყაბათლი-ი (kapahatli) დამნაშავე, ნე-

სის დამრღვევი, შემცდარი. „პრატის ანაი-
ბაბოი ყაბათელი არიან, იმათ დაანგრევეს
ის ოჯალი“ (ინ.).

ყაბალახ-ი (kabalak — სამხედრო თა-
ვსახურავი) ძვ. მამაკაცის თავსახურავი.
„ყაბალახის ყურებო, აქეთ რას ეყურებო“
(ინ.).

ყაბალ-ი¹ (kabak) ყაბაყი, გოგრუჭა.
„ყაბალ დაპთლი დამცროთ“ (იმ.); „ჩუენსა
ყაბალი მოდის“ (იმ.); „ლობოს დაპთეს,
ყაბალ დაპთეს (იმ.); „ბინნიეს ყაბლები
ქონდა“ (იმ.).

ყაბალ-ი² წონის ერთეული. „შინიკის
ნახევარ ყაბალი ქვია“ (თ. ქ.); „ყაბალი
იმფო პანია შინიკზე“ (ინ.); „ყაბალი პურსა
ერთ ოყანახევარ ეილებს“ (ინ.).

ყაბზ-ი (არ. kabz — შებმა, შეჭიდება,
შეკვრა; მწვანე ტყვილი) შეკრულობა,
ნაწლავის სპაზმა. „ყაბზი გახდა ჩუენი
ნენი“ (ინ.).

ყაბყაჯალ-ი ყაბიყაჯალი (karkacak)
სამზარეულოს ჭურჭელი. „ყაბყაჯალი ყო-
ლიმფერი გუაქ მუთვალში“ (იმ.); „ყაბიყა-
ჯალი, დასარეცხელი, მუხლზეა შეყრილი“
(ინ.).

ყაბულ-ი (არ. kabul — თანხმობა,
მიღება) შესრულება, თანხმობა, მიღება.
„შენი ნალოცი-ნაკითხი ღმერთმა ყაბული
გიგინადოს“ (თ. ქ.). „ღმერთო, მიყავი
ყაბული“ (ჰ.).

ყაბურღა (kaburga) ნეკნი, გვერდი.
„შოლტიყველებსა ერთი ყაბურღა მეტი
აქუანო“ (იმ.); „ყაბურღაზე მანვებოდა“ (მ.).

ყაბულ-ი (kabuk) ტყავი, ქერქი. „ყაბუ-
ლი გაშუენოს ხიებსა“ (ინ.).

ყადარ (არ. kadar) იმდენი, იმდენად,
ამდენი, ამდენად (ემატება „ი“ ან „ხ).
„რაცხას თხოვდა, მიცეს ოყადარ იშტა“
(ინ.).

ყადი (არ. kadi) მოსამართლე. „უდას
მეგემ ყადი იქა და უდინგლეფს“ (იმ.).

ყადირ-ი (არ. kadir — ძლიერი, უძ-
ლეველი) მამაკაცის სახელი. „ყადირ-ეფენ-
დიც აქ ყოფილა“ (ან.).

ყავ-ი ციყვი. „აჭარლები „ტრიაი“ ეტ-
ყვიან, ჩუენ „ყავ“ ვეტყვით“ (მაჭ.); „ყავი

კაკალ, თხილ მეიპარავს“ (თ. ქ.). შდრ.
საბა (მყავი თრითინას ჰგავს).

ყავალ-ი (kaval) სალამური. „ჩობანსა
ყავალი აქ ენჩული“ (იმ.).

ყავანოზ-ი (kavanoz) ჭიქის (მინის)
ქილა. „შუშის ყავანოზებში ეავე მაქ“ (ინ.).

ყავარ-ი ხის სახურავი (ხის ფირფიტა).
„ბევრი სახლი ჰალაბეგუმ ყავრით არი
დაბურვილი“. შდრ. საბა (ყავარი — თხელი
და ვინრო ფიცარი).

ყავალ-ი (kavak) ჩინარი, ალვის ხე.
„ყავალებ შეეფარებოდენ“ (იმ.); „ყავალი
დავრგეთ“ (ინ.).

ყავრან-ი (kavan) სკა. „ყავრანი დვენა-
ხავ, ის მომგონდება“ (მ.); „თუელზე
ყავრანი გაეკეთე“ (მ.).

ყავრი ხდელ-ი ყავრის გამხდელი,
ყავრის გახდის ოსტატი. „აქაც დელიენენ
ყავრი ხდელები“ (იმ.).

ყავრუმა (kavurma) ყაფურმა (ხორცის
კერძი, მოხრაკული ხორცი). „იმ ნელნად
თუელზე დაეკალით ორი ცხუარი და
ყავრუმათ ჩაეფეთ“ (ინ.); „ცხვრის ხორცი-
დან კაი ყავრუმა კეთდება“ (თ. ქ.).

ყავუნ-ი (kavun) ნესვი. „წრეგლაი ყა-
ვუნი ბევრი მოგვივდა“ (თ. ქ.).

ყავლა (kavga) ჩხუბი, დავა, ომი. „იმას
უკან ყავლა აღარ ქნილა“ (თ. ქ.).

ყავლა-ყიამეთ-ი (kavga — ომი, ჩხუბი;
kuyamet — სამყაროს დასასრული, გაჭი-
რება) ომი, ჩხუბი, უბედურება. „დაყენა
ერთი ყავლა-ყიამეთი ერთი ტკაველა მინი-
სთინ“ (ად.); „ყავლა-ყიამეთით ჩამომიყუ-
ანდა ბლიდანა“ (ინ.).

ყავლაჯი (kavgaci) მოჩხუბარი, ჩხუბი-
სთავი. „იმათი ბალები ყავლაჯი არიან“
(სტ.).

ყაზ-ი (kaz) ბატი. „შემწუარი ყაზი
მეიტანეს ლენგერზე დადებული“ (სტ.).

ყაზა¹ (kaza) უბედური შემთხვევა,
მარცხი. „გზაში ყაზა უქნია იმათ არაბასა“
(ინ.); „ესა არაბა ყაზა იქნება“ (იმ.).

ყაზა² (kaza) ძველი ადმინისტრაციული
ერთეული (ახლ. რაიონი). „ესა ჩუენი ყაზა
არი, შავშეთი“ (იმ.).

ყაზალი (kazak) სეიტერი. „ყაზალ ვუგზავნი მემლექეთში გენგას“ (იმ.); „ამ ძაით ყაზალბე მოქვსოვ“ (პ.).

ყაზმა (kazma) თოხი, წერაქვი. „კაი ყაზმაი ეველ ჩარში“ (თ. ქ.).

ყაზმა ჰალვა (kazma helva) თოხის ჰალვა (მუს. რელ. მიხედვით, მკვდრის სულის მოსახსენებლად, დასაფლავებიდან მე-7 დღეს ჭირისუფალმა უნდა გააკეთოს ჰალვა და გაიტანოს სასაფლაოზე, დიდი ნაწილი ჰალვისა ეკუთვნის საფლავის გამთხრელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიცვალებულს თურმე განუწყვეტლივ ჩაესმის მინაზე თოხის (ყაზმის) რტყმის ხმა და მოსვენება ეკარგება). „მურულუ იციან ყაზმა ჰალვა. გამააცხოზენ ჰალვასა, გეიტანებენ მეზელულზე“ (იმ.).

ყაზღალი (gazyağlı) ნავთი. „ჰუდუდი ჩაჭრამდი ბათუმიდამ მოქვექონდა ყაზღალი, მარილი, პინკაი“ (იმ.).

ყაზღალში გარეცხილი ფიგ. გამ. უსინდისი, ადამიანური თვისებებისაგან გაცლილი პიროვნება. „ეგა ყაზღალში გარეცხილი კაცია“ (ტ.); „მიერეს პირ რამე არ გუუგონია, ყაზღალში გარეცხილიაო“ (სტ.).

ყათი (kat) 1. სართული; 2. ფენა; 3. კომპლექტი, წყება, ხელი. „აქაც დააკეთეს ყათები“ (იმ.); „ქუეშა ყათში დუუძახეს“ (ინ.); „აქა ერთი ყათი ლოგინია“ (თ. ქ.); „ერთი ყათი ჩაცმული მაქ“ (პ.); „სამი ყათი ხორუმი გენჯებისა არი“ (ინ.).

ყათება-ი ფენოვანი, ნაკეცებიანი. „ყეთმერი ყათებაი ჭეთება“ (ინ.).

ყათყათი ფენოვანი, ნაკეცებიანი. იხ. ყათი. „ყათყათია, ამა დუხა არ არი, იჭმება, ამა ტკიბილი არ არი“ (სტ.) — გამოცანა (ხახვი).

ყათირი (katir) ჯორი. „იმას ყათირი ყვას თვისი“ (იმ.); „ხელ არ მოქცემს ჯღლომა ცხენზე, ყათირზე“ (მეზ.).

ყათმერი (katmer) ფენოვანი ნამცხვარი. „ყათმერი კაკლიანი და შექრიანი იქნება“ (მაჭ.).

ყათლი (katli) ფენოვანი, სართულებიანი, საფეხურებიანი. „ჩუენ მაჰალემიც ბეერია ყათლი სახლები“ (ინ.).

ყათლანი|ყათრანი (არ. katran) ფისი, კუპრი. „გაცხელებული ყათლანი არი“ (ინ.); „დღღარე ყათრანის რაფერ არ ემინიან?“ (თ. ქ.).

ყათული (katik) სანელებელი, საკაზმი, პურზე დასაყოლებელი, კერძი. „სიმშილსა არ უნდა ყათული, ცივი ჭადიც გაგაძლოფს“ (იმ.).

ყაიბი (არ. kayip) დაკარგვა, დაკლება. „ჩემ მობრუნებამდი ყაიბი გახდა ბალვი“ (ინ.).

ყაიდი (არ. kaide — წესი, განანესი) მოტივი, მელიოდა. „იმერქვის ყაიდები ამამავალია: ათაბარი, ათომი, აღოსმანი, აჭარული ხორომი, ართვინის ხორომი, ბარი, გზელი ყაიდი, გზის ყაიდე, დელი-ხორომი, დუზხორომი, დიობნური ყაიდე, დოდოფლის ყაიდე, ვაზრია, ვაკეთი, თარიანიანი, თოთხმეტანი, თემი, თავუზბარი, კაჭკა, კობაკი, მიჯლეხილაი (სოფელ ზიოს ყაიდი), მენდობარი, ონდორდი, ორთაბათომი, სარი ჩიჩევი, სარი სეღლანი, ჯემილ ბურსა, უზუნ დერე (გზელი ქევი), ქალების ხორომი, ყარაბალი, ყოლსამა, ყონგალი, შამილი (შამილ დედეი), შამშალაქო, ჩივთა ფანდარმა, კელგაშლილაი, ჯეზაირი, ჯილეველო, ჯოშქენ ჩორუხ (ჩქარი ქოროხი)...

ყაინი (kayin) ცოლის ძმა. „მემედაი ჩემი ყაინია“ (ინ.).

ყაისი (kayisi) ჭერამი. „ესა ყაისის ჩირია, გამხმარი, კაი ხოშმაი გამუა მაგასა“ (ინ.).

ყაიში (kayış) ქამარი. „ყაიშ ნუ დაგრეხავო“ (იმ.); „ახალი ყაიშებია გამოსული“ (იმ.).

ყაილი (kayik) ნავი, მოგრძო თევზი ხისა. „ყაილი დალაბ ნეილო“ (ინ.); „ჩუენ ყაილ ვეჭყვით, ბადითანაია, ხისა, წითელადამ მოხუენევენდენ“ (იმ.).

ყალანი (kalan) ნარჩენი, დანარჩენი. „ყალანი ურბა ეილე“ (მაჭ.); „ყალანი ამაში ჩაყარ“ (ინ.).

ყალე (არ. kale) ციხე. „გალმა ყალე დგას, ხედაფ?“ (იმ.); „ესა ლივანა ყალეა“ (იმ.).

ყალემ-ი (არ. kalem) ფანქარი, კალამი.
„ყალემი არ გაქ კაი, აურუფალი ყალემი
კაია“ (ინ.).

ყალიბ-ი (არ. kalıp) ფორმა, მოდელი,
ნიმუში, კალაპოტი. „ესა წინდის ყალიბია“
(იმ.). შდრ. საბა (ყალიბი — კალაპოტი).

ყალხოთურაი (kalkmak — oturmak)
დასაჯდომად გამოსაყენებელი ბალიში.
„ხალი, ქილიმი, ყალხოთურაი ვიცით“ (თ.
ქ.); „სანდაღებზე ქუემ ყალხოთურაინა
ღუუდევა“ (ინ.).

ყამა (kama) ხანჯალი, სატყვარი. „ვერ
გამყუები ყამაში“ (ან.).

ყამიშ-ი (kamış) 1. შაქრის ლერწამი;
2. ვულ. მამაკაცის სასქესო ორგანო.
„შექერ ყამიშიც მოქყყავდა“ (ინ.); „შექერ
ყამიშის ბეთმზე ვაკეთებდი“ (თ. ქ.);
„კაცისთვის ყამიში, უკაცრავლი პასულია,
ჭუჭული მუუჭრიან“ (იმ.).

ყამჩ-ი (kamçı) მათრახი. „იმასა ყამჩი
აქ“ (ხ. ფ.); „ყამჩი ლვედები დაგრისა“ (ინ.).

ყანათ-ი/ყანათ-ი (არ. kanaat) მომჭი-
რნობა, გამოზოგვა, ანგარიშიანად ხარჯ-
ვა. „ქალმა ყანათი თუ არ იცის, დენიზიც
არ ღუუკავდება ოჯალსა“ (ინ.); „ყანათი
ვექნით და პური ლენვობამდი მიგვიყუნა
სიმიღმა“ (თ. ქ.).

ყანათლი (kanaatli) თავდაჭერილი,
მოკრძალებული, მომჭირნე. „ზოვლი ყანა-
ათლია ჩუენი ძალი“ (ინ.).

ყანაოზ-ი იხ. ყავანოზი. „ჯამის ყანა-
ოზები ამსილი იყო შარაბით“ (ჰ.).

ყანთარ-ი (არ. kantar) ცალსასწორი
(ხარიხიანი სასწორი). „მემლექეთიდან გა-
მოჩანილი ყანთარი ქონდა დედესა“ (ინ.).

ყანოთ-ი ბლახი. „ყანოთი ბლახი
წამალიაო, იტყვიან იაშლები“ (იმ.).

ყანჯული (kancık) დედალი ცხოველი,
ძუნა, მსუბუქი ყოფაქცევია. „ერთ ყან-
ჯული ქალი ყავს“ (ინ.).

ყანჯულობა უსინდისობა, მსუბუქი ყო-
ფაქცევა. „მაგასა მე ყანჯულობას ვეტყვი“
(პილ.).

ყადა (kaya) კლდე, ქარაფი, სიბი ქვა.
„ყადადამ გადააგდო მეგემ“ (მაჭ.).

ყაღალუღ-ი (kayalık) ქვიანი, კლდე-ღო-

რლიანი ადგილი. „ძალიან ყაღალუღა
იქებრობა“ (მაჭ.).

ყადთან-ი (kaytan) 1. ლარი, ზონარი;
2. შეძლება, შესაძლებლობა, უნარი. „ტო-
ტიპირში ყადთანი გეიტანა, გუუყარა“ (თ.
ქ.); „იმ შანეს ბევრი ყადთანი არ აქ“ (თ.
ქ.).

ყადმ-ი (არ. kayme) ქაღალდის ლირა
(ხურდა ფული ლირისა). „ორასი ყადმი
მეგეტა“ (მაჭ.).

ყადმალ-ი (kaymak) ნალები, რძის თავი.
ყადმალში ჩაეფშნით ყველსა“ (ხ. ფ.).

ყადმაყამ-ი (არ. kaymakam) რაიონის
უფროსი, ხელმძღვანელი. „ყადმაყამი გუ-
რჯი ყოფილა, ზია ბეგის ბაბოი“ (ბახ.);
„ყადმაყამი ასულა რაქეთას“ (ხ. ფ.).

ყადნანა (kaynana) სიდღერი, დედამთი-
ლი. „ჩემი ყადნანა არნაუტია“ (სტ.).

ყადნაში-ი ბლახი. „კაი თივა არი
ყადნაში“ (ინ.).

ყადრათ-ი (არ. kayrat) მოთმენა, გაძ-
ლება. „გიგვიჭირდებოდა, შამა ყადრათ
ვიქმოდით“ (თ. ქ.).

ყადრათლი (kayratli) მომთმენი, გამძ-
ლე. „ჩუენი ძალი ყადრათლია, ყადრათით
საქმობს“ (თ. ქ.).

ყარა (kara) შავი. „ინსანი ლამაზი არნა
იყო, გული ყარა არნა ქქონდეს“ (სტ.).

ყარაბალი-ი ცვეკის სახელი. „ყარაბალი
კაი ყაიღია, ვისამებთ“ (იმ.); „ყარაბალი
ყეიდი ზოვლი ვიცით“ (ჰ.).

ყარაგოზა-ი (karagöz) შეთვალევა;
ძროხის სახელი. „ყარაგოზაი რომ დაკლეს,
ბალეგმა და მე ვიტირეთ“ (თ. ქ.).

ყარადენიზ-ი (kara — შავი, deniz —
ზღვა) შავი ზღვა. „ყარადენიზის ლაზსა
ყადელი ყოლია“ (ინ.).

ყარათახთა (kara — შავი, tahta —
ფიცარი) შავი (საკლასო) დაფა. „ყარათახ-
თაზე ვენერდით ოქუღში“ (სტ.).

ყარალი (kararlı) განსაზღვრული, თა-
ნაბარი, ზომიერი, ტემპის მქონე, დადგე-
ნილი. „რაფერ ყარალი მოდის საქმლი“
(თ. ქ.); „ყარალი საქმე იციან“ (თ. ქ.);
„ყარალი არ მოვდა ჩუენთან“ (ჰ.).

ყარამანა-ი (karaman) ძალიან შავი.

„ერთი ყარამანაი ზენჯი შამოვდა“ (სტ.).
ყარანა-ი ნიბლია (ჩიტი). „ყარანაი ჩუენ მოზურესა ქვიოდა“ (თ. ქ.); „ყარანაი ჩიტები პურის ყანაში ბევრია“ (მეზ.); „ყარანაი“ სიმღერაც არი: — ყარანაი ყანაშია, მეტათ გასუქებულია ყარანაი, ჩუენი ყარანაი“ (ინ.). შდრ. საბა (ყარანა — ნიბლია).

ყარაჯოლი-ი (karayolu) სახმელეთო გზა.
„ეს ყარაჯოლი სურიეს სინორზე მივა“ (ინ.).

ყარაპალუღი-ი (kalabalik) თავყრილობა, ბრბო, ხალხის გროვა. „ყარაპალუღი იყო ფაშა ნენეს ტირილზე“ (პ.).

ყარასიღირი-ი (kara — შავი, sigil — მეჭეტი) შავი მეჭეტი. „ყარასიღილი ქონდა ცხვირიძირში“ (ინ.).

ყარამფილ-ი/ყარაფილ-ი (karanfil) მიხაკი. „ყარამფილიც ჩავყარე აშურაში“ (სტ.).

ყარამფილა-ი ვაშლი-ი ვაშლის ვიში.
„ყარამფილაი ვაშლი იყო სვირევეან და სოენი გაკმა“ (იმ.).

ყარაყიზა-ი (kara — შავი, kuz — გოგო) შავი ფერის დეკულის სახელი. „ყარაყიზაი ქვეყუავდა ერთი, ძალიან ზიანქარი იყო“ (თ. ქ.).

ყარაყიში-ი (karakiş — მკაცრი ზამთარი, შავი ზამთარი) ნელინადის მეთერთმეტე თვე — დეკემბერი. „ყარაყიში ჰამან შავი ზამთარია“ (მაჭ.).

ყარაყოლი-ი (karakol) პოლიციის განყოფილება, პოლიციელი. „ყარაყოლი მოუკლავს ერთი“ (იმ.); „აგზე გურჯების ყარაყოლი იყო“ (მაჭ.).

ყარაყურა მავლაჯუნა, საზარელი რამ, ავი სული. (ამბობენ, რომ ყარაყურა ადამიანს ძილში მიეპარება და მოძრაობის უნარს ართმევს დროებით. როცა მიხნარეს გაელვიძება, ამ საშინელებას იგრძნობს, ღმერთი უნდა ახსენოს და შველა სთხოვოს. ღმერთის ხსენებაზე ყარაყურა გარბის და ადამიანი შეებას იბრუნებს). „დანოლი-ხან ვილოცე, დევბი ვიკითხე, ჰამა ყარაყურაი მაიც დაძანავა“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ყარაყურა — ცუდმადი რამ).

ყარახებერი-ი (kara — შავი, haber — ამბავი, ცნობა) შავი ამბავი, ცუდი ამბავი. „ყარახებერი ორი დღეა მოგვივდა“ (ინ.).

ყარაჯა-ი (karaca) შავი, შავგერემანი. „გამოგზავნა მექუთუბი წასალბებელია ყარაჯაი ბალვი“ (ინ.).

ყართალი-ი (kartal) არნივი. „ყართალი სუავია თუ არნივი, ვერ გეტყვი“ (იმ.); „მალა-მალა მიფრინავს, ყუავია თუ ყართალი?“ (პ.).

ყართოფი-ი კარტოფილი. „ესაც ყართოფის ყუფა“ (იმ.).

ყართოფილა-ი კარტოფილი. „ყართოფილაი მეგონებოდა“ (სტ.).

ყარ-ს ცუდი სუნი აქვს. „ფუშ, რაფერ ყარს აქვერობა ამ ჩიჩიგის სულისკან“ (იმ.). შდრ. საბა (ყარს — ავი სუნი უფა).

ყარდეში-ი (kardes) ძმა. „ამ ფაფრიქის საიბი ჩემი ყარდეშია“ (სტ.).

ყარი (kari) ცოლი, ქალი. „პერალდა ყარია მისი“ (ად.).

ყარიღი-ი (karik) თხრილი, მინის ნაკვეთი (გამოყოფილი), კვალი. „მინაზე ყარიღებ ვაკეთებ“ (თ. ქ.); „ყარიღი“ ვიჭყვით, „ყარიღში“ ჩადექო, ვიჭყვით“ (პ.); „ერთი ყარიღი კიტრი თესლი გექნებია, მომეცით პანაი!“ (ინ.).

ყარი შერი-ი (kari — ქალი, şer — ბოროტება, სიაცე) ქალის ბოროტება, ქალის მიზეზით წარმოშობილი მტრობა. „ყარი შერიდან ღმერთმა შიგიბრალოს“ (ინ.).

ყარი შერი-ი (kari — ქალი, şer — ბოროტება; kur — ხმელი, ცარიელი, ტყუილუბრალო,) უსაფუძვლო ბრალდება, მოგონილი ბრალდება, ინტრიგა. „ყარი შერიდან, ყური შერიდან შიგიბრალოს ღმერთმა“ (სტ.).

ყარიშლულობა (karışmak — შეხვეება) სრულყოფა, უმალესი ბედნიერება. „მიხისი ყარიშლულობა ჯენნეთი იქნება“ (ინ.).

ყარმა (karma — ნარვევი, შერეული) პირუტყვის წენიანი საჭმელი (მიენოდება თბილად). „ძროხას ყარმას ვუკეთებდი, ბზეს წყალ დაეახებდი, ღემ დაეყრიდი“ (ინ.).

ყარსელა-ი ვაშლ-ი ვაშლის ჯიში.
„ყარსელაი ვაშლი ქომუნეთ ქონდენ“ (იმ.).

ყარფუზი-ი (karpuz) საზაბთრო. „სწორი
ყარფუზი მომეც!“ (იმ.).

ყარში (karşı) პირდაპირ, მოპირდაპირედ
მყოფი. „დუქნის ყარშიზეა ის კაცი“
(იმ.).

ყარშიბერ-ი (karşı — მოპირდაპირედ,
beri — ეს მხარე) მოპირდაპირედ მხარედ,
პირისპირ, პირდაპირ. „ყარშიბერ მიდის
გზა“ (იმ.); „დადგენენ ორნი ჩემ ყარშიბერი“
(იმ.); „ყარშიბერი ისამებდენ შუანთობაზე“
(იმ.).

ყარშილულ-ი (karşılık) ფასი, გასამრ-
ჯელო, სასყიდელი. „კარგობის ყარშილუ-
ლინა დინახოს“ (ინ.).

ყასაბა (არ. kasaba) ქალაქი (შედარე-
ბით პატარა). „მოსულა და დაუდომილა
ყასაბაში“ (ან.) „გურჯებმა ყასაბა დევკა
ვეთ“ (ინ.); „ყასაბაში ეიმსენ ფოცხოვლები“
(ინ.); „მემრე სოფლებში, ვილაეთებში,
ყასაბებში გაგარიგე“ (ინ.).

ყასაბი-ი (kasap) მეხორცე. „ხორცი ამ-
ფრა რომე გიყუარს, ყასაბი გახდი“ (ინ.).
შდრ. საბა (ყასაბი — მეჭორცე).

ყასათურა (kasatura) ხიშტი, მახვილი,
ნაჯახი. „ერთი ყასათურაი ცული ქექონდა,
მემლექეთიდან გამოტანილი“ (თ. ქ.); „დე-
დეს ბევრი ყასათურაი ნიშნები ქონდა“
(ბახ.).

ყასუმა-ი (kasım — ნოემბერი) მამაკა-
ცის სახელი. „ჩუენ ემიას ყასუმაი ერქუა“
(ინ.).

ყასტენ (არ. kasten) განგებ, განზრახ.
„ის კაცი თოფუზამ ყასტენ მოკლა“ (იმ.).

ყაფა (არ. kafa) თავი. „ყაფა აღარ
მახსოვს“ (ად.); „ყაფა აღარ საქმობს“ (იმ.);
„ერთი ლუკმა ბაღმა გაართყა ყაფაზე“
(იმ.).

ყაფალი (kapalı) დახურული, თავსახუ-
რავის მქონე. „ჩუენი ქალები ყაფალი
ვიყავით, იმერხველების, შავემთლებისა —
აჩული“ (ინ.).

ყაფალთი-ი (kahvaltı) საუზმე. „ყაფალ-
თი მოგართვა?“ (იმ.); „ყაფალთი ვქნათ!“
(იმ.).

ყაფამა (kapama) კერძი. „ყაფამა ხაის
საქმელია“ (იმ.).

ყაფანი-ი (kapan) მახე, ხაფანგი. „ყაფანი
მლუნყეს დათვსა ყანაში“ (იმ.).

ყაფარა-ი თავშიშველი. თავდახურულ
ქალთა შორის ერთი ან ორი თავგობდილი
რომ გამოერევა, იმაზე იტყვიან. „ყუელი
ყაფალი ვართ, თავზე გვაბურია, შენ ხარ
ერთი ყაფარაი“ (ინ.). შდრ. საბა (ყაფარი
— ძნელი აღმართი, ამართულივით).

ყაფალი-ი (kapak) სახურავი. „ესა თენ-
ჯრის ყაფალია“ (იმ.).

ყაფალი (kapaklı) სახურავიანი. „ფა-
ხირის ყაფალი გუგუმები ქექონდა“ (ინ.).

ყაფიყომში-ი (kapı — კარი, komuşa —
მეზობელი) კარის მეზობელი. „ჩუენა ყა-
ფიყომში ვართ ერთმანეთთან“ (ინ.).

ყაფლამა (kaplama) მოსაპირკეთებელი
მასალი, მოპირკეთება; კერძის სახელი.
„კაკლის ქუთუგებიდამ ყაფლამას აკეთე-
ბენ“ (გულ.); „ყაფლამა ქათმის წუენში
მოხარშული ბრინჯია. ხახვი, ნიორი და
შავი ბიბერი კაზმავს ყაფლამასა“ (სტ.).

ყაფლანი-ი (kaplan) ვეფხვი. „ყაფლანის
დერი ზალიან ფაალია“ (იმ.).

ყაყე-ი მეტად შავი, ჩაშავებული. „თე-
თრი გომლეგი ყაყე გუუხდია“ (თ. ქ.).
შდრ. საბა (ყუყა — მეტად შავი).

ყაშაე-ი (kaşafı) სამურველი, რკინის
კბილეთიანი ჯაგრისი, პირუტყვის ბენვის
გასასუფთავებელი საფარცხელი, პირუტყ-
ვის დასაფხანი. „მაგას ყაშაეც არ გაა-
სუფთავს, ჩაჩქანმა რანა უშველოს“ (ინ.).

ყაშმერ-ი (არ. kaşmer — მასხარა,
ცრუპენტელა) ხუმრობა, ოხუნჯობა. „ბე-
ვი ყაშმერი იცის ხალხში და არ მიხარია“
(ინ.).

ყაშმერობ-ს ხუმრობს. „გერჩექ ხომ არ
ამბობს, ყაშმერობს, ვერ იგნეფ?“ (ინ.).

ყაშული-ი (kaşık) კოვზი. „მანი ქიბილი
უნდა, ერი ყაშული“ (ხ. ფ.); „ერთი ჩაი
ყაშულითა სოდა უნდა“ (ინ.).

ყაჩალი (kaçak) გაქცეული, დეზერტი-
რი, კანონგარეშე მყოფი. „მემრე ერთ

ნელინად ყაჩალი მტრებად" (იმ.).

ყაჩაღრობა კონტრაბანდისტობა. „დევეწყეთ ყაჩაღრობა“ (ინ.).

ყაჭი აბრეშუმის პარკი. „წინწინ ყაჭ ვაშენებდით“ (ხ. ფ.). შდრ. საბა (ყაჭი — ბოეი მოხარმული).

ყაჭი პარკი-ი 1. აბრეშუმის პარკი; 2. თეთრი, ქათქათა; ლამაზი. „ვაიბი, რა ლამაზია ე ციცაი, პამან ყაჭი პარკი!“ (სტ.); „ყართოფი ყაჭი პარკივით გვდექიულა“ (ინ.).

ყახმა (kakma) ლამფა. „თავანში ყახმებია მირტყმული“ (იმ.).

ყაპვე (არ. kahve) ყავა. „ესა ყაპვეს დემლიგია“ (იმ.); „მოსულებმა ყაპვეც სუეს“ (სტ.).

ყაპვეჯი (kahveci) ყავის მომტანი. „ყაპვეჯის დუუძახეთ და მუატანიეთ ყაპვე“ (სტ.).

ყაპვერენგი (არ. სპ. kahverengi) ყავისფერი. „ყაპვერენგი ყუმამის ბუზმა შეიკერა“ (იმ.).

ყებილე (არ. kebile) მოდგმა, გვარი, თაობა. „ერთი ყებილე ვართ ბითევი“ (ინ.); „ნეტაი რა ქნეს ჩუენი ყებილე?“ (ად.); „მათი ყებილე იქ არიან“ (ად.).

ყედერი-ი (არ. keder) ბედისწერა, ბედი, ხვედრი, გამართლება, დაღხინება. „რა ყედერია ესა?!“ (ბ.); „ნეტაი შენ ყედერი!“ (პ.); „დავფიშმანდები გურჯისტანის ყედერზე“ (მაჭ.); „კაცებიდან ყედერი არ აქ“ (ინ.).

ყედიმ (არ. kadim — ძველისძველი, ანტიკური) მუდამ, უსასრულოდ. ყედიმ ხომ არნა ვიყოთ ამ დუნებაზე, არ უნდა ბევრი ჰალი!“ (თ. ქ.).

ყედიმდუნია (არ. kadim — ძველისძველი, dünya — ქვეყანა); ძველისძველი ქვეყანა, ანტიკური სამყარო. „ყედიმდუნია ასე ყოფილა, შენ ხომ ვერ გაასტორუფ?!“ (ინ.).

ყედიფე (არ. kadife) ხავერდი. „ზეიდან ყედიფე აქ გადაკრული“ (ინ.).

ყევარი-ი წყვილი ხარი. „შევაბემლით ყევარსა და გავენვედით გუთან“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ყევარი — ორულდულენი

კარნი).

ყეზა მარცხი. იხ. ყაზა. „წრეული დიდი ყეზა დევმართენ“ (თ. ქ.).

ყეზალი (kazali) მარცხიანი, მარცხის გამომწვევი. „ეს ბალვი ძალიან ყეზალია, რაცხას ილლა გატეხავს, ან თვითან იტყენს რამეს“ (ინ.).

ყეზეთე (gazetic) გაზეთი. „ჩუენ ყეზეთემ დანერა“ (სტ.).

ყეთმერი-ი (kalmer) ფენოვანი ნამცხვარი. „ყეთმერ გამუაცხობენ ბაღრამზე“ (იმ.); „ყეთმერიც ვიციოთ“ (ინ.).

ყელემ-ი (არ. kalem) 1. სანერ-კალამი, ფანქარი. „ღმერთმა ყელემით წერვა დაგასტავლა“ (ინ.); „აჭარიდამ არი გადმოტანილი ყელემები“ (იმ.). 2. ბუზრის საკვამური, კვამლის ასასულები. „ყელემი გამოჭვარტლული იქნება, გათემიზება უნდა“ (თ. ქ.); 3. სანამყენე კვირტი, ნორჩი ტოტი. „ამ სხლის ყელემები მემლექეთიდან მუუტანიან“ (მეზ.).

ყენეზი-ი აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი. „ყენეზის ბულუზაი მქონდა სკივრში“ (თ. ქ.); „ზათი ყენეზი ძალიან მებხული ყოფილა“ (მეზ.).

ყენდერა-ი უსაქმურად მოსიარულე, უქნარა. „იმფერ ყენდერა კაცის ხელში კილო კაი არიან ოღლუმალი“ (პილ.).

ყენილი-ი (არ. kandil) ლამპარი, სანათი, სანთელი. „ციცაი ყენილივით გამხდარა“ (ინ.).

ყენევა (kanavice — კანავა, სარჩული) ქარგვა სარჩულის გამოყენებით. „ამაზე ყენეგას გააკეთობ“ (ინ.). „ყენევა ჭრელსა, ნახიშსა, ქეია“ (იმ.).

ყერეულა ტყავის ფეხსაცმელი. „გამომატანეს ერთი წყვილი ყერეულა“ (თ. ქ.); „მაი ლამაზი ყერეულები ვინ მოგიტანაო“ (პ.).

ყერიბი-ი (არ. kerib) უპატრონო, ეული, მიუსაფარი. „ისე დამართეს იმ ყერიბსა, ერთი შვილის ბატონი იყო, ისიც მუუქლეს“ (იმ.); „ამისისხოთ ყერიბები რატომნა ვიყოთ?“ (ინ.); „ესა ერთი ყერიბ მუხელულია“ (მაჭ.).

ყერიბათ ობლად, ეულად. „ყერიბათ

არი შაქირემიაი აქა“ (თ. ქ.).

ყერიზობა ობლობა, უპატრონობა. „ყერიზობით უკითხავან ჩუენ ხალხსა“ (იმ.).

ყერი-ყერიში მოვიდა თავითავში, თავითავზე მოვიდა, დაუბრუნდა დასაწყის ადგილს. „შამეიარა სოფელი და ყერი-ყერიში მოვდა“ (იმ.).

ყერი მსხვილი ბოძი. „ვაიმე, ჩემო ბეროო, შენი მოტანილი ყერიოო“... (სტ.). შდრ. საბა (ყერი არს სხვილი ძელი).

ყეფეს-ი (სპ. kefec) გალია. „ჩიტი მუუგდიან ალთუნის ყეფესში“ (თ. ქ.).

ყეფეს-ი ჭრელი გალიის მოყვანილობის ნახიში, სახე, ჭრელი. „ყეფესი ჭრელის ორენგი ბინნიემ მიცა გონულის“ (იმ.).

ყეპრ-ი (არ. kahir) დარდი, ნალველი, გაჭირვება, სიდუხჭირე, ჩაგვრა. „ყეპრში ვიყავ იქა“ (იმ.); „ბარსამი ყეპრი გამომლილი გუაქ“ (თ. ქ.).

ყეპროფეს წვალობს, იტანჯება, წუხს. „ზავალი ომერა დედეი ყეპრობს რამდეზანია“ (ინ.); „რა და რას ვყეპრობთ, ვერ ხედავ?“ (ინ.).

ყველისარში ყველით, კვერცხითა და ერბოთი მომზადებული (წყალში მოხარაშული) კერძი. „ყველისარშოს სოფელში ახლაქ აკეთებენ“ (იმ.).

ყვერება-ი გად. მნ. ვაჟაკი, ჯანღონით სავესე და თანაც სიტყვის პატრონი მამაკაცი. „საადეთინაი ყვერებაი კაცია. მაქვეერი ლაჩანტრიაი ხომ არ არი!“ (ინ.).

ყვითელი-ი მსხლის ჯიში. „ამ ყვითელასი ყელეში დედეს გამუუტანია მემლექეთიადამ“ (ად.).

ყვი-ი ბული, მტვერი, კვამლი. „არაბამ გეიარა და დააყენა ყვიში“ (ბა.).

ყვინიზ-ი ხორცის სისასვე, სიჯანსაღე, ჯანმრთელობის ზეიმი. „ყვინიზი გააქ ქალსა, სამსე თვარეს დამგზავსებია“ (ად.). შდრ. საბა (ყვინიზი — ფრინველთ პოხილობა).

ყვიციანი-ი ფერმკრთალი, გაყვითლებული. „ყვიციანი ბაღები ყავს ზავალსა“ (გულ.).

ყიამეთ-ი (არ. kiyamet) სამყაროს დასასრული; უბედურება, გაჭირვება. „ყიამეთი ახლოს არი“ (პ.); „ყიამეთი რომენ მოვა,

მაშინ რა ჯულაბ იძლევი?“ (ბ.); „იარი იქა, მე — აქა, თუალის ყიამეთია“ (სტ.).

ყიამეთი (არ. kiyamet) გაჭირვებით, ძლივსძლივობით. „ბაღვი ყიამეთით დავადინე“ (ბ. ფ.).

ყიაფეთა-ი (არ. kiyafet — ფორმა, გარეგნობა) ანჩხლი, მვეირალა ადამიანის (ქალის) მეტსახელი. „არ მოლევს დავიდარებასა მეგ ყიაფეთაი, მაგი!“ (თ.ქ.).

ყიანმატა-ი გრძელ კისერა ადამიანი. „ნუუგძელებია კისერი ყიანმატასა და დაცქერია ციცასა მილეთის ხალხში“ (ინ.).

ყიბლე (არ. kible) ის მხარე, რომლისკენაც მიბრუნდება ყველა მუსლიმანი ორცვის დროს (ყიბლე არის ქააბაში), სამხრეთით. „შებრუნებულა ყიბლისკენ და უთქუამს“ (ინ.).

ყივანი კრიმანჭული, პირველი ხმა. „მე ყივან ვეტყვი, შენ ბანი თქვი, მურადიც თავ იტყვის და იქნა სიმღერა“ (ედ.).

ყიზი (kiz) გოგონა. „ყიზ! ყიზ! შენი ბაბოი პად არი!“ (სტ.).

ყიზორეგი (kiz — გოგონა, ornck — სახე, ნახიში, ჭრელი) გოგონას ფიგურის გამომსახველი ჭრელი, ნახიში. „წინდი ჭრელია ყიზორეგი“ (იმ.).

ყიზართმა (kizartma) შემწვარი ხორცი. „ყიზართმა ჩემი საყუარელი საჭმელია, ამას რომ დადებენ სუფრაზე, მე ფეხები შიმიყრან, შენ — ხელები“ (ინ.).

ყიზილ-ყიამეთი (kizil — წითელი; მეტისმეტი, უზომო, გადაჭარბებული, kiyamet — სამყაროს დასასრული, უბედურება, გაჭირვება) უზომო უბედურება, ტირილ-ყვირილი. „ბაბომ სული რომ მიცა, ავტებუთ ყიზილ-ყიამეთი“ (ინ.).

ყიზლი (kizgi) შანთი. გავარვარებული რკინის ჯოხი. „ყიზლინა დააჭრო მაგას ენაზე“ (პ.).

ყიზილჯული (kizilcik) შინდი. „ყიზილჯულით შურებ გავაკეთებთ“ (თ. ქ.).

ყით-იისითილი-ი (kilitik) არასაკმარისი, მცირე, დუხჭირი. „შარშან ზოვლი ყითილი ნელნადი იყო“ (თ. ქ.); „საჭმელი ყითი იყო“ (თ. ქ.).

ყითილობა სიდუხჭირე, უცმარისობა,

გაჭირვება. „წრეული ყითლილობას შამოკრავს აქაერობაში“ (იმ.).

ყიმა (kyma) ხორცის საკემში გატარებული ხორცი; დაკეპილი ხორცი. „სარმას ყიმა ხორცი უნდა“ (მ.); „ყიმა დაფქველი ხორცია, მაქინაში გამოწველი“ (ინ.).

ყიმიანი-ი დაკეპილხორციანი. „ყიმიანი ფიდა ვიცი“ (ინ.).

ყიმიეთი (არ. kymet) ფასი, ღირებულება. „ტყეს დიდი ყიმიეთი აქ, სიზენგინეა“ (იმ.).

ყიმიეთლი (kymetli) ძვირფასი, ღირებული. „მოვდენ შენი ყიმიეთლი დოსტები!“ (სტ.).

ყილა (kil) მოკლე ბენვიანი (მოკლე ყური) მატყლი, ჯაგარის მსგავსი მატყლი. „მატყლი ყილაიცი იქნება“ (პ.).

ყილიფი (არ. kilyif) შალითა, ბუდე (სათვალის, თოფის, დანის...) „ბალიშსა აქ ნამოსაცმელი ყილიფი“ (ინ.).

ყილიფა-ი ვულგ. სხვისი ჭკუით მოსიარულე, ფლიდი ადამიანი, მატყუარა. „მაგას არ ენდო, ყილიფას, მაგას!“ (ინ.).

ყილილი (kılık) გარეგნობა, ფორმა, სახე. „ყილილი ზოვლი აქ, ჰამა გული — იჩიყარა“ (ინ.).

ყილიჯი (kılıc) ხმალი. „ყილიჯზე იმფო ჭრელია“ (პ.); „ერთი ყილიჯი უჩუქებია“ (ინ.); „ყილიჯიც დააშუენა მეგემ“ (ინ.).

ყიმეთი იხ. ყიმიეთი. „სინალოს ქალის ყიმეთი!“ (ინ.); „მეზობლებმა ჩემ ბაბას ყიმეთი არ იცოდენ“ (იმ.).

ყიმეთლი-ი იხ. ყიმიეთლი. „იმფო ყიმეთლი გაეხდით დაშლები“ (ინ.); „ზოვლი მონევი, აღირი ხალხი, ყიმეთლი ხალხი ვართ გურჯები“ (სტ.).

ყინვობა ყინვა, სიცივე. „სოფელში ყინვობა იცოდა“ (ინ.).

ყინი (kin) ქარქაში. „გარეთაი ყინი — მინი სულ გუმიში იყო“ (ინ.).

ყინტორი-ი ძალიან ცივი წყაროს წყალი. „თუებზე ყინტორი წყარუებია, ხელვერ ჩაყოფ“ (ინ.). შდრ. საბა (ყინტორი — წყაროს ყინული).

ყინულზე გააცურებას ფიგ. გამ. მოატყუებს, უღალატებს. „ქალმა ყინულზე გააცურვა კაცი“ (ინ.).

ყირავი ყინული, ჭირხლი, თრთვილი. „ყირავი გუუგდია ბალახებზე ნუხელი“ (თ. ქ.); „თუელზე და ახალ განაფულზე ყირავი იცის დიდილია“ (ინ.).

ყირალი (kral) მეფე, ხელმწიფე. „თამარ დოდოფალი რუმ ყირალი გახდა, ძმამ ვერ გეიტანა მეგემ“ (ინ.); „თამარ დოდოფალი ყირალის გოგო ყოფილა“ (იმ.).

ყირათი (kirat) მოთეთრო ფერის, ლეგა ფერის ცხენი. „ბაბამ ყირათი კვიცი მეიყუანა“ (იმ.).

ყირათლი (kiratli) მოთეთრო ფერის ცხენიანი. „ყირათლი ცხენით გეკდა“ (იმ.).

ყირმა (kirma) ნაოჭი, გოფრე, ნაკეცი. „კაბის ბოლოზე ყირმას მუაკერებდით“ (თ. ქ.).

ყირმალი (kirmali) ნაოჭებიანი, ნაკეცებიანი. „ყირმალი კაბებით შუანთობაზე ნეკდოდით“ (ინ.).

ყირმაქემერი (kirmakemer) ვერცხლის საკეცი ქამარი. „ნენესი ყირმაქემერი, ცეცხლი რომ გიგვიჩინდა სოფელში, მაშინ დენიუა სახლთან ერთათ“ (თ. ქ.).

ყირმიზი (არ. kırmız) წითელი. „ყირმიზი ფული აქ თავგესა“ (სტ.).

ყირმიზი ბიბერი (kırmaşibiber) წითელი წინაქა. „ყირმიზი ბიბერის კაპები ეკიდა ქანდარაზე“ (ბახ.).

ყირყიტონი ხორხი, ყელი, სასუნდქი მილი. „თევის ფხა გაკეტებია ყირყიტონში“ (ინ.).

ყირხი (kirk) 1. ორმოცი; 2. ყურანის მერიმოცე თავის ლოცვა, საკითხავი, რომელსაც უკითხავენ მძიმე ავადმყოფს შვების მიცემის მიზნით. „ყირხ ვუკითხავ და მადლ მევეგემ“ (თ. ქ.); „ესა ყირხ-გასინია“ (თ. ქ.). იხ. იასინი.

ყირხლული-ი¹ (kirkilik) ცხვრის საკრეჭი მაკრატელი. „ცხუარსა ყირხლულით გაკუნაჭავთ“ (იმ.).

ყირხლული-ი² (kirklik — ორმოცი ნაწილისაგან შემდგარი) ქვიანი ადგილი. „ჩუენი ადგილი ფენა ყირხლულია“ (იმ.).

ყისირი (kisir) უნაყოფო, გამრავლების უნარს მოკლებული ცოცხალი არსება. „ეს ძროხა წრეულაც ყისირი დარჩა, დაველათ თუელზე“ (თ. ქ.).

ყისმეთი (არ. kismet) ბედი, ბედისწერა, წარმატება. „შენი ყისმეთი არ ყოფილა“ (სტ.); „ღმერთმა ყისმეთი გიგისადა აქ მოსლა“ (ინ.).

ყისმი (kismi) მოდგმა, კატეგორია, ნაწილი. „ქალი ყისმი მალე გაცივდება“ (თ. ქ.); „ქალი ყისმი ვარ, კაციდენ ხომ ვერ გუშდლფუ?“ (ინ.); „ნაბაგი ორი ყისმია“ (იმ.).

ყისრალი (kisirak) 1. ფაშატი, დედალი ცხენი; 2. ვულგ. ცული (მსუბუქი) ყოფაქცევის ქალი. „ყისრალ ცხენ დასევიან ზეადი ცხენები და ერთმანეთში იკინტლებიან“ (ბახ.).

ყისტი მხარე, დასახლება. „მანხატეთი ერთი ყისტია, მანატბა — მეორე ყისტი“ (იმ.).

ყიყვი ჩიყვი. „ყიყვი ბილა გამუუყუანა“ (თ. ქ.).

ყიშლა (kışlak — საზამთრო საძოვარი) მთასა და ბარს შორის საშუალო საძოვარი, საბალახო ადგილი. მაისის თვეში და ოქტომბერ-ნოემბერში, როცა მთებში სიცივეა, თოვლიც კი დევს, საქონელს ინახავენ ყიშლებში. ივნისის დასაწყისში პირუტყვი აპყავთ მთებში, ყიშლა ცარიელდება. ასევე, როცა ყიშლებშიც ჩამოაღწევს თოვლი, პირუტყვი ჩამოპყავთ ბარში (სოფლებში). მესაქონლე ტომებში ეს წესი დღესაცაა ნაწილობრივ დაცული როგორც მუშაჯირი ქართველებთან, ისე ართვინის ვილაეთის ძირძველ მოსახლეობაში. „ყიშლიდამ წოუსხამს საქონელი მთაში“ (იმ.).

ყლანტი შიმშილით გვერდებჩავარდნილი პირუტყვი, დამშეული. „მეიყუანა ყლანტი საქონელი!“ (ბახ.).

ყლარჭაი მსხლის ჯიში. „ყლარჭაი სხალი უწვენოა, შრალი, ჭამაში დაგყლარჭავს“ (მ.).

ყლარჭავს ახრჩობს, სულს უზმობს. „იმფერი ხუელა მუარს, რომე ყლარჭავს და ჰიდე!“ (ინ.).

ყლარჭვა ხრჩობა. „წუუჭირა ბალესა მეგემ, ამ მოზდილმა პანასა აკვანში და ყლარჭვა დაანყობია“ (ინ.).

ყლემს თვალებს უშნოდ აცეცებს, აბრიალებს. „ეს გენჯი რაცხა სხუაფრა ყლემს თვალებს ჩუენ სოხანში!“ (ინ.).

ყლემია თვალებბრიალა, დიდთვალე ბიანი. „გამოცვიდენ ყლემია-ყლემია ბალები“ (ინ.).

ყლიპინი თვალებდამუტერებით ყურება, თვალების უშნო ბრიალი. „შემჭამა მაგისმა ყლიპინმა, ერთ ლამაზათ არ შეხედავს ბალებსა“ (ინ.).

ყლურნა უცბადა ჩაყლაპა. „ოტურის იმხელა გურკა ყლურნა ეყველა“ (თ. ქ.).

ყოდალი 1. კომბალი, დოლის ჯოხი; 2. დაბალი, მსუქანი, მაგრამ მოქნილი ტანის მქონე, მოძრავი პიროვნების ეპითეტი. „დავლი ყოდალი პანაი, ერთი რამდენ ჰალშია, ხედავ?“ (ინ.).

ყოლანი (kolan) ბრტყელი ქაშირი, რომელსაც ცხენს ამოუჭერენ მუცელზე და ამაგრებენ უნაგირს. „ყოლანი კარქა ამუჭირე ცხენსა, რომე უნაგირმა არ დაგალოს“ (თ. ქ.).

ყოლანი ყველა, ყველანი. „ყოლანი იყვენ დუგუნში“ (იმ.).

ყოლანიალი (kollaryaği) ხელის ზეთი, საპოხი, საცხი; საპარფიუმერიო, ტუალეტის წყლის მსგავსი სითხე (მეტად სურნელოვანი), რომელსაც ისხამენ ხელებზე, ისმევენ სახეზე (განსაკუთრებით ფასულაი მგაზერობის დროს). „ნიშანში იქნება ყოლანდლიც“ (იმ.).

ყოლაღ (kolay) მსუბუქად, იოლად, ადვილად. „შეხე ერთი, რა ყოლაღ წერავს?“ (მაჭ.); „ყოლაღ სული ველარ ამომილა“ (თ. ქ.); „ყოლაღ დააკეთეს სახლები“ (იმ.).

ყოლაღ გელა! (kolay gele!) ღმერთის დახმარებით გაგიოლდეს საქმე! რაიმე საქმიანობაში ვინც შეგოცნსრება ვინმეს, ამ სიტყვებით მიმართავს მომუშავეს: ყოლაღ გელა! „ყოლაი გელა! ეფვიჯა მიგოკანანაიბა საქმე“ (მეზ.); „ყოლაი გელა, ღმერთმა გერმელია გაჭამოს წრეევანდელი

მოსავალი“ (თ.ქ.).

ყოლაჲ გელსუნ! (kolay gelsin!) იხ. ყოლაჲ გელა. „ყოლაჲ გელსუნ, ძალა! საღამომიღინ დამთავრეფთ გუნდონდინ ფხეკას ლალიბა?“ (თ. ქ.).

ყოლაუზი (kilavuz) გამცილებელი, გზის მაჩვენებელი, მეგზური, გიდი. „წინ ცხენზე ზის ყოლაუზათ აზიზი“ (იმ.).

ყოლაფჯა (kolayca) მსუბუქად, იოლად. „ყუელამფერი ყოლაიჯა იქნა“ (ინ.).

ყოლ-ი ყოველი. „ყოლ ქედის სახელი სხუა არი“ (ტ.); „ყოლი ინსანი სიბერისკენ მივა“ (ტ.).

ყოლ-ი² (kol) ხელი, სახელური. „კიბეს ყოლი აქ გაკეთებული, რომე ბაღვებმა არ გადაყარდენ“ (ად.).

ყოლთული (koluk) სავარძელი, დასაჯდომი. „ყუელა ოდაში ყოლთულები დაჯანყევი“ (ინ.);

ყოლიმფერი ი ყველაფერი. „მემრე აქ გამორჩინდა ყოლიმფერი“ (ინ.); „ყოლიფერი კაი იქნება“ (პ.).

ყოლსამა (kol — ხელი, სამა — ცეკვა) განდაგანას მსგავსი საცეკვაო მელოდია. „ყოლსამა ჩუენებური სასამური ყეიღია“ (პ.).

ყოლჩალი (kolçak) სამკლავე, სამკლავური. „ყოლჩალი დუუკერებია სახელოზე“ (ინ.).

ყომში (komşu) მეზობელი. „დუგუნზე ყომშებ, ახრაბებ ვუძახთ“ (ბ.).

ყონალი (konak) ღამისგასათევი ადგილი, ოთახი, ბინა. „მოსაფირისთეინ ცალკე ყონალი გუაქ“ (ბახ.); „ცალკე ყონალი დაღა“ (პ.).

ნამშტარ-ა ნამხდარა, გაფუჭებულა. „ჩუნეი საქმე ნამშტარა, ძიყა!“ (თ.ქ.).

ნანდილი-ი მოხარული სიმინდი ან ხორბალი, ნიგვით და თაფლით შეზავებული. „ნანდილს ვსჭამდი, შენ რომ შამოხუელ“ (იმ.). შდრ. საბა (ნანდილი — მგბარი ხვარბალი).

ნანწალა-ი მდინარეზე გადებული ჭოკი, სეკელეზო ხიდი. „ნანწალაი გამეიარეს კელბეთ“ (იმ.). შდრ. საბა (ნანწალა — მდინარეზე გადებული კიდი).

ნაპინკავ-ს პირამდე გაავსებს რაიმე ჭურჭელს. „ყუელთფინ ასე ნაპინკავს ბარდალ“ (ინ.). ნაპინკული-: „ვედრია ნაპინკული გამეიტანა ძითა“ (თ.ქ.).

ნარბებნკენტია-ი მომშვიდდული წარბების მქონე. „ზოვლი იაფის, წარბებნკენტია ქალი ყოფილა“ (ინ.).

წარია-ი საზამთრო მსხლის ფიში. „წარიაი ზამთრის სხალია, გამოსულამდი გაზლებს“ (იმ.).

წარნაქ-ი ნითელი მინის საღებავი. „წარნაქივით გაყრმიზდა“ (ბახ.). შდრ. საბა (წარნაქი — ნითელი საბატავია).

ნასულ-მოსული-ი სტუმარი. „ნასულ-მოსული ბევრი ქყუავს, ალაპაშუქურ!“ (ინ.); „შენი ოჯალის ყუსური არნა შაატ-ყობიო ნასულ-მოსულსა“ (თ.ქ.).

ნასულ-მოსული ჭკვა არასტაბილური ჭკვა, გონება. „ნასულ-მოსული ჭკვის ქალა ფადიში და იმითინ არ მოწონან“ (სტ.).

ნატე 1. მლაშე; 2. ჭუჭყიანი. „ნატე გომლეგი ეცუა მუზირსა“ (ად.).

ნაფარცხავ-ს 1. ფარცის გატარებით მინას ნაფარებს; 2. გად.მნ. ზედაპირულად გაალამაზებს (ნათქვამს ან საქმეს), ნათქვამს შერაბილებს. „დაჭირდება, ნაფარცხავს ნაქნარს“ (ინ.).

ნაქა შრავი. რძის პროდუქტების დამზადების შედეგად დარჩენილი სითხე. „ამას ნაქას ეტყვიან“ (ფათ.); „ნაქა გამეველე და ყველი შრავი გავაკეთე“ (იმ.). შდრ. საბა (ნაქა — განანურთ წვენი მანვნისა და მისთანათა).

ნალანდულა ნელანდებურად. „ნალანდულა დეინყო კიდო ლაპარიკი“ (სტ.).

ნაყურდება გაჩემდება, ხმას არ ამოიღებს. „პირში ძუძუ ჩუუდე და ნაყურდება“ (სტ.).

ნაყლარჭავ-ს ვულგ. ნაახრჩობს, სასუნქო გზებს დაუხმობს. „ანეინი ნაყლარჭავს ბალესა“ (სტ.).

ნაძრავ-ს ნახურავს, მიხურავს (კარს, ფანჯარას). „კარი ნაძარ, გაბანჩი კაცი მუა“ (თ.ქ.). ნაძრულ-ი: „კარები ყუელთვინ ნაძრული აქუან“ (ინ.).

ნანვერავ-ს წვერს ნაუთლის, ნამახავს (ხაშარს, სარს და ა.შ.) „ხაშარი ნანვერა და დლუსო ლობიას“ (თ.ქ.).

ნანიკვავ-ს ნანყუეტს, ნაგლეჯს, ნაწილს მოაცილებს. „ყველი ლავაშსა პანაი ნანიკვე და მიე ამ ბალესა!“ (ად.).

ნბილ-ი უსირცხვილო, უნამუსო. „ვოი, ნბილი მაგი! მაგაზე ინდობა?“ (ინ.). შდრ. საბა (ნბილი — რცხვენილი).

ნებრა-ი ნიგვზის (კაკლის) ნაყოფის მწვანე ქერქი. „ნებერამ ხელები შიმიდება“ (ად.).

ნეტყეცება დაერთება, დაემატება. „მის სიფუხრეს კაცის სიკდილიც ნეტყეცა“

(ინ.).

ნეიკინტლ-ენ ნაიჩხუნენ (მრ.რ.), ნაკამოდნენ. „არ ნეიკინტლონ, მეშინია“ (სტ.); „ქალბმა ნემეკინტლეს“ (თ.ქ.); „იმათით რათნა ნეკინკლენთ?“ (იმ.).

ნეილახლახ-ა ვულ. ილავა, ლაპარაკით გული იჯვრა. „მოვდეს და ნეილახლახის ცოტა“ (ან.).

ნეიტყვილი-ა გაიტაცა, მოაჯადოვა, მოატყუა, შეაცდინა. „იმისი ტიბილი ენა ნეიტყვილიებს ინსანსა“ (ინ.).

ნეიყაფლოთ-ა ისაუზმა, წაიხმესა. „სეფა დადამულია, ნეიყაფლოთე ერთდრამი“ (იმ.).

ნეიჭიკარტ-ა თვლები გადალალა, დაიბრმავა (რალაც საქმის კეთებას მოანდობა დიდი დრო). „ციცამ მაგის ქსოვნაში ნეიჭიკარტა თუალები“ (ინ.).

ნეიხურა მინის საბანი ფიგ. გამ. გარდაიცვალა. „ჩემო ძმავ, ასე მალე რატომ ნეიხურე მინის საბანი, რითვინ მომიშალე შენი დანახვა?“ (პ.).

ნელეზი (მრ.რ.) ნანლავეზი. „წრეველი ნელეზი დეინყვიტა ჩუნემა მინაზე საქმეში“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ნელი — ნანლავევი).

ნელზედა-ი ნელს ზემოთ ჩასაცმელი. „იმ ყუმაშით ზელზედაი შევეკრე“ (თ.ქ.).

ნელის შეკრა ნელის შეკრა (ნელის ტკივილის ან უშვილობის შემთხვევაში იცან ნელის შეკრა მაგარი ქსოვილით, მუცელის ამოზიდვა). „ნელი შუუკრა ნურიფე აბლამ, ბელქი ორსული გახდეს“ (ინ.).

ნელწულეზი ნანლავეზი. „ფიშტოი ესროლა და ნელწულეზი გამუყარევია დოვმუზსა“ (თ.ქ.).

ნერეულა ნელს, წრეულს. „ნერეულა ორი თანე გურჯი მოიდეს“ (ტ.).

ნერნაქ-ი ნითელი მინის საღებავი. „ჩილფ ნერნაქში შეღებედედენ“ (იმ.). შდრ. საბა (ნერნაქი — ნითელი საღებავია). იხ. ნარნაქი.

ნენკილ-ი ღერდილი, მსხვილად დაფქვეული სიმინდი, ხორბალი (მარცვლეული). „ნენკილით ღერდილი შორვას ვაკეთავთ“ (სტ.).

ნეელა 1. თმის ღერი; 2. რძე (მენველი

ძროხის ყოლა). „ნიკაპზე ნულები ამოს-
ლია“ (ინ.); „წრეელი ზამთარში ნუელა
არ ქვეონდა“ (ბახ.). შდრ. საბა (წველა —
თმის ღერი).

წველა არ წეეტევა ფიგ. გამ. არაფერი
არ გააჩნია, რაიმე არა აქვს. „მაგა რა
შუუძლია, ნუელა არ წეეტევა“ (სტ.).

წვერა თოხ-ი წერაქვი. „გუაქეა წუერა
თოხი, ხმელ მიწას იმით გავაულებო“ (მ.).

წვერი პირში ჩეიდვა ფიგ. გამ. თავი
დამნაშავედ იგრძნო. უხერხულ სიტუაცი-
აში აღმოჩნდა. „უდინგლა, უდინგლა და
რომ არ დაწონდა, ჩეიდვა წუერი პირში
და მიცოცხა“ (სტ.).

წვერპასალაი 1. გრძელწვერა (მხო-
ლოდ ნიკაპზე რომ აქვს გრძელი წვერი)
იხ. პასალი. 2. ანჩხლი, კამათისა და დავის
მოყვარე მოხუცი. „წვერპასალაი ბერი!
ყუელამფერინა მეიკითხოს და გვერიოს
სხუის საქმეში“ (სტ.).

წვერო ქუჭყისა და შარდის ნარევი,
წუმე. „ეს ცხუარი წვეროში ჩანოლილა
და თლათ გაბერბადებულა“ (თ.ქ.);

წვეტი წვერილი, პატარა. „ზოგმა წეი-
ტი გააგზანეს ოქულში ბაღნები“ (მაჭ.);
„ზედან ასხია წვეტი ვაშლი“ (ინ.).

წვეტი-ი წვიმინის ჯიში. „ჩუენთან
კარქა საქმოფს სიმიინდი — წვეტი, თეთრი
ალთუნი, ქრელი“ (მაჭ.); „წვეტი სიმი-
ინდი იმფო საქმოს აქა“ (იმ.).

წია-წია, წიპოლი-ა საბავშო სათამაშო;
მოთამაშეები ხელებს ერთმანეთის ხელებზე
დაადებენ და ერთად წარმოთქვამენ შემ-
დეგ ტექსტს: „წია-წია, წიპოლია, თასა
კუერცხი მიპოვნია, შიმიწუავს, შიმიჭამია,
პირზე მაცხია, მიხარია... ბლუუუ, ბლუუუ,
ბლუუუ...“ (ინ.). იტყვიან ამას და ხელებს
ერთმანეთში აურთვენ. არის ამ ტექსტის
ვარიანტიც: „წია-წია წიპოლია, კატას კუ-
ერცხი უპოვნია, შუუწუავს, შუუჭამია,
პირზე აცხია, უხარია“ (სტ.).

წიაპა-ი ძარღვიანი ყველი (ანდა ცომი).
„ეს ყველი ცხელ ძაღში რომე გადნება,
წიაპაი ხდება“ (თ.ქ.).

წიბორწყალი-ი ნაძვის კევი. „ჩუენ ტყე-
ფში წიბორწყალი ბევრია“ (იმ.).

წიდა ხმელი ნეხვი (პირუტყვისა). „წი-

დას რომ დევიწახვე, გამხმარი პური
მომგონდებო, უთქუამს აქედამ აჭარას
გათხვებულ ქალსა, აჭარას ჭად ჭამენ და,
მონატრებია პური ზავალს“ (იმ.). შდრ.
საბა (წიდა — 1. სიბილწე და ფინთი რამე;
2. რკინისა და ილყეროს ნაღნობი).

წივა ხმელი ნეხვი (პირუტყვისა). „ყარს,
არდაპანისკენ შემა არ არი, წივას წუნენ
ენჩული“ (იმ.). შდრ. საბა (წივა — ქელი
ნეხვი).

წივილა-ი ზურნის ნაწილი, სულის
ჩასაბერი. „წივილაი ღერწამიდამ კეთდება“
(იმ.).

წივილ-ი საქმლის სახელი. კეთდება
ნაღებითა და ახალი ყველით. ადუღებულ
ნაღებში ჩაყრიან ახალ ყველს, შვაგ-
რილებენ კერძსა და თბილ მჭადთან ერთად
მიიტანებენ სუფრაზე. „ყაემალ აადუღამ,
მუურევე ერბოში ყველ, წივილი გახდება“
(ტ.).

წითელა-ი სახადი დააყადება. „მაგან
წითელაი დეი ახლა, სიბერეში, მეიხადა“
(სტ.).

წითელ კვირას, ნამიან დილას ფიგ.
გამ. ოდესღაც, ოდესმე. იტყვიან ისეთ
რაიივებს, რომელიც სავჭვოა, სააღბათოა.
სიტყვის მასალად უმთავრესად გამოიყენე-
ბა დიალოგებში. „— ბათუმ როისნა
გამაგზავნო, შაჯი-ეფენდი? — წითელ
კვირას, ნამიან დილას!... ჯერ ძალი
მეიყუაი და წასლაზე მემრე იფიშმანე“
(ინ.).

წიკავ-ს ზიდავს, ეზიდება, გადააქვს-გა-
დმოაქვს. „ამით სიმიინდ წიკავთ?“ (იმ.).
წიკვა: „იმ წიკვაში იმფო გადღუაყურა“
(იმ.).

წიკარტა-ი წანვეტებული ცხვირის
მქონე პიროვნების მეტსახელი. „ერთი
წიკარტაი ქალი, რამ შაყუარა, არ ვიცი?“
(ინ.).

წილი-ი კუთვნილი, არჩივი. „ჩემი წილი
მე მომე და დანარჩენი შენი იყოს“ (ინ.).
შდრ. საბა (წილი — კერძი).

წიმიგველი-ან (მრ.რ. წამართმევენ, არ
შემარჩენენ). „წიმიგველიანო და არ ამ-
ღავენებს“ (იმ.).

წინაი კაც-ი თავკაცი, მოთავე. „სოფ-

ლის წინაი კაცები ჰუქუმათმა ყასაბაში ჩიყუანა“ (ინ.). იხ. წმარო, იმერს.

წინაგზობა-ი წინაჯერ, წინათ. „იმათ ვუთხარ წინაგზობაი“ (ინ.).

წინალამ წინა ლამეს. „წინალამ ჩუენ-თან მეჭუჭუქეთ ყულია ხისიშები“ (ინ.).

წინალამდულა წინა ლამის მსგავსად. „წინალამდულა არ დღინყოთ ლაპარკი და არ გამამერსოთ“ (ინ.).

წინდა-ქალაბანი-ი ქალამანი და წინდა. „ჩუენი ხალხი ისე მომკადარან, რომე წინდა-ქალაბანი ვერ გუუხდიან“ (სტ.).

წინდა-ქალაბნით შვაა ჯენნეთში ფიგ. გამ. ყოველგვარი ცერემონიის, გარჯის გარეშე შვაა სამოთხეში. „იმას იმდენი მაღლი აქ ნასაქში, რომე წინდა-ქალაბნით შვაა ჯენნეთში“ (სტ.).

წინდიველა-ი მატყლის წინდის ნამ-ველავე, ძველი წინდა. „წინდიველაით და ნაცით გავხანე გუგუში“ (ად.).

წინიებზე რამდენიმე დღის წინ, ერთი კვირის უკან. „წინიებზე ეველ იქ“ (ინ.); „წინიებზე მიველ ოქულში“ (ინ.).

წინიობაში წინა დღეებში. „წინიობაში ჩუენთან დაანერა მექოთები“ (ინ.).

წინწინ წინათ, უწინ. „წინწინ მაღამალ ნადიოდა შეპერში“ (თ.ქ.); „წინწინ გზები არ იყო“ (ბ.).

წინწილებ-ს წვეთობით მოდის, მოწვე-თავს. „ამ სიცხიებზე ეს წყალი წინწილეს და არი რაჰალეებით“ (ად.).

წინწინდულა წინანდებურად, ძველ-ებურად. „წინწინდულა ავათ გახდა, ადნი იმფრა ტუენულოფს ყულამფერ“ (ინ.).

წინწკალი-ი ნაპერწკალი, ნაკვერჩხალი, დარდი. „წინწკალი ჩიმიგლო ფუშში მაგი-სმა დერმა“ (ინ.) შდრ. საბა (წინწკალი — ნაბერწყალთ ნაწილი).

წინწკალა-ი წინწკლებიანი ჩითი. „წინ-წკალაი ჩითი უულია საპერანგეთ“ (ინ.).

წირეხ-ი დაგრეხილი წნელი. „ჯილდა წირეხით გამეიბმება ულელზე“ (მაჭ.).

წილაკა-ი წვრილი, პატარა ზომისა (რისიმე ნაყოფი, ბავშვი). „წილაკაი, ლო-რი, რამდენ პალშია ერთი!“ (სტ.); „წრე-ვლი წილაკაი ვაშლები ესხა“ (მეზ.).

წირიხტა ერთგვარი ნამცხვარი. „ხან-

დებან წირიხტაც გუეეწება“ (სტ.). შდრ. საბა (წირიხტა — კვერცხით მოზეულილი ერბოში მოხრაკული შური).

წისქვილჯი მენსქვილე. „ხალხ ნობე-თში შეიყუანდა წისქვილჯი“ (ინ.).

წისქვილობა 1. წისქვილში სიმიდის, ხორბლის და მისთ. დაფუქვევა; 2. ფქვილი, ადამიანისა და პირუტყვის მთავარი სა-კვები (მარცვლეულის ფქვილი, ლერდილი). „ჩემი ანაი ეტყოდა ბაბოსა: — ბეროო, დეგველია წისქვილობა, ხარებისთინ აღარ გუაქ ცემი, ძროხებისთინ ქეფეგი (ქეტო), ვირისთინ ქერიო“ (ინ.); „წისქვილობა დეგველია, ერთი ბადაი ფქვილი გავსეს-ხევით?“ (თ.ქ.); „წისქვილობა გუაქ დღეს“ (ბახ.).

წიტ-ი მუნუცი. „ამ ბაღესა წიტები გამუუჩინდა ბუსირა“ (სტ.). შდრ. საბა (წიტ).

წიფობა-ი მეთუ თვე (ოქტომბერი). „წიფობაი წრეველი თიბილი თუე იყო“ (მაჭ.).

წინიბ-ი ნაძვის კვეი. „ნაზვი ხესა ესმება წინიბი“ (იმ.); „უგუუცხოწონელ კვესა წინიბი ქეია“ (იმ.). შდრ. საბა (წინიბი წიფლის ხილი).

წინილ-ი ტანსაცმლის ნაკერში ჩაყენ-ბული (ჩამატებული) სამკუთხედის ფორმის ნაჭერი სიგანის მისაცემად. „პერანგ წინი-ლები მივე დანებში, ჩითი ცალგანაი, მინრო იყო“ (სტ.).

წინიწობ-ს ციბრუტივით ტრიალებს, ბრუნავს. „წინიწობს ასანაი, უხარია ქა-ლი“ (ინ.). წინწი-ი: „დღინყო ხერტალმა წინიწი“ (ინ.).

წინმატობ-ს თავი მოსწონს, კეკლუ-ცობს. „პალა წინმატობს შუახანის ქალი გელინივით“ (სტ.).

წინმატი-ი გარეული მხალეული, ბალა-ხი. „წინმატი ყანეფში ამუა“ (იმ.).

წინაკაი ლელვი-ი ლელვის სახეობა. „ლელვი ვიციო ზამბარაი, ფათლიჯანი ლელვი, ლოფიჯირი ლელვი, თეთრი ლე-ლვი, წინაკაი ლელვი“ (მ.).

წინკ-ი წუნია, აზიზი, უკადრისა, საჭ-მლის გამორჩევით მჭამელი. „მაჭვერი წინკი რომე ხარ, ძლობაში შეერი დარჩე-

ბი" (სტ.).

წინა მცირე რამ, უმცირესი, ციცქნა. „ამასა ერთი წინა ცხელი წყალი დაასხი“ (იმ.).

წინის-ს სუფთად, ფაქიზად, საქმის ცოდნით აკეთებს რაიმეს (ქსოვს, ქარგავს, წერს...) „შეხედე ერთი, ჩუნი ციცაი რაფერ წინის წინდასა“ (ინ.).

წკანტ-ი რძის წვეთი. „ჩემ რეპანას წკანტსაც ველარ გააგდებოდე, ისე გაშრა“ (ბახ.). შდრ. საბა (წკნტი — რძე წყვეტი მდენი).

წკანტავ-ს წვეთ-წვეთობით ინველება. „ჩემი მისაი მაკეა, ჰამა პანანას წკანტავს ჯერ“ (თ.ქ.).

წკაპ-ი მწერი, რიგი. „ერთი წკაპი თუთუნი ძაფი ჩუბამს ისკელემი“ (ად.).

წკიპილ-ი ბალახი, გამოიყენება მზლად. „წკიპილი ერთი სოდ ბალახია, იჭმება“ (მ.).

წკიპარტი-ი წკიპურტი. „ბაღვები ისე გაზარდა, რომე ერთი წკიპარტი არ დუუკრავს“ (სტ.). შდრ. საბა (წკიპარტი — თითის კვრა).

წკნელი-ი წნელი. „ფენა წკნელებ დაე-ქნით წყავითა“ (იმ.). შდრ. საბა (წნელი — ღელეჭტი მოუგრგობი).

წკუმპლი-ი უსუფთაო წყლის (ჭუჭყიანი) წვეთი. „ხელებიდან ბაყლიანი წკუმპლები დიოდა“ (ინ.); „წკუმპლები არ ჩანეთო თენჯერაში და არ დანუმო საჭმელი“ (ბახ.).

წკუმპლავ-ს წკუმპლებს (ჭუჭყიანი წყლის წვეთებს) აწვეთებს სუფთა სითხეში, საჭმელში. „ბაღვი მისულა და გუგუმის წყალ წკუმპლავს“ (სტ.).

წმაქე მუავე, მკვახე, მწკარტი. „ნამე-ტარი წმაქე გამოსულა შენი წონოქაი“ (ინ.).

წმაქუნ-ი ტურების წკლაპუნი. „წმაქუნი იცის ბევრი ჭამიხან“ (სტ.).

წმინდა ბულდა საუკეთესო ჯიშის ხორბალი. „წმინდა ბულდას დათესვენ კარგ დერბზე“ (იმ.).

წმურტი-ი წვრილი და მოხრილი სა-განი. „იბრილსა წმურტი პირი აქ“ (იმ.).

წმუტი-ი თავმოწონე, კკლუცი, პრა-ნჭია. „წმუტიაი პრატი, ასნიე, დასნიე, ეს

არი!“ (ინ.).

წმუტვა კკლუცობა, პრანჭვა, თავმო-წონება. „ბევრი წმუტვა ნუ იცი!“ (ინ.).

წო ტყემლის სანებელი, მუავე კრძი. „წო ჩუნეაც ვიცი, იმფოსერთი ზფხულ-ში“ (ბახ.).

წოვა-ი ნადული. „შრატადამ გამუა წოვაი“ (მ.); „ყურუთი გაკდება გამყარი წოვაი“ (იმ.); „ჭუკი რომ მოდულდება, იმიდამ წოვა გაკეთდება“ (იმ.).

წონწორიქა-ი მალალი, ტანადი, აშო-ლტილი. „ყოჯა წონწორიქა გამზდარა ციცაი“ (ინ.).

წონწონი-ი წეროს წევა (სოკო). „ამ ტყეფში წონწონიეც ინახება“ (ად.). შდრ. საბა (წეროს-წევა სოკო ერთი).

წონწი-ი უსაქმურად ყოფნა, უსაქმე-რად მისვლა-მოსვლა. „წონწი უყუარს მეზობლებში“ (ინ.). შდრ. საბა (წონწინება — წონწობი).

წონწაქა-ი სწორი რქა; სწორად აღმა-რთული რქა. „გელებ ცხირში დეუპეჭე წონწაქაი შენი ქიები“ (პილ.).

წონწარ-ი ოწინარი. „ძელის სახლსა წონწარის დუუდევს და ნამონის ზებუ“ (ად.); „ფამალმა ქარმა რამე მოგლიჯა, წონწარით ააყენეს“ (ად.). შდრ. საბა (წონწარის — ძელი შემზადებული ადვი-ლად დიდთა ქვათა ასალებულად და მალსა ოსტატისა თანა მისატანად).

წონწოლა-ი 1. ჭარხლის ფოთლების მზლის კრძი, შეზავებული ტყემლის წე-ვით, ქინძითა და ნივრით; 2. მოგრძო ფორმის რაიმე ნაყოფი ან ნივთი. „ჭარხლი ტანით წონწოლას გაეკეთათ“ (პილ.); „თმა შეიპარსა და გამოჩინდა წონწოლაი თავი“ (ინ.).

წონწოლა-ი ვაშლი-ი ვაშლის ჯიში. „წონწოლაი ვაშლი გამოსულამდი ზლევს, უთევს“ (ინ.).

წონწონა-ი ტყემლის სანებელი. „წონწ-ონა თბილ ჭადთან მიყუარს“ (ხ.ფ.).

წონწოქა-ი ტყემლის სანებელი. „წონწ-ოქაი შუშის ყანაოზებში მაქ შენახული“ (ინ.). შდრ. საბა (წონწოქა — ქელის მუავის გამონანური).

წრეკლიწრეკ წლუელს, ამ წელიწად-

მი. „წრევ არ დატიოთ ოქულში?“ (ინ.); „წრევ ჩუენი წასლა შუფელია“ (ინ.); „წრევლ სამასი ყუდ მოვთხარევი ყართოფისა“ (ინ.).

წრევანდლოლმა წლევანდელი წლის განმავლობაში. „წრევანდლოლმა ამ მასაორთ ვქსოვ და ძვილიი გავთექმილე“ (ინ.).

წრიმალ-ი ნაწლავი. „რაცხამ მომზეირა და წრიმალები დიმიგრინა“ (ინ.).

წუა ტყემლის სანებელი. „ხორცთან წუაი მულტაი, იმფო იშტაპი მუა“ (ად.). შდრ. საბა (წუა — ნედლი მტაევის გამოწანწური).

წუწუე-ი ბუზლუნი, საყვედურით ლაპარაკი. „აღარ მოლია წუწუეი“ (ინ.).

წუწუეკებ-ს ბუზლუნებს, საყვედურით ლაპარაკობს. „წუწუეკებს და წუწუეკებს დურმაჰალ, რაზ ვერ გახდი“ (სტ.).

წულ-ი შვილი (ასული, ძე). „ესა ჩემ დაიას წულაი, დისწულა“ (ბახ.). შდრ. საბა (წული — ვაჟი).

წუმპ-ი ჭურჭლის ნარეცხი წყალი; პირუტყვის საჭმელი. „წუმპი მივართვი მენწულესაც და უგესაც“ (იმ.). შდრ. საბა (წუმპე).

წუმპავ-ს სუფთა წყალს ან საჭმელს ბილწავს, აჭუჭყიანებს. „კარდალში ძეს წუმპავს ბალვი!“ (მ.).

წუნკერ-ი ვულგ. ანჩხლი, მიზეზიანი, ინტრიგანი. „ფენა წუნკერი ქალი დარჩა“ (მ.).

წუნწკლ-ი ვულგ. წეთი; ჭუჭყიანი წეთი. „ბაყლიანი წუნწკლები, ოფლები ჩამოდინდა“ (სტ.); შდრ. საბა (წუნწკლი — წეთით ნაწეთი).

წუნწუბა გოგირდი. „დიგინთობ წუნწუბისა ცეცხლსა“ (სტ.).

წუნწუხ-ი შარდისა და განავლის ნაწური წენი. „თის ახორის წუნწუხი ბოსტანში ყარშიბერ მიშვებულია“ (იმ.). შდრ. საბა (წუნწუხი — განაწური ღნიოში).

წურვილ-ი მხალეულის კერძი (მოხარული გარეული მხალი ერბოში მოთუშული). „წურვილიც ვიციით, ცხელ ჭადის ერთათ ვჭამთ“ (პ.).

წუთითიებ-ს მიანიშნებს, მიუთითებს.

„ბახალომ, ვის წუთითიებს“ (სტ.); „იარა, იარა და ჩემვ წუთითია“ (ინ.).

წუთუკაიებ-ს პატარა, უმნიშვნელო საჩუქრით ნაახალისებს, გაახარებს. „ავატყოვ ნენეს ყუელთინ წუთუკაიებს რაცხას“ (ინ.).

წუთუპლაკუნებ-ს ვულგ. წაარტყამს თავში. „გეიარს-გამეიარს, წუთუპლაკუნებს ხაპერში ბალვს“ (ინ.).

წუთუფდება შესცივდება, წაყინავს. „თოვლში მალე წუთუფდება ხელ-ფეხი და ბელქიდა წააძრავს“ (ინ.).

წუთუტაქსუნებ-ს ვულგ. წაარტყამს თავში. „ყუელა დღეს წუთუტაქსუნებს ხაპერში ბალვს, დღუჟნია ჭკუა“ (ინ.).

წუთუტევებ-ს ვულგ. საგინებელი სიტყვებით მიმართავს. „მამა-შვილი წუთუტევებენ ყუელ დღეი“ (ად.).

წუნწანი-ი ჭუჭყიანი, ბინძური. „წუნწანი ბერ-დღედაბერი დამედარან კერი ძირში“ (მ.). შდრ. საბა (წუნწი — კმელი წირბლი).

წუნწუნ-ი გულით ტირილი, გულამოსკვნით ტირილი. „შამოვდა და დეიწყო წუნწუნი, აქაფქაფდა და აქაფქაფდა, აღარ წაყურდა“ (ინ.). შდრ. საბა (წუნწუნი — უნდლომ ტირილი).

წყალა ბალი ბლის ჯიში. „ესა წყალა ბალია, რამეთ არ იქს“ (მ.).

წყალავ-ს რწყავს. „ხორთუმით წყალავს არსას, ყავალები გეიზარდოსვო“ (თ.ქ.).

წყაროზილა-ი მსხლის ჯიში. „წყაროზილაი გერმელი სხალია“ (ბახ.).

წყენულობ-ს სწყინს; ვერ ინელებს. „რატომ წყენულობს ნეტაი?“ (პ.); „არ წყენულობენქ გო, შარაბი?“ (პ.).

წყელეპ-ი წკეპლი. „ჩალასა წყერის წყლებით, ნაზვის ტალით შვეკონავთ“ (იმ.). შდრ. საბა (წკეპლი — წერილი ჯოხი).

წყელეპ-ი ფიგურის, სახის, ნახიშის სახელი. „ყაზალის ჭრელებათ წყელეპებ აძლევდენ“ (პ.).

წყვიტა ვულგ. გაარტყა, სილა გააწანა. „იმხელაზე წყვიტა ყურიძირში, რომე გააგორვა ძირში“ (სტ.).

წყილის ყვერავ-ი რწყილის მყვერავი

გად. მნ. უსაქმური, არაფრის გამკეთებელი; ფუჭად, უმედვგოდ მშრომელი. „ცარიელი წყილის ყურავია, თემბელი!“ (სტ.); „წყილი ყურავის ხებერი გითხრა?“ (ინ.).
წყლის დაქცევა ევფ. მოშარდვა. „წყლის დაქცევა მუუნდა და არაბაი დააყენებია“ (ბახ.).

წყლის დაძინება წყლის დინების შეჩერება. „დიდუნები იტყვიან, რომე წყლის დაძინებაც არი ამ დუნაზუო“ (სტ.).
წყლის ფერ-ი წყლის ფერია. „წყლის ფერი ლელუმი დიდ ქეაზე დამქდარიყო და ნარიიჯ თმებ იმწნიდა“. (სტ.).

ჭ

ჭადა-ი სოკოს სახეობა (მჭადა — სოკო). „ამთიიფეში ჭადაი იცის“ (თ.ქ.).

ჭადი გამჩენ ფიცილის ფორმულა. „ჭადი გამჩენ, არნა გიგიშვა ამელამ!“ (ად.).

ჭადი დაკრა მჭადის ცომის ჩაკერა კეცში გამოსაცხობად. „ჭადი დაკრა დიმი-გვიანდა“ (ად.).

ჭადი მადმა (მჭადის მადლმა) ფიცილის ფორმულა. „ჭადი მადმა, ეჭამეთ გემოზე“ (თ.ქ.).

ჭადი მოზელა სიმინდის ფქვილის ცომის მოზელა. „ჭადი მოზელასაც მისი მარიფეთი აქ“ (ად.).

ჭადი სარე ყვითელი მჭადის ფერი. „ჭადი სარე ლამაზი რენგია“ (იმ.). იხ. სარე.

ჭადობაი|ჭადა-ი ხაპ-ი ეკახის ჯიში (რბილკანიანი ჯიში). „ჭადობაი თეთრიც არი და შავიც“ (პ.).

ჭაველიკა-ი თითისტარის დასატრიალებლად განკუთვნილი პატარა ზომის ხის ჯამი. „ჭაველიკაი მაჩუქვა მოხარატებული“ (ად.).

ჭაკატურა (რუს.) ბათქაში. „ბაღდადეგს ჭაკატურას გუუქეთებთ (ბ.).

ჭაკვა-ი ცაცია, მარცხენა ხელით მომუშავე. „ჭაკვას დახედე ერთი! მარცხენაით წერავს“ (ინ.).

ჭაკვა მარცხენა. „ჭაკვა კუთხე ნოვ-დოთ“ (მაჭ.).

ჭაკუნ-ი ჩაკუნი, რაიმეს თლის დროს ცულის, წალდის, დანის და მისთ. ცემის ხმა. „წალდის ჭაკუნი გუქსმოდა“ (ად.).

ჭაკუნტალა-ი პატარა, წვრილი ტანის,

ზომის მქონე. „პანაი ჭაკუნტალაი, მაგა რათ უნდა ქალი!“ (ინ.). შდრ. საბა (ჭაკუნტალი — ტყბილი ჩახხალი).

ჭალა 1. წყლის პირას მდებარე დაბლობი ადგილი; 2. სათიბი. „ესა ჭალათ მაქ მოლობელი“ (თ.ქ.).

ჭალია-ი ვაშლის ჯიში. „ჭალიაი ერთითული ლოყაყირმიზაი ვაშლია“ (ინ.).

ჭალიკოდურეზი (მრ.რ.) ჭალის ირგვლივ მდებარე მდელოები. „ჭალიკოდურეზზე ნავაზუე ხარები (იმ.); „ჭალიკოდურეზზე აშუა ფამფარაი“ (იმ.).

ჭალიწალა-ი კალია. „ჭალიწალაი წრიბინობს ბალახებში“ (ინ.). ჭალიქვა 1. ქვასანაყი, ჯამის ქვა; 2. გულცივი, გულგრილი ადამიანი. „ჭალიქვასავეთ გდია ლოგინში“ (ინ.).

ჭალობა თიბვის პერიოდი. „ჭალობა არი ორალაში, მანგლის თუეში“ (იმ.).

ჭალობხან თიბვის პერიოდში. „შარ-შან ჭალობხან აქ იყო ჩემი ბაკალა“ (იმ.).

ჭან-ი სქესობრივად სუსტი, დაკოდილი. „ეს მოზვერი ბულათ არ გამოდგება, ჭანია“ (ინ.).

ჭანდარ-ი ჭადარი. „ჭანდარი მაღალი იზდება“ (იმ.). შდრ. საბა (ჭანდარი — ხე).

ჭანკოდილა-ი პატარა ტანის, სქესობრივად მოუმწიფებელი მამაკაცი. „შაქირას ემიაი ერთი ჭანკოდილია დედეი იყო, ასე მახსოვს“, (სტ.).

ჭანჭლეზი (მრ. რ.) მამაკაცის სათესლე ჯირკვლები. „ჭანჭლეზი ტყვილითვინ ნო-ახურის თესლია კაი“ (მ.). შდრ. საბა (ჭანჭალი — ყვერთ ძარღვი კაკალი).

ჭანჭრობა-ი ნყლიანი მდელი. „ლევი პირში რომე ჭანჭრობია, იქ აჟუბდა“ (მ.). შდრ. საბა (ჭანჭრობი — კორდი ნყლიანი).

ჭანჭყაბურა-ი სამკურნალო მცენარე (ბუჩქოვანი), მაჯალვერი, ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ჭიის სამკურნალოდ (ფოთლების ხახარში). „ჭანჭყაბურასი ნუენი ვასვი და მუარჩინე“ (ინ.).

ჭანჭყალი-ი ყვირილი, ანჩხლობა. „ამდონი ჭანჭყალი რავარ არ მეენყინა მაგ ქალსა?“ (სტ.). შდრ. საბა (ჭანჭყალი — ნაკლული ჭურჭლის ტმა).

ჭარბადელო ბალახი, გამოიყენება მხლად, იზრდება მთის ჭალებში. „ჭარბადელო ვიციო აქევრობაში, ფხლი შორვას გავაკეთებთ, ჯავეს გავაკეთებთ მითა“ (იმ.). შდრ. საბა (ჭარბატელა — ბალახი).

ჭარტალი ლაყბობა, ჭორიკნობა, ლაქლაქი. „ქალებსა ნუ გიყუარან მაგდენი ჭარტალი“ (სტ.). შდრ. საბა (ჭარტალი — სომხურია, მრავლისმეტყველს კაცს ჰქვიან).

ჭარჭყალი-ი უმიზნო, ზერელე, ხმამალალი ლაპარაკი, ლაყბობა. „ღარ მოლიეს მაგ ჭარჭყალი?“ (სტ.).

ჭარჭყალა-ი ხმამალა მოლაპარაკე, ანჩხლი ჭუნების ადამიანის უპითეტი. „ღარ გაცდა ეს ჭარჭყალა ბერი!“ (სტ.).

ჭარხლი მკლავი-ი ბალახი, მხლად გამოიყენება. „ჭარხლი მკლავი შორვა მოსაფირსა რაფერ მივართვა?“ (იმ.). შდრ. საბა (ჭარხლის მკლავი — ბალახი).

ჭატი-ი 1. მოკლე, პატარა ყური. ადამიანის ყური. „ჭატი ყური რას გეიგონე?“ (ინ.). 2. მეტსახელი კაცისა. „ჩუენი ჭატიც იქ ყოფილა“ (ინ.).

ჭალი-ი საქოვი ჩხირები. „ჭალები ჩარში ევლე ეფვი ივვათ“ (ინ.).

ჭაყჭაყი ხმამალალი, უშვერი ლაპარაკი „ატება მისებური ჭაყჭაყი, ყურები გამოგვიჭერუა“ (ინ.).

ჭაყჭაყი მოლაყბე, ლაქლაქა. „სხუაფერი ჭაყჭაყი ჯინსი აქუან მაგათა“ (სტ.).

ჭაშა შუბლი. „გეიქნია ჯოხი და გუუნაჭა ჭაშაზე“ (ად.). შდრ. საბა (ჭაშა — შუბლს ზეით თავის ძვალი).

ჭაჭვი პეშვი, მუჭი, ხელის გული

თითებით. „იმფერი ეთეგი მქონდა იფეგისა, რომე ჭაჭვი ჩეგტეოდა“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ჭაჭვი — პეშვი).

ჭახატა თაკარა, ერთმანეთზე შემონყობილი, ზომიერად დალაგებული საგნების სიმრავლე. „გუუკეთებია შეშის ჭახატა“ (იმ.).

ჭახრაკი-ი სართავი დაზგა, დანადგარი. „ჭახრაკ-ჭახრაკ სთიო, ნართი დამისთიო, დედათილის საპერანგევე, ოხრათ დამირჩიო“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ჭახრაკი — სართავი საბრუნავი).

ჭახე მკვახე, უმნიფარი, მუავე. „ესა ჭახე ვაშლია“ (მ.).

ჭახე დო მუავე დო. „სიცხეში ჭახე დოს ესუემდით“ (იმ.).

ჭახე სიტყვა მკვახე სიტყვა, დაუფიქრებელი სიტყვა. „იმის ჭახე სიტყვებმა ზაათი გიმინხრია გულის კაკალი“ (სტ.).

ჭახე ნათქვამი უქმები, მკვახე ნათქვამი. „იმა ბელქიდა დაავინყდა მისი ჭახე ნათქვამები, ჰამა მე არ დამეინყებია, მიწაში ჩემ ძვლებსაც არ დაავინყდება პერალდა“ (სტ.).

ჭელი-ი მჭელი; პურის ან ჩალის წყება, შესაკონნავად გამზადებული. „სმინდ რომ მოჭერიო, ჭელივბათ დავანყობთ ყანაში“. შდრ. საბა (მჭელეული).

ჭენჭი ცხიმი. „ბიში ტენუა დუმის ჭენჭში“ (ინ.). შდრ. საბა (ჭენჭი არს ცხიმი მწვადთა მწვეთარობისაგან).

ჭერი-ი გაუთლელი წერილი ბოძი, რომელც გამოიყენება ღობის გასაკეთებლად, სასმინდის, საქათმის და მისთანათა იატაკის დასაგებად. „ღობის ჭერი ჩამუარდნილა“ (მ.).

ჭერემაი 1. ფერად-ფერადი სახეებით მოჩითული ქსოვილი; 2. თვალჭერელა ადამიანი. „ჭერემაი ჩითი უუღია ეთეგისთინ“ (ინ.); „ჭერემაი თუალები ქონია“ (ინ.).

ჭერის ღობიო სარის ღობიო. „წრეველი ჭერის ღობიო მქონდა ასი ხაშარი“ (იმ.).

ჭერში ძია-ი! ეელში ლუქმის შერერების, დადგომის დროს ბავშვს შეუძახებენ ამ სიტყვებით, რომ მაღლა აიხედოს, ჭერს შეხედოს, რათა ლუქმა ადვილად ჩასრია-

ლდეს, ჩაცურდეს საყლაპავ მილში. „ჭერში ძიაი! ჭერში ძიაი!“ — ეუბნებიან და თანაც ზურგში ურტყამენ ხელს.

ჭელ-ი შარდისა და განავლის ნარევი. „ამაში ინცრევა ნეხვი, ჭელი“ (მ.).

ჭეჭელა-ი ფერადფერადი, ჭრელ-ჭრელი, ნაირ-ნაირი. „ჭეჭელაი ნინდები დაქსუა ბაქალამ“ (იმ.).

ჭეჭყა-ი იხ. ჭეჭელაი. „ჭეჭყაი კაბა ჩუეცმია ციცასა და ქიბროფს“ (ინ.).

ჭეჭელა ტატა-ი საჭმლის სახელი, ბექექშმოსხმული მანონი. „ჭეჭელა ტატაი საჭმლი სახელია, ჩუნენა ვიცით“ (იმ.).

ჭვანვი ჭიბონი და თიკნის დავლი-ი ფიგ-გამ. არაფრის მოძევი, არაფრის მომტანი, არარა. „ილაპარიკეს, ილაპარიკეს და რამე ვერ გადანეციტეს, ჭვანის ჭიბონი და თიკნის დავლი!“ (სტ.).

ჭვანვი ფრჩხილი, ბრჭყალი. „ერთსა ჭვანვი ჩამოკრა მეგემ“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ჭვანვი).

ჭვირთ-ი ტვირთი. „კარის არაბასა დოუდგა ჭვირთი“ (იმ.).

ჭვირთული-ი დატვირთული, ტვირთიანი. „ადის ჭვირთული, ჩადის ცარიელი“ (სტ.). გამოცანა-კოვზი.

ჭიანჭურ-ი ჭანჭური. „ჭანჭურიც ბევრია: ტყუბაი, დოფოფალი, ოჭური, დამასხი, ტყემალი, კატიყურაი, შავი ქლიავი“ (მ.).

ჭია-ჭუა წერილი ჭია. „ჭია-ჭუავ, თავი ამოყე, დედო ჭიავ, თავი ჩაყე“... (თ.ქ.). შელოცვა-მკურნალობა კანის ჭიის აჭრის დროს. იხ. ჭიის აჭრა. შდრ. საბა (ჭია-ჭუა — ბევრ რიგი ჭია).

ჭიახერხი-ი წერილი ხერხი. „მეიტაი ჭიახერხი და გადახვი იმით, დიდი ხერხი არ იხმარო“ (ინ.).

ჭიბონი-ი ქართული ხალხური ჩასაბერი საკრავიერი ინსტრუმენტი, გუდასტვირის სახეობა, რომელიც გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. შდრ. საბა (ჭიბონი — გუდასტვირი) „დედეს მემლექეთილამ გამოტანილი ჭიბონი ქონდა და უკრედა“ (ინ.).

ჭიბონჯი-ი მეჭიბონე, ჭიბონზე დამკერელი. ჭიბონის მკეთებელი. „ჩემი დედე

ძალიან ჭიბონჯი იყო“ (ად.).

ჭიბოშანი-ი ქლიბი. „ჭიბოშნით ძვილაი გავფიკე ზედაი კუთზე“ (ინ.); „ხებას დაედეე ჭიბოშანი“ შდრ. საბა (ჭიბოშანი — ძვალსაფხვი ქლიბივით).

ჭიის აჭრა კანის ჭიის მკურნალობა. კანის ჭიით დაავადების შემთხვევაში (ჩნდება უმთავრესად სახეზე, მხრის თავების გასწვრივ და მკერდზე) ტარდება ასეთი სახის მკურნალობა: ბუხრის ჭვარტლით და დანაყილი ნივრით მზადდება ცომის მსგავსი ნივთიერება. ამ ნივთიერებას ხელის გულით უსმევენ ჭიით მოსალოდნელი დაავადების ადგილებზე. რამდენიმე წუთის წრიული მოძრაობით შეაბრუნებენ კანს. შემდეგ სამართებელს დაუსვამენ ამ ადგილს და თან შეულოცავენ: „ჭია-ჭუავ, თავი ამოყე, დედო ჭიავ, თავი ჩაყე!“ ასე იმეორებენ სამჯერ ან შვიდეჯერ კანის მოცემულ მონაკვეთზე სამართებლის პირის დასმისას. სამართებლის პირით თავს აჭრიან თვალთ უხილავ ჭიებს. ჭიის აჭრა ტარდება მთვარის პირველ მეოთხედში. ასეთ მეთოდს იყენებენ ხალხურ კოსმეტიკაში დახელოვნებულნიც ფერისმჭამელებთან ბრძოლის დროს. „ამას ჭიის აჭრა უნდა, მანაკები დუყურია, ხედავ?“ (ინ.); „ჭიის აჭრა ჩემ ნენემ იცოდა ახალ თუარებზე, თუარე აღმაზე“ (თ.ქ.).

ჭიკორკალი-ი წერილი, პატარა ზომის ნაყოფი ხილისა. „წრევილი ბეერი ესხა, პამა ჭიკორკალი“ (ად.).

ჭილი-ი ჭაობის ბალახი. „ტბასა ზეილამ მოლი, ჭილი მეედა“ (მ.); „ჭილო ბალახი წყლიან გერზე მუა“ (ინ.). შდრ. საბა (ჭილი — ბალ.).

ჭილყვა-ი გად. მწ. წერილშვილი, ბავშვები (სიტყვას აქვს კრებითი სახელის გაგება). „ბითევი ჭილყვაი ამუხასხა თაზე“ (იმ.). შდრ. საბა (ჭილყვაი — შავი ყვავი).

ჭიმუნი-ი ჭიბონი. „ჭიმუნით, მუზიკით წვედოლით მარიობაზე“ (იმ.). შდრ. საბა (ჭიმონი — გუდასტვირი).

ჭიმური-ი ერბოთი და ნადულით შეზავებული ცხელი მჭადის გული. „ჭიმური ახლაც ვიცით, ვაკეთებთ ხანდებან“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ჭიმური — ესე არს პური

დაფხენილი, გინა ბრინჯი, ან სხვა მარცვალნი მგბარი, ერბოსა ანუ ზეთში მოხრაკული).

ჭიმჭიმი-ი თვალებით სიცილი, თვალეზის ციმციმი. „დუუნყო გოგუებსა ჭიმჭიმი“ (სტ.).

ჭიმჭიმა-ი მეტად ჭრელი, წვრილი და ხშირი ფერადფერადი ფიგურებით მოჩითული ქსოვილი. „უულია ჭიმჭიმაი ყუმაში“ (სტ.). შდრ. საბა (ჭიმჭიმი — წვრილად ჭრელი).

ჭინჭვალ-ი 1. შემოუსვლეელი, ნორჩი ხილი, სიმინდი, ბოსტნეული (გორა, კიტრი, ნესვი, ლობიო); 2. თუაქის სინათლე, შუქი. „ჯერ ჭინჭვალი არ აქ ლობიოს“ (თ.ქ.); „პალა ჭინჭვალიც არ გამუღლია კიტრსა“ (ად.); „ჭინჭვალი აღარ აქ დედეს თულღებში, ბითყევი დაქორდა“ (სტ.).

ჭინჭილა თიხის პატარა ზომის ჭურჭელი. „სარძეში გუაქ ჭინჭილა“ (იმ.). შდრ. საბა (ჭინჭილა — მცირე საღვინე კეცისა).

ჭინჭორა-ი 1. მეტად ჭრელი ქსოვილი; 2. ჭრელი ბუმბულის მქონე ქათამი. „წრეელი ჭინჭორაი ჭუჭულები გამუღუშვა კროხმა“ (თ.ქ.); „ჭინჭორაი ეთევი შუუქურავს გელისა“ (თ.ქ.).

ჭინჭრიხ-ი ცხიმის წვის, დნობის ხმა. „ტაფაზე დეინყო დუმაჲ ჭინჭრიხი“ (ად.).

ჭინჭრიხა-ი ერბო-კვერცხი. „გუუკეთეზა ჭინჭრიხაი და ჭამს მარტუაი“ (სტ.).

ჭინჭყლი 1. თოვლჭყაპიანი ამინდი; 2. გად. მწ. ანჩხლი ბუნების, ჩხუბის, დავის წამომწყები ადამიანი. „მარტი ჭინჭყლი თუეა“ (სტ.); „ჭინჭყლი ტაროსები აღარ მოლია ამ მარტმა წრეელი“ (ან.); „ჭინჭყლი ბღვია ძალიან, ბელალი“ (სტ.). შდრ. საბა (ჭინჭყლი).

ჭიპ-ი (გარდა ძირითადი მნიშვნელობისა) კიტრის ან კვახის შემოუსვლეელი, მეტად ნორჩი ნაყოფი. იხ. ჭინჭვალი. „კიტრ გამოჩენია ჭიპები“ (თ.ქ.).

ჭიპზე შეება ფიგ-გამ. აღარ მოსციოდა, მიენება, თან დაპყვა. „ჭიპზე შეება დედამის, აღარ გუუშვა“ (თ.ქ.).

ჭიპზე გარჩევა ფიგ-გამ. გაბრაზება, განრისხება, გულზე გასკდომა. „ამფერ უბრალო რამეზე რათ უნდა მაგდენი ჭიპზე

გარჩევა?“ (სტ.).

ჭიპლაკა-ი პატარა ზომის რისამე ნაყოფი (სიმინდის ტარო, ხილი). „წრეელი ჭიპლაკაი ვაშლები ება ამ ხესა“ (ად.).

ჭიპის მიჭრა ფიგ-გამ. მოუცილებლობა, დაკანონება, ჩაყინება, განუშორებლობა. „შენზე ხომ არ მაქ ჭიპი მიჭირლი?! ვინცას მინდა, იმა შევხედავ“ (სტ.).

ჭიპის სახელი-ი ბავშვობის სახელი, პირველი სახელი (სამინაო სახელი). „იმის ჭიპის სახელი იყო რეჯები, პუქუმათმა სხუა დაარქუა“ (მაქ.).

ჭიპი ჩავარდნა ჭიპის ტყვილი. „ძიმე შემა ანა ანსიო, ჭიპი ჩავარდნა იცის“ (თ.ქ.).

ჭიპრავ-ს მძიმე საგანს ეზიდება, სწევს მალა. „იმ ჭვირთებ მარტუაი რაფერ ჭიპრავს?“ (თ.ქ.).

ჭიპჭიპი ეულგ. გაუთავებელი ლაპარაკი, ჭიპლაკა. „მაგას უყუარს ბრეელი ჭიპჭიპი“ (ფათ.). შდრ. საბა (ჭიპჭიპი).

ჭირება ჭინთვა. „ცარიელია ჭირებაში დუუნყდა წელები, რაცხამ მოზეირა ისეგავ“ (ინ.).

ჭირი მოჭამა ფიგ-გამ. შეეხვენა, შეევედრა, მუხლი მოუყარა, ქედი მოუხარა. „ტყვილია იმდონი ჭირი მოჭამა, მაიც არ გუუწყო ხელი“ (ინ.).

ჭიტი აღარ აქნევი-ა ფიგ-გამ. გარეთ აღარ გამოახედვინა, გარეთ გამოხვლა აუკრძალა. „იმაზე გააჭრტიდა და ქალსა ჭიტი აღარ აქნევია გარეთ“ (სტ.).

ჭიტი-კუკუ კუკუმლობანა (საბავშვო თამაში). „ბაღვობაში ჭიტი-კუკუ აბა არ მითამაშია?“ (ინ.).

ჭიტინა-ი ჭუჭრულანა, ვინრო ხვრელი. „თავი ჭიტინაში ვერ მიეტეოდა და კუღზე კომი მიბაო, იტყოდა დედვი, იმვერია ესაც“ (თ.ქ.). იხ. მარი, იმერხ. შდრ. საბა (ჯვრიტინა — მცირე სასინათლო).

ჭიტინ-ი მალულად ცქერა, ჭუჭრულანიდან ყურება. „ქალებმა დეინყეს კარიძირებოდამ ჭიტინი“ (ად.).

ჭიღვი-ი კიტრის, გოგრის, ნესვის ძალიან ქორფა, ახლადგამოღებული ნაყოფი. „სიცხემ მოხარმა ყუელამფერი, ჭიღვი დაყრევია ხაპებ, კიტრებ“ (თ.ქ.). შდრ.

საბა (ჭილვი — ფრინველის ნინა მკარი).

ჭილვიკი-ი (ჭილვიკი) ყვირილი, ხმაური (თამაშის, მხიარულების დროს). „ბაღვების ჭილვიკ ველარ უთევს ვახტსუზი ბერი“ (ინ.).

ჭიჭვი-ი კომბოსტოს ნორჩი თავი, ღუყვი. „უხალ ჭიჭვები გუუკუთებია“ (ინ.).

ჭიჭიმერი-ი ყურძნის სახელი (ერთგვარი ჯიშში). „ყურძენი ჩუენსა ბეერი ჩეშიტია: ადესაი, სანურავი, ჯინეში, თეთრი ისტამბოლაი, ხარითვალაი, ჭიჭიმერი, ჩიტი ყურძენი“ (მ.); „ჭიჭიმერი ამ ყურძნის სახელია“ (მ.).

ჭიჭინა-ი ჭუჭრუტანა, ვინრო ხვრელი, იხ. ჭიჭინაი. „კარსა ჭიჭინები ქონდა და ვუჭიჭინებდით შიან“ (თ.ქ.).

ჭიჭინი-ი 1. ჭუჭრუტანიდან ყურება, ფარულად მზერა; 2. გაუთავებელი ლაპარაკი, ლაქლაქი. „ნაყურებიე ამდონი ჭიჭინი“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ჭრიჭინი — ჭრიჭინას კმიანობა).

ჭიჭიპარკი-ი ყველაფრის მცოდნე, ჭკუით სავსე (ბავშვი, მოზარდი). „უფნა ბაღვია, ყულამფრიდან ხებერი აქ, ჭიჭიპარკია“ (თ.ქ.).

ჭიჭლაყა-ი 1. მხლად გამოსაყენებელი ბალახი. ჭიჭლაყა. შდრ. საბა (ჯიჯლაყა — ბალ.). 2. ტრაბახა ქალი, კუდაბზიკა. „სხუაფერი ჭიჭლაყაი ქალია, თავი ქებაში ვერ მუუგუფ“ (ინ.).

ჭკვაგამჭრო გამჭრიახი გონების მქონე, საქმის მცოდნე, გაბედული გადანყვებულების გამომტანი. „ჩუენი დედე ზოვი ჭკვაგამჭრო კაცი იყო“ (ინ.).

ჭკვის ფუხარა ჭკუით ღარიბი, ბრიყვი (იხ. ფუხარა). „ჭკვის ფუხარა ინსანი ძალიან ჩათინია“ (ინ.).

ჭკნავი-ი ჭნავი (ფოთლოვანი მცენარე — ხე). „ჭკნავი კუკული ნამალი ყოფილა“ (თ.ქ.). შდრ. საბა (მჭნავი).

ჭკნარი-ი ფერმკრთალი, სუსტი აგებულების, უღონო. „ჭკნარი ბაღვები არიან, ზაფი“ (ინ.).

ჭკუნავს-ი 1. (სიცხე ან სიცივე) ფოთლებს ახმობს; 2. დარდი გულს კუმშავს, ამძიმებს. „ყურალმა მოჭკუნა უერები“ (ინ.); „ამდენი დერდი დურმაალ ჭკუნავს

გულსა“ (სტ.). შდრ. საბა (დაჭუნვა — შეუკეცლად მოკუმშვა).

ჭლაკა-ი მწვანე ხახვის ჯიშში, რომელიც არ იკეთებს ბოლქვებს, თავს. „ჯავეს ვედებ ჭლაკაით“ (ინ.); „ბოსტანში მაქ ჭლაკაი, პრასა...“ (ბახ.).

ჭლე მინა მინი, გამოფიტული მინა. „აქერობაში ხმელი, ჭლე მინება“ (მ.).

ჭლიკა-ი წვივი. „ეს ბალახი ჭლიკი ტკივილი უხტება“ (მ.); „ამხანგები ჭლიკი გიმიაყვდა“ (თ.ქ.) შდრ. საბა (ჭლიკი — წვივი).

ჭმაყუნ-ი ჭამის დროს საღვთი ორგანოების ხმაური, უშნოდ ჭამა. „ჭამიან უშო ჭმაყუნი იცის“ (სტ.).

ჭმაყა-ჭმაყი-ი ჭამისას გამაღიზიანებელი ხმაურის გამოცემა. „ალარ ნაყურა ჭმაყა-ჭმაყი?“ (სტ.).

ჭნავი კუკული-ი ჭნავის ნაყოფი. „ჭნავი კუკული ლამაზ რენგისა არი“ (ინ.).

ჭოი!ჭოე! (ბიჭო!) „ჭო, დურსუნა, ჩუენ ბაღვებ ჩამუუტანიან პური“ (ინ.); „ჭოვ, აქ მოი!“ (ინ.).

ჭოლი-ი ჟოლი. „ჭოლი ჭალობაზე მუა“ (ინ.).

ჭოლი ჭყინტი სიმინდი. „ცოტა მეგეცადე, ჭოლოს მოგართმედი“ (მ.); „ჭოლი სიმინდი მოხარშეთ, მოსაფირ მიართეთ!“ (ინ.); „ტანტრაბაზე დაყარეთ ჭოლი კოტოში“ (ინ.).

ჭოკი-ი პატარა მდინარეზე გადებული ერთი ბოძი, საცალღებო ხიდი; ბოგა. „ბაღვი ჭოკიდან გადავარდინილა და წყალ ნუღლია“ (ად.). შდრ. საბა (ჭოგი — მონლო ლატანი).

ჭოფი-ი ნესტიანი, ნახევრად სველი. „ჭოფი ურუბა არ ჩეიცებება, შექცივდება“ (ინ.).

ჭორტე წერილი ქვის გროვა, ლორღი. „ყანა გაეასუფთე, ქვები მოკერიფე და აგზე ჭორტე დაეყენე“ (ად.). შდრ. საბა (ჭორტი-ქვაკაცა აგებულო).

ჭოროხი-ი (გარდა მდინარის სახელისა) დიდი მდინარე, დიდი წყალი. „გაეხმედე, რომე წყალი გამუუშვიან და პარღში ჭოროხი მოღის“ (ად.); „გამდარა დიდი ჭოროხი“ (ინ.).

ჭოლე-ი მამლაცინწა, ყვინჩილა. „ახალათ ინყევს ყვილ, ჭოლევა პალა“ (ად).

ჭოლავ-ს კომბოსტოს (მხალს) ჭრის, ტოტებს ატეხს. „ბოსტანში ჩასულა და ფხალ ჭოლავს“ (მ.). შდრ. საბა (ჭოლევა — მხალთ ჭრა).

ჭოჭი-ი თათი (კატის, ძაღლის, დათვის...), გად. მწ. ადამიანის ხელის მტევანი. „ჭოჭი ჩამომკრა კატამ და ჩამომფხოჭა“ (ინ.); „მომე შენი პანაი ჭოჭი!“ (ინ.).

ჭოჭე წყლიანი მდელო, დაჭობებული ადგილი. „ღელიბირში ჭოჭე გამხდარა ვაკე ჭალა“ (მ.). შდრ. საბა (ჭოჭი — ადგილი წყლიანი).

ჭრეთ-ს ტყავს ან ხეს ხერეტს, ფიგურები გამოჰყავს ხერეტით ტყავზე ან ხეზე. „ქალაბნი ტყავ სადგისით მოვჭრეთდით, მემრე იმ მოჭრეთილ ხრიტინფეში ღუედს გუუყრიდით“ (ად.); „ხეზე ჭრეთს ლამაზ ნახიშოტა“ (სტ.). შდრ. საბა (ჭრეთა-ტყავთ მოჭრეტა).

ჭრელა-ი სიმინდის ჯიში. „ჭრელაი სიმინდის სოდაღია“ (მ.).

ჭრელ-ი (ძირითადი მნიშვნელობის გარდა). 1. სახე, ნახში, ფიგურა; 2. ცისფერი თვალები, თვალუფუნა, თვალჭრელი. „ჭრელები ბევრი ვიცით: ბალთა, ბუქმა, ბლის ორნეგი, ბობლიზვალაი, გრეხილაი, გადაგრეხილი, დამწნილი, კავიჭაი, კატი-ფუქაი, კატითვალაი, კატიკვალაი, ვაშლის ორნეგი, მარწყვის ორნეგი, იუსუფელი ჭრელი, სილიფაი, ყვეფსი ჭრელი, ყურმინი ორნეგი, ჩიტითვალაი“... (იმ.).

ჭრომახა-ი ჭრელი (წითელი, შავი, თეთრი...) ბუმბულის მქონე ქათამი; ჭროლა, თვალჭრელი. „ჭრომახაი ქათამები მყავს გამოთესლებული“ (თ.ქ.); „იმთა გენილსა ჭრომახაი თუალალები აქ“ (ინ.).

ჭრუ ფუჭი, უგულო (კაკალი, თხილი და მისთ). „წრევენდელი კარჭალი სულ ჭრუ გამოდგა“ (გულ.). შდრ. საბა (ჭრუვი — ფუჭი კაკალთა, ნუშთა და მისთანათა უგულოთა ეწოდებოან).

ჭუკი-ი ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილი შრატი. „დონთბარადამ გამუჟა ჭუკი“ (იმ.); „ჭუკსა თექელ მუადულებთ“ (იმ.).

ჭუკჭუკი-ი (ძირითადი მნიშვნელობის გარდა) ტუბილი, წყნარი საუბარი. „ქალკაცი რაცხას ჭუკჭუკებენ მათათვინაი, შენ ნუ ერევი!“ (ინ.). შდრ. საბა (ჭუკჭუკი — მწყერთ კვიანობა).

ჭუნტალი-ი განუვითარებული ტარო. „წრევენდელი სიმინდი ჰამანქი ყუელია ჭუნტალი დარჩა“ (იმ.).

ჭუნჭრუქა-ი ჭინჭრაქა, ლომბმძვრალა (ჩიტი). „ჭუნჭრუქაი დამედარა ბლი ტანზე და ჭუნჭრუქებს“ (ბახ.).

ჭუნჭრუქებ-ს ლომბმძვრალა ჭიჭიკიკებს. „მალ-მალე აგზე დაფრინდება და ჭუნჭრუქებს“ (მ.).

ჭუპენა-ი ჩაღრმავებული ადგილი სხეულის ზედაპირზე ან სხვა რაიმეზე (მინაზე, ხეზე, ქვაზე...). „რომ გეიცინფეს, ლოყაზე ჭუპენაი უჩინდება“ (ინ.); „ჭუპენებში წყალი ჩამდგარა“ (მ.).

ჭური-ი კევერი, დიდი დერგი. „ჭურიც თიქილამ ევედება“ (იმ.). ჭურში ზის ფიგ-გამ. კარჩაკეტილად ცხოვრობს, ახალი ამბები არ იცის. „იმფრა ლაპარიკოფს, რომე ჰაიქი ჭურში ზის“ (ად.).

ჭურის სხალ-ი საზამთრო მსხალი, რომელსაც ჭურში ინახავენ. „ჭურის სხალი გაზაფხულამდე გაანეწეს“ (თ. ქ.).

ჭურღულ-ი ჩვილი ბავშვის ხმანობა, ტუბილი ღულუნი. „ჩუნ ბიჭმა ჭურღული დეინყუ, კაცი გახდა!“ (ინ.).

ჭურღულებ-ს ენას იდგამს, ჩვილი ბავშვი ხმანობს, ღულუნებს. „მისთვინაი რაცხას ჭურღულებს და ექცევა“ (ინ.).

ჭუჭკავ-ს აგროვებს, თავს უყრის, კრებს. „ჭუჭკავ, ჭუჭკავ და ნახავ, რომე დეილევა, სახლ ზლუა არ დუუკავდება“ (ხ. ფ.).

ჭუჭნი-ს ანაოჭებს, ნაკეცებს აკეთებს. „კაბის სათაოს ჭუჭნის, მიტენილი უნდა“ (ინ.).

ჭუჭულა-ი პატარა ბიჭის სასქესო ასო. „სირცხვილია თქმა და ზულის კაცისთვინი ყამიში (ჭუჭულაი) მოუჭრიან მეგერ“ (იმ.). შდრ. საბა (ჭუჭულა — ჩჩვილთ ვაჟთ ასო).

ჭუჭული-ი წინილა (ქათმის). „ღალმი ქორმა ჭუჭული წეილო“. შდრ. საბა (ჭუჭული — ბატთა, იხვთა და მისთანათა

შვილთა ენოდების). იხ. ნ. მარი, იმერს.

ჭუჭუნ-ი ტკბილი საუბარი. „ერთმანე-ბში იციან ლამაზი ჭუჭუნი“ (ინ.).

ჭუჭუნებ-ენ (მრ.რ.) ტკბილად საუბრობენ. „ხანჯელ ამფრა ლამაზათ ჭუჭუნებენ“ (ინ.).

ჭყავილ-ი კნავილი. „კატამ დეიწყო ჭყავილი“ (ინ.). შდრ. საბა (ჭყავილი — ტურათა და ციცათა ჭმიანობა).

ჭყანტურ-ი ცარიელ ჭურჭელში ჩასხმული მცირეოდენი წყლის ხმაური ჭურჭლის მოძრაობისას. გად. მნ. მშიერ კუჭში წყლის დაღვეის შემდეგ ატეხილი ხმაური. „შამაჭამე რაცხა, მუცელმა დეიწყო ჭყანტური“ (ად.). შდრ. საბა (ჭყანტნი — ძარღვის კმა რამე).

ჭყაპ-ი 1. სველი თოვლი, თოვლნარევი წვიმა. 2. ახალი, ნორჩი, შემოსუსვლელი. „დღეს ზოვლი ჭყაპია, დალოდოსა მუბარქემა“ (იმ.); „ჭყაპი ლობიაი არ მიყუარს, კაკალ რომ ჩეიდაფს, ის კანა“ (მ.). შდრ. საბა (ჭყაპი — წვიმა თოვლნარევი).

ჭყარტი-ი ჩვილი, ნორჩი, ქორფა. „ჭყარტი ბალვი ასე შორს წეიყუანება?“ (ინ.).

ჭყემ-ს ვულგ. თვალებს აბრიალებს. „ნეტიპ არ ჭყემდე სულ მაგ თუალებ?“ (სტ.).

ჭყემია-ი დიდთვალემა, თვალებბრიალა. „ერთი ჭყემიაი ბალვი! რამ შეგმალენ ამფრა!“ (ინ.); „ემიაე, ემიაე, თულებჭყემიაე...“ (ინ.).

ჭყერა ვულგ. ცქერა, მზერა, დაჟინებით ყურება. „მაგან ქალებზე უშნოთ ჭყერა იცის“ (ინ.).

ჭყვირილ-ი ვულგ. ყვირილი, კვილი. „ქალებმა დეიწყეს ჭყვირილი, შეეშინდენ და?“ (ინ.). შდრ. საბა (ჭყვირილი — ყრმათა უგვანი ტირილი, გინა ღორთა კმიანობა).

ჭყვირის-ს ვულგ. ყვირის, კვის, ტირის. „ე ბალვი სულ ასე ჭყვირის?“ (ინ.).

ჭყიშარტა-ი ღია, მკვეთრი ფერის მქონე ქსოვილი (მკვეთრი ყვითელი, წითელი, მწვანე...). „მაქფერ ჭყიშარტას ვერ ჩეცეუამ, გენჯი ხომ აღარ ვარ?“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ჭყიშა — ბალახი).

ჭყინტლ-ი უმნიფარი, ქორფა (სიმიინდი, კაკალი, ყველი, თხილი...). „ჭყინტლი სიმიინდი ნაყურცხლებზე შეენვით“ (მ.). შდრ. საბა (ჭყინტლი — მტად უნდილი).

ჭყიპინ-ი ყვირილი, კვილი. „ქალებმა დეიწყეს ჭყიპინი“ (ინ.).

ჭყიპინა-ი 1. ხმაბალლა მოლაპარკე, ყვირილის მოყვარული; 2. მშიშარა, ფეთიანი, შიშით მყვირალი. „მაქფერი ჭყიპინი ქალი არაბაზე არნა დააუდეს“ (იმ.).

ჭყირტი-ი თავდაუჭერელი, მოუთმინარი, ენის შემომბრუნებელი. „ჭყირტი ბალვია, თქმას არ დააცლის, იმსოლოღში შამოკრავს სიტყუას“ (სტ.). შდრ. საბა (ჭყირტი — მოპასუხე მოუთმენარი).

ჭყლინტი-ი ქორფა, შემოსუსვლელი (ხილი ან სიმიინდი) იხ. ჭყინტი. „ხებას უძახიან „ჭყლინტი“, ჩუენა „ჭყინტი“ ვიტყვი“ (მ.); „სიმიინდი ახალად დეიწინილა, ძალუან ჭყლინტია“ (ად.). შდრ. საბა (ჭყინტი — დაუფამებელი ხულის გული).

ჭყლიპურტი-ი ვულგ. პატარა, ძუძუმწოვარა, უმნიფარი. „პანაი ჭყლიპურტი, მაგან რა იცის!“ (ინ.).

ჭყორტო დაჭაობებული მინა. „ყანი ბოლოს ჭყორტოა, ააფრათ იქს“ (ინ.).

ჭყურტი-ი ნორჩი, ქორფა, შემოუსვლელი (თხილი, კაკალი, ლობიო, ყველი...) „ჭყურტი ყველი სუფრაზე მიტანამდი შეიჭმება“ (ინ.).

ჭყურტა-ი უფერული ქსოვილი. „პანახა ამფერი ჩითი, ჭყურტაი, რენგსუზი!“ (სტ.). შდრ. საბა (ჭყურტა — ჭიაფურა, გამოიყენება საღებავად).



ხავინი — ნაღებში ან ერბოში მოთუშული ფქვილით მომზადებული საჭმელი. „ხავინი ნაღებით კეთდება“ (იმ.); „ნაღებიდან გაავაქეთებთ ხავინსა“ (იმ.); „ხავინის ფაფას მზართმენ ქალსა, ბალანს რომ ეყოლება“ (ფათ.). შდრ. საბა (ხავინი — ფქვილი ერბოთ მგებარი).

ხავლი — (havli) პირსახოცი. „ხავლები გადმუყურია ქარსა“ (ჰ.).

ხავროზი (სპ. havruz) ღამის ჭურჭელი (ქოთანო). „აკვანსა ჩადგმული ქონდა ხავროზი“ (ად.).

ხაზერი (არ. hazir) მზა, მომზადებული. „ქალები საჭმელსა ჩუენ ხაზერ დიგიდებენ“ (ფათ.).

ხაზილა — საბავშვო თამაშობა. „ვითამაშებდით, დაფიზევდით მინასა, ამას ხაზილი ერქუა, ჩიზგი ერქუა“ (ინ.).

ხაზინე (არ. hazine) ხაზინა, საგანძური. ყალეს შიგან ხაზინეა ერთი“ (მ.).

ხაზირი — იხ. ხაზერი. „საჭმელები, ჩორბები ახლა ხაზირები გამოვდა“ (ხ. ფ.).

ხაზული — ქლიავის ჩირი, კურკიანად გამხმარი ქლიავი. „ხაზული არი კვილი ქლიავი“ (იმ.); „ქლიავსა დანით დავსერავთ, გავაკმობთ და იმა ქვია ხაზული“ (იმ.).

ხათა (არ. hata) შეცდომა. „ხათა დეემართა და რა ქნას, ჭიაყელასავენ ნინასანი თუალებ ხომ ვერ დეითხრის?!“ (ინ.).

ხათაბელა (კომპ. არ. hata — შეცდომა, არ. bela — უბედურება; ხიფათი) გასაჭირი, უბედურება, გამოუვალი მდგომარეობა. „ხათაბელაში ჩავარდნილა კაცი და ეს არი!“ (ინ.).

ხათალი (hatali) არასწორი, შემცდარი, მოტყუებული. „ხათალია ზავალი და ვერ მიმხდარა“ (ინ.).

ხათიბი (არ. hatip) ორატორი; მეჩეთში ლოცვების ხმამაღლა წამკითხველი მოლა. „ჩუენი ხასანაი ხათიბი გამხდარა“ (ად.).

ხათმი (არ. hatim) ყურანის წაკითხვა

თავიდან ბოლომდე. „ქალები რამზანში უდინგლებენ ხათმსა“ (ინ.); „ხოჯა ხათმ კითხულობს“ (ინ.); „ერთი ხათმი დარჩონ მარტო“ (ხ.ფ.).

ხათუნი (hatun) ქალბატონი, მეუღლე. „მეგომ ხათუნები გამუყურანია გარეთ“ (ად.).

ხალი (არ. hal) კანის ზედაპირზე არსებული ფერადი ნიშანი. „ზრუქში სულ ხალები ქონდა გატყევილი, ნიშნები“ (სტ.).

ხალი (სპ. hali) ნოხი. „ამ დეზგაპიზე ხალი იქსოვენება“ (თ. ქ.); „ოდიებში იქსოვენება ხალები“ (მ.); „სოფლიებში მოკრეფდენ ხალებსა“ (იმ.).

ხალი — ჭრელი ნოხის ნახში, სახე. „ნინდაზე ხალი ჭრელი გავაკეთე“ (სტ.).

ხალა — კაკლის დასაბერტყი გრძელი ჯოხი. „ამასა „ხალა“ ვებნევით, კაკალ ჩამუაჩეჩებთ ამითა, მოვზოფავთ კარქა“ (ბ.). შდრ. საბა (ხალა — გრძელი წვრილი ჯოხი).

ხალა — (hala — მამის და) დედის და. „ჩემი დიდი ნენი შერიფბეგის ხალა იყო“ (მეზ.).

ხალაშვილი — დეიდაშვილი. „ხალაშვილები არიან ისენი ჩემი“ (ჰ.).

ხალაილი (halayik) მონა ქალი, მოსამსახურე ქალი. „ამ ხათუნსა ერთი ხალაილი ყოლია, ზოელი ლამაზი“ (ინ.).

ხალათი (halat) ბაგირი, გვარლი, მსხვილი თოკი. „ხალათით მოკოჭვენ არაბას; „ხალათი დიდი თოკვია“ (ან.).

ხალისი (არ. halis) სუფთა, ნამდვილი, თავანკარა. „მე ფეხშავიანი გურჯი არ ვარ, ხალისი, მუხლისი გურჯი ვარ“ (სტ.).

ხალბური (kalbur) ცხავი, ცხრილი (მარცვლეულის გასასუფთავებელი ჭურჭელი). „ხალბური იქსოვენება საქონლის ტყავის თასმებით“ (ინ.); „ხალბურში ლობიაჰაც გავაცხრილებთ“ (ინ.); „სიმინდსა ქატოს ავართვამთ ხალბურით“ (მ.); „ხალბურში კუერცებთ ევლებთ“ (მ.).

ხალითე (არ. haliṯ) ხალიფა, მეფის ნაცვალნი. „იმ მემლექეთში მეგემ ერთი ხალითე იყო“ (ინ.).

ხალიჯი-ი (halici) ნოხის მქსოველი (ნოხით მოვაჭრე). „ერთი თანიში მყავს, ხალიჯია“ (სტ.); „გვიხე, ხალიჯი მოსულა ცაქ!“ (ხ.ფ.).

ხალღი-ი (არ. halk) მოსახლეობა, ხალხი. „აქეთა თერედ ნამოედენ ხალღი“ (იმ.).

ხალხამი-ი სანაგვე. „გუმინ ჩუენმა ხალხამი გადათხარა, გადასუფთა იქავრობა“ (ად.).

ხამი-ი (არ. ham) 1. ბამბის ქსოვილი; 2. დაუმუშავებელი, ყამირი მინა; 3. გამოუცდელი, უცოდინარი, უწერთელი. „საქონლის ხამი იყო, არ იცოდა ააფერი“ (ინ.); „ყუმში ხასი იყო თუ ხამი?“ (ინ.); „ხამი მინა იყო და წრეელი გავლევი“ (ბახ.). შდრ. საბა (ხამი — 1. ცხენი ნასუქარი და ნაბამი, გინა გამოუჯავვი; 2. სხელი სამოსელი).

ხამა-ი ხელმეორედ, განმეორებით. „დილაზე ხამაინა დეიბანო“ (ინ.).

ხამათ ხელმეორედ, ისევ, განმეორებით. „რომე მორწყავ კალსა, მინა ხამათ დატყებონა“ (ინ.); „ხამათ ეიტანა მიერე კალთაი“ (თ.ქ.); „ხამათ დაარქეივს სახელები“ (თ.ქ.).

ხამათ და ხამათ ისევ და ისევ, კიდევ და კიდევ, განმეორებით. „ხამათ და ხამათ გათხეება ჩათინია“ (ინ.).

ხამდან ხელმეორედ, კიდევ, განმეორებით. „ხამდან დაანვებიან ტელეფონ“ (თ.ქ.); „ხამდან წეიყუნა ისენი“ (ინ.).

ხამური-ი (hamur) ცომი. „ქალები ხამურ გაალებენ“ (ინ.); „ერთი ხამური ერთი ფუხის ცომია“ (ინ.).

ხამუთ-ი (hamut) ცალული, ხომუტი. „ცტენ ხამუთი აქვა“ (მ.).

ხანი-1 (ისტ. han) მეფე, თვითმპყრობელი. „ხალზე მოსკაჟულა ხანივით“ (ად.).

ხანი-2 (სპ. han) მოსაცდელი ეზო, დანესებულება (საქმოსანთა სახლი), სასტუმრო-ბანი მგზავრთათვის. „სახლი გიმინადეს ხანი წრეელი“ (ინ.); „ქედას მეგემ ხანი იყო“ (ად.). შდრ. საბა (ხანი არს

ორკეცი კედელი ზღუდისა თანა, რომე შუა კაცმა გაიაროს ფოლორცისა მსგავსად).

ხანჯი-ი (hanc) ხანის პატრონი, მფლობელი. „ხანჯი ბაბას არხატაში იყო“ (ბ.).

ხანე (სპ. hanc) სახლი, კომლი. „ჩუენი ახრატები ინეგოლ ხუთი ხანე არიან მარტო“ (ინ.); „ასდაოცი ხანე გამოვსულვართ“ (ინ.).

ხანდხან ხანდახან. „ხანდხან ძილი გიმიტყდება და პულიემი წავალ“. (თ. ქ.).

ხანესაიბი-ი (hancesahip) სახლის, ოჯახის უფროსი. „ხანესაიბი, მე დამაყენეფ ამელამ თუ არაო“ (სტ.).

ხანუმი-ი (hanım) ქალბატონი, მეუღლე. „ხანუმსა ხათრინა უუშენო!“ (ინ.); „ესა ჩემი ხანუმა, დუნდაგუზელი“ (ინ.).

ხანუმა-აბლა (hanım—abla) უფროსი და, უფროსი ქალბატონი; „ხანუმა-აბლა, იზნი მოგვე ახლა, წასლა გეინდა“ (ინ.).

ხანუმი-ეფენდი (hanım—efendi) საპატრიო ქალბატონი, პატივცემული ქალბატონი (მომართვის ფორმა). „ხანუმი-ეფენდი, ბუერუმს სუფრასთან!“ (ინ.).

ხანუმობა მუჟარა ფიგ. გამ. დასვენება მოუნდა, შრომა დაეზარა. „ველიხან მე ერთი ხანუმობა მომიარს, სადილუკან სექეზე რომ არ გავსტორდე და თუალი არ მუჟატყვილო, მინქინი არ მექ“ (ინ.); „ხანუმობა მუჟარა ძალსა, ისე გავ, ველიხან დამინებია“ (თ.ქ.).

ხანსტა ელმა ვაშლის ჯიში. „ხანსტა ელმა სოფელ უბემი აქუნან“ (იმ.).

ხანსლავს-1. გოროხიანი მინაში რაიმეს უსულგულოდ რგავს; 2. ხორცის ნაჭრებს ნაჩქარევად წვავს ან ხარშავს. „იმ გოროხებში რაცხას ხანსლავს“ (ად.). შდრ. საბა (ხანსლავა — ჩქარად და ავად შენვა).

ხანჯალი-ი ჟიკავი, შექანება, შენარევა, შენჯღერება. „მინარე ბალესა ხანჯალი დუუნყო, ამა ჭკუაში მაიც ვერ მეიყუნა“ (სტ.).

ხანჯელი ზოგჯერ, ხანდახან. „ხანჯელი ასეც ვიტყვი“ (სტ.).

ხაო (არ. hav) 1. ბუსუსი, ღინღლი; 2. პირუტყვის დაავადება; ავადმყოფობა ჩნდება პირის ღრუში. „ზროხას ხაო

ავტარით ენაზე" (ად.).

ხაპი გოგრა. „ძუელათ იმჟო კაი ხაპი მოდიოდა, ახლადახლა მიადამაი აღარ საქმობს" (თ.ქ.) შდრ. საბა (ხაპი — გოგრა).

ხაპაი ვაშლის, ან მსხლის საკრეფელა (გრძელ ტარზე გაკეთებულია სპეციალურად დანნული, პატარა გიდელის მსგავსი რამ, რითაც ხერხდება შორი ტოტებიდან ხეილის ჩამოკრეფა). „ხაპაი ვიცით, საკრეფელია" (ინ.).

ხაპიგულაი კვახის თესლი. „შემწუარი ხაპიგულაი ბილა იყი; ეს ჩარში" (თ.ქ.).

ხაპიშორვა კვახის წამანდი (მზადდება გათლილი კვახითა რძით). „თვლიპირველი ხაპიშორვას ლ—მაღე გაკაკეთებთ" (თ.ქ.).

ხაპერი თავი (თავის ქალა, ტვინი, აზრი, ფიქრი). „კაცსა ხაპერშინა ქონდეს პანაი" (პ.); „ეფეი ხაპერი მაქვა" (მ.); „ხაპერი ფილში მაქ" (მეზ.).

ხაპერაი 1. სქელკანიანი კვახის ქერქის ჭურჭელი; 2. დიდთავიანი ადამიანის ეპითეტი. „კატისთინ საქმლის ყაბათ ხაპერაი მაქ შორთული" (თ. ქ.); „ერთი ხაპერაი კაცი ყოფილა" (ინ.).

ხაპერი მეეშალა დათვრა, გონება აერია. „შარაბი სუა და ხაპერი მეეშალა" (ინ.).

ხაპრიდან ავათ გახლა ჭკუაზე შეირყა, სულიერად ავად გახდა. „ხაპრიდან ავათ გამხდარა საცოდავი" (ინ.).

ხაპრიან-ი ჭკვიანი, მცოდნე, თავიანი. „ეფეი ხაპრიანი ლარჭი დარჩა" (იმ.).

ხარაბა (არ.harap) ნანგრევი, დანგრეული, ძველისძველი, დაშლილი. „ეს ქილისე ხარაბა გამხდარა, დანგრევლა" (იმ.).

ხარაბუაი შვი ფერის მოზრდილი მწერი, ტარაკანის მსგავსი. „ხარაბუაი აქაც ვიცით" (ინ.). შდრ. საბა (ქარაბუა-მწერი).

ხარან-ი დიდი ტომარა. „დიდუანი ხარანები გატყებნა მატყლითა" (გულ.).

ხარატული აკვან-ი დაზგაზე მოხვეწილი ნაწილებით განყოფილი აკვანი. „ახლანდელი ქალები ხარატულ აკვანსაც აღარ კადრულობენ, სალინჯალები აქუან" (ინ.). შდრ. საბა (ხარატი — ხის ჭურჭლის მხვეწელი).

ხარბი (არ. harp) ომი, ბრძოლა. „ღუნანებთან თურქსა ხარბი უქნია" (თ.ქ.); „მამაჩემი გვიან მოსულა ხარბობიდან" (მეზ.).

ხარბეზი ხენის დროს ხნულთა შორის დარჩენილი მოუხვნილი, დაუმუშავებელი მინის ნაჭერი. „ორაქტორსა ცქვიტა ასაქმებს და მისობაში ხარბეზები ჩება" (თ.ქ.). შდრ. საბა (ხარვები — კნულის შუა კორდი დანარჩომი).

ხარდალი ვაზის სარი. „ყურძენ ხეს რომ დუუსობ, იმა ხარდალი ქვია" (თ.ქ.). შდრ. საბა (ხარდანი — სარიანი ვენახი).

ხართა (harita) რუკა. „ესა არი ართვინის ვილაეთის ხართა" (იმ.).

ხართაჯი (haritaci) რუკის შემდგენელი, კარტოგრაფი. „ზათინ ერთი ხართაჯი მოიდა აქეურობებში" (იმ.).

ხართავალაი ყურძნის ჯიში. „ხართავალაი ყურძენიც არი ჩუენსა" (მ.).

ხარის არაბა ურემი. „აქა ვიცით ხარის არაბა" (ფათ.).

ხარმანი (სპ. harman) 1. კალოობა, პურის ლენვა; 2. კალო. „ხარმანი კალოს ქვია" (იმ.); „ნამოხტა დილიანა და ხარმანზე ნეღა" (მეზ.).

ხარმანარმუდი კალოს მსხალი (მსხალი, რომელიც კალოობის დროს — ივლისის მეორე ნახევრიდან აგვისტოს პირველ რიცხვებს შორის მწიფდება). „ესა ხარმანარმუდია, იხილე!" (მ.).

ხარო ჭირნახულის (სიმინდის, ლობიოს, კარტოფილის, ხილულის) შესანახავი ადგილი. „ბელელში ხარო გუაქ" (თ.ქ.); „წრეველი ბელელში ხარვები დავაკეთე" (ად.). შდრ. საბა (ხარო — ქვითკირის ორმო).

ხარფი (არ.harf) ბგერა. „შენა სიტყუეში მეგრ „ჰ" ხარფსა ეზეუ" (ტ.).

ხარშო წენიანი საქმელი, მომზადებული ხორციით ან ყველითა და ერბოთი. „თურლითურლი ხარშოს გავაკეთავთ" (ად.). შდრ. საბა (ხარშო — წენიანი კორცი).

ხარჯი (არ. harç) 1. გასაველი, დანახარჯი, ხარჯვა; 2. ცხიმის (გებოს, ზეთის)

დანალექი. „იმთა წრეელი ბერი ხარჯი განიეს“ (მეზ.); „ჩუენებსა ყუელთინ დიდი ხარჯი აქუან“ (თ.ქ.); „თემიზ თერე გილსა ხარჯი ცოტაი აქ; დილსა რომე გავადნობთ, ხარჯ ქუემ გეიგდებს“ (ინ.). (მდრ.). საბა (ხარჯი — ნარსაგებელი).

ხარჯლული (harclik) 1. ჯიბის ფული; 2. ფული მცირე ხარჯისათვის; 3. შემოსავალი (ყოველდღიური, ყოველთვიური). „ხარჯლული კარქა აქუან“ (ინ.).

ხასი (has) სუფთა, ნამდვილი, წმინდა, შეურეველი; აბრეშუმის ქსოვილი; უმაღლესი ხარისხის საქონელი; ღვიძლი (სისხლით ნათესავი). „ეთეგისთინ ხასინა დასჭრა“ (მ.); „ხასი ყუმამი გამომიტანა ბათომიდამ“ (ად.); „ყუმამი ხასია თუ ხამი?“ (ინ.).

ხასი ბიბიაშვილი — ღვიძლი, კვიდრი მამიდაშვილი. „ნეზამეთინაი ჩემი ხასი ბიბიაშვილია“ (ად.). იხ. ბიბია.

ხასი გურჯი — ნამდვილი, სუფთა სისხლის ქართველი. „ჩუენა ხასი გურჯი ვართ“ (თ.ქ.).

ხასი გურჯული — სუფთა ქართული. „ჩუენაც დეენავლოთ ხასი გურჯული“ (მაჭ.).

ხასი ემიაშვილი (ემოშვილი) ღვიძლი, კვიდრი ბიბიაშვილი, მამის ძმისშვილი. „ზულფიე ბაჯიაი და მე ხასი ემიაშვილები ვართ“ (ინ.). იხ. ემია.

ხასი ინსანი — ნამდვილი, წმინდა ადამიანი. „ენ დიდათ კიი, ხასი ინსანი ისენი არიან“ (ინ.). იხ. ინსანი.

ხასი ტაიაშვილი — კვიდრი, ღვიძლი ბიბიაშვილი (დედის ძმისშვილი). „ხასი ტაიაშვილი უთხოვნია ძლათ“ (ინ.). იხ. ტაია.

ხასი ყველი — მაღალი ხარისხის ყველი. „იმფერი ხასი ყველი ამვილო, რომე ქალი თმასავეთ დეიმნა“ (ინ.).

ხასი ყული — წმინდა, სუფთა, მართალი, მორწმუნე პიროვნება. „ხარ ღმერთის ხასი ყული“ (მ.). იხ. ყული.

ხასი ხალაშვილი — კვიდრი, ღვიძლი დეიდაშვილი. „ჩემი ხასი ხალაშვილი ყადა კილლაი ნათხუარი და მუუქდა“ (ინ.). იხ. ხალაი.

ხასთა (სპ. hasta) ავაღმყოფი. „იმფრა

ხასთა რაფრათ წეიყუანეს, არ ვიცი“ (ად.).

ხასირი (არ. hasir) ჭილობი. „ქუნჯალით ქსოვენ ხასირ“ (მეზ.).

ხასხასი — აბრეშუმის ტანსაცმელი. „ჩემ ბაქალას გაგატან, შამა სულ ხასხასებინა ჩააცუა“ (იმ.).

ხაფიფი (არ. habip — საყვარელი, მეგობარი) მოფერება, მოსიყვარულება. „ბერი ხაფიფი იცის ბაღზე, უშეილო შვილი გეგონება“ (სტ.).

ხაფიფობს — საყვარლობს, ეფერება, თავს ევლება. „ახლა პანა ციცას ექცევიან, ხაფიფობენ“ (ინ.).

ხაშარი — წერილი სარი, მსხვილი და გრძელი ჯოხი, რომელსაც დაუსობენ ხეიარა ბოსტნულს (ლობიოს, პამიდორს...). „ლობიოს ხაშარ დუუსობთ“ (იმ.). მდრ. საბა (ხაშარი — ფალანგის სვეტნი). იხ. ნ. მარი, იმერხ.

ხაშარაი — მაღალი, ტანწერილი ადამიანის მეტსახელი. „გაზდილა დიდი ხაშარაი და აყუდებულა“ (თ.ქ.).

ხაშლამა (haslama — მოხარშული, ორთქლში მოშუშული) მოხარშული ხორცი, მწვანილებში ჩახარშული. „ხაშლამასაც გაეკუთათ“ (მ.).

ხაშმი — კანის (წითელი ფერის გამონაყარი კანზე) დაავადება. „ერთხან ხაშმი ყოფილა სოფელში“ (ფათ.). მდრ. საბა (ხაშმი — სენია ჯორცთ დამარღვეველი).

ხაჩი (haç) ჯვარი. „იმ წინდაზე დაჭრელებული აქ ხაჩები“ (იმ.); „ხაჩი ზღურბლზე ყოფილა“ (იმ.); „ევეცსა ჩუენში ხაჩით დაჭრელებენ ზირში“ (იმ.).

ხაჭა 1. გრძელი, მსხვილი ჯოხი; კაკლის საბურტყავი. „კაკლი სარკველი ხაჭა გუაქ“ (ად.); 2. მაღალი, გამხმარი ადამიანის მეტსახელი. „დიდი ხაჭა გაზდილა, მაღალი“ (ინ.).

ხაჭიხუჭი — კაკლის ჩხრიალის ხმა. „ხაჭიხუჭი მემედი, კაკალ მოქცემ, გამოდი“ (ინ.).

ხაჭუნე — ჩხარუნი, ჩხრიალი. „დუუნყო ბაღესა აკენი კაკიების ხაჭუნე“ (სტ.).

ხახამი (haham) რაბინი, ებრაელთა საკულტო მსახური. „ხახამი გეპუდების

ხოვას ქვია" (ინ.).

ხებერი-ი (არ. haber) ამბავი, ცნობა, შეტყობინება. „თავით რომ ზეგანშია, ბარის ხებერი აღარ იცის" (იმ.); „ხებერი მიცეს ახრებებსა" (იმ.); „ბარესამი ხებერი გითხარ" (ედ.).

ხებერდალი-ი (არ. ს. haberdal) საქმეში ჩახედული, საქმის მცოდნე, მოამბე, მთხრობელი. „იმფერი ხებერდალი ქალია, რომე ყუულაზე ადრე შეიტყობს ყუულამფერ" (ინ.).

ხევისი საუზმე. „დენგემ ხევისი დადგა" (ად.). შდრ. საბა (ხემსი — მცირედი რამე ჭამადი).

ხევისი ქნა ისაუზმა. „იმათაც ხევისი უქნიან და დილიანა ჩამდგარან გზაში" (თ.ქ.).

ხევისი ჩეიდევა იტყვიან ლობიოს პარკის მიმართ, როცა პარკში ახლად ჩაისახება ლობიოს ნორჩი მარცვალი. „ლობიანი ჯელ დილეგება, მემრე ტყელაში პარკევი გახდება, მემრეც ხევის ჩეიდებს, მემრეც შებანდება, ნიფებას დეიწყებს" (ად.).

ხევენარი ხეივანი; ხეებით დაფარული ადგილი. „პარხალი ხევენარი ფერია" (ტ.). შდრ. საბა (ხევენარი — ხიანი ადგილი).

ხეზრეთი ალი (hezreti Ali) მუხამედ ნინასნარმეტყველის სიძე, უმზინდესი ალი. „ხეზრეთი ალის მეგემ ფრინვალი ცხენი ყავდა" (იმ.).

ხეზრეთი ფატყუმე (hazreti Fatma) მუხამედ ნინასნარმეტყველის ქალიშვილი, უმზინდესი ფატმა. „მუხამედ ფედამბერ მარტივი ერთი გოგოშვილი ყავდა, ხეზრეთი ფატყუმე" (იმ.).

ხეილიოლსუნ (hayir olsun) ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს! მშვიდობაში! „ხეილიოლსუნ, ერთი მეგეცით, გეყოფა, ჯანუმი" (თ.ქ.).

ხეილისი (hayirlis) სიკეთის, ბედნიერების მომტანი. „ღმერთმა გამჩენელმა ხეილისი გიგეინვიმოს" (ინ.); „ღმერთმა ხეილისი შვილი მოქცოს" (ად.).

ხეილისათ (იხ. ხეილისი) სასიკეთოდ, საბედნიეროდ, ბედნიერად, მშვიდობიანად. „ღმერთმა ხეილისათ მოგიყოფოს გელისის

მოყვანის საქმე!" (ინ.).

ხერი-ი (არ. hayir) სიკეთე, კეთილდღეობა, ბედნიერება, წყალობა. „ღმერთმა ხერი მოქცოს!" (ად.).

ხერათ-ი (არ. hayrat) კეთილი საქმე, ქველმოქმედება, მონყალება, სასიკეთოდ გაკეთებული საქმე. „ეს წყარო ხერათათ გააკეთებენ" (ბახ.).

ხერიოლა (hayirola) 1. ღმერთმა მოგცეს სიკეთე. წყალობა! მშვიდობაში! „ხერიოლა, ღმერთმა ლამაზათ გაგაცვეთიოს მაგ ახალი კაბა" (ინ.). 2. ნუთუ მართალია!? მართალია?! გასაკვირია! „ხერიოლა! რამ ნეიყუნა ამ ლამეში?" (ად.); „ხერიოლა, ასე ეჯელე მიხუალ თუ?" (სტ.).

ხერიოლსუნ (hayir olsun) სიკეთეში მოიხმარე! მშვიდობაში! „ხერიოლსუნ, შენი ახალი ძალი, ბაჯია!" (ინ.). იხ. ხეილიოლსუნ.

ხერიოლჯულუქ (hayir yolculuk) ბედნიერი მგზავრობა! „ახა, შვიდობით, ღმერთმა იმ დუნგას მაიც შეგუახდინოს ერთმანებ, ხერიოლჯულუქ!" (ინ.).

ხეირსუზ-იისხისუზი (hayirsiz) ჯანმრთელობაშერყეული, დასუსტებული. „ხეირსუზი გელინი ყავდა, რა ქნა?" (სტ.); „ხეისუზი გამხდარა ნენეი წრეველი" (ინ.).

ხეისუზდება (hayirsiz) სუსტდება, ავად ხდება, ჯანმრთელობას კარგავს. „ახალი ძლიები ხეისუზდებათ მელოგინობაში" (სტ.).

ხელათ მაშინვე, იმ ნუთას, საჩქაროდ. „ხელათ გაატბენის დოხტურთან" (სტ.).

ხელაქმარ-ი ხელსაქმე (რთვა, ქსოვა, ქარგვა). „ხელაქმარ ვექცევით ამ უზუნ ზამთარში, ვქსოვთ, ვართავთ" (იმ.).

ხელბერექეთიანი-ი ხელხვავიანი, ბარაქის მომტანი. „ჩუენი ნენეი სხუაფერი ხელბერექეთიანი იყო, სუფრას აამსობდა" (ინ.).

ხელგადასმული-ი პირთამდი სავესე, ბოლომდე გავსილი ჭურჭელი. „ხელგადასმული მეიტანა გობით ფქვილი" (ად.).

ხელგამუსულე-ი საქმის უცოდინარი, მოუხერხებელი, უგერგილო პიროვნება.

„ძიანი ძალუან ხელგამუუსლელია, ბაბოს მემრე იდარე რაფერნა ქნას, არ ვიცი“ (სტ.).

ხელგობა-ი პატარა ზომის გობი, რომელსაც უმთავრესად იყენებენ ცომის მოსახელად. „მემლექეთიდან გამოტანილი ხელგობაი პალადვენ გინა თავანში“ (ად.).

ხელზე მოკითხვა ასაკით უფროსი ადამიანის (ნათესავის, ახლობლის) მიმართ საპატიო მისალმების ფორმა (ჯერ ხელზე ემთხვევიან, შემდეგ კი ამ ხელს შუბლზე მიიდებენ. ეს ითვლება უღრმესი პატივისცემის გამოხატულებად). „ხელზე მეკითხე დიდუანები, გუუხარდებიან, მოგისდება!“ (ინ.).

ხელის აყვავება გად. მნ. დალოცვის ფორმულა. „ღმერთმა ხელები იგიყუავა, რა ლამაზი ხელაქმარი ქცოდნია!“ (ინ.).

ხელის გაროსრება გად. მნ. ხელის გაფუჭება, საქმის არაკვალიფიციურად გაკეთება. „დაბერებულა და ხელი გაროსრება, თვარემ წინწინ, გენჯობაში ზოვლი თერძი იყო“ (ინ.).

ხელის განყოფა გად. მნ. საჭიროებისამებრ დახმარება, ხელის გამართვა, მიშველება, მინოდება. „დუნგად არ შეუზარება ხელის განყოფა“ (ინ.).

ხელის დაბანა გად. მნ. ხელის მოცარვა, გაცრუება, წაგება. „მაგ საქმიდან ხელები დევბანევით, ისეგაჟ?“ (ინ.).

ხელის დადება გად. მნ. ქალის დანიშნვა, დათავისება. „ვიწმემ ხელი დაადვა ისე მალე თუ?“ (ინ.).

ხელის დაშვენება გად. მნ. ხელების დაბანა ჭამის წინ და ჭამის შემდეგ. „მოსაფირებ ხელები დააშვენები, გო!“ (ბ.ფ.).

ხელების დახეთქვის ლოცვა შლოცვა. „მეიტანდენ მუხის ფაჭას, სოკოსავენ რომ არი, დაასხმდენ ცხელ წყალსა, ნუუსუემდენ დახეთქილ ხელებზე და ლოცილობდენ: ეჯელ იყო, მეჯელ იყო, სულიმანას ბეჭედ იყო... თერთი ხარ, თერთი ხარ, მავი ხარ, რა და რა ფერი ხაარ? გამოი, გამიხვხვიე მუხის ფაჭაზე! ღმერთია შენი მშუელელი, ღმერთია შენი მშუელელი, ღმერთია შენი მშუელელი! ჰემაც სამჯე-

ლნა შუებერო ტკივანა ხელებზე და ღთის ძალით გუუარს“ (სტ.).

ხელის მობრუნება გად. მნ. სიკეთისკენ შემობრუნება, გაჭირვებიდან გამოსვლა. „სოენი ხელი მეიბრუნა და მუაფერა იდარე“ (ინ.).

ხელების მოფშნა გად. მნ. გაჭირვებაში ჩაჯარდნა, სიდუხჭირე. „სიმნარისკან ხელები მოფშნა დენყო ზავალმა“ (სტ.).

ხელის მოჭმა ფიგ გამ. ხელმოკლეობაში ყოფნა, სიღარიბე, უქონლობა. „იმ წელნად ეფეიჯა ხელი მეიჭამეს იმათაც“ (სტ.).

ხელის მოხირკლა ფიგ-გამ. ხელის შუშლა, ხელის მოცარვა, შეფერხება. „ოსმან ძიით ეანყობი წასლას, მარა ხელი მომეხირკლა“ (ინ.).

ხელის ნამოკრა ფიგ-გამ. დახმარება, მიშველება, ხელის გამართვა. „სიმამრმა ფევი ხელი ნამოკრა თავის სიხესა“ (იმ.).

ხელმარტო მარტოხელა. „მუუკდა კაცი და დარჩა ჩემი ბაჯიაი ხელმარტო“ (ინ.).

ხელმეცეცაი ნერილმანების ქურდი; პიროვნება, რომელსაც წესად აქვს აუცილებლად რალაცის მოპარვა (თუნდაც ნემსისა). „მარტუაი არ დატყო ოღაში, ხელმეცეცაია, ადეთად აქ მოპარვა“ (სტ.).

ხელშემონახული-ი თადარიგის დამჭერი, მომჭირნე, გამომზოგველი. „ჩუენი ფადიმე — აბლი ზოვლი ხელშემონახული ქალია, არ გამეინყვეტს ააფერ, ყუელამფერი აქ ყუელთვი“ (სტ.).

ხელში გარუნება ფიგ-გამ. ხელში ჩაგდება, დახელთება. „იმდენი ფარა ოზუნა ხელში გვირუნია, მარა მის ოლულშალ ააფერი დატყობია“ (ინ.).

ხელნაკრია-ი ქურდობაცა, ნერილმანების ქურდი. „ხელნაკრიაი ბალეები ყავს, მარტუაი სახლში არ დეიტევიან, ილლა რაცხას ანევენ“ (ინ.).

ხელხამ კვლავ, ხელმოკრე, განმეორებით. „ხელხამ მისებურა ლაპარკობს“ (ად.).

ხენდეკი (hendek) ორმო, თხილი, სანგარი. „იგზე ერთი ხენდეკი ყოფილა, იქში ჩამშპარა“ (ინ.). შდრ. საბა (ხანდაკე

— სხვათა ენაა, ქართულად თხრილი პქვიან).

ხენჩერი (სპ. *hancer*) ხანჯალი, დიდი დანა. „ნელზე ქემერი, ზედან ხენჩერი!“ (სტ.); „ერთი ხენჩერაი დანა მქონდა“ (იმ.).

ხენხე-ი ძალიან მაღალი და სუსტი ადამიანის მეტსახელი. „გამზილა ხამარი-ვით, გამზდარა დიდი ხენხე“ (ინ.).

ხენჯო მსხვილი ხის გადანაჭერი, ჩამოსაჯვომად გამოსაყენებელი. „ესა ხენჯოა, ისკამია ქობისა“ (იმ.).

ხეპერწყა-ი მაღალი და მეტად გამხდარი ადამიანის მეტსახელი. „გამხმარა, ხეპერწყაი გამხდარა ზავალი“ (ინ.).

ხერგი-ი ნიაღვრის ჩამონატანი ქვა, ლორღი, ხის ტოტები, ფეხები და მისთ. „მალლა გორიდან დიდი სელგაპი ჩამუარდა და მუაყარა ბეგრი ხერგი“. შდრ. საბა (ხერგი — ძელნი მდინარედ მონატანი).

ხერხაკილა-ი ქალის თავსაფრის კიდებებზე გასაკეთებელი მაქმანის ნახშიმი, სახე. „ხერხაკილაი ზივის ოდას სახელია“ (იმ.).

ხესის-ი (არ. *hasis*) ძუნწი, ხელმომჭირნე. „ძალიან ხესისია, დამწურია, ვერ გუუცოხნია, არ მემემშიოსო“ (სტ.).

ხეფენ-ი (*kepen*) დარაბა, ხაფანგი. „დათვისთვინ მოწყობილ ხეფენგში თვითან ჩავარდნილა“ (ად.).

ხეშტერა-ი მაღალი, სუსტი ადამიანის მეტსახელი. „გამხდარა დიდი ხეშტერაი, ამ კარებში არ შამეფტევა“ (ინ.).

ხეცებუკ-ი გამოფიტული, მწირი მინა, ქვიშნარი. „ჩემი დღედი მემლექეთში ერთ ხეცებუკ გერზე მყდარა“ (ინ.).

ხეჭბოიხეჭბო ნაჭუჭი. „ხეჭბო იქით მიაყარა“ (თ. ქ.). „კუერცხიხეჭბოც ნამალი ყოფილა“ (ად.); „კაკალიხეჭბოს ცეცხლში არ ჩაყრიან, არეარგიაო, იტყვიან დიდუანები“ (ინ.). შდრ. საბა (ხეჭბები — ნაბლთა, ნიფელათა და მისთანათა ქერქი).

ხეჯილი (არ. *hacil*) განზილებული, გაოცებული, დარცხუენილი, მორიდებული. „იმდენ მილეთში ისე გეებლაყუნა რაცხა, რომე ხეჯილი გავხდი“ (ინ.).

ხეჯი-ი (ძირითადი მნიშვნელობის გა-

რდა) გამბედავი, ვაჟაკი, შემტევი, ნარმატებული. „ხუადი კაცია ისა, ტყვილ არ იტყვის, ხალხ არ მუატყვილებს, სიტყუა გუუვა ხალხში, თუ დაარტყამს ვინმეს, პემაც ნაქეცეს“ (ინ.). შდრ. საბა (ხუადი — ძალღი და მხეცი მამალი).

ხეჯე-ი ჭირნახულის გროვა (სიმინდის, კარტოფილის, ხილის...) „ქესტანას ხუაი დუუყენიბია“ (გული). შდრ. საბა (ხუაი — შეგროვებული მარცვალი).

ხეჯარ-ი ქვედა საცვლის ნელზე შემოსაკრავად საჭირო ზონარი. „წინწინ ხუანჯრებ დეზგაპიზე ექსოვდით“ (თ. ქ.); „ახლა ხუანჯარი გადავარდა, ნიფხვის სათავეში ლასტიკი გაგუაქ“ (თ. ქ.); შდრ. საბა (ხუანჯარი — ნიფხვის ზორტი).

ხვარდა (*hovarda*) მოქეიფე, გარყენილი. „ცხონებული ძალუან ხუარდა კაცი იყო, სახლში შემოშვება შეგემინდებოდა“ (თ. ქ.).

ხვართქლა-ი ბალახი. „ხუართქლაი ბალახი ყანეფში იცის“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხუართქლა — ბალ.).

ხვერფე-ი ფხვიერი მინა. „თრატოთრი უსულია გაარუნეი, ხვერფეია. თექირები არ გადაშქეს ვანიდან“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხვერფე — ფხვიერი მინა).

ხვენი ხის სახეველი ხელსაწყო. „დედეს ხუენი ქონდა მემლექეთური“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხუენი — მოკაყული სათლელი).

ხვითო კვარცნარევი ქვა. „ხვითოს ქვებოთ ნამოზნია ძუევეი ციცასა“ (სტ.). შდრ. საბა (ხუთო — ქვა გესლთ მკურნალი). მრ. რ. ხვითოები. „ხვითოებ ფახირის ბადიაში ჩაყრიდა ნენეი, წყალ დაასხემდა წყაროსას და მოლესეცდა. ხვითოების მოხალესი წყლითა მოპიღულ ადგილ მოხანდა. ფეშინ ეშველბოდა“ (თ. ქ.).

ხვიშირ-ი ნისქვილის ნაწილი. „იმაზე ზეიდამ ხვიშირია“ (მაც.).

ხვინკალი სიმინდის ტაროს გული, მარცვალკაცილი. „ხვინკალ დავნაყავთ, მარილწყალი მოგზარშავთ და ჩომას მივართუამთ ზამთარში“ (ად.).

ხვიტი კომპოსტოს ღერო. „ხვიტი ქვია ლახნი ღერსა“ (მ.); „ლახნას აქ ხვიტი“ (იმ.). შდრ. საბა (ხვიტი — თავკერივი

კომბოსტო).

ხეიტანი-ი ფხალი ღეროიანი მხალეული. „ხეიტანი ფხალი გერმელი მოდის“ (ად.).

ხეიტორო იხ. ხეინკალი. „სიმინდი დენებ რომ მოფშნი და შიგან დარჩება გული, იმა მაჭინელში ხეიტორო, კობერი ქვია“ (იმ.).

ხიბალი-ი კოჭლი, ხეიბარი. „ვახტუმდა ერთი ხიბალი ზროხა ქეყადა“ (გულ.).

ხიბაკი-ი ბარგი, ტვირთი. „ცხენ აპკიდა ხიბაკი და გუჟუვა გზას“ (თ. ქ.).

ხიბორკალი-ი ძველი სკამი, ჯოჯოკო. „ი ხიბორკალი იდვა აგერ“ (თ. ქ.).

ხიდირი-ი (hidirellez) მით. წმინდა ილიასი, წინასწარმეტყველი (გაჭირებებში ჩავარდნილი ადამიანის ანგელოზი), მშველელი, დამხმარე. „ი დედეი ხიდირი იყო“ (იმ.).

ხიდირილეზი | **ხიდირილეზი** (არ. hidirellez) 1. მით. წმინდა ილიას წინასწარმეტყველი, გაჭირებებისაგან მხსნელი ანგელოზი; 2. ილიას წინასწარმეტყველის დღე. ლეგენდის მიხედვით, ეს არის ზაფხულის პირველი დღე — ექვსი მაისი. ამ დღეს დღესასწაულობენ. ოცდაათი დასახელების საქმელს მოამზადებენ, ერთმანეთთან სტუმრად მიდიან, მხიარულობენ. „ხიდირილეზი ვიცით ექს მაისს“ (პ.); „მაისის ექვსზე ხიდირილეზია“ (ინ.).

ხიზირი-ი (არ. Hızır) წმინდა ილიას წინასწარმეტყველი, მხსნელი ანგელოზი. „რაცხაზე რომე გაეჭირდებთ, ხიზირიეთ იგზე გიმიჩინდება და მომეხმარება“ (ინ.).

ხიზანი-ი გაეცეული, გადაკარგული. „ჩემ ხიზან დედამიილმა არ მომართვა ვახშამი“ (იმ.). შდრ. საბა (ხიზანი — ლტოლვილი).

ხიზმეთი-ი (არ. hizmet) მომსახურება, სამსახური. „მიყუარან სკაზე ხიზმეთი“ (ბ.); „თივაპაც ბარსამი ხიზმეთი უნდა“ (ინ.); „მე ბევრი ხიზმეთები გევიარე“ (ინ.); „მეტი კაია მოსაფირზე ხიზმეთი — მომსახურება“ (პ.).

ხიზმეთზე სამსახურზე. „იმას ხიზმეთზე მიყუან“ (ინ.).

ხიზმეთად სამსახურად, მოსამსახურებლად. „შენ ხიზმეთათ ნაშუელ“ (ინ.).

ხიზმეთქარი-ი (არ. ს. hizmetkar) მოსამსახურე, დამლაგებელი. „მეგემ იგირიმ ხიზმეთქარმა იცნა“ (ინ.).

ხიზმეთჯი (hizmetci) მოსამსახურე, დამლაგებელი. „ორი ხიზმეთჯი დუჟაკიან და იმთ ასაქმებენ“ (ინ.).

ხიზარი (hızır) ხერხი. „ჩემ ბიჩხში დიდუანი ხიზრები მაქ“ (ინ.); „ხიზრით ხევენ შუმასა“ (იმ.).

ხიზარჯი-ი (hızarcı) მხერხავი. „წინწინ ხიზარჯები ჩამეიარდენ სოფელფში“ (თ. ქ.).

ხიზრიკიბილაი-ი ნაქსოვის, მაქმანის სახე, ფიგურა, ნახშირი. „ამ ჭრელსა ხიზრიკიბილაი ქვია“ (ინ.).

ხიზირელიასი-ი იხ. ხიდირილეზი. „პურების წინ წამოწვესითინ მობძანდება ყუელწუნად ექს მაის ხიზირელიასი“ (ხ. ფ.).

ხილვა პირველად ნახვა; ახლადშემოსული ჭირნახულის (ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული...) პირველად შეჭმა, გასინჯვა; თავლის სკიდან გამოღება. „აჰანდა ძვილი ვიხილ შეფთალი“ (ინ.); „დღეს სკი ხილვა დეიწყო ჩუენმა“ (ად.).

ხილიხილნარი ხეხილი. „ხილიხილნარი ამსილია ჩუენ სოფელში“ (მეზ.).

ხილვაი (სა. hayli) საკმაოდ, მნიშვნელოვნად, ფრიად, ძალიან, მაინცდამაინც. „ჭუჟამი ხილვაი არ არი“ (თ. ქ.); „სხუა დროს ხილვაი არ ვიხმართ“ (ინ.); „ხილვაი არ ავენე ტელეფონ“ (ინ.).

ხილლი (hayli) სიკეთის მომცემი, სასარგებლო, გამოსადეგი. „ხილლი ბაშთანაც არ იყო“ (თ. ქ.).

ხილობა ხეხილი. „ყუელა ხილობა არი“ (იმ.); „სოფელში ყუელა ხილობა აქუან“ (იმ.).

ხიმენჯი-ი წყლის ჩამონატანი ხე, ხის ტოტები, ფესვები. „წყალმა ჩამეიტანა და გამოყარა ქენერებზე ხიმენჯები“ (ად.). შდრ. საბა (ხიმენჯი — წყალში საქმარი სხვილი მანა).

ხინკვი 1. მჭადის, პურის ხმელი

ქერქი, ნატეხი; 2. ხის ხმელი ტოტები, ფიჩხი. „პურის ხინკვები დავალბე“ (ინ.); „ხინკვები შამეიტაი, შუუხმელთ სობაში“ (ად.).

ხინკილა მხალეულითა და სიმინდის ფევილით მომზადებული წვნიანი კერძი. „ხინკილა ვიცით“ (მ.); „ესენი ხინკილასაც აკეთებენ“ (მ.). შდრ. საბა (ხინკილა — ლომთა და ბრინჯთ შეჭამადი).

ხინძირი (არ. *hinzir*) ღორი, პირუტყვი, ცხოველი. „ეიგერ გაღმა ბლი ძირი, ილქორაია ხინძირი“ (გულ.); „ხინძირი შვილო, ხინძირო შენა!“ (ინ.).

ხინჭი 1. დანაღები, ფორჯი; 2. სიძულვილი, ღვარძლი, ბოღმა. შდრ. საბა (ხენჯი — ილეკროს ნანური); „ძირში დარჩენილა ხინჭი, ფორჯი“ (ინ.).

ხირა (*hura*) სუსტი, გამხდარი. „ხირა საქონელი იყიდა ჯამბაზმა“ (თ. ქ.).

ხირგვალ-ი სიმინდის ტაროს გული, მარცვალგაცილი. „ჯუმადიმე მითხრა, ხირგვალე მომბითაიო“ (მ.).

ხირდავათ-ი (არ. სპ. *hirdavat*) წვრილმანი საქონელი. „მუსტაფას ათასი ჩემითი ხირდავათები აქვა“ (მ.).

ხირდავათჯ-ი (*hirdavatci*) წვრილმანი საგნებით მოვაჭრე. „მუსტაფაი ხირდავათჯია“ (მ.).

ხირისთიან-ი (*Hiristiyan*) ქრისტიანი. „ესა ხირისთიანების ქილისეა“ (იმ.).

ხირსიზ-ი (*hirsiz*) ქურდი. „ხირსიზები მეგემ ერთ მოყრილობაში არიან“ (ინ.); „მინავრი ხირსიზი ჩათინი დასაკეებელია“ (ად.); „ხირსიზი ხირსიზის არხატაშია“ (სტ.).

ხირხა (არ. *hirka*) ქალის ტანსაცმელი, კოსტუმის მსგავსი, წელში გამოყვანილი. „კაბაზე გარეთიდან ხირხას ჩეცუემდით სიცივეში“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ბილაონი — ხირლა). „წინ გახხნილ ყაზალსა ხირხას ვეტყვიო“ (ინ.); „მოქსოვ ეღლეგსა, ხირხას, ფანთოლ, ყაზალ, წინდას, ქედსა, ათხსა, ელდევანსა, თათმანებსა, თათიკებსა...“ (მ.); „ესა ხირხაა, წელზემოთ“ (იმ.).

ხირხიზ-ი იხ. ხირსიზი. „ხირხიზები დაცემიან, ფარა გონებთან სახლში“ (სტ.).

ხირხიზულ-ი მოპარული, მოქურდულ-

ლი. „ხირხიზული ზილი გერმელია“ (იმ.).
ხირხალი-ი სამ-ოთხ რიგად ფიცრის შემოვლებით გაკეთებული ღობე. „გუშუკეთებია ხირხალი და შუუყრია ჩომა“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხირხალი — არს სხვილის ძელით სამ-ოთხ რიგად სიგრძედ შემოვლებული).

ხისიმ-ი (არ. *hisim*) ნათესავი. „ღმერთმა ხისიმის ხისიმის ნატრული არ დატოოს“ (ინ.).

ხისიმ-ახრაბა (*hisim—akraba*) ახლო და შორეული ნათესავები, მთელი მოდგმა. „ხისიმ-ახრაბა დაქეჩაია აჭარასა, იმაზე ემერაყობთ“ (იმ.); „ამდონი ხანია ჰუღუღი ბარობაი ხისიმ-ახრაბები ვერ გვინახავს“ (იმ.).

ხისიმ-ყერაბა იხ. ხისიმ-ახრაბა. „ხისიმ-ყერაბა იციან“ (მ.).

ხისიმჯანლ-ი (*hisim—canli*) ნათესაობის მოყვარე (იხ. ჯანლი). „ჩუენი ასიეი ძალუხა ხისიმჯანლია“ (ინ.).

ხიფ-ი ძაფის ხვეული. „ორ გამლილ ხელზე ამოხუეულ ძაფსა ხიფი ქვია“ (ინ.); „ხიფები დავაკეთე ღაზლისა და გაერცხი“ (თ. ქ.).

ხიშმ-ი (სპ. *hisim*) რისხვა, წყრომა, გამშაგება, ჯავრი. „ქალმა ხიშმი ჭამა, იბრეთი დეემართა“ (ინ.).

ხიცხიც-ი მოურიდებელი სიცილი. „ქალსა ბევრი ხიცხიცი არ მუუხტება“ (ინ.).

ხიწე-ი პარკი ლობიოს ფხა, ბეწვი. „აქავრ ლობიას ხიწე არ აქ“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხიწე — ძელთ ანამარობი).

ხიჭი-პუჭა-ი წვრილმანი საგნები. „ჩექმეჯუმი ჩაყრილი მაქ ხიჭი-პუჭაი“ (ინ.).

ხლარტი-ი ნახველი. „იმ წამალმა ამუყრეგია ხლარტი“ (ინ.); „მენდილით მოხოცა ხლარტი“ (სტ.).

ხლარტავ-ს ნახველს იღებს. „ბუსირა ასე ხლარტავს“ (ად.). შდრ. საბა (ხრასტი — მეტი სქელი და მყრალი ნერწყვი).

ხლარცვა მოქანცვა, ულონოდ ყოფნა. „ბაღვმა დიწყო ხლარცვა, ფეხზე ველარ შედგა“ (ინ.).

ხლიე-ი ხვლიკი. „ამ ქვებში ხლიეები არიან“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხულიკი).

ხმელი ზამთარ-ი გად. მწ. თბილი, უთოვლო ზამთარი. „წრეული ხმელი ზამთარი იყო“ (ინ.).

ხმელი სული-ი გად. მწ. უქონელი, ღარიბი ადამიანი, რომელსაც საკუთარი სულის გარდა არაფერი გააჩნია. „ამათ ხელში მარტო ერთი ხმელი სული შემჩა“ (ინ.).

ხნეში შესულ-ი ხანში შესული. „ხნეში შესული ინსანი სახლშინა დედოს, მოსაფირათ აღარ ნესლება“ (ინ.).

ხმუკ-ი გაძვალტყავებული, მჭლე ადამიანის მეტსახელი. „ჩუენი ხმუკი ჰა მივა ნუტაი?“ (ინ.).

ხოზო ხო. „ხოზო გადენე?“ (პ.). მრ. რ. ხობიები||ხბიები. „ხოზიები ეფიეჯა გაზდილან“ (თ. ქ.); „ხბიები ჭლაში იყვენ“.

ხოკერ-ი ხის ქერქის უმთავრესად ბლის, წაბლის ქერქის ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება მარწყვის, ბლის, მაცულის... გადასატანად. „დედეი ხოკერ შკერევა“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხოკერი).

ხოკერა-ი ძალიან სუსტი, მჭლე ადამიანის მეტსახელი. „არ გასუქდა, ხოკერაი დარჩა, ქალობა რაფერნა ქნას, არ ვიცი?“ (სტ.).

ხოზანი-ი გამოფიჭული, მჭლე მინა. „ეს ყანა ხოზანია“ (ინ.); „იქვერობაში არ მუა მევეა, ხოზანია“ (იმ.); „მე სოლანი დეთესეა, მანამა, არ ამოიდა, ხოზანია, მანამა“ (იმ.). შდრ. საბა (ნანუელარი — თ. ხოზან).

ხოზალიმა-ი ბალახი. „ხოზალიმა ბეერია ჭლაში, იმა ჯავეთ ჩავდებთ“ (იმ.).

ხოზიკა-ი 1. სამკურნალო ბალახი, ორკბილა; 2. ორ წლამდე მოზერის მეტსახელი. „მე ხარი მეგონა, ახორიდან გამუუშვეს, რომ პანაი ხოზიკაი“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხოზიკა — ბალახი).

ხოლაურდ-ი ბალახი. „ხოლაურდი ჭალიპირებში ამუა“ (იმ.).

ხოლგ-ი მინის ბელტები, გოროხები. „ხოლგი ადგება ყანაში, თრაქთორით რომე მოხნავ“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხოლგი).

ხოლხ-ი იხ. ხოლგ-ი. „ყანაში ხოლხი გოროხი ამგარა“ (თ. ქ.).

ხონი-ი (huni) ძაბრი. „ყაზღალი ხონით ჩავასხი ფენერში“ (იმ.).

ხორა ბლერი. „ხორა დამართნია ზავალსა და აჭამიებს დურმაალ“ (იმ.). შდრ. საბა (ხორა — კმელი მუნი).

ხორანგალი ბალახი. „ხორანგალი დილი ბალახია“ (იმ.).

ხორთალა-ი (hortlak) მოჩვენება, ეამპირი, საფლავიდან ამდგარი მიცვალებული. „წინწინ ხორთალაი ადგებოდა“ (ინ.); „იმათი დიდი ნენეი ხორთალათ ამდგარა, პიდემდი ასტმით კისერი არ მოჭყეს, მარობამდი არ მვისუენა მეგემ მეზეულუში“ (თ. ქ.).

ხორთალობა უძილობა, ღამეში მოუსვენებლობა. „ამელამ ხორთალობა სჭირს რაცხა“ (ხ. ფ.).

ხოროთუ-ი (არ. hortum) წყლის მილი, შლანგი. „ხოროთუები ჩუღდია მინაში“ (ინ.); „ხოროთუით წყალავს არსას“ (ინ.).

ხოროზ-ი (სპ. horoz) მამალი. გად. მწმ. გამბედავი, ვაჟაკი. „უფიეჯა ხოროზი ქალი დარჩა“ (ინ.).

ხოროზ-ი ცვევის სახელი (ხოროზი). „ათი-ხოროზი დავაბამთ ხოროზსა და ვისამებთ“ (იმ.); „ხოროზი სამა ძალუნ გიციხარდება“ (ინ.). შდრ. საბა (ხორო — ბერძნული, ფერქულსა ჰქვიან).

ხოროზ-ი ერთი ზურგი თივა (თივის ის რაოდენობა, რომელსაც ერთი კაცი აიკიდებს ზურგში). „ქორის შიგნიდამ ხოროზ თივას გამეველებით“ (იმ.); „თივის ხორმებინა ვაეკეთო“ (იმ.). შდრ. ნ. მარი.

ხოროზა-ი ჭკუამხიარული, არასერიოზული. „სსუაფერი ხოროზაი ქალაი, იმის ერთათ არ გიეველებ“ (ინ.).

ხორტი-ი ბალახი (ანწლი). „აქეერი მოლის ერთი სახელია ხორტი“ (ბ.); „ხორტი ნამაღია რამათიზმისთინ“ (მ.).

ხორცვანი-ი ჩასუქებული, ჯანმრთელი. „კაი ხორცვანი ციკაი გამდარა“ (ინ.).

ხორცი უჩუჩუნებს-ს (უთამაშებს-ს) კუნთი უთრთის (რაც მიწნულია ავის მომასწავლებლად). „ხორცი მიჩუჩუნებს დილა მოღმა, რანა შეტყუვა ნუტაი?“ (ინ.).

ხორხილა-ი მარხილით სრიალი. „ბაღეებმა გამხმარ გზაზე ხორხილი დეინყეს“ (ად.).

ხორხილებ-ს სრიალებს. „მარხილი

გუუტანია და ხორხიალებს ეზო-კარში" (ინ.).

ხორხოტო სიმინდის ტაროს გული, მარცვალგაცლილი. „კაკალი რომ გაცვინდება ტოლსა, ხორხოტო დარჩება (მაჭ.); „ამასა ხორხოტოც ქვია და ხირგუალიც“ (მაჭ.).

ხოტორაი თავგადაპარსული ბავშვის მეტსახელი. „უსტურაით მუჟუპარსნებია თავი და გამხდარა ხოტორაი“ (ად.).

ხოფათურ-ი ყურძნის ჯიში. „ხოფათური ყურძენი ჩარში გეიარე და დეინახე“ (მ.).

ხოფ-ი სახვნელის (გუთნის) ნაწილი. „არუნას კინის ზოფი აქ“ (იმ.).

ხოში (სპ. *hoja*) სასიამოვნო, კეთილგანწყობის მომტანი სურვილი. „ამფერი ხოში აქ და რანა უყო?“ (ინ.).

ხოშ ხომ (კითხ. ნან.). „ხოშ არ მოსულა?“ (ინ.); „ხოშ არ მიხულა ბოთმ?“ (სტ.).

ხოშ გელდინიზ! (*hoj geldiniz*) მოხარული ვარ თქვენი ნახვისა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ასე მიმართავენ სტუმარს, მოსულს.

ხოშ ბულდუქ! (*hoj bulduk*) მოხარული ვარ თქვენი ჯანმრთელად ხილვისა, კარგად ყოფნისა! პასუხობს სტუმარი, მოსული, მასპინძელს „ხოშ გელდინიზ“ მისალმების საპასუხოდ.

ხოშაფ-ი (სპ. *hoşaf*) კომპოტი. „ყიზილჯულით ვაკეთებთ ხოშაფს“ (ინ.).

ხოშაში იხ. ხოშაფი (სპ. *hoşaf*). „ხოშაში სუფრაზე ილრანა მოვდეს“ (სტ.).

ხოშაკალაი სეტყვა. „მუხლზე შაყყარა ხოშაკალაი“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხოშაკალა — წერილი სეტყვა).

ხოშაკალაფ-ს ხოშაკალი (სეტყვა) მოდის. „წემოს, წემოს, ხოშაკალაფს, ოდობა-შოღლი ყოჩ დაკლავს; დააჭრის ბაყყებსა, გააგზავნის ბლაყყებსა“ (სტ.).

ხოშორ-ი¹ მსხვილი (თოკი, ძაფი, ფქვილი...). „ნართი ხოშორი მოგსლია“ (ინ.); „ნამეტარი ხოშორ ფქუავს“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხოშორი — წერილისა და მსხვილის საშუალი).

ხოშორ-ი² (*hoşur*) უხეში, ვულგარული, უშვერი. „ბითევათ ხოშორი ლაპარაკი იცის, შექცხუება ინსანსა!“ (ინ.); „ხოშორი კაცია, რამიდან არ შერცხუება“ (სტ.).

ხოშჯა (*hoşca*) საკმაოდ კარგად, კარგად, სურვილის შესაბამისად. „ხოშჯა ვარ, მინდა ვჭამ, მინდა არ ვჭამ, მინდა ავდებო, მინდა დავნეები, თავზე ბასხი არ მაქ“ (ად.).

ხოშჯაქალინ (*hoşcalınlı*) ნახვამდის! მომავალ შეხვედრამდე! „ღმერთმა ერთმანების დანახვა კიდევნ ნასიბი გიგვიხადოს, ხოშჯაქალინ, აბა!“ (სტ.).

ხოჭიჭი ჩვილი ბავშვის საწოლი. „ჩემ დას ხოჭიჭი საფერხეში ქონდა მოდებული, მელიოგინე იყო“. შდრ. საბა (ხოჭიჭი — მცირე აკვანი).

ხოხოლა-ი ხუხულა, სათამაშო სახლი. „გუუკეთებია ხოხოლაი, დანგრევია ახლა და ტირის“ (ინ.). შდრ. საბა (ხუხულა — არს ყრმათა მიერ ბედითი ნამუშავევი, რეცა სახლი).

ხოხოპა-ი ვინრო ყელიანი (ჭურჭელი). „კაიილას ხოხოპაი პირი აქ“ (იმ.).

ხოჯა (სპ. *hoca*) 1. მასწავლებელი; 2. მუსლიმანური სასულიერო პირი. „ჩუენი ხასანაი ხოჯა გახდესნა, იმფრა კითხულობს“ (თ. ქ.).

ხოჯიობა მასწავლებლობა, მუსლიმანთა სასულიერო პირად ყოფნა. „ჩუენებურები და აბაზები იმფო ხოჯიობას აკეთებენ“ (მეზ.); „შარაფეთინას კაი ხოჯობა უჯებენია“ (ბ.).

ხრაკი სული ნამწვავის სუნი. „კარდალამ ძირზე მიხრაკა და საჭმელ ხრაკი სული შუუდინდა“ (სტ.); „წინდა მიეჭირა ისეგავ სობაზე, ხრაკი სული გამაუშუა“ (ად.).

ხრეს-ს ფშენის, სრესს, თელავს. „ამ ზამთარია ავათ არი, ლოგინ ხრესს“ (ინ.); „ტანტრაფაზე ზის და ბოსტნეელობის თესლებ ხრესს“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხრესა — მოსმით მონაყვა).

ხრილა-ი ფხვიერი, მსხვილად დაფქვეული ფქვილი (შქარი, მარილი). „ამათიეფში ზოვილი ხრილაი მიწა ყოფილა,

გოროხი არ ადგება“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხრილი — ნისქელის გარ მოდებული ფქვილი).

ხრისტიანობა ქრისტიანობა. „ხრისტიანობის ყიმეთი იცოდეთ“ (ინ.).

ხრიტინაი-ი ჭუჭრუტანა, ხვრელი. „კი-ლტის ხრიტინადან შუუხედა“ (ინ.).

ხრინ-ი სახმო სიმებზე მოდებული ნახველი. „პირში გიეჯარა ხრინდი და ჩუუკდა ხმა“ (სტ.). შდრ. საბა (ხრინი — ქმის ჩავარდნის სენი).

ხრო ჯოგი, თავყრილობა. „ძალღების ხრო ექენებთან აქეთ-იქით“ (გულ.). შდრ. საბა (ხრო — მქვეთ ჯოგი).

ხრუკ-ი გაძვალტყავებული, მჭლე. „მუ-უყუნია ერთი ხრუკი ქალი“ (ინ.).

ხრუტუნ-ი ხვრინვა. „თავი მიდვა ქი სართუმალზე, დეიწყო ხრუტუნი“ (სტ.).

ხრუნ-ი მატყლის რთვის დროს ნარ-თში (დართულ ძაფში) დატანებული ზედ-მეტი ბუნვით ან სხვა მინარევით ნარმოქ-მნილი უსწორმასწორო გრეხილი. „ხრუნე-ბი მუაცილოვნა ლაზლას, ძაფი ერთყარა-ლინა იყოს“ (ინ.). შდრ. საბა (ხმუნი — ძაფის ნასკეები).

ხრუნავ-ს სიცხე წვავს, ახმობს. „იმფე-რი ცხელი ქარია, რომე ჟურებ ხრუნავს, წუავს“ (ინ.). შდრ. საბა (ხრუსტვა — ცეცხლისაგან კანის მობლუნძვა).

ხსენ-ი ხბოს მოგების შემდეგ პირვე-ლად (2-3 დღის განმავლობაში) მონანველი რძე. „ხსენი თიბილ ჭადთან მიყუარს“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ხსენი — პირველი მონა-წველი სძე).

ხუარდა (hovarda) გარყენილი, უნამუ-სო. ინ. ხვარდა. „ხუარდა ინსანი საძულ-ველია“ (ინ.); „ხუარდა რაფერია, იგი? შენ ქალთან შემება, ჩემ ქალთან შემება, ფოშიობას იქს“ (ინ.).

ხუი¹ (სპ. huy) ხასიათი, ჩვევა, ცული თვისება. „ის ფენა ხუი პეჩ არ დათმო“ (იმ.). შდრ. საბა (ხუი — სხვათა ენაა, ქართულად ავი ზნე პქიანი).

ხუ-ი² განუვითარებელი, ჩანასახშივე გადაგვარებული სიმინდის ტარო. „წრევა-ნდელ სიმინდსა სულ ხუი გამუულია, ტოლი არ აქ“ (იმ.); „ხუიანი სიმინდი ანჯაბ

ჩომისთინ იქნება“ (იმ.). შდრ. საბა (კული — თავთავი არს იგი თანარსხმული).

ხუისუზ-ი (haysuz) ცული ზნისა, უხა-სიათო, მოჩხუბარი. „ჩემი ბიბიაც ხუისუ-ზია“ (თ. ქ.); „ესა ხუისუზი ციცაია“ (ხ. ფ.).

ხუისუზობ-ს (ინ. ხუისუზი) მიზეზია-ნობს, წყურბ, უხასიათოდ არის. „ეს ხანდებან ვირებზე შეუდება, ძალიან ხუი-სუზობს“ (ან.).

ხუთბე (არ. hutbe) მეჩეთში ადგილი, საიდანაც იმამი წარმოთქვამს ქადაგებას. „ხოჯა დადგა ხუთბესთან და დეიწყო ლოცვა“ (ინ.).

ხუთო ინ. ხეთო. „ხუთოები მამცა და იმით ვინამულ“ (იმ.); „ხუთო (ქუთო) ქვა-დერმანია“ (იმ.).

ხულუს-ი (არ. hulus) გულწრფელობა, მონადინება, დიდი სურვილი. „ლოცვაზენა გქონდეს კარგა ხულუსი“ (იმ.).

ხუმრა (სპ. hurma) ხურმა, ფინიკი. „ჩუენსკენ ხუმრა ბევირა“ (მაჭ.).

ხუმირ-ი ინ. ხვიმირი. „ამა ხუმირი ქვია“ (ბ.).

ხუმლიანი-ი ხომლიანი (ვარსკვლავიანი). „მალა-მალა ქორი ფრინავს, ქუეშ — მიმინო ხუმლიანი“ (პ.). შდრ. საბა (ქომლი — მრავალკარსკლავი).

ხუმპალ-ი განუვითარებელი ტარო სი-მინდისა, წერილმარცვლებიანი. „ხუმპალსა საქონელ ვაჭმევთ, ქათამ ვაჭმევთ“ (თ. ქ.).

ხუნდი 1. ნისქელის ნაწილი (ბუდე, რამიე ჩასმულია ქვედა უძრავი ქვა); 2. სათამაშო — ფიცროთ ან მსხვილი ძელით გაკეთებული აინონა-დაინონა. „ამდებანია ხუნდზე კორნიალობენ ბალვები“ (გულ.).

ხუნწკალი-ი ყურძნის კურკა. „ხუნწკალი და ფორჩვი არ შააჭამო ბალესა, ჯერ ზადფა და ვერ მეერევა“ (სტ.). შდრ. საბა (ხუნწკალი — ყურძნისა და მისთანათა გურკა).

ხურდა (სპ. hurda) წვრილი ფული. გად. მწ. არაკეთილსამიჯლო, არადასაყრ-დენი კაცი, არასერიოზული ადამიანი, დაბალი ხარისხის მატყლი. „ხურდა კაცია, მაგის ერთათ გზას არ წეისლება“ (ინ.);

„ხურდა მატყლი მინდარში ჩაყარე“ (ბახ).

ხურდინაში-ი (სპ. *hurdaş*) ნამტკრევებად ქცევა; მაგრად ცემა; მოქანცვა, დაღლა. „იმდენი უზაჰუნა ჯოხი, რომე ხურდინაში გახადა“ (ინ.).

ხურმეთ-ი (არ. *hürmet*) პატივისცემა, დაფასება, აღიარება. „ღმერთო, უუხდინე ამ ჩაკითხული ლოცვების ხურმეთით!“ (ინ.); „კარგ ინსნების ხურმეთზე, ღმერთო, ეს მინა ადღეგძელე!“ (პილ.).

ხურმეთლ-ი (*hürmetli*) დაფასებული, პატივცემული, მცოდნე. „ზოვლი ხურმეთლი ინსანია“ (ინ.).

ხურუში-ი (სპ. *huruş*) მღელვარება, აურზაური, ალიაქოთი. „არ უნდა მაგდენი ხურუში!“ (სტ.); „აბეხა ღამეში ერთი ხურუში“ (ად.).

ხურხულ-ი ხმაური, აყალმაყალი. „ბაღვებმა დეინყეს ხურხული“ (ინ.).

ხუნა (არ. *hüsnä*) უღამაზესი, უმშვენიერესი (მამაკაცის სახელი). „ხუნა-ეფენდიც ჩამოსულა ბურსას“ (ინ.).

ხუსუს-ი (არ. *hususi*) განსაკუთრებული, სპეციალური; კერძო. „ანამ ხუსუსი

ვერ გიმინყო ვეეფერი“ (თ. ქ.); „ისტამბულიდამ მუუტანია ხუსუსი“ (იმ.).

ხუსუსი მექთბ-ი (*hususi mektep*) სპეციალური, კერძო სკოლა. „ფერი ქრძს, ისტამბულ, ხუსუსი მექთბი აქ გაკეთებული, განყობილი“ (იმ.).

ხუჩო გამოქვაბული. „ხუჩო, გამოჭრილი კლდე, და მინა იყვეს, ის არი“ (იმ.).

ხუც-ი მოხუცებული, უფროსი, უხუცესი. „მე ვარ ერთი ხუცი ბერი კაცი“ (ინ.).

ხენ-ს კბილებს აჩენს სიცილში, კბილებს ვერ მალავს სიხარულით. „ნეტაი რას ხენს კბილებზე?“ (სტ.).

ხენია-ი რისამე (კბილების, შიშველი სხეულის...) დაუფარავად, მოურიდებლად გამომჩენი. „უყურე ერთი ამ კბილებს ხენიას, ყური ძირებამდი იცინის!“ (ად.).

ხინვა მოურიდებელი სიცილი; უმიზეზო სიცილი. „ციცას ბევრი ხინვა არ მუუტება“ (სტ.).

ხილო-ი წნელის რგოლებით გაკეთებული ჯაჭვი, რომელსაც პირუტყვის ბაგაზე დასაბმელად გამოიყენებდნენ. „ნკეპლით ხილებს გავეკეთებდით“ (იმ.).



ჯ (ხარ) „ვიტყვი მაგ ხარფსა, ონიჩუნ ასე გინდა: ჯაქა, კევი, ჭიდი, ჭმა, ჯორცი, ჯმელი, იმერკევი, დაგრეკილი, მარჯილო უღელტეკილი, ფეკი, მოჭნა, გაქმა, გაქვრუტა, გაქვრუტოლი, ქერტალი, გაქდა, გეჯადე, გიქდება“... (იმ.).

ჯარი-ი ხარი. „ქარის ფეთი ჩამოვარდნილიაო“ (იმ.); „მრეში ჯარებით მეიტანა“ (იმ.). შდრ. საბა (ჯარი — მამალი ძროხა).

ჯარის არაბა ურემი (მარხილი). „თექ ჯარის არაბა მაქ“ (იმ.).

ჯარისთვალა-ი ბლის, ყურძნის ჯიში. „ჯარისთვალაი ბალი მესხიენთ ყანაშია“ (იმ.); „ყურზენი ჩუენში ბევრია: ჯარისთვალა, სოფათური“... (იმ.).

ჯარის სახელებ-ი: გუმიში, მარტიაი, შავარდენი, ჩახალაი, ყემერაი, ზორბაი, ბახარაი, ჯუმარდაი, ადღინაი, ასლანაი,

სანთელაი, ყარაფილაი, ალთუნაი, დილბერაი, ჩინარაი, ყარაგოზ, ალთუნ, თუარაი, ჩაქმანაი, ზორთენაი, ყარაფილაი, ჯუმარდაი, ქიბარაი, გეთარაი, სოღთარაი, ადღინაი, მურეში, სარაი, ნიკორაი... ახჩაი, აღმასაი, კოჟოი, არაფაი, კაბაქაი, ადნალი...

ჯარიყურა-ი ბალახი. „ჯარიყურაი ბალახი ზედათიებში იცის“ (იმ.).

ჯარიშუბლა-ი ბალახი. „ჯარიშუბლაი კარისათ ბევრია“ (იმ.). შდრ. საბა.

ჯარიჭლიკა-ი ბალახი. „ჯარიჭლიკაი დერმანი ბალახია“ (იმ.). შდრ. საბა (ხარის ჩლიქა).

ჯაქა ხახა. „იმან ჯაქა ააფჩინა, გული გიგისკდებოდა“ (იმ.). შდრ. საბა (ჯაქა — საყლაპავი).

ჯბო ხბო. „აგერ ჯბო ზოვს, ფუჩოი“

(იმ.). შდრ. საბა (ჭბო — ზროხის შვილი).
ჭვევი ხევი. „ესა დოლაკალო ჭვევი“ (იმ.);
„აქედამ იწყება ბოდღვერა ჭვევები“ (იმ.);
„ფაფართი რომე მოდინდება, იმა იმერჭვევი
ქვია“ (იმ.). შდრ. საბა (ჭვევი — ლელეთ
უდიდესი).

ქელი ხელი. „ესა ცალმარჯილასი ქე-
ლია“ (იმ.); „ქასეთი ქელში შეგხდებიან“
(იმ.); „ქელით დაჭიჭნიან დალსა“ (იმ.);
„ქელს საფანელში (ფქვილში) ჩააქრევიე-
ბენ“ (იმ.). შდრ. საბა (ქელი — მაჯის
წინათი).

ქელგაშლილა-ი ცვეკის სახე. „ქელგა-
შლილაი აქვერი ყაიღია“ (იმ.).

ქელგობა-ი პატარა გობი, საცომა გო-
ბი. „დედემ შარშან მომიხვეწა ეს კელგო-
ბაი“ (იმ.).

ქელისაკოცნელა-ი ხელის საკოცნელად,
ულრმეით პატივისცემის გამოსახატავად
ასაკით უფროს პიროვნებას (როგორც
ქალს, ისე მამაკაცს) ხელზე კოცნით მოი-
კითხავენ, მიესალმებიან. „სიზვი და დო-
დოფალი ნავლენ გოგოს ანასთან ჭელისა-
კოცნელაი“ (იმ.).

ქელნები-ი მრ. რ. მარხილის ნაწილი,
საცურავეები. „ამას ქელნები დაზუელებია,
მარკილსა“ (იმ.). შდრ. საბა (ქელნები —
მარკილის გასანევი ლატნები).

ქერტალი-ი ხერტალი. „კვირიშთავეი ქე-
რტალ ამაგრეფს“ (იმ.).

ქელსაფქვა-ი ხელსაფქვავეი, ხელის წი-
სქვილი. „ბაშთან ყუელა ოჯალში ქელსა-
ფქვავეი იყო“ (იმ.). შდრ. საბა (ქელსაფქვავეი
— ქელის წისქვილი).

ქელსაქმარი-ი ხელსაქმე. „აქვერ უზუნ
ზამთარში ქელსაქმარ ვიქთ“ (იმ.). იხ. აჭ.
ხელსაქმარი.

ქელმანდილ-ი ხელმანდილი, ცხვირსა-
ხოცი, ხელსახოცი. „დოდოფალი ქელმან-
დილებ გვაჩუქებებს“ (იმ.). შდრ. საბა
(ქელმანდილი).

ქეობა ხეობა. „ჩუენი ქეობა ფენა
ქუანარია“ (იმ.). შდრ. საბა (ქეობა —

ერთს წყალზედ მრავალი მოსახლე).

ქეჩი ბრეყვი, სულელი. „ჩუენზე იტყ-
ყიან: — ქომორთულები — ჭეჩი, გაბეშე-
ბულიო“ (ტ.).

ქეჭეჭური-ი ხეჭეჭური. „ქეჭეჭური ზამ-
თრის სხალია, გაზაფხულამდინ უთევს“
(იმ.).

ქეიმირი-ი ხეიმირი (წისქვილის ნაწი-
ლი). „ქეიმირიდამ გამოდის დენი“ (იმ.).
შდრ. საბა (ქეიმირი — წისქვილის სახვა-
რბლე).

ქიდი ხიდი. „ესა შერთულის ჭიღია,
ქემერქოფური, თამარ დოდოფლის ზამანის“
(იმ.).

ქმა ხმა. „გასხენ თეფფი, დედესი ჭმანა
ავსნიოთ“ (იმ.); „სოფლობაში დადინდა
ქმა“ (იმ.). შდრ. საბა (ქმა).

ქმიადი ხმიადი (საფუარის გარეშე
გამოცხობილი პური, კუტი პური). „ფუაჩას
გააკეთებდენ, ჭმიადსა“ (იმ.). შდრ. საბა
(ქმიადი). „ქმიადიც მიჭამია სოფელში“
(იმ.).

ქმელი-ი ხმელი. „ქმელია მაყრუებელი“
(იმ.); „ქმელიო“ ებნევით ზადფსა!“ (იმ.).
შდრ. საბა (ქმელი — უნოტივო).

ქობოყურა-ი ბალახი. „ქობოყურაი
ამოდის ბუზგი ზირებში“ (იმ.).

ქორცი-ი ხორცი. „ქორცი კეში იყო“
(იმ.). შდრ. საბა (ქორცი).

ქოტლევი-ი სოფლის სახელი. „ქოტლევე
იქით თექარ უკან დავბრუნდიო“ (იმ.).

ქსენი-ი ხბოს მოგების შემდეგ პირველ-
სამ დღეს მონანველი რძე, რომელიც
ადულებისათავე ხაჭოდ იქცევა. „ქსენი
ერთ-ორ დღეს იქნება, მემრე სუფთა ზე
გამუა“ (იმ.). შდრ. საბა (ქსენი — პირველი
მონანველი სძე).

ქუნდი-ი მახე, ხაფანგი; ოინი, ეშმაკობა,
ლალატი. „მუუნყო კაცსა ქუნდი“ (ინ.).
შდრ. საბა (ქუნდი — ფერკის შესაპყრო-
ბლად შემზადებული რამე).

ჯაგლაგი 1. უხეში, ტლანქი, მოუქნელი; 2. ბებერი, მჭლე ცხენი. „ამდონ საქმეში ხელები ჯაგლაგი გიმისდა“ (ინ.). „ერთი ჯაგლაგი არ ყავს? იმაზე შემუდარა“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ჯაგლაგი — ცხენცუდა).

ჯადღე (არ. cadde) გამზირი, ქუჩა, შარაგზა. „ფეხშველია ჯადღეში დაეა ზავალი, ლეჩია“ (იმ.).

ჯავე მთავე. „ჯავე ზეითუნია რაცხა“ (იმ.); „ჯავე მედვას არ შეეჭამ“ (მ.).

ჯაზი (სპ. cazi) მისანი, კუდიანი, მკითხავი, გრძნეული. „ფენა ჯაზი დედამთილი ყავს, იმათან ძლობა მასხარი არ არი“ (ად.).

ჯაზობა მისნობა, ეშმაკობა, მკითხაობა. „იმათ თახუმმა ბვერი ჯაზობა იციან“ (ინ.).

ჯაიზი (არ. caiz) მისალები, დასაშვები, ნებადართული, უფლებამოსილი. „ძლის დალაპარაკება მაამთილთან, მაზლთან, ჯაიზი არ არი“ (ად.).

ჯალაბი 1. ცოლ-შვილი (წერილშიველი); 2. სავაჭროდ ნაყიდი პირუტყვი. „ერთ კაცსა მეგომ ჯალაბი მიჰყავს“ (იმ.). შდრ. საბა (ჯალაბი — დედანული).

ჯალამბარი ქვის საზიდი (ერთი ადგილიდან მეორეზე გადასატანად). „ძელები მოეჭედეთ და ჯალამბარი გავაუკეთეით“ (ინ.). შდრ. საბა (ჯალამბარი — დიდი ქვის მალლა ასატანი).

ჯალაღინი ნათობ ჭალაში ან ყანაში დარჩენილი თივა, ჩალა-ბულა. „ჯალაღინი, მოკვრიფე ყანაში“ (ად.). შდრ. საბა (ჯალაღინი — ცუდი თივა, ნათობი).

ჯალღაზანი ხუმარა, მასხარა. „ჩენი დედეი ფენა ჯალღაზანი იყო, მასხარაი“ (იმ.).

ჯამი¹ (სპ. cam) მინა, ჭიქა. „ჯამი ფუნჯერის შუშა არი“ (თ. ქ.); „არაბასი ჯამი გაალო“ (ინ.); „დობტურ უთქმია, ჯამი ლიანა ქქონდეს ლამეშიო“ (ინ.).

ჯამი² (სპ. cam) თასი. „ნინინ ხის ჯამებზე ვჭამდით საქმელსა“ (თ. ქ.); „ჯამში ლობიანი იმიყავდა, დედამთილმა გიმოჯავრდა“ (სტ.). შდრ. საბა (ჯამი არს ჭურჭელი ნოტიოთა).

ჯამაგირი გასამრჯელო, ხელფასი. „დედეს ქონდა ჯამაგირი“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ჯამაგირი — წლითი წლად სარჩო).

ჯამალეთი (არ. cemaat) კრებული, თავყრილობა, საზოგადოება, მოსახლეობა, ხალხი. „ესა მეგემ ჯამალეთში შეკადრა დედესა“ (თ.ქ.).

ჯამბაზი (სპ. cambaz) 1. აკრობატი, მათეულზე, თოკზე მოსიარულე; 2. პირუტყვით მოვაჭრე; 3. თავისი საქმის მცოდნე, სპეციალისტი; 4. ეშმაკი, მატყურა. „ვინცაი საქონელ ეიყვანს, გაყიდის, ისა ჯამბაზია“ (მეზ.); „მოვდა ვინმე ჯამბაზმა“ (თ.ქ.); „ერთი დედეი ყოფილა ჯამბაზი“ (მ.); „ქალი ჯამბაზინა იყო“ (ინ.).

ჯამბაზხანე (სპ. cambazhane) 1. სავაჭროდ გამზადებული პირუტყვის სადგომი; 2. ცირკი, სამხეცე. „შერიფას ჯამბაზხანე მუურთავს აგერაქა“ (თ.ქ.).

ჯამე (არ. cami) მეჩეთი. „ბურსას ენ ძუელი ჯამე დეინახეეთი?“ (ინ.).

ჯამუშ-ი (ღიალ. camîş) კამეჩი. „კალიდან უშუვა ჯამუშები“ (იმ.); „ნენეი ჯამუშ მიდენის“ (თ.ქ.).

ჯამუშხილა კამეჩის ოდენა, კამეჩის ტოლი. „ჯამუშხილა თუალეები გიმისხდება, იმფერი ჰერსი მომივა“ (ინ.).

ჯამყელი ნისქვილის ნაწილი (ხვიმირიდან მარცვლის გამოსასვლელი პატარა ღარი). „იმასაც ჯამყელ ვუძახით“ (ად.).

ჯამყელში მოყვანა ფიგ. გამ. საქმის დასრულება, საქმის მოგვარება. „ძვილია ჯამყელში მეთყუნა ეს საქმე“ (ად.).

ჯამჯი (იხ. ჯამი) მინის მენარმე, მინის გამყიდველი. „ჯამჯის დუქანში ეილო“ (ინ.).

ჯანი (სპ. can) 1. სული, არსება; 2.

სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ძალღონე. „ჯანი გიჭირდება?“ (იმ.); „ჯანი შემიჭირდება, ნამუალ“ (იმ.).

ჯანაბეთი-ი (არ. cenabel) უსუფთაო, უწმინდური; რიტუალური უსუფთაობა (მუსლიმანური ადათით). „ჯანაბეთი სიარული ცოცხალი არი“ (ინ.); „ქალი და კაცი ერთად რომე დანებებინა, ჯანაბეთი გახდებოან, მემრე ბანჯარმინა შეეღებ და თავტანინა დეიბანონ, გასუფედენ“ (სტ.).

ჯანავარი-ი (სპ. canavar) მხეცი, ნადირი, მტაცებელი. „დათვი ჯანავარია“ (იმ.). გად. მნ. შეუბრალებელი, დესპოტი. „ჯანავარი მგაა, რათ უნდა ქალბაღვი მგა ჯანავარსა!“ (ინ.).

ჯანაზა (არ. cenaze) მიცვალებული, ცხედარი. „ბაღვო, ნუ მაპერსევ, ოკოი მაქედან, ჯანაზა არ ვაგხადო“ (ინ.); „ისხათ დოურიგებენ ჯანაზაზე მოსულსა“ (იმ.); „ლომანავრელებმა მეგემ ლობიას ჯანაზა ილოცეს“ (ინ.).

ჯანამ! (canım!) სულო, საყვარელო, მტრედო; გეთაყვა (მიმართვის ფორმა). „მამინ მე ვიყავი, ჯანამ!“ (ს.ფ.).

ჯანან! (სპ. canan!) 1. უსაყვარლესო, უღამაზესო, სულო, გულო! (მიმართვის ფორმა); „ჰა მიხუალ, ჯანან?“ (სტ.).

ჯანანა-ი (სპ. canan) 1. უსაყვარლესი, უღამაზესი. 2. ჩიტი. „სედა მაქ შენზე, შამოგითვალე, ჩემო ჯანანავ, შენ გენაცვალე“ (სტ.); „ჯანანაი მოფრინდა ერთი და ამ ტანზე დაჟდა“ (თ.ქ.).

ჯანგარა შავი, შავტუხა, გაჭყარტლული. „ბუხარში ჯანგარა ქუაბები ქექონდა დაკიდული“ (თ.ქ.); „ბზეს დუხუბედვს და გუუხდია ჯანგარა“ (ინ.).

ჯანდარა (სპ. candar. e) წნეხი, მოთელვა. „მოქსოვინლ შალსა მოთელეედით, ჯანდარაში გავარუნიებდით“ (თ.ქ.).

ჯანდარმა (candarma) ჟანდარმი. „ჩუენი ხასანაი ჯანდარმა გამხდარა, ასკრობას იქ იჯება“ (ინ.).

ჯანდარმა ასუბაი (candarma assubay) უმცროსი ოფიცერი ჟანდარმი. „ჩუენი მემედი ჯანდარმა ასუბაი გამხდარა“ (სტ.).

ჯანიტარი-ი (სპ. can — სული, არსება,

თურქ. dar — გაჭირვებით, ძლივსძლივობით). მოუსვენარი, თავისი სულის დაუზოგველი; საქმისთვის თავდადებული. „დედეი ჯანიტარი კაცი იყო, არც თვითან მესუსენებდა და არც ოღლუმალ მუასუსენებდა, დურმაალ საქმობდა“ (ინ.).

ჯანლი (canlı) სულიერი, ცოცხალი. „ტყავ ნუ აძროფ მავ ხესა, მაგაც ჯანლია, უხანა გახაფული“ (თ.ქ.).

ჯანლი-ჯანლი გამოცოცხლებული, ნამოზრდილი, დაკვირტული. „მარწყვი ჯანლი-ჯანჯლი გამხდარა“ (ინ.). იხ. ჯანი.

ჯანსუზი (cansız) უსიცოცხლო, ულონო, სუსტი. „იმათი გეგინი ჯანსუზი გამხდარა მელოგინობაზე“ (ინ.).

ჯანუმ! (canım!) 1. სულო, საყვარელო, ჩემო კარგო; გეთაყვა (მიმართვის ფორმა იხ. ჯანამ). „კარქა მეიკითხე, ჯანუმ!“ (ს.ფ.); „ლამაზული კაია, ჯანუმ“ (იმ.).

ჯანფიდა (სპ. can — სული, სიცოცხლე, fida — მსხვერპლი, თავგანწირვა) მოუსვენარი, დაუდგვარი, შეუპოვარი. „სხუაფერი ჯანფიდა ბაღვია, უხტის, დარბის თელ დღეი“ (ინ.).

ჯანქვალ-ი ნძრევა, რყევა, რხევა. „ძინარეს არ დუუნყო ჯანქვალი, უსული გააღვიძე“ (ინ.). შდრ. საბა (ჯანქალი).

ჯანშენუხებული სულშენუხებული, მოუსვენარი. „ავატყოფი ჯანშენუხებული არი“ (იმ.).

ჯანჯალი-ი ნელი სვლა. „რაპალებით დენყო ეზო-კარში ჯანჯალი, ვახტი არ აქ“ (ინ.). შდრ. საბა (ჯანჯალი — ცხენის ავი სვლა).

ჯანჯუზი-ი 1. ნართით (ძაფით) გაკეთებული მსხვილი ფოჩი. 2. ძაფის ხვეული; 3. ნიერის, ხახვის, მხალეულის ასხმულა. „ნიორი ჯანჯუზებით აქუნა დაკიდული“ (ინ.); „ფტსზე გამობმული იყო აბრემუმის ჯანჯუზი“ (თ. ქ.). შდრ. საბა (ჩანჯუზი — ჭელზედ ნახვევი ნასთი).

ჯარა მოზრდილი ვარცილი, ნავისებური; გულგამოთლილი მსხვილი ხისაგან გაკეთებული პირლია ჭურჭელი, რომელსაც იყენებენ სარეცხის გასარეცხავად, პირუტყვისათვის წყლის ან წვნიანი საჭმლის

მისანოდებლად. „ღელეში ჩევტანდით ჯარას და ურუბას იქ გავრეცხიდით“ (თ.ქ.); „ჯარაში ჩუუსხი მოხარშული ქეფევი“ (ად.).

ჯარაოთი ბალახი (ქალბანა). „ჯარაოთი დერმანია ბევრი შეფსა“ (იმ.). შდრ. საბა (ჯარაოტი).

ჯარგვლაი ძვალმსხვილი, ჯანმრთელი ბავშვი (ვაჟი). „გამხდარა ეფეიჯა ჯარგვლაი, გამოსალამებულა“ (ად.). შდრ. საბა (ჯარგვალაი).

ჯარუკაი ტანდაბალი, ჩაფსკენილი, ჯუჯა-„ჯარუკი ხარ შენ, პანაი, იმა ვერ მეტოკლები“ (ინ.).

ჯასუსი (არ. casus) ჯაშუში, დამსმენი. „ჯასუსი ხარო, არ მაასუნენს ზავალი“ (იმ.). შდრ. საბა (ჯაშუში — სხვათა ენაა, ქართულად მსტოვარი და აუშაგი ქვიან).

ჯაუზი ჯავზი (სამკურნალო მცენარე). „ჯაუზი პანაი დაფხიკე და შაასვი, მუცლი ტკივილ გუურუნფის“ (ინ.). შდრ. საბა (ჯავზი — ხეხო).

ჯაუნა მჟუნა (ბალ.). „ესა ჯაუნაია, ამასა ვჭამთ“ (იმ.); „ჯაუნაი ჭალეფში ამოდის“ (იმ.).

ჯაქეთი (dçket) პიჯაკი, ფრენჩი. „ახლა გეკვად ჯაქეთი“ (იმ.); „ჯაქეთინა შეკეკრო, ზედ დაეცხა ლილები“ (იმ.).

ჯალინი გამოჯავრება, ხუმრობა, დაცინვა. „ნუ გიყუარს უშნო ჯალინი. (ინ.). შდრ. საბა (ჯალინი — მრისხანის უარესი (უდარესი) გინა ყბელი).

ჯახანდარი სამკურნალო ბალახი (ჯალანდარი). „ჯახანდარი ლელიპირეფში იცის, წამალია მოტეხილის, დაეფილის, ცხელ-ცხელინა შამეიყარო“ (იმ.).

ჯახველი (ზახველი) ძახველი (ჯახველი) სამკურნალო მცენარე (ხე). „ყავალსა გააკეთებენ ჯახველით (ზახველით)“ (იმ.). შდრ. საბა (ჯაქველი).

ჯაჯიაი I. ძერა; გად. მნ. ზანტი, აუჩქარებელი. „ცოტა ჯაჯიაია, ჯერ არ დასახლებულა“. (იმ.).

ჯაჯიკი (caçik) მანვნითა (დოთი) და კიტრით მომზადებული სალათი. „ჯაჯიკი დოიანი სალათა არი“ (ინ.); „ჯაჯიკი ზაფხულში კაი საქმელია“ (იმ.).

ჯაჰილი (არ. cahil) გაუნათლებელი, გამოუცდელი, უცოდინარი. „ამ დუნჯაზეც ჯაჰილი არნა იყო“ (ინ.); „ჩუენ ხალხი ჯაჰილია“ (ბახ.); „ჩუენ ძალიან ჯაჰილი ხალხი ვყოფილვართ“ (სტ.).

ჯგვერი ნანევტებული ჯოხის წვერი, სადგისი. „უნახე ერთი ჯგვერი, ჩავსე მინაში და ჩავარგე ფხლის წერგი“ (თ.ქ.) შდრ. საბა (ჯგვერი — ხის სადგისი, გინა ჯოხის წვერი).

ჯგვეტი წვერნაუთელი, ბლაგვი წვერის მქონე მსხვილი ჯოხი. „იმსოლოღში ხელში ერთი ჯგვეტი მომყვა და ზაპდა მივეც ფეხებში“ (ინ.).

ჯებრაილი (არ. Cebrail) მთავარანგელოზი გაბრიელი. „დიდი მელაიქია ჯებრაილ ლალეფსელამი“ (ინ.); „ლმერთმა ყურანი ფეღამბერს ჯებრაილ ლალეფსელამით, მისი ხელით, გამუღბავანა“ (ინ.).

ჯევიარაი (არ. cevahir — ძვირფასი ქვა) ქალის საკუთარი სახელი. „ჩუენ დიდ ნენეს ჯევიარია ერქუა“ (თ.ქ.).

ჯევედეთი (არ. cevdel — სიკეთე, სიუხვე, ხელგამლილობა) მამაკაცის საკუთარი სახელი. „პანა ძიას ჯევედეთი ქვია“ (ინ.).

ჯევიზი (არ. ceviz) ნიგოზი. „ქათმის ხარჩოს ცოტა ჯევიზიც მუუხტება“ (ად.).

ჯევიზლი (cevizli) ნიგეზიანი, ნიგეზნარი. „ჯევიზლი ჩუენთან სოფელსაც ქვია“ (ინ.).

ჯევეზ რენგი ნიგეზის ფერი. იხ. რენგი. „ჯევეზ რენგი ყაპვერენგსა მოგავს“ (იმ.).

ჯეზა (არ. ceza) სასჯელი, სანქცია. „იმ დუნჯას ჯეზას მოქცემენ“ (ინ.); „ამასნა მიესცეთ ჯეზაო“ (იმ.); „იმისი ჯეზანა განიოს“ (ინ.).

ჯეზავეი (cezaevi) ციხე. „იმასა ჯეზავეი ბაბოსი სახლი გონებია“ (ინ.).

ჯეზალი (cezali) მისჯილი, დასჯილი. „ეს ქალი ჩემთვინ ასენ ჯეზალიაო“ (სტ.).

ჯეზვე (cezve) ყავის მოსადუღებელი სპილენძის ჭურჭული. „ჯეზვე ყავის მოსადუღებელია“ (იმ.).

ჯეიზი (არ. ceyiz) მზითვეი. „ჯეიზში

ლოგინი, ჩერჩები იყო“ (იმ.); „ახლანდელა ჯეიზი მაშინ ჰად იყო“ (თ. ქ.).

ჯეირანა-ი ხარის სახელი. „ჩუენი ჯეირანაი და დათვი დატაკებულან ტყეში“ (იმ.).

ჯელალ-ი (არ. celal — ძლიერება, სიდიადე, მრისხანება) მამაკაცის საკუთარი სახელი. „ჯელალ-უფენდი სტამბულ ნესულა“ (ად.).

ჯელილ-ი (არ. celil — მცოდნე, უდიდესი, ქებული) მამაკაცის საკუთარი სახელი. „ჩუენ სოფელში ერთი ჯელილი იყო, მემლექეთური“ (ბახ.).

ჯელლათ-ი (არ. cellat) ჯალათი, შუებრალეული, უგულო. „გამოიდა მეგემ ერთი ჯელლათი“ (სტ.). იხ. ნ. მარი, იმერს.

ჯემალ-ი (არ. cemaal — სილამაზე, მიმზიდველობა). „ჯემალ-ძიი კიდვენ რო-ისნა ჩამოვდეს? (ინ.).

ჯემალეთ-ი (არ. cemaat) საზოგადოება, კრებული, თავშეყრა, მოსახლეობა, ხალხი. „აგერამ ჯამის ჯემალეთო, ყური მომიგდეთ, ვაიზინა გიყო“ (ინ.).

ჯემილ-ი (cemiil — ქების ღირსი, აღმატებული, ლამაზი, მიმზიდველი) ქალის საკუთარი სახელი. „პანაი ჯემილი ქალი გამხდარა, გაზდილა“ (ინ.).

ჯემოი (არ. cemi — გჯფუფური, კოლექტიური) ცეკვის სახე; საცეკვაო მელოდია. „ჯემოი აქვერი სასამური ყაიდი, ბევრი ჩევებმებით და ვიფერჯულავთ“ (თეთრ.).

ჯენგ-ი (სპ. cenk) დავა, ბრძოლა, ხმაური. „ბალეებმა ოზოში გააჩინეს ერთი ჯენგი, შეიბოხჩენ“ (ინ.).

ჯენდეკ-ი მჭულ პირუტყვი. „მაქფერი ჯენდეკი ვისნა შააფეგოს არ ვიცი, რაფერნა გაყიდოს“ (ინ.).

ჯენნეზ-ი (არ. cehenem) ჯოჯოხეთი. „რომე არ მიჯერი, ჯენნები კიდურში ნაი! (სტ.).

ჯენნეთ-ი (არ. cennet) სამოთხე. „შენი ერთი დანახვა ჯენნეთი გიმიხდება“. (პ.). „ღმერთმა ჯენნეთი მოქცონ!“ (ზ.ფ.).

ჯენნეთლ-ი (cenneili) სამოთხის ღირსი, კეთილი, წმინდანი. „მაქფერი ჯენნეთ-

ლი ინსანი ბევრი არ იქნება ღუნგაზე“. (ინ.).

ჯენჯი-ი ჩენჩო, ნაჭუჭი. „ლობასი ჯენჯი სანარცხეთ იქნება“ (ად.). შდრ. საბა (ჯენჯი — თავის ნაპარსი).

ჯერაპი-ი (არ. cerrah) ქირურგი, მკურნალი. „მეიყუნეს ჯერაპი დობტური“ (სტ.).

ჯერემთ ჯერ, ჯერ კიდევ, აქამდე. „მაქფერი არ გიმიკეთებია ჯერემთ“ (ინ.).

ჯერეანი (არ. cereyan) 1. დინება, ნაკადი; 2. ელექტრული დენი, შუქი. „ჯერეანი ძალუნ ყიიმეთლი შედ გამოდგა“ (მ.); „მით ჯერეანი ნიქისლი აქუნ“ (იმ.).

ჯესიმ-ი (არ. cesim — დიდი, ტყეადი) მამაკაცის საკუთარი სახელი. „იმის კაც ჯესიმ ქმევია“ (სტ.).

ჯესური-ი (არ. cesur) გამბედავი, მამაცი, უშიშარი, ძლიერი. „ჩემი დედიც ამეირჩიეს მეგემ, მაღალი, ნასტავლი, ჯესური“ (ინ.); „იმასა ჯესური სიტყუა ქონდა“ (თ.ქ.); „გურამბეი, ჯესური გენჯები ქყოლია!“ (მაჭ.).

ჯეფდეფური-ი (cepdefteri) ჯიბის, უბის ნიგნაკი. „მაქფერი რამიები ჯეფდეფთერმინა ქქონდეს ჩანერილი“ (ინ.).

ჯეშტერი-ი ძლიერი ნვიმა. „დუუსკეა ჯეშტერი ნვიმა, მოსვარა აქავრობა“ (ად.). შდრ. საბა (ლეშტერი — სეტყვის წყალი, ღვარი).

ჯეშუნა-ი (coşkun — მღელვარე, ქარიშხლისებური) მამაკაცის საკუთარი სახელი. „ჩუენ დიდ დედესა ჯეშუნაი ქვიოლა“ (სტ.).

ჯეჯიმ-ი (câcim) მოქსოვილი ფარდაგი. „აქვერი ქალები წინდას, ჯეჯიმ, შალ მოქსოვთ“ (იმ.).

ჯეჟენემ-ი (არ. cehenem) ჯოჯოხეთი. „ღმერთმა ჯეჟენემი ძირიდან არ ამოგიყუნოს!“ (ინ.); „პირზე ჯეჟენემი აღგია“ (ინ.).

ჯვალ-ი (cuval) ტომარა. „ფათათესი ჯვალთი მიეჩანა“ (ინ.).

ჯვალდუზ-ი (fuvaldiz) ტომრის საკერავი ნემსი, მახათი, სადგისი. „ტომარას პირი ჯვალდუზით ნუუკერა“ (სტ.).

ჯიბებს-ი ხეიბარი, კოჭლი. „ერთი ჯიბები თხა ყოლია მარტო“ (თ.ქ.).

ჯიბებს-ჯიბებს კოჭლობით. „ჯიბებს-ჯიბებს როისნა დალიოს იმდონი გზა?“ (ინ.).

ჯიბილეთი-ი (არ. cibilliyet) ხასიათი, ადათი, არსება, ნატურა. „ღმერთმა გამუწყვიტა მისი ჯიბილეთი“ (სტ.). უმთავრესად გვხვდება კომპოზიტიში — ჯინსი-ჯიბილეთი.

ჯიგერ-ი (სპ. ciger) 1. ღვიძლი; ფილტვები; 2. გად. მწ. სული, გული, საყვარელი; ღვიძლი ნათესავი. „ახლო ჯიგერი იქნება მისი“ (იმ.).

ჯიგრიანი-ი ნათესავების მოსიყვარულე, პატივისმცემელი. „ჩუენს ყუელია ზოვლი ჯიგრიანი ვართ“ (იმ.).

ჯივანა-ი¹ (სპ. civan — ახალგაზრდა, ლამაზი) მამაკაცის საკუთარი სახელი. „ჯივან-ტადოი ჩამოსულა სოფლიდამ“ (ად.).

ჯივანა-ი² ღია ლურჯი ფერი. „ჯივანაი აჩული მავია“ (იმ.). იხ. აჩული, მავი.

ჯიერი-ი (სპ. ciger) ღვიძლი. „ინსნის შიანაი ალეთია ჯიერი-ღვირძლი“ (ინ.).

ჯივჯივი-ი (civciv) 1. წინილა; 2. ხმაური. „ჭუჭულემა ატეხეს ჯივჯივი“ (ინ.).

ჯილდავი-ი დავა, კამათი. „აღარ მოთავდა იმათი ჯილდავი?!“ (სტ.). „ჯილდავი დეინყეს ერთმანებში“ (ად.).

ჯილდაობენ-ი კამათობენ, დაობენ. „თელი დღეა ამაზე ჯილდაობენ“ (სტ.).

ჯილველი-ი (არ. cilve-დან — cilveli) უმშენიერესი, მომაჯადოებელი, კვლუცი, კოპნია. „ჟენა ჯილველი ბაქალა ქყოლია!“ (იმ.); „ესა ჯილველი ლასტიკივით ნაქსოვია“ (ინ.).

ჯილველო, ნანაიდა ართვინის ვილაეთი ცნობილი სიმღერა. „ჯილველო, ნანაიდა... ჰემ სიმღერა არი, ჰემ სამა“ (იმ.).

„ჭოროხ ნაფოტი მაქსო, ნანაიდა,

ჯილველო ნანაიდა,
ნავის ჩამონათალი, ნანაიდა,

ჯილველო, ნანაიდა,
მოდი, ჩიტო, მითხარო, ჯილველო,
ნანაიდა,

ღარის შამონათალი, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა...

თითზე ბეჭედი მაქეაო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა,

ბეჭედ თუალი არ აქეაო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა,

ცულე მე ნუ მიყურავო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა,

შენზე თუალი არ მაქეაო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა...

ნაიდანანი წინაინაო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა.

სახლის უკან სათარიო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა,

ერთი ფაციო რათ არიო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა...

სახლ უკენდამ საქათმეო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა,

ერთი გოგო ჩაქეათმეო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა.

სახლის უკან თოხებიო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა,

გულზე ეგეხოხებიო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა...

ოდას თავან არ აქეაო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა,

აღაზი გორუმეიერო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა,

ეს მოსული შორენაიო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა,

ლამაზი გორუნიერო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა...

ნაიდა ნანი, წინაი დაო, ნანაიდა,
ჯილველო, ნანაიდა..."

(სიმღერის ტექსტი ჩანერილია მურღუ-

ლში).

ჯილდა მინის სახენელი, აჩაჩა, კავი. „ჯილდას მე ვიკავებდი“ (თ.ქ.); „ჯილდის მაჭაზე ვიყავ ნამოცმული ყუელ წელწად, კაცი ხეისუზი მყავდა, მე ვხნევი“ (თ.ქ.). შდრ. საბა (ჯილდა — ერქუანი, საკენელი კნულთა).

ჯიმიზი-ი (cimbiz) პინცეტი. „ჯიმიზით გამეილო წარბები და გედენკონტა“ (სტ.).

ჯიმიფული-ი (არ. cim — უბრალო, იაფფასიანი, სპ. pul — ბრჭყვიალა მეტა-

ლის ნვრილი ფირფიტა, რაიმეს გასაწყობად, შესამკობად, მოსართავად გამოსაყენებელი) ბრჭყვიალა იათფასიანი მეტალის სამკაული, რომლითაც რთავენ ქალის თავსახურავს, მანდილს. „ესა ჯიმფულია, დაზმაზე მოკერებული“ (იმ.); „ამაზე ჯიმფულ შამაურთ“ (იმ.).

ჯინი-ი (არ. cin) ბოროტი სული, დემონი. „ჩუენი დედეი ტყეში ჯინებმა დეიკავეს“ (ოქ.).

ჯინდარი-ი (არ. cin — ეშმაკი, დემონი, სპ. dar — სახრჩობელა) ეშმაკებზე, ბოროტ სულებზე ძალის დამტანებელი, ეშმაკებით შეპყრობილი ადამიანის მკურნალი, ჯადოქარი. „ბურსას ერთი ჯინდარი იყო“ (ინ.); „მაგას მუუყუანონა ჯინდარი და გამოფტებო“ (ინ.).

ჯინგანი-ი (cingene) ბომა, მოხეტიალე. „სიცხეში ჯინგნები სულ გზიპირეფში ყრიან“ (ინ.). გად. მნ. უჯგომო, ცუდი ყოფაქცევის ადამიანი, გადაგვარებული. „ინსანმა მისი ენა, მისი ანადილი რომე არ იცის, ისა ჯინგანია“ (ინ.); „მესხებსა ჩუენა გურჯების ჯინგნებ ვეტყვით, გურჯი არიან და გურჯის ენა რომე არ იციან იმიბარობაი“ (ინ.).

ჯინეში-ი ყურძნის ჯიმი. „ჩუენსა ჯინეში ყურძენიც არი“ (მ.); „ჯინეში ჯუანში აქუან“ (მ.).

